რუსთაველის ქართული ლიტერატურის
ინსტიტუტი

სოსო სიგუა

დევნილი ტრიუმფატორი

(ესსე. პოლემიკა. პუბლიცისტიკა. კრიტიკა)

„მწერლის გაზეთი“
თბილისი – 2009

UDC (უდკ) 821.353.1-92+821.353.1-6
ს-476

რედაქტორი პროფ. რევაზ მიშველაძე

ISBN 978-9941-0-1113-9

I. ესსე

„მგოსნების, ოცნების ქალაქი“

„მიყვარს თბილისი ირაკლივით მუდამ მშფოთარი
და მსურს აქ მოვკვდე, რომ მისი მზე სწვავდეს ჩემს კუბოს“.
იოსებ გრიშაშვილი

ამ ქალაქს, რომელსაც თეთრი ქართლის დედა გადმოჰყურებს კომკავ-შირის ხეივნიდან და რომლის ძილსაც სდარაჯობს ცხენზე ამხედრებული ვახტანგ გორგასალი, უჩვეულო ბედი არგუნა განგებამ, მღელვარე და წარუშლელი, გაუხუნარი ლეგენდებით აღსავსე. მრავალი ასეული წელი უძლებდა იგი აღმოსავლეთის უდაბნოებიდან დაძრულ გრიგალებს და ირყეოდა, როგორც ლერწამი „ქართაგან ძლიერთა“, იტანდა ნგრევასა და ხანძარს, ხვატსა და ყინვას. მაგრამ ბრწყინვალე დღეებიც ახსოვს, აღლუმი და ზეიმი, გამარჯვებული დროშების ფრიალი და დაუცხრო-მელი სიყვარულის საგალობლები.

სწორედ თბილისის მიწა ინახავს ყველაზე მწარე დღეების ხსოვნას, რაც კი ოდესმე დასდგომია კოლხ-იბერთა შთამომავალს. დავიწყებას როგორ მიეცემა მაჰმადიანურ წყვდიადში გათეული ოთხასი წელი! მაგრამ ბნელ საუკუნეთა ცისქვეშ შურისგების მოლოდინით გამსჭვა-ლული მეფე და მეომარი, პოეტი და მღვდელთმთავარი იმეორებდა ბიბლიის სიტყვებს:

„უკეთუ დაგივიწყო შენ, დავიწყებულ იქნეს მარჯვენა ჩემი“...

ჰაგიოგრაფიული წიგნების პერგამენტებზე მოჩანს ქალაქის პირველი მკრთალი ანარეკლი. შუამდინარეთიდან მცხეთას ჩამოდის ცამეტი ასურელი მამა, რათა ქრისტიანული სიკეთის ნათელი სრულად მოე-ფინოს ქართლოსიანთა მხარეს. ერთი ზედაზენს მიაშურებს, მეორე - ალავერდს, მესამე - ნეკრესს, ხოლო დავითი ერთხანს დაჰყოფს თბილისის დასავლეთით მდებარე მთაზე, რომელსაც მამადავითი ეწოდა. შემდეგ სარკინოზი ჰაბო ტფილელი დააგდებს მაჰმადის რჯულს და ქრისტიანად მოინათლება. იოანე საბანისძე წერს ბაბილოვნელი ჭაბუკის მარტვილობის წიგნს, იმ ჭაბუკისა, ვინც ქრისტესა და ქართველ-თათვის ეწამა და მოკვდინებულ იქნა ტფილისის ამირას მიერ.

სადღაც მწირ სენაკს შეფარებულ მემატიანეს სანთლის მკრთალ შუქზე გამოჰყავს ლამაზი ქართული ასომთავრული და თითქოს გულის სისხლით წერს „ქართლის ცხოვრებას“.

ეს წიგნი ქართული ბიბლიაა, რომლის ფურცლებზე მოჩანს გადამწვარი თბილისის ნანგრევები. ვახტანგის მიერ განზრახული და დაჩის მიერ განსრულებული „ზღუდენი ტფილისისანი“ ასე სჩვენებია ისტორიკოსს:

„მცხეთა ათხელდებოდა და ტფილისი აღშენდებოდა, არმაზი შემცირდებოდა და კალაი განდიდდებოდა და სპარსნი უფლებდეს ქართლს, კახეთს, ჰერეთს...“

ეს მეექვსე საუკუნეა, როცა ქართველთა მიწა ბიზანტიელთა და ირანელთა ბრძოლის არენად იქცა.

დამწუხრებული მემატიანე წერს, რომ მტერმა **„შემუსრა ტფილისი, დაწუა ცეცხლითა და მოაოხრა ყოველნი არენი მისნი“.** ეს კი მეცხრე საუკუნეა, 853 წელი, რომლის შემდეგაც, 1122 წლამდე, ვიდრე დავით აღმაშენებელმა იერიშით არ აიღო ქალაქი, იქ ქართველი ერისთავები და მეფეები არ მსხდარან,

„ქართლის ცხოვრება“ თბილისის მიკროისტორიაცაა. ბრძოლა თბილისისათვის - ეს იყო ბრძოლა საქართველოსათვის, - ასე სჯიდა მეფე და კათალიკოსი, გლეხი და ხელოსანი.

ასე თანდათან შემოდის მწერლობაში მტკვრის ზვირთებით ორად გაპობილი ქალაქი. მაგრამ ჰაგიოგრაფი თუ მემატიანე არაფერს იგონებდა, არაფერს თხზავდა. ის მხოლოდ რეალურად არსებულს ან წარმოდგენილს აღწერდა. ამიტომ ძუნწია და მკვეთრი მათი სტილი, ოღონდ მთავრისაკენ წარმართული, მეტაფრასტული ენაწყლიანობის ჟამსაც - დეტალებისაგან განრიდებული. ისინი მხოლოდ ბიოგრაფიულ, მოწამეობრივ ფაქტებს აღნუსხავენ ან ისტორიულ მოვლენებს ინიშნავენ.

ქალაქის ხოტბა და განცდა, პოეტიზება ჯერ არ დაწყებულა.

უკანასკნელად თბილისი აიკლეს სპარსელებმა - 1795 წელს, როცა კრწანისის ველზე დამარცხდა ერეკლე II. ეს თარიღი განუკურნელ ჭრილობად გასდევს მრავალ ლექსს, პოემას, მოთხრობას, გამოკვლევას. მათგან კი ყველაზე მნიშვნელოვანია ნიკოლოზ ბარათაშვილის „ბედი ქართლისა“.

მაგრამ თბილისი არ ყოფილა მხოლოდ ბაგრატიონებისა და ორბელიანების, წმინდა ქართული ქალაქი. ამიტომ იშვა სპეციფიკური ფოლკლორი, სიმღერა, ცეკვა და ლექსი. მათში გაერთიანდა სხვადასხვა ერის შვილთა საუკუნეობრივი გამოცდილება, ტემპერამენტი, მიდრეკილება და წარმოდგენა.

იოსებ გრიშაშვილმა თავის განუმეორებელ წიგნებში „საიათნოვა“ და „ძველი თბილისის ლიტერატურული ბოჰემა“ აღადგინა ამ მრავალსაუკუნოვანი დინების სურათი, რომლის ყველაზე ძლიერი მესიტყვე იყო საიათნოვა, სამენოვანი პოეტი.

ქეიფი, სიყვარული, ორთაჭალის ბაღები და აბანოები - აი რას უმღე-

როდნენ მისი შთამომავალი აშუღები, მეარღნენი და მეთარენი. ისინი მდაბიო ფენების გულისტკივილსა და გუმანს პასუხობდნენ, მათ მარტივ განცდებს ამხელდნენ. მაგრამ ძლიერი გამოდგა ეს ნაკადი. მან დატოვა ვიწრო ქუჩაბანდები, სამიკიტნოები და ქულბაქები და არისტოკრატიული სალონებისა და დარბაზებისაკენ გადაინაცვლა. ჰიბრიდული ქალაქის სურნელი და არომატი მათ ფანჯრებშიც შემოცურდა.

ალექსანდრე ჭავჭავაძე და გრიგოლ ორბელიანი აჰყვნენ მდაბიო ფენებიდან წამოსულ თავბრუდამხვევ რომანტიკას. მხოლოდ ნიკოლოზ ბარათაშვილსა და ვახტანგ ორბელიანს ახსოვდათ, რომ ისინი სხვა კულტურის ეპიცენტრში იდგნენ.

ძველი თბილისის ბოჰემის გავლენა გადმოსწვდათ აკაკი წერეთელს, ტიციან ტაბიძეს, გიორგი ლეონიძეს, ყველაზე მეტად კი - იოსებ გრიშაშვილს. ისიც უნდა ითქვას, რომ ამ თემაზე საუკეთესო ლექსები სწორედ მათ დაწერეს და არა აშუღებმა.

ძველ მწერალთათვის უცხო იყო ადგილის რომანტიკა. ისინი თითქოს ვერც ხედავდნენ ქუჩებს, ხეებს, სახლებს. მათ ესმოდათ პერსონაჟის საწადელი, მისდევდნენ ამბის მდინარებას, თითქოს მისი ცხოვრების დოკუმენტებს თხზავდნენ, რომელთაც ახლდა რელიგიური ფანატიზმი ან უნაპირო სიყვარულის ელდა და რაინდული სული. მაგრამ მათ ირგვლივ არსებულ ბალახს თუ ფრინველს, მინდორს თუ მდინარეს, კოშკს თუ სასახლეს ბუნდოვანების ნისლი ებურა.

მხოლოდ რომანტიკოსებმა შეძლეს მღელვარე ფიქრები საგნებისათვის გადაეცათ, თავიანთი ჭმუნვის, გაუხარელი ყოფის მოწმედ და მონაწილედ ექციათ მოდუდუნე მტკვარი, მთაწმინდის უდაბური ბილიკები, იავარქმნილი ქალაქი, ორთაჭალის ბაღები.

ნიკოლოზ ბარათაშვილმა დაამკვიდრა პოეზიაში მთაწმინდა, ვით გაუნელებელი ფიქრისა და მუდმივი სევდის სადგური და რელიგიური იდუმალებიდან პოეზიის საუფლოში გადმოიტანა. მან აღმოუჩინა პოეტურ სულს ეს ახალი, თუმცა მარად თვალწინ მდებარე კონტინენტი. რომანტიკოსებმა იგრძნეს უსულო საგნები და მათში სამყაროს „საიდუმლო ენამ“ გაიღვიძა.

ბარათაშვილამდე თბილისი თითქმის არც არსებობდა ქართული პოეზიისათვის. აქ წერდნენ მშვენიერ მუხამბაზებს ბესიკი და საიათნოვა, აქ უგალობდნენ თბილისის ტურფა ქალებს, მტკვარს, მეფე ერეკლეს თუ დავით ორბელიანს. მაგრამ თბილისი მგოსანთათვის იყო მხოლოდ ის ადგილი, სადაც ცხოვრობდნენ ლექსის პერსონაჟები.

აშუღები განადიდებდნენ სატრფოს, უმღეროდნენ სიყვარულს, ღვინოს, ქეიფს, მაგრამ ზეცისთვის არ აუხედავთ და არ შეუნიშნავთ ქალაქის თავზე წამომართული ფიქრით დაბურული მთა.

ეს მხოლოდ ბარათაშვილმა დაინახა.

მანვე დააწესა ცისფერისა და მთაწმინდის კულტი. ყაბახის ღამე, მტკვრისპირი, მტკვარზე გადმოხრილი ჩინარი, მამადავითის კალთები, თბილისური მაისის მწუხრი, კრწანისის ველი მან გულის დამჭრელი ფერებით აამეტყველა, უარყო აზიური, ჰიბრიდული თბილისი, მუხამბაზების ჰანგებს, ყარაჩოხულ ბოჰემას, შავი ფერის რომანტიკას გამოსტაცა გორგასალის ქალაქი და ევროპული პოეზიის მთვარით გაანათა. ხოლო სიტყვას შეუნარჩუნა ძველქართული პათეტიკური ინტონაცია.

მთაწმინდა იქცა ახალ ოლიმპად და მას მიეძღვნა არაერთი დაუვიწყარი სტრიქონი. მათგან საუკუნეებს გაჰყვება სამი შედევრი, ვით ქართული პოეტური სიტყვისა და სულის სანიშნო, აღბეჭდილი მარადი ადამიანური სევდით, მთრთოლარე განცდით, მშობლიური ინტიმითა და სულიერი არტისტიზმით.

ესენი გახლავთ - ნიკოლოზ ბარათაშვილის „შემოღამება მთაწმინდაზედ“, აკაკი წერეთლის „განთიადი“ და გალაკტიონ ტაბიძის „მთაწმინდის მთვარე“.

მდუმარე მთაწმინდა, მთვარის შუქი, ცისფერი, ღამის ბინდბუნდი, მელანქოლია და თავგანწირვა ის კონკრეტული ნიშნებია, რომლებიც ანათესავებს ამ სამ დაუჭკნობელ ტრიპტიხს, მთაწმინდის მქცეველს პოეტურ პარნასად, ვით ზეცისკენ აღვლენილი სიტყვის მიწიერ სადგურს.

ეს ლექსები ჩვენი მუდმივი თანამგზავრია, ამ სტრიქონებით ავიდგით ენა, ამ სტრიქონებზე აღვიზარდეთ და უკანასკნელ გზაზეც გაგვაცილებს სულში მშობელი მიწის სიყვარულად გაფოთლილი მელოდია:

სიკვდილის გზა არრა არის, ვარდისფერ გზის გარდა,
რომ ამ გზაზე ზღაპარია მგოსანთ სითამამე,
რომ არასდროს არ ყოფილა ასე ჩუმი ღამე,
რომ, აჩრდილნო, მე თქვენს ახლო სიკვდილს ვეგებები,
რომ მეფე ვარ და მგოსანი და სიმღერით ვკვდები,
რომ წაჰყვება საუკუნეს თქვენთან ჩემი ქნარი...

ძველი თბილისი თავისი ფოლორცებითა და აივნიანი სახლებით, ყარაჩოხელებითა და კინტოებით, ამქრებითა და მეთევზეებით პროზაშიც გამოჩნდა.

ჩვენი ბელეტრისტები ნაკლებად სწყალობდნენ ქალაქს, სოფლისაკენ იყურებოდნენ, ქართველი გლეხისა და თავადის ფსიქიკა, მათი გარემო თუ კონფლიქტი უფრო აინტერესებდათ, ვიდრე ქალაქური ყოფა, ინტელიგენტური ცნობიერების ჩვენება. ისიც უნდა ითქვას, მრავალი ლექსი და მოთხრობა, რომელთა ასპარეზად ქცეულია თბილისი, მოკლებულია კოლორიტს, კონკრეტულ ნიშნებს და ამორფულ თუ აბსტრაქტულ გარემოდ არის წარმოსახული.

უცხოელი მოგზაურები, პოეტები და მწერლები კი მეტწილად მას აღიქვამენ აღმოსავლურ, ეგზოტიკურ, მომხიბვლელ და სისხლჭარბ ქალაქად.

ძველი თბილისი ყველაზე ხშირად ჩანს ვასილ ბარნოვის პროზაში, მის მშვენიერ მოთხრობებსა და რომანებში, რომელთაც მოაქვთ შორეული რომანტიკული დღეების ათინათი.

ძველ თბილისთან გამოთხოვება მთელი საუკუნე გრძელდებოდა, დაიწყო ნიკოლოზ ბარათაშვილმა და დაასრულა იოსებ გრიშაშვილმა. მაგრამ ძველი თბილისის ცნება ორი ფენის შემცველია - ერთია მყარი, არქაული, ქართული - მეტეხი და ნარიყალა, მამადავითი და სიონი, ქაშუეთი და კრწანისი, მეორე — მერყევი, შუასაუკუნეობრივი, ჰიბრიდული - ყარაჩოხელი და კინტო, არღანი და ზურნა, მეჩეთი და სინაგოგა...

იოსებ გრიშაშვილის „გამოთხოვება ძველ თბილისთან“ უკანასკნელი რექვიემია თქმული ძველ თბილისზე, მაგრამ იოსებ გრიშაშვილი ხედავდა და აღიქვამდა არა მხოლოდ მუხამბაზური ჰანგებით დარწეულ ქალაქს, არამედ მის ისტორიას, დღევანდელ დღეს, სახლებსა და ქუჩებს, მტკვარსა და მთაწმინდას. შეიძლება ითქვას, მისი ყოველი ლექსი უკავშირდება თბილისსა და თბილისელ მოქალაქეს.

ძველი თბილისის ნოსტალგია გასდევთ ტიციან ტაბიძისა („თბილისის ღამე“, „სოღანლუღიდან“, „მეარღნეები და პოეტები“) და გიორგი ლეონიძის დაუვიწყარ ლექსებს („მაშ, რა ვუყოთ, პოეტებო“, „მთაწმინდიდან ქარს მოჰქონდა“, „ძველი დაირა“). თუმცა მათ განსხვავებული ტონალობის ლექსებიც შექმნეს, რომელთაც გამოიყოლეს კლასიკური პოეზიისათვის ნიშნეული დრამატიზმი (მაგ., გ. ლეონიძის პოემა „სამგორი“).

პრინციპულად სხვაგვარია ალექსანდრე აბაშელის, სიმონ ჩიქოვანის, ირაკლი აბაშიძის, გრიგოლ აბაშიძის პოზიცია. ისინი თბილისის ისტორიას გმირობისა და წამების მატიანედ აღიქვამენ, ნაციონალურ გმირებსა და კოლორიტზე მიგვითითებენ ან კიდევ - ახალი თბილისის აღმშენებლობას შეჰხარიან.

კინტოები და ყარაჩოხელები, მეეზოვეები და მეთევზეები, მეთარენი და მოქეიფენი იმზირებიან ფიროსმანისა და ლადო გუდიაშვილის ბრწყინვალე ტილოებიდან.

ასე მკვიდრდება ჩვენს ცნობიერებაში გადამქრალი ძველი თბილისი.

მაგრამ დადგა ახალი ჟამი. ქრება ვიწრო ქუჩები და ქუჩაბანდები. მოგონებას შემორჩნენ ეტლები და ფაეტონები, მედროგენი და მეთულუხჩენი. ახალი კორპუსები და კვარტალები, მოედნები და ბაღები, მეტრო და მანქანების კოლონები, მუზეუმები და სტადიონები, რესტორნები და სასტუმროები, უნივერსიტეტი და აკადემია - ასეთია ახალი თბილისის მოზაიკის შტრიხები.

ევროპეიზება, რომელიც დაიწყო პოეტური ოცნების სფეროში, ახალმა დრომ ყოფაში, რეალობაში განახორციელა. თბილისი მოექცა თანამედროვე მილიონიანი ქალაქების რიცხვში. შეიცვალა ცხოვრების რიტმი, მოქალაქეთა ფსიქიკა და მრწამსი, რამაც პოეტური სიტყვისაგან ახალი ფერი და ჰანგი მოითხოვა. მწერლის ამოცანად იქცა ურბანული ყოფის გამოხატვა, ურბანული ცხოვრების ამოცნობა.

ეს განსაკუთრებით მწვავედ საგრძნობია დღეს, როცა სამეცნიერო-ტექნიკურმა რევოლუციამ, ურბანისტულმა აფეთქებამ მკვეთრად შეცვალა გარემო. რეკონსტრუირებული ლანდშაფტი კი იძლევა ფსიქიკისა და ცნობიერების მანამდე უჩინარ, უცხო მოდუსს. ავტომანქანა, თვითმფრინავი, ცათამბჯენი, ინფორმაციის კასკადი, გლობალური მასშტაბები, ატომური ომის საფრთხე მოულოდნელ ელფერს აძლევს პიროვნების მყარ, მაგრამ მარად განმეორებად ბუნებას.

კონსტანტინე გამსახურდიამ სწორედ ევროპელის თვალით დაინახა თბილისი („მთვარის მოტაცება“); მიხეილ ჯავახიშვილი აყენებდა ურბანულისა და პატრიარქალურის დაპირისპირების პრობლემას („თეთრი საყელო“); დემნა შენგელაიამ ინტელიგენტის ფსიქიკას მიაპყრო მზერა („ტფილისი“).

მაგრამ ისინი ხატავდნენ ომამდელ თბილისს, რომელსაც ჯერ კიდევ არ ჰქონდა თანამედროვე ქალაქის ატრიბუტები, რაც მან სამოციანი წლებიდან შეიძინა. ამიტომ, გ. ტაბიძისა და კ. გამსახურდიას არისტოკრატიული, არტისტული სტილის ნაცვლად დღეს ვრცელდება ინტელიგენტური ხედვა, აზრის პრიმატით გამოვლენილი (მაგ., პოეზიაში - ო. ჭილაძე, პროზაში - გ. ფანჯიკიძე და თ. ჭილაძე), რაც ესწრაფვის დღევანდელი მოქალაქის, დღევანდელი რიტმისა და ინერციის ჩვენებას თბილისის ფონზე, თბილისური მასალითა და რეალიებით.

ასე უფრო გამოჩნდება დროულში ზედროული.

რთული ფსიქიკა, დიდი ქალაქის ნერვიული ატმოსფერო სპეციფიკურ იერს ანიჭებს მუსიკასაც, მხატვრობასაც, სკულპტურასაც. ამიტომ თბილისის თემა ხელოვანისათვის მეტს ნიშნავს, ვიდრე ეს არის მისი ხოტბა ან ქუჩების თუ პეიზაჟის ხატვა.

ის იქცა აზროვნების წესის გამოხატულებად.

მიჰქრის დაუდეგარი ელექტრონისა და ატომის საუკუნე, იქმნება ხელოვნების ახალ-ახალი ნიმუშები გორგასალის ქალაქზე, მის სხივმოსილ აწმყოსა და მწარე წარსულზე. ისევ ღვივის მარადიული ოცნება, ქერუბიმის ფრთებით აღკაზმული და მას მისდევს კვლავ ნორჩი და ახალგაზრდა თბილისი „ამოვლებული მტკვარში, მზეში და მატიანეში“ (სიმონ ჩიქოვანი).

„ლიტერატურული საქართველო“, 1981, 23 ოქტომბერი

„მე მოვკვდები, როგორც პოეტს შეჰფერის“

„მარტოობის ორდენის კავალერი“ - ეს სახელი დაანათლა ტიციან ტაბიძემ **გალაკტიონს** - თავის ბიძაშვილს, ჯერ კიდევ 1915 წელს. ეს სიტყვები მოსკოვში ითქვა და გაზეთ „საქართველოში“ გამოქვეყნდა, როცა იბეჭდებოდა „ცისფერი ყანწების“ პირველი ნომერი.

გალაკტიონი თეორეტიკოსი არ ყოფილა, მაგრამ პოეტური გუმანით იგრძნო შორეული ლანდების სიახლოვე.

არც თანამოაზრენი უძებნია. იგი მართლაც იყო მარტოსული და თავისი მიუსაფრობა, სევდა და მელანქოლია გადაიტანა პოეზიის აკროპოლში.

რაც დრო გადიოდა, უფრო მეტად იკეტებოდა ლანდების საუფლოში და მეგობრად ალკოჰოლს იგულვებდა.

მარტოობა და ალკოჰოლი იწვევდა დეპრესიას, უსუსტებდა ნერვებს. მაგრამ გაღიზიანებული ფსიქიკა უმძაფრებდა აღქმას, ნიუანსთა შეგრძნებას. ნაღველსა და დეპრესიას სინათლედ აქცევდა მუსიკა და ესთეტიზმი და ქრებოდა სულში ავობით მძვინვარე ლუციფერი.

გალაკტიონის სულსა და გონს ადრევე დაეუფლა სიმბოლისტური მთვარის შუქი და ლექსებში შემოიტანა უცხო ლექსიკა - ნათელი ღამე, სასაფლაოს ჩრდილები, მარტოობის გზა, შემოდგომის დღე, ლურჯი ბურუსი, შავი ნისლი, უდაბნო, გედი, თეთრი აჩრდილი, თეთრი ზამბახი, ცისფერი თვალები, მწუხარე სული, სევდის მორევი, ვიდრე გამოჩნდებოდნენ „ცისფერყანწელები“.

1914 წელს გამოსცა ლექსების პირველი, 1919 წელს - მეორე წიგნი - „Crane aux fleurs artisiques“ (თავის ქალა არტისტული ყვავილებით).

„არტისტული ყვავილებით“ დგას იგი ქართულ პოეზიაში, როგორც ახალი რუსთაველი. მხოლოდ რუსთაველს თუ ჰქონდა ასეთი გულისმომკვლელი ლირიზმი და სიტყვის ძალა.

ჯერ 28 წელი არც კი შესრულებოდა მაგრამ წინ ელოდნენ ახალი ლურჯა ცხენები, ეფემერები, შინდისის ჭადრები და შემოდგომის ბლონდები.

მითიური მიდასის დარად, რასაც ხელს ახლებდა, ოქროდ აქცევდა.

მხოლოდ მას შეჰფეროდა ეთქვა:

„წვეთი სისხლის არ არის ჩემში არაქართული,
ძაფი ნერვის არ არის ჩემში არაპოეტის“.

იგი იყო პოეტი-უნივერსალი - თემებით, გრძნობებით, ფერებით, მელოდიებით, სალექსო საზომებით თუ მეტაფორებით.

ხელახლა ქმნიდა ქართული მეტყველების სახეს, ლექსის ფორმას, სიტყვის ესთეტიკას.

ხან ჰგავდა აპოკალიფსის ლურჯა თუ მწვანე ცხენზე ამხედ-

რებულ სიკვდილშემოსილ ანგელოსს, ვინც სავსე პეშვებით ისროდა ფანტასტიურ მკვლელობებს და ქვების მძიმე ქუსლებით პოლიუსს ეყრდნობოდა.

ხან გულისდამწველი სინაზით იგონებდა შორს გადაკარგულ სატრფოს მკრთალ ხელებს, ქარის ტოტებს თუ ატმის რტოებს, სადღაც ქუჩაში წაქცეულ ნუკრისთვალება ბავშვს.

სულში კი ჰკიოდა გენიით ატეხილი ლერწამი და ვანდეიკის ლანდებივით მწვანდებოდა ღამე...

მთელი სამყაროს ბზარები გულზე აჩნდა, ყველას სატკივარს იტევდა, მაგრამ მარტოობას მაინც ვერ სძლევდა.

„ახლა მარტოდმარტო ვარ, როგორც მთის ეკლესია“,

გოდებდა იგი - „ლურჯა ცხენებისა“ და „თოვლის“, „მთაწმინდის მთვარისა“ და „სილაჟვარდის“ ახალგაზრდა ავტორი, ვისაც შეეძლო ერთბაშად დაებეჭდა ასი ახალი ლექსი და ვიდრე ხალხი გაოგნებისაგან გამოერკვეოდა - კიდევ ასი ლექსი!..

ასეთი ზენორმული ღელვით ცხოვრება დიდხანს არ შეიძლება, იგი მალე გადაგწვავს ან გამოგფიტავს.

გალაკტიონი ამ მხრივაც საოცრებაა - მან მთელი თხუთმეტი წელი იბრძოლა სიკვდილთან და მარადისობასთან ახალი კონტინენტის დასაპყრობად.

ასე გახდა **„მარტოობის ორდენის კავალერი“ „აპოკალიფსის მძაფრი მხედარი“.**

შემდეგ მასაც ელოდა თავისი „ეპოქა“, როგორც ჰანიბალს ზამა და ნაპოლეონს - ვატერლოო.

დიდი შემოქმედება მუდამ საოცრება იყო, რომლის ამოხსნა შეუძლებელია, მარად იდუმალი, შვიდი ბეჭდით დაბეჭდილი.

ასე რომ – ჩვენ ვერასოდეს გავიგებთ გალაკტიონის მოვლენას.

იგი არ გამოსულა ინტელექტუალური ოჯახიდან, როგორც სოლოვიოვი, ბლოკი ან ბელი. მამა თვალით არ უნახავს. დედა წერა-კითხვის მცირედ მცოდნე ქალი იყო, რომელიც სულ თავის გატუნიას ახსენებდა და მისი პოეზიის არაფერი გაეგებოდა.

დედას უყვარდა მწუხრის ჟამს ჩონგურზე დაკვრა და ბავშვის ხსოვნასა და ლექსებში ჩარჩა ეს ნაღვლიანი მელოდია.

სემინარიაში ცუდად სწავლობდა და გარიცხეს. უნივერსიტეტში არ შესულა. არც კულტურის დიდ ცენტრებში უცხოვრია. სიჭაბუკეში ორჯერ ჩავიდა მოსკოვში და მაშინაც სარეჟისორო კურსებზე სწავლობდა!

მერეჟკოვსკი, ივანოვი, ანენსკი, ბრიუსოვი, ბალმონტი, ბელი, ბლოკი დიდი ერუდიტები და პოლიგლოტები იყვნენ.

ამ მხრივ გალაკტიონი მათ ვერ შეედრება. მაგრამ ეს არც არაფერს აკლებს.

ქვეყნად იმდენ დიდ პოეტს უცხოვრია, ახალგაზრდას რომ შეეძლოს მათი ნაწერების წაკითხვა, კალმის ხელში აღებას ვერც გაბედავდა.

მთელი ქართული ლირიკის შედევრების თითქმის ნახევარი გალაკტიონს ეკუთვნის. ამ ლექსების წაკითხვის შემდეგ განცვიფრება და შიში გვიპყრობს - როგორ შეეძლო ადამიანს დაეწერა ისინი და თუ დაწერდა, ცოცხალი დარჩენილიყო!..

იგი მართლაც დემონი იყო, რომელიც ბოჰემის სამოსელს ატარებდა.

აკლდა კომუნიკაბელობა, ადამიანებთან ურთიერთობა უჭირდა.

ვერც ტიციანს ეგუებოდა, ვინც პირველმა განადიდა მისი სახელი და ქვეყანას ახარა, თუ როგორი პოეტი მოდიოდა რიონის ნაპირიდან.

მოგვიანებითაც უწერდა, ერთად ლპებიან ჩვენი მამების კუბოს ფიცარი და ლექსებითაც ერთმანეთს არ დავემდურებითო.

მაინც დამდურებულნი დარჩნენ...

ბოდლერის ალბატროსივით სივრცეში მიჰქროდა, მაგრამ მიწაზე სიარულს გიგანტური ფრთები უშლიდა.

ბლოკმა თავისი ბიოგრაფია აქცია პოეზიად.

გალაკტიონის პოეზიაში ბიოგრაფია არ იკითხება, ხოლო სადაც ეპოქა ასახა, იქ დამარცხდა როგორც ხელოვანი.

იგი სულის გრადაციის შემოქმედი იყო, იმ სულისა, რომელმაც გამოვლო ანტიკა, შუა საუკუნეები, პარიზი და თბილისამდე მოატანა.

არც სიმბოლიზმის ძირები აინტერესებდა, არც მისი ფილოსოფია, არც ახალი ლექსის თეორია.

იყო ესთეტური შემოქმედი და ლექსის ჯადოქარი, რომლის სულში სამყაროს კოსმიური მუსიკა მღელვარებდა.

არ ჰგავდა მალარმეს, ვალერისა და ელიოტს, რომლებიც ძლიერ ცოტას წერდნენ და სიტყვას ისე უფრთხილდებოდნენ, როგორც ქირურგი – სისხლს.

36 წლისამ დაამთავრა პოეზია და თუმცა შემდეგ ხუთჯერ მეტი დაწერა, აღარ ჰქონდა ძველებური შთაგონება.

მხოლოდ ათასში ერთხელ ეწვეოდა ერატო ლირით ხელში. მაშინ ცოცხლდებოდა მასში უარყოფილი სიმბოლისტი („ბოძთან ტრამვაის უცდიდა მგზავრი“, „ყველას რაიმე აქვს სახსოვარი“, „წარწერა წიგნზე „მანონ ლესკო“, „ქებათა ქება ნიკორწმინდას“...).

გალაკტიონისათვის პოეზია სიმბოლიზმით დასრულდა.

ახალი სტილი არ უძებნია, უკუიქცა ტრადიციული ლექსისაკენ და თუ ადრე იდეალად ვერლენი და ბლოკი ესახებოდა, ახლა მათი ადგილი აკაკი წერეთელმა დაიკავა.

ენატრებოდა, თავისი თავი ეხილა ქართული პოეზიის ხუთეულში, ვერც კი წარმოედგინა, რომ გაცილებით დიდი მელექსე იყო, ვიდრე ილია ან აკაკი.

იყო აკადემიკოსი, მაგრამ კოლეგებთან საუბარს სამიკიტნოში ყოფნა ერჩია. სახალხო პოეტის სახელს ატარებდა და ტრიბუნაზე იშვიათად ადიოდა. მაშინაც ცახცახი იპყრობდა და ხმა უთრთოდა. ალკოჰოლი მცირე ხნით უწყნარებდა ნერვებს და სიმხნევეს ჰმატებდა.

გალაკტიონი ლომბროზოს პერსონაჟებს მოგვაგონებს ნევროტიკული ბუნებით, შიშებითა და ჰალუცინაციებით, რასაც პოეტები ხილვას ეძახდნენ.

წლების მანძილზე დედაქალაქის ქუჩებში დადიოდა ნახევრად შეშლილი გენიოსი - წვეროსნის ნიღბით, მთვრალის პორტრეტით, ლენინის ორდენითა და ვეება, გაცვეთილი პორტფელით.

იყო **„უდროობის გმირი“** და გახდა **„უდროობის იანიჩარი“**. არავის დაუწერია ამდენი სუსტი ლექსი ბოლშევიკურ ეპოქაზე.

მან უსახური ძეგლი დაუდგა კოშმარულ დროს, სწორედ ისეთი, როგორიც იყო ბოლშევიზმი.

მისი ცხოვრების თანამგზავრი იყო რამდენიმე ქალი, მაგრამ უყვარდა მხოლოდ ოლია ოკუჯავა, რომელიც მაუზერით დადიოდა და გალაკტიონს აფრთხობდა.

პირადი ცხოვრება ისევე მოუწესრიგებელი ჰქონდა, როგორც ნერვული სისტემა.

როცა მეორედ გადაასახლეს ოლია, ხოლო მისი ხუთი ძმა დახვრიტეს, გალაკტიონს ჰალუცინაციები მოეძალა და საბოლოოდ შეერყა ფსიქიკა, ფიზიკურადაც მოტყდა, დაჰკარგა ელეგანტობა, ხალისი და ინტერესი.

ლექსების მაინც არ ეშვებოდა, როგორც რინგს დროგადასული ჩემპიონი. სიმბოლისტები **„სიკვდილის ჰუსარები“** იყვნენ. ისინი დაღუპვისაკენ ისწრაფვოდნენ, მაგრამ სასიკვდილოდ თავი მაინც არ ემეტებოდათ. მხოლოდ გალაკტიონმა აღასრულა თავისი საფიცარი პოეტების ტრაგიკული ანდერძი.

თვითმკვლელობა იყო უკანასკნელი დიდი გაკვეთილი, რომელიც მან შთამომავლობას დაუტოვა - **„თუ სამშობლო მაინც არ მომეფეროს, მე მოვკვდები, როგორც პოეტს შეჰფერის“...**

იგი დაიღუპა ისე, როგორც შეშვენოდა ვერლენისა და ბლოკის თანასწორ პოეტს - მარადისობის პალადინს.

გაზ. „XXI საუკუნე“, 1999 წელი
8-14 დეკემბერი

ლოინი - საბრძოლო აქლემი

ძველ დროში ცხენი, აქლემი და სპილო იყო როგორც გადაადგილების, ისე სისხლიან შეტაკებათა გადამწყვეტი ძალა.

უდაბნოს ბინადარმა ტომებმა მოაშინაურეს ისინი.

შემდეგ მხოლოდ ცხენი შემორჩა კაცობრიობის ისტორიას.

აცტეკებს თავზარს სცემდათ კორტესის ცხენოსანი მეომრები - მათ კაცი და ცხენი ერთი არსება ეგონათ.

ისინი ცხენს არ იცნობდენ.

მანამდე, თვრამეტი საუკუნით ადრე, ალექსანდრე მაკედონელმა თავისი ბუცეფალით გადმოვლო ხმელთაშუაზღვა, გადაიარა მრავალი ქვეყანა და ინდოეთამდე მიაგდო იგი.

როცა ჰანიბალმა ალპები გადალახა და ზეციდან დაემუქრა რომს, თან ახლდა ორმოცი საბრძოლო სპილო.

თავად ამხედრებული იყო საომარ სპილო სიროსზე.

სვანეთში გადახვეწილ **კონსტანტინე გამსახურდიას თარაშ ემხვარს** კი არც სპილო ჰყავს, არც შავი რაში და არც ლურჯა ცხენი. მხოლოდ გარდასულ წელთა მოგონებით ცოცხლობს, შორეულ დროში განტოტვილ რწმენის ფესვებს ეძიებს. მაგრამ ოცნებაც დაზრობია, სისხლი შემდგარა და დაობებულა, ის სისხლი, კონსტანტინე სავარსამიძეს რომ აცოფებდა.

ახალმა დრომ ყველა იმედი მოუსპო და გაუნელებელი კაეშანის ამარა დასტოვა.

ყინულოვანი, ცადაწვდილი სვანეთი პატრიარქალობის ნაკრძალია. ენგურზე, თითქოს სტიქსის წყალზე, გადასულა და სულთა საუფლოს ბინადარი გამხდარა ვარდანიძე-ემხვარების უკანასკნელი ნაშიერი.

თარაშის საყვარელი ღმერთი ხომ პერსეფონეა - ქვესკნელის დედოფალი.

ქორა მახვში ბიბლიურ პატრიარქს აგონებს, მწვერვალი - სატანას, მთები - ურჩხულებს. გველი ისევ ოჯახის მფარველად მიაჩნია, ნადირობს როგორც ტოტემისა და ტაბუს ჟამის წინაპარი, თავს აფარებს „დევის ქვაბს“, ახარებს ორწოხებში მომწყვდეული მიუსაფარი მგლის ყმუილი, ავტორი „ძმას“ რომ ეძახის. „პირამიდის მსგავსი“, „ძერასფერი ქვა“ კი თავად ეგულება ძმობილად.

როცა ჭიუხებიდან ღამე დაეშვება, ეს ლოდი ორკუზიან აქლემად გადაიქცევა, საომარი ლოინად, რომელსაც მოჰყვებოდა თარაშ ემსხვარის სული სამი ათასი წლის წინათ ქარდუს ქვეყნიდან.

თარაშის ლოინი იგივე ჰანიბალის სიროსი და მაკედონელის ბუცეფა-

ლია, პეგასის მსგავსი.

ამ ლოინზე ამხედრებულმა გადმოლახა შუამდინარეთი, უდაბნოები და სტეპები, ზათქითა და ყიჟინით წინ წარუძღვა ცხენოსან ხალხს ჩრდილოეთისაკენ, მახვილით კვეთდნენ მტერსა და სიბნელეს.

ასე გავარდა დემნა შენგელაიას სნეული ბონდო ჭილაძის წინაპრის თეთრი ცხენიც შუამდინარეთიდან კავკასისაკენ.

აქ შეჩერდა ძერასფერი ლოინი.

ასე ხმლით ჰპოვეს ახალი სამშობლო, როგორც ამტკიცებდნენ ნიკო მარი და ივანე ჯავახიშვილი.

ეს რწმენა სდევდათ გრიგოლ რობაქიძესა და კონსტანტინე გამსახურდიას, ტიციან ტაბიძესა და დემნა შენგელაიას, ლეო ქიაჩელსა და მიხეილ ჯავახიშვილს, მათ სტრიქონებსა და პერსონაჟებს.

მაგრამ წინ დაზვინულან „მარმარის ქალაქები“.

ისინი არა მხოლოდ გზას კეტავენ, არამედ - ოცნებასაც აზრობენ.

თარაში მოუწოდებს ძერასფერ ძმობილს, რომ აღდგეს ლოინი, ძილი დათრგუნოს, გზა განაგრძოს და ეკვეთონ „თეთრ ქალაქებს“.

„თეთრი“ და „მარმარის“ ქალაქები აქ ისევეა რუსეთის სიმბოლიკა, როგორც „მარმარილოს ტახტზე“ მჯდარი პირსისხლიანი სლანსკი „დიონისოს ღიმილში“, როგორც ბასილი ბულგართმმუსვრელი - „დიდოსტატის მარჯვენაში“, როგორც ყაზახები - „ხოგაის მინდიაში“.

მაგრამ ამ გმირული ოდისეის შემდეგ მრავალი თაობა ჩასულა ჰადესში, ლოინი ლოდად ქცეულა, როგორც შვილებდახოცილი ნიობე. თარაშ ემხვარს კი ჭაღარა მორევია, სამი ათასი წლის ჭაღარა და ულმობელ ბედისწერას წუთიერად თუ აუმბოხდება.

დამჯდარა კერიასთან ეს „გლახაკი ქრისტესმიერი“ და მხოლოდ ნაცარტუტაში მარჩიელობს.

თარაში ხომ დამარცხებული ნაციონალისტია, კოლხური ფეტიშიზმის მკვლევარი, 1921 წელს მამასთან ერთად უცხოეთში განდევნილი, რომელსაც ბოლშევიზმის წითელი ნიღბით მოსულმა თეთრმა რუსეთმა წაართვა სამშობლო, სატრფო, ძუძუმტე, აწმყო და მომავალი.

ეს არის თარაშ ემხვარის უმოქმედო, დეპრესიული სულის გოდება.

მას მხოლოდ ის შეუძლია, ამ ლოდის ფერხთით დაჯდეს და დაწეწილი სული დაიწყნაროს.

გაქვავებული ლოინი კი მხედარს ელის და თარაშ ემხვარს ისე ცივად შემოჰყურებს, „როგორც სიკვდილი“...

22 დეკემბერი, 2008.

„მე - თანამგზავრი მკვდარი ფოთლების“

ქართული პოეზია თითქოს ელოდა ასეთი სალოსის გამოჩენას, მაგრამ ბედის ირონიით იგი სწორედ მაშინ უნდა მოსულიყო, როცა მისთვის ადგილი აღარ იქნებოდა.

მძლავრი სოციალური მიმოქცევის ჟამს **ტერენტი გრანელის** მწუხარე, უსაზღვრო სევდითა და კაეშნით აღსავსე ლექსები მოჰგავდა გრიგალში მოფარფატე ატმის ყვავილებს.

ტერენტი გრანელი ფედერალისტი იყო, ფედერალისტების პრესაში თანამშრომლობდა წალენჯიხელის ფსევდონიმით, მაგრამ არც პოლიტიკას გაჰყოლია, არც პუბლიცისტიკას.

იგი ადრევე გაიტაცეს პოეზიის ბნელმა ქარებმა.

ხომ იყო დიდი პესიმისტი დავით გურამიშვილი, „მჭლე კაცთან“ მოდავე და უფლის მადიდებელი. მაგრამ მის მძიმე განწყობილებას ასხივებდა ქრისტიანული ღმერთისადმი რწმენა. ხოლო ტერენტი ის პოეტია, რომელმაც დაკარგა ღმერთიც, სამშობლოც, კაციც და საფლავების ლოდებს შერჩა.

იგი იყო დამარცხებული საქართველოს გლოვის მუსიკა, სამარიდან ამოსული აჩრდილი, სისხლიანი სულით ცისკენ მაცქერალი, ყველაზე დაწყევლილი დეკადენტი ჩვენს მწერლობაში, არა მხოლოდ ლექსებით, ცხოვრების წესითაც.

თვითმკვლელობაზე ფიქრი ბევრთათვის ლამაზი არტისტული ჟესტი იყო, ხოლო ტერენტი თავად იჩქაროდა სიკვდილისაკენ.

ასეთი განწყობილებითაა შთაგონებული მთელი მისი ლირიკა, სადაც იშვიათად გვხვდება მიწიერი სიცოცხლის მაუწყებელი სიტყვები - სული ელტვის ზეციურს, არამატერიალურს, რომელიც ქარსა და მუსიკაში განხორციელდა.

იგი იყო **„ღრუბლების პრინცი“**, მაგრამ ბედის განაჩენით მიწაზე ცხოვრობდა, როგორც სნეული მაწანწალა.

სევდით დაბინდული მზერა ქვეყანას მხოლოდ სამ ფერად ხედავდა - შავად, თეთრად და ცისფრად.

ცისკენ მაცქერალს არ შეუნიშნავს ცისარტყელის შვიდი ფერი, რადგან სამყარო მის ფიქრებში იყო დანთქმული.

სასოწარკვეთილი კაცის ხმა მოგვესმის ამ სტრიქონებიდან: „ჩემი სახე რომ ყვითლდება, ვხედავ, შორეული ყვავილებიც ხმებიან, სამარისკენ აცილებენ ცხედარს და მუსიკის მგლოვიარე ხმებია“, „რანაირი ნაწამები მივალ, მიმაქვს ჩემი დაკრეფილი ხელები“, „მშვიდობით, ჩემო ახალგაზრდებო, მე სამუდამოდ გემშვიდობებით“...

ტერენტი გრანელის პესიმიზმს მრავალი წყარო კვებავდა - ნერვიული ფსიქიკა, ბიოგრაფია, არეული დრო, მაგრამ მოხდა ისე, რომ ასეთივე განწყობილება სუფევდა დეკადენტებისა და მოდერნისტების ნაწერებში.

სამეგრელოს ნისლებიდან, ჭაობებიდან, ლაქაშებიდან წამოსულ ჭაბუკს, მალარიითა და ციებით დასუსტებულ მის ნერვებს ახალი პოეზიის ბნელი გრიგალი ეკვეთა.

გალაკტიონი, შემოდგომისა და დაღლილობის პოეტი, უეჭველად იყო გრანელისათვის ლექსის მეტრი, რომელმაც იგი თავის ფარვატერში მოაქცია. მაგრამ ტერენტი გაჰყვა ელვით განათებულ ბილიკს უფსკრულისაკენ, სადაც გადაჩეხვა ზეცისკენ გაფრენად წარმოედგინა.

„Заплакать - одно мне осталось“,

გულმოკლული იმეორებდა ბლოკის სტრიქონებს.

ამ კაცს, ვინც ზამთარში პერანგით დადიოდა, ზაფხულში კი პალტოთი, ჰქონდა ლექსისა და სიტყვის საოცარი გრძნობა, რომელსაც ვერ შეგძენს ვერცერთი აკადემია.

ამიტომ წერდა ასეთი სითამამით:

„და სასიკვდილო თეთრი ცრემლიდან
მე ვიხედები, როგორც იესო“.

სიმბოლისტი იყო და ღამე აშინებდა.

ცისფერ შორეთს ეტრფოდა და ტალახში ეცემოდა.

ოცნებაში მთელ სამყაროს ფლობდა და კიბისქვეშ კვდებოდა, როგორც ფიროსმანი.

არ ჰქონდა ფული, სამსახური, ტანსაცმელი, არ ჰყავდა არც ცოლი, არც სატრფო, ლექსების გარდა არაფერი გააჩნდა.

დადიოდა თბილისის ქუჩებსა და სასაფლაოებზე, როგორც დამსხვრეული საქართველოს შეშლილი ძეგლი.

შიმშილითა და სიცივით გაწამებულს ეჩვენებოდა, რომ თავში გველი ჰყავდა და რომ მამამისი ნიცშე იყო.

იცხოვრა და მოკვდა ისე, როგორც ვალერიან გაფრინდაშვილის „ბოჰემის მონოლოგის“ პერსონაჟი.

თითქოს მასზე ეთქვას გალაკტიონს:

„მჯერა მე შენი ძმობა,
შენი შეშლილი ფერი“.

... ოცდახუთი წლის დავიწყების შემდეგ გაიხსენეს და გადაფურცლეს ბოლშევიკური ტანკით გასრესილი მისი მგლოვიარე ლექსები.

„100 მწერლის გაზეთი“, 2.001, №3

„ელადის ყვავილები“

პოეტები არ იგონებენ თავიანთ სამყაროს. ისინი ახდენენ ფსიქიკის გასაგნებას, ელტვიან შინაგან მიდრეკილებათა სურათებად ამოფენას. ცხოვრების ცოდნა, სიტყვასთან ერთად, თითქოს მემკვიდრეობით გადმოეცემათ, რომელიც უეცრად ან თანდათან იშიფრება. ამიტომ წერს სრულიად ახალგაზრდა ლირიკოსი საოცარ ლექსებს, როცა ქვეყნად არაფერი უნახავს.

იოსებ ნონეშვილის მრავალი საუკეთესო ლექსიც სწორედ სიჭაბუკეში შეიქმნა. მათში ამეტყველდა მშობლიურ სიტყვაში მოქცეული ხმები და ფერადები. მისი პოეზია ენასთან მუსიკალური მიმართების გამჟღავნებაა. იოსებ ნონეშვილისათვის საგანი ჟღერადობით, ხმიერებით შეიგრძნობა. იგი სმენის პოეტია, ხმების მხატვარი. ბგერითი ასოციაციებით წარმოსახვაში წამიერად აღდგება გადამქრალი თუ ყოველდღიური შთაბეჭდილებანი.

მუსიკალური განწყობილების პოეტისათვის რითმა არის არა მხოლოდ ატრიბუტი, არამედ ლექსის აზრობრივი საყრდენიც. ამიტომ იოსებ ნონეშვილისათვისაც რითმა არაცნობიერის გამონათებაა, იმის უეცარი პოვნაა, რასაც ჩვეულებრივ აზრი ვერ სწვდება. ის უხილავ ასოციაციათა შეტოლებით აღადგენს ინტელექტის მიერ დარღვეულ საგანთა კავშირს. მუსიკალური ლექსები შეიძლება ზოგჯერ ზედმეტად სადა მოგვეჩვენოს, იოლად დაწერილი გვეგონოს, მაგრამ მათი მელოდიურობა შეესაბამება ადამიანის ემოციის ცვალებადობას და ფარულად იმორჩილებს მას (**„მოველ, შენთან მოველი, განა რამეს მოველი, სიყვარულის ზღაპარო?! მინდა თვალებმზიანი, გულის თანაზიარი, ბედის ვარსკვლავს გადარო“**).

მუსიკალური ნიჭი პიროვნების თანდაყოლილი თვისებაა და ის თითქოს არაფრისაგან სილამაზეს ქმნის. ამავე დროს პოეტის არსებაში ჩნდება გამოხატვის აზრობრივი საწყისიც, რომელიც მოვლენის არსის ძიება და განცდაა.

აზრად ქცეული მუსიკა წარმართავს იოსებ ნონეშვილის საუკეთესო ლექსებს - **„მე ქაშუეთის ჩუქურთმას ვჭრიდი“, „შენ საქართველოს დედოფლობა დაგშვენდებოდა“, „აი, კახეთი“,** რომლებიც გვიმტკიცებენ, რომ პოეტი არის მგოსანი. ეს პოზიცია თანამედროვეთათვის პოლემიკურად ჟღერს, რომელთაც მიიღეს მუსიკალური კონსტრუქციები, მაგრამ მელოდიურობა უარყვეს.

იოსებ ნონეშვილის ლირიკა პოეტის პიროვნების ძიება და დადგენაა. ფსიქიკის სიღრმეში წარმოქმნილი ქაოსი გადადის მუსიკალურ

სტრიქონებად, რომლებიც ამხსნელია ადამიანის სულიერი მღელვარებისა. ეს მუდმივი შფოთი და ღელვა აცოცხლებს პოეზიას, ხოლო მასას ახალ ჟრუანტელად გადაედება. მკითხველი ლექსში ეძებს არა ფილიგრანულ ტექნიკას, არამედ ადამიანს, რომელსაც ავტორი ჰქვია. ყოველი ხერხი საჭიროა იმდენად, რამდენადაც მიგვაახლოებს სულის იმ შრეს, რომელიც ყველასათვის ძვირფასია, მახლობელი და ნათესაური.

ამიტომ არის მომხიბვლელი იისფერ ღრუბლებში გახვეული კახეთის მოგონება, ვერცხლისფერი გომბორის მთა, ფარშავანგის ბოლოსავით გაშლილი ქართული ზეცა, მუზარადივით გატეხილი ყვითელი მთვარე, როგორც ყრმობის ზმანებათა სიტყვაში გაცხადება.

ამ სამყაროს სიზმრის მსუბუქი ფრთები არწევს და მოგონების ნისლი ფარავს.

მაგრამ პოეტის გულში იღვიძებს არსებობის ძლიერი განცდა, ყოფიერების ენერგია - სიყვარული. ითხზვება მელოდიური, ამღერებული და ნათელი ლექსები. მისი სატრფიალო ლირიკის ადრესატი კონკრეტული პიროვნებაა, რომელიც ხან დედოფალს ემგვანება, ხანაც უბრალოა, როგორც ფრთაფარფატა თოლია. ის თან სდევს მგოსნის ოცნებას, თუნდაც ცხრამთას გადაღმა იმყოფებოდეს. ამიტომ მოუხმობს ბესიკის ლანდს, რათა იხსნას „ხელი მიჯნური“.

სიყვარული აცოცხლებდა პოეტის პირველ ნედლ სტრიქონებს და ბოლო წლების ლირიკასაც ცისფერი სიშორის დარდი გაერია: **„ცხოვრების გზაზე რად შემხვდი გვიან, გულზე სახმილი რად შემომიგზენ, რა მშვენიერი სახელი გქვია, რა სევდიანი თვალებით მიმზერ“...**

მაგრამ ყოველი დეტალი, მოგონება, დითირამბი თუ სატრფიალო მოტივი სათავეს იღებს მშობლიური მიწიდან და კვლავ სამშობლოს მიემართება. იოსებ ნონეშვილის ლირიკა ქართველი კაცის სიხარულის, წუხილისა და იმედის სხივითაა განათებული. შორეულ ცისქვეშაც მგოსანი ქართლოსიანთა ნაფეხურებს დაეძებს - ეს იქნება ყაზახეთის ყამირი, ვენის ტყე, აფრიკის უდაბნოები, იტალიის მიწა თუ დადუმებული ტბეთი, დაღონებული შატბერდი. უცხო მიწაზე ქართველთა ნაფეხურები სისხლით არის ამოჭრილი, მაგრამ სულ სხვაა სევდა თურქეთის ქართველებზე. ეს არის გოდებაც იმ მიწაზე, რომელსაც თურქული ჩადრის ღამე გადაეფარა.

პოეტის ოდისეა შეჯამებულია ლექსში - **„ბევრი იარა თუ ცოტა იარა“**.

„გვიყვარდეს საქართველო!.. გვიყვარდეს საქართველო!.. გვიყვარდეს საქართველო სიცოცხლეზე მეტად!“ - ასეთია იოსებ ნონეშვილი - პოეტი-მიჯნური, პოეტი-მოგზაური, პოეტი-კომუნისტი; ასეთია მისი ლირიკის მოდელი, იდეათა და ემოციათა პირველსაწყისი. მაგრამ იოსებ ნონეშვილის პოეზია არა მხოლოდ ავტობიოგრაფიუ-

ლია, პიროვნული „მეს“ უსასრულო ვარიაციაა, არამედ - შერწყმულია მოქალაქეობრივ თემატიკასთან.

თვით მგოსნის ბუნებისათვის საზოგადოებრივი მოვლენები, ომის სურათები თუ ყამირის ეპოპეა, ენგურჰესის რომანტიკა თუ შორეული ბამის მშენებლობა ქცეულია ბიოგრაფიის განუყრელ ნაწილად. ურიცხვი შთაბეჭდილება, განცდილი და ნანახი, ილექება ცნობიერების ფსკერზე და თითქოს დავიწყებას ეძლევა. მაგრამ აჟღერდება მუსიკალური სახე და მეხსიერების გადავიწყებული ფენებიდან ამოიჭრება გარდავლილ დღეთა ფრაგმენტები. საზოგადოებრივ პათეტიკას ეძებნება მშობლიური, ინტიმური საწყისი, რითაც მკითხველის სულის ბინადარი ხდება აღმშენებლობის, სწრაფვის, ბრძოლის იდეები.

ასე შეითხზა **„ბიჭო, იქნებ პაპა იყო შენი“** - მამაცი ქართველი ყამირელებისადმი მიძღვნილი ლექსი. რადგან იოსებ ნონეშვილმა არა მხოლოდ თავისი ფსიქიკა, არამედ ბიოგრაფიაც აქცია პოეზიის წყაროდ, ლირიკის სფეროში შემოიტანა ის, რაც თითქოს არც არის პოეტური. მაგრამ ზოგად იდეებს მოუძებნა მიწიერი საყრდენი, დააკავშირა ადამიანის სულის მიმოქცევასთან და სიცოცხლე მიანიჭა.

ამიტომ სდევს ჩვენს გულისთქმას სხარტი სტრიქონები: **„მასწავლებელი ზოგჯერ უშვილო, მაგრამ ათასი ბავშვის მშობელი“, „ჩვენ სიჭაბუკის ჩაფხუტი გვხურავს, ტანზე გვაცვია მისი ბეგთარი“, „თუ საქართველო არის ედემი, შენ მის ბულბულად ღმერთმა დაგბადა“.**

იოსებ ნონეშვილმა თავისი პიროვნული „მე“ დაუკავშირა საზოგადოებრივ მოვლენებს. მართალია, ეს ასახვაა და არა ფსიქიკის საგნობრივი წარმოდგენა, მაგრამ ამ ხერხითაც შექმნა მღელვარე და ემოციური ლექსები.

იოსებ ნონეშვილის ლირიკა განცდებისა და გრძნობების ამეტყველებაა. ის ფიქრის ენით ნაკლებ გვესაუბრება. ალბათ გამონაკლისია მართალი და გულწრფელი მონოლოგი **„შორეულ გზებზე“**. მისი ლექსები თითქოს ექსპრომტული სისწრაფით არის შეთხზული. ასეთი პოეტები ჭვრეტისა და მშვიდი განსჯისათვის არ გაჩენილან. ისინი მუდმივ მოძრაობაში ჰპოვებენ სიცოცხლის ხალისს, თვით ცხოვრების მჩქეფარება გადააქვთ სტრიქონებად.

იოსებ ნონეშვილის საუკეთესო ლექსები ახალგაზრდობის წლებში დაიწერა. მაგრამ სიჭაბუკე დროდადრო ისევ მეორდება, ისევ ამოხეთქავს ფსიქიკის შრეში ჩაჭდეული ყოფიერების ძალა. პოეზია როდია მუდმივი აღმასვლა. წამიერ ამაღლებას მოსდევს ხანგრძლივი ლოდინი და შესვენება, მაგრამ კვლავ იმძლავრებს სიცოცხლის ნება და ახლად დგება მისტერიული გარდასახვის ჟამი.

სულ ახლახანს გამოქვეყნდა პოეტის ლექსების ციკლი

„ელადის ყვავილები“, რომელიც შთაგონებულია საბერძნეთში მოგზაურობით. მას უნდა დაემატოს ის რამდენიმე ლექსიც, რომლებშიც კვლავ გაიბრწყინა ახალგაზრდულმა განწყობილებამ:

„ერთხელ ასე, გაივლი
და ბაღიდან, უცებ
ტყემლის თეთრი ყვავილი
მოგენთება გულზე.
ფიქრობ, როდის იფეთქა,
გუშინ არცკი ჩანდა...
თეთრად შემომეფეთა,
გულში შუქად ჩადგა“.

პოეტი დააბიჯებს ელადის მიწაზე. თვალს ელანდება მედეა და არგონავტები, პრომეთე და აქილევსი. კორინთოს ძველ ბურჯებს ესხურება წვიმად დაძრული კოლხი ქალის ცრემლები და პოეტი ფიქრობს **„სამაგიეროს გადახდაზე“.** მოძებნილია ის დაწყვეტილი ძაფები, რომლებიც აერთებდა კოლხურ სამყაროს ჰომეროსის სამშობლოსთან.

არიან პოეტები, რომლებიც მუდმივად ეძიებენ, შფოთავენ და იცვლიან სულის ნიღბებს. მათ ეეჭვებათ შექმნილი და კვლავ მეტისაკენ მიისწრაფვიან, რაც გვაძლევს უსასრულო მეტამორფოზებს, ახალ სტილურ მოსაქცევს. იოსებ ნონეშვილისთვის ამგვარი სახეცვლა უცხოა. ის დარჩა ერთგული იმ სტილისა, რომლითაც ადრევე გამომჟღავნდა მისი პიროვნება.

მგოსანი თითქოს მოგზაურობს ერთხელ დადგენილი სივრცის რკალში და არა მის მიღმა. პირველი და ბოლო ლექსებიც კი რომ ერთმანეთს შევუდაროთ, ვერ ვიპოვით მკვეთრ განსხვავებას. პოეტი ავსებს, ამკვეთრებს, აძლიერებს ერთხელ ნაპოვნ თავის ხმას, ინტონაციას, მეტყველების სახეს. ამიტომ არის მისი პოეზია ერთი მთლიანი სტრუქტურისა, ხოლო ამ ერთიანობის შიგნით მონაცვლეობს ნაირფერი იდეა, მოტივი, განცდათა გამა.

იოსებ ნონეშვილის პოეზიას არ სჭირდება დითირამბები. მისი საუკეთესო დითირამბი ის არის, რომ ხალხმა მიიღო და შეიყვარა იგი, მიაღწია სახალხო აღიარებას.

„ახალგაზრდა კომუნისტი“, 1978, 18 ნოემბერი

სიტყვათა სარკე

(მორის ფოცხიშვილი, სარკე სარკეში, 1979, წინასიტყვა)

ლექსები, რომელთაც მკითხველი ახლა გაეცნობა, ერთიანი მსოფლგანცდის ცალკეული ფრაგმენტები და დეტალებია. ყოველ

მათგანს დამოუკიდებელი მნიშვნელობა გააჩნია, ცხოვრებისეულ აზრს გამოხატავს, მაგრამ ახალ სიცოცხლეს წარმოქმნის მათი გამთლიანება და პოლიფონიური აჟღერება. მთავარი გმირის - ავტორის სახე ნაწილდება უთვალავ ვარიაციად. ერთი ლექსი მეორეს ავსებს, თხზავს ზიარ განწყობილებას და სიტყვის შრეებში გამოიტანს მღელვარე სულის კარდიოგრამას. მასში ჩაწერილია პიროვნული ვნებები, მიდრეკილებანი და ოცნებანი.

პოეტი თავისი თავის გაშიფვრით ესწრაფვის თანამედროვე დღეების პულსის მოსმენას. ის ერთი იმათგანია, ვინც დგას ტრიბუნასთან, ხარაჩოსთან, დაზგასთან. ამიტომ ასეთი პიროვნების ფიქრი და ღელვა ეთანაბრება საყოველთაო განწყობილების ტონუსს.

ხოლო კონკრეტულად ახალი ციკლი ინტელიგენტის განცდებსა და ნააზრევს ავლენს. იგი, ისევე როგორც **მორის ფოცხიშვილის** მთელი ლირიკა, მოქალაქეობრივ მიმართებათა გამჟღავნება და დადგენაა. პოეტისთვის უმთავრესია ხილული საგნები, დღევანდელობის სუნთქვა, ნაცნობი და მახლობელი გარემო. მისი ლირიკული და პაროდიული განწყობილებანი უცხოობს ისტორიის ჰეროიკას, მითოსურ ლანდებს, სოფლურ პრიმიტივს. სამყაროს კონტურები კი მოხაზულია ურბანული ცხოვრებიდან ასხლეტილი ფერებითა და რიტმებით, ფიქრის დინამიკა უმნიშვნელო წვრილმანებიდან მაღლდება „სიკვდილ-სიცოცხლის საზარელ ომამდე“.

არსებობის ფასი, ყოფიერების დრამატიზმი, სიცოცხლის იდეა მრავალი ლექსის ფარული ბიძგია, რომლითაც დაძრულ ტალღებს მოაქვთ შფოთვისა და ბრძოლის ექო. სევდა, რომელიც ახლავს ცალკეულ სტრიქონებს, მოგვრილია ადამიანური ხვედრის განსჯით. მაგრამ უნაპირო სიმძიმილი კი არ გადმოგვედება, არამედ გვინერგავს მოქმედების ჟინსა და სურვილს, რადგან **„სიკვდილი ერთადერთი მოკრივეა, რომელიც რინგზე ლაჩრობას და აპატიას არ გაპატიებს“.**

ეს ლექსები გვიმჟღავნებენ პოეტის სულის ახალ თვისებას: ცხოვრებისა და პიროვნების ცვალებადობა მუდამ განსხვავებულ რიტმებს ჰბადებს. ყოველ ასაკს მოჰყვება უჩინარი და უჩვეულო სიახლენი. ამჯერად ფაქტის მუსიკალურ აჟღერებას ცვლის შეცნობა, განსჯა, ფიქრი. ცხოვრებისეული დეტალებიდან გამოტანილია ემოციური მრწამსი, როგორც საგნის ახალი განზომილება. წარმოსახვაში იშლება და ირევა ფერები, ჰანგები, აზრები. ვინც გაეცნობა ამ ახალ ლექსებს, ირწმუნებს, რომ მორის ფოცხიშვილის სტილი საგრძნობლად შეიცვალა. მან შემოგვთავაზა პოეტური ციკლი, რომელიც ჰგავს და კიდეც არა ჰგავს ჩვენთვის ნაცნობ გარემოს. ეს მეტამორფოზა წლების მანძილზე მზადდებოდა და უკვე მიაღწია დასრულებულ ფორმას.

პოეტის ძიება ეხმიანება სალექსო ფორმათა ფერისცვალების საერთო პროცესს. მისთვის სტროფი, რითმა თუ მეტრი არის არა ლექსის კანონიკური, ერთხელ დადგენილი და განსაზღვრული ატრიბუტები, არამედ მარად ცვალებადი ელემენტები. ამიტომ იგრძნობა ესოდენი სივრცე და სინათლე ლექსების ამ პატარა კრებულში. ეს ქაოსური მრავალგვარობა თვით სინამდვილის ფერთა უსასრულობის გამოვლენაა.

არა ერთი ხაზის ჰეგემონია, არამედ აზრობრივ-სტილური პოლიფონია - ასეთია პოეტის დევიზი, რადგან ილუზიური ქაოსის შექმნა, ამავე დროს, ეხმიანება პირველთხზვას, როცა სიტყვისქმნადობას განსაზღვრავდა თანშობილი, არაცნობიერის არსში ჩაბუდებული ჰარმონია.

ამიტომ მორიგეობს ვერლიბრი, ვერბლანი, სიმეტრიადარღვეული კლასიკური ლექსი, ირონია და პაროდია, გრაფიკული სტრიქონები, მხოლოდშთენილი ტაეპები. ტრადიციასთან მიმართებით ეს ლექსები ანტილექსებია.

მორის ფოცხიშვილი იმ პოეტთა მცირე ჯგუფს ეკუთვნის, რომელიც ცვლის ჩვენს წარმოდგენას და ახალ პერსპექტივას გვაგრძნობინებს.

ამ წიგნის ფურცლები დატვირთულია პოეტური პარადოქსებით. ისინი ავტორის სპეციფიკური თვალთახედვისა და მსჯელობის ტვიფარს ატარებენ, ამასთან ერთად - მთელი პროცესის გარკვეულ ტენდენციას უერთდებიან:

საქართველოს მომავალი
მისივე წარსულისა და აწმყოს
ნამრავლის ტოლია!
წარსული მოცემულია,
აწმყო მოსაძებნია,
მომავალი მოსაპოვებელია!
პასუხი იპოვეთ საკუთარ გულში,
თუკი ამ გულში ის სისხლი ჩქეფს,
ბარიკადებზე რომ იღვრება
ბიბლიური დროიდან დღემდე

(„მამაშვილური თეორემა და ისტორიული გზა მისი დამტკიცებისა“).

„ნადირობა“, „ხელოვნება“, „ლაზიერის გამბიტი“, „ოჩიაურის ნაჩუქარი ლომები“, „ხელისგული“, „ნოეს კიდობანი“, „წიქარა“, „მე ის პატარა ნაკადული ვარ“, „ვინც ამ გოგოს გააცინებს“, „გახსენება“, „კოსმიური უღლება“, „მთვარეულის სონატა“ - აი, მორის ფოცხიშვილის ის ლექსები, რომლებიც განსაკუთრებული სიყვარულით მიიღო ხალხმა.

სრულიად პირობითად შეიძლება ისინი ორ ნაწილად გავყოთ: ერთი უაღრესად მელოდიურია, სიმღერასთან მიახლოებული, მეორე - შეცნობისა და განსჯის ნაყოფია, მასალის ჭვრეტითა და დაკვირვებით მიღებული.

ეს თვალსაზრისი შესაძლოა გავრცელდეს მორის ფოცხიშვილის მთელს პოეზიაზე.

მორის ფოცხიშვილი მრავალი სასიმღერო ტექსტისა და გრაფიკული თუ ფერწერული სურათის ავტორია. პოეტის დაუცხრომელი, მაძიებელი ბუნება არღვევს ენობრივ გარსს და წმინდა ბგერებად და ფერებად იჭრება სივრცეში. მისი ესოდენ მრავალმხრივი შემოქმედებითი პროფილი უნდა გავითვალისწინოთ, როცა ვკითხულობთ ლექსების ახალ კრებულს, რადგან იგი ავტორის სულიერი ბიოგრაფიის მხოლოდ ერთი ნაწილია.

მაგრამ ახალ სპექტრში წარმოგვიდგენს იმ მოტივებსა და განცდებს, რომლებიც წლების მანძილზე მთავარ ნერვად გასდევდა პოეტის ლირიკას.

ამ სიტყვათა სარკიდან შემოგვყურებს ფიქრით და ოცნებით დაღლილი კაცის სახე. მან გვაჩუქა თავისი სიხარული, გაგვანდო სევდა და კაეშანი, და ახლა მისი ოდნავ მოჭუტული, ირონიანარევი სიყვარულით სავსე თვალები თითქოს უხმოდ მეტყველებენ:

„ჩემს უკანასკნელ ლექსს,
ვით უკანასკნელ ტყვიას,
ჩემთვის ვიტოვებ მე“!

მუხის საკარცხული

როცა ვახსენებთ **ლადო ავალიანის** სახელს, პირველ რიგში გვაგონდება რომანი - ეპოპეა **„ახალი ჰორიზონტი“**, ვრცელი წიგნი, მიძღვნილი საქართველოს მუშათა კლასისადმი. რომანის ძირითადი სამოქმედო დროა ომის წლები, ადგილი - მეშახტეთა ქალაქი. მწერალი, რომელიც წლების მანძილზე სწავლობდა ფერწერას, ქანდაკებას, ლიტერატურას და თითქოს ესთეტური გარემო უფრო აღელვებდა, ვიდრე მძაფრი სინამდვილე, ამ წიგნით ერთბაშად აღმოჩნდა მოვლენების შუაგულში, თავი მიანება ისტორიული და ეთნოლოგიური მასალის პოეტიზებას და ჩვენი ეპოქის მამოძრავებელ ძალას - მუშათა კლასს მიაპყრო თვალი.

ამ წიგნზე მწერალი დიდხანს მუშაობდა, თითქმის მთელი ოცი წელი. მან არც თავის პროფესიულ ინტერესებს უღალატა და მეშახტეებთან (ნიკო არაბიძე, თამარელა) ერთად გამოიყვანა ჭაბუკი შატბია არაბიძე, ინსტინქტური ხელოვანი. ამ ფაქტს სიმბოლური აზრიც გააჩნია. შატბია ხომ მეშახტის ოჯახში დაიბადა, სპეციალური განათლება არ მიუღია, მაგრამ მაინც უნიჭიერესი მოქანდაკის სახელი მოიხვეჭა, ე. ი. მუშათა

კლასი თავისი წიაღიდან წარმოშობს ხალას ტალანტებს. იგი, ისევე როგორც მარჩენალი მშობლიური მიწა, ურიცხვი დაფარული საგანძურის მფლობელია, რომელსაც სჭირდება პოვნა და მიგნება.

საერთოდ მწერალს ყოველთვის აინტერესებდა ხელოვნების მიმართება სინამდვილისადმი და ამ პრობლემას არაერთხელ მიუბრუნდა, გვიჩვენა სხვადასხვა ეპოქის ფონზე (**„სულოაგას ქუდი“, „შველი გადაჭრილ ხესთან“, „ყარიბი მგოსანი“, „კორდელია“**). არაა შემთხვევითი, რომ მისი პროზის გმირები არიან სულოაგა, გუდიაშვილი, ბარათაშვილი, ფიროსმანი. მწერალს ნაკლებად გამოჰყავს გამოგონილი პერსონაჟები, იგი უფრო მიმართავს ცნობილ სახელებს, წერს კონკრეტული ხელოვანის ბედზე. ამდენად თავის ნაწერს აძლევს არა პრობლემურ, არამედ - ისტორიულ განხრას. მაგრამ მასალის დამუშავებას, გააზრებას, ჩვენებას თავისთავად მოსდევს მარად მტკივნეული კითხვებიც.

გავიხსენოთ **„შველი გადაჭრილ ხესთან“**, ფიროსმანის ცხოვრების ერთი ეპიზოდის ამსახველი ნოველა, მაგრამ ეს ერთი ეპიზოდი იტევს ამ დიდი ხელოვანის გაწვალებული ცხოვრების მთელ დრამას. აი ღამეული ქალაქის ქუჩებში მიაბიჯებს მაღალი, გამხდარი, ბეჭებში შესამჩნევად მოხრილი ნიკო. მიდის ჭრაქუას ტრაქტირში, რათა ქვასავით მაგარ ნარზე სხვების გვერდით დაწვეს და ეგებ თვალი მოატყუოს. მაგრამ მწერალს უფრო აინტერესებს ფიროსმანის შემოქმედებითი ბუნება, ის სტიმული, იმპულსი, რომელიც სურათს აწერინებს. მთელი ნოველა ამ ამოცანის ამოხსნაა. ხოლო ყოველივე დანარჩენი თითქოს თავისთავად ითხზვება. მაგრამ ეს ერთის შეხედვით, არსებითად მწერალი ზუსტად აღადგენს ჰიბრიდული ქალაქის სურათს, კოლორიტს იმ გარემოსი, რომელთანაც კონფლიქტი ხელოვანს გულს უკლავს. მაგრამ სწორედ ეს მწარე ტკივილი იქცევა შედევრის შექმნის მიზეზად, საკუთარი ტანჯვის ნაყოფი - სხვის სიხარულად:

ნიკოს შეებრალა დაჭრილი შველი და ჭრაქუას შეეხვეწა, ოღონდ ნუ დაკლავ და ათ სურათს დაგიხატავო. მიკიტანი დაეთანხმა. გახარებული ნიკო გაიქცა ზოოპარკის მესვეურებთან, რათა შველი მათ ჩაებარებინათ. მაგრამ ზოოპარკი აყრილიყო და იქ ფიროსმანს მუნჯი მენაგვეღა დაუხვდა. ჭრაქუას ტრაქტირში დაბრუნებულს საზარელი სურათი გადაეშალა თვალწინ: შვლის ტყავი ღობის სარებზე გადაეკიდათ, ტრაქტირში კი შვლის მწვადებს შეექცეოდნენ და ერთი ორომტრიალი იდგა.

ამ ფაქტმა შეარყია ფიროსმანის არსება. მან თითქოს თავისი სიკვდილი იხილა. შველი ხომ სათნოების, სიფაქიზისა და სილამაზის ემბლემაა. ასეთივეა შემოქმედის სულიც, რომელსაც ფეხქვეშ თელავენ ჭრაქუასა და მიტუას მსგავსი მიკიტნები.

შველსა და ხელოვანის სულს შორის ჩნდება სიმბოლური ანალოგია.

ამიტომ შფოთავს და შეშლილს ემსგავსება ფიროსმანი. იგი გარემოს გამოეთიშა, თითქოს ყველაფერი დაივიწყა - დუდუკის კვნესა, მუხამბაზის ჰანგები, სიგანეში წასული მიკიტანი, ჯადოსნურ ხმებს მინდობილი მარგალიტა... იღებს ფუნჯს და ხატავს შველს გადაჭრილ ხესთან. ეს გადაჭრილი ხე შეწყვეტილი სიცოცხლეა, ადამიანის გულქვაობის ხატი, ხოლო შველის სურათი თავად ხელოვანის სულიდანაა გადმოსული, როგორც სიკვდილისთვის წართმეული, კონკრეტულ სახედ ქმნილი ოცნება, სასოება, იმედი, რწმენა.

ასე იშვა შედევრი - სულიერი დეპრესიისა და შინაგანი წამებისაგან განმუხტვის შედეგი.

ლადო ავალიანი, როგორც ყოველი პროფესიონალი, დიდხანს მუშაობს მასალაზე, ხვეწს სტილს, აზუსტებს სიუჟეტს, ხასიათებს, რათა უფრო ნათლად გამოვლინდეს მთავარი სათქმელი. ალბათ ამიტომაა, რომ ბევრი ნოველა არ დაუწერია. იგი კლასიკური, რეალისტური პროზის ტრადიციების დამცველია, ნათელი თხრობის მიმდევარი, როცა ავტორმა იცის გმირის ყოველი საიდუმლო, მაგრამ მათგან მხოლოდ მთავარს გვიმხელს. და მაინც ერთი პერსონაჟის თქმისა არ იყოს, მწერალი ყოველთვის თავისი გზითა და რწმენით მიდიოდა.

მართალია, იგი არ ეძებს დრამატულ, თავისთავად საინტერესო სიუჟეტებს, მაგრამ მათ ამუშავებს ფერმწერის სიდინჯით. ამიტომ იქნებ ჩვენ ხატვის სტილი, ენობრივი სისადავე, შუქ-ჩრდილების პროპორცია და წესრიგი უფრო გვხიბლავდეს, ვიდრე თავად მასალა.

ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით საყურადღებოა **„მუხის ჭია“**, ლადო ავალიანის საუკეთესო ნოველა. იგი პატრიარქალური სვანეთის ფონზეა გაშლილი. ამ მასალას ხშირად მიმართავს მწერალი (მოვიგონოთ **„დადაშ ხვიბლანი“, „ლაჰილ პირველი“**), წარმოგვიდგენს თუ როგორ ირღვევა ზვიადი მთებისა და პირველყოფილი ოჯახების მყუდროება. დაწყებულა ქორა მახვშის - გოშგოთის დიდი ოჯახის დაშლაც და ეს ნაჩვენებია არა მხოლოდ შვილიშვილის - მირანგულას წასვლით, ან სხვათა განდგომით, არამედ - მუხის ჭიის სიმბოლიკითაც. ჭია გასჯდომია გოშგოთის მამაპაპეულ მუხის საკარცხულს და გამალებით ხრავს, აცამტვერებს, როგორც ახალი ცხოვრება ძველ, პატრიარქალურ სვანეთს.

ასე მოხდენილად გაიაზრა მწერალმა რღვევის პროცესი, ძველისა და ახლის კონფლიქტი. ისიც უნდა ითქვას, რომ ავტორი დიდი ცოდნით აღადგენს სვანურ გარემოს, ყოფით მასალას. უნებლიეთ ენასაც ანიჭებს თავისთავად ძალასა და მგრძნობელობას (რასაც სხვა დროს გაურბის იგი). კოლორიტული და კეთილხმოვანია სახელებიც (გოშგოთი,

ქარიმანი, ქერობინე, მაჰარბე, მირანგულა, ვეშაგი).

ნოველაში ხშირად იხსენიება „ლანდი“, „ჩრდილი“, „ჩურჩული“, „კვარის ალი“, როგორც ნაღვლიანი განწყობილების შესატყვისი, დროის ფერისცვალებას რომ მოჰყოლია. ქორა მახვშის მწუხრი სინანულის აღმძვრელიც ყოფილა. ამიტომ გადასულა სიტყვებში სევდა და მელანქოლია, ასე ძლიერად განცდილი და გადმოცემული. ამით ისიცაა ნაუწყები, რომ მართალია, მწერალი ბუნებრივად მიიჩნევს ძველი ყოფის რღვევას, მაგრამ სულის სიღრმეში სევდასაც ჰგვრის და უნებლიეთ აჟღერდება ის ფარული სიმები, რომლებიც მას აერთებს ქორა მახვშის დაუსაბამო დროსთან, ამ კვარის მკრთალი ალით განათებულ დარბაზთან, ამ მამაპაპეულ მუხის საკარცხულთან.

და როცა ვკითხულობთ „ახალ ჰორიზონტს“, ვეცნობით კეთილშობილ, მშრომელ ადამიანებს, გვიჩნდება ფიქრი, რომ თითოეული მათგანი ქორა მახვშს გამოქცეული მირანგულა და ვეშაგია, გმირული გარჯით, მტკიცე ნებით ახალი სიცოცხლის ხალისი რომ დაამკვიდრეს.

„ლიტერატურული საქართველო“, 1984, 29 ივნისი

ორი იდეალი

ალბათ იშვიათია ადამიანი, რომლის ცხოვრება და შემოქმედება ესოდენ მთლიანი და განუყოფელი იყოს და რომელსაც შესძლებოდეს წლების მანძილზე ასე დაუღლელად, ფანატიკურად, პრინციპულად ებრძოლოს მეცნიერული აზრის წინ წასაწევად.

იგი, 1926 წლის საქართველოს მწერალთა I ყრილობის მონაწილე, დღეს ჩვენთან არის და თითოეული ჩვენთაგანისათვის მაგალითი და ეტალონია. შეიძლება ბევრი დაღლილიყო სიტყვასა და აზრთან ჭიდილში, გული გასტეხოდა, ზოგს პატივმოყვარეობის სენი შეჰპარვოდა, მიღწეულით დამცხრალიყო. მაგრამ ბატონი აკაკი ისეთი სულისკვეთებით და ძალით არის აღსავსე, თითქოს პირველ სტრიქონებს წერდეს და აქამდე არც არაფერი დაეწეროს, ის ბრწყინვალე მონოგრაფიები, ესეები, ნოველები, ჩვენ რომ ასე გვიყვარს, თითქოს მას არც შეექმნას.

აკაკი გაწერელია 70 წელს გადაცილებული იყო, როცა ავგუსტინეს თემას შეეჭიდა. ეს თავისთავად იყო ინტელექტუალური გმირობა. ჩვენდა საბედნიეროდ, ეს დიდი საქმეც წარმატებით გასრულდა და ამჟამად იბეჭდება ამ მონოგრაფიის ცალკეული ნაწილები. ჩვენს თვალთა წინაშე ახალი ფურცლები იშლება.

აკაკი გაწერელიას თავიდანვე გამოკვეთილი ჰქონდა ორი იდეალი - მწერლობა და მეცნიერება, ხოლო ორივე მათგანი ემსახურებოდა ერთ მიზანს - ქართველი ხალხის ენერგიის გამოვლენას, ქართული ლიტერატურული აზროვნებისათვის უნივერსალური იერის მინიჭებას.

იმ დროს, როდესაც დაირღვა ლიტერატურული პრინციპები, სტილი, ეთიკა, აკაკი გაწერელია, პირდაპირ და არაპირდაპირ, თანამოკალმეთ მიანიშნებდა ლიტერატურის, ჭეშმარიტი ხელოვნების ორიენტირებისაკენ. უნდა ითქვას, რომ ჩვენი იუბილარის ეს თვისება არც იმ დროს ყოფილა შეუმჩნეველი, ხოლო დღეს ყველა ლიტერატორისათვის ნიმუშად ითვლება.

აკაკიგაწერელიათითქოსმეცხრამეტესაუკუნიდანმოსულიკაცია.მისი სათაყვანო მწერლებიც ჩვენი საუკუნის მიღმა დგანან. მას ყოველთვის ხიბლავდა კლასიკური, გოეთეს სიტყვით რომ ვთქვათ – ჯანმრთელი კულტურის წესრიგი, პროპორცია, სინათლე, რომელთაც ამკვიდრებს იგი თავის ესეებსა და გამოკვლევებში, სხვებსაც აქეთკენ მოუწოდებს. მისი მზერა მიპყრობილია წარუვალი ღირებულების შედევრებისაკენ, რომლებზეც დროის კაპრიზი, ეპოქის ამინდი, გემოვნების ცვალებადობა არ მოქმედებს. იგი მწერლის ზეამოცანად თვლის დროის დაძლევას და არა მის მიდევნებას, ამაღლებას გარემომცველ სინამდვილეზე, მარადიული იდეებისათვის თვალის გასწორებას და პასუხის გაცემას.

აკაკი გაწერელიას ყურადღების ცენტრში ყოველთვის იდგა ქართული ლექსი. არსებითად მან შექმნა ქართული მეცნიერული პოეტიკა, რა თქმა უნდა, წინამორბედთა გამოცდილების გათვალისწინებით, რუსული და ევროპული პოეტიკის ათვისებით. დღეს, როცა ვმსჯელობთ ქართულ ლექსზე, მის ბუნებაზე, ნიუანსებზე, ნებსით თუ უნებლიეთ ჩვენ ვემყარებით აკაკი გაწერელიას შეხედულებებს, მის მიერ შემოტანილ და დამკვიდრებულ ცნებებსა და ტერმინებს.

„ქართული კლასიკური ლექსის“ ავტორმა შექმნა მტკიცე ფუნდამენტი მომავალი კვლევისათვის. მას ბევრი ბრძოლის გადახდაც დასჭირდა, ბევრი შემოტევაც მოიგერია, რათა დაეცვა თავისი პრინციპები. პოეტიკური შრომების დიდი ნაწილი პოლემიკური პათოსისაა, მაგრამ ისინი ეფუძნება არა მხოლოდ უარყოფას, არამედ - ახლის დამკვიდრებასაც. პოლემიკა თითქოს საბაბიც არის, რათა ითქვას უფრო მეტი ისეთ რთულ და სპეციფიკურ ფენომენზე, როგორიცაა ქართული ლექსი.

პოლემიკა აკაკი გაწერელიას ნაშრომებში ამართლებს თავის ეტიმოლოგიურ წარმომავლობას და ტრიბუნიდან ჩამოსული მეცნიერი მართლაც მოჰგავს ომის ხანძრით გარუჯულ მეომარს.

არსებითად პოეტიკა არის პლაცდარმი აკაკი გაწერელიასათვის, რომლიდანაც იჭრება ლიტერატურისმცოდნეობის სხვადასხვა სფერო-

ში. ყოველთვის, სულ ერთია, წერს არეოპაგიტიკაზე, ჰიმნოგრაფიაზე, ტექსტოლოგიურ თუ ფილოსოფიურ საკითხებზე, რეალიზმზე თუ რომანტიზმზე, იგრძნობა ლექსის მცოდნის დიდი სიფაქიზე, გემოვნება, იუველირული სიზუსტე, რადგან ლექსის სტრუქტურა გარეგნულად მარტივია, მაგრამ შინაგანად ისევე რთულია და ნატიფი, როგორც ცოცხალი უჯრედისა.

აკაკი გაწერელია უჩვეულოდ ფართო დიაპაზონის მეცნიერია. როგორც ცნობილია, იგი იკვლევს ქართული მწერლობის სხვადასხვა პერიოდებს, პრობლემებს, მხატვრული აზროვნების ევოლუციას უძველესი ჟამიდან დღევანდელობამდე. ცხადია, ყველა მნიშვნელოვან ქართველ მწერალზე სპეციალურად არ უმუშავია, მაგრამ მის თვალთახედვაში ყოველთვის იყო მოქცეული მთელი ქართული ლიტერატურა. ასეთი პოზიციაც შეიძლებოდა შეზღუდული ყოფილიყო, თუ მკვლევარი კონკრეტულ პრობლემას არ განიხილავდა მსოფლიო მოვლენათა კონტექსტში, საერთაშორისო პროცესებთან მიმართებით. აკაკი გაწერელია არის ბრწყინვალე მცოდნე რუსული და ევროპული მწერლობისა. ამაზე ნათლად მეტყველებს არა მხოლოდ ცალკეული ესეები, არამედ ის მახვილგონივრული პარალელებიც, ასე უხვად რომ ამშვენებს მის ნაწერებს.

მაგრამ დიდ ერუდიციასთან ერთად ბატონი აკაკი ფლობს წერის არტისტულ, უაღრესად დახვეწილ, დაწმენდილ სტილს, უფრო ზუსტად, მოარული გამოთქმა რომ გავიმეოროთ, მისი ხასიათი, ცოდნა, გემოვნება ბუნებრივად ვლინდება ასეთი რაფინირებული სტილით. თითქოს მწერალი მასზე საგანგებოდ არცა ფიქრობს, რადგან ცოცხალი და უეცარი აზრი სტიქიურად ჰპოვებს საჭირო ფორმას და ანემიურად ვერც გამოითქმება.

რასაკვირველია, ჩვენ ვიცით ერუდიტები, რომელთაც თავიანთი ცოდნის მწერლობად ქცევა არ შეეძლოთ. აკაკი გაწერელიას ბუნებაში მოხდა ამ დაცილებული სფეროების შერწყმა, რაც შეიძლებოდა განხორციელებულიყო მხოლოდ უტყუარი და ფაქიზი გემოვნების საფუძველზე. გემოვნებაც დახვეწის, აღზრდის, თვითგაცნობიერების შედეგია, მაგრამ მისი საწყისი ჩვენს ბუნებაში ძევს სტიქიურად, ჩვენგან დამოუკიდებლად და რაც უნდა ვეცადოთ, ვერაფერს შევმატებთ. იგი ტალანტის ნაწილია. ტალანტის ნაწილია მეხსიერება და ფანტაზიაც, რომელთა ბაზაზე წარმოიშობა ახალი მეცნიერული კონცეფცია თუ მხატვრული ანსამბლი.

ბუნებამ უხვად გასცა ეს საბოძვარი ბატონი აკაკის მიმართ და მანაც არ დაიშურა ძალა და ღონე, რათა ეს ღვთაებრივი ნობათი ხალხისათვის, შთამომავლობისათვის გადაეცა.

მწერლობა და მეცნიერება თვითმარტვილობაც არის. ყოველი წარმატება მოპოვებულია არა სიმღერით და უდარდელი ოცნებით, როგორც ხშირად გვეჩვენება, არამედ საკუთარი თავის არდაზოგვით. რამდენი დრო და ენერგია სჭირდებოდა ბატონ აკაკის თავისი მრავალტომეულის დასაწერად და ალბათ ასჯერ მეტი - იმ ლიტერატურის შტუდირებისათვის, რომელთა საფუძველზე წარმოიქმნა ახალი თეორიები, კონცეფციები, შეხედულებანი.

ჩვენ აკაკი გაწერელიასგან უნდა ვისწავლოთ შრომის კულტურაც, ლიტერატურისათვის თავგამეტებაც, ძველისა და ახლის დაფასებაც. ახალს იმიტომ ვამბობ, რომ ბატონი აკაკი ახალგაზრდობის მეგობარია, მათ ბედზე დაფიქრებული მწერალი და მოაზროვნე, რომელსაც ყოველი ახალი ჭეშმარიტი სიტყვა საკუთარ წარმატებადაც მიაჩნია. მას შეუძლია მთელი საათები, ზოგჯერ დღეებიც, მოცდეს თავის მთავარ საქმეს და ახალბედა მწერალს თუ ლიტერატორს ხელი შეაშველოს, ასწავლოს, ურჩიოს, შთაუნერგოს სიმართლის რწმენა და იმედი.

კიდევ ამიტომ გვიყვარს ჩვენ იგი და გვჯერა, რომ ამ სიყვარულს არ ექნება დასასრული.

„ლიტერატურული საქართველო“, 1985, 11 იანვარი

„თავაწეული ქართლის დროშები“

ორმოცი წლის წინათ მოევლინა იგი ლიტერატურულ პარნასს როგორც დასრულებული შემოქმედი და ომის ქარცეცხლით გატანჯულ გულსა და ნერვებს ნიავის ფრთებით მიესალბუნა, ზეცის სინათლე და ბალახის სიმწვანე აგრძნობინა.

უეცარი და მოულოდნელი იყო **ანა კალანდაძის** გამოჩენა ქართულ პოეზიაში და ეს ეფექტი დღემდე შერჩა მის სიტყვას. იგი წლების მანძილზე დუმს ან წერს ლექსებს, მაგრამ არ აქვეყნებს. შემდეგ ერთბაშად წარუდგება მკითხველს, ჩვენს წინაშე მისი ლირიკის კალეიდოსკოპი ახლებურად იწყებს ციმციმს და ყველა გრძნობს, როგორი დაძაბული შემოქმედებითი ცხოვრებით უცხოვრია პოეტს, როგორ ცდილა ნაცნობი ფერადების გადახალისებას, სიძველეთა განახლებას, ქართული კოლორიტისა და მსოფლგანცდის დაცვას.

გასულ წელსაც, ხანგრძლივი სიჩუმის შემდეგ, ანა კალანდაძემ ლექსების მთელი რკალი გამოაქვეყნა - **„თავაწეული ქართლის დროშები“**. მათში ჩვენ გვხიბლავს არა ახალი ტენდენცია, არამედ ადრე გამოვ-

ლენილ სტილურ ფორმათა, განწყობილებათა, მოტივთა სინთეზი. ერთმანეთს ენაცვლება თანამედროვეთა და წინაპართა სახეები –როშკა, არხოტი, ვსესვიატსკოე, ნეაპოლი, აწყური, ქალკედონის ცა, საირმის მთები.

ყოველივე დანახულია ქართველი პატრიოტის თვალით და ამ გრძნობის სიმბოლოა **„გოდერძის ზეკარი“**, რომელიც არაერთხელ იხსენიება, როგორც სიმაღლე და გაფრთხილება.

ხომ ასე ვრცელია ის გეოგრაფიული გარემო, რომელიც პოეტის ფანტაზიამ წარმოსახა, მათში მაინც მთავარი ეროვნული სულის სანიშნოებია. ანა კალანდაძე, ისევე როგორც არაერთი ქართველი ხელოვანი, თითქოს წარსულიდან, საუკუნეთა სიღრმეებიდან ამოდის. ამიტომ ახლავს მის სიტყვას ლოცვისებური ინტონაცია, ძველქართული სიტყვის პათეტიკა, გარდასულ ჟამთა სურნელი. **„თავაწეული ქართლის დროშები“** თითქოს ახლა მიემართებიან ბიზანტიისაკენ, ახლა გადადიან გოდერძის ზეკარს, ისევ ფეთქავს ვსესვიატსკოეში ქართული ფესვი, კვლავ შერჩენიათ ძველ დარბაზებს აიეტისა და ფარტაზის ლანდები.

წარსული ნოსტალგია როდია ჩვენი პოეტისათვის ან კიდევ - მონატრება, იგი არსებობის ფუნდამენტი და წიაღია; გარდავლენილს კი არ იხსენებს, არამედ მასთან ერთად მოდის - ძველი სევდით, გაუტეხელი რწმენით, ლოცვად და ვედრებად ხელაპყრობილი. თორემ პოეტის გული იმასაც გრძნობს, თუ როგორ მოაქვს ეგეოსის ზღვას სამხედრო ბაზებიდან ბომბდამშენების ხმაური, რომელიც წამიერად ჰფანტავს წარსულის მირაჟს და დღევანდელობის სიმკაცრეს განაცდევინებს, იმ დღევანდელობისა, რომელიც ვეზუვის ვულკანივით შიშისმომგვრელად დუმს, მიმწუხრის ნისლებში რომ შეჰყურებს პოეტი. ამიტომ აქცევს იგი სიტყვას ლოცვის ხმებად:

ო, მადლსა შენსა, ცაო ქართვლისა,
კვლავინდებურად ჩვენთვის ეხმიოს.
შიგნით თუ გარე, გაღმა-გამოღმა
თავს ყმაწვილების ჯარი გეხვიოს.

მაგრამ დუმილში დაფლულა დათვისი, სანთლის შუქი არსაიდან გამოკრთის, როშკის სამოთხეში არსად ჩანან **„არც ნანაისძე, არც დედაქალი“**. ოდესღაც, როცა მესხეთ-ჯავახეთს წარღვნა გადაუვლიდა, სატანა სიხარულით რეკავდა: **„ქართველებისგან ქართლი იცლება, საქართველოში - ოხრად მიწები“**. ახლა კი არწივებმა ფრთები დაკეცეს და ბარისკენ დაეშვნენ. მხოლოდ ხსოვნას შემორჩა **„ხატის დროშები“, „დევკაცთა როკვა და უწმინდესი ღამისთევანი“**. მაგრამ გელათის საყდრის კედლიდან იმზირება დავითი - მეფე და სარდალი, და პოეტს სჯერა, რომ ჩამქრალი კერები **„კვლავ აღდგება და აღორძინ-**

დება“, „ვინ თქვა დაქცევა“!

ანა კალანდაძის ლირიკა წარმოუდგენელია ასეთი მოქალაქეობრივი პათოსის გარეშე. მაგრამ ცნებები - მოქალაქეობრიობა, თანამედროვეობა მისი ლექსების საფუძველში ძევს, საწყისი ძალაა, ფარული და თვალისათვის უხილავი, მხოლოდ დაკვირვების შემდეგ რომ აშკარავდება. წარსულისა და აწმყოს ჯანსაღი, ფხიზელი განსჯა აძლევს მიმართულებას როგორც ამ ახალ ლექსებს, ისე ანა კალანდაძის მთელ პოეზიას.

ანა კალანდაძის პირველი ლექსები სამყაროს მიამიტური, უშუალო ხედვა და მუსიკალური აღქმა იყო (უნდა ითქვას, მათ ყველაზე მკვეთრად გამოავლინეს ამ ჩინებული ლირიკოსის ნიჭი). შემდეგ პოეტი ფშაურმა მოტივებმა გაიტაცა. ხოლო ამ დიალექტში ჩაღრმავებამ, ლანდშაფტის განცდამ, ხალხური სიტყვის შეგრძნებამ ისევ ძველქართულ სამყაროსთან, ბიბლიურ სახეებთან დააბრუნა. პოეტი განერიდა ლექსის გარშემო გამართულ დებატებს, სიახლენი არც მიუღია და არც უარუყვია. იგი თითქოს საყდრისებურ მყუდროებაში უსმენდა სამყაროს მუსიკას, სიტყვებში გადმოსულს. ასე დაიწერა ლექსების მთელი ციკლი - ძველქართული მწერლობით, ჰიმნოგრაფიული პოეზიით შთაგონებული. შემდეგ პოეტი აქაც გაექცა საკუთარ თავს, უფრო სწორად - მოუხმო ადრე უარყოფილ მოტივებს, ახალი ძველით შეავსო და თავისი სულიერი ევოლუციის სურათი მოგვცა.

ამ პათოსითა და სულისკვეთებითაა დაწერილი **„თავაწეული ქართლის დროშები“**. იგი ლექსების უბრალო ციკლი როდია, რომელშიც ავტორი ერთი თემის გარშემო ტრიალებს, თანდათან ხვეწს და აზუსტებს სათქმელს. ამჯერად პოეტი შეგნებულად ერიდება ერთი მასალის გაშლას და ცდილობს, ვრცელი პანორამა წარმოსახოს, რომელიც როგორც თემატიკის, ისე სტილის თვალსაზრისით მრავალი ნაკადისაგან შედგება. ხოლო მათი მთლიანი აღქმა და გააზრება კიდევ ერთხელ გვაგრძნობინებს ანა კალანდაძის პოეზიის ძალას, მასშტაბსა და სინაზეს.

იგი ნიუანსების, რბილი ფერების, მუსიკალური განცდების ლირიკოსია, ჩუმი, წყნარი და უხმაურო, გაურბის სახეობრივ ორნამენტებს, ქსოვს ფრაზას, საუბრობს და ასე თანდათან, შეუმჩნევლად გვაქცევს თავის ფიქრთა თანაზიარად:

„იმზირებიან მლოცველნი ჩვენსკენ,
ლურჯთვალათ სადა მოსავთ კაბანი,
ქართულიაო ტაძარი ესე,
აქ წვანან თქვენი მამა-პაპანი“.
„დილის სხივებში აკიაფებულს,
მერე მიმწუხრის ნისლებში შესულს

ნეაპოლიდან თითქმის მთელი დღე,
თითქმის მთელი დღე გავყურებ ვეზუვს“.

ასეთი ლექსების მაგიურობა ხშირად აუხსნელია და გაუგებარი, მაგრამ უნდა გავითვალისწინოთ მუსიკალურ ტალღებად დაძრული განწყობილება, რომელიც ჩვენს არსებაში ფარულად მკვიდრდება, წვდება სულის სიღრმეს, უფაქიზეს სიმებს.

ანა კალანდაძის ახალი ლექსებიც ენის მუსიკალურ მოდელირებაზეა აგებული. ძველქართული ლექსიკით შეფერილი პათეტიკა, მშობლიური სახელები, საუბრის კილო, ეროვნული მრწამსის კონკრეტული შტრიხებით გაშლა - აი ეს ხერხები ქმნიან ამ ციკლის ინტიმსა და მშვენიერებას.

ხოლო თავაწეული ქართლის დროშები ახალ ზეკარზე გადადიან და თან მიაქვთ ახალ დღეთა სინათლე.

„კომუნისტი“, 1985, 2 თებერვალი

კლასიკა, როგორც ითაკა

უკუქცევა კლასიკისაკენ - ასეთ აზრს შთაგვაგონებს **ლია სტურუას** ახალი წიგნი - **„სონეტები“**.

ქართული ვერლიბრის ერთ-ერთ ლიდერს არასოდეს აკლდა არც მაქებარი, არც უარმყოფელი - მაქსიმალიზმის, დაშლილი ფორმისა და რთული აღქმის გამო, მაგრამ სონეტების ციკლი მათაც შეაცბუნებთ და იქნებ როლებიც გაცვალონ.

წიგნში 49 ლექსია, 49-ვე სონეტი.

პოეტი, რომელმაც შეგვაჩვია თავისუფალ ლექსს, შინაგან ხილვებს, ასოციაციურ წარმოსახვებს, ახლა გვთავაზობს სონეტებს. ხოლო სონეტი ხომ კრისტალური ფორმის, სინატიფისა და სილამაზის ზეიმია, სტრუქტურის ინტელექტუალიზება. ლია სტურუა უბრუნდება სიმბოლისტურ კლასიკას, რომელსაც იგი ენათესავება როგორც პოეტიკით, ისე ესთეტიკით. სონეტების თემატური დალაგებაც გვაგონებს ვალერიან გაფრინდაშვილისეულ მეტაფორულ დაყოფას.

როგორც ჩანს, რითმისა და მეტრის მონატრებამ დააწერინა პოეტს ეს წიგნი. ამით ახალთაობის ერთ ტენდენციასაც თვალი გაუსწორა და, შეიძლება ითქვას - მაგალითიც მისცა:

ეს არის დაბრუნება კონვენციურ ლექსთან, წარმოსახვათა ფერადი და მუსიკალური ნაკადის მოქცევა მკაცრი ფორმის სალტეში.

ასე მგონია, პოეტმა იგრძნო, რომ თავისუფალ ასოციაციათა გაშლა თავისუფალი ლექსით ძნელი აღსაქმელი იყო და ტექსტი შიფრით ნაწერს ჰგავდა, რომელსაც მხოლოდ ვიწრო კასტა გაიგებდა. ამიტომ

დათმო ვერლიბრის ფორმა, მაგრამ შეინარჩუნა აზროვნების სპეციფიკა — რთული აღქმა.

მისი მეტაფორა ისევ დაცილებულ საგანთა მოულოდნელი და უეცარი შეხვედრაა:

„მიშველე, დედა, ხეს ვხედავ და ვაწყდები მინას გათეთრებისკენ მიდრეკილი დაღლილი სისხლით“, „წველიდნენ ძროხას, ვიოლინო ტიროდა რძეში“, „მე მინდა ვინმემ მომიწყვიტოს საღამოს ციდან არარსებული ბუნებაში ჩემი სოფელი“, „იქნებ მობეზრდა ძაფზე შუშის მძივების აცმა და დაინახა ქალის სადა მოზარე სახე, იგრძნო საღამო, სევდიანი კომშის სუნივით“.

ეს წიგნიც თანამედროვე ინტელიგენტის სულიერი ცხოვრების დღიურია, მაგრამ არა გარეგნული ფაქტების, მეგობართა და ნაცნობთა სახეების ამეტყველება, არამედ შინაგანი ღელვის, განცდებისა და ფიქრების ხატვა, სულის ქაოსის ანარეკლი.

არც მისი წაკითხვა და გაცნობა იქნება იოლი. მაგრამ ლია სტურუა სულაც არ ცდილობს იყოს მარტივად გასაგები, რადგან ის, რასაც სწრაფად აიტაცებენ ხოლმე, ასევე მალე ავიწყდებათ, რადგან ნაცნობ თვალთახედვას მყისვე ეგუება მასების თვალი. ხოლო ლია სტურუა გვთავაზობს ე. წ. „ძნელ პოეზიას“, რომელიც შეესაბამება ცივილიზებული ადამიანის ფსიქიკას და მისი გადატანაა სალექსო სტრიქონებად.

იქნებ როგორც სირთულე, ისე პათეტიკაც ეუცხოოს დღევანდელ მკითხველს, რომელიც სიცილსა და გართობას ეტანება. მაგრამ პოეტი წერს არა აუდიტორიის საამებლად, არამედ შინაგან ძალთა კარნახით.

მას ურჩევნია **„თვალებდათხრილმა ჰეგზამეტრმა“** აიდგას ენა, ვიდრე **„გააიოლოს მოქმედება და სიტყვა რთული“.**

მე ვფიქრობ, გაივლის ხანი და ლია სტურუა კლასიკის ნათელ და გამჭვირვალე სტილსაც დაუბრუნდება. ეს იქნება ხანგრძლივი ოდისეის შემდეგ მიგნებული ითაკა. მაგრამ ისიც შეიძლება, რომ ჩვენს მეხსიერებას უფრო შემორჩეს სწორედ სულიერი მოგზაურობის ჟამს ნანახი **„ზამბახებით სავსე ზესკნელი“** თუ **„ჯვარცმული ღამეები“.**

„კრიტიკა“, 1988, №1

„მარტოობაში იზრდება სული“

ჩვენს პრაგმატულ დროში, როცა ხელოვანს ხიბლავს და იზიდავს ტელეეკრანი, როცა ესწრაფვის პოპულარობას, ქებასა და დითირამბს, **ოთარ ჭილაძე**, ძველი დროის მარტვილების დარად, რომლებიც რწმე-

ნას ეწირებოდნენ, მხოლოდ უმაღლესი მწერლური იდეალების აღსრულებისთვის ცოცხლობს და იბრძვის, იბრძვის თავის საწერ მაგიდასთან, მშობლიურ სიტყვასთან და წარმოსახვებთან, მათთან და მათთან ერთად.

ამიტომ იყო მთელი თაობებისთვის ოთარ ჭილაძის ლექსი, პოემა, რომანი შემოქმედებითი გმირობის მაგალითი, ხელოვანის მიერ თქმული ზედროული სიტყვა, რომელსაც არ დასტყობია ეპოქის კონიუნქტურა.

იგი მჭვრეტელის თვალით, ხელოვნების პრიზმიდან უყურებს ცხოვრების ორომტრიალს, სიკეთისა და სიბილწის, შუქისა და ჩრდილის ჭიდილსა და მონაცვლეობას. მაგრამ ეს საზოგადოებისა და მკითხველისაგან განრიდებული მარტოსული, თავის სენაკში გამოკეტილი კაცი, იწვის სწორედ საზოგადოებისა და მკითხველისათვის, რადგან ხელოვანის ფუნქცია არის შექმნა.

ამდენად არის მისთვის შემოქმედება თვითშეწირვა, მშობლიურ სიტყვათნაკადიდან არნახული სურათების გამოტანა, არა მიღწეულით ან დაფნის გვირგვინით ტკბობა.

მკითხველის წინაშე ოთარ ჭილაძე დგას არა თავისი ბიოგრაფიით, არამედ - წიგნებად გარდასახული სულიერებით, ტანჯვითა და ძიებით, რომელსაც დღესაც ისევე შეუპოვრად აგრძელებს, როგორც სიჭაბუკეში, როცა წერდა **„თიხის სამ ფირფიტას“, „რკინის საწოლს“, „თაკო და ზაზას“...**

„მწერლის გაზეთი“, 2008, 1-15 აპრილი

მოგება წაგების ფასად

მურმან ჯგუბურია ლიტერატურაში გვიან შემოვიდა - ამ ასაკში პოეტები ამთავრებენ კიდეც კარიერას.

მოვიდა არა უნივერსიტეტიდან, არამედ - ცხოვრების შუაგულიდან.

მაგრამ აღმოაჩნდა საოცარი სწრაფვის უნარი და თვითგანათლებით, მუდმივი ძიებით, დაკვირვების დაუცხრომელი სურვილით შეძლო აღებეჭდა თავისი სახელი პოეზიაში, პროზაში, ესსეისტიკაში, თარგმანის სფეროში.

იგი არა მხოლოდ მწერალია, არამედ – მკითხველიც.

ალბათ იშვიათია პოეტი, რომელიც ასე იყოს შეწირული სიტყვისადმი. იგი მართლაც ლიტერატურით ცხოვრობს. ეს არის მისი გამუდმებული საფიქრალი და საზრუნავი.

ბევრი მთელი სერიოზულობით ეკიდება სინამდვილეს, პირადი ცხოვრების მოწესრიგებას, მაგრამ თამაშობს ლიტერატურაში.

ასეთი ავტორისათვის ლიტერატურა საშუალებაა და არა მიზანი.

მურმანი თამაშობს ცხოვრებაში და არა ლიტერატურაში.

მისი მიზანი და სიცოცხლე ლიტერატურაა. მაგრამ ბედისწერა ბრმაა და იგი არაერთხელ მწარედ დასჯილა. ეს ტკივილი კი ლიტერატურისთვის გროვდებოდა.

თითქოს შეგნებულად უქმნიდა დაბრკოლებებს საკუთარ თავს, ხელოვნურ და გამოგონილ ბარიერებს.

ამ წყნარ კაცს მშვიდი ცხოვრება არ შეუძლია, რათა არ მოდუნდეს და მუდმივად ახლდეს მწვავე, გულისმომკვლელი განცდები, რომელთა დაცხრომა და დაშოშმინება არის შემოქმედება.

შეიძლება მათი სიტყვიერი კვალი ვერც ვიპოვოთ, მაგრამ პოეტს ფათერაკები აძლევენ ენერგიას, რომელსაც იგი თხზვის ორბიტაზე გაჰყავს, საიდანაც უკვე ნათლად და მშვიდად ჭვრეტს საგნებს. თითქოს დიდი ღელვა არც გადაეტანოს.

ცხოვრებაში მან ყველაფერი წააგო და რაც წააგო - ლიტერატურას შესძინა.

„მწერლის გაზეთი“, 2008, №11.

დევნილი ტრიუმფატორი

ყოველ მოღვაწეს თავისი ვატერლოო ელოდება, როგორც იტყვიან ხოლმე.

ადრე თუ გვიან ყველას დაგვიდგება უკანასკნელი განსაცდელი, ხოლო ფიზიკური გაქრობის შემდეგ მიავიწყდებათ ყოველდღიური წვრილმანები, ადამიანური სისუსტენი და მომავალი თაობები გამოარჩევენ მამულის ღირსეულ შვილებს - დაწერილი წიგნებით, ხალხში გადასროლილი იდეებით, მოგებული და წაგებული ომებით, თავგანწირვის მაგალითებით.

***

ზვიად გამსახურდია პრაგმატულ დროში საქართველოსათვის სასწაულის მოვლენას ჰგავდა. ეს მისტიკოსი და რომანტიკოსი თითქოს არც იყო ამქვეყნიური არსება. მას ეწადა ქართული რასის აღზევება, იმის გაკეთება, რაც სხვა ერებმა ორი თუ სამი საუკუნის წინათ მოასწრეს.

მოხდა ისე, რომ დააგვიანდა ამსოფლად მოსვლა.

იგი ბოლივარის ან გარიბალდის თანამედროვე უნდა ყოფილიყო. მაგრამ დღეს, როცა ყველა თავდახსნილია, ვისაც ამისი უნარი ჰქონდა, ზვიად გამსახურდიას მარტვილობა და სწრაფვა უცხო და გაუგებარი ეჩვენებოდათ. იგი თითქოს სამშობლოს აძალებდა

იმ ხატად ყოფნას, რაც ღმერთდაკარგულ ერს არ შეეძლო.

საუკუნეების შემდეგ მან პირველმა აგრძნობინა ქართველს, რომ იგი დაჩაგრული არ იქნება თავის მიწაზე. მაგრამ ღალატი და ორგულობა ჩვენი მარადიული თვისებაა და ზვიად გამსახურდიაც ისე უნდა მოგვეშორებინა თავიდან, როგორც მოიცილეს თავის დროზე ჯერ ილია ჭავჭავაძე და შემდეგ დემოკრატიული რესპუბლიკის მესვეურნი.

ასე უსწორდება საქართველო ერისათვის მებრძოლ სულებს.

აქ გმირად მხოლოდ კონდოტიერი უნდა ცხადდებოდეს და შვილები სამშობლოს მკვლელებზე მღეროდნენ. და თუ მოძმის მახვილს ვინმე გადაურჩა, მან უცხო მიწაში ჰპოვოს განსასვენებელი. ამიტომ იმარხებოდნენ ჯიუტი ქართველები ისპაჰანში, მოსკოვში, ასტრახანში, ტრაპიზონში, პარიზში, ციმბირში. ამიტომ უნდა გაიჭრას საქართველოს პირველი პრეზიდენტის სამარე გროზნოში.

ისე წარიმართა ჩვენი ისტორია, რომ საქართველოს ბედი მუდამ ქვეყნის გარეთ წყდებოდა. მაგრამ უცხო ნების აღმსრულებელს ხელები ჰქონდა ქართული. როცა ჰიტლერი თავს დაესხა წითელ იმპერიას, გერმანიის სამმილიონიან ჯარში მხოლოდ სამი კაცი აღმოჩნდა გამცემი. დღეს შეიძლება მოღალატე ქართველთაგან დაკომპლექტდეს მთელი ლაშქარი და მათგან ჩვენსკენ ერთიც არ გამოიხედავს.

განგების ნებით ზვიად გამსახურდიამ აღასრულა ის, რასაც ქადაგებდა სამშობლოს ტრაგედიით გულმოკლული კონსტანტინე გამსახურდია. ამიერიდან მამა-შვილი ისტორიის კუთვნილებაა და მათზე იმსჯელებენ როგორც ერთი მარადქართული იდეის ორ ჰიპოსტასზე.

საქართველოს თავზე კიდევ მრავალი ქარიშხალი გადაივლის, ღირსეულნიც მრავლად დაიზრდებიან და ეს ორი სახელი მათ ანთებულ თვალებს წინ წარუძღვება.

ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერი პრეზიდენტიც უნდა ყოფილიყო, რათა ქრისტიანული რელიგიით, ეროვნული კონცეფციით, ხალხის სტიქიური სწრაფვით დაედგინა და განესაზღვრა ახალი სამშობლოს ნამდვილი სახე.

ეს მას არ დააცალეს.

მაგრამ ერის მეხსიერებაში სამარადისოდ დარჩება ლიტერატორი, ორატორი, მოღვაწე, ახალი დროის ლეგენდა ზვიად გამსახურდია, რომელსაც ბედმა, მრავალ ტრაგედიასთან ერთად, ტრიუმფიც არგუნა და, რაც ყველაზე მთავარია, ზვიად გამსახურდიას ყოველი ტრიუმფი ქართული სულის აღზევება იყო, ხოლო ყოველი ტრაგედია - სამშობლოს დაცემა.

როცა პრეზიდენტის კაბინეტს ყუმბარებს უშენდნენ, ეს ყუმბარები საქართველოს გულს ხვდებოდა და ქვეყნის დაქცევას მოასწავებდა.

ამიტომ იდგა მისი სახელის დასაცავად თოვლში, წვიმასა თუ ქარში უმწეო ხალხი და მკერდით ხვდებოდა დაუნდობლად გამოსროლილ ტყვიებს.

ამ ტყვიებს გონდაბნეული მოძმის ხელი ისროდა.

რუსოფილმა ინტელიგენციამ, რუსების კარნახით, დემოკრატიისა და თავისუფლების სახელით დამნაშავეთა სამყარო დაძრა პრეზიდენტის წინააღმდეგ. მაგრამ როცა დამარცხების აჩრდილი გამოჩნდა ცაზე, მყისვე გადააგდო სამფეროვანი დროშა და საშველად ისევ ორთავიან არწივს უხმო, რომელსაც არაერთხელ ჩაუყლაპავს საქართველო.

ასე შესწირეს სამშობლო ძალაუფლებას.

ალბათ დღეს ერთი უმძიმესი ჟამია ჩვენი ერის ისტორიაში. დაკარგულია სამაჩაბლო და აფხაზეთი, დაქცეულია სამეგრელო, დანგრეულია რუსთაველის პროსპექტი, დათრგუნვილია ქართველი - შიშით, შიმშილით, ტყვიით. მაგრამ ცხოვრება არ მთავრდება. გაგრძელდება ბრძოლა სამშობლოს გადასარჩენად, გამოჩნდებიან ახალი მედროშენიც, მაგრამ ათწლეულები ისე მიეკეცება ერთმანეთს, ზვიად გამსახურდიას მსგავსი დაუმცხრალი სული საქართველოს არ ეყოლება...

***

საღამოობით, როცა ცისფერ ეკრანს ვუსხედით წყნარი თბილისელები და „Поле чудес“–ით ვერთობოდით, შორს, წალენჯიხის ტალახიან გზაზე მიაბიჯებდა ჯოხს დაყრდნობილი, წვერმოშვებული, ჩონჩხადქცეული კაცი...

ეს კაცი საქართველოს პრეზიდენტი იყო.

ორიოდე თვის წინათ მის ყოველ გამოჩენას და მოზეიმე სიტყვას მოსდევდა ტაშის ტალღა, ავტომატების კანონადა და სახეშეშლილი ხალხი ნატრობდა ახლოდან ენახა იგი. ახლა კი მიდიოდა - ყველასგან მიტოვებული და განწირული და ღამის სიბნელეში ქრებოდა ლანდი, დანგრეულ სამშობლოზე ჯავრით დალეული.

და ვინ იცის, როცა რევოლვერის ცივ ჩახმახს ეხებოდა მისი თითები, იქნებ ფიქრობდა კიდეც, რომ ამქვეყნად არც ღმერთი არსებობს და არც ისტორიის სამართალი...

1994 წლის 19 იანვარი

გაზ. „ფორუმი“, 1994, მაისი

მის სიკვდილს იგლოვებს ყველა

წუხელ, გვიან ღამით გარდაიცვალა **შოთა ნიშნიანიძე**.

იგი უკურნებელი სენით იყო შეპყრობილი და მისი სიკვდილი მოულოდნელი არ უნდა ყოფილიყო. მაგრამ როცა ტელეფონის ზარმა მამცნო, რომ იგი უკვე აღარ იყო ამქვეყნად - მაინც შევძრწუნდი.

შოთა საავადმყოფოში ვინახულეთ ერთი კვირის წინათ მე, ირაკლი კენჭოშვილმა, რეზო ჩხარტიშვილმა და ზვიად ბოკუჩავამ.

ავადმყოფს სახე გასთეთრებოდა, საუბრის თავი არ ჰქონდა და აშკარა იყო, რომ სიკვდილი მოახლოებოდა. მხოლოდ მაშინ იჩენდა ინტერესს, როცა ექიმი ზვიად ბოკუჩავა იწყებდა ლაპარაკს.

შოთა საწყალობელი და იმედის თვალით შესცქეროდა მას, თითქოს სასწაულს მოელოდა...

დაიხურა ქართული პოეზიის კიდევ ერთი თავფურცელი.

შოთას ლექსები სიცოცხლის წყურვილითაა აღსავსე, მაგრამ თავად არ იყო მებრძოლი ბუნებისა და სიკვდილსაც მშვიდად, უდრტვინველად დანებდა.

მის სიკვდილს იგლოვებს ყველა, ვისაც უყვარს ქართული სიტყვა და საქართველო...

გაზ. „XXI საუკუნე“, 1999, 28 ივლისი

როგორც სარდალი

ლევან სანიკიძე ანტიკური სამყაროს მკვლევარი იყო და თავადაც ჰგავდა რომაელ პატრიციუსს. იგი აგრძელებდა თავისი საყვარელი ძველი ისტორიკოსების ტრადიციას, როცა მემატიანე წერდა, როგორც მწერალი და როგორც სარდალი.

ლევან სანიკიძემ უარჰყო წერის ანემიური სტილი და საქართველოს ისტორია პოეტური მღელვარებით აამეტყველა. ამიტომ ჰყავს უამრავი მკითხველი მის წიგნებს, რომელთაგან განსაკუთრებული სიყვარული ჰხვდა წილად „უქარქაშო ხმლებს“ - თანამედროვე ქართველის თვალით დანახულ ქართლის ტრაგიკულ ცხოვრებას.

ორიოდე თვის წინათ ჩვენ მასთან ერთად ვიყავით ბათუმში. იგი ისე მხნე და ხალისიანი ჩანდა, ვინ იფიქრებდა, რომ მისი სხეული უკვე სიკვდილს შეეპყრო. მაგრამ წიგნები აგრძელებენ სიკვდილთან ბრძოლას. მათ არასოდეს მოაკლდებათ მკითხველი, ვისაც უყვარს ჩვენი ქვეყანა და ჩვენი ისტორია.

და ეს არის ლევან სანიკიძის ჩაუქრობელი სიცოცხლე.

„100 მწერლის გაზეთი“, 2002, № 2.

მკურნალი

11 სექტემბერს, დილის ოთხ საათზე, შეწყდა **ვახტანგ ბოჭორიშვილის** გულისძგერა. გარდაიცვალა ხალხზე და სამშობლოზე ფიქრით და გარჯით დამაშვრალი კაცი, ვისიც სწამდათ და სჯეროდათ თვით მოწინააღმდეგეებსაც კი.

იგი, როგორც ექიმი და მამულიშვილი, უყვარდათ ყველგან, საქართველოს ყოველ კუთხეში. მის გამოჩენას სიხარულით ხვდებოდნენ სამეცნიერო კონფერენციებზე, მიტინგებზე, პარლამენტის დარბაზში, წვეულებებზე, ქალაქად თუ სოფლად.

მისი არტისტული, ზომიერი იუმორითა და პათეტიკით შეზავებული მართალი სიტყვა დიდხანს ესმოდა საქართველოს, ესმოდა და აფხიზლებდა. დეპუტატის ტრიბუნა მან კიდევ ერთხელ მომართა ერის სამრეკლოდ, ერის ღირსებათა დასაცავად.

საკმარისი იყო, დარბაზში ვინმეს უკეთური ან მრუდე აზრი გამოეთქვა, რომ ეს მთვლემარე მოხუცი ერთბაშად აენთებოდა და მის მშფოთვარე სიტყვაში ფოლადი წკრიალებდა.

ბატონი ვახტანგი იყო არა მხოლოდ მეცნიერი, არამედ - ერის სულიერ ტკივილთა მკურნალიც. მოსვენებას უკარგავდა ქვეყანაში შექმნილი ქაოსი, ხარობდა მცირეოდენი წარმატებითაც. პოლიტპატიმართა განთავისუფლება ისე ახარებდა, თითქოს ის ხელისუფლება დაბრუნებულიყო, რომლის დამხობა გულს უკლავდა.

როცა უთხრეს, პარლამენტარობა, როგორც მეცნიერს, ხელს შეგიშლითო, უპასუხა, დიახ, მაგრამ მეცნიერებაში მე გავაკეთე, რაც შემეძლო. დარჩენილ წლებში, ალბათ, სამიოდე სტატიას თუ დავწერ, ხოლო როგორც პარლამენტარს, იმდენი მაქვს სათქმელი, ერთი სიცოცხლე არც მეყოფაო.

როცა ჰკითხეს, თქვენ რუსი გყავთ მეუღლე და რუსეთს ასე რატომ აკრიტიკებთო, უთხრა, დიახ, ამიტომაც ვიცნობ რუსის ხასიათს ყველაზე კარგად, რიგითი რუსი კეთილია, ხოლო პოლიტიკოსი - შოვინისტი, ვერ გაუგია ქართული ენის საჭიროება და ვერ წარმოუდგენია საქართველოს არსებობაო.

როცა საყვედური ჰკადრეს, ზვიადი თქვენ არც გიცნობდათ და ასე რატომ იცავთო, მიუგო, დიახ, მე სულ ორჯერ ველაპარაკე მას, მაგრამ იგი განახორციელებდა იმ იდეას, რაც აზრს აძლევდა ჩემს სიცოცხლეს იქ, შორეულ ჩრდილოეთშიც და რისთვისაც კვდებოდნენ ჩვენი წინაპრებიო.

ასეთი იყო იგი - ყველა ჩვენგანის მეგობარი და მასწავლებელი.

სიკვდილი არ აშინებდა, სიკვდილს არ უფრთხოდა. ამიტომ მშვიდად

გადავიდა ლანდების სამყაროში, იმ ქვეყანაში, სადაც ყველაზე ძვირფას მამულიშვილთა სულები გვეგულება.

გაზ. „ახალი ეპოქა“, 2002, 13-19 სექტემბერი

ირაკლი გოცირიძის ხსოვნას

ირაკლი გოცირიძე საქართველომ გაიცნო 9 აპრილის ტრაგედიის შემდეგ, როცა ამ უბედურების მიზეზთა ჟურნალისტური ძიება დაიწყო.

მანამდე იგი ერთი ჩვეულებრივი საბჭოთა ჟურნალისტი იყო, რომელიც რუსულ პრესაში თანამშრომლობდა.

დავით კლდიაშვილის შვილიშვილი ისე მიუახლოვდა თავისი ცხოვრების მწუხრს, რომ არაფერი უჩვეულო გაკეთებული არ ჰქონდა.

მაგრამ განახლების ქარიშხალმა ამ მოხუც კაცს საოცარი, უკომპრომისო, მებრძოლი სული ჩაუდგა და ქართული პრესის ლიდერად აქცია.

„იბერია-სპექტრი“ „საქართველოს სამრეკლოსთან“ ერთად ის გამოცემა იყო, რომელმაც 1992-1993 წლებში ქართველი ხალხი დეპრესიისაგან იხსნა, მოულოდნელი დამარცხების სიმწარე გადაატანინა.

საშინელ წლებში იგი უშიშრად იდგა სამშობლოსა და მართალი სიტყვის დასაცავად. მაგრამ არ თვლემდნენ ქართველი ხალხის ჯალათები და მას ერის სიყვარული სასჯელად მოუვლინეს - პუტჩისტებმა არაერთხელ დაუცხრილეს ბინა და რედაქცია. თავად ციხეში ჩააგდეს და ჟურნალისტობა აუკრძალეს, ხოლო ორი ვაჟი მოუკლეს...

ასეთი მსხვერპლი იშვიათად თუ გაუღია რომელიმე ქართველს. მას შემდეგ დრო შეიცვალა, მაგრამ ბატონი ირაკლი მაინც დაუფასებელი წავიდა ამქვეყნიდან.

თითქოს თავისი თავი წინასწარ გამოიგლოვა, როცა არჩევნების წაგების შემდეგ შავი ცხვირსახოცი ააფრიალა დარბაზში.

მან იცოდა, რომ ეროვნულ ძალთათვის ხელისუფლების კარი მტკიცედ იყო დახშული.

დაიხურა „იბერია-სპექტრი“, რადგან გულგრილია საზოგადოება დამარცხებულის მიმართ.

აღარ ეხმიანებოდნენ თვალდაშრეტილ მოხუცს გუშინდელი თანამოაზრენი, აღარც კოლეგები აკითხავდნენ, მიივიწყა პრესამ და ტელევიზიამ.

ბოლო ნუგეში და სიხარული ის იყო, რომ მოესწრო დრაკონის

დამხობას, რომლის დასაცავად ერთი მიტინგიც არ გამართულა.

მარტის ცივ, ქარიან დღეს უკანასკნელ გზაზე ჩუმად გააცილა თანამებრძოლთა და თანამგრძნობთა მცირე ჯგუფმა მისი ცხედარი.

მაგრამ ყოველთვის იხმაურებს ირაკლი გოცირიძის სახელი მათ მეხსიერებაში, რომელთაც ჟურნალისტის სიტყვა ქვეყნის მსახურებად მიაჩნიათ.

„მწერლის გაზეთი“, 2004, 15-30 მარტი

ქართული სიტყვის სტიქიიდან

ლადო მრელაშვილი - თვალსაჩინო ქართველი მწერალი, „ყაბახისა“ და „იყალთოელი ბიჭების“ ავტორი, ქართული ტრადიციებიდან, ქართული სიტყვის სტიქიიდან მოდიოდა. ენის ფენომენი მან მხატვრულ აზროვნებას გაუთანაბრა. და დღეს, როცა იმღვრევა მშობლიური მეტყველება, როცა ჟარგონი, ბილწსიტყვაობა, უცხო ტერმინები მოგვეძალა, კიდევ უფრო ფასობს მისი მდიდარი, ფერადი, ელვარე სიტყვა.

ბატონი ლადო დინჯად, აუჩქარებლად, წლების მანძილზე აგებდა თავის სამწერლო ციხე-დარბაზს, წერდა ლექსებსა და მოთხრობებს, რომანებსა და პუბლიცისტურ სტატიებს. არც პოპულარობას ესწრაფოდა, არც ჯილდოებს.

ბოლოს რობაიებს მიმართა და აქაც გამოავლინა პროზაიკოსისათვის უჩვეულო ლექსის თხზვის ნიჭი.

იგი ისე უეცრად, ისე მოულოდნელად წავიდა ამ ქვეყნიდან, როგორც მისი უკანასკნელი რომანის პერსონაჟი. შეიძლება სურდა ასეთი სიკდვილი ან იქნებ წინასწარ იგრძნო და იხილა ტკბილ-მწარე საწუთროსთან განშორების წუთი.

გარდაცვალებამდე ორიოდე კვირით ადრე ქუჩაში შევხვდი.

ბატონი ლადო ისე წელგამართული მოდიოდა, რომ ვინ იფიქრებდა თუ მისი ახოვანი სხეული უკვე წასაქცევად იყო განწირული. მაგრამ ლადო მრელაშვილის გული ფეთქავს და ცოცხლობს მის მშვენიერ წიგნებში, რომელთაც მკითხველი არასდროს მოაკლდება.

„მწერლის გაზეთი“, 2. 006, 20 სექტემბერი - 10 ოქტომბერი

მეხუთე საფლავი

პირველ აპრილს ქართველმა ხალხმა **ზვიად გამსახურდიას** ნეშთი დიდებით მიაბარა მთაწმინდის მიწას, სადაც განისვენებენ ჩვენი ერის უპირველესი მოღვაწენი.

15 წლის წინათ, როცა ცეცხლითა და მახვილით სდევდნენ თანამოძმენი, რას წარმოიდგენდნენ, რომ პირველი პრეზიდენტის სახელი გაუძლებდა ცილისწამებას, შეურაცხყოფას, დამხობას და საბოლოოდ მაინც საყოველთაო შარავანდედით შეიმოსებოდა.

მაგრამ ეს სწამდათ და სჯეროდათ მათ, ვინც თოვლსა და ყინვაში, ტყვიების წვიმაში იცავდნენ პრეზიდენტს, მათ, ვინც ქურდულად, მოსისხლე თანამოძმეთაგან ფარულად კრძალავდნენ მის ცხედარს წალენჯიხის მიწაში.

სვეტიცხოველის ტაძარში დაასვენეს მისი ნეშთი, იმ ტაძარში, რომლის ამგებს მკლავი მოკვეთეს - რატომ კარგი აგიგიაო!

ერის თავისუფლების შემოქმედსაც ხომ ერის მოღალატედ აცხადებდნენ მართლაც აგენტები და ბანდიტები.

აქ მოვიდა უამრავი ხალხი, მოვიდნენ პრეზიდენტი, პრემიერ-მინისტრი, პარლამენტის თავმჯდომარე. მაგრამ უკანასკნელ გზაზე არ მიაცილებდა გვარდია, რომელმაც ტყვია ესროლა თავის მთავარსარდალს. ეს მაშინ, როცა ჩეჩნეთში სწორედ სამხედრო პატივით დაკრძალეს იგი.

დრო ყველაზე დიდი და მკაცრი მსაჯულია, რომელსაც ვერც ოქროთი მოისყიდი, ვერც ტყვიებით დათრგუნავ. ამიტომაც ზვიად გამსახურდიამ სამარიდანაც კი დაამარცხა თავისი და სამშობლოს მტრები.

მას, დიდი მწერლის ოჯახში დაბადებულსა და აღზრდილს, განგება ტანჯვის გზას უმზადებდა, რადგან ყველა დიდი საქმე კეთდება არა თამაშით, არამედ - თავგამეტებით, სისხლის გაღებით, სიცოცხლის შეწირვით.

პირველ აპრილს ზვიად გამსახურდიამ მთაწმინდის კალთიდან უკანასკნელად გადმოხედა თავის ნაოცნებარ, აღთქმულ ქვეყანას - დამოუკიდებელ საქართველოს, რომელშიც ცხოვრება მას არ ეღირსა.

„მწერლის გაზეთი“, 2007, 20 აპრილი - 20 მაისი.

II. პოლემიკა

ტანტალოსის ტანჯვა

ყველა საკითხს თავისი მიკროისტორია აქვს.

არც ჩვენი მცირე პოლემიკაა გამონაკლისი, რომელიც დაიწყო 1981 წელს, როცა პროფ. **დავით თევზაძე** ჩემი სადოქტორო დისერტაციის ერთ-ერთი ოპონენტი იყო **(გ. ასათიანთან, ა. გაწერელიასთან და ე. მაღრაძესთან ერთად)**. მაშინ რეცენზიის დაბეჭდვა არ უცდია, მაგრამ მალე სიტუაცია შეიცვალა, რაც დაემთხვა მოსკოვში „ВАК"-ის მიერ ჩემი დისერტაციის დამტკიცების მოახლოებას.

სასწრაფოდ დაიბეჭდა არაერთი კრიტიკული წერილი (ჯ. შარაშიძე, გ. ლიპარტელიანი, ლ. ავალიანი და სხვ.), ცინიკური ესსე და მიმოხილვა (ამ აქციას თავისი რეჟისორი ჰყავდა). დ. თევზაძემაც ისარგებლა ამინდით და ოპერატიულად შეიტანა წიგნში თავისი რეცენზიის შეკვეცილი ვარიანტი ისე, რომ რედაქტორსაც არ წააკითხა **(ქართული საბჭოთა ლიტერატურული კრიტიკა, თბ., 1982, გვ. 236-246)**.

დუმილი არ ივარგებდა და საპასუხოდ მე დავბეჭდე ადრე დაწერილი პასუხი (რომელსაც კარგად იცნობდა). ცოტაოდენ მის ახალ ნაწვალებ ნაშრომსაც გადავკარი თვალი; გულმა არ მომითმინა - იმდენი უვიცობა შევნიშნე **(იხ. „მიზანი და შედეგი", „კრიტიკა", 1983, №№3 და 4)!**

ამის შემდეგ დაიწყო დ. თევზაძის კამპანია ჩემს წინააღმდეგ, რომ როგორმე „შური ეძია". **ჩემი წიგნის განხილვაზე - ლიტერატურის ინსტიტუტში 1984 წლის იანვარში, შეურაცხმყოფელი სიტყვით გამოვიდნენ მამა - დავით თევზაძე, ვაჟიშვილი - დათო თევზაძე და ქალიშვილი თინანო თევზაძე.**

თავად პროფესორმა კი ფეხქვეშ გათელა თავისი სანაქებო ზომიერების პრინციპი, რასაც თურმე მხოლოდ სხვათათვის ქადაგებდა და განცხადებით მიმართა ჯერ ლიტერატურის ინსტიტუტის პარტორგანიზაციას, დირექტორს, ალმანახ „კრიტიკის" რედაქციას, შემდეგ - საქართველოს მწერალთა კავშირს, რამდენიმეჯერ - პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, მეცნიერებათა აკადემიას, კომკავშირის ცენტრალურ კომიტეტს, ისევ - „კრიტიკის" რედაქციას (როგორც კი რედაქტორი შეიცვლებოდა), ესაუბრა ჟურნალ-გაზეთების რედაქტორებს („მნათობი", „ცისკარი", „საქართველოს კომუნისტი"). არაერთხელ გამოვიდა ლიტერატურის ინსტიტუტის კრებებზე, **რათა მე, როგორც ანტისაბჭოური**

იდეების პროპაგანდისტი სამაგალითოდ დავესაჯეთ.

სტუდენტებიც გააწვალა: დაჯდებოდა და უკითხავდა ჩემს სალანძღავ სტატიას, რომელიც თანდათან მონოგრაფია გახდა!

შემდეგ **ვახტანგ პაპაშარელის** ფსევდონიმით გარდაბნის რაიონიდან ვრცელი წერილი გაუგზავნა „ლიტერატურული საქართველოს“ რედაქციას, სადაც სხვებზეც იყარა ჯავრი ჩემზე გაბრაზებულმა!...

ცხადია, მე დამემდურა და ხმას არ მცემდა, როგორც თავხედსა და ანტისაბჭოთა ელემენტს!

ბოლოსდაბოლოს, სამწლიანი ბრძოლის შემდეგ დავით თევზაძის წერილი ხელისუფლების ჩარევით მზის სინათლეს ეღირსა, როცა რედაქტორად **ელიზბარ ჯაველიძე** დანიშნეს, მე კი - რედკოლეგიიდან გამომიყვანეს.

წერილის რამდენიმე ვარიანტის ასლი მე ხელთა მაქვს და სინანულით უნდა ვთქვა, რომ თუმცა ამ ნაშრომის სრულყოფას წლები შეალია, იგი მაინც თავდაპირველ დონეზე დარჩენილა **(იხ. „ერთი რეცენზია-პასუხის“ გამო“, „კრიტიკა“, 1986, №6)!**

რადგან ჩვენ ბევრს ვდაობთ მითოსურ მოდელებზე, თავს ნებას მივცემ დ. თევზაძის ხანგრძლივი გარჯა, დახარჯული ფიზიკური ენერგია, რომელიც მთელი ტომის დასაწერად ეყოფოდა, სიფიზეს შრომად, ხოლო განცდა - **ტანტალოსის ტანჯვად** მოვნათლო.

ახლა იხილეთ ამ თეორემის მტკიცება.

***

1. ჩემს მოკრძალებულ **„რეცენზია-პასუხში“ „მიზანი და შედეგი“ („კრიტიკა“, 1983, №№3,4),** ვწერდი, რომ ავტორმა ვერ აგვიხსნა კრიტიკის არსი, ვერ გვიჩვენა კრიტიკის საგანი, არსებობენ დიდი კრიტიკოსები და თეორეტიკოსები და თუ რამე მართლა გვაქვს სადავო, პირველ რიგში მათ უნდა ვეკამათოთ: ამიტომ მივიჩნიე უსარგებლოდ კოჟინოვთან, კურილოვთან, პოსპელოვთან პაექრობა. ან რატომ უწოდებს მათ „სამეულს“. კუკრინიკსები არიან თუ რა!

ისიც აღვნიშნე, რომ ჩემი წიგნი **„კონსტანტინე გამსახურდიას პროზის სტრუქტურა“** არ განეკუთვნება კრიტიკის დარგს და ამდენად მისი განხილვა სავსებით ზედმეტი იყო, მაგრამ საჭირო აღმოჩნდა კონიუნქტურულ-პრაგმატული თვალსაზრისით, ხელისუფლების საამებლად.

2. მე ვწერდი, რომ სიმბოლიზმმა წარმოშვა უდიდესი ლირიკოსები, მათ შორის, ბუნებრივია, გალაკტიონიც დავასახელე. დ. თევზაძეს უკვირს, **„რა შუაშია აქ გალაკტიონიო“, „გალაკტიონი ცისფერყანწელი არ ყოფილაო“**. როგორც ეტყობა, პატივცემულ პროფესორს „ცისფერყან-

წელთა“ გარდა სიმბოლისტად არავინ მიაჩნია, „ცისფერი ყანწები“ სიმ-ბოლიზმის სინონიმი ჰგონია!

მანწკავა სულაც არ ფიქრობს ასეო!

ნუ დავაყენებთ საკითხს ასე ულმობლად - სიმბოლიზმი თუ მანწკავა, რადგან ძალიან დაიჩაგრება მანწკავა და დავით თევზაძის მაჟორული ჰანგები ვერაფერს უშველის!

3. დ. თევზაძე თვლის, რომ კრიტიკის ისტორიის საგანი არ შეიძლება იყოს, **„კრიტიკის სკოლები და მიმართულებანი, მათი კონცეფციები, მათი გამოჩენილ თეორეტიკოსთა შეხედულებანი, ტექსტის ინტერპრე-ტაციის მეთოდები“, „ქართული ვერლიბრის პრობლემები, ლექსის, რომანის, მოთხრობის, პოემის, ლიტერატურის დროსთან მიმართების, მხატვრული აზროვნების მოდიფიკაციის“** საკითხები და ა. შ.

გამოდის, რომ **კრიტიკის ისტორია მხოლოდ ლოზუნგების კოდექსი ყოფილა**, რომელსაც ესოდენ უხვად და დაუზარებლად გვაწვდის კიდეც დავით თევზაძე.

თამაზ წივწივაძის თქმისა არ იყოს, ეს ხომ ის უბანია, სადაც ჩვენს კრიტიკას არასოდეს უჭირდა!

4. პროფესორი მაინც დაჟინებით გვიმეორებს, რომ „არჩილი ქართული ლიტერატურული კრიტიკის ფუძემდებელიაო“ და იმოწმებს აკად. კ. კეკელიძეს, აკად. ალ. ბარამიძეს, პროფ. რ. ბარამიძეს, პროფ. ჯ. ჭუმბუ-რიძეს, თითქოს ასეთი რამ მათ მართლაც ეწეროთ თავიანთ გამოკ-ვლევებში. „სხვა მელექსეთა შემფასებელი“ (კ. კეკელიძე), „პირველი ბიბლიოგრაფიული კრიტიკულის მიმოხილვის ავტორი“ (ალ. ბარამიძე), „მომწიფებული კრიტიკოსი“ (ჯ. ჭუმბურიძე), „უაღრესად საყურადღ-ებო მოსაზრებების ავტორი“ (რ. ბარამიძე) რეცენზენტს „ფუძემდე-ბელი“ ჰგონია. ამას რომ წერდა „ვეფხისტყაოსნის“ პროლოგი როგორ არ გაახსენდა!

ისევ უნდა გავიმეორო: „ქართული კრიტიკის ფუძემდებელი არის ილია ჭავჭავაძე და ამ დამსახურებას ჩვენს დიდი მწერალსა და მოღვაწეს ნუ წავართმევთ“.

5. მე შევნიშნავდი, რომ კრიტიკის ისტორიკოსს არ უნდა გამორჩე-ნოდა მძაფრი პოლემიკა **კ. გამსახურდიასა** და **„ცისფერყანწელებს“** შორის (რომელიც 1921 წელს დაიწყო „სოციალისტ-ფედერალისტის“ ფურცლებზე და შემდეგ სხვა ჟურნალ-გაზეთებშიც გადავიდა), რადგან მასში მოექცა როგორც ნაციონალური, ისე ესთეტიკური პრობლემატი-კა. ამის პასუხად დ. თევზაძე წერს, ეს საკითხი განხილული მაქვს 84-85 გვერდზეო.

შევამოწმე და აღმოჩნდა, რომ იქ მსჯელობაა რაპპის მიმართებაზე „არიფიონისადმი“, ხოლო კ. გამსახურდია (ან რომელიმე „ცისფერყან-

წელი“) საერთოდ არ იხსენიება!

6. დ. თევზაძე არ გვეუბნება თუ რატომ არ იხსენიება 281 გვერდიან წიგნში, რომელიც ქართული საბჭოთა კრიტიკის ისტორიას მოიცავს, **ნოდარ ჩხეიძე**, ხოლო „სიყალბედ“, „უპასუხისმგებლობად“, „არასწორ ინფორმაციად“, წიგნის წაუკითხაობად თვლის ჩვენს შენიშვნას, რომ არაა სათანადოდ წარმოდგენილი **ს. ჭილაიას, რ. მიშველაძის, კ. იმედაშვილის** შეხედულებანი.

ამის საპასუხოდ ნათქვამია, რომ წიგნში მათი სტატიებიდან „ამონაწერები“ საკმაოდ მომაქვსო! მე შეხედულებანი, მათ მიერ წამოჭრილი საკითხები მაინტერესებს და არა ციტატები.

თურმე **ს. ჭილაიას** შრომები ციტირებული ყოფილა 120,186, 187, 201, 265, 267 გვერდებზე. შევამოწმე და აღმოჩნდა, რომ 120 გვერდზე ციტატა ეკუთვნის შ. დუდუჩავას, 265-ზე - სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას, ხოლო 267-ით იწყება „მითითებული ლიტერატურა“!

ამრიგად, ექვსი მითითებიდან სამი ყალბია!

მე თურმე ვერ შემინიშნავს **„რ. მიშველაძის ციტატა წიგნის 239-ე გვერდზე“**. ნამდვილად ვერ შევნიშნავდი, რადგან 239-ე გვერდზე ჩემი ციტატაა! სპეციალურად ჩავიკითხე „მითითებული ლიტერატურის“ სია, რომელიც 336 ერთეულს მოიცავს, მაგრამ ვერც იქ ვიპოვე რევაზ მიშველაძის რომელიმე სტატია! ამიტომ იძულებული ვარ ძველი შენიშვნა გადმოვწერო, რომ რ. მიშველაძის სახელი **„ორმოცდაათკაციან სიაში მოხვდა მხოლოდ“**. ხოლო **პ. შარია** უნდა ყოფილიყო მოხსენებული არა თანამედროვე, არამედ 40-იანი წლების კონტექსტში, არა როგორც თეორეტიკოსი, არამედ, როგორც ცენტრალური კომიტეტის მდივანი და აკადემიკოსი, რომელიც 1946 წელს საქართველოს მწერალთა ყრილობაზე მოხსენებით გამოვიდა. იგი ხომ რესპუბლიკაში იდეოლოგიური ატმოსფეროს ერთ-ერთი განმსაზღვრელი იყო.

7. დ. თევზაძეს ისევ ჰგონია, თითქოს ცალკეულ კრიტიკოსთა ანტილიტერატურულ პოზიციას არაფერი ჰქონია საერთო იმჟამინდელი **„იდეოლოგიური ხასიათის შეცდომებთან“**, რომ თითქოს ისინი თავიანთი ინიციატივით მოგვევლინენ **„საშიშარ ძალებად“**, რაც **„1937 წელს კულმინაციას აღწევს“**. ამგვარი მტკიცებით ავტორი ცდილობს ერთმანეთისაგან გათიშოს პარტიის პოლიტიკა და მხატვრული ლიტერატურა, რაც არა მგონია, რომ შეძლოს!

8. ჩემი აზრით, როცა განიხილავ **„კრიტიკის მიმდინარე პერიოდს“**, აქედან კიდევ ცალკე პერიოდი არ უნდა გამოყო (იხ. **„სამოცდაათიანი წლები“). „მიმდინარე პერიოდს“** კიდევ რაღა **„პერიოდი“** უნდა ჰქონდეს. ასე რომ ჩემი ლანძღვითა და განუსჯელი ციტირებებით არაფერი მტკიცდება.

9. აქ არ შევუდგები ჩემი მარადიული ოპონენტის დავით თევზაძის ფსიქოანალიზური ცოდნის აღნუსხვას, არც **კ. გამსახურდიას** მიმართების ჩვენებას „სიღრმის ფსიქოლოგიისადმი“. ამ საკითხს არაერთხელ შევეხე და ვფიქრობ საკმარისია **(იხ. „კონსტანტინე გამსახურდიას პროზის სტრუქტურა“, 1980, გვ. 56-66; „Лиф и логика“, 1984, გვ. 56-74; „აღთქმული ქვეყნის ძიება“, 1984, გვ. 364-365; „სიტყვა, როგორც ბედისწერა“, 1986, გვ. 158-173).**

როგორც ვატყობ, დ. თევზაძე ზოგ მათგანს არ იცნობს, თორემ გაქილიკებას ვინ დაასწრებდა. ცალკეული ფსიქოანალიტიკური მოდელები მე ადრეც განვიხილე **(იხ. „ლიტერატურული პრელუდიები“, 1974, გვ. 162-171)**, მაგრამ პატივცემულ პროფესორს აღარ ახსოვს. არადა ლიტერატურის ინსტიტუტში ამ წიგნის განხილვას 1975 წლის იანვარში თავად უძღვებოდა!

კონსტანტინე გამსახურდია ზიგმუნდ ფროიდს კარგად იცნობდა. ერთ დროს ესსეს დაწერასაც აპირებდა ავსტრიელ ფსიქოანალიტიკოსზე და ეს გამოაცხადა კიდეც **(იხ. „უკრაინის თემადი“, 1933)**, მაგრამ უკვე „მთვარის მოტაცებას“ წერდა და თავისი თვალსაზრისი ამ წიგნში გაშალა.

საინტერესოა, მე სხვა მრავალი საკითხიც განვიხილე, მაგრამ რატომ მათაც არ მიაქცია ყურადღება, ან რისთვის ამოიჩემეს ფსიქოანალიზი, რომლისადმი კ. გამსახურდიას მიმართებას ჩემს მონოგრაფიაში უკავია მხოლოდ 13 გვერდი!... იმიტომ ხომ არა, რომ თითქოს მოვითხოვდე „მთვარის მოტაცების“ გასწორებას. მე, ისევე როგორც **დ. სტურუა, კ: იმედაშვილი, ა. ბაქრაძე, გ. გაჩეჩილაძე,** მხარს ვუჭერ პირველ ვარიანტს, მაგრამ **„აღდგენა“ „გასწორება“** როდია, როგორც გვასწავლის პატივცემული მკვლევარი.

10. ისევ უნდა განვაცხადო: არც კ. იმედაშვილს, არც გ. გაჩეჩილაძეს არაფერი უწერიათ კ. გამსახურდიას ფროიდიზმთან მიმართებაზე. ამიტომ სრულიად ზედმეტია ციტირებანი და შაბლონური ტირადები: **„სწორედ ესაა ღია კარების მტვრევა!“... „კომენტარი მართლაც ზედმეტია“!.**

„მამათა“ და **„შვილთა“** ბრძოლა კი არაა **„ოიდიპოსის კომპლექსი“**, როგორც ჰგონია დ. თევზაძეს, არამედ - მისი ფსიქოანალიზური ინტერპრეტაცია. ეს რომ ასე არ იყოს, მაშინ სოფოკლეც ფროიდისტად უნდა ჩაგვეთვალა!

11. დ. თევზაძის აზრით, მე **„ფსიქოლოგიის ძირითად მიმართულებებსა და სკოლებს“** ვიცნობ მხოლოდ პროფ. **ვლადიმერ ნორაკიძის** წიგნით - **„ხასიათის ფსიქოლოგია და მხატვრული ლიტერატურა“**. ის კი დაავიწყდა, რომ მითითებული და ციტირებული მაქვს **ზ. ფროი-**

დის, ე. კრეჩმერის, გ. უელსის, ა. შეროზიას, დ. უზნაძის, ს. რუბინშტეინის, ს. ავერინცევის, რ. ვაიმანის, ვ. კაკაბაძის ნაშრომები, აგრეთვე - ფუნდამენტური კრებულები - „Бессознательное (ტ. I, II, III და IV), **„XX საუკუნის ბურჟუაზიული ფილოსოფია“** (თბ. 1970) და „Буржуазная философия XX века“ (1974). ზოგი მათგანის გამო ხომ თვითონვე მედავება!

შემდეგ წარმოდგენილია პარალელური ტექსტები ვლ. ნორაკიძისა და ჩემი წიგნიდან, რათა პლაგიატობაში ვემხილებინე. ის კი დაუმალა მკითხველს, რომ თავად ვლ. ნორაკიძის მსჯელობა არის პერიფრაზი ე. კრეჩმერის ნაშრომისა - „Строение тела и характер“. ამიტომ მე ორივე მათგანს იმავე გვერდზე ვუთითებ სქოლიოში **(იხ. კონსტანტინე გამსახურდიას პროზის სტრუქტურა“**, გვ. 74, „Миф и логика“, გვ. 328) - ავტორის, ნაშრომის, გამოცემის ადგილის, თარიღისა და გვერდის აღნიშვნით.

არც იმისი თქმა უნდა იყოს ზედმეტი, რომ მე გავეცანი ე. კრეჩმერის წიგნის 1924 წლის კიევურ გამოცემას და არა 1930 წლისას, რომელსაც უთითებს ვლ. ნორაკიძე.

12. ილიას პოლემიკა ნოე ჟორდანიასთან, არჩილ ჯორჯაძესთან, ივანე გომართელთან უფრო იყო „მამათა“ და „შვილთა“ ბრძოლა, ვიდრე კამათი ბ. ჯორჯაძესთან, რ. ერისთავთან ან გ. ბარათაშვილთან (ან თუნდაც 70-იანი წლების პოეტური პაექრობანი), რადგან გამოიკვეთა განსხვავებული იდეოლოგიური კონცეფციები, რომელთა შეჯახებამ განსაზღვრა საქართველოს მომავალი. ამიტომ ასეთ მნიშვნელოვან მოვლენაზე როგორ შეიძლება იძახდე, „ეს კურიოზიაო“, „აფერუმ შენს ლოგიკასო“.

გამოდის, რომ ან მართლაც ყრუ ხარ, ან თავს იყრუებ...

ასეთია პოლემიკური სტატიის **„მთავარი სიუჟეტური გრეხილი“**.

დავით თევზაძემ არ ისურვა მკითხველისათვის აეხსნა თუ რატომაა თარაშ ემხვარი **„კოსმოპოლიტი“**, კაც ზვამბაია რატომ **„ირჩევს სოციალიზმის გზას“**, რატომაა თარაში რომანის **„ცენტრალური პერსონაჟი“**, ხოლო არზაყანი **„მთავარი გმირი“**, რატომ არ ასახელებს თუნდაც ერთ ქართველ რევიზიონისტ - კრიტიკოსს, ვისი შენიშვნის შემდეგ დააბეჭდვინა **„შეცდომების გასწორება“**, ან კიდევ - თუ ინცესტი და მამისმკვლელობა აღარაა **„ოიდიპოსის კომპლექსი“**, სხვა რაღაა ან როგორღა მსჯელობენ ფსიქოანალიზის გავლენის შესახებ **ჯ. ჯოისის, თ. მანის, დ. ჰ. ლოურენსის, ო. ჰაქსლის ან ჟ. პ. სარტრის** ცალკეულ ნაწარმოებებზე!

რასაკვირველია, ასეთი ფსევდომეცნიერებისთვის უცხოა ყოველგვარი „გარდაქმნა“ და „განახლება“. თუმცა ახალ ტალღაზე წამი-

ერად გადაერთვებიან ხოლმე, ბევრს ქადაგებენ პროგრესზე, საქმით კი ცდილობენ არა XX საუკუნის აზროვნების მონაპოვართა ათვისებას, არამედ 30-40-იანი წლების შეხედულებათა რესტავრაციას, თანამედროვე ადამიანთა ფსიქიკისა და ცნობიერების გაყინვას გარდასული წლების დონეზე. მაგრამ **ჟამი რომ შეიცვლება, ფერს იცვლიან, როგორც კურდღლები შემოდგომაზე.**

***

დ. თევზაძის დასკვნით, ეკლექტურად გამიერთიანებია ცნებები, მიმართულებები, სკოლების პრინციპები, ისე, რომ „შედეგზე“ არ მიფიქრია, არ გამომიყენებია „მეცნიერული კანონები“. ამიტომ **კ. გამსახურდიას** გმირები „თვალსა და ხელშუა“ დამკარგვია, გატაცებული ვყოფილვარ „არქეოლოგიური გათხრებით“, მკითხველისათვის შემითავაზებია „სენსაციური აღმოჩენები“, გაუგებარი არქეტიპები და ჰიპოსტასები.

რამდენიმე წლის წინათ ასე არ ფიქრობდა დ. თევზაძე. აი, ნახეთ რა კარგად, რა დამაჯერებლად წერდა იგი:

„სოსო სიგუამ საბჭოთა ლიტერატურისმცოდენობაში პირველად მოგვცა განზოგადებული ნაშრომი დიდი ქართველი საბჭოთა მწერლის კონსტანტინე გამსახურდიას შემოქმედების შესახებ. იგი ფრიად ორიგინალური მოვლენაა ჩვენს ლიტერატურისმცოდნეობაში და თავის მხრივ ქართული საბჭოთა ლიტერატურისმცოდნეობის მაღალ დონეზე მიგვითითებს. განსაკუთრებით ყურადღებას იმსახურებს წიგნის თეორიული მხარე. კრიტიკოსის მიერ ლიტერატურულ-მხატვრული მოვლენები და ფაქტები გახსნილია თანამედროვე ლიტერატურისმცოდნეობის პოზიციებიდან, მთავარი დებულებები და მათი არგუმენტირება ძირითადად გასაზიარებელია. მთლიანად სოსო სიგუას დასახელებული გამოკვლევა აგებულია ახალ მეთოდოლოგიურ პრინციპებზე და ამ მიმართულებით ფრიად საყურადღებო მოვლენაა“ (დ. თევზაძე, ქართული საბჭოთა ლიტერატურული კრიტიკა, გვ. 236-237).

მაგრამ საკმარისი იყო გამომეთქვა რამდენიმე უწყინარი შენიშვნა, რომ ავტორმა რადიკალურად შეიცვალა თვალსაზრისი და თავს ბრალდებათა ქარიშხალი დამატეხა. განსაკუთრებით დაიწუნა წიგნის **„თეორიული მხარე“, „მთავარი დებულებები“, „ახალი მეთოდოლოგიური პრინციპები“**, ადრე რომ ესოდენ მოსწონდა.

არა მგონია, ასეთი სალტო-მორტალე უხდებოდეს ხანდაზმულ

პროფესორ დავით თევზაძეს, რომლის სახელი მკითხველი საზოგადოებისათვის ცნობილი გახდა მხოლოდ ჩემი კრიტიკული წერილის წყალობით!...

„კრიტიკა“, 1987, №1

P. S. პოლემიკური წერილი „კრიტიკის“ რედაქციის თანამშრომელმა ნოდარ გრიგალაშვილმა საგრძნობლად შეამცირა და ამიტომ შეკვეცილი სახით დაიბეჭდა.

ტირაჟების თუ პოეზიის წინააღმდეგ?

თავიდანვე მინდა შეგახსენოთ:

სუსტ ლექსს თუ პოემას ყოველთვის ებრძოდნენ, მაგრამ მწერლობის უდიდესი ნაწილი მუდამ მოსაწყენი იყო.

მით უმეტეს ებრძოდნენ ერზაცლიტერატურის ტირაჟირებას.

ჩემი აზრით, ლიტერატურაში მავნებელი მცდარი ტენდენცია ან ნიჭიერად ხორცშესხმული უვარგისი კონცეფცია უფროა, ვიდრე ნაცრისფერი წიგნები.

მაგრამ აზროვნების პროცესი გულისხმობს საუკეთესო ნიმუშთა გამორჩევასა და დამკვიდრებას, მდარე თხზულებების მოცილებას.

ფელიქს კოჟიაშვილის წერილიც - **„ფიქრები პოეზიაზე“** („წიგნის სამყარო“, 1987, 23.IX) თითქოს ასეთივე პათოსითაა დაწერილი. მაგრამ არსებითად კრიტიკის მახვილი მიმართულია თანამედროვე ქართული პოეზიის წინააღმდეგ.

ეტყობა, ეს ავტორსაც უგრძვნია და ეჭვის გასაფანტავად გვეუბნება, მთლად ასე ნუ გამიგებთო!

იგი თითქოს იმიტომ წუხს, რომ ყველგან, ცენტრში თუ პერიფერიებში, წიგნის მაღაზიები გამოტენილია პოეტური კრებულებით. თვეობით, წლობით **„წვანან და ელიან მყიდველს ჩაზნექილ თაროებზე ცუდი, საშუალო, კარგი წიგნები“**.

თურმე მაღაზიების მუშაკები საქმეს ვერ აუდიან. **„კაი პროზის“** დამატებად ასაღებენ ლექსების წიგნებს. მაგრამ რად გინდა - **„ყოველდღე უხვად შეაქვთ შარშანდელი, გასული თვის გამოცემების ახალი გამოცემები“.**

ფაქტის დასამტკიცებლად ფ. კოჟიაშვილს შეუმოწმებია თბილისში „საქწიგნის“ სამი მაღაზია:

ჯერ № 7 მაღაზიას სწვევია და იქ უნახავს **გივი ძნელაძის** სამი და **გივი ალხაზიშვილის** და **ჯარჯი ფხოველის** ორ-ორი კრებული, გამოცე-

მული 1986-1987 წლებში. მაგრამ დავიწყნია, რომ ეს მაღაზია სამეცნიერო-ტექნიკური ლიტერატურით ვაჭრობს და, გარდა ამისა, რემონტის გამო რამდენიმე თვის წინ დაიკეტა.

„ჩირაღდანში“ იყიდება გ. ალხაზიშვილის ერთი და ჯ. ფხოველის ორი წიგნი. ხოლო „საუნჯეში“ აქვთ გ. ძნელაძის ორი და გ. ალხაზიშვილის ერთი წიგნი. ჯ. ფხოველის წიგნები კი გაყიდული აღმოჩნდა (24 სექტემბრის მონაცემებით).

ამრიგად, ავტორი ატყუებს საზოგადოებას. მართალიც რომ იყოს, განა რამდენიმე პოეტის მიხედვით შეიძლება მსჯელობა მთელს პოეზიაზე?

ბევრი ვეძებეთ, მაგრამ წიგნის მაღაზიებში ვერ ვიპოვეთ „შარშანწინდელი“ პოეტური კრებულები.

ხოლო **„გასული თვის გამოცემების ახალი გამოცემები“** ზღაპრების სფეროს განეკუთვნება - ერთი წიგნი ქართულ ენაზე წელიწადში მხოლოდ ერთხელ შეიძლება გამოიცეს (გარდა „ვეფხისტყაოსნისა“).

ასეთია ჩვენს ქვეყანაში დაწერილი თუ დაუწერელი საგამომცემლო კანონი, რაც ყველა მწერალმა მშვენივრად იცის.

ფ. კოჟიაშვილს განსაკუთრებით აწუხებს „სხვადასხვა ადრე გამოცემული კრებულების საფუძველზე შედგენილი ახალი, უფრო სრული კრებულები“, „რჩეულები და რჩეულის რჩეულები“, რომელთაც მყიდველი არა ჰყავთ.

მათი ავტორები თურმე გამუდმებით **„იწვიან შემოქმედების ცეცხლში“**, მაგრამ არა პოეზიის, არამედ - ჰონორარის სიყვარულით.

გ. ძნელაძე, გ. ალხაზიშვილი, ჯ. ფხოველი არ არიან გამომცემლობების მიერ ისე განებივრებულნი, რომ ყოველწლიურად ბეჭდონ „სრული კრებულები“ ან „რჩეულის რჩეულები“.

მაშ ვინ არიან ეს პოეტები?

ავტორი არ გვიმხელს. ამიტომ მე დავასახელებ იმ პოეტებს, რომელთაც რამდენჯერმე გამოსცეს „სრული კრებული“ თუ“რჩეული“ **- კ. ნადირაძე, ი. აბაშიძე, გრ. აბაშიძე, ხ. ბერულავა, ო. ჭელიძე, მ. ლებანიძე, მ. მაჭავარიანი, შ. ნიშნიანიძე, ჯ. ჩარკვიანი, ტ. ჭანტურია, ო. ჭილაძე...**

აი, თურმე ამ ავტორების წიგნები არ იყიდება, არ იყიდება, რადგან რესპუბლიკა **„პოეზიის კრიზისს“** მოუცავს. წიგნები მაღაზიის თაროებზე ყვითლდება, მათი ავტორები კი ახალ-ახალ ტომებს მაინც სცემენ; საბედნიეროდ, თბილისის წიგნის მაღაზიებში დასახელებული პოეტების „რჩეულები“ თუ „სრული კრებულები“ არ აღმოჩნდა.

გამოდის, რომ ფ. კოჟიაშვილი არ ამბობს სიმართლეს: „რჩეულები“ და „სრული კრებულები“ სწრაფად იყიდება (რამდენიმე გამონაკლისის

გარდა). მაშ რა აწუხებს ავტორს? ჰონორარი! ამიტომ მოითხოვს, რომ წიგნები ელვის სისწრაფით გაქრეს თაროებიდან, არადა - არ გამოიცეს. საერთოდ, წიგნის გაყიდვა არ არის შეფასების კრიტერიუმი. ამ ფაქტის მიხედვით არავითარ „პოეზიის კრიზისზე“ არ შეიძლება ლაპარაკი, ისევე, როგორც არაფერს ნიშნავს რომელიმე დეტექტივის ბუმი. ავტორი ირონიით შენიშნავს, რომ თავს ვიწონებთ ტირაჟებით, ვწერთ პოეზიის არნახულ აყვავებაზე, ნამდვილად კი კრიზისისა და დაცემის ჟამი გვიდგას!

თურმე ყველა „გავლენიანი“, „ცნობილი“ თუ „გამოჩენილი“ პოეტი ფულის შოვნის წყურვილს შეუპყრია:

„აღარ დაეძებს, აქვს თუ არა რაიმე სათქმელი, ცდილობს რაც შეიძლება ბევრი და სწრაფად თქვას. ამბობს კიდეც, უფრო სწორად, „უმღერის“ ყველას და ყველაფერს, რაც კალმის წვერზე მოადგება! სად სცალია ნაწერის დახვეწა-გამართვისათვის! მელანს შეშრობასაც არ აცლის და რედაქცია-გამომცემლობებში მიარბენინებს! რას იზამ, ცდილობს, სანამ „თონე ცხელია“, მოასწროს და მორიგი „ციკლები“ და წიგნები „გამოაცხოს“, რომელ შთაგონებაზე და აღმაფრენაზე, შემოქმედებით „წვასა“ და „ტანჯვაზე“, „გულში გამოტარებასა“ და „ტვინში გადახარშვაზე“ შეიძლება ამ დროს ლაპარაკი?“

ეს ყოველივე ნათქვამია „გავლენიან“, „ცნობილ“, „გამოჩენილ“ პოეტებზე, რომელთაც ბაძავენ „ახალგაზრდა პოეტები“, რადგან ამგვარი სენი გადამდები ყოფილა. ამ კონტექსტში მიჭირს, კონკრეტულად დავასახელო „გავლენიანი“, „ცნობილი“, „გამოჩენილი“ პოეტები, რომელთაც სიცოცხლის მიზნად დასახული ჰქონიათ პოეზიით ბიზნესი და ამ მიზანს შეწირვიან კიდეც!

შემდეგ, ეტყობა, წერილის ავტორი შეფიქრიანდა და დაუმატა, ჩემი ნათქვამი „ყველა პოეტს“ არ ეხება, მაგრამ **„საერთო ტენდენცია“** მაინც ასეთიაო! „ყველა პოეტს“, რა თქმა უნდა, არ ეხება, „ყველა პოეტი“ ტირაჟებით არ იბეჭდება, რადგან კარგად იციან გამომცემლობების ხელმძღვანელებმა, რომ პოეტების დიდი ნაწილი მასობრივი ტირაჟით ვერ გამოიცემა. მაგრამ „საერთო ტენდენციას“ ხომ სწორედ „ცნობილი“ და „გამოჩენილი“ პოეტები ქმნიან და არა პროცესის თანამგზავრი ავტორები!

გამაღიზიანებელია მსჯელობის ტონიც. ასეთი სიძულვილით ჩვენი პრესა მექრთამეებზე, ქურდებსა და რეციდივისტებზეც არ წერს. ეტყობა, ფ. კოჟიაშვილის თვალში პოეტები უფრო დიდი დამნაშავენი არიან, ალბათ შამილის სასტიკი კანონიც ამიტომ გაიხსენა (სხვათაშორის, სხვისი მიბაძვით).

როგორც ირკვევა, ფ. კოჟიაშვილი ტირაჟების კი არა, თანამედროვე

ქართველი პოეტების მტერი ყოფილა!

პოეზიას რომ ანგარიში გაუსწორა, შეეცადა ლიტერატურის ისტორიაშიც შეეტანა „სინათლე“: არ მოსწონებია ერთი აბზაცი ჩემი წიგნიდან, **- „სიტყვა, როგორც ბედისწერა“ (ერთი ლიტერატურული „რეცეპტის“ გამო, „ლიტერატურული საქართველო“, 1987, 25.IX).** ეს ერთი აბზაცი რამდენიმე ნაწილად დაუყვია, ცინიკური კომენტარები დაურთავს. ხოლო ზოგი წინადადება, რომელიც ხელს არ აძლევდა, ამოუღია.

იძულებული ვარ აღვადგინო ჩემი მსჯელობა:

„ხომალდში“დაიბეჭდა ლეო ქიაჩელის რამდენიმე ნაწარმოები. მოხდა ისე, რომ „ტარიელ გოლუას“ ავტორი, რომელსაც უკვე საკმაოდ ჰქონდა სახელი მოხვეჭილი, აჰყვა ახალგაზრდულ ცთუნებებს. რომანის ავტორი მინიატურების, ჩანახატების, ესკიზების მსუბუქმა სტილმა გაიტაცა, ლამის სანდრო ცირეკიძეს დაემგვანა. ოღონდ იმ განსხვავებით, რომ აკლდა ესთეტიზმი, ფრაზის არტისტიზმი. ამიტომ მისი იმჟამინდელი ნაწერები ხელოვნური და ყალბი გვეჩვენება. „ტარიელ გოლუა“ რეალურ გარემოს წარმოგვისახავდა, ეპოქის პანორამას გვისურათებდა. მართალია, იგი არ იყო ისეთი დიდმნიშვნელოვანი ქმნილება, როგორც ერთდროს ეჩვენებოდათ, მაგრამ ისიც აშკარაა, რომ პროზის დევალვაციის, საერთო დეკადანსის ფონზე აშკარად გამოიკვეთა... შემდეგ დეკადანსის ფრთების შხუილი ლეო ქიაჩელის პროზაშიც შემოიჭრა, მაგრამ ალბათ არცერთი სხვა ქართველი მწერლისათვის არ ყოფილა ესოდენ უცხო დეკადენტურ-მოდერნისტული სტილი, თემები, იდეები, როგორც მისთვის და ალბათ ისე არავინ დაზიანებულა მიბაძვით, სიახლეთა ძიებით, როგორც ლეო ქიაჩელი (ეს ფაქტი სავსებით სწორადაა შენიშნული ჩვენს ლიტერატურისმცოდნეობაში“ - გვ. 261-263).

მინიატურებით, ჩანახატებით და ესკიზებით გატაცების წინააღმდეგ არაერთი მწერალი ილაშქრებდა. მკითხველს შევახსენებ **კ. გამსახურდიას** მიერ „ტარიელ გოლუაზე“ დაწერილ რეცენზიას („სახალხო საქმე“, 1918, 8.IV), რომელშიც **„ესკიზ-ნოველები“, „ეს ამერიკული მანერა და ჟანრი წერისა“, „ზეზე საკითხავი ნაწერები“** მკაცრად არის გაკრიტიკებული: **„დაიწერა მთელი რიგი ნიჭიერ და უნიჭო ესკიზებისა და ნოველებისა, რომელთაც არც კულტურული არც არტისტული ღირსება თვით უახლოეს მომავლისთვის აღარ ექნებათ“**. ამ ტენდენციის საპირისპირო მოვლენად მიჩნეულია **„ტარიელ გოლუა“** - ეპიკური ნაწარმოები.

არც ის იქნება ურიგო, ვიცოდეთ, რომ ლეო ქიაჩელი „ტარიელ გოლუას“ გამოქვეყნების შემდეგ (დაიბეჭდა „სახალხო ფურცელში“, 1916 წელს) კარგა ხნით თითქმის ჩამოსცილდა ლიტერატურას. იგი იყო დამოუკიდებელი საქართველოს პოლიტიკური ცხოვრების აქტიური მონაწილე. მწერლობას მთელი ძალით მიუბრუნდა 1921 წლიდან.

მაგრამ გააგრძელა არა რეალიზმის ხაზი, არამედ გაიტაცა დეკადენტურ-მოდერნისტულმა სტილმა და მოტივებმა.

ამის გამო წერდა **ბ. ჟღენტი**: **„ასე შორდებოდა მწერალი საზოგადოებრივი სინამდვილის, ხალხის სასიცოცხლო ინტერესებისა და სულიერ მისწრაფებათა სამყაროს. მწერალი გამოუვალი შემოქმედებითი ჩიხისაკენ მიექანებოდა“ (მწერლობა და თანამედროვეობა“, 1976, გვ. 317)**.

მართალია, დღეს სხვაგვარად ვაფასებთ დეკადენტურ და მოდერნისტულ ნაწარმოებებს, მაგრამ ეს არ ნიშნავს ამგვარი ნიშნებით აღბეჭდილი ყოველი ლექსი თუ მინიატურა მოვიწონოთ. რაც შეეხება „ესთეტიზმს“ და „არტისტიზმს“, ეს თვისებანი ყველაზე მეტად XX საუკუნის ქართულ მწერლობაში გამოავლინეს **გ. ტაბიძემ, კ. გამსახურდიამ, გრ. რობაქიძემ**, მაგრამ ამ მიზეზით ისინი, გარდა ფ. კოჟიაშვილისა, არავის დაუწუნებია. რეცეპტი - **„ბლომად ესთეტიზმი“** და **„მეტისმეტი არტისტიზმი“** ეკუთვნის ფ. კოჟიაშვილს. ასეთი სინტაგმები მე არ მიწერია.

მან მკითხველს ისიც დაუმალა, რომ განვიხილე ლ. ქიაჩელის სამი ნაწარმოები და ბოლოს აღვნიშნე: მწერალი **„ეპიკოსი იყო და იმარჯვებდა იქ, სადაც მძაფრ ფაბულას შლიდა, ხასიათებს კვეთდა, სინამდვილის მართალ სურათებს გვიჩვენებდა“** (გვ. 268, ხოლო „ტარიელ გოლუას“ სხვადასხვა მიზეზთა გამო, ერთ დროს მართლაც უფრო ექცეოდა ყურადღება. ეს ფაქტია და თუ ფ. კოჟიაშვილს არ უნდა — ნუ დაიჯერებს.

„ტარიელ გოლუა“ კარგი ნაწარმოებია, მაგრამ არა „დიდმნიშვნელოვანი ქმნილება“, ე.ი. შედევრი, „ჰაკი აძბას“, „ალმასგირ კიბულანის“, „თავადის ქალი მაიას“, „გვადი ბიგვას“ ტოლფარდი თხზულება. ჩემი აზრით, ეს ოთხი ნაწარმოებია მწერლის საუკეთესო ქმნილებანი. სწორედ „პროზის დევალვაციისა“ და „საერთო დეკადანსის“ ფონზე გამოიკვეთა რეალისტური რომანი „ტარიელ გოლუა“, თორემ 30-იან წლებში რომ დაწერილიყო, გაცილებით ნაკლები რეზონანსი ექნებოდა.

მინიატურა და ესკიზი ლამის სათაურამდე დაიყვანა და ამ ტენდენციის თეორიული გამართლება სცადა **ს. ცირეკიძემ**. მაგრამ მე არც ის მიწერია, თითქოს **ლ. ქიაჩელი** დაესესხა მას ესთეტიზმსა და არტისტიზმს ან თუ დაემსგავსებოდა - კარგი იქნებოდა.

„ლიტერატურული საქართველო“, 1987, 30 ოქტომბერი.

პასუხი ახალგაზრდა კრიტიკოსს

დღეს მრავალი ჟურნალ-გაზეთი გამოდის. იწერება და უხვად იბეჭდება ტყუილ-მართალი, არა მხოლოდ პოლიტიკოსებზე - მწერლებსა და ლიტერატორებზეც. ყველა მათგანის წაკითხვა შეუძლებელია და არც ღირს. მაგრამ **როსტომ ჩხეიძე** იმდენად პატივსაცემი პიროვნებაა, რომ, როცა იგი აქვეყნებს ჩემზე პოლემიკურ სტატიას, თავს ვალდებულად ვთვლი, ყურადღებით წავიკითხო და უპასუხოდ არ დავტოვო.

მე მაინტერესებს საკითხის არსი და თუ შევცდი, რატომ არ უნდა გამოვასწორო, მით უმეტეს მაშინ, როცა **ეკა ცხადაძეს** გაუკრიტიკებია არა ჩემი რომელიმე წიგნი, არა რომელიმე ნაშრომი, არამედ - ერთი ინტერვიუს სამი წინადადება **(იხ, „არის „გველის პერანგი“ გაჯიბრება „დიონისოს ღიმილთან?“, „ჩვენი მწერლობა“, 2003, 4-10 ივლისი)**!

სიმართლე რომ გითხრათ, არ ღირდა ამ სამი წინადადების გამო თავის შეწუხება, მაგრამ რადგან გაისარჯა ახალგაზრდა კრიტიკოსი, მაინც მინდა მადლობა ვუთხრა, თუმცა უფრო მადლობელი ვიქნებოდი თუ ჩემს წიგნებსაც გადახედავდა!

წაკითხული რომ ჰქონოდა, იქნებ ეს სტატიაც უფრო საინტერესო გამოსვლოდა! ანდა - სულაც არ დაეწერა! როგორც მოგახსენეთ, ყველაფრის წაკითხვა არ შეიძლება, მაგრამ, თუ სპეციალისტი ხარ, იმ ავტორის ნაშრომები მაინც უნდა წაიკითხო, ვისაც ედავები, და ედავები ისეთ საკითხებზე, რომლებიც დეტალურად აქვს განხილული!

რა იცი, იქნებ სადავო და საკამათო უფრო მეტი აღმოჩნდეს, ვიდრე გგონია!

***

წინადადება პირველი:

„კონსტანტინე გამსახურდია პირველ რიგში დაუპირისპირდა გრიგოლ რობაქიძეს, რომელიც იყო ქართული მოდერნიზმის პირველი იდეოლოგი, ამხილა მისი რუსოფილობა“.

კრიტიკოსს არასერიოზულად მიაჩნია მსჯელობა გრ. რობაქიძის „რუსოფილობაზე“, რომელმაც ლექციების კითხვა რუსულად დაიწყო რუსეთის კოლონია საქართველოში, რომელსაც როგორც პირველი, ისე მეორე მეუღლე და შვილობილი რუსი ჰყავდა...

სამწუხაროდ, ეკა ცხადაძე არა მხოლოდ ჩემს წიგნებს, კ. გამსახურდიას პოლემიკურ სტატიებსაც არ გასცნობია, რომელთაც ბეჭდავდა მწერალი 1921-1922 წლებში.

ესენი გახლავთ - **„პოეზიის დღე“, „თქვენ უსწავლელნო, ცრუ რუსთაველნი“, „S acuse“, „ჩვენი კულტურპოლიტიკა“, „პასუხად ბახტრიონს“** და სხვ.

ეს წერილები რომ წაეკითხა, კ. გამსახურდიას „არასერიოზულობას“ არ დააბრალებდა და ცილისმწამებლად არ გამოიყვანდა!

კ. გამსახურდია იმ წლებში გრიგოლ რობაქიძეს და „ცისფერყანწელებს“ ბრალად სდებდა რუსოფილობას, რაც სავსებით სწორია და მტკიცებულებას არ უნდა საჭიროებდეს ლიტერატურის ისტორიკოსისათვის.

თავად განსაჯეთ:

გრიგოლ რობაქიძე, რომელიც **ნოე ჟორდანიას** კანცელარიაში მუშაობდა და მასზე დითირამბს წერდა, 25 თებერვლის შემდეგ, გლოვის ან ბრძოლის ნაცვლად, მოულოდნელად დადგა გამარჯვებული ბოლშევიკების გვერდით!

ბოლშევიკებმაც მყისვე დააფასეს:

დაუნიშნეს პენსია და ჩააბარეს ხელოვნების კომიტეტი!

შემდეგ, როცა კონსტანტინე გამსახურდია სასჯელს იხდიდა სოლოვკის არქიპელაგზე, იგი იყო მწერალთა კავშირის თავმჯდომარის მოადგილე, ხელისუფლებისათვის სასურველი პიროვნება.

აქ ვინმეს ავტორიტეტი არაფერ შუაშია. ავტორიტეტებს თავად ბოლშევიკები იგონებდნენ და ქმნიდნენ. მათ არავისთან რევერანსი არ სჭირდებოდათ! ისინი სცნობდნენ მხოლოდ თავიანთ აპოლოგეტებს!

„წითელ რუსეთთან დაძმობილებისა“ და ეროვნული უპრინციპობის გამო აკრიტიკებდა კ. გამსახურდია როგორც გრ. რობაქიძეს, ისე ტ. ტაბიძესა და პ. იაშვილს, რომელიც თეთრი ცხენით შეეგება საქართველოს დამამხობელ XI არმიას, თუმცა ორიოდე კვირის წინათ დემონსტრაციას მართავდა საქართველოს დე-იურედ ცნობის აღსანიშნავად! ხოლო ტიციან ტაბიძე ბეჭდავდა წერილს „გამარჯვებული თფილისი“ ბოლშევიკი ოკუპანტების წინააღმდეგ. სამწუხაროდ, მათ პოზიცია უეცრად შეიცვალეს:

გრ. რობაქიძე და ცისფერყანწელები ამ საშინელ დროს აცხადებდნენ - ჩვენ ესთეტური ხალხი ვართ, პოლიტიკაში არ ვერევითო!

ამიტომ წერდა ასე გულდაწყვეტით კონსტანტინე გამსახურდია:

„რობაქიძეები ხელოვნებისთვის კი არ ცხოვრობენ არამედ - ხელოვნებით“, „არც წარსულში დამიწერია პრეზიდენტის პორტრეტები და არც აწი ვიკადრებ ამა ქვეყნის ძლიერთა წინაშე მლიქვნელურ ექსპრომტების თქმასა და მუცელზე ხოხვას“. იმასაც შენიშნავდა, ვერ იქნა და ვერ იგრძნო გრიგოლ რობაქიძემ ქართული ნიადაგიო (იხ. „მარტვილი და ალამდარი“, ტ. III, 2003 წ., გვ. 116-119, 137-138 149-

152, 235-236; „ქართული მოდერნიზმი“, 2002, გვ. 138-143 და ა.შ.).

1922 წლის 9 ოქტომბერს **გრ. რობაქიძემ** წერილით მიმართა **კოტე მაყაშვილს** - მწერალთა კავშირის თავმჯდომარეს, რათა **გამსახურდიას** მისთვის თავი გაენებებინა.

გრ. რობაქიძემ მძიმედ განიცადა 1924 წლის აგვისტოს ტრაგედია. ამის შემდეგ იცვლება მისი დამოკიდებულება ეროვნული პრობლემისა და ბოლშევიკებისადმი - **ესთეტიზმს ერთვის ნაციონალიზმი.**

ამის შედეგად კი იწერება **„ლამარა“** და **„გველის პერანგი“** - მწერლის მთავარი თხზულებანი.

ამიტომ არის აუცილებელი, რომ თვალი გავადევნოთ მწერლის მსოფლმხედველობრივ ევოლუციას, რომლის ყოველი ეტაპი შეიძლება არ იყოს თანაბრად მისაღები და მოსაწონი!

წინადადება მეორე:

„ხოლო გრიგოლ რობაქიძის „გველის პერანგი“ არის „დიონისოს ღიმილთან“ გაჯიბრება, ამ რომანის პესიმისტური ნაციონალიზმის დაძლევა, მისი შეცვლა ოპტიმისტური ნაციონალიზმით“.

ეკა ცხადაძე განსაკუთრებით მრავალსიტყვაობს „პესიმისტური ნაციონალიზმისა“ და „ოპტიმისტური ნაციონალიზმის“ გამო, **„გაუგებარია ნაციონალიზმთან პესიმიზმისა და ოპტიმიზმის მისადაგებაო“.**

ახლა გასაგებად მოგახსენებთ:

პესიმიზმს, სევდასა და კაეშანს მხოლოდ ქალის სიყვარული როდი წარმოშობს!

სამშობლოს ბედზე ფიქრმა, ქვეყნის კატასტროფამ და გამოუვალმა სიტუაციამაც შეიძლება ადამიანი დეპრესიამდე მიიყვანოს!

ზოგი ამის გამო თავსაც კი იკლავს!

„როცა სამშობლო აღარ არსებობს, ღირსეული მოქალაქე უნდა მოკვდეს“, - ამბობს ნაპოლეონი.

კონსტანტინე სავარსამიძე არის დამარცხებული ნაციონალისტი, თავისი გვარის „უკანასკნელი რაკეტა“, რომელსაც შვილი არ ეყოლება, ე.ი. მთავრდება იმ გვარის ისტორია, რომელიც XI საუკუნიდან საქართველოს ბჭეს იცავდა.

ეს თამარის ორდენის კავალერი, რომელსაც შვიდი ენა შეუსწავლია, შვიდი ქვეყნის ცხოვრება შეუცვნია, თანამოძმეთათვის, რომლებიც „მალინა, მალინას“ გაიძახიან, უცხოა და მიუღებელი:

„ძმებო, დაგვიქციეს საქართველო ქვიშასავით ურიცხვმა მტრებმა, დაცარცვეს ჩვენი წინაპრების სალოცავები, წაგვართვეს ჩვენი წინაპრების მიწები და უცხო ნათესავი ჩამოგვითესლეს.

შეგვირყვნეს ენა - ჩვენი მამა-პაპის წმიდათაწმიდა, დაგვინგრიეს

ოჯახი, გაგვიბახეს შჯული და თავიანთი ჯარების საჯირითოდ გაიხადეს ჩვენი ქვეყანა. გვიშველეთ, ძმებო, და გავრეკოთ რისების (რუსების, ს.ს.) ხენწიფის ჯარები ჩვენი საქართველოს საზღვრებიდან. ავაფეთქოთ ხიდები, ყაჩაღებივით დავუხვდეთ თემშარებზე, ცეცხლში გავხვიოთ მთელი საქართველო, რადგან ჩვენი საქართველო ან ჩვენ უნდა გვეკუთვნოდეს, ან და არავის...

ჯალაღანიებმა, შამახიებმა და ალანიებმა, ჩემმა მეზობლებმა, კინაღამ მომკლეს, ბაბა. ჩემთვის დედა ჯერ არავის შეუგინებია, მათ სულ რუსულად მაგინეს. მერმე რისების ხენწიფის დიდება იმღერეს, ბაბა, ალანიებმა და ჯალაღანიებმა“...

ამიტომ არის სავარსამიძის ნაციონალიზმი პესიმისტური.

ახლა რაც შეეხება **„გველის პერანგის“ „ოპტიმისტურ ნაციონალიზმს“**: არჩიბალდ მეკეში მოძებნის თავის ძირებს, თავის სამშობლოს, დაიბრუნებს ნამდვილ გვარს, შეირთავს ქართველ ქალს და ეყოლება შვილი, ე.ი. გაგრძელდება ქართული ჯიში.

ეკა ცხადაძეს მინდა ვკითხო:

თუ ტრაგედია შეიძლება იყოს ოპტიმისტური, ნაციონალიზმმა რა დაგიშავა?

ისე სასაცილოა, ვინმე მიხსნიდეს **„პროვინციული ფაშიზმის“** არსს მე, რომელსაც, ამ იარლიყით ბრალდებულს, არაერთი მწარე დღე გადამიტანია!

1945 წლიდან გრიგოლ რობაქიძეც პესიმისტი ხდება, უქრება ძველი პათოსი და მხნეობა და დეპრესია ეუფლება.

ახლა **„გაჯიბრების“** გამო:

ახალგაზრდა კონსტანტინეს გრიგოლი **„ბარბაროსს“** ეძახდა და ნამდვილი კამათის ღირსად არ სცნობდა. მაგრამ თავად კონსტანტინეს შეეცვალა თვალსაზრისი უფროსი კოლეგისადმი, როცა სცენაზე იხილა **„ლონდა“**.

ამ დრამაზე მან ორი საქებარი წერილი დაბეჭდა თავის „ილიონში“ - კოკი აბაშიძისა და ირაკლი ტატიშვილისა. თავად კონსტანტინეს **მისტერია „გარსი მარადიც“ „ლონდათი“ უნდა იყოს შთაგონებული.**

ამის შემდეგ მათ შორის დაძაბულობა შენელდა. არც ერთმანეთს ახსენებდნენ უკეთურად.

კონსტანტინემ სცადა თეატრთან და მარჯანიშვილთან დაახლოება, თუმცა ამაოდ. 1924 წლის სექტემბერში განმეორებით ჩასვეს მეტეხის ციხეში და მაშინ პირობა მისცა თავის თავს, თუ ცოცხალი გადარჩებოდა, დაეწერა ის რომანი, რომლის იდეა წლების მანძილზე არ ასვენებდა.

„დიონისოს ღიმილი“ საკმაოდ სიმბოლისტური წიგნი აღმოჩნდა,

თუმცა კონსტანტინე მუდამ აკრიტიკებდა სიმბოლისტურ პესიმიზმს, ჰიპოხონდრიასა და დეკადენტურ მოტივებს.

ამ რომანის გამოჩენას „ცისფერყანწელები“ უარყოფითად არ შეხვედრიან. „დიონისოს ღიმილი“ მათთვის სრული მოულოდნელობა იყო. ამის შემდეგ კონსტანტინეს არავინ ეძახდა ხელმოცარულ მწერალს. ხოლო რამდენიმე თვის შემდეგ დააპატიმრეს კიდეც.

„გველის პერანგი“ - გრიგოლ რობაქიძის პირველი რომანი, დაიწერა როგორც „დიონისოს ღიმილის“ იდეური უარყოფა, 1925 წლის შემოდგომაზე.

მათ აქვთ საერთო, სპეციფიკური პრობლემები და თემები: უცხოეთში განსწავლა, უცხოეთიდან სამშობლოში დაბრუნება, გვართა მისტერია და გაგრძელების იდეა, ასახული დრო, პირველწინაპარი და არქეტიპი, სპარსული მოტივები, ოიდიპოსის მოდელი, ნიცშესეული ძლიერი პიროვნება, უცხო ქალთა უარყოფა, მთავარი პერსონაჟი - ხელოვანი და ა.შ.

მაგრამ გრიგოლ რობაქიძემ სხვაგვარად დაინახა ნაციონალური პრობლემატიკა, ქვეყნისა და გვარის მომავალი, დაინახა ოპტიმისტურ პლანში.

ეს განსხვავებული გააზრება ქმნის ილუზიას, რომ თითქოს ამ რომანებს ერთმანეთთან არაფერი აკავშირებთ!

სხვათა შორის - „დიონისოს ღიმილში“, მთელს ქართულ ლიტერატურაში პირველად იხსენიება **„ასპიტის გამხმარი პერანგი“**, „გველის პერანგი“

წინადადება მესამე:

„მოგეხსენებათ, გრიგოლ რობაქიძე არარაობად მიიჩნევდა „დიდოსტატის მარჯვენასაც“ კი, მაგრამ აღფრთოვანებული დარჩა „დავით აღმაშენებლის“ პირველი წიგნით და ეს წერილობით გამოხატა“.

ეკა ცხადაძე რომ ჩემს წიგნებს გასცნობოდა, შეიძლება დახსომებოდა ეს წინადადება:

„გრიგოლ რობაქიძეს „ბელადი“ არარაობად მიაჩნდა, ისევე როგორც „დიონისოს ღიმილი“, არც „დიდოსტატის მარჯვენა“ მოსწონდა (გრ. რობაქიძე, სულის დაშლა, გაზ. „საქართველო“, ბერლინი, 1944, 18 დეკემბერი). მხოლოდ ნოველა „ტაბუს“ მიმართ გამოიჩინა ინტერესი“ („მარტვილი და ალამდარი“, I, 1997, გვ. 214).

მართალია, წიგნში „ბელადი“ მიწერია და არა „დიდოსტატის მარჯვენა“, თუმცა რასაც ამბობს „დიდოსტატზეც“ - ამ შედევრის სწორედ „არარაობად“ გამოცხადებაა!

ამის დასტურია გრიგოლ რობაქიძის ის მსჯელობა, რომელიც ციტირებული აქვს ეკა ცხადაძეს, თუმცა გრიგოლს უფრო მწარე შენიშვნებიც აქვს გამოთქმული „დიდოსტატის მარჯვენაზე“.

ახალგაზრდა კრიტიკოსს არც ის მოეწონა, მე რომ ვთქვი - გრიგოლი „დავით აღმაშენებლის“ პირველი წიგნით აღფრთოვანდა-მეთქი.

არაფერი მსგავსიო, კატეგორიულად შენიშნავს.

მომაქვს გრიგოლის სიტყვა ეკა ცხადაძის წერილიდან.

მკითხველმა განსაჯოს — არის ეს ცივი განსჯა თუ მართლაც აღფრთოვანება: **„დიდი ინტერესით წავიკითხე რომანი კონსტანტინე გამსახურდიასი „დავით აღმაშენებელი“, წიგნი პირველი. ავტორს დიდი შრომა გაუწევია: სჩანს, ზედმიწევნით შეუსწავლია ისტორიული წყაროები. სტილი აღებული ეპოქისა სიუხვითაა რომანში გადმოშ-ლილი. თუ როგორაა რომანი განფენილი ხელოვნურად, ამის განხილვა საგანგებო წერილს მოითხოვს. აქ აღვნიშნავ მხოლოდ ერთ დეტალს. ფართოდ გაშლილ ისტორიულ გარემოში დავითი იზრდება ნელი-ნელ, ივსება ძალით, მტკიცდება. ეს სინელე, ფრიად მნიშვნელოვანი ყოველი მხარით, რომანში ძალიან მარჯვედაა გაყვანილი. ავტორი გვპირდება კიდევ ორ წიგნს. ვუსურვოთ გამარჯვება!“**

მეტი რაღა უნდა ეთქვა?

ამას ამბობს 76 წლის გრიგოლ რობაქიძე და არა რომელიმე ჩვენი გუშინდელი დისერტანტი!

***

ეკა ცხადაძე ჩემგან მოითხოვს მათემატიკურ სიზუსტეს. ამიტომ მეც ასევე მკაცრი ვიქნები მის მიმართ:

1. „ხოგაის მინდია“ 1926 წელს არ დაუწერია კ. გამსახურდიას.

2. რობაქიძის დრამა „ლამარა“ კი არ იყო პოპულარული,

არამედ - სპექტაკლი „ლამარა“. ეს ორი სხვადასხვა ცნებაა.

3. „ერთი მეორეს ვერ გადაწონის, ვერ გადაჰფარავს“ - წერს კრიტი-კოსი ამ ორ მწერალზე.

ეს საკითხი გარკვეულია - გრიგოლ რობაქიძეს არ დაუწერია „დიო-ნისოს ღიმილის“, „მთვარის მოტაცების“, „დიდოსტატის მარჯვენის“, „დავით აღმაშენებლის“ დონის ნაწარმოებები.

4. 1908 წელს გრ. რობაქიძე ვერაფერში დაეთანხმებოდა პავლე ინგო-როყვას, რომელიც ამ დროს 15 წლის ყმაწვილი იყო.

5. გერონტი ქიქოძეს „ველურობა“ და „პრიმიტიულობა“ ვაჟას ნაკლად კი არ მიაჩნდა, არამედ - ღირსებად, როგორც უსულო თანამედროვეო-ბასთან დაპირისპირება და მითოსისკენ უკუქცევა.

შენიშვნების გაგრძელება შეიძლებოდა.

დავაც ყველაფერზე შეიძლება. მაგრამ მთავარია გვაინტერესებდეს საკითხის არსი და არა პირადი სიმპათია-ანტიპათია.

„მწერლის გაზეთი“, 2003, 17-23 ივლისი.

პასუხი ემზარ კვიტაიშვილს

ვკითხულობ **ემზარ კვიტაიშვილის** მორიგ ღვარძლიან წერილს, რომელიც **„ლიტერატურულ საქართველოს“** დაუბეჭდავს (2005, 18 მარტი), ვკითხულობ და ვგრძნობ, რომ ძალიან გულნატკენია, ცინიზმი და უზნეობა მკვიდრდებაო, კლასიკოსებს, ქართულ კულტურას დაცვა სჭირდებაო.

მიზანი ურიგო არ გახლავთ. მაგრამ ეს ხომ ის ემზარ კვიტაიშვილია, რომელიც მე მიმტკიცებდა, **კონსტანტინე გამსახურდია** ყალბი მწერალია, **დავით კლდიაშვილის** ერთ „როსტომ მანველიძედ“ არ ღირს მისი შემოქმედებაო, ხოლო **ზვიადი** საქართველოს უბედურებაარ!

ეს ხომ ის ემზარ კვიტაიშვილია, დუჟმორეული რომ გაიძახოდა - ასი ათასი ქართველიც რომ გაწყდეს, ზვიადი მაინც უნდა დავამხოთო!

ეს ის ემზარ კვიტაიშვილია, რომელმაც ხმა მისცა რევაზ მიშველაძის მწერალთა კავშირიდან გარიცხვას. ხოლო როცა აღდგენილი კოლეგა მწერალთა კავშირის მდივნად აირჩიეს, არა თუ სხვებივით მოინანია დანაშაული, კუდამოძუებულ მელიასავით შემოიპარება ხოლმე მწერალთა კავშირში, რათა თავისი ღვარძლითა და გესლით ერთმანეთს წაჰკიდოს რევაზ მიშველაძე და კულტურის მინისტრი, მწერალთა კავშირი და კულტურის სამინისტრო!

რა შავბნელი სამსახური გაუწია ემზარმა „ლიტერატურული საქართველოს“ დაფინანსებას უარყოფითი ხმის მიცემით, ამ გაზეთის რედაქტორმა კარგად იცის.

ეს ის ემზარ კვიტაიშვილია, წლების მანძილზე რომ ხოტბას აღუვლენდა **ედუარდ შევარდნაძეს,** წერილს წერილზე აცხობდა და, როგორც მესიას, ისე შეჰღაღადებდა საქართველოს დამაქცევარს!

მაგრამ როცა დრო შეიცვალა, შევარდნაძის დამამხობელთ ძმობა შეჰფიცა და მათაც ჯილდო არგუნეს ყავლგასულ მეხოტბეს!

ჩვენ მაინც ვდუმდით, რადგან ემზარს არაერთი ისეთი ტრაგედია აქვს გადატანილი, ერთს კი არა, რამდენიმე კაცს ეყოფოდა. ამიტომ არ ვეხებოდით მის პოეზიას.

მაგრამ თუ კიდევ არ მოასვენებს გამჩენი, არც ამ დუმილის დარღვევა გაგვიჭირდება და იმ ყინულის ბუნაგსაც დავუნგრევთ, რომელსაც ჩრდილოეთის დათვივით თავს აფარებს.

* * *

რა თქმა უნდა, ემზარ კვიტაიშვილი წიგნიერი კაცია, მაგრამ მისი ერუდიცია - ეს არის ბუკინისტის ერუდიცია, რომელმაც იცის წიგნების

ფასი და რაობა, ბევრი მათგანიც წაუკითხავს, მაგრამ არ გააჩნია ხედვის მასშტაბი და ანალიზის სიღრმე.

ამიტომ მისი მრავალრიცხოვანი სტატიები არც მოსაწონია და არც დასაწუნი - „არცა გრილ, არცა ტფილ“: არავინ ეთანხმება, არც არავინ ედავება.

ემზარ კვიტაიშვილი არც ესსეისტია, არც ანალიტიკოსი ლიტერატორი. მისი სტილი და აზროვნება ჟურნალისტურია და ძირითადად მოიცავს სასკოლო ლიტერატურის თეორიას. ამიტომ თითქმის მუდამ ასე მსჯელობს - ეს რითმა კარგია, ის მეტაფორა - უკეთესი, ეს საგანი ხელშესახებად არის დახატული, ის ეპითეტი მარჯვედ არის შერჩეული და ა. შ.

დავანებოთ პრესას თავი.

მე 50 დისერტაციის ოპონენტი ვყოფილვარ და არ მახსოვს თუნდაც ერთი ფაქტი, რომელიმე დისერტანტს გამოეყენებინოს ემზარ კვიტაიშვილის მოსაზრებანი!

ასეთი კაცი ცდილობს არბიტრად თუ ცენზორად გვექცეს ლიტერატურისმცოდნეობაში!

* * *

ახლა ერთი წუთით დავტოვოთ ჩვენი პოეტი თავის მწუხარე წარმოსახვებში და მკითხველს მივაწოდოთ რამდენიმე ციტატა და ვნახოთ - ჩემი სიტყვები **დიდი ქართველი პოეტის გიორგი ლეონიძის** ქებაა თუ ძაგება (**გიორგი ლეონიძე: „ყივჩაღი“ და „ვეფხვი“, „მწერლის გაზეთი“, 2005, 16-30 ოქტომბერი**):

1. „გიორგი ლეონიძე, გრძნობდა თავის უჩვეულო მისიას, როგორც გალაკტიონ ტაბიძე, რაც ლექსის პერსონაჟებად გამოხატა“.

2. „ლაშქრის გუგუნი, ცხენთა თქარუნი, ხმალთა კვეთება, გმირული სიკვდილი, მარცხი და ძლევა - აი გიორგი ლეონიძის პოეზიის არსი. ყოველივე დანარჩენი მათი განტოტვა და სახეცვლაა“.

3. „ყივჩაღური ყიჟინის“ ექო სიბერემდე გაჰყვა პოეტს, როგორც სევდა გარდასულ დღეებზე, როცა „ლექსით ცასა ჰხევდა“.

4. „ძალასა და ძალის კულტს ავლენდა ენერგიული, მხედრისა და მეომარის შესაფერი მეტყველებაც“.

6. „ეს პოეტის სული შფოთავდა, თითქოს ჩაჩქანი ეხურა, ჯაჭვის პერანგი ეცვა და ხმალშემართული მიაქროლებდა პეგასს. თითქოს სისხლითა და მახვილით წერდა ლექსებს.

მხოლოდ ასეთი ვნებებითა და პეროიზმით შეძლო პოეტმა მოძალე-

ბული ლიტერატურული და ისტორიული სახეები, ფაქტები და მოვლენები ეროვნული სულის სტიქიონად წარმოესახა.

ამიტომ შეშვენის გიორგი ლეონიძესაც მისი საყვარელი პოეტის - არტურ რემბოსადმი თქმული:

„დასტოვე სიტყვა, როგორც მეფე ნატრიუმფალი“ (პაოლო იაშვილი).

7. „ასე შეძლო საბოლოოდ, არა მხოლოდ პოეზიაში, საქვეყნო ასპარეზზეც, სულში გაფოთლილი ძალაუფლების ნების რეალიზება, იმ „გვირგვინის დადგმა“, რაზეც სიჭაბუკეში ოცნებობდა“.

როგორც ხედავთ, გიორგი ლეონიძე არაერთხელ მყავს გამოცხადებული პოეზიის მეფედ.

ეს არის დამცირება, ბრალდება და შეურაცხყოფა?

თუ იქნებ დემოკრატიული საზოგადოების მშენებელი პოეტის ყურს ეჩოთირება ასეთი ეპითეტი?

მე წარმოვადგინე გმირის არქეტიპული მოდელის პოეტური სახეცვლა, გენეტიკური და ტიპოლოგიური კავშირები, არაცნობიერის სახეთა სისტემად გაცნობიერება, აღქმის, ხედვისა და ხატვის სპეციფიკა, რაც არა მგონია, უფრო ნაკლებად იყოს საინტერესო, ვიდრე რითმის ან ეპითეტის ძიება.

ხოლო გენეტიკური და ტიპოლოგიური კავშირები, პარალელები და ასოციაციები თუ ვინმეს გავლენად ან მიბაძვად ეჩვენება, ეს ჩემი ბრალი არ არის.

კულტურის კონტექსტიდან იზოლირება, ჰერმეტული კვლევა, ეულად წარმოდგენა ხელოვანს მხოლოდ აკნინებს.

* * *

ახლა დავუბრუნდეთ ემზარ კვიტაიშვილის აბსურდულ ბრალდებებს:

1. „როგორი თავდაჯერებული, ბრმა და გონებადაბინდული უნდა იყო, რომ „ნინოწმინდის ღამისა“ და „ყივჩაღის პაემანის“ ავტორზე ასეთი რამის თქმა იკადრო: „სულ რამდენიმე სატრფიალო ლექსი დაუწერა საცოლეს და შემდეგ ქალის სახე დავიწყებას მიეცა“.

ციტირება აქ წყდება. მაგრამ მე უნდა გავაგრძელო, რაც „დაჟანგებული“ თუ „გაუქმებული“ სახნისის პოეტმა მკითხველს დაუმალა:

„1926 წლიდან, „ნინოწმინდის ღამიდან“ ისევ აღდგა „დაქალებული ვეფხის“ ლანდი, რომელიც ცხენოსან ამორძალად („თუშის ქალს ალავერდობაში“), ხანაც ზღვის თოლიად ეჩვენებოდა („თოლია“), როგორც ბუნინის ველგა:

„იწვება ცეცხლით გულის ფიცარი,
გული კი არა, ცხელი თონეა,

სატრფო მეცა მყავს და საფიცარი,
მეც მყვარებია, მეც მითრთოლია...“
„გაუმარჯოს ვისი გულიც გულია!
ვისაც თოვლში ოცნებით გაუვლია!
ვინც გესროლა თოვლი და გაგიღიმა,
სიყვარულით ვინც კი გათანგულია!“

შეყვარებული პოეტი თავს ადარებს ხარ-ირემს, ცხრა მთასა და ცხრა ველს რომ გადალახავს ქარიშხლის ძალით („როგორც ირემი გადმოვარდნილი“) და თუ სატრფო იპოვა, რქას რქაზე მიაფშვნის („მყვირალობა“). ლამაზი ქალი ხმალსაც ჰგავს და „ნაზი გრიგალიცაა“ („ნინა ჭავჭავაძეს“).

გიორგი ლეონიძისათვის სატრფოს არქეტიპი ამორძალია, არესისა და ჰარმონიის შვილი, მეომარი ასული, როგორც იყო ალ. ბლოკისათვის ეგვიპტის დედოფალი კლეოპატრა“ და ა. შ.

ცალკე ვმსჯელობ „ნინოწმინდის ღამესა“ და „ყივჩაღის პაემანზე“, ისევე როგორც „ოლეზე“.

ციტირება რომ გავაგრძელო, წერილის გადმოწერა მომიწევს.

ეტყობა, ემზარი გონებაამღვრეული თუ არა, გონებადაბინდული მაინც იყო, როცა ამ შენიშვნებს წერდა, თორემ ნამდვილად უნდა მიმხვდარიყო, რომ უკადრისი არაფერი დამიწერია!

2. ემზარ კვიტაიშვილს მკრეხელობად მიაჩნია ვთქვათ, რომ გიორგი ლეონიძე არ იყო **„პოეტი-მოაზროვნე“**.

პოეტი-მოაზროვნე წმინდა ფილოსოფიური გაგებით, არც **აკაკი წერეთელი**, არც **ტიციან ტაბიძე** არ ყოფილან და ეს ნაკლი როდი გახლავთ, რადგან მარადიულ პრობლემებზე ფიქრი, განსჯა, ანალიზი, ფილოსოფიური ჭვრეტა, სიცოცხლის არსის ახლებური შეცნობა ქართულ პოეზიაში მხოლოდ რამდენიმე პოეტს ახასიათებს.

დავიჯერო, რომ ეს არ იცის ემზარ კვიტაიშვილმა?

მხატვრული სახეების, მხატვრული აზროვნების (არა ცნებითი აზროვნების) საწყისი, ეს მოსწონს თუ არა ვინმეს, არის გრძნობების სამყარო, ინტუიცია, არაცნობიერი იმპულსები, რაც კორექტირდება და იმართება ცნობიერებით.

ეს თვისება უხვად ჰქონდა მომადლებული გიორგი ლეონიძეს, თუმცა ემზარს არ სჯერა, რაკი თვითონ არ გააჩნია.

ლევ ტოლსტოი შენიშნავდა, რომ ლიტერატურაში მთავარია გულიდან შობილი აზრები. **დოსტოევსკის** სიტყვით, დიდი აზრები იბადება ღრმა გრძნობებიდან.

უელეკისა და უორენის თქმით, პოეზიის ფილოსოფიური აზრი მეტისმეტად ბანალურია და არ სცილდება სიკვდილ-სიცოცხლის მარადიულ

და მარად ტრივიალურ საკითხს.

ელიოტის თანახმად, არათუ სიტყვის ოსტატთა ლეგიონები, **დანტე** და **შექსპირიც** კი არ ყოფილან სერიოზული მოაზროვნეები!

ემზარ კვიტაიშვილს აღიზიანებს ჩემი წიგნები კ. გამსახურდიაზე, თორემ ვიცი, გულის სიღრმეში უეჭველად მეთანხმება!

3. „მისი ესთეტიკური ერუდიცია სიმბოლიზმის პერიოდზე გაიყინა, ფილოლოგიურმა კვლევამ კი მხოლოდ ზიანი მოუტანა, როგორც შემოქმედს“, ვწერდი მე, რაც „როყიო“ განცხადება ყოფილა, რადგან ვერ გაუგიათ, რომ „ერუდიცია“ და „ესთეტიკური ერუდიცია“ სხვადასხვა ცნებებია, ისევე როგორც „აზროვნება“ და „მხატვრული აზროვნება“.

ხოლო გიორგი ლეონიძის პოეზიის მოდელი რომ სიმბოლისტური იყო, მე ეს ნაჩვენები მაქვს და მგონი, არც ემზარს უნდა სწყინდეს, რადგან თანამედროვე მსოფლიოს პირველ რიგში ის აინტერესებს, ვინც მოდერნიზმს ან ავანგარდიზმს უკავშირდება და არა სოციალისტურ რეალიზმს, ვინც ენათესავება, ვინც ამოდის არა მხოლოდ ნაციონალური, არამედ მსოფლიო კულტურიდანაც.

ამიტომ მე შევეცადე თვით სტალინის ხოტბაში დამენახა სიმბოლისტური წარმომავლობა, დიონისური თუ აპოკალიპსური სტიქიის ვარიაცია.

თითქმის ყოველი შემოქმედი საზრდოობს სიჭაბუკის წლების ესთეტიკური ერუდიციით, რადგან ამ დროს ხდება მხატვრული აღქმისა და მსოფლგანცდის ფორმირება და შემდეგ შეძენილი ინფორმაცია მის ხედვასა და სტილს ეუცხოება, რადგან **„სიჭაბუკე და ლექსი ერთია“**. გამონაკლისთაგანია **სიმონ ჩიქოვანი**, რომელმაც სწორედ სიჭაბუკის შემდეგ გამოავლინა რომანტიკული აღქმა, რასაც ადრე ებრძოდა, როგორც ფუტურისტი.

ფილოლოგი და ლიტერატორიც სხვადასხვა ცნებებია, თუმცა ჩვენში კომუნისტური იდეოლოგიის ინერციით აიგივებენ.

ფილოლოგიური კვლევა არ უკავშირდება სულს, ფსიქიკას, მსოფლგანცდას.

ლიტერატურული კვლევა კი მათ გარეშე წარმოუდგენელია.

მწერლები ხალისით წერენ ესსეებს, პუბლიცისტურ წერილებს, მოგონებებს, მაგრამ პედანტურ ფილოლოგიურ ანალიზს გაურბიან, რადგან იგი ახშობს ემოციების სამყაროს.

ამიტომ ვფიქრობ, რომ გიორგი ლეონიძის დიდი ტალანტი და ერუდიცია მთლიანად რომ ყოფილიყო წარმართული პოეზიისა, პროზისა და ესეისტიკისაკენ - უკეთესი იქნებოდა.

ემზარ კვიტაიშვილს „მწერლის გაზეთიც“ აღიზიანებს, რომლის დასახურად მრავალი გესლი და ღვარძლი ამაოდ დახარჯა, თორემ ვიცი,

გულის სიღრმეში ამჯერადაც მეთანხმება.

ალბათ მიზეზი ის არის, რომ ორიოდე წლის წინათ მისი უღირსი საქციელის გამო ერთი მცირე რეპლიკა დავბეჭდეთ, რომლის ავტორი მე ვგონივარ. მაგრამ თუ ვინ არის ავტორი - ეს ჩვენ კარგა ხანია გამოვაცხადეთ.

4. **„ნატვრის ხე“** მე არ მიმიჩნევია **„თვითმიზნად გამხდარი სიტყვათქმნადობის ნაყოფად“**.

ეს მხოლოდ ემზარ კვიტაიშვილის ავადმყოფური წარმოსახვის ნაყოფია.

მე ის შევნიშნე, რომ ამგვარი გატაცება გამოჩნდა „ნატვრის ხეშიც“, მაგრამ სიტყვისქმნადობა, თუნდაც თვითმიზნური, როდის აქეთ იქცა ესთეტიკურ კრიტერიუმად?

შეიძლება მწერალი წერდეს ნათელი სტილით, მაგრამ ცუდად!

შეიძლება მწერალი იყოს რთული და ენობრივადაც ძნელი აღსაქმელი, მაგრამ დიადი!

ამჯერადაც ემზარ კვიტაიშვილმა მკითხველს კონტექსტი დაუმალა. მე ვწერდი ფოლკლორთან მიმართებაზე, ფოლკლორიდან წარმომავლობაზე, რომ **გიორგი ლეონიძე ფოლკლორიდან კი არ მოდიოდა, არამედ ფოლკლორთან მიდიოდა.**

* * *

აი, ეს ოთხი საშინელი **„ბრალდება“**, რომელიც თურმე მე წავუყენე გიორგი ლეონიძეს, ყოფილა **„უხიაგი გამოხდომა“**, რასაც მტანჯველ ფიქრებსა და ეჭვებში ჩაუგდია პოეტი (**„დაბნეული ვარ, ძნელია თქმა“**, თავად გვეუბნება) და რამაც კიდევ ერთხელ დააკარგვინა **„ძვირფასი დრო“**.

სხვათა შორის - ასე სულაც არ ფიქრობს პროფ. **ნიკო ლეონიძე**, გიორგი ლეონიძის ძმისწული.

მე სრული უფლება მაქვს, დავეთანხმო ბატონ ნიკოს, მით უმეტეს, რომ იგი უფრო ახლოს დგას გიორგი ლეონიძესთან, ვიდრე ემზარ კვიტაიშვილი.

„მწერლის გაზეთი“, 2005, 1-15 აპრილი.

რედაქტორის კომენტარი

ბატონ **სილოვან ნარიმანიძის** თავაზიანი წერილი, რომელსაც უცვლელად ვბეჭდავთ, არსებითად არის არა პოლემიკა ჩემთან, არამედ სტალინისტური ეპოქის მკითხველის შთაბეჭდილება გიორგი ლეონიძის პოეზიაზე.

მიუხედავად ამისა, რამდენიმე კომენტარი მაინც უნდა გაკეთდეს:

1. ს. ნარიმანიძე ს. ჩიქოვანს სიმბოლისტად ნათლავს.

სიმბოლისტი არასოდეს ყოფილა სიმონ ჩიქოვანი. იგი სიმბოლიზმს ყოველთვის ებრძოდა. ხოლო როგორც ფუტურისტი, ასე აცხადებდა:

„დავარტყათ თავში ლირიკას ჩექმა
და დავადინოთ ცისფერი სისხლი“.

ფუტურიზმი რომ სიმბოლიზმს გამორიცხავს, ეს სკოლის მოწაფემაც კი უნდა იცოდეს, არათუ პოეტმა (შდრ. - „ცისფერი ყანწები“ და „H_2SO_4“).

2. ს. ნარიმანიძე შენიშნავს, გ. ლეონიძეს უნდოდა, თავის ლექსით „სტალინის მსოფლმხედველობა შემოებრუნებინა საქართველოსკენო!“

ასეთი გულუბრყვილო შეხედულება არ უნდა ჰქონდეს კაცს სტალინზე. თავის რწმენაზე სტალინს გიორგი ლეონიძე კი არა, ილია ჭავჭავაძე რომ გაცოცხლებულიყო, ხელს ვერ ააღებინებდა.

3. მე ერთი წინადადებით აღვნიშნე, რომ 15-16 წლის გიორგი ლეონიძეს აქვს ვაჟას, იოსებ გრიშაშვილის, ალექსანდრე აბაშელის გავლენით დაწერილი რამდენიმე ლექსი

რა არის აქ მოულოდნელი და საოცარი?

10-იან წლებში გრიშაშვილის ლექსის გავლენა განიცადეს სხვებმაც - გ. ტაბიძემ, ტ. ტაბიძემ, გრ. რობაქიძემ, კ. გამსახურდიამ, პ. იაშვილმა...

4. კრიტიკოსი მსაყვედურობს, ერთ საქებარ სიტყვასაც კი არ იმეტებ გიორგი ლეონიძის მიმართო! ეტყობა, არც ბატონი სილოვანი კითხულობს ყურადღებით სხვის ნაწერს, თორემ არ უნდა გამორჩენოდა ის სიტყვები მაინც, მის თანამოაზრეს ე. კვიტაიშვილს რომ შევახსენე.

განმეორება ზედმეტად მიმაჩნია.

5. ს. ნარიმანიძე ვერ ანსხვავებს გავლენასა და გამოყენებას, გავლენას და ნათესაობას, გენეტიკურ და ტიპოლოგიურ კავშირებს. ამიტომ თუ გიორგი ლეონიძესთან ვინმეს ახსენებ, მაშინვე გავლენა ეჩვენება!

6. „ნატვრის ხე“ 1946 წელს არ გამოსულა, არც „შინმოუსვლელო, სადა ხარ“ დაწერილა 1941 წელს, არც „არ დაიდარდო“ - 1944 წელს, არც „ყივჩაღის პაემანი“ - 1926 წელს...

ბატონი სილოვანი პოეტია და ამიტომ შეიძლება არ იცოდეს ცნობი-

ერისა და არაცნობიერის, მითოსისა და მხატვრული სტრუქტურის პრობლემები, შეიძლება არ იცნობდეს ნიცშეს, ფროიდსა და იუნგს, ტეილორსა და ფრეზერს, ვლ. სოლოვიოვსა და ალ. ბლოკს, სიმბოლიზმის ისტორიას, ფუტურიზმის იდეოლოგიას. მაგრამ ამ საფუძველთა არცოდნის გამო გულზე „დიდ ტკივილად“ არ უნდა მოხვდეს განსხვავებული ხედვა და მოსაზრებანი.

ბოლოსდაბოლოს - სილოვანი ხომ მწერალია და არა მკითხველი!

„მწერლის გაზეთი“, 2005, 16-30 აპრილი.

ქაქუცა ჩოლოყაშვილი - ეროვნული გმირი თუ „ექსტრემისტ-ავანტიურისტ-სეპარატისტი?“

როცა დაიწყო პერესტროიკა, როცა სამფეროვანი ეროვნული დროშები ფრიალებდნენ **ზვიად გამსახურდიასა** და **მერაბ კოსტავას** მიტინგებზე, გამოჩნდა საზოგადოებისათვის უცნობი ერთი შავჩოხიანი ვაჟკაცის სურათი.

ეს იყო **ქაქუცა ჩოლოყაშვილი** - ბოლშევიზმთან და წითელ იმპერიასთან ბრძოლის სიმბოლო, რომლის სახელი ლეგენდასავით გადადიოდა თაობიდან თაობაში.

მაგრამ, გარდა სპეციალისტებისა, არავის არაფერი სმენოდა 1923 წელს დახვრეტილ სამხედრო პირებზე - **ალექსანდრე ანდრონიკაშვილზე, ვარდენ წულუკიძეზე, გიორგი ხიმშიაშვილზე, კოტე აფხაზზე, იოსებ გედევანიშვილზე, როსტომ მუსხელიშვილზე**, ისევე როგორც 1924 წლის აგვისტოს აჯანყების მოთავეებსა და წამებულ გმირებზე.

რაც შეეხება ემიგრანტებს, მათგან ახსენებდნენ **ნოე ჟორდანიას,** ოღონდ როგორც მოღალატეს.

ბოლშევიკურმა პროპაგანდამ მათი სახელები ხალხის მეხსიერებიდან ამოძირკვა. ხოლო ისინი, ვინც იარაღით თუ სიტყვით დაუპირისპირდა ბოლშევიკურ ტირანიას - ექსტრემისტებად მონათლა (იხ. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, VII, 1976, გვ. 189-209).

ასეთივე ბედი გაიზიარეს ქაქუცა ჩოლოყაშვილმა და მისი რაზმის წევრებმა.

90-იან წლებში ეროვნულ-განმათავისუფლებელმა მოძრაობამ აღადგინა სიმართლე და ხალხმა გაიგო, რომ აღფრთოვანებით არ შეხვედრია ქართველი ერი ბოლშევიკების შემოჭრას, რომ ბრძოლა, მიუხედავად რეპრესიებისა, სამშობლოს დამოუკიდებლობისათვის გრძელდებოდა,

რომ ქვეყანას ჰყავდა თავისუფლებისათვის მეომარი არაერთი გმირი (იხ. **თ. ენდელაძე**, საბჭოთა ძალოვანი სტრუქტურები ქართული ეროვნული მოძრაობის წინააღმდეგ ბრძოლაში, 2004), რომელთა შორის უპირველესია ქაქუცა ჩოლოყაშვილი.

იგი ვერ შეურიგდა სამშობლოს დაშლასა და დამონებას, ხელთ იარაღი აიღო და, როცა დამარცხდა, უცხოეთში გადაიხვეწა, ისევე როგორც დემოკრატიული რესპუბლიკის მესვეურები (**იხ. გ. შარაძე, უცხოეთის ცის ქვეშ, I, 1990, გვ. 152-171).**

I.

როგორ წარმოვიდგენდი, რომ დამოუკიდებელ საქართველოში ისევ დაიწყებდნენ ბოლშევიკური იარლიყების აღდგენას და სამშობლოსათვის ტანჯულებს კვლავ ექსტრემისტებად და ავანტიურისტებად გამოაცხადებდნენ.

გადაშალეთ პროფ. **გიორგი ციციშვილის წიგნი - „სიმართლე 1921-1923 წლების ეროვნული მოძრაობისა და მიხეილ ჯავახიშვილის პოლიტიკური ცხოვრების შესახებ“ (2003 წ.)**, გადაშალეთ და წაიკითხეთ ნაცნობი პოლიტიკური დებულებანი, რომელთა ახლებურ დამტკიცებას ცდილობს მრავალსიტყვაობით, ტავტოლოგიური, უსახური მსჯელობით კომპარტიის ისტორიის ეს ძველი პროპაგანდისტი:

„ექსტრემისტულ-ავანტიურისტული მიმდინარეობის წარმომადგენლები“ (გვ.3), „ექსტრემისტულ-ავანტიურისტული ტაქტიკით მებრძოლი ბელადების მიერ ძალთა ავანტიურისტულ-ექსტრემისტული ორგანიზება“ (გვ. 5), „კრიჭაში მდგომმა სეპარატისტმა ექსტრემისტებმა“ (გვ. 20), „ექსტრემისტულ-ავანტიურისტული ბრძოლის ყოფილი ორგანიზატორების“ (გვ. 21), „ექსტრემისტულ-ავანტიურისტულმა ხელმძღვანელობამ“ (გვ. 65), „ექსტრემისტების მხრივ მოყვასის სიძულვილმა იმსხვერპლა კ. მისაბიშვილი“ (გვ. 115), „ეროვნულ-დემოკრატებშიც გაძლიერდა ექსტრემისტულ-ავანტიურისტული და ტერორისტული მისწრაფება“ (გვ. 116-117), „ეროვნულ-დემოკრატებიდან ექსტრემისტი კ. აფხაზი აღმოჩნდა“ (გვ. 119), „ექსტრემისტული მიმდინარეობის (სვანეთის, ქ. ჩოლოყაშვილის, მიხ. ლაშქარაშვილის, 1924 წლის და სხვ.) ბრძოლას“ (გვ. 124), „ეროვნულ-დემოკრატი ექსტრემისტის დავით ვაჩნაძის“ (გვ. 161), „შეურიგებელი ანუ ექსტრემისტული ეროვნულ-დემოკრატები“ (გვ. 224), „საზღვარგარეთული მენშევიკური ცენტრის და მისი ემისრის ნ. ხომერიკის ავანტიურისტული მეცადინეობა“ (გვ. 302), „ექსტრემისტული (პარტიულ-ორგანიზაციული, ტერორისტული, ექსპროპრიატორული) მოძრაობა“ (გვ. 325), „ექსტრემისტულ-არალეგა-

ლური პროკლამაციები“ (გვ. 336), „ექსტრემისტულ-ავანტიურისტული ტაქტიკით ორგანიზებულ 1924 წლის აჯანყებას“ (გვ. 357) და ა.შ.

ავტორის ძირითადი იდეა ასეთია:

„1923 წლიდან საქართველოში შექმნილ პარტიულ, სახელმწიფოებრივ და ჩეკისტურ სიტუაციებში ექსტრემიზმი და ანტისაბჭოთა პოლიტიკური ავანტიურიზმი იყო უპირატესად ეროვნული უბედურების მომტანი, ხოლო ლეგალური ეროვნულ-პატრიოტული მოღვაწეობა - მოძრაობა ერთადერთი სწორი“ (გვ. 73).

გ. ციციშვილისთვის ექსტრემისტი და ავანტიურისტია ყველა, ვინც კი იარაღი აიღო ბოლშევიკთა წინააღმდეგ!

ამიტომ ამ 466-გვერდიან წიგნში ერთი კეთილი სიტყვით არ იხსენიება ქაქუცა ჩოლოყაშვილი. სამაგიეროდ გულმოდგინედ ცდილობს ჯაშუშის თუ ჯაშუშად მონათლულის კალე მისაბიშვილის წარმოჩენას!

„ერთადერთი სწორი“ ყოფილა მხოლოდ **„ეროვნულ-პატრიოტული მოღვაწეობა-მოძრაობა“!**

ეს არის ის იდეა, რომელსაც პრაქტიკულად ახორციელებდა კომპარტია, კერძოდ, **„ფენომენალური ჩეკისტური ნიჭის“ ლავრენტი ბერია,** რადგან იგი საფრთხეს ვერ შეუქმნიდა ბოლშევიკებს და ვერც საქართველოს მოსწყვეტდა რუსეთისაგან!

ასე შეურაცხყოფს **გ. ციციშვილი** ქართველ ემიგრანტთა ხსოვნასაც, რომლებიც სიკვდილამდე შეურიგებელი დარჩნენ ბოლშევიკებისადმი და უცხო მიწაში პოვეს განსასვენებელი.

გ. ციციშვილის ლოგიკით, ბრძოლას აზრი არ ჰქონია!

სააკაძეს მარაბდასთან, ერეკლეს - კრწანისთან არ უნდა ეომათ, რადგან ვერც ერთი და ვერც მეორე ვერ სძლევდა სპარსეთს!

არც 300 არაგველს უნდა გაეწირა თავი, საბჭოთა კავშირს არ უნდა ეომა ჰიტლერის წინააღმდეგ, რადგან ამას მოჰყვა უდიდესი მსხვერპლი და ნგრევა! არც ზვიად გამსახურდია უნდა ყოფილიყო დისიდენტი - საბჭოთა კავშირი ერთ დროს მაინც დაიშლებოდა!

მაგრამ, საბედნიეროდ, ისტორიას ქმნიან არა გიორგი ციციშვილის მსგავსი ობივატელები, არამედ - გმირული სულის პიროვნებანი, რომელთა სისხლის შუქი შთამომავლობას წინ ჩირაღდნად მიუძღვება.

2.

გ. ციციშვილის ნეობოლშევიკური თვალსაზრისი საზოგადოებისათვის შეუმჩნეველი დარჩა, რადგან დღეს წიგნს თითქმის ყველა წერს, მაგრამ არავინ კითხულობს.

ახლა ავიღოთ მისი ახალი პოლემიკური ბროშურა, რომელსაც ასეთი სხარტი, ასეთი სანიმუშო სათაური აქვს:

„მანანა ხომერიკის 25-ზე მეტი ბოროტი ტყუილი მისი ქომაგის, სოსო სიგუას გაზეთის ერთ წერილში და რეალური ისტორიით ნაკარნახევი სიმართლე“.

აი, რას წერს ჩვენი კრიტიკოსი:

„პარტიზანული რაზმის ექსტრემისტულ-ავანტიურისტულ-სეპარატისტულ მოქმედებათა ნეიტრალიზაციის აზრი“ (გვ. 23)...

თურმე ქაქუცა ჩოლოყაშვილი არა მხოლოდ ექსტრემისტი და ავანტიურისტი, არამედ სეპარატისტიც ყოფილა!

რას ნიშნავს სეპარატიზმი?

„უცხო სიტყვათა ლექსიკონი“ ამ ტერმინს განმარტავს, როგორც გამოყოფას, განცალკევებას, ე.ი. ჩოლოყაშვილის მიზანი ყოფილა საბჭოთა კავშირიდან გამოყოფა!

მაგრამ ვისთვის უნდა იყოს ეს მიუღებელი?

ცხადია, მისთვის, ვინც ცენტრის ინტერესებს იცავს, ამ შემთხვევაში - მოსკოვისას!

გ. ციციშვილი ქაქუცა ჩოლოყაშვილს ბრალად სდებს ანტისაბჭოთა სეპარატიზმს, ჩვენ კი - სწორედ ამიტომ მიგვაჩნია იგი გმირად!

ამ პუნქტში საბოლოოდ გამოვლინდა პარტისტორიის შენიღბული პროპაგანდისტი, რომელიც ავტორია ასეთი დაუვიწყარი ნაშრომისა:

„საქართველოს კომუნისტური პარტიის ბრძოლა სახალხო მეურნეობის განვითარებისათვის მეორე ხუთწლედში“ (თბ., 1978).

თურმე, როცა გლოვობდა ქართული ემიგრაცია ქაქუცა ჩოლოყაშვილის ნაადრევ გარდაცვალებას, როცა მის სახელს ფარულად ახსენებდნენ ქართველი პატრიოტები, როცა ზვიად გამსახურდიას უზენაესი საბჭო აწესებდა ქაქუცა ჩოლოყაშვილის ორდენს, ისინი პატივს მიაგებდნენ არა ეროვნულ გმირს, არამედ - „ექსტრემისტ-ავანტიურისტ-სეპარატისტს“!

3.

ახლა მინდა ორიოდე სიტყვა მოვახსენო გიორგი ციციშვილს ბროშურად დაბეჭდილ სტატიაზე, რომლის გამოქვეყნებაზე თავაზიანი უარი ვუთხარი.

არ მეგონა, კეთილი რჩევა თუ ეწყინებოდა!

არც ის მეგონა, **მანანა ხომერიკის** განქიქებას თუ ჩემს კრიტიკას დაურთავდა, ისე ხალისიანად და მეგობრულად მესაუბრებოდა!

როგორც მოსალოდნელი იყო, ამ სტატიის დაბეჭდვაზე ასევე უარი უთქვამთ **თამაზ წივწივაძეს, გივი შეყილაძეს, არმაზ სანებლიძეს.**

როგორც მოსალოდნელი იყო, მისი წიგნის განხილვით არ დაინტერესებულა არც უნივერსიტეტი, არც ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტი-

ტუტი. ხოლო ზოგი კოლეგა თურმე ამრეზითაც უყურებს.

ყველას გულგრილობას აბრალებს, ქომაგი არავინ გამომიჩნდაო, შეურაცხყოფას მაყენებენო, იზა ორჯონიკიძემ ქსეროასლი არ მომცაო!

სპონსორებს თავისი ტელეფონის ნომერს სთავაზობს, მაგრამ არავინ ურღვევს მყუდროებას.

მიზეზს ვერ ხვდება. ამიტომ იძულებული ვარ, მე ვუთხრა სიმართლე:

ასეთი ობსტრუქციის მიზეზი არის მისი ვრცელი წიგნის მიუღებელი, ნეობოლშევიკური კონცეფცია და შესრულების დაბალი დონე!

რა თქმა უნდა, გიორგი ციციშვილი არ გამიგონებს, რედაქტორები სახელს მიტეხენ, თორემ ჩემი ბროშურაც კი წარმატებით იყიდებაო!

რაც მართალია - მართალია: რედაქტორები თვალში არ მოსდის - „ხშირად ღალატობენ ობიექტურობას და სიბრძნის ღმერთებსო“.

ზოგჯერ ისე დაიწუწუნებს, გული მოგიკვდება:

„გაზეთის პატრონთან პოლემიკის მოსურნეს მაინც არაფერი გამოუვა“.

მიუხედავად ამისა, არ ფრთხილობს და სრულიად უსაფუძვლოდ თავს გვესხმის:

შედეგიც აშკარაა: პოლემიკური სტატია არავინ დაუბეჭდა და იძულებული გახდა, თვითონ გამოეცა - რედაქტორის, კორექტორის, ინდექსისა და გამომცემლობის გარეშე, როგორც პროკლამაცია!

იმედი მაქვს, ეს პრაქტიკა უკანასკნელი არ იქნება.

გიორგი ციციშვილი ჩვეული მრავალსიტყვაობით მაკრიტიკებს ერთი საკითხის გამო და თანაც სინანულით დასძენს, არ ვიცი, რა ვქნა, სოსო სიგუას ჩემი წიგნი არ წაუკითხავსო!

მისდა გასაოცრად უნდა ვთქვა: ამ ერთადერთი საკითხისათვის ფაქტობრივი მასალა სწორედ გ. ციციშვილის წიგნიდან ავიღე!

მომაქვს სათანადო ციტატა ჩემი სტატიიდან:

მიხეილ ჯავახიშვილი „ჩეკასადმი მიცემულ ჩვენებაში წამების გარეშე აიძულეს დაეწერა ყველაფერი, რაც იცოდა, დაეგმო ქაქუცა ჩოლოყაშვილი, დაეყენებინა მის მიმდევართა ლიკვიდაციის საკითხი, დაესახელებინა ანტისაბჭოურად განწყობილი პირები, თანამოაზრეები, გამოეჩინა ლოიალობა ბოლშევიკებისადმი და ა.შ.“.

ალბათ, ამიტომაც ლმობიერია კრიტიკოსის კომენტარი:

„ეს ყველაფერი სქემატური თვალსაზრისით, ერთგვარად მართალი ჩანს“.

თუ „ეს ყველაფერი მართალი ჩანს“, - სხვა დეტალური მსჯელობა ან ფაქტები მე არ მჭირდებოდა, რათა **წარმომედგინა მწერლის ერთ-ერთი ძლიერი სულიერი ტრავმა, რომელიც მან შემოქმედებით სტიმულად აქ-**

ცია ოჯახურ ტრაგედიასა და გვაროვნულ ტრავმასთან ერთად.

თავად გ. ციციშვილიც ხომ აღნიშნავს (რასაც არ შემიძლია, არ დავეთანხმო!):

„ჩემი აზრით ს. სიგუას ეს ნააზრევი მ. ჯავახიშვილის ბიოგრაფიისა და შემოქმედების თავისებური, ფილოსოფიური ხედვით ხასიათდება“.

ხოლო მ. ჯავახიშვილის ბიოგრაფია, ფსიქიკა და ცნობიერება როგორ გამოვლინდა პერსონაჟებად - მე ეს ნაჩვენები მაქვს და აქ განმეორება საჭიროდ არ მიმაჩნია.

რაც შეეხება თავად მწერლის ტერმინ **„ნაკაცარს“** - ეს არის იგივე ყოფილი ადამიანი, ანუ დამარცხებული პიროვნება, რომელიც ჰიპერბოლიზებულია თეიმურაზ ხევისთავის სახით, მაგრამ სავსებით ზომიერია გივი შადურის სახით.

მე ვწერდი:

„1921 წლის თებერვლის შემდეგ მანამდე ნაკლებად ცნობილი პატრიოტი პუბლიცისტი მოულოდნელად აღმოჩნდა დამოუკიდებლობისათვის მებრძოლთა სათავეში“.

იმიტომ ვწერდი, რომ დამოუკიდებლობის წლებში მიხეილ ჯავახიშვილი არ ყოფილა არც პარლამენტარი, არც რედაქტორი, არც პარტიული ლიდერი, არც მინისტრი, არც „ჯაყოს ხიზნების“ ავტორი, ე.ი. არ იდგა პოლიტიკურ-კულტურულ მოვლენათა ცენტრში.

ისე, რა თქმა უნდა, კოლეგები კარგად იცნობდნენ, მაგრამ არ იცნობდა ფართო საზოგადოება, ქართველი ერი.

ასე კოლეგები გიორგი ციციშვილსაც იცნობენ, მაგრამ ხალხს მისი სახელი ვერაფერს ეუბნება. ამიტომ ვინმეს სხვაში რომ არ შეეშალოს, იძულებულია ბროშურას დააწეროს - **„ისტორიკოსი გიორგი ციციშვილი“**.

ჩვენს ოპონენტს ძალიან უნდა დაამტკიცოს, რომ, თურმე, მანანა ხომერიკის გავლენით დავწერე სტატია მიხეილ ჯავახიშვილზე (რომელიც ჩემი ახალი წიგნის ერთი ქვეთავია).

მაგრამ მ. ხომერიკს ხომ მიხეილი ტოკლიკიშვილად მიაჩნია, ხოლო ჯავახიშვილი - ფსევდონიმად. მე კი ვიზიარებ იმ აზრს, რომ მწერალმა აღიდგინა ნამდვილი გვარი, ე.ი. მისი წინაპარი იყო თავადი ჯავახიშვილი და გენეტიკურად ტოკლიკიშვილთან საერთო არაფერი ჰქონდა.

რატომ მსჯელობს ასე ტენდენციურად გიორგი ციციშვილი?

იმიტომ, რომ ერთი უხეირო სტატიის დაბეჭდვაზე უარი ვუთხარი!

გიორგი ციციშვილს ხომ ჩეკას ციხეში დაწერილი უმწეო და განწირული მწერლის ჩვენებები მიაჩნია **„გონიერებისა“** და **„წინდახედულობის“** ნიმუშად, მიხეილ ჯავახიშვილი - **„ბრძენ პოლიტიკოსად“**, რაკი ათქმევინეს ასეთი სიტყვები:

„ჩოლოკაეველობის“ ლიკვიდაცია კონკრეტულად ასე წარმომიდგენია, - საჭიროა ვიჩქაროთ ამ საკითხის გადაწყვეტა, თორემ გაზაფხული მოდის - ის ჩვეულებრივი დრო, როცა ყველა მოუსვენარი ელემენტი ტყეს მისცემს თავს ან მთებს მიაშურებს. ზომები ახლავე უნდა მივიღოთ“, „ჩემი შემოთავაზებული იდეა და გეგმა უაღრესად საიდუმლოდ უნდა დავიცვათ“, „ვთხოვ კოლეგიის თავმჯდომარეს გამომიძახოს ამ საკითხზე“, „ჩემი შეხედულება საბჭოთა ხელისუფლებაზე, დამოკიდებულება მისადმი აშკარად შეიცვალა“ (იხ. გ. ციციშვილი, დას. წიგნი, გვ. 202-205) და ა.შ.

ჩეკას დაწოლასა და მეთოდებს მიხეილმა კი არა, კამენევმა და ზინოვიევმა ვერ გაუძლეს - რევოლუციის სისხლიანმა ბელადებმა. ამის გამო მწერალზე აუგს ვინ იტყვის. მაგრამ არც ის შეიძლება, ასეთი პოზიცია ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთადერთ და სწორ პოზიციად მივიჩნიოთ, ხოლო შეურიგებელ, თავგანწირულ მამულიშვილებს, რომელთაც თავი დადეს ან სიცოცხლე გაიმწარეს ქვეყნის გადასარჩენად - ვუძახოთ ექსტრემისტები, ავანტიურისტები და სეპარატისტები.

გ. ციციშვილის ნეობოლშევიკური კონცეფცია მიუღებელია როგორც ჭეშმარიტების, ისე ეროვნული თვალსაზრისით.

ჩეკას თვალსაზრისის სიმართლედ და მეცნიერულ ობიექტურობად გამოცხადებას არცერთი გონიერი ქართველი მხარს არ დაუჭერს.

კალე მისაბიშვილი ვერ დაიკავებს ქაქუცა ჩოლოყაშვილის ადგილს ქართულ ცნობიერებაში, რაც უნდა დიდი სურვილი ჰქონდეს გიორგი ციციშვილს. რაც შეეხება დიდ მწერალს - მიხეილ ჯავახიშვილს, მას სამშობლო აფასებს არა ჩეკაში მიცემული იძულებითი ჩვენებებით, არამედ - შემოქმედებით, რომანებითა და მოთხრობებით.

„მწერლის გაზეთი“, 2005, 16-30 ივნისი

გურამ ბარნოვის ეჭვი და ნოსტალგია

2002 წელს გამოიცა ჩემი წიგნი - **„ქართული მოდერნიზმი“**. მანამდე ჟურნალ-გაზეთებში იბეჭდებოდა ცალკეული თავები და ქვეთავები.

მათგან პროფესორ **გურამ ბარნოვს** წაუკითხავს გაზეთ „კალმასობაში“ გამოქვეყნებული რამდენიმე ქვეთავი - წაუკითხავს, მაგრამ ის კი არ უკითხავს, ჰქონდა თუ არა გაგრძელება, ისე უცდია გაერკვია, თუ რატომ და რისთვის დავწერე ერთი მათგანი - **„პატრიარქალური მამის**

მკვლელობა“ (იხ. „ქართული მოდერნიზმი“, გვ. 14-15).

ძიებას უკვალოდ არ ჩაუვლია და დამაფიქრებელი დასკვნაც მიუღია: სოსო სიგუა **„აგდებული და დამცინავი ტონით საუბრობს ილია ჭავჭავაძეზეო“ (გ. ბარნოვი, „სმენით გესმოდეთ და გულისხმა ჰყოთ, ხედვით ხედვიდეთ და არა იხილოთ“**, „კალმასობა“, 2005, №8)!

ისე, წიგნი რომ წაეკითხა, იქნებ საკამათო მეტი ჰქონოდა და პოლემიკაც უფრო საინტერესო გამოგვივიდოდა, ან თუნდაც სცოდნოდა, რომ მე სხვა ესსეც მაქვს დაბეჭდილი ილია ჭავჭავაძეზე - **„ძალაუფლების ნება და მეფე-ქურუმის არქეტიპი“**. მაგრამ რაც არის - ეს არის.

ახლა განვიხილოთ ბატონ გურამ ბარნოვის ბრალდების ყოველი პუნქტი.

* * *

დავიწყოთ იქედან, რომ თურმე „ერთი კეთილი სიტყვაც არ დამცდენია ილიაზე, როგორც შემოქმედზე და საზოგადო მოღვაწეზე“.

თუ ეს მართალია, ნამდვილად საბოდიშოდ მქონია საქმე. მაგრამ რა ვუყოთ ამ სიტყვებს, შავით თეთრზე რომ გარკვევით მიწერია:

1. „ილია ჭავჭავაძე, ვინც შექმნა ახალი საქართველოს კულტურისა და პოლიტიკის ფუნდამენტი“;

2. „მოკლეს ერის ბელადი, ერის მამა“;

3. „ერის მამის „გახეთქილი შუბლი“ (გიორგი ლეონიძე) ჩაიბეჭდა ახალი თაობის მეხსიერებაში, როგორც ხატი და ემბლემა“;

4. „რევოლუციური მარცხისა და ილიას მკვლელობის განცდა მალე განახლების ძლიერ იმპულსად იქცა, რამაც შეცვალა ახალთაობის ხედვისა და მოქმედების მიმართულება“.

ამ გვერდნახევრიან ესსეში არათუ „კეთილი სიტყვა“, დითირამბი მქონია აღვლენილი დიდი წინაპრის მიმართ.

ასე რომ - საბოდიშო არაფერი მაქვს!

თუმცა... რაც მართალია - მართალია: „კეთილი სიტყვა“ არ დამიშურებია **ნიკო მარისა** და **ნოე ჟორდანიას** მიმართაც. ალბათ, არცერთი მათგანი არ უნდა მეხსენებინა, ყოველ შემთხვევაში, ნებართვა მაინც ამეღო ბატონ გურამ ბარნოვისაგან!

მიზეზს ახლავე მოგახსენებთ!

გურამ ბარნოვი აგერ უკვე ოცი წელია დაუღალავად იღწვის, რათა ქართველ ხალხს შეაძულოს ნიკო მარი - გენიალური ლინგვისტი და ფილოლოგი, მაგრამ პირდაპირ უნდა ითქვას: მიუხედავად იმისა, რომ თავისი უნარის მაქსიმუმი აჩვენა, ჯერჯერობით შედეგი ნულის ტოლია!

ნოე ჟორდანია ხომ სძულდა და სძულდა, მაგრამ მას ბარნოვზე უფრო საქმის ცოდნით ებრძოდნენ კომუნისტები და ჩვენი კრიტიკოსიც მშვიდად იყო. მაგრამ ბოლშევიკების მიერ განდევნილი და შერისხული ჟორდანია, ვინც გამოაცხადა საქართველოს დამოუკიდებლობა, ვინც ემიგრაციაში დაჰყო 32 წელი და საფრანგეთში ჰპოვა განსასვენებელი, აღარ მიაჩნიათ ქართველი ხალხის მოღალატედ, ერის გამყიდველად.

უფრო მეტიც:

ნოე ჟორდანიას სახელი დაერქვა ქუჩებს, გამოდის მისი წიგნები, მასზე იწერება სტატიები და გამოკვლევები. მაგრამ გურამ ბარნოვს ყველაზე მეტად ნერვებს ის უშლის, რომ პარლამენტის ერთ-ერთ დარბაზს ეწოდა პირველი რესპუბლიკის სახელი და მისი კედლიდან იმზირებიან დემოკ-რატიული საქართველოს მესვეურთა სახეები.

* * *

ჯერჯერობით შედეგი აქაც ნულის ტოლია!

ეს კი მომავლის იმედს უკარგავს გურამ ბარნოვს, არაფერი ეშველება ამ ქვეყანასო. აი, ჟორდანია რომ ძველებურად დაგვეგმო, ხოლო შევარ-დნაძე და მისი საქმენი საგმირონი შეგვექო - მაშინ კი გამოსწორდებოდა მდგომარეობა! მაგრამ რას გავაწყობთ: პოლიტიკოსები ლიტერატორის ჭკუაზე არ დადიან.

* * *

გურამ ბარნოვის დაკვირვებით, თურმე, **დონალდ რეიფილდის** მსგავსად, მეც ქართული ლიტერატურის ისტორიას **ვაჟა-ფშავე-ლათი** ვიწყებ!

საინტერესო მიგნებაა!

მაგრამ რა ვუყოთ იმ ფაქტს, რომ მე დაწერილი და დაბეჭდილი მაქვს მონოგრაფია VI საუკუნის ჰაგიოგრაფიულ ძეგლზე - „ევსტათი მცხეთელის მარტვილობაზე“, რაც, ალბათ, არ იცის პატივცემულმა მიმომხილველმა.

რომ სცოდნოდა, უეჭველად მიხვდებოდა, რომ თუ V საუკუნით არა, VI საუკუნით მაინც ვიწყებ ქართულ კლასიკურ ლიტერატურას!

მორიგი აღმოჩენა:

თურმე ილია ჭავჭავაძე მიმაჩნია **„რუსების ერთ ჩვეულებრივ ეპიგონად“.**

ასეთი ან მსგავსი რამ მე არსად მიწერია, ხოლო რუსული აზროვნებით შთაგონება (ისევე როგორც გერმანული ან ფრანგული აზროვნებით) ეპიგონობას რატომ უნდა ნიშნავდეს!

მაგრამ გურამ ბარნოვი ფაქტებზე უფრო ეჭვებს ენდობა და ვარაუდობს, ეს არ უთქვამს, მაგრამ ასე ფიქრობსო! ხოლო **„ერთმა ჩვეულებრივმა ეპიგონმა“** როგორ შექმნა **„ახალი საქართველოს კულტურისა და პოლიტიკის ფუნდამენტი“** - ამის გასარკვევად უკეთესი მომზადება დასჭირდება.

ალბათ რუსოფილი ვგონივარ ამ კაცს, რომელიც ლიტერატურის ინსტიტუტის ფანჯრიდან უყურებდა პოლიტიკურ მოვლენებს, ვისაც მონაწილეობა არ მიუღია არცერთ მიტინგში, არცერთ მანიფესტაციაში, არც პრესაში დაუძრავს სიტყვა იმპერიის წინააღმდეგ, არც **ზვიად გამსახურდიას** გვერდით დამდგარა. ხოლო რუსეთიდან მოვლენილ **ედუარდ შევარდნაძეს**, რომელმაც დააკცია საქართველო, რომელმაც თავის სკამს შესწირა ცხინვალი და სოხუმი, მხარს უჭერდა.

თუმცა საამისო საფუძველი ნამდვილად ჰქონდა:

სწორედ შევარდნაძის მეორედ მოსვლის შემდეგ, რამდენიმე თვეში გახდა ლიტერატურის ინსტიტუტის დირექტორი, **თუმცა ორი წიგნის ავტორი იყო (ერთი წერილების კრებულია, მეორე - 66-გვერდიანი მონოგრაფია).**

ასე აღმოჩნდა რამდენიმე რეცენზიისა და სტატიის ავტორი **კორნელი კეკელიძის, გიორგი ლეონიძის, ალექსანდრე ბარამიძის** ადგილზე. პარალელურად კი სულხან-საბა ორბელიანის სახელობის უნივერსიტეტში ქართული ლიტერატურის ისტორიის კათედრას განაგებდა!

რაც შეეხება ჩემს საზოგადოებრივ პოზიციას:

მე **მუხრან მაჭავარიანის** წინადადებით და პრეზიდენტ **ზვიად გამსახურდიას** თანხმობით დავინიშნე „ლიტერატურული საქართველოს“ რედაქტორად, ვცემდი კ. გამსახურდიას ოცტომეულს, ვიყავი ოპოზიციური გაზეთების - „გრაალის“, „კოლხური კოშკის“, „XXI საუკუნის“ მთავარი რედაქტორი; ჩემი ინიციატივით დაარსდა კ. გამსახურდიას საზოგადოება, რომლის თავმჯდომარე იყო ჯერ მუხრან მაჭავარიანი, შემდეგ - ვახტანგ ბოჭორიშვილი; ვწერდი პუბლიცისტურ წერილებსაც; მეც ვიწვნიე დევნა და რეპრესია.

ამ თვალსაზრისით პუტჩისტების ხელისუფლებას შეძლებისამებრ გურამ ბარნოვიც წაეშველა: 1992 წელს გამომიყვანა სამეცნიერო საბჭოდან, 1996 წელს არ დამნიშნა განყოფილების ხელმძღვანელად, თუმცა კონკურენტი არავინ გამოჩენილა.

იმ დროს, როცა ქვეყანა სისხლისაგან იცლებოდა, იგი ჩუმად იყო, საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროცესებისაგან შორს იდგა, თითქოს ეს მას არ ეხებოდა, არც მეცნიერული კვლევა-ძიებით იწუხებდა თავს.

ასეთი პოზიცია ობივატელის პოზიციაა. ობივატელს კი ასე განმარტავს **„უცხო სიტყვათა ლექსიკონი“:**

„ადამიანი, რომელიც მოკლებულია საზოგადოებრივ თვალთახედვას, აქვს მეშჩანური შეხედულებები, ცხოვრობს წვრილმანი, პირადი ინტერესებით“.

*** * ***

კომუნისტური დროის ინერციით ერთმანეთში ურევენ საზოგადო მოღვაწეობას და ხელოვნებას. მაგრამ ეს ორი სხვადასხვა სფეროა და ერთი ვერ შეცვლის მეორეს. ამიტომ ცინიზმსა და ჩვეულ ოხუნჯობას უხვად აფრქვევს ოპონენტი ამ ორიოდე ფრაზის გამო:

„ილია ჭავჭავაძეს მხატვრული შემოქმედება წარმოედგინა და ესმოდა არა როგორც თავისთავადი ფენომენი, არამედ - როგორც ეროვნული მოღვაწეობის ნაწილი. ამიტომ დიდად დაზარალდა როგორც შემოქმედი“.

ხომ ფაქტია, რომ ილიას ოცი ტომიდან მხოლოდ ორი ტომი ეთმობა პოეზიასა და პროზას.

მართალია, **გურამ ბარნოვი სპეციალობით ფოლკლორისტია,** მაგრამ ლიტერატორთა კილვა მისი ჰობია. ამიტომ არ შეიძლება არ ახსოვდეს რომანტიკოსებისა და მოდერნისტების პაროლი - „ხელოვნება ხელოვნებისათვის“. ამის გამო მათ აკრიტიკებდნენ საბჭოთა პერიოდში და მოითხოვდნენ ხელისუფლების იდეების ილუსტრირებას, სინამდვილის ასახვას.

განვაგრძობ ციტირებას:

„შეიძლება ითქვას, იგი პრეზიდენტად იყო დაბადებული და არა მწერლად ან პუბლიცისტად, მაგრამ ძალიან ადრე მოევლინა ამ ქვეყანას“.

არა მგონია, დამოუკიდებელი ქვეყნის პრეზიდენტობა ეროვნული მოღვაწისათვის მწერლობაზე ნაკლებად საპატიო იყოს.

არც ის მგონია, გურამ ბარნოვს არ სმენოდეს **„ზედმეტი ადამიანი“** ან **„უდროობის გმირი“**. თუმცა **სპეციალობით ფოლკლორისტია**, მაგრამ ანტრაქტებში ხომ ლიტერატორებსა და ფილოლოგებს აწიოკებს (მაგ. ნიკო მარს, ალექსანდრე ბარამიძეს, მიხეილ ჩიქოვანს, დოდონა კიზირიას, ლევან ბერძენიშვილს...)

აი, ის კი ნამდვილად არ იცის ჩვენმა ოპონენტმა, რომ ხელოვანთა ერთ ნაწილს ამოძრავებს განგების ნება (შდრ - **„მე ცა მნიშნავს და ერი მზრდის, მიწიერი ზეციერსა, ღმერთთან მისთვის ვლაპარაკობ, რომ წარვუძღვე წინა ერსა“**), რომლის რეალიზება ხდება არა მხოლოდ თხზვით, არამედ - მოქმედებით, არა მხოლოდ ხელოვნებით, არამედ - საზოგადოებრივი მოღვაწეობითა და პოლიტიკით.

ილია ჭავჭავაძისათვის, როგორც კოლონიური ქვეყნის ეროვნული მოღვაწისათვის, პოლიტიკის გზა დახშული იყო. რჩებოდა საზოგადო-

ებრივი ასპარეზი, ქვეყნის მომზადება მომავლისათვის. იგი, ისევე როგორც **აკაკი წერეთელი**, ნაკლებად იცლიდა წმინდა ხელოვნებისათვის, რადგან შემოქმედება მიაჩნდა ეროვნული მოღვაწეობის ნაწილად, არა თავისთავად ფენომენად, როგორც ეს ესმოდათ პარნასელებს, სიმბოლისტებს, იმპრესიონისტებს, ექსპრესიონისტებს, ფუტურისტებს, დადაისტებს, ე. ი. მოდერნისტებსა და ავანგარდისტებს.

გურამ ბარნოვი კი აგრძელებს ცინიკურ ქირქილს:

„ბ-ნ სოსოს საკმაოდ ძნელი მისია უკისრია, კერძოდ, იმის გარკვევა, თუ ვინ როდის უნდა დაბადებულიყო“.

ბატონი გურამი მე რას დამიჯერებს. ამიტომ უკეთესი იქნება, თუ სხვებს დავესესხები:

გრიგოლ აბაშიძე:

„მე შვიდასი წლით დამაგვიანდა
და თქვენს წამებას ვერ მივუსწარი“.

შოთა ნიშნიანიძე:

„ადრე არიან დაბადებული“;
„ო, რა მწარეა, როცა გვიან დაიბადები,
შენამდე ბევრი ბასტილიის დაცხრა დაისი“.

ტარიელ ჭანტურია:

„მე ვიხდი პერმში შეკერილ პიჯაკს
და ცოტნეს გვერდით თამამად წვები“.

როგორც ვატყობ, ბ-ნი გურამი მე მიკრძალავს ყოველგვარ პიროვნებითობას, თავად კი დიდი ხალისით თხზავს მისთვის სასურველ ქვეტექსტებს, ოღონდ, ცხადია, აბსურდულს, რაც ესოდენ ხშირად მოსდით ეჭვით დაბრმავებულებს:

„თუკი ილია ჭავჭავაძე მწერლად და პუბლიცისტად არ იყო დაბადებული, ხოლო პრეზიდენტი კი ვერ გახდა, ხომ არ ჯობდა სულ არ დაბადებულიყო!?“

არც **გარიბალდი**, არც **მაჰატმა განდი**, არც **დენ სიაოპინი** პრეზიდენტები არ გამხდარან, თუმცა თავიანთი ხალხის ლიდერები იყვნენ.

გურამ ბარნოვმა შეიძლება მათზეც თქვას, სჯობდა სულაც არ დაბადებულიყვნენო!

სახეობრივი მეტყველება ლიტერატორსაც სჭირდება, მაგრამ თუ მოხდა უბედურება და ეს უნარი ვერ გამოავლინა, გაგება მაინც უნდა შეეძლოს.

რა თქმა უნდა, ამას ვერ ვიტყვი გურამ ბარნოვზე, რომელიც **ანეკდოტებს მშვენივრად ჰყვება**, უბრალოდ - იგი თვალს იბრმავებს და ყურს იყრუებს, რათა როგორმე ნიჰილისტად, ილია ჭავჭავაძისა და ეროვნული სულისკვეთების მოწინააღმდეგედ გამომიყვანოს.

ამიტომ აწვდის მკითხველს კიდევ ერთ აბსურდულ დასკვნას - სოსო სიგუას წერილში „აგდებული და დამცინავი ტონითაა საუბარი ილია ჭავჭავაძეზეო“.

„აგდებული და დამცინავი ტონით“ გურამ ბარნოვზე არ ვსაუბრობ და, როგორ ფიქრობთ, ილია ჭავჭავაძეზე დავწერდი?

*** * ***

არ მეგონა, თუ ფოლკლორისტი გურამ ბარნოვი არ იცნობდა ტეილორსა და ფრეზერს, ფროიდსა და იუნგს, კასირერსა და ფრეიდენბერგს, არ იცოდა, თუ რას ნიშნავს „პატრიარქალური მამის“ მეტაფორა, მამის (ბელადის, ღმერთის) მკვლელობის რიტუალი, მისი ჩაძირვა არაცნობიერ ფსიქიკაში, გამოვლენა მამათა და შვილთა კონფლიქტში, ხელოვანის ფანტაზიაში.

ეს არის იგივე დიალექტიკური დაპირისპირებულობათა ერთიანობისა და ბრძოლის კანონი.

ამიტომ ვწერდი:

„ქართველმა სოციალ-დემოკრატებმა აღასრულეს ველურთა წესი - მოკლეს ერის ბელადი, ერის მამა, რათა მისი ადგილი თავად დაეკავებინათ“.

გურამ ბარნოვი კი მარტივად წყვეტს, პატრიარქალური უცხოსა და დრომოჭმულს ნიშნავსო, ე. ი. ილია ჭავჭავაძე უცხო და დრომოჭმული ყოფილაო. არგუმენტად ლექსიკონს მიგვითითებს.

ის კი დაავიწყდა ეთქვა, რომ იქვე **„პატრიარქიც“** სწერია, რომ არსებობს ასეთი გამოთქმები - **„მწერლობის პატრიარქი“, „ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის პატრიარქი“, „მეცნიერების პატრიარქი“, „კათოლიკოს-პატრიარქი“....**

მაგრამ ჩვენი ყოფილი დირექტორი ხომ ეჭვიანი კაცია და კეთილი თვალით ჩვენსკენ არ იყურება:

„ბ-ნი სოსო ეტყობა დარწმუნებულია, რომ ილიასაგან განსხვავებით, გაცილებით ფართო და გლობალური მასშტაბის არაპატრიარქალური მოღვაწეა“.

როგორც ჩანს, ბატონ გურამს პატრიარქალური მხოლოდ უარყოფითი აზრით ესმის, როგორც ეს სჩვეოდათ კომუნისტებს.

არადა - მართლა ფოლკლორისტი მეგონა ეს დალოცვილი!

*** * ***

თურმე არც 26 მაისი ყოფილა ღირსშესანიშნავი თარიღი; ტყუილად ზეიმობს საქართველო ამ დღეს; ამაოდ მიეძღვნა ამდენი ლექსი, პოლი-

ტიკური და პუბლიცისტური სტატია მას; უაზროდ დაღუპულა ამ დღის სახელით უამრავი ქართველი...

ეს მხოლოდ „დეკლარირებული დამოუკიდებლობა“ ყოფილა, რაკი ნოე ჟორდანიამ გამოაცხადა!

ასე რომ ეროვნული საბჭოს თავმჯდომარეს ილიას ოცნება არ აუსრულებია. ასეთი დამოუკიდებლობა ილიას არ უნდოდაო!

მაგრამ „კაცია-ადამიანი?!“ ხომ გვეუბნება, რიტორიკაში სწერია, კაცმა ყველაფერი შესავლით უნდა დაიწყოსო!

მორეასს არ უნდა დაეწერა სიმბოლისტების მანიფესტი, მარინეტს - ფუტურისტებისა, პაოლო იაშვილს - „ცისფერყანწელებისა“, სიმონ ჩიქოვანს - - „H2SO4“-ისა.

ჯერ უნდა შექმნილიყო სიმბოლიზმი და ავანგარდიზმი, მაგრამ შემდეგ მანიფესტს რაღა აზრი ექნებოდა!

მანიფესტი ხომ საპროგრამო მიმართვაა, როგორც სიმბოლო და მოწოდება, როგორც ორიენტირი.

ბ-ნ გურამს კი ეწყინება, მაგრამ უნდა ვთქვა: იყო დრო, როცა ილია ჭავჭავაძეს უნდოდა „ივერიის“ რედაქტორად მოეწვია ნოე ჟორდანია!

რაც შეეხება ნოე ჟორდანიას „დეკლარირებულ დამოუკიდებლობას“: მისი ხელისუფლების დროს საქართველოს ტერიტორია მოიცავდა 93 ათას კვ. კმ-ს და შეძლეს ქვეყნიდან უცხო ჯარების გაყვანა. ეს მოხდა ორ წელიწადში. დღეს, დამოუკიდებლობის აღდგენის მეთხუთმეტე წელს, საქართველოში ისევ დგას უცხო ჯარი და ქვეყნის ტერიტორია დასულია 55 ათას კვ. კმ-მდე.

ნ. ჟორდანიას არ დაუკარგავს არც ცხინვალი და სოხუმი, არც ლორე, არტაანი და საინგილო, ხოლო რუსეთის რევოლუციურ ჯარებთან, რომლებიც მოდიოდნენ აზერბაიჯანიდან, სომხეთიდან, სოჭიდან, ქლუხორიდან, დარიალიდან (როცა თურქებმა დაიკავეს ართვინი და ბათუმი), საქართველოს ომი ნამდვილად არ შეეძლო.

სიმართლე ეს არის. დანარჩენი ყველაფერი უვიცობაა, ან - ბოლშევიკური დემაგოგია.

* * *

გურამ ბარნოვი კი გვაფრთხილებს, მარქსიზმი ნაგავიაო, მარქსიზმში ნუ ვიქექებითო, მაგრამ თავად სწორედ კომუნისტური პერიოდის წარმოდგენებით აზროვნებს:

სოციალ-დემოკრატები საქართველოს მტრები იყვნენო, პატრიარქალური უვარგისს ნიშნავსო, ნოე ჟორდანიას არაფერი ეროვნული არ გაუკეთებიაო, 26 მაისის დამოუკიდებლობა ფიქტიური იყოო; მოღვაწეს

მწერალთან აიგივებს, სიტყვას არ ენდობა, ცენზორივით კრძალავს განსხვავებულ შეხედულებებს, მსჯელობს კატეგორიული იმპერატივებით, თითქოს მის გარდა არავის არაფერზე ეფიქროს და ა. შ.

ბატონი გურამი ეროვნულ ღირებულებათა დაცვისკენ მოგვიწოდებს, რაც საჭიროა და აუცილებელი. მაგრამ **არაცნობიერად მისი გონება კომუნისტური დროის ნოსტალგიითაა დასნეულებული**, როცა მიღებული იყო ერთი, ოფიციოზის მიერ მოწონებული აზრი.

თუ რატომ - ეს სხვა საკითხია და ლიტერატურის სფეროს სცილდება.

„მწერლის გაზეთი“, 2.005, 20-31 ნოემბერი.

III. პუბლიცისტიკა

გარდაქმნის პროცესი და ლიტერატურა

დიდი ლიტერატურის შექმნის მძლავრი იმპულსია სოციალურ-პოლიტიკური ქარტეხილები - კატასტროფა ან გამარჯვების ჰეროიკა, როცა ემხობა ძველი ღირებულებანი და ჩნდება უეცარი სიახლენი. ასეთი მნიშვნელოვანი მოვლენები ხშირად არ ხდება ერის ცხოვრებაში, შესაბამისად - ახალი კულტურული ორიენტირიც იშვიათად ისახება.

ქართული რომანტიზმისათვის დიდი სულიერი ბიძგი იყო 1801 და 1832 წლები, „თერგდალეულთათვის“ - ბატონყმობის გაუქმება, რევოლუციურ-დემოკრატიული მოძრაობა და შეხედულებანი, მოდერნიზმისა და ხელოვნების განახლებისათვის - პოლიტიკური პარტიების აღმოცენება, 1905, 1917 და 1921 წლები.

ასეთივე მნიშვნელოვანი უღელტეხილი აღმოჩნდა ქართული და მთელი საბჭოთა მწერლობისათვის 1956 წელი, პარტიის XX ყრილობა.

მოვიდა თვისობრივად ახალი თაობა, რომელმაც შეცვალა ლიტერატურული აზროვნება. საერთოდ თაობა, რომელსაც არ მოაქვს რევოლუციური პაროლები, მხოლოდ ბიოლოგიური თაობაა და არა ინტელექტუალური. საამისო სიტუაციას ცხოვრება უნდა იძლეოდეს ან თავად უნდა შექმნას იგი. არ კმარა მხოლოდ ტალანტი და ერუდიცია. მათ სჭირდება ამოძრავება, გააქტივება, მიმართულების ჩვენება.

ამ თვალსაზრისით ახალი პერიოდი იწყება 1985 წლიდან. აპრილის პლენუმი, სკკპ XXVII ყრილობა, იანვრის პლენუმი, ოქტომბრის რევოლუციისადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომა, **მ. ს. გორბაჩოვის** მოხსენებანი ამ ფორუმებზე, მათში წარმოდგენილი **საბჭოთა სინამდვილის გარდაქმნის**, საზოგადოებრივი ცხოვრების დემოკრატიზების, მშვიდობიანი თანაარსებობის პროგრამა ეხება ხელოვნებას, მათ შორის - ლიტერატურის ძირეულ პრობლემებსაც.

გენერალური მდივანი ყრილობისადმი პოლიტიკურ მოხსენებაში აღნიშნავდა, რომ საბჭოთა ლიტერატურის მთავარი გმირი ყოველთვის იყო **„სამშობლოს პატრიოტი, ჭეშმარიტი ინტერნაციონალისტი“**. ამის გარეშე მხატვრულ სიტყვას ვერ ექნებოდა დიდი რეზონანსი, ვერ დაეუფლებოდა მასების ცნობიერებას. მაგრამ ერთია რაც იყო, მეორეა – რაც იქნება. **„გარდამტეხი დრო“** ლიტერატურაშიც წარმოშობს ახალ გმირებს. იცვლება სინამდვილე, იცვლებიან ადამიანები, უჩნდებათ

ახალი შეხედულებანი და მოთხოვნილებანი. მწერალი, როგორც მასის წევრი, ასახავს ამ ცვლილებებს და აღბეჭდავს სიტყვაში.

მოხსენებაში ხაზი გაესვა ლიტერატურის სამ ძირითად ნიშან-თვისებას - **იდეურობას, მხატვრულობას, ხალხურობას**, რომელთაც უნდა მსჭვალავდეს სიმართლე, ხოლო სიმართლე ყოველთვის კონკრეტული ცნებაა. იგი არაა სინამდვილის კოპირების შედეგი და ამდენად ერთმანეთს არ უდრის. ხშირად ის, რაც მართლაც ცხოვრებისეულია, ხელოვნებაში ყალბად ჟღერს და პირიქით. მხატვრულ სიმართლეს მწერალს ვერავინ უკარნახებს: ის თავად უნდა იგრძნოს, მას თავად უნდა მიაგნოს, რადგან დიდი სიმართლის წვდომა და განცდა ტალანტის ნაწილია.

გავიხსენოთ როდის შეიქმნა **„ჯაყოს ხიზნები“, „მთვარის მოტაცება“, „გვადი ბიგვა“, „კოლხეთის ცისკარი“**. ყოველ დროს თავისი პრობლემები აქვს და გარეგნულად რაც უფრო მშვიდია და წყნარი ცხოვრება, მით უფრო ჭირს მათი მიკვლევა და დანახვა, რადგან სიღრმეშია მოქცეული, მაგრამ რევოლუციურმა დრომ ისინი სამზეოზე კიდევ ერთხელ გამოიტანა.

მკაცრად იქნა გაკრიტიკებული **„სიახლისადმი სიყრუე“**. ჩვენ ვცხოვრობთ სამეცნიერო ტექნიკური პროგრესის ეპოქაში, რომელიც ცვლის გარემოს, ადამიანთა ურთიერთობას, ფსიქიკას, ცნობიერებას. ლიტერატურა ამ ტრანსფორმაციის ამსახველია. იგი ვითარდება და კვლავაც შეიცვლის ფორმას, მაგრამ დარჩება არსი - რეალიზმი და დიალექტიკურ-მატერიალისტური მსოფლმხედველობა, რადგან ეს არის „მეცნიერული მსოფლმხედველობა“, რომელსაც ემყარება ჩვენი იდეოლოგია, „სოციალისტური ცხოვრების წესი“.

სიახლისადმი სწრაფვა ვერც ექსპერიმენტების გამომრიცხველი იქნება, მაგრამ ყოველ ექსპერიმენტს აქვს დრო და ზღვარი, რომლის შემდეგ იგი თვითმიზნად და უსაგნო ძიებად აღიქმება ხოლმე. „სიახლე“ ნიშნავს სხვათა გამოცდილების გაზიარებასაც, იმ მოვლენათა კონტექსტში ყოფნას, რაც თანამედროვე მსოფლიოში ხდება.

გავიხსენოთ გალაკტიონ ტაბიძის პროზისა და პოეზიის ცალკეული ნიმუშები. უკუმზერიობა, დოგმატიზმი შემოქმედებითი სულის მტერია. იგი სულაც არ ნიშნავს ტრადიციისადმი განუხრელ ერთგულებას. ტრადიცია ნამდვილ მწერალს სტიქიურად გადმოეცემა და სისხლის დარად მეტყველებს მასში, რადგან აზროვნებს ენის საშუალებით. ხოლო ენა ეროვნული გონის გამოხატულებაა და ავლენს წინაპართა საერთო კოლექტიურ გამოცდილებას.

ეროვნული და სოციალური გარდაქმნების დროს ლიტერატურაც ნახტომებით ვითარდება (ამჟამად მათ ცვლის **„რადიკალური ეკონომიკური რეფორმა“** და **დემოკრატიზაციის პროცესი**). ევოლუციურია სა-

შუალო ლიტერატურა, თანდათან იზრდება საშუალო მწერალი, ხოლო დიდი ხელოვანი მიწისძვრასავით უეცრად ჩნდება. იგი აზროვნების რევოლუციონერია და ამიტომაც იყვნენ დიდი შემოქმედნი რევოლუციის მხარეს მაშინაც, როცა მისი ჭეშმარიტი არსი ნაკლებად ესმოდათ (მაგ., **აკაკი წერეთელი**).

„რევოლუცია გრძელდება“, გვეუბნება მიხეილ გორბაჩოვი და ამ პროცესის სპეციფიკასა და მიმართულებას გვაცნობს, რაც უეჭველად ჰპოვებს პარალელს ლიტერატურაშიც: მწერალი არა მხოლოდ ამსახველია ან პროცესის მონაწილე, არამედ - კატაკლიზმების სეისმოგრაფი და მემკვიდრეც. გავიხსენოთ „მთვარის მოტაცება“, რომელიც მოახლოებული ტრაგედიის - 1937 წლის საოცარი წინათგრძნობაა, ეპოქის ზუსტი დიაგნოზი, ხოლო „დიდოსტატის მარჯვენა“ - ამ ტრაგედიის წაკითხვა ისტორიულ მოვლენათა ფონზე, წარსულში გადატანილი თანამედროვეობის მოდელი.

დიდ ლიტერატურას ვერ წარმოშობს მხოლოდ სოციალურ-პოლიტიკური მიმოქცევა, თუ არ დაერთო კულტურიდან წამოსული იდეები. აუცილებელია **სააზროვნო ბაზის შექმნა, ინტელექტუალური პოტენციალი.** მაგრამ მოხდა ისე, რომ ჩვენ XX საუკუნეში ლამის უარვყავით XX საუკუნის კულტურა. ქართულ ენაზე არ არსებობს ამ ასწლეულის დიდ ფილოსოფოსთა, ფსიქოლოგთა, ესთეტიკოსთა ნააზრევი, თითქმის არ თარგმნილა იმ პოეტთა შემოქმედების ნიმუშები, რომლებშიც აისახა თანამედროვე ეპოქის რიტმი და მოქალაქის ფსიქიკა. ახალგაზრდა შემოქმედი მათ უნდა გაეცნოს მშობლიურ ენაზე. სხვა ენიდან მიღებული ინფორმაცია ეკუთვნის ცნობიერებას და არა სულს.

ამიტომ ახლავს ამ პროცესს ხელოვნურობა, ბუნდოვანება, ფორმალიზმი. ოციან წლებში **გრ. რობაქიძე** და **კ. გამსახურდია, ტ. ტაბიძე და ვ. გაფრინდაშვილი** წერდნენ თანატოლ რუს და ევროპელ პოეტებსა და პროზაიკოსებზე, თანამედროვე ხელოვნების პრობლემატიკაზე. დღევანდელი შემოქმედი ეცნობა იმ პროცესს, რომელიც უკვე ისტორიად არის ქცეული. ეს არის შედეგი იმ ჰერმეტიზმისა, რომელიც დაიწყო 30-იან წლებიდან და ნაწილობრივ დაძლეულ იქნა XX ყრილობის შემდეგ, მაგრამ არსებითად ისეთივე დარჩა.

სააზროვნო ბაზაც ვერ მოავლენს მწერალს, რადგან მასში მთავარია ის, რაც არ ისწავლება და არ შეიძინება, მაგრამ თუ არ დახვდა კულტურის მასტიმულირებელი ატმოსფერო, მხოლოდ სტიქიის კარნახით შესაძლებლობის მინიმუმს გამოამჟღავნებს. „ვეფხისტყაოსანი“ შექმნა არა მხოლოდ **რუსთაველის** გენიამ, არამედ - ერთი მხრივ საქართველოს პოლიტიკურმა ძლიერებამ, მეორე მხრივ - წინამორბედთაგან შექმნილმა ეროვნულმა კულტურამ (ათონელები, ჰიმნოგრაფები, ეფრემ მცირე,

იოანე პეტრიწი).

შეიძლება შეიცვალოს საგამომცემლო პოლიტიკა, მოწესრიგდეს ეკონომიკა, მაგრამ **გაცილებით ძნელია აზროვნების გარდაქმნა, ხოლო კიდევ უფრო ძნელი - მხატვრული აზროვნებისა**. მ. გორბაჩოვის მიერ შექმნილი **„ახალი აზროვნების“** კონცეფცია მოელის შესაბამის გამოხატვას ლიტერატურაში.

ცხადია, მისი მოდელი იქნება ინდივიდუალური და, მაშასადამე, მრავალგვარი, მაგრამ გაიმეორებს ზოგად ნიშან-თვისებასაც, რაც ალბათ **იქნება რეალისტური უნივერსალიზმი, სინთეზი იმ სტილთა, ფორმათა და იდეათა, რაც XX საუკუნის კულტურაში დაგროვდა, როგორც სულიერი ფასეულობა.**

1987 წლის 27 იანვარს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე მიხეილ გორბაჩოვი გამოვიდა მოხსენებით - **„გარდაქმნისა და პარტიის საკადრო პოლიტიკის შესახებ“**. ეს იყო მართლაც ისტორიული მნიშვნელობის გამოსვლა, რომელმაც უდიდესი გამოხმაურება გამოიწვია და მთელ მსოფლიოს ახლებურად დაანახა საბჭოთა კავშირის მომავალი.

გენერალურმა მდივანმა სიტუაციის ზუსტი და მკაცრი ანალიზის საფუძველზე დაასაბუთა გარდაქმნა, როგორც ობიექტური აუცილებლობა, საკადრო პოლიტიკის როლი და ფუნქცია ამ პროცესში. **თავისი მნიშვნელობით იანვრის პლენუმი ისევე იყო რევოლუციური მოვლენა, როგორც სკკპ XX ყრილობა.**

სხვა მრავალ პრობლემასთან ერთად მ. გორბაჩოვმა განიხილა კულტურის, ხელოვნების, ლიტერატურის საკითხები, განავითარა პრინციპული დებულებანი, რომელთა მიხედვით უნდა შეფასდეს ქართული მწერლობაც. დოგმატიზმისა და კონსერვატიზმის საფუძვლად მიჩნეულ იქნა მოძველებული თეორიული შეხედულებანი.

პარტიის ლიდერმა პირდაპირ გვითხრა, რომ **„სოციალიზმის შესახებ თეორიული წარმოდგენები მნიშვნელოვანწილად რჩებოდა 30-40-იანი წლების დონეზე“, „გარკვეულ გარემოებათა გამო თეორიასა და საზოგადოებათმცოდენობაში გაქრა ცოცხალი დისკუსია და შემოქმედებითი აზროვნება“**, ხოლო **„ავტორიტარული შეფასებანი და დასკვნები“** გადაიქცა უცილობელ ჭეშმარიტებად, რომელთა **„მხოლოდ კომენტირება შეიძლებოდა“**. ქებით იხსენიებოდა **„ათასგვარი სქოლასტიკური თეორიზება“**, რომელიც არ ეხებოდა **„ცხოვრებისეულ პრობლემებს“**. **„თეორიულ ფრონტზე შექმნილმა მდგომარეობამ ნეგატიური გავლენა მოახდინა პრაქტიკული საკითხების გადაწყვეტაზე“**.

ლიტერატურა სინამდვილის მოდელირებაა მხატვრულ სიტყვაში. ამიტომ მას უშუალოდ უკავშირდება საჯაროობა და დემოკრატიზების პროცესი, ოციანი წლების სიტუაციისა და სტალინის პიროვნების

კულტის განსჯა, პოლიტიკური და ეკონომიკური მექანიზმის გარდაქმნა, თანამედროვე მსოფლიო ბედი. ამიტომ გვისახავს მ. გორბაჩოვის შეხედულებანი ახალ პერსპექტივას - ისინი მიმართულია მომავლის ხელოვნების შესაქმნელად.

წლების მანძილზე ლიტერატურის თეორიასაც ნაკლებად გაეგებოდა პრაქტიკისა. თითქოს მათ ერთმანეთი არ სჭირდებოდათ. თეორეტიკოსები თხზავდნენ სქემებს, რომელთაც არავინ ეცნობოდა. შედეგი - მათ არც იწონებდნენ და არც იწუნებდნენ. მწერლობა მისდევდა ცხოვრების მდინარებას, სინამდვილის მეტამორფოზებს, თუმცა ნაკლები ძალით, ვიდრე ოციან და ოცდაათიან წლებში, როცა რევოლუციური განახლების სტიმულმა წარმოშვა შედევრები. მაგრამ 1937 წელი მძიმე დარტყმა იყო მწერლობისთვისაც და მან დაჰკარგა თავისუფლება ოცნების სფეროში.

უნდა გასულიყო მთელი ოცი წელი, რათა სქემატიზმისათვის ნაწილობრივ მაინც დაეღწია თავი. ფსიქოლოგიურად ძნელი გადასატანი აღმოჩნდა 1946 წელიც, რომელმაც კიდევ უფრო განავრცო შიშის ატმოსფერო და საბოლოოდ დათრგუნა შემოქმედებითი იმპულსები. ამ დროიდანვე გაბატონდა რეალიზმის დოგმატური გაგება, რაც არსებითად ვერ შეიცვალა ვერც 60-70-იან წლებშიც და ამდენად კიდევ უფრო დასცილდა მწერლობას, იქცა არა მხოლოდ კონსერვატიულ (კონსერვატიზმი ზოგჯერ საჭიროც არის), არამედ - რეგრესულ ფაქტორად.

ქართულმა მწერლობამ სათქმელის გადმოცემის მიზნით, შინაგანი თავისუფლების მოსაპოვებლად მიმართა სტილიზებულ მეტყველებას, ისტორიას, მითოსს, ოცნების ქვეყანას. რეალიზმს დაერთო ალეგორიული და აბსტრაქტულ-სიმბოლური ხედვა (ზოგჯერ ერთმანეთს დასცილდნენ კიდეც). ამან ერთი მხრივ გააძლიერა აღქმა და აზროვნება, დაუახლოვა საერთაშორისო ლიტერატურულ პროცესებს, მეორე მხრივ დაჩრდილა უმთავრესი - დღევანდელი საქართველოს ბედი, მისი სადღეისო ეროვნული და სოციალური სატკივარი. მხოლოდ რამდენიმე მწერალი შეეცადა უშუალოდ აესახა და პასუხი გაეცა დროის მიერ წამოჭრილ ულმობელ და მწვავე კითხვებზე. ამავე ტენდენციამ წარმოშვა ირონიულ-პაროდიული ნაკადი პოეზიაში, პროზაში, კრიტიკაში.

მწერლობა ცდილობდა აკრძალული თემებისა და ზონების სფეროში შეღწევას. ასეთი ურჩობისათვის ისჯებოდა კიდეც, თუმცა უმრავლესი ნაწილი მშვენივრად შეეგუა სიტუაციას. ლიტერატურა ერთიანი მოზაიკაა და მოქალაქეობრივ და ინტელექტუალურ სიმამაცესთან ერთად საკმარისზე მეტად იყო შელამაზება და კონიუნქტურა, დითირამბი და კონფორმიზმი, ყალბი სიახლე და ყავლგასული შეხედულებანი.

დღეს, როცა ბევრი რამ სააშკარაოზე იქნა გამოტანილი (საყოველთაო უწესრიგობა, გეგმების ფალსიფიცირება, ეკოლოგიური გაბინძურება, სამედიცინო მომსახურების დაქვეითება, საერთაშორისო სტანდარტებისაგან ჩამორჩენა, მექრთამეობა, ნარკომანია, პროსტიტუცია, ფსიქიატრიული საავადმყოფოები...) **ჩვენს წინაშე წარმოსდგა არა ჯანსაღი, არამედ სნეული, ეგოცენტრიზმით შეპყრობილი, ნევროზული საზოგადოების სურათი.**

ასეთ დროს მწერალს დიახაც მართებს თვალთახედვის შეცვლა, მეტი მოქალაქეობრივი მხნეობისა და აქტივობის გამოჩენა. იგი ვერც ნარკომანს განკურნავს, ვერც მრავალსართულიან კორპუსს ააშენებს, მაგრამ მართალი სიტყვით უნდა დახატოს ეპოქის სურათი, დაიცვას ჰუმანისტური იდეალები, რათა ააღელვოს, ჩააფიქროს, გაიყოლიოს მკითხველთა მასები. ჩვენ ბევრს ვდაობდით სტილურ ნიშნებზე, ლექსის სტრუქტურაზე, ნაწარმოების დეტალებზე (და საჭიროც იყო!). მაგრამ ნაკლებ ყურადღებას ვაქცევდით თანამედროვე ადამიანის ხასიათს, ფსიქიკას, შეხედულებებსა და მიდრეკილებებს. არა იმიტომ, რომ მათი მნიშვნელობა აქტუალურად არ მიაჩნდათ, არამედ ყალბ გააზრებას ისევ დუმილი ერჩიათ ან საკუთარი თვალსაზრისი გადაჰქონდათ ლიტერატურის ისტორიაში. წარმოიშვა ე. წ. **„ზეპირი კრიტიკაც“**, საგრძნობლად განსხვავებული ბეჭდვითი სიტყვისაგან.

რევოლუციის 70 წლისთავისადმი მიძღვნილ საზეიმო სხდომაზე მიხეილ გორბაჩოვი გამოვიდა მოხსენებით - **„ოქტომბერი და გარდაქმნა: რევოლუცია გრძელდება“**, რომლის პირველი ნაწილი მთლიანად დაეთმო პარტიის ისტორიის ახლებურ გააზრებას. ამ დებულებების გათვალისწინებით გვმართებს წავიკითხოთ ქართული საბჭოთა მწერლობის ისტორიაც, განვითარების რთული და წინააღმდეგობრივი პროცესი, ცალკეული ნაწარმოებები. ლიტერატორთა და კრიტიკოსთა შრომების დიდი ნაწილი ცალმხრივად, მწვავე პრობლემების იგნორირებით განიხილავს ლიტერატურის ეტაპებს, ავტორებს, თხზულებებს. მართალია, ობიექტურ სიტუაციას ვერ უარვყოფთ, მაგრამ მეტია სუბიექტური წვლილი. არაერთ ნაშრომში ქართული საბჭოთა მწერლობის ისტორია წარმოდგენილია, როგორც პარტიის ისტორიის დამატება, ინდივიდუალურ, სპეციფიკურ ნიშან-თვისებათა გააზრების გარეშე, ცალკეულ ავტორთა, ნაწარმოებთა, ბიოგრაფიულ დეტალთა იგნორირებით, წინასწარი სქემის მიხედვით, რომლის დროსაც ლიტერატურაში ყველაზე ნაკლებად აინტერესებდათ ის, რაც მას აქცევდა ხელოვნებად.

ამგვარი ყალბი გაგება გადავიდა სახელმძღვანელოებშიც, რამაც მოსწავლეებს კი არ გაუღვივა, არამედ გაუქრო ინტერესი მხატვრული სიტყვისადმი, გახდა **სულის კრიზისის** ერთ-ერთი ფაქტორი. ცალკეულ

ლიტერატორთა ცდა გარდასული პროცესის, როგორც ობიექტური რეალობის აღდგენისა, აღიქმებოდა როგორც კერძო პირთა აზრი.

„ოფიციალური“ ლიტერატურისმცოდენობა და ლიტერატურის თეორია მათ არც ახლა იზიარებს. სამაგიეროდ მწერლობამ ჩაოიცილა ანტილიტერატურული სქემები, განყენებული, რეალური ცხოვრებისა და ხელოვნებისაგან შორს მდგარი შეხედულებანი. ამიტომ აღნიშნავდა მ. გორბაჩოვი: **„ლიტერატურა ცვლილებებისათვის ამზადებდა საზოგადოებას, მოსვენებას არ აძლევდა საზოგადოებრივ სინდისს“**. ნამდვილი მწერალი, ვისაც აღელვებს თავისი ერის ბედი, თავისი ენისა და ლიტერატურის მომავალი, არ შეიძლება არ იყოს **„გარდაქმნის ქომაგი“**.

დოგმატური და შაბლონური გაგების გამო შემცირდა და ზოგჯერ კიდეც გაქრა ჩვენი ლექსიკიდან ცნებები - **„ხალხურობა“, „პარტიულობა“, „სოციალისტური რეალიზმი“**. საქმეს ვერ შველოდა ვერც სოციალისტური რეალიზმის როგორც **„ღია“** და **„დახურული“** სისტემის გარშემო კამათი. მწერალს ეს პრობლემა ნაკლებად აღელვებდა. ახალი მოვლენების ახლებური თეორიული გააზრება ლამის აიკრძალა. მითი - არა, სიმბოლო - არა, სტრუქტურა - არა, ფსიქოანალიზი - არა, ტერმინები - არა, რთული მეტყველება - არა, გვაფრთხილებდნენ ხოლმე.

გამოდის, რომ ლიტერატორს მხოლოდ პერიფრაზის უფლება ჰქონდა, მაგრამ პერიფრაზს ხომ ისევ ტექსტის წაკითხვა სჯობია! ეს კიდევ უფრო აძლიერებდა მწერლის უნდობლობას შემფასებლისადმი, რადგან მასში ხედავდა მხოლოდ მსჯავრმდებელს და არა თანამოაზრეს.

რა იყო მიზეზი?

ტექსტის ახლებური მეთოდებით ინტერპრეტაციას შესაძლოა მივეყვანეთ პიროვნებისა და ადამიანის პრობლემის სხვაგვარ კონცეფციასთან, რადგან დღევანდელი ფსიქიკა სულაც არაა ისეთი, როგორიც იყო 30-იან თუ 40-იან წლებში! ნიველირება, ზომიერება, დაშოშმინება, „გათანაბრების“ პრინციპი ლიტერატურაშიც გადადიოდა, ხოლო დაცხრომა და დამშვიდება, ერთი შეხედვით, შეიძლება ნაკლები შეცდომების წყაროც იყოს. მაგრამ **ყველაზე დიდი შეცდომა არის უმოქმედობა,** რაც, ცხადია, სულაც არაა რევოლუცია. რევოლუცია უკიდურესობის ამბოხებაა. იგი სიმშვიდისა და სიწყნარის უარყოფაა. მათ საპირისპიროდ გვეუბნებიან - **„რევოლუცია გრძელდება“, „მიმდინარეობს ფასეულობათა გადაფასება, მათი შემოქმედებითი გადააზრება“**. ისტორიაში **„თეთრი ლაქების“** მოსპობა, აკრძალულ სახელთა აღდგენა, მივიწყებულ სახელთა პროპაგანდა მისი ერთი ასპექტია, მაგრამ საჭიროა ამ სახელების ეროვნული კულტურის კონტექსტში გააზრებაც, რაც სახელდახელოდ ვერც მოხერხდება. (მაგ., პოლიტიკაში - **ნ. ჟორდანია**, ლიტერატურაში - **გრ. რობაქიძე**).

კარგი დადგენილებანი ადრეც გამოჰქონდათ, განსაკუთრებით **ლ. ი. ბრეჟნევის** დროს. მაგრამ ისინი ვერ სრულდებოდა, რადგან მათი მიზანი იყო სინამდვილის კონსტრუირება, და არა სინამდვილიდან გამოსული პრობლემის პრაქტიკული გადაწყვეტა. ლამის დავიწყებას მისცემოდა ერთ-ერთი მთავარი პრინციპი - **„ყოფიერება განსაზღვრავს ცნობიერებას“**. ლიტერატურაშიც მეტწილად ცდილობდნენ ცნობიერებით განესაზღვრათ ყოფიერება, სასურველი მიეჩნიათ რეალობად. ეს იყო შეგნებული პრაგმატიზმი, პრაგმატიზმი არა მხოლოდ ყოფის, არამედ - აზროვნების სფეროშიც, რაც ხდებოდა ღირებულებათა ყალბი კლასიფიკაციის საფუძველი.

ჩვენ მივეჩვიეთ ერთი აზრის დიქტატურას ლიტერატურაში. თითქოს არსებობდეს სამუდამოდ დადგენილი, შეუცვლელი ჭეშმარიტებანი, რომელთაც კრიტიკული მზერა არ უნდა მისწვდეს. ამგვარ ოპონენტთა გასაგონად ამბობს მ. გორბაჩოვი: **„არავის აქვს უფლება თქვას, უკანასკნელი ინსტანციის ჭეშმარიტებას მივწვდიო“**. აზრთა სხვადასხვაობა, მათი დაპირისპირება და შეჯახება, რაც განვითარების დიალექტიკაა, უარყოფილი და დაგმობილი იყო. ხოლო ერთი აზრი ყველა საკითხზე იმას ნიშნავს, რომ არავის არაფერი აინტერესებს.

ნიჰილიზმი, რომელსაც ვუკიჟინებდით ბურჟუაზიული დასავლეთის მოაზროვნეებს, ფაქტიურად ჩვენშიც გაბატონდა და რაც ყველაზე სახიფათოა - მასების შეგნებაში. მწერლობაშიც მოქმედებდნენ პატარ-პატარა **„დიქტატორები“**, რომლებმაც სიტყვიერად დიახაც უარყვეს პიროვნების კულტის თანამდევი მანკიერებანი, მაგრამ საქმით იმ ეპოქის ინერცია გამოიყოლეს, რომელშიც აღიზარდნენ.

ზედმეტი არ იქნება მათ შევახსენოთ მ. გორბაჩოვის სიტყვები: **„უკუვაგდოთ ძველი ჩვევები და მეთოდები“**. ერთ დროს კრიტიკა მბრძანებლობდა ლიტერატურაზე. შემდეგ თანდათან ვითარება შეიცვალა. ახლა მწერლები კარნახობენ კრიტიკას მიმართულებას, პოზიციას. **კრიტიკოსი ლამის ზედმეტად იქცა ლიტერატურაში.** მას ბრალად ედება არაობიექტურობა, პანეგერიკი და ღირებულებათა არევდარევა. ზოგიერთი იქამდეც მიდის, რომ საერთოდ უარყოფს კრიტიკის არსებობას. სუბიექტურად შესაძლოა ისინი მართალნიც იყვნენ და ეს კიდევაც ეტყობა მათს ნაწერებს! მაგრამ აქ ერთი ფაქტიც უნდა გავიხსენოთ: ღირებულებათა ინფლაცია, პანეგერიკი და დითირამბი თავად მწერლებმა დააკანონეს ლიტერატურაში.

საკმარისია გადავხედოთ საიუბილეო მილოცვებს. ხოლო პროფესიონალ კრიტიკოსს მწერალი აფასებს იმდენად, რამდენადაც ჰოსმთქმელია იგი მასზე. სამაგიეროდ უმნიშვნელო შენიშვნებიც ტრაგედიად აღიქმება. მიუხედავად კრიტიკისადმი მრავალგვარი ძალდატანებისა,

მიუხედავად მისი ნაკლისა და შეცდომებისა, უნდა ვთქვათ, რომ უსამართლოდ არ დაჩრდილულა არცერთი ნაწარმოები (იგულისხმება 70-80-იანი წლები), მაგრამ ასე როდი იყო 30-50-იან წლებში: მაგ., **კ. გამსახურდიას** შემოქმედებაზე დაიბეჭდა 100-ზე მეტი უარყოფითი წერილი, ხოლო **კ. ლორთქიფანიძის** პროზაზე - არც ერთი!

დღეს სიტუაცია რადიკალურად არის შეცვლილი, მაგრამ ანტაგონიზმი კრიტიკასა და მწერლობას შორის მაინც დარჩა. ამის გამო შენიშნავს მ. გორბაჩოვი: **„აყვავდა კაზიონურობა და ფორმალიზმი, გაჩნდა უკიდურესი შეუწყნარებლობა კრიტიკისადმი. მთელ რიგ შემთხვევებში უსაზომო ამბიციებმა თანდათან დათრგუნა რეალისტური შეფასებანი და თვითშეფასებანი“**. ამის მაგალითად შეიძლება დავასახელოთ ის აუტო-დაფე, რომელიც მოუწყვეს **გ. გაჩეჩილაძეს**. კრიტიკოსსაც აქვს შეცდომის უფლება, მით უმეტეს მაშინ, როცა იგი თავად ცდილობს გარდაქმნას და ფაქტების და მოვლენების განჭვრეტას.

მწერალი არ არის პოლიტიკოსი, მაგრამ მისი აზროვნება პოლიტიკისაგან განუყრელია, თუნდაც არაცნობიერ დონეზე. ყოველი დროის მწერლობა ტრიალებს ეროვნულ-სოციალური პრობლემატიკის ნრეში, სულ ერთია, იქნება იგი მიმართული მარადიული თემებისა თუ ყოფითი მოვლენებისკენ. მაგრამ თანამედროვეობამ, ტოტალურმა ინფორმაციამ, თერმობირთვული ომის საფრთხემ, ე. ი. აპოკალიპსური წარღვნის შიშმა, როგორც არასდროს, ისე საერთო გახადა სხვადასხვა რასების, ერების, სოციალური სისტემების შვილთა ინტერესები. ეს კი მოითხოვს მეტს შეცნობას, გარკვევას რეალობაში, არა მხოლოდ მოვლენების ჭვრეტას ლოკალურ გარემოში, არამედ - ზოგადკაცობრიული თვალსაზრისით. პროგრესი ხომ ნიშნავს არსებულის შემოქმედებით დაძლევას და არა ხელაღებით უარყოფას. მწერალი ვერ დაიქადის, რომ შეძლებს თვისობრივ გარდაქმნას, მაგრამ სიახლის შეგრძნება, პროგრესისკენ ორიენტირი უეჭველად უნდა ჰქონდეს. საჯაროობა და დემოკრატიზმი ხომ შემოქმედებითი თავისუფლების დამკვიდრების გარანტიაცაა.

მ. გორბაჩოვის მოხსენებებსა და სიტყვებში წამოჭრილია არაერთი იდეა, რომლებიც არ ეხება ლიტერატურას, მაგრამ ეხება სინამდვილეს, რომელიც ხელოვნების წყაროა. ამიტომ ისინი იძლევიან შემოქმედებითს იმპულსებს. ისიც უნდა შევნიშნოთ, რომ სიახლენი უცებ ვერ იქცევა მხატვრულ აზროვნებად, ვიდრე ისინი არ გახდებიან სულისა და სისხლის ნაწილი. ამ მხრივ შედარებით კონსერვატულია როგორც პოეზია, ისე პროზა. ხელოვანი ფოტოგრაფი არ არის, რომ რეალობის სურათი რამდენიმე წუთში მოგვაწოდოს. მაგრამ სხვაა პუბლიცისტიკა და კრიტიკა (შდრ - ალმანახი „კრიტიკა“, გაზეთი „ლიტერატურული საქართველო“).

და მაინც - ჩვენი პუბლიცისტური აქტივობა საგრძნობლად ჩამოუვარდება საკავშირო პრესის დონეს. წლების მანძილზე ფორმირებული სქემების რღვევის შიში ისე დიდია, რომ სიტყვით მათ ყველა უარყოფს, მაგრამ საქმით ისევ ერთგულობს. გაცილებით ადვილია ცხოვრებისეული მანკიერების, სიმახინჯის, დარღვევების შემჩნევა და მათზე მსჯელობა, ვიდრე ანალოგიური პროცესების დანახვა მხატვრული აზროვნების სფეროში, **„სტერეოტიპების მსხვრევა“**.

ლიტერატურაში გადამწყვეტია ტალანტი, რომლის საწყისი არაცნობიერ ფსიქიკაშია მოქცეული, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს მწერალი, ლიტერატორი, მკითხველი არ აცნობიერებდნენ შემოქმედებით პროცესებს. თანამედროვე ლიტერატურა სტიქიურად, ინტუიციურად ვერ განვითარდება. რაც დრო გავა, მით უფრო გაიზრდება ცნობიერების ფუნქცია, მაგრამ ერთია პროცესის იდეური წარმართვა, მეორე - ადმინისტრირება. **მარქსსა და ენგელსს არავითარი თანამდებობა არ ჰქონიათ, არავისზე ძალა არ დაუტანებიათ, მაგრამ მათმა იდეებმა სწრაფად მოიცვა** ევროპა. არც ლიტერატურული სკოლების (მაგ., იმპრესიონიზმის, სიმბოლიზმის, ფუტურიზმის, კუბიზმის) ესთეტიკური პრინციპები გავრცელებულა ვინმეს ბრძანებით, ხოლო არაერთი იმპერატორის თუ პრეზიდენტის სახელი და საქმე მაშინვე დასრულდა, როგორც კი ტახტსა და სავარძელს მოსცილდნენ.

ვ. ი. ლენინმა მხატვრული ლიტერატურა მიიჩნია პარტიული მუშაობის ნაწილად, მაგრამ იქვე შენიშნა: **„ლიტერატურული საქმე ყველაზე ნაკლებ ემორჩილება მექანიკურ შეთანხმებას, ნიველირებას, უმრავლესობის ბატონობას უმცირესობაზე. უდავოა, ამ საქმეში უეჭველად საჭიროა მეტი გასაქანი მიეცეს პირად თაოსნობას, ინდივიდუალურ მიდრეკილებებს, გასაქანი მიეცეს აზრსა და ფანტაზიას, ფორმასა და შინაარსს. ყოველივე ეს უდავოა, მაგრამ ყველაფერი ეს მხოლოდ იმას ამტკიცებს, რომ პროლეტარიატის პარტიული საქმის ლიტერატურული ნაწილი არ შეიძლება შაბლონურად გავაიგივოთ პროლეტარიატის პარტიული საქმის სხვა ნაწილთან“**.

ეს პრინციპი დავიწყებულ იქნა 20-50-იან წლებში. ადმინისტრირებას რეპრესიები მოჰყვა, შიშის ატმოსფერო დაკანონდა. ვინც გაეცნობა იმდროინდელ პრესას, შემზარავი სურათი გადაეშლება თვალწინ. და ჩვენ კი არ უნდა გვიკვირდეს, რატომ დაქვეითდა 40-იანი წლებიდან არაერთი თვალსაჩინო ოსტატის ტალანტი, არამედ რაც გააკეთეს, ისიც როგორ შეძლეს. ეს მაშინ, როცა ახლა უბრალო შენიშვნების ატანაც გვჭირს!

მ. გორბაჩოვი მიგვითითებს, რომ უახლოეს ორ-სამ წელიწადში **„მართვის მეტისმეტად ცენტრალიზებული მბრძანებლობითი სისტემიდან**

დემოკრატიულ სისტემაზე“ უნდა გადავიდეთ. ეს მით უმეტეს შეეხება მწერალთა ორგანიზაციას. თანამდებობათა სიმრავლეს შემოქმედებისთვის ზიანი უფრო მოაქვს, ვიდრე სიკეთე. შემოქმედებითი კავშირი პროცესს მაშინ შეიძლება წარმართავდეს, თუ იგი გახდება **„ახალი იდეების გენერატორი“** (ჯ. პატიაშვილი), რომელიც თავისთავად დამუხტავს ადამიანებს და მათ სულისკვეთებას ერთი მიზნით შეაკავშირებს. მხოლოდ განხილვა, შეხვედრა, იუბილე თუ ლიტერატურული საღამო ბევრს არაფერს ნიშნავს. ეს მარტოოდენ პროპაგანდაა. **მთავარი არის შექმნა, ინტელექტუალური დისციპლინა.** მაგრამ ხშირად შინაგანი სიცარიელის თუ კრიზისის ხან დაძლევას, ხანაც დაფარვას ცდილობენ ანტილიტერატურული აჟიოტაჟით. იქნებ ამ თვალსაზრისით სასურველი აღმოჩნდეს ოციანი წლების (ნეპის პერიოდის) გამოცდილების გაზიარება, როცა არსებობდა რამდენიმე სალიტერატურო ჯგუფი და ჰქონდათ თავიანთი პრესა (ამის საშუალებას იძლევა კოოპერატიული გამომცემლობა).

მაგრამ ყოველგვარი ძალისხმევა ამაო იქნება თუ ხელნაწერის წიგნად ქცევას კვლავაც წლები დასჭირდება, თუ არ მოიხსნება ტირაჟის, მოცულობის, გამოცემის ლიმიტირება. ამ თვალსაზრისით ჩვენ ათეულ წლობით ჩამოვრჩით დასავლეთს, რაც ანელებს როგორც მწერლობის პროგრესს, ისე მკითხველთა ინტერესს. მ. გორბაჩოვმა ყრილობაზე აღნიშნა, რომ უნდა გაუმჯობესებულიყო **„წიგნის საგამომცემლო და საჟურნალო საქმე“**, მაგრამ ჯერჯერობით არსებითი ცვლილებანი არ შეიმჩნევა.

ჩვენ ვდგავართ საუკუნის მიწურულთან. არავინ იცის კონკრეტულად, როგორი იქნება XXI ასწლეულის ლიტერატურა, მაგრამ რევოლუციური დროის მოთხოვნაა, იგი იყოს უფრო მართალი, იდეური, მხატვრული და ხალხური, რომელშიც გაერთიანდება ფიქრი, გრძნობა და სულის ძახილი.

1987, ნოემბერი

P. S. დაიწერა გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციის შეკვეთით, მაგრამ რედაქტორმა (ნ. ფოფხაძე) არ დაბეჭდა.

ქართული ენის მომავლისათვის

ქართული ენის სათავე შორეულ ათასწლეულებშია, ხოლო ჩვენთვის ცნობილი პირველი ეპიგრაფიკული წარწერები V საუკუნეს განეკუთვნება. ამ ენაზე შექმნილია მდიდარი მხატვრული, რელიგიური,

სამეცნიერო ლიტერატურა. ამიტომ ქართული ენის მნიშვნელობა სცილდება რესპუბლიკის ფარგლებს და კაცობრიობის საერთო კულტურული ფონდის ნაწილია. როგორც აღნიშნავენ ხოლმე, ენა არის ეროვნული გონის გამოხატულება, სამყაროს მოდელირების ერთი ვარიანტი. არათუ უძველესი და მდიდარი ენის დაკნინება და დაღუპვა, არამედ ნებისმიერი მცირე არეალის მქონე ენის გაქრობა კაცობრიობის დანაკლისია.

ვცემთ **„წითელ წიგნს“**, მეცნიერები სწუხან, რომ გადაშენდა არაერთი ჯიშის ცხოველი და სახეობის მცენარე, მაგრამ ენის შეზღუდვა ან, მითუმეტეს დაღუპვა ხომ ნამდვილი ტრაგედიაა.

ჩვეულებრივ მიუთითებენ ხოლმე, რომ **„ენა დედაა ერისა“**, რომ ენა განსაზღვრავს ერს. ეს არასწორი მაქსიმალიზმია, რადგან **მთავარია ერი, რომელიც ქმნის ენას. ენის გადაგვარებიდან კი არ იწყება ერის დაცემა, არამედ - პირიქით. ერის დაქვეითება და კვდომა იწვევს ენის სიკვდილსაც,** როგორც ეს მოხდა ძველ საბერძნეთში, რომში, ეგვიპტეში, მესოპოტამიის ქვეყნებში. ერი რამდენადაც გონიერია და ძლიერი, იმდენად პატრონობს თავის ენას, რომლითაც ცხადდება მისი ინდივიდუალური მიმართება სამყაროსთან. ამდენად იწვევს მოწონებასა და კმაყოფილებას **„ქართული ენის სახელმწიფო პროგრამის“** პროექტის გამოქვეყნება, რომლის მთლიანი რეალიზება უნდა მოხდეს 2.000 წლამდე, ძირითადი ნაწილისა კი - უახლოეს წლებში.

პროექტის პირველი თავი ეძღვნება **ქართული ენის კონსტიტუციურ სტატუსს, ქართული ენის სახელმწიფოებრივ ფუნქციას.**

II თავი ქართული ენის მეცნიერული შესწავლის პროგრამას გვაცნობს (სოციოლინგვისტური, ლექსიკოლოგიური და სხვა). რასაკვირველია, ქართულ ენას დიდი ხანია სწავლობენ ქართველი, რუსი და უცხოელი მეცნიერები, შექმნილია არაერთი კლასიკური ნაშრომი, მაგრამ ეს ყოველივე იყო ცალკეულ დაწესებულებათა ან პირთა ინიციატივა. ამჯერად კი ისახება **სახელმწიფო პროგრამა**, რომელიც თავს მოუყრის ყველა ძალას, დაამკვიდრებს და განამტკიცებს ქართულ ენას რესპუბლიკის ყველა რეგიონში.

მაგრამ ენის კონსტიტუციური სტატუსის მეცნიერული გააზრების საფუძველი არის მისი სწავლება სკოლამდელ დაწესებულებებში, საშუალო სკოლაში, უმაღლეს სასწავლებლებში. ამ პრობლემას ეძღვნება III თავი. შემუშავებულია ერთიანი გეგმა მართლწერისა და მეტყველების, გრამატიკის სტილისტიკისა და ლექსიკოლოგიის ძირითად საკითხებზე. ჩამოყალიბდება ქართული მეტყველების კულტურის კათედრები რესპუბლიკის ყველა უმაღლეს სასწავლებლებში.

გამოიცემა კლასგარეშე საკითხავი კრებულები, პალეოგრაფიული

ალბომები, ქართული გრამატიკის ტაბულები და პლაკატები, ქართული ხელოვნების ნიმუშების ფოტორეპროდუქციები; აღდგება ზეპირი გამოცდა ქართულ ენასა და ლიტერატურაში ჰუმანიტარული ფაკულტეტებისათვის; არაქართული ფაკულტეტებისათვის შემოღებული იქნება ქართული ენის თეორიული და პრაქტიკული კურსი; რესპუბლიკის ყველა სკოლაში, პროფტექნიკურ და საშუალო-სპეციალურ სასწავლებელში გაიხსნება ქართული ენისა და ლიტერატურის კაბინეტი; დაიწერება ახალი სახელმძღვანელოები.

ასევე საყურადღებოა ის თავები (V და IV), რომლებიც პრესასა და კავშირგაბმულობას ეხება. მაგრამ თუ რესპუბლიკის პრესას უშუალოდ ევალება ენის დაცვა და პროპაგანდა (ის კი ამ ფუნქციას ადრეც ასრულებდა), სიახლეა VI თავი, რომელიც **„ტექნიკურ აღჭურვილობასა და თვალსაჩინოებას“** ეძღვნება. სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებს, ენათმეცნიერებისა და ლიტერატურის ინსტიტუტებს ექნებათ ქართულენოვანი კომპიუტერები, დაიწყება ქართული შრიფტის წარმოება და მისი გამართვა საბეჭდ მანქანაზე, მომზადდება საქართველოს სსრ ატლასები და ქართულენოვანი რუკები, დაიბეჭდება ვახუშტი ბატონიშვილის მიერ შედგენილი ატლასი.

ბოლო, VII თავი წინა თავების შეჯამებაა, შექმნილი სამეცნიერო ლიტერატურის ბეჭდური წარმოდგენა. შეიძლება მისი ცალკე გამოყოფა არც იყოს მიზანშეწონილი, მაგრამ რესპუბლიკაში იმდენად გართულებულია წიგნის გამოცემა, რომ პროექტის ავტორები იძულებული გახდნენ არსებითად გაემეორებინათ ადრე თქმული (საზოგადოებისათვის ისედაც ნათელი უნდა ყოფილიყო, რომ წიგნები გამოსაცემად იწერება!).

გამოიცემა ქართული ენის აკადემიური კურსი (მრავალტომეული), ენციკლოპედიური ცნობარი „ქართული ენა“, ტერმინოლოგიური ლექსიკონები, სასკოლო თარგმნითი ლექსიკონები, დიალექტოლოგიური ლექსიკონები, ქართული ენისა და ლიტერატურის სახელმძღვანელოები, კლასგარეშე საკითხავი კრებულები, ქართული ენის გრამატიკის ტაბულები და პლაკატები, ს. ს.ორბელიანის „სიტყვის კონა“, პირთა ანოტირებული ლექსიკონის რვატომეული, ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონი, უცხო სიტყვათა ლექსიკონი, ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის ერთტომეული, ქართული ენის თვითმასწავლებელი, ქართული ენის ისტორიული ლექსიკონის ათტომეული და ა. შ.

როგორც ვხედავთ, დიდ ამოცანას სახავს პროექტი. მისი რეალიზებისათვის დაძაბული შრომა მოუწევთ ქართველ მეცნიერებს, გამომცემლებს, იმ ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს, რომელთაც შესრულება და კონტროლი ევალებათ. თანდათან იგი ალბათ ნაწილობრივ შეიცვლება, შეივსება კიდეც (მაგ., **არ არის გათვალისწინებული ა.**

შანიძის, არნ. ჩიქობავას, ვ. თოფურიას, თ. გამყრელიძისა და გ. მაჭავარიანის, უცხოელ ლინგვისტთა ნაშრომების გამოცემა).

ვფიქრობთ, პროექტის ზოგი პუნქტი ახლავე უნდა დაზუსტდეს, ზოგიც დაემატოს:

1. ქართული ენა საქართველოს სახელმწიფო ენად გამოცხადდა ჯერ კიდევ მაშინ, როცა იგი „დემოკრატიულ რესპუბლიკად“ იწოდებოდა. ეს სტატუსი შენარჩუნებულ იქნა შემდეგი დროის კონსტიტუციებში, მაგრამ ფაქტიურად კონსტიტუციური მოთხოვნა არ სრულდებოდა. ამიტომ აუცილებელია კონტროლი, რათა ქართული ენა იყოს რესპუბლიკის სახელმწიფო ენა რეალურად და არა ფორმალურად. საამისოდ აუცილებელია **„საინსპექციო საბჭოს“** შექმნა, როგორც ეს არის მითითებული (1,2). მაგრამ თუ იგი იარსებებს „ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა დამდგენი მუდმივმოქმედი სახელმწიფო კომისიის დაქვემდებარებაში“ - ეს კარგი ჩანაფიქრი ფიქციად იქცევა.

ჯერ ერთი, ამ კომისიას არა აქვს ის უფლებამოსილება (როგორც სახელწოდება მიგვითითებს), რომ კონტროლი დაუწესოს სახელმწიფოს ენის ფუნქციონირებას, მეორე, კონტროლი უნდა გაეწიოს არა მხოლოდ „სალიტერატურო ენის ნორმათა დაცვას“ (როგორც პროექტი გვეუბნება), არამედ და პირველ ყოვლისა, **ქართული ენის სახელმწიფო ენად დამკვიდრებას** (ეს უნდა დაემატოს). აქედან გამომდინარე - მის პრიორიტეტს რესპუბლიკის ტერიტორიაზე. ამიტომ კონტროლის ფუნქცია უშუალოდ უნდა დაევალოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს და მისსავე დაქვემდებარებაში შეიქმნას საინსპექციო საბჭო, ხოლო სალიტერატურო ენის ნორმათა დამდგენი კომისია დარჩეს მინისტრთა საბჭოს გამგებლობაში.

2. პროექტის მიხედვით, რუსული, სომხური და აზერბაიჯანული სექტორის აბიტურიენტებისათვის მიზანშეწონილად არის მიჩნეული **„გასაუბრების შემოღება ქართულ ენასა და ლიტერატურაში“** (III, 15). ვფიქრობთ, ეს პუნქტი ეწინააღმდეგება ქართული ენის სახელმწიფო სტატუსს. იგულისხმება, რომ საქართველოს მცხოვრებმა სხვა ერის მოქალაქემ უნდა იცოდეს ამ რესპუბლიკის სახელმწიფო ენა როგორც სავალდებულო და ეს უნდა აისხაოს მისაღები გამოცდების პროგრამაში. ამიტომ **„გასაუბრება“** უნდა შეიცვალოს **„გამოცდით“**.

3. გაუგებარია III თავის X მუხლი, რომელშიც მსჯელობაა რესპუბლიკის არაქართულ სკოლებში **„ქართული ენის სავალდებულო წესით სწავლების შემოღების შესაძლებლობის შესახებ“**. ეს მუხლიც ეწინააღმდეგება ქართული ენის კონსტიტუციურ სტატუსს, რადგან, გამომდინარე I თავის I მუხლიდან, ქართული ენა უნდა იყოს რესპუბლიკის ყველა სკოლის (მათ შორის არაქართულისაც) სავალდებულო საგანი.

აქ ისევ იგრძნობა ძველი დროისა და განწყობილების ინერცია, როცა ერთს ვაღიარებდით და მეორეს ვაკეთებდით.

4. პროექტი გვაუწყებს, რომ მომზადდება ქართულენოვანი რუკები (ისტორიული, ფიზიკური, პოლიტიკური, დემოგრაფიული, ეკოლოგიური, ლინგვისტური).

როგორც ცნობილი გახდა, **სსრ კავშირში არ იბეჭდებოდა ობიექტური მეცნიერული რუკები.**

ალბათ, არც საქართველოს რესპუბლიკა იქნებოდა გამონაკლისი, ყოველ შემთხვევაში - დავით აღმაშენებლის მიერ შექმნილი საქართველოს სახელმწიფო, გადაშლილი „ნიკოფსიიდან დარუბანდამდე", რუკაზე არ ასახულა. საქართველოს ისტორიული საზღვარი ჩრდილოეთით ისტორიულ რუკებზე წყდება იქ, სადაც ახლა იწყება რსფსრ, ხოლო ნიკოფსია მდებარეობდა 47 კმ-ზე ტუაფსეს ჩრდილო-დასავლეთით. ამდენად - რუკები უნდა იყოს ობიექტური და მეცნიერული, ისტორიული რეალობის ამსახველი.

5. პროექტში არაფერია ნათქვამი მეგრულ-ჭანურ და სვანურ ენებზე. როგორც ვიცით, ისინი ქართულ ენასთან ქმნიან ქართველურ ენათა ჯგუფს. ამიტომ დიალექტების შესწავლასა და დიალექტების ლექსიკონთა გამოცემაზე არანაკლები მნიშვნელობა აქვს ამ ენობრივი წრის კვლევას, ქართული ენის ისტორიის ცოდნას.

6. პროექტში დიდი ადგილი ეთმობა ქართული ენის მეცნიერულ შესწავლას, იმის ჩვენებას, რაც დასახულია ამ საუკუნის მიწურულამდე. ვფიქრობთ, დეტალიზება, ცალკეული არაფრისმთქმელი მუხლები არ იყო საჭირო (მაგ. „ვეფხისტყაოსნის" პოპულარიზაცია და არა საერთოდ ქართული კლასიკისა, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველოში" ენისა და ლიტერატურის რედაქციის შექმნა, რაც არასწორია, რადგან ეცვლება მხოლოდ სახელი, 4 დიალექტური ლექსიკონის გამოცემა და ა. შ.). გარდა ამისა, **ჩვენთვის მთავარია და სპეციფიკური ქართული ენის სახელმწიფოებრივ ენად დამკვიდრება, თორემ მას მეცნიერულად ადრეც სწავლობდნენ, სწავლობდნენ დიდი ლინგვისტები.** ენის მხოლოდ მეცნიერული შესწავლა, ან მასზე მთავარი აქცენტის გადატანა არ არის მართებული. ასე ლათინურსაც იკვლევენ, ძველ ბერძნულსაც, ძველი აღმოსავლეთის ენებსაც (ალბათ უფრო ამომწურავადაც, ვიდრე ქართულს). ამ მხრივ აუცილებელია ენის მეცნიერული შესწავლის მეტი ლოგიკური თანაფარდობა კონსტიტუციურ სტატუსთან.

7. პროექტს აქვს სამი გრაფა - **„შემსრულებელი", „შესრულების ვადა", „კონტროლი"**. დასახელებულია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, მინისტრთა საბჭო, მეცნიერებათა აკადემია, სახალხო განათლების სამინისტრო და სხვა. მაგრამ **არსად იხსენიება საქარ-**

თველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი. ამიტომ I თავის პირველსავე პუნქტში, კონტროლის გრაფაში, უნდა ჩაიწეროს „საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი“. სხვა მხრივ საზოგადოებისათვის ნათელი ვერ იქნება პარტიის როლი ამ პროგრამის განხორციელების პროცესში.

ჩვენს ქვეყანაში არაერთი კარგი დადგენილება და პროგრამა მიუღიათ. მაგრამ ისინი ნაკლებად შესრულებულა. ამჯერად მაინც ვიქონიოთ იმედი, რომ საზოგადოებისა და ხელისუფლების ენთუზიაზმი, **გარდაქმნის სულისკვეთება** ამ პროგრამას დროულად აქცევს რეალობად.

ჟურნ. „საქართველოს კომუნისტი“, 1988, №12.

განახლების სტიმული

დღეს ბევრი თვლის, რომ დემოკრატია ზევიდან იქნა დაშვებული. ერთი შეხედვით ეს სწორია, მაგრამ უნდა გავითვალისწინოთ, რომ გარდაქმნის იდეები უკვე არსებობდა საზოგადოების ყოველ ფენაში. მიხეილ გორბაჩოვი ერთ-ერთ მოხსენებაში მიუთითებდა, რომ მწერლობის მაძიებელი აზრი ამზადებდა დღევანდელობის სულისკვეთებას. მაგრამ ოფიციოზი ე. წ. უძრაობის პერიოდში ანგარიშს არ უწევდა ხალხის განწყობილებასა და მოთხოვნას.

„ახალმა აზროვნებამ“ სწორედ მასების თვალსაზრისი გაიზიარა, მისცა მას ფორმა და მიმართულება. ამდენად შიში იმისა, რომ „ზემოდან“ დაშვებული დემოკრატია შეიძლება ისევ „ზემოდანვე“ გააუქმონ - მცდარია. ეს უფრო სტალინისტური განწყობილების გამოხატულებაა. ის დემოკრატია, რომელიც შეიძლება ერთი ხელის დაკვრით მოისპოს, არც იქნება ნამდვილი დემოკრატია. ხომ წარმოუდგენელია, რომ აშშ-ის პრეზიდენტმა ერთპიროვნულად გამოაცხადოს დიქტატურა და სახელმწიფოს ტირანად მოევლინოს. იგი შეზღუდულია კანონებით და თუ არ შეასრულებს, გადადგომა მოუწევს.

გარდაქმნის პათოსს ჯერჯერობით ყველაზე უკეთ ავლენს პუბლიცისტიკა და კრიტიკა, ნაკლებად - პოეზია და პროზა. გარდაქმნა ლიტერატურაში ნიშნავს არა უსათუოდ მწვავე მოვლენებზე წერას, არამედ **- ახალი აზროვნების დამკვიდრებას**.

ქართული მწერლობაც ამზადებდა გარდაქმნის სულისკვეთებას, როგორც ესთეტიკური, ისე ეროვნული და სოციალური თვალსაზრისით **(მ. მაჭავარიანი, ო. ჭილაძე, გ. ფანჯიკიძე, რ. ჯაფარიძე, ო. ჩხეიძე, ნ. წულეისკირი, მ. ლებანიძე, ტ. ჭანტურია, ჯ. ჩარკვიანი, რ. ჭეიშვილი,**

რ. მიშველაძე...). მაგრამ არაა სწორი თითქოს ბოლო წლებში უფრო საგრძნობი გამხდარიყოს მოქალაქეობრივი პათოსი. პოეზიასა და პროზაში ეს არ იგრძნობა. პირიქით - მათ თითქოს დათმეს კიდეც ადრეული პოზიცია. სამაგიეროდ მართალი და მწვავე სათქმელი გამოხატეს პუბლიცისტიკის ენით. პუბლიცისტიკის ბუმიც დროის მოთხოვნაა, მაგრამ მთავარი არის მაინც ლიტერატურა.

ეროვნული საკითხი ყოველთვის აღელვებდა ქართველ ხალხს, განსაკუთრებით, ინტელიგენციას, ახალგაზრდობას. ეს ბუნებრივიც გახლავთ. ქართველი ერი საუკუნეების მანძილზე იბრძოდა ერთიანობისა და დამოუკიდებლობისათვის, არსებობის შესანარჩუნებლად. მას შემდეგ, რაც მოხდა 9 აპრილის ტრაგედია, ჩვენს თვალწინ ყალიბდება და ვრცელდება ახალი თვალსაზრისი, ახალი შეხედულებანი. იგი უეჭველად ჰპოვებს ასახვას ქართულ მწერლობაში, არა იმდენად ასახვის, რამდენადაც - აზროვნების თავისუფლების თვალსაზრისით.

9 აპრილის შემდეგ ძველებურად წერა აღარ შეიძლება.

დროა წარსულს ჩავაბაროთ სიმბოლოები და ალეგორიები, დავანებოთ დოგმებს თავი, ვწეროთ დაუფარავად მასზე, რაც სტკივა საქართველოს, საითკენ მიდის იგი, როგორი ორიენტაცია იქნება სწორი და მართებული.

ახლა ბევრს ვლაპარაკობთ ე. წ. არაფორმალებზე, მათ გამოსვლებზე, მაგრამ არცერთი მათი მოთხოვნა, სიტყვა თუ წერილი პრესას არ დაუბეჭდავს! პრესის თავისუფლებაზე, სიტყვის თავისუფლებაზე კი ხმამაღლა გავიძახით. არადა ისინი - ზოგჯერ ნაკლები კულტურით, ცოდნით, მეტი ეგზალტაციით, გადაჭარბებით - ამბობენ იმასვე, რასაც ფიქრობს ინტელიგენციის პროგრესული ნაწილი.

არ მიმაჩნია სწორად გავრცელებული ფორმულირება, „ერის ტკივილი“ გულთან პირველმა მწერალმა უნდა მიიტანოსო. ჯერ ერთი, ეს ყველას ეხება, მეორე, ეს ხდება მაშინ, როცა ერს არ ჰყავს ნამდვილი პოლიტიკური ხელმძღვანელი, ნამდვილი მეთაური, ხოლო თუ ამას აღიარებს ჩვენი ხელისუფლება - ეს უკვე სხვა საკითხია! **მწერლის სიტყვა აყალიბებს ეროვნულ იდეოლოგიასაც, მაგრამ წარმმართველი ძალა უნდა იყოს ხელისუფლება.** მას არ უნდა სჭირდებოდეს ეროვნულ საკითხთა გადასაჭრელად ძალდატანება.

ქართული ენის სახელმწიფო პროგრამის პროექტზე მე წერილი გამოვაქვეყნე. ამიტომ მას აღარ დავუბრუნდები. მინდა მხოლოდ შევნიშნო, პროგრამის დამტკიცებას საშველი არ დაადგა. არ მინდა ვიფიქრო, რომ მისი რეალიზებაც ასევე გაძნელდება. ჯერჯერობით კი ამგვარი ეჭვისათვის საფუძველი ნამდვილად არსებობს. ადრეც შევნიშნე და ახლაც ვიმეორებ - **პროგრამის არცერთი პუნქტის განხორციელებას ან კონტროლს თავისთავზე არ ღებულობს საქართველოს კომუნის-**

ტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი. ეს მაშინ, როცა სწორედ იგი წარმართავს რესპუბლიკის პოლიტიკურ, ეკონომიკურ თუ კულტურულ ცხოვრებას.

ფორმალურად მწერალთა კავშირის თავმჯდომარესა და მდივნებს ყოველთვის ირჩევდნენ. ფორმალურად, რადგან მწერლობას არავინ ეკითხებოდა თუ ვინ აერჩია ხელმძღვანელად. სტალინის დიქტატურით გატეხილი და შეშინებული ხალხისათვის სულ ერთი იყო ვის მოხსნიდნენ და ვის აარჩევინებდნენ. ხელისუფლების დიქტატით ისეთებიც აურჩევიათ მწერალთა კავშირის მდივნად, კავშირის წევრიც რომ არა ყოფილან (წარმოიდგინეთ - პარტიის რაიკომის მდივნად აირჩიონ უპარტიო). არ ვიცი, მათ რა შემატეს მწერლობას, რა სიკეთე მოიტანეს. იქნება სხვა სამსახური ერჩიათ კიდეც, მაგრამ ამჯერად ეს როდია მთავარი. მთავარი გახლავთ ადამიანებისა და კანონებისადმი პატივისცემა როცა ხელისუფლება თავად არღვევს თავის მიერ დაწერილ და დამტკიცებულ კანონებს, შეუძლებელია მასების აღზრდა მათდამი ერთგულებით.

10 ნოემბრის მწერალთა კავშირის ხელმძღვანელობის არჩევნები ნამდვილად იყო დემოკრატიული, მაგრამ ჩვენ ერთმანეთისაგან უნდა განვასხვავოთ თანამდებობა და შემოქმედება. თანამდებობის მიხედვით ნუ გავზომავთ (ახლა მაინც!) პიროვნების ღირსებასა და ხელოვანის მნიშვნელობას. გავიხსენოთ, რომ **გ. ტაბიძე და კ. გამსახურდია** არასოდეს ყოფილან საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის მდივნები. ეგ კი არა, სსრკ მწერალთა I ყრილობის დელეგატებადაც არ წარგზავნეს. ხოლო **ს. თოდრია, ს. წვერავა, მ. ტოროშელიძე, აკ. თათარაშვილი, პ. ჩხიკვაძე, დ. დემეტრაძე და კ. ჩარკვიანი სხვადასხვა დროს ქართულ მწერლობას თავკაცობდნენ.**

უნდა ვიფიქროთ, რომ მწერალთა კავშირის ახალი ხელმძღვანელობისათვის მთავარი იქნება შემოქმედებითი პროცესის გააქტივება და არა მხოლოდ პრაქტიკულ-ყოფითი საკითხები.

ჟურნ. „საქართველოს კომუნისტი“, 1989, №7.

26 მაისი

1918-1921 წლების საქართველოს, ტრადიციისამებრ, ისევ მენშევიკურს ვუწოდებთ, რაც არასწორია. დროა აღვადგინოთ ისტორიული ფაქტები, რომლებიც ათწლეულების მანძილზე არათუ მახინჯდებოდა, არამედ - იკრძალებოდა კიდეც.

1. მენშევიკური სახელწოდების პარტია არც საქართველოში, არც რუსეთის იმპერიაში არ არსებულა. იყო ერთი - რუსეთის მუშათა სოცი-

ალ-დემოკრატიული პარტია, რომელსაც შინაგან უთანხმოებათა გამო გამოეყვნენ **ლენინის** თანამოაზრენი და მიმდევრები და შექმნეს რკპ (ბ). ძველი სოციალ-დემოკრატები პარტიის ლიდერად აღიარებდნენ **პლეხანოვს**. ოფიციალურად ისინი თავიანთ თავს არ უწოდებდნენ მენშევიკებს, განსხვავებით ბოლშევიკებისაგან.

ქართველი სოციალ-დემოკრატები ბოლომდე დარჩნენ II ინტერნაციონალის ერთგულნი, მარქსისა და ენგელსის, კაუცკისა და პლეხანოვის მიმდევარნი. ამდენად, დავაღწიოთ თავი ვულგარიზმსა და ვუწოდოთ **ნ. ჟორდანიას, კ. ჩხეიძეს, ი. წერეთელს, ე. გეგეჭკორს, ა. ჩხენკელს** არა მაინცდამაინც მენშევიკები, არამედ სოციალ-დემოკრატები, არა ბურჟუაზიის ლაქიები, არამედ მარქსისტები, რომელთაც მსოფლიოში პირველებმა ჩამოაყალიბეს სოციალისტური ტიპის დემოკრატიული რესპუბლიკა და 1921 წლის 21 თებერვალს მიიღეს შესაბამისი კონსტიტუცია. პროექტისგანხილვაში მონაწილეობდნენ II ინტერნაციონალის ლიდერებიც, მათ შორის - **კ. კაუცკი**. როგორც პროფ. **გ. მუჩაიძე** შენიშნავს, ქართველი სოციალ-დემოკრატები სწორად მოიქცნენ, როცა ნაადრევად მიიჩნიეს სოციალიზმის მშენებლობა. რუსეთში ბოლშევიკები ამ გზას მხოლოდ 1921 წელს დაადგნენ.

2. 1918 წლის 26 მაისს საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი, გამომდინარე პოლიტიკური და სამხედრო სიტუაციისაგან, მიიღო არა სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ, არამედ 1917 წლის 22 ნოემბერს არჩეულმა **ეროვნულმა საბჭომ** (თავმჯდომარე სოციალ-დემოკრატი ნ. **ჟორდანია**, მოადგილეები სოციალისტ-ფედერალისტი **გ. ლასხიშვილი**, სოციალ-დემოკრატი **პ. საყვარელიძე**, ეროვნულ-დემოკრატი **გრ. ვეშაპელი**, მდივანი - სოციალ-დემოკრატი **ი. ზურაბიშვილი**).

შესავალი სიტყვის შემდეგ **ნოე ჟორდანიამ** წაიკითხა **„საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი“**. ითქვა, რომ საქართველო რუსეთს შეუერთდა, რათა გარეშე მტერთაგან თავი დაეცვა, მაგრამ რევოლუციის შემდეგ რუსეთის ჯარმა დატოვა ამიერკავკასია, რომელმაც შექმნა დამოუკიდებელი ფედერაციული რესპუბლიკა. გარეშე მტერთა ზეგავლენით ესეც დაიშალა, ამიტომ საქართველოს ეროვნული საბჭო აცხადებდა დამოუკიდებლობას, პოლიტიკური ფორმა - დემოკრატიული რესპუბლიკა. გამოცხადდა, აგრეთვე, ნეიტრალური მუდმივი ნეიტრალიტეტი, მოქალაქეთა სამოქალაქო და პოლიტიკური თანასწორობა - განურჩევლად ეროვნებისა, სარწმუნოებისა, სოციალური მდგომარეობისა და სქესისა.

დამფუძნებელი კრების მოწვევამდე რესპუბლიკის მართვა-გამგეობა დაევალა ეროვნულ საბჭოს და დროებით მთავრობას. მთავრობა პასუხისმგებელი იქნებოდა საბჭოს წინაშე (შემდეგ იგივე აქტი რუსულ

ენაზე წაიკითხა გრ. ვეშაპელმა).

ნოე ჟორდანიას წინადადებით აქტს კენჭი უყარეს და იგი ერთხმად მიიღეს. შეიქმნა დროებითი კოალიციური მთავრობა რვა მინისტრის შემადგენლობით (მათგან მხოლოდ ოთხი იყო სოციალ-დემოკრატი). თავმჯდომარედ დაინიშნა **ნოე რამიშვილი**. მაგრამ მალე, 21 ივნისს, მთავრობის ავტორიტეტის გაძლიერების მიზნით, იგი შეცვალა **ნ. ჟორდანიამ** (ნ. რამიშვილმა შეინარჩუნა შინაგან საქმეთა მინისტრის პოსტი), რომელიც 1919 წლის 14 მარტს გახდა **„რესპუბლიკის უმაღლესი წარმომადგენელიც“**, ე. ი. მიენიჭა საპრეზიდენტო უფლებანი (არჩევისას თავი შეიკავეს სოციალისტ-ფედერალისტებმა და ესერებმა).

1918 წლის 29 მაისს ეროვნული საბჭოს თავმჯდომარედ აირჩიეს **კარლო ჩხეიძე**.

ცარიზმის დამხობამ, 1917 წლის 25 ოქტომბერმა, ბრესტ-ლიტოვსკის ზავმა (რომლის ძალითაც საქართველო ჰკარგავდა ოლთისსა და არტაანს, ართვინსა და ბათუმს), თურქეთის შემოჭრამ პოლიტიკური პარტიები მიიყვანა საერთო თვალსაზრისამდე და ფსიქოლოგიურად მოამზადა დამოუკიდებლობისათვის (დამოუკიდებლობას არ ითვალისწინებდა არცერთი პარტიის პროგრამა!).

ამდენად 26 მაისი იყო 25 ოქტომბრის პირდაპირი შედეგი, გამოხატავდა ქართველი ერის ნებას, ამასთანავე - შეესაბამებოდა რსფსრ-ის 15 ნოემბრის დეკლარაციას, ყოფილ იმპერიაში შემავალ ერთა თვითგამორკვევის პრინციპს.

აქვე გავიხსენოთ ვ. ი. ლენინის სიტყვები: **„ერთა თვითგამორკვევის უფლება ნიშნავს მხოლოდ და მხოლოდ დამოუკიდებლობის უფლებას პოლიტიკური გაგებით“, „ერთა თვითგამორკვევას“ მარქსისტების პროგრამაში, ისტორიულ-ეკონომიკური თვალსაზრისით, არ შეიძლება სხვა მნიშვნელობა ჰქონდეს, თუ არა პოლიტიკური თვითგამორკვევის, სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის, ეროვნული სახელმწიფოს შექმნის მნიშვნელობა“.**

3. 1919 წლის 14-16 თებერვალს გაიმართა დამფუძნებელი კრების არჩევნები. პირდაპირი, თანასწორი, ფარული, საყოველთაო და პროპორციული სისტემით უნდა არჩეულიყო 130 წევრი. სოციალ-დემოკრატებს ხვდათ 109, სოციალისტ-ფედერალისტებს - 8, ეროვნულ-დემოკრატებს - 8, სოციალისტ რევოლუციონერებს - 5 ადგილი. მხოლოდ ამის შემდეგ შეიქმნა ერთპარტიული კაბინეტი.

ამრიგად, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი კრება (ჯერ ეროვნული საბჭო, შემდეგ 1918 წლის სექტემბრიდან 1919 წლის მარტამდე - პარლამენტი) და მთავრობა მკაცრი კონტროლის პირობებში კანონიერად იქნა არჩეული ხალხის მიერ.

მიუხედავად იმისა, რომ რესპუბლიკას ჰქონდა მძიმე ეკონომიკური მდგომარეობა (იმ დროს ბოლშევიკური რუსეთი უარეს დღეში იყო), უხდებოდა აგრესორთა მოგერიება (ომი თურქეთთან, სომხეთთან, დენიკინთან, პროვოცირებულ აჯანყებათა ჩახშობა და სხვა), **ჩამოყალიბდა დემოკრატიული სახელმწიფოებრივი სტრუქტურა**, რაც დამოუკიდებლობასთან ერთად იყო საქართველოს უმთავრესი მონაპოვარი 1918-1921 წლებში. და მაინც - იგი დაემხო 1921 წლის თებერვალ-მარტში, ცხადია უცხო, გარე ძალთა მეოხებით, რადგან შინაგანად საამისო სიტუაცია არ იყო.

როგორც გაირკვა, საქართველოში არავითარი აჯანყება არ მომხდარა. რომც მომხდარიყო, ეს სრულიადაც არ იძლევა საფუძველს იმისათვის, რომ ერთმა ქვეყანამ მეორეს ჯარები შეუსიოს. არც იმისი აღნიშვნა კმარა, რომ თითქოს საქართველო არ ასრულებდა რუსეთისადმი ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს.

საბჭოთა რუსეთის ჯარები არ მოუწვევია ხალხის მიერ კანონიერად არჩეულ მთავრობას, ხოლო მისი საზღვრების მიღმა, ხალხისაგან ფარულად, რამდენიმე კაცის მიერ სახელდახელოდ შედგენილი „მთავრობა“ ფიქციაა (ამგვარ ხერხს ხშირად მიმართავდა მოსკოვი. მაგ. 1939 წელს შეიქმნა „ფინეთის დემოკრატიული რესპუბლიკის“ მთავრობა ო. კუუსინენის მეთაურობით, 1979 წელს - ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა ბ. ქარმალის მეთაურობით და ა. შ.). მას არ ჰქონდა არავითარი უფლება სხვა ქვეყნის ჯარებს შემოძღოლოდა თავის ქვეყანაში. **ამიტომ დამფუძნებელი კრების გადაწყვეტილებით 21 თებერვალს ქართველი ხალხის მოღალატეებად გამოცხადდნენ - ფილიპე მახარაძე, მამია ორახელაშვილი, ბუდუ მდივანი, შალვა ელიავა, მიხეილ ოკუჯავა, ლადო დუმბაძე, ომარ ფაიკი, ამაიაკ ნაზარეტიანი, ალექსანდრე გეგეჭკორი და ბესო კვირკველია.**

ამ სიას აკლია **სტალინისა** და **ორჯონიკიძის** სახელები, ალბათ მათი როლის შესახებ იმ დღეებში წარმოდგენა არც ჰქონდათ.

1921 წლის თებერვალ-მარტში არა მხოლოდ შეიცვალა ხელისუფლება, არამედ შეიარაღებული ინტერვენციის შედეგად მოხდა საქართველოს ხელმეორე ანექსია რსფსრ-ის საოკუპაციო ჯარების მიერ.

1. როგორც ვთქვით, რესპუბლიკას ჰყავდა კანონიერი მთავრობა, რომელიც 17 მარტს ემიგრაციაში წავიდა.

2. 1920 წლის 7 მაისს, მოსკოვში, ლენინისა და ჩიჩერინის რწმუნებულებით, საქართველოსა და რუსეთს შორის დაიდო ხელშეკრულება (ხელი მოაწერეს - დამფუძნებელი კრების წევრმა **გრ. ურატაძემ** და რსფსრ საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილემ **ლ. კარახანმა**), რომლის თანახმადაც ბოლშევიკებმა ცნეს საქართველოს ეროვნულ-სახელ-

მწიფოებრივი დამოუკიდებლობა და გაიცვალა ელჩები. 1921 წლის 27 იანვარს საქართველოს დემოკრატული რესპუბლიკა „დე იურედაც“ ცნო ევროპის სახელმწიფოთა უმაღლესმა საბჭოს (საქართველოს დიპ-ლომატიური ურთიერთობა ჰქონდა 22 სახელმწიფოსთან).

3. IX და XI არმიები, წითელი ჯარის სხვა ნაწილები შემოიჭრნენ ომის გამოუცხადებლად, „აჯანყებულ“ მშრომელთა დახმარების საბაბით - სომხეთიდან და აზერბაიჯანიდან, ჩრდილოეთ კავკასიიდან და სოჭის მხრიდან. ამ ტაიფუნის მოგერიება საქართველოს არ შეეძლო. **რესპუბ-ლიკა ერთ თვეში იქნა ოკუპირებული.**

4. საქართველომ ისევ დაკარგა დამოუკიდებლობა (თუმცა ბევრს ქადა-გებდნენ, რომ ეს არ იყო საქართველოს ხელმეორე დაპყრობა რუსეთის მიერ და მხოლოდ ერთი ხელისუფლება შეიცვალა მეორეთი). ეს გამოი-ხატა სახელმწიფოებრივი სიმბოლიკითაც - **შეიცვალა დროშა, გერბი და ჰიმნი, რაც არის სსრკ-ის შესაბამის ატრიბუტთა ვარიაცია.** დაირღვა საქართველოს ის ტერიტორიული მთლიანობა, რომელიც სცნო რსფსრ-მ და ერთა ლიგამ (აზერბაიჯანს გადაეცა საინგილო, თურქეთს - ართვინ-არტაანი, სომხეთს - ლორე-ტაშირი და სხვა). აფხაზეთი გამოცხადდა სსრ რესპუბლიკად, შეიქმნა სამხრეთ ოსეთის აო და აჭარის ავტონომი-ური რესპუბლიკა. გაუქმდა საზღვრები, დაწესდა საბჭოთა ფული, დაი-შალა ქართული ჯარი (აღდგა 1922 წლიდან) და ა. შ.

5. გაანადგურეს ოპოზიციონერები და აჯანყებულები, რომლებიც სწორედ დამოუკიდებლობას მოითხოვდნენ. 1923 წელს აღმოაჩინეს ინტერპარტიული კომიტეტის სამხედრო შტაბი, დახვრიტეს 15 კაცი, მათ შორის - სამი გენერალი. 1924 წლის 29 აგვისტოს გამოსვლას მოჰყვა სასტიკი ტერორი. ხოლო ე. წ. ნაციონალ-უკლონისტებს, მათ, რომლებიც წითელ ლაშქარს მოუძღოდნენ, არ აპატიეს ფიქრი დამოუკი-დებელ საბჭოთა საქართველოზე და 1937 წელს დახვრიტეს.

6. ბოლშევიკური მთავრობა, რევკომი და XI არმიის სარდლობა ასრულებდნენ მოსკოვის მითითებებს, ნაკლებად უწევდნენ ანგარიშს ქართული მოსახლეობის ეროვნულ ინტერესებს, რამაც წარმოშვა კონფლიქტი სხვადასხვა ფენებთან, განსაკუთრებით - ინტელიგენცი-ასთან. მიზეზი საქართველოს კომპარტია იყო, რსფსრ-ის ერთი შემად-გენელი ორგანიზაცია.

7. საქართველომ **ფორმალურად** შეინარჩუნა სახელმწიფოებრივი სტრუქტურა, მაგრამ ესეც დათრგუნულ იქნა, ნაცვლად დაცვისა, სტალინის მიერ რეალიზებული სსრკ-ის მოდელით. **ფაქტიურად ჩამო-ყალიბდა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა და არა საბჭოთა სოცი-ალისტური რესპუბლიკების კავშირი.** სტალინმა სინამდვილედ აქცია თავისი ავტონომიზაციის პრინციპი, რასაც უარყოფითად მოეკიდა

ლენინი (როგორც ჩანს, იგი ემხრობოდა კონფედერაციას).

დღეს უკვე ცნობილია, რომ საქართველოს ანექსიის სულისჩამდგმელნი იყვნენ სტალინი და ორჯონიკიძე. მიუხედავად ლენინისა და ტროცკის არაერთგზისი უარისა, მათ ყალბი ინფორმაციებით ბოლშევიკური რუსეთის ხელმძღვანელობას შეუქმნეს ილუზია თითქოს ქართველ ხალს სძულდა საკუთარი მთავრობა და ხსნას მოელოდა ჩრდილოეთიდან. მათ არც შემდეგ გაუთვალისწინებიათ ბელადის მითითებანი, რამაც ისინი ლენინთან კონფლიქტამდე მიიყვანა.

საერთოდ კი საბჭოთა რუსეთი როგორც პოლიტიკური, ისე სამხედრო თვალსაზრისით გულმოდგინედ მოემზადა საქართველოსთან ომისათვის. ისტორია განმეორდა - **როგორც 1801 წელს მეფის ხელისუფლებამ დაარღვია გიორგიევსკის ტრაქტატი, ისე ამჯერად ბოლშევიკებმა დაივიწყეს 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულება და საქართველო ხელმეორედ დაიპყრეს.**

26 მაისი დიდი თარიღია ქართველი ერის ისტორიაში და მან უნდა დაიკავოს ჩვენს წარმოდგენაში ის ადგილი, რაც აქამდე უსამართლოდ ეკავა **25 თებერვალს**.

გაზეთი „თბილისი“, 1989, 17.V.

არჩევნები დემოკრატიულ საქართველოში

71 წლის წინათ, 1919 წლის 14-16 თებერვალს, საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში ჩატარდა დამფუძნებელი კრების ფარული, საყოველთაო, პირდაპირი, თანასწორი და პროპორციული არჩევნები, რაც სანიმუშო იყო არა მხოლოდ იმ დროისათვის. დამფუძნებელ კრებას უნდა ჰქონოდა კანონმდებლობითი, მმართველობითი და სასამართლოს ფუნქციები, ჩამოეყალიბებინა კომისიები, შეემუშავებინა კონსტიტუცია, მიეღო კანონები და დებულებანი, დაემტკიცებინა მთავრობა.

ნ. ჟორდანიას სიტყვით, დამფუძნებელი კრება არ უნდა ყოფილიყო პარლამენტი, არამედ მასზე მეტი. მაგრამ არ უნდა ქცეულიყო დიქტატორულ ძალად, როგორც კონვენტი საფრანგეთში დიდი რევოლუციის დროს.

ერთის შეხედვით ეგებ უცნაურადაც მოგვეჩვენოს თუ სად ეცალა ომის ქარცეცხლში გახვეულ რესპუბლიკას არჩევნებისათვის. მაგრამ ამ ფაქტს ჰქონდა პრინციპული პოლიტიკური მნიშვნელობა: ჯერ ერთი, საქართველო იყო პირველი ქვეყანა მსოფლიოში, სადაც გაიმარჯვა დემოკრატიულმა სოციალიზმმა და ეს პრაქტიკულად უნდა დადასტუ-

რებულიყო. ამიტომ უწოდებდნენ დამფუძნებელ კრებას „რევოლუციის გვირგვინს“; მეორე, ბოლშევიკები (რომლებმაც გარეკეს დამფუძნებელი კრება გახსნის მეორე დღესვე) ამტკიცებდნენ, საქართველოს დამოუკიდებლობა ინტელიგენციამ გამოაცხადა, თორემ ხალხს რუსეთთან დაბრუნება უნდაო; მესამე, პარიზის სამშვიდობო კონგრესის წინ კანონიერად უნდა გარკვეულიყო ერის ორიენტაცია; მეოთხე, მრავალპარტიულ (არსებობდა თხუთმეტი პარტია და პოლიტიკური გაერთიანება) და მრავალეროვან სახელმწიფოში სადაო ნაციონალური, კულტურული თუ სოციალური საკითხები დემოკრატიული გზით მხოლოდ ასე მოგვარდებოდა. და ბოლოს უნდა აერჩიათ რესპუბლიკის მთავრობა და განესაზღვრათ მმართველობის ფორმა.

რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრის (ნ. რამიშვილი) ცირკულარით ადმინისტრაცია არჩევნებში არ ჩაერეოდა, პარტიული მიზნებისათვის ძალას არ გამოიყენებდა. ამიტომ მონაწილეობდნენ არჩევნებში ცალკე პარტიის სახით სომეხი დაშნაკები, რუსი სოციალ-დემოკრატები, მუსლიმანები, ელინელები და არა მხოლოდ ურთიერთმოპირისპირე ქართული პარტიები (სოციალ-დემოკრატები, ეროვნულ-დემოკრატები, სოციალისტ-ფედერალისტები, სოციალისტ-რევოლუციონერები და სხვა). მაგრამ მათ უნდა სცოდნოდათ სახელმწიფო ენა - ქართული ენა.

პარლამენტში დიდხანს გრძელდებოდა დისკუსია საარჩევნო კანონის ცალკეულ მუხლებზე. დამფუძნებელი კრების დებულება მიიღეს 1918 წლის 2 ნოემბერს. 17 დეკემბერს პარლამენტმა სოციალისტ-ფედერალისტ **სამსონ ფირცხალავას** მოხსენებით დაამტკიცა საქალაქო არჩევნების საბოლოო ტექსტი, ხოლო 1919 წლის 11 იანვარს - დამფუძნებელი კრებისა (მომხსენებელი ეროვნულ-დემოკრატი **შალვა ამირეჯიბი**). დაინიშნა არჩევნების დროც - 14-16 თებერვალი.

დებულების თანახმად ასარჩევი იყო 130 დეპუტატი. პარტიებმა გამოაქვეყნეს თავიანთი 130 კანდიდატის სიები. გვარები ერთად იბეჭდებოდა ბლანკზე და ამომრჩეველი ხმას აძლევდა არა პიროვნებას, არამედ - პარტიას. ამიტომ პრესა პროპაგანდას უწევდა არა კანდიდატებს, არამედ - პარტიას, ებრძოდა სხვა პარტიებს და არა უეჭველად კანდიდატებს. ბიულეტენები პარტიის მიხედვით ინომრებოდა (მაგ. სოციალ-დემოკრატები იყვნენ №1, ეროვნულ-დემოკრატები №2, სოციალისტ-ფედერალისტები №5 და ა. შ.).

დამფუძნებელი კრების არსი და მნიშვნელობა საერთო კრებაზე უნდა აეხსნათ ამომრჩეველთათვის, პარტიებს გამოექვეყნებინათ თავიანთი პლატფორმა. შეიქმნა ცენტრალური საარჩევნო კომისია (თავმჯდომარე სოციალ-დემოკრატი **ალ. ლომთათიძე**). ბიულეტენები ბინებზე არ რიგდებოდა. მოქალაქეს იგი ეძლეოდა ხელზე, საარჩევნო ყუთთან.

პარტიების ბიულეტენები ერთმანეთისაგან განირჩეოდა (მაგ. სოციალ-დემოკრატთა სია თეთრ ბლანკზე წითელი ასოებით დაიბეჭდა). ბიულეტენს დებდნენ სპეციალურ კონვერტში და აგდებდნენ ყუთში.

წინასწარ ჩატარდა ხმოსანთა აღწერა. არაერთხელ გამოცხადდა, რომ ვინც არ იყო ჩაწერილი, მისულიყო საარჩევნო უბანში და ჩაწერილიყო. განისაზღვრა დამფუძნებელი კრების წევრის ხელფასი - 1.500 მანეთი თვეში. დეპუტატი არ შეიძლებოდა თანამდებობის პირი ყოფილიყო. გამონაკლისი - მინისტრები, მინისტრების მოადგილეები, ელჩები, სახალხო გვარდიის მთავარი შტაბის წევრები. მაგრამ ხელფასი მხოლოდ ერთგან უნდა აეღოთ.

განცხადება თანამდებობის შესახებ დამფუძნებელ კრებას უნდა წარდგენოდა არჩევიდან ერთ თვეში. არსებობდა საარჩევნო ოქმის შედგენის წესი ცალ-ცალკე სამაზრო, სოფლის საზოგადოებისა და სოფლის წვრილი ერთეულებისათვის. ოქმში უნდა აღენიშნათ კომისიის შემადგენლობა, პარტიულობა, როდის დაიწყო მუშაობა ხმების დასათვლელად, რამდენი ხმა მიიღო თითეულმა სიამ, რამდენი გაბათილდა, ამომრჩეველთა რიცხვი, რამდენმა მიიღო მონაწილეობა, რამდენია კანონიერი და ა. შ.

არჩევნების დეტალური შედეგები ქალაქებისა და მაზრების მიხედვით გამოქვეყნდა პრესაში. გამოითქვა არაერთი შენიშვნაც, რომ სოციალ-დემოკრატებს ბევრი აგიტატორი ჰყავდათ და ხალხს თავს მოახვიეს თავიანთი ნება-სურვილი, რომ ბევრი ვერ გაერკვა თუ რა ხდებოდა (მაგ. ზუგდიდის მაზრაში), დიდმა ნაწილმა კი საერთოდ არ მიიღო მონაწილეობა (მაგ. თბილისის საქალაქო არჩევნებში, რომელიც ჩატარდა 2 თებერვალს, მონაწილეობდა 37.126 ხმოსანი, ნაცვლად 71.000-სა), რომ არჩევნების ჩატარება ნაადრევი იყო ან ასეთ პოლიტიკურ სიტუაციაში არ შეიძლებოდა, რომ ცალკეული ბიულეტენები არასწორად შეივსო და სხვა, მაგრამ გაყალბების გამო ეჭვი არავის გამოუთქვამს.

1919 წლის 12 მარტს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების პირველი სხდომა გახსნა **ს. ჯიბლაძემ**, უხუცესმა რევოლუციონერმა. სოციალ-დემოკრატებს ერგოთ 109 ადგილი (შემდეგ, დამატებით არჩევნებში დაკარგეს 4 ადგილი), ეროვნულ-დემოკრატებს - 8, ესერებს - 5, სოციალისტ-ფედერალისტებს - 8. ამის შედეგად შეიქმნა ერთპარტიული, სოციალ-დემოკრატიული მთავრობის კაბინეტი (თავმჯდომარე **ნოე ჟორდანია**). სოციალ-დემოკრატი **ნ. ჩხეიძე** გახდა დამფუძნებელი კრების თავმჯდომარე და „რესპუბლიკის უმაღლეს წარმომადგენლადაც“ აირჩიეს სოციალ-დემოკრატი (**ნ. ჟორდანია**), ხოლო დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის მოადგილეებად გავიდნენ სხვა პარტიის წევრებიც (მაგ. ეროვნულ-დემოკრატი **ექვთიმე**

თაყაიშვილი).

ამრიგად, 1919 წლის 14-16 თებერვალს საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში ჩატარდა დემოკრატიული არჩევნები, როგორც სამართლებრივი სახელმწიფოს კანონიერი საფუძველი.

მას შემდეგ შვიდი ათეული წელი გავიდა, ბევრ არჩევნებსაც მოვესწარით, მაგრამ ამ თვალსაზრისითაც წინ წავედით თუ უკან - ეს თავად მკითხველმა და ამომრჩეველმა განსაჯოს.

გაზეთი „მამული“, 1990, №1.

დიდი მწერლის საიუბილეოდ

გარდა გალაკტიონ ტაბიძისა, ჯერჯერობით XX საუკუნის არცერთი ქართველი მწერლის სრული კრებული არ გამოცემულა. ეს ლიტერატორთა მიზეზით არ მომხდარა, ყველაფერს მათ ნუ დავაბრალებთ. ხელისუფლებას სჭირდებოდა მწერლობის იდეოლოგიის არტახებში მოქცევა. ამიტომ ბეჭდავდა მხოლოდ მას, რაც ხელს აძლევდა, ხოლო სრული და აკადემიური გამოცემების დროს აუცილებელი გახდებოდა მრავალი ანტისაბჭოური და ანტიკომუნისტური მასალის გამომზეურება. ლიტერატორებიც დიდი ხალისით იკვლევდნენ ძველ ან XIX საუკუნის ქართულ მწერლობას (განსაკუთრებით - რომანტიკოსებსა და თერგდალეულებს, რათა ხაზი გაესვათ რუსულ კულტურასთან სიახლოვისათვის), ხოლო XX საუკუნეზე მსჯელობისას იძულებული იყვნენ ეროვნული სატკივარის სანაცვლოდ ეროვნული აღმაფრენა წარმოეჩინათ.

დღეს ჩვენს წინაშე დგას დიდი ამოცანა - შევისწავლოთ არა მხოლოდ მხატვრული აზროვნება, არამედ - მწერალთა მსოფლგანცდა, ეროვნული მრწამსი, მიმართება საბჭოთა სისტემასთან. ხოლო ეს ვერ მოხერხდება, თუ არ გამოიცა თვალსაჩინო მწერალთა სრული კრებულები, თუ არ აღდგება ტექსტების პირველადი სახე. ამ თვალსაზრისით უაღრესად აქტუალურია დიდი ქართველი მწერლის **კონსტანტინე გამსახურდიას** ნაწერები. არა კმარა მხოლოდ რომანებისა და ნოველების ბეჭდვა, უნდა გამოიცეს ლიტერატურული და პოლიტიკური ესსეები, რომლებიც დაიწერა 1916-1926 წლებში. მათგან ზოგიერთი შეტანილია რვატომეულსა და ათტომეულში, მაგრამ სათანადო რედაქტირების შედეგად (ისევე როგორც „დიონისოს ღიმილი“ და „მთვარის მოტაცება“).

გაისად, 1991 წლის 15 მაისს სრულდება კონსტანტინე გამსახურდიას დაბადების 100 წელი. ალბათ დროა, საიუბილეოდ მაინც, დაიწყოს დიდი ქართველი პროზაიკოსის თხზულებათა სრული აკადემიური კრებულის

გამოცემა. აქ ხაზი უნდა გაესვას იმ ფაქტს, რომ კ. გამსახურდია არის არა მხოლოდ დიდი მწერალი, არამედ - დიდი ეროვნული მოღვაწეც, რომლის მხატვრული ნააზრევი არის ქართული ნაციონალური იდეოლოგიის ერთი ქვაკუთხედი. მან სატანურ დროში შეინარჩუნა და გამოატარა ის იდეალები, რომელთა დათრგუნვას სისხლით, ტყვიით, თაფლით და კვერით ცდილობდა საბჭოეთად სახეცვლილი რუსეთის იმპერია, გამოატარა და გადმოსცა შთამომავლობას.

სამწუხაროდ, ჩვენ ჯერჯერობით კარგად არა გვაქვს გაცნობიერებული კ. გამსახურდიას ფენომენის ნაციონალური მნიშვნელობა და ეს შესაძლებელი იქნება მხოლოდ მაშინ, როცა გამოიცემა მწერლის ყველა რომანი, ნოველა, ლექსი, ესსე, თარგმანი, ეპისტოლე...

მაშ ასე, 1. 1991 წელს უნდა აღინიშნოს კ. გამსახურდიას დაბადების 100 წელი.

2. დაიწყოს კ. გამსახურდიას ნაწერების აკადემიური გამოცემა (20 ან 25 ტომად).

გაზ. „თბილისი“, 1990, 15 მაისი

უფლება, რომელიც აკრძალვად იქცა

როგორც დღეს საყოველთაოდ არის ცნობილი და აღიარებულიც, **საბჭოთა კონსტიტუციის 72 მუხლის თანახმად ყოველ მოკავშირე რესპუბლიკას აქვს საბჭოთა კავშირიდან თავისუფალი გასვლის უფლება.**

იგი გაჩნდა სტალინის ე. წ. ყველაზე დემოკრატიულ კონსტიტუციაში 1936 წელს და შეწყნარებულ იქნა 1977 წლის ძირითად კანონშიც. არა იმიტომ, რომ მათი ავტორები მოკავშირე რესპუბლიკების ბედზე სწუხდნენ. უბრალოდ - სახელმწიფოს კანონების მიხედვით არავინ მართავდა და რა მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა თუ სად რა ეწერა. სამაგიეროდ პროპაგანდისათვის კარგი საშუალება იყო. მაგრამ გავიდა დრო, შეიცვალა პოლიტიკური სიტუაცია. სსრკ ცდილობს იქცეს სამართლებრივ სახელმწიფოდ. დადგა საჯაროობის ჟამი, ამოძრავდნენ ერები და გაჩნდა რეალური საფრთხე საბჭოთა კავშირის დაშლისა, რადგან მას აერთიანებს არა ხალხთა ნება და სამართალი, არამედ ძალა და დიქტატურა. ხელისუფლებამაც არ დააყოვნა და მიიღო კანონი, რომელიც ფაქტიურად აუფასურებს 72 მუხლს, ეწინააღმდეგება მის არსს და ამდენად - ანტიკონსტიტუციურია. **თავისუფალი გასვლა შეცვალა მრავალსაფეხურიანმა სისტემამ,** ხელოვნურმა ბარიერებმა, რომელთა დაძლევას რსფსრ-ც ვერ შეძლებს.

დავიწყოთ რეფერენდუმით.

თითქოს რეფერენდუმის მოთხოვნა მართებულია და კანონის ავტორები შეეჭვებულან, ორმა მესამედმა მართლაც შეიძლება მისცეს ხმა დამოუკიდებლობასო და ხუთწლიანი, თუ შეიძლება ითქვას, საგამოცდო ვადის შემდეგ დააწესეს განმეორებითი რეფერენდუმი, ვითომცდა ჰუმანური მოსაზრებით, რათა ყველას ნება იქნას გათვალისწინებული (რაც შეუძლებელია).

არსებითად ამ ხნის მანძილზე ისეთი ძირგამომთხრელი მუშაობა ჩატარდება, რომ ანარქია გამეფდება და ხელახალი კენჭისყრისათვის არავის ეცლება. მაგრამ პარალელურად მოქმედებს რესპუბლიკის დამშლელი მექანიზმიც - ცალ-ცალკე ტარდება კენჭისყრა ავტონომიური ერთეულებისათვის.

პრაქტიკულად ეს იმას ნიშნავს, რომ თუ აფხაზეთში, აჭარასა და ე. წ. სამხრეთ ოსეთში დამოუკიდებლობას მხარს არ დაუჭერს ორი მესამედი, ისინი უნდა ჩამოსცილდნენ საქართველოს და დარჩნენ სსრკ-ის, უფრო სწორად - რუსეთის შემადგენლობაში. **3 აპრილის კანონით მათი უფლებანი გაუტოლეს მოკავშირე რესპუბლიკისას, მათი შორის წაშალეს ზღვარი.** ეს კი ნიშნავს რესპუბლიკის როგორც სუვერენული სახელმწიფოს (ყოველ შემთხვევაში - ასე ითვლება) უფლებათა არა გაფართოებას, არამედ - უფრო მეტად შეზღუდვას. მაგრამ კანონის ავტორებს ესეც ეცოტავათ, იქნებ რომელიმე მოკავშირე რესპუბლიკას არ აღმოაჩნდეს ავტონომიური ერთეულიო და დაუმატეს - ეროვნული ჯგუფებით კომპაქტურად დასახლებულ პუნქტებში ცალკე აღირიცხოს რეფერენდუმის შედეგებიო!

ეს ჩვენთვის იმას ნიშნავს, რომ მარნეული ან ბოგდანოვკა შეიძლება ჩამოსცილდეს საქართველოს და დარჩეს სსრკ-ის ანუ რუსეთის შემადგენლობაში!

კანონის ავტორები გრძნობენ, რომ თავისუფლებისაკენ სწრაფვა მეტისმეტად დიდია (მითუმეტეს, რომ აშკარაა - სანამ არ დაიშლება სსრკ, ეკონომიკას არაფერი ეშველება), შეიძლება რომელიმე რესპუბლიკამ და დათმოს კიდეც თავისი ტერიტორიის ნაწილი. მართალია, ამით მოგებული დარჩება რუსეთი, მაგრამ თურმე ეს საკმარისი არ ყოფილა.

ამიტომ ამოქმედდა მძლავრი ეკონომიკური ბერკეტები, რათა ქანცგამოცლილმა, კონტრიბუციით გასრესილმა რესპუბლიკამ თავადვე თქვას უარი, რათა აღიაროს, რომ დამოუკიდებლად არსებობა თურმე არ შესძლებია. მაგრამ იქნებ მოხდეს სასწაული და ერმა ბენზინის ნაკადულს და გაზის ღრუბელს მაინც თავისუფლება არჩიოს (პურს ბოლოსდაბოლოს რუსეთიც ყიდულობს). ამიტომ საბოლოო სიტყვა

ეკუთვნის სახალხო დეპუტატთა ყრილობას, რომელმაც შეიძლება გასვლაზე უარი გითხრას, რაღაც პუნქტის შეუსრულებლობა მოიმიზეზოს (რაც უსათუოდ მოიძებნება) და მთელი ხუთწლიანი ოცნება და მარათონი უიღბლოდ დასრულდეს!

ასე რომ **რესპუბლიკებისათვის თავისუფლების კარი საიმედოდ არის გადარაზული,** თუმცა კონსტიტუცია ძველებურად ისევ ღაღადებს სსრკ-დან თავისუფალ გასვლას. შეიძლება ეს ბევრს პარადოქსადაც მოეჩვენოს, მაგრამ პარადოქსები ჩვენი არსებობის ნორმაა და ნუ გავიოცებთ.

კანონი იცავს ცენტრის, ე. ი. მოსკოვის ინტერესებს და არა რესპუბლიკებისას, მაგრამ რესპუბლიკას თუ აქვს რაიმე პრეტენზია ცენტრისადმი ან თუ აქვს ამის გამოხატვის პრაქტიკული უფლება, კანონი არ ითვალისწინებს. ხოლო საქართველოს აქვს ნამდვილი და საფუძვლიანი პრეტენზია ცენტრისადმი, როგორ შეძლებს იგი საქართველოს დაუბრუნოს ის ოლქები, რომლებიც 1921 წლის ანექსიის შედეგად ჩამოაცილა და გადაუნაწილა რსფსრ-ს, თურქეთს (ართვინის, არტაანისა და ოლთისის ოკრუგები), აზერბაიჯანს (საინგილო), სომხეთს (ლორე-ტაშირი).

კანონი მოითხოვს გაირკვეს იმ ტერიტორიების სტატუსი, რომლებიც გამავალ რესპუბლიკას არ ეკუთვნოდა სსრკ-ში შესვლამდე, მაგრამ ბედი იმისა, რაც ჰქონდა და წაართვეს - ცენტრს არ ანაღვლებს. დასახელებული ოლქების საქართველოსადმი კუთვნილება ხომ რუსეთმა სცნო 7 მაისის ხელშეკრულებით. რაც შეეხება რეფერენდუმს, იგი უნდა ჩაატაროს იმ რესპუბლიკამ, ვინც ნებაყოფლობით შეუერთდა სსრკ-ს და ახლა აღარ მოსწონს მასთან ყოფნა. **საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას ან დამფუძნებელ კრებას არ მოუწვევია ბოლშევიკური რუსეთი. დიდი რუსეთი პატარა საქართველოს თავს დაესხა ომის გამოუცხადებლად.** ასეთი რამ ჰიტლერულ გერმანიასაც კი არ ჩაუდენია. მან სსრკ-ს საბრძოლო მოქმედების დაწყებამდე ერთი საათით ადრე მაინც გამოუცხადა ომი! **ომისა და მშვიდობიანობის წლებში 25 თებერვლიდან დღევანდლამდე დაიღუპა რესპუბლიკის ასეულ ათასობით მოქალაქე, დაიღუპა იმიტომ, რომ საქართველო იყო სსრკ-ის ნაწილი.**

მოსკოვი ვერც მათ სიცოცხლეს დააბრუნებს და კანონიც არაფერს ამბობს.

გასვლის პროცესს კანონი ისე განმარტავს, რომ თუ მოსკოვს ყველა რესპუბლიკა ჩამოსცილდა, მთელი საკავშირო ეკონომიკური თუ სამხედრო პოტენციალი რჩება რუსეთს. ე. წ. საერთო-საკავშირო ფონდში ხომ საქართველოსაც შეჰქონდა თავისი წვლილი, ისევე

როგორც უკრაინას ან თურქმენეთს. თუ იქნებ ყველა რესპუბლიკას არჩენდა და არჩენს რსფსრ. თუ ასეთი რამ მართლაც ხდებოდა ან ხდება, დაშლის პირველი მოსურნე მოსკოვი უნდა იყოს, მითუმეტეს, რომ თითქმის ყველა ეუბნება, გვეყოფა „ძმური“ პატივისცემაო.

ბოლოსდაბოლოს ხომ არ შეიძლება უსასრულოდ სხვაზე ფიქრობდე, ყველაზე მეტად შენ გიჭირდეს და მაინც სხვისი ბედი გადარდებდეს! ამიტომ რესპუბლიკას, რომელიც გადის საბჭოთა კავშირიდან, უნდა მიეცეს საკავშირო ფონდის გარკვეული ნაწილი, მაგალითად - შეიარაღების სფეროში. ამდენ ტანკებს, თვითმფრინავებს, რაკეტებს მარტო რუსეთი ხომ არ ამზადებდა. მასში საქართველოსაც უდევს თავისი წვლილი, ისევე როგორც ყაზახეთს ან ბელორუსიას. ამდენად - **გასარკვევია „საერთო-საკავშირო საკუთრების“ ცნება.**

ცხადია, ასეთი აზრი მოსკოვს არ მოეწონება და კანონიც დუმს.

ანტიკონსტიტუციური მოქმედებით ან კანონებით საბჭოთა მოქალაქეს ვერავინ გააკვირვებს. მაგრამ 3 აპრილის კანონი მიღებულია მაშინ, როცა კურსი აღებულია სამართლებრივი სახელმწიფოს შექმნისაკენ. მას ხმა მისცეს იმ დეპუტატებმა, რომლებიც ისევ იმპერიის შენარჩუნებაზე ფიქრობენ და არა დემოკრატიასა და ხალხების ბედნიერებაზე.

მართალია, რუსული პოლიტიკა საუკუნეების მანძილზე იმპერიალისტური იყო და მას ახლაც ვერ ელევა. მაგრამ მსოფლიოში ვითარება რადიკალურად შეიცვალა. დაირღვა და მოისპო კოლონიური სისტემა, მთლიანად განთავისუფლდა „შავი კონტინენტი“ - აფრიკა. მაგრამ **დარჩა უკანასკნელი იმპერიული ციტადელი - სსრკ,** რომელიც კოლონიის სტატუსსაც კი არ აძლევს იარაღის ძალით შეერთებულ ქვეყნებს, რადგან განიხილავს მათ როგორც თავისი ტერიტორიის განუყოფელ ნაწილს. ინდოეთი ან ანგოლა, ეგვიპტე ან მოზამბიკი ყველამ იცოდა, რომ კოლონიები იყვნენ. მაგრამ სხვაა საქართველოს მდგომარეობა, რომელსაც ოციანი წლების შემდეგ აღარავინ იცნობს მსოფლიოში და მხოლოდ ახლა მიექცა ყურადღება, მაგრამ ისიც ცხადია, რომ **საქართველოს მომავალს ახშობს ახალი დრაკონული კანონი**, რომელსაც მალე მოჰყვება მორიგი ე. წ. **სამოკავშირეო ხელშეკრულება**.

მასთან შეგუება იმას ნიშნავს, რომ საქართველომ საბოლოოდ ხელი აიღოს რეალურ დამოუკიდებლობაზე და მხოლოდ თეორიული მსჯელობით ან ოცნებით შეიქციოს თავი. ამიტომ 3 აპრილის კანონისადმი ოფიციალური პოზიცია უნდა გამოხატოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ, რომელმაც შარშან შეიტანა სავსებით მართებული ცვლილება საქართველოს კონსტიტუციაში.

როგორც მოგეხსენებათ, ამ შესწორების თანახმად საქართველო

გასულად ითვლება საბჭოთა კავშირიდან, როგორც კი მისი თავისუფალი გასვლის უფლებას გააუქმებენ ან შეზღუდავენ. ასეთი შეზღუდვა ანუ ფაქტიური გაუქმება უკვე მოხდა და მისდამი წაყრუება თანხმობას ნიშნავს.

მოგვწონს თუ არ მოგვწონს ეს კანონი - იგი რეალურად არსებობს და ცენტრი მას ეყრდნობა, როცა აყალიბებს თავის პოზიციას ბალტიისპირეთის რესპუბლიკებისადმი. ვერც საქართველო იქნება გამონაკლისი. ამიტომ რჩება ერთადერთი გამოსავალი - **შეიკრიბოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო, უარყოს ეს ანტიკონსტიტუციური კანონი და ამ უარყოფიდან გამომდინარე გამოაცხადოს დამოუკიდებლობა.** ხოლო თუ ამისი გაკეთება არ შეუძლია, მაშინ ის უნდა გადადგეს...

გაზ. „თბილისი“, 1990, 26 მაისი

მშვიდობა საქართველოში

– თუკი დღესდღეობით ჩვენში მიმდინარე პროცესებს განვიხილავთ, როგორც აუცილებელ, გარდაუვალ ერთგვარ გარდამავალ ეტაპს, ხიდს მოძულებულ წარსულს და სასურველ მომავალს შორის, მზად ვარ ხარკისგასაღებად, მაგრამ მე სხვა რამის მეშინია: ცხოვრების წესად არ გვექცეს ეს განუკითხაობა.

სოსო სიგუა: ყველაზე კარგი დღეს ის იქნება, პოლიტიკოსობას თავი დავანებოთ და ჩვენს პროფესიას მივხედოთ. კი ბატონო, პოლიტიკას საქმიანობათა გვირგვინად მიიჩნევდნენ ანტიკურ ეპოქაში. მაგრამ ხომ არ შეიძლება ყველა ერთ საქმეს მისდევდეს. ნაპოლეონი ხომ ამბობდა, მძიმე ჟამს ყველამ თავის საქმე უნდა აკეთოსო.

„რესპუბლიკა“:

– მე მგონი, ყოველჟამს აგრე უნდა იყოს.

ს. ს. - უთუოდ. ოღონდაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ქვეყნისათვის ისეთი მძიმე პერიოდები, როგორიც ამჟამად უდგას ჩვენ ქვეყანას. აბა, მაგალითად, მეცნიერს რა უნდა, მოშიმშილეთა გვერდით რომ ჯდება. მან თავის პროფესიას მიხედოს, განა უმაღლეს სასწავლებლებში ცოტა პრობლემებია?!

უპირველესად საჭიროა იმგვარი პირობები შევქმნათ, რომ ადამიანები დაინტერესდნენ, საქმეს მოკიდონ ხელი. პრობლემები ერთმანეთთან არის გადაჯაჭვული. მიწის, კერძო საკუთრების შესახებ კანონების მიღებაა უპირველესად საჭირო, რადგან ჭეშმარიტი თავისუფლება, ჩვენ რომ აგრე მივესწრაფით, უამისოდ ცარიელ სიტყვად დარჩება. მეპატრონის უფლება უნდა დაუბრუნდეს ადამიანებს. ეს რომ იქნება,

სავარძელს აღარ ჩაებღაუჭება აგრე თავგამოდებით, როგორც აქამდე იყო, მლიქვნელობის, თავის დამცირების, ცხრიდან ექვს საათამდე სამსახურში 100 მანეთის გამო ჯდომის აუცილებლობა მოეხსნება.

დღეს ვინ არ იცის, რომ ჩვენი პოლიტიკური და ეკონომიკური სტრუქტურები იმგვარად იყო მოწყობილი, რომ სახელმწიფოს ხელთ სჭეროდა ყველა სადავე. პიროვნება ვის ახსოვდა! აი ეს უნდა დაირღვეს. ადამიანმა დაიბრუნოს ადამიანის უფლებები. ამაზე უპირველესი რიგის ამოცანა პირადად მე არ მეგულება. ის პოლიტიკური ძალებიც, დღეს საქართველოში ოფიციალურად თუ არაოფიციალურად რომ მოქმედებენ, ამ პრინციპებიდან უნდა ამოდიოდნენ.

„რესპუბლიკა“:

– პიტერ ბრუკს უთქვამს, ახალი ჭეშმარიტებანი აღმოცენდება მხოლოდ მაშინ, როდესაც მსხვრევას იწყებს ძველი სტერეოტიპებიო. ეს ძალზე ორიგინალური ნათქვამი მხოლოდ თეატრს როდი ეხება. საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაშიც ასეა. და ამას ჩვენს გარშემო მიმდინარე პროცესები ცხადყოფს. ძველი სტერეოტიპების მსხვრევას, რაგინდ პარადოქსულად მოჩანდეს, ახალი სტერეოტიპების აღმოცენება მოსდევს. ეტყობა ეს ეტაპიც ბუნებრივად გასავლელია, იმასაც დრო უნდა, რომ შემდგომ ეს ახალიც უკუიქცეს და მის ადგილას უკვე ჭეშმარიტება აღმოცენდეს, წონასწორობა აღდგეს. ეტყობა ამიტომაც მებადება ეს კითხვა, ზემოთაც რომ ვახსენე: არის თუ არა ჩვენში პოტენციურად წონასწორობის აქამდე უხილავი მექანიზმები, რომლებმაც მომავალში ხელი უნდა შეუწყონ ახალი, მიუღებელი სტერეოტიპების მსხვრევას, და საბოლოო ანგარიშით დასახულის ბოლომდე განხორციელების მძლავრ სტიმულატორად იქცეს.

ს. ს. - სანამ ჩვენ სსრ კავშირად წოდებული ამ ვებერთელა სახელმწიფოს ნაწილი ვართ, საეჭვოა არსებითად რამე გვეშველოს. ჩვენ წინ ორი შესაძლებლობაა - ან ავყვეთ ამ დრეიფს, ან გამოვეყოთ მთლიანად და საბოლოოდ. განა შეიძლება გაშლილ ოკეანეში აბობოქრებულ ტალღებზე შეგდებული ხომალდის ერთმა რომელიმე კაიუტამ სანიმუშო წესრიგი და უშფოთველობა შეინარჩუნოს? ჩვენი ქვეყანა ზიარი ჭურჭლის პრინციპზეა აგებული - ყველანი მეტნაკლებად დაახლოებით თანაბარ დონეზე უნდა ვიყოთ.

„რესპუბლიკა“:

– ნამეტანი პესიმისტური პოლიტიკური პროგნოზია, მაგრამ რეალობა იმითაც არის რეალობა, რომ ის ჯიუტია.

ს. ს. - არა, ამ აზრს პროგნოზის პრეტენზია არა აქვს, მით უმეტეს, ჩვენ კონკრეტულად ერთ წელიწადზე - 1991 წელზე ვლაპარაკობთ. პროგნოზი პოლიტიკაში კი არა, ამინდშიც ყოველთვის როდი ამართლებს, სინოპტი-

კოსები დღეს ზუსტად იმასაც ვერ გეუბნებიან, ხვალ როგორი ამინდი დაგვიდგება.

ხვალინდელი კი, ვფიქრობ, უკეთესი იქნება. ამ წელს ჩვენ კიდევ ერთ ნაბიჯს გადავდგამთ დამოუკიდებლობის გზაზე. ცხოვრების პირობები ჯერ ვერ გაუმჯობესდება, მაგრამ ბოლოსდაბოლოს არ შეიძლება არ გვეშველოს. მარტო ჩვენ თავს კი არ არის ეს. ოცდაათიანი წლების ამერიკის დიდი დეპრესია გახსოვთ?

„რესპუბლიკა“:

– იქ პრეზიდენტ რუზველტის მეტისმეტად გონივრულმა და პრაქტიკულმა ღონისძიებებმა გამოიყვანა ქვეყანა კრიზისიდან. კრიტიკოსები მასაც არ აკლდა. თუმცა ქვეყანამ კონკრეტულად დაისახა მიზანი და ყველაფერი გააკეთეს ამის მისაღწევად. ჩვენ კი ერთმანეთს ჭამას ვუნდებით და სტრატეგიასა და ტაქტიკის შემუშავებისათვის ვერ ვიცლით.

ს. ს. - პიროვნებასაც პროცესი წარმოშობს. სამყაროში უსასრულო არაფერია, ხომ არ შეიძლება არეულობა დაუსრულებელი იყოს. ამიტომ თავის დროზე თვით ისტორია წარმოშობს ადამიანს, ყველაფერს თავის ადგილზე რომ დააყენებს.

ესაუბრა ლინა გვიშიანი
გაზ. „რესპუბლიკა“, 1991, 1 იანვარი

საქართველო კიდევ ერთი არჩევანის წინ

– როგორი წინამძღოლი სჭირდება საქართველოს მომავლის გზა სავალზე?

– ყველა ქვეყანას სჭირდება თავისი ხალხის ნების გამომხატველი პრეზიდენტი და რამდენადაც იგი შეიძლებს ამას, იმდენად დააფასებს ერი და ისტორია. რა თქმა უნდა, სახელმწიფოს მეთაური უნდა ფლობდეს მრავალ ისეთ კრებად ნიშანთვისებას, რომლითაც განირჩევა სხვებისაგან. მაგრამ უმთავრესია ერისთვის თავგანწირვის უნარი, მისთვის სისხლის გაღება, სიცოცხლის დათმობა. ამიტომ არის, რომ ჩვენი მეხსიერება ინახავს ბერი თევდორეს სახელს, მაგრამ არ ახსოვს მრავალი წარჩინებული ერისთავი თუ სპასალარი. დღეს როცა საქართველოს ისევ უდგას საბედისწერო ახალშობის ჟამი, პრეზიდენტი უნდა იყოს გმირი, ბრძენი, შეეძლოს ბრძოლა და მოვლენათა განჭვრეტა, ადამიანთა შეკავშირება და სეპარატისტთა დათრგუნვა. სახელმწიფოს ყველა

დროში სჭირდებოდა დისციპლინა და წესრიგი, ცალკეული პიროვნება კი მუდამ მეტ თავისუფლებას მოითხოვდა. იმ დროს, როცა სამშობლოს მრავალი საფრთხე ემუქრება, როგორც შიგნით, ისე გარეთ, სწორედ ძლიერი ხელისუფლება თუ იხსნის მას განსაცდელისაგან.

– პრეზიდენტობის დასახელებული კანდიდატებიდან რომელს უფრო აქვს ეს თვისებები მეტ-ნაკლებად?

– საქართველოს ჰყავს პრეზიდენტობის ერთადერთი რეალური კანდიდატი - **ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერი, დღევანდელი პრეზიდენტი ბატონი ზვიად გამსახურდია**. და მჯერა, რომ იგი უთუოდ გაიმარჯვებს. ზვიად გამსახურდიას სახელი, ერუდიცია, ფანატიზმიც კი, სამშობლოსადმი თავგანწირვის უნარი ქართველი ერის ახალ გზაზე გასვლის გარანტიაა. იგი იქნება საბჭოთა კავშირის იმპერიაში მოქცეულ ქვეყნებს შორის ხალხის მიერ არჩეული პირველი პრეზიდენტი.

– რას უსურვებდით საქართველოს პრეზიდენტს?

– ახლად არჩეულ პრეზიდენტს - **ბატონ ზვიად გამსახურდიას** - ვუსურვებ თავისი პროგრამის სრულ და დროულ რეალიზებას. რაც შეეხება ხალხის თანადგომას, იგი მას აქვს და მომავალში კიდევ უფრო ექნება. გავა დრო და ოპოზიციაც საბოლოოდ ირწმუნებს, რომ სწორედ ზვიად გამსახურდიას დააკისრა განგებამ ქართველი ხალხის მრავალსაუკუნოვანი ოცნების აღსრულება.

ესაუბრა ლინა გვიშიანი
გაზ. „რესპუბლიკა“, 1991, 25 მაისი.

ყველაფერი რომ ნათელი იყოს

ჩვენს კორესპონდენტს ესაუბრება
„ლიტერატურული საქართველოს“
მთავარი რედაქტორი პროფესორი სოსო სიგუა

კორესპონდენტი: **ბატონო სოსო, ზოგიერთს შეიძლება უჩვეულოდაც მოეჩვენოს, რედაქტორის ინტერვიუ თავისსავე გაზეთში... მაგრამ მიმაჩნია, რომ ეს სრულიად ბუნებრივია. ერთხელ და სამუდამოდ ხომ უნდა გამოვიდეთ დადგენილი სტერეოტიპებიდან. რაც გუშინ შეიძლება უხერხულად ჟღერდა, დღეს მისი თქმა ან გაკეთება აუცილებელია. თანაც, გულახდილობას რა სჯობს... რა საჭიროა, ყალბი თავმდაბლობის თამაში, თუკი მხოლოდ საქმეზე, გაზეთზე და მის ამოცანებზე გვექნება**

მცირე საუბარი? ამიტომ გთხოვთ, ყველაფერი რომ ამთავითვე ნათელი იყოს, მკითხველს ზოგი რამ გავუმხილოთ „სარედაქციო საიდუმლოებიდან“. თქვენ ახლახანს ჩაუდექით სათავეში „ლიტერატურულ საქართველოს“. ვიცით, კარგად მოგეხსენებათ გაზეთის მთელი ისტორია, წარსული და ის მოღვაწენიც, რომელნიც წლების მანძილზე მის შემოქმედებით სახეს ქმნიდნენ. მაგრამ ყოველ ახალ რედაქტორს, და ეს მარტო ბუნებრივი კი არა, აუცილებელიცაა, გაზეთისადმი თავისი დამოკიდებულება, თავისი თვალსაზრისი აქვს. პირველ ყოვლისა, როგორ წარმოგიდგენიათ ზოგადად გაზეთის მიმართულება და ლიტერატურული სახე?

—მოგეხსნებათ, წელს ნოემბერში სრულდება „ლიტერატურული საქართველოს“ დაარსების 60 წელი. ამ ხნის მანძილზე გაზეთის ფურცლებზე დაიბეჭდა მრავალი შესანიშნავი ლექსი და ნოველა, ესსე და პუბლიცისტური სტატია, მაგრამ დაიბეჭდა არაერთი პასკვილი და საბედისწერო განაჩენიც. ბოლო წლებში დიდად გაიზარდა გაზეთის ტირაჟი და პოპულარობა. ეს ძირითადად მოხდა პუბლიცისტიკის მეშვეობით, დროის მოთხოვნათა შესაბამისად. ჩვენ პუბლიცისტიკას კვლავაც შევინარჩუნებთ, მაგრამ გვინდა „ლიტერატურული საქართველო“ იყოს, პირველ ყოვლისა, მწერალთა გაზეთი, მეტი ადგილი დაეთმოს ლექსს, მოთხრობას, ესსეს, კრიტიკულ განსჯას. გაზეთმა უნდა დაამკვიდროს ლიტერატურული სიახლენი, მისცეს გეზი და მიმართულება მასების გემოვნებას, გააერთიანოს ყველა ასაკისა და თაობის მწერლები, მიუხედავად მათი ლიტერატურული თვალსაზრისისა.

კორესპონდენტი: **დიახ, წლების მანძილზე, გაზეთი ჭეშმარიტად ლიტერატურული იყო, - თავისი პოზიციით, ქართული ლიტერატურული ცხოვრებისადმი მეტნაკლებად აქტიური დამოკიდებულებით. გულახდილად ვთქვათ, ეს იყო ჰუმანიტარული საზოგადოების გაზეთი. დრო და დრო კი გაზეთში იჩქმალებოდა ლიტერატურა და წინ უფრო მეტად იწევდა პუბლიცისტიკა. ცხადია, პუბლიცისტიკა გაზეთს სჭირდება, მაგრამ ეს, ალბათ, სუფთა ლიტერატურის ხარჯზე არ უნდა მოხდეს. გააგრძელებთ თუ არა, ასე ვთქვათ, ტრადიციულ, დიდიხნიდან მომდინარე და ნაცად „ლიტერატურულ გზას?“**

— პუბლიცისტიკის წამოწევა სიტუაციამ, ეროვნული მოძრაობის აღმავლობამ განაპირობა. რედაქციამ სწორად იგრძნო დროის რიტმი და გადმოსცა პუბლიცისტიკის ენით. მაგრამ ლიტერატურაში მთავარი ლიტერატურული აზროვნებაა. ახალი ეროვნული იდეები ჯერჯერობით ვერ მოექცა მხატვრული სიტყვის სამოსელში. შეიძლება ითქვას, ინფორმაციის სიჭარბე დამაბნეველიც აღმოჩნდა. ჩვენ უნდა ვეცადოთ, რომ ლიტერატურაში აღდგეს ძიების პათოსი. მწერლობის მასებში გასატანად, გაზეთის პოპულარობის შესანარჩუნებლად, უნდა შევძლოთ

მხატვრული აზრისა და მებრძოლი პუბლიცისტიკის ბალანსირება, ვაჩვენოთ თანამედროვე ქართველი მოქალაქე, თავისი იდეალებით, სატკივარით, ყოველდღიური ყოფითი რეალიებით.

განსაკუთრებულ ყურადღებას მივაქცევთ ახალგაზრდობას, ახალი ავტორების წამოწევას, რომელთა სულს არ შეხებია ე. წ. „სოციალისტური რეალიზმის“ შხამი.

კორესპოდენტი: **დღეს საზოგადოება უაღრესად პოლიტიზებულია. პოლიტიკას ვერც ჩვენ ავცდებით და არც უნდა ავცდეთ. საღი პოლიტიკისადმი მხარდაჭერა ხომ იგივე ეროვნული პრობლემისადმი მხარდაჭერაა. როგორი ფორმით გესახებათ პოლიტიკის და ლიტერატურული გაზეთის ურთიერთობა?**

– ყველა დროში დიდი ლიტერატურა პოლიტიკისაგან განუყრელი იყო. მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს მწერალი პოლიტიკოსად იქცეს. ჩვენ ნათლად ვხედავთ, მწერალთა ერთი ნაწილის პოლიტიკით გატაცებამ შეანელა მათი მწერლური აქტივობა, პოლიტიკას კი ვერაფერი შემატა. ისიც ცხადია, რომ როდესაც ეროვნული მოძრაობა მასობრივ სახეს იძენდა, აუცილებელი იყო ყველა ჩვენგანის მონაწილეობა.

როცა ქვეყანა ზანზარებს, ყველანი გარეთ ვიყურებით, ხოლო ხელოვნებას ქმნის შიგნით ჩაბრუნებული მზერა, ფიქრი და ოცნება, ტანჯვა და მარტოობა. მაგრამ ქართველ მწერალს არასოდეს ეცალა წმინდა ხელოვნებისათვის - ის ჯარისკაციც უნდა ყოფილიყო. ამიტომ აქციეს დიდმა მწერლებმა ეროვნული იდეოლოგია შემოქმედების საფუძვლად. გავიხსენოთ - გალაკტიონ ტაბიძე - „წვეთი სისხლის არ არის ჩემში არაქართული“, კონსტანტინე გამსახურდია - „ჩვენი საქართველო ჩვენ უნდა გვეკუთვნოდეს ან და არავის“.

დღეს მთავარია აღმშენებლობა, შექმნა და დამკვიდრება, ეროვნული იდეების პრაქტიკული რეალიზება როგორც ცხოვრებაში, ისე ლიტერატურაში. გაზეთი ეცდება, კვლავაც გააშუქოს პოლიტიკის, რელიგიის, ეკონომიკის, საზოგადოებრივი ცხოვრების პრობლემები, მაგრამ მწერლური თვალთახედვით, იმ ეროვნული მრწამსის დაცვით, რომელიც სათავეს იღებს საუკუნეთა სიღრმიდან და რომლის გამომხატველია **რესპუბლიკის პრეზიდენტი, ეროვნული მოძრაობის ლიდერი და თავად მწერალი ბატონი ზვიად გამსახურდია.**

ვინაიდან „ლიტერატურული საქართველო“ არის მწერალთა გაზეთი, მწერალთა კავშირის გაზეთი, საჭიროდ არ მიმაჩნია დავბეჭდოთ პოლიტიკური პარტიების განცხადებანი, მიმართვები, პოლემიკური სტატიები.

– *კორესპონდენტი:* **დასამალი არ არის, რომ ბოლო ხანს, განსაკუთრებით მომრავლდა ლექსის მწერალი. ესეც, ალბათ, დრომ მოიტანა, მაგრამ აშკარად დადაბლდა მხატვრული კრიტერიუმები, შემცირდა მომთხოვ-**

ნელობა. ქართულ ჟურნალ-გაზეთებში იბეჭდება თითქმის ყველაფერი, რაც კი პროფესიონალების და არაპროფესიონალების მიერ იწერება. უფრო მეტიც, მომძლავრებული და გათამამებული ავტორები თუ წინათ სპეკულაციას აქტუალური პარტიული თემებით ეწეოდნენ, დღეს ლექსის გამოქვეყნებას მხოლოდ იმ საბაბითაც კი მოითხოვენ, რომ მასში ნახსენებია სანთელი, უფალი, მამული და სხვა. მათ ავიწყდებათ, რომ სწორედ ამ სათუთ თემებზე უნდა იწერებოდეს გაიოლებული კი არა, ჭეშმარიტი ლექსი.

ალბათ, იდეალური „ლიტერატურული საქართველო“ ის იქნება, როცა მის ფურცლებზე გამოქვეყნება ლექსის, მოთხრობის თუ ესსეისა, პრესტიჟულ საქმედ იქცევა. აქ დაბეჭდვა მწერლის (განსაკუთრებით ახალგაზრდა მწერლის) თითქმის აღიარების ტოლფასი უნდა იყოს.

– პრესის თავისუფლება ერთის მხრივ, თუ ნიჭიერ მწერალს აძლევს გამოვლენის მაქსიმალურ საშუალებას, მეორეს მხრივ, გზას უხსნის მდარე ღირსების ლიტერატურას. ეს საერთო მოვლენა ყოფილა და ვერც ჩვენ გავექცევით. ამგვარი მწერლობის მოძალებას არაფერი დაუკლია ევროპული თუ ამერიკული ლიტერატურებისათვის. ასეთი ბუმი, ძველ ღირებულებათა დამხობა, დროებით არის დამაბნეველი. შემდეგ მდინარება დაიწმინდება, გამოჩნდებიან განათლებული ლიტერატორები და ისინი დაამკვიდრებენ შედევრებს ერის მეხსიერებაში. მაგრამ მხოლოდ თვითდინების იმედად ვერ ვიქნებით, მომავალს ვერ დაველოდებით, უნდა შეიქმნას ინტელექტუალური ბაზისი, შემოქმედებითი ატმოსფერო ახალი ტალანტების მოსავლენად.

კორესპოდენტი: **ქართულ სალიტერატურო ცხოვრებაში თითქმის ჩაკვდა კრიტიკა, დღეს ფაქტიურად არავის მხატვრულ უმწეობას არ ამხელენ. მომძლავრდა პანეგირიკი, და, რაც ყველაზე უფრო საშინელია, დაუფარავი ლანძღვა-გინება, გესლიანი, ღვარძლიანი, შეურაცხმყოფელი ტონი. დაირღვა კამათის ელემენტარული ეთიკა, ვისაც რა სურს, იმას გიწოდებს და დაგაბრალებს. იქნებ, ორიოდე სიტყვა გვითხრათ კრიტიკაზე და მის ადგილზე ჩვენი გაზეთის ფურცლებზე?**

– ჩემის აზრით, კრიტიკა ანემიური ვერ იქნება. ის უნდა იყოს მწვავე, მკაცრი და პროფესიული, შეეძლოს აუდიტორიის გულისყურის მიზიდვა და დამორჩილება. მაგრამ ცილისწამება და უხამსობა, რაც ხშირად მოსდევს ამგვარ აზარტულ მსჯელობას, ამხელს ავტორის ინტელექტუალურ სიმწირეს. საჭიროა დიდი შინაგანი კულტურა, რათა წონასწორობა არ დაირღვეს, რათა გვახსოვდეს ადამიანი და აზროვნების ორიენტირი.

უნდა გაგრძელდეს თანამედროვე მწერლობის გადაფასება. ეს პროცესი მტკივნეულია, მაგრამ გარდაუვალი. ზოგმა თავად თქვა უარი

თავისი ნაწერების ნაწილზე, ზოგიც - ჯიუტად ებღაუჭება ძველ პოზიციას. გამოჩნდნენ ახალი, აქამდე მივიწყებული, აკრძალული ან უარყოფილი სახელები. მიუკერძოებლად უნდა განსხვავდეს - რა იყო ყალბი და რა იყო ჭეშმარიტი ჩვენს მწერლობაში. უკვე დაიწყო დახურული არქივების შესწავლა, რამაც შეიძლება ესა თუ ის ავტორი ჩვენთვის უცნობი კუთხით დაგვანახოს. ოღონდ არ არის საჭირო ნიშნის მოგება და ანგარიშსწორება.

კორესპონდენტი: **მიუხედავად საინფორმაციო საშუალებების თავისუფლებისა, ჩვენს მკითხველებს ძალზე მცირე წარმოდგენას ვუქმნით თანამედროვე უცხოეთის ლიტერატურულ ცხოვრებაზე, ვერ ვაწვდით ახალი ნაწარმოებების თარგმანებს. ვერ ვაუწყებთ იმ სიახლეებს, რაც უცხოეთში ხდება. ხომ არ გეჩვენებათ, აუცილებელია უცხოეთის ჟურნალისტიკასთან კონტაქტების გაღრმავება, რათა ქართველმა მკითხველმა კარგად გაიგოს, რა ხდება იქ, და რაც მთავარია, ქართული კულტურა უფრო ფართოდ გავიტანოთ საქართველოს გარეთ?**

– საერთოდ, ყველა გონიერი ერი გაივლის იმ გზას, რაც განვლო დასავლეთ ევროპამ. სავსებით ზედმეტია ექსპერიმენტების სერია. ამგვარმა ექსპერიმენტებმა, დაპირისპირებამ, ევროპული კულტურის უარყოფამ დაღუპვის კარამდე მიიყვანა რუსეთი. მე თქვენს ყურადღებას მივაქცევ ერთ ფაქტს - ათიანი წლებიდან მოყოლებული ქართული მწერლობა, ცნობიერად თუ არაცნობიერად, უარყოფდა რუსულ გზას. თვით ცისფერყანწელებიც კი განადიდებდნენ იმ თავის კოლეგებს, რომელთა შემოქმედება დასავლეთის ძირებიდან იკვებებოდა. ეს იყო სტიქიური სწრაფვა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისაკენ. ევროპული კულტურა (ძველ საქართველოსთან ერთად) გახდა რუსული ექსპანსიის შემაკავებელი ბარიერი. მე ვერ დავასახელებ ბოლო ოცწლეულის რომელიმე ქართველ მწერალს, რუსული პოეზიის ან პროზის გავლენით რომ ეწეროს, თუნდაც კომუნისტური პარტიის მეხოტბე ყოფილიყო. და კიდევ, - სალიტერატურო ქართული სწრაფად ითვისებს რომანული და გერმანიკული ძირის სიტყვებს, მაგრამ არ ღებულობს რუსულ ლექსიკას. ამიტომ აქვს პრინციპული მნიშვნელობა შემოქმედებითი კონტაქტების აღდგენას დასავლეთთან, რაც ბოლშევიკებმა მაუზერით და მახვილით გაწყვიტეს.

ქართულ კულტურას უცხოეთი სრულად აღიარებს მხოლოდ მას შემდეგ, რაც საქართველო მსოფლიოს თავისუფალ ერთა შორის ჩადგება. დამოუკიდებელი სახელმწიფოს უქონლობა ტრაგიკული აღმოჩნდა ჩვენი დიდი მწერლებისთვის. მათი პოპულარობის და ზეგავლენის არე მეტისმეტად შეიზღუდა. ეს მაშინ, როცა მეცნიერულადაა დასაბუთებული ქართველური სამყაროსა და ქართული კულტურის

განსაკუთრებული მისია. გაზეთმა ამ თვალსაზრისითაც უნდა გასწიოს პროპაგანდა.

კორესპონდენტი: **ერთ პრაქტიკულ საკითხზეც გთხოვთ გვიპასუხოთ, რომელსაც, ერთი შეხედვით, შეიძლება არც ჰქონდეს კავშირი შემოქმედებასთან. დღევანდელი ეკონომიკური მდგომარეობის, სიძვირისა და ინფლაციის გამო, „ლიტერატურული საქართველოს“ დაწესებული ჰონორარი (ერთი ნომერი 2000 მანეთი) თითქმის მიზერული გახდა. იქნებ, შეძლოს რედაქციამ ამ ჰონორარის გაორმაგება, მით უფრო, რომ „ლიტერატურული საქართველო“ საკუთარ სამეურნეო ანგარიშზეა და დოტაციას არავისგან თხოულობს.**

– ესეც საგულისხმოა, მე ვფიქრობ, რომ ყოველ შემთხვევაში, შემოქმედებით მხარესაც სასიკეთოდ წაადგება. რაც შეეხება შესაძლებლობას, **უკვე ამ ნომრიდან ვაორმაგებთ ჰონორარს.**

კორესპონდენტი: **დაბოლოს, ერთი კითხვა: მომძლავრდა ე. წ. „ხვავიანი წერა“. არავის სურს, ან არ შეუძლია პატარა, ლაკონური ფორმით ლამაზი და დახვეწილი მასალის წარმოდგენა. ცოტა ხომ არ შეგვემცირებინა ფართობი ზომაზე მეტად დიდი წერილებისათვის? ცოტა უფრო მომჭირნედ ხომ არ გამოვიყენოთ გაზეთის ფურცლები? ბოლოს და ბოლოს, ეს ხომ თვით გაზეთის შინაარსისა და ფორმის მრავალფეროვნებას შეუწყობს ხელს?**

– გეთანხმებით, ვრცელი გამოკვლევების ბეჭდვა გაზეთში სასურველად არ მიმაჩნია. მითუმეტეს, რომ ვერ ვაშუქებთ მწერალთა კავშირის მუშაობას, მკითხველი ვერ იგებს, რა კეთდება სოხუმში, ბათუმში, ქუთაისში, ზუგდიდში, თელავში, გორში. მწერლებს ვერ ვაწვდით მათთვის სასურველ ინფორმაციას თუ რა ხდება რუსეთის, ევროპის, ამერიკის კულტურულ ცენტრებში, რა ახალი ტენდენციები დაისახა ლიტერატურამ, რა უარყო და ჩამოაცილა დრომ.

მხოლოდ ყველა თაობის მწერალთა თანადგომით, ინტელექტუალურ ძალთა მობილიზებით შეძლებს ჩვენი გაზეთი, იყოს თავისუფალი საქართველოს ღირსეული მესიტყვე.

„ლიტერატურული საქართველო“, 1991, 28 ივნისი

გამოიცემა კონსტანტინე გამსახურდიას თხზულებათა ოცტომეული

კონსტანტინე გამსახურდიას თხზულებათა პირველი კრებულის გამოცემა დაგეგმილი იყო 40-იან წლებში (ქართულ და რუსულ ენებზე). მაშინ

იგი შვიდ ტომს მოიცავდა. მაგრამ პირველი ორი ტომის დაბეჭდვის შემდეგ შეწყდა. მწერლის წინააღმდეგ მორიგი ისტერიული კამპანია გაჩაღდა ე. წ. „ჟდანოვშჩინის“ გამო, სტალინის შეხედულებიდან გამომდინარე.

50-იანი წლებიდან დაიწყო ქართული რვატომეულისა და რუსული ექვსტომეულის გამოცემა. ეს ფაქტი დიდი მოვლენა იყო ქართული კულტურისათვის. არსებულ პირობებში მეტის გაკეთება შეუძლებელი იყო. 70-იან წლებში დაიწყო ქართული ათტომეულისა და რუსული რვატომეულის გამოცემა, რომელთა დასრულებას დიდი მწერალი ვერ მოესწრო. სამწუხაროდ, კ. გამსახურდიას პროზის რუსული თარგმანები მეტისმეტად ამახინჯებენ ორიგინალს და ამდენად აუცილებელია მწერლის ნაწერების ხელახლა თარგმნა რუსულ და ევროპულ ენებზე.

ამჯერად დღის წესრიგში დგას კონსტანტინე გამსახურდიას თხზულებათა ოცტომეულის გამოცემა, რაც სრული ვერ იქნება, მაგრამ ყველაზე სრულად კი წარმოაჩენს დიდი მწერლის განუმეორებელ სამყაროს.

ოცტომეულს გამოსცემენ კოოპერატიული ფირმა „დიდოსტატი“ და ფირმა „კონსტანტინეს“ გამომცემლობა „ქრონოგრაფი“. სტამბას გადაეცა და უკვე მთავრდება პირველი ორი ტომის აწყობა (ტ. I - ნოველები, ტ. II - „დიონისოს ღიმილი“), რომელთაც მალე იხილავს მკითხველი. ასევე უახლოეს ხანში გამოიცემა „მთვარის მოტაცება“, რომლის მატრიცები ინახება წიგნის ფაბრიკაში.

შეიძლება მკითხველს გაუკვირდეს, თუ რატომ არ იღებს მონაწილეობას სახელმწიფო გამომცემლობა. უნდა განვმარტოთ, რომ ქაღალდის კრიზისის დროს, როცა გამომცემლობები ვერ სცემენ საბავშვო ლიტერატურას, სასკოლო სახელმძღვანელოებს, ვერ აგრძელებენ კლასიკის დაწყებული ტომეულების გამოცემას, უფრო მიზანშეწონილია ეს საპატიო მისია თავის თავზე აიღონ კოოპერატივებმა, რომლებიც რესპუბლიკის გარედან შემოიტანენ ქაღალდს, ან სულაც რესპუბლიკის გარეთ დაბეჭდავენ ტომებს. **ნავარაუდევია ყოველწლიურად 4-5 წიგნის გამოცემა.** ოცტომეულზე ხელმოწერას ავრცელებენ საქართველოს რესპუბლიკის წიგნის მოყვარულთა საზოგადოების საქალაქო და რაიონული ორგანიზაციები.

როგორც ცნობილია, „დიონისოს ღიმილსა“ და „მთვარის მოტაცებაში“ ხელისუფლების მიერ შეტანილ იქნა გაუმართლებელი ცვლილებანი. ამიტომ აღდგება ის ტექსტები, რომლებიც ავტორის ნებას გამოხატავენ („დიონისოს ღიმილი“ - 1933 წლის გამოცემა, „მთვარის მოტაცება“ - 1936 წლის გამოცემა). ასევე აღდგება ესსეების ცალკეული პასაჟები, რომლებიც ვერ მოხვდა რვატომეულსა და ათტომეულში. დაიბეჭდება ფართო საზოგადოებისათვის უცნობი ნოველები, ლექსები, ესსეები, თარგმანები, ნარკვევები. მთლიანად გამოქვეყნდება მოგო-

ნებების წიგნი „ლანდებთან ლაციცი“, ვაიმარში გამოცემული წიგნი „კავკასია მსოფლიო ომში“ და, რაც განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, - 1916-1926 წლებში დაწერილი პოლიტიკური და ლიტერატურული ესსეები, რომელთა უმრავლესობა არ შეიტანეს წინა ტომეულებში. დედნის მიხედვით გასწორდება „დავით აღმაშენებლის“ ცალკეული უზუსტობანი, კორექტურული შეცდომები, რაც გადადის გამოცემიდან გამოცემაში. მხოლოდ ამ გამოცემის შემდეგ წარმოსდგება მკითხველის წინაშე ნამდვილი კონსტანტინე გამსახურდია.

კონსტანტინე გამსახურდიას ნაწერები ქართულ პრესაში იბეჭდებოდა 1909 წლიდან 1975 წლამდე, თითქმის ყოველ ჟურნალსა და გაზეთში. მწერალი თანამშრომლობდა გერმანულ და რუსულ პრესაში. ამიტომ ჩასატარებელია დიდი სამუშაო, რათა სრულად გამოვლინდეს მწერლის ნაწერები. მართალია, ჩვენი გამოცემა არ არის აკადემიური (ეს მომავლის საქმეა), მაგრამ ვეცდებით შედარებით მთლიანად წარმოვადგინოთ დიდი მწერლის შემოქმედება. პირველნაბეჭდი ტექსტები კიდევ იმისთვის არის აუცილებელი, რათა თავიდან ავიცილოთ ცენზურული ჩასწორებანი. ასევე გამოყენებული იქნება დედნები.

გამოცემას ხელმძღვანელობს სარედაქციო კოლეგია - ზვიად გამსახურდია (მთავარი რედაქტორი), რევაზ თვარაძე, მუხრან მაჭავარიანი, სოსო სიგუა (პ. მგ. მდივანი), ნოდარ წულეისკირი.

პირველ ტომს უძღვის ოცტომეულის მთავარი რედაქტორის ბატონ ზვიად გამსახურდიას წინასიტყვა.

„ლიტერატურული საქართველო“, 1991, 8 ნოემბერი

მხოლოდ თანხმობა და წესრიგი

ჩვენ, ისევე როგორც ყოველი ქართველი, დიდი გულისტკივილით აღვიქვამთ რესპუბლიკაში მიმდინარე მოვლენებს. თბილისში ორ სექტემბერს დაიწყო და გრძელდება არასანქცირებული მიტინგები.

ხალხმა უნდა გაიგოს, ვინ არის ინსპირატორი იმ ყოვლად უადგილო და უდროო მიტინგისა, რომელიც ზუსტად დაამთხვიეს მეტად მნიშვნელოვან მოვლენებს - ამერიკელ კონგრესმენთა ვიზიტს საქართველოს პრეზიდენტთან, სადაც უნდა განხილულიყო საქართველოს რესპუბლიკის დამოუკიდებლობის აღიარების საკითხი, და საკავშირო ყრილობას, რომელზეც იმავე საკითხებზე უნდა ემსჯელათ. ვინც დაგეგმა ეს მიტინგი, მან კარგად უწყოდა თუ ვის წისქვილზე ასხამდა წყალს და რა უკუღმართ შედეგებს გამოიღებდა. აკი გამოიღო კიდეც - სახლიკაცებმა ხელი აღმართეს ერთმანეთზე. ეს დანაშაულია. ამ დანა-

შაულის ჩამდენი უნდა დაისაჯოს, ვინც უნდა იყოს ის. ისიც, ვინც ყველაფერი ეს დაიწყო და ისიც, ვინც პრეზიდენტისადმი „ერთგულებით“ ისახელა თავი. ეს ის ორმხრივი პროვოკაციაა, რომლის რეჟისორიც უეჭველად ცხრა მთას იქითაა. ამის პირუთვნელად გამოსაკვლევად უკვე დაინიშნა კომპეტენტური კომისია, რომელშიც შეყვანილი იქნება ყველა მხარის წარმომადგენელი.

ის, ვინც დღეს ცდილობს შინაური და გარეშე მტრის კარნახით საქართველოში გამოიწვიოს დესტაბილიზაცია, შექმნას სამოქალაქო ომის საშიშროება, როგორც ხედავთ, ყველაფერზე მიდის, - პრეზიდენტის გადადგომასაც კი მოითხოვს! საქართველოს მოსახლეობის 87%-ის მიერ არჩეულ პრეზიდენტს უპირისპირებს 0,7%-ს და ცდილობს გამოიწვიოს სრული ქაოსი და ანარქია.

მოვითხოვთ დაპირისპირებულ მხარეთა სასწრაფო დიალოგს, რომლის დროსაც ძირითადი ხაზი იქნება ურთიერთ კომპრომისული პოზიცია. ეს სჭირდება საქართველოს! ეს საქართველოს ყოველი მოქალაქის მიზანია, სხვა გზა უფსკრულისაკენ მიდის.

მოვუწოდებთ უკლებლივ ყველა მოქალაქეს, ვისაც უყვარს ქართული მიწა, მხარი დავუჭიროთ კონსტიტუციურად არჩეულ საქართველოს პრეზიდენტს, კანონიერებისა და წესრიგის განმტკიცებას. მხარი დავუჭიროთ თანხმობას, კონსოლიდაციას, ორი ქართველის ერთი დროშის ქვეშ დგომას. ნუ გავიმეორებთ ჩვენი წინაპრების შეცდომებს! ნუ დაგვავიწყდება, ჩვენ ორასწლიანი მონობის დასასრულის ზღურბლთან ვდგავართ.

ღმერთი იყოს ჩვენი მფარველი!

„ლიტერატურული საქართველო“, 1991, 20 სექტემბერი

თითქოს საქართველოს მტერს ებრძოდნენ

მომავალი ზუსტად გაარკვევს თუ რა ხდება დღეს თბილისში. მაგრამ ერთი რამ ფაქტია: რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ მიმდინარე მოვლენები შეაფასა როგორც **სახელმწიფო გადატრიალების ცდა, კანონიერი ხელისუფლების დამხობის ცდა**, ძალადობის ზეიმი. როგორც ჩანს, ეს სულაც არ იყო სტიქიური პროცესი და მისი იდეოლოგები და ინსტრუქტორები მხოლოდ მოსკოვში როდი ისხდნენ. სამწუხაროდ, **ქართველ კაცს მუდამ აკლდა სახელმწიფოებრიობის გრძნობა, ერთი ლიდერის აღიარების უნარი.** ეს იწვევდა მუდმივ შინაშუღლს, სახელმწიფოს რღვევას, კუთხურ მეტოქეობას, რამაც დაღუპა ძველი საქართველო.

დღესაც ბევრი გვყავს პირველობის მაძიებელი, რომელიც დემოკრატიის სახელით იარაღს იღებს და ებრძვის კანონიერებას, წესრიგს და დისციპლინას.

როცა პირდაპირი შტურმი სასურველ შედეგს არ იძლევა, ოპოზიციონერები ცდილობენ ქაოსისა და ანარქიის შექმნას, სახელმწიფო სტრუქტურების დაშლას, რითაც ხელისუფლება ფიქციად იქცევა. ამის ერთი მაგალითია ის ხმაური, რაც მწერალთა კავშირის გარშემო ხდება. ჩვენი გამოჩენილი და უჩინარი მწერლები აქვეყნებენ კოლექტიურ წერილს, ცალკეულ განცხადებებს, რომ მოხდა აღმაშფოთებელი ფაქტი, რომ 2 ოქტომბერს მათ დაკეტილი დახვდათ მწერალთა კავშირის კარები და კრება ვერ ჩაუტარებიათ!

ცხადია, უფრო აღმაშფოთებელი და საშინელი ამბავიც ბევრი იცის ჩვენმა კავშირმა, რაზეც ხმას ნაკლებად იმაღლებდნენ. მაგრამ ახლა ეს არ არის მთავარი. მთავარი ის გახლავთ, რომ დღეს ყველა მამაცი და დემოკრატიის დამცველი გახდა, როგორც ახალგაზრდა, ისე დიქტატურის დამსახურებული მეაბჯრე, ორდენოსანი და ლაურეატი. ეს აჟიოტაჟი ემსახურება ერთ მიზანს: შეარყიონ **მუხრან მაჭავარიანის ავტორიტეტი** და მიაღწიონ მის გადაყენებას, ან დაშალონ მწერალთა კავშირი, დაარსონ ალტერნატიული ასოციაციები თუ გაერთიანებები. ჩვენ გვახსოვს მსგავსი უღირსი კამპანია **შოთა ნიშნიანიძის წინააღმდეგ**, რომელშიც ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ გავლენიანი მწერლები და მათი მეგობარი პარტიული ხელმძღვანელები.

მაშინ ეს ხდებოდა მოსკოვის მიერ დანიშნული **ჯ. პატიაშვილის საამებლად**. ახლა კი ხდება ხალხის მიერ არჩეული პრეზიდენტის წინააღმდეგ, **ზვიად გამსახურდიას წინააღმდეგ**, რომელსაც მძიმე ჟამს თავისი თანადგომა სახალხოდ დაუდასტურა მუხრან მაჭავარიანმა. რა თქმა უნდა, ოპოზიციამ ეს არ აპატია პოეტს. ჯერ ტერორი გამოუცხადა და სახლში ჩაკეტა, შემდეგ კი პრესის ფურცლებზე დაიწყო ლაშქრობა. ვინც გაეცნო მწერალთა კავშირის ხელმძღვანელობის 30 სექტემბრის განცხადებას, მას უნდა გაეგო, რომ მწერალთა კავშირი კრების გამო არ დახურულა და ხელმძღვანელობას არც კრება არ დაუნიშნავს. კრების შესახებ არაფერი სცოდნიათ მუხრან მაჭავარიანს, ენვერ ნიჟარაძეს, ხუტა ბერულავას. ხოლო გურამ ფანჯიკიძე, როგორც თქვეს, კარგა ხანია არ ყოფილა სამსახურში. შეიძლება მას არც სცოდნოდა თუ რა გადაწყვეტილება იქნა მიღებული მწერალთა კავშირის ხელმძღვანელობის მიერ.

მკითხველს მინდა შევახსენო, რომ სწორედ მწერალთა კავშირში გაიმართა 12 სექტემბერს კრება, რომელზეც სიტყვით გამოვიდა არაერთი ოპოზიციონერი: ეს ფაქტიც ცხადყოფს, რომ კამათსა და დისკუსიას

თავს არავინ არიდებს.

ასე რომ მწერალთა ერთი ჯგუფის შესაშურ ერთსულოვნებას და აღშფოთებას ნამდვილი საფუძველი არ გააჩნია. სამწუხაროდ, ასეთი **ერთსულოვნება და აღშფოთება სჯობდა გამოეხატათ იმ უკანონობაზე, რაც თბილისში ხდება და რაშიც ისეთი შესაშური ენერგიით მონაწილეობენ, თითქოს საქართველოს უბოროტეს მტერს ებრძოდნენ.**

„ლიტერატურული საქარათველო“ 1991, 11 ოქტომბერი.

„ლიტერატურული საქართველოს“ მთავარი რედაქტორის

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

ქართველ მწერალთა ერთი ჯგუფის (იხ. „ახალგაზრდა ივერიელი“, 22. X. 91) საპასუხოდ გვინდა განვაცხადოთ, რომ „ლიტერატურული საქართველო“ არ ადგას „ცილისმწამებლურ პოლიტიკას“, არ შეუდგენია ე. წ. დასაჭერთა სიები და არც ცალმხრივად არ გაუშუქებია მოვლენები.

მკითხველს შევახსენებთ, რომ სწორედ ჩვენ დავბეჭდეთ ძირითადად ამავე ავტორთა საპროტესტო კოლექტიური წერილი (ორ ნომერში), ირ. აბაშიძის, რ. ჯაფარიძის, რ. ამაშუკელის, ჯ. ჩარკვიანის, გ. ფანჯიკიძის, კ. დევდარიანის, ნ. აბაშიძის, ნ. ქუჩუკაშვილის, ქ. ქუჩუკაშვილის, ჯ. თითმერიას და სხვათა წერილები, რომელთა ავტორები მკაცრად აკრიტიკებენ მწერალთა კავშირსა და“ლიტერატურულ საქართველოს“.

როგორც ჩანს, კოლექტიური წერილის ავტორებს მ. შათირიშვილის ნოველა „მაუზერიც“ არ წაუკითხავთ. ცხადია, გამოვაქვეყნეთ საპირისპირო შინაარსის სტატიებიც, რადგან სავსებით ბუნებრივად მიგვაჩნია აზრთა სხვადასხვაობა: საქართველოს მწერალთა კავშირის გაზეთი არ ეკუთვნის მხოლოდ იმ 77 მწერალს, რომელთაც ტრიბუნა დაუთმო „ახალგაზრდა ივერიელმა“.

არცერთი მწერლის დაბეჭდვისაგან თავი არ შეგვიკავებია ჩვენგან განსხვავებული თვალსაზრისის გამო. მომავალშიც შევეცდებით რეალურად ვაჩვენოთ მწერლობაში არსებული ურთიერთსაპირისპირო შეხედულებანი და სულაც არ ვაპირებთ რომელიმე ჯგუფის დიქტატს დავემორჩილოთ.

„ლიტერატურული საქართველო“, 1991, 25 ოქტომბერი

ორი დეპეშა

ამ დღეებში ჩვენმა რედაქციამ არაერთი დეპეშა და წერილი მიიღო - მკითხველები გვილოცავდნენ გაზეთის დაარსების სამოც წლისთავს.

განსაკუთრებით გაგვახარა მწერალ ილია რურუას ბათუმიდან გამოგზავნილმა დეპეშამ, რომლის ტექსტი ასეთია:

„თბილისი, ლადო გუდიაშვილის მოედანი 2, გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს“ მთავარ რედაქტორს.

ბატონო სოსო, სულითა და გულით გილოცავთ თქვენი რედაქციის მთელ მეგობრულ კოლექტივს ქართული მწერლობის უპირველესი ორგანოს, ჭეშმარიტად სახალხო, ეროვნული გაზეთის იუბილეს. გისურვებთ ახალ წარმატებებს.

თქვენი ილია რურუა“

განსაკუთრებით იმიტომ გაგვეხარდა ეს დეპეშა, რომ ბატონმა ილიამ, როგორც თავად აღიარა სპეციალურ წერილში (იხ. „ლიტ. საქ.“, 18 ოქტომბერი), ნაჩქარევად და დაუკვირვებლად მოაწერა ხელი მწერალთა კოლექტიურ განცხადებას მწერალთა სასახლის დაკეტვის გამო (იხ. „ლიტ. საქ.“, 4 ოქტომბერი). შემდეგ ჩვენი უფროსი კოლეგის მოთხრობაც გამოვაქვეყნეთ (იხ. „ლიტ. საქ.“, 1 ნოემბერი).

მაგრამ ჩვენი სიხარული მალე განცვიფრებამ შეცვალა:

გაზეთ „მამულში“ წავიკითხეთ ბატონ ილიას მეორე დეპეშა, რომლის ტექსტი ასეთია:

„თბილისი, რუსთაველის პროსპექტი, რუსთაველის საზოგადოება, ბატონ კობა იმედაშვილს, ბატონ ვაჟა გიგაშვილს.

იმის გამო, რომ „მამულის“ ბოლო ნომერში გამოქვეყნებულ ქართველ მწერალთა განცხადების წინასწარ გაცნობის შესაძლებლობა თბილისიდან წამოსვლამდე არ მომეცა, გთხოვთ ეს დეპეშა გამოაქვეყნოთ თქვენს გაზეთში, ვითარცა დადასტურება ჩემი ხელმოწერის დართვისა მწერლური სინდისისა და მოქალაქეობრივი მოვალეობის ამ დოკუმენტზე.

ილია რურუა“.

საინტერესოა, რა **„დოკუმენტს“** შეუერთა თავისი **„მწერლური სინდისი და მოქალაქეობრივი მოვალეობა“** მწერალმა?

ეს არის მწერალთა კოლექტიური განცხადება, დაწერილი **„მიმოხილველის“** გახმაურებული სტატიის პასუხად, რომელშიც ნათქვამია, რომ ჩვენი გაზეთის ინიციატივით **„რეპრესირებისათვის გაიწირა“** ბევრი მწერალი, რომ ჩვენ ვატარებთ **„ცილისმწამებლურ პოლიტიკას“**, რომ

უნდა შეფასდეს ჩვენი, **„მწერლის ღირსებისათვის შეუფერებელი საქმიანობა“**, რომ **„პასუხი უნდა აგებინონ „მიმომხილველს“**(!).

ბატონმა ილიამ ორივე დეპეშა ერთდროულად გამოუგზავნა **„ლიტერატურული საქართველოს“** და **„მამულის“** რედაქციებს. ამიტომ, ცხადია, ვერ ვიკითხავთ, თუ როდის იყო გულწრფელი ჩვენი უფროსი კოლეგა.

„ლიტერატურული საქართველო“, 1991, 22 ნოემბერი

„მძიმე და ყოვლად საფრთხილო“...

მკითხველების საყვარელ გაზეთს „ლიტერატურულ საქართველოს“ სამოცი წელი შეუსრულდა. ამ თარიღთან დაკავშირებით შევხვდით გაზეთის მთავარ რედაქტორს, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორს, კრიტიკოსს სოსო სიგუას:

– ბატონო სოსო, სამოცი წელი თქვენი გაზეთისათვის, ბუნებრივია, მხოლოდ სულ ია-ვარდებით არ იყო მოფენილი, მაგრამ ის კი ცხადია, რომ გაზეთი მუდამ მხარში ედგა ქართულ მწერლობას, კულტურას. თქვენ როგორ შეაფასებდით განვლილ გზას?

– ჩვენი გაზეთის ფურცლები ასახავენ წარსულ მოვლენებს, წარმატებებსა და მარცხს, სასიხარულო და სამარცხვინო ხანას, რეპრესიებს, ერთმანეთის განმაქიქებელ წერილებს, მამხილებელ პათოსს. ამ სალანძღავი წერილების ავტორად ბევრი ჩვენი პატივცემული მწერალი გვევლინება, მაგრამ მე არა ვარ მომხრე, რომ დაიმალოს ასეთი ფაქტები. იგი უნდა აისახოს, მაგრამ ეს ავტორები ჯვარს არ უნდა ვაცვათ, მით უმეტეს, რომ უკვე დიდი დროა გასული...

ჩვენი გაზეთის ფურცლებზე ჯეროვნად აისახა ეროვნული მოძრაობის აღმავლობის ხანა. თვითონ ის ფაქტი, რომ ბოლო ხანებში ბატონი **ზვიად გამსახურდია** ლიტერატურული საქართველოს რედკოლეგიის წევრი იყო, ბევრის მთქმელია.

გაზეთი, ძირითადად, მწერალთა კავშირის პოზიციას გამოხატავს, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ გაზეთის ფურცლებზე არ ვიხილოთ ოპოზიციურად განწყობილი მწერლების ნაზრევი. აქვე უნდა ვთქვათ, რომ პრესის თავისუფლება ის კი არ არის, ყველამ ბეჭდოს ის, რაც მოესურვება. ხშირად ავიწყდებათ, რომ ჩვენი გაზეთი პოლიტიკური ორგანო არ არის და არა ვართ ვალდებული, სხვადასხვა პოლიტიკურ პარტიათა მიმართვები ვბეჭდოთ...

საერთოდ, ჩვენს გაზეთს მკვეთრად გამოხატული პოზიცია აქვს და გვწამს, რომ **პრესის თავისუფლება არის თავისუფლება ხელისუფლე-**

ბასთან მიმართებით.

– ამ ბოლო ხანებში ბევრმა სასიქადულო მწერალმა, სამწუხაროდ, უარი განაცხადა აზრის გამოთქმაზე ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური ვითარების შესახებ. რითი ახსნით იმ ფაქტს, რომ ზოგი მაყურებლის როლს ირჩევს?

– ბევრია მწერალი, რომელსაც ეშინია, ვაითუ სიმართლის თქმა შემდეგ სანანებელი გამიხდესო. არადა, ხელისუფლებამ ცალსახად გამოხატა აზრი იმის შესახებ, რომ არავინ დაისჯება ოპოზიციური აზრის გამო, თუ იარაღს არ მოჰკიდებენ ხელს...

ზოგი მწერალი საერთოდ არ ერევა პოლიტიკაში და მიაჩნია, რომ მისი პოზიცია კარგად ჩანს შემოქმედებაში. მაგალითად, ეროვნული პოზიცია ნათლად არის გამოხატული ანა კალანდაძის, მურმან ლებანიძის, შოთა ნიშნიანიძის, ოთარ და თამაზ ჭილაძეების შემოქმედებაში. იმისათვის, რომ პოლიტიკაში არ ერევიან, ისინი არ უნდა გავკიცხოთ. მაგრამ სხვაა ჩასაფრებულის, მედროვის როლი, როცა მწერალი იმის მხარეზეა, ვინც გაიმარჯვებს და ხელისუფლებაში მოვა.

– ბოლო ხანებში ბევრი საინტერესო და მნიშვნელოვანი მოვლენა მოხდა, პოლიტიკურ ცხოვრებაში, მაგრამ ერთ-ერთი ძირითადი არის პრეზიდენტის ტელეხიდი, რომელიც პირდაპირ გადასცა საკავშირო ტელევიზიამ. საინტერესოა თქვენი აზრი ამ ტელეხიდის შესახებ.

– ყველა ვღელავდით ამ ტელეხიდის გამო, რადგან ეს იყო პირველი პირდაპირი შეხვედრა მოწინააღმდეგესთან, სადაც არ იყო გამორიცხული არავითარი პროვოკაცია. საბედნიეროდ, ყველაფერი კარგად დამთავრდა. ბატონმა პრეზიდენტმა „გამოცდა“ ბრწყინვალედ ჩააბარა. იგი დამაჯერებელი და უკომპრომისო იყო... ვფიქრობ, ამ ტელეხიდმა დიდად შეუწყო ხელი პრეზიდენტისადმი კეთილგანწყობის შექმნას საერთაშორისო მასშტაბით.

– ბატონო სოსო, ახლა არაფერია გასაკვირი იმაში, რომ ყველა საუბარი პოლიტიკური ვითარების შეფასებით იწყება. ამიტომ ვერც ამ საუბარში ავუვლით გზას ამ თემას.

– რა თქმა უნდა, იმიტომ რომ პოლიტიკური ვითარება განსაზღვრავს ქვეყნის ეკონომიკას და საერთოდ მომავალს. ვფიქრობ, ახლა მთავარია, ვითარების სტაბილიზაცია. უნდა მივყვეთ იმ კურსს, რასაც ხელისუფლება ახორციელებს, კრიჭაში ჩადგომა კარგს არას მოგვიტანს.

უნდა აღინიშნოს, რომ კომუნისტებმა შეაჩვიეს ხელოვნების მსახურთა ერთი ნაწილი მოფერებას, თავზე ხელის გადასმას, წყალობის უხვად დარიგებას. ასეთი „პრივილეგირებული ინტელიგენცია“ აქტიურად ერეოდა ხელისუფლების საქმეებში და სამაგიეროსაც კარგად იხვეჭდა. როგორც ჩანს, ხელისუფლების ასეთ მოპყრობას ვერც ახლა გადაეჩ-

ვივნენ ასეთი მწერლები, მათ სურთ ე. წ. „სასარგებლო დიქტატი“. ისინი წუხან, რომ ახლა არავითარი დიქტატი არ იგრძნობა ხელოვნებაზე და, აქედან გამომდინარე, პრივილეგიებიც აღარ არის.

ვფიქრობ, ოპოზიციას ნოსტალგია არას უშველის, არც იმის ხაზგასმაა საჭირო, რომ სწორედ ოპოზიციაში მდგომი ადამიანები არიან დემოკრატები და ინტელიგენტები, სხვა არავინ. ამას მათ მაინც არავინ დაუჯერებს...

ოპოზიციას მხოლოდ ერთი გზა აქვს - არჩევნებში მიიღოს მონაწილეობა და თუ დაიმსახურებს, გაიმარჯვებს...

ახლა კი ვითარების სტაბილიზაციისათვის აუცილებელია წესრიგისა და კანონის განმტკიცება, მთელი ძალით ამოქმედება. კანონის დამრღვევი, ვინც უნდა იყოს იგი, უნდა დაისაჯოს.

– როგორც ცნობილია, გამოდის კონსტანტინე გამსახურდიას ოცტომეული, რომლის რედკოლეგიის პასუხისმგებელი მდივანი თქვენ ბრძანდებით. დიდია კონსტანტინე გამსახურდიას პოპულარობა, ამის გამო, ბუნებრივია, მკითხველთა ინტერესი. რას გვეტყოდით მწერლის ნაწარმოებთა ამ ახალი გამოცემის გამო?

– რამდენიმე ტომი უკვე აწყობილია და მალე გამოვა. ოცტომეულში შესულია ისეთი წერილები, ესსეები და ლექსები, რომლებიც თავის დროზე პოლიტიკური თვალსაზრისის გამო არ შეიტანეს წინა ტომეულებში. ეს, ძირითადად, 1916-21 წლების ნააზრევია... მკითხველებს უნდა ვაცნობოთ, რომ ოცტომეულიც ყველაფერს ვერ იტევს, მაგრამ დღემდე გამოცემულთა შორის ყველაზე სრულია.

– ბატონო სოსო, საბოლოო კითხვა, ტრადიციულად, სამომავლო გეგმებს შეეხება.

– დეკემბერში გამოდის ჩემი ორტომეულის „მარტვილი და ალამდარის“ პირველი ტომი, რომელიც ჩემი კვლევის ძირითად საგანს - კონსტანტინე გამსახურდიას შემოქმედებას ეძღვნება. რაც შეეხება კრიტიკულ წერილებს, სამწუხაროდ, მათთვის ჯერჯერობით ნაკლებად ვიცლი.

გვინდა, ჩვენი გაზეთი უფრო საინტერესო და მრავალფეროვანი იყოს. რაც მთავარია, **დაიბეჭდება ყველა მწერლის ნააზრევი, მისი მრწამსის მიუხედავად...**

– გაზეთის რედაქტორობა არასოდეს ყოფილა ადვილი, ბატონო სოსო, ახლა კი - მით უმეტეს. ამიტომ მინდა წარმატებები გისურვოთ თქვენს სარედაქციო მუშაობაში. მოდით ჩვენც და მკითხველებმაც ერთად გავიხსენოთ დიდი ილიას სიტყვები:

„გაზეთის მოამბეობა მძიმე და ყოვლად საფრთხილო, პასუხსაგები მოვალეობაა და ის, ვინც ტყუილს, გაზვიადებულს, განზრახ შეთხზულს ამბებს იწერება, დიდს დანაშაულს სჩადის მთელის საზოგადოების წინაშე.

გაზეთი კერძო ანგარიშებისა და ინტერესების ასპარეზად ვერ გადაიქ-ცევა. ჯერ პირადის ანგარიშების აყოლა კერძო კაცისთვისაც კი საძრა-ხისია და მავნებელი, მისი ღირსების შემბღალავი და გაზეთმა ხომ არა-სოდეს ახლო არ უნდა მიიკაროს ამისთანაა ანგარიშები და პირადობა“.

ესაუბრა
ირინე კუკავა
გაზ. „თბილისი“, 1991, 29 ნოემბერი

ვის მხარესაა ვაკსბერგი?

როგორც „Литературная газета“ იუწყება (იხ. А. Ваксберг, „На чьей стороне время“, 21. XI. 1991) ვენაში, პენ-კლუბის 56-ე კონგრესზე, ჩა-მოყალიბებულა ქართული პენ-ცენტრის საორგანიზაციო კომიტეტი, რომლის შემადგენლობა ასეთი გახლავთ: **გრ. აბაშიძე, ირ. აბაშიძე, რ. ამაშუკელი, ჭ. ამირეჯიბი, თ. ბუაჩიძე, ა. ვასაძე, გ. გეგეშიძე, ვ. გიგაშ-ვილი, გ. დოჩანაშვილი, კ. იმედაშვილი, ჯ. ქარჩხაძე, თ. კვაჭანტირაძე, დ. მაღრაძე, რ. მიმინოშვილი, გ. ფანჯიკიძე, მ. ფოცხიშვილი, ი. სამსო-ნაძე, ა. სულაკაური, ლ. თაბუკაშვილი, თ. წივწივაძე, ჯ. ჩარკვიანი, ნ. შატაიძე.**

რასაკვირველია, თუ ქართველი მწერალი რომელიმე საერთაშორისო ორგანიზაციის წევრი გახდება, ეს საამაყოა და უნდა მივესალმოთ, მითუმეტეს - თუ მისი ფილიალი ჩამოყალიბდება; მაგრამ გაუგებრობას იწვევს რამდენიმე ფაქტი:

1. კონგრესზე ქართველ მწერალთა განაცხადის შესახებ არაფერი სცოდნია საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარეს **მუხრან მაჭავარიანს.**

2. ქართველ მწერალთა თხოვნა პენ-კლუბში შესვლის შესახებ კონ-გრესისათვის წარუდგენია რუსულ ცენტრს და რუსული პრესის მეშვე-ობითვე გავიგეთ პირველად.

3. ყოველი ქართველი კანდიდატურა თურმე გულმოდგინედ განუ-ხილავს კონგრესს. ეს ნამდვილად ვერ მოხერხდებოდა, რადგან ზოგი არც მწერალი გახლავთ და არც ლიტერატორი, ზოგის შესახებ ქართველ მკითხველსაც არა აქვს წარმოდგენა (თუ საჭირო გახდა ამ საკითხს დავაზუსტებთ).

4. პენ-ცენტრის ყურადღების მიღმა აღმოჩნდნენ ამ ორგანიზაციაში ქართველ მწერალთა შესვლის ინიციატორები (მაგ. **თამაზ ჭილაძე და ტარიელ ჭანტურია**).

მაგრამ ყველა გაუგებრობას ნათელს ჰფენს კონგრესის მიერ მიღე-

ბული რეზოლუცია (ტექსტი უეჭველად ჩვენი მწერლების ხელით დაიწერებოდა!), რომლიდანაც გამომდინარე თურმე ჩვენში არ არსებობს სიტყვის და შემოქმედების თვითგამოხატვის თავისუფლება, ირღვევა ადამიანთა უფლებები, „ქართული კულტურის თვალსაჩინო მოღვაწეები“ ხელისუფლებისა და მისი პრესის მიერ გამოცხადებულია „ქართველი ხალხის მტრებად“. ამიტომ პენ-კლუბი მოუწოდებს საქართველოს ხელისუფლებას, დაიცვას საერთაშორისო სამართლებრივი აქტები და საერთაშორისო პენის ქარტია.

იძულებული ვართ, გავაკეთოთ რამდენიმე კომენტარი:

პენ-ცენტრის ქართული საორგანიზაციო კომიტეტი მთლიანად შედგება ოპოზიციონერ ან ოპოზიციის თანამგრძნობ მწერალთაგან. მათ გარდა ხომ არიან არანაკლები მნიშვნელობის სიტყვის ოსტატები **- შ. ნიშნიანიძე, მ. ლებანიძე, მ. მაჭავარიანი, ო. ჩხეიძე, ო. ჭილაძე, თ. ჭილაძე, ო. ჭელიძე, ტ. ჭანტურია, ნ. წულეისკირი, გ. გეგეჭკორი, ა. კალანდაძე, რ. მიშველაძე, ბ. ბარანაული, ლ. სტურუა, რ. ჭეიშვილი...**

ამდენად არ არის მართალი, თითქოს „ქართული კულტურის თვალსაჩინო მოღვაწეებს“ დევნიდეს ხელისუფლება. **კრიტიკა შეეხო, და ეს სავსებით ბუნებრივი გახლავთ, მხოლოდ იმ მწერლებს, რომლებიც მონაწილეობდნენ ხელისუფლების საწინააღმდეგო მოძრაობაში და მის დამხობას მოითხოვდნენ. მიუხედავად ამისა, ისინი პრესაში თავისუფლად იბეჭდებიან (მათ შორის - „შავრაზმული“, „ფაშისტური“ „ლიტერატურული საქართველოს“ ფურცლებზეც)**, ხოლო ზოგიერთები მნიშვნელოვანი თანამდებობების პირებიც არიან **(მაგ. ჯ. ჩარკვიანი, გ. ფანჯიკიძე)**. ასე რომ, კრიტიკას დევნად ნურავინ მიიჩნევს. უცნაური ამბავია: მწერალი პრესაში თუ მიტინგებზე გამოდის პრეზიდენტის სასტიკი კრიტიკით და ეს არავის უკვირს. მაგრამ თუ მას უპასუხებენ, მაშინვე განგაშს ატეხს, გვიშველეთ, რეპრესიები იწყებაო! არადა ხომ ყველამ ვიცით, პენ-ცენტრის საორგანიზაციო კომიტეტის წევრთა დიდი ნაწილი კომუნისტური პარტიის მმართველობის წლებში დემოკრატიის უქონლობას არ უჩიოდა და თავსაც მშვენივრად გრძნობდა!

ამდენად, ქართველ მწერალთა ერთი ჯგუფის ინიციატივით მიღებულ რეზოლუციას არაფერი აქვს საერთო სიმართლესთან და შემოქმედებასთან. **სამწუხაროდ, ეს არის კიდევ ერთი ცდა- გამოიყენონ საერთაშორისო ორგანიზაცია პოლიტიკური მიზნებისათვის, ისევ საქართველოს სახელის გასატეხად, შეცდომაში შეიყვანონ უცხოელი კოლეგები, რომ თითქოს საქართველოში „ავტორიტარული რეჟიმი“ მძვინვარებს** (ხოლო თუ რეზოლუციის ტექსტს არ ეთანხმებიან ქართველი მწერლები, მაშინ ალბათ ისინი გააკეთებენ სათანადო განცხადებას).

იქნებ ისიც ღირდეს დაფიქრებად, რატომ წერს ქართველ ოპოზიცი-

ონერებზე ასეთი თანაგრძნობით, ხოლო ქართულ ეროვნულ ხელისუფ-ლებაზე ასეთი სიძულვილით არკადი ვაკსბერგი - იმპერიის ერთგული მსახური.

„ლიტერატურული საქართველო“, 1991, 29 ნოემბერი

დოკუმენტები მეტყველებენ

როგორც ჩვენმა მკითხველებმა იციან, „ლიტერატურული საქარ-თველოს“ წინა ნომერში დაიბეჭდა **მუხრან მაჭავარიანისა** („ქართველთ „просьба“ და რუსთ გულისხმიერება“) და **სოსო სიგუას** („ვის მხარესაა ვაკსბერგი?“) წერილები, რომლებშიც კრიტიკულად არის შეფასებული ქართველ მწერალთა ერთი ჯგუფის პოზიცია და პენ-კლუბის მიერ მიღე-ბული რეზოლუცია. ამის გამო ქართული პენ-ცენტრის საორგანიზაციო კომიტეტმა გამოგვიგზავნა სინამდვილის ამსახველი დოკუმენტები, რომელთაც აქვე ვაქვეყნებთ, მაგრამ იძულებული ვართ დავურთოთ კომენტარები:

„ბატონო მთავარო რედაქტორო!

ამ რამდენიმე ხნის წინ ქართველ მწერალთა ერთი ნაწილის საინიცი-ატივო ჯგუფმა ლონდონში მიმართვა გაუგზავნა საერთაშორისო პენ-კლუბის პრეზიდენტს ბატონ დ. კონრადს საქართველოში პენ-ცენტრის შექმნის თაობაზე.

სასიხარულოა, რომ პენ-კლუბის მორიგმა 56-ე კონგრესმა ოპერატი-ულად დაამტკიცა ქართული პენ-ცენტრის საორგანიზაციო კომიტეტი.

ამ მოვლენასთან დაკავშირებით „ლიტერატურნაია გაზეტამ“ თავის 20 ნოემბრის ნომერში გამოაქვეყნა ცნობა საკუთარი კომენტარით. ამ ცნობასა და კომენტარს მოჰყვა მძაფრი რეაქცია, რომელიც „ლიტერა-ტურული საქართველოს“ 29 ნოემბრის ნომერში აისახა.

გვინდა მოგახსენოთ, რომ ქართული პენ-ცენტრის ჩამოსაყალიბებლად საინიციატივო ჯგუფმა მიმართვა გაგზავნა მხოლოდ ლონდონში. არავი-თარი სხვა დოკუმენტი მასარცშეუქმნია და მით უმეტეს, არცგაუგზავნია.

ყოველგვარი გაუგებრობის გასაფანტავად, გთხოვთ დაგვიბეჭდოთ რამდენიმე დოკუმენტი რომელიც ნათელს მოჰფენს საქმის ნამდვილ არსს“.

ქართული პენ-ცენტრის საორგანიზაციო კომიტეტი“.

კომენტარი: პენ-კლუბის და მისი ქართული ფილიალის საწინააღმდეგო ვის რა უნდა ჰქონდეს. მხოლოდ გულისტკივილით იყო ნათქვამი, რომ 1. ქართველ მწერალთა განცხადების შესახებ უნდა ეთქვათ მწერალთა კავშირის თავმჯდომარისათვის. 2. გაურკვეველი იყო რა ნიშნით შეირ-ჩა საორგანიზაციო კომიტეტი, ან მასში რატომ არ აღმოჩნდა ეროვნუ-

ლი ხელისუფლების არცერთი მხარდამჭერი. 3. რატომ შევიტყვეთ ეს ფაქტი პირველად რუსული პრესის მეშვეობით. 4. და ბოლოს - „ცნობას“ და „კომენტარს“ კი არავინ აკრიტიკებს, არამედ - „რეზოლუციას“, რაზეც არაფერს ამბობს კომიტეტი. **სწორედ „რეზოლუცია“ არის მიმართული საქართველოს და ჩვენი ხელისუფლების წინააღმდეგ, რომელიც დეზინფორმაცია და ცილისწამებაა.**

რეზოლუციის შესახებ არაფერი ვიცოდითო, თქვეს **გ. ფანჯიკიძემ** და **ჭ. ამირეჯიბმა**. ხოლო **რ. ამაშუკელმა**, აი, ეს განცხადება მოგვიტანა:

„გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს“ რედაქტორს ბატონ სოსო სიგუას.

დიახაც, ბევრი რამე არ მომწონს, მაგრამ გარეთ არასოდეს არაფერი გამიტანია, არც ახლა და არც ადრე. ვინც მიცნობს, კარგად იცის: ზურგს უკან ლაპარაკი არ მჩვევია და სამშობლოს მიღმა მომჩივანთა გვერდით არასოდეს ვმდგარვარ. მე პენ-კლუბის წევრობაზე მოვაწერე ხელი, რის უფლებასაც ვერავინ ჩამომართმევს.

პატივისცემით რეზო ამაშუკელი“.

სხვების შესახებ ვერაფრით გაგახარებთ: ყველას ჰქონდა საკმაო დრო აზრის გამოსათქმელად და რადგან დუმილი არჩიეს, ეტყობა, ეთანხმებიან რეზოლუციას, თუმცა რატომ არ უნდა ეთანხმებოდნენ: **რეზოლუცია არ ეწინააღმდეგება მიმართვას.**

არ ვიცი, 23-ვე ქართველმა მწერალმა თუ წაიკითხა (ან თუ გაიგო) ინგლისური ტექსტი, მაგრამ ჩვენი მკითხველების დიდმა ნაწილმა ნამდვილად არ იცის შექსპირისა და ბაირონის ენა. ამიტომ სჯობს მათ ქართული თარგმანიც შევთავაზოთ, რათა სურათი უფრო ნათელი გახდეს:

„თბილისი, საქართველოს რესპუბლიკა
საერთაშორისო პენ-კლუბის პრეზიდენტს,
ბატონ დ. კონრადს
საერთაშორისო პენ-კლუბის გენერალურ მდივანს,
ბატონ ა. ბლოკს
19. 10. 1991

გაცნობებთ, რომ ქართველმა მწერლებმა დაარსეს საორგანიზაციო კომიტეტი ეროვნული პენ-ცენტრის ჩამოსაყალიბებლად. ვთხოვთ კონგრესის პატივცემულ დელეგატებს მიგვიღონ მწერალთა საერთაშორისო ორგანიზაციის შემადგენლობაში.

ჩვენ წარმოვადგენთ მსოფლიოს ერთ-ერთ უძველეს ლიტერატურას, ჩვენი პრინციპებია ჰუმანიზმი და ტოლერანტობა. დღეს, როცა ჩვენს ქვეყანაში დრამატული მოვლენები ხდება, როცა ქართველ მწერალთა ერთგულება დემოკრატიის იდეალებისადმი სასტიკ დევნას განიცდის,

ჩვენთვის ერთობ მნიშვნელოვანია ვიყოთ მსოფლიოს მწერალთა ოჯახში, რომელსაც დიდი საერთაშორისო გავლენა აქვს.

ჩვენ სავსებით ვეთანხმებით პენ-კლუბის წესდებას. თავს ვალდებულად ვთვლით მივყვეთ მის პრინციპებს“.

კომენტარი: როგორც ვხედავთ, სწორედ მიმართვის ტექსტშია მოცემული ის იდეა, რომელიც რეზოლუციად გაფორმდა (თუ თბილისიდან არ იქნა მიწოდებული!): **„ქართველ მწერალთა ერთგულება დემოკრატიის იდეალებისადმი სასტიკ დევნას განიცდის“(!)**. ასე რომ, რამდენიც უნდა ამტკიცონ, ჩვენ არაფერი ვიცოდითო, ვერ დავიჯერებთ. სხვა დოკუმენტები ამ მიმართვას ახლდა და თუ არა, ეს ჩვენთვის უცნობია. მაგრამ უნდა ვივარაუდოთ, რომ იქნებოდა. მაგრამ ესეც საკმარისია. გვინდა შევახსენოთ ჩვენს კოლეგებს, რომ **კრიტიკა „სასტიკი დევნა“ არ არის.**

„კომიტეტის“ ყველა წევრს აქვს პრესა, სამსახური (ზოგს - მნიშვნელოვანი სახელმწიფო თანამდებობაც), წიგნის გამოცემის, კანონიერად არჩეული პრეზიდენტის დაუნდობელი კრიტიკისა და შეიარაღებულ ოპოზიციაში ანუ პუტჩში მონაწილეობის საშუალება! ხოლო ამის გამო თუ ვინმეს გააკრიტიკებენ, ნუ გაიოცებენ. მოგეხსენებათ, კრიტიკა რომ „დევნა“ იყოს, მაშინ თამაზ წივწივაძის მიერ შერისხული მწერლები კარგა ხნის წინ უნდა გადახვეწილიყვნენ საქართველოდან, თუ ვენაში ვერა, მოსკოვში მაინც.

როგორც მოგახსენეთ, ჩვენი მწერლები მხოლოდ მიმართვის ტექსტის ამარად არ უნდა დარჩენილიყვნენ. პოზიციას ისინი სხვა ხერხებითაც გაიმაგრებდნენ. ამას გვაფიქრებინებს ბატონ ალექსანდრ ბლოკის საგულისხმო წერილი ქართველი კოლეგებისადმი, რომლის ორიგინალს ჩვენთვის შევინახავთ, ხოლო თარგმანს აქვე გაგაცნობთ:

„ძვირფასო კოლეგებო, - მოხარული ვარ გაცნობოთ, რომ ასამბლეა კეთილი განწყობით შეხვდა თქვენს მიმართვას და ერთობ დაინტერესებულია, რომ ქართული ცენტრი რაც შეიძლება მალე სცნონ. ასამბლეამ კარგად უწყის ქართული კულტურის მნიშვნელობა, მისი დიდი წვლილი მსოფლიო ლიტერატურაში და აგრეთვე ესმის ის რთული სიტუაცია, რომელშიც საქართველოს მწერლები აღმოჩნდნენ ამ საზარელ დროს, წერის თავისუფლების დაცვისა და ცენზურის ყველა ფორმის მიმართ წინააღმდეგობაში. ამ ბრძოლაში, რომელიც პენ-ის ყურადღების ცენტრშია, პენს თქვენი მხარდაჭერის იმედი აქვს და გამოსთქვამს იმედს, რომ ამიერიდან, შესაძლებლობა მიეცემა თქვენი დაცვისა.

თუ ამ სფეროში რაიმე პრობლემა გაქვთ, გთხოვთ შეგვატყობინოთ უშუალოდ ან რუსული ცენტრის მეშვეობით, რომელმაც თქვენი კანდიდატურა დიდი მჭერმეტყველებით გაგვაცნო და განგვიმარტა ის დიდი მნიშვნელობა, რომელიც თქვენს მომავალ ცენტრს ენიჭება.

სამწუხაროდ, თქვენი თხოვნა ძალიან გვიან მივიღეთ და შეუძლებელი გახდა მისი კენჭისყრაზე დაყენება, მაგრამ საერთაშორისო ასამბლეამ მთხოვა თქვენთვის გადმომეცა ჩვენი საუკეთესო სურვილები და დამერწმუნებინეთ, რომ თქვენი არჩევის საკითხი კეთილგანწყობით იქნება განხილული ჩვენს შემდეგ შეხვედრაზე - კონგრესზე, რომელიც ჩატარდება ბარსელონაში 20-26 აპრილს. ამასობაში, იმედი მაქვს, რომ თქვენ განაგრძობთ მუშაობას კომიტეტის ჩამოსაყალიბებლად, რომელიც იკისრებს პენ-ცენტრის დაარსებასთან დაკავშირებულ ადმინისტრაციულ და საორგანიზაციო ამოცანებს. დარწმუნებული ვარ, რომ რუსეთის ცენტრი, რომელმაც საკმაო გამოცდილება შეიძინა და დიდი აქტიურობა გამოიჩინა, დახმარებას გაგიწევთ.

დიდი იმედი გვაქვს, რომ შეძლებთ ბარსელონის კონგრესზე დამკვირვებლის გამოგზავნას და აგრეთვე დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენი რუსი მეგობრები დაგეხმარებიან იმ სირთულეების გადალახვაში, რომლებიც შეიძლება წამოიჭრას თქვენი წარმომადგენლობის ორგანიზების საქმეში.

თუმცა ჯერ ვერ გილოცავთ, მსურს გამოვხატო ჩემი პირადი სიმპათია და, საერთაშორისო პრეზიდენტის სიმპათია და გისურვოთ ნაყოფიერი მუშაობა საერთაშორისო პენ-ცენტრში.

პატივისცემით, ალექსანდრ ბლოკი,
საერთაშორისო მდივანი“.

კომენტარი: ბატონ **ბლოკის** წერილიდან ვერ ვიგებთ, რომ თითქოს პენ-კლუბს გულდასმით განეხილოს 23-ვე ქართველი მწერლის კანდიდატურა. ჩანს, ეს **ა. ვაკსბერგის** ფანტაზიის ნაყოფი ყოფილა, რომელიც იმიტომ გაგვაცნო, რომ ეროვნული ხელისუფლების მომხრეთათვის გული მოეკლა. ალ. ბლოკი შენიშნავს, თქვენი მიღების საკითხს აპრილში, ბარსელონის კონგრესზე განვიხილავთო. გენერალური მდივანი გულწრფელად სწუხს ქართველ მწერალთა აუტანელ მდგომარეობაზე (**„საზარელ დროში“ ცხოვრობთო!**), რადგან დარწმუნებული ვართ, არ იცის, **პენ-კლუბის წევრობის არაერთი კანდიდატი პუტჩის დღეებში შეიარაღებული ოპოზიციის გვერდით რომ იდგა სიტყვით და საქმით!** ეს რომ სცოდნოდა, გვჯერა, ალექსანდრ ბლოკი ეჭვის თვალით შეხედავდა რუსთა თხოვნას, რომელთაც „დიდი მჭევრმეტყველებით“ დაუხასიათებიათ ქართველი კოლეგები.

გახსოვს, მკითხველო, „საორგანიზაციო კომიტეტი“ თავში რომ გვარწმუნებდა, პენ-კლუბისათვის მიმართვის გარდა „არავითარი სხვა დოკუმენტი“ არ გაგვიგზავნიაო. თვითონ რატომ გააგზავნიდა, როცა იქ „უფროსი ძმები“ იყვნენ წარგზავნილი და, როგორც წესი, ქართველთ „просьба“-ს

კეთილსინდისიერად, ჩვეული გულისხმიერებით ასრულებდნენ!

ახლა ერთიც ვიკითხოთ: **„უფროსი ძმები“ ასე ენერგიულად და ოპერატიულად რატომ საქართველოს დამოუკიდებლობისათვის არ იბრძვიან?** ეს კი ვიკითხეთ, მაგრამ სჯობს პასუხს აღარ მოვუცადოთ.

ჩვენს ხელთ არის ქართველ მწერალთა „პენ-ცენტრის“ წესდებაც, რომლის საწინააღმდეგო ვის რა უნდა ჰქონდეს. მაგრამ არ ვაქვეყნებთ მხოლოდ იმიტომ, რომ ჯერ უნდა გაირკვეს მიმართება საქართველოს მწერალთა კავშირთან (რომლის თავმჯდომარეები დიდხანს იყვნენ ბატონები **ირაკლი აბაშიძე** და **გრიგოლ აბაშიძე**, მართლაც სასტიკ და საშინელ წლებში) და უარი ეთქვას პენ-კლუბის რეზოლუციას, რომლის მიხედვითაც ქართული პენ-ცენტრი უპირისპირდება საქართველოს ეროვნულ ხელისუფლებას. ასე რომ, მშვენივრად იცის თავისი საქმე არკადი ვაკსბერგმა, მშვენივრად იცის, ვის რისთვის აქებს...

„ლიტერატურული საქართველო“, 1991, 6 დეკემბერი

მწერალთა კავშირის მომავალი

საქართველოს მწერალთა კავშირი არც მენშევიკებს დაუარსებიათ და არც ბოლშევიკებს. **იგი ჩამოყალიბდა 1917 წლის ოქტომბერში ცნობილ ქართველ მწერალთა ინიციატივით**, როცა მთელს იმპერიაში ანარქია ბატონობდა და მწერლებისათვის არავის ეცალა. მწერალთა კავშირი არსებითად იყო საზოგადოება, რომელიც ფორმალურად აერთიანებდა ერთი პროფესიის ხალხს (და არა უეჭველად თანამოაზრეებს). მხოლოდ **საბჭოთა ხელისუფლებამ აქცია იგი სახელმწიფო სტრუქტურის ნაწილად, დიქტატს დაქვემდებარებულ ორგანიზაციად,** სამინისტროს ნაირსახეობად, რომელსაც მკაცრი იდეოლოგიური კონტროლი დაუწესა (გავიხსენოთ ზოგიერთი ხელმძღვანელი - სილიბისტრო თოდრია, სიმონ წვერავა, დავით დემეტრაძე, კანდიდ ჩარკვიანი). გამომდინარე ლენინური თვალსაზრისიდან, ლიტერატურა პარტიული ბრძოლის ნაწილი უნდა გამხდარიყო და გახდა კიდეც. ამიტომ მფარველობდა და აფინანსებდა ხელისუფლება მწერალთა კავშირს, ჟურნალ-გაზეთებს, უზრუნველყოფდა ერთგულ პირთ პოსტებით, პრემიებით, ბინებით, აგარაკებით... სახელმწიფოებრივი იერარქიის პრინციპი მწერლობაზეც ვრცელდებოდა, თუმცა წმინდა პარტიულ დაყოფას ყოველთვის არასწორად მიიჩნევდნენ თავად მწერლები. ხელისუფლების მიერ არნახული სისასტიკით დანერგილმა მექანიზმმა საკმაო შედეგი გამოიღო და მწერალი ლამის გადააჩვია მწერლობაზე ფიქრს. მწერლობა გააზ-

რებულ იქნა კარიერის საშუალებად, რადგან ახალგაზრდა შემოქმედისათვის სხვა გზა დახშული იყო. ხოლო ოფიციალურ სტრუქტურაში მოქცევა, ადრე თუ გვიან, მას უეჭველად აქცევდა პარტიული იდეების უგულო მესაყვირედ.

ახლა რომ გადავხედოთ იმ ავტორთა ნაწერებს, რომლებიც ოპოზიციონერები გვეგონა 70-80-იან წლებში, აღმოჩნდება, რომ თურმე მათი ნააზრევიც გაბატონებული იდეოლოგიით ყოფილა დაღდასმული. მცირეოდენი გადახვევა და გაბრძოლებაც კი გმირობად აღიქმებოდა, რასაც გადაგვარებამდე მიჰყავდა მარქსისტულ-ლენინური თვალსაზრისი. მაგრამ ეს იყო ევოლუციური პროცესი და დიდ დროს მოითხოვდა. ისიც უნდა ვთქვათ, რომ **80-იანი წლებისთვის ქართულ მწერლობაში უკვე უკუგდებული იყო ე. წ. სოციალისტური რეალიზმი.** მაგრამ არსებობდა ხელისუფლების დიქტატი და მაინც მის ხელთ იყო მწერლობის სადავენი. პროცესი რეგულირდებოდა სამსახურის, საყოფაცხოვრებო პირობების და პუბლიკაციების მეშვეობით. ის, ვინც ხელისუფლების წინააღმდეგი იყო, კავშირის წევრი ვერ გახდებოდა. ხოლო თუ კავშირის წევრი არ იყო მწერალი, იგი წიგნს ვერ გამოსცემდა, ვერ მიიღებდა ნორმალურ ჰონორარს, ბინას, მანქანას, ავეჯს, უცხოეთის საგზურს და ა. შ. ნეიტრალიტეტი დასაშვები იყო, მაგრამ ნეიტრალურ პიროვნებას ხელისუფლების კარნახით კავშირი გულგრილად ეკიდებოდა. იგი მაინც დაჩაგრული რჩებოდა და იძულებული იყო ჩაფიქრებოდა თავის მდგომარეობას, რასაც საბოლოოდ მაინც იმ კონფორმიზმამდე მიჰყავდა, რასაც ასე ჰკიცხავდა ჭაბუკობისას.

ერთი სიტყვით, მწერალთა კავშირი არ იყო გამიზნული მწერლობის მხოლოდ აღმავლობისათვის, მაგრამ არსებულ სიტუაციაში მისი გამოყენება აუცილებელი იყო. და ეს ასე მოხდა კიდეც. საყოველთაო განუკითხაობის ჟამს იგი იმედის კუნძულად ჩანდა. **რომ არ ყოფილიყო მწერალთა კავშირი, მწერალთა მდგომარეობა კიდევ უფრო უარესი იქნებოდა. ხელისუფლება მათ ერთგულებას მაინც მოსთხოვდა, სამაგიეროდ კი ვერაფერს მიიღებდნენ.** შეიძლება ვთქვათ, რომ ნამდვილი მწერალი ყოველგვარ პირობებში გააგრძელებს მუშაობას, მაგრამ ნამდვილი მწერალი თითო-ოროლაა და მათი შრომა გმირობას უდრის. გმირობას ყველას ვერ მოსთხოვ. ხოლო ცხოვრება ყველას უნდა.

დღეს სხვა სიტუაციაა. ირღვევა ცენტრალიზებული სისტემა. დაარსდა მრავალი არასახელმწიფო გაზეთი, ჟურნალი, გამომცემლობა. **პრივატიზაცია, კერძო საკუთრება, სიტყვის თავისუფლება ახალ პერსპექტივას შლის და ამ დროს ბუნებრივად დგება სახელმწიფო მწერალთა კავშირის საკითხი.** დიდი ხელოვნება ყველა სახელმწიფოს სჭირდება, მაგრამ თუ როგორ უნდა შეიქმნას იგი - სახელმწიფოს საქმე არ არის.

ეს ინდივიდის საქმეა და მთავრობამ ძალიანაც რომ მოინდომოს, ხელოვანს შედეგრს ვერ შეაქმნევინებს, კანონიდან გამომდინარე - ვერც ხელს შეუშლის. ასე რომ, მწერალი თავად ხდება თავისი ბედის განმგებელი. მაგრამ ეს მაშინ, როცა საბოლოოდ დაირღვევა სოციალისტური სტრუქტურა და მას შეცვლის ახალი საზოგადოების ნორმები და სტრუქტურა. **დღეს, როცა ჩვენ ვცხოვრობთ გარდამავალ პერიოდში, აუცილებელია შენარჩუნდეს მწერალთა კავშირი.** ჯერჯერობით სახელმწიფოს დახმარების გარეშე მწერლობა ვერ იარსებებს, უფრო სწორად - მისი ნაწილი არათუ საყოფაცხოვრებო პირობების მოგვარებას, წიგნის გამოცემასაც ვერ შეძლებს. იქნებ ეს ერთის მხრივ კარგი იყოს, მაგრამ ნუ ვიფიქრებთ, რომ სასტიკი კონკურენცია მხოლოდ ნიჭიერებს გამოარჩევს. შეიძლება პირიქითაც მოხდეს. ამის მაგალითს გვაძლევს ევროპა. გამონაკლისი არც ჩვენ ვიქნებით.

მაგრამ **არსებულ კავშირს ნამდვილად სჭირდება გარდაქმნა.** იგი გამოსულია იდეოლოგიური დიქტატიდან. მწერლებს დღეს აერთიანებთ არა რომელიმე დოქტრინა, არამედ ქართული სიტყვის და საქართველოს სიყვარული, რომელიც ყველას თავისებურად ესმის, იმდენად ზოგადია და საყოველთაო. ამდენად - **ერთიანობა მეტისმეტად პირობითია, რაც ბუნებრივად წარმოშობს სხვადასხვა ჯგუფებს, ასოციაციებს, რომელნიც აარსებენ თავიანთ პრესას და გამომცემლობას. ასე რომ, მწერალთა კავშირი უნდა შეცვალოს მწერალთა ასოციაციამ, პროფესიულმა გაერთიანებამ, რომელსაც ხელმძღვანელად ეყოლება პრეზიდენტი, ავტორიტეტული მწერალი, ვის სიტყვას, შემოქმედებას, პიროვნებას პატივს სცემს მთელი ერი. დღეს ასეთი პიროვნებაა მუხრან მაჭავარიანი.** ბუნებრივია, რომ სწორედ მან წამოიწყო დისკუსია მწერალთა კავშირის მომავალზე. მე ვფიქრობ, სავსებით ზედმეტია მდივნები და სექციები. სექციები უნდა შეცვალოს ასოციაციებმა. ხოლო ყოველი ასოციაცია თავად განსაზღვრავს თუ რომელი სექცია დასჭირდება. მწერალთა ასოციაცია, როგორც საპირისპირო ჯგუფების გამაერთიანებელი, გახდება ლიტერატურის პროპაგანდისტი, ავტორის უფლებათა დამცველი, მიუხედავად მისი მრწამსისა და მნიშვნელობისა.

ხოლო მომავალში, როცა ლიტერატურას სავსებით მოეხსნება როგორც სახელმწიფო დოტაცია, ისე სახელმწიფო პრივილეგია, ალბათ მწერალთა კავშირიც შეწყვეტს არსებობას, რადგან ყველა გამოძებნის არსებობის ინდივიდუალურად მომგებიან ფორმას და განსხვავებულ თუ დაპირისპირებულ აზრთა მქონე პირებსა და ჯგუფებს შესაძლოა არც ექნეთ სურვილი ერთად ყოფნისა.

„ლიტერატურული საქართველო“, 1991, 20 დეკემბერი

ახლა მაინც სთქვით სიმართლე!...

ისევ იღვრება ქართველთა სისხლი, არა სამაჩაბლოში, არა იმპერიის ჯარებთან შეტაკებაში, არამედ - აქვე, თბილისში, რუსთაველის პროსპექტზე. თითქოს ძალა მოგვიჭარბდა და ენერგია არ გვასვენებს. ასეთი შეუპოვრობით პუტჩისტებს სამაჩაბლოში რომ ებრძოლათ, იქ ქართველთა წამებას ბოლო მოეღებოდა. მაგრამ ჩვენ ხომ შინაურებს უნდა გავუსწოროთ ანგარიში, მცირე წყენა თუ განსხვავებული აზრი ვაქციოთ ტრაგედიად, ბნელი განზრახვა დემოკრატიისა და თავისუფლების სამოსელში გამოვაწყოთ, რათა ევროპას თვალი ავუბათ.

ჩვენს გაპარტახებულ, საცოდავ სამშობლოს თითქოს გარეშე მტრები აკლდა, რომ ახლა თავისი შვილები არ დამატებოდა!

პრეზიდენტის სამი ყოფილი მეგობარი და თანამებრძოლი, პრეზიდენტის მიერ პოსტებიდან განთავისუფლებული, იბრძვის ძალაუფლების დასაბრუნებლად, კანონიერი ხელისუფლების გასანადგურებლად, საქართველოს ლიდერად სამგზის არჩეული პიროვნების დასამხობად.

როგორ საზარლად ჰგავს ეს ყოველივე 1921 წლის თებერვალ-მარტის კატასტროფას. მაშინაც ერთი იდეოლოგიის ხალხი დაეჯახა ერთმანეთს. მაშინაც დაემხო კანონიერი ხელისუფლება მოსკოვის ერთგული ქართველი იდეოლოგებისა და კოორდინატორების მითითებით.

ხალხმა კანონიერად მეორედ აირჩია ხელისუფლება და თავისი წინამძღოლი და მეორედაც ტყვიებით, სისხლით, ნგრევით უნდათ მისი დათრგუნვა - დემოკრატიის სახელით, ბოლშევიკების მსგავსად, ბოლშევიკური მეთოდებითა და დემაგოგიით.

როგორ ჰგავს **ნოე ჟორდანიას** იძულებით წასვლას პუტჩისტების მიერ **ზვიად გამსახურდიასათვის** ჩაფიქრებული მარშრუტი - ბათუმი-სტამბოლი-პარიზი!

მაგრამ განსხვავება მაინც არსებობს - მაშინ ინტერვენტები რუსები იყვნენ, არც სარდალი იყო ქართველი, მაგრამ მათ თბილისი არ დაუნგრევიათ, ქალაქში შემოსულთ ხალხი არ დაუხოცავთ. ახლა ქართველ პუტჩისტთა ჯარი, ქართველი სარდალი ანგრევს რუსთაველის პროსპექტს, მთავრობის სასახლეს, ფეხქვეშ თელავს კანონიერებას, ხალხის ნებას. 1921 წელს ადამიანებს იდეური ფანატიზმი მაინც სთიშავდათ. ახლა კი, დარწმუნებული იყავით, თენგიზ სიგუა და თენგიზ კიტოვანი თავიანთ პოსტებზე რომ დარჩენილიყვნენ, პუტჩს არ მოაწყობდნენ. წარმოიდგინეთ რამდენი კაცია გადაყენებული, ზოგი სამართლიანად, ზოგი უსამართლოდ და რა მოხდება, ყოველმა მათგანმა იარაღს რომ დაავლოს ხელი და პრეზიდენტის დასამხობად თანამოძმეთა სისხლი დააქციოს!

ჩვენ არა გვაქვს სახელმწიფოებრიობის გრძნობა, რადგან საუკუნეების მანძილზე დამოუკიდებელი სახელმწიფო არ გვქონია. ქართველს არ ვაღიარებთ ლიდერად თუ მის ზურგს უკან უცხოეთის არმიები არ დგანან. ჩვენ არ გვიცხოვრია დემოკრატიულ ქვეყანაში, არც ის გვჯერა, დემოკრატიის ჩამოყალიბებასა და დამკვიდრებას თაობები რომ სჭირდება და არა მხოლოდ დეკრეტები. ამიტომ ყველაფერს იოლად ვწყვეტთ. გვეადვილება ცეცხლთან და სიკვდილთან თამაში და ქილიკობასა და ურთიერთშუღლში გადის ეს ცხოვრება.

ვთქვათ და გაიმარჯვონ პუტჩისტებმა, შეძლონ მთავრობის სასახლის აღება. ეს ხომ ისე არ მოხდება თუ არ ამოხოცეს დამცველები, დეპუტატები, მთავრობის წევრები, თუ არ განგმირეს რესპუბლიკის პირველი პრეზიდენტი, მათივე თანადგომით არჩეული. როგორ უნდა დამკვიდრდნენ ამ სასახლეში მეამბოხენი, როგორ შეხედავენ ხალხს ან მიიღებს ქართველი ხალხი მათ, ვინც თანამოძმეთა გვამების გადავლით, სისხლიანი ხელებით მისწვდა სავარძელს?

ამიტომ მოვუწოდებ ჩემს კოლეგებს, მეგობრებს, ამხანაგებს, ნაცნობებს: ხმა ამოიღეთ, გეყოთ შიში და მლიქვნელობა, ახლა მაინც სთქვით სიმართლე, რაც უნდა მძიმე და სასტიკი იყოს იგი. ნუ დაემგვანებით იმ ხალხს, თბილისის რესტორნებში რომ ქეიფობდნენ, როცა მათი ძმები და შვილები კოჯორთან და ტაბახმელასთან სისხლისაგან იცლებოდნენ...

25 დეკემბერი, 1991 წელი.

P. S. წერილი უნდა დაბეჭდილიყო „ლიტერატურული საქართველოს“ 27 დეკემბერის ნომერში, მაგრამ გაზეთის გამოცემა შეუძლებელი გახდა.

იქმნება ახალი საზოგადოება

გვესაუბრება კონსტანტინე გამსახურდიას საზოგადოების ვიცე-პრეზიდენტი, გამომცემლობა „დიდოსტატის“ დირექტორი, პროფესორი სოსო სიგუა.

– როგორც ვიცით, თქვენი გამომცემლობა „დიდოსტატი“ სცემს კონსტანტინე გამსახურდიას ოცტომეულს. ხელმოწერა კარგა ხანია ჩატარდა, წიგნი კი არ ჩანს. რაშია საქმე?

– ოცტომეული მთლიანად დაიბეჭდება ქალაქ სიმფეროპოლში. ხელშეკრულების თანახმად, წელს უნდა გამოვიდეს სამი ტომი. პირველი და მეორე ტომები უკვე მზადაა, მაგრამ ჭირს ტრანსპორტირება და ამიტომ გვიანდება მკითხველისათვის მიწოდება. სამწუხაროდ, ძალიან გაძვირდა ქაღალდი, სასტამბო ხარჯები, გაძვირდა შარშანდელთან

შედარებით 10-ჯერ მაინც. ამიტომ წიგნი იაფი ვერ იქნება. მკითხველს გვინდა ვაუწყოთ, რომ ოცტომეულის მთავარი რედაქტორია ბატონი ზვიად გამსახურდია.

– როგორც „იბერია-სპექტრიდან“ შევიტყვეთ, ჩამოყალიბებულა კონსტანტინე გამსახურდიას საზოგადოება...

– უფრო სწორად - ყალიბდება. კონსტანტინე გამსახურდიას საზოგადოება რეგისტრაციაში გატარდა 6 ივნისს. მაგრამ აქამდე წესდების გამოქვეყნებაც კი ვერ შევძელით: გაზეთმა „საქართველოს რესპუბლიკამ“ 40 000 მანეთი მოგვთხოვა, მეორემ - უარი გვითხრა. გავუგზავნეთ „აღდგომის“ რედაქციას. არ ვიცით, დაიბეჭდა თუ არა. ჯერჯერობით არც ოფისი გაგვაჩნია, დახმარებისაგან ყველა თავს იკავებს. რამდენიმე ორგანიზაციამ უპროცენტო სესხზეც უარი გვითხრა. არ გვაქვს საშუალება საზოგადოების პროპაგანდისა. მაგრამ მალე გამოიცემა ჩვენი გაზეთი „საქართველოს სამრეკლო“ (რედაქტორი ელიზბარ ჯაველიძე) და, ვფიქრობ, შევძლებთ ყურადღების მიქცევას. საზოგადოების პრეზიდენტია ბატონი მუხრან მაჭავარიანი.

– თითქოს მუხრან მაჭავარიანის ხელმძღვანელობით მწერალთა ახალი კავშირი უნდა დაარსებულიყო...

– დიახ. ჩვენ გამოვედით მწერალთა კავშირიდან, რადგან იმ ხალხთან, ვინც მხარს უჭერს უკანონობას, ტერორს, ძალადობას, ვისაც ერთი პროტესტის სიტყვა არ წამოსცდება მიტინგების დახვრეტაზე, სამეგრელოს აწიოკებაზე „კოლხური კოშკის“ დაწვაზე, დიქტატურის აღდგენაზე, ძნელია რაიმე საერთო გვქონდეს. რეგისტრირებულია ქართველ მწერალთა და ლიტერატორთა კავშირი, რომელიც ხელმძღვანელს ოქტომბერში აირჩევს. მაგრამ მე მგონია, არც ეს გაერთიანება იქნება სიცოცხლისუნარიანი. მწერალთა კავშირს ადრე საგრძნობი პრივილეგიები გააჩნდა (ბინა, მანქანა, ავეჯი და სხვა), რაც სადღეისოდ გაუქმებულია. ამიტომ იყო წევრთა რიცხვი შეზღუდული. უფრო პერსპექტიული იქნება ჯგუფების ჩამოყალიბება, რომელთაც ექნებათ საერთო ესთეტიკური პრინციპი, როგორც ეს ჰქონდათ „ცისფერყანწელებს“.

ერთმა ცნობილმა კაცმა განაცხადა, მწერალთა კავშირი არამწერლებმა დატოვესო. შეგახსენებთ, რომ ამ „არამწერალთა“ შორის არიან აკაკი გაწერელია, მუხრან მაჭავარიანი და ნოდარ წულეისკირი!...

– კავშირი კავშირად. მაგრამ მთავარი ხომ მაინც შემოქმედებაა...

– გეთანხმებით, მწერალს ვერავითარი ორგანიზაციული ფორმა ვერ უშველის, თუ თავად არ გააჩნია შინაგანი მუხტი. **თქვენ ხედავთ თუ როგორ ქვეითდება ქართული მწერლობა. პარადოქსია, მაგრამ ეს მოხდა ეროვნული მოძრაობის აღმავლობის პარალელურად, ხოლო იანვარ-დეკემბრის ტრაგედიამ საბოლოოდ დასცა დამბლა.** პოლიტიკურმა

ვნებამ, რომელიც მთელს მწერლობას დაეუფლა, დააჩლუნგა ხელოვნება.

ეს ერთი მხრივ. მეორე მხრივ - სიძულვილი ვერ იქნება აღმაფრენის მიმცემი. მაგრამ ყველაფერი წარმავალია და არც რეგრესი გაგრძელდება უსასრულოდ. დაიწერება ქართული მწერლობის ღირსეული ნიმუშები. ესაა მხოლოდ - მათი ავტორები არ იქნებიან ისინი, რომელთა სახელს შეეჩვია მკითხველის თვალი და ყური.

გაზ. „მარტვილის უწყებანი“, 1992, 12 დეკემბერი

ეს შეცდომაა!

ირაკლი გოცირიძესთან საუბარში ბატონი **ედუარდ შევარდნაძე** ამბობს, თითქოს **კონსტანტინე გამსახურდიას** სტალინური პრემია მიეღოს („იბერია-სპექტრი“, 1992, 23. X).

ეს მართალი არ არის.

შეიძლება ერთ დროს მწერალს მართლაც სურდა, ყოფილიყო სტალინური პრემიის ლაურეატი, რადგან, პირველ ყოვლისა, ეს ნიშნავდა ავტორისადმი ხელისუფლების პოზიციის შეცვლას.

ვერ ვიტყვით, რომ ოფიციოზი არ სცნობდა კ. გამსახურდიას ტალანტს (1944 წელს აირჩიეს აკადემიკოსად, აჯილდოებდნენ ორდენებით, ჰქონდა პუბლიკაციის და წიგნების გამოცემის უფლება და სხვ.), მაგრამ არ აფასებდა ისე, როგორც საჭირო იყო. ხელისუფლება ყოველთვის უნდობლად და ეჭვით ეკიდებოდა მის ნააზრევს და სასტიკადაც აკრიტიკებდა. საკმარისია გავიხსენოთ რას ამბობდნენ მწერლის მისამართით რესპუბლიკის პარტიული ლიდერები - კახიანი, ბერია, ჩარკვიანი, მგელაძე, ბახტაძე, ყურულაშვილი, ორაგველიძე, შარია... მოგეხსენებათ, კრიტიკას კომუნისტები ლიტერატურული თვალსაზრისით არ უყურებდნენ.

სტალინის მმართველობის დროს კ. გამსახურდიას შედარებით ლმობიერად ეპყრობოდნენ 1934-1936 და 1938-1946 წლებში „მთვარის მოტაცების“ ბეჭდვის დაწყებიდან ე. წ. „ჟდანოვშჩინამდე“, რომლის შემდეგაც შეწყვიტეს მწერლის ტომეულების გამოცემა ქართულ და რუსულ ენებზე, დაგმეს მისი ნოველები და რომანები, გამოიყვანეს მწერალთა კავშირის პრეზიდიუმის შემადგენლობიდან, დაუწუნეს ენა, მხატვრული კონცეფცია და ა. შ.

ადრე, ოციან წლებში, როცა იგი აშკარა, შეურიგებელი ოპოზიციონერი იყო, იჯდა მეტეხის ციხეში, ხოლო 1926 წლის 1 მარტს დაატიმრეს და გადაასახლეს სოლოვკის არქიპელაგზე. 1931 წელს

გარიცხეს მწერალთა კავშირიდან, რომლის ერთ-ერთი დამფუძნებელი თავად იყო და ა. შ.

სტალინური პრემია გაიცემოდა 1941-1952 წლებში და ბევრმა საბჭოთა მწერალმა მიიღო, ზოგმა - შვიდჯერაც კი (მაგ., კ. სიმონოვმა). მათ შორის უნიჭონიც იყვნენ და დიდი მწერლებიც. მაგრამ იგი შედევრებისათვის არავის ეძლეოდა. გადამწყვეტი იყო იდეოლოგიური პოზიცია, მწერლის მიმართება ხელისუფლებისა და ხელისუფლების დოგმებისადმი.

„დავით აღმაშენებელი“ მწერალმა დაასრულა 1962 წელს, როცა უკვე გაუქმებული იყო სტალინური პრემია და მალენკოვიც შერისხული გახლდათ. რომანი რუსულმა კრიტიკამ თავიდანვე ნაციონალისტურ წიგნად მონათლა. მწერლისადმი უარყოფითად განეწყვნენ ცნობილი ლიტერატორები - შკლოვსკი, ფადეევი, გოლცევი, ანტონოვსკაია. საერთო სიტუაციიდან გამომდინარე, ქართველი კოლეგებიც აქტიურობდნენ (ს. ჩიქოვანი, ს. შანშიაშვილი, გ. ჯიბლაძე, ბ. ჟღენტი, შ. რადიანი...) და, ცხადია, ასეთ დროს ვერავინ იფიქრებდა სტალინურ პრემიაზე. უფრო ადრე, ომის წლებში, იყო ცდა „დიდოსტატის მარჯვენის“ ოფიციალური პროპაგანდისა. 1940, 1944 და 1945 წლებში რამდენიმე თვე მწერალი მოსკოვში იმყოფებოდა, შეხვდა ბერიას, პოსპელოვს („პრავდის“ რედაქტორი), ხრაპჩენკოს (სსრკ ხელოვნების საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარე), ჟდანოვის რომელიღაც მოადგილეს, მაგრამ არა სტალინს, როგორც აღნიშნავს ბატონი ედუარდ შევარდნაძე.

სტალინური პრემია მიენიჭათ გ. ლეონიძეს (სამჯერ), ლ. ქიაჩელს, ს. ჩიქოვანს, ი. გრიშაშვილს, ს. შანშიაშვილს, ალ. ჭეიშვილს, ი. მოსაშვილს, გრ. აბაშიძეს. მაგრამ მოხდა ისე, რომ **კ. გამსახურდიას არ მიუღია სტალინური პრემია (ისევე როგორც გალაკტიონ ტაბიძეს).**

იქნებ ედუარდ შევარდნაძეს მხედველობაში ჰქონდა რუსთაველის პრემია, რომელიც კონსტანტინე გამსახურდიას პირველთაგანს მიენიჭა 1965 წელს (რომანისათვის „დავით აღმაშენებელი“). მან ხომ ყველაზე უკეთ იცის, პრემიებს სახელი ჰქონდათ სხვადასხვა, თორემ ყველა მათგანს ანიჭებდა კომპარტიის ცეკა და არა პრემიების კომიტეტი. მაგრამ ხალხისა და მწერლისათვის აქვს მნიშვნელობა - ვინ რისი ლაურეატია და ვის რისთვის მიენიჭა პრემია.

გაზ. „იბერია-სპექტრი“, 1992, 27 ოქტომბერი

სიტყვა კონსტანტინე გამსახურდიას დაბადების დღეზე ძველ აბაშაში

მინდა ყველას მოგილოცოთ ეს შესანიშნავი დღე. მართალია, საქართველოს დღეს არ ეზეიმება, ჩვენ არ გვაქვს სიხარულის წუთები, მაგრამ მაინც უნდა შევხვდეთ ერთმანეთს, მაინც უნდა ვნახოთ ერთმანეთი. თუნდაც დღეს რომ შევხვდით **დიდი კონსტანტინეს** დაბადების დღეზე, ეს ბევრის მეტყველია. კონსტანტინე გამსახურდია ყველა ჩვენგანისათვის არის დიდი მწერალი, საყვარელი მწერალი, დიდი ეროვნული მოღვაწე. თქვენ იცით, რომ შეიძლება არსებობდეს დიდი მწერალი, დიდი პოეტი, ჰქონდეს ბევრი ბრწყინვალე ნაწარმოები დაწერილი, მაგრამ სხვა არის, როდესაც მწერლის შემოქმედების, ნააზრევის საფუძველი და საწყისი არის თავის სამშობლოს ბედი. კონსტანტინე გამსახურდიას შემოქმედება ჩვენ კიდევ იმიტომ გვიყვარს, რომ მისი საფუძველი არის საქართველოს ბედი. მისი დამოუკიდებლობა, მისი თავისუფლება. თქვენ იცით, რომ ტრაგიკული იყო ჩვენი ერისათვის **1801 წელი, 1907, 1921 წლები**. თქვენ იცით ეს თარიღები. პირველი, როდესაც საქართველო დაიპყრო რუსეთმა, მეორე, როდესაც მოკლეს ილია ჭავჭავაძე. თქვენ იცით, რომ ის მოკლულ იქნა ბოლშევიკების ხელით, რომლებიც განაგებდნენ საქართველოს 70 წელს და რომლებმაც 1921 წელს დაამხეს საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკა. და აი, **კონსტანტინე გამსახურდიას წინ იდგა სამი უდიდესი თარიღი, სამი ტრაგიკული, სამი საშინელი თარიღი** და მთელი მისი ნააზრევი, ეს იქნება რომანები, „დიოსისოს ღიმილი“ თუ „მთვარის მოტაცება“, „დიდოსტატის მარჯვენა“ თუ „დავით აღმაშენებელი“ სწორედ ამ საზარელი ფაქტების გაცნობიერებაა.

თქვენ იცით, რომ 1921 წლიდან არც ერთ ქართველ პოლიტიკურ მოღვაწეს, არც ერთ მწერალს, ხელოვანს უფლება არ ჰქონდა, რომ თავისი ნააზრევი ეთქვა პირდაპირ, უშუალოდ და გულწრფელად. ამიტომ მან ეს ყველაფერი გადაიტანა მხატვრულ შემოქმედებაში - რომანებში, ესსებში, გადაიტანა თავის ნოველებში. საფუძველი ჩაუყარა ქართველი ერის დამოუკიდებლობას, თავისუფლებას. კონსტანტინე გამსახურდიას ეს რომ არ გაეკეთებინა და როგორც მხოლოდ სიტყვის ოსტატი დარჩენილიყო, ის მაინც იქნებოდა ჩვენი საყვარელი მწერალი. დღეს, როდესაც საქართველო კატასტროფის პირასაა, კონსტანტინე გამსახურდია კიდევ უფრო ძვირფასია ჩვენთვის.

ისიც იცით, რომ **მე-20 საუკუნის საქართველოსთვის კონსტანტინე გამსახურდია არის იგივე, რაც იყო მე-19 საუკუნისათვის ილია ჭავჭავაძე** და კიდევ მინდა გითხრათ, რომ რასაც ის თეორიულად ქა-

დაგებდა, პრაქტიკულად განახორციელა მისმა ვაჟმა, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერმა, საქართველოს პირველმა პრეზიდენტმა **ზვიად გამსახურდიამ** და ამიტომ არის ჩვენთვის გაერთიანებული ამ ორი დიდი გამსახურდიას სახელი. თუ საქართველოში საუკუნის პირველ ნახევარში იყო კონსტანტინე გამსახურდია, გავა დრო და როდესაც ჩვენ აღარ ვიქნებით, იტყვიან, რომ მე-20 საუკუნის მიწურულს იყო ზვიად გამსახურდია, რომელმაც შექმნა თავისუფალი, დამოუკიდებელი და დემოკრატიული საქართველო. მე მინდა კიდევ ერთხელ აღვნიშნო ამ ორი უდიდესი პიროვნების ღვაწლი და ამაგი ქართველი ერის წინაშე.

გაუმარჯოს კონსტანტინე გამსახურდიას! გაუმარჯოს ზვიად გამსახურდიას!

„საქართველოს სამრეკლო“, 1993, 4 ივნისი

ბოიკოტი თუ არჩევნები?!

საქართველო დღევანდელმა ხელისუფლებამ კატასტროფამდე მიიყვანა. დამღუპველი აღმოჩნდა დეკემბერ-იანვრის პუტჩი, რომლის შედეგადაც განდევნეს პრეზიდენტი და კანონიერი ხელისუფლება. იარაღით მოსულმა ხალხმა გააბატონა ტერორი, ანარქია, ნიჰილიზმი, დაკარგა აფხაზეთი და სამაჩაბლო, გაძარცვა სამეგრელო, გააპარტახა ეკონომიკა და სამშობლო ისევ რუსეთის წიაღში დააბრუნა.

თუ ეს გეზი გაგრძელდა, შეიძლება საქართველო რუსეთის გუბერნიად იქცეს, როგორც ეს იყო 1917 წლამდე. ე. ი. დაიკარგოს არა მხოლოდ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მონაპოვარი, არამედ ისიც, რაც მოჰყვა რუსეთის თებერვლის რევოლუციას! ამიტომ არსებობს ერთადერთი გამოსავალი, სამშობლოს ხსნის ერთადერთი გზა - **ანტიეროვნული ხელისუფლების შეცვლა. ეს შეიძლება მოხდეს მხოლოდ არჩევნების გზით.** ამიტომ ჩემთვის მიუღებელია არჩევნებისადმი ბოიკოტი, განზე დგომა და რაღაც მისტიკური ხსნის მოლოდინი.

დღეს ბოიკოტი - ეს იგივე პოლიტიკური თვითმკვლელობაა და იგი ხელს აძლევს ედ. შევარდნაძის ხელისუფლებას, რომელმაც შექმნა არაერთი ბარიერი, რათა პარლამენტს გარეთ მყოფმა პარტიებმა არჩევნებში ვერ მიიღონ მონაწილეობა.

ჩვენ ეს ბარიერი უნდა დავძლიოთ, დავიბრუნოთ ის ტრიბუნა, რომელიც წაგვართვეს. თუ ეს არ მოხდა, კიდევ უფრო დაეცემა ეროვნული სულისკვეთება, გაუფასურდება ეროვნული იდეალები და ოთხი წლის შემდეგ პარლამენტში არც არავინ გვეყოლება ასარჩევი. და თუნდაც რომელიმე

პატრიოტი აირჩეს - ის დაღუპულ ქვეყანას ვერაფერს უშველის.

გაზ. „სამრეკლო“, 1995, 20-27 სექტემბერი

სავარძელი აფხაზეთის სანაცვლოდ

მას შემდეგ, რაც მოხდა სამხედრო გადატრიალება, აფხაზეთი განწირული იყო. ადრე თუ გვიან იქ სეპარატიზმი ისევ თავს იჩენდა. დღეს **ზვიად გამსახურდიას** შეცდომად უთვლიან **არძინბას** ჩამოსვლაზე თანხმობას და საარჩევნო კანონს. მაგრამ არძინბას აშკარა სეპარატიზმი მთელი წლის მანძილზე არ გამოუხატავს. ხოლო ე. წ. აპარტეიდული საარჩევნო კანონი აუცილებელი იყო დროის მოსაგებად და აფხაზთა ამბიციის დასაცხრომად. გადატრიალების შემდეგ საზოგადოება გახლეჩილი იყო. აწიოკებული სამეგრელო მხარს არ უჭერდა ედ. შევარდნაძეს. სახელმწიფოს სათავეში იდგნენ კრიმინალი რუსოფილები. სიტუაციით ისარგებლეს აფხაზებმა და განახორციელეს ის მოთხოვნა, რაც წინ უძღოდა 1989 წლის 9 აპრილს.

ფორმალურად ისინი აღიარებდნენ კანონიერ ხელისუფლებას და არა სახელმწიფო საბჭოს. მაგრამ ედ. შევარდნაძის ხელისუფლებას არ სურდა არავითარი კომპრომისი ზვიად გამსახურდიასთან. აფხაზეთის გადარჩენა შეიძლებოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ მოხერხდებოდა ეროვნული კონსოლიდაცია. ეს, ცხადია, რუსეთისათვის მიუღებელი იყო. **არეულ ქვეყანას, რომელსაც არ ჰყავდა ჯარი, გენერალიტეტი და პატრიოტი ხელისუფალი, ომის მოგება არ შეეძლო.** საქართველოში არ გამოცხადებულა საყოველთაო მობილიზაცია და სამხედრო მდგომარეობა. ომისათვის მოუმზადებელი ქვეყანა ომში ჩაება. ედ. შევარდნაძეზე უკეთ არავინ იცნობს რუსეთს. არ შეიძლებოდა მას არ სცოდნოდა, რომ აფხაზეთისათვის ბრძოლა წაგებული იყო. ხელისუფლებისაგან ყველაფერი ისე დაიგეგმა, რომ ჩვენ აფხაზეთიდან ბარბაროსულად გამოვეყარეთ. არათუ მაქსიმუმი, არ გაკეთდა აუცილებელი მინიმუმიც. **აფხაზეთი ქართველ ხალხს არ დაუკარგავს - იგი დაკარგა ხელისუფლებამ და ეს დაადასტურა მრავალ მოღალატურ ხელშეკრულებაზე ხელის მოწერით.** ის პატრიოტული აზვირთება, რაც მოჰყვა 14 აგვისტოს, სწრაფად ჩაცხრა, რადგან ხელისუფლების მთავარი მიზანი იყო ნაციონალური სულის დათრგუნვა. მან ქართველ კაცს შეაძულა ქართველი ჯარისკაცი, გენერალი, პოლიტიკოსი, ხელოვანი, მინისტრი, პარლამენტარი, რათა მას არავითარი იდეალი არ ჰქონოდა. დამარცხების შემდეგაც არ გაშლილა საყოველთაო მოძრაობა აფხაზეთის დასაბრუნებლად. თით-

ქოს ყველა ყველაფერს შეეგუა. არადა ეს არის ერთ-ერთი უდიდესი ტრაგედია საქართველოს ისტორიაში. ედუარდ შევარდნაძე რუსეთმა დააყენა არჩევანის წინაშე - მას ან აფხაზეთი უნდა დაეთმო, ან ხელისუფლება. **სახელმწიფოს მეთაურმა ხელისუფლება არჩია აფხაზეთს.**

ამიტომ დღეს, ამ ეტაპზე აფხაზეთის პრობლემა გადაწყდება ისე, როგორც რუსეთს სურს...

გაზ. „ახალგაზრდა ივერიელი“, 1996, აგვისტო.

საქართველოში ეროვნული მთავრობა უახლოეს მომავალში არჩევნების გზით ვერ მოვა

– ბატონო სოსო, კონსტანტინე გამსახურდიას საზოგადოება ბატონი ზვიადის განდევნის შემდეგ ჩამოყალიბდა და რამდენადაც ვიცი, არა როგორც პოლიტიკური ორგანიზაცია. საზოგადოების მიზანი უნდა ყოფილიყო კ. გამსახურდიას შემოქმედების პროპაგანდა. დღეს კი თქვენი საზოგადოება წმინდა პოლიტიკურია და არჩევნებშიც კი იღებდა მონაწილეობას...

– დიახ, ჩვენ უკვე პოლიტიკური ორგანიზაცია ვართ, მიზნად ვისახავთ კ. გამსახურდიას შემოქმედების ფართო პროპაგანდას და აქედან გამომდინარე, საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოვლენების გაშუქებასა და მონაწილეობის მიღებას კულტურულ თუ პოლიტიკურ ცხოვრებაში. თავდაპირველად ჩვენი საზოგადოების პრეზიდენტი გახლდათ შესანიშნავი ქართველი პოეტი ბატონი მუხრან მაჭავარიანი. ის სწორედ იმ მოსაზრებით, რომ არ უნდოდა არჩევნებში მონაწილეობის მიღება, გადადგა და დღეს ჩვენი პრეზიდენტია აკადემიკოსი ბატონი ვახტანგ ბოჭორიშვილი. 1992-93 წლებში ჩვენი საზოგადოება ძალიან ძლიერი და ყველაზე უფრო მრავალრიცხოვანი იყო. ჰყავდა 30 ათასამდე წევრი...

- და მიუხედავად ამისა, არჩევნებში თქვენი მონაწილეობა არასახარბიელო შედეგით დამთავრდა...

– სამწუხაროდ, ასე მოხდა. სხვათაშორის თავდაპირველად ჩვენი ორგანიზაცია იყო 56 პარტიას შორის მესამე ადგილზე. საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ მოგვილოცა კიდეც, უკვე გასულები ხართო... ორი დღის შემდეგ კი რატომღაც შეიცვალა სიტყუაცია, ჯერ მეოთხე ადგილზე აღმოვჩნდით, მერე მეხუთეზე და ბოლოს მეექვსეზეც კი... სულ რაღაც რამდენიმე მეათედი დაგვაკლდა, რომ ის ხუთპროცენტიანი ბარიერი დაგვეძლია. რაც შეეხებათ მაჟორიტარ დეპუტატებს, ჩვენები რასაკვირველია ვერ გავიდოდნენ, რადგან აქ ყველაფერი დამოკიდებული იყო ფულზე, ვის მეტი ჰქონდა. ჩვენი დეპუტატობის კანდიდატებს კი სად ჰქონდათ ამდენი შესაძლებლობა...

– სხვა პოლიტიკურ პარტიებზე რას იტყვით?

– დღეს საქართველოში პოლიტიკური პარტიები თითქმის არ არსებობენ. არიან პოლიტიკური განწყობილების ჯგუფები, რომლებიც თავს პარტიებს უწოდებენ. შემადგენლობაში კი 5-6 კაცი ჰყავთ. მაინც არ უნდათ სხვასთან გაერთიანება. თვით ისეთ ცნობილ პარტიებსაც კი, როგორიც არიან ეროვნულ-დემოკრატიული პარტია, ტრადიციონალისტები, კოსტავას საზოგადოება თუ სხვა 100-200 წევრი თუ ეყოლებათ. მოგეხსენებათ, ე. დ. პ. ახლა ორად გაიყო, რაც მის კიდევ უფრო დაქუცმაცებას შეუწყობს ხელს. რაც შეეხება მოქალაქეთა კავშირს, ის პარტია არც არის. ის შემოიკრიბა შევარდნაძის გარშემო და იარსებებს მანამ, სანამ ბ-ნი ედუარდი იქნება პრეზიდენტი. მოქალაქეთა კავშირი შექმნილია წმინდა პრაგმატული თვალსაზრისით და არის ფრიად ეკლექტური. ჩემს ნაცნობთა შორისაც არიან მისი წევრები და ვიცი, დიდი ნაწილი არ იზიარებს პარტიის იდეებს, მაგრამ საქმისთვის სჭირდებათ და არიან იქ. თქვენ მოგეხსენებათ, მეც ვიყავი კომპარტიის წევრი. სხვებიც იყვნენ, თუმცა მისი იდეოლოგია არ გვწამდა, მაგრამ წინსვლის პერსპექტივა რომ ყოფილიყო, პარტიულობა აუცილებელი იყო. ასეა დღეს მოქალაქეთა კავშირის წევრთა დიდი ნაწილიც. ერთიც მინდა დავძინო. დღეს საქართველოში პოლიტიკური მუშაობის შესაძლებლობა არ არსებობს. აქ ყალიბდება ისევ ერთპარტიული სისტემა და ყველაფერი დამოკიდებული იქნება პირველი კაცის ინტერესებზე. ესაა რეალობა და ესაა მთავარი.

– საზოგადოებისთვის ცნობილია, რომ 1992 წ. სექტემბერში, თქვენსავე სახლში წამებით მოკლეს თქვენი დედა. რა გაარკვია გამოძიებამ. ამ მკვლელობას პოლიტიკური სარჩული ხომ არ უდევს?

– ჩემთვის ძალიან ძნელია ამ საკითხზე საუბარი. საქმე ის გახლავთ, რომ **გამოძიებამ ვერაფერიც ვერ დაადგინა,** მხოლოდ ერთხელ დაკითხეს ორი მეზობელი და სულ ეს იყო. ამით დაამთავრეს ყველაფერი. იმ დღეებში მე მარწმუნებდნენ, რომ ეს იყო წმინდა ბანდიტური თავდასხმა და მკვლელობა. მაგრამ ყველამ იცოდა, რომ ჩვენ სახლში ისეთი არაფერი გვქონდა, ბანდიტები წასაღებად რომ მოსულიყვნენ. სხვათაშორის, ამ მკვლელობამდე ერთი კვირით ადრე გატეხეს ჩემი სარდაფის კარები. სულ გადატრიალებული იყო ყველაფერი, მაგრამ წაღებით არაფერი წაუღიათ, მათ შორის მანქანის საბურავებიც კი. მე ვვარაუდობ, ხომ არ ეგონათ, რომ სარდაფში იარაღი იქნებოდა... კიდევ ერთი მომენტი იყო, მე ვიყავი გაზეთ „აღდგომის“ რედკოლეგიის წევრი, და ჩემგან რიგი მწერლებისა, ვინც ამ მთავრობას უჭერდა მხარს, კატეგორიულად მოითხოვდა გამოვსულიყავი „აღდგომის“ რედკოლეგიიდან. გაზეთი სოხუმში გამოდიოდა და მაშინ ისეთი დრო

იყო, არც ვიცოდი რედაქცია სად იმყოფებოდა და კიდეც რომ მომენდომებინა გამოსვლა, რედაქტორს ფიზიკურად ვერ დავუკავშირდებოდი. ჩემს გარდა „აღდგომის“ რედკოლეგიაში იყვნენ ბატონები მუხრან მაჭავარიანი და ელიზბარ ჯაველიძე, ისინი უარს ამბობდნენ რედკოლეგიიდან გამოსვლაზე. მიუხედავად ამისა, მე მკვლელობიდან 2 დღით ადრე პირობა მივეცი მათ, რომ შევასრულებდი, რასაც მოითხოვდნენ. მაგრამ მკვლელობა მაინც მოხდა. კიდევ ერთი ფაქტორიც მინდა დავამატო, გოჩა ბახია არის დედაჩემის შორეული ნათესავი. დედაც გვარად ბახია გახლდათ. გოჩა ბახიამ იმ პერიოდში მძევლებად აიყვანა გვენცაძე და კიდევ სხვებიც. გოჩა და ლოთი ქობალია მაშინ ძალიან პოპულარულები იყვნენ. ხალხი მათ პატივს სცემდა. გოჩა რომ ჩვენი ნათესავი იყო, მხედრიონმაც იცოდა და სხვებმაც. შეიძლება დედაჩემის წამებით სიკვდილში ეს მომენტიც თამაშობდეს გარკვეულ როლს. დაზუსტებით ვერაფერს გეტყვით. ეს მხოლოდ ჩემი ვარაუდებია. გამოძიებამ კი უკვე მოგახსენეთ რაც გაარკვია და ეს მკვლელობაც დღემდე ასე ბურუსით მოცული დარჩა.

– თქვენ ლოთი ქობალია ახსენეთ. სულ ახლახან დამთავრდა მისი სასამართლო პროცესი და პროკურორმა განსასჯელის სიკვდილით დასჯა მოითხოვა. ადვოკატებმა უკვე თქვეს დაცვითი სიტყვა. ახლა ჯერი სასამართლოზეა. როგორ ფიქრობთ, სასამართლო ძალაში დატოვებს პროკურორის გადაწყვეტილებას?...

– ეს უსათუოდ ასე იქნება. სასამართლო ლოთის დახვრეტას მიუსჯის.

ჰიტლერს ჰქონდა ერთი ასეთი დებულება. თავის გენერლებსა და ჯარისკაცებს მიმართავდა, თქვენ დაიპყარით ტერიტორიები და იურისტები ყოველთვის გამოჩნდებიან, რომლებიც დაამტკიცებენ, რომ ეს ასე უნდა ყოფილიყო. საქართველოში ყოველთვის გამოჩნდებიან იურისტები რომლებიც ამ მითითებას შეასრულებენ... ასე იყო კომუნისტების დროს და ასე იქნება მომავალშიც. ასეული წლის შემდეგ ალბათ ჩვენთანაც შეიცვლება ცხოვრება... შევარდნაძე მიუსჯის ლოთის დახვრეტას. სხვებსაც. მათ შორის ალბათ ჯაბა იოსელიანსაც, მაგრამ დახვრეტით შეიძლება არც ერთი არ დახვრიტოს, ამით გამოჩნდება „ჰუმანური სახე“ ქვეყნის პრეზიდენტისა. მას უნდა, რომ ეროვნული მოძრაობის ორივე ფრთა, რომელიც დაპირისპირებული აღმოჩნდა, მოსცილდეს პოლიტიკურ არენას და სახელმწიფოს მართვა გააგრძელოს იმ ნაწილმა, რომელიც კომუნისტური წიაღიდან გამოვიდა...

– ქართველი კაცის ფენომენზე რას იტყვით. ზუსტად ხომ არ ვამართლებთ კონსტანტინეს სიტყვებს, რომ ოდითგან ჩვენს სიმცირეს მივტიროდით, მაგრამ თუ ვინმე დიდი კაცი გამოგვერეოდა, ყვავებივით წავესეოდით...

– როგორც ჩანს, ქართველში მართლაც არის რაღაც ამგვარი. მე ვფიქრობ, ჩვენი ხასიათის ჩამოყალიბებისთვის გადამწყვეტი ის არის, რომ საქართველოს სახელმწიფო არ ჰქონია მე-13 საუკუნიდან და ამიტომ მისი ხასიათი ისე ჩამოყალიბდა, რომ დამოუკიდებლად არც ქვეყნის მართვა შეუძლია. თუ რამე დავიწყეთ, აუცილებლად შუღლით და ურთიერთბრძოლით უნდა დამთავრდეს. ასე ხდებოდა ყოველთვის, რითაც სარგებლობდნენ საქართველოს მტრები. 1921 წელს, როცა ჟორდანიას მთავრობა დაამხეს, საქართველოში რუსეთის ჯარებს ქართველები შემოუძღვნენ. იგივე განმეორდა 1991 წელსაც. ალბათ უნდა გავიდეს დიდი დრო, რომ ქართველ ადამიანში გაჩნდეს დამოუკიდებლობის ნამდვილი შეგრძნება.

– დადის ხმები, რომ განათლების მინისტრმა თქვენ ბრალი დაგდოთ, თითქოს ერთ-ერთ მონოგრაფიაში წერდეთ, რომ კონსტანტინე გამსახურდია სომეხია... რა კომენტარს გაუკეთებდით ამ ფაქტს?

– ეს საკმაოდ ძველი ამბავია. 1981 წ. როცა სადოქტორო დისერტაციას ვიცავდი, რამდენიმე თვით ადრე გავრცელდა ეს ჭორი. მიზანი შეიძლება იყო, დაცვაში ხელის შეშლა ან ბ-ნ ზვიადს გამსახურდიასთან ურთიერთობის გაფუჭება. მაშინ იგი ციხიდან ახალი გამოსული იყო და ლიტერატურის ინსტიტუტში ერთად ვმუშაობდით. ეს ფაქტი ზვიადზე რასაკვირველია, მძიმედ იმოქმედებდა და მას შეეძლო რაიმე ისეთი ეთქვა, რითაც დაცვა ჩაიშლებოდა. მაგრამ ზვიადი არ წამოეგო ამ ფანდზე. მან მე მკითხა, მე არსად მინახავს ასეთი რამ, სად გიწერიაო... მსგავსი აზრი გულშიც არ გამივლია და თუ ვინმეს მაინც ეპარება ეჭვი, ოთხჯერ არის გამოცემული ჩემი მონოგრაფია და ნახონ ყველა გამოცემაში... მაშინ ზვიადმა მთხოვა დამეწერა წერილი მათ წარმომავლობაზე, რაც დაიბეჭდა კიდეც. მაგრამ ამათ ისეთი მეთოდი აქვთ, რომ პოლიტიკა ყოველთვის აგებულია დემაგოგიაზე. ახლაც ასეა, კვაჭანტირაძეს რომელიღაც გაზეთშიც დაუწერია, სოსო სიგუა ამ საქმის სპეციალისტია და მას უწერია, რომ გამსახურდია სომეხიაო. მე ამაზე პასუხი არ გამიცია, რადგან ეს ისეთი აბსურდია, რომელზე მსჯელობაც არ შეიძლება. კიდევ ერთხელ ვიმეორებ. აქ არის ოთხივე გამოცემა და ვისაც აინტერესებს, კიდევ ერთხელ გადაამოწმოს...

– განათლების მინისტრი რა მოტივით ამბობს ამას, თვითონ იზიარებს გამსახურდიების სომხობას?

– რასაკვირველია, არა. ის უბრალოდ მე მდებს ბრალს. ზვიადი სძულს და ამ სიძულვილით ყველაფერს აკეთებს. ზვიადი საქართველოში ედუარდ შევარდნაძეზე მეტად ალბათ არავის არ სძულს, მაგრამ კონსტანტინე უპატივცემულოდ მასაც კი არასოდეს მოუხსენებია, პირიქით. არ მესმის, რა ქართველობაა „დიდოსტატისა“ და „მთვარის მო-

ტაცების“ ავტორი სომეხად გამოაცხადო. თუმცა კვაჭანტირაძისაგან არაფერია გასაკვირი. იგი იუბილეს უხდის ჩვენი უნივერსიტეტის დამაარსებელს, უდიდეს ქართველს ივანე ჯავახიშვილს და პარალელურად ყველაფერს აკეთებს თურქული უნივერსიტეტის გახსნისათვის. ის სავსებით ამართლებს თავის გვარს და არის პირდაპირი შთამომავალი იმ კვაჭი კვაჭანტირაძისა, რომელმაც სიცოცხლე სტამბულში დაამთავრა. ამიტომ აქვს მიდრეკილება განათლების მინისტრსაც თურქებისკენ!..

– განათლების მინისტრის უფლებები ჰყოფნის ქვეყანაში თურქული უნივერსიტეტის გახსნის საკითხის გადაწყვეტას? მის უკან ხელისუფლება ხომ არ დგას?

– რა თქმა უნდა. ეს ალბათ ხელისუფლების ინტერესებშიც შედიოდა. მაგრამ ეს ინტერესი შეეჯახა რუსების ინტერესს. საქართველო რუსეთის გავლენის სფეროდ ითვლება და ბუნებრივია, რუსეთს არ აწყობს თურქეთის ჩარევა და ამიტომ აძლევს სიგნალს, რომ თურქული უნივერსიტეტი არ უნდა გაიხსნას. მაგრამ საქართველოს რადგან უკვე დასტური აქვს მიცემული თურქეთისთვის, ახლა უჭირს უარის თქმა, და ამიტომ ეძებენ გზებს. ერთის მხრივ – მხარს უჭერენ უნივერსიტეტის გახსნას, მეორეს მხრივ არა. საბოლოო ჯამში, ალბათ, არ გაიხსნება, რადგან რუსეთს ეს არ უნდა.

– თქვენ ზემოთ აღნიშნეთ, რომ ერთი პერიოდი თქვენ და ბ-ნი ზვიადი ერთად მუშაობდით ლიტერატურის ინსტიტუტში... რა დამოკიდებულება გქონდათ მასთან?

– ბატონი ზვიადი ძალიან რთული პიროვნება გახლდათ. ჩვენ კარგი ურთიერთობა გვქონდა. როცა პრეზიდენტი გახდა, მე მისი ინიციატივით ვიყავი გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს“ რედაქტორი და ძალიან ახლო ურთიერთობა მქონდა ამ დროს. მე ყოველთვის მხარს ვუჭერდი მას და ახლაც მიმაჩნია, რომ მის მიმართ ჩადენილია უმძიმესი დანაშაული.

– მისი ოჯახის შესახებ რა იცით?

– ძალიან ცოტა რამ. ცხოვრობენ მოსკოვში. არ ვიცი რატომ არ მიდიან უცხოეთში.

– ამბობენ, რომ უნივერსიტეტში 40 საგნის ჩაბარება მოსთხოვეს პრეზიდენტის ვაჟებს. მათ ეს გამოცდები ჩააბარეს, მაგრამ მაინც არ ჩარიცხეს. რამდენად შეესაბამება ეს ინფორმაცია სინამდვილეს?

– არ ვიცი, ეს რამდენად რეალურია. მე ვიცი, რომ მათ ჩააბარეს ლომონოსოვის უნივერსიტეტში განსხვავებული გამოცდები და ჩაირიცხნენ, მაგრამ რაღაც ავანტიურა მოუწყვეს და ორივენი გამორიცხეს. ერთერთი მძიმედაც იყო დაჭრილი. სიკვდილს ძლივს გადაურჩა.

– საქართველოს პირველი პრეზიდენტის საფლავი ჯერჯერობით

უცხოეთშია, არსებობს რაიმე იმედი მისი საქართველოში გადმოსვენებისა? და თუ ეს მოხერხდა, ხელისუფლება ხომ არ შეეცდება ეს გადმოსვნება გააუბრალოოს?

– ხელისუფლება რაც უნდა ეცადოს, ეს მარტო მცდელობა იქნება და მეტი არაფერი. **არ შეიძლება საქართველოს პირველი პრეზიდენტი უცხოეთში იყოს დასაფლავებული.** აქ არ არის საუბარი, კარგი პრეზიდენტი იყო თუ ცუდი. პირადი სიმპატია–ანტიპატია აქ საზომად ვერ გამოდგება. მას ქართველი ხალხი გადმოასვენებს და დაასაფლავებს მთაწმინდაზე ან კოლხური კოშკის ეზოში.

– კოლხური კოშკის აღდგენის შესახებაც ხომ ვერაფერს იტყვით?

– კოლხური კოშკის მოვლა-პატრონობა ევალება ბატონ გურამ შარაძეს. მას ზვიადმა გროზნოს ნოტარიუსით დაუმტკიცა ეს უფლება. ჩვენ ერთხელ შევთავაზეთ მას, რომ გადავხურავდით კოშკს. მაგრამ სასტიკი უარი გამოგვიცხადა. კოშკის აღდგენა ჩასმულია რუსთაველის პროსპექტის აღდგენის პროექტშიო... სამწუხაროდ, სულ ამით ამოიწურა ჩვენი ურთიერთთანამშრომლობა.

– თქვენთვით, ალბათ, ცნობილია, რომ ბატონი კონსტანტინეს „ვილისი“, სამუზეუმო ექსპონატი, არცერთმა მუზეუმმა არ მიიღო, სატანის ნივთი არ გვინდაო... იქნებ კომენტარი გაგვეკეთებინა?

– სამწუხაროდ, ვერაფერს გეტყვით. გურამ შარაძემაც ზუსტად ეგრე დაწერა ამას წინ ერთ-ერთ გაზეთში. შესაძლებელია ასეც მომხდარიყო. ხალხი ისეა დაშინებული, რომ აღარაფერი მიკვირს.

– აჭარის არჩევნებზე რას იტყვით?

– იქ ჩვენი საზოგადოებაც მონაწილეობდა, მაგრამ ვერ გეტყვით რა მდგომარეობა იყო. ჩვენ მხოლოდ ერთი მანდატი მივიღეთ. მე ვთვლი, ასლან აბაშიძე არის ის პიროვნება, რომელსაც შეუძლია ბევრი რამ გააკეთოს ქართველი ხალხის სასიკეთოდ.

– აჭარიდან აფხაზეთის საკითხზე გადავინაცვლოთ...

– მიმაჩნია, სანამ იქნება ეს ხელისუფლება, აფხაზეთის პრობლემა ვერ გადაწყდება. ამ ხელისუფლებამ დაიწყო ომი აფხაზეთში და ამ ხელისუფლებამ წააგო იგივე ომი აფხაზეთში.

– ბალტიისპირეთში არჩევნების გზით დაბრუნდა ეროვნული ხელისუფლება. როგორ ფიქრობთ, ეს ფაქტი საქართველოსთვის შეცვლის რამეს? და კიდევ ხომ არ თვლით, რომ საქართველოში შესაძლებელია არჩევნების გზით ეროვნული ხელისუფლების დაბრუნება?

– ბალტიისპირეთში სხვანაირი მდგომარეობა იყო თავიდანვე. იქ ლანდსბერგისის სათავეში მოსვლამ არა მგონია საქართველოსთვის რამე შეცვალოს. **რაც შეეხება ჩვენთან არჩევნების გზით ეროვნული მთავრობის დაბრუნებას, ეს ყოვლად შეუძლებელია ახლო მომავალში.**

იმიტომ, რომ საქართველომ უდიდესი კატასტროფა განიცადა, ჯერ სამხედრო გადატრიალება, მერე დაიხვრიტა უამრავი მიტინგი, ომებში დაიხოცა უამრავი ხალხი. აქ არის სამაჩაბლოს პრობლემაც და ყველაფერი ერთად იყრის თავს... საქართველოში რომ ყოფილიყო ნორმალური საარჩევნო პროცესი, მაშინ შეიძლებოდა რაღაც სხვანაირად მოხდეს.

– მწერლობა ყოველთვის უნდა იყოს ერის სულიერი თუ ფიზიკური ტკივილების გამზიარებელი და გამომხატველი - მაგრამ, სამწუხაროდ, დღეს ეს არ ჩანს, ისინი სდუმან...

– მართლაც, სამწუხარო ფაქტია, რომ ჩვენი მწერლობა არ არის ისეთი, როგორიც იყო ოციან წლებში. მათთვის მთავარი აღმოჩნდა არა ერის ბედი, არამედ საკუთარი პირადი მდგომარეობა. ამხელა ტრაგედიები მოხდა საქართველოში. აფხაზეთი დაიკარგა. მწერლობას პროტესტიც კი არ გამოუხატავს. დღევანდელი მწერლობა არ არის ერის ტკივილების გამომხატველი. დღეს ისინი მხარს უჭერენ ედუარდ შევარდნაძეს, ხვალ ის არ იქნება? პირველები დაუწყებენ ლანძღვას. სამწუხაროდ, ამის ბევრი მაგალითი გვაქვს.

– მასობრივი ინფორმაციის საშუალებებზე რას იტყვით?

– მიმაჩნია, რომ, მიუხედავად ამდენი სხვადასხვა დონისა და გემოვნების გაზეთის არსებობისა, ქართული ჟურნალისტიკა მაინც ძალიან საინტერესოა. როცა საზოგადოებაში პოლიტიკური მღელვარებაა, ეს ასაზრდოებს ჟურნალისტიკას, წარმოშობს ახალ ძალებს... ჩვენი ჟურნალისტიკა ასე საინტერესო ვფიქრობ არასოდეს არ ყოფილა. მე ვისურვებდი, თუ მომავალშიც შედგებოდა ჩვენი ინტერვიუ, ვყოფილიყავით უკეთეს პირობებში და უკეთეს მდგომარეობაში შევხვედროდეთ.

ესაუბრა სვეტა ამბროლაძე
გაზ. „დრო“, 1996, №№32-33.

უნდა გამოჩნდეს პიროვნება

ამ დღეებში კიდევ ერთი მიტინგი გაიმართა. იგი ეძღვნებოდა არჩევნებს აფხაზეთში. მაგრამ ერთობ ცოტა ხალხი მოვიდა, თუმცა არც წვიმდა და არც ქარი ქროდა.

უფრო მწვავე საკითხი რა უნდა იყოს ქართველი ერისათვის, რამ უნდა გააერთიანოს, თუ არა აფხაზეთში დაქცეულმა სისხლმა.

მაგრამ ამდენმა რბევამ, ღალატმა, დამარცხებამ, ორგულთა პარპაშმა, ანტიჰეროიკულმა პროპაგანდამ დააჩლუნგა ეროვნული გრძნობა. თანაც ყველა ხედავს, რომ არცერთი მიტინგი შედეგს არ მოიტანს.

ხალხის ხმას მთავრობა ყურს არ უგდებს.

ხელისუფლება ფაქტიურად დუმს. მან დაიწყო ომი აფხაზეთში და მანვე წააგო. ახლა ამის თქმა საქმეს ვერ შველის. რამდენიც უნდა ვეძებოთ დამნაშავენი, ეს სავსებით ზედმეტია, ყველამ ყველაფერი იცის. მაგრამ მხოლოდ სიმართლე, ცალკეულ პირთა ანათემა, წარსულის გაშუქება აფხაზეთს ვერ დაგვიბრუნებს. ეს უკვე ისტორიის საქმეა, ისტორიკოსებმა უნდა იკვლიონ.

ფაქტი ისაა, რომ მეოთხე წელია აფხაზეთი საქართველოს ნაწილი აღარ არის და რაც დრო გადის, კიდევ უფრო გვცილდება.

ჩვენ ვცნობთ თუ არა არჩევნებს აფხაზეთში, ამას რუსეთისათვის მნიშვნელობა არა აქვს. **რუსეთი ნელ-ნელა, ჯიუტად, თანმიმდევრულად აკეთებს თავის საქმეს: საქართველო უნდა იქცეს ფედერაციულ რესპუბლიკად, თუმცა რეალურად მას კონფედერაციული შინაარსი ექნება.**

ფედერაციულია გერმანიაც, მაგრამ იქ ეს ბევრს არაფერს ნიშნავს - ფედერაციის სუბიექტები გერმანული ერთეულებია. ხოლო ეთნიკური წმენდის შედეგად აფხაზეთსა და სამაჩაბლოში მკვეთრად შემცირდა, მინიმუმამდე დავიდა ქართველთა რიცხვი. ასე რომ მომავალში, როცა თითქოს ფედერაციულად თავს დაიკანონებენ აფხაზეთი და ე. წ. სამხრეთ ოსეთი, როცა დაიხოცა ათეულ ათასობით და საკუთარ კერას მოწყვიტეს ასეულ ათასობით მოქალაქე, ძნელია ვილაპარაკოთ ერთიან სახელმწიფოზე. კონფედერაცია შეიძლება სწრაფად დაირღვეს. ჩვენ ხომ ჩვენს თავს არ ვეკუთვნით.

საქართველოს ბედი ისევ მოსკოვში წყდება და თუ ფრთხილად არ ვიქნებით, ქაღალდზე არსებულ სახელმწიფოსაც დაშლის, როცა საჭიროდ ჩათვლის.

ნურავინ ფიქრობს, რომ სოხუმს ან ცხინვალს ომით დავიბრუნებთ. ომი ახლა კი არა, მაშინაც არ უნდა დაწყებულიყო. ომისათვის საქართველო არც არის მზად, თანაც, რომც შეეძლოს, რუსეთი და საერთაშორისო აზრი ამის საშუალებას ჩვენს ქვეყანას არ მისცემენ. ფაქტი ერთია - ჩვენ დავმარცხდით აფხაზეთთან და ოსებთან. გამარჯვებულთა უკან რუსეთი დგას, რომლის კარნახითაც ისინი კიდეც იმოქმედებენ.

რა უნდა გააკეთოს საქართველომ ისეთი, რუსეთის გული რომ მოიგოს. დამარცხებულმა ხელისუფლებამ სნგ-ში შეიყვანა საქართველო, დათრგუნა პატრიოტული ძალები, არ დაუშვა ეროვნული შერიგება, დათმო აფხაზეთი და სამაჩაბლო, რუსეთის ჯარს მისცა ბაზები, დაანგრია ეკონომიკა! მაგრამ მოსკოვს ესეც არ აკმაყოფილებს. მისი ოცნებაა რუსეთის ფედერაციაში კონფედერაციული საქართველოს მოქცევა. ეს ჯერჯერობით უჭირს, რადგან თავისი პრობლემები აქვს. ამიტომ ჭიანურდება მის მიერვე ინსპირირებული კონფლიქტების მოგვარება მოლდავეთში, ჩეჩნეთში, აზერბაიჯანში, საქართველოში,

ყირიმში, ტაჯიკეთში...

საქართველოს ხელისუფლებას არ უცდია ხალხის პოლიტიკური სულისკვეთების გაღვივება, პირიქით, ყოველნაირად დააქვეითა და დააკნინა იგი. **ყველაფერი კეთდება იმისათვის, რომ ხალხს არ ჰყავდეს ეროვნული გმირი. მას არ უნდა უყვარდეს თავისი პრეზიდენტი, პრემიერ-მინისტრი, პარლამენტის თავმჯდომარე, თავდაცვის მინისტრი, სუკის მინისტრი, დეპუტატი, მწერალი...**

უგმირო და უიდეალო საზოგადოების მართვა იოლია - საითაც გინდა, იქით წაიყვან.

ტაო-კლარჯეთის დაკარგვის შემდეგ აფხაზეთის კატასტროფა არის ყველაზე შემზარავი ჩვენს ისტორიაში. მიუხედავად ამისა, ხელისუფლებას არ მიუმართავს მასობრივი პროტესტისათვის, არ ყოფილა მობილიზებული საზოგადოების ყველა ფენა, პარტიები, პრესა, ტელევიზია, რომ უცხოელებს ეგრძნოთ ერთსულოვნება და საბრძოლო შემართება. თითქოს ყველა შეეგუა სიტუაციას.

ასე დიპლომატიური საშუალებებით იაპონიაც უყენებს პრეტენზიას რუსეთს.

ვინც არ იბრძვის, მას არაფერს აძლევენ.

გაიმართა საჩვენებელი სასამართლო პროცესები, რომ საზოგადოებას კიდევ უფრო უმწეოდ ეგრძნო თავი, როცა სამშობლოსთვის ბრძოლა ბანდიტობასთან გააიგივეს.

დღეს დარღვეულია არა მხოლოდ ტერიტორიული მთლიანობა, არამედ ეროვნული ცნობიერებაც. და ეს კეთდება ხელისუფლების მითითებით, სატელევიზიო პროპაგანდით, ვულგარული პრესის მოძალებით, ეკონომიური სიდუხჭირით, რათა მაღალ იდეალებზე ფიქრს ხალხი გადაეჩვიოს, ძირითადად კი - ახალგაზრდობა.

არაქათგამოცლილი და დაქანცული, დამშეული და დამარცხებული საზოგადოება წვალობს მხოლოდ არსებობის გადასარჩენად.

დღეს ბევრი ამბობს, რომ საჭიროა დავძლიოთ საკუთარი თავი, მივუტევოთ ერთმანეთს არა მხოლოდ შეცდომა, არამედ დანაშაულიც, რომ გვაქვს ერთი ქართული მიწა და ვიბრძოლოთ მის შესანარჩუნებლად, რათა არ გადავშენდეთ. მაგრამ ეს რომც მოხდეს, ვის უნდა გაჰყვეს ხალხი, ვის გარშემო გაერთიანდეს. ჩვენ ამბიციური ხალხი ვართ და ისედაც გვიჭირს გაერთიანება, სხვისთვის დაჯერება, სხვისი ღირსების აღიარება.

ხოლო როცა ვხედავთ, რომ დღევანდელი ხელისუფალი თავს ისევ მოსკოვის მიერ დანიშნულ ცეკას მდივნად მიიჩნევს, როცა მას არ სურს ან ვერ წარმოუდგენია ქართული ცნობიერების დამკვიდრება, შეუძლებელი ხდება ერის ერთი მიზნით კონცენტრირება და მის გარშემო შემოკრება.

მაგრამ ცხოვრება გრძელდება. კრიზისი, რომელიც ქვეყანას თავს მოახვიეს მისივე ავმა შვილებმა, გაივლის. **გამოჩნდება ის პიროვნებაც**, ვინც შეკრებს ქართველთა დაფანტულ ძალებს და მიმქრალ რწმენას ააღორძინებს.

ნიჰილიზმი დამღუპველია, ნიჰილიზმი, რომელსაც ასე ჯიუტად ავრცელებენ, სასიკეთოს არაფერს მოგვიტანს. დაქცეულ საქართველოს ისევ სიყვარული თუ აღადგენს, მისი მიწის, ისტორიისა და მისთვის წამებული გმირების სიყვარული, რომელთა სახელებით უნდა შევიდეთ XXI საუკუნეში და არა პოლიტიკური ხლართებისა და ინტრიგების იმედით.

გაზ. „აღორძინება“, 1996, დეკემბერი.

„სანამ რომის პაპზე უფრო კათოლიკენი ვიქნებით, არაფერი გვეშველება!“

გაზეთ „კოლხური კოშკის“ რედაქტორი, ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, კრიტიკოსი სოსო სიგუა 1991 წელს „ლიტერატურულ საქართველოს“ ედგა სათავეში. მას შემდეგ უახლესი ისტორიის სცენაზე არაერთი დრამატული მოქმედება გათამაშდა. რაც შეეხება ჩვენ დღევანდელ თანამოსაუბრეს, იგი გაზეთიდან გაზეთამდე თავისი შეუვალი პრინციპულობით მოვიდა.

– ბატონო სოსო! თქვენი სადოქტორო დისერტაცია დიდოსტატ კონსტანტინეს შეცნობას უტრიალებს, ახლაც კონსტანტინე გამსახურდიას საზოგადოების ვიცე-პრეზიდენტი ბრძანდებით...

– მეშვიდე კლასში ვიყავი, როცა „დიდოსტატის მარჯვენა“ წავიკითხე. მაგრამ ჩემი ცნობიერება რადიკალურად შეცვალა არა ამ რომანმა, არამედ მწერლის თხზულებების მე-6 ტომმა, რომელშიც ესსეებია თავმოყრილი. მე უკვე არც სტალინი მაინტერესებდა და აღარც კომუნიზმის „ელვარე მწვერვალები“. დეიდაჩემი კონსტანტინე გამსახურდიას დასთან - თათია ხაინდრავას დედასთან მეგობრობდა. იგი კარგად იცნობდა დიდ მწერალს და შესაძლოა მისმა მოგონებებმაც იმოქმედა ჩემზე.

– სადოქტოროზე მუშაობისას კონსულტაცია თუ მიგიღიათ დიდოსტატის ვაჟისაგან? შემდგომში როგორი ურთიერთობა გქონდათ ზვიადთან?

– სადოქტორო დისერტაცია „კონსტანტინე გამსახურდიას პროზის სტრუქტურა“ 1978 წელს დავწერე. სამწუხაროდ, მაშინ ბატონი ზვიადი დაპატიმრებული იყო. ასე რომ, იგი გაეცნო ჩემს ნაშრომს, უკვე წიგნად გამოცემულს. მტკივნეულად განიცდიდა კონსტანტინეს პერსონაჟთა

ანტიქრისტიანულ პათოსს, რასაც, პრობლემიდან გამომდინარე, დიდ ყურადღებას ვაქცევდი. **ზვიადი დაესწრო ჩემი დისერტაციის დაცვას და ჩემზე ნაკლებად როდი ღელავდა.** მითხრა, სიტყვით გამოვიდოდი, მაგრამ, ვაითუ, ხელი შეგეშალოსო. შესვენების დროს რჩევას მაძლევდა, როგორ მეპასუხა ოპონენტთათვის და მახსენებდა, პერსონაჟთა ანტიქრისტიანული ტირადები არ გამემეორებინა.

შემდეგ ზვიადი ხშირად შემოდიოდა ჩვენი განყოფილების ოთახში. **განსაკუთრებით კმაყოფილი დარჩა ვრცელი სტატიით „მარტვილი და ალამდარი“, რომელსაც ოთხი საათის განმავლობაში ვუკითხავდი.** იგი დაერთო „დიდოსტატის მარჯვენას“. მაგრამ წიგნი უხარისხოდ გამოსცეს და ზვიადი ჩემზეც ნაწყენი დარჩა, თუმცა არაფერი უთქვამს. სამაგიეროდ ჩვენს განყოფილებაში აღარ შემოდიოდა, არც ძველებური ხალისით მხვდებოდა.

როცა ლიტერატურის ინსტიტუტის პარალელურად რადიოკომიტეტში ვმუშაობდი, ვთხოვე, რაიმე მასალა მოეწოდებინა. გაუხარდა, მაგრამ მითხრა, ეთერში მაინც არ გადასცემენო. მე დავაიმედე, ნუგზარ ფოფხაძემ უკვე იცის და თანახმაა-მეთქი. რამდენიმე დღის შემდეგ მომიტანა ბოდლერის თარგმანი; რატომღაც ნუგზარ ფოფხაძემ დაიჟინა, ტექსტი მსახიობმა უნდა წაიკითხოსო. ზვიადმა მთხოვა, გურამ საღარაძეს უთხარი, უარს არ იტყვისო. ასე გავიდა ეთერში 1985 წელს ბოდლერის ლექსები პროზად.

როცა ეროვნული მოძრაობის აღმავლობა დაიწყო, ზვიადი უკვე იშვიათად მოდიოდა ინსტიტუტში, ხოლო პრეზიდენტობის დროს თითქმის ყოველკვირეულად ვხვდებოდი. არ ყოფილა შემთხვევა, დამერეკოს და პრეზიდენტს მიღებაზე უარი ეთქვას. სექტემბრის დღეების შემდეგ ურიგოდაც შევდიოდი, თუნდაც მოსაცდელში მინისტრები მსხდარიყვნენ. მაშინ უკვე მზადდებოდა კონსტანტინეს ოცტომეული და პრეზიდენტს სურდა, ჩქარა გამოგვეცა იგი. ერთხელ დაღლილი, გატეხილი და უხალისო დამხვდა. ეს იყო 17 დეკემბერს, როცა პირველი ტომის საკორექტორო ფურცლები მივუტანე. აუცილებელია წავიკითხო? - მკითხა. შემდეგ დაუმატა - ორ-სამ დღეში მოდიო. ორ-სამ დღეში ომი დაიწყო და კორექტურის წასაკითხად ვიღას ეცალა.

– რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, თქვენ იყავით იმ ოცკაციანი საბჭოს წევრი, რომელმაც ზვიად გამსახურდიას, ოპოზიციისგან ეგზომ შერისხულს, დოქტორობა მიანიჭა...

– „ვეფხისტყაოსნის სახისმეტყველება“ არის ერთ-ერთი საუკეთესო წიგნი, რომელიც დაწერილა არათუ რუსთაველზე, არამედ, საერთოდ, მთელს ქართულ მწერლობაზე. საქართველოს ისტორიასა და ქართულ მეცნიერებაში ზვიად გამსახურდიამ თავისი წარუშლელი სიტყვა ბოლო

5-6 წლის მანძილზე თქვა და რაოდენ ტრაგიკულია, რომ ეს დიდი ერუდიტი და მამულიშვილი ინტელექტუალურ ძალთა აღმავლობის ჟამს დაიღუპა.

– დღეს საქართველოს მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა უკიდურეს სიღატაკეშია ჩავარდნილი. მკითხველს უთუოდ აინტერესებს თქვენი თვალსაწიერიდან დანახული დღევანდელობა.

– ქალბატონო ლელა! თქვენ ტელევიზიაში მუშაობდით და გეხსომებათ, რა ამბავს ატეხდნენ ხოლმე, თუ რომელიმე საწარმო გეგმავს ვერ შეასრულებდა. დღეს მთელს ქვეყანაში თითქმის არაფერი მოქმედებს, მაგრამ ჩვენი სანაქებო ტელევიზია დუმს. ყველაფერი იქითკენ მიდის, რომ ხალხი დარწმუნდეს: საქართველო არის ქვეყანა, რომელიც ერთად შექმნეს ქართველებმა, აფხაზებმა და ოსებმა, ე. ი. სახელმწიფო უნდა იქცეს არა ეროვნულობის გამოხატულებად, არამედ გეოგრაფიულ ტერმინად.

თუნდაც მარტოხელა დედების საკითხი ავიღოთ, თვეში ექვსლარიანი დახმარება რომ ეძლეოდათ. როდესაც ხელისუფლებამ დაინახა, რომ ამ 6-6 ლარით აშენდნენ და ფუფუნებაში ჩაიხრჩვნენ, ადგნენ და 1997 წლიდან ეს დახმარებაც მოუხსნეს. შეძრწუნებულები არიან ხელისუფლების ამ გადაწყვეტილებით. რა თქმა უნდა, 6 ლარი სიმბოლური თანხაა. მაგრამ, მოგეხსენებათ, სიმბოლოს თავისი აზრი აქვს. იგი რაღაც იმედს ნიშნავს, რომ ადამიანი მთლად მიტოვებული არ არის. ახლანდელი სიტუაცია გვეუბნება, რომ ხელისუფლებასა და ხალხს ერთმანეთის არაფერი გაეგება. ისინი ერთმანეთის ტკივილითა და სიხარულით არ ცხოვრობენ. ამიტომ სიმბოლოც თავიდან მოიცილეს.

– თავის ვრცელ ინტერვიუში აკაკი ასათიანი ბრძანებს, რომ ზვიად გამსახურდიაზე დიდ გავლენას ახდენდა მისი გარემოცვა. უფრო ადრინდელ ინტერვიუში კი ბრძანებდა, ზვიად გამსახურდია ჩემდამი კარგად იყო განწყობილი, ვიდრე ამბავს მიუტანდნენ, რომ ოპოზიციონერ დეპუტატებს ვესალმებოდიო...

– აკაკი ასათიანი უდავოდ ერუდირებული, მაგრამ უპრინციპო პიროვნება გახლავთ. მე იგი მაგონებს „დათა თუთაშხიას“ ერთ პერსონაჟს - ბიკი ყუფარიას. შეიძლება, ბაძავს კიდეც. მე მისი საოცარი ინტერვიუც წამიკითხავს - ზვიად გამსახურდიას ბადალი პრეზიდენტი მსოფლიოს არა ჰყავდაო, მას ვერ შეედრებოდა ვერც ბუში, ვერც მიტერანი და ვერც კოლიო!

– ბოლო ხანებში საქართველოში უკიდურესად დაიქსაქსა ოპოზიციურ პარტიათა საქმიანობა. გარეგნულად ერთ, ეროვნულ პლატფორმაზე მდგარი ძალებიც კი ერთმანეთს დაუპირისპირდნენ.

– საქართველოში პარტიები ფაქტიურად აღარ არსებობს. ლამის ყველა პიროვნებამ თავისი პარტია და გაზეთი დააარსოს. ამბიციამ

და სიძულვილმა წალეკა საზოგადოება. ხოლო ურთიერთსიყვარულის გარეშე არც პარტიები გაერთიანდება და არც ეროვნული სული განმტკიცდება. ოპოზიციური პრესა ხალხს აღარ აინტერესებს, რადგან მობეზრდა ერთი და იმავეს მოსმენა. ჩამოყალიბდა მორჩილი, დეპოლიტიზებული საზოგადოება, რომელსაც ნაკლებად აწუხებს ეროვნული იდეალები. იგი არსებობისათვის იბრძვის და ყველა სიტუაციას ეგუება. ალბათ, საკმაო დრომ უნდა განვლოს, საქართველოში ვითარება რომ შეიცვალოს. დრო შესაბამის პიროვნებასაც თავად წამოსწევს.

– დედის ტრაგედია, ალბათ, დღემდე მოუშუშებელი ჭრილობაა თქვენთვის. ხომ არაფერი დაგიზუსტებიათ მისი მკვლელობის შესახებ?

– თქვენს კითხვასთან დაკავშირებით ერთი ფაქტი მინდა გავიხსენო: 1992 წელს მუხრან მაჭავარიანი, ელიზბარ ჯაველიძე და მე გაზეთ „აღდგომის“ რედკოლეგიის წევრები ვიყავით: სექტემბრის თვეში, ე. წ. „იმედის არჩევნების“ წინ ჩვენივე რედკოლეგიის ერთ-ერთმა წევრმა დამირეკა და მითხრა, რედკოლეგიიდან უნდა გამოვიდეთო. მე ეს ვუთხარი ელიზბარ ჯაველიძეს, რაზეც უარი მივიღე. შემდეგ იმ პიროვნებამ ისევ დამირეკა - მუხრან მაჭავარიანთან შევიკრიბოთ და იქ გადავწყვიტოთო. ამასობაში ჩემი სარდაფი გატეხეს, ყველაფერი მიყარ-მოყარეს, მაგრამ არაფერი წაუღიათ. შემდეგ ეზოში ავტომატების სროლა ატეხეს და ბევრს ეგონა, რომ თავს დამესხნენ.

მუხრან მაჭავარიანთან თათბირის შემდეგ გადაწყდა, რომ არ დაგვეტოვებინა რედკოლეგია. საღამოს კვლავ შემეხმიანა ჩემი მრჩეველი, შენთან უნდა მოვიდე, საქმე მაქვსო. ოთხი საათი ვისაუბრეთ. იგი დაჟინებით მიმტკიცებდა, მე და შენ გავიდეთ რედკოლეგიიდან, თორემ ცუდად წაგივა საქმეო - არ ვიცნობ რედაქტორს, არ ვიცი სადაა რედაქცია, როგორ დავუკავშირდე-მეთქი? დეპეშა მაინც უნდა გააგზავნოო. მე შევპირდი, მაგრამ დეპეშა არ გამიგზავნია. ვიფიქრე, თუ ასე აუცილებელია, რატომ თვითონ არ ეხმიანება რედაქციას-მეთქი.

ეს იყო შაბათ საღამოს. ორშაბათ საღამოს დედაჩემი მოკლეს.

ჩემი კეთილისმსურველი პიროვნება ედიშერ გიორგაძე გახლდათ. ეტყობა, მან იცოდა, რომ ჩემს გარშემო რაღაც უნდა მომხდარიყო. არც ექსპერტიზა, არც გამოძიება არავის ჩაუტარებია, თუმცა, პროკურატურაში ჩემი ახლობლები მუშაობდნენ...

– თქვენ გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს“ რედაქტორი იყავით. რით განსხვავდება თქვენეული და დღევანდელი „ლიტერატურული საქართველო?“

– დღევანდელ „ლიტერატურულ საქართველოს“ არ ვიცნობ. სამი წელი მაინც იქნება, არ წამიკითხავს. ასე რომ, ზუსტ შედარებას ვერ გავაკეთებ. მე მხარს ვუჭერდი პრეზიდენტსა და ეროვნულ ხელისუფლებას,

მაგრამ, ამასთან ერთად, ადგილს ვუთმობდი ოპოზიციონერ მწერლებს, ვბეჭდავდი მათ ანტისამთავრობო წერილებსაც. ზოგიერთი აქტივისტი პუტჩისტი რედაქციის თანამშრომელიც იყო! მე ასე მიმაჩნდა, რომ ოპოზიციას პრესის ფურცლები უნდა დათმობოდა, მაგრამ არა იმისთვის, რომ ქვეყანა დაემხო!

– დასასრულ, თქვენი პროგნოზები ლიტერატურასა და პოლიტიკაზე...

– თქვენ ხედავთ, როგორ დაეცა ჩვენი ლიტერატურა. მწერლების უმრავლესობა ხელისუფლების უსიტყვო მორჩილია. არადა, ჭეშმარიტ ლიტერატორს ყოველთვის ოპოზიციური სული ჰქონდა, თვით მძვინვარე ბოლშევიზმის ეპოქაშიც კი.

დღეს სიმართლის მთქმელი მხოლოდ პრესაა, მაგრამ, რამდენადაც ვიცი, მალე პარლამენტი მიიღებს პრესის ახალ კანონს და თავისუფალი პრესაც გაქრება. ქართველ მკითხველს ექნება რამდენიმე გაზეთი, ოფიციოზის ერთგული და მადიდებელი.

მე ლიტერატორი ვარ და ქვეყნის გადარჩენის პოლიტიკური პროგრამა არ გამაჩნია. ჩვენი ბედი ძველებურად მოსკოვში წყდება. სანამ რომის პაპზე უფრო კათოლიკენი ვიქნებით, არაფერი გვეშველება!

ესაუბრა ლელა ბაჩლელი
გაზ. „ასავალ-დასავალი“, 1997, 28 იანვარი - 3 თებერვალი.

აბაშის გამგებლის აღსარება

მკითხველს შეიძლება ახსოვდეს, შარშან გაზეთ **„გრაალში“** ჩვენ დავბეჭდეთ აბაშის გამგებელ **სოსო ჭანტურიაზე ზაურ თორდიასა და მურმან ბურსულაიას** მამხილებელი წერილი - **„სოფლის მაოხრებელი გზირი“**. შემდეგ პოლემიკაში ჩაება **„საქართველოს რესპუბლიკაც“**.

ცხადია, ჩვენი გაზეთი არავის უხსენებია, არც ყურადღება მიუქცევია ოფიციოზს, რომელსაც წესად აქვს - ანგარიში არ გაუწიოს ოპოზიციას, თუნდაც იგი ასპროცენტიან სიმართლეს ან თუნდაც გენიალურ აზრს სთავაზობდეს.

ამიტომაც არის დაქცეული საქართველო.

სოსო ჭანტურია დაიცვა ხელისუფლებამ. მაგრამ რაიონში მღელვარება გრძელდებოდა. თბილისში ჩამოვიდა 30-მდე მოქალაქე. მათ ხელმძღვანელობდა დეპუტატი **გურჯი კაჭარავა**. ისინი შეხვდნენ პარლამენტარებს, ჟურნალისტებს, მათ შორის ჩვენს რედაქციასაც.

1996 წლის 14-16 სექტემბერს პარლამენტმა დეპუტატთა ჯგუფი **ელენე თევდორაძის, კახი ჯიქიას, ხათუნა ხოფერიას, ბესიკ ლაგვილავას** შემდგენლობით აბაშაში მიავლინა, რათა ადგილზე შეესწავლა

კონფლიქტური სიტუაცია.

დეპუტატები იყვნენ ოთხ სოფელში - ონტოფოში, სეფიეთში, ძველ აბაშასა და ეწერში.

სოსო ჭანტურიამ განაცხადა, რომ ხალხთან შეხვედრებს დაესწრებოდა თვითონ და მისი ადმინისტრაციაც. კომისია დაეთანხმა, მაგრამ სეფიეთში, ძველ აბაშასა და ეწერში მოითხოვდნენ, რომ გამგებელს დარბაზი დაეტოვებინა. მოქალაქეთა მოთხოვნას სოსო ჭანტურიამ ყური არც ამჯერად უგდო.

კომისიამ აღნიშნა, რომ რაიონში ირღვევა ადამიანის უფლებები, სწორად არ ნაწილდება მიწა, გავრცელებულია ქურდობა და პოლიცია სათანადოდ ვერ მოქმედებს. უკანონოდ არიან სამსახურიდან განთავისუფლებული ცალკეული პირები, ლტოლვილებს დარღვევით ეძლევათ ჰუმანიტარული დახმარება... ხოლო გამგებელი პატივს არ სცემს მოსახლეობას.

კომისიამ თავის დასკვნა 16 ოქტომბერს წარუდგინა პარლამენტის თავმჯდომარეს **ზურაბ ჟვანიას.**

ზურაბ ჟვანიას მიმართა აგრეთვე კომისიის ერთ-ერთმა წევრმა პენიტენციალური რეფორმისა და მსჯავრდებულთა საკითხების ქვეკომიტეტის თავმჯდომარემ **ელენე თევდორაძემ**, რომელმაც აღნიშნა: ასეთი უავტორიტეტო გამგებლის ყოლა ჩვენი ხელისუფლების დისკრედიტაციაა და ამიტომ დააყენა სოსო ჭანტურიას შეცვლის საკითხი.

28 ოქტომბერს აბაშის მოქალაქეებს რესპუბლიკის გენერალური პროკურორისადმი განცხადების პასუხი გამოუგზავნა სამეგრელოსა და ზემო სვანეთის სამხარეო შინაგან საქმეთა მთავარი სამმართველოს უფროსმა პოლკოვნიკმა **ა. კუხალაშვილმა.**

საჩივარში აღძრული ფაქტები დადასტურდა.

მკითხველს ვთავაზობთ ამ პასუხს:

მოქალაქეებს: ვ. ოჩიგავას, მცხოვრები აბაშის რაიონი სოფ. ძველ აბაშაში, გ. ტოტოჩიას, მცხ. აბაშის რაიონის სოფ. ეწერში; ბ. ქობალავას, მცხ. ქ. აბაშაში.

თქვენს მიერ საქართველოს გენერალური პროკურორის სახელზე შეტანილი აბაშის რაიონის მცხოვრებთა კოლექტიური განცხადება აბაშის რაიონის გამგეობის თავმჯდომარე ს. ჭანტურიასა და რაიონის წარმოება დაწესებულებათა ზოგიერთი ხელმძღვანელის მიერ კანონსაწინააღმდეგო ქმედებათა შესახებ, ჩვენს მიერ შესწავლილ იქნა და ჩატარდა სათანადო შემოწმებები.

დადგენილ იქნა:

– აბაშის რაიონის გამგეობის თავმჯდომარის ს. ჭანტურიას მიერ მისი სახლის მიმდებარე ტერიტორიაზე შენდება უნებართვო კერძო საცხოვ-

რებელი სახლი, რომლის მშენებლობის დროს ს. ჭანტურიამ გაუკეთა ორგანიზაცია ნაესაკაოს საშუალო სკოლის დარბაზის მიშენებიდან 6 ცალი საკედლე ბლოკის, სოფ. ნოსირში „საქოლიმპიადმშენის“ კომპლექსიდან 12 ცალი სართულშუა გადახურვის ფილებისა და სუჯუნის მეურნეობის სასენაჟე ნაკეთობიდან 11 ცალი რკინაბეტონის ხიმინჯის მოხსნასა და აღნიშნულ მშენებლობაზე დამონტაჟებას.

– 1995 წელს აბაშის რაიონის გამგეობისათვის ა/მანქანა გაზ-31029 შესყიდვის დროს გამგეობის თავმჯდომარის ს. ჭანტურიას, გამგეობის ბუღალტრის ნ. ჩარკვიანის, ბანკის მმართველის ფ. შალამბერიძის, მოქ. ი. იობაიასა და ქუთაისის საბაჟოს თანამშრომლების მიერ დაშვებულია სხვადასხვა სახის დარღვევები და დანაშაულობანი. სახელმწიფო ბიუჯეტს მიყენდა ზარალი 6477 ლარის ოდენობით.

– 1996 წლის II კვარტლის ბიუჯეტის გეგმის შესასრულებლად რაიონისგამგებელმა ს. ჭანტურიამ არსებული კანონმდებლობის დარღვევით, რაიონის საგზაო სამმართველოს ააღებინა სესხი და ამ სესხიდან საგადასახადო ინსპექციას გადაურიცხა 6683 ლარი, რითაც ბიუჯეტის შესრულება ანახა 103,6%, ნაცვლად ფაქტიური 97,6%-ისა.

– აბაშის გამგეობის მიერ ქ. საჩხერეს სატრაქტორო საწარმო „ყვირილადან“ 13 ერთეული ტრაქტორის მიღებასა და შემდგომში მათი საექსპლოატაციოდ აგროფირმა „ბაკურზე“ გადაცემის დროს გამოვლენილია რიგი კანონსაწინააღმდეგო ქმედებანი.

– სუჯუნის მეურნეობის ყოფილი დირექტორი გ. კუციას და მეურნეობის სხვა ხელმძღვანელების უმოქმედობით განიავდა და მოსახლეობის მიერ გაიძარცვა სასათბურე კომბინატის დიდი ნაწილი. კუციამ სათბურის ნარღვევებიდან 40 ტონა მიყიდა ბათუმის ფირმას, საიდანაც ფული დღესაც არ შემოსულა.

– აბაშის ელექტროგასაღებისა და რეალიზაციის სამსახურის მიერ 1995 წლის 1 აპრილიდან 1996 წლის 1 იანვრამდე ლტოლვილთათვის აბონენტზე გაწერილია 144000 კვტ. საათით მეტი ელექტროენერგია, ვიდრე 9238 კერძო აბონენტზე, ხოლო ელექტროენერგიის დანაკარგებმა სამსახურის ხელმძღვანელობის დაუდევრობის გამო შეადგინა ამავე პერიოდში 6529000 კვტ. საათი 156696 ლარის ღირებულების, რაც მიღებული ელექტროენერგიის 39,6%-ს შეადგენს.

– აგროფირმა „მექანიზატორის“ დირექტორის დ. მაღნარაძის განკარგულებით გადახნულ იქნა სოფ. ეწერის გლეხობის მიერ დათესილი და გათოხნილი 16 ჰა სიმინდის ყანა.

განცხადებაში აღნიშნულ ქვემოთ დასახელებულ საკითხებზე მოკვლევას და გამოძიებას აწარმოებენ:

1. აბაშისა და სამტრედიის რაიონებში ამერიკიდან შემოზიდული 140

ტონა ხორბლის დატაცების ფაქტზე აღძრულია ს. ს. საქმე სამტრედიის სატრანსპორტო პროკურატურაში.

2. სეფიეთის კოლმეურნეობის თავმჯდომარის (ვ. ოჩიგავას) მიერ სხვა რესპუბლიკებიდან 1000 ტ. ხორბლის შესყიდვის ფაქტზე - შემოწმებას აწარმოებს აბაშის პროკურატურა.

3. „კოლხიდმშენის“ აბაშის სამშენებლო სამმართველოდან ტექნიკის დატაცების ფაქტზე თანახმად აბაშის გამგეობის წერილისა, მოკვლევას აწარმოებს აბაშის პრკოურატურა.

4. აბაშის „ეთერზეთების“ ქარხანაში ძვირადღირებული დანადგარების ჯართის სახით დატაცების ფაქტზე აღძრულია ს. ს. საქმე ქ. ფოთის ტრანსპორტის პროკურატურაში.

5. სატყეო მეურნეობაში რევიზიას ატარებს სამეგრელო-სვანეთის სამხარეო კონტროლის პალატა. რაც შეეხება განცხადებაში მოყვანილი სხვა ფაქტებს, შემოწმებისას არ დადასტურდა.

ჩვენს მიერ მოკვლეული მასალები გადაეგზავნა შემდგომი რეაგირებისათვის სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონალურ პროკურატურას.

შ. პ. ს. სამეგრელოსა და ზემო სვანეთის სამხარეო შ. ს.
მთავარი სამმართველოს უფროსი პოლიციის პოლკოვნიკი ა. კუხალაშვილი

რადგან აბაშის გამგებელი ხელისუფლებამ არ გაანთავისუფლა, აღშფოთებული მოქალაქეები ისევ ჩამოვიდნენ თბილისში, მიაკითხეს პარლამენტს, მოვიდნენ ჩვენს რედაქციაშიც და გადმოგვცეს წერილი.

ჩვენ წერილის დაბეჭდვისგან თავი შევიკავეთ, რადგან პოზიცია ერთხელ უკვე გამოვხატეთ. მაგრამ გადავწყვიტეთ აბაშაში ჩასვლა, რათა ორივე მხარისთვის მოგვესმინა და მიკერძოებას ადგილი არ ჰქონოდა.

ვესაუბრეთ **ზაურ თორდიას და ომარ ჭანტურიას.**

მათ კატეგორიული უარი განაცხადეს სოსო ჭანტურიასთან დიალოგზე. იმდენი ცოდვა და დანაშაული მიაწერეს მას.

ჩვენ ორჯერ შევხვდით სოსო ჭანტურიას, ვესაუბრეთ მას და დავრწმუნდით, რომ იგი არ ყოფილა ხელისუფლების ორთოდოქსი წარმომადგენელი და საკმაო ოპოზიციური შეხედულებებიც გააჩნდა.

სამწუხაროდ, მას შემდეგ არც „კოლხური კოშკი“, არც „გრაალი“ არ გამოსულა. ამიტომ დაგვიანებით ვბეჭდავთ **სოსო ჭანტურიას აღსარებას:**

– მე ბევრი მიჩივის. აქეთ ზვიადისტები, იქეთ ხელისუფლების წარმომადგენლები. რა მოვუხერხო, რა გავაკეთო. ზაურ თორდია გადამეკიდა, რატომ მომხსენიო. იცით თქვენ, კულტურის სახლის დირექტორი იყო. რა

მექნა, ზვიად გამსახურდიას შესახვედრად მთელი კონცერტი მოამზადა. ეს მთელმა ქვეყანამ იცის. ახლა გურჯი კაჭარავას გამო. გაზეთმა „აღდგომამ„დაბეჭდა, 10 მილიონი მანეთი მისცა ლოთი ქობალიასო. ამ გაზეთს მარტო ზვიადისტები კი არ კითხულობენ. მე როგორ შემეძლო დამეცვა. მე შერიგების მომხრე ვარ. დავნიშნავ, ბატონო, ამ ზაურ თორდიას კულტურის ცენტრის დირექტორად. არ ვარ წინააღმდეგი. ანდა ეს ჩემი მოგვარე, ომარ ჭანტურია. რაიონს არ ჰყავს ფეხბურთის გუნდი და ფედერაცია როგორ ექნება. მე კონსტანტინე გამსახურდიას საზოგადოებას პატივს ვცემ. დიდი მწერალი იყო კონსტანტინე. ახლა მუზეუმის ახალი დირექტორი დავნიშნეთ, ნახეთ თქვენ როგორ მოვაწყობთ გაისად კონსტანტინობას. ერთად აღვნიშნოთ, ხელისუფლებამ და ოპოზიციამ. რომ გამოიდარებს ამ მუზეუმის მაჩვენებლებს ხელახლა შევღებავთ, გზებს შევაკეთებთ, მუზეუმს უფრო კარგად მოვაწყობთ. მოდით, ნახეთ თუ სიტყვა არ შევასრულო, კაცი არ ვიყო. ომარ ჭანტურიაზე მეკითხებოდით. 300 პურს ვაძლევ, თორემ მშიერი მოკვდებოდა. ოფისსაც გამოვუყოფ თქვენს საზოგადოებას. გინდა ომარი დაჯდეს, გინდა ზაური. მერე რა, რომ ბიჭის ქორწილში არ დამპატიჟა...

ამ ქვეყანას მე ხომ ვერ გავასწორებ. 11 კოოპერატივი მქონდა 1991 წელს. ბეეტერი ვუყიდე ზვიად გამსახურდიას. ოსეთში ლოთი ქობალიას გვერდით ვიბრძოდი. მეტი რა მექნა. გადაბრუნდა ეს ქვეყანა. ეს არის ყველა უბედურების სათავე. აბაშაში 1992 წლის 21 იანვარს პირველი შემოიჭრა ნოდარ ნათაძის „იმედი“, 30 კაცი ვიღაც კიკნაძის მეთაურობით. ჩაატარეს აქტივის კრება. პრეზიდენტი გაქცეული იყო. 7 თებერვალს ჩატარდა არჩევნები. მე ამირჩიეს. არავის დავუნიშნივარ. არავის დევნა მე არ დამიწყია. შეხედეთ ამ კაბინეტს, ჩემს მაგიდას, როგორ არის ტყვიებით დაცხრილული. გოჩა ბახია რომ ცხენისწყალთან იდგა, მის ხალხს მე ვუგზავნიდი პურმარილს. გოჩასთან ვძმაკაცობდი. ახლაც პატივს ვცემ. ეს არ მაპატიეს მხედრიონელებმა. აქ შემომივარდნენ. იატაკზე გავწექი, თორემ მომკლავდნენ, ისე დაცხრილეს ყველაფერი.

„მხედრიონს“ ვძულდი. რამდენიმეჯერ გადავურჩი სიკვდილს. ჯაბამ დამიბარა თავის ბუნკერში. ასე ვეძახდით მესამე სართულს. შევედი, რას ვხედავ. ჩუღურეთის გამგებელი უცემიათ. კიბეებზე მოგორავს. თავზარი დამეცა. უფრო ცუდად გავხდი ჯაბას კაბინეტში. კუთხეში ვიღაცა მორფს იკეთებდა, ჯაბა ვიღაცას აგინებდა. შემდეგ მეც გამლანძღა. ძლივს გამოვლასლასდი. დაბლა ჩავედი, კიბეებზე ჩამოვჯექი. უცებ ვიღაცამ ხელი მომკიდა. ავიხედე, ლაშა თაბუკაშვილი იყო, რა დაგემართაო, მკითხა. ვუთხარი, ჯაბა გადამეკიდა-მეთქი. წამოდი, მე მოგარიგებო. ავედით ჯაბასთან. ლაშამ უთხრა, კაი კაცია ჭანტურია, რას ერჩიო. ჯაბამ უთხრა, თუ შენი ნაცნობია, მეც გავუწევ ანგა-

რიშსო. აი ეს მხედრიონელი ჯოჯუა გყავდეს მოადგილედო. შემდეგ ცალკე მითხრა, ახლა აიყვანე, მერე გინდა გააგდეო. ამ ჯოჯუამ 17 ტონა ფქვილი წამოიღო ფოთიდან რაიონისათვის და გზაში გაყიდა. ფული ჯიბეში ჩაიდო. ჯაბას კაცს ფულს ვინ წაართმევდა? ამ საქმის გამო მოხსნეს რეზო იობაია. ეგეც მე მებრძვის. გინდა ესეც ჩაიწერეთ.

ზვიადისტებმა იციან, იარაღი მე არ მჭერია. კაცი არ მომიკლავს. აი, ამ ქუჩას უჩა კაჭარავას სახელი ჰქვია. უჩა ჩემი მეგობარი იყო, კონსტანტინე გამსახურდიას საზოგადოების თავმჯდომარის მოადგილე. საშინელ წერილებს წერდა ედუარდ შევარდნაძეზე. მაინც დავარქვი მისი სახელი ამ ქუჩას. გივი ძველაია მემდუროდა. ეგ მხედრიონელმა სცემა. მე რა შუაში ვარ. გაიგო ეს და აზრიც შეეცვალა. გურჯის მანქანა წაართვეს. მე დავუბრუნე. არადა ნოე კაჭარავას მიპირისპირებს. ჯაბა მეუბნებოდა, გურჯი დანიშნე ზაგოზერნოს დირექტორადო. ვერ გავიგე ვის მხარესაა ეს კაცი. ლოთის გვარდიას ფულს აძლევდა, ალბათ ჯაბასაც აძლევდა ფულს, თორემ რატომ მეტყოდა, დანიშნეო. ახლა ხომ ხედავთ, როგორ ამიმხედრა რაიონი. არ დაიჯეროთ, გურჯი კაჭარავა თქვენ არაფერში წაგადგებათ. ტყუილად უჭერდით მხარს არჩევნებში. ეგ უპრინციპო კაცია. მოსულიყავით ჩემთან და ადრევე გეტყოდით. ხალხი ამიჯანყა.

ზვიადისტებთან ყოველთვის კარგი ურთიერთობა მქონდა. 1993 წლის 31 აგვისტოს, ბესარიონ გუგუშვილი რომ ჩამოვიდა ზუგდიდში, შევხვდი მას, გელანტიას, აბსანძეს, ბურჭულაძეს, ზაურ ქობალაიას, მითხრეს, იმუშავე თუ ჩვენს მხარეს გადმოხვალო. მე გადადგომა ვარჩიე. ზაურ ქობალიამ პანღური ამომკრა. ასე უღირსად მომექცა. შემდეგ სახლი გამიჩხრიკეს, მაგრამ არაფერი წაუღიათ. წაიყვანეს მანქანები აფხაზეთში, მაგრამ შემდეგ დამიბრუნეს.

კაცო, ვახტაგ ბოჭორიშვილს ვინ არ სცემს პატივს. ცოლ-შვილი გადამირჩინა. ჩამოვალ მე თბილისში, გნახავთ ყველას. ელენე თევდორაძეს არ დაუჯეროთ, ცილს მწამებს.

აქ, ჩემს კაბინეტში, ამ სკამზე იჯდა 1993 წლის 28 ოქტომბერს ედუარდ შევარდნაძე და მის უკან იდგა 1500 შეიარაღებული ბანდიტი. მე აქ დავიბადე, აქ გავიზარდე. მათი ჯირითი, უბედურება, რაც ამ კუთხეს დაატეხეს, როგორ შეიძლება მომწონდეს. მაგრამ მე ვინ რას მეკითხებოდა. ბოლოს და ბოლოს მე ხომ აქ იმიტომ ვარ, რომ რაღაც სასიკეთო საქმე გავაკეთო, თორემ 12 ლარის შემყურე კი არა ვარ. მყავს 120 კამეჩი, ძროხა, თხა. დღეში 150 კილო ყველს ვღებულობ. მაბრალებენ, მამის საფლავზე გადის, ყვირის, რას ეღირსე, მამაჩემო, შენი შვილი თავზე აზის რაიონსო. ტყუილია, ბატონო, ასეთი რამ არ მომხდარა. ეს თორდიასა და ბურსულაიას მოჭორილია. არავისთან არაფერი დაპირისპირება

არ მაქვს. ჰშურთ ჩემი. კარგად ვიცი, რა უბედურებაც ტრიალებს საქართველოს თავზე და ვიცი ამის მიზეზი. მაგრამ მე პატარა კაცი ვარ და ვცდილობ წესრიგი და ურთიერთთანხმობა იყოს ამ რაიონში.

თქვენ მეკითხებოდით, შარშან კონსტანტინობის დღეს მუზეუმთან რატომ ისროდნენო. მაშინ ექვსი პატიმარი გაიქცა და მათ დასდევდა პოლიცია. თქვენი დაშინება არავის უცდია. მე ვიმეორებ, მივცემ თქვენს საზოგადოებას ოფისს, აღვადგენ სამსახურში განთავისუფლებულ პირებს და, თუ გნებავთ, მოადგილედ დავნიშნავ იმას, ვისაც თქვენ დამისახელებთ. მეტი მე არაფერი შემიძლია.

ჩვენ ვუთხარით, რომ ოპოზიციას გადავცემდით გამგებლის სიტყვებს და ვეცდებოდით სადავო საკითხების მოგვარებას. ბოლოს ვთხოვეთ, რომ დაგვხმარებოდა კონსტანტინე გამსახურდიას ტომების რეალიზაციაში, შეეძინა იგი გამგეობას სკოლებისათვის, ბიბლიოთეკებისათვის, ლტოლვილებისათვის.

გამგებელი დაგვეთანხმა, ჩვენ ვამაყობთ დიდი კონსტანტინეს სახელითო და დახმარება აღგვითქვა.

სოსო ჭანტურიას საჩუქრად გადავეცით კონსტანტინე გამსახურდიას ტომები და დავემშვიდობეთ იმ რწმენით, რომ აბაშაში შეწყდებოდა ოპოზიციის დევნა.

P. S. არც ერთი თავისი დაპირება არ შეასრულა სოსო ჭანტურიამ, რასაც მისი განთავისუფლებაც მოჰყვა.

გაზ. „კოლხური კოშკი“, 1997, 8-14 მაისი

ტელევიზია ხელისუფლების რუპორია

- ბატონო სოსო, თქვენ არაერთი საინტერესო გამოკვლევისა თუ წიგნის ავტორი ბრძანდებით. რა სიახლეს ჰპირდებით მკითხველს?

– უნდა გამოვიდეს ჩემი წიგნი „მარტვილი და ალამდარი“ სამ ტომად. ეს არის კონსტანტინე გამსახურდიას ცხოვრებისა და შემოქმედებისადმი მიძღვნილი მონოგრაფიების ციკლი. პირველი ტომი, რომელშიც შევიდა მის ცხოვრების გზა, ამჟამად იბეჭდება, მეორე-მესამე ტომებში შესული მონოგრაფიები ადრეც იყო გამოცემული და ახლა შესწორებული სახით ერთად გამოიცემა. ეს არის ძირითადი, რაზეც ამ პერიოდში ვმუშაობ, როგორც ლიტერატორი.

– თქვენს ერთ-ერთ გამოკვლევაში, რომელიც დაერთო კონსტანტინე გამსახურდიას რომანს „დავით აღმაშენებელი“, გაკვრით გქონდათ

მინიშნებული ლიტერატურის პოლიტიკურ ხასიათზე. რას იტყოდით უფრო ვრცლად ამის შესახებ?

– არაა აუცილებელი, ლიტერატურა იყოს პოლიტიკური ორიენტაციისა. მაგრამ პატარა ერების ცხოვრება ისე ტრაგიკულად წარიმართება ხოლმე, რომ შემოქმედი ვალდებულია, ასახოს ერის წინაშე მდგარი პრობლემები. როცა ქვეყანაში მდგომარეობა მოწესრიგებულია, მაშინ შემოქმედი ნაკლებად ერევა პოლიტიკურ ცხოვრებაში, მას მეტი დრო რჩება შემოქმედებითი თავისუფლებისათვის. მაგრამ ერი, რომელიც იბრძვის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის, შემოქმედს ასეთი ფუფუნების ნებას არ აძლევს და ისიც თავს ვალდებულად თვლის, ჩაერიოს ამ ქვეყნის ორომტრიალში, რამდენადაც ეს შესაძლებელია. მაგრამ ეროვნული პრობლემატიკა არ იძლევა ხარისხის გარანტიას. ამიტომ ხელოვანი შეიძლება წერდეს მარადიულ პრობლემებზე და იყოს ხალხის საყვარელი შემოქმედი. საბედნიეროდ, კონსტანტინე გამსახურდია ის მწერალია, რომლის შემოქმედებაშიც ეროვნული პრობლემატიკა, ხელოვანის იდეალები და ავტორის ტალანტი ერთმანეთს სასიკეთოდ შეერწყა. დღევანდელი ქართული მწერლობა ეროვნული პრობლემებს მოსწყდა (რამდენიმე მწერალს, ცხადია, არ ვგულისხმობ). ვერც მარადიულ თემაზე შექმნეს განსაკუთრებულად ფასეული და ამიტომ... ნუ გაგვიკვირდება, თუ მათ ნაწერებს არავინ არ კითხულობს. ზოგი ე. წ. „წამყვანი მწერლის“ წიგნი ორასი ცალიც ვერ საღდება.

– იმავე გამოკვლევაში თქვენ ამბობთ, რომ რომანის დაწყება თურქთა წინააღმდეგ უფლისწულის ლაშქრობით და დამთავრება ტაოსკარს მომდგარ თურქთა დავითის სიკვდილის წინა მოლანდებით არის როგორც რომანის მთავარი მოქმედი გმირის, ასევე ავტორის გაფრთხილება - გვახსოვდეს მარადიული მტერი. თქვენ როგორ ფიქრობთ, არის თუ არა თურქეთი დღეს ჩვენი მტერი?

– ეს სტატია, რომელიც წაემძღვარა „დავით აღმაშენებლის“ პირველ ტომს, გამოხატავს ამ რომანის ისტორიულ სიტუაციას. მოგეხსენებათ, რომ ოსმალეთმა საქართველოს წაგლიჯა ტერიტორიის ერთი მესამედი, რომელსაც ჩვენ ვერასოდეს ვერ დავიბრუნებთ. ეს ჩვენთვის უდიდესი ტრაგედიაა. მაგრამ დღეს სხვა ვითარებაა. თუმცა, მაინც უნდა გავუწიოთ ანგარიში იმას, რომ როგორც თურქეთი, ისე რუსეთი, მუდამ ეცდებიან, საქართველო იყოლიონ თავიანთი გავლენის სფეროში.

– ბატონო სოსო, თქვენ ლიტერატურის ინსტიტუტში ხელმძღვანელობთ ჟურნალისტიკის განყოფილებას. მიგაჩნიათ თუ არა, რომ დღეს საქართველოში პრესა თავისუფალია?

– დღეს საქართველოში პრესა ნამდვილად თავისუფალია. მაგრამ პრესამ თავისუფლება დევნისა და ტანჯვის ფასად მოიპოვა. მრავალმა

გაზეთმა შეასრულა თავისი დადებითი როლი ამ თვალსაზრისით. მათგან მე გამოვყოფდი „ლიტერატურული საქართველოს“ 1988-91 წლებში და „იბერია-სპექტრს“. მე თვითონ ვიყავი რამდენიმე გაზეთის რედკოლეგიის წევრი. ვრედაქტორობდი რამდენიმე გაზეთს და ჩემთვის არავის არაფრის დაბეჭდვა არ აუკრძალავს. ისე, ხელისუფლებას არც ერთ ქვეყანაში ოპოზიცია გულზე არ ეხატება და ბუნებრივია, რომ თავის მომხრე გაზეთს უკეთეს პირობებს უქმნის. მაგრამ ეს არ ითქმის ტელევიზიაზე, რომელიც რჩება ხელისუფლების რუპორად და ოპოზიციურ აზრს არ აჭაჭანებს.

– ბატონო სოსო, ზოგიერთი პოლიტიკური თუ საზოგადო მოღვაწე თავს არიდებს იმას, რომ საკუთარი აზრი გამოთქვას პრესის საშუალებით. რამდენად გამართლებულად მიგაჩნიათ მათი ეს პოზიცია?

– ჩვენ ყველანი აღვიზარდეთ კომუნისტურ ეპოქაში, როცა საკუთარი აზრის გამოთქმისა ყველას ეშინოდა. ეს შიში რჩება დღესაც ადამიანთა შეგნებაში, რადგან საკუთარი თავისუფალი აზრის გამოთქმამ მათ ბევრ რამეში შეიძლება ხელი შეუშალოს. ამიტომ მლიქვნელობენ, ყველაფერში ადვილად თანხმდებიან და საქმეს უგულოდ აკეთებენ. გარდა ამისა, ზოგი ალბათ, თავს იმიტომაც არიდებს პრესას, რომ ხელისუფლება არავის აზრს ანგარიშს არ უწევს და აუტკივარი თავს ატკივება კი არავის სურს.

– 6 ნოემბერის საპარლამენტო არჩევნებში თქვენ კენჭს იყრიდით ბლოკიდან „21-ე საუკუნე“. როგორია თქვენი დამოკიდებულება ამ არჩევნებისადმი?

– ბლოკი „21-ე საუკუნე“ დაიშალა. ჩვენ ამ არჩევნებში მივაღწიეთ გარკვეულ წარმატებებს, მაგრამ პარლამენტში არ შეგვიშვეს. ეტყობა, ამ ფაქტმა მძიმედ იმოქმედა საზოგადოებაზე. ე. წ. „ბიოკოტისტები“ გვეუბნებიან: ვიცოდით, პარლამენტში ვერ შეხვიდოდით და თქვენი მონდომება ამაო იქნებოდაო. მე კი მგონია, ეს არჩევნები ეროვნულ ძალებს აძლევდა გამარჯვების უკანასკნელ შანსს, რაც არ იქნა გამოყენებული და დღეს, როგორც თქვენ ხედავთ, ეკონომიკურ სიდუხჭირეს ერთვის ეროვნული იდეალების არარსებობა. დათრგუნვილია ეროვნული შეგნება და ბევრი ამომრჩეველი ისე იგონებს აფხაზეთსაც, თითქოს სხვა ქვეყნის ნაწილი იყოს. ხალხისათვის დღეს მთავარია ფიზიკური გადარჩენა. ამიტომაც ეგუება არსებულ სიტუაციას და სხვა არაფერი აინტერესებს.

– თქვენ აფხაზეთი ახსენეთ. როგორ ფიქრობთ, დავიბრუნებთ ამ უკანასკნელ წლებში დაკარგულ ტერიტორიებს?

– დღევანდელმა ხელისუფლებამ დაკარგა აფხაზეთი და საეჭვოა, იგი რუსეთმა დაგვიბრუნოს. მაგრამ თუ დაგვიბრუნა, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ხელისუფლება ბელორუსიის მაგალითს მიბაძავს. მაშინ ხომ

აფხაზეთიც და დანარჩენი საქართველოც რუსეთისა იქნება.

ესაუბრა ასმათ რურუა
გაზ. „მსგეფსი“, 1997, 2-8 ივლისი.

„ზვიად გამსახურდიას და ედუარდ შევარდნაძის მორიგება...“

– ბატონო სოსო, საინტერესოა ახლა რასა იქმთ, რას მოღვაწეობთ?

– მე ლიტერატორი ვარ და ჩემი უპირველესი მოწოდება და საქმიანობა ლიტერატურის შესწავლაა. მალე გამოვა ჩემი წიგნი „კონსტანტინე გამსახურდიას ცხოვრების გზა“. ეს გახლავთ დიდი მწერლის ბიოგრაფია. იგი მკითხველს მიეწოდება არა მეცნიერული გამოკვლევის სახით, რაც განსაზღვრულია მხოლოდ ლიტერატორთა ვიწრო წრისთვის, არამედ ლიტერატურულ-ესეისტური ფორმით. ამ სქელტანიან წიგნში ბევრი ისეთი რამ იქნება ასახული, რაც დღემდე უცნობია საზოგადოებისთვის. მითუმეტეს, რომ ბიოგრაფიული ნაწარმოებებით არ ვართ განებივრებულნი. გარდა გალაკტიონისა, თითქმის არ ვიცნობთ მე-20 საუკუნის ქართველი მწერლების ცხოვრებას. დავასახელოთ გრიგოლ რობაქიძე, სიმონ ჩიქოვანი, ტიციან ტაბიძე... თუნდაც ჩვენი თანამედროვე ირაკლი აბაშიძე. ზოგადად ვიცით რაღაც-რაღაცეები. ზოგიერთი თანამდებობის პირიც გახლდათ, მაგრამ ადამიანი, მითუმეტეს შემოქმედი, მხოლოდ თანამდებობა ხომ არ არის. მას აქვს საკუთარი ცხოვრება, პირადი ტრაგედია, სიხარული, რწმენა... მითუმეტეს, კონსტანტინე გამსახურდიამ ძალზე რთულ პერიოდში იცხოვრა და იმოღვაწევა.

– დიახ, ეს გახლდათ უმძიმესი ხანა.

– დაპატიმრებების, რეპრესიების, მოკლედ, ერი გოლგოთის გზას ადგა. მარტო გერმანიაში ექვსი თვე ჰყავდათ დაჭერილი ბატონი კონსტანტინე. საბჭოთა პერიოდში სამჯერ დააპატიმრეს. ერთხან თეთრ ზღვაზე, სოლოვკის არქიპელაგზე იყო გადასახლებული. კვლავ ვიმეორებ, მკითხველისთვის საინტერესო იქნება თუ როგორ დაიწერა შედეგრები, მისი დამოკიდებულება სტალინთან, ბერიასთან, ცეკას მდივნებთან, გამომცემლებთან და ა. შ. ეს გახლავთ არა ჭორზე, არამედ დოკუმენტაციაზე, რეალობაზე დაფუძნებული მასალები.

– ბატონო სოსო, როგორ შედგა თქვენი მეცნიერული ურთიერთობა და მიახლოება დიდი მწერალთან?

– ორივე დისერტაცია კონსტანტინე გამსახურდიაზე დავიცავი. პირველი გახლდათ წმინდა მეცნიერული (1974 წ.). ხოლო 1978 წელს კი და-

იწერა დისერტაცია, რომელიც მწერლის შემოქმედებას, მისი პროზის სტრუქტურას ეხებოდა.

– ე. ი. ეს არის პერიოდი, როცა ზვიად გამსახურდიამ დისიდენტური მოღვაწეობის შუა გზაზე იდგა.

– უფრო ზუსტად, დაცვა შედგამისი პატიმრობიდან, გადასახლებიდან დაბრუნების შემდეგ. იმ ხანებში ბატონი ზვიადი ბევრ რამეს ეჭვის თვალით უცქერდა, მათ შორის ჩემს ნაშრომსაც. როგორც ადამიანს და მწერლის ვაჟიშვილს თავად ფაქტი ძალზე ახარებდა და საკმაოდ განიცდიდა კიდეც. 16 წელი გავიდა მას შემდეგ, მაგრამ კარგად მახსოვს, როგორ ნერგიულობდა. შესვენებისას თავად მეუბნებოდა, მირჩევდა როგორ მეპასუხა ოპონენტებისთვის, როგორ ჯობდა. როცა განხილვა ქრისტიანობის საკითხებს ეხებოდა, ზვიადი ძალზე იძაბებოდა. კარგად მოგეხსენებათ, რომ მწერალს თავის შემოქმედებაში მართლაც დიდოსტატურად აქვს წამოწეული წინა პლანზე ქრისტიანობამდელი, წარმართული და მითოლოგიური თემა, თავისი მძაფრი პასაჟებითა და ანალიტიკური შეფასებებით. შვილს კი სურდა მამის შემოქმედებითი გზა უფრო ქრისტიანული დომინანტიზმით წარმოჩენილიყო.

– ბატონი ზვიადი მშვენიერი ლიტერატორი და ბრწყინვალე ესეისტი იყო. მაგრამ, საინტერესოა, რატომ ასეთი ამრეზით უყურებდა მამის შემოქმედებაში წარმართული თემის წამოტივტივებას?

– იგი გახლდათ საოცრად მორწმუნე, ჭეშმარიტი ქრისტესმიერი და ამასთან დაკავშირებით თავისი შეუვალი მოსაზრება გააჩნდა. თორემ ბატონი კონსტანტინე ეყრდნობოდა არა ველურ, არამედ ანტიკურ-წარმართულ წიაღსვლებს, რადგან ნათელია, რომ ევროპული რენესანსი ყოველივე ანტიკურს - ბერძნულ-რომაულ კულტურას ეფუძნება და იმადაცაა ორიენტირებული მწერლის შემოქმედებითი ნიუანსები ბერძნულ-რომაული წარმართობისკენ.

– როგორც ვიცი, ბატონი ზვიადი და თქვენ ერთად მუშაობდით ლიტერატურის ინსტიტუტში. ხომ ვერ გაიხსენებდით იმ პერიოდს?

– 1981 წლის გაზაფხულზე ბატონმა ზვიადმა საქართველოს მწერალთა კავშირის წერილი მისწერა, სადაც აღნიშნა, რომ ხელისუფლება ეწევა კონსტანტინეს სახელის პროფანაციას, რომ თითქოს გამოიცა წიგნი მწერლის დისკრედიტაციისთვის და ნიმუშად ერთ ვიღაცასთან ერთად მეც დამასახელა. მაგრამ დისერტაციის დაცვის შემდეგ მან შეიცვალა ჩემს მიმართ დამოკიდებულება.

– ე. ი. გამოდის, რომ ბოლოს და ბოლოს დარწმუნდა თქვენი მეცნიერული ნაშრომის სიწმინდეში, და ბუნებრივია, თქვენს პიროვნებაშიც?

– ის ჩემს სიმართლეში დისერტაციის დაცვისას დარწმუნდა. ჩემი ოპონენტები გახლდათ აკაკი გაწერელია, გურამ ასათიანი და ელგუჯა

მაღრაძე. სამწუხაროდ, ბატონი გურამი იმხანად მძიმედ ავადმყოფობდა და სიტყვით ვერ გამოვიდა. აქ მნიშვნელოვანია აკაკი გაწერელიას ოპონენტობა - იგი იყო ბატონი კონსტანტინეს მეგობარი და ზვიადის ნათლია. ბატონი აკაკი ჩვენი ლიტერატურული აზროვნების მეტრი გახლდათ და ზვიადიც უზომო პატივს მიაგებდა. ბატონი აკაკის ორსაათიანმა რეცენზიამ ზვიადი მოხიბლა და მას შემდეგ ყოველთვის პოულობდა მიზეზს, რათა ინსტიტუტში შემოევლო ჩვენს ოთახში და გაგვსაუბრებოდა. მაგრამ, შემდგომ გამომცემელ ლუკა ხუნდაძის მეშვეობით გამოვიდა „დიდოსტატის მარჯვენა“ ჩემი ასგვერდიანი ბოლოსიტყვაობით. სამწუხაროდ, წიგნი პოლიგრაფიულად უღიმღამო გამოდგა და ბატონ ლუკასთან ერთად ზვიადი მეც გამინაწყენდა. ამიტომ ერთი პერიოდი ძალზედ გულგრილად განეწყო ჩემდამი.

– ბატონო სოსო კარგად მახსოვს ზვიადის სასამართლოზე ჩვენ ერთადაც მოვხვდით. საინტერესოა თქვენეული შეფასება.

– ეს იყო სასამართლო - აბსურდი. იმ კრიტერიუმებით დღეს ნებისმიერი ჩვენგანისთვის შეუძლიათ მკაცრი განაჩენის გამოტანა. რასაც ზვიადი იმ დროს აკეთებდა, მონსტრი სსრკ-ს ძირს ვერ გამოუთხრიდი. მახსოვს, გრიგოლ აბაშიძე ქვეყანას ანგრევდა მწერალთა კავშირში - მეორე პრესა შეუქმნია ზვიად გამსახურდიას, რაც ჩვენ არ გვჭირდებაო. აბა, რა ტირაჟით უნდა გამოეცა ზვიადს „მეორე პრესა“ (ვთქვათ, მაქსიმუმ რამდენიმე ასეული ცალი), რომ ქვეყანა დაენგრია? ამიტომ აღვიქვი ეს სასამართლო საბჭოური ყოფის აბსურდად.

– იმ გახმაურებულ მონანიებაზე რას გვეტყვით?

– იცით რა, მე არ ვიცი როგორ შეთანხმდნენ ზვიადი და მერაბი, რადგან ამას არა აქვს არსებითი მნიშვნელობა. ჩემის აზრით, ზვიად გამსახურდია სავსებით სწორად მოიქცა. ეს იყო უსინდისო ხელისუფლება, ჯალათური სახელმწიფო - დიქტატორულ რეჟიმთან კი თავის გადარჩენას უნდა ეცადო, რადგან საქმე გვაქვს სისხლსა და დანაშაულზე შობილ ხელისუფლებასთან. საბჭოთა წყობამ რევოლუციის შემოქმედი ტროცკი გაწირა, სტალინი ლამის მოღალატედ შერაცხა. ბოლოსდაბოლოს ზვიადი რაღას წარმოადგენდა მისთვის. ამიტომაც ნებისმიერი მეთოდით ბრძოლა გამართლებული იყო.

– ბატონო სოსო, მართალია თქვენ მეცნიერი და ლიტერატორი ბრძანდებით. მაგრამ, ასეა თუ ისე, ზვიად გამსახურდიას პრეზიდენტობის ჟამს მასთან დაახლოებული პირი იყავით. იქნებ გაიხსენოთ თქვენი მაშინდელ შეხვედრათა ზოგიერთი ნიუანსი?

– 1983 წლის შემდეგ ჩვენს შორის ჩამოვარდნილი გაურკვევლობის შედეგად მე მასთან ნაკლებად მქონდა ურთიერთობა. 1991 წლის ივნისიდან კი უკვე ხშირად ვხვდებოდი. იგი თავადაც მირეკავდა როგორც

სახლში, ისე სამსახურში. საერთოდ, როგორც „ლიტერატურული საქართველოს“ რედაქტორი ჩართული ვიყავი მიმდინარე პროცესებში. როცა ვაანალიზებ ყოველივეს, ჩემი აზრით ზვიად გამსახურდიამ არსებულ სიტუაციაში შეუძლებელი შეძლო.

– მაინც რაში გამოიხატება თქვენი ბოლო ფრაზის შინაარსი?

– მე არ ვაპირებ კულუარული ინსინუაციებით მაშინდელი პოლიტიკური ხლართების გახსნას. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ბატონი ზვიადი არასდროს ყოფილა თანამდებობის პირი. მას არ ჰქონდა სახელმწიფოებრივი მართვის გამოცდილება. გარდა ამისა, იმ დროს საოცარი რამ მოხდა: არჩევნების შედეგად დამარცხდა კომუნისტური პარტია, დაინგრა სსრკ.

თავად ლექსის, წიგნის წერას, გნებავთ კირითხურობასაც გამოცდილება სჭირდება. კაცს, რომელიც იბრძოდა სამშობლოს დამოუკიდებლობისათვის და ბოლშევიზმის წინააღმდეგ, თანაც სახელმწიფო ხელმძღვანელის წინარე გზის გაუვლელად, წარმოუდგენელია მეტი მოესწრო. აი, რასაც გაართვა თავი და როგორ გაართვა, ეს მიკვირს სწორედ. მან შესაძლებლობათა მაქსიმუმი გამოავლინა საოცრად მოკლე დროში.

– ბატონო სოსო, შევადაროთ მაშინდელი და დღევანდელი რეალობა?

– კი ბატონო. აი, ედუარდ შევარდნაძე, რომელსაც, გვიყვარს თუ არა გვიყვარს, სახელმწიფოებრივი მართვის უდიდესი გამოცდილება გააჩნია. მაგრამ რა? - ექვსი წლის განმავლობაში იოტისოდენაც ვერაფერი შეძლო. საქართველოს ნგრევა მოუვლინა. საოცარია, პრეზიდენტ გამსახურდიას ერთ წელიწადში რა უნდა მოესწრო? რა თქმა უნდა, იყო შეცდომებიც; სხვაგვარად არც ეგების, მაგრამ ფაქტია, რომ მაშინ, არსებულ სიტუაციაში მეტი შესაძლებლობა არ არსებობდა.

– მოდით, სიმართლესაც შევხედოთ თვალებში. მაშინ პრეზიდენტმა აშკარად აითვალწუნა შემოქმედებითი ინტელიგენცია...

– არც ასეა საქმე. აი, მაგალითად გურამ ფანჯიკიძე - იგი ზვიადის ხსენებაზეც კი ფეხზე დგებოდა. თავისი გაზეთის თითქმის ყველა ნომერში გამსახურდიაზე დათირამბებს აქვეყნებდა, მაგრამ როგორც კი სიტუაცია შეიცვალა, პირველი გადაუდგა, რაც სავსებით ბუნებრივია: იგი ხომ კიტოვანის მძახალი იყო! რა თქმა უნდა, პრეზიდენტს რომ გვერდით ფანჯიკიძის მსგავსნი დაეყენებინა, ერთის მხრივ მომგებიანი იქნებოდა. იმიტომ, რომ გურამ ფანჯიკიძე არის ენერგიული კაცი, რაზეც მქონდა კიდეც საუბარი ბატონ ზვიადთან, ნიჭიერი, კარგი პუბლიცისტი... ის მართლაც ბევრ კარგ საქმეს გააკეთებდა, ვთქვათ, ვიცე-პრემიერის პოსტზე, იქნებოდა თავდადებული, ერთგული. მაგრამ აქ იყო მეორე ფაქტორი, რაც ხელს უშლიდა პრეზიდენტს. იგი მთელი ცხოვრება კომუნისტების წინააღმდეგ იბრძოდა, იმ ხანად კი ანტიკო-

მუნისტური ისტერია იყო გაჩაღებული. მათაც ხომ ჰყავდათ ნიჭიერი კადრი, მაგრამ იმ კაკაფონიის ჟამს ძნელი იყო ყველა კომუნისტის მთავრობაში მოზიდვა.

– ეს ალბათ, მაშინდელი სტრატეგია გახლდათ, ვფიქრობ არცთუ გონიერი.

– იგივეს ვიტყვი ჯანსუღ ჩარკვიანზეც, ვის შესახებაც არაერთხელ გვისაუბრია. ზვიადს ჯანსუღზე მუდამ ეღიმებოდა. ისინი თავის დროზე კარის მეზობლები იყვნენ. მისი არც ოპოზიციონერობა სჯეროდა და არც პოეტობა. ამიტომ ხშირად სიცილსაც ვერ იკავებდა, სერიოზულად ვერ აღიქვამდა მასზე საუბარს. დისერტაციის დაცვის შემდეგ, კრწანისში, 300-კაციან ბანკეტზე ანეკდოტიც კი მოყვა ჯანსუღზე, ყველა გვარიანად აცინა. პრეზიდენტობის ჟამს წერილი დაბეჭდა ჩარკვიანზე. თითქოს უხერხულობა შეიქმნა, რადგან პუბლიკაციის ავტორი პრეზიდენტი გახლდათ. სხვა დროს კი მსგავსი რეზონი არ იქნებოდა. რა მოხდა, ჯანსუღზე კი არა, თვით კონსტანტინე გამსახურდიაზე ორასზე მეტი სალანძღავი წერილია დაბეჭდილი. ისე, ჩარკვიანი ნამდვილად არ სძულდა ზვიადს. ამიტომაც, ისიც ტრაგედია იყო, ინტელექტუალური კადრები კომუნისტებისაგან რომ შედგებოდა და რის გამოც გარკვეული ბარიერი შეიქმნა.

– გრძნობდა კი ყოველივე ამას პრეზიდენტი?

– როგორ არ გრძნობდა. ალბათ, გახსოვთ, თვითონ ზვიადმა წამოაყენა კონვერგენციის თეორია. ეს არის სოციალიზმის კაპიტალიზმთან შეზრდის, გნებავთ გადასვლის თეორია. რომ მედიცინა, განათლება და სხვა აუცილებელი დარგები ჯერ უფასოდ, სახელმწიფო ხარჯზე შევინარჩუნოთ თანდათან კაპიტალიზმზე გადასვლის პერიოდში. ამის საწინააღმდეგოდ ოპოზიციამ ერთი ვაი - უშველებელი ატეხა - არიქა, გამსახურდია კვლავ წარსულს უბრუნდებაო. თვითონ ზვიადი მშვენივრად გრძნობდა, ვინც ჰყავდა გარშემო. მაგრამ ისიც აღუნიშნავს, როცა მიჭირდა, ეს ხალხი მედგა გვერდში და არ შემიძლია უეცრად გავწყვიტო მათთან კავშირიო.

– რამ განაპირობა ზვიად გამსახურდიას დროს ე. წ. საერთო კავკასიური სახლის შექმნის იდეა, რომელსაც თავის დროზე აგრესიულად შეხვდა ოპოზიცია. დღეს კი ისინი ათასი დითირამბებით ამკობენ. და კიდევ, რამ შეუშალა ხელი მის განხორციელებას?

– იდეა ღრმა წარსულიდან მოდის, თვით დავით აღმაშენებლის ეპოქიდან. ხოლო ხელისშემშლელი პირობები რუსეთს, მოსკოვს უკავშირდება. რუსეთი არასოდეს, განსაკუთრებით ამ ეტაპზე, ცოცხალი თავით არ დაუშვებს კავკასიის დაკარგვას. მთელ კავკასიას იმ დროს ზვიად გამსახურდიაზე უფრო გამოკვეთილი ლიდერი არ ჰყოლია. ეს იდეა კი ყველაზე რეალური გახლდათ მოსკოვისგან თავის გადასარჩენად. თუმ-

ცა იმას კი არ ნიშნავს, როგორც „საქართველოს რესპუბლიკამ“ დახატა სურათი - ზვიადი ჩეჩნეთს ართმევს ხელს, მას საქართველოს კარჩაკეტილობა სურსო. ზვიადი იყო ამერიკული ლიტერატურის სპეციალისტი. მან დაამთავრა ინგლისური ფაკულტეტი ამერიკული ლიტერატურის სპეციალობით, მისი დისერტაცია გახლდათ „ვეფხისტყაოსნის“ ინგლისური თარგმანი. ასევე იცოდა გერმანული, ფრანგული - ბოლოს-დაბოლოს ფრანგულიდან ბოდლერი აქვს ნათარგმნი. ჰოდა, სასაცილოა ასეთ პიროვნებას ანტიდასავლურობა დასწამო, როცა მთელი მისი ცხოვრება დასავლურ კულტურაზე აიგო. ხოლო ედუარდ შევარდნაძე, რომელმაც არცერთი ევროპული ენა არ იცის, დასავლეთის მეხოტბედ წარმოაჩინო. ეს ხომ ცნებათა აღრევაა.

– ისე, საინტერესოა იმ უმძიმეს ჟამს ამ ორი პიროვნების ალიანსი რომ მომხდარიყო, რას მოუტანდა იგი საქართველოს?

– ზვიად გამსახურდიასა და ედუარდ შევარდნაძის მორიგება და ურთიერთთანამშრომლობა საქართველოსთვის ბედნიერება იქნებოდა. მაგრამ, ვაი რომ ამას რუსეთი არავითარ შემთხვევაში არ დაუშვებდა. ეს რომ მომხდარიყო, მაშინ კავკასია მართლაც ჩამოცილდებოდა რუსეთს. მოგეხსენებათ, ეს სახელმწიფო აგებულია 500 - წლიან იმპერიულ გამოცდილებაზე და რამდენიც უნდა ვეცადოთ - მის უშიშროებას, აგენტურას ვერ მოვატყუებთ და ვერც ვერაფერს გამოვაპარებთ. რატომ? - ძალა არა გვაქვს, არც ფული, არც კადრი და ჭკუაც არ გვეყო იმ იდეის ხორცშესხმისთვის.

მახსოვს, ზვიადს კაბინეტში ტელევიზორი ჰქონდა ჩართული. მოსკოვი პუტჩის დღეებს მოუცავს - ედუარდ შევარდნაძეს აჩვენებენ. მე ვუთხარი ზვიადს, შევარდნაძე გამოდის-მეთქი. ზვიადმა ყურადღება მიაქცია, თქმით კი არაფერი უთქვამს. გახსოვთ, აგვისტოში რომ თქვა პრეზიდენტმა, ამ კაცს ნათესავი ან ახლობელი არ ჰყავს? უთხარით, კარგი, მე არ ვუყვარვარ, საქართველო მაინც რამ შეაძულაო. მაგრამ ამ შემთხვევაშიც გარემოცვა თამაშობდა უარყოფით როლს - მისიც და ედუარდ შევარდნაძისაც. იმიტომ, რომ ყველა და ყველაფერი მოსკოვიდან იმართებოდა. ზვიადმა რამდენიმეჯერ გააგზავნა რუსეთის საატახტო ქალაქში შევარდნაძესთან გიორგი ხოშტარია. მაგრამ შედეგი არ მოჰყოლია. სექტემბრიდან კი აშკარა დაპირისპირება მოხდა. ეს იყო პოლიტიკური ბრძოლა, საქართველოსთვის კი ტრაგიკული ფურცლები.

– და მაინც, რას სთავაზობდა პრეზიდენტი სსრკ - ას ყოფილ საგარეო საქმეთა მინისტრს?

– მე მასთან ამ თემაზე კონკრეტული საუბარი არ მქონია. მაგრამ როცა გროზნოში შევხვდი 1992 წლის მაისში, მაშინ მითხრა, არაფერი მქონდა მისი საწინააღმდეგო თუ ის თავის ნიჭსა და უნარს საქართვე-

ლოსთვის გამოიყენებდაო. დავნიშნავდი საგარეო საქმეთა მინისტრად ან პრემიერადო - ეს მისი სიტყვებია. ახლაც მიგზავნის მოციქულებს, მოვრიგდეთო. არ ვარ წინააღმდეგი თუკი კიტოვანს, იოსელიანს და სიგუას მოიცილებსო.

მართლაც, - 1993 წლის გაზაფხულზე გროზნოში ედ. შევარდნაძის არაპირდაპირი მითითებით ორჯერ ჩავიდნენ ავთანდილ რცხილაძე და ნუგზარ მოლოდინაშვილი.

ედუარდ შევარდნაძეს უნდოდა ზვიადთან შეხვედრა, ნებისმიერ დროს, ნებისმიერ ადგილას!

ზვიადმა მოლაპარაკების საფუძვლად ისევ „ტრიუმვირატის" ჩამოშორება დაასახელა.

ეს მეც მინდა, მაგრამ როგორ შევძლოთო, უთქვამს ავთანდილ იოსელიანს.

როგორც ჩანს, ედუარდ შევარდნაძეს აუცილებლად მიაჩნდა ზვიად გამსახურდიასთან მორიგება და როცა ეს შეუძლებელი აღმოჩნდა, სექტემბრის თვეში გადადგა კიდეც, რამდენადაც ვიცი - სავსებით გულწრფელად.

უკვე მის შემცვლელსაც ეძებდნენ. მაგრამ ეს არ იქნებოდა ზვიად გამსახურდია. ამას მოსკოვი არავითარ შემთხვევაში არ დაუშვებსო, თქვა მაშინ ერთმა მაღალჩინოსანმა, ვინც სრულად იყო საქმის კურსში.

ერთხელ კიდევ ვესაუბრე შევარდნაძის შესახებ, 1993 წლის 25 სექტემბერს, ზუგდიდში. ასე მითხრა, შევარდნაძეს სურს გადადგომა, მაგრამ მისი ამფსონები ამას არ დაუშვებენ, რათა შეინარჩუნონ ხელისუფლებაო.

– როგორ ჩანს თქვენ მაშინდელ პოლიტიკურ მოვლენებზე არ ახდენდით გავლენას, არადა მისი თანაგუნდელი იყავით.

– რა თქმა უნდა - მე უბრალოდ აღმოვჩნდი ამ ორომტრიალში, რადგან ვიყავი ნაშრომების ავტორი კონსტანტინე გამსახურდიაზე, თანაც ზვიადთან ერთად ვმუშაობდი ლიტერატურის ინსტიტუტში და პლუს როგორც „ლიტერატურული საქართველოს" რედაქტორი. ბუნებრივია, იმ დაძაბულ ვითარებაში მიხდებოდა პრეზიდენტთან შეხვედრები. კარგად ვგრძნობდი, რომ მისი გარემოცვა მოვლენების დრამატიზებას ცდილობდა. მე კი გაზეთში ზომიერი ხაზი მეჭირა და, ალბათ, დღესაც, როგორც ექვსი წლის უკან, ზუსტად ისე მოვიქცეოდი. არცერთი სტატიის გამო არ ვგრძნობ სინანულს, გამოვხატავდი პრეზიდენტისადმი მხარდაჭერას და თანაც ოპოზიციისაც ვუთმობდი ტრიბუნას. თუმცა, ვგრძნობდი, რომ ქვეყანა დაღუპვისკენ მიდიოდა. ახლაც მიმაჩნია, რომ რაც უნდა ცუდი პრეზიდენტი ჰყავდეს ქვეყანას, არ შეიძლება მისი ძალადობით დამხობა.

– ნუთუ დღევანდელ პრეზიდენტზეც ასე ფიქრობთ?

– დიახ, ედუარდ შევარდნაძე მოგვწონს თუ არ მოგვწონს, არსებობს არჩევნები, რითაც უნდა მოხდეს მმართველობის შეცვლა. საერთოდ, აფხაზეთის ტოლი ტრაგედია არც თუ ხშირია საქართველოს ისტორიაში. რომ არ ყოფილიყო დაპირისპირება, მაშინ აფხაზეთის პრობლემა მოიხსენებოდა. რუსეთმა მშვენივრად იცოდა, რომ ზვიადს ხალხისგან უდიდესი მხარდაჭერა გააჩნდა და თუ იგი იქნებოდა ქვეყნის სათავეში, აფხაზეთს ვერ წაგვგლეჯდნენ. ზვიადი უნდა მოენელებინათ, რათა ეროვნულ მოძრაობას ბურჯი გამოცლოდა. მართალია, ჩეჩნეთში მოკლეს დუდაევი, მაგრამ ასპარეზზე დადგნენ იანდარბიევი, მასხადოვი და ა. შ. საქართველოში კი ზვიადის შემცვლელი არ გამოჩნდა. ალბათ, ერთადერთ თენგიზ სიგუას შეეძლო ეს, მაგრამ მან რადიკალური პოზიცია არჩია და ისტორიაში შევა, როგორც ერის მოღალატე. ასევე ტრაგიკული როლი ითამაშა ვახტანგ გოგუაძის წერილმა, რომელიც მან 22 თუ 23 სექტემბერს გაუგზავნა უზენაეს საბჭოს და პირველად უწოდა ზვიადს დიქტატორი ჩაუშესკუ, რითაც ერთგვარი პაროლი მისცა ოპოზიციას, რომ გასწორებოდნენ პრეზიდენტსა და მის ოჯახს. ფაქტია, ზვიადს მეტს დაუთმობდა რუსეთი, ვიდრე დაუთმობს შევარდნაძეს, მის პოლიტიკურ აკვანში ნალოლიავებსა და ამაგდადებულს. ამიტომაცაა, რომ იგი, იქნებ სურს კიდეც, მაგრამ ვერასდროს დაუძვრება რუსულ არტახებს.

– საინტერესოა, ლიტერატორ ზვიად გამსახურდიას შემოქმედების თქვენეული შეფასება?

– ისევ დიდი კონსტანტინეთი დავიწყებ. იგი თავისი შემოქმედების საწყის ეტაპზე, მთელი 10-12 წლის მანძილზე წერდა უფერულ ლექსებსა და მოთხრობებს. მაშინ ვერავინ წარმოიდგენდა, რომ კონსტანტინე გამსახურდია აწ ცნობილი რომანებისა და წიგნების ავტორი გახდებოდა. ამიტომ მას ხშირად ჰქონდა კონფლიქტი, როგორც გიმნაზიის, ისე შემოქმედებითი წრის ამხანაგებთან. ეს არის ხანა, როცა მისი თანატოლები ტიციანი, პაოლო, გალაკტიონი უკვე ცნობილი პოეტებია, მას კი ღირსეული არაფერი ჰქონდა შექმნილი და დასცინოდნენ კიდეც. ამბიცია დიდი ჰქონდა. მაგრამ შედეგი არ ჩანდა, როცა გალაკტიონს უკვე გამოცემული ჰქონდა „არტისტული ყვავილები“, რომლის მსგავსი ქართულ ლირიკაში არაფერი შექმნილა.

ასევე დაემართა ზვიად გამსახურდიასაც - წლების განმავლობაში მას გამორჩეული არაფერი შეუქმნია ლიტერატურაში. ბოლო 6-7 წლის მანძილზე წარმოჩინდა იგი, როგორც ლიტერატორი და ესეისტი. განსაკუთრებული გამარჯვება მის შემოქმედებას კი „ვეფხისტყაოსნის სახისმეტყველებამ“ მოუტანა. მოკლედ, 1985 წლამდე მას გამორჩეული არაფერი დაუწერია. იქნებ არც უბეჭდავდნენ. ვფიქრობ, რომ დაცლო-

და, პოლიტიკას რომ თავი დავანებოთ, ლიტერატურაშიც კიდევ უფრო მნიშვნელოვან ნაშრომებს შექმნიდა.

ახლა ძნელია ამის თქმა, მაგრამ მე ვფიქრობ მარტ-აპრილში ზვიადი გადადგებოდა. თუმცა ფაქტი ერთია, პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია ხალხს გულწრფელად უყვარდა, რასაც ვერ ვიტყვით ედუარდ შევარდნაძეზე.

ზვიადის გზა ქრისტესმიერი გახლდათ.

ესაუბრა გივი თევზაძე
გაზ. „გაუხმაურებელი ფაქტები“,
1997, 21-28 ივლისი

ნატო ვაჩნაძეც იცნობდა ბერიას, ამიტომ დამსმენად გამოვაცხადოთ?

– ბატონო სოსო, როგორ შეაფასებდით გასულ წელს პოლიტიკური თვალსაზრისით?

– ცხოვრება ხელისუფლების დიქტატს ნაკლებად ემორჩილება. მას თავისი უხილავი და მოუხელთებელი კანონები წარმართავს და ვფიქრობ, გასული წელი იყო პროგრესის მომტანი ქართველი ხალხისთვის. რაც შეეხება ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას, ამ მხრივ არაფერი შეცვლილა. ხორციელდება რუსეთის მიერ თავსმოხვეული ფედერალიზმის მოდელი, რომლის თანახმადაც სოხუმი, ბათუმი და ცხინვალი შევლენ არა საქართველოს შემადგენლობაში, არამედ თბილისთან ერთად შექმნიან ერთიან ქვეყანას. ასეა, მაგალითად, გერმანიაში, შვეიცარიაში... მაგრამ ეს თეორიულად ლამაზი მოდელი ჩვენთვის სასიკეთო ვერ იქნება. **ჩამოყალიბდება კონფედერაციული სახელმწიფო**, რომელსაც საერთო საზღვრები მხოლოდ რუკაზე ექნება. რუსეთი კიდევ ერთხელ შეგვარყევს და სოხუმს და ცხინვალს შეეძლებათ დამოუკიდებელ სახელმწიფოებად გასვლა და მათ აღიარებენ კიდეც.

ახლა ერთი გაუგებარი და შემზარავი ფაქტის გამო მინდა მოგახსენოთ — ქართველთა დიდ ნაწილს უკვე აღარ აწუხებს აფხაზეთი. აფხაზეთის კატასტროფა ერთ-ერთი უდიდესი ტრაგედიაა ჩვენი ერის ისტორიაში. მე გავიმეორე ერთი ჩემი კოლეგის მაგალითი და სტუდენტებს ვუთხარი, ჩათვლას მოგცემთ, თუ მეტყვით, როდის დაეცა სოხუმი-მეთქი. 20 მომავალი ჟურნალისტისგან ვერც ერთმა სწორი პასუხი ვერ გამცა, ზოგ მათგანს მხოლოდ სექტემბერი ახსოვდა...

– მანანა არჩვაძეს ბოლოდროინდელ გააქტიურებას სხვადასხვა ინტერპრეტაციას აძლევენ. თქვენი თვალსაზრისი როგორია?

– ქალბატონი მანანა პოლიტიკური აქტიურობით ყოველთვის გამოირ-

ჩეოდა. მაგრამ საქართველოში ჩამოსვლამდე ამას ნაკლებად გრძნობ-დნენ. მან სამარ თლიანად აღადგინა „მრგვალი მაგიდა“, რადგან ამ სა-ხელით მოქმედი ჯგუფი სექტად თუ კასტად იქცა. საოცარია, თენგიზ კიკაჩეიშვილი ახლა თანახმაა არჩევნებში მონაწილეობაზე. ხოლო 1995 წელს, როცა რაღაც შანსი კიდევ არსებობდა, ყველა საშუალებას მი-მართა „XXI საუკუნის“ დისკრედიტირებისათვის და კარგი სამსახური გაუწია ხელისუფლებას.

1991 წლის ნოემბერში უზენაესმა საბჭომ მიიღო კანონი პრეზიდენტის შესახებ უფლებამოსილების გასვლის შემდეგ, თუ რა სტატუსი უნდა მიეცეს მას, მის ოჯახს. მაგრამ ამას ახლა ვინ გაიხსენებს. როგორც იცით, გადამწვარია „კოლხური კოშკი“. აღდგენაზე არავინ ფიქრობს. ჩვენ ამის გამო მივმართეთ საზოგადოებას. მიმართვა დაბეჭდა რამდე-ნიმე გაზეთმა. მაგრამ არ გამოგვეხმაურა არცერთი საზოგადოება და პოლიტიკური ორგანიზაცია.

ასე რომ, ზვიად გამსახურდიას ოჯახის დევნილობა გრძელდება. ჩვენ ბევრი რამ გვავიწყდება და მათ შორის ისიც, რომ ქალბატონი მანანა არის საქართველოს პირველი პრეზიდენტის მეუღლე და დიდი ქართველი მწერლის რძალი...

– არსებობს ვერსია, რომ გარკვეული წრეები ზვიად გამსახურდიას უფროს ვაჟს — კოკო გამსახურდიას პრეზიდენტობის კანდიდატად ამზადებენ. თქვენი აზრით, რამდენად პერსპექტიული და რეალურია ეს ვერსია?

– პრეზიდენტს ხალხი ირჩევს. ამიტომ პრეზიდენტად მომზადება, ალბათ, არაზუსტი გამოთქმაა. მე ვიცნობ კონსტანტინე (კოკო) გამსა-ხურდიას ნაშრომებს. იგი უაღრესად ერუდირებული, ნიჭიერი და შრომისმოყვარე მეცნიერია. როგორც იცით, ექვსი წელია ცხოვრობს ოჯახთან ერთად შვეიცარიაში. არ ვიცი, აპირებს თუ არა პოლიტიკურ მოღვაწეობას, მაგრამ თუ რომელიმე ჯგუფი მას დაასახელებს მომა-ვალში პრეზიდენტობის კანდიდატად, მოულოდნელი რატომ უნდა იყოს.

– კინორეჟისორმა გიორგი შენგელაიამ კონსტანტინე გამსახურდია 30-იანი წლების დამსმენად გამოაცხადა.

– კონსტანტინე გამსახურდია „მთვარის მოტაცებისა“ და „დიდოსტა-ტის მარჯვენის“ ავტორია... იგი ყველაზე დიდი ქართველი პროზაიკო-სია. ყველამ იცის, თუ რა პერიოდში იცხოვრა მან,რა გზა გამოიარა. და-ინტერესებულ მკითხველს ვთხოვ წაიკითხოს ჩემი ახლადგამოცემული წიგნი „კონსტანტინე გამსახურდიას ცხოვრების გზა“, რათა მეტი წარ-მოდგენა იქონიოს მის დრამატულ ბიოგრაფიაზე. ხოლო მქირდავი და მაგინებელი კონსტანტინეს არც სიცოცხლეში აკლდა. ბევრი ბრალად

სდებს მას, რომ კარგი ურთიერთობა ჰქონდა ლავრენტი ბერიასთან. მაგრამ ჯერ ერთი, ბერია საბჭოთა სახელმწიფოს ერთ-ერთი ხელმძღვანელი იყო, მეორე, მთავარი იყო ის, რომ ბერიას ჰქონოდა კონსტანტინესთან შეხვედრის სურვილი. ბერიას ნატო ვაჩნაძეც კარგად იცნობდა — ელდარ და გიორგი შენგელაიების დედა, მაგრამ ამის გამო შეიძლება ის, ვისაც სილამაზის ეტალონად მიიჩნევდნენ, დამსმენად გამოაცხადო?

– 1991 წელს თქვენ „ლიტერატურული საქართველოს“ რედაქტორი იყავით... ზვიად გამსახურდიას, ალბათ, ხვდებოდით. ბოლოს როდის ნახეთ იგი და რაზე ისაუბრეთ?

– მე ხელს ვაწერ „ლიტერატურული საქართველოს“ 25 ნომერს. რა თქმა უნდა, მხარს ვუჭერდი ხალხის არჩეულ პრეზიდენტს, მაგრამ ამასთან ერთად გაზეთის ფურცლებს ვუთმობდი მწვავე წერილებსაც. არავის დაბეჭდვაზე უარი არ მითქვამს იმ მოტივით, რომ ის ოპოზიციონერი იყო. მაგრამ როცა ამათ ხელისუფლება ჩაიგდეს, არათუ ბეჭდვის უფლება მოგვცეს, არამედ ყველანი მოგვხსნეს სამსახურიდან, მუხრან მაჭავარიანიც კი. უკვე ექვი წელი გავიდა, მაგრამ ჩემს უღირს კოლეგებზე არაფერი დამიწერია კრიტიკული, თუმცა კრიტიკოსი გახლავართ. საჭიროდ არ მიმაჩნია დაპირისპირების გამწვავება, თუმცა სათქმელი ბევრი მქონდა და სავსებით სამართლიანიც...

ბატონ ზვიადს თბილისში ბოლოს 1991 წლის 17 დეკემბერს შევხვდი. იგი მოწყენილი და დაღლილი ჩანდა. უხალისოდ მელაპარაკა. დავუტოვე კონსტანტინე გამსახურდიას ოცტომეულის პირველი ტომის საკორექტურო ფურცლები. რა საჭიროა მე გადავხედოო — მითხრა, შემდეგ დაუმატა: რამდენიმე დღის შემდეგ დამირეკეო. ასეთი სევდიანი პრეზიდენტობის პერიოდში მე იგი არასოდეს მინახავს. სჩანს, იცოდა, თუ რა უნდა მომხდარიყო და გარდაუვალ ტრაგედიაზე ფიქრი გულს უკლავდა...

— ერთი მწერალი გვიმტკიცებდა, რომ ქართველი მწერლების უმრავლესობა უწიგნურია და რომ მათ „ტომ სოიერის თავგადასავალიც“ კი არა აქვთ წაკითხული. თქვენც იგივე აზრი გაქვთ ქართველი მწერლების შესახებ და საერთოდაც, როგორია მათი როლი დეკემბერ-იანვრის მოვლენებში?

– თქვენ გულისხმობთ, ნოდარ კობერიძეს. როგორც ვთქვი, მე არ მინდა კოლეგების განქიქება. ისე, რომ გითხრათ, ძალიან ზუსტად ვიცი, ვის რა „დამსახურება“ მიუძღვის საქართველოს ტრაგედიაში, თუნდაც იმიტომ, რომ მაშინ ვიყავი ლიტერატურული საქართველოს“ რედაქტორი, ვიცნობ მათ ნაწერებს, მათ პიროვნულ თვისებებს და ხელისუფლებასთან დამოკიდებულებას. ამჯერად ერთ პიროვნებაზე მინდა მოგახსენოთ — ეს გახლავთ დავით მჭედლური. მე მას პატივს ვცემდი, როგორც პოეტს და ლიტერატორს. ძალიან მინდოდა გადმომეყვანა „ლიტერატუ-

რულ საქართველოში“. სექტემბრის თვეში გაგრძელებით დავბეჭდეთ მისი სტატია ბერიაზე. 2 ოქტომბერს ოპოზიციონერ მწერლებს უნდოდათ „მცირე პუტჩის“ გათამაშება და მწერალთა ხელმძღვანელობის გადაყენება. ეს არ გამოუვიდათ და გაბოროტებულმა „დემოკრატებმა“ გაზეთში საპროტესტო წერილი მომიტანეს. როგორ არ გვაძლევთ ამის ნებასო. თუ ეს არ დაიბეჭდა, არ ვიცით, რას ვიზამთო. ის წერილი იმავე ნომერში დავბეჭდე. მაგრამ ამოვიღე დავით მჭედლურის გვარი. ამის გამო დავურეკე და ვუთხარი, რა უნდა შენს გვარს ამათთან, შენ ხომ ჩვენთან გადმოდიხარ სამუშაოდ-მეთქი. არ ვიცი ჩემი გვარი მანდ როგორ გაჩნდა, პროვოკაციაა და ამოიღეო. გაზეთი რომ გამოვიდა, ტარიელ ჭანტურიამ მითხრა, მჭედლურის გვარი სად არისო. როცა ავუხსენი საქმის ვითარება, გაიცინა, ეს ტექსტი მან დაწერა თავის მანქანაში ჩემს თვალწინო.

შემდეგ დავით მჭედლური ჩემი რეკომენდაციით დანიშნა მუხრან მაჭავარიანმა „კრიტიკის“ რედაქტორად. მწერალთა კავშირის თავმჯდომარეს რომ უარი არ ეთქვა, დავაწერინე მუხრან მაჭავარიანის პოეზიაზე — „სიტყვის მახვილი“. მაგრამ გადატრიალება რომ მოხდა, ძლივს მომესალმა. მუხრანს არც შეხმიანებია. ხოლო „ლიტერატურულ საქართველოში“ სასწრაფოდ დაბეჭდა ლექსები პუტჩისტური სულით გაჟღენთილი, რომლებიც თითქოს ნოემბერსა და დეკემბერში დაწერა. არ ვიცი, როდის იყო გულწრფელი, როცა ლექსებს წერდა თუ „სიტყვის მახვილს“ აქვეყნებდა. ყოველ შემთხვევაში, ასეთი ორპირა და მედროვე მწერლები დადგნენ მაშინ თენგიზ სიგუას, თენგიზ კიტოვანის და ჯაბა იოსელიანის გვერდით, მაგრამ როცა მათ ფეხი დაუცდათ, უსინდისოდ მიივიწყეს.

როცა მწერლისა და მოღვაწის წინაშე დგას ალტერნატივა — ზვიად გამსახურდია თუ ჯაბა იოსელიანი, როგორ შეიძლება აირჩიო ჯაბა და ამისთვის ტყვია დაუშინო ზვიადს...

– კონსტანტინე გამსახურდიას ოცტომეულის გამოცემის საკითხი რა სტადიაშია?

– გამოსულია კონსტანტინე გამსახურდიას ოცტომეულის ხუთი ტომი. ჩანაფიქრის მიხედვით იგი ოთხ წელიწადში უნდა გამოცემულიყო. ოცტომეულის გამოცემის საკითხი მე დავაყენე და ამის გამო წერილიც დავბეჭდე გაზეთ „თბილისში“ 1990 წელს. იდეა მოეწონა ზვიად გამსახურდიას, მაგრამ სხვადასხვა მიზეზთა გამო გამოცემის დაწყება გაჭიანურდა. პრეზიდენტობის პერიოდში ბატონი ზვიადი დიდად იყო დაინტერესებული გამოცემით და პირველი ტომიც თავად შეადგინა. გამოცხადდა ხელმოწერა. მსურველთა რიცხვმა თითქმის ასი ათასს მიაღწია, მაგრამ შემდეგ საქართველოს ცხოვრება ისე წა-

რიმართა, რომ წიგნისადმი ინტერესი გაქრა. აი, ბოლო წიგნი გამოვეცით 3 000 ტირაჟით და ცხრა თვის მანძილზე მხოლოდ 700 ცალი გაიყიდა! მაგრამ თურმე, ეს არცთუ ისე ცუდი მაჩვენებელი ყოფილა. გამოიცა გალაკტიონის რჩეული და უდიდესი პოეტის შედევრების მხოლოდ ერთი ცალია გაყიდული სამი თვის მანძილზე, როგორც წერს რეზო მიშველაძე. არადა თბილისის ქუჩებს რომ გახედავ, ძველებურად დაქრიან მანქანები, თანაც უკეთესი მარკის მანქანები. რეალური სურათი ასეთია — საზოგადოებას წიგნი არ აინტერესებს. მიზეზის სათავე კი ჩვენი სინამდვილეა.

– „კონსტანტინე გამსახურდიას საზოგადოების“ უახლოესი გეგემები?

– კონსტანტინე გამსახურდიას საზოგადოების უახლოეს გეგმებზე ვერაფერს მოგახსენებთ, რადგან თავმჯდომარის მოადგილედ კი ვითვლები, მაგრამ სხდომებს დიდი ხანია არ ვესწრები. თქვენ გახსოვთ, ჩვენი საზოგადოების პრეზიდენტი იყო მუხრან მაჭავარიანი, გამოჩენილი პოეტი და მოღვაწე. მაშინ მხოლოდ თბილისის ორგანიზაციაში იყო რეგისტრირებული 7 000 წევრი. შემდეგ ცნობილ მოვლენათა გამო შენელდა საზოგადოების აქტიურობა. მაგრამ მან მაინც შეძლო არჩევნებში 54 პარტიას შორის მეექვსე ადგილის დაკავება. ეს მაშინ, როცა საზოგადოება შუაზე გაყო ბოიკოტის იდეამ... გადადგა მუხრან მაჭავარიანიც, ხოლო გელა სალუაშვილმა ოპორტუნისტულად ჩამოაყალიბა ბლოკი „ზვიადის გზა“. ამავე დროს გვებრძოდა „მრგვალი მაგიდა“ და პრესაც. შემდგომ ემიგრაციაში წავიდა ელიზბარ ჯაველიძე, შეწყდა გაზეთ „სამრეკლოს“ გამოცემა და არსებულ სიტუაციაში მე მივიჩნიე, რომ საზოგადოებას სათავეში უნდა ჩადგომოდა ბატონი ვახტანგ ბოჭორიშვილი — ცნობილი მეცნიერი და უაღრესად გულისხმიერი პიროვნება. მაგრამ მოხდა პარადოქსი და ბატონმა ვახტანგმა განმტკიცების ნაცვლად დაშლისკენ წაიყვანა საზოგადოება. ერთხანს ასეთი იდეაც ჰქონდა — რად გვინდა გამსახურდიას სახელი, შევცვალოთ, ევროპა ვერ გაგვიგებს და ნაციონალისტები ვეგონებითო. ასევე გაუგებრობას აღძრავდა ყოფილ პუტჩისტებთან და დღევანდელ ოპოზიციონერებთან გაუთავებელი დიალოგები, რაც მოსალოდნელი კრახით დასრულდა. მე ვიყავი გაზეთების „გრალის“ და „კოლხური კოშკის“ რედაქტორი. მაგრამ ისინი სათანადოდ ვერ გამოხატავდნენ საზოგადოების პოზიციას და შეხედულებას. ბატონ ვახტანგთან სხდომებზე გამართული პოლემიკა პრესის ფურცლებზე არ გადამქონდა, არც საწინააღმდეგო პოზიციის ჩვენება მინდოდა. ერთი სიტყვით, რეგიონები დარჩა ყურადღების მიღმა. სამეგრელოს რიგ რაიონებში ჩვენ არჩევნებში პირველი ადგილი ავიღეთ. მაგრამ ამ ორგანიზაციის არცერთ თავმჯდომარეს ბატონი ვახტანგი არ შეხვედრია. მას ჰქონდა კეთილშობილური იდეა: მოეხდინა

ეროვნული მოძრაობის ძალთა კოორდინირება, მაგრამ ის საყრდენიც ჩამოეშალა, რომელზეც იდგა.

ესაუბრა გოჩა ხარებავა
გაზ. „დრო“, 1998, №3

ძნელად მოსაყოლი ისტორია ან 80 წლის ქალი პოლიტიკური საბაბით მოკლეს?!

– მიუხედავად იმისა, რომ კომუნისტური პარტიის წევრი ვიყავი, ყოველთვის მხარს ვუჭერდი საქართველოს თავისუფლების იდეას და, შესაბამისად, თავისუფალი ლიტერატორის პრინციპებს ვიცავდი. ეროვნულ-გამათავისუფლებელ მოძრაობაშიც ჩავები, ოღონდ არა როგორც პოლიტიკოსი, არამედ — როგორც ლიტერატორი.

მაშინაც მიმაჩნდა და დღესაც მიმაჩნია, რომ 1991-92 წლების გადატრიალება ჩვენი ქვეყნის ისტორიაში ერთ-ერთი დიდი და მძიმე დანაშაული იყო, რომელსაც საქართველოსთვის კატასტროფული შედეგები მოჰყვა.

აქედან გამომდინარეობს ჩემი, ასე ვთქვათ, ოპოზიციური დამოკიდებულება დღევანდელი ხელისუფლების მიმართ.

– უბრალოდ ადამიანური მრწამსი...

– ყველა ქართველი თავისი ქვეყნის მომავალზე უნდა ფიქრობდეს და შესაძლებლობის ფარგლებში ზრუნავდეს კიდეც.

– მთარგმნელი, ლიტერატორი და კრიტიკოსი — ამათგან რომელი რომელს „ჩაგრავს?“

– სპეციალობით ლიტერატორი ვარ. ამდენად ჩემი ძირითადი საქმიანობაც ესაა. რაც შეეხება კრიტიკულ სტატიებს, 1970-90 წლებში ვაქვეყნებდი. საქართველოში ურთიერთდაპირისპირების დაწყებისთანავე მათი წერა შევწყვიტე. პოლიტიკურ მოსაზრებებზე დაყრდნობით ლიტერატურის შეფასება არასწორია. შეიძლება, პოლიტიკური მრწამსით ჩემთვის მიუღებელი ადამიანი დიდი ხელოვანი იყოს ან პირიქით, პოლიტიკის თვალსაზრისით თანავუგრძნობდე ისეთ კაცს, რომელიც ღირებულს არაფერს ქმნის. ჩვენი ადამიანური სისუსტეებიდან გამომდინარე, სუბიექტივიზმი გადაგვძალავს ხოლმე. ამიტომ ვარჩიე, თანამედროვე მწერლებზე საერთოდ არაფერი დამეწერა.

– დანაკლისის კომპენსაციის მიზნით თარგმნეთ ალექსანდრ ბლოკის რჩეული?

– ბლოკი ჩვენი პოლიტიკური ცხოვრების მიღმა იდგა და თანაც,

ჩავთვალე, რომ ეს უფრო სასარგებლო საქმე იქნებოდა, ვიდრე ჩემს კოლეგებზე სტატიების ბეჭდვა.

***

მთქმელი გამგონს ეძებს, წიგნი — მკითხველს. ორივე ადრესატი ძნელი საპოვნია. სამწუხაროდ, დღეს წიგნისთვის ძალიან ცოტა თუ იცლის.

– მიზეზი?

– წიგნის კითხვით, უნივერსიტეტის დამთავრებით და ხარისხების დაცვით ფული და მატერიალური კეთილდღეობა არ მოიპოვება. გაჩნდა ფულის შოვნის სხვა წყაროები, რომლებსაც ერუდიცია და განათლება არ სჭირდება.

– შედეგი?

– საქართველოში ძალიან მალე დაიწყება კრიზისი მეცნიერებაში, ხელოვნებაში და საერთოდ გვეყოლებიან ზედაპირული ცოდნის დილეტანტები და არა სპეციალისტები.

კიდევ ერთი პრობლემა: მაშინ, როცა მიხეილ ჯავახიშვილის, ილია ჭავჭავაძის, კონსტანტინე გამსახურდიას, გალაკტიონ ტაბიძის და სხვა კლასიკოსთა ტომეულების გამოცემა უსახსრობის გამო შეჩერებულია, შეუფერხებლად იბეჭდება და გამოდის ბულვარული ლიტერატურა, რომელსაც მკითხველებშიც „დიდი გასავალი“ აქვს.

კომუნისტური რეჟიმის დროს წიგნის გამოცემა ასე იოლი არ იყო, რადგან ფილტრაციისა და ცენზურის ათასგვარი მექანიზმი მოქმედებდა. ამას უარყოფითთან ერთად დადებითი მხარეც გააჩნდა: შემთხვევითი ავტორი წიგნს ვერ გამოსცემდა, თუმცა, ზოგიერთი ამის გამო ზარალდებოდა კიდეც.

დღეს პირიქით,ყველაფერი ნებადართულია. ყველა გრაფომანს შეუძლია წიგნი გამოუშვას. ჩვენი მეცენატები და ბიზნესმენებიც სწორედ ასეთ გამოცემებს აფინანსებენ. კლასიკა აღარავის აინტერესებს.

– ბატონო სოსო, დღევანდელი ახალგაზრდობა თუ გეიმედებათ?

– ქვეყნის მომავალს ყოველთვის ახალგაზრდობის ორიოდ პროცენტი ქმნიდა. ყველა დროში ასე იყო. აბსოლუტური უმრავლესობა მოწოდებულია ჩვეულებრივი ცხოვრების და არა, მაინცდამაინც, რაიმე განსაკუთრებულის შექმნისათვის. ხარისხი ხომ რაოდენობაში არ მდგომარეობს. ამიტომ ასი ახალგაზრდიდან ერთი-ორი თუ მაინც აღმოჩნდა ნიჭიერი, სავსებით საკმარისია.

ასე რომ ყველა თაობას თავისი სათქმელი აქვს.

– რამდენიმე წლის წინ ხმები „აგორდა“, სოსო სიგუა კონსტანტინე

გამსახურდიას ქართველობას ეჭვქვეშ აყენებს და სომხობას სწამებსო...

– ასეთი ჭორები ჯერ კიდევ მაშინ გაავრცელეს, როცა სადოქტორო დისერტაციას ვიცავდი. დაცვას ესწრებოდა ზვიად გამსახურდია, რომელთანაც კარგი ურთიერთობა მქონდა და რომელზე რეაგირების მოხდენაც, მისი ხასიათიდან გამომდინარე, ძნელი არ იყო. მაგრამ ის პროვოკაციას არ წამოგებია. შემდეგ, 1991 წელს, განაახლეს აღნიშნული კამპანია ჩემს წინააღმდეგ და ერთხელ კიდევ სცადეს, ამ ცილისწამების საფუძველზე კონფლიქტი გამოეწვიათ ჩემსა და პრეზიდენტ გამსახურდიას შორის. რა თქმა უნდა, ეს ცდაც მათთვის უშედეგოდ დამთავრდა.

ამ პერიოდში გაზეთ გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოს“ რედაქტორი ვიყავი. ჭორების საპასუხოდ, თავად პრეზიდენტის წინადადებით, დავწერე სტატია გამსახურდიების გვარის წარმოშობისა და გენეალოგიის შესახებ. წერილი მაშინ „ლიტერატურულ საქართველოში“ და შემდეგაც არაერთხელ დაიბეჭდა.

ბატონ სოსო სიგუას საბოლოო კომენტარი ამასთან დაკავშირებით:

– კონსტანტინე გამსახურდიას გვარს არაფერი აქვს საერთო სომხებთან. მე არასდროს მსგავსი არაფერი მითქვამს და დამიწერია. და საერთოდ, სასაცილოა, რომ ამაზე ვმსჯელობთ.

****

ძნელადმოსაყოლი ისტორია: 1992 წლის სექტემბერში, სოფელში, საკუთარ სახლში მოკლეს 80 წლის ქალბატონი — ბატონ სოსო სიგუას დედა.

მიზეზი -გაურკვეველი საბურველით მოცული.

– ვფიქრობ, რომ ეს შურისძიება იყო...

არჩევნების წინაპერიოდში „ზვიადისტობის“ საბაბით ხალხს იჭერდნენ და ერთი-ორი კვირით ციხეში ამყოფებდნენ, რათა არჩევნებისთვის ხელი არ შეეშალათ. მე გამაფრთხილეს, სხვათა შორის, ხელისუფლებასთან დაახლოებულმა პირებმა, რომ ჩემს წინააღმდეგ რაღაცა მზადდებოდა...

იმ დღეებში ორი ნიღბიანი გადაჭრილი თოფებით თავს დამესხა და ავტომანქანა წამართვა.

აქედან დაიბადა ეჭვი... თანაც, დედაჩემის მკვლელობა იმ მიზნით, რომ, ვთქვათ, წაერთმიათ მისთვის ფული ან სიმდიდრე, აბსურდია, რადგან ჩვენი ოჯახი სოფელში ყველაზე ღარიბულად ცხოვრობდა.

– ბატონო სოსო, პრეზიდენტის განკარგულებით საქართველოში ე. წ. „ზვიადისტთა“ შემორიგების პროცესი დაიწყო. როგორც ფიქრობთ, გამთელდება „ჩატეხილი ხიდი“?

– ომის, ნგრევისა და ურთიერთქიშპობის შემდეგ საზოგადოების

გამთლიანება აუცილებელია.

1921 წელს, როცა საქართველოში ასეთივე დიდი ტრაგედია მოხდა, კომუნისტებს გამთლიანებაზე არ უფიქრიათ. და თუ ედუარდ შევარდნაძის მიზანი მართლაც დემოკრატიული საქართველოს აშენებაა, მაშინ მან დათრგუნვაზე კი არა, ნამდვილ შერიგებაზე უნდა იზრუნოს.

სამწუხაროდ, ჯერჯერობით მხოლოდ დათრგუნვა და შემორიგების მორჩილებასთან გაიგივება ხდება.

ესაუბრა ხათუნა ყვირალაშვილი
გაზ „მაცნე“, 1998,15-21 აპრილი

P.S. მოგვიანებით დააკავეს დედაჩემის მკვლელობაში ბრალდებული ორი ახალგაზრდა – მამუკა ძაგანია *და* თენგიზ მიქაია. *მაგრამ რამდენიმე თვის შემდეგ მარტვილის რაიონის პროკურორისა* (ვახტანგ სართანია) *და გამომძიებლის* (მევლუდ გოგინავა) *წყალობით გაათავისუფლეს.*

ზვიად გამსახურდიას საიუბილეო საღამოზე არ დაგვპატიჟეს!

პროფესორ სოსო სიგუას ზვიად გამსახურდიას ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე რამდენიმე წერილი აქვს გამოქვეყნებული. ერთი ზვიად გამსახურდიას „საქართველოს სულიერ მისიას“ ეძღვნება, მეორეს კი ასე ჰქვია: „დევნილი ტრიმფატორი“. „დევნილი ტრიუმფატორის“ აპოლოგეტს, როგორც ჩანს, საიუბილეო კომისიის საორგანიზაციო კომიტეტმა ეს საკმარისად არ ჩაუთვალა და ბატონი სოსო თსუ-ში გამართულ სამეცნიერო სესიაზე მხოლოდ და მხოლოდ ერთ-ერთი რიგითი სტუმარი გახლდათ, ოპერის სახელმწიფო თეატრში გამართულ სხდომაზე კი სტუმრის სტატუსიც არ ხვდა წილად, რამეთუ მოსაწვევი კონსტანტინე გამსახურდიას საზოგადოებისათვის სრულებითაც არ იყო გათვალისწინებული. არც ის იცის, რა პრინციპით დარიგდა მოსაწვევები. მაგრამ თვლის, რომ ამას გადამწყვეტი მნიშვნელობა არა აქვს, ვინც ზვიად გამსახურდიას აფასებს, ისედაც აღნიშნავდა ამ თარიღს.

საიუბილეო კომისიის თავმჯდომარის ასეთი საქციელის მიზეზს ვხვდები. ქალბატონმა მანანამ ვერ აიტანა კონსტანტინე გამსახურდიას საზოგადოების თავმჯდომარის, ბატონ ვახტანგ ბოჭორიშვილის განცხადება — მანანა არჩვაძე-გამსახურდია პოლიტიკოსი არ არისო. სოსო სიგუაც ხომ ამ საზოგადოების წევრია. თუმცა, ეს შემდეგ იყო. კონფლიქტი მათ შორის გაცილებით ადრე დაიწყო:

– კონსტანტინე გამსახურდიას საზოგადოება მანანა არჩვაძის მიერ აღდგენილ „მრგვალ მაგიდაში“ სტუმრის სტატუსით იმყოფებოდა მცირე ხანს. შემდეგ ჩვენს შორის განსხვავებული პოზიციები გამოიკვეთა. უფრო კონკრეტულად რომ ვთქვათ, „მრგვალი მაგიდის“ სპიკერი ბიოკოტს უცხადებს არჩევნებს, ბატონი ვახტანგი კი თვლის, რომ ჩვენ მასში მონაწილეობა უნდა მივიღოთ. ამის შემდეგ დავტოვეთ „მრგვალი მაგიდა“, მაგრამ ჩვენს შორის კონფლიქტი არ ყოფილა.

– ბატონო სოსო, როგორი ზვიადელები ხართ, თუკი არჩევნებში მონაწილეობთ? ეს იმას ნიშნავს, რომ აღიარებთ დღევანდელი ხელისუფლების ლეგიტიმურობას.

– საბჭოთა კავშირი 70 წლის განმავლობაში არსებობდა. მიუხედავად იმისა, რომ ძალით მოიპოვეს ხელისუფლება, მსოფლიომ აღიარა. ერთია — უკანონო გზით მოსული ხელისუფლება და მეორეა — მისი ფაქტობრივი არსებობა. რეალობას ვერსად გაექცევი.

– თქვენი დამოკიდებულება ქალბატონ მანანას მიმართ...

– ქალბატონი მანანა უაღრესად ერუდირებული ადამიანია, საოცარი მეხსიერების მქონე და ძალზე საინტერესო მოსაუბრე. რაც შეეხება პოლიტიკოსობას, ამას დრო და ვითარება გამოაჩენს. მოგეხსენებათ, მარტო ერუდიცია და განათლება არ არის საკმარისი პოლიტიკოსისათვის. ამ წელიწადნახევრის გამავლობაში, რაც იგი საქართველოშია, ბევრი რამ გააკეთა. სავსებით მართებულად აღადგინა მრგვალი მაგიდა, რომელიც თანგიზ კიკაჩეიშვილმა დაშალა. ვნახოთ, როგორ განვითარდება მოვლენები.

– თქვენ ამბობთ, რომ აღადგინა „მრგვალი მაგიდა“. ჩამოსვლისას მან მართლაც განაცხადა, რომ გააერთიანებდა ზვიადისტური მოძრაობის ყველა ფრთას, მაგრამ პირიქით მოხდა, ისინი კიდევ უფრო დაიშალნენ.

– ამაში უდიდესი როლი მიუძღვის არჩევნებისადმი დამოკიდებულებას. პარტიები, რომლებმაც წინა არჩევნებს ბოიკოტი გამოუცხადეს (ვგულისხმობთ კიკაჩეიშვილის „მრგვალი მაგიდას“, ჯ. გამახარიას საზოგადოება „ჭყონდიდელს“), დღეს აცხადებენ, რომ არჩევნებში მონაწილეობა საჭიროა. მათ 4 წელი დასჭირდათ, რომ ეს ეღიარებინათ, ჩვენ კი ამას 4 წლის წინ ვამბობდით.

– დღეს თენგიზ კიკაჩეიშვილი შიმშილობს 1991-92 წლების მოვლენების შეფასების მოთხოვნით. ეთანხმებით ამ მოთხოვნას?

– თენგიზ კიკაჩეიშვილის შიმშილობა ვერაფერს შეცვლის. ამ წლების მოვლენების შეფასება გარდაუვალია და ეს უამისოდაც მოხდება. უნდა ვთქვათ, რომ საზოგადოებამ ეს მოვლენები უკვე შეაფასა. უფრო მეტიც, თავად პუტჩისტებიც კი გრძნობენ საკუთარ დანაშაულს, თუმცა ამას ხმამაღლა არ აღიარებენ.

– ბატონი თენგიზი ასევე ბრძანებს, რომ აქამდე მოითხოვდნენ კანონიერი ხელისუფლების აღდგენას, მაგრამ მიხვდნენ, რომ პრაქტიკულად ეს შეუძლებელია. თქვენ როგორ ფიქრობთ?

– კანონიერი ხელისუფლების აღდგენა რეალური გახლდათ, სანამ ბატონი ზვიადი ცოცხალი იყო. მისი სიკვდილის შემდეგ კი ყოველივე ეს უტოპიად იქცა. გარდა ამისა, დაიშალა უზენაესი საბჭო, ბევრი პიროვნება მოღალატედ არის გამოცხადებული.

– უზენაესი საბჭო დაიშალაო, — ბრძანებთ. მან კი შარშან მუშაობა განაახლა...

– მე ამ პროცესს შორიდან ვუყურებ და ამ ფაქტთან დაკავშირებით ვერაფერს მოგახსენებთ, მაგრამ რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, დღესდღეობით ორი თუ სამი უზენაესი საბჭო არსებობს.

– პარადოქსია, რომ ორი უზენაესი საბჭო არსებობს, ორი „მრგვალი მაგიდა“, ორი თუ სამი წმიდა ილია მართლის საზოგადოება...

– ეს პარტიები, რომლებიც თქვენ ჩამოთვალეთ, აუცილებლად უნდა ყოფილიყო რეგისტრირებული. რეგისტრირებული პარტია შეიძლება არსებობდეს მხოლოდ ერთი... ამის მთავარი მიზეზი კი მაინც ისაა, რომ საქართველოში ყველას ამბიცია აწუხებს, ყველას პირველობა უნდა და ამ ამბიციების რეალიზებას ცდილობს 2 თუ 5-კაციან პარტიებში.

– თქვენს საზოგადოებაში რამდენი წევრია?

– 1993 წელს რეგისტრირებული იყო 30000 წერი. ახლა გაცილებით ნაკლებია, მაგრამ ჩვენ გვაქვს რაიონული ორგანიზაციები ბათუმში, ფოთში, ზუგდიდში, აბაშაში, რუსთავში...

– ბათუმში მართლაც აქტიურად მიღვაწეობს თქვენი საზოგადოება. ხომ არ ნიშნავს ეს იმას, რომ თქვენთვის ზვიად გამსახურდია ასლან აბაშიძემ შეცვალა?

– ზვიად გამსახურდია ცოცხალი აღარაა, პოლიტიკას კი ცოცხალი ადამიანი წარმართავს. ასლან აბაშიძე ცდილობს, გააერთიანოს დაპირისპირებული ძალები. აღიარებს და პატივს სცემს ზვიად გამსახურდიას პიროვნებას და დამსახურებას. საიუბილეოდ თავისუფლების მოედანს ზვიად გამსახურდიას სახელი ეწოდა. ჩვენ მჭიდრო ურთიერთობა გვაქვს მასთან და შესაძლოა, არჩევნებში ერთიანი ბლოკითაც გამოვიდეთ.

– კონსტანტინე გამსახურდიას საზოგადოებამ იუბილე ქუთაისში აღნიშნა. რატომ არ აღნიშნეთ იუბილე თბილისში, ან, თუნდაც, ბათუმში?

– თბილისში ზვიად გამსახურდიას იუბილე შესაფერისად აღინიშნა. მას ჰყავდა ორგანიზატორი. ამიტომ ამ დღის ქუთაისში აღნიშვნა სულაც არ იყო ურიგო. პირიქით, ეს ორი ღონისძიება ავსებდა ერთმანეთს.

იქ იყო ჩვენი საზოგადოების თავმჯდომარე ბატონი ვახტანგ ბოჭორიშვილი.

– ფაქტია, ვერ მოხერხდა, რომ თუნდაც ერთი დღით, საიუბილეოდ, გაერთიანებულიყო ზვიად გამსახურდიას მიმდევარი ყველა ძალა. თუ იყო ვინმესგან ამის მცდელობა? თუნდაც — თქვენგან?

– ჩვენგან იყო, მაგრამ, სიმართლე უნდა ითქვას, აქტიური მცდელობა უნდა ყოფილიყო.

– ზვიადისტების ერთი ნაწილი თვლის, რომ იუბილე დარბაზებში კი არ უნდა ჩატარებულიყო, არამედ ქუჩაში, რამეთუ ამგვარი ზეიმი შეურაცხყოფს ზვიად გამსახურდიას სახელს...

– იუბილე უნდა ჩატარებულიყო ისე, როგორც ჩატარდა. ოპერაში სწორედ ასეთ დამსახურებულ პიროვნებათა იუბილეები ტარდება. სახელმწიფომ ამით გამოხატა თავისი პატივისცემა ამ პიროვნებისადმი.

– დიახ, თავად ხელისუფლებამ შეუწყო ხელი ამ დღის შესაფერისად აღნიშვნას. უცნაურად არ გეჩვენებათ?

– დიახ. გეხსომებათ თავად ედუარდ შევარდნაძის სიტყვები — ზვიად გამსახურდიას სახელს ვერავინ ამოშლის საქართველოს ისტორიიდან. იგი იყო პირველი პრეზიდენტი და უნდა მივაგოთ შესაფერისი პატივიო. გეხსომებათ ისიც, რა თქვა 4-5 წლის წინ — პოლიტიკური ლეში ფიზიკურ ლეშად იქცაო. კარგის მაუწყებელია თავად ის ფაქტი, რომ ედუარდ შევარდნაძის ცნობიერებაში ასე შეიცვალა ზვიად გამსახურდიასადმი დამოკიდებულება.

– თქვენ გჯერათ, რომ შეიცვალა?

– მე ფაქტებით ვმსჯელობ. გულში რას ფიქრობს, ძნელი სათქმელია.

* * *

ბატონ სოსოს დღეს არც მწერალთა კავშირის სწყალობს და არც „ლიტერატურული საქართველო“. ამის მიზეზი, რაღა თქმა უნდა, მისივე პოზიციაა. 1992 წელს მწერალთა ერთმა ჯგუფმა, მათ შორის — სოსო სიგუამაც, დატოვა მწერალთა კავშირი. მანამდე ჩვენ, ყველანი, სამხედრო საბჭომ მოგვხსნა თანამდებობიდან. მათ არც მუხრან მაჭავარიანი დაინდეს — გამოჩენილი ქართველი პოეტი, — აცხადებს იგი.

– მას შემდეგ მრავალი რამ შეიცვალა, მათ შორის — თქვენს აზროვნებაშიც. დღეს არ გაქვთ ისეთი რადიკალური დამოკიდებულება ხელისუფლებისადმი. ხომ არ ყოფილა თქვენი მწერალთა კავშირში დაბრუნების მცდელობა მათი ან თქვენივე მხრიდან?

– არა. იმათი მხრიდან წინადადება არ ყოფილა. პირიქით, შარშან „ლიტერატურულმა საქართველომ“ საშინლად გამლანძღა, რაზეც პასუხი არ გამიცია. ეს — ერთი. მეორეც: მწერალთა კავშირი კომუნის-

ტების მიერ იყო შექმნილი. მათ სჭირდებოდათ მწერალთა ორგანიზაცია მწერლობაზე დიქტატისათვის. დღეს შეიძლება არსებობდეს მწერალთა კლუბი, მწერალთა ასოციაციები, მაგრამ ასეთი ცენტრალიზებული ორგანიზაცია, ჩემი აზრით, საჭირო არ არის. ამიტომ ჩემი იქ დაბრუნება სრულიად ზედმეტია. ასევე ფიქრობს ბატონი მუხრანიც.

– რატომ დუმს ბატონი მუხრანი?

– რამდენიმე დღის შემდეგ მას 70 წელი უსრულდება. მინდა, ვისარგებლო შემთხვევით და მივულოცო. იგი დღესდღეობით ყველაზე პოპულარული პოეტია და, როგორც პოეტი, სულაც არ დუმს. ამ წლებში მან ლექსების ორი კრებული გამოსცა, სადაც გამოხატა თავისი მრწამსი, თავისი პოზიცია.

– ბატონი მუხრანი დღეს შერისხულია პირველი პრეზიდენტის მეუღლისაგან...

– მე ვიცი, რომ ბატონი მუხრანი იდგა ზვიად გამსახურდიას გვერდით, იყო მისი მხარდამჭერი, პატივისმცემელი და დღესაც ასეა.

– სად არის აკაკი ბაქრაძე, ნოდარ წულეისკირი, ელიზბარ ჯაველიძე, ენვერ ნიჟარაძე, სხვა მწერლები, ლიტერატორები? რატომ არიან ჩუმად?

– დღეს მრავალი გაზეთი გამოდის. მე ვერ გეტყვით, მონაწილეობენ თუ არა ისინი საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ფაქტია, ადრე უფრო აქტიურობდნენ. მაშინ სხვა პერიოდი იყო. ეს იყო მოძრაობა საქართველოს გადარჩენისათვის, დღეს საქართველოს ისეთი პრობლემები დაუგროვდა, რომ მწერლის სიტყვა გადამწყვეტი ვერ იქნება. აქ სიტყვა უნდა თქვას პოლიტიკოსმა. ბატონი აკაკი რომ პოლიტიკოსი არ არის, წინა საპრეზიდენტო არჩევნებშიც გამოჩნდა, აგრეთვე — 1990 წლის არჩევნებში. მას შეექმნა ამბიცია, რომ არჩევნებში გაიმარჯვებდა, მაგრამ... იგი პოლიტიკოსი არ არის. იგი ლიტერატორია. არ არის აუცილებელი, მწერალი პოლიტიკაში წამყვანი პიროვნება იყოს.

– 1991 წელს თქვენ „ლიტერატურული საქართველოს“ რედაქტორი ბრძანდებოდით. იმ დროს ეს გაზეთი ხელისუფლების მძლავრ ტრიბუნად იქცა. დღეს, რამდენადაც ვიცი, გაზეთი ყოფილი რედაქტორის მიმართ არცთუ კეთილგანწყობილია...

– 1991 წელს „ლიტერატურული საქართველოს“ რედაქტორი გავხდი. ცხადია, ვიცავდი ზვიად გამსახურდიას კურსს. „ლიტერატურული საქართველო“ ლიტერატურული გაზეთია და ძირითადად გამოხატავდა ინტელიგენციის იმ ნაწილის პოზიციას, რომელიც იცავდა ზვიად გამსახურდიას ხელისუფლებას. თუმცა, გაზეთში ყოველთვის ვუთმობდით ადგილს ზვიად გამსახურდიას ხელისუფლებისადმი შეურიგებელ პიროვნებებსაც. არ მახსოვს მწერალი, ვისთვისაც უარი გვეთქვას

დაბეჭდვაზე იმის გამო, რომ იყო პუტჩისტების მხარდამჭერი. 1992 წლიდან, თქვენც ხედავთ, რომ არ გამოქვეყნებულა ზვიად გამსახურდიას მომხრე არცერთი მწერლის პუბლიკაცია, პირიქით! ახლა გადახედეთ 1991 წლის ოქტომბრის ნომრებს, იქ ნახავთ ჩემს წინააღმდეგ გამოქვეყნებულ პუბლიკაციას, რომელსაც მწერალთა კავშირის 72 წევრი აწერს ხელს. დღეს კი ოპოზიციისთვის „ლიტერატურული საქართველოს“ კარი დახურულია.

– ბატონო სოსო, ხომ არ ფიქრობთ, რომ თქვენი „ლიტერატურული საქართველო“, ლიტერატურული კრიტიკის ნაცვლად, პირადი ანგარიშსწორების ორგანოდ იქცა?

– 1991 წელს ისეთი ვნებათაღელვა იყო საქართველოში, რომ წმინდა ლიტერატურისათვის ვერავინ იცვლიდა. მწერლები წერდნენ პოლიტიკაზე.

– თქვენ თვლით, რომ ვნებათაღელვის პერიოდმა გაიარა და დადგა დრო, როცა მწერალმა პოლიტიკაზე არ უნდა წეროს?

– რაც შეეხება ბოლო წლებში მწერლობის მდგომარეობას. მოხდა პარადოქსული ფაქტი. ეპოქალური იდეები და ძვრები ყოველთვის ხელს უწყობს ლიტერატურის განვითარებას. მაგრამ ბოლო 10 წლის განმავლობაში მწერლობამ ვერ შეძლო ამ პროცესების ღირსეული ასახვა. აქ იმაზე არ არის საუბარი, ზვიად გამსახურდიას მომხრე ხარ თუ მოწინააღმდეგე. უმთავრესია ერისა და ლიტერატურის ბედი. ჩვენმა მწერლობამ ვერ ასახა ეს პროცესი, მარტო პუბლიცისტიკა, მარტო ინტერვიუ ლიტერატურა არ არის.

P. S. პროფესორი სოსო სიგუა ამჟამად თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტშიც მოღვაწეობს.

გასულ წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსებიდან 80 წლის იუბილე აღინიშნა. ჩუმად და უხმაუროდ ჩაიარა იუბილემ. ერთ-ერთი ღირსშესანიშნავი მოვლენა ბატონი პრეზიდენტის ვიზიტი გახლდათ უნივერსიტეტში, მაგრამ... ისევე, როგორც წელს, პრეზიდენტ გამსახურდიას საიუბილეო საღამოს, უნივერსიტეტის საიუბილეო საღამოსაც ბევრი მსურველი ვერ დაესწრო... ერთი ელემენტარული მიზეზის გამო — მოსაწვევი არ შეხვდა, ან, უბრალოდ, ჯიბეგაფხეკილ პროფესორებს გზის ფული არ ჰქონდათ. ასეა თუ ისე, პირველი პრეზიდენტის მეუღლისა და მწერლებისაგან შერისხული ბატონი სოსო თავს ყველაზე მშვიდად, ჯერჯერობით, უნივერსიტეტში გრძნობს. კაცმა რომ თქვას, გულის დასამშვიდებელი აქაც არაფერია, მაგრამ...

ესაუბრა თეა ასათიანი

გაზ. „ასავალ-დასავალი“, 1999, 5-11 აპრილი

1992 წელს პუტჩისტები ხომ ვერ წარმოიდგენდნენ, რომ ზვიადის დაბადების 60 წლისთავი ოპერის თეატრში აღინიშნებოდა, ხოლო თავად ციხეში აღმოჩნდებოდნენ!

– ბატონო სოსო, ახლოვდება ზვიად გამსახურდიას იუბილე. თქვენ მისი თანამებრძოლი ბრძანდებოდით და საინტერესო იქნება ზვიად გამსახურდიას, პოლიტიკოსისა და მეცნიერის, თქვენეული შეფასება.

– ზვიად გამსახურდია, მოგეხსენებათ, დიდი ერუდიციის მრავალმხრივი მოღვაწე გახლდათ. იგი უაღრესად საინტერესოა როგორც მეცნიერი და არა მხოლოდ როგორც პოლიტიკოსი. წლების მანძილზე ხელისუფლება მისდამი სიძულვილს ავრცელებდა, არ უბეჭდავდა წიგნებს და ხელოვნურად ქმნიდა მის გარშემო ინტელექტუალურ ვაკუუმს, თითქოს აიძულებდა კიდეც, რომ დისიდენტი ყოფილიყო.

ზვიად გამსახურდიაზე დიდად იმოქმედა ე. წ. პერესტროიკის წლებმა. იგი როგორც მეცნიერი ერთბაშად გარდაიქმნა. განახლებამ, ეროვნული სულის აღმავლობამ იგი შთაგონებით აღანთო. ცხადია, საფუძველი რომ არ ჰქონოდა, ეს ვერ მოხდებოდა. მაგრამ სუბიექტურ მონაცემებს სჭირდება ობიექტური გარემო, ატმოსფერო. ამიტომ არის, რომ ზვიადის, როგორც მოაზროვნის მკვეთრი აღმავლობა იწყება 1985-1986 წლიდან.

როგორც „საქართველოს სულიერი მისია“, ისე „ვეფხისტყაოსნის სახისმეტყველება“ მრავალმხრივ მნიშვნელოვანი წიგნებია. რუსთველოლოგია მთელი საუკუნის მანძილზე იყო ფილოლოგიური. ეს ხელს აძლევდა საბჭოთა ხელისუფლებას. შალვა ნუცუბიძის გარდა, თითქმის ყველა მეცნიერი ფილოლოგიური თვალსაზრისით სწავლობდა „ვეფხისტყაოსანს“. ხოლო ფილოლოგია ნაკლებად უკავშირდება აზროვნებას. ბიოგრაფიის, ტექსტის, ხელნაწერების კვლევა აუცილებელია, მაგრამ მათი შესწავლით ვერ გამოჩნდება რუსთაველის სიდიადე. ზვიად გამსახურდიამ წარმოაჩინა მოაზროვნე პოეტი. ეს წიგნი ემოციური მგზნებარებით არის დაწერილი და მკითხველმა რომც არ გაიზიაროს ავტორის თვალსაზრისი, მაინც ზემოქმედებს მასზე.

ზვიად გამსახურდია — პოლიტიკოსი საყოველთაოდ ცნობილია. ვინმეს მოსწონს თუ არა ფაქტია — მისი ლიდერობით დაამარცხეს კომუნისტები მრავალპარტიული არჩევნებში, მან გამოაცხადა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის გაუქმება. ზვიად გამსახურდიამ მოაწყო 1991 წლის 31 მარტის

რეფერენდუმი საქართველოს დამოუკიდებლობაზე და იყო ქვეყნის პირველი პრეზიდენტი.

ერთი წლის მანძილზე იგი სამჯერ აირჩიეს ქვეყნის ხელმძღვანელად. მიუხედავად ამისა, ერთი მუჭა კრიმინალებისა და აგენტების ხელით იგი დაამხო რუსეთის იმპერიამ. შეიძლება ითქვას, ზვიად გამსახურდია განწირული იყო — რუსეთი ვერ შეურიგდებოდა მის პრეზიდენტობას, რადგან ჰყავდა თავისი კანდიდატი — ედუარდ შევარდნაძე. იმჟამად რუსეთს მხარს უჭერდა მთელი დასავლეთი, რადგან რუსეთმა ყველაფერი დასთმო ევროპისა და ამერიკის სასარგებლოდ. ასეთ სიტუაციაში მან რამდენიმე თვე მაინც შეძლო ხელისუფლების შენარჩუნება, რადგან ჰქონდა ხალხის უდიდესი მხარდაჭერა, რომლის მსგავსი იშვიათად თუ ჰქონია რომელიმე ქართველს.

თქვენ გეხსომებათ, რამდენი მიტინგი გაიმართა მისი სახელისა და ღირსების დასაცავად, რამდენჯერ დაარბიეს ეს მიტინგები, რამდენი ხალხი დაიხოცა. საკმარისია დავასახელოთ 1991 წლის 3 და 7 იანვარი, 2 თებერვალი. ხალხს ხოცავდა და ხვრეტდა არა რუსი, არამედ — ქართველი!

— „ზვიადისტთა“ გარკვეულმა ნაწილმა თქვენ მოღალატედ შეგრაცხათ. საინტერესოა თქვენი კომენტარი ამ ფაქტთან დაკავშირებით.

— არ ვიცი ვის გულისხმობთ, რომელმა ნაწილმა გამომაცხადა მოღალატედ. თენგიზ კიკაჩეიშვილს „მრგვალ მაგიდას“ ვუპირისპირდებოდი, რადგან მან მცდარი გეზი აიღო, მაგრამ მისი წევრი არ ვყოფილვარ. ასე რომ ვერ ვუღალატებდი. მე ყოველთვის მიმაჩნდა, რომ არსებობდა მხოლოდ არჩევნების გზა. ე. წ. ბოიკოტისტები, რომლებიც გვებრძოდნენ და გვლანძღავდნენ 1995 წელს, ახლა თავადაც არჩევნების იდეას უჭერდა მხარს. მაგრამ იმდენად დააგვიანდათ, რომ წარმატებას ვერ მიაღწევენ. მათ დაკარგეს სიტუაციის გრძნობა, გარიცხეს თანამებრძოლები და შერჩათ მხოლოდ აკვიატებული ამბიციები.

გარდა ამისა, მე ლიტერატორი ვარ და სულაც არ მაინტერესებს რომელიმე უმეცარი რას ფიქრობს ჩემზე.

კონსტანტინე გამსახურდიას საზოგადოება სტუმრის სტატუსით შედიოდა ქალბატონ მანანა არჩვაძე-გამსახურდიას მიერ აღდგენილ „მრგვალ მაგიდაში“. მაგრამ არჩევნების საკითხთან მიმართების გამო გამოვიდა. ამ დაცილებას კონფლიქტი არ მოჰყოლია.

— ახლა ბევრს საუბრობენ „კანონიერი ხელისუფლების აღდგენის“ შესახებ. როგორ გესახებათ ეს „აღდგენა“?

— კანონიერი ხელისუფლების აღდგენა შესაძლებელი იყო ზვიად გამსახურდიას სიცოცხლეში. შემდეგ ამ იდეამ აქტუალობა დაკარგა და არარეალური გახდა.

რა თქმა უნდა, საქართველოს ისტორიაში მოხდა საზარელი ფაქტი — კანონიერი ხელისუფლების დამხობა. განმეორდა 1921 წელი. მაგრამ რუსეთმა და რუსეთის აგენტებმა იმიტომ კი არ დაამხეს ხალხის მიერ არჩეული პრეზიდენტი, პარლამენტი და მთავრობა, რომ შემდეგ მისი აღდგენა დაეშვათ. ხალხი ამდენი ბრძოლით და დამარცხებით დაიღალა. მას აღარ გააჩნია არც ძველებური შემართება, არც პატრიოტიზმი. მოძალადე ხელისუფლებამ ზვიად გამსახურდიას დამარცხებით დათრგუნა ეროვნული სული. რუსეთს ის კი არ აინტერესებდა, რომ საქართველოს უნაკლო პრეზიდენტი ჰყოლოდა. მას უნდოდა ის, რასაც დღეს ვხედავთ საქართველოში — დაცემა, ქვეყნის დაშლა, გაპარტახება, რწმენის განადგურება.

სამწუხაროდ, დამხობილი ხელისუფლება ვერ აღმოჩნდა ბრძოლისუნარიანი. ამ მხრივ იგი ვერ შეედრება ნოე ჟორდანიას მთავრობას.

დრომ დაამტკიცა, რომ ზვიად გამსახურდია იყო ერის ნამდვილი ლიდერი და არა მხოლოდ პრეზიდენტი.

ზვიად გამსახურდიამ ერთ წელიწადში მოასწრო შეექმნა საქართველოს დამოუკიდებლობის სამართლებრივი ფუნდამენტი.

1992 წლის მარტში პუტჩისტები ხომ ვერ წარმოიდგენდნენ, რომ ზვიადის დაბადების 60 წელი ოპერის თეატრში აღინიშნებოდა, ხოლო თავად ციხეში აღმოჩნდებოდნენ!

— თქვენ, პირველ რიგში, მეცნიერი ბრძანდებით. თუ საიდუმლო არ არის, რა პრობლემებზე მუშაობთ ამჟამად?

— ახლა დროა ისეთი, არავის არაფერი აინტერესებს, არც ლიტერატურა, არც მეცნიერება. ჩვენ ყოველთვის ვამტკიცებდით, მწერლობა ერის სულისკვეთების გამომხატველიაო. სამწუხაროდ, ამას ვერ ვიტყვით დღევანდელი ქართველი მწერლების დიდ ნაწილზე. მწერალი თავის ბუნებით ოპოზიციონერია, რადგან წინ იხედება და აწმყო არ აკმაყოფილებს. ამას იგი არც ვინმეს სიყვარულით, არც ვინმეს სიძულვილით არ აკეთებს. მწერალს უყვარს თავისი ხალხი, თავისი ქვეყანა, თავისი საქმე და ამიტომ არის ოპოზიციონერი. ხოლო ის, ვინც კმაყოფილია და მორჩილი, სასიკეთოს ვერაფერს გააკეთებს.

გადახედეთ დღევანდელ „ლიტერატურულ საქართველოს“, დღევანდელი მწერალთა კავშირის წევრების წიგნებს და ნახავთ, როგორ მშვიდად შესცქერიან ისინი საქართველოს დაქცევას და როგორი ტკბილი ხმით ეუბნებიან ბანს ქვეყნის დამაქცევარ ძალებს...

ამჟამად ვწერ წიგნს — „ქართული მოდერნიზმი“, იბეჭდება „მარტვილი და ალამდარის“ მეორე ტომი.

ესაუბრა გ. ს.

გაზ. „მესამე ათასწლეული“, 1999, 31 მარტი-6 აპრილი

ავაღორძინოთ საქართველო ერთად!

მოგეხსენებათ, კონსტანტინე გამსახურდიას შემოქმედების საფუძველი იყო თავისუფალ საქართველოზე ფიქრი და ოცნება. მაგრამ დღეს რომ წამოახედა, ისევ სამარეში ყოფნას ირჩევდა.

ჩვენ თვალწინ დატრიალდა აფხაზეთის ტრაგედია, რომლის მსგავსი იშვიათია საქართველოს ისტორიაში, რადგან ყოველგვარ მსხვერპლს აღემატება ტერიტორიის დაკარგვა.

როცა განდევნეს ნოე ჟორდანია, საქართველოს წაართვეს ართვინი და არტაანი, ლორე და საინგილო.

როცა განდევნეს ზვიად გამსახურდია, ამას მოჰყვა სამაჩაბლოსა და აფხაზეთის ტრაგედია, სამეგრელოს აწიოკება, ქვეყნის გაჩანაგება და ეროვნული სულის დაცემა.

დღევანდელი ხელისუფლება ამბობს, ეს დროებითი მოვლენაა და ყველაფერი მოგვარდებაო.

რასაკვირველია, დროებითია, რადგან ქვეყანად მარადიული არაფერია და ყველაფერი იცვლება. მაგრამ ხომ იტყვის ისტორია, ვისი მმართველობის დროს მოხდა ეს ყოველივე და რისთვის მოხდა...

ზოგი ამას უცხო ძალას აბრალებს, ის კი ავიწყდება, რომ უცხოს იმიტომ ჰქვია უცხო, რომ იგი შენს საქმეს არ აკეთებს!

მაგრამ ცხოვრება გრძელდება და ყოველთვის უნდა გვახსოვდეს ილია ჭავჭავაძის სიტყვები:

„მოვიკლათ წარსულ დროებზე დარდი,
ჩვენ უნდა ვსდიოთ ახლა სხვა ვარსკვლავს“...

ხალხს აინტერესებს დღევანდელი დღე, პერსპექტივის პოვნა, გამოსავალის ძიება. გუშინ რაც მოხდა, ამას ისტორიკოსებიც განსჯიან. ხოლო დღევანდელობა რომ კრიზისულია და მეტისმეტად სავალალო - ხელისუფლებაც აღიარებს.

აღიარებს, მაგრამ მაინც ზრდის ბენზინისა და ელექტროენერგიის საფასურს, ხელს უწყობს მონოპოლიზაციას, მაშინ, როცა ვეღარ იძლევა ხელფასებს, სტიპენდიებს, პენსიებს.

საქართველოში არ არსებობს დაწესებულება, რომლის ვალი არ ემართოს სახელმწიფოს.

თურმე მარტვილის რაიონში 14 თვეა მასწავლებლებს ხელფასი არ აუღიათ!

ცხადია, ასეთ მასწავლებელს არც ავტორიტეტი ექნება და არც მუშაობის ხალისი. მაგრამ საქმე ისაა, რომ არც ხელისუფლებას სჭირდება იგი. აცხადებენ, სოფლის სკოლა უნდა არჩინოს თავად სოფელმა, მისმა გამგეობამ.

ამ დროს გამოდის ტელევიზიის ეკრანზე ცნობილი პოეტი და სიამაყით ამბობს, მე ხომ ქუჩაში გავიზარდე, ქუჩის ბიჭი ვიყავიო.

უსმენს ამას სტუდენტი თუ მოსწავლე და ფიქრობს, თუ ეს კაცი ქუჩაში გაიზარდა, მე რაღად შევაკლა ამ წიგნებს თავიო.

ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორი აცხადებს, ილია ჭავჭავაძე რად გვინდა, რა დროს ვაჟა-ფშაველას პოეზიაა, ქართული ლიტერატურა აწი უნდა შეიქმნასო!

შემდეგ ცნობილი მსახიობი იტყვის, ქართული გენი დაბერდა, მას ახალი სისხლით განახლება სჭირდებაო.

დაბეჭდავს ერთდროს პოპულარული პოეტი ახალ ლექსებს და ზედ სამეგრელოს კილვას მიაყოლებს - „ვეფხისტყაოსანი“ მეგრულად თარგმნეს და მიჯღარკ-მოჯღარკეს ქართული ლექსიო!

ასე თანდათან ყალიბდება ეროვნული ნიჰილიზმი. ხოლო ნიჰილისტი არც ქვეყანას ააშენებს და არც დაიცავს.

ცხადია, ცალკეული ნიჰილისტური აზრი ყოველთვის არსებობდა, მაგრამ როცა იგი იქცევა სახელმწიფო პოლიტიკის ნაწილად - დამღუპველია.

თქვენ ხედავთ, რომ ქართული წიგნი არ იყიდება.

ჩვენ იძულებულნი გავხდით, შეგვეწყვიტა კონსტანტინე გამსახურდიას ოცტომეულის გამოცემა, რომლის პირველი წიგნები 60.000 ტირაჟით დავბეჭდეთ.

წარმოიდგინეთ - როცა კონსტანტინეს წიგნები ძლივს იყიდება, ვის სჭირდება თანამედროვის ნატანჯი ლექსები!

ილია ჭავჭავაძემ 1863 წელს გამოსცა ჟურნალი „საქართველოს მოამბე“. მისი ტირაჟი იყო 700 ცალი. ახლა გადახედეთ „მნათობსა“ და“ცისკარს“. მათი ტირაჟი 500-ს არ სცილდება. ეს მაშინ, როცა ქართველთა რიცხვი გასამმაგდა ამ 140 წლის მანძილზე.

თუ დაინგრა განათლების სისტემა, თუ დაიკარგა ქართული წიგნისადმი ინტერესი, ეს იმას ნიშნავს, რომ XXI საუკუნის საქართველოს სპეციალისტები არ ეყოლება. სამაგიეროდ ევრაზიის კორიდორს, მის რესტორნებს, სასტუმროებსა და კაზინოებს ეყოლება უკეთესი მომსახურე პერსონალი!

კონსტანტინე გამსახურდიას საზოგადოება ყოველთვის იმედით ეკიდებოდა და მხარს უჭერდა აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში მიმდინარე აღმშენებლობას, მის ლიდერს ბატონ ასლან აბაშიძეს.

ამისი დასტურია თუნდაც ჩვენი გაზეთები - „გრაალი“, „კოლხური კოშკი“ და „XXI საუკუნე“, რომელსაც ამჟამად ვცემთ.

დღეს ყველა გონიერმა ქართველმა იცის, რომ ბატონმა ასლან აბაშიძემ აჭარას სიმშვიდე შეუნარჩუნა, დაამკვიდრა აღმშენებლობის სუ-

ლისკვეთება, რომლის საფუძველია წესრიგი, დისციპლინა და საზოგადოებრივი თანხმობა, რაც ასე სჭირდება საქართველოს.

„ბათუმს ქათქათას“, - ამბობს ერთი ძველი სიმღერა.

დღეს მართლაც თეთრად ქათქათებს ახლად გალამაზებული ბათუმი.

ათწლეულების მანძილზე ჩვენ შეგვაჩვიეს ჯერ აბაშის და ფოთის, შემდეგ - სამეგრელოს, სამაჩაბლოსა და აფხაზეთის ექსპერიმენტებს.

მათ შედეგებს ყველანი ვხედავთ.

მაგრამ ყველა ექსპერიმენტი ხომ ტრაგედიით არ მთავრდება, ყველა მათგანი ხომ არ არის გათვლილი სისტემის თუ ადამიანის გამძლეობაზე.

ჩავთვალოთ, რომ აჭარაში ჩატარდა თავისუფალი საქართველოს აღორძინების ექსპერიმენტი და რადგან მან გაამართლა - გავავრცელოთ მთელ ქვეყანაში!

ავაღორძინოთ საქართველო ერთად!

„XXI საუკუნე“, 1999, 3-8 ივნისი

პუტჩიდან - ეროვნულ ნიჰილიზმამდე

ცნობილი ლიტერატორი სოსო სიგუა სხვადასხვა დროს რედაქტორობდა „ლიტერატურულ საქართველოს“, „კოლხურ კოშკს“, „გრაალს“. ამჟამად იგი გაზეთ „XXI საუკუნის“ რედაქტორია. იგი ფილოლოგიურ მეცნიერებათა დიქტორია. არის კონსტანტინე გამსახურდიას საზოგადოების ვიცე-პრეზიდენტი.

ამ ინტერვიუთი ბატონი სოსო ნათელს ჰფენს წარსულისა თუ დღევანდელობის ბევრ საინტერესო მომენტს.

– თქვენი რედაქტორობის პერიოდში „ლიტერატურულმა საქართველომ“ გამოაქვეყნა „მიმომხილველის“ ფსევდონიმით წერილი, რომელიც მკაცრად აკრიტიკებდა ოპოზიციონერ მწერლებს. მას დიდი გამოხმაურება მოჰყვა პრესაში. საინტერესოა, ვინ იყო ავტორი.

– ამ წერილის გამოქვეყნებას საინტერესო ისტორია აქვს და უკავშირდება გაავებული პუტჩისტების ბრძოლას ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების წინააღმდეგ. როგორც მოგესენებათ, მე მხარს ვუჭერდი პრეზიდენტს.

პუტჩისტებმა მოინდომეს, მწერალთა კავშირის ხელმძღვანელობა თავიანთ მხარეზე გადაეყვანათ. ემუქრებოდნენ მუხრან მაჭავარიანს, ემუქრებოდნენ ფიზიკური ანგარიშსწორებით. იგი იძულებული გახდა სახლში ჩაკეტილიყო. მაგრამ ესეც არ აკმარეს და მოინდომეს მისი გადაყენება. ეს ავტომატურად გულისხმობდა ჩემს მოხსნასაც.

არ ვიცი, ვინ იყო ინიციატორი, ყოველ შემთხვევაში - გურამ ფანჯიკიძის იმედი ჰქონდათ.

პუტჩისტების შეთქმულება სრულიად შემთხვევით გავიგე ერთი ცნობილი პოეტისაგან. დავურეკე ენვერ ნიჟარაძეს, მწერალთა კავშირის მდივანს და გავაფრთხილე მოსალოდნელი ინციდენტის შესახებ.

მაშინ ტელევიზიაში იდგა კიტოვანის გვარდია და ფიქრობდნენ, რომ ხელთ ეგდოთ მწერალთა კავშირი და „ლიტერატურული საქართველოც“.

ენვერ ნიჟარაძემ პრეზიდენტთან შეთანხმებით დაკეტა მწერალთა კავშირის შენობა და როცა პუტჩისტები იქ მივიდნენ, იმედგაცრუებულებმა აღშფოთება ვერ დამალეს. რომ არა ეს გადაწყვეტილება, მწერალთა სახლი გაპარტახდებოდა.

დავით მჭედლური ჩაჯდა თავის მანქანაში და სასწრაფოდ დაწერა საპროტესტო წერილი, რომელსაც ხელი მოაწერა 70-ზე მეტმა ოპოზიციონერმა მწერალმა.

ის წერილი ყოველგვარი კამათისა და მოწონების გარეშე დავბეჭდე 4 ოქტომბრის ნომერში. მაგრამ დავით მჭედლურთან შეთანხმებით ამოვიღე მისი გვარი. მიზეზი ისიც იყო, რომ იმავე ნომერში იბეჭდებოდა მჭედლურის წერილი „ნიჰილიზმის შემოტევა“, რომელშიც კიცხავდა პუტჩისტებს მუხრან მაჭავარიანის სახელის აუგად ხსენების გამო! აგრეთვე, წერილი ბერიაზე.

გავოცდი, ეს კაცი როგორ ახერხებდა - დაეცვა მუხრან მაჭავარიანი პუტჩისტებისაგან, თანაც მათი „მანიფესტი“ დაეწერა!

ცნობისათვის - „ნიჰილიზმის შემოტევა“, ისევე როგორც „სიტყვის მახვილი“ მე დავაწერინე დავით მჭედლურს, რადგან ჩვენ კარგი ურთიერთდამოკიდებულება გვქონდა და მინდოდა იგი გაზეთის რედაქტორის მოადგილედ დამენიშნა.

მართლაც - გადატრიალებამდე ოპოზიციას ჩამოსცილდა.

შემდეგ სწორედ ჩემი რეკომენდაციით დანიშნა იგი მუხრან მაჭავარიანმა ჟურნალ „კრიტიკის“ რედაქტორად (მანამდე ამ თანამდებობაზე უარი განაცხადა მამუკა წიკლაურმა).

ჩაშლილი შეთქმულების და შეთქმულ თანამოაზრეთა საპასუხო წერილი დაწერა ენვერ ნიჟარაძემ და წაგვიკითხა ბატონ მუხრანსა და მე (შემდეგ ავტორის დასადგენად გურამ ფანჯიკიძემ კომისიაც კი გამოჰყო!).

წერილი მართლაც მძაფრი, მაგრამ სამართლიანი იყო.

გადახედეთ დასახელებულ მწერალთა მოღვაწეობას ბოლო წლების მანძილზე და თავად დარწმუნდებით.

ისინი ხომ ხმას „იმაღლებდნენ დიქტატორულ-ბიუროკრატიული

მიმართულების“ წინააღმდეგ, მოითხოვდნენ - „შეწყდეს საქართველოს მოსახლეობის დეზინფორმაცია, დაშინება, მასობრივი ფსიქოზის გაღვივება, საქართველოს კუთხეთა და ტომთა ურთიერთდაპირისპირებაო“, თითქოს ამას მართლაც აკეთებდა ზვიად გამსახურდიას ხელისუფლება!

ახლა, როცა ნამდვილად დანგრეულია საქართველო, „მანიფესტზე“ ხელისმომწერთაგან (ორიოდე მწერლის გარდა) ყველა გატრუნულა და დუმილს არჩევს.

ენვერ ნიჟარაძის წერილი დაიბეჭდა „მიმომხილველის“ ხელმოწერით, რასაც მოჰყვა მხილებულ მწერალთა ნამდვილი ისტერია.

ხელისუფლების დამხობის მოსურნეთა წერილებს ვბეჭდავდი, მაგრამ უფრო ვბეჭდავდი, ცხადია, ხელისუფლების მომხრეთა სტატიებს, ლექსებსა და მოთხრობებს.

1991 წელს „ლიტერატურული საქართველო“ ავტორებს არ არჩევდა პოზიციის მიხედვით და უარი არ გვითქვამს არცერთი მწერლისათვის იმიტომ, რომ იგი ხელისუფლების მოწინააღმდეგე იყო.

მე მიმაჩნია, რომ „ლიტერატურულმა საქართველომ“ 1987-1991 წლებში გადამწყვეტი როლი შეასრულა თავისუფალი პრესის დასამკვიდრებლად (ისევე როგორც 1992-1993 წლებში „იბერია-სპექტრმა“).

ცნობისათვის - დავით მჭედლურის პოეზიაზე ყველაზე კარგი წერილი მე მაქვს გამოქვეყნებული - „უკანასკნელ საღამოთა სევდა“. ალბათ უკეთესი არც მომავალში დაიწერება. მიზეზი მარტივია - არა მგონია, ვინმე დაინტერესდეს ამ ერთდროს ნიჭიერი პოეტის ლექსებით...

– როგორ ფიქრობთ, პრეზიდენტ გამსახურდიას წინააღმდეგ ინტელიგენციის ერთი ნაწილი გამოდიოდა თუ მას ჰქონდა რაღაც ფორმით სახელმწიფო დონეზე ორგანიზებული სახე?

– ახლა ყველაფერი ნათელია, მაგრამ იმ დღეებში ძნელი იყო გარკვევა - პრეზიდენტს მართლა ოპოზიცია ებრძოდა თუ მოსკოვი.

გეტყვით იმას, რაც ვიცი. ცხადია, სხვებმა მეტი იციან, მაგრამ ხმას არ იღებენ.

9 სექტემბერს, დილით ოთხნიშნა ტელეფონზე დამირეკა სუკის თანამშრომელმა, რომელიც წლების მანძილზე კურირებდა მწერალთა კავშირს.

მითხრა, რომ ზვიად გამსახურდია განწირულია. არ ღირს მისი მხარდაჭერა და ამიტომ გირჩევთ, ნეიტრალიტეტი დაიცვათ, არ გთხოვთ მის კრიტიკასო.

მე ვუპასუხე, რომ პრეზიდენტი რომც გადადგეს, ხომ გააგრძელებს ბრძოლას და ეს როგორ გამოვა-მეთქი.

მან მიპასუხა, რომ ზვიადს ემხრობოდნენ ისინი, ვისაც საქართველოს

დამოუკიდებლობა უნდოდა. დამოუკიდებლობა ფაქტიურად მოპოვებულია. ასე რომ, დასაყრდენი არ ექნებაო.

მე გავაგრძელე საუბარი: ნუთუ გამოსავალი პრეზიდენტს არა აქვსმეთქი.

მან დაბეჯითებით მიპასუხა - გადადგომის მეტი სხვა გზა არ დარჩენია, რადგან თავიდანვე არასწორი კურსი აიღო, ოპოზიციასთან საერთო ენა ვერ მოძებნაო. ცოტა ხანს გაიხანგრძლივებს არსებობას თუ ხაბულიანს გაუშვებს და პარლამენტს დაითხოვსო.

ჩემთვის სრულიად ნათელი იყო, რომ სუკი აღარ ემორჩილებოდა პრეზიდენტს. მაგრამ საქართველოს სუკი მოსკოვს ექვემდებარებოდა და ეს აშკარას ხდიდა, რომ მოსკოვს გადაწყვეტილი ჰქონდა ზვიად გამსახურდიას თავიდან მოშორება.

რამდენიმე წუთის შემდეგ დამირეკა გურამ ფანჯიკიძემ, მოდი, რაღაც უნდა გითხრაო.

რომ მივედი, კარი ჩაკეტა და მითხრა, რამ დაგაბეჭდინა ნოდარ ჯალაღონიას ლექსი ზვიადზეო. გირჩევ ნეიტრალიტეტი დაიცვა, ნურც აქებ და ნურც აძაგებო. ზვიადი მალე გადადგებაო.

გარეთ რომ გამოვედი, ერთი ცნობილი პოეტი შემხვდა. დაანებე ზვიადის ქებას თავი, შენ მისი ოჯახის წინაშე ვალი მოხდილი გაქვს, სჯობს ნეიტრალიტეტი დაიცვაო.

სიტუაციის ასე შეცვლა ჩემთვის მოულოდნელი იყო, რადგან რამდენიმე დღე წასული ვიყავი სამეგრელოში და არც ვიცოდი, თუ რა ხდებოდა თბილისში.

სხვათაშორის, სანამ სუკიდან დამირეკავდნენ, დილით ჩემს კაბინეტში შემოვიდა ჯუმბერ თითმერია, გაზეთის განყოფილების გამგე.

მას ეჯავრებოდა ზვიადი და ამას არც მალავდა.

მიუხედავად ამისა, ჩვენ კარგი ურთიერთბა გვქონდა. განსხვავებული აზრი ჩემს აღშფოთებას არასდროს არ იწვევდა.

ჯუმბერს საუბარი არ დაუწყია, ისე გამომწვევად შეაგინა ზვიადს. მე ძველი თავაზიანობა მოვიცილე და საკმაოდ უხეშად ვუპასუხე.

ჯუმბერი გავიდა და მდივანს განცხადება შემოატანინა - შვებულებაში გასვლას ითხოვდა.

ამ ინციდენტის შემდეგაც მე მას ლოიალურად ვეკიდებოდი და ახლაც ვერ იტყვის, რომ თითქოს ვინმე ზღუდავდა ოპოზიციონერობის გამო. ისიც მინდა ვთქვა, რომ თავად ჯუმბერიც ცდილობდა ოპოზიციის ჩემდამი დამოკიდებულების ნორმალიზებას.

მე ვხედავდი, რომ პრეზიდენტის წინააღმდეგ შეთქმულების ფართო ქსელი იყო გაშლილი. მაგრამ იმასაც ვგრძნობდი, რომ მხოლოდ მიტინგებით და ცილისმწამებლური პროპაგანდით ზვიადს ვერ სძლევდნენ,

რადგან მას გაცილებით მეტი ფანატიკოსი მხარდამჭერი ჰყავდა. ხოლო თუ ჩვენი ინტელიგენცია იარაღს აიღებდა, ეს ნამდვილად არ მეგონა.

მე ნეიტრალიტეტი არ დამიცავს, თუმცა გაავებულ ოპოზიციონერებსაც ვუთმობდი გაზეთის ფურცლებს. დამირეკა სუკის თანამშრომელმა და გამაფრთხილა: იცოდე, ინანებ, მწარედ ინანებო...

შემდეგ ამ პიროვნებასთან საუბარი არ მქონია.

მე ახლაც მიმაჩნია, რომ როგორც რედაქტორი, სწორად ვიქცეოდი როგორც ხელისუფლების, ისე ოპოზიციის მიმართ, რადგან ხელს ვუწყობდი დიალოგს, სიმართლის ჩვენებას და არა დაპირისპირებას.

ეს განვაცხადე კიდეც 25 ოქტომბრის ნომერში.

– თქვენ ხშირად ხვდებოდით პრეზიდენტს. ხომ არ გაიხსენებდით რომელიმე შეხვედრას?

– დიახ, ბატონ ზვიადთან ხშირად მივდიოდი, მაგრამ არა პოლიტიკის გამო. ჩვენი საუბარი ძირითადად შეეხებოდა გაზეთსა და კონსტანტინე გამსახურდიას ოცტომეულის გამოცემას.

ნოემბრის თვეში ტელეგრაფის ერთი თანამშრომელი დამიკავშირდა და მითხრა, რომ ხშირად რეკავენ ქუთაისში რაღაც იარაღის, „ალაზნის“ ტიპის რაკეტების შემოტანის გამო ოპოზიციისთვისო.

მე ეს მოვახსენე პრეზიდენტს. მან ჩაიწერა იმ ქალის ტელეფონის ნომერი, მოძებნიან და გაარკვევენ, თუ რა ხდებაო.

ისე, ზვიადი არ გაოცებულა, ამ ფაქტს საკმაოდ გულგრილად შეხვდა.

ერთი კვირის შემდეგ ისევ დარეკა იმ ქალმა, ჩემთან არავინ მოსულა, მაგრამ დავადგინე ის ნომერი, რომლიდანაც სისტემატურად რეკავენო.

მე ზვიადს გადავეცი ოთხნიშნა ტელეფონის ნომერი, რომელიც მინისტრთა კაბინეტს ეკუთვნოდა!

ახლა კი განცვიფრდა პრეზიდენტი.

მდივანს გამოუძახა და უთხრა, მოძებნე ტელეფონების წიგნში, ვის ეკუთვნის ეს ნომერიო.

ტელეფონისტთან არც ამის შემდეგ მისულა ვინმე და არც არავის დაუდგენია იმ პიროვნების ვინაობა, ვინც გულმოდგინედ ირჯებოდა თბილისის დასანგრევად.

მე ვხედავდი, რომ მიუხედავად მასების მხარდაჭერისა, სახელმწიფო სტრუქტურა ატროფირებული იყო. ხოლო როცა 13 დეკემბერს კამაზებით გადაკეტეს მთავრობის სახლის წინ პროსპექტი და პრეზიდენტმა განაცხადა, კიტოვანმა რუსეთის ჯართან შეკრა კავშირიო, ყოველ წუთს ველოდი ხელისუფლებაზე თავდასხმას...

რაც შეეხება გადატრიალებას, სამხედრო-კრიმინალურს, ალბათ

მოსკოვი არ განახორციელებდა, საბჭოთა კავშირი რომ არ დაშლილიყო.

ზვიად გამსახურდიამ მიტინგებითაც მოუგო ოპოზიციას სექტემბერ-ოქტომბერში და სხვაგვარად ვერც ამჯერად დააკლებდნენ ვერაფერს.

– მწერალთა კავშირი როგორ დატოვეთ?

– 1992 წლის 7 თუ 8 იანვარს „ლიტერატურული საქართველოს“ რედაქტორობიდან გამათავისუფლა ე. წ. „სამხედრო საბჭომ“.

ხოზე ადეიშვილი მოვიდა სახლში, ტარიელ ჭანტურიამ დამირეკა, სხვებმაც მითხრეს, რომ განთავისუფლება მეთხოვა და ისე წავსულიყავი, მაგრამ მე განცხადება არ დამიწერია.

ხელფასს მაისამდე მიხდიდნენ, არ ვიცი - რატომ. შეიძლება იმიტომ, რომ კარგა ხანს თამაზ წივწივაძე გაზეთს ხელს აწერდა როგორც რედაქტორის მოვალეობის შემსრულებელი.

4 იანვარს ტელევიზიით გამოვიდა გურამ ფანჯიკიძე და განაცხადა - „ლიტერატურული საქართველო“ ფაშისტური გაზეთია. ასეთი იგი 1937 წელსაც კი არ ყოფილაო!

ვინც შეადარებს 1937 და 1991 წლების „ლიტერატურულ საქართველოს“, განსხვავებას ნამდვილად შეამჩნევს, მაგრამ ამას რა მნიშვნელობა ჰქონდა!...

პუტჩისტები ყოველგვარ ბრალდებას გვიყენებდნენ.

მათი იდეოლოგების მითითებებს პრაქტიკულად ასრულებდნენ ავტომატიანი რეციდივისტები.

ამგვარ ქმედებებს ჩემს ცხოვრებაშიც ტრაგიკული შედეგი მოჰყვა - წამებით მოკლეს დედაჩემი...

მწერალთა კავშირში ჩვენი ყოფნა შეუძლებელი გახდა.

კავშირიდან გამოსვლის ინიციატორი ხუტა ბერულავა იყო, ხოლო პუტჩისტი მწერლების წიგნთა აუტოდაფესი - აღშფოთებული ხალხი...

მწერალთა კავშირი დატოვა 40-მდე მწერალმა (ზოგმა შემდეგ ბოდიში მოიხადა, შევცდითო და უკან დაბრუნდა).

როცა ჩემს მოხსნას ადასტურებდა მწერალთა კავშირის პრეზიდიუმი, მხოლოდ ერთმა დამიჭირა მხარი - ეს გახლდათ გიორგი ნატროშვილი, რომელიც ოცი წელი რედაქტორობდა „ლიტერატურულ საქართველოს“.

– რომ არ მოეხსენით, დარჩებოდით რედაქტორად?

– ეგ ჩემთვის მხოლოდ სასჯელი იქნებოდა. ხუნტა კანონიერი ხელისუფლების მომხრეებს ტყვიით ახშობდა, მრავალათასიან მიტინგებს ხვრეტდა და მე როგორ შევძლებდი პოზიციის დაცვას...

– იქნებ სჯობდა, დარჩენილიყავით მწერლთა კავშირში, გაგეგრძელებინათ პოლემიკა, რათა ერწმუნათ თქვენი სიმართლე.

– გამარჯვებულმა პუტჩისტებმა არ დაინდეს მუხრან მაჭავარიანი,

ჩვენ მოგვისმენდნენ? მათ არ დაინდეს ზვიად გამსახურდია, ვინც საქართველოს დამოუკიდებლობა მოაპოვებინა, ჩვენ დაგვინდობდნენ? არადა, სწორედ ის მწერლები აღმოჩნდნენ კიტოვანის, სიგუას და იოსელიანის გვერდით, ადრე რომ ოპოზიციონერობდნენ - ვითომ არ ეთანხმებოდნენ კომუნისტურ იდეებს.

სამწუხაროა, რომ ისევ შეცდა აკაკი ბაქრაძე.

იგი ოპოზიციონერი იყო და მიესალმა ხუნტას. გამოვიდა 1992 წლის იანვარში ტელევიზიით და გახარებულმა თქვა, ხომ არ გამართლდა ზვიადის სიტყვები, ჩემი გადაყენების შემთხვევაში საქართველო დაიშლებაო. ხომ ხედავთ, აფხაზეთიც ჩვენთან არის და ცხინვალსაც მალე დავიბრუნებთო...

– საინტერესოა, რა პოზიცია გეკავათ გურამ ფანჯიკიძისა და ჯანსუღ ჩარკვიანის მიმართ. ისინი ხომ ოპოზიციონერ მწერალთაგან ყველაზე აქტიურობდნენ.

– გურამ ფანჯიკიძის პროზაზე რამდენიმე წერილი მაქვს დაბეჭდილი. ახლაც მიმაჩნია, რომ იგი კარგი პროზაიკოსი და ერთ-ერთი საუკეთესო პუბლიცისტი იყო. მაგრამ რატომღაც საქართველოს დამოუკიდებლობა ვერ წარმოედგინა. გარდა ამისა, ზვიადს ვერ იტანდა. შემდეგ ისე აღმოჩნდა, რომ მისი სამივე მძახალი გენერალი ჰყავდა და სამივეს მნიშვნელოვანი პოსტები ეკავათ ზვიად გამსახურდიას დროს (კიტოვანს, თუშურაშვილს, ალასანიას). მაგრამ სიტუაცია რომ შეიცვალა და კიტოვანი და თუშურაშვილიც გადააყენეს, ცხადია, ოპოზიციის ბანაკს მიაშურა.

თავის დროზე გურამ ფანჯიკიძე ჩემდამი კეთილგანწყობილი იყო და მეც ვცდილობდი მისდამი დაპირისპირების შენელებას.

როცა პრეზიდენტის მრჩევლებმა (მათ შორის - გოგი გაჩეჩილაძემ) ზვიადთან დამიბარეს (თუ დამაბეზღეს), რათა ფანჯიკიძეზე მკაცრი წერილები დამებეჭდა, ვთქვი, რომ ეს მხოლოდ გაამწვავებდა მწერლებს შორის ურთიერთობას. მიმატანინეს გურამის მიერ თიანეთის რაიონულ გაზეთში დაბეჭდილი ზვიადის კრიტიკა (1990 წლისა).

პრეზიდენტმა ეს წერილი რომ წაიკითხა, თქვა, არ ღირს ამ ფაქტზე რეაგირებაო. შემდეგ გურამთანაც მივედი სახლში და ვცდილობდი ხელისუფლებასთან მისი ურთიერთობის ნორმალიზებას. გურამიც შეყოყმანდა, მეორე დღეს მითხრა, მე რომ ეს ნაბიჯი გადავდგა, ოპოზიცია მოღალატედ გამომაცხადებსო.

ეს იყო ნოემბრის ბოლოს.

მაშინ უკვე ოპოზიციას გამარჯვების იმედი გადაწურული ჰქონდა. ბევრი ადრე სხვადასხვა მიზეზით განაწყენებული მწერალი ისევ აპირებდა გაზეთში თანამშრომლობას (მაგ. გრიგოლ აბაშიძე).

მაგრამ საბჭოთა კავშირი დაიშალა და მოსკოვი მიტინგების იმედით ვერ დარჩებოდა - მან იარაღს მიმართა...

ახლა რაც შეეხება ჯანსუღ ჩარკვიანს.

პრეზიდენტს არასოდეს უთქვამს, რომ მის ოპოზიციურ მოქმედებაზე რაიმე რეაგირება მოეხდინა „ლიტერატურულ საქართველოს“.

ვფიქრობ, რომ იგი ოპოზიციასთან ხელისუფლებამ მიიყვანა. რაკი დაიბეჭდა ზვიად გამსახურდიას კრიტიკული წერილი, ყველა ვალდებულად თვლიდა, რომ ჯანსუღ ჩარკვიანი გაეკილა. არადა, ის წერილი ზვიადს დაწერილი ჰქონდა 15-16 წლით ადრე!

მე რედაქციაში დამხვდა გივი კაბელაშვილის წერილის სამი ვარიანტი - ჯანსუღს ხელისუფლება არ ენდობა და ჩემს მამხილებელ გამოსვლას ყურადღებას როგორ არ მიაქცევენო.

კატეგორიული წინააღმდეგი ვიყავი მათი გამოქვეყნებისა. ეს იცის ჯანსუღ ჩარკვიანმა. ამის გამო ვუთხარი პრეზიდენტს და იგი ყოველგვარი დასაბუთების გარეშე დამეთანხმა.

რა თქმა უნდა, რამდენიმე კორექტული კრიტიკული წერილი და შენიშვნა ფანჯიკიძესა და ჩარკვიანზე დავბეჭდეთ.

ქვეყნის დამხობა უნდოდათ და ორიოდე რეპლიკა ხომ უნდა აეტანათ!

მათ შეკითხვებითაც მივმართე, რათა ჩვენი გაზეთის ფურცლებზეც ეთქვათ თავიანთი სათქმელი.

შეკითხვებზე პასუხი გაგვცა ჯანსუღ ჩარკვიანმა, გურამ ფანჯიკიძემ - არა, თუმცა მიტინგებზე აცხადებდა, წარმოგიდგენიათ რა დღეში ვარ, მწერალთა კავშირის გაზეთში წერილი ვერ დამიბეჭდავსო!

სექტემბერში, როცა ვითარება დაიძაბა, კარბელაშვილი გააქტიურდა, ახლა ხომ დარწმუნდით, ვის ვებრძოდი მეო. მე ზვიადს ვუჭერ მხარსო.

მხარდაჭერა მოვუწონე, მაგრამ წერილის დაბეჭდვაზე ისევ უარი ვუთხარი. ჯანსუღს მანამდე ნათქვამი ჰქონდა, ახლა კი ვიცი, კარბელაშვილის ყველაზე ვრცელ წერილს დაბეჭდავთო...

15 ნოემბრის ნომერში გამოვაქვეყნეთ შოთა ნიშნიანიძის ლექსები, შოთა ოპოზიციას თანაუგრძნობდა, მაგრამ კონსტანტინესა და ზვიადის პატივისმცემელი იყო (სხვათა შორის, ორიოდე წლის წინათ მითხრა, ზვიადზე უკეთესი პრეზიდენტი მაშინ მსოფლიოს არცერთ ქვეყანას არ ჰყავდაო!).

შოთას ერთ-ერთ ლექსში ჰქონდა ასეთი სტრიქონები:

„ღირსი ხარ თუ უღელს დაგადგამს
ცხვირში რგოლგაყრილი ბელადი“.

პრეზიდენტის ერთ-ერთ მრჩეველს - გიორგი გაჩეჩილაძეს მოეჩვენა, რომ ეს ნათქვამი იყო ზვიად გამსახურდიას მისამართით, თუმცა, არ

ვიცი, რა ნიშნით ჰგავდა „ცხვირში რგოლგაყრილი ბელადი“ ზვიად გამსახურდიას!

თურმე პრეზიდენტიც შეფიქრიანდა და გვიან ღამით დამელაპარაკა. მე მივედი, მივიტანე გაზეთი და ავუხსენი ლექსის შინაარსი. ზვიადი შეწუხდა, უხერხულობა იგრძნო და სხვა თემაზე გადაიტანა საუბარი.

ზოგი მრჩეველი ასე უმტკიცებდა პრეზიდენტს ერთგულებას. მაგრამ როცა მან დატოვა საქართველო, ერთხელაც არ შეხმიანებია!

– მე გეთანხმებით, რომ იმ პერიოდში ბევრი ცდილობდა ვითარების როგორც ნორმალიზებას, ისე დრამატიზებას. საბოლოოდ კი საღმა აზრმა ვერ გაიმარჯვა და კრემლმა თავის საწადელს მიაღწია. და რაც ყველაზე საშინელებაა, ეს ქართველთა ხელით გაკეთდა.

– ამიტომაცაა, რომ არავითარი ფასი არა აქვს დღეს ვახტანგ გოგუაძის ან ვალერი კვარაცხელიას სიტყვებს, მათ ნათქვამ დაგვიანებულ სიმართლეს. ვახტანგ გოგუაძემ უწოდა ზვიად გამსახურდიას 1991 წლის აგვისტოში ჩაუშესკუ, რაც პაროლად აიტაცა ოპოზიციამ, ე.ი. პრეზიდენტის ოჯახსაც ისე უნდა მოპყრობოდნენ, როგორც ცოლ-ქმარ ჩაუშესკუებს.

ვახტანგ გოგუაძე შიმშილობდა ჯაბა იოსელიანის დასაცავად, როცა იოსელიანი ხელისუფლებას არ ემორჩილებოდა.

ვახტანგ გოგუაძე არის სოჭის მოღალატურ ხელშეკრულებაზე ხელისმომწერი 1993 წლის ივლისში, რასაც მოჰყვა აფხაზეთის დაკარგვა.

იმავე წლის 20 ოქტომბერს გამოვიდა ტელევიზიით და ნაცვლად მორიგებისა, კანონზომიერად ჩათვალა რუსეთის ჯარის გამოყენება სამეგრელოს და ზვიად გამსახურდიას წინააღმდეგ. შემდეგ კი ჩაჯდა ბალტინის ტანკში და პირველი შეიჭრა ზუგდიდში!

ასეთი რამ ორჯონიკიძესაც არ ჩაუდენია!

25 თებერვალს იგი ბაქოში იყო, როცა XI არმია თბილისში შემოვიდა.

დღეს ვახტანგ გოგუაძე გამოფხიზლებულია, ზვიადსაც სხვაგვარად აფასებს, ედუარდ შევარდნაძესაც. ეს კარგია, მაგრამ რა ვუყოთ წარსულს? დანაშაული ხომ ჩადენილია. პოლიტიკა ხომ მეცნიერება არ არის, ერთგან დაშვებული შეცდომა მეორეგან გამოასწორო!

თქვენ შეამჩნევდით, მე აქ არაფერს ვამბობ კიტოვანზე, სიგუასა და იოსელიანზე. მათდამი ჩემი პოზიცია ყოველთვის გარკვეული იყო - ისინი არიან სახელმწიფო დამნაშავენი. და ბედის ირონიაა ის, რომ თენგიზ კიტოვანი ციხეში იჯდა იმ ნაბიჯის გამო, რომელიც ყველაზე სწორი იყო მის ცხოვრებაში!

მაგრამ ალბათ ასეთი სასჯელია ყველაზე მძიმე!

- დავუბრუნდეთ დღევანდელობას. მოახლოვდა ახალი არჩევნები. თქვენის აზრით, 1995 წლის ნოემბრის არჩევნებში გამარჯვებულმა მო-

ქალაქეთა კავშირმა და მისმა ხელისუფლებამ რა პროგრესს მიაღწიეს, რა სიკეთე მოუტანეს საქართველოს?

- რაღაც პროგრესი ცხოვრებაში ყოველთვის ხდება. ამას არ სჭირდება ხელისუფლების მხარდაჭერა. გლეხი რომ კარგ მოსავალს მოიწევს ან მწერალი შედევრს შექმნის, ეს სრულიადაც არაა ხელისუფლების დამსახურება.

ახლა, თვალს რომ ვავლებთ, თუ რა მოხდა არჩევნებიდან არჩევნებამდე, შეიძლება გადაჭრით ითქვას - ხელისუფლებამ გააგრძელა ხალხის მოტყუება. იგი ქვეყანას დაჰპირდა მილიონ სამუშაო ადგილს და ისიც კი ვერ შეუნარჩუნა, რაც ჰქონდა. ვერ აღადგინა ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობა, ვერ მოაგვარა ენერგეტიკის პრობლემა, ვერ აღმოფხვრა არსებული პოლიტიკური დაპირისპირება... ევროსაბჭოში შესვლა კარგია, მაგრამ მას ახლავს თავისი პრობლემებიც (მაგ; უნდა დაბრუნდნენ ე. წ. თურქი მესხები).

ზვიადისტებთან მორიგების სანაცვლოდ ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტს ისინი ტერორისტებად გამოაცხადებინეს და საამისოდ ყველაფერი გააკეთეს, თუმცა ევროსაბჭო მოითხოვს პოლიტპატიმრების განთავისუფლებას.

ეკონომიკა კიდევ უფრო დაეცა. მცირეოდენი აღმავლობა, რაც შეიმჩნეოდა, გასული წლის შემოდგომიდან ახალი დაქვეითებით შეიცვალა.

განმეორდა გალის ტრაგედია. კიდევ ერთხელ გამოაძევეს მრავალი ათასი ქართველი აფხაზეთიდან და აფხაზეთი დაბრუნების სამაგიეროდ უფრო დაგვშორდა.

საქართველოში 1993 წელს დისლოცირებული ყოფილა 4 500 რუსი ჯარისკაცი. სადღეისოდ მათი რიცხვი 11 200 გამხდარა!

რუსის ჯარი ტოვებს ყველა ქვეყანას, საქართვლეოში კი მისი რიცხვი ორმაგი და სამმაგი ხდება.

საქართველოს პოლიციის რიცხვი იზრდება და 80 000 მიაღწია, ჯარი მცირდება და დადის 20 000 მდე.

საინტერესო შეფარდებაა - საქართველოს 4-ჯერ მეტი პოლიციელი ჰყავს, ვიდრე ჯარისკაცი!

ეს მაშინ, როცა სოხუმი და ცხინვალი აღარ ემორჩილება და, რომც მოვინდომოთ, ვერც იარაღით დავიცავთ ქვეყანას. ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას ირაღით რომ ვერ შევძლებთ, ისედაც ნათელია.

გამოდის, რომ ედუარდ შევარდნაძის ხელისუფლებას ქვეყნის ინტერესების დაცვაზე ბევრად მეტად აინტერესებს საკუთარი სკამის დაცვა!

სოციალისტურ საქართველოს ჰყოფნიდა 22 ათასი მილიციელი!

რამდენჯერმე შემცირდა თავდაცვის სამინისტროს ბიუჯეტი. ალბათ იმიტომ, რომ არმია ბუტაფორიად იქცა!

საბჭოთა კავშირის 15 ყოფილი რესპუბლიკიდან ყველაზე სუსტი, ყველაზე ცუდად შეიარაღებული ჯარი ჰყავს საქართველოს!

ყველაზე მეტი რუსი ჯარისკაცი დგას საქართველოში!

ისევ რუსია ჩვენი მშვიდობის გარანტი, როგორც ორასი წლის წინათ.

- თქვენ როგორ ფიქრობთ, რატომ ხდება ასე?

- ჩვენი ხელისუფლება არ დგას ქართულ მიწაზე. იგი ნიადაგს ვერ გრძნობს ფეხქვეშ. ამიტომ ქანაობს რუსეთსა და ამერიკას შორის. მან ზვიადისტები იმიტომ კი არ უარყო, რომ ისინი ხელისუფლებაში ეცილებიან - არ უნდათ ქართული ნაციონალური სული. თქვენ ხედავთ, როგორ თანდათან შეიცვალა საზოგადოება, აღარ არსებობს პატრიოტული ინტერესები. საოცარია, სად გაქრა ის ხალხი, 9 აპრილს რომ იდგა მთავრობის სახლის წინ. გაბატონდა ნიჰილიზმი, ნაცვლად ჰეროიზმისა.

ესეც ერთ-ერთი შედეგია ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების დამხობისა, რომელსაც მოჰყვა ეროვნული იდეალების გაუფასურება.

ილია ჭავჭავაძის „საქართველოს მოამბე“ 500-700 ეგზემპლარი იბეჭდებოდა. გავიდა თითქმის საუკუნენახევარი, გასამმაგდა ქართული მოსახლეობა, მაგრამ დღეს ჟურნალების ტირაჟი 500-ს არ სცილდება.

ხალხს არ აინტერესებს ლიტერატურა, ხელოვნება, მეცნიერება.

არც სახელმწიფოს აინტერესებს - პროფესორს უხდის 50 ლარს. იხურება სკოლები, რადგან მასწავლებლებს ხელფასს ვეღარ აძლევენ.

მალე დაიხურება კერძო უმაღლესი სასწავლებლები. შემდეგ სახელმწიფო უნივერსიტეტის ჯერი დადგება.

შესაბამისად - XXI საუკუნის საქართველოს სპეციალისტები არ ეყოლება. როგორც ჩანს, ეს არც არის საჭირო - საქართველო უნდა იყოს ევრაზიის კორიდორი და არა დამოუკიდებელი სახელმწიფო!

კორიდორს კი სჭირდება მომსახურე პერსონალი, რესტორნები, სასტუმროები, კომფორტი და არა მოაზროვნე ხალხი... ამიტომ სავსებით ზედმეტია ზვიადისტების თავგამოდება. ისინი ხომ ტერიტორისტები და ფაშისტები არიან! როგორ შეიძლება ხელისუფლება მათ, თუნდაც ფანატიზმს, არ იყენებდეს, მას რომ ქვეყნის მომავალი აღელვებდეს.

ქვეყნის მომავალი ამ ხელისუფლებას აღელვებს იმდენად, რამდენადაც უკავშირდება მისი სკამების არსებობას! არადა - იგი არჩეულია საქართველოს მოსახლეობის მხოლოდ ოცი პროცენტის მიერ!

– ისიც ხომ აშკარაა, რომ, თუმცა ნელი ტემპით, ხელისუფლება ცდილობს ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას, თუ ეს ილუზიაა?

– ყველაფერზე ერთად ვერ ვილაპარაკებთ. მე იმას ვამბობ, რასაც ვხედავ. სოხუმთან და ცხინვალთან მოლაპარაკებებს არავითარი პროგრესი არ მოჰყოლია, ეს ხელისუფლებას საგანგაშოდ არ მიაჩნია: ევრაზიის კორიდორი გადაჭრის ამ პრობლემებს, როცა ცხინვალიც და სო-

ხუმიც მის არეალში მოექცევა. ხელისუფლების აზრით, აფხაზეთის კი არა, საქართველოს დამოუკიდებლობა ხდება ნომინალური! ამიტომ მიდის კონფედერაციისკენ, თორემ საქართველოს ფედერაციული ისედაც იყო კომუნისტების დროს.

აი, ახლოვდება არჩევნები და ქმნიან მოქალაქეთა კავშირის სატელიტურ პარტიებს, ზვიადისტებს ტერორისტის იარლიყს არ აცილებენ, თხაზვენ უცნაურ საარჩევნო კანონს, ძაბავენ ურთიერთობას აჭარასთან, ლამის მტრის ხატი შექმნან ასლან აბაშიძისაგან და ეს ყველაფერი ხდება ხალხის დასაბნევად და ხელისუფლების შესანარჩუნებლად.

ამდენი ენერგია და ინტრიგების ხლართვის უნარი რომ საქართველოს სასიკეთოდ წარემართათ, ეგებ ბევრი პრობლემა გადაჭრილიყო კიდეც!

– თქვენ ახსენეთ ასლან აბაშიძე, რომ არაფერს იტყვით ბატონი ასლანის შესახებ?

– როცა გაზეთ „გრაალის“ რედაქტორი ვიყავი, 1996 წელს, დავბეჭდე ნოდარ კობერიძის ვრცელი წერილი „ოთხი დღე ვითარცა ოთხი წამი“.

ეს ჩემი პოზიციის გამოვლენაც გახლდათ.

ასლან აბაშიძე დღეს ერთადერთი რეალური ძალაა, რომელსაც შეუძლია საქართველოს მრავალწლიანი დაღმავლობის შეჩერება და ქვეყნის აღორძინება. მას აქვს საამისო ნიჭი, გამოცდილება და, რაც ამჟამად ყველაზე მთავარია - სურვილი.

– სოსო! თქვენ ზოგადად ისაუბრეთ, მაგრამ მინდა მკვეთრად დააარქვათ სახელი 1991-1992 წლების მოვლენებს!

– ეს იყო სამხედრო-კრიმინალური გადატრიალება, ერთი მუჭა კრიმინალების მიერ ორგანიზებული და განხორციელებული.

– კიდევ რის თქმას ინებებთ?

– ერის ცხოვრებაში აღმაფრენის შემდეგ დგება დეპრესიის ჟამი. ეს ჟამი უდგას საქართველოს. რაც არ შეიძლება დიდხანს გაგრძელდეს, ამას ცხადყოფს ის ახალგაზრდული მოძრაობა, რომელიც ეროვნული განძის უცხოეთში გატანის წინააღმდეგია. შეიძლება ისინი მართლაც იშვიათად დადიოდნენ მუზეუმებში. მთავარი ისაა, რომ ახალ თაობაში ცოცხლობს ერის ღირსების გრძნობა, რომელიც ვერ აიტანს კორიდორად ქცეულ საქართველოს.

ოდესმე, ათასეული წლების შემდეგ, შეიძლება მართლაც ჩამოყალიბდეს ერთი ერი და ერთიანი ენა, მაგრამ ჯერჯერობით ამაზე ფიქრი ფანტასტიკის სფეროს განეკუთვნება.

ესაუბრა ბელა შალვაშვილი
„გაუხმაურებელი ფაქტები“,
1999, 29 ივნისი - 5 ივლისი

დიპლომატიური მანევრებით არაფერი გამოვა

ორი ძირითადი პარტია ქმნის ჩვენს ბლოკს — „XXI საუკუნე“. ამის გარდა, არიან სხვა პარტიებიც და ამიტომ დაერქვა ამ გაერთიანებას ბლოკი. ჩვენ კარგი ურთიერთობა გვაქვს აღორძინების კავშირთან — **ასლან აბაშიძესთან** და საზოგადოებამ იცის, რომ ჩვენი ურთიერთობა ოფიციალურად გაფორმდა ამ ორიოდე კვირის წინათ. რაც შეეხება კონფერენციას, თქვენ ესწრებოდით და თავად დარწმუნდით, როგორი ხალხმრავლობა იყო და ინტერესი სუფევდა. ეს გახლდათ თბილისის ორგანიზაციის კონფერენცია, რესპუბლიკურისა მოგვიანებით ჩატარდება. იმედი მაქვს, არც რესპუბლიკურ კონფერენციას მოაკლდება ხალხის ინტერესი და სიმრავლე. ბატონმა **ვახტანგ ბოჭორიშვილმა**, თქვენ თვითონ მოსმინეთ, რომ მოხსენებაში ისაუბრა იმ ძირითად დებულებებზე, რომლის განხორციელებასაც ვცდილობთ. ყველაზე დიდი დანაკარგი, რაც უკანასკნელ წლებში ვიგემეთ, ეს არის ჩვენი დაკარგული ტერიტორიები. მათ მშვიდობიანად არავინ დააბრუნებს. XIII საუკუნიდან, რომ გადავხედოთ ჩვენს ისტორიას, სულ ვკარგავთ ტერიტორიებს და სულ უფრო მცირდება ჩვენი მიწები. პავლე ინგოროყვა წერს, რომ თამარის ეპოქაში საქართველო ყოფილა 220 ათას კვადრატულ კმ-ზე გადაჭიმული. მენშევიკების დროს 90 ათასი კვადრატული ყოფილა. როცა ნოე ჟორდანიას ხელისუფლება განდევნეს, საქართველომ დაკარგა ართვინი, არტაანი, საინგილო, ლორე-ტაშირი. და, საბოლოოდ, საქართველოს რესპუბლიკას ჰქონდა 70 ათასი კვ. კმ. მაგრამ მოხდა მეორე გადატრიალება 92 წლის იანვარში და შემოგვრჩა ის, რომ საქართველოში არ შედის აფხაზეთი და არ შედის სამაჩაბლო. მე არ ვიცი, თბილისის ხელისუფლება რა ტერიტორიაზე ვრცელდება, მაგრამ აფხაზეთის ტრაგედია ერთი უდიდესი ტრაგედიაა საქართველოს ისტორიაში. აქამდე არ ყოფილა შემთხვევა, რომ აფხაზეთი ასე მტრულად, ასე რადიკალურად ყოფილიყო დაპირისპირებული საქართველოსთან.და რაც უნდა იმართლოს თავი ხელისუფლებამ, რომ მას არ სურდა და მის უნებლიედ მოხდა ყველაფერი, ფაქტი ფაქტად რჩება — საქართველო, ჯერჯერობით, არსებობს ამ ერთ-ერთი უძველესი რეგიონის გარეშე. მეორე საშინელება კიდევ ის არის, რომ 300 ათასი ქართველი, რომელიც იქ ცხოვრობდა, გამოყარეს და არავითარი იმედი არ არის მათი დაბრუნებისა. ერთადერთი ფაქტი მახსოვს ისტორიიდან, როცა შაჰ-აბასმა ამდენივე ათასი ადამიანი აყარა და გაასახლა მშობლიური მიწიდან. — ეს მეორე ფაქტია, სხვა მსგავსი ამბავი მე არ მახსოვს ისტორიიდან.

— სოსო! რა ეშველება ამ ყველაფერს?

— ვფიქრობ, დიპლომატიური მანევრებით, მარტო მოკრძალებული კითხვა-პასუხით არაფერი გამოვა. პირველ ყოვლისა, სახელმწიფოს სათავეში უნდა იყოს პატრიოტულად მოაზროვნე ხელისუფლება, პატრიოტულად განწყობილი ხალხი. იმიტომ, რომ ადამიანი მართვასაც ისწავლის, პოლიტიკასაც დაეუფლება, მაგრამ თუ მას არ გააჩნია პატრიოტული სულისკვეთება, მაშინ ის სახელმწიფოსათვის სასიკეთოს ვერაფერს გააკეთებს. დღევანდელი ხელისუფლება რაც არის, ყველამ იცის. მერვე წელია იგი არსებობს და შეიძლება რაიმე სასიკეთო გააკეთა, მაგრამ მე ვერ ვხედავ, შეიძლება სხვები ხედავენ... შეიძლება გააკეთეს თავიანთი ოჯახებისათვის, თავიანთი კლანისათვის. მაგრამ 50-100 წლის შემდეგ, მე არა მგონია, მათ მოღვაწეობაში ვინმემ რაიმე დადებითი დაინახოს. დიდი ხმაურია იმაზე, რომ საქართველო ევროსაბჭოს წევრი გახდა, გაეროს წევრი გახდა. მაგრამ საქართველო გაეროს წევრი გახდა თხუთმეტი რესპუბლიკიდან სულ ბოლოს. ევროსაბჭოშიც საქართველო იმიტომ კი არ მიიღეს, რომ აქ არის პრეზიდენტი შევარდნაძე, არამედ იმიტომ, რომ საქართველო დამოუკიდებელი სახელმწიფოა. ასევე დიდი ხმაურია ნავთობსადენის, ევრაზიის კორიდორის გამო. ესეც არ არის ხელისუფლების დამსახურება. ეს არის გეოგრაფიული მდებარეობის დამსახურება. ჩვენი ქვეყანა მდებარეობს ევრაზიის შესაყართან და ცხადია, პრეზიდენტი ვინც უნდა იყოს, ეს მაინც ასე მოხდებოდა. ხოლო უშუალოდ რაც ხელისუფლებას შეეძლო, ის არ გაკეთებულა.

— და არც რაიმე სიკეთე მოუტანია?

— ავიღოთ განათლება, მეცნიერება, კულტურა, ეკონომიკა, ადამიანთა ურთიერთდამოკიდებულება, — მე აქ ხელისუფლების რაიმე დამსახურებას ვერ ვხედავ. ცხადია, ცხოვრება წინ მიდის და რაღაც სიკეთე მაინც იარსებებს ამქვეყნად. მე იმას ვამბობ, ხელისუფლების ინიციატივით რა გაკეთდა, თორემ სოფელში რომ გლეხი სიმინდს მოიწევს, ძროხები ეყოლება და თავის მეურნეობას გამართავს, ეს არ არის ხელისუფლების დამსახურება. სტიქიურად რაღაც კი მოგვარდება, მაგრამ მე ვამბობ — სახელმწიფოებრივ დონეზე. ამ ხელისუფლებას კონფლიქტი ჰქონდა სამეგრელოსთან, კონფლიქტი აქვს აჭარასთან, მესხეთ-ჯავახეთიც თავისთვის არის და ამას არქმევენ დემოკრატიზაციას. საქართველოს ტრაგედია იყო ის, რომ ქვეყანა დაიყო სამთავროებად. ეს მოხდა შუა საუკუნეებში. ახლა ჩვენ ისევ მივუბრუნდით ამას. თუ ეს აუცილებელია, მაშინ რაიონები უნდა გაუქმდეს. ახლა რაიონებიც არსებობს და დაყოფაც, რაც ქვეყანას დეცენტრალიზების საფრთხეს უქმნის და ბუნებრივად სეპარატიზმს ბადებს, რადგან ამ შემთხვევაში მოქმედებენ სხვა ძალებიც.

— სოსო! თქვენ სამეგრელო ახსენეთ. გვითხარით, რომ გამოიწვია

სამეგრელოსადმი ამგვარი სისასტიკე. მისი ხუთგზის გალაშქრება-აოხრება. ამ ყველაფერის ხელმძღვანელი ციხეში სხვა მიზეზით რატომ ზის და არა ამ დალაშქვრის გამო?

– თქვენ გახსოვთ, რომ სახაროვმა საქართველოს მცირე იმპერია უწოდა. ეს, რა თქმა უნდა, სახაროვის იდეა არ იყო; ამ საქმეში ჩარეული იყვნენ რუსეთის სპეცსამსახურები, ამ აზრს ამკვიდრებდნენ მთელი შეგნებით. კომუნისტების დროს იმ ფაქტს, რომ საქართველო ფედერაციული გაერთიანება იყო, არავითარი აზრი არ ჰქონდა. მაგრამ რაკიღა იშლებოდა საბჭოთა კავშირი, რუსებმა ეს აზრი განავითარეს.

— რატომ?

— იმიტომ, რომ რაკი იმპერია იყო, ის უნდა ქცეულიყო რეალური ავტონომიების გაერთიანებად. მაგრამ რუსეთს ავტონომია ხელს არ აძლევდა. მათ, ფაქტიურად, საქართველოს მიუსადაგეს **კონფედერაციის მოდელი,** რაც ნიშნავს არა ცენტრისადმი დაქვემდებარებას, არამედ თანაბარუფლებიან სუბიექტთა ერთიანობას, როგორიც არის შვეიცარია, რომელიც თანასწორუფლებიანი სამი კანტონისაგან შედგება. მათი აზრით, ასევე უნდა ყოფილიყო საქართველო შემდგარი — აჭარა, აფხაზეთი, სამხრეთ ოსეთი. მათ მოინდომეს, ამ მოდელს დამატებოდა სამეგრელოც. 30-იან წლებში, თქვენ გახსოვთ, იყო ასეთი აზრი. მეგრულ ენაზე გამოიცა გაზეთები, რომ ყოფილიყო სამეგრელოს ავტონომია. რუსეთი სულ ამ აზრს გვაჩვევდა, სულ ამაზე იყო ლაპარაკი. 1991-92 წლების გადატრიალებით ისარგებლეს იმპერიულმა ძალებმა და დაიწყო სამაგრელოს დალაშქვრა, რათა ხალხს თვითონ ეთქვა, რომ ჩვენ გვინდა ვიყოთ ცალკეო. თან ამას ხელს ისიც უწყობდა, რომ ზვიად გამსახურდია წარმოშობით იყო მეგრელი, თუმცა სამეგრელოში, ცხადია, არ უცხოვრია.

1992 წელს იანვარში როდესაც ზვიად გამსახურდია იძულებული იყო გროზნოში გაჩერებულიყო, მოსკოვის ტელევიზიამ გამოაცხადა, რომ ზვიად გამსახურდია აპირებს აფხაზეთ-სამეგრელოს რესპუბლიკის გამოცხადებასო. რა თქმა უნდა, ამგვარი იდეა არც ერთ ქართველს არ ჰქონია, მაგრამ ეს იყო რუსეთიდან თავსმოხვეული. და ამ გამოგონილი იდეის წინააღმდეგ გამოვიდნენ ჯაბა იოსელიანის ბანდები. ასე რომ, ზვიად გამსახურდიასთან ბრძოლის მოტივით ჯაბა ებრძოდა საქართველოსა და საქართველოს მოსახლეობას. საერთოდ, ბოლშევიკურ მოძრაობაში დიდ როლს ასრულებდნენ ქურდები და ბანდიტები, კრიმინალური ელემენტები. ბოლშევიკები და კომუნისტები ყოველთვის ეყრდნობოდნენ ასეთ ბოროტ ძალებს და ამ შემთხვევაშიც ასეთი ფაქტი მოხდა. ზვიად გამსახურდიას წინააღმდეგ არ გამოვიდა არცერთი არაქართველი, არ გამოვიდა ხალხი, არ დაიწყო გაფიცვები, მიტინგე-

ბი. ინტელიგენციის ნაწილმა კი გამოხატა პროტესტი, მაგრამ იარაღი მხოლოდ კრიმინალურმა ნაწილმა აიღო და მათი მეოხებით მოხდა ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების დამხობა. საერთოდ, ყველა ბნელი საქმე კრიმინალების ხელით კეთდებოდა და კეთდება. თუ დაკვირვებიხართ, ახლა ყველა პარტია აცხადებს, რომ ხელისუფლების დამხობაში მონაწილეობა არ მიუღია. მაგრამ **კიტოვანმა განაცხადა, 27-მა პარტიამ ხელი მოაწერა ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების იარაღით დამხობაზეო**. ახლა ყველა ის პარტია ამბობს, ჩვენ რა შუაში ვართ, ჩვენ იარაღი არ აგვიღიაო. არც ლენინს აუღია პირადად იარაღი, არც სტალინსა და არც ტროცკის. ყოველთვის იდეოლოგიაა მთავარი და არა იარაღის მქონე. იარაღიანი ყოველთვის გამოჩნდება. დიახ, იდეოლოგიაა მთავარი და ეს მათი იდეოლოგია გამოჩნდა როგორც ანტიქართული და ქვეყნის დამქცევი. ერთხელ ვთქვი და ახლაც მინდა გავიხსენო, გადატრიალების შემდეგ ტელევიზიით რომ გამოვიდა აკაკი ბაქრაძე და ნიშნისმოგებით გველაპარაკა, ალბათ, მოისმენდით...

— არა, არ მომისმენია, მითხარით, რა თქვა?

— აკაკი ბაქრაძემ თქვა გადატრიალების შემდეგ, რომ აი, პრეზიდენტი რომ ამბობდა, ჩემი გადაყენების შემთხვევაში საქართველო დაიშლებაო, ხომ არაფერი მომხდარაო, — აფხაზეთი თავის ადგილას არის, სამეგრელოცა თავის ადგილას არის. ხომ ხედავთ, პირიქით, ჩვენ მოვიპოვეთ წარმატებაო, დემოკრატიული რევოლუცია მოვახდინეთო. მაგრამ მოვლენები ერთ დღეში ხომ არ იცვლება, არა? არადა, დღეს ჩვენ ვიმკით მომხდარის შედეგს. უკეთ ვართ და ყველაფერი უკეთ არისო, მე მგონი, ხელისუფლების სათავეში რომ არიან, იმათ გარდა ვერავინ იტყვის.

— ამ მომხდარი საშინელებისათვის ციხეში არ ჩაუსვამთ და რატომ დააპატიმრეს კიტოვან-იოსელიანი სხვა მოტივებით?

– ყოველგვარი ცნებები აღრეულია; ნგრევისათვის მათ ორდენი მიიღეს. რაც არ ჩაუდენიათ, იმისათვის დააპატიმრეს. ეს იმას ნიშნავს, რომ ადამიანმა არ იცის, სად არის სიმართლე და სად — ტყუილი, მეფობს ნიჰილიზმი, განუკითხაობამ წალეკა ქვეყანა და დღეს ადამიანს არც აფხაზეთზე შესტკივა გული, არც კულტურა უნდა, არც მწერლობა და ხალხი უკვე გაუცხოვდა მაღალი იდეალებისათვის.

— სოსო! თქვენ თქვით, რომ გაფორმდა ოფიციალურად თქვენი კავშირი „აღორძინებასთან“. აქედან გამომდინარე, გთხოვთ გვითხრათ, რა აზრისა ხართ ასლან აბაშიძეზე, რომელზედაც ამდენი განმაქიქებელი და საზიზღარი რამ იწერება?

– ასლან აბაშიძის განსაქიქებლად, ხელისუფლებასთან ერთად, გამოდის ზვიადის მომხრეთა ერთი ნაწილი. მას აბრალებენ, რომ თავის

დროზე გვერდით არ დაუდგა ზვიად გამსახურდიას, როცა ჩამოვიდა, მხარი არ დაუჭირა და ა.შ.

მინდა ვთქვა, ამ შემთხვევაში ემოციები სიმართლეს ვერ გაარკვევს. პოლიტიკა შორს დგას ემოციებისაგან, პოლიტიკაში შორს მიმავალი მიზნებია მთავარი და პრაგმატული მიდგომა და არა — დღეს რა სჯობს, ან რა იქნებოდა უკეთესი. ასლან აბაშიძემ თავისი პოლიტიკური კურსით, აჭარაში მიმდინარე აღმშენებლობით, იქ არსებული ერთიანობით, სწორედაც, გააგრძელა ზვიად გამსახურდიას პოლიტიკური მმართველობა. თქვენ ვერ დაასახელებთ შემთხვევას, რომ აჭარაში რომელიმე ზვიადის მომხრე დაეპატიმრებინოთ, შანტაჟი მოეწყოთ, მიტინგები დარბეულიყო...

— პირიქით, მათი დაცვის მაგალითებს ხომ არ დაასახელებთ?

— დიახ. როდესაც 93 წლის ოქტომბერ-ნოემბერში სამეგრელოში ხალხს აპატიმრებდნენ, მათმა დიდმა ნაწილმა თავი აჭარას შეაფარა. თვითონ ბატონი ასლანი ყოველთვის გამოხატავდა პატივისცემას ზვიად გამსახურდიასადმი. ის ფაქტი, რომ მან ცოტნე გამსახურდია თავისთან მიიყვანა სამსახურში, ჩემი ნათქვამის დადასტურებაა. გარდა ამისა, მისი პარლამენტის წევრები, ისევე როგორც რესპუბლიკის პარლამენტის დეპუტაცია, ზვიად გამსახურდიას შეხედულებების ერთგულები და მიმდევრები არიან. მას საზოგადოება ზვიადის მომხრეებად და მოწინააღმდეგებად არასოდეს დაუყვია; გარდა ამისა, ჩვენ უნდა გავითვალისწინოთ ქვეყანაში არსებული მაშინდელი სიტუაცია. კიდევ ერთი: დაპირისპირების შექმნა აჭარაში უფრო დამღუპველი იქნებოდა, ვიდრე სამეგრელოში, აფხაზეთსა და თბილისში, — ეს იქნებოდა საშინელება. თავისი გაწონასწორებული პოლიტიკით მან შეძლო საქართველოსთვის დაესახა იდეალი, თუ რა გზით და როგორ უნდა წავიდეს ქვეყანა. აღმშენებლობა, რაც მან დაიწყო ბათუმში და აგრძელებს, სწორედ ამისი გამოხატულებაა.

— მაშ, რატომ იწერება მასზე ამდენი ცუდი?

— ეს იმიტომ, რომ მან აჩვენა, როგორი უნდა იყოს მომავალი საქართველო; არა დაშლისკენ მიმართული, არამედ — ერთიანობისკენ, არა ნგრევისკენ, არამედ — აღმშენებლობისა და აღორძინებისაკენ. „აღორძინების კავშირი“ რომ ჰქვია, შემთხვევითი კი არაა. აღორძინება მხოლოდ სახლების შენებას კი არ ნიშნავს, ეს არის ნაციონალური სულის აღდგენა, კულტურის აღორძინება, ქართული ღირსების, ქართული სახელმწიფოებრიობის და ყველაფერი — ქართულის აღდგენა და აღორძინება. აქეთკენ მიდის ბატონი ასლანი და ამას პრაქტიკულად ახორციელებს. პოლიტიკა ზიგზაგებისაგან შედგება და ალბათ, არის ბევრი რამ, რაც მას არ გამოსდის, იმიტომ, რომ აჭარა მთლიანი საქართვე-

ლოს ერთი კუთხეა და რაც უნდა მონდომებული იყო, იზოლირებული ვერ იქნები მთლიანი პროცესებისაგან. საერთო საქართველოს სიტუაცია მასზედაც ახდენს ზეგავლენას. და ცხადია, ეს კაცი როგორც უძღვება თავის კუთხეს, ისე წარუძღვებოდა მთლიანად საქართველოს...

— სოსო! რას ფიქრობთ, მურმან ლებანიძის იმ გახმაურებული ლექსის გამო, გული ხომ არ დაგწყვიტათ?

— სამეგრელო როცა რამდენჯერმე ააოხრეს, ააწიოკეს, დაწვეს, მაშინ ხელისუფლებას ხმა არ ამოუღია. იმიტომ, რომ ეს ხელისუფლების დასტურითა და ინიციატივით მოხდა. ახლა პოეტმა ერთი ლექსი რომ დაბეჭდა, ისეთი ხმაური ატეხეს, თითქოს დიდი დანაშაული ჩაედინოს. ხელისუფლება ცდილობს განტევების ვაცად გამოიყენოს და მიეფეროს სამეგრელოს არჩევნების წინ, თითქოს ხელისუფლება ისე ზრუნავს ამ კუთხეზე, რომ პოეტს ერთი ლექსიც კი არ აპატიეს. მურმან ლებანიძეს კი არა, ყველა ქართველ პოეტს რომ დაეწერა ასეთი ლექსები, ეს იქნებოდა იმაზე ნაკლები დანაშაული, რაც მოხდა სამეგრელოში 92-93 წლებში. მთავარი ის არის, რაც მაშინ მოხდა და არა ის, რომ პოეტმა გამოხატა თავისი თვალსაზრისი. მე, რა თქმა უნდა, არ ვიზიარებ მურმან ლებანიძის პოზიციას, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ანათემა გამოვუცხადოთ მას.

ესაუბრა ბელა შალვაშვილი
გაზ. „გაუხმაურებელი ფაქტები“,
1999, 27 ივლისი-2 აგვისტო

ფარული ბიოკოტისტები

ბლოკი „XXI საუკუნე“ ხანგრძლივი კონსულტაციების შემდეგ გახდა ერთ-ერთი დამფუძნებელი მძლავრი პოლიტიკური გაერთიანებისა — „XXI საუკუნე-დემოკრატია და აღორძინება“, რომლის მიზანია საპარლამენტო უმრავლესობის მოპოვება, რათა შეჩერდეს ქვეყნის ეკონომიკური, სულიერი და ზნეობრივი დეგრადაცია, აღდგეს ტერიტორიული მთლიანობა. მხოლოდ პარტიების ასეთ დიდ ალიანსს შეუძლია არჩევნებში მოქალაქეთა კავშირის დამარცხება, რომელმაც გაპარტახებულ ქვეყანას ვერაფერი არგო და სამომავლოდაც მხოლოდ დაპირებების ამარა სტოვებს.

მაგრამ ჩვენს რიგებში, ჩვენს წევრებს შორისაც გამოჩნდნენ ცალკეული პიროვნებები, რომლებიც ამ გაერთიანების წინააღმდეგ გამოდიან და არად აგდებენ ბატონ **ვახტანგ ბოჭორიშვილის** დიდ ღვაწლსა და

ძალისხმევას. ისინი მოითხოვენ, რომ ჩვენ დამოუკიდებლად მივიღოთ არჩევნებში მონაწილეობა, რომ არ შეიძლება დაკავშირება ასათიანთან და გიორგაძესთან. ესენი გუშინდელი ბოიკოტისტები არიან, ბლოკ „XXI საუკუნეს“ რომ ებრძოდნენ 1995 წლის საპარლამენტო არჩევნებში. თავიანთი ინიციატივით თუ ხელისუფლების დახმარებით ისინი ეწეოდნენ ჩვენს საპირისპირო კამპანიას, ბრალად გვდებდნენ ღალატს, ხუთ თეთრად ბეჭდავდნენ გაზეთებს.

რომ არა მათი ასეთი მტრული პოზიცია, დღეს ჩვენი ბლოკიც უკეთეს დღეში იქნებოდა და, შესაძლოა, ქვეყანაც. ახლა მათ ტაქტიკა შეიცვალეს, მაგრამ ისევ ძველი სტრატეგიით მოქმედებენ: **როგორმე „XXI საუკუნე“ გამოთიშონ საარჩევნო კამპანიიდან.**

მაღალფარდოვანი სიტყვები საქმეს ვერ შველის.

ჩვენ უნდა ვიმოქმედოთ სიტუაციის შესაბამისად.

1995 წელს რომ გონიერება გამოეჩინათ, მაშინ მართლაც შევძლებდით პოზიციის განმტკიცებას და არჩევნებშიც მეტი წარმატება გვექნებოდა. მაგრამ ასეთ შემთხვევაშიც ჩვენ მხარი უნდა დაგვეჭირა ამ მძლავრი პოლიტიკური გაერთიანებისათვის, რომელიც წინ იხედება და არა უკან — წარსულისაკენ.

წინ საქართველოს ხვალინდელი დღეა.

ხოლო ფარული ბოიკოტისტები, თავიანთი ინიციატივით თუ ხელისუფლების ნაქეზებით, ნებსით თუ უნებლიეთ ისევ მოქალაქეთა კავშირის სამსახურში დგებიან.

გაზ. „XXI საუკუნე“, 1999, 14-20 ივლისი

შემოდგომის ბუზები

როგორც „იბერია-სპექტრის“ ფურცლებიდან შევიტყვეთ, **თენგიზ კიკაჩეიშვილის „მრგვალი მაგიდა-თავისუფალ საქართველოს“** ჩაუტარებია პრეს-კონფერენცია, რომელზეც პარტიათა ბათუმური ალიანსი შეუფასებიათ როგორც პოლიტიკური აჯაფსანდალი.

ერთ მათგანს ბატონი ვახტანგ ბოჭორიშვილის მისამართით უთქვამს, ეგ მსახიობი იყო და მსახიობად დარჩაო!

შოთა მალაშხიას უბედურება ისაა, რომ მსახიობის სახელი შეურაცხმყოფელ ეპითეტად მიაჩნია!

ეს თავისთავად მეტყველებს მის დაბალ ინტელექტუალურ დონეზე.

„მრგვალი მაგიდა-თავისუფალი საქართველოს“ წევრები შემოდგომის ბუზებივით მწარედ იკბინებიან. სადაც ხელი მიუწვდებათ, ყველგან

უკეთურად ახსენებენ ბლოკ „XXI საუკუნის“ თავმჯდომარეს ვახტანგ ბოჭორიშვილს.

ჩვენ კი მაინც შევნიშნავთ, რომ ეს მაშინდელი ბოიკოტისტები და რადიკალ-ოპოზიციონერები დღეს მხარს უბამენ მათ მიერ ერთ დროს „უკანონოდ“ გამოცხადებულ ხელისუფლებას და ედპ-ს როლს ასრულებენ.

ეს ბუნებრივიცაა — ედუარდ შევარდნაძის ხელისუფლება ყოველნაირად ხელს უწყობს მანანა არჩვაძე-გამსახურდიას მიერ დაშლილი ორგანიზაციის რეანიმაციას.

გაზ. „XXI საუკუნე“, 1999,
28. VII-3. VIII.

ისტერიას ტერორი მოჰყვა

ახლოვდება 31 ოქტომბერი და ხელისუფლება უფრო მეტად ძაბავს სიტუაციას. გამოდიან მოქალაქეთა კავშირის წევრები და ხალხს უქადაგებენ, რომ „აღორძინების“ სახით მოდის შავი ძალა, რომელიც ქვეყანას დაღუპვით ემუქრება!

ისინი თავიანთი ძალაუფლების დაკარგვას საქართველოს დაღუპვად მიიჩნევენ, თითქოს მათ გარდა არავის შეეძლოს ქვეყნის მართვა!

არადა — ყველა ვხედავთ, თუ როგორ მოუარა ედუარდ შევარდნაძის ხელისუფლებამ ხალხსა და ქვეყანას.

ისტერიას მოჰყვა ტერაქტები „აღორძინების“ დეპუტატობის კანდიდატთა მიმართ — ქუთაისში დაცხრილეს ბონდო შალიკიანის ავტომანქანა, ასპინძაში სახლში ხელყუმბარა შეუგდეს ნოდარ ზაზაძეს, თბილისში ცეცხლი წაუკიდეს ნოდარ კობერიძის ბინას. ბინაში შეეჭრნენ და სცემეს სანდრო ბრეგვაძის დედა...

ვინ სჩადის ამ ბოროტმოქმედებას — არავინ იცის.

ფაქტი ერთია — ან ხელისუფლება აქეზებს ტერორისტებს ან ვერ აკონტროლებს სიტუაციას და არ ძალუძს არც დანაშაულის აღკვეთა და არც გამოძიება.

სისხლით მოსული ხელისუფლება ისევ ძალადობით, დაშინებით ცდილობს ძალაუფლების შენარჩუნებას.

8 წლის მანძილზე მათ დათრგუნეს ეროვნული სული. დაშალეს და გააღატაკეს ქვეყანა, სამშობლოდან გადახვეწეს მილიონი მოქალაქე. დანაშაულებრივ ომებში შეიწირეს 30 ათასი ქართველი. შთამომავლობას დაუტოვეს ორი მილიარდი საგარეო ვალი. პენსიონერისათვის კი 12 ლარიც ვერ მიუციათ.

ასეთ ხელისუფლებას ხალხმა ხმა არ უნდა მისცეს.

დაქცეულ საქართველოს აღორძინება სჭირდება.

მაგრამ რას მოსთხოვ ხელისუფლებას, როცა ცალკეული ჟურნალისტები უარესად იქცევიან. რაიმე რომ უთხრა, გიპასუხებენ, ჩვენ თავისუფალი პრესა ვართო!

გადავშალოთ გაზეთი „კავკასიონი“ (6-12 ოქტომბერი), რომელიც რედაქციის სახელით აქვეყნებს ცინიკურ სტატიას — **„პუჭურ იბრაგიმოვიჩი და მისი აღორძინებული კუტაიები“**. თან აცხადებენ — „ობიექტურნი ვიქნებითო“.

ამ „ობიექტურობის“ შედეგად რედაქცია მკითხველს აუწყებს:

„ბლოკ „საქართველოს აღორძინების საარჩევნო სიაში 235 წევრია. ვინ როგორი პოლიტიკოსია, ამჯერად არ განვსჯით. არ განვსჯით იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ორას ოცდათხუთმეტივე არის უბრალოდ უნამუსო“.

აი ასე მიმართავენ სოზარ სუბელიანი, ია ანთაძე, გიორგი გორგოძე, ნინო ზურიაშვილი, მინდია დავითური, დავით ნინიკაშვილი, ზაზა ფაჩუაშვილი და შადიმან შამანაძე და მერე ვის? — ასლან აბაშიძეს, ჯუმბერ პატიაშვილს, მუხრან მაჭავარიანს, აკაკი ასათიანს, ვახტანგ რჩეულიშვილს, ვახტანგ ბოჭორიშვილს, ელიზბარ ჯაველიძეს, რევაზ მიშველაძეს, ზურაბ ქაფიანიძეს, ირაკლი გოცირიძეს, არჩილ ასათიანს, ნოდარ კობერიძეს, ირაკლი კენჭოშვილს...

თურმე ყველანი ესენი „უნამუსონი“ ყოფილან. ცხადია, დანარჩენ 222 დეპუტატობის კანდიდატთან ერთად!

ხოლო გაზეთ „კავკასიონის“ ანალიტიკოსი და პროგნოზისტი ია ანთაძე ცით მოვლენილი ანგელოსი გვყოლია, რომელსაც მხოლოდ სიმართლე ალაპარაკებს.

შევახსენებ ერთ დროს ჩემს პატივისმცემელ იას, რომ „XXI საუკუნე“ არ არის ბლოკ „საქართველოს აღორძინების“ გაზეთი. არც დილარ ივარდავა გახლავთ ის ავტორი, რომლის ნარკვევი გაზეთმა არ უნდა დაბეჭდოს. ხოლო თუ რაიმე მართლაც გულწრფელად არ მოეწონა, ედავოს იმ ავტორებს, რომლებსაც ასწავლიდნენ უნივერსიტეტში კლასიკური ფილოლოგიის ლექტორები.

ისიც გაითვალისწინოს „კავკასიონის“ რედაქციამ — დილარ ივარდავას სახელი იცის მთელმა საქართველომ. ხოლო მათი სარედაქციო საბჭოს წევრებს რამდენიმე ასეული კაცი თუ იცნობს.

ეტყობა, ამ გაზეთის მუშაკებსაც კატასტროფად მიაჩნიათ თუ „მოქალაქეთა კავშირს“ დაამარცხებს „საქართველოს აღორძინება“. მაგრამ რაც უნდა გიყვარდეს ჟვანია ან სააკაშვილი, რატომ უნდა უწოდო მათ მეტოქეებს „უნამუსო“, ხოლო ასლან აბაშიძეს — „პუჭურ იბრაგიმოვიჩი“.

ვინ აფასებს ასეთი ცინიზმით მოწამლული ხალხის სიტყვას ან რა

„ობიექტურობა“ ამოძრავებს მათ — სრულიად აშკარაა.

და ბოლოს — დილარ ივარდავა არ არის დეპუტატობის კანდიდატი და რაღა მას უნდა დაეწერა „ბლოკის კარგად გათვლილი პროგრამა“!

„XI საუკუნე“, 1999, 13-19 ოქტომბერი

ხელისუფლების ახალი მუქარა

ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ წინასწარ მიიღო ზომები, რათა მოქალაქეთა კავშირისათვის სახიფათო მაჟორიტარები სიიდან ამოეგდო.

სასამართლომ ცსკ-ს დაუჭირა მხარი — არ აღადგინა სწორედ ისინი, რომელთაც გამარჯვება თითქმის გარანტირებული ჰქონდათ.

უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებით, ბლოკ „საქართველოს აღორძინების“ კანდიდატებიდან არჩევნებში მონაწილეობას ვერ მიიღებენ — **ზვიად ცეცხლაძე** (ოზურგეთის საარჩევნო ოლქი), **მაია რჩეულიშვილი** (სამგორის საარჩევნო ოლქი), **ჯემალ გვარიშვილი** (ქედის საარჩევნო ოლქი), **იოსებ ვანაძე** (ხულოს საარჩევნო ოლქი), **თამაზ ტუხიაშვილი** (კასპის საარჩევნო ოლქი), **თემურ კაპანაძე** (ბორჯომის საარჩევნო ოლქი), **გიორგი ლასურაშვილი** (მცხეთის საარჩევნო ოლქი), **ვალერიან იზორია** (ჩხოროწყუს საარჩევნო ოლქი), **ნიკოლოზ შარვაძე, ბეჟან აბესაძე, დიმიტრი ჩხეიძე**. მათ არ სცოდნიათ საარჩევნო ანკეტის შევსება — ასეთია ცსკ-ს და სასამართლოს განაჩენი.

ცსკ განსაკუთრებით მტრულად მოეკიდა მაჟორიტარ კანდიდატებს, რადგან სწორედ ისინი უშლიდნენ ხელს მოქალაქეთა კავშირს. ხოლო პარტიული სიიდან კანდიდატების ამოღებას ხელისუფლებისათვის სარგებელი არ ჰქონდა, რადგან მის ადგილს მომდევნო იკავებს.

ცსკ ხელისუფლების ტერორისტული მანქანის შემადგენელ ნაწილად იქცა, ისევე როგორც სასამართლო, თუმცა იგი თითქოს დამოუკიდებელია.

პოლიცია კარგა ხანია გვაშინებს წესრიგის დაცვის მოთხოვნით. ეს მოთხოვნა იმდენად სასტიკი აღმოჩნდა, რომ **მიტინგის გამართვის მცდელობისათვის შეიძლება დააპატიმრონ საქართველოს პარლამენტის წევრიც კი.**

ეს განაცხადა თბილისის პოლიციის უფროსმა გენერალმა სოსო ალავიძემ და იურიდიულად განამტკიცა და დაადასტურა გენერალურმა პროკურორმა ჯამლეთ ბაბილაშვილმა.

ხელისუფლება უკიდურეს ზომებს მიმართავს, რათა გაყალბებით, დაშინებით, დაპატიმრებით, ტერორით მოიპოვოს გამარჯვება.

როგორც ჩანს, მის დიქტატს მასმედიიდან მხოლოდ რამდენიმე

გაზეთი და ტელევიზიის პირველი არხიღა ემორჩილება.

ამიტომ მთავარ იმედად და საყრდენად მიიჩნევენ პოლიციასა და პროკურატურას, რათა ძალადობის გზით შეინარჩუნონ სისხლით მოპოვებული ძალაუფლება.

დამარცხებას ედუარდ შევარდნაძე გადატრიალებად მიიჩნევს და ახალი სამოქალაქო დაპირისპირებით აფრთხილებს მოსახლეობას.

არადა არჩევნები ხომ ხალხის ნების გამოხატულებაა და პრეზიდენტს რატომ უნდა აშინებდეს სხვა პარტიის გამარჯვება!

პრეზიდენტი ხომ, მისივე კონსტიტუციის თანახმად, არც უნდა იყოს რომელიმე პარტიის თავმჯდომარე!

„XXI საუკუნე“, 1999, 19-26 ოქტომბერი

მოზაიკა:

1. პროვოკაცია

ამას წინათ ტელევიზიის სამთავრობო არხმა მკითხველებს აუწყა, აღორძინების კავშირის მარნეულის ორგანიზაციამ მოქალაქეთა კავშირისაკენ გადაინაცვალაო.

ტყუილს არც ამჯერად აღმოაჩნდა გრძელი ფეხები.

თურმე ეს მორიგი პროვოკაცია ყოფილა.

რედაქციაში მოვიდნენ აღორძინების მარნეულის ორგანიზაციის თავმჯდომარე კობა დარბაიძე და მოადგილე აკიფ ჰასანოვი, რომელიც უზენაესი საბჭოს ყოფილი დეპუტატია და საქართველოს დამოუკიდებლობის აქტზე ხელისმომწერი.

მათ განაცხადეს, რომ აღორძინების რიგები არცერთ წევრს არ დაუტოვებია, ეს ყოფილა ისეთივე ჭორი, როგორც შემოდგომაზე ნათქვამი, აღორძინების ახალგაზრდული ორგანიზაციის 4.500 წევრი გადავიდა მოქალაქეთა კავშირშიო.

ედუარდ შევარდნაძისა და მისი პარტიისადმი თანადგომა განუცხადებია ოთარ მამედოვს — საკრებულოს დეპუტატს სახალხო პარტიიდან.

მეტი არაფერი მომხდარა.

ამაზეა ნათქვამი, მელას რაც ესიზმრებოდა, ის ეჩვენებოდაო.

2. თბილისის დანგრევისათვის — ჯილდო ხუთი მილიონი ლარი!

როგორც მოგეხსენებათ, არ რიგდება ხელფასები და პენსიები. რაც დაწესებულია, ისიც პურის ფულად თუ ეყოფა ოჯახს. წლების მანძილზე არ სრულდება ბიუჯეტი.

მიუხედავად ამისა, ვაჟა ლორთქიფანიძემ საოცარი გულუხვობა გა-

მოიჩინა და თბილისის დამანგრეველ **თენგიზ კიტოვანს** და მის ვეტერან გვარდიელებს გრანტის სახით ხუთი მილიონი ლარი გამოუყო!

ცხადია, ბატონი ვაჟა ედუარდ შევარდნაძის თანხმობის გარეშე ამას ვერ იზამდა.

ისინი ხომ ხუთი წელი ერთად ისხდნენ ციხეში, არა მხოლოდ სახელმწიფო (ანუ სამხედრო) საბჭოში! ასე რომ, კიტოვანს ჯილდო ერგო ქვეყნის დაქცევისა და გაუგებარი მიზეზით ციხეში გატარებული ხუთწლედისათვის.

3. კიკაჩეიშვილი ვერ ისვენებს

რამდენიმე თვის წინათ **თენგიზ კიკაჩეიშვილი** ოცნებობდა, უმრავლესობაში მოვალთ და ქვეყნის ბედს წაღმა შევატრიალებთო.

მაგრამ მხოლოდ 0,27 პროცენტი ერგო და პარლამენტის მიღმა დარჩა. ვერაფერი შედეგი მოუტანა მოქალაქეთა კავშირთან ფარულმა ალიანსმა, მოძალადე ხელისუფლების წინაშე დამსახურებამ, ძველ თანამოაზრეთა დაწიოკებამ.

გვეგონა, დაცხრებოდა ბატონი თენგიზი და მეცნიერებისათვის მოიცლიდა.

არ გამართლდა ჩვენი ვარაუდი.

ისევ გამოიხედა ჩირგვიდან და ძველებური რიხით დასცხო, შევარდნაძე შეუცვლელია, ეგ თუ არა, აბა სხვა ვინ უნდა იყოს საქართველოს პრეზიდენტიო.

დასცხო და ზვიად გამსახურდიას სურათს თვალი მოარიდა, ადრე რომ გულზე ეკიდა.

საარჩევნო კანონის წინააღმდეგ 20-ზე მეტი არასაპარლამენტო პარტია გაერთიანდა. თენგიზი ამ საკითხშიც ორიგინალურ ბილიკს დაადგა:

კანონი შესაცვლელია, მაგრამ ოპოზიციურ ალიანსთან მე რა მესაქმებაო, „მარტოკამ უნდა ვიბრძოლო, მთელმა ჯარეგამ მნახოსო“, გაახსენდა ვაჟა-ფშაველა.

ხოლო თუ როგორ იბრძოლა, მთელმა ქვეყანამ ნახა!

ვიმეორებთ, არჩევნებში მიიღო 0,27 პროცენტი ანუ მხარი დაუჭირა 5000-მა ამომრჩეველმა!

ისე 500-ს მაინც 5000 სჯობია...

„XXI საუკუნე“, 1999, ნოემბერი

14 ნოემბერს ხელისუფლებამ კიდევ ერთხელ დაარბია სამეგრელო

იარაღით და სისხლისღვრით მოსული ხელისუფლება ისევ ძალადობით, ტერორით და რეპრესიებით აგრძელებს მოღვაწეობას.

ამისი ნათელი მაგალითია საქართველოს პარლამენტის არჩევნებიც.

ჩვენ ვთვლიდით, რომ გაყალბების შედეგად მოიგო ედუარდ შევარდნაძის ხელისუფლებამ 1992 და 1995 წლების არჩევნები. მაგრამ ახლა მოხდა წარმოუდგენელი რამ: არჩევნების პროცესი იქცა ომად, რომელსაც წარმართავდნენ პოლიცია და გამგებლები. ისინი განსაკუთრებული სისასტიკით მოიქცნენ სამაგრელოს რაიონებში.

ხელისუფლებამ ვერ აიტანა ის ფაქტი, რომ ზუგდიდში გაიმარჯვა სოციალისტმა **თენგიზ ჯგუშიამ**. ამიტომ მიიღეს საგანგებო ზომები და არც გაყალბება იკმარეს.

აბაშაში მოსახლეობამ შიმშილობა გამოაცხადა **დავით ხოშტარიას** მხარდასაჭერად, რომელსაც არჩევნებიდან სამი დღის შემდეგ გაუყალბეს შედეგები და შეადგინეს ახალი ოქმები.

ხელისუფლების კანდიდატი იყო ყოფილი გამგებელი **სოსო ჭანტურია**. მისი ინტერესების დასაცავად საკმარისი არ აღმოჩნდა ადგილობრივი პოლიცია. გამოიძახეს სპეცნაწილები სენაკიდან. ისინიც ხელჯოხებით და ფარებით გაემზადნენ მოშიმშილეთა და მომიტინგეთა დასარბევად. მაგრამ იქ აღმოჩნდნენ პარლამენტის ახლად არჩეული წევრები — **ვახტანგ ბოჭორიშვილი, სოსო სიგუა და ანზორ აბრალავა** და ამიტომ თავი შეიკავეს — წესრიგის დასაცავად ჩამოვედითო, განაცხადეს. მაგრამ არ ცხრებოდა ერთდროს წყნარი და მშვიდი გამგებელი **ლასარეიშვილი**, არჩევნებს მე ვატარებ ამ რაიონში, მე ვაგებ პასუხს ყველაფერზეო, გაჰყვიროდა იგი.

პოლიციისა და სპეცნაწილის იმედით საარჩევნო კომისიამ მიიღო ხელისუფლებისათვის სასურველი გადაწყვეტილება.

ფოთში გადაისროლეს მოქკავშირის მძიმე არტილერია — ჩავიდნენ **ნიკო ლეკიშვილი, ალექსანდრე კარტოზია, ბადრი ხატიძე**. არჩევნების დღეს გაჩაღდა ცემა-ტყეპა, დაწვეს საარჩევნო ყუთები.

პეტრე ბერაიას გასამარჯვებლად იღწვოდნენ **დავით თევზაძე** და **კახა თარგამაძე**. აბა მელია ასეთ ლომებთან რას გახდებოდა! თუმცა პირველ ტურში ათასი ხმით უსწრებდა მეტოქეს!

წალენჯიხაში საარჩევნო პროცესს ხელმძღვანელობდა გამგებელი დათო ქანთარია. იგი ყველა ხერხს მიმართავდა, რათა აღორძინების კანდიდატი **გიორგი ცანავა** დამარცხებულიყო.

14 იანვარს სოფელი ობუჯი პოლიციის მიერ იყო ოკუპირებული. არჩევნები 16 საათზეც არ იყო დაწყებული. მთელი სოფელი მხარს უჭერდა გიორგი ცანავას. მოსახლეობის აქტივობა რომ დაცემულიყო, პოლიციამ ასპარეზზე ნაგაზები გამოიყვანა. ერთმა მათგანმა დაკბინა დეპუტატობის კანდიდატიც.

ხალხი მაინც არ მიემხრო მოქალაქეთა კავშირს. მაშინ ადგნენ და საერთოდ გააუქმეს ობუჯში არჩევნები და გამარჯვება მიულოცეს **ვალერი ჭანტურიას** — მოქალაქეთა კავშირის წევრს.

ხობში მანქანებს აკავებდნენ, ხალხს აშინებდნენ. არჩევნებს ატარებდა იარაღიანი ხალხი. პოლიციის სპეცნაწილის წევრები მიამაგრეს ყველა უბანს, რათა გაყალბება იოლად მოეხდინათ.

მარტვილში მეორედაც ჩაიშალა არჩევნები, რადგან ისევ ლეიბორისტი **ფრიდონ ინჯია** იგებდა.

ხალხმა აქაც ზურგი აქცია მოქალაქეთა კავშირს.

დამფრთხალი კომისიის თავმჯდომარე **კოტე კოტია** თავს აფარებდა პოლიციის შენობას.

არადა **რომან მელია, დავით ხოშტარია და ფრიდონ ინჯია** ხომ გუშინ ამ ხელისუფლებისათვის იღწვოდნენ, მათთვის იბრძოდნენ!

ხელისუფლებამ კიდევ ერთხელ წაართვა სამეგრელოს მოსახლეობას თავისუფალი არჩევანის ნება.

„XXI საუკუნე“, 1999, 17-23 ნოემბერი

მოქალაქეთა კავშირში დიდი სიამოვნებით შევიტანდით განხეთქილებას

- ბატონო სოსო, ასლან აბაშიძე პრინციპულად მოითხოვს, რომ ვიცე-სპიკერის თანამდებობა „აღორძინებიდან“ ვახტანგ რჩეულიშვილმა დაიკავოს, რაზეც მმართველი პარტია პრინციპულად არ თანხმდება. ასეთმა კატეგორიულობამ ხომ შეიძლება, უფრო გააღრმავოს დაპირისპირება, მით უმეტეს, თქვენს ბლოკში რჩეულიშვილის გარდა სხვა კანდიდატურებიც არსებობენ.

- ბლოკ „აღორძინების“ პოლიტსაბჭომ გადაწყვიტა, გამარჯვების შემთხვევაში ვახტანგ რჩეულიშვილი ყოფილიყო პარლამენტის თავმჯდომარე, მაგრამ როცა უმცირესობაში აღმოვჩნდით, ბუნებრივია, მას ვიცე-სპიკერის თანამდებობა უნდა დაეკავებინა.

თქვენ კარგად მოგეხსენებათ, რომ რჩეულიშვილს მოქალაქეთა კავშირთან დაპირისპირება ჰქონდა როგორც პარლამენტში, ასევე პარლა-

მენტის გარეთაც. გახსოვთ ალბათ მისი გამოსვლა გორში, მისი მიმართვა პრეზიდენტისადმი და მოქალაქეთა კავშირისადმი. აქედან გამომდინარე, ცხადია, მმართველი პარტია წინააღმდეგი იქნება რჩეულიშვილისა.

მმართველმა პარტიამ დღეს უმცირესობისა და უმრავლესობის ორი მოადგილე თვითონ შეითავსა. შედეგად მათ ჰყავთ ოთხი მოადგილე, ოპოზიციისთვის კი ადგილი აღარ დარჩა. - მოქალაქეთა კავშირი ყოველნაირად შეეცადა, რათა ჩვენს ბლოკს რჩეულიშვილის კანდიდატურა მოეხსნა. ამიტომაც გამოსაცდელად რჩეულიშვილს ორკვირიანი ვადა მისცეს. ეს იმიტომ, რომ ამ დროში გამოჩნდება, რჩეულიშვილის დაპირისპირება მმართველი პარტიისადმი შენელდება თუ უფრო გამოაშკარავდება. მომავალ კვირაში იქნება სესია და, ვნახოთ, რას იზამს უმრავლესობა.

- ბატონო სოსო, კიდევ ვიმეორებ, რჩეულიშვილის გარდა ვიცე-სპიკერის პოსტზე „აღორძინებას“ სხვა კანდიდატურებიც ჰყავს და, ხომ შეიძლება, რომ რჩეულიშვილის კანდიდატურამ კონფრონტაცია არ გააღრმავოს?

- როდესაც მმართველმა პარტიამ რჩეულიშვილზე უარი განაცხადა, მაშინ რჩეულიშვილმა ვიცე-სპიკერის თანამდებობაზე ნანა დევდარიანი დაასახელა. მაგრამ შემდეგ ბლოკმა იმსჯელა და გადაწყვიტა, რომ ამ პოსტზე ჯემალ გოგიტიძის კანდიდატურა უფრო სასურველი იქნებოდა. მოქალაქეთა კავშირმაც განაცხადა, რომ ის მხარს დაუჭერდა გოგიტიძეს, თუმცა, როგორც ჩანს, ბატონმა ასლანმა თავისი პოზიცია არ შეცვალა რჩეულიშვილთან დაკავშირებით.

- სხვათა შორის, გოგიტიძეც არანაკლები რადიკალური განცხადებებით გამოდიოდა მოქკავშირის წინააღმდეგ.

- დიახ, მართალი ბრძანდებით, მაგრამ თავის დროზე ვახტანგ რჩეულიშვილი მოქალაქეთა კავშირის წევრი გახლდათ და ვიცე-სპიკერიც 1994-95 წლებში. მმართველმა პარტიამ რჩეულიშვილს სწორედ მისგან განდგომა და სწორი პოზიციის დაკავება არ აპატია. ყველაზე კარგად რჩეულიშვილმა იცის, თუ რას წარმოადგენს მმართველი პარტია და როგორი მოქალაქეები არიან მისი ლიდერები.

- ე.ი. მოქკავშირის დამოკიდებულება ყოფილი თანაპარტიელებისადმი გორიდან კი არ იწყება, არამედ უფრო შორიდან, არა?

— დიახ, ასეა. რაც შეეხება ჯემალ გოგიტიძეს, ის ყოველთვის ოპოზიციაში იყო და დღესაც ოპოზიციაში იმყოფება მოქალაქეთა კავშირისადმი.

მმართველი პარტიის განცხადება, რომ თითქოს ჩვენს ბლოკს აჭარიდან ორი ადგილი ექნება, არ არის სწორი, იმიტომ, რომ ის ერთი

ადგილი, რომელიც ჯაფარიძემ დაიკავა, ბლოკს კონსტიტუციურად ისედაც ეკუთვნოდა. მეორე ადგილი კი აჭარისა არ იქნება, რადგან ბლოკი „აღორძინება“ არ გახლავთ აჭარის ბლოკი. აქ სხვადასხვა პარტიაა გაერთიანებული და თუ ასლან აბაშიძე უდგას სათავეში, ეს არაფერს ნიშნავს. ასე შალვა ნათელაშვილიც არ არის თბილისელი და სხვა რომელიმე ბლოკის წარმომადგენელიც შეიძლება, რომ არ იყოს თბილისელი. ასე რომ ამ კონკრეტულ შემთხვევაში ლაპარაკია არა აჭარაზე, არამედ უმცირესობაზე, რომელსაც თავისი წარმომადგენელი უნდა ჰყავდეს სპიკერატში.

– სხვათა შორის, ზურაბ ქაფიანიძეზეც ამბობენ, ვიცე-სპიკერობა უნდაო.

- მე არ გამიგია ასეთი რამ. ბატონი ზურაბი შესანიშნავი მსახიობია და მას თანამდებობისაკენ ლტოლვა არასოდეს ჰქონია.

- თქვენი პარტიის ლიდერმა ვახტანგ ბოჭორიშვილმა არჩევნების შემდეგ განაცხადა, რომ თუ მმართველი პარტია არ მიიღებს „აღორძინების„წინადადებას, ამ შემთხვევაში ბლოკი დატოვებს პარლამენტს. რჩეულიშვილის საკითხი უკვე არ მიიღო და შესაძლოა, კიდევ სხვა ბევრი საკითხიც არ მიიღოს. თუ ასე მოხდა, მართლა დატოვებთ პარლამენტს?

- თქვენ მოგეხსენებათ, თუ რა მასობრივი გაყალბებით, ტერორით და დაშინებით მოიპოვა მოქალაქეთა კავშირმა უმრავლესობა. იგივე დისკრიმინაცია გრძელდება პარლამენტშიც, რადგან უმცირესობის მოადგილის ადგილიც მათ მიისაკუთრეს. თექვსმეტი კომიტეტიდან თექვსმეტივე თავმჯდომარე მათია. გარდა ამისა, პირველი მოადგილეებიც მათია. აი, როგორი დისკრიმინაციაა! თექვსმეტი კომიტეტიდან მმართველ პარტიას ორი ჩვენთვის რომ დაეთმო, ამით მათი პოზიციები არ შეირყეოდა. კარგით, თუ თავმჯდომარეობას არ თმობენ, პირველი მოადგილის ადგილი მაინც დათმონ. კომიტეტშიც მხოლოდ ხუთი წევრის ყოლის უფლება გვაქვს. ე.ი. ყველგან უმრავლესობას ქმნიან და ფაქტიურად ერთპარტიული პარლამენტი გვაქვს. მიუხედავად ამისა, ჩვენი ბლოკი არ აპირებს პარლამენტის დატოვებას და ყველანაირად შევეცდებით მათთან კონსტრუქციულ თანამშრომლობას. შემდეგ რა მოხდება, ვერაფერს გეტყვით.

- თუ მმართველი პარტია არაფერს გითმობთ და არც დაგითმობთ, მაშინ როგორღა ითანამშრომლებთ კონსტრუქციულად, ან რა აზრი ჰქონდა ასეთ პარლამენტში მოხვედრას?

- ჩვენი 60 კაცით საზოგადოებას ვაჩვენებთ, თუ რას წარმოადგენენ მოქალაქეთა კავშირის წევრები. ამას დავანახებთ ტრიბუნით, პრესით, ხალხთან შეხვედრებით, დავანახებთ, რომ მათში არაფერი შეცვლილა.

მოქალაქეთა კავშირს ქვეყნის ხსნა და გადარჩენა რომ შესძლებოდა, ამას ოთხი წლის განმავლობაში გააკეთებდა. ისინი უკვე რვა წელია ქვეყანას მართავენ. ამ ხნის მანძილზე არც ერთი კარდინალური საკითხი არ მოუგვარებიათ და, დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ ვერც მომავალში მოაგვარებენ. რაც შეეხება ჩვენს ბლოკს, მას კონკრეტული პროგრამა აქვს და პირველ რიგში ის პარლამენტში მოდიოდა, რათა **ეროვნული თანხმობის მოდელი შეექმნა.**

1991-92 წლების მოვლენები მათ ერთხელ უკვე შეაფასეს და სახალხო-დემოკრატიული რევოლუცია უწოდეს. ახლა ამას აღარ იმეორებენ. მაგრამ იმავე გზით მიდიან, რომელსაც გადატრიალების შედეგად დაადგნენ.

- როგორც გავიგე, თქვენ პარლამენტში ვერაფერს მიაღწევთ, სამაგიეროდ ლაკმუსის როლს შეასრულებთ.

- ძირითადად შემოვიფარგლებით პროპაგანდით, მხილებით და ჩვენებით, რათა საზოგადოებამ იწამოს, რომ მათ ტყუილად მისცეს ხმა. მართალია, იყო დიდი გაყალბება, დაშინება, ძალადობა, მაგრამ საზოგადოების საკმაოდ დიდმა ნაწილმა მაინც მოქალაქეთა კავშირს მისცა ხმა. მე პირველ რიგში თბილისის მოსახლეობას ვგულისხმობ და არაქართულ მოსახლეობას.

ამის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ის არის, რომ მონოპოლიზებული აქვთ ტელევიზია და პრესა. გაზეთების უმრავლესობა, მართალია, ოპოზიციურია, მაგრამ ვერც ტირაჟით და ვერც პოპულარობით საზოგადოებრივ აზრს ვერ ქმნიან. ცალკეულ რეგიონებში გაზეთები საერთოდ არ ჩადის. აი, თქვენს გაზეთს რამდენი აქვს ტირაჟი?

– ...?

- პრესა ძირითადად თბილისში და კიდევ რამდენიმე ქალაქში ტრიალებს. თუმცა საზოგადოებრივი აზრის შექმნა მაინც ტელევიზიით ხდება. პირველი არხი კი ხელისუფლების მიერ არის მონოპოლიზებული. შევარდნაძის წინასაარჩევნო კამპანია ყველა რეგიონში გადაიცემოდა. ამ შემთხვევაში ხელისუფლება, რა თქმა უნდა, ასლან აბაშიძეს არ დაუთმობდა.

- თქვენ თქვით, რომ არჩევნები გაყალბებითა და ძალადობით ჩატარდა. თუ ასეა, დასავლეთმა რატომ აღიარა?

- ედუარდ შევარდნაძე ის პიროვნებაა, რომელმაც საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრობის დროს მსოფლიოში მართლა მნიშვნელოვანი როლი შეასრულა, ხოლო საქართველოში რა მდგომარეობა იქნება, დასავლეთისთვის სულერთია.

- სხვათა შორის, ერთ-ერთმა პოლიტიკოსმა განაცხადა, რომ თქვენმა ბლოკმა ვერ გამოიყენა ის ფაქტი, რომ აჭარა რეგიონულ ანსამბლეაშია

გაერთიანებული, რომ ამით შეგეძლოთ საერთაშორისო საზოგადოებისათვის დაგენახვებინათ, რომ მოქკავშირის ალტერნატივა იყავით.

- შეიძლება მართლა იყო ცალკეული შეცდომები, მაგრამ უნდა გავითვალისწინოთ ის, რომ ბლოკის ფორმირება არჩევნებამდე სამი თვით ადრე მოხდა. სამი თვე კი ძალიან მცირეა, რომ საერთაშორისო ასპარეზზე ჩვენი ბლოკის პროპაგანდა მომხდარიყო. ედუარდ შევარდნაძეს კი მსოფლიო დიდი ხანია იცნობს.

- მე მინდა, ისევ ვიცე-სპიკერობის თემას დავუბრუნდე. თუ მმართველმა პარტიამ თავისი კანდიდატურა დაგანიშნინათ ვიცე-სპიკერად, ეს იმას ხომ არ ნიშნავს, რომ იგი „ჩორტს“ ჩააგდებს თქვენს ბლოკში?

- ცხადია, მოქალაქეთა კავშირი ყველანაირად ეცდება ჩვენს რიგებში განხეთქილების შეტანას. ჩვენც რომ შეგვეძლოს, სიამოვნებით ვეცდებოდით მოქალაქეთა კავშირში განხეთქილების შეტანას. ვახტანგ რჩეულიშვილი იქნება თუ ჯემალ გოგიტიძე ვიცე-სპიკერად, ეს ჩვენში განხეთქილებას ვერ შეიტანს.

- თქვენ ყოველთვის აცხადებდით, რომ ხელისუფლებაში მხოლოდ არჩევნების გზით მოხვიდოდით...

- ედუარდ შევარდნაძის ხელისუფლება სისხლისღვრით არის მოსული და ასეთი ხელისუფლება არჩევნებით პოზიციებს არ დათმობს. ჩვენ რომ მოგვეგო, ამ არჩევნების შედეგებს მაინც გააუქმებდნენ. თქვენ გახსოვთ, რომ 24 ოქტომბერს დააპატიმრეს პიროვნება, რომელიც თითქოს კომპიუტერში შესვლით ხმების გაყალბებას აპირებდა. ეს შემონახული იყო იმისთვის, რომ თუ გამარჯვებას მოვიპოვებდით, იტყოდნენ - აი, ამ კაცმა შედეგები გააყალბაო. ასე რომ, ამათ გამარჯვებისათვის ყველა მეთოდი გამზადებული ჰქონდათ.

– გამოსავალი რაღაში დარჩა?

- ხალხმა უფრო მეტი აქტივობა უნდა გამოიჩინოს და არ ენდოს ამათ ცრუ დაპირებებს. თუ იქნება სრული საზოგადოებრივი მობილიზება, მაშინ გაყალბებაც ძნელი იქნება. ამქვეყნად უცვლელი არაფერია, მოქალაქეთა კავშირი კი არა, ბოლოს და ბოლოს, კომუნისტური პარტია დაიშალა. ასე რომ, მომავალს მაინც იმედით უნდა შევხედოთ.

ესაუბრა მამუკა ბაკაშვილი,
„ახალი თაობა“, 1999, 1 დეკემბერი.

ჩვენ ისევ ზვიადისტები ვართ!

გამსახურდიას ხელისუფლების დამხობის შემდეგ ზვიადისტები პირველად მოვიდნენ ხელისუფლებაში, მართალია, ძალზე დიდი უმცირესობით, მაგრამ... როგორც კონსტანტინე გამსახურდიას საზოგადო-

ების თავმჯდომარის მოადგილე, ბატონი სოსო სიგუა ბრძანებს, მათ გამოჩენას პარლამენტში აგრესიულად არავინ შეხვედრია. პირიქით, ზოგიერთმა მოქკავშირელმა მიულოცა კიდეც, ბატონი ჯანსუღ ჩარკვიანის თვალებში კი ცრემლი კიაფობდა...

– ბატონო სოსო, კარგია დეპუტატობა?

- ჯერჯერობით მხოლოდ ორი სხდომა ჩავატარეთ, ფრაქციას ოთახიც არა აქვს. ასე რომ, თავს ჯერჯერობით სტუმრად ვგრძნობ.

- ზვიადისტები გამსახურდიას ხელისუფლების დამხობის შემდეგ პირველად მოვიდნენ ხელისუფლებაში. გულწრფელად მითხარით, თქვენს საზოგადოებას დამოუკიდებლად, „აღორძინებასთან“ ალიანსის გარეშე რომ მიეღო არჩევნებში მონაწილეობა, მოხვდებოდით პარლამენტში?

- ჩვენს ბლოკში 4 პარტიიდან გავიდოდა მხოლოდ „აღორძინება“. ვერც ჩვენ, ვერც სოციალისტები, ვერც ტრადიციონალისტები ვერ მოვხვდებოდით პარლამენტში. იმიტომ კი არა, რომ იყო ტოტალური გაყალბება, უბრალოდ, ისედაც ვერ დავძლევდით 7-პროცენტიან ბარიერს.

- გამოდის, რომ ეს ერთიანობა პარლამენტში სკამების მოსაპოვებლად გჭირდებოდათ?

- ხელისუფლებაში ყოფნა არ არის თვითმიზანი. ეს არის საშუალება შენი იდეების რეალიზაციისთვის. თუ პოლიტიკოსი არ არის ხელისუფლებაში, მისი იდეები პუბლიცისტიკად რჩება, მას ხალხი, მასა ვერ აჰყვება. ისე კი, ჩვენი იდეების რეალიზება ახლაც მხოლოდ ნაწილობრივ არის შესაძლებელი, რადგან უმცირესობაში ვართ.

- ასე რომ, შესაძლებელია, წინასწარმეტყველება ახდეს და პარლამენტში სკამების მოსაპოვებლად შეკოწიწებული პარტიების გაერთიანება მალე დაიშალოს? ბზარი ხომ უკვე გაჩნდა...

– რას გულისხმობთ?

– რჩეულიშვილ-აბაშიძის ამბავს.

- არა. ეს მოქალაქეთა კავშირის აგორებული ჭორია, რომელიც გაავრცელეს ჟურნალისტებმა. არავითარი დაპირისპირება აბაშიძესა და რჩეულიშვილს შორის არ არის. პირიქით, ბატონ ასლანს სურს, რომ ვიცე-სპიკერი იყოს ვახტანგ რჩეულიშვილი. თუმცა, მოქალაქეთა კავშირი კატეგორიული წინააღმდეგია ამ პიროვნებისა. მართალია, მეხუთე ვიცე-სპიკერის პოსტი დაუმატეს უმცირესობისთვის, სინამდვილეში კი სულაც არ სურთ, რომ ვიცე-სპიკერი ოპოზიციის წარმომადგენელი იყოს. თუ ეს დაპირისპირება გაგრძელდა, ალბათ, ბატონი ასლანი შეცვლის კანდიდატს.

- რას გვეტყვით „აღორძინების“ მიერ განაწილებულ სხვა პოსტებზე?

კონსტანტინე გამსახურდიას საზოგადოების წევრები თუ იყვნენ ამ სიაში?

- კონსტანტინე გამსახურდიას საზოგადოება დაარსების დღიდანვე რეპრესირებული იყო. ჩაგვრა გაგრძელდა ჩვენი ბლოკის ფორმირების დროსაც. მაგალითად, საარჩევნო სიის პირველ ასეულში ჩვენ შეგვხვდა 10 ადგილი. როცა ტრადიციონალისტებს - 20, ხოლო სოციალისტებს - 25 ადგილი. მაგრამ უნდა ითქვას, რომ ინტელექტუალურად ჩვენი ბლოკი ყველაზე ძლიერია, რადგან აქ არიან ვახტანგ ბოჭორიშვილი, მუხრან მაჭავარიანი, რეზო მიშველაძე და სხვები.

– ბატონო სოსო, თქვენ ისევ ზვიადისტები ხართ?

– დიახ, ისევ ზვიადისტები ვართ, რადგან მიმაჩნია, რომ ზვიად გამსახურდიას დროს არ ყოფილა ასეთი ნგრევა და უბედურება. ის ხალხიც კი განუდგა დღეს ხელისუფლებას, ვინც გადატრიალება მოახდინა. აფხაზეთის დაკარგვაზე დიდი უბედურება საქართველოში წარმოადგენელია.

– თუ გაქვთ რაიმე გეგმა, რომელიც აფხაზეთის საკითხს გადაჭრის?

- დაკარგვა იყო ადვილი, თორემ დაბრუნება ძალიან ძნელია. მე ერთი რამ ვიცი - ის ხელისუფლება, რომელმაც დაიწყო აფხაზეთში ომი, ამ საკითხს ვერ მოაგვარებს თუნდაც იმიტომ, რომ აფხაზური მხარე არ ენდობა. ეს შეუძლია ასლან აბაშიძეს, რადგან არ მიუღია მონაწილეობა ამ ავანტურაში.

- რახან საუბარი შევარდნაძისა და აბაშიძის ნდობის ფაქტორზე ჩამოვარდა, იქნებ თვლით, რომ ეს არჩევნები, ფაქტობრივად, იყო ბრძოლა ედუარდ შევარდნაძესა და ასლან აბაშიძეს შორის და შევარდნაძემ გაიმარჯვა?

- შევარდნაძეს მხარი დაუჭირა ძირითადად თბილისმა და ქვეყნის არაქართულმა მოსახლეობამ. ეს ნაწილი ყოველთვის ქვეყნის მმართველს უჭერს მხარს. ერთი მხრივ, ეს კარგია, რადგან ისინი არ ქმნიან კონფლიქტებს. ასეთი მძიმე და უსამართლო არჩევნები საქართველოში ჯერ არ ჩატარებულა. მიუხედავად ამისა, უნდა ვიყოთ ობიექტურნი და ვთქვათ, რომ მოქკავშირს მხარი დაუჭირა მოსახლეობის საგრძნობმა ნაწილმა. რატომ? ეს ჩემთვის გაუგებარია.

- იქნებ სწორედ იმიტომ, რომ ეს შევარდნაძისა და აბაშიძის ორთაბრძოლა იყო. არც ისაა დასამალი, რომ მოსახლეობას „აღორძინების“ შიში უფრო აქვს, ვიდრე - ნდობა.

- მოქკავშირმა დანერგა ეს შიში. შევარდნაძემ განაცხადა, რომ მზადდება საპარლამენტო გადატრიალება. გადატრიალების ხალხს ეშინია. ამას დაუმატეს მეორე თეზისი - მოდის შავი, ბნელი ძალა. ხალხმა იფიქრა, თუკი ეს ბნელი ძალა ამზადებს გადატრიალებას, წარმოიდგინეთ, რა მოხდებაო. მოქკავშირს პროპაგანდის უზარმაზარი საშუალე-

ბები ჰქონდა - ცენტრალური ტელევიზია მის ხელშია. ეს ბევრს ნიშნავს.

- ასეთ ვითარებაში აქვს თუ არა აზრი პრეზიდენტის პოსტზე სხვა კანდიდატის წამოყენებას?

- ბრძოლას ყოველთვის აქვს აზრი. რასაკვირველია, ხელისუფლება ყოველნაირად ეცდება ძალაუფლების შენარჩუნებას, მაგრამ აუცილებელია მონაწილეობის მიღება, რადგან ეს არის პროპაგანდისა და მხილების საშუალება. ხელისუფლება ყველაფერს გააკეთებს, რათა დამარცხების შემთხვევაშიც კი მოსახლეობას წარუდგინოს გამარჯვებული ედუარდ შევარდნაძე.

- ბატონი შევარდნაძე აცხადებს, რომ 2005 წლამდე იგი იქნება საქართველოს პრეზიდენტი, შემდეგ კი თავად დაასახელებს კანდიდატს.

- ეს შეუძლებელია. პრეზიდენტს ირჩევს ხალხი. ეს პოსტი მემკვიდრეობით არ გადადის. ელცინი რომ ამბობს, პუტინია ჩემი მემკვიდრეო, ხალხმა თუ არ დაუჭირა მხარი, პრეზიდენტი ვერ გახდება.

- ზურაბ ჟვანიას ხომ მიეცით ხმა?

- ზურაბ ჟვანიას კანდიდატურისთვის პარლამენტის თავმჯდომარის პოსტზე ჩვენ არ დაგვიჭერია მხარი.

- თქვენ ზვიად გამსახურდიას მოღვაწეობისთვის რამდენიმე ნაშრომი გაქვთ მიძღვნილი. ხომ არ აპირებთ, აპოლოგია მიუძღვნათ ასლან აბაშიძესაც?

- არა, მე ლიტერატორი ვარ და ზვიად გამსახურდიას ლიტერატურულ მემკვიდრეობას მივუძღვენი ნაშრომები. თუ ასლან აბაშიძე რაიმე ლიტერატურულ ნაწარმოებს შექმნის - შეიძლება. ჯერჯერობით ჩაფიქრებული არა მაქვს.

- ბატონო სოსო, წინ საპარლამენტო მუშაობის 4 წელია. როგორ წარმოგიდგენიათ თქვენი მუშაობა პარლამენტში? უმრავლესობას აქვს ხმების ის რაოდენობა, რომ, რაც მოესურვება, გააკეთოს, თანაც, არცერთი დიდი თუ მცირე თანამდებობა უმცირესობის წარმომადგენლებს არ შეხვდათ.

- ჩვენი მუშაობა ძალიან მძიმე იქნება, მაგრამ პარლამენტი არის ტრიბუნა, სადაც ჩვენს მოსაზრებებს მივაწვდით ხალხს. ჯერჯერობით სხდომების ტრანსლაცია ხდება და, იმედია, ხალხი გაარჩევს მტყუან-მართალს. გარდა ამისა, მოქკავშირიც არ არის ერთგვაროვანი. თუ ზოგიერთი მოქკავშირელი ძალიან რეაქციულია და ყველაფრის ხელში ჩაგდებისაკენ მიისწრაფვის, მეორე ნაწილში ჩვეულებრივი ადამიანები არიან, რომელთაც აწუხებთ სამშობლოს ბედი. **არც ის არის გამორიცხული, რომ ეს უმრავლესობა თანდათან დაცოტავდეს.**

ესაუბრა თეა ასათიანი

გაზ. „ასავალ-დასავალი“, 1999, 6-12 დეკემბერი.

თუ ამას ქვეყნის მართვა ჰქვია, მაშინ ყველას შესძლებია პრეზიდენტობა

ძვირფასო მკითხველო, რუბრიკით „სახეთა იმპერია“ გთავაზობთ ინტერვიუს თსუ უნივერსიტეტის პროფესორთან, პარლამენტარ სოსო სიგუასთან.

სოსო სიგუა დაიბადა 1949 წელს მარტვილის რაიონში, დაამთავრა თსუ ფილოლოგიის ფაკულტეტი, 1981 წ. დაიცვა სადოქტორო დისერტაცია, არის უნივერსიტეტის პროფესორი, რუსთაველის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტის განყოფილების გამგე. 1999 წლის 31 ოქტომბრის არჩევნების შემდეგ ბლოკ „საქართველოს აღორძინების“ პარტიული სიით გახდა პარლამენტის დეპუტატი. პარლამენტში მოსვლამდე მან რთული სამწერლო გზა განვლო... გამოცემული აქვს 15 წიგნი ქართულ და რუსულ ენებზე.

1975-91 წლებში იყო მწერალთა კავშირის წევრი, 1991 წ. გახდა „ლიტერატურული საქართველოს“ მთავარი რედაქტორი. გადატრიალების შემდეგ სამხედრო საბჭომ გაათავისუფლა. ამას მოჰყვა ის, რომ მწერალთა ჯგუფმა მუხრან მაჭავარიანის ხელმძღვანელობით დატოვა მწერალთა კავშირი.

- რამდენიმე სიტყვით თქვენი ოჯახის შესახებ...

- მყავს მეუღლე და ორი შვილი - ქალიშვილი და ვაჟი. ორივე ჯერჯერობით დასაოჯახებელია.

- ბატონო სოსო, თქვენ ამ მოწვევის პარლამენტის დეპუტატი ბრძანდებით. რამ განაპირობა თქვენი პოლიტიკაში მოსვლა?

- მე ლიტერატორი ვარ. ძირითადი ჩემი პროფესია ლიტერატურის კვლევაა. მაგრამ მიმაჩნია, რომ არ შეიძლება იზოლირებული იყო იმ პროცესისაგან, რომელიც ჩვენს გარშემო ხდება. ამიტომ მეც აღმოვჩნდი იმ პროცესებში ჩართული, რაც ბოლო ათ წელიწადში განვითარდა ქვეყანაში. დისერტაციები დაცული მაქვს კონსტანტინე გამსახურდიას შემოქმედებაზე, ვმუშაობდი ლიტერატურის ინსტიტუტში, სადაც მუშაობდა ზვიად გამსახურდიაც. მე ბატონ ზვიადთან დაახლოებული ვიყავი და როცა ის პრეზიდენტი გახდა, მისი დასტურით „ლიტერატურული საქართველოს“ რედაქტორად დავინიშნე. როცა ცნობილი პროცესები განვითარდა და საქართველოში სამხედრო გადატრიალება დაიწყო, მე მხარს ვუჭერდი კანონიერ ხელისუფლებას და პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას, მაგრამ ეს მხარდაჭერა იყო არა იმ გაგებით, რომ დათრგუნულიყო ოპოზიცია, არამედ მომხდარიყო შერიგება და თუ დაინიშნებოდა ახალი არჩევნები, ვისაც აირჩევდა ქართველი ხალხი, მისთვის დაგვეჭირა მხარი.

ვინც თვალს გადაავლებს 1991 წლის „ლიტერატურულ საქართველოს“, როცა მე ვიყავი რედაქტორი, ნახავს, რომ იქ დაბეჭდილია ოპოზიციის წერილები, მათ შორის ზვიად გამსახურდიასა და უზენაესი საბჭოს წინააღმდეგ მიმართულიც. მაშინ დაიბეჭდა ცნობილი მწერლის ნოდარ კობერიძის წიგნის რეკლამა. ბატონი ნოდარი მაშინ ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების ოპოზიცია იყო, თუმცა არა რადიკალური, არამედ კონსტრუქციული მოწინააღმდეგე. და სწორედ 1991 წლის დეკემბერში, როცა ვითარება ძალზე დაიძაბა, დაიბეჭდა ნოდარ კობერიძის წიგნის „რომ გაიმარჯვო, ერეტიკოსი უნდა იყო“ რეკლამა. ასევე იბეჭდებოდა სხვა მწერლებიც, რომლებიც არსებული ხელისუფლების ოპოზიციას წარმოადგენდნენ.

თუმცა იყო შეიარაღებული ოპოზიციაც და ინტელიგენციის ნაწილი მიეტმასნა ამ ოპოზიციას, რაც ქვეყნისთვის კატასტროფით დამთავრდა. რომ შევადაროთ 1999 წელი 1991 წელს, ჩვენ მაშინ გაცილებით უკეთესად ვიყავით. საქართველო იყო ერთიანი, არც სამაჩაბლო იყო დაკარგული და არც აფხაზეთი, არც ეკონომიკა იყო გაჩანაგებული, რაც ბოლო წლებს მოჰყვა. გადატრიალებამ დაუდო საფუძველი ყოველგვარ უკანონობას, უზნეობას, ქვეყნის ტერიტორიის რღვევას და ეროვნული სულის განადგურებას. ამაზე გვაფრთხილებდა ზვიად გამსახურდია. 1991 წლის ოქტომბერში ის გამოვიდა უზენაესი საბჭოს სხდომაზე და გააკეთა სწორედ ასეთი პროგნოზი, რაც ოპოზიციას სასაცილოდ არ ეყო. შემდეგ კი, როცა გადატრიალება მოხდა, ოპოზიცია ამბობდა: რომ მოიშორეს სატანა, საქართველოს მთლიანობა არ დარღვეულა და უფრო უკეთესად ვართ, რადგან დემოკრატია დავამკვიდრეთო. მაგრამ რა მოჰყვა ასეთი დემოკრატიის დამკვიდრებას დიდი ანალიზი არ სჭირდება.

- ბატონო სოსო, მაინც რა იყო ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების მიერ დაშვებული შეცდომა?

- საერთოდ, შეცდომებზე იოლია ლაპარაკი. ბევრი ამბობს, რომ ზვიად გამსახურდია დისიდენტი იყო, მართალია, ხალხი დიდ პატივს სცემდა, მაგრამ ის არ იყო მმართველიო. ზვიად გამსახურდია ქვეყანას მართავდა მხოლოდ ერთი წელი, ედუარდ შევარდნაძე - 8 წელია. მას აქვს უზარმაზარი გამოცდილება. მიუხედავად ამისა, შევარდნაძემ ვერ შეძლო ქვეყნის მართვა. თუ ამას ქვეყნის მართვა ჰქვია, რაც ბოლო 8 წლის მანძილზე ხდება, მაშინ ნებისმიერ ჩვენგანს შესძლებია პრეზიდენტობა... მაშინ იყო სრული ქაოსი, ირღვეოდა იმპერია, არ არსებობდა საქართველოს სტატუსი. რა თქმა უნდა, გაცილებით რთული იყო მაშინ ქვეყნის მართვა, რადგან არავინ იცოდა რა კურსი უნდა აეღო ქვეყანას და როგორი რეაქცია ექნებოდა მოსკოვს. დღეს საქართველოს კურსი

აღებული აქვს, სცნო მთელმა მსოფლიომ, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ქვეყანა მაინც ქაოსურ მდგომარეობაში იმყოფება. დარღვეულია ტერიტორიული მთლიანობა. აფხაზეთის დაკარგვა საქართველოს ისტორიაში ერთ-ერთი უდიდესი ტრაგედიაა, რომლის მსგავსი, შეიძლება ითქვას, მხოლოდ ტაო-კლარჯეთის დაკარგვაა. როდესაც გავა ასი-ორასი წელი, ხომ იტყვიან, როდის მოხდა ეს? **მოხდა ედუარდ შევარდნაძის მმართველობის დროს და პასუხს აგებს ქვეყნის მთავარსარდალი**, როგორც აგებდა პასუხს ჰიტლერი და სტალინი მეორე მსოფლიო ომის დროს,

- თქვენ ამჟამად საკანონმდებლო ორგანოში მოღვაწეობთ, რის გაკეთებას აპირებთ?

- „საქართველოს აღორძინება“ პარლამენტში თავისი პროგრამით მოვიდა. ეს ეხება ეკონომიკას, კულტურას, ქვეყნის ტერიტორიულ მოწყობას.

- როგორ გგონიათ, ამ მოწვევის პარლამენტი მისცემს სამართლებრივ შეფასებას 1991-1992 წლების მოვლენებს?

- ამის შესახებ ერთხანს იყო საუბარი. სამწუხაროდ, ჩვენ პარლამენტში 60 კაცი ვართ, უმცირესობა. როცა უმრავლესობას არგუმენტები შემოელევა და საკამათო აღარაფერი ექნება, საკითხს მაშინვე კენჭისყრაზე გაიტანენ. მათ კი ხმათა უმრავლესობით შეუძლიათ გამარჯვება. ჩვენ ამ საკითხს დავაყენებთ. ეს „აღორძინების“ პროგრამაში წერია, მაგრამ რა პოზიციას დაიკავებს უმრავლესობა, ჯერჯერობით გაურკვეველია.

ამ გადატრიალებას მოჰყვა უამრავი მსხვერპლი, პოლიტპატიმრები, ემიგრანტები, რეპრესირებული ოჯახები. 37 წელს, როცა საბჭოთა კავშირში დიდი ტერორი მძვინვარებდა და შემდეგ, 50-იან წლებში მოხდა დაღუპულების რეაბილიტაცია, ეს რეაბილიტაცია შეეხო არა მხოლოდ დაღუპულებს და გარდაცვლილებს, არამედ მათ ოჯახებს, რომლებიც უკანონოდ იყვნენ რეპრესირებულნი. რამდენი ოჯახია დღეს საქართველოში ასე უკანონოდ რეპრესირებული? რა თქმა უნდა, ეს არ იყო 37 წლის მასშტაბის საშინელება, მაგრამ ტრაგედია ტრაგედიაა. მით უფრო, ამ გადატრიალებას მოჰყვა აფხაზეთის დაკარგვა, სამეგრელოს მრავალგზის დარბევა, სამოქალაქო ომი, როცა შესაძლებელი იყო ეს ყველაფერი არჩევნების გზით მოგვარებულიყო. თუ ქართველი ხალხი არ აირჩევდა ზვიად გამსახურდიას და აირჩევდა ედუარდ შევარდნაძეს, მოხდებოდა ერთი ხელისუფლების ჩვეულებრივი შეცვლა მეორეთი. ამერიკაში რამდენი ხელისუფლება შეიცვალა, მაგრამ ამას ერთხელაც არ მოჰყოლია სამოქალაქო ომი.

- ლომონოსოვი ამბობდა: „შეცდომის შემჩნევა იოლია, შეუმჩნევლად უკეთესის შექმნა - ძალზე ძნელი“, თქვენც ეთანხმებით?

– დიახ, რასაკვირველია.

– ბატონო სოსო, როგორ გგონიათ, რისკიანი ადამიანი ბრძანდებით?

- ვერ გეტყვით. მე ლიტერატორი ვარ და ლიტერატორს არ მოეთხოვება იმდენად დიდი რისკი...

– მაგრამ თქვენ ამავე დროს პოლიტიკაშიც ხართ.

- კი, მაგრამ მე მაინც ლიტერატორი ვარ. ლიტერატორი და მწერალი იმ სატკივარით უნდა იყოს დატვირთული, რაც თავის ხალხს, ერს აწუხებს. ჩვენ რომ ვიყოთ მოწესრიგებული ქვეყნის შვილები, ვთქვათ საფრანგეთის, ინგლისის, ან აშშ-ს, მაშინ სხვა საქმეა. ამ ქვეყნის მოქალაქეებს არ სჭირდებათ, რომ მათი მწერლები იმავე დროს პოლიტიკაშიც იყვნენ ჩართული. ჩვენ კი, დღევანდელ სიტუაციაში იძულებული ვართ გავაგრძელოთ ის ტრადიციები, რაც ილია ჭავჭავაძიდან მოდის. გარდა იმისა რომ ხარ მეცნიერი, მწერალი, პროფესიონალი შენს დარგში, ამავე დროს უნდა მონაწილეობდე საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

– შეაფასეთ საკუთარი თავი 5-ბალიანი სისტემით?

– სამიანზე შევაფასებდი ჩემს თავს (იცინის).

– **რატომ**?

– იმიტომ რომ... მეტის გაკეთება, ალბათ, შემეძლო.

- როგორ ფიქრობთ, შეგიძლიათ საკუთარ თავში უარყოფითი თვისებების დანახვა?

- ამაზე ძნელია მსჯელობა, ალბათ იმიტომ, რომ ყველა ადამიანს მიაჩნია, კარგად იქცევა და უნაკლოა. არის მომენტები, როცა სინანულის გრძნობა გაქვს, თუმცა ეს გრძნობა, ალბათ, ყველა ადამიანს გააჩნია.

– დადებით თვისებებზე რას იტყვით?

– ამაზე სხვამ უნდა იმსჯელოს.

– ბევრი მტერი გყავთ?

- თითო-ოროლა მტერი ყველას ჰყავს. ბოლშევიკური გაგების კლასობრივი მტრები არა. თუმც, ჩემს ცხოვრებაში მოხდა ტრაგედია: გადატრიალების შემდეგ დედაჩემი წამებით მოკლეს. რა თქმა უნდა, მე მარწმუნებდნენ, რომ ეს არ მომხდარა პოლიტიკური მოტივით, მაგრამ ყველაფრიდან აშკარად ჩანდა, რომ სწორედ პოლიტიკური მოსაზრებით მოხდა ეს. ამის გამო არც გამოძიება ჩატარებულა და არც არავის შეუწუხებია თავი.

- არსებობს ასეთი გამოთქმა, რომ ყოველგვარი თავისუფლება აჩრდილია პრესის თავისუფლების გარეშე, ეთანხმებით?

- პრესის თავისუფლება არის თავისუფლების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილი. „ლიტერატურულმა საქართველომ“ დიდი როლი შეასრულა თავისუფალი პრესის დამკვიდრებაში. მე ვგულისხმობ ელიზბარ ჯაველიძეს, რომელიც რედაქტორობდა 1987 წლიდან 1991 წლის დასაწყისამდე „ლიტერატურულ საქართველოს“. თავისუფლება არის

გარკვეული შეზღუდვაც, რადგან აბსტრაქტულად გაგებული თავისუფლება ადამიანური თავისუფლება არ არის.

დღეს გაზეთების ტირაჟი რამდენიმე ათასია. გაზეთებს აღარ შეუძლიათ ის როლი შეასრულონ, რაც ადრე ჰქონდათ, აი, მაგალითად, როცა მე ვიყავი „ლიტერატურული საქართველოს“ რედაქტორი, მისი ტირაჟი 170 ათასი იყო. ეს იყო 16-გვერდიანი გაზეთი, და თანაც მაშინ არ იყო მრავალი გამოცემა. ამ 170-ათასიანი ტირაჟის გაზეთს შეუძლია ერთგვარი დირიჟორის როლი ეთამაშა და ზეგავლენა მოეხდინა საზოგადოებრივ ცნობიერებაზე.

- რასაც თავის დროზე „ლიტერატურული საქართველო“ ახერხებდა კიდეც.

- რა თქმა უნდა. ალბათ, ყველაზე პოპულარული გაზეთი „ლიტერატურული საქართველო“ იყო. ადრე „კომუნისტი“ და შემდეგ „საქართველოს რესპუბლიკა“ მაინც ოფიციოზის თვალსაზრისს გამოხატავდნენ და მათდამი ინტერესი უფრო ნაკლები იყო. თუმცა მე ვთვლი, რომ დღევანდელი ჟურნალისტები გაცილებით უკეთესი ჟურნალისტები არიან და პრესაც უფრო საინტერესოა, ვიდრე 80-იან წლებში იყო. მაგრამ მისი როლი საზოგადოებრივი თვალსაზრისით მეტისმეტად მცირეა.

- დასაშვებია, რომ პოლიტიკოსმა მიზნის მისაღწევად ყველა საშუალება გამოიყენოს?

- ცნობილი ფრაზაა, რომ „მიზანი ამართლებს საშუალებას“, მაგრამ ასე რომ იფიქროს ყველამ, მაშინ სრული ანარქია იქნება. თუმცა, როცა არის დიდი პიროვნება და ამ დიდ პიროვნებას აქვს დიდი მიზნები, ამ დროს ხდება ხოლმე ამგვარი დარღვევები. მაგრამ ყველა ადამიანმა ასე რომ იფიქროს, მაშინ დაიღუპება საზოგადოება.

– ბატონო სოსო, თქვენი აზრით, ქალები კარგი პოლიტიკოსები არიან?

– ვის გულისხმობთ, ქართველ ქალებს?

– **დიახ**.

- არ ვიცი. საერთოდ მიმაჩნია, რომ როგორც ხელოვნება, მეცნიერება, ისე პოლიტიკაც, ძირითადად, მამაკაცების მოღვაწეობის სფეროა. თუმცა არსებობს თითო-ოროლა გამონაკლისიც.

– ბევრი მეგობარი გყავთ?

– ჩემი პროფესიიდან გამომდინარე, აგრეთვე იმ გარემოდან, რომელშიც მე მიხდება მოღვაწეობა, ბევრი მეგობარი მყავს.

– როგორია დღევანდელი ქართული სუფრა?

- სუფრაც ისე იცვლის თავის წესებს, როგორც ცხოვრება. არ ვიცი რამდენად სწორია, მაგრამ ამბობენ, რომ სადღეგრძელოები ბოლო საუკუნეებში შემოვიდაო. ზოგჯერ ვფიქრობ, რომ მოსაბეზრებელია გაუ-

თავებელი სადღეგრძელოები და ყველას „მჭევრმეტყველად“ ქცევა. ჩემთვის ცოტა წარმოუდგენელია, ქალები როგორ იტანენ და უსმენენ ამას?

– რამდენიმე ლიტრი ღვინის დალევა შეგიძლიათ სუფრასთან?

- არ ვიცი, საშუალოდ დავლევ... რაც ინტელიგენტს მოეთხოვება, იმის პირობაზე.

– მუსიკალური განათლება გაქვთ?

– არა.

– თქვენი დამოკიდებულება ცეცხლსასროლ იარაღთან?

- პარლამენტარებს უფლება გვაქვს ვატაროთ ცეცხლსასროლი იარაღი.

– იყენებთ ამ უფლებას?

– მე იარაღისადმი ინტერესი არასდროს მქონია, ინტერესი არც ახლა მაქვს.

– ესე იგი იარაღი არა გაქვთ?

– არა.

– თქვენი თვალით დანახული 21-ე საუკუნის საქართველო, როგორი იქნება საქართველო მესამე ათასწლეულში?

- მიმაჩნია, რომ მიუხედავად „მოქალაქეთა კავშირის“ ხელისშემშლელი პირობებისა, საქართველო, მაინც იქნება დამოუკიდებელი, თავისუფალი, შენარჩუნებული ექნება ტერიტორიული მთლიანობა. საქმე ის კი არ არის, ქვეყნის სათავეში როგორი ხელისუფლებაა, მხოლოდ ეს არ წყვეტს საკითხს. საკითხს წყვეტს თვითონ ხალხი. ხელისუფლება ადრე თუ გვიან შეიცვლება, რადგან უცვლელი არაფერია. ხალხიც სტიქიურად შექმნის ამ პირობებს, რაც მათ სჭირდებათ. ცხოვრება ჩვენგან დამოუკიდებლად მაინც თავისას გაიტანს. საქართველო რაღა გამონაკლისი უნდა იყოს, რომ ქართველმა კაცმა ვერ შეძლოს ნორმალური ცხოვრება და ქვეყნის ნორმალური მოწყობა. ეს არ მოხდება რამდენიმე წელში, მაგრამ ყველაფერი რომ კარგად იქნება, მჯერა.

– გმადლობთ საუბრისთვის.

ესაუბრა ნანა თამარაშვილი
გაზ. „მესამე ათასწლეული“,
2000, 12-18 იანვარი.

სამხედრო ხუნტამ ორი თებერვლის მიტინგის დარბევის დროს ათი ადამიანის სიცოცხლე შეინწირა

- ბატონო სოსო, თქვენ ცნობილი კრიტიკოსი ბრძანდებით. საინტერესოა, როგორ მოხვედით პოლიტიკაში?

- ჩემი პროფესია ახლაც არ მიმიტოვებია, ახლაც ვაგრძელებ მუშაობას. ამის დასტურია ბოლო ხანებში ჩემს მიერ გამოცემული წიგნების რაოდენობა. ხოლო რაც შეეხება პოლიტიკას, მიმაჩნდა და მიმაჩნია, რომ პოლიტიკა განუყრელია საზოგადოებრივი მოღვაწეობისაგან. ამიტომაც სულაც არაა უბრალო ახირება, ლიტერატორი იყოს პოლიტიკური სულისკვეთების გამომხატველი. ჩემი პოლიტიკაში მოხვედრა განაპირობა მეორე ფაქტორმაც: მე აღმოვჩნდი, ასე ვთქვათ, რეპრესირებულთა შორის 1991 წლის გადატრიალების შემდეგ. მე ბოლომდე დავრჩი იმ ხელისუფლების ერთგული. დაიწყო გაუთავებელი რეპრესიები ჩემს წინააღმდეგ ათასნაირი ფორმით. ერთ-ერთი ასეთი აგრესიის მსხვერპლი გახდა დედაჩემი, რომელიც მოკლული იქნა წამებით.

- ახლა როგორ ურთიერთობაში ხართ დღევანდელ ხელისუფლებასთან?

-ამ ხელისუფლებასთან, რომელსაც ჯერ კარგი არაფერი გაუკეთებია, ვერ ვიქნები კეთილმეგობრულ ურთიერთობაში.

– თქვენ თუ იცნობთ იმ პიროვნებებს, ვინც დედათქვენი აწამა?

- არ ვიცი, რადგან გამოძიებული არ ყოფილა, თუმცა ამის შესახებ მქონდა საუბარი ყიფიანთან, რომელიც გენერალური პროკურორის მოადგილე იყო. ხელისუფლებას ამ საქმის გამოძიება არც უცდია.

- ბატონო სოსო, „ალიაში“ დაიბეჭდა წერილი, სადაც მოყვანილია ჯაბა იოსელიანის სიტყვები. მისთვის ბატონ ასლანს 400 ავტომატი მოუშველებია, თენგიზ კიტოვანი კი ამ ფაქტს ადასტურებს. თქვენის აზრით, რამდენად მართალია ეს ინფორმაცია?

- მე კონკრეტული ფაქტის შესახებ, ცხადია, ვერაფერს გეტყვით. მაგრამ მინდა შეგახსენოთ, რომ ასლან აბაშიძე ყოველთვის დიდ პატივისცემას გამოხატავდა ზვიად გამსახურდიას მიმართ. 1992 წლის მარტში გადაიცა დიალოგი ტელევიზიით ბატონ ასლანთან, სადაც მას დაუსვეს შეკითხვა, როგორ აფასებდა იგი ზვიად გამსახურდიას. მან აღნიშნა ზვიადის დიდი დამსახურებები და თავისი სიმპათია მის მიმართ. ეს იყო დრო, როცა გააფთრდა კამპანია, როცა ზვიად გამსახურდია გამოყვანილი იქნა ქვეყნის დამანგრევლად. ასლან აბაშიძის ნათქვამმა ხელისუფალთა შორის დიდი გაუგებრობა გამოიწვია.

- საქართველოს ახლანდელი პრეზიდენტი აპირებს მესამედ იყაროს კენჭი არჩევნებში. როგორ კომენტარს გაუკეთებთ ამ ფაქტს, რამდენად მისაღები იქნება მისი გადაწყვეტილება?

- აშშ-ს ჰყავს პრეზიდენტი უკვე მესამე საუკუნეა, ყველა პრეზიდენტი არჩეული იყო მხოლოდ ორი ვადით, ანუ 8 წლით და არა 10 წლით. ერთადერთი გამონაკლისი დაშვებულ იქნა პრეზიდენტ რუზველტის მიმართ და მხოლოდ იმიტომ, რომ იყო მეორე მსოფლიო ომი, არჩევნებისთვის

მსოფლიო ომში ჩართულ ქვეყანას არ ეცალა. საქართველო ფაქტიურად ომის სიტუაციაშია, მაგრამ როგორი მთავარსარდალიც არის ედუარდ შევარდნაძე, კარგად აჩვენა აფხაზეთის ომმა. ამიტომ, ცხადია, არავითარი აუცილებლობა არ არის იმისა, რომ საქართველოს კონსტიტუციაში შევიდეს ცვლილება იმ პრეზიდენტის მიმართ, რომელმაც საქართველოს დამარცხება გამოუწერა. თუ აშშ-მ ამდენი ხნის განმავლობაში არ ჩათვალა საჭიროდ კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანა, ჩვენ რა ისეთი განსაკუთრებული ხალხი ვართ, რომ ოთხი წლის წინ მიღებულ კონსტიტუციაში დღესვე შევიტანოთ ცვლილებები.

- სპეციალურად ხომ არ იქნა შერჩეული 9 აპრილი არჩევნების თარიღად, იგი სიმბოლურად ხომ არაფერს უკავშირდება?

- სიმბოლურია, რადგან ფიქრობენ, რომ ჯუმბერ პატიაშვილი წამოაყენებს თავის კანდიდატურას და 9 აპრილის გამო დაიწყება პროპაგანდა, ეს ყოველივე პატიაშვილმა ჩაიდინაო. მინდა შეგახსენოთ, რომ 2 თებერვალს თბილისში დაიხვრიტა დემონსტრაცია, სადაც მოიკლა 10 ადამიანი და დაიჭრა 100-ზე მეტი.

– ვინ დახვრიტა ეს დემონსტრაცია?

- სამხედრო საბჭომ, იმ ხუნტამ, რომელსაც ხელმძღვანელობდნენ თენგიზ სიგუა, თენგიზ კიტოვანი და ჯაბა იოსელიანი.

– სად იმართებოდა ეს დემონსტრაცია?

- ცირკის შენობასთან და მარჯანიშვილის მოედანზე. უფრო ადრე, 2 იანვარსაც მოხდა ტრაგედია, ქართველებმა დახოცეს ერთმანეთი. მაგრამ ამასაც არ მისცემია არავითარი შეფასება, ვითომც არაფერი მომხდარა, სისხლის სამართლის საქმეც არ აღძრულა. როცა რუსებმა დახოცეს ქართველები, 20 ადამიანი დაიღუპა, ამის გამო კი შეიძრა მთელი მსოფლიო.

- ამ დაღუპულების შესახებ ჩვენ მხოლოდ სახელები ვიცით, თქვენ თუ გაქვთ ინფორმაცია მათ შესახებ.

- დიახ, ჩვენ მათი მისამართებიც კი ვიცით. პირველი ტყვიით მოკლული იქნა 15 წლის ზურაბ ჯავახიშვილი, რომელსაც საქართველოს დროშა მიჰქონდა.

- მარტო ამ დემონსტრაციის დახვრეტა ხომ არ არის ამ ხელისუფლების სინდისზე, თუ უნდა მიეცეს რაიმე შეფასება იმ დამსჯელობით ოპერაციასაც, რომელიც სამეგრელოში ჩატარდა და ეჭვი არაა, მაშინ მოხდა დედათქვენის მკვლელობაც?

- ყველაფერს ამას ჯაბა იოსელიანი მარტო ვერ გააკეთებდა, მას ჰყავდა თანამზრახველებიც. ამ ხელისუფლებას რომ ჩამოვუთვალოთ, რა დანაშაულიც აქვს ჩადენილი, შორს წავალთ.

- ბატონო სოსო, თენგიზ კიტოვანი, ასე ვთქვათ, შეიბრალეს და ციხი-

დან გაათავისუფლეს. იგივე ლაპარაკია ჯაბა იოსელიანის შესახებაც. როგორ ფიქრობთ, რამდენად სამართლიანი იქნება მისი გათავისუფლება. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება რომ ხალხს ეჯავრებოდა იგი, ახლა კი მის მიმართ სიბრალულის გრძნობა გაუჩნდათ.

- მიმაჩნია, რომ ჯაბა იოსელიანი და თენგიზ კიტოვანი დააპატიმრეს იმ საქმის გამო, რაშიც ყველაზე ნაკლებად მიუძღვით წვლილი, ე.ი, დააპატიმრეს აბსურდული მოტივებით. მათი მთავარი დანაშაული არის 1991 წელს ხელისუფლების დამხობა, რისთვისაც პასუხი არავის მოუთხოვია.

- თქვენს მოგვარეზე რას გვეტყოდით?

- თენგიზ სიგუა არის საქართველოს ნომერ პირველი დამნაშავე, ამ გადატრიალების მოთავე და ორგანიზატორი. მან დაუდო საფუძველი საქართველოს დაქცევას.

- მაშინ როგორ მოხდა, რომ ხელისუფლების მცდელობა, სიგუასათვის ბრალი დაედოთ, უშედეგო აღმოჩნდა.

- თავისი დანაშაული სიგუას არ დაუმალავს. საქართველოსთვის ის კი არ არის ტრაგედია, რომ 7 მლნ. გაიფლანგა, არამედ ის, რაც მოხდა: დაეცა აფხაზეთი, გაიხლიჩა მთელი საქართველო.

– მოიძებნება კი ისეთი კაცი, რომელიც ეროვნულ სულს გამოაღვიძებს?

- ზვიად გამსახურდიას მსგავსნი იშვიათად იბადებიან. მე არ მეგულება საქართველოში კაცი, რომელსაც ესოდენ დიდი გავლენა ჰქონოდეს ხალხზე, როგორც ზვიად გამსახურდიას. ცხოვრება გრძელდება, პოლიტიკას წარმართავენ ცოცხალი ადამიანები. ჩვენ ვამბობთ, რომ ამ ხარვეზის შევსება შეუძლია ასლან აბაშიძეს, თუნდაც იმიტომ, რომ ასლან აბაშიძეს ამის ძალა გააჩნია.

ესაუბრნენ მანანა სუხიშვილი და ჟანა ასანიძე
გაზ. „ალიონი“, 2000, 15-21 იანვარი

სიტყვა პარლამენტის 22 თებერვლის სხდომაზე

(ფინანსთა მინისტრის დავით ონოფრიშვილის მიერ წარმოდგენილი 2000 წლის ბიუჯეტის კანონპროექტის განხილვაზე)

ბატონო დავით!

მე მინდა თქვენი ყურადღება გავამახვილო ერთ საკითხზე.

როგორც მოგეხსენებათ, შავი ზღვის პრობლემების სახელმწიფო საკოორდინაციო სამსახური უკვე რამდენიმე წელია ფუნქციონირებს. სამსახურმა ჩვენი ქვეყნის მეცნიერ-სპეციალისტებთან ერთად შეიმუ-

შავა შავი ზღვის რესურსების ათვისებისა და რეგიონის განვითარების საერთაშორისო პროგრამის ძირითადი მიმართულებები, რომლებიც შეუთანხმა შავიზღვისპირა ქვეყნების მთავრობებს.

1997 წელს პროგრამა ტასისმა ამ პრობლემაზე გამოყო 0,5 მლნ ეკიუ. 1998 წელს ბათუმში ჩატარდა საერთაშორისო თათბირი შავიზღვისპირა და მსოფლიოს წამყვანი სამეცნიერო-სამრეწველო ცენტრების მონაწილეობით, სადაც ყურადღება გამახვილებული იყო შავი ზღვის ენერგორესურსებსა და კერძოდ, შავ ზღვაში არსებულ გოგირდწყალბადზე როგორც ენერგიის ალტერნატიულ წყაროზე.

ასეთი დიდი დაინტერესება გამომდინარეობს იქიდან, რომ შავი ზღვა უნიკალურია თავისი მდებარეობითა და ქიმიური შემადგენლობით. მსოფლიოში ყველაზე დიდი რეზერვუარია, რომლის წყლის 93% უჭირავს გოგირდწყალბადიან ფენას, ე.ი. ზღვის ზედაპირიდან 80-120 მეტრის ქვევით უსიცოცხლო არეა, რაც გავლენას ახდენს მასში მიმდინარე პროცესებსა და ქიმიურ შემადგენლობაზე.

სხვადასხვა ქვეყნის მეცნიერთა გამოთვლით შავი ზღვის ფენომენის — გოგირდწყალბადის რაოდენობა 7-8 მლრდ ტონას აღწევს. გოგირდწყალბადის მხოლოდ ყოველწლიური ნამატი საკმარისია 80 მლრდ კვ. სთ ენერგიის მისაღებად. მისი ზღვიდან მოპოვების ტექნიკური გადაწყვეტა შესაძლებელია. ხოლო მოთხოვნა ეკოლოგიურად სუფთა საწვავზე — წყალბადზე სწრაფად იზრდება.

აშშ-ს, გერმანიასა და იაპონიას განზრახული აქვთ 2004 წლიდან მისი გამოყენება ტრანსპორტში, რაც გამოიწვევს ატმოსფეროში მავნე ნივთიერებების, მათ შორის — ნახშირორჟანგის მნიშვნელოვან შემცირებას.

საქართველო შეიძლება გახდეს მსოფლიოში წყალბადის ერთ-ერთი სერიოზული მწარმოებელი.

მიუხედავად ამისა, სამსახურს პრობლემები შეექმნა, კერძოდ — გაჭიანურდა სტატუსის განსაზღვრა, რის გამოც შეჩერდა როგორც „დაიბლერ-ბენცის“, ისე სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების გრანტის მიღება.

დღეს კი სამსახური ამოღებულია 2000 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტიდან.

ფრაქცია „XXI საუკუნის“ სახელით შემომაქვს წინადადება: 2000 წლის ბიუჯეტში აღდგეს აღნიშნული სამსახურის დაფინანსება, განისაზღვროს ამ სამსახურის სტატუსი და დებულება.

უნივერსიტეტში კონსტანტინე გამსახურდიას კაბინეტი გაიხსნება

„განგებამ განსაკუთრებული მისია დააკისრა ორ პიროვნებას - გალაკტიონ ტაბიძესა და კონსტანტინე გამსახურდიას. მათ იცხოვრეს უჩვეულოდ კოშმარულ დროში, რაც სულთან შეჯახებით, გულის, გონების და ნერვების გავლით ხელოვნებად გარდაისახა, მაგრამ თუ გალაკტიონ ტაბიძე არ ყოფილა იდეოლოგი და თეორეტიკოსი, კონსტანტინე გამსახურდიამ გაიაზრა სიტყვის მისტერია და საქართველოს ტანჯული ბედი“, - წერს სოსო სიგუა კონსტანტინე გამსახურდიას ცხოვრებისა და შემოქმედების ამსახველი სტატიებისა და მონოგრაფიების ციკლში „მარტვილი და ალამდარი“, რომელიც დიდი მწერლის ბიოგრაფიის კვლევის პირველი ცდაა.

ამ მხრივ გამორჩეულია ბატონი სოსო სიგუას ღვაწლი, ვინც წლების მანძილზე იკვლევს კონსტანტინე გამსახურდიას ცხოვრებასა და შემოქმედებას. და აი, ახლახან მისი დიდი მონდომებით ერთ საშვილიშვილო საქმეს ჩაეყარა საფუძველი - ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში მალე გაიხსნება კონსტანტინე გამსახურდიას კაბინეტი.

ბატონ სოსოსთან საუბარიც ქართველი ერისთვის ამ მეტად მნიშვნელოვანმა ფაქტმა განაპირობა.

- უკვე არსებობს რექტორის ბატონ როინ მეტრეველის ბრძანება და მალე რუსთაველის, ილიას, აკაკის, ვაჟას, გალაკტიონის კაბინეტებს ა.წ. 26 მაისს შეემატება კონსტანტინე გამსახურდიას კაბინეტიც, - ასე დაიწყო საუბარი ბატონმა სოსომ, - კაბინეტის გახსნის იდეა ერთმანეთისგან დამოუკიდებლად გვქონდა გამოჩენილ მწერალსა და მეცნიერს რევაზ მიშველაძეს და მე. ყოველი შემთხვევისთვის, ჩვენ პარლამენტიდან გავაკეთეთ ოფიციალური მიმართვა რექტორისადმი. მიმართვას ხელს ვაწერთ: ვახტანგ ბოჭორიშვილი, თამაზ გამყრელიძე, ნოდარ ამაღლობელი, მუხრან მაჭავარიანი, ელიზბარ ჯაველიძე, რევაზ მიშველაძე, დავით მაღრაძე და მე.

არც პარლამენტში, არც უნივერსიტეტში ამ საკითხის გამო არავინ შეყოყმანებულა.

შევხვდით ბატონ როინ მეტრეველს და მანაც დიდად მოიწონა ჩვენი ჩანაფიქრი. გაიხსენა რამდენიმე საინტერესო ფაქტი დიდი მწერლის ცხოვრებიდან.

ასევე ყურადღებით მოეკიდა კაბინეტის გახსნის იდეას ფილოლოგების დეკანი ამირან გომართელი, ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭო.

მაგრამ მე არ შემიძლია ხაზი არ გავუსვა რევაზ მიშველაძის ენთუზიაზმსა და მონდომებას.

ბატონი რეზო ყოველთვის იყო კონსტანტინეს შემოქმედების თაყვანისმცემელი. დიდი ხანია ვიცნობ მას (რეზო ჩემი ლექტორი იყო), მაგრამ ჩემთვისაც კი მოულოდნელი აღმოჩნდა მისი საოცარი თანადგომა, გულისხმიერება და დიდი მხარდაჭერა.

კონსტანტინე გამსახურდია ერთხანს უნივერსიტეტის პროფესორი იყო. იგი გალაკტიონ ტაბიძესთან ერთად XX საუკუნის ქართული მწერლობის უდიდესი წარმომადგენელია და ამიტომ უნივერსიტეტში უნდა არსებობდეს მისი შემოქმედების კვლევის ცენტრი.

- თქვენ უშუალოდ ხელმძღვანელობთ კონსტანტინე გამსახურდიას ოცტომეულის გამოცემას. აქედან მხოლოდ 5 ტომი გამოიცა, შემდეგ ეს საქმე შეწყდა. რატომ?

- კონსტანტინე გამსახურდიას ოცტომეულის გამოცემას 1991 წელს შევუდექით. მთავარი რედაქტორი ბატონი ზვიად გამსახურდია იყო. მან დაწერა პირველი ტომის წინასიტყვა. მანვე შეადგინა პირველი ტომი. მე დავუმატე ერთი მოთხრობა, რომელიც მას გამორჩენოდა.

ზვიად გამსახურდია დიდად იყო დაინტერესებული ტომეულების დროული გამოცემით. ტირაჟი განისაზღვრა 60 ათასით, თუმცა მსურველი 100 ათასი მაინც იყო.

პირველი სამი ტომი დავბეჭდეთ სიმფეროპოლში, მეოთხე და მეხუთე - თბილისში, თანაც მხოლოდ 3 000 ტირაჟით.

1992 წლიდან დაიწყო ქართული სულის დაცემა, ქვეყნის გაჩანაგება და შესაბამისად წიგნისადმი ინტერესი დაიკარგა: ხალხი 12 ლარიან პენსიას ვერ იღებს და აბა, წიგნს როგორ იყიდის. ვისაც ფული აქვს, წიგნი არ აინტერესებს, ვისაც წიგნი უნდა, ფული არ გააჩნია. გარდა ამისა, საგრძნობლად გაიზარდა წიგნის თვითღირებულება.

– კონსტანტინე გამსახურდიას შემოქმედება სათანადოდ შეუსწავლელია, თქვენ, როგორც მისი მკვლევარი, რას მიიჩნევთ ამ ძვირფასი მემკვიდრეობიდან უპირველეს წარმოჩენის ღირსად?

– კონსტანტინე გამსახურდიას შემოქმედებაზე მრავალი კარგი ესსე, სტატია და მონოგრაფიაა დაწერილი. XX საუკუნის ქართველ მწერალთაგან ყველაზე უკეთ გალაკტიონისა და კონსტანტინეს შემოქმედებაა შესწავლილი, მაგრამ ცხადია, არ კმარა, რაც გაკეთდა.

კონსტანტინე გამსახურდიას შემოქმედებაზე დაწერილია აურაცხელი შეურაცხმყოფელი წერილიც. მათ რომ გაეცნოთ, შეძრწუნდებით. რაც ყველაზე სამწუხარო და გულსატკენია, მათი ავტორები არიან არა მხოლოდ პარტიული მუშაკები ან ლიტერატურას მიტმასნილი კრიტიკოსები, არამედ - ქართველი ხალხის სათაყვანო მოღვაწეები, მაგალითად,

გიორგი ლეონიძე, ტიციან ტაბიძე, ნიკო მუსხელიშვილი, სიმონ ჩიქოვანი.

დღეს ჩვენ უნდა შევისწავლოთ კონსტანტინეს მხატვრული ნააზრევი, მისი რომანები, ნოველები თუ ესსეები ყოველგვარი მიკერძოების, იდეოლოგიური კონიუნქტურის გარეშე, ვაჩვენოთ მისი დიდი შემოქმედების მნიშვნელობა ქართული ლიტერატურისა და ქართველი ერისათვის.

მაგრამ მარტო შესწავლა არაფერს ცვლის, თუ შესწავლის შედეგები არ გაიცნო საზოგადოებამ.

მე რამდენიმე მონოგრაფია მაქვს დაწერილი კონსტანტინე გამსახურდიას შემოქმედებაზე. გამოვეცი პირველი ტომი, მომზადებული მაქვს მეორე და მესამე ტომები, მაგრამ ალბათ საკმაო ხანი გაივლის, ვიდრე მათ გამოცემას შევძლებ.

– რით იყო გამოწვეული კონსტანტინე გამსახურდიას კაბინეტის არარსებობა უნივერსიტეტში?

- კონსტანტინე გამსახურდიას ბიოგრაფია მეტისმეტად დრამატულია. მთელმა მისმა ცხოვრებამ საბჭოთა ხელისუფლებასთან აშკარა თუ ფარულ პოლემიკაში განვლო; ბოლშევიკებმა 1922 წელს დააპატიმრეს და მეტეხის ციხეში ჩასვეს. განმეორებით 1924 წლის სექტემბერში დააპატიმრეს და ისევ მეტეხის ციხეში ჩასვეს, მაგრამ ამჯერადაც მალე გაანთავისუფლეს.

1926 წლის 1 მარტს კიდევ ერთხელ დააპატიმრეს და გადაასახლეს თეთრ ზღვაში მდებარე სოლოვკის არქიპელაგზე, სადაც დაჰყო 1927 წლის დეკემბრამდე; ვადაზე ადრე გაათავისუფლეს ჯანმრთელობის მკვეთრი გაუარესების გამო.

1938 წლის 2 ოქტომბერს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარმა სერგო გოგლიძემ სსრკ შინაგან საქმეთა კომისარს ნიკოლაი ეჟოვს გაუგზავნა მოხსენებითი ბარათი № 44.298.

გოგლიძე ითხოვდა რამდენიმე ცნობილი მოღვაწის, მათ შორის კონსტანტინე გამსახურდიას დაპატიმრების სანქციას.

მწერალს იგი ფაშისტსა და ჯაშუშს უწოდებდა. „მოხსენებითი ბარათის“ მსვლელობა შეაჩერა ლავრენტი ბერიამ, რომელიც მაშინ ეჟოვის პირველი მოადგილე იყო.

იგი სტალინს არ მიუღია და ასე გადარჩა კონსტანტინე, თუმცა აქ სხვა მრავალი ფაქტორიც მოქმედებდა.

1948 წელს სტალინს გაგრაში ჩააკითხეს ჩარკვიანმა და რაფავამ და ითხოვეს კონსტანტინეს დაპატიმრების სანქცია, რადგან მწერალს რამდენიმე ცნობილი მოღვაწის ჩვენებით ბრალდებოდა ფაშისტური ორგანიზაციის წევრობა, რომ თითქოს თუ საქართველო დამოუკიდებლობას მიაღწევდა, კონსტანტინე საგარეო საქმეთა მინისტრი უნდა ყოფილიყო!..

სტალინმა სანქციისგან თავი შეიკავა, მაგრამ ნება დართო, მწერალი სასტიკად განექიქებინათ და მისი წიგნების გამოცემა შეეწყვიტათ.

ამის შემდეგ გაანადგურეს „დავით აღმაშენებლის“ მესამე წიგნი.

1954 წელს სუკ-ის თავმჯდომარემ ალექსი ინაურმა მოსკოვს გაუგზავნა მასალები კონსტანტინეზე, რომ თითქოს იგი 1913 წლიდან იყო გერმანიის აგენტი, ანტისაბჭოთა ორგანიზაციების ხელმძღვანელთაგანი, რომ ახლაც დაკავშირებულია ინგლისის დაზვერვასთანო. მას საბჭოთა ხალხის უბოროტესი მტერი ბერია მფარველობდა, თორემ აქამდე უნდა დაგვეპატიმრებინაო.

მოსკოვი არ დაეთანხმა საქართველოს სუკ-ის წინადადებას.

კონსტანტინეს დაუნდობლად აკრიტიკებდნენ არა მხოლოდ კოლეგები, არამედ - რესპუბლიკის პარტიული ლიდერები - კახიანი, ბერია, ჩარკვიანი, მგელაძე, მახარაძე და სხვები.

მხოლოდ 1958 წელს მოეხსნა კონსტანტინე გამსახურდიას გერმანიის ჯაშუშის ბრალდება!

შემდეგ, მოგეხსენებათ, ასპარეზზე გამოვიდა ზვიად გამსახურდია.

ყველამ ვიცით, რა ტრაგედია დატრიალდა საქართველოს პირველი პრეზიდენტის თავზე.

ბუნებრივია, ასეთ გარემოში დიდი მწერლის კაბინეტს ვერავინ გახსნიდა უნივერსიტეტში. მართალია, ყოველთვის აცხადებდნენ, რომ კონსტანტინე დიდი მწერალია და ზვიადის გამო მას არავინ აკრიტიკებდა, მაგრამ ეს ფაქტი არაპირდაპირ მაინც მოქმედებდა კონსტანტინე გამსახურდიას სახელის პროპაგანდაზე.

დღეს ხელისუფლება ცვლის დამოკიდებულებას ზვიად გამსახურდიასა და მისი თანამებრძოლების მიმართ; მიხარია, რომ ბატონ როინ მეტრეველის ინტუიცია უაღრესად ზუსტი აღმოჩნდა.

ეროვნული თანხმობის ერთ-ერთ გამოხატულებად უნდა ჩავთვალოთ უნივერსიტეტში კონსტანტინე გამსახურდიას კაბინეტის გახსნა.

ესაუბრა თამარ შაიშმელაშვილი,
გაზ. „არგო“, 2000, 25 აპრილი - 1 მაისი

ერი, ეროვნება, რეკვიზიტი...

- ეროვნულობის რეკვიზიტის ჩაწერის მოწინააღმდეგეთა ერთ-ერთი არგუმენტი ისაა, რომ ამგვარი გადაწყვეტილება დამატებითი სტიმული იქნება სეპარატისტულად განწყობილი ძალებისათვის. რას იტყვით ამ არგუმენტის შესახებ?

– ვფიქრობ, პირიქით უფრო მოხდება.

არცერთ აფხაზს, სომეხს თუ აზერბაიჯანელს არ სურს მათ დოკუმენ-ტებში არ იყოს ფიქსირებული ეროვნება. მე ვგულისხმობ დაბადების და პირადობის მოწმობებს. პასპორტი სხვაა. მოგეხსენებათ, საბჭოთა კავშირში მხოლოდ 1967 წელს დაიწყო მთლიანი პასპორტიზაცია. საბჭოთა პასპორტი იგივე იყო, რაც ჩვენი პირადობის მოწმობაა: ამ დოკუმენტით უცხოეთში არავინ მიგიღებდა.

ახლა, როცა რუსეთმა გამოაცხადა, რომ ის, ვისაც საბჭოთა პასპორტი აქვს, რუსეთის მოქალაქეაო, იგივე აფხაზი, სომეხი თუ აზერბაიჯანელი საერთოდ უარს იტყვის ქართულ დოკუმენტებზე, სადაც იგნორირებული იქნება მისი ეროვნება. ამიტომ ეროვნების ფორმალური წაშლა უფრო გააღვივებს უნდობლობას, სასურველ შედეგს კი ვერაფერს მივიღებთ. საქართველო რომ იყოს ძლიერი ქვეყანა, მაშინ სხვაგვარად იქნებოდა საქმე. მაგრამ დღეს უნდა შევინარჩუნოთ ეროვნულობის რეკვიზიტი, რათა საქმით ვაჩვენოთ მსოფლიოს, რომ ჩვენ არავის დაჩაგვრას, თუ ასიმილირებას არ ვაპირებთ, რომ გვინდა აქ მცხოვრებმა ყველა ერის შვილმა ააშენოს ერთიანი და თავისუფალი საქართველო.

- ეთანხმებით თუ არა აზრს, რომ ადამიანის ეროვნული ცნობიერება არ განისაზღვრება პირადობის მოწმობაში ეროვნების მითითებით?

– ცხადია, ეროვნება დოკუმენტით არ განისაზღვრება, კაცობრიობა მეტრიკის გარეშეც მშვენივრად არსებობდა და ქართველი თუ არაბი ერთმანეთში არავის ერეოდა. წარმოშობით ქართველი იყო ბულატ ოკუჯავა, მაგრამ თავისი ცნობიერებით ეკუთვნის რუსულ კულტურას. წარმოშობით გერმანელი იყო ალექსანდრ ბლოკი (მხოლოდ დედა და ერთი ბებია ჰყავდა რუსი), მაგრამ ვინ იტყვის, რომ იგი რუსი არ იყოო. ფრანგულ ლიტერატურას ქმნიდა არაერთი უცხოელი, რომელთა წარმომავლობა მხოლოდ სპეციალისტებს თუ ახსოვთ., ამიტომ, თანამედროვე ინტეგრაციის პირობებში გადამწყვეტი ხდება ენის ფაქტორი. ის, ვინც კარგავს მშობლიურ ენას, კარგავს ეროვნებასაც. მხოლოდ გენეტიკა არ განსაზღვრავს ეროვნულ ცნობიერებას, რადგან კულტურა, განათლება, ურთიერთობანი, აზროვნება, ცნობიერება ვლინდება ენით, ცოცხლობს ენაში და ასე გადაეცემა საზოგადოებას. ხოლო გენეტიკური წარმომავლობა მას აღბეჭდავს გარკვეული სპეციფიკით.

- რას იტყვით იმ აზრის შესახებ, რომ ეროვნულ რეკვიზიტზე უარის თქმა ხელს შეუწყობს სახელმწიფოებრივი კონსოლიდაციის საქმეს?

- ეროვნულ რეკვიზიტზე უარის თქმა ინტეგრირებას ხელს უწყობს ძლიერ სახელმწიფოში, სუსტში - შუღლს გააღვივებს. დღეს ქართული ნაციონალური ცნობიერების დაშლას ესწრაფვის თავად ხელისუფლება. კომუნისტურ პერიოდში უფრო გამძაფრებული იყო ეროვნული თვითშეგ-ნება. ამჟამად ხელისუფლება ყველა ხერხით ცდილობს ეროვნული

სულის დათრგუნვას და, ჩვენდა სავალალოდ, მიზანსაც აღწევს, რათა მსოფლიოს თვალში ჩანდეს საზღვარმორღვეული, ფსიქიკაშერყეული, დამშეული და უსუსური საქართველო. ასეთი ქვეყანა ნამდვილად ვერ იარსებებს, ვერც „მცირე იმპერია“ იქნება. იგი იარსებებს არა შინაგანი აუცილებლობით, არამედ მხოლოდ მსოფლიო თანამეგობრობის კეთილი და გულმოწყალე ნებით. მაგრამ როგორც ჩვენთვისაა საინტერესო რომელიმე დიდი თუ პატარა ქვეყნის ისტორია და კულტურა, ისე უნდა შევძლოთ მივიქციოთ სხვათა ყურადღება ისტორიით, ხელოვნებით, ლიტერატურით, ადათ-წესებით და არა მხოლოდ გეოგრაფიული მდებარეობით.

- როგორ ფიქრობთ, ერთი კონკრეტული საკითხის გამოა ეს დაპირისპირება, თუ იგი უფრო ღრმაა და აქ ორი ცნობიერება უპირისპირდება ერთმანეთს?

- ნაწილობრივ უკვე გიპასუხეთ იმ კითხვაზეც. უნდა დაგეთანხმოთ, რომ ამ საკითხშიც ორი ცნობიერება უპირისპირდება ერთმანეთს, მაგრამ სხვას ნურაფერს დავაბრალებთ. ყველა დროში დიდი ქვეყანა არა მხოლოდ მახვილით, არამედ კულტურითაც მოდიოდა და იმორჩილებდა სუსტ ქვეყნებს. მაგრამ ხელისუფლება და მოაზროვნე ხალხი იცავდა სამშობლოს და ეროვნულ ინდივიდუალობას. სად ჩანს, რომ დღევანდელი ხელისუფლება არის ქართველი ხალხის, საქართველოს მოსახლეობის სულისკვეთების გამომხატველი? ამიტომ ეროვნული რეკვიზიტის ამოღების მიზანია უნიფიკაცია, ნაციონალურ მრწამსზე ხელის აღება და არა სახელმწიფოს გაძლიერება. სახელმწიფოსა და ხალხისათვის ხომ ისედაც არაფერი კეთდება. დღეს ხელისუფლებამ შექმნა ისეთი სიტუაცია, როცა ხალხი ფიქრობს არა სახელმწიფოებრივ აღმშენებლობაზე, არამედ ფიზიკურ გადარჩენაზე.

ჩვენს თვალწინ მოხდა უდიდესი კატასტროფა - დაიკარგა აფხაზეთი. მსგავსი რამ ერთადერთი იყო ჩვენს ისტორიაში - ტაო-კლარჯეთის დაკარგვა. ეს მოხდა დღევანდელი ხელისუფლების მიზეზით, მისი დანაშაულებრივი ხელმძღვანელობისა და პოლიტიკის შედეგად. უკვე შვიდი წელია გასული, მაგრამ სასიკეთო ნაბიჯი არ გადადგმულა. ეროვნული სულის დათრგუნვა, თუნდაც ეროვნული რეკვიზიტის ამოღება, საჭიროა იმისათვის, რომ ჩვენ არ ვიფიქროთ აფხაზეთზე, რომ იგი ისევე იქცეს ისტორიულ მოგონებად, როგორც ტაო-კლარჯეთი.

– ხელისუფლებისადმი უნდობლობის პრობლემაც ხომ არ გამოჩნდა ამ დისკუსიის ჭრილში?

– ხალხი უნდობლობას უცხადებს არა მხოლოდ დღევანდელ ხელისუფლებას, არა მხოლოდ მოქალაქეთა კავშირს, საერთოდ პარტიებს, რადგან ვერ ხედავს იმედსა და გამოსავალს.

ეს არის ამ ხელისუფლების მრავალი წლის მოღვაწეობის ერთ-ერთი შედეგი.

ამიტომ ყოველი გადაწყვეტილება, ყოველი კანონი უნდობლობას აღძრავს საზოგადოებაში. ხოლო ეროვნული რეკვიზიტის ამოღებას სავსებით ბუნებრივად შეებრძოლნენ ცალკეული პირები, რადგან ფართო მასები გულგრილად და უნდობლად უყურებენ ხელისუფლების დაუსრულებელ ექსპერიმენტებს.

გაზ. „ახალი ერა“, 7 ივლისი, 2000.

საქართველოში სოციალური ამბოხება არასოდეს მომხდარა

- ამბობს პარლამენტის წევრი, პროფესორი სოსო სიგუა

- ბატონო სოსო, ამ შემთხვევაში შეიძლება, მნიშვნელობა არც ჰქონდეს იმის გარკვევას, აკაკი ელიავა პოლიტიკური ფიგურა იყო თუ ტერორისტი. საზოგადოებაში მისი პიროვნების შესახებ ერთგვაროვანი აზრი არასდროს ყოფილა. თავად მისი სიკვდილის ფაქტიც აღძრავს ეჭვს, თუმცა ძალოვნები ცალსახად აცხადებენ, რომ ამ კონკრეტული ვითარებიდან ერთ-ერთი გამოსავალი იყო მისი ფიზიკური ლიკვიდაცია, მაგრამ, იქნებ აკაკი ელიავა არც ისე საშიში იყო...

- მე აკაკი ელიავას არ ვიცნობდი. მის შესახებ ვიცი ის ინფორმაცია, რაც ტელევიზიით გადაიცემა და რაც პრესაში ქვეყნდება. მოგეხსენებათ, ის თავის დროზე ლოთი ქობალიას შეიარაღებულ ფორმირებებში მონაწილეობდა, შემდეგ ხელისუფლებასთან თანამშრომლობდა, ორი წლის წინათ გადაუდგა ხელისუფლებას, შემდეგ ისევ შემოირიგეს... ამიტომაც აღძრავდა ეჭვს საზოგადოების სხვადასხვა ფენაში - ზოგი აგენტად მიიჩნევდა, ზოგი - თავგამოდებულ პატრიოტად. ჩემი აზრით, აკაკი ელიავას ასეთი დაბნეულობა გამომდინარეობდა არა მისი არაგულწრფელობიდან, არამედ სიტუაციიდან, რომელშიც აღმოჩნდა. მას უყვარდა თავისი ქვეყანა, მაგრამ მისი მოქმედება რეალობას არ შეესაბამებოდა. როგორც ჩანს, არ ჰყოფნიდა სიტუაციის შეფასების ალღო და სამხედრო ნიჭი. ის ერთგვარი დონკიხოტი იყო ჩვენს საზოგადოებაში. მისი პოლიტიკური შეხედულებები გულუბრყვილო და უტოპიური იყო. ამიტომ ნაკლებად ჰყავდა მასებში მხარდამჭერი.

ყოველი ქართველის სიკვდილი უბედურება და ტრაგედიაა. ასე მხეცურად ადამიანისადმი მოპყრობა კი, რა თქმა უნდა, იწვევს სიბრალულისა და სინანულის გრძნობას. კადრები, რომლებიც ტელევიზიით ვნახეთ, შემზარავია, ვინაიდან აკაკი ელიავა და გოჩა გვილავა მოკლეს ღალატით. შეპირდნენ, რომ სამტრედიამდე მიაცილებდნენ და ესრო-

ლეს მაშინ, როცა შენობიდან გამოვიდნენ და მანქანას მიუახლოვდნენ. ძალოვან სტრუქტურებს თუ ეს უნდოდათ, მიუხედავად იმისა, რომ ეს ხალხი პრეზიდენტისგან შეწყალებული იყო, რა თქმა უნდა, სისხლისღვრის გარეშეც შეეძლოთ დაკავება. ფაქტია, აქ არავითარი დაძაბული სიტუაცია არ იგრძნობოდა და არც ის ჩანდა, თითქოს აკაკი ელიავას ჰყავდა ვინმე აყვანილი.

– აკაკი ელიავას სახელს სამეგრელოში მოსალოდნელ დესტაბილიზაციას უკავშირებდნენ. ალბათ, ჯერჯერობით, ძნელია გაეცეს პასუხი კითხვას - ამ მხარეში მასობრივი არეულობისთვის ცოცხალი ელიავა უფრო იყო საშიში, თუ მისი გარდაცვალების ფაქტი დააჩქარებს და გაამწვავებს მოვლენების ამ კუთხით განვითარებას?

– აკაკი ელიავა არ იყო ისეთი პოლიტიკური ლიდერი, რომ მასები გაჰყოლოდა. არც პრესაში, არც ცალკე მის მიმართ არ იგრძნობოდა მხარდაჭერა. კორესპონდენტები მას ყურადღებას აქცევდნენ დონკიხოტური მოქმედებების გამო, როგორც სენსაციას, რომ გაზეთი გაყიდულიყო და ტელეგადაცემებს მაყურებელი ჰყოლოდა. როგორც პოლიტიკური ლიდერი, ის არასდროს ჩანდა. ჩვენ ჩავატარეთ არჩევნები, მაგრამ მას ჩვენთან მონაწილეობა არ მიუღია. სიტყვიერად ამბობდა, რომ, თითქოს, გვეხმარებოდა, მაგრამ რეალურად მას არანაირი დახმარება არ შემოუთავაზებია. მასთან საუბარიც კი არ გვქონია. მე რამდენჯერმე ვიყავი სამეგრელოში, მაგრამ არც მას და არც ჩვენ, შეხვედრის სურვილი არ გამოგვითქვამს. აკაკი ელიავა არც მაშინ გამოჩენილა, როცა ზუგდიდსა და სენაკში პენსიების გამო აქციები ტარდებოდა. ასე რომ არც სოციალური და არც პოლიტიკური თვალსაზრისით ის ლიდერი არ ყოფილა.

– თქვენი საუბრიდან გამომდინარე, მისი სიკვდილი შექმნილ სიტუაციას არც გაამწვავებს და არც შეანელებს?

– დიახ, ვინაიდან ის პრობლემა, რაც ჩვენ გვაქვს, აკაკი ელიავას არ გამოუწვევია და ამიტომაც აკაკი ელიავას სიკვდილით ის არ შეიცვლება. მოგეხსენებათ, თითქოს, ზუგდიდსა და სენაკში დაიკარგა უზარმაზარი თანხა გადმორიცხული საპენსიო ფონდიდან. არ არის გამორიცხული, რომ ამ ფულის გაფლანგვა აკაკი ელიავასა და მის თანამზრახველებს დაბრალდეს...

– ბატონო სოსო, არასაპარლამენტო ოპოზიცია ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების ჩატარების მოთხოვნით გამოდის. თანაც მათი სურვილია, რომ ეს გადაწყვეტილება ხელისუფლებამ მიიღოს. ყოველივე ეს რამდენად ახლოა რეალობასთან!

– საერთოდ, ყველა წაგებული, ანუ არჩევნებში დამარცხებული პარტია ახალი არჩევნების ჩატარებას მოითხოვს. ჩვენი კონსტიტუციის

მიხედვით, პრეზიდენტს არა აქვს, პარლამენტის დათხოვნის უფლება და არც ის არის კონსტიტუციაში მითითებული, რომ შეიძლება ვადამდელი არჩევნების ჩატარება. დავუშვათ, შეიცვალა კონსტიტუცია და პარლამენტმა საკუთარი თავი თვითონ გამოაცხადა დაშლილად. ხელახალი არჩევნების შედეგად ძალთა თანაფარდობა დიდად არ შეიცვლება. ძირითადად, პარლამენტში ორი პოლიტიკური ორგანიზაცია გავა, - მოქალაქეთა კავშირი და აღორძინების ბლოკი. ილუზიაა ის, რომ ორმოცდაათკაციანი თუ ოცკაციანი პარტიები გამარჯვების მოპოვებას შეძლებენ.

– ბატონო სოსო, დღეს ბევრს საუბრობენ ხელისუფლებაში ზნეობრივი და პატიოსანი ხალხის მოსვლის აუცილებლობაზე, საკონსტიტუციო ცვლილებაზე, კერძოდ, მინისტრთა კაბინეტის შემოღებაზე. გიორგი თარგამაძემ ისიც კი განაცხადა, რომ აუცილებლად დააყენებს დეპუტატთა რაოდენობის შემცირების საკითხს, როგორც კი კონსტიტუციაზე გაიმართება მსჯელობა. ნუთუ ეს არის გამოსავალი შექმნილი მძიმე სოციალურ-ეკონომიკური კრიზისიდან? განა შესაძლებელია, რომ დღეს ჩვენი საზოგადოების წიაღში არაკორუმპირებული ხელისუფლება წარმოიშვას?!

– ერთ-ერთი გამოსავალი, ალბათ, არის ის, რომ აღდგეს მინისტრთა კაბინეტი და საქართველოს ხელისუფლებას ჰყავდეს პრემიერ-მინისტრი. ცხრა წლის განმავლობაში ქვეყანა რომ სრული კატასტროფების გზით მიდის, ეს მაინც მმართველს ბრალდება. როდესაც პრემიერ-მინისტრი გვეყოლება, სურს თუ არა ეს პრეზიდენტს, უფლებამოსილება მაინც გადანაწილებული იქნება.

პარლამენტის თავმჯდომარე, პრემიერ-მინისტრი და პრეზიდენტი მოახდენენ ძალთა დაბალანსებას. ერთი კაცი, რაც უნდა გონიერი იყოს იგი, ქვეყანას ვერ იხსნის. მეორეც, ჩემი აზრით, როცა ჩამოყალიბდება მინისტრთა კაბინეტი, **უნდა შეიქმნას ეროვნული თანხმობის მთავრობა.** საქართველოს არ უნდა მართავდეს მხოლოდ მოქალაქეთა კავშირი.

– ბოლოდროინდელი მოვლენების გაანალიზება იმის საფუძველს თუ იძლევა, რომ შესაძლებელია მოხდეს მოქალაქეთა კავშირისა და პრეზიდენტის გამიჯვნა, რა თქმა უნდა, ურთიერთდაპირისპირების საფუძველზე?

– დაპირისპირებაზე ვერაფერს მოგახსენებთ. განსხვავებული აზრის თქმა დაპირისპირებას არ ნიშნავს. ყველა ხედავს, რა კატასტროფულ მდგომარეობაში აღმოჩნდა ქვეყანა ეკონომიკურად, სოციალურად და ტერიტორიული მთლიანობის თვალსაზრისით, ყველა სპექტრში საშინელი ვითარებაა. ამიტომ, თუ ადამიანი გონივრულ იდეას წამოაყენებს,

რა მნიშვნელობა აქვს ის „მოქალაქეთა კავშირიდან“ მოდის, „აღორძინებიდან“ თუ რომელიმე სხვა პარტიიდან? ჩვენ უნდა საქართველოს გადარჩენაზე ვიფიქროთ. თუ განსხვავებული აზრი წარმოიშვება რომელიმე პარტიული ლიდერის მხრიდან, ეს კატასტროფად არ უნდა მივიღოთ. პარლამენტი კამათისთვის, დებატისთვის, აზრთა ურთიერთგაზიარებისთვის არსებობს. ამიტომ მე ყოველივე ამას დაპირისპირებას კი არ ვუწოდებ, არამედ გზის ძიებას, რომელიც ზოგჯერ შეიძლება არც ემთხვეოდეს პრეზიდენტის მიერ არჩეულ კურსს.

– იმის საშიშროება თუ არის, გამოსვლები, რომელიც სოციალურ მოთხოვნებს გულისხმობს, უახლოეს ხანში პოლიტიკურ მოთხოვნებში გადაიზარდოს?

– საქართველო ის გამონაკლისია, სადაც სოციალური ამბოხება თითქმის არასდროს მომხდარა. ყოველი აჯანყება ჩვენში პოლიტიკურ და ეროვნულ ნიადაგზე ხდებოდა და არა სოციალური საკითხების გამო, განსხვავებით რუსეთის, საფრანგეთის თუ სხვა ქვეყნების ისტორიისაგან, სადაც უმწეო მდგომარეობაში ჩავარდნილი ხალხი ებრძოდა ხელისუფლებას. ეს, ალბათ, პირველი უკმაყოფილებაა, რაც ხალხმა სოციალური საკითხის გამო მმართველი ძალის წინააღმდეგ გამოავლინა. ჯერჯერობით ძალიან ძნელია მოვლენათა განჭვრეტა.

– ამას სათავისოდ ხომ არ გამოიყენებს არასაპარლამენტო ოპოზიცია?

– ჯერჯერობით, ვხედავთ, რომ ვერ იყენებს. ფაქტია, აქციები ტარდება, მაგრამ ამ აქციებს არამცთუ ხელმძღვანელობს რომელიმე პოლიტიკური ძალა, არამედ არც მონაწილეობს მასში.

ესაუბრა ნათია მორჩაძე

გაზ. „თბილისი“, 2000, 15 ივლისი.

ვინ ვინ არის?!

რუბრიკის სტუმარია პარლამენტის წევრი ბლოკ „საქართველოს აღორძინებიდან“, პროფესორი სოსო სიგუა.

– ბატონო სოსო! თქვენი თითოეული სიტყვა იწერება და, ამდენად, თქვენსავე ნათქვამზე პასუხს აგებთ მართლმსაჯულებისა და ისტორიის წინაშე.

– თავის გულში, ალბათ, ყველა მართალია, მაგრამ, მართლაც, ისტორია განსჯის, ვინ არის მართალი და რა საკითხში. შევეცდები, რასაც როგორც ვფიქრობ, ისე გიპასუხოთ.

სიცრუის დეტექტორი ჩართულია და ბატონი სოსო სიგუა შეერთებულია ხუთი მილიონი მკითხველის ცნობიერებასთან.

– ვინ არის ზურაბ ჟვანია?

– ედუარდ შევარდნაძის ღირსეული მოწაფე, რომელიც ბოლო დროს

ცდილობს დამოუკიდებელი გზის მოსინჯვას. ფრთხილი და ზომიერი პოლიტიკოსია.

– ვინ არის მიხეილ სააკაშვილი?

– დაუცხრომელი, თამამი ახალგაზრდა, სიმართლის ძიებამ იგი ლამის იმ ფრაქციის ოპოზიციონერად აქციოს, რომელსაც ხელმძღვანელობს.

– ვინ არის მიხეილ მაჭავარიანი?

– ენერგიული ახალგაზრდა კაცი, რომელიც, ვფიქრობ, შეძლებს ქვეყნისათვის სასარგებლო საქმის კეთებას. ახლა კი ძალზე მძიმე დავალებას არის შეჭიდებული.

– ვინ არის ელდარ შენგელაია?

– შესანიშნავი კინორეჟისორი, რომლის სახელს პოლიტიკურმა მოღვაწეობამ ზიანის მეტი ვერაფერი მოუტანა, ვერც მოუტანდა.

– ვინ არის ჯემალ გოგიტიძე?

– შესანიშნავი პიროვნება, ნამდვილი ინტელიგენტი როგორც გარეგნობით, ისე - აზროვნებით. უაღრესად გულისხმიერი და კოლეგიალური ადამიანი.

– ვინ არის ვალერი გელბახიანი?

– კარგი ადამიანი, კარგი იურისტი, რომელსაც ახასიათებს ზუსტი მსჯელობა, მართალი, საინტერესო და, იმავე დროს, რეალისტური აზროვნება.

– ვინ არია გია არსენიშვილი?

– ბატონი გია სწრაფად ჩაერთო საქართველოს „მცირე იმპერიის“ დაშლის საქმეში, რომლის გეგმაც ეკუთვნის მოსკოვს და დასავლეთის დასტურით ახორციელებს ედუარდ შევარდნაძე.

– ვინ არის ჯუმბერ პატიაშვილი?

– ბატონ ჯუმბერს ხშირად შეახსენებენ ხოლმე 9 აპრილს. არადა, ბოლო წლების საქართველოში ათასგზის დიდი ტრაგედიები დატრიალდა, მაგრამ არც არავინ გადამდგარა და არც თავი უგრძვნია დამნაშავედ.

– ვინ არის მამუკა გიორგაძე?

– კარგი ორატორი, დიდი პათოსის ოპოზიციონერი, რომლის მრისხანე გამოსვლებსაც, ჯერჯერობით, რეალური შედეგები არ მოჰყოლია.

– ვინ არის კახა თარგამაძე?

– ღირსეული პროფესიონალი, რომელმაც კარგად იცის, რა უნდა აკეთოს.

– ვინ არის გიორგი თარგამაძე?

– ახალგაზრდა კაცი, რომელიც დინჯი და არგუმენტირებული აზროვნებით დამსახურებულად სწრაფად დამკვიდრდა ქართულ პოლიტიკაში.

– ვინ არის ლანა ღოღობერიძე?

– ჭეშმარიტად მამამისის შვილი.

– ვინ არის გურამ შარაძე?

– მრავალი საინტერესო წიგნის ავტორი, უაღრესად შრომისმოყვარე. ბოლო წლებში მისი გამოსვლები პოლიტიკურად ძალზე აქტუალური გახდა.

– ვინ არის აკაკი ასათიანი?

– მისი მოღვაწეობის მწვერვალი 1991 წელი იყო. შემდეგ მისი სახელი გაფერმკრთალდა. ბოლო დროს მინისტრთა კაბინეტის აღდგენის იდეა წამოაყენა. ვფიქრობ, ეს იდეა მხარდაჭერას იმსახურებს.

– ვინ არის ირინა სარიშვილი?

– ედუარდ შევარდნაძის მიერ დანიშნული რეკლამირებული პოლიტიკოსი. მისი ეჭვები და პროგნოზები მეტწილად არ მართლდება ხოლმე.

– ვინ არის ირაკლი წერეთელი?

– დიდად პოპულარული იყო მაშინ, როცა ზვიად გამსახურდიას გვერდით იდგა. დღეს საზოგადოება მისი პატრიოტული პათოსის მიმართ ერთობ გულგრილია.

– ვინ არის ვახტანგ ბოჭორიშვილი?

– გამოჩენილი ქართველი მეცნიერი, გულკეთილი პიროვნება, დიდებული მოქართულე, ოპოზიციონერი, რომელსაც პრაქტიკული შედეგები აინტერესებს და არა - ხელისუფლების აბსტრაქტული კრიტიკა.

– ვინ არის ნანა დევდარიანი?

– კარგი პიროვნება, შესანიშნავი პოლიტიკოსი, ნამდვილი სახალხო დამცველი.

– ვინ არის მუხრან მაჭავარიანი?

– დიდი ქართველი პოეტი, ეროვნული მოძრაობის მშვენება, ვინც „არამარტო ტკბილ ხმათათვის გამოგზავნა ქვეყნად ცამა“.

– ვინ არის ელიზბარ ჯაველიძე?

– გამოჩენილი მეცნიერი და პუბლიცისტი, თავდადებული ეროვნული მოღვაწე. მის სახელს, პირველ რიგში, თავისუფალი ქართული პრესის დამკვიდრება უკავშირდება.

– ვინ არის გურამ პეტრიაშვილი?

– სიმართლისათვის სამშობლოდან დევნილი, გამორჩეული მწერალი და პუბლიცისტი.

– ვინ არის ვახტანგ გოგუაძე?

– პოლიტიკოსი არ არის. თურმე შევარდნაძეს ეს უთქვამს მისთვის. როცა მის წინაშე არჩევანი დადგა - ვისთვის დაეჭირა მხარი - ზვიადისა თუ ჯაბასთვის, მან ჯაბა მიიჩნია საქართველოს მხსნელად, ხოლო ზვიადი - ჩაუშესკუდ!

– ვინ არის ვალერი კვარაცხელია?

– ერუდირებული პიროვნება, კარგი ჟურნალისტი, პოლიტიკა არც მისი საქმე იყო. სწორედ პოლიტიკური ალღოს უქონლობამ მოაქცია ეს პატრიოტი კაცი სამშობლოს მოღალატეთა რიცხვში. მისი სტატიებიდან აღსანიშნავია დიდი გულისტკივილითა და სიმართლით დაწერილი შევარდნაძის კრიტიკა - გალის ხელმეორე ტრაგედიის გამო.

– ვინ არის შალვა ნათელაშვილი?

– ხელისუფლებასთან პოლემიკაში იგი მძაფრ პოლიტიკოსად ჩამოყალიბდა და იმ პოზიციაზე გადავიდა, რომელსაც ადრე ებრძოდა.

– ვინ არის ვალტერ შურღაია?

– სამშობლოსათვის წამებული, კეთილშობილი პიროვნება, ყოფილი პოლიტპატიმარი.

– ვინ არის ჯემალ გამახარია?

– პრაქტიკული მოღვაწე, მებრძოლი პოლიტიკოსი, თანაავტორი ჩინებული წიგნისა აფხაზეთის ისტორიაზე.

– ვინ არის ნოდარ ნათაძე?

– კარგი მეცნიერი, პატრიოტი, რომელიც ვერ შეეგუა ზვიადის ლიდერობას და სწორი ორიენტირი დაკარგა. დღეს იგი პოლიტოლოგია და არა პოლიტიკოსი.

– ვინ არის ნოდარ ლომოური?

– იგი ისევ ძველ, პუტჩისტურ პოზიციას იცავს და ხელს უშლის ეროვნული ერთიანობის პროცესს.

– ვინ არის თენგიზ სიგუა?

– სახელმწიფო დამნაშავე, რომელმაც თავისი ნიჭი და ენერგია საქართველოს დაქცევას მოახმარა. დღეს არცერთ პოლიტიკურ პარტიას არ სურს მასთან ურთიერთობა და მხოლოდ ჟურნალისტები უხანგრძლივებენ საზოგადოებრივ სიცოცხლეს.

– ვინ არის თენგიზ კიტოვანი?

– სახელმწიფო დამნაშავე, რომელიც თავის დროზე გამოიყენეს და შემდეგ თავიდან მოიშორეს. ახლა წერს ზვიად გამსახურდიაზე - ვერ ვეგუები მის სიკვდილსო, სინანულს ვგრძნობ რომ აღარ არისო, ქვეყნისათვის თავდადებული იყოო! დროზე უგრძვნია დანაშაული, არა?

– ვინ არის ჯაბა იოსელიანი?

– ზვიად გამსახურდიას სიძულვილმა იგი ჯალათად აქცია.

– ვინ არის ასლან აბაშიძე?

– აღმშენებელი, პატრიოტი, დიდი გვარის ღირსეული შვილი, დამოუკიდებელი საქართველოს ერთი ყველაზე ნათელი ფიგურა.

– ვინ არის ზვიად გამსახურდია?

– საქართველოს თავისუფლების სიმბოლო. მან შექმნა დამოუკიდებელი ქვეყნის ფუნდამენტი. ამიტომ ყველა, ვინც მას შეებრძოლა,

ნებსით თუ უნებლიეთ, სამშობლოს ინტერესებთან დაპირისპირებული აღმოჩნდა.

– ვინ არის ედუარდ შევარდნაძე?

– დამარცხებული დიპლომატი, რომელმაც ყველა მოლაპარაკება კაპიტულაციით დაასრულა; დამარცხებული მთავარსარდალი, რომელმაც დაკარგა სამაჩაბლო და აფხაზეთი; დამარცხებული პოლიტიკოსი, რომლის მოღვაწეობა კატასტროფული აღმოჩნდა საბჭოთა კავშირისა თუ საქართველოსათვის.

– ვინ ხართ თქვენ?

– ერთი ქართველი ლიტერატორი, რომელსაც სამშობლოს ბედი აღელვებს.

ესაუბრა ბელა შალვაშვილი
გაზ. „ასავალ-დასავალი“, 2000, 7-13 აგვისტო.

ყველაფერი პრეზიდენტის სახელს უკავშირდება

– ბატონო სოსო, ვსარგებლობ იმით, რომ თქვენი ყოფილი შეგირდი ვარ. შეგაწუხებთ იმდენად, რამდენადაც თქვენი აზრი არა მარტო ჩვენი გაზეთისთვის, არამედ საზოგადოებისთვისაც მეტად საინტერესოა, მით უმეტეს, იმასაც მივაქციე ყურადღება, რომ ხშირად არ ჩანხართ პრესის ფურცლებზე. რატომ ვერ ხვდებით ჟურნალისტების ინტერესის სფეროში?

– ჟურნალისტებს საერთოდ აინტერესებთ სენსაციური ფაქტები, იმიტომ, რომ გაზეთი წაიკითხოს მკითხველმა და გაიყიდოს. სენსაცია კი ყოველთვის უკავშირდება იმ ადამიანებს, რომლებიც პოლიტიკურ ორომტრიალში აქტიურად არიან ჩართულნი და მოვლენათა ეპიცენტრში იმყოფებიან. მე კი ძირითადად ლიტერატორი ვარ.

– ამ შემთხვევაში თავს უფლებას მივცემ, შეგეკამათოთ. პარლამენტარი რომ ბრძანდებით, ეს უკვე ნიშნავს პოლიტიკაში აქტიურობას. თქვენ, ალბათ, იმის თქმა გინდოდათ, რომ დიდი ვნებათაღელვები როცა ხდება პარლამენტში, იქ არა ხართ აქტიური, და რატომ არა ხართ აქტიური?

– პარლამენტში გამოსვლისას პირველი სიტყვა ეკუთვნით ფრაქციის თავმჯდომარეს და კომიტეტის თავმჯდომარეს. რეგლამენტის წესით, ისინი ყოველთვის უნდა გამოვიდნენ. ფრაქციის თავმჯდომარე ვალდებულია სიტყვით გამოვიდეს, სურვილის მიუხედავად. ამის შემდეგ რჩება ადგილი რიგითი დეპუტატებისათვი,ს რომლებიც უფრო იფარგლებიან

რეპლიკებით, ზოგჯერ მძაფრი რეპლიკებითაც. მე რადგან ლიტერატორი ვარ, ძნელია ისეთ უხერხულ ბატალიებში მონაწილეობა, რომელიც წარმოიშვება ზოგჯერ პარლამენტში. ალბათ, ესეც განაპირობებს ჩემს ასეთ მოკრძალებულ ყოფნას. მე ყოველთვის ვცდილობ ვიყო ობიექტური. აი, თქვენ თუ დააკვირდებით, პარლამენტის სხდომაზე გამოსვლისას ჟვანიამ და სააკაშვილმა ბევრი რამ საინტერესო თქვეს. მაგრამ ამ საკითხებზე ჩვენ გაცილებით ადრე ვმსჯელობდით. ისინი გვეჩხუბებოდნენ, უარყოფდნენ და ზოგჯერ განხილვის ღირსადაც არ თვლიდნენ იმ წინადადებებს, რომლებიც ახლა მათ აიტაცეს და მიაჩნიათ, რომ ეს იდეები იხსნის საქართველოს.

– თქვენ როგორ ფიქრობთ, ეს იდეები მართლაც იხსნის საქართველოს?

– მიმაჩნია, რომ ის საკითხები, რომლებიც წამოყენებულ იქნა, ყოველ შემთხვევაში, ძალზე აქტუალურია და აუცილებელია მხარდაჭერა.

– თქვენ, როგორც რიგითი დეპუტატი, მხარს უჭერთ?

– მე მხარს ვუჭერ დეპრივატიზაციას და სხვა რიგ საკითხებს. ყველას გვახსოვს ის პერიოდი, როცა 1 დოლარი ღირდა 2 მილიონი კუპონი და 10, 20, 30 დოლარად იყიდეს უზარმაზარი საწარმოები. ეს ხალხი არაფრიდან დიდი ქონების და კაპიტალის მფლობელი შეიქმნა. გახსოვთ, რომ კრედიტი გაჰქონდათ, 1 დოლარის კურსი 1000 კუპონი ღირდა. ერთ კვირაში კი ათმაგად უფასურდებოდა. ასე რომ, მოხდა სახელმწიფო ქონების ნებადართული და ლეგალური განიავება. ოპოზიცია მაშინაც ამის წინააღმდეგი იყო, თუნდაც ბატონი ნოდარ ნათაძე. მაგრამ ოპოზიციის აზრი მათ არასდროს არ აინტერესებდათ. ახლა შეატყვეს, რომ სახელმწიფო მიდის არა კატასტროფისკენ, არამედ უკვე უფსკრულშია გადაჩეხილი. ყველაფერს ისინი ამ ფაქტს უკავშირებენ და სავსებით სწორად. ჩვენ ვუკავშირებთ პრეზიდენტის სახელს, რადგან ამ 9 წლის მანძილზე რაიმე პოზიტიური და მნიშვნელოვანი ჩვენი ერის ცხოვრებაში არ მომხდარა. რა თქმა უნდა, ყველაფერი პრეზიდენტის სახელს უკავშირდება, რომელმაც დაკარგა აფხაზეთი, გააჩანაგა ეკონომიკა, გადაკიდა საზოგადოების სხვადასხვა ფენები ერთმანეთს და სასარგებლო და სასიკეთო ვერაფერი ვერ გააკეთა. ამას ისინიც ხედავენ. ადრე თუ ეგონათ, რომ პრეზიდენტი მაინც იპოვიდა გამოსავალს, ახლა დარწმუნდნენ, რომ იგი ვერაფერსაც ვერ პოულობს და არც აინტერესებს. ეს არის ახალი თაობა, რომელსაც უნდა დამკვიდრება პოლიტიკაში და სრულებითაც არ უნდათ მათი სახელი დაღუპვას და ნგრევას უკავშირდებოდეს მთელი სიცოცხლე.

– არა მარტო სიცოცხლე...

– ისინი ფიქრობენ, რომ პრეზიდენტი ყოველთვის ხომ არ იქნება, წავა

პოლიტიკური არენიდან. მაგრამ მათ არ უნდათ საფლავში ჩაჰყვნენ პრეზიდენტს, ან დატოვონ პოლიტიკური სარბიელი, მხოლოდ იმიტომ, რომ ერთგულებენ მას.

– პრეზიდენტს როგორი რეაქცია ჰქონდა ამასთან დაკავშირებით?

– პრეზიდენტის რეაქცია გახლავთ ის, რომ დაიწყო პარლამენტის დისკრედიტაცია.

– რაში გამოიხატება?

– დაიწყო მოქალაქეთა კავშირის ფრაქციის დაშლა. ჩამოყალიბდა ერთი ჯგუფი გაჩეჩილაძე-გამყრელიძისა. მერე სხვაც გამოეყოფა. საბოლოო ჯამში, ფაქტობრივად, სააკაშვილი აღმოჩნდება უმცირესობაში და იქნება ერთი რიგითი ფრაქციის თავმჯდომარე. გარდა ამისა, ახლა არის აზრი, რომ პარლამენტართა რაოდენობა უნდა შემცირდეს 100 კაცამდე, რომ პარლამენტარს იმუნიტეტი უნდა მოეხსნას. ავრცელებენ ჭორებს, რომ პარლამენტარები არაფერს არ აკეთებენ და პარლამენტი, უბრალოდ, სალაყბოა, რათა ავტორიტეტი დაუკარგონ. პარლამენტს ვერ აკრძალავენ და ვერ დაშლიან, მაგრამ კი ცდილობენ, რომ ავტორიტეტი მორყეული ჰქონდეს და ყველაფერს განაგებდეს პრეზიდენტი, კანცელარია და პრეზიდენტის მიერ დანიშნული მინისტრები.

– ბატონო სოსო, როგორ ფიქრობთ, რითი დამთავრდება ეს ყველაფერი - ლოზუნგებად დარჩება თუ რამე შეიცვლება?

– არ არის გამორიცხული, რომ დარჩეს ლოზუნგად. იმიტომ, რომ პარლამენტმა შეიძლება მიიღოს ძალიან კარგი კანონი, ძალიან კარგი გადაწყვეტილება, მაგრამ ცხოვრებაში ის უნდა გაატაროს აღმასრულებელმა ხელისუფლებამ. აღმასრულებელი ხელისუფლება კი მთლიანად ემორჩილება პრეზიდენტს. არაერთი სწორი და კარგი დადგენილება, პარლამენტის მიერ მიღებული, არ განუხორციელებია ამ ხელისუფლებას: თუნდაც აფხაზეთის საკითხზე რამდენი დადგენილებაა მიღებული. ამას წინათ პარლამენტმა გამოსცა დოკუმენტების კრებული, სადაც აღნუსხულია რა გადაწყვეტილებები, რა დადგენილებებია მიღებული ამ წლების განმავლობაში. მაგრამ ისინი არც ერთი არ განხორციელებულა. ასე რომ, პარლამენტმა შეიძლება ძალიან კარგი კანონი შეიმუშაოს, მაგრამ თუ ის ცხოვრებაში არ გატარდა, დარჩება თეორიულ ლოზუნგად და უბრალოდ, პუბლიცისტურ გამოსვლად, ისეთივე გამოსვლად, როგორიც ეს ჩვენი საუბარია, რომელიც შეიძლება მართალი იყოს, მაგრამ არავითარი ძალა არ ექნება.

ესაუბრა იზოლდა ცირდავა

გაზ. „საქართველო“, 29 სექტემბერი - 5 ოქტომბერი, 2000 წ.

რატომ დაუწერა სოსო სიგუამ 12 სტუდენტს ორიანი

ასტროლოგიური პროგნოზები ზოგჯერ საინტერესოა, მაგრამ ეს უფრო მარჩიელობას ჰგავს, რომელიც ხან ახდება ხოლმე და ხან არა. ამას ჰგავს ასტროლოგიაც. თუმცა სიმართლის ნაწილი შეიძლება მასში მართლა იყოს, იმიტომ, რომ ვარსკვლავების განლაგება მაინც მოქმედებს ადამიანის პიროვნებაზე და მის ჩამოყალიბებაზე.

ჩემი სტუდენტობის დროს, მახსოვს გამოვიდა აკაკი შანიძის მიერ გამოცემული ტექსტი, სადაც დეტალურად იყო ახსნილი ზოდიაქოს ნიშნები. ახლა კი იმდენი ასტროლოგიური წიგნი გამოდის, რომ აღარავის აინტერესებს ისინი. ამას თავი რომ დავანებოთ, ასტროლოგია მორწმუნეობაში არ შედის, პირიქით, მკრეხელობად ითვლება.

– თქვენს მეუღლეს თუ სჯერა ასტროლოგიური პროგნოზებისა?

– არც ის აქცევს მაინცდამაინც დიდ ყურადღებას.

- თქვენ და თქვენი მეუღლე ორივე ლიტერატორები ხართ. დიდი ხნის დაოჯახებულები იყავით, რომ თქვენი მეუღლე სტუდენტი იყო. მაშინ „ლიტერატურული საქართველოს“ რედაქტორი ბრძანდებოდით. ალბათ ეხმარებოდით სწავლის პროცესში, გამოცდების დროს.

- არა, დახმარებით არაფერში დავხმარებივარ, ჩვენ ისედაც ლიტერატურულ გარემოში ვცხოვრობდით. ასე რომ, არც გამოცდების ჩაბარებაში დავხმარებივარ და არც საგნების მომზადებაში.

– ხომ არ გაიხსენებდით, როგორ გაიცანით ერთმანეთი?

- ძალიან ადრე გავიცანი. ერთ სკოლაში დავდიოდით. უკვე 27 წელია, რაც ერთად ვართ.

– როგორი შეყვარებულობის პერიოდი გქონდათ?

– მას შემდეგ დიდი დრო გავიდა და ძნელია, რაიმე გაიხსენო (იცინის).

– რატომ, ეს პერიოდი ადამიანს განსაკუთრებულად ახსენდებათ.

- არაფერი ისეთი გამორჩეული არ ყოფილა.ადამიანებს უფრო კურიოზები და ფათერაკები ამახსოვრდებათ.

– კარგი, მაშინ კურიოზი გაიხსენეთ.

- მოგეხსენებათ, რომ იყო ასეთი ხელოვანთა ოჯახი - ლადო ავალიანი და ნათელა იანქოშვილი. ერთხელ მე და ჩემი მეგობრები სახელოსნოში მიგვიწვიეს. იმ დროს მწერალთა კავშირში ყველას ერთნაირი ლაბადები ჰქონდა ნაყიდი. როდესაც სახლში წასვლა დავაპირეთ, თურმე სხვისი ლაბადა ჩამიცვამს. ლადო კიბეზე დამეწია და მითხრა, ეს ჩემი ლაბადაა და დამიბრუნეო.

– თქვენ და თენგიზ სიგუას ნათესაობა ხომ არ გაკავშირებთ?

- წარმოშობით ერთი სოფლიდან ვართ, მეტი არაფერი. არც კი შევხვედრივარ.

როცა „ლიტერატურული საქართველოს“ რედაქტორი ვიყავი, ერთიორჯერ დავურეკე, იმ დროს პრემიერ-მინისტრი იყო. მაგრამ ვერც ერთხელ ვერ დავიჭირე, ერთხელ ფოთში იყო წასული, მეორედ კი სხდომას მართავდა. ასე რომ, ჩემდა საბედნიეროდ, მასთან სატელეფონო საუბარიც კი არ მქონია.

- მართალია, რომ საქართველოში ყველაზე ახალგაზრდა პროფესორი იყავით?

- არ ვიცი, ყველაზე ახალგაზრდა ვიყავი თუ არა, მაგრამ, გეტყვით, რომ 25 წლის გახლდით, როცა საკანდიდატო დისერტაცია დავიცავი, სადოქტორო კი - 32 წლისამ. ყველაზე ახალგაზრდები მაინც მათემატიკოსები არიან.

– სტუდენტებთან როგორი დამოკიდებულება გქონდათ?

- კარგი დამოკიდებულება მქონდა და მაქვს, იმიტომ, რომ გამოცდებზე და ჩათვლებზე ძალიან ლოიალური ვარ. სტუდენტები თავიანთ შეხედულებებს ალბათ მაინც ამ პროცესით საზღვრავენ. არ შეიძლება, 30 სტუდენტიდან ყველა სპეციალისტი გამოვიდეს და ყველა წიგნზე იყოს გადაყოლილი. მთავარია, კარგი მოქალაქეები იყვნენ. იქიდან ორი-სამი თუ მაინც გამოვა კარგი სპეციალისტი, ესეც საკმარისი იქნება.

ერთადერთი შემთხვევა იყო, როცა ჟურნალისტიკის ფაკულტეტზე კომისიის თავმჯდომარე ვიყავი და 12 ორიანი დავწერე გამოცდაზე. ასეთი რამ ჟურნალისტიკის ფაკულტეტზე თურმე არასდროს მომხდარა. მაგრამ იძულებული გავხდი, რადგან ჟურნალისტს, რომელმაც არ იცის, ილია ჭავჭავაძე რომელ საუკუნეში ცხოვრობდა ან ვინ იყო „ივერიის“ რედაქტორი, არ შეიძლება, „კარგი“ დაუწერო. ეს კი არა, ერთ სტუდენტს ვუთხარი, სამი გაზეთი დამისახელე-მეთქი და ვერ გამცა პასუხი.

- ამიტომ ამბობენ ხოლმე, რომ ადრინდელი თაობა უფრო განათლებული იყო, ვიდრე დღევანდელი.

- ენების ცოდნის თვალსაზრისით, რა თქმა უნდა, დღევანდელი თაობა სჯობია. ჩემს დროს ვინმეს ერთი უცხო ენა რომ სცოდნოდა, სენსაციად ითვლებოდა. დღეს კი ინგლისურის ცოდნა ჩვეულებრივი მოვლენაა. აი, მაგალითად, ჩემმა ქალიშვილმა სამი ენა იცის - ინგლისური, იტალიური და რუსული. მაგრამ სპეციალობის მხრივ, ჩემს დროს უფრო მომზადებულები იყვნენ. იმიტომ, რომ ჩვენი სივრცე ჩაკეტილი იყო, არ გვქონდა გართობის საშუალება, ფულის შოვნის პრობლემაც არ არსებობდა. ეს კი იძლეოდა იმის საშუალებას, რომ ახალგაზრდა თავისი საქმის პროფე-

სიონალი გამხდარიყო.

- თქვენი მეუღლისგან ვიცი, რომ თქვენი ქალიშვილი რამდენიმე თვე იტალიაში იმყოფებოდა. ქართველი კაცის მენტალიტეტის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ცოტა უცნაურია, რომ თქვენი თაობის ადამიანი ქალიშვილს ამხელა მანძილზე მარტოს უშვებდეს.

- არა, დიდი ხნით არ ყოფილა, სამი თვით იყო. გარდა ამისა, დღეს ერთი ქვეყნის მეორესთან დაკავშირება პრობლემას აღარ წარმოადგენს. ეს კი დაშორების ბარიერს ამცირებს. ეს ისე აღიქმება, თითქოს მეორე ქუჩაზე ცხოვრობდეს.

– შვილები დაოჯახებულები არიან?

– გოგო გათხოვილია, ბიჭი უცოლოა.

– როგორი სიმამრი ხართ?

– მე ჯერ ახალბედა სიმამრი ვარ. ასე რომ, ვერ გეტყვით, ახალ ამპლუაში როგორი ვარ.

– სიძეს ნარდს ეთამაშებით ხოლმე?

– ჯერ არ დაგვიწყია, იმიტომ, რომ ზაფხული იყო. ნარდი უფრო ზამთარს შეშვენის.

– თქვენ ლიტერატურის ინსტიტუტში მუშაობთ, სადაც ზვიად გამსახურდია მუშაობდა. როგორი ურთიერთობა გქონდათ მასთან?

– მასთან მხოლოდ საქმიანი და კოლეგიალური ურთიერთობა მქონდა. დაახლოებული არ ვყოფილვარ, როგორც დღეს ყველა აცხადებს, კლასელები და მეგობრები ვიყავითო. მაშინ კონსტანტინე გამსახურდიას შემოქმედებაზე ვმუშაობდი, სადოქტოროც მას ეძღვნება. აქედან გამომდინარე, ხშირად მიხდებოდა ზვიადთან ურთიერთობა, მაგრამ კიდევ ვამბობ, ამას არ ჰქონია მეგობრობის ხასიათი. ასე იყო, ვიდრე პრეზიდენტი გახდებოდა, მერე კი ხშირად ვხვდებოდი - კვირაში ორჯერ მიწევდა მასთან მისვლა, ოღონდ ისევ და ისევ ლიტერატურულ საკითხებზე - ერთი, რომ „ლიტერატურული საქართველოს“ რედაქტორი ვიყავი და მეორე - კონსტანტინე გამსახურდიას 20 ტომეულის გამომცემელი. ბოლოს თბილისში მას 17 დეკემბერს შევხვდი. მახსოვს, ძალიან გატეხილი და მოწყენილი ჩანდა, არადა, სხვა დროს ყოველთვის მხიარული და მობილიზებული იყო. მაშინ ვიგრძენი, რომ ძალიან პესიმისტურად უყურებდა თავისი და ქვეყნის მომავალს.

– გამსახურდიას დროს რატომ არ იყარეთ კენჭი?

– მაშინდელ პარლამენტში მწერლები საკმაოდ იყვნენ: გურამ პეტრიაშვილი, ქალბატონი ირინა, გურამ კანკავა, მუხრან მაჭავარიანი... იმ პერიოდში პატარა გაუგებრობა მოხდა - სიები დგებოდა ბატონ ზვიადთან და გარკვეული როლი ჩვენი ინსტიტუტის თანამშრომლებმა ითამაშეს. ამიტომაც იყო, რომ თვეების მანძილზე ზვიად გამსახურდი-

ასთან კონტაქტი არ მქონია.

– სიებში არ შეგიყვანეს, არა?

– არა, ამაზე საერთოდ არ ყოფილა ლაპარაკი. იმ დროს პოლიტიკურ ორომტრიალში ჩაბმული არ ვიყავი. ერთხელ თემურ ქორიძე შემხვდა და მითხრა, ზვიადთან რატომ აღარ მოდიხარ, შენთან საქმე აქვსო. რატომღაც ვერ მივედი. შემდეგ ის იყო, ერთ სტატიაში ვახსენე კონსტანტინე გამსახურდიას რომანი „ბელადი“, რომელიც სტალინს ეძღვნება. ამის გამო ლიტერატურის ინსტიტუტის ერთმა თანამშრომელმა ვრცელი წერილი დაბეჭდა გაზეთ „თბილისში“, რომ მე თითქოს კონსტანტინე გამსახურდიას სტალინის ქებას ვუწუნებდი. არადა, კარგად მოგეხსენებათ, 1990 წელს როგორი ანტიკომუნისტური ისტერია იყო. ჩემმა თანამშრომლებმა ჩემი წერილი ხელზე დაიხვიეს, თითქოს მე გამსახურდიას წინააღმდეგ გამოვდიოდი. ამის შემდეგ ზვიადს შევხვდი „კოლხურ კოშკში“, იგი ძალიან ნაწყენი იყო - ეს წერილი რამ დაგაწერინაო. მე ვუთხარი, გიორგი ლეონიძემაც დაწერა „ბავშვობა და ყრმობა“-მეთქი. კი, მართალია, მაგრამ ეს ხალხი სხვანაირად იგებსო. ამის შემდეგ იყო, რომ „ლიტერატურული საქართველოს“ რედაქტორად დამნიშნა.

– ფიქრობდით, რომ ოდესმე პოლიტიკოსი გახდებოდით?

– პოლიტიკოსი არც ახლა ვარ. მე ლიტერატორი ვარ, რომელსაც ის საკითხები აწუხებს, რაც ყველას. წმინდა წყლის პოლიტიკოსი ვერასდროს ვიქნები, მაგრამ თვითონ ლიტერატურა ყოველთვის პოლიტიკასთან არის დაკავშირებული. ჩვენ რომ მოწესრიგებული ქვეყნის შვილები ვიყოთ, მეცნიერი, ხელოვანი, მწერალი პარლამენტში აღარ იქნებოდა. მაგრამ ისეთი ანარქიაა, რომ ყველა ჩვენგანი მოვალეა, ერის ინტერესების გამომხატველი იყოს.

– გამსახურდიას პერიოდს შევეხეთ და იმ დროს მიტინგებზე თქვენი მეუღლე მხვდებოდა ხოლმე. ალბათ იგი დღესაც ჩართულია პოლიტიკურ მოვლენებში და ოჯახში ბევრს საუბრობთ პოლიტიკაზე.

– კი, ჩემი მეუღლე დადიოდა მიტინგებზე. ქალთა 80 პროცენტი ხომ ზვიად გამსახურდიას უჭერდა მხარს. თუმცა მე თვითონ არ ვმონაწილეობდი. ზვიად გამსახურდიას განდევნის შემდეგაც იშვიათად თუ დავდიოდი მიტინგებზე.

რაც შეეხება რჩევებს, იმ ოჯახში, სადაც ყველა პოლიტიკაშია ჩართული, ყოველთვის მიმდინარეობს პოლიტიკაზე დისკუსიები.

– რჩევებს თუ გაძლევდათ პარლამენტში სიტყვით გამოსვლის წინ?

– ქალის რჩევები მაინცდამაინც სასურველი არ არის. ისე, მოსმენით, უნდა მოისმინო.

– ქალის რჩევები კაცს ღუპავს, არა?

– ღუპავს თუ არა, მაინც ასე ვამბობთ ხოლმე.

– მაგრამ ზოგჯერ ისეთ ჭკვიანურ რამეს იტყვის, რაც კაცს საერთოდ არ გაახსენდება.

– რა თქმა უნდა, ოჯახში ათასი რამ ხდება და იმ ათასიდან ერთი მაინც ახდება. მაშინ იტყვის ხოლმე ქალი: აი, მე ხომ ვამბობდი, ხომ გამართლდაო. მაგრამ 99 პროცენტი რომ არ გამართლდა, ის აღარავის ახსოვს.

– ლიტერატორი კაცი ბრძანდებით და ალბათ სუფრასთან მოლხენაც გეყვარებათ.

– თავს ვარიდებ-მეთქი, ვერ გეტყვით. დღესაც 2 საათზე თამაზ ვაშაძის ოჯახში მივდივართ მუხრან მაჭავარიანი, ელიზბარ ჯაველიძე, ანზორ აბრალავა და მე. მოგეხსენებათ, რომ 1991 წელს ვაშაძე თბილისის მერი იყო. მერე 7 წელი საქართველოდან იყო განდევნილი და საბერძნეთში ცხოვრობდა. ასე რომ, ხშირად მიწევს სუფრასთან ყოფნა და ლექსებიც თქმაც.

– ალბათ კარგი თამადაც ხართ.

– თამადობით ნამდვილად არ გამოვირჩევი, იმიტომ რომ ჩვენს წრეში ისედაც კარგი თამადა გვყავს - მუხრან მაჭავარიანი, ზურაბ ქაფიანიძე...

– თქვენს მეუღლეს უკითხავდით ლექსებს?

– კი, ალბათ, ზოგჯერ.

– დღეს ვინ იქნება თამადა, ალბათ მუხრან მაჭავარიანი, არა?

– ვერ გეტყვით, თამაზ ვაშაძე ვის დანიშნავს თამადად. სუფრაზე მუხრან მაჭავარიანი თამადად რომ არ დანიშნოს, ალბათ ნაწყენი იქნება. თამაზ ვაშაძეს და მუხრან მაჭავარიანს 7 წელია ერთმანეთი არ უნახავთ. თამაზი სულ ერთი თვეა, რაც ჩამოვიდა, ბატონი მუხრანიც ახლა დაბრუნდა საჩხერიდან და დღეს ნახავენ ერთმანეთს.

ესაუბრა მამუკა ბაკაშვილი

გაზ. „ახალი თაობა“, 2000, 22 ოქტომბერი

ისევ და ისევ სკამებისთვის ბრძოლა

- ბატონო სოსო, დიდი დაპირისპირებაა დღეს ქვეყნის პოლიტიკურ ძალებში - აქეთ მხედრიონმა წამოჰყო თავი ხელახლა, „ახალი მოძრაობაც“ ბევრს იღებს თავის თავზე, იქით ირინა სარიშვილი გააქტიურდა...

– ეს სკამებისათვის ბრძოლაა, მეტი არაფერი.

- საქართველოს პარლამენტი მალე 2001 წლის ბიუჯეტს დაამტკიცებს...

- ეს არის ბიუჯეტი ქვეყანაში კორუფციის დაკანონებისა. ჩვენ ამნაირ

ბიუჯეტს მხარს ვერ დავუჭერთ.

– პანკისის ხეობაში დიდი დაძაბულობაა.

- ურთულესი მდგომარეობაა. ეს მე საქართველოს ისტორიის ამ ავბედით ხანას მაგონებს, ლეკიანობა რომ ერქვა... არადა, დუმდა ხელისუფლება, უმოქმედობდნენ სამართალდამცავი ორგანოები, ხმას არ იღებდნენ, ჩქმალავდნენ სხვადასხვა დანაშაულს და აი, შედეგიც... სამწუხარო ისაა, რომ სახელმწიფო საზღვრები დაუცველია, ჯარი შიმშილობს...

- როგორ შეიძლება რუსეთთან ურთიერთობის ასე თუ ისე, ნორმალიზაცია?

- მინსკის სამიტის შემდეგ, 5 დეკემბრიდან ძალაში შევიდა სავიზო რეჟიმი. საქართველოს და რუსეთის პრეზიდენტების შეხვედრაზე ჩვენი ქვეყნის სასარგებლოდ არაფერი გადაწყვეტილა მნიშვნელოვანი.

ჩემი აზრით, სანამ ეს ხელისუფლება გვეყოლება, ამ ურთიერთობაშიც რაიმე წინსვლა არაა მოსალოდნელი.

– ენერგოკრიზისი სულ უფრო ძაბავს ქვეყანაში მდგომარეობას...

– ეს ზამთარი იქნება საქართველოს მოსახლეობისათვის უმძიმესი ელექტროკრიზისის პერიოდი, რაშიც უპირველესად ხელისუფლებაა დამნაშავე. ამდენი სესხი, დახმარება, ასობით მილიონი გახარჯული დოლარი, - სწორედ ენერგოსისტემის მოწესრიგებაზე და ამნაირი უწესრიგობა?! ყველაფერი გაიფლანგა. ეს ი ცოდა ხელისუფლებამ, მაგრამ მას, რომ იტყვიან, ქვეყნისა და ხალხის კეთილდღეობისათვის არა სცხელა.

– აკი კორუფციის წინააღმდეგ ვიბრძვითო?!

- ხალხს ატყუებენ. კორუფცია კი ძლიერდება... იმიტომ, რომ კორუფცია გახლავთ ხელისუფლების დასაყრდენი და შეიძლება საკუთარ დასაყრდენს ებრძოლო!

- რას ეტყვით თქვენს ამომრჩეველს, რომელიც დღეს შიმშილობს, სიცივისაგან იტანჯება... არა აქვს სამუშაო, ხელფასი, პენსია.

- ამ ხელისუფლების შემყურე მე მათ ვერაფერს სასიკეთოს ვერ ვპირდები. ცხოვრება უფრო უარესდება... ახლოვდება ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები. თუ იგი დემოკრატიულად ჩატარდება, ხალხი ნამდვილად აირჩევს თავის ხელისუფლებას. მხოლოდ მერე შეიძლება ფიქრი მდგომარეობის გამოსწორებაზე.

ესაუბრა შაქრო რომანაძე

გაზ. „აჭარა“, 2000, 7 დეკემბერი

დღეს სახელმწიფო ეროვნული სულის დასანგრევად არის მომართული

– ბატონო სოსო, მოკლედ, რა არის ეროვნული ცნობიერება?

- მოკლედ, ძნელია განსაზღვროთ, თუ რა არის ეროვნული ცნობიერება. იგი მოიცავს მთელს ჩვენს ფსიქიკას, კულტურას, წინაპართა გამოცდილებას, ზნეობრივ სამყაროს და სწორედ ეს არის ის ინდივიდუალობა, რაც გამოარჩევს ერთი ერის შვილს მეორე ერის შვილისგან და რითაც ხასიათდება ადამიანი, როგორც დამოუკიდებლად მოაზროვნე პიროვნება. თუ ეროვნული ცნობიერება წაიშლება და ჩამოყალიბდება აბსტრაქტული, ზოგადსაკაცობრიო აზროვნება, მაშინ ადამიანი დაკარგავს იმ ისტორიას, რომლიდანაც მოვდივართ. თვით ის ადამიანები, რომლებიც აცხადებენ, რომ საჭიროა ეროვნული კარჩაკეტილობის დაძლევა, საბოლოო ჯამში მაინც მიდიან ერთ ენასთან, ერთ ეროვნებასთან, რადგან უეროვნებო ადამიანი არ არსებობს, ისევე როგორც ძაღლი არ არსებობს თავისი ჯიშის გარეშე. ჩვენ კონკრეტულ ენაზე ვმეტყველებთ, სულ ერთია, ეს ქართული იქნება, ინგლისური თუ რუსული. ამ შემთხვევაში ე.წ. დღევანდელი კოსმოპოლიტები გვაიძულებენ დავკარგოთ ენა, ეროვნება და ნაციონალობა, რითაც მოვდივართ საუკუნეთა წიაღიდან.

- ეროვნული ცნობიერების დაკარგვა მხოლოდ კოსმოპოლიტების მიზანია, თუ ამას სხვაც ლამობს?

- ეს კოსმოპოლიტები ჩვენში არიან, მაგრამ მათი სათავე კოსმოპოლიტური არ არის, რადგან მათ იდეას და იდეოლოგიას დიდი სახელმწიფოები მართავენ. როცა საბჭოთა კავშირი არსებობდა, რუსეთის მიზანი იყო ყველა ადამიანს რუსულ ენაზე ემეტყველა. ეს ნიშნავდა რუსულ მასაში გათქვეფას, დღეს კი მოწოლაა ამერიკული კულტურის და ცნობიერებისა. ამ ჩვენი კოსმოპოლიტების უკან ამერიკული სახელმწიფოს იდეოლოგები დგანან, რომლებიც ინგლისურენოვან კულტურაში გათქვეფას გვაიძულებენ.

- ახალი მსოფლიო წესრიგის მესვეურთათვის რამდენად მომგებიანი უნდა იყოს მოვლენათა ამგვარი განვითარება?

- „ახალი მსოფლიო წესრიგი“ არის დიდი სახელმწიფოს მიერ შეთხზული მითი. ამერიკას არასდროს არ უცდია, რომ თავისი საზღვრები გაეუქმებინა და შეერთებოდა ვთქვათ, მექსიკას ან კანადას. მათ ძალიან კარგად აქვთ თავიანთი სახელმწიფო მოწესრიგებული. ისინი კულტურით არა მარტო ჩვენ გვაწვებიან, არამედ ევროპის სახელმწიფოებსაც.

- ბატონო სოსო, მაშინ როდესაც სამყაროს სილამაზე სწორედ მრავალ-

ფეროვნებაშია, რატომ ხდება ეროვნულობაზე ამგვარი ზეწოლა?

- თქვენ მოგეხსენებათ, რომ ძველ დროში იმპერიები იქმნებოდა დაპყრობათა ხარჯზე. ვთქვათ რომის იმპერია, არაბთა იმპერია... ეს დაპყრობები ხდებოდა ადამიანთა მოსპობით, ქალაქების ნგრევით, მაგრამ ემსახურებოდა ერთ მიზანს: ყველა ერს თავისი ეროვნების, სარწმუნოების და ენის გავრცობა უნდოდა. XX საუკუნეში ამ ფორმამ ცივილიზებული სახე მიიღო. დღეს სახელმწიფოების დაპყრობა არ ხდება იარაღით. დღეს სახელმწიფოების დაპყრობა კულტურის მეშვეობით ხდება. ამ კულტურას სხვადასხვა სახე აქვს, რომელიც ვლინდება მუსიკაში, რელიგიურ სექტებში, პოლიტოლოგიურ თეორიებში, ეკონომიკაში, კინოხელოვნებაში და ამ ფორმით ხდება სახელმწიფოების ანექსია. ამიტომ აშშ-ს რომ უთხრა, ინგლისური ენის მაგივრად იმეტყველეთ ფრანგულად ან გერმანულადო, გიჟად გამოგაცხადებენ, მაგრამ ჩვენ რომ მივატოვოთ ქართული და ვიმეტყველოთ ინგლისურით, ამას მოგვიწონებენ. აქაც ვლინდება ფარული, იმპერიალისტური ექსპანსიის სურვილი. ჩემი აზრით, ეს ბუნებრივი მოვლენაა. უბრალოდ, ჩვენ უნდა შევძლოთ ამ ტოტალური მოწოლის შეჩერება და მხოლოდ ის დადებითი ავიღოთ, რაც ევროპულ და ამერიკულ კულტურას გააჩნია და არა ისე, რომ რაც გაგვაჩნია ისიც დავკარგოთ და შევუერთდეთ მრავალმილიონიან დასავლეთ ევროპის ერებს. ჩვენ ჩვენი ინდივიდუალობით, ჩვენი ეროვნული ცნობიერებით, კულტურით და ისტორიით ვართ საინტერესონი, ხოლო თუ უეროვნო და უენო მასად დავრჩებით, ყოველგვარ ინტერესს დავკარგავთ კულტურული კაცობრიობის თვალში.

- რატომ უწყობს ხელს ეროვნული ცნობიერების დაქვეითება-გადაგვარებას მოქმედი ხელისუფლება?

- ჩვენს ხელისუფლებას არ აინტერესებს და ვერ წარმოუდგენია დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფო. მათ ეს დროებით მოვლენად მიაჩნიათ. ამიტომ ყველაფერი კეთდება, რათა ქართული კულტურა, ეკონომიკა, ცნობიერება, ზნეობრიობა იყოს დეგრადირებული და საბოლოოდ გავხდეთ რუსეთის იმპერიის ნაწილი. ეს ყველა ასპექტში იგრძნობა. არცერთ დარგში ჩვენ წინსვლა არ გვაქვს, არ გვაქვს აღმშენებლობა. სახელმწიფოებრივი მანქანა მიმართულია ეროვნული სულის დასანგრევად. გადატრიალება, რომელიც 9 წლის წინათ მოხდა, სწორედ ქართული ეროვნული სულის დათრგუნვისაკენ იყო მიმართული, ხოლო დათრგუნული ეროვნული სული ადვილად დაემორჩილება ყველაფერს და ადვილად მოხდება მისი გათქვეფა სხვა ერის ცნობიერებაში. ეს კურსი აღებული აქვს ჩვენს ხელისუფლებას. ამ ხელისუფალთაგან ზოგი ამას შეუგნებლად ატარებს, ზოგი სავსებით გააზრებულად. თქვენ დააკვირდით ერთ ფაქტს: **ხელისუფლების ყველა ის გადაწყვეტილება,**

რომელიც მიმართულია საქართველოს და ქართული სახელმწიფოებრიობის წინააღმდეგ, ზუსტად სრულდება, ხოლო ის გადაწყვეტილება, რომელსაც მოვიწონებთ ჩვენ და რომელიც სახელმწიფოსათვის სასარგებლოდ მიგვაჩნია, არასდროს სრულდება. 9 წელია, რაც ასე გრძელდება და ასე გაგრძელდება მომავალშიც.

- რამდენად ძალუძს „ეროვნული ცნობიერების გადარჩენის" საზოგადოებას ამ პროცესის შეჩერება?

- ჩვენი საზოგადოება ვერ შეაჩერებს, რადგან ამ პროცესს სახელისუფლო სტრუქტურები წარმართავენ. ჩვენ ჰუმანიტარები ვართ, ჩვენ მხოლოდ სიტყვით მხილება და წინააღმდეგობის გაწევა შეგვიძლია თუ, რა თქმა უნდა, შეისმენენ. ამ პროცესის შეჩერება მაინც არ შეგვიძლია. ეს პირველ რიგში ევალება სახელმწიფო სტრუქტურას. სახელმწიფოში, რომელიც თავს აცხადებს დამოუკიდებლად, არც უნდა არსებობდეს ეროვნული ცნობიერების დამცველი საზოგადოება. ეს ფუნქცია სახელმწიფოს, პარლამენტს, პრეზიდენტს და მინისტრებს აკისრიათ და არა მწერალს ან ლიტერატორს. როცა ვამბობთ, რომ ილია ჭავჭავაძე საქართველოს „უგვირგვინო მეფე" და ერის ლიდერი იყოო, ამას იმიტომ ვამბობთ, რომ მაშინ ქართული სახელმწიფოებრიობა არ არსებობდა. ილია იძულებული იყო ეს საკითხები შეეთავსებინა, თორემ როგორ შეიძლება მწერალი ერის ლიდერი იყოს?! როცა ქვეყანა დამოუკიდებელია, ერის ლიდერი პრეზიდენტია, ხოლო როცა დამოუკიდებელი არ არის, მაშინ მას ან მწერალი უძღვება ან ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მოღვაწე, ან რევოლუციონერი. ერის ნების უმაღლესი გამომხატველი პრეზიდენტია, როგორ შეიძლება ნიქსონს, კარტერს ან რომელიმე ამერიკელ პრეზიდენტს ამერიკისთვის საზიანო საქმე გაეკეთებინა ან ვინმეს ეთქვა, ამერიკელი ერის ლიდერი ჰემინგუეიაო. ამიტომ ჩვენი საზოგადოების არსებობა გამოწვეულია იმით, რომ საქართველოს ნაციონალური მთავრობა არ ჰყავს.

- დღეს, როდესაც სოციალური მდგომარეობა უკიდურესად დამძიმდა, როგორ ფიქრობთ, საზოგადოებრიობას შესწევს კიდევ იმის ძალა, რომ ეროვნული ცნობიერების დასაცავად ხმა აღიმაღლოს?

- საერთოდ, ყველა ქვეყანაში მოსახლეობის მოაზროვნე ნაწილი 1%-ს არ სცილდება, ის 1% გაამარჯვებინებს ერს ან დაღუპავს. დანარჩენი 99% მას მიჰყვება, ისე როგორც ყოჩს ცხვრის ფარა. ეს ბუნებრივი მოვლენაა. არ შეიძლება 100% ინტელექტუალურად მოაზროვნე არსება იყოს. ღმერთმა ნუ ჰქნას! 99% წმინდა ფიზიკური ძალაა, რომელიც შეგნებულად თუ შეუგნებლად მისდევს ამ 1%-ის ინტელექტუალურ ძალას, რომელთაგან მცირე ნაწილი ხელისუფლების სათავეშია. ის 1% თუ შეიგნებს, რომ საქართველო სანახევროდ დაღუპულია და საჭიროა

ახალი გზების ძიება, მაშინ გვეშველება., ხოლო თუ ასე გაგრძელდა, დეგრადაციის პროცესი შეუქცევადი გახდება. დღეს ამ 1%-ის უმრავლესობა მხარს უჭერს პრეზიდენტის ანტიეროვნულ კურსს, რადგან ამ მხარდაჭერით ხელისუფლების სათავეში რჩებიან და თუ კურსი შეიცვლება, სათავეში სხვა ხალხი მოვა, რომელიც ნაციონალური ცნობიერების გამომხატველი იქნება და ანტიქართული ცნობიერების მტარებელი გამგებელი, პარლამენტარი, ან მინისტრი აღარ იქნება საჭირო. ამიტომ ისინი ხელოვნურად ქმნიან ასეთ ატმოსფეროს, რათა კორუმპირებული და დამნაშავე ელემენტებისაგან იყოს დაკომპლექტებული ხელისუფლება.

- დაბოლოს, დღევანდელი პოლიტიკური კურსის მატარებელი ხელისუფლების ზეობისას, არის თუ არა პროგნოზირებადი ეროვნული ცნობიერების გადარჩენა?

- მე ძალიან პესიმისტურად ვარ განწყობილი და ჯერჯერობით ვერ ვხედავ ისეთ ძლიერ ძალას, რომელიც ამას მოახერხებს. არსებობენ ცალკეული ადამიანები, ჯგუფები, მაგრამ ისეთი ძალა, რომელიც დაუპირისპირდება დღევანდელ ანტიეროვნულ კურსს, ჯერჯერობით არ მეგულება.

ესაუბრა ნინო ჩხაიძე

„მეოთხე“, 26 იანვარი - 2 თებერვალი, 2001

დაკარგულია ტერიტორიები, დანგრეულია ეკონომიკა, ქვეყანა ინფორმაციულ ვაკუუმშია

- ბატონო სოსო, სოციალური აფეთქების ყველა პირობაა შექმნილი ქვეყანაში. ეტყობა, ხელისუფლებას ეს აშინებს, არადა, საქმის გამოსასწორებლად თითს თითზე არ აკარებს. როგორ განვითარდება მოვლენები?

- დღეს ყველა სფეროში კრიზისია. დაკარგულია ტერიტორიები, დანგრეულია ეკონომიკა, დათრგუნვილია ეროვნული სულისკვეთება. ხალხს არა აქვს შუქი, ხელფასები, პენსია და რაც ყველაზე მთავარია - იმედი. მაგრამ ამ ხელისუფლებამ ცხრა წლის მანძილზე ჩაუკლა საზოგადოებას მებრძოლი სული. უშუქობის გამო მოსახლეობა მოკლებულია ტელეგადაცემებს. გაზეთების ტირაჟი მეტისმეტად მცირეა და რაც გამოდის, ისიც მხოლოდ რამდენიმე ქალაქში ვრცელდება. ასე რომ, ქვეყანა ინფორმაციულადაც დაშლილია.

- ძალიან შორს ხომ არ წავედით დასავლური პოლიტიკისაკენ, მაშინ როცა რუსეთთან ურთიერთობა სულ უფრო არანორმალურ ხასიათს იღებს. ისე ხომ არ გვჭირს, როგორც ანდაზაშია: მამა დავიწყნოდა და

მამინაცვალს ლოცულობდაო.

- რუსეთი ჩვენი დიდი მეზობელია და, სულერთია, ვინც უნდა დაგვეხმაროს, ვინც უნდა დაგვიჭიროს მხარი, მასთან ურთიერთობის ნორმალიზება აუცილებელია. მაგრამ ეს არ მოხდება, სანამ ქვეყანას მართავს ახლანდელი ხელისუფლება.

- როგორც ამბობენ, ჯამლეტ ბაბილაშვილს კიდევ ერთი ვადით სურს გენერალური პროკურორობა, პარლამენტში კი მისი მოსალოდნელი იმპიჩმენტის თაობაზე ლაპარაკობენ.

- ვფიქრობ, პარლამენტი ხელახლა დაამტკიცებს ბაბილაშვილის კანდიდატურას. იგი არის არა კანონის, არამედ - შევარდნაძის ერთგული პროკურორი.

- თვლით, რომ ბლოკი „საქართველოს აღორძინება“ მტკიცედაა შეკრული?

- ჩვენს ბლოკს აქვს დიდი შესაძლებლობები, მას ჰყავს თვალსაჩინო ინტელექტუალური პიროვნებები, მაგრამ მათი შესაძლებლობა რეალურად არ გამოვლენილა. ალბათ, საამისო სიტუაცია ჯერ არ დამდგარა. ცალკეული გადამრბენები ყველა პარტიაშია და არც „აღორძინებაა“ გამონაკლისი. ასეთ პირებს აფასებენ დღევანდელ ხელისუფლებაში, მაგრამ საზოგადოებაში არავითარი რეზონანსი არა აქვთ.

- რატომ გახდა ასე აქტუალური თენგიზ ასანიძის გათავისუფლების საკითხი და რატომ აჰყავთ იგი პოლიტიკის რანგში?

- თენგიზ ასანიძის საკითხით თბილისი მაშინ დაინტერესდება ხოლმე, როცა რაღაც პრობლემა წარმოექმნება ბათუმს. ალბათ ახლაც ასე ხდება.

- ხომ არ ფიქრობთ, რომ ხალხი და ხელისუფლება დასცილდა ერთმანეთს?

- ხალხი და ხელისუფლება ერთმანეთს დასცილდა მაშინ, როცა საქართველოში მოხდა კრიმინალური გადატრიალება.

- აქვს მაინც რამე დადებითი ამ ხელისუფლებას?

- მიჭირს პასუხის გაცემა, რადგან გამადიდებელი შუშა თან არა მაქვს...

ესაუბრა შაქრო რომანაძე
„აჭარა“, 2001, იანვარი

განახლების სურვილი

– როგორ აფასებთ დღეს ქვეყანაში შექმნილ პოლიტიკურ ვითარებას?

– ქვეყანაში დღეს კატასტროფული მდგომარეობაა, ყველა სფეროში კრიზისია. როგორც ჩანს, ასე სჭირდება ხელისუფლებას, რათა დაშლილი, დაუძლურებული, დათრგუნული საქართველო ისევ რუსეთის იმპერიას ჩააბაროს. ხოლო თავად საჩუქრად მიიღოს ან შეინარჩუნოს

ქვეყნის დაქცევით, დამონებით მიღებული დივიდენდები.

ხალხი აიტანს შიმშილს, სიცივეს, სიბნელეს, როცა სწამს, რომ ხელისუფლება მართლაც იბრძვის აფხაზეთის დასაბრუნებლად, ეკონომიკის აღორძინებისათვის, კულტურის გადასარჩენად. მაგრამ დღეს ხალხსა და ხელისუფლებას შორის უფსკრულია და ამ უფსკრულის გაღრმავებაა ხელისუფლების მიზანი, ნებით თუ უნებლიეთ, და არა მისი აღმოფხვრა, გადალახვა.

ერეკლე მეორე კრწანისის ბრძოლაში დამარცხდა, მაგრამ ამის გამო ხალხს მისთვის ბრალდება არ წაუყენებია, რადგან მეტი არ შეეძლო. მაგრამ როცა შენ იწყებ ომს და ამ ომში 50-ჯერ ნაკლებ მოწინააღმდეგესთან მარცხდები, ეს უკვე სხვა საკითხია. აქ, ბუნებრივია, დგება პასუხისმგებლობის საკითხი.

- თქვენი აზრით, რამდენად რეალურია დაპირისპირება პარლამენტსა და აღმასრულებელ ხელისუფლებას შორის?

- პარლამენტსა და აღმასრულებელ ხელისუფლებას შორის ცალკეული დაპირისპირება ყველა ქვეყანაში არსებობს, რადგან ძალაუფლების სხვადასხვა შტოს წარმოადგენენ. მაგრამ არ არსებობს დაპირისპირება ქვეყნის პოლიტიკური კურსის, იდეოლოგიის გამო.

მოქალაქეთა კავშირის ცალკეული წევრები შეიძლება უფრო რეალურად მსჯელობენ, შეიძლება უფრო მწვავედ განიცდიან საქართველოს ტრაგიკულ ყოფას, ვიდრე თუნდაც პრეზიდენტი. მაგრამ საერთო ჯამში ისინი ერთად არიან, რადგან მოქალაქეთა კავშირი და მისი საპარლამენტო ფრაქცია შევარდნაძის გარეშე ძალას დაკარგავს, შეიძლება მომავალ არჩევნებში პარლამენტის მიღმაც კი დარჩეს. ამიტომ ჯერჯერობით მათთვის ერთიანობის შენარჩუნება აუცილებელია.

- როგორ შეაფასებდით ბლოკ „აღორძინებაში“ მიმდინარე პროცესებს და საერთოდ, რამდენად ქმედითია დღეს ოპოზიცია?

– ბლოკი „აღორძინება“, მოგეხსენებათ, რამდენიმე პარტიისაგან შედგება და ეს უკვე თავისთავად ნიშნავს განსხვავებულ პოზიციებს.

ვფიქრობ, ოპოზიციის პოტენციალი არ არის საკმარისად გამოვლენილი.

ოპოზიციას პირველ რიგში უნდა ამოძრავებდეს სახელმწიფოებრივი თვალსაზრისი, რაც შეიძლება ეფექტური არ ჩანდეს მაყურებლისათვის. ყოველთვის აღმოჩნდებიან ცალკეული პიროვნებები, რომლებიც ამბიციებს ვერ იოკებენ, მაგრამ, ალბათ ესეც საჭიროა, რათა გქონდეს უკეთესობისკენ სწრაფვის ძალა და განახლების სურვილი.

მთლიანობაში, ჩვენი ბლოკი ინარჩუნებს ოპოზიციურ თვალსაზრისს და მხარს არ უჭერს ხელისუფლების პოლიტიკურ და ეკონომიკურ კურსს, რომელსაც ქვეყანა კატასტროფამდე მიჰყავს.

– როგორ აფასებთ ეროვნული თანხმობის კომისიის მუშაობას დღეს.

როგორ, რა გზით უნდა გაგრძელდეს პროცესი.

- ეროვნული თანხმობის კომისია ჯერჯერობით არის პოლიტპატიმართა გამოშვების კომისია და ამ ფუნქციის შესრულებაც უჭირს. მისი მასშტაბი თავიდანვე შეზღუდული იყო, რადგან სათავეში ჩაუყენეს ვასილ მაღლაფერიძე. მას კი, თავისი მდგომარეობისა გამო, მხოლოდ რეკომენდაციების მიცემა შეეძლო ხელისუფლებისათვის, რომელიც ან გაითვალისწინეს, ან - არა.

საქართველოს 9 წელია მართავს ედუარდ შევარდნაძე და მისი დასტურის გარეშე ქვეყანაში ვერცერთი მნიშვნელოვანი საკითხი ვერ გადაწყდება. რაც უნდა პარადოქსული იყოს, ამიტომ გადაწყვიტა ჩვენმა ფრაქციამ, რომ კომისიის თავმჯდომარე ყოფილიყო თავად პრეზიდენტი!

ხელისუფალს, რომელსაც უნდა ქვეყნის აღმშენებლობა და დამოუკიდებლობა, არ შეიძლება არ აღელვებდეს ერის მრავალწლიანი გახლეჩა და შიდადაპირისპირება. მან კი პრობლემის გადაჭრა დროს მიანდო.

ეროვნული თანხმობა მხოლოდ პატიმრების გამოშვება არ არის, ის მოიცავს საკითხთა მთელ წრეს და საბოლოოდ გულისხმობს ეროვნული თანხმობისა და ერთიანობის მთავრობის შექმნას.

ადრე თუ გვიან ეს მაინც მოხდება, თუ საქართველოს თავისუფალ ქვეყნად ყოფნა უწერია, მაგრამ მაშინ პრეზიდენტი სხვა იქნება, მმართველი გუნდი შეიცვლება.

– დღეს ხელისუფლება ქართული კულტურის, ლიტერატურის გადარჩენაზე საუბრობს, რეალურად კი თეატრები, კინოდარბაზები იხურება, მათ მაგიერ კაზინოები იხსნება. ამ დარგის მუშაკები თვეობით ვერ იღებენ მიზერულ ხელფასსაც კი. რამდენად შეიძლება ამ მდგომარეობის გამოსწორება და თქვენ თუ გიცდიათ, როგორც ლიტერატორს, საპარლამენტო ტრიბუნიდან გაგემახვილებინათ ამ პრობლემაზე ყურადღება?

- დღევანდელ ხელისუფლებას კულტურა კი არა, ქვეყნის ბედი არ აინტერესებს. ლიტერატურა, ხელოვნება, მეცნიერება ქმნის ერის ნაციონალურ სახეს. ჩვენთან ყველაფერი წარმართულია ნაციონალობის დასათრგუნავად და ასეთ დროს თავს ვინ აიტკივებს კულტურაზე, კინოსა და თეატრზე ზრუნვით.

ხედავთ რომ ტელე და რადიოარხები, გარდა „რუსთავი-2“-ისა, არ აშუქებენ საქართველოს ტრაგიკულ პოლიტიკურ და სოციალურ მდგომარეობას. სანაცვლოდ საეთერო დრო მიაქვს ცეკვას, სიმღერას, უცხოურ კინოფილმებს, რეკლამას, ოხუნჯობას, უხამს იუმორს. ეს იმისთვის ხდება, რომ ადამიანმა არ იფიქროს რეალურ პრობლემაზე, არ ჰქონდეს მებრძოლი და ჰეროიკული სული.

ჩვენს ხელისუფლებას კურსი აქვს აღებული არაუცხოეთის ელიტარულ, არამედ მასობრივ კულტურაზე, რომელიც მხოლოდ გართობას, სიამოვნებას, მდაბალ გრძნობათა დაკმაყოფილებას გულისხმობს.

ახლა არ ვიცი, მაგრამ ადრე კულტურის გადარჩენის კომიტეტს ხელმძღვანელობდა ედუარდ შევარდნაძე და სწორედ მაშინ განადგურდა ქართული კულტურა!

მინდა ერთიც შევნიშნო - ქართველმა მწერლებმა და ხელოვნების სხვა დარგის მუშაკებმა, განსხვავებით 1918 წლისაგან, ვერ აღიქვეს, სათანადო ძალით ვერ გამოხატეს ის გრანდიოზული პროცესი, რაც ჩვენს თვალწინ მოხდა. ეს გახლდათ საბჭოთა იმპერიის დამხობა და საქართველოს თავისუფლება.

ქართველი მწერლების უმრავლესობა საბჭოთა პერიოდში ოპოზიციონერობდა, მაგრამ როგორც კი დადგა თავისუფლების ჟამი, შიშმა აიტანა. მონობაში გალაღებულებს ისევ ბორკილები მოენატრათ, ვერ შეძლეს ცხოვრება მართლაც თავისუფალ და დამოუკიდებელ საქართველოში.

გაზ. „ახალი ერა“, 2 თებერვალი, 2001

„საქართველო ბარაბას გზას მიჰყვება და იგი ქრისტეს გზა ჰგონია“

– ბოლო წლებში საქართველოში დაგროვილი პრობლემები ახალ თაობას ექნება გადასაწყვეტი, იქნებ ამაზე გვესაუბრა...

– საერთოდ, უფროსი თაობა ახალგაზრდობის მიმართ ყოველთვის სკეპტიკურად იყო განწყობილი. ალბათ, მეც ასე ვარ. რადგან ვფიქრობ, რომ მათ აკლიათ სამშობლოს გრძნობა, არ აინტერესებთ წიგნი, კარგავენ ძველ ტრადიციებს...

მაგრამ კონფლიქტი მამებსა და შვილებს შორის არის სწორედ ის აუცილებელი ძალა, რაც საჭიროა განვითარებისა და პროგრესისათვის, რადგან ახალს მოაქვს სიახლე და აგრძელებს ცხოვრებას, ამკვიდრებს უცხოურ იდეალებს. ეს ჩვენ გვეჩვენება, რომ ქვეყანა იღუპება, თორემ ახალგაზრდები პერსპექტივასაც ხედავენ და გამოსავალსაც.

შეგახსენებთ 3000 წლის წინათ ნათქვამს: ეს რა ახალგაზრდობა მოდის, არც ჩვენი სწამთ, არც ჩვენი ადათ-წესებისა, ქვეყნის აღსასრული მოახლოებულია!

როგორც ვხედავთ, ის „აღსასრული“ არ დამდგარა.

– მაგრამ ჩვენი დღევანდელი ახალგაზრდობა ერთობ ფლეგმატურია...

- ეს დროებითია! ახალგაზრდობას, როგორც წესი, ყოველთვის გამო-

უჩნდება ლიდერები ყველა სფეროში, რომლებიც განსაზღვრავენ მის სახეს. ალბათ ეს იქნება არა უმეტეს ერთი პროცენტისა. ჩვენ კი განვსჯით იმ 99 პროცენტის მიხედვით, რომელიც ყოველ დროში უბრალო მასა იყო. მაგრამ ჯერჯერობით მართლაც ვერ ვხედავთ მათ გამოკვეთილ ფიგურებს.

როგორც ძველი ბერძნები ამბობდნენ, მასების ხასიათს, ინტერესებს და მზერის მიმართულებას დიდად განსაზღვრავს პირველი კაცი, რომლის თვისებები გადაეცემა საზოგადოებას.

-თქვენი ოპტიმიზმის მიუხედავად, ფაქტი ჯიუტია: ახალგაზრდობა თავგზააბნეულია, რის მიზეზიც, ვფიქრობ, ის არის, რომ დღეს საქართველოს იდეოლოგია არა აქვს.

- გეთანხმებით, დღეს ტელევიზია უარყოფით მაგალითებს აძლევს ახალგაზრდებს. ყოველ პროგრესს თავისი ნაკლიც ახლავს და არც ტელევიზიაა გამონაკლისი. ცხადია, მოზარდების ფსიქიკაზე მოქმედებს პორნოგრაფიული და საშინელებათა ფილმები. საბედნიეროდ, ეს გავლენა ვრცელდება ახალგაზრდობის ერთ ნაწილზე, მის ინსტინქტებზე.

- საშუალო სკოლებში რეფორმების განხორციელებას, ისე როგორც ყველა დარგში, თავად რომ ვერ გაართვეს თავი განათლების სამინისტროს თანამშრომლებმა, დასავლელი კოლეგებიც წამოიშველეს. თქვენი კომენტარი, ბატონო სოსო...

- აქაც ისეთივე მძიმე მდგომარეობაა როგორც ყველგან. მასწავლებელს ყოველთვის უჭირდა! ახლა ლამის სუნთქვის საშუალებაც წაართვან. პედაგოგს, რომელსაც თვეების განმავლობაში არ ეძლევა მისთვის განკუთვნილი უმნიშვნელო თანხაც კი, არც ავტორიტეტი ექნება და არც - მუშაობის ხალისი.

ახლა ბევრს ლაპარაკობენ სკოლების ავტონომიაზე, ანუ ნებისმიერი სკოლის დირექციას უფლება ექნება, თავისი შეხედულებისამებრ მართოს სკოლა. თუ ასე ავტონომიური გახდა ყველაფერი, სახელმწიფო აღარ იარსებებს, ანდა, როგორ შეიძლება, სკოლა იყოს ავტონომიური, როცა იგი ფუნქციონირებს საერთო პროგრამებისა და სახელმძღვანელოების საფუძველზე.

ისე, თუ უხელფასობა იგულისხმება, ისინი მართლაც ავტონომიურნი არიან!

– თქვენი აზრი ფასიანი სასწავლებლების არსებობაზე.

- ფასიანი სასწავლებლები უნდა არსებობდეს, მაგრამ ორი პირობით: მას უნდა ჰქონდეს მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და ჰყავდეს საკუთარი კადრები. ნათხოვარი საშუალებებითა და ლექტორებით არსებული „უნივერსიტეტები“ მხოლოდ ცოდნის გაუფასურებას უწყობენ ხელს.

ყურადღება მიაქციეთ: დღეს საქართველოში ყველაფერს „აკადემიას“ და „უნივერსიტეტს“ არქმევენ. მიზანი ნათელია - უნდა მოხდეს განათლებისა და კულტურის დისკრედიტაცია. საქართველომ უნდა იფიქროს მხოლოდ მიწიერ პრობლემებზე. ქართველი ხალხი უნდა გადაიქცეს სხვათა მომსახურე პერსონალად. დღეს საქართველოს მუშახელზე მეტი ამ „აკადემიების“ „აკადემიკოსები“ და „უნივერსიტეტების“ „პროფესორები“ ჰყავს.

– ახალგაზრდობის გამოთაყვანების არანაკლები საშუალებაა ეს გაუთავებელი ტელესერიალები... თქვენი შეფასებით...

- ხშირად მითქვამს და ვიმეორებ: პორნოგრაფიული ფილმები თავისი არსით ამორალურია! სერიალებიც დაახლოებით ასეთია - ისინიც ნაწილია იმ პროგრამებისა, რომლის მიხედვითაც ქართველები უნდა გადაეჩვიონ აზროვნებას, ფიქრს, სწრაფვას სრულყოფილებისაკენ, გადაეჩვიონ ფიქრს სამშობლოზე.

თქვენ შეიძლება იფიქროთ, რომ ეს დასავლეთის აქტივობაა! მაგრამ დავუკვირდეთ: ევროპამ და ამერიკამ შექმნეს უდიდესი კულტურა ყველა სფეროში. ჩვენ ამ ევროპისკენ უნდა ვისწრაფვოდეთ და არა ერზაცკულტურისკენ.

მაგრამ საქმე ის არის, რომ უიდეოლოგიო ქვეყანაში მძლავრობს ზნეობრივი გამყინვარება, არსებობს ნოყიერი ნიადაგი და დაინტერესებული პირები საზოგადოებას შეგნებულად აწვდიან სუროგატებს, რათა იგი გადააგვარონ.

სამწუხაროდ, საქართველო ბარაბას გზა მიჰყვება და იგი ქრისტეს გზა ჰგონია.

ესაუბრა ზაირა ბილიხოძე
გაზ. „ეპოქა“, 4-7 მაისი, 2001

ოპოზიციის ტრიუმფი

გუშინდელმა სხდომამ კიდევ ერთხელ დაამტკიცა, თუ რაოდენ მაღლა დგას ოპოზიცია მოქალაქეთა კავშირზე. ოპოზიციის ლიდერების გამოსვლები სიმართლით, აზროვნების სიღრმით, თუნდაც ორატორული ხელოვნებით გაცილებით საინტერესო იყო, ვიდრე ჟვანიას, ადამიას თუ ლომინაძის გამოსვლები. როგორც ეტყობა, მინისტრთა კაბინეტის შემოღება მაინცდამაინც არც შევარდნაძეს უნდა და არც ჟვანიას. შევარდნაძეს იმიტომ არ უნდა, რომ უფლებათა გარკვეულ ნაწილს კარგავს. ჟვანიას იმიტომ, რომ ვერ მიიღებს იმდენ ძალაუფლებას, რამდენიც სურს. ასეთ შემთხვევაში კი კონსტიტუციის კიდევ ერთხელ დაწერა აზრს მოკლებულია, რაც შესანიშნავად გამოჩნდა ოპოზიცის ლიდე-

რების გამოსვლაში. გუშინდელმა დღემ დაადასტურა ხელისუფლების სრული უმწეობა, ოპოზიციის სიმართლე და ხედვის მასშტაბი. ეს მარტო ჩემი აზრი არ გახლავთ, ჰკითხეთ ნებისმიერ მოქალაქეს და ამავე აზრს გამოთქვამენ. ჟვანიას სიტყვა იყო ერთ-ერთი ყველაზე უფერული მის გამოსვლათა შორის. მან ვერც ოპოზიციის მიერ წამოჭრილ პრობლემებს გასცა პასუხი და ახალიც ვერაფერი თქვა.

ერთი სიტყვით, ეს სხდომა ოპოზიციის ტრიუმფი გახლდათ.

„ახალი ერა“, 2001, 15 მაისი

„ყველა სფეროში, ყველა დარგში განუკითხაობაა“...

– ბატონო სოსო, რას მოუტანს ქვეყანას ოპოზიციური ძალების გაერთიანება?

– ოპოზიციის გაერთიანება მისასალმებელია. ტელევიზიით ნახავდით ოპოზიციის ლიდერების გამოსვლას. როგორი არგუმენტირებულია, როგორი დამაჯერებელი მათი მოსაზრებები და როგორ უსუსურად გამოიყურებოდნენ მოქკავშირელები და მათი ხელმძღვანელობა. მართალია, უმრავლესობა მათ აქვთ, მაგრამ საკონსტიტუციო ცვლილებისათვის არ ჰყოფნით...

– ზვიადისტები ხომ აფასებენ ამ გაერთიანებას?

– ზვიადისტებიც მიესალმებიან ოპოზიციონერთა გაერთიანებას. ბოლოს და ბოლოს ოპოზიცია თუ არ შეიკრა, ცალ-ცალკე ვერაფერს გავხდებით.

მთავრობის გაერთიანებულ სხდომაზე უჩვეულოდ მწვავე საუბარი იყო ბიუჯეტის შესრულების თაობაზე, იმაზე, რომ კონტრაბანდამ ლამის წალეკა ქვეყანა.

– თქვენი აზრით, რა ეშველება ყოველივე ამას?

– ყველაფრის სათავე ისევ და ისევ ხელისუფლების კორუმპირებულობაშია. თავადაც აცხადებენ, რომ საქონლის დიდი ნაწილი კონტრაბანდით შემოდის, საბაჟოს გვერდის ავლით, დაუბეგრავად.

ვინ აკეთებს ამას? ისევ მაღალჩინოსნები, რომლებიც კონტრაბანდას მფარველობენ. ამიტომაცაა ასე უმძიმესი მდგომარეობა.

– ქსნის კოლონიაში მომხდარ დიდ უბედურებას როგორ შეაფასებთ?

– სისხლიანი მკვლელობები სასჯელის მოხდის ადგილზე! ამაზე უბედურება და სირცხვილიც რა უნდა იყოს?!

რას იზამ, ყველა სფეროში, ყველა დარგში განუკითხაობაა, ქაოსი და ანარქია. ფაქტობრივად, ქვეყანა, სახელმწიფო უმართავია. ყველგან

ერთმანეთზე უარესი ამბები ხდება...

– მოსკოვში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხელოვნების ოსტატთა გამოსვლებს დიდი გამოხმაურება მოჰყვა, ხელოვნების ტრიუმფადაც კი მონათლეს ეს დღეები. მაგრამ დედაქალაქის პრესამ და ტელევიზიამ ძალიან იძუნწეს ამ მოვლენის გაშუქებაში... თქვენც თუ ასე მიგაჩნიათ, რატომ მოხდა ეს?

– თბილისში ამის თაობაზე არავის არაფერი გაუგია. 21 მაისის „ალიონამდე“ ტელევიზიას, არც პირველ არხს და არც „რუსთავი-2“-ს, პრესას არავითარი ინფორმაცია არ მიუცია. ბატონმა თამაზ ვაშაძემ დამირეკა ბათუმიდან და მისგან გავიგე აჭარის ხელოვნების ოსტატთა მართლაც დიდი წარმატების ამბავი.

ვფიქრობ, ვიღაცა განზრახ აკეთებს, ჩვენი გაზეთები მთელ გვერდებს უძღვნიან ჭორებს და ყურმოკრულ მასალებს. სასიკეთო საქმეებზე კი დუმილს ამჯობინებენ. ეს შეგნებული ბლოკადაა, სხვას ვერაფერს დავარქმევ...

ქვეყანას რუსეთთან გართულებული ურთიერთობები აქვს და თუ მისი ნორმალიზება სურს, იმაზე უკეთესი რა უნდა ინატრო, რაც ამ დღეებში აჭარის ხელოვნების ოსტატთა გამოსვლებს მოჰყვა, ორ ქვეყანას შორის ხელახალი დათბობისა და ვითარების ნორმალიზაციისათვის?

ესაუბრა შაქრო რომანაძე

„აჭარა“, 2001, 23 მაისი

ლიტერატურა და არა დოქტრინა

ქართული პრესის მრავალფეროვან სპექტრს, როცა თბილისს მიტინგების ტალღამ გადაუარა, კიდევ ერთი გამოცემა შეემატა - ეს გახლავთ **„100 მწერლის გაზეთი“.**

შეიძლება იკითხოს მკითხველმა, რამდენად იყო საჭირო იგი?

როგორც ვხედავთ, გამოდის უამრავი პოლიტიკური გაზეთი, ქვეყნდება არაერთი საინტერესო, აქტუალური სტატია, ჩვენი სინამდვილის მწვავე პრობლემებს რომ ეხება. მაგრამ სულ რამდენიმე გამოცემა ეთმობა ლიტერატურას. ჩვენი მიზანია სინამდვილე ავსახოთ არა ჟურნალისტის, არამედ მწერლის თვალით, მივცეთ ასპარეზი მწერლებს, ლიტერატორებს, კრიტიკოსებს, რომელთაც აწუხებთ ქვეყნის ბედი და ლიტერატურის მდგომარეობა.

როგორც მოგეხსენებათ, მწერლობას არ გააჩნია ის ავტორიტეტი, რაც ახლო წარსულში ჰქონდა. დრომ ბევრი რამ გადააფასა და არაერთ მეხოტბეს გამოუტანა ულმობელი განაჩენი. ჩვენი ისტორიის ბობოქარ პერიოდში ბევრმა დუმილი არჩია. ზოგი ერის სულისკვეთებასაც დაუ-

პირისპირდა, შედეგად კი ის მივიღეთ, რომ **მკითხველმა დაკარგა ინტერესი მწერლობისადმი, რადგან მასში ვერ ჰპოვა ქომაგი, მაგალითი და ნიმუში.**

მწერალი თავის შემოქმედებით, პირდაპირ თუ სიმბოლურად, ემსახურება ხალხსა და ქვეყანას. ამისათვის არ სჭირდება კონკრეტული პოლიტიკური დოქტრინა, რადგან, როგორც შენიშნავდა მარკესი, ჩვენი თავგანწირვის საგანი უნდა იყოს სამშობლო და არა ხელისუფლება. მხოლოდ ქართველი ხალხი, ქართული ენა არის ქართველი მწერლისთვის მარადიული ფენომენი. ხოლო თუ ხელისუფლება თრგუნავს ერის სულს და ამას გუნდრუკს უკმევს მწერალი, ეს უკვე ტრაგედიაა და ასეთი ხელოვანი ხალხის სიყვარულს ვერ მოიპოვებს.

ყველა მმართველი ფასდება არა იმით, თუ როგორ შეინარჩუნა სავარძელი, არამედ - რა გააკეთა ქვეყნისა და ხალხისათვის.

მწერლისათვის არ შეიძლება მთავარი იყოს პოლიტიკური თვალსაზრისი.

მწერლისთვის მთავარია ლიტერატურა, ლიტერატურული ინტერესი, რომელიც მოიცავს ერის ჭირ-ვარამს, დღევანდელ დღეს, სევდას და ნაღველს, სიხარულს და აღმაფრენას. თუკი გაგვაჩნია ასეთი გრძნობა.

ჩვენ დამარცხებული ქვეყანა ვართ, რომელიც ცხოვრობს გამარჯვებულის იდეოლოგიით, თითქოს არაფერი განსაკუთრებული არ მომხდარა. არადა - ჩვენს თვალწინ ხელისუფლების მოღალატური პოლიტიკით დაიკარგა აფხაზეთი, რომლის მსგავსი კატასტროფა მხოლოდ ერთხელ იყო საქართველოს ისტორიაში, როცა ტაო-კლარჯეთი გადავიდა თურქეთის ხელში.

როგორც XX საუკუნეში ქართველმა ხალხმა, მიუხედავად მრავალი მსხვერპლისა და დაცემისა, შექმნა დიდი ლიტერატურა, ისე იტყვის იგი ამ ასწლეულშიც თავის სათქმელს. მოდით, ამ ურთულესი მისიის აღსასრულებლად გავუწოდოთ ერთმანეთს ხელი, რადგან **ლიტერატურა წინ მიჰყავთ დიდი იდეით ანთებულ და არა გესლით მოშხამულ ადამიანებს.**

„100 მწერლის გაზეთი“, 2001, 8-14 ნოემბერი

პრეზიდენტი - კიო, მერი - არაო

– საქართველოს პრეზიდენტმა განაცხადა, რომ გამგებლები უნდა დაინიშნონო. თქვენი კომენტარი.

– შევარდნაძე არ ენდობა ხალხის მიერ არჩეულ პიროვნებას, რადგან იცის, რომ იგი არ იქნება მოქალაქეთა კავშირის წევრი. მართალია,

ევროსაბჭო მოითხოვს, რომ გამგებლები და მერები არჩეულნი უნდა იქნენ, მაგრამ შევარდნაძემ ასეთი „გამოსავალი“ მონახა: საკრებულო რომ აირჩევს, აქედან ერთ-ერთს დავნიშნავო. ცხადია, 20 თუ 25 დეპუტატიდან ორი მაინც ხომ იქნება მოქალაქეთა კავშირიდან. პრეზიდენტმა ასეთი განცხადებაც გააკეთა: ჩვენ ჯერ მზად არა ვართ იმისათვის, რომ ქალაქები და რაიონები არჩეულმა პირებმა მართონო! გაუგებარია, თუ პარლამენტისა და პრეზიდენტის არჩევა შეიძლება, მერისა და გამგებლის თანამდებობა რატომ არის უფრო მნიშვნელოვანი?

– ოპოზიციის აზრს, რა თქმა უნდა, არ გაიზიარებს უმრავლესობა...

- უმრავლესობის უმრავლესი ნაწილი ბრმად მიჰყვება პრეზიდენტისა და პარლამენტის მითითებებს. ამიტომ, ცხადია, ისინი ჩვენს აზრს ოფიციალურად არ იზიარებენ, თუმცა პირად საუბარში გვეთანხმებიან კიდეც.

- პარლამენტმა ბატონ ზვიად გამსახურდიას უკვე მოუხსნა „ბრალდებები“. რა ბრალდებებზეა ლაპარაკი?

- მოგეხსენებათ, დღევანდელმა ხელისუფლებამ ზვიად გამსახურდია, საქართველოს პირველი პრეზიდენტი, რომელმაც გამოაცხადა დამოუკიდებლობის აღდგენა, მიიჩნია მოღალატედ, ბანდების მეთაურად და აღძრა სისხლის სამართლის საქმე მისი და მისი თანამებრძოლების წინააღმდეგ!

ქართველმა ხალხმა დიდი ხანია აღიარა ზვიად გამსახურდიას ღვაწლი ქვეყნის წინაშე და პარლამენტი დღეს რას იტყვის, ამას არსებითი მნიშვნელობა არა აქვს. მაგრამ ჩვენ მაინც უნდა მივესალმოთ ამ ნაბიჯს, რადგან ეს უკვე ავტომატურად ნიშნავს საკუთარი დანაშაულის აღიარებასაც!

ესაუბრა შაქრო რომანაძე
„აჭარა“, 22 ივნისი, 2001

პარლამენტის მოწმობა № 02/035

დაბადების თარიღი: 16 ივნისი, 1949 წელი;

საცხოვრებელი ადგილი: თბილისი, საბურთალო;

განათლება: თსუ (ფილოლოგიის ფაკულტეტი);

პროფესია: ფილოლოგი, ლიტერატორი, ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

პარლამენტში არის პირველად;

საპროცედურო საკითხთა და მთიანი რეგიონებისა და განსახლების კომიტეტების წევრი;

ჰყავს მეუღლე ხათუნა ქაჯაია (ფილოლოგი) და ორი შვილი.

პარლამენტი: ჩვენ ისეთ ქვეყანაში ვცხოვრობთ, სადაც ყველა-

ფერი რთულია. იმიტომ, რომ პარლამენტარი თავის ფუნქციას ვერ ასრულებს. იმ იმედს, რასაც ხალხი ჩვენზე ამყარებს, ვერ ვუმართლებთ და მათი გულისდაწყვეტა პარლამენტზეც და აღმასრულებელ ხელისუფლებაზეც ბუნებრივია. ჩვენ არ გვაქვს მეტის ძალა და საშუალება. მე, პირადად, ოპოზიციურ ბლოკს მივეკუთვნები. ჩვენ ვართ 60 კაცი. პარლამენტში, მოგეხსენებათ, ყველაფერი წყდება ხმათა უმრავლესობით და კენჭისყრით. მაგრამ თუნდაც პარლამენტმა მიიღოს იდეალური კანონები, თუ ის რეალურად არ აღსრულდა, უბრალო კეთილ სურვილად და განცხადებად დარჩება.

დღევანდელი პოლიტიკური სპექტრი: საქართველოში დღეს ყველაფერს წყვეტს ერთი პიროვნება, ეს არის ედუარდ შევარდნაძე.

დამოკიდებულება გამოთქმისადმი: „პოლიტიკა ბინძური საქმეა“. დღეს ბევრი ამბობს, რომ პოლიტიკა არ არის ბინძური საქმე, რომ ის უნდა კეთდებოდეს სუფთა ხელებით, წმინდა გულით, მაგრამ ეს იდეალის სფეროს განეკუთვნება. რეალურად პოლიტიკოსები მიმართავდნენ ყველა ხერხს თავისი მიზნის აღსასრულებლად. თუმცა ყოველთვის აცხადებდნენ, რომ აკეთებდნენ მხოლოდ სიკეთეს და მოქმედებდნენ კეთილი განზრახვით. საერთოდ, პოლიტიკაში მთავარია იმდენად არა ის, თუ რა საშუალებებით კეთდება, არამედ - შედეგი რა არის. არც ისაა მთავარი, რაღაც ქმედება რა მიზანს ისახავს. რა შედეგს მოიტანს იგი, ეს არის მთავარი.

წარმოსახვითი ფილმი პარლამენტზე: გადაღება არ არის საჭირო. თვითონ პარლამენტიც იძლევა მშვენიერ სიუჟეტებს: ხან „ბორჯომს“ შეასხამენ ერთმანეთს, ხან - მუშტი-კრივს გამართავენ. აი, ეს ნაწილები რომ ამოვკრიბოთ, მშვენიერი სიუჟეტი იქნება.

იუმორი: იუმორი დრამატული სიტუაციის განმუხტვის საშუალებაა და ვისაც ეს ეხერხება, იოლად აღწევს კიდევაც თავს სტრესულ სიტუაციებს.

არაორდინალური შემთხვევა პარლამენტში: საპარლამენტო მოღვაწეობის დიდი სტაჟი არ გამაჩნია და ასე, რომ არაორდინალურსაც ვერაფერს გავიხსენებ.

თქვენ და პოლიცია: 1993 წლის 26 მაისი იყო. წინა ღამეს პოლიცია გამოცხადდა ჩემთან და მთხოვეს, წავყოლოდი საბურთალოს რაიონის განყოფილებაში (მაშინ ჩვენ, ოპოზიციონერებს, ზვიად გამსახურდიას მომხრეებს გვდევნიდნენ). უარი ვუთხარი და არ წავყევი. მეორე დღეს, როცა სახლიდან გამოვედი, თურმე სადარბაზოსთან იყვნენ ჩასაფრებულები და: „ახლა ხომ დღეა, ახლა მაინც უნდა წავიდეთო“. წავყევი, ჩამიტარეს ახსნა-განმარტებითი საუბარი, რომ კარგია ეს ხელისუფლება, რომ ხელისუფლებისადმი ოპოზიციური დამოკიდებულება არის დანაშაული... მე, რა თქმა უნდა, ჩემს აზრზე დავრჩი და ბოლოს დამთავრდა

ჩვენი სამსაათიანი საუბარი იმით, რომ სახლში ისეთ თავიანთი მანქანით წამომიყვანეს!

საყვარელი ჟარგონი: ჟარგონით საუბარი არ მიყვარს.

კონფლიქტები: ვცდილობ, არ შეიქმნას კონფლიქტური სიტუაცია, თორემ როცა კონფლიქტი შეიქმნება, მერე უკვე მხოლოდ შენზე არ არის დამოკიდებული. ამიტომ ყველაზე იოლი გამოსავალია, მანამდე აარიდო თავი ასეთ სიტუაციას.

ჭორი: ჭორი არასასიამოვნოა, თუმცა იგი ადამიანს აინტერესებს. ჩემზეც ბევრი ჭორი გავრცელებულა...

ეჭვი: ეჭვი ყველას უჩნდება რაღაც საკითხთან დაკავშირებით. ისე სჯობს, რომ ეჭვს ადამიანი საერთოდ არ ჩაუღრმავდეს.

ფული: ფული ყველასათვის არსებობის აუცილებლობაა. მაგრამ გატაცება და ჩათრევა იცის. ამიტომ სჯობია, ადამიანს ბევრი ფული არ ჰქონდეს.

კრიტიკა: წლების მანძილზე ლიტერატურის კრიტიკოსი ვიყავი. ხშირად მიხდებოდა დრამატულ სიტუაციებში ყოფნა. ამიტომ შეჩვეული ვარ ჩემდამი კრიტიკულ დამოკიდებულებას, რასაც ვერ ვიტყვი ჩემს ადრესატებზე. ჩემი კოლეგები ძალიან მტკივნეულად რეაგირებენ ყოველგვარ კრიტიკულ შენიშვნაზე. მე თვითონ კრიტიკისადმი ასეთი უარყოფითი დამოკიდებულება არ მაქვს.

მეგობრები: ბევრი მეგობარი მყავს. მაგრამ ცხოვრების მანძილზე ისინი იცვლებიან (მე არ ვგულისხმობ მათ შეცვლას სპეციალობის და პროფესიის მიხედვით). საქმე, რომელსაც ჩვენ ვეწევით, ბუნებრივია, ცვლის ადამიანთა დამოკიდებულებას და შესაბამისად იცვლება მეგობართა კონტიგენტიც. უცვლელი ამ ქვეყნად არაფერია და ბოლო წლებმა გადააფასა ჩემი დამოკიდებულება ბევრი ახლობლის მიმართ.

სიყვარული: სკოლაში ყველა ყოფილა შეყვარებული და მეც ვიყავი. ცოლი ადრე შევირთე. არსებობს ერთი ნახვით შეყვარება, არსებობს შეჩვევაც, რომელიც გადადის სიყვარულში, მაგრამ მუდმივი ამ ქვეყნად არაფერია. არ არის გასაკვირი, რომ ძლიერი სიყვარული, რომელიც ადამიანს აქვს, წლების შემდეგ შეიცვალოს.

შვილები: შვილების მიმართ მკაცრი ვიყავი. იმიტომ, რომ ერთმანეთს შორის ჩხუბობდნენ: ორი შვილი მყავს: თამარი და არჩილი. ორივენი პროფესიით ფილოლოგები არიან, დაამთავრეს თსუ-ის ფილოლოგიის ფაკულტეტი.

თამარი 23 წლისაა, არჩილი 25-ის.

თამარი გათხოვილია. სიძე ბესიკ კოკაია შინაგან საქმეთა სამინისტროში მუშაობს, ოფიცერი გახლავთ.

მშობლები: მშობლები კარგა ხანია, არ მყავს. მამა ჯერ კიდევ მაშინ

გარდამეცვალა, როცა სკოლაში დავდიოდი. დედა ამ რვა წლის წინათ მოკლეს ბანდიტებმა. მარტვილის რაიონში ცხოვრობდა, ღამე შეუვარდნენ და წამებით მოკლეს.

მამა - ილია სიგუა, დედა - მარიამ ბახია.

რაც ასაკში შედის ადამიანი, ყველაფერი, რაც წარსულს ეკუთვნის, უფრო ლამაზად ჩანს და მშობლების სიმკაცრეც გვავიწყდება.

რისკი: ცხოვრება რისკიანი ნაბიჯებისგან შედგება.

ალბათ, ყველაზე რისკიანი ნაბიჯი იყო 10-იოდე წლის წინათ, როცა საქართველოში მოხდა გადატრიალება და მე მხარი არ დავუჭირე იმ ხალხს, ვინც გამოდიოდა პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას წინააღმდეგ. მაშინ „ლიტერატურული საქართველოს“ რედაქტორი ვიყავი და ვემხრობოდი ზვიად გამსახურდიას, თუმცა ოპოზიცია მთავაზობდა შემეკავებინა თავი. მე დისერტაცია, როგორც საკანდიდატო, ასევე სადოქტორო დაცული მაქვს გამსახურდიას ნაწარმოებებზე. ვმუშაობდი ლიტერატურის ინსტიტუტში, სადაც მუშაობდა ზვიად გამსახურდია, და, უბრალოდ, გარდა იმისა, რომ იგი მართალი იყო, მე ადამიანური თვალსაზრისითაც არ მქონდა უფლება სხვაგვარი მოქცევის. ოპოზიცია კი მოითხოვდა, რომ ნეიტრალური პოზიცია დამეცვა. ალბათ ეს იყო რისკიანი ნაბიჯი. მერე დამემუქრნენ, რომ მე ამას მწარედ ვინანებდი. მაგრამ დღესაც მჯერა, რომ მაშინ სწორად მოვიქეცი.

კრახი, მარცხი კარიერაში: პოლიტიკური ამბიციები არ მაწუხებს. მე ლიტერატორი ვარ, ამიტომ კარიერული სწრაფვები არც მქონია.

უცხოეთი: როცა კომუნისტურ ეპოქაში ვცხოვრობდით, უცხოეთი უფრო რომანტიულ გარემოდ გვესახებოდა. ალბათ, ის უცხოეთიც შეიცვალა, ის არ არის, რაც იყო 30 წლის და 20 წლის წინათ. იქაც ხდება გადაფასებები, მაგრამ ჩვენი ორიენტირი ყოველთვის უნდა იყოს ევროპა და ევროპული კულტურა, რომელიც თანამედროვე ცივილიზაციის ფუძეა. მას თავისი სიმახინჯეც ახლავს, მაგრამ მე ვგულისხმობ იმას, რაც მასში არის მთავარი და ძირითადი: ევროპული კულტურა, რომლისკენაც ყოველთვის ისწრაფოდა საქართველო და კვლავაც უნდა ისწრაფოს.

თავისუფალი მედია: ჩვენი ჟურნალისტიკა უაღრესად საინტერესოა. ასეთი საინტერესო ის იყო მხოლოდ 1917-21 წლებში. დღეს, შეიძლება ითქვას, რომ პრესა მეტნაკლებად არის თავისუფალი.

საყვარელი ფილმი: ერთის გამოყოფა ძალიან გამიჭირდება.

საყვარელი კერძი: მწვადი, საცივი, რაც კარგად მომზადებულია ყველაფერი კარგია. მე არასოდეს არაფერი მომიმზადებია, მარტო ჩაის ადუღება ვიცი!

საყვარელი სასმელი: კახური ღვინო.

კურიოზი სიმთვრალეში: ერთხელ თანამშრომლის ოჯახში იყო სუფრა. დავლიე კახური ღვინო. როცა წამოვედით, მეორე თანამშრომელმა მითხრა, ეხლა ჩემთან შევიდეთ და დავლიოთო. გამოიტანეს არაყი, მაგრამ ეს არაყი აღმოჩნდა თითქმის სპირტი. ერთი ჭიქა რომ დავლიე, კარგად ვიყავი, მეორე ჭიქა რომ დავლიე – არაფერი არ მახსოვდა... უხერხულია, ისე არასოდეს არ უნდა დალიო, რომ შენი ამხანაგები ვერ იცნო.

ყველაზე სასიამოვნო მოგონება: როცა პირველი და მეორე შვილი შემეძინა.

წიგნიდან: ინგა ქვარცხავა, საქართველოს პარლამენტი 1999-2003(4), 2004.

დარბაზი ჭეშმარიტად ეროვნულ მწერალთა გაერთიანებაა

გვესაუბრება საქართველოს პარლამენტის წევრი, მწერალი, „100 მწერლის გაზეთის“ მთავარი რედაქტორი სოსო სიგუა

– ბატონო სოსო, რამ განაპირობა „100 მწერლის გაზეთის“ გამოსვლა?

– მოგეხსენებათ, რომ 29 ოქტომბერს საქართველოს მწერალთა კავშირის წევრთა უმეტესობის ხელდასმით ჩატარდა კრება, რომელმაც დააარსა საქართველოს მწერალთა დარბაზი, თავმჯდომარედ აირჩიეს **რევაზ მიშველაძე**. დარბაზი, ჩემი აზრით, არის ჭეშმარიტად ეროვნულ მწერალთა გაერთიანება და მიზნად ისახავს მხარში დაუდგეს ყველა ეროვნული საქმის კეთებას, პირველ რიგში, აჭარას, მის ხელმძღვანელობას და, ბუნებრივია, სრულიად საქართველოს. რაც შეეხება ჩვენს გაზეთს, სახელწოდება „100 მწერლის გაზეთი“, რა თქმა უნდა, პიროობითი სათაურია. უკვე 200 მწერალს ვაერთიანებთ ჩვენს რიგებში და შევეცდებით ვიაროთ ილია ჭავჭავაძისა და მემედ აბაშიძის გზით.

ჩვენი გაზეთი ემსახურება ლიტერატურას. დღეს საქართველოში გამოდის უამრავი გაზეთი. ამდენ პოლიტიკურ ორომტრიალში ხალხს ლამის დაავიწყდეს ლიტერატურა. ჩვენ გვინდა, რომ მივუბრუნდეთ ისევ ლიტერატურას, მაგრამ არ მოვიკვეთოთ დღევანდელი პრობლემებისაგანაც. გვინდა, რომ დღევანდელი საქართველო, ჩვენი პრობლემები მკითხველს დავანახოთ მწერლის თვალით. პუბლიცისტმა, ნოველისტმა, პოეტმა ეროვნული თვალსაზრისით ასახოს დღევანდელობა.

– სადაც ქარიშხალია, იქ დგას დღეს მწერალი?

– სამწუხაროდ, მწერალთა დიდი ნაწილი განუდგა ერის სატკივარს,

განუდგა თავის მკითხველს და ხალხს. ჩვენ გვინდა, რომ შემობრუნდეს მწერალი თავისი ერის, თავისი სამშობლოსაკენ. ეს ყველას არ ეხება, მაგრამ ბევრმა მწერალმა დღეს ავტორიტეტი დაკარგა.

– ამბობენ, ახალი მწერალთა კავშირი ყალიბდებაო...

– ჯერჯერობით ვერ ვიტყვი, მაგრამ ალბათ ძველი ხელმძღვანელობა უნდა შეიცვალოს, რომელმაც არაფერი გააკეთა წლების მანძილზე მწერლობისა და ქვეყნისათვის.

– ბატონო სოსო, როგორც მწერალს, პარლამენტარს, როგორ გესახებათ ქვეყნის მომავალი?

– უპირველესად ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობა უნდა აღსდგეს. თუ პრეზიდენტი აფხაზეთთან ურთიერთობის მოგვარების საკითხს ჩააბარებს **ასლან აბაშიძეს** არა სიტყვით, არამედ ოფიციალურად და ეს სტატუსი დოკუმენტურად გაფორმდება, ბატონი ასლანი ბევრ რამეს შეძლებს, თუ ისევ არ დაიწყო ხელის შეშლა.

ესაუბრა შაქრო რომანაძე

„აჭარა“, 2001, 21 ნოემბერი

პასუხი გაზეთ „აჭარის“ რედაქციის კითხვებზე

1. დღეს საქართველოს მრავალი უბედურება სჭირს და ყველა მათგანის სათავეა ის ხელისუფლება, რომელიც გადატრიალების შემდეგ მოვიდა ქვეყნის სათავეში და დღემდე ასე უნიათოდ მართავს.

ეროვნული გრძნობის დათრგუნვა და ნაციონალური სულის ჩაკვლა იყო გადატრიალების ერთ-ერთი მიზანიც, რადგან ადამიანი, ვისაც არ უყვარს თავისი მიწა-წყალი, ნათესავი თუ მეგობარი - იოლი სამართავია. მას სიცოცხლის მეტი არაფერი აქვს დასაკარგი.

არავითარი მსოფლიო მოქალაქე არ არსებობს. ყველა ადამიანი წარმოიშვა კონკრეტული გვარიდან, კონკრეტული ეროვნებიდან. აბა ნახეთ ამერიკული კინოფილმები, წაიკითხეთ მათი ლიტერატურა და ნახეთ თუ მათ არ უყვართ თავიანთი ამერიკა.

ჩვენში ხელისუფლების წყალობით მოდური გახდა არა დასავლეთის ნამდვილი სულიერი ღირებულებანი, არამედ - ფსევდო-კულტურა.

ცხადია, ყველა ქვეყანაში წარმართველია და კულტურას, მეცნიერებას თუ პოლიტიკას ქმნის მოსახლეობის ერთი პროცენტი, დანარჩენი აღმასრულებელი და ამთვისებელია. მაგრამ ჩვენში ყველაფერი კეთდება, რათა ეს ერთი პროცენტი განადგურდეს.

გამარჯვებულ დიდ ერებს არ სჭირდებათ პატრიოტიზმის ყოველ ნაბიჯზე გამოვლენა. სხვაა იმ ქვეყნის მდგომარეობა, რომელიც გუშინ

გამოვიდა ასპარეზზე და ჯერ წესიერად ფეხზე ვერც დამდგარა. სწორედ ჩვენ გვჭირდება ჭარბი პატრიოტიზმი, აღმშენებლობის რომანტიკა, განახლების პათოსი. ხვალ რა იქნება უკეთესი - ამას მომავალი გადაწყვეტს.

2. ჩვენმა ხელისუფლებამ ხალხს ახალი წელი ახალი სესხით - ახალი ვალით მიულოცა და ახარა, ახლა კი შეგვიძლია გავცეთ ხელფასები და პენსიებიო!

ასეთი სესხი ხომ სარგებლის მომტანი ვერ იქნება, უკვალოდ დაიკარგება და მძიმე ტვირთად დაგვაწვება, თუ ჩვენ არა – ჩვენს შვილებსა და შვილიშვილებს მაინც.

ბევრი თავს ინუგეშებს, ეს სესხი თითქმის საჩუქარია, ვალის გადახდა ხომ 30-40 წლის შემდეგ მოხდებაო. მაშინ ბევრი ჩვენგანი აღარ იქნება, მაგრამ ხომ იქნებიან ჩვენი შთამომავლები.

დავით აღმაშენებელმა შთამომავლობას დაუტოვა დიდი და ძლიერი საქართველო, დღევანდელმა პრეზიდენტმა კი ჯერჯერობით ნგრევის, რღვევისა და გაჩანაგების მეტი ვერაფერი შეძლო. არადა, 10 წელია მართავს დამოუკიდებელ ქვეყანას.

ამერიკის შეერთებულ შტატებში, რომელსაც თითქოს ნიმუშად მიიჩნევს ბატონი ედუარდი, 8 წელი არის პრეზიდენტობის მაქსიმალური ვადა. თუ რამე შეგიძლია, ამ რვა წლის მანძილზე უნდა ნახოს ერმა და ბერმა.

3. ბატონი ასლან აბაშიძის პოლიტიკური ფიგურა სრულიად განსაკუთრებული მოვლენაა ჩვენი ქვეყნის ისტორიაში. ეს არაერთხელ გამოჩნდა. მაგრამ ჩვენ ყოველთვის გვდევდა საშინელი ადამიანური სიმდაბლე - შური, რასაც განმარტავენ როგორც მწუხარებას სხვისა სიკეთესა ზედა. ამიტომ იყო, რომ ზოგიერთს არ უნდოდა ზვიად გამსახურდიას მიერ განთავისუფლებელი საქართველო. ამიტომ არ უნდა დღეს ზოგიერთს ასლან აბაშიძის მიერ დაბრუნებული აფხაზეთი, ის აფხაზეთი, რომელიც შეეწირა სისხლიანი ხელისუფლების სავარძელთა გამაგრებას და არც არის გამორიცხული, რომ მას ისევ შეუშალონ ხელი იმ ძალებმა, რომელთაც აქვთ ერთი პრინციპი - „უჩემოდ ვინ იმღერეთა“.

4. არა მგონია, რომ ედუარდ შევარდნაძის რეიტინგი მაღალი იყოს. თუ ეს ნამდვილად ასეა, ეს უბედურებაა. როგორ შეიძლება ხალხს უხაროდეს შიმშილი, სიცივე, უშუქობა, უიმედობა, სიკვდილი და გადაშენება. პროპაგანდა ხომ ყოველ მცირე წარმატებას მიაწერს ედუარდ შევარდნაძეს. ასევე მას უნდა მიეწეროს ქვეყნის თავზე დატეხილი დიდი ტრაგედიებიც - აფხაზეთისა და სამაჩაბლოს დაკარგვა, შინაქაოსი, ეკონომიკის გაჩანაგება, ეროვნული სულის დათრგუნვა.

ედუარდ შევარდნაძის ნამდვილი რეიტინგი გარკვეულია არა შეკვე-

თილი სოციოლოგიური გამოკითხვებით, არამედ - ქვეყნის საერთო მდგომარეობითა და განუწყვეტელი დაღმასვლით.

5. დიტერ ბოდენი ასრულებს იმ ორგანიზაციის მითითებებს, რომელსაც წარმოადგენს. იგი რომც შეიცვალოს, სხვაც ასეთივე იქნება. მთავარი პრობლემაა რუსეთი, რომელსაც ანგარიშს უწევს გაერო. რუსეთთან ურთიერთობის მოწესრიგების გარეშე არათუ აფხაზეთის დაბრუნება, საქართველოს დამოუკიდებლობაც ძნელი წარმოსადგენია.

6. ბატონ ჯუმბერ პატიაშვილს მოსახლეობაში, განსაკუთრებით თბილისის გარეთ, დიდი მხარდაჭერა აქვს. რაც შეეხება ალექსანდრე ჭაჭიას, იგი კარგი ანალიტიკოსია, მაგრამ ერთხანს, არჩევნების წინ, დაიბნა და ფაქტიურად ჩამოსცილდა პოლიტიკურ პროცესს. მე დავესწარი „ერთობის“ ყრილობას, რომელიც ფილარმონიაში გაიმართა. იქ ხალხიც საკმაოდ იყო, ბევრი მართალი სიტყვაც ითქვა, მაგრამ შემდეგ თუ რა იქნება - მომავალი გვიჩვენებს. ჩემის აზრით, სასურველი იქნება თუ „ერთობა“ „აღორძინების“ ბლოკის სუბიექტი გახდება.

7. მიხეილ სააკაშვილი ახალგაზრდა კაცია. მას აქვს კარგი განათლება და საკმაო პათოსიც. იგი აცხადებს, რომ იწყებს ახალ ნაციონალურ მოძრაობას, რაც დეკლარაციებით არ ხდება ხოლმე. პირადად ჩემთვის გაუგებარია მისი დაპირისპირება ბატონ ასლან აბაშიძესთან და „აღორძინების“ ბლოკთან. მას უნდა ერთბაშად დაივიწყოს ყველამ მისი თავდადებული გარჯა მოქალაქეთა კავშირისათვის და წარსულის გახსენება აღიზიანებს. თუ მიხეილ სააკაშვილი არ შეცვლის მიმართებებს, მაშინ მას ისევ შევარდნაძესთან დაბრუნება მოუწევს, ან - აქტიური პოლიტიკიდან ჩამოცილება, რადგან დამოუკიდებლად არა მგონია, დიდ წარმატებას მიაღწიოს.

ამისი ბევრი მაგალითი ვიცით და ეს მასაც მოეხსენება.

9.I. 2002 წელი

ქართული სიტყვის გაძლიერება შეუძლებელია, ვიდრე ქართული სახელმწიფო არ განმტკიცდება

ყველასათვის აშკარაა, რომ ქართული ენა მახინჯდება პრესაში, ტელევიზიით თუ ზეპირ მეტყველებაში. კაცმა რომ თქვას, **10-15 წლის წინ ქართული ენა უფრო დაცული გახლდათ და მეტყველებაც უფრო მოწესრიგებული იყო.** ამასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნო, რომ ლოზუნგი - „ენა დედაა ერისა“ გახლავთ არასწორი, როგორ შეიძლება ენა ერის დედა იყოს? პირიქით, ერია ენის დედა და სანამ ერი იქნება მტკიცე, ენაც მტკიცე იქნება. დღეს არსებული მდგომარეობა, როდესაც ბზარი გაუჩნდა საქართველოს სახელმწიფოებრიობას, დარღვეუ-

ლია ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობა, გაჩანაგებულია ეკონომიკა, ხოლო ქართველი კაცის ცნობიერება არეულია, ასახულია ქართულ ენაში. როდესაც სახელმწიფო ძლიერია, მის ენას არანაირი საფრთხე არ ემუქრება. ასე იყო ძველ საბერძნეთში, რომში თუ სხვაგან. ჩვენი დეფორმირებული ცხოვრება, სამწუხაროდ, ჩვენს მეტყველებაშიც აისახა. ქართული სიტყვის გაძლიერება შეუძლებელია, ვიდრე ქართული სახელმწიფო არ განმტკიცდება.

რაც შეეხება ქართული ენის სახელმწიფო ფუნქციას - კონსტიტუციაში გვიწერია, რომ ქართული არის სახელმწიფო ენა. ასე გვეწერა, სხვათა შორის, კომუნისტებისდროინდელ კონსტიტუციაში და ასე წერია დღესაც. ამჟამად, მოგეხსენებათ, საქართველოს პარლამენტში შემოსულია კანონპროექტი ქართული ენის სახელმწიფო ფუნქციის შესახებ, მაგრამ იგი შეიცავს ისეთ ხარვეზებს, რომ შეიძლება საბედისწეროც კი აღმოჩნდეს არა მხოლოდ ქართული ენის, არამედ ქართული სახელმწიფოებრიობისთვისაც. სამწუხაროდ, ფართო საზოგადოებისათვის არ არის ცნობილი კანონპროექტის შინაარსი და ამიტომაც ჰგონიათ, რომ ჩვენ სახელმწიფო ენის პროექტის წინააღმდეგ გამოვდივართ და არ გვინდა, რომ ქართულს სახელმწიფო ენის სტატუსი მიენიჭოს. არადა, ჩვენი სურვილია, რომ ქართულს არა ფორმალურად, არამედ რეალურად ჰქონდეს სახელმწიფო ენის სტატუსი. კანონპროექტში, რა თქმა უნდა, აღიარებულია, რომ ქართული უნდა იყოს სახელმწიფო ენა, მაგრამ იქვეა ქვეპუნქტები, რომლებიც ქართულს ამ ფუნქციას ართმევს. მაგალითად, აფხაზეთში ქართული ენის გარდა, სახელმწიფო ენად ცხადდება აფხაზური. ეს მოსაზრება, ერთი მხრივ, ბუნებრივია, რადგან აფხაზეთს ავტონომია ჰქონდა წლების განმავლობაში. მაგრამ, მეორე მხრივ, ეს იმასაც ნიშნავს, რომ სახელმწიფო ენა აფხაზეთში იქნება მხოლოდ აფხაზური. ქართულს სამეტყველო ენის ფუნქციაც კი არ დარჩება. გარდა ამისა, საქართველოში არის რამდენიმე რეგიონი, სადაც კომპაქტურად არიან დასახლებულნი არაქართველები. კანონპროექტით ასეთ რაიონებში მცხოვრებ ხალხს ეძლევა უფლება, რომ სახელმწიფო დაწესებულებები ფუნქციონირებდეს მათ ენაზე. ეს იმას ნიშნავს, რომ იქ, სადაც ცხოვრობენ აზერბაიჯანელები, გაბატონდება აზერბაიჯანული და საბოლოოდ გამოიდევნება ქართული; იქ, სადაც ცხოვრობენ სომხები, გაბატონდება სომხური. იქ, სადაც ცხოვრობენ ოსები, გაბატონდება ოსური და ა.შ. ანუ ქაღალდზე გვექნება მხოლოდ დაწერილი, რომ სახელმწიფო ენა არის ქართული, მაგრამ რეალურად ეს ასე არ იქნება. ამიტომ დეპუტატთა ერთი ნაწილის აზრით, სახელმწიფო ენის კანონპროექტის მიღება დღეს არ არის სასურველი და მეც მხარს ვუჭერ მათ. იმიტომ, რომ არსებული სახით აღნიშნული კანონპროექტის მიღება დამღუპვე-

ლია, რადგან ჩვენ არ გვაქვს მისი გაუმჯობესების საშუალება და არც იმის იმედი, რომ ამ კანონპროექტს არ გამოუჩნდება მომხრეები პარლამენტში და არ დაამტკიცებენ მას. ჩვენდა სამწუხაროდ, შესაძლოა ასეთი კანონპროექტი კანონად გვექცეს. უმჯობესია საერთოდ შევიკავოთ თავი მისი განხილვისაგანაც კი. მით უფრო, რომ კონსტიტუციით უკვე განსაზღვრულია, რომ სახელმწიფო ენა არის ქართული და მის დეტალიზაციასა და კანონად ჩამოყალიბებას ამჟამად სჯობს მოვერიდოთ. გავა 5-10 წელი, ალბათ, შეიცვლება საქართველოში ვითარება და უმჯობესია მაშინ მივიღოთ სრულყოფილი კანონები, რომლებიც ქართულ ენასა და ქართველ ერს ზიანს ვეღარ მოუტანს. შორიდან მაყურებელს, არ არის გამორიცხული, ეგებ მოეჩვენოს, რომ ჩვენ ქართული ენის სახელმწიფოებრიობის წინააღმდეგ გამოვდივართ. ხაზი უნდა გავუსვა, რომ **ჩვენ ქართული ენის ყალბად გაგებული სახელმწიფოებრიობის წინააღმდეგნი ვართ;** ჩვენ გვინდა, რომ ქართული ენა რეალურად იყოს სახელმწიფო ენა, ისევე როგორც გვინდა რომ ქართული სახელმწიფო რეალურად იყოს ქართული სახელმწიფო და არა მხოლოდ ერქვას საქართველო, ხოლო თავისი შინაარსით იყოს არაქართული. **გაჩნდა ახალი ტერმინი - არა „ქართველი ხალხი“, არამედ - „საქართველოს ხალხი“.** თითქოს საქართველო არის სხვადასხვა ერების კონგლომერატი და იგი არ ყოფილა ქართველი ერის მიერ საუკუნეების განმავლობაში შექმნილი და დაცული. აი, სწორედ ამგვარად ყალბად გაგებული კანონებისა და ლოზუნგების წინააღმდეგნი ვართ ჩვენ.

ესაუბრა ნინო ბარამიძე
„ახალი ერა“, 2002, 17 მაისი

მწერლობას პირველ რიგში ესთეტიკური ფუნქცია აქვს

- ბატონო სოსო, ჩვენი საუბარი, ბუნებრივია, შეეხება თანამედროვე (უახლეს) ქართულ მწერლობას, რამდენადაც სწორედ ეს არის თქვენი საქმიანობის სფერო. ამიტომ, უწინარესად მინდა გკითხოთ, როგორ განსაზღვრავდით თავად ცნებას თანამედროვე ლიტერატურისა და არსებობს თუ არა თქვენთვის გარკვეული მიჯნა ქართული ლიტერატურის ისტორიაში, რომლის შემდეგაც განიხილავთ თანამედროვე მწერლობის ფენომენს. აქვე დავაზუსტებდი, რომ ამგვარი მიჯნა შეიძლება იყოს როგორც ქრონოლოგიური, ისე დროში ნაკლებად განსაზღვრული - ვთქვათ, გარკვეული ლიტერატურული პროცესის ჩასახვა და განვითარება, ან, სულაც რომელიმე ბეჭდური სალიტერატურო გამო-

ცემის გამოსვლა.

- ქრონოლოგიას მკითხველისათვის არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. მას ჩვენ, ლიტერატორები, ვიგონებთ, რათა შემოქმედებითი პროცესი ლოგიკურ სქემაში მოვაქციოთ და უფრო სრულად გავიაზროთ, მაგრამ ქრონოლოგიისათვის ამოსავალი უნდა იყოს თავად ლიტერატურა, მისი მკვეთრად გამოხატული ცვლილებანი.

XX საუკუნის ლიტერატურას, როგორც მოგეხსენებათ, ეგნატე ნინოშვილით იწყებდნენ, იმიტომ რომ მარქსის პირველი მიმდევარი იყო და დაწერა ფრაგმენტი „მუშათა თავშესაფარი“. არადა, თავისი სტილით, თემატიკით, პრობლემებით ილია ჭავჭავაძის „კაკო ყაჩაღისა“ და „გლახის ნაამბობის“ ტენდენციებს აგრძელებდა, ე.ი. XIX საუკუნის მწერალი იყო.

XX საუკუნის ქართული ლიტერატურა იწყება მოდერნიზმით, მოდერნიზმის იდეოლოგიითა და პრაქტიკით, იმპრესიონიზმითა და სიმბოლიზმით.

წიწამურთან რომ მოკლეს ილია,
მაშინ ეპოქა გათავდა დიდი,

წერდა გალაკტიონი. ამავე აზრისა იყვნენ გრიგოლ რობაქიძე და კონსტანტინე გამსახურდია.

რაც შეეხება საუკუნის მიწურულს, ჩვენ უდიდესი გარდატეხის, ტრიუმფისა და ტრაგედიის მოწმენი და მონაწილენი გავხდით. მაგრამ, რატომღაც, ამ პროცესმა ვერ გამოიწვია მხატვრული აზროვნების განახლება, პირიქით - დათრგუნა კიდეც. ცხადია, ეს არ ეხება უფროს თაობას, რომელსაც ნათქვამი ჰქონდა თავისი სიტყვა და ვერ შეიცვლიდა შემოქმედებით ბუნებას. ახალგაზრდობის ერთმა, პროპაგანდის მიერ რეკლამირებულმა ნაწილმა ლიტერატურულ სიახლედ მიიჩნია პორონოგრაფია, ჟარგონი, ეროვნულ სიწმინდეთა ხელყოფა. **დღეს ავანგარდიზმად საღდება ნეონატურალიზმი**, თუმცა ყველაფერს წყვეტს არა სტილი და კონცეფცია, არამედ - ტალანტის ძალა, რომელიც შეუძლებელს შესაძლებლად აქცევს.

- რამდენადაც თქვენ უშუალოდ კონსტანტინე გამსახურდიას შემოქმედების მკვლევარი ბრძანდებით, უფრო დაზუსტებით ხომ ვერ გვეტყოდით, რა ადგილს ანიჭებთ ამ მწერალს XX საუკუნის 20-იანი წლების სალიტერატურო პროცესში? ვფიქრობ, იმ ხანებში ეს საკითხი მართლაც იდგა - კონსტანტინე გამსახურდიასა და სხვა ქართველ მწერალთა შორის მართლაც იყო ერთგვარი პაექრობა იმაზე, თუ ვინ უნდა ეღიარებინათ, როგორც ტონის მიმცემი საზოგადოებისათვის და, რაც უფრო მნიშვნელოვანია, როგორც თანადროული ტენდენციების (მოდერნისტული თემების) შემომტანი, ვის დაეკისრებოდა კულტუ-

რული მისია ქართული მწერლობისა და საზოგადოების წინაშე.

- კონსტანტინე გამსახურდია მთელი ათწლეულის მანძილზე ერთი რიგით, უფერულ პოეტად რჩებოდა, ვიდრე არ მოხდა თებერვლის რევოლუცია რუსეთის იმპერიაში. ამის შემდეგ ხდება მისი აზროვნების გარდაქმნა და იგი ეროვნულმა მუხტმა ნამდვილ შემოქმედად აქცია. ხოლო 1921 წლის კატასტროფამ გაუმძაფრა სინამდვილის აღქმა, სიძულვილი რუსეთისა და სიყვარული ევროპისადმი. კოლეგებს გაუჭირდათ, ეღიარებინათ მისი უეცარი ფერისცვალება, მისი ტალანტის წამოწევა და ამიტომ ჰქონდა მათთან ცხარე პოლემიკა.

კონსტანტინე გამსახურდია პირველ რიგში დაუპირისპირდა გრიგოლ რობაქიძეს, რომელიც იყო ქართული მოდერნიზმის პირველი იდეოლოგი, ამხილა მისი რუსოფილობა. 20-იან წლებში კონსტანტინე გამსახურდიამ შექმნა თავისი თეორიული სისტემა, მხატვრული კონცეფცია, სტილი და ეს ყველაზე ნათლად გამოიხატა „დიონისოს ღიმილში“ (1925). ამ რომანის დაბეჭდვის შემდეგ იგი აღიარეს „ცისფერყანწელებმაც“. ხოლო გრიგოლ რობაქიძის „გველის პერანგი“ (1926) არის „დიონისოს ღიმილთან“ გაჯიბრება, ამ რომანის პესიმისტური ნაციონალიზმის დაძლევა, მისი შეცვლა ოპტიმისტური ნაციონალიზმით.

მოგეხსენებათ, გრიგოლ რობაქიძე არარაობად მიიჩნევდა „დიდოსტატის მარჯვენასაც“ კი, მაგრამ აღფრთოვანებული დარჩა „დავით აღმაშენებლის“ პირველი წიგნით და ეს წერილობითაც გამოხატა.

ოციანი წლების ცენტრალური ფიგურა გალაკტიონ ტაბიძეა. მაგრამ იგი არ ყოფილა იდეოლოგი, დიდი მასშტაბის ერუდიტი. ხოლო კონსტანტინე გამსახურდია თავისი მოხსენებებით, ესსეებით, ნოველებით, თარგმანებით და ბოლოს - „დიონისოს ღიმილით“ პროზის ახალ იდეებს, წერისა და აზროვნების ახალ ესთეტიკურ კულტურას ამკვიდრებდა. მაგრამ თავად პროცესზე ზეგავლენის მოხდენა ვერ მოასწრო, რადგან ლიტერატურა წალეკეს „რაპპელებმა“, რომლებმაც კონსტანტინე ოდიოზურ ფიგურად გამოაცხადეს და მას ტერორი დაუნიშნეს. მიუხედავად ამისა, კონსტანტინე გამსახურდია მაშინაც პოპულარული მწერალი იყო.

თქვენ ასახელებთ 20-იან წლებს, მაგრამ კონსტანტინე გამსახურდიამ თავისი საუკეთესო რომანები - „მთვარის მოტაცება“ და „დიდოსტატის მარჯვენა“, ნოველა „ხოგაის მინდია“ 30-იან წლებში დაწერა, თარგმნა დანტეს „ღვთაებრივი კომედია“. ამ წლებში იგი თავს არიდებდა თეორიულ აქტივობას, მხარს უჭერდა ხელისუფლების კურსს. მიუხედავად ამისა, არაერთი მისი ნაწარმოები, თვით „ბელადიც“ კი, არ აღმოჩნდა სოციალიზმის ჰიმნი.

„მთვარის მოტაცებაში“ ნაჩვენებია, თუ როგორ ანადგურებს ბოლშევი-

კური ბარბაროსული ძალა, რომლის სიმბოლოა მამიმკვლელი არზაყან ზვამბაია, კულტურას, ქართულ ტრადიციებს, ეროვნულ სულს. ხოლო „დიდოსტატის მარჯვენაში“ აირეკლა 1937 წელი, როცა ხელისუფალი ტრაგედიას უმზადებდა ხელოვანს.

- ცხადია, აქვე მინდა გკითხოთ, თქვენი აზრით, რა ადგილი ენიჭება კონსტანტინე გამსახურდიას დღევანდელ ქართულ სალიტერატურო პროცესში (ვგულისხმობ უშუალოდ მწერლობასა და ლიტერატურისმცოდნეობას) და, მეორე მხრივ, მკითხველი საზოგადოების თვალში. რა თქმა უნდა, ეს არის კლასიკოსი, მაგრამ სწორედ კლასიკად აღიარებულ მწერლობასთან მიმართება ხშირად არაერთგვაროვანია.

- კონსტანტინე გამსახურდია ის მწერალია, რომლის მიმართ ინტერესი არ დაკარგულა, ეროვნული მოძრაობის წლებში ახალი კუთხით გამოჩნდა მისი დიდი შემოქმედება. შეიძლება ამას ხელს უწყობდა ზვიად გამსახურდიას ფაქტორიც. დრომ გაამართლა მისი ესთეტიციზმიცა და ნაციონალიზმიც, სიყვარული ძველი საქართველოსა და თანამედროვე ევროპისადმი. მაგრამ დღეს დიდი ხელოვანი არ შეიძლება დიდხანს იყოს პროცესის დირიჟორი, იმდენად ძლიერია გლობალიზაციის პროცესი, იმდენი სიახლენი ჩნდება ლიტერატურის ჰორიზონტზე. კონსტანტინე გამსახურდია გამოვიდა მოდერნიზმიდან. იმპრესიონიზმი, სიმბოლიზმი და ექსპრესიონიზმი იყო მისი შთაგონება, რადგან მისი კრედოს ფორმირება მოხდა ოციან წლებში.

დღეს ლიტერატურას სხვაგვარი ხედვა გააჩნია, სხვა ინტერესები ეძალება. ეს ბუნებრივი პროცესია. ყველა ვამბობთ, რომ რუსთაველი უდიდესი პოეტია, მაგრამ დღეს მას არავინ ბაძავს. ლიტერატურაში სიახლე შეიძლება არ იყოს დიდი მასშტაბისა, მაგრამ სწორედ სიახლე იძლევა თხზვის იმპულსს. ამიტომ არ უნდა გაგვიკვირდეს, რომ კონსტანტინეს სახელიც ნელ-ნელა გადადის ისტორიაში.

- რამდენადაც ჩვენი საუბარი უკვე შეეხო ჩვენს თანადროულ ლიტერატურულ სიტუაციას, როგორ განსაზღვრავდით უკანასკნელი ათწლეულის სალიტერატურო პროცესს. ეს ეტაპი აღსანიშნავია ისტორიულ-პოლიტიკური, იდეოლოგიური, სოციალური ცვლილებებით, რაც თავის ზეგავლენას ახდენს ხელოვნების განვითარებაზე.

- მე მოგახსენეთ უკვე, რომ 90-იანი წლების ქართულმა მწერლობამ სათანადო სისრულით ვერ ასახა ის პროცესი, რაც საქართველოში მიმდინარეობდა. არაერთი კარგი მწერალი, რომელიც თითქოს ებრძოდა კომუნისტურ იდეოლოგიას, ქართულ სულისკვეთებას გამოხატავდა და ამას მეტწილად აკეთებდა სიმბოლიკებით, ალეგორიებით, პარაბოლებით - დაიბნა, თითქოს ნოსტალგიამაც კი შეიპყრო საბჭოურ პერიოდზე. მათ შეეშინდათ თავისუფალი საქართველოსი. ამას თუ რა მოჰყვა - კარგად

იცით - ისინი იქცნენ საქართველოს დამამხობელ ძალთა რუპორებად.

ცხადია, იქმნებოდა ღირსეული ნაწარმოებებიც, როგორც პოეზიაში, ისე პროზაში (მათგან მინდა გამოვყო ოთარ ჩხეიძის „არტისტული გადატრიალება“ და რევაზ მიშველაძის „ასი ახალი ნოველა“). მაგრამ მათი რიცხვი გაცილებით მცირეა, ვიდრე ეს იყო ადრე.

მე დარწმუნებული ვარ, რომ მომავალი თაობები ინტერესით წაიკითხავენ 90-იანი წლების იმ ლიტერატურას, რომელიც შექმნეს ოპოზიციონერმა მწერლებმა, და არა მოღალატე ხელისუფლების მადიდებელ დითირამბებს.

ჩვენმა დრომ კიდევ ერთხელ გვიჩვენა, რომ ნამდვილი შემოქმედი თავისი ბუნებით ოპოზიციონერია, რადგან იგი ეძებს ახალს და ებრძვის გაბატონებულ თვალსაზრისს. ხოლო ეს განსაკუთრებით მწვავედ საგრძნობია მაშინ, როცა ხელისუფლება უპირისპირდება თავის ხალხს.

იყო დრო, როცა მთელი მწერლობა განადიდებდა სტალინისა და ბერიას სახელებს. ცხადია, ყველა არ იქნებოდა გულწრფელი, მაგრამ ყველას აიძულებდნენ, რათა ასე მოქცეულიყო.

არა მგონია, დღეს მწერალს ვინმე აიძულებდეს, მოიწონოს ეროვნული ხელისუფლების დამხობა, აფხაზეთის დაკარგვა, ის ძარცვა-რბევა, რაც გადაიტანა ქვეყანამ, ეკონომიკური დაცემა, ინტელექტუალური და ზნეობრივი კრიზისი, ეროვნული გრძნობის დაქვეითება.

- თქვენი აზრით, არის თუ არა გარკვეული ანალოგია XX საუკუნის დასაწყისისა და დასასრულის ლიტერატურულ ტენდენციათა და ზოგადად, სალიტერატურო სიტუაციათა შორის და რა კონტექსტში შეიძლება იყოს აღქმული ჩვენი თანადროული სალიტერატურო პროცესი - ვგულისხმობ მის მიმართებას, ერთი მხრივ, ქართული კულტურის ტრადიციებთან და, მეორე მხრივ, მსოფლიო ლიტერატურის არეალთან.

- ანალოგიას ვერ ვხედავ, რადგან გასული საუკუნის დასაწყისში გავრცელდა და მალე გაბატონდა მოდერნიზმი, რომელმაც მართლაც შექმნა ახალი „ქართული სულის რენენსანსი“. **ამჟამად კი ავანგარდიზმის სახელით მკვიდრდება ნეონატურალიზმი,** რომელიც ხელოვნებას აღარ აღიქვამს ღვთაებრივ ტაძრად. იგი სინამდვილეს ასახავს ჟარგონის ენით, ეძებს ყოფით მასალას, აინტერესებს პათოლოგია, სექსი, ანტიჰეროიკა, ანტიესთეტიზმი. მოგეხსენებათ, ავანგარდიზმი არის ანტიმოდერნიზმი. მაგრამ დღევანდელი ლიტერატურა არ გახლავთ ავანგარდისტული. ვიმეორებ - მას უნდა ვუწოდოთ ნეონატურალიზმი. მე ვგულისხმობ ახალი თაობის შემოქმედებას. შეიძლება უკვე კონსერვატორი ვიყო და ვეღარ აღვიქვამდე სიახლეს და მერჩიოს ჩემი სიჭაბუკის თანამგზავრი ავტორები. ცხადია, ლიტერატურა მუდმივად განახლებადი

ფენომენია და ახალგაზრდამ არ უნდა წეროს ისე, როგორც წერდნენ მამები. სხვაგვარად პროგრესი ვერ იქნება. მაგრამ მაინც...

სამწუხაროდ, ახალი თაობის პოეტებსა და პროზაიკოსებს შორის მე ვერ ვხედავ ისეთ ოსტატებს, რომელთაც მიიქციეს საზოგადოების, მკითხველის ყურადღება. შეიძლება ეს დროის ბრალიც იყოს. მოქმედებს ტირაჟის სიმცირე, პროპაგანდის სინაკლებე, მასების დუხჭირი მდგომარეობა. ამიტომ ცალკეული ნიჭიერი ავტორები, რომელთა შემოქმედებით გზას ინტერესით ვადევნებ თვალს, იჩაგრებიან და მათ სიტყვას არ ეძლევა ის რეზონანსი, რასაც იმსახურებენ. მე ვგულისხმობ არა ნეონატურალისტებს, არამედ მათ, რომლებიც აგრძელებენ ქართულ ესთეტიზმს, ქართულ ეროვნულ სულისკვეთებას.

- არ შეიძლება არ შევეხოთ მწერალთა გაერთიანებას, როგორც ლიტერატურულ და სოციალურ მოვლენას, დაფუძნებულს გარკვეულ იდეურ მხატვრულ, პიროვნულ პრინციპთა ერთიანობაზე. მსგავსი გაერთიანებების შექმნის ტენდენციები განსაკუთრებით მძლავრი იყო სწორედ XX საუკუნის 10-20-იან წლებში, ცხადია, ევროპული ლიტერატურის ზეგავლენით. შემდგომში საბჭოური იდეოლოგიის მოთხოვნით დადგა მწერალთა ერთ ორგანიზაციად გაერთიანების აუცილებლობა, მაგრამ 90-იან წლებში როგორც კი ეს მოთხოვნა მოიხსნა, კვლავ გაჩნდა უფრო ლოკალური გაერთიანებები - იქნება ეს „ოტარიდი“, „არილი“, „ალტერნატივა“, „XX საუკუნე“. ბოლო ხანს შექმნილი „ქართველ მწერალთა დარბაზი“, ასევე უფრო მცირე, ნაკლებ სტაბილური, მაგრამ უშუალოდ მხატვრულ-შემოქმედებითი პრინციპები, შექმნილი ახალგაზრდული ჯგუფები - შემიძლია გავიხსენო, ვთქვათ, „რეაქტიული კლუბი“, „ქრონოფაგები“, თუმცა, აქვე უნდა ითქვას, რომ საზოგადოებაში, ისევე როგორც თავად მწერალთა მხრიდან, იგრძნობა ერთგვარი ნოსტალგია ერთიანობისადმი - მოვიყვან, თუნდაც, უშუალოდ ლიტერატურულ მაგალითს, ალმანახ „ფორუმის“ გამოცემას და თავს ავარიდებ უფრო მწვავე განცხადებებსა და პოლემიკაზე საუბარს.

როგორ დაახასიათებდით დღეს ლიტერატურული გაერთიანებებისა თუ დაჯგუფებების არსებობის პრინციპებს და, ზოგადად, როგორ განსაზღვრავდით მსგავს გაერთიანებებს, როგორც ლიტერატურულ და სოციალურ ფენომენს?

- ათიანი წლების საქართველოში შეიქმნა ერთადერთი სალიტერატურო გაერთიანება - „ცისფერი ყანწები“, რომელიც ძირითადად სიმბოლისტური იყო. ოციან წლებში, მის საპირისპიროდ, წარმოიშვა მეორე გაერთიანება - „H2SO4“. იგი ავანგარდიზმის პრინციპებს ეფუძნებოდა და იყენებდა ფუტურიზმის, დადაიზმისა და კონსტრუქტივიზმის იდეებს.

ამ ორი გაერთიანების მეტი სალიტერატურო ჯგუფი საქართველოში არ არსებულა. სხვებს აერთიანებდათ თუ სთიშავდათ პოლიტიკური თვალსაზრისი.

გეთანხმებით, დღეს სხვაგვარი მდგომარეობაა და ამიტომაც გაჩნდა არაერთი სახელწოდების ჯგუფი. რამდენად ფასეულია მათი მხატვრული ნააზრევი - ეს სხვა საკითხია. მაგრამ სავსებით ბუნებრივია და აუცილებელი მონათესავე ხედვის მწერალთა მიერ თავიანთი ჯგუფების ჩამოყალიბება. ასე უფრო გამოიკვეთება ინდივიდი, მისი აღქმა, სტილი, ასე უფრო დამკვიდრდება მკითხველის ცნობიერებაში. საქართველოს მწერალთა დარბაზი, რომელიც ამას წინათ ჩამოყალიბდა, ესთეტიკური ნიშნით არ შექმნილა - მისი საფუძველი ეროვნული პოზიციაა, ნაციონალური მრწამსი, მხატვრული სიტყვით ბრძოლა ქვეყნის გადასარჩენად.

ცხადია, უკეთესი იქნება თუ მწერლობა გაერთიანდება. მაგრამ ეს მეტისმეტად ძნელია ხელისუფლების დიქტატის გარეშე, რადგან **თავისუფლება დაშლასაც ნიშნავს.** მაინც, მე მგონია, რადგან ქართველ მწერლებს აკავშირებთ ქართული სიტყვა, ქართული სიტყვისადმი სამსახური, **უნდა ჩამოყალიბდეს ქართველ მწერალთა კონფედერაცია,** რაც ცალკეულ ჯგუფებს, რომლებიც თქვენ ჩამოთვალეთ, სიმბოლურად მაინც გააერთიანებს, სიმბოლურად. რადგან მწერალს ვერავინ ასწავლის თუ როგორ წეროს ან რა თემა აირჩიოს. კონფედერაცია იქნება თავისუფალ, დამოუკიდებელ ასოციაციათა ნებაყოფლობითი კავშირი, რომელიც მოემსახურება მწერლობის პროპაგანდას. იგი შეცვლის საბჭოთა მწერლების კავშირის სტრუქტურას. ამის შესახებ ჩვენი „100 მწერლის გაზეთის“ ფურცლებზე სისტემატურად ქვეყნდება მწერლების მოსაზრებანი და წინადადებანი.

სხვათა შორის, რეფორმირების გამო 1991 წლის 20 დეკემბერს „ლიტერატურული საქართველოს“ ფურცლებზე მე დავბეჭდე წერილი - „მწერალთა კავშირის მომავალი“, რომლის წასაკითხად მაშინ არავის ეცალა.

- როგორ დაახასიათებდით ლიტერატურის სოციალურ ფუნქციას? ისტორიულ სპექტრში ეს ფუნქცია, ვგონებ, საკმაოდ ნათლად არის განსაზღვრული. ამიტომ ჩემი კითხვა უფრო მეტად ეხება ჩვენს თანამედროვე რეალობას.

- მწერლობას პირველ რიგში ესთეტიკური ფუნქცია აქვს: თუ ნაწარმოები მხატვრულად სუსტია, მისი პრობლემატიკა არავის აინტერესებს, მაგრამ ესთეტიკური ძალა მაშინ დაეუფლება მასებს, როცა იგი მოიცავს ეროვნულ და სოციალურ სატკივარს, როცა მწერალი არ იქნება მასებზე მაღლა მდგომი ან განზე მდგარი ესთეტი. ასეთი აბსტრაქტული ესთეტიზმი დასაშვებია მაშინ, როცა იგი გენიალობამდეა ასული. მაგრამ

პატარა და ტრაგიკული ერის შვილებს ასეთი ფუფუნების საშუალება არცა აქვთ.

1992 წლის მარტში მეც სხვებთან ერთად დავტოვე მწერალთა კავშირი, რადგან მწერალთა უმრავლესობამ მხარი დაუჭირა ქვეყნის დაქცევას. მათ შორის იყვნენ ისინიც, ადრე, კომუნისტურ პერიოდში, რომ ოპოზიციონერად და ნაციონალისტად გვაჩვენებდნენ თავს. მაგრამ, როგორც გამოჩნდა, ეს იყო ნებადართული ოპოზიციონერობა და ნაციონალიზმი. ესეც გახლავთ მიზეზი იმისა, რომ დღეს ლიტერატურისადმი ინტერესი საგრძნობლად შენელდა. ამიტომ მიმაჩნია, რომ მწერალმა თავისი სიტყვა უნდა ჩააყენოს ლიტერატურის, ქვეყნის და არა კონფორმიზმის სამსახურში.

ესაუბრა ბელა წიფურია
გაზ. „ჩვენი მწერლობა“, 2002, 8-15 მარტი.

მტერობა ენის...

– საქართველოს პარლამენტმა განათლების სისტემის რეფორმისათვის მსოფლიო ბანკის მიერ გამოყოფილი 60 მილიონის პროექტს, რომელიც არანაკლებ დამღუპველია ქართული განათლებისათვის, მწვანე შუქი მისცა. იმედი გაქვთ, რომ მის ლოგიკურ გაგრძელებას „სასკოლო რეფორმის კონცეფციას“ არ დაუჭერს მხარს? ბრძოლა ქართული ცნობიერების წინააღმდეგ, რათა მსოფლიოს მოქალაქეებად ვიქცეთ.

– განათლების რეფორმა, ჩემი აზრით, რამდენიმე წლის წინ დაიწყო და იგი იმაში გამოიხატებოდა, რომ მასწავლებლებს არ ეძლეოდათ ისედაც სიმბოლური ხელფასები, რადგან ეგონათ, რომ მასწავლებელი, რომელიც 1-2 წელიწადს არ მიიღებდა ხელფასს, აღარ მივიდოდა სკოლაში და სკოლებიც თავისთავად დაიხურებოდა, რაც, ბუნებრივია, დაბრალდებოდა მასწავლებელს და რეფორმის ინიციატორები პასუხისმგებლობასაც აიცილებდნენ თავიდან. მაგრამ ეს ასე არ მოხდა, რადგან ადამიანი, რომელიც 10-20 წელია მუშაობს მასწავლებლად, შეყვარებულია უკვე თავის პროფესიაზე და ასე ადვილად ვერ დათმობს მას. სკოლა ყველა პროფესიონალი პედაგოგის სიცოცხლის ნაწილია. ერთი სიტყვით, სკოლები ამ მეთოდით ვერ დახურეს და მიუხედავად მცდელობებისა, ქართული სკოლა არ დაინგრა... ახლა სხვა მიმართულებიდან შეუტიეს - ისეთი პროგრამების შემოტანა უნდათ, რომლებიც ქართულ ინტერესს არ მოემსახურება. თუ პროგრამიდან ამოიღებენ საქართველოს ისტორიას, მშობლიურ ლიტერატურას, საქართველოს გეოგრაფიას, ჩვენ ვიქცევით ამორფულ მასად, რომელიც რაღაც აბსტრაქტულ იდე-

ალებს მოემსახურება. რა თქმა უნდა, უნდა ვისწავლოთ მსოფლიო ისტორია, მსოფლიო ლიტერატურა და გეოგრაფიაც, მაგრამ აქ ჩვენ ჩვენი არეალი გვაინტერესებს, ისევე, როგორც რუსს აინტერესებს რუსული კულტურა, გერმანელს - გერმანული და ა.შ. ჩვენ არ ვართ დიდი ერი და ბუნებრივია, არ გვაქვს ძველი რომაელების მსგავსი ისტორია. მაგრამ რაც გვაქვს, ჩვენია და გვიყვარს ისევე, როგორც თითოეულ ჩვენგანს უყვარს თავისი დედა. მშობელს იმით კი არ ვზომავთ, ლამაზია, განათლებულია თუ ჭკვიანი, ერთადერთი საზომი ის გახლავთ, რომ ის ჩვენი მშობელია. ასეთივე დამოკიდებულება გვაქვს მშობლიური ენისადმი, კულტურისა თუ ისტორიისადმი. ამ ისტორიას ვერავინ შეგვიცვლის, ასე მოვდივართ საუკუნეების განმავლობაში. ამიტომ **ეს არის ბრძოლა ქართული ცნობიერებისა თუ ქართული ეროვნების წინააღმდეგ.** მოგეხსენებათ, რომ პასპორტებიდან და პირადობის მოწმობებიდან უკვე ამოღებულია ეროვნული რეკვიზიტი. ყოველივე ამის მიზანი კი ის გახლავთ, რომ არ ჩამოყალიბდეს ქართული სახელმწიფო, რომ არავინ იფიქროს აფხაზეთზე, სამაჩაბლოზე, რადგან ჩვენ ხომ ისედაც მსოფლიო მოქალაქეები ვიქნებით. ყველა ტკივილი უნდა მინელდეს და რაიმე კატასტროფა რომ მოხდეს, ეს აღარ იყოს მტკივნეული ერისთვის. მაგალითად, თუ რუსი მოინდომებს, საქართველო ისევ უნდა დაბრუნდეს რუსეთის შემადგენლობაში, მაგრამ ამან არავითარი გაუგებრობა არ უნდა გამოიწვიოს. მე არ ვიცი, ვინ არიან ამგვარი რეკომენდაციების მოკარნახენი, მაგრამ არა მგონია, ასეთ ტოტალურ ზეწოლას განიცდიდნენ ყოფილი საბჭოთა კავშირის სხვა რესპუბლიკები. სამწუხაროდ, ეს ხდება მხოლოდ საქართველოში...

- და რა არის, თქვენი აზრით, იმის მიზეზი, რომ ჩვენი ქვეყანა მუდმივად იმყოფება საექსპერიმენტო ობიექტის როლში და მაინცდამაინც ჩვენში რატომ უნდა დაინერგოს საერთაშორისო ნოვაციები?

– ამას ჯერ კიდევ ედუარდ შევარდნაძის ცეკას I მდივნობისას შეგვაჩვიეს. მაშინაც **ექსპერიმენტების ქვეყანა იყო საქართველო; თბილისი კი - ხალხთა ლაბორატორია,** სადაც 100-ზე მეტი ეროვნების ადამიანი ცხოვრობდა და ეს ძვირფას მონაპოვრად ითვლებოდა. არადა, იმაზე ტრაგიკული რა უნდა იყოს, რომ შენს ქალაქში 100 ეროვნების ადამიანი ცხოვრობდეს, რადგან ეს ისტორიული ბედუკუღმართობის შედეგია. სომხები თავს დამტყდარი უბედურების გამო იძულებულნი გახდნენ, საქართველოსთვის შეეფარებინათ თავი, თორემ, რა თქმა უნდა, მათ სომხეთში ცხოვრება ერჩიათ. 1921 წელს, როდესაც ნოე ჟორდანიას მთავრობა ევროპაში გაიქცა, რა, მათ პარიზში უნდოდათ ცხოვრება? რასაკვირველია, არა. ამიტომ ეს დიდი სიამაყით და სიამოვნებით კი არ უნდა აღვნიშნოთ, არამედ როგორც ისტორიული კატაკლიზმების შე-

დეგი. თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ სხვა ეროვნებები გავყაროთ საქართველოდან. საუბედუროდ, **ჩვენს პრეზიდენტს არა აქვს ეროვნული ცნობიერების გამძაფრებული ალღო, მისთვის მთავარი ძალაუფლების შენარჩუნებაა და არა ქართული სახელმწიფოს აშენება**. ხედავთ, რომ 10 წელია, ამ თვალსაზრისით პროგრესი არ შეიმჩნევა. თუ გლეხს ძროხა ჰყავს და სიმინდის კარგი მოსავალი მოიწია, ეს არ გახლავთ სახელმწიფოს დამსახურება. ადამიანი ყოველთვის ახერხებდა თავისი პირადი ცხოვრების ასე თუ ისე მოწყობას, მე ვლაპარაკობ სახელმწიფო დონეზე ქვეყნის აღმშენებლობაზე: ჩვენ ვერ ვგრძნობთ ქართული სახელმწიფოს არსებობას, ვერც იმას, რომ ქართული სახელმწიფოს მექანიზმი იცავდეს ქართველის ღირსებას და უზრუნველყოფდეს მის მომავალს.

- როგორ ფიქრობთ, პარლამენტი, ჩვეულებისამებრ, არც ამ შემთხვევაში გაეცნობა, რას აძლევს რატიფიკაციას და ჩვენ ერთადერთი გადარჩენილი ღირებულების - წარსულის გარეშეც დავრჩებით?

- არ არის გამორიცხული, რადგან ხშირად დეპუტატები გამოთქვამენ აღშფოთებას - მაგრამ კენჭისყრის შედეგებით აღმოჩნდება, რომ კანონი გავიდა. ერთადერთი კანონი ჩავარდა - კანონი სახელმწიფო ენის სტატუსის შესახებ, რომელიც უამრავი კურიოზებისაგან შედგებოდა, მაგალითად, პრეამბულაში ეწერა, ქართული ენის სახელმწიფო კანონი არ მოქმედებს იმ კუთხეებში, სადაც კუთხური, ანუ არასამწერლობო ქართულით მეტყველებენ - ე.ი. სამეგრელოსა და სვანეთში. აფხაზეთში კონსტიტუციით ისედაც დაშვებულია აფხაზური ენის მოქმედება. არაქართველებით კომპაქტურად დასახლებულ რაიონებში საკრებულოს აქვს უფლება, აირჩიოს ნებისმიერი ენა, ანუ გამოდის, რომ ქართულად იმეტყველებენ მხოლოდ საქართველოს რამდენიმე კუთხეში. მაგრამ ძალიანაც რომ მოსთხოვო კახელ ან იმერელ გლეხს, მან ქართულის გარდა სხვა ენა არ იცის; ამის გარდა, ამ კანონით საქართველოს მოქალაქეს აქვს უფლება, იმ ენაზე გააფორმოს ხელშეკრულება სხვა ქვეყანასთან, როგორზეც თავად მოისურვებს, ანუ სომეხ მოქალაქეს შეუძლია სომხურ ენაზე გააფორმოს ხელშეკრულება სომხეთთან და ა.შ. ერთი სიტყვით, ქართული ენის სახელმწიფო სტატუსი ამ კანონში არ ჩანს. საბედნიეროდ, კანონის კენჭისყრაც კი არ ჩატარებულა, იმიტომ, რომ თავადაც მიხვდნენ მისი შემომტანები, რომ გაიხსნა კანონის არსი: ის მიმართული იყო ქართული ცნობიერებისა და ქართული სახელმწიფოებრიობის წინააღმდეგ. მე არ ვარ იურისტი და ამიტომ პარლამენტის მიერ უკვე მიღებულ თუ აწი მისაღებ ყველა კანონს ვერ შევაფასებ, მაგრამ რამდენადაც მესმის, ყველგანაა ჩადებული ისეთი მუხლები, რომლებიც ანგრევს ქართულ სახელმწიფოებრიობას. რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი სათავიდან მოდის, თუმცა მაინც ვფიქრობ, რომ პარლამენ-

ტში არის გონიერი ნაწილი, რომელიც წინ აღუდგება ჩვენი ქვეყნისა და ცნობიერების დაშლას.

ესაუბრა ნინო ხაჩიძე
ჟურნ. „თბილისელები“, 2002, № 24

ისევ რუსეთის მუქარა

მას შემდეგ, რაც რუსეთის პრეზიდენტი გახდა ვლადიმერ პუტინი, მოსკოვი დაუფარავი აგრესიის გზას დაადგა საქართველოს მიმართ: აფხაზეთსა და სამაჩაბლოში ბოლო არ უჩანს კონფლიქტის მოწესრიგებას. რუსეთს არ გაჰყავს ჯარი საქართველოდან. შემოღებული იქნა სავიზო რეჟიმი, მაგრამ არა აფხაზეთისა და სამაჩაბლოს მიმართ. იქ მცხოვრებლებს ურიგდებათ რუსული პასპორტები, რითაც მზადდება იურიდიული ბაზისი ამ ორი კუთხის საქართველოსაგან საბოლოოდ ჩამოსაცილებლად. იბომბება საქართველოს ტერიტორია, შემოჰყავთ დესანტი. მაგრამ რუსეთის აგრესიული დამოკიდებულება პიკს აღწევს პანკისის ხეობის გამო, რომ იქ არიან ჩეჩენი „ტერორისტები“ და თუ საქართველო მათ არ გაანეიტრალებს, მათ ბანდებს ჩვენ დავარბევთ და დევნასაც გავაგრძელებთო, ე.ი. მთელი საქართველო შეიძლება ანექსირებულ იქნეს ამ საბაბით.

ფაქტიურად რუსეთმა, მისმა პრეზიდენტმა, საქართველოს ომი გამოუცხადა.

ცხადია, ამის ერთ-ერთი მიზეზი ჩვენი ხელისუფლებაც გახლავთ, რომელმაც თავისი მხდალი და არათანმიმდევრული პოლიტიკით გაამწვავა რუსეთთან ურთიერთობა. ჯერ იძახდა ჩვენი პრეზიდენტი, ბოევიკებს პანკისში რა უნდათო. შემდეგ აღიარა მათი არსებობა, გადაიყვანა აფხაზეთში, იქ ვითომ აბრძოლა, მერე ისევ პანკისში დააბრუნა. ახლა სპეცოპერაცია წამოიწყო და გაირკვა, რომ პანკისში ვითომ არავინ ყოფილა!

რუსეთი ასე თავხედურად არ ექცევა არცერთი ქვეყნის პრეზიდენტს, როგორც შევარდნაძეს. არცერთი ქვეყნის პრეზიდენტი არ არის ესოდენ ლოიალური რუსეთის მიმართ, როგორც შევარდნაძე, რომელიც თითქმის საომარი მოქმედების დროს იტერას მორიგ საჩუქარს უმზადებს და არ ასრულებს საქართველოს პარლამენტის პრინციპულ დადგენილებას.

პრეზიდენტი ნაბიჯ-ნაბიჯ, მეთოდურად ყველაფერს თმობს და ლამის თბილისიც ჩააბაროს რუსეთს. ამას ხედავს მოსკოვი და ამიტომაც არა აქვს საზღვარი მის აგრესიას.

ჩვენ ვრჩებით ამერიკისა და ევროპის მოიმედე და რომ არა ისინი, ჩვენი პრეზიდენტი საქართველოს რუსეთის ერთ-ერთ გუბერნიად აქცევდა.

საოცარია ედუარდ შევარდნაძის ფერისცვალება. ორიოდე დღის წინ იგი შეშინებული და დამფრთხალი ვიხილეთ ტელეეკრანზე. დღეს კი ოხუნჯობს და იცინის, თითქოს ქვეყანას არაფერი საფრთხე არ ემუქრება. პანკისის საკითხი რომც მოგვარდეს, ანალოგიური სიტუაცია შეიქმნება კოდორშიც. ხოლო აფხაზეთისა და სამაჩაბლოსათვის სად გვცალია! როგორც კი მოლაპარაკების პროცესში წარმატებას მიაღწევს ასლან აბაშიძე, შევარდნაძე მისი გადაყენების საკითხს აყენებს.

ასეთი ხელისუფლების ხელში ჩვენ ვერც დაკარგულ ტერიტორიებს დავიბრუნებთ და ვერც რუსეთის აგრესიას ავიცილებთ.

„მწერლის გაზეთი“, 2002, 19-25 სექტემბერი

მოხეტიალე ცრუ-ფორვარდი

სულ გვეგონა, რომ ჩვენთან იყო, ისე გულღიად, გულისტკივილით, ზოგჯერ აღშფოთებითაც კი გვესაუბრებოდა თამაზ წივწივაძის წრეგადასულ მადასა და ბილწსიტყვაობაზე.

სადღა იყო მისთვის ჩვეული ბუტაფორია, პუდრი და პარიკი!

მაგრამ მოვტყუვდით. თურმე სწორედ ეს გულღიაობა ყოფილა ნიღაბი, ხოლო პუდრი და პარიკი უკვე შეხორცებია მის სახეს.

შეცდომა არ უნდა დაგვეშვა!

ჩვენ ხომ კარგად ვიცოდით, რომ ეს ის კაცია, რომელმაც განსაცდელში მყოფ ზვიად გამსახურდიას მხოლოდ ერთხელ მიაკითხა და მაშინაც დამხმარე ძალის მაგივრად დოდონა კიზირია ჩაუყვანა ბუნკერში!

ამის შემდეგ არც ზვიადსა და არც ზვიადისტებს სათოფეზე არ გაჰკარებია!

მაგრამ ზვიადს ახსოვდა თავისი მრჩეველი და რომ ვერ იხილა, ასე ჩაწერა **„საქართველოს კანონიერი ხელისუფლების მოღალატეთა კარტოთეკაში“;**

გიორგი გაჩეჩილაძე - ლიტერატორი, პრეზიდენტის მრჩეველი, პუტჩის დაწყებისთანავე გადავიდა ხუნტის მხარეს.

მაგრამ პუტჩისტებმა არ მიიღეს ცარიელი ხელებით მისული ენთუზიასტი, რომელიც არც ციხეში მჯდარა და არც იარაღი აეღო ხელთ.

შემდეგ ბაკურ გულუას მიეკედლა, რეფორმატორი დაირქვა და ყოფილი პუტჩისტების რჩევით ეროვნული შერიგების ქადაგად დავარდა, თუმცა მისი ბუნდოვანი ლექციებიდან აზრი ვერავინ გამოიტანა.

ასე უქმად დახეტიალობს ეს თვითმარქვია პოლიტოლოგი ზვიად გამსახურდიადან ედუარდ შევარდნაძემდე, რევაზ მიშველაძიდან თამაზ

წივწივაძემდე და სულ ჰგონია, ერთხელაც იქნება და გაიღება კანცელარიის მე-11 სართულის ფანჯარა და გადმოსძახებენ:

– ბიჭო გოგია, მოდი, შენი რჩევა გვჭირდება, თორემ დაიღუპა ქვეყანაო!

ამ იმედით გაუყვება გზას რუსთაველიდან ასათიანამდე, ისე რომ ერთხელაც არ მოაგონდება ძირულას პირას მოსმენილი - თუ თევზაობა გენატრება, არც ფეხის დასველება უნდა დაიზარო, თორემ მშრალზე დარჩებიო!

„მწერლის გაზეთი“, 2002, 3-9 ოქტომბერი

ორი ბანაკი - ორი პოზიცია

უკვე თითქმის ერთი წელია, რაც დაიწყო პოლემიკა „ასი მწერლის გაზეთსა“ და „ლიტერატურულ საქართველოს“ შორის. დაიწერა არაერთი მძაფრი, მამხილებელი სტატია. სამწუხაროდ, „ლიტერატურულმა საქართველომ“ ანუ მისმა რედაქტორმა თამაზ წივწივაძემ პოლემიკა იუკადრისა და საკითხის განსჯას ქილიკი არჩია.

შეიძლება მკითხველს უკვირდეს, ბოლოს და ბოლოს დამთავრდება თუ არა ეს პაექრობა? შეიძლება ზოგს ეგონოს კიდეც, რომ ეს არის ორი პიროვნების - თამაზ წივწივაძისა და რევაზ მიშველაძის ურთიერთშუღლი. მაგრამ ვინც კარგად გაეცნობა ორივე გაზეთს, მათში დაბეჭდილ მასალებს, ნათელი უნდა გახდეს, რომ ეს არის **ორი პოზიციის დაპირისპირება.**

სამწუხაროდ, თამაზ წივწივაძე ყოველთვის ხელისუფლების მსახური იყო. როცა საჭირო იყო, აქებდა სიგუას, კიტოვანსა და იოსელიანს, აბიაბრუებდა ზვიად გამსახურდიასა და მის თანამოაზრეებს. ცხადია, მისი აღტაცებისა და მუდმივი განდიდების ობიექტი იყო ედუარდ შევარდნაძე, რომელზეც არასოდეს აუგი არ დასცდენია და მის მოღვაწეობაში ოდნავი ხინჯიც კი არ შეუნიშნავს.

საოცარი ფაქტია!

შეიძლება ვისაუბროთ მაკედონელის, ნაპოლეონის, სტალინის შეცდომებსა და დანაშაულზეც კი, მაგრამ შევარდნაძე უცდომელი ყოფილა! მაგრამ რა ვუყოთ ჩვენ თვალწინ დატრიალებულ ტრაგედიებს - კანონიერი ხელისუფლების დამხობას, სამეგრელოს მრავალგზის აწიოკებას, აფხაზეთისა და სამაჩაბლოს დაკარგვას, ქვეყნის ეკონომიკურ გაჩანაგებასა და მუდმივ შინაქაოსს.

ამათ ავტორს და შემოქმედს აქებს და ხოტბას აღუვლენს თამაზ წივწივაძე, ამავე აზრისაა მწერალთა ე.წ. საერთო ეროვნული კავშირის წევრების ერთი ნაწილი.

ნუთუ არაფერს ეუბნება მათ ის ფაქტი, რომ 11 ოქტომბერს პარლამენტში მოსულ პრეზიდენტს ზურგი აქციეს მისმა დაზრდილ-დაფრთიანებულმა პოლიტიკოსებმა ისე, რომ მისი მოსმენაც კი არ ისურვეს!

თამაზ წივწივაძის არასწორ, ქვეყნის დამღუპველ პოზიციას, უპირისპირდება რევაზ მიშველაძე, როგორც მწერალი, პუბლიცისტი, პარლამენტარი და მწერალთა დარბაზის თავმჯდომარე სხვა თანამოაზრეებთან ერთად. დღეს დიდი ხალისით იხსენებს „ლიტერატურული საქართველო“, რომ რევაზ მიშველაძე ოდესღაც **ოპოზიციაში ედგა ზვიად გამსახურდიას ხელისუფლებას. ოპოზიციონერობის უფლება ყველას აქვს, მაგრამ არა ქვეყნის დამხობისა!** და როგორც კი ნათელი გახდა, რომ ედუარდ შევარდნაძის ხელისუფლებას არც ქვეყნის აღშენება და არც გამთლიანება მიზნად არც ჰქონდა დასახული, მაშინვე ოპოზიციაში გადავიდა. ამავე სულისკვეთების არიან მწერალთა დარბაზის წევრებიც, რომლებიც ლიტერატურას მიზნად ერის სამსახურს უსახავენ და არა ვულგარობას, ქვეყნის დაქცევით ტკბობასა და ხელის მოთბობას.

სრულიად აშკარაა, რომ ამ ორი პოზიციის გამოკვეთამ წარმოშვა მწერალთა ორი ბანაკიც. მართალია, ყველა მწერალს ვერ მოვთხოვთ ეროვნული სულის გამოვლენას, მაგრამ საკუთარი ხალხის წინააღმდეგ ნამდვილად არ უნდა გამოდიოდეს, როგორც ეს მოხდა თერთმეტი წლის წინათ.

დარწმუნებული ვართ, რომ **ხელისუფლებას მოსწონს მწერალთა შორის დაპირისპირება**. მოსწონს და კიდევ უფრო აღვივებს, რადგან ეს არის შინაქაოსისა და ქვეყნის დაშლა-დანაწევრების შემადგენელი ნაწილი. მაგრამ ჩვენ უნდა გვეყოს გონიერება, რათა შევწყვიტოთ ურთიერთდაპირისპირება. შეიძლება ყველამ გამოხატოს თავისი თვალსაზრისი, თავისი პოზიცია, ოღონდ ეს უნდა მოხდეს ურთიერთსიძულვილის გარეშე, არა ლანძღვისა და გინების საშუალებით, რადგან გინებით და ლანძღვით არც ლიტერატურაში, არც პოლიტიკაში არაფერი მტკიცდება.

სად არის გამოსავალი? დღეს ისეა მწერლობა დაქსაქსული და ურთიერთშუღლით გადაღლილი, რომ ვერც ერთი მხარე ვერ შეძლებს მათ გაერთიანებას. თანაც, თუ მოხდა გაერთიანება, ეს არ უნდა იყოს ძველი სახისა. ამიტომ, **უნდა შეიქმნას ქართველ მწერალთა კონფედერაცია,** რომელშიც თავისი სუვერენული უფლებებით შევლენ როგორც მწერალთა კავშირი და მწერალთა დარბაზი, ისე მწერალთა და ლიტერატურისმცოდნეთა კავშირი. აგრეთვე სხვა გაერთიანებები.

„მწერლის გაზეთი“, 2002, 17-23 ოქტომბერი

სანამ შევარდნაძე იქნება ქვეყნის პრეზიდენტი - ასლან აბაშიძე თბილისში არ უნდა ჩავიდეს

- ბატონო სოსო, იყო თუ არა საბიუჯეტო შენატანების თაობაზე ხელოვნურად წამოწეული აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გამოყოფის თემა ხელისუფლების მიზანმიმართული აქცია?

- ნამდვილად. იგი წამოჭრა პრეზიდენტმა. ასე აკეთებს ხოლმე, როცა ბატონ ასლან აბაშიძის დისკრედიტაცია მოუნდება. ამჯერად აფხაზეთის პრობლემას დაუკავშირა ეს. როგორც კი ბატონ ასლან აბაშიძის მეშვეობით სინათლე გამოჩნდა იქ, ატყდა მისი საწინააღმდეგო კამპანია, მაგრამ ვინც ავტონომიური რესპუბლიკის მეთაურის ამასწინანდელ ინტერვიუს გაეცნო, ყველაფერში გაერკვეოდა...

- დღეს აჭარაში ყველა გულდაწყვეტილია იმით, რომ პრეზიდენტმა ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელობას დედასამშობლოდან განდგომა დააბრალა.

- აბა, რა იქნება. ამაზე როგორ შეიძლება ლაპარაკობდე. ამ კაცს რეალური აღქმა აქვს დარღვეული. აჭარაში ყველაზე უკეთესად კეთდება ქართული საქმე. ყველა გამოსვლა ასლან აბაშიძისა მიმართულია ერთიანი საქართველოსაკენ. შევარდნაძის დამანგრეველ პოლიტიკას თუ არ ეთანხმება, ეს აუცილებელიც არის.

- ბატონო სოსო, რამდენად გამართლებულია ეკონომიკური ბლოკადა აჭარის მიმართ?

- ეს შევარდნაძის პოზიციის შემადგენელი ნაწილია. დაავიწყდა, რომ ბატონმა ასლან აბაშიძემ იგი არაერთხელ გადაარჩინა - შეუნარჩუნა ფაქტობრივად, ხელისუფლება. მაგალითად, აი, შარშან, როცა უაღრესად გამწვავებული იყო სიტუაცია და პრეზიდენტი ჩავიდა ბათუმში. ბატონ ასლან აბაშიძის თანადგომა რომ არა, შევარდნაძე იძულებული იქნებოდა, დაეტოვებინა პრეზიდენტის პოსტი და, ალბათ, საქართველოც. დღეს თითქოს არაფერი არ ახსოვს. მეც ვესწრებოდი ბათუმში მის გამოსვლას, სადაც ნიმუშად დასახა აჭარა, ბატონი ასლან აბაშიძის მოღვაწეობა. ახლა?!

საერთოდ, ბლოკადა საკუთარი ქვეყნის ამა თუ იმ ნაწილის წინააღმდეგ ყოვლად გაუმართლებელია. განა შეიძლება ეს, როცა აფხაზეთთან შერიგებაზეა ლაპარაკი, როცა ქვეყნის შემადგენლობაში გინდა დააბრუნო იგი და... ბლოკადაში ახრჩობ?!

- როგორ შეაფასებთ თბილისში „მებრძოლთა კავშირის“ ამასწინანდელ ფორუმს?

- ჩვენს ხელისუფლებას არც ძალის გამოყენების უნარი აქვს და არც

დიპლომატიური ალღო. „მეომართა კავშირში“ თამაზ ნადარეიშვილის მეგობრებია, რომლებმაც თავი გამოიჩინეს ქვეყანაში უკანონო მოქმედებით, მუშაობენ კონტრაბანდაზე და ვითომ მეომრები არიან. „მეომართა კავშირი“ დასჭირდა შევარდნაძეს იმისათვის, რომ დაეპირისპირებინა ბატონ ასლან აბაშიძისათვის.

- ბატონ ასლან აბაშიძის თბილისში ჩამოსვლის დაჟინებული მოთხოვნის თაობაზე რას იტყვით?

- მე დარწმუნებული ვარ, რომ ბატონი ასლანის ჩამოსვლა თბილისში ამჯერად, ამ სიტუაციაში შეუძლებელია. სანამ ედუარდ შევარდნაძე იქნება ქვეყნის სათავეში, ასლან აბაშიძე თბილისში არც უნდა ჩამოვიდეს. ეს კიდევ ერთხელ იმ პროტესტის გამოხატულებაა, რომელიც გამოუცხადა ბატონმა ასლან აბაშიძემ მოძალადე ხელისუფლებას, კანონიერი პრეზიდენტი რომ განდევნა და თბილისი დაანგრია.

ესაუბრა შაქრო რომანაძე

„აჭარა“, 2002, 29 ოქტომბერი

გრანტის მოიმედე ბიუჯეტი არასოდეს შესრულდება

მომავალი ბიუჯეტის განხილვა ჯერ არ დაწყებულა. მაგრამ, როგორც ჩემი მცირე გამოცდილება მარწმუნებს, ამ ბიუჯეტსაც მივიღებთ. არც ამჯერად შესრულდება ძირითადი მონაცემები და დაიწყება საუბარი ბიუჯეტის სეკვესტრზე. მე რაც დეპუტატი ვარ, მეოთხედ ვმონაწილეობ ბიუჯეტის განხილვაში და არც ერთხელ ის არ შესრულებულა. გამოითქმება შენიშვნები, სურვილები, არავინ ისჯება, საყვედურსაც კი არავინ იღებს და ასე ერთი და იგივე მეორდება ყოველ წელს. უმიზეზოდ არაფერი ხდება, ეკონომისტები უფრო ზუსტად განსაზღვრავენ მას, თითქოს ყოველთვის სიმართლეს ამბობენ. მაგრამ სამწუხაროდ, მათ მიერ შედგენილი ბიუჯეტი ბოლოს მაინც ვერ ამართლებს. ჩემი აზრით, ამის ერთ-ერთი მიზეზი ბიუჯეტში წინასწარ შეტანილი, ჩვენი ქვეყნისთვის მომავალში გამოსაყოფი გრანტებია. მაგრამ, გრანტები გამოიყოფა თუ არა, ეს ოცნების სფეროს უფრო მიეკუთვნება, ვიდრე რეალურს. როცა ბიუჯეტში გრანტია ჩართული, რომელიც შეიძლება მიიღო და შეიძლება - არა, ცუდია, ის ვერ შესრულდება. სხვის იმედზე ყოფნა ძნელი გახლავთ. საქართველოში არნახულ მასშტაბს მიაღწია კორუფციამ, კონტრაბანდამ და სხვა ასეთმა პრობლემებმა. ამბობენ, ბენზინის 60-70% დაუბეგრავად იყიდებაო. ასევეა სხვა სფეროშიც. თუ ორი მესამედი დაუბეგრავია, ცხადია, ასეთი მწირი ბიუჯეტიც ვერ შეს-

რულდება, როგორიც ჩვენ გაგვაჩნია. ზუსტად ვერ ვიტყვი, როგორაა სახსრები გადანაწილებული სახელმწიფო ორგანიზაციებზე, მაგრამ ზოგჯერ ისეთი დასახელება მოგხვდება თვალში, ღიმილს ვერ შეიკავებ: სულხან-საბას სახელობის უნივერსიტეტს ფილიალი ჰქონია ცაგერში და ეს ფილიალი ფინანსდება! ჩემთვის გაუგებარია: როცა ამდენი უმაღლესი სასწავლებელი გვაქვს და ყველას აფინანსებს სახელმწიფო, რაღა საჭიროა მისი არსებობა? ხდება საწინააღმდეგოც: თითქოს სახელმწიფოა, მაგრამ არ ფინანსდება, თუნდაც მხატვართა კავშირი და სხვა შემოქმედებითი ორგანიზაციები. საერთოდ, თუ შემოქმედებითი ორგანიზაციები დაფინანსდება, ყველა უნდა დაფინანსდეს თუ არადა - არც ერთი. ზოგიერთმა რატომ უნდა იგრძნოს თავი დაჩაგრულად? კარგია, რომ მწერალთა კავშირზე ზრუნავს სახელმწიფო, მაგრამ საქართველოში ხომ მწერალთა რამდენიმე კავშირი არსებობს და ყველა მწერალი, მეცნიერი თუ მოქალაქე თანაბარ პირობებში უნდა იყოს ჩაყენებული. კი, ბატონო, ყველა ქვეყანაში შემოქმედებითი ორგანიზაციები თავად ირჩენენ თავს, მაგრამ ჩვენ ხომ აგერ გუშინ დავშორდით კომუნისტურ სისტემას და ასეთი ორგანიზაციები ჯერჯერობით დამოუკიდებლად ვერ იარსებებენ. ერთი შეხედვით, პრიორიტეტული სფერო - თავდაცვის სამინისტრო ავიღოთ. მე ჩვენ გაზეთში - „XXI საუკუნე“ - სამი წლის წინ დავბეჭდე მონაცემები, თუ როგორ ფინანსდება საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის თავდაცვის სამინისტროები, კერძოდ, ჯარი. საქართველოსთან შედარებით, ხუთჯერ მეტი დაფინანსება ჰქონდათ სომხეთისა და აზერბაიჯანის არმიებს და ასეა დღესაც. ჩვენი თავდაცვის სამინისტრო, რაც ყველაზე სავალალოა, ბიუჯეტში რაცაა გამოყოფილი, იმასაც ვერ იღებს. ასეთ შემთხვევაში ჩვენი არმია არის ბუტაფორია: არც სათანადო წვრთნა, არც სათანადო ტექნიკა და არც ბრძოლისუნარიანობა. ეს მაშინ, როცა დაკარგულია საქართველოს ორი მნიშვნელოვანი კუთხე. ჩვენ მარტო სააღლუმო არმია გვყავდეს, უხერხულია. ამიტომაც არის, რომ პარლამენტი გამუდმებით ითხოვს, გაიზარდოს თავდაცვის სამინისტროს დაფინანსება. გაიზარდოს, თუ საიდან - ეს მეორე საკითხია. თანაც რა კრიმინოგენურ სიტუაციაში გვიხდება ყოფნა, ცხოვრება. თუნდაც კახი ასათიანის მკვლელობა და რუსთავში მძევლების აყვანა გავიხსენოთ. ასეთ ვითარებაში ძნელია ბიუჯეტსა და მის შესრულებაზე ფიქრი. სიცოცხლის გადარჩენაზე, არსებობაზე ვიზრუნოთ თუ ქვეყნის აყვავებაზე. ბიუჯეტის პროექტს, რაგინდ კარგადაც იყოს შედგენილი, შესრულება სჭირდება. თეორეტიკოსებმა პერსპექტივაში ძალიან სწორად და ზუსტადაც რომ გაანაწილონ, თუ არ შესრულდა, რა აზრი აქვს. არ შესრულებულა დამოუკიდებელი საქართველოს არც ერთი წლის ბიუჯეტი. რამდენადაც ვიცი, ორი წლის

წინ ამერიკამ ბიუჯეტი 250 მილიარდის გადაჭარბებით შეასრულა, შარშან - 150 მილიარდის. საქართველოს 300-400 მილიონიანი ბიუჯეტი არასოდეს შესრულებულა. თვით ეს ფაქტი, ჩვენი ეკონომიკური ჩამორჩენა მძიმე ტვირთად აწევს საზოგადოებას, ხელს აძლევს დამნაშავეთა სამყაროს და გაუსაძლისს ხდის ქართველი კაცის ყოველდღიურ ყოფას.

„პარლამენტის უწყებანი“, 2002, № 11-12

სიტყვა
ელიზბარ ერისთავის ძეგლის გახსნაზე გორში

მეგობრებო, თითოეულ ჩვენთაგანს ახსოვს, როგორ იყო საქართველო დაფარული ქვეყნის მოღალატეთა თუ დამპყრობთა ძეგლებით (ლენინი, ორჯონიკიძე, კიროვი)...

იშვიათად თუ დაიდგმებოდა პატრიოტისა და მამულიშვილის ძეგლი. დღეს კი მომსწრენი ვართ იმისა, რომ საზოგადოების მიერ კიდევ ერთი, სამშობლოსათვის თავდადებული პიროვნება როგორ იქნა აღმოჩენილი და წარმოდგენილი.

ელიზბარ ერისთავს იცნობდა ქართული მეცნიერება, მის შესახებ იცოდნენ მკვლევარებმა. მაგრამ ხალხისთვის ეს ღირსეული მამულიშვილი უცნობი იყო ისევე, როგორც ალექსანდრე ბატონიშვილი, ქაქუცა ჩოლოყაშვილი.

მინდა შეგახსენოთ, რომ 1832 წლის შეთქმულთაგან რუსეთის იმპერიამ მხოლოდ ელიზბარ ერისთავს გამოუტანა სასიკვდილო განაჩენი. მადლობა ღმერთს, იგი არ აღსრულებულა, მაგრამ თვითონ ფაქტი ხომ ნიშნავს იმას, თუ როგორი შეურიგებელი იყო ელიზბარის მიმართ რუსეთის იმპერია.

და დღეს, როცა ქართველი ხალხის წინაშე ასე დიდებულად წარმოჩნდა ეს სახელი, როგორც ერთ-ერთმა ქართველმა, მადლობა მინდა ვუთხრა ამ იდეის ავტორებს, აღმსრულებლებს, მათ, ვინც ეს სახელი დაუბრუნა ერს.

გაზ. „ჩვენი მწერლობა“, 2003, 24-30 იანვარი .

სოსო სიგუას შავი სია

რუბრიკის მომდევნო სტუმარია პარლამენტარი სოსო სიგუა, რომელიც დაუფარავად საუბრობს იმ პიროვნებებზე, რომელთაც უდიდესი წვლილი მიუძღვით საქართველოს გაპარტახებაში.

№ 1. საზოგადოება

დღევანდელი მდგომარეობის გამო, პირველ რიგში, პასუხი საზოგადოებას მოეთხოვება, რომელიც მზად არ აღმოჩნდა დამოუკიდებლობისათვის. ძმათამკვლელი ომიდან დაწყებული, დღემდე არასწორ გადაწყვეტილებებს ვიღებთ. უმიზნოდ და უმისამართოდ ვხარჯავთ ენერგიას მაშინ, როცა თითოეულ ჩვენგანს შეუძლია ქვეყანაში მდგომარეობის შეცვლა, მაგრამ ამისთვის თავგანწირვაა საჭირო, რაც დღეს არ შეგვიძლია.

№ 2. სახელმწიფო გადატრიალების მთავარი გმირები

საქართველოს ნგრევაში დიდი როლი ითამაშეს სახელმწიფო გადატრიალების მთავარმა გმირებმა - თენგიზ სიგუამ, თენგიზ კიტოვანმა და ჯაბა იოსელიანმა. მათ კისერზეა იმ ახალგაზრდების სისხლი, რომლებიც სამოქალაქო ომის დროს დაიღუპნენ. სწორედ მათ დაუდეს სათავე საქართველოს უბედურებას. ამ ადამიანებმა ზვიად გამსახურდიას, საქართველოსა და საკუთარ ღირსებას უღალატეს, სამაგიეროდ, რუსეთის ინტერესები გაატარეს საქართველოში.

№ 3. პრეზიდენტი, რომელმაც მიზანმიმართულად დაანგრია საქართველო

შავ სიაში ღირსეულ ადგილს დაიკავებს ედუარდ შევარდნაძე, რომელიც მთელი თავისი მოღვაწეობის მანძილზე რუსეთის პოლიტიკას ატარებდა საქართველოში. პრინციპში, ეს ბუნებრივიც არის, რადგან იგი 30 წლის განმავლობაში სამჯერ დასვა რუსეთმა საქართველოს ხელისუფლების სათავეში - ჯერ 1972 წელს, მეორედ - 1992-ში, მესამედ კი - 1993 წელს, როცა ბალტინის ტანკები შემოიყვანა ზუგდიდში. ამიტომაც იგი რუსეთთან ყველანაირ დათმობაზე მიდის - ყურადღებას არ აქცევს იმას, რომ სოხუმში რკინიგზის ხაზი გაიხსნა და აფხაზეთის მოსახლეობის ნაწილს რუსული პასპორტები დაურიგეს. უფრო მეტიც, მან, ხელისუფლების შენარჩუნების მიზნით, ლანგრით მიართვა დიდ იმპერიას აფხაზეთი. საქართველოში შევარდნაძის ჩამოსვლის ერთ-ერთი მიზანი ქართველ ერში ნაციონალური სულის ჩაკვლაა, რათა ხალხმა თავისი პირით თქვას - ამას ჯობდა, რუსეთთან ერთად ვყოფილიყავით, საჭმელ-სასმელი მაინც გვექნებოდაო. ამიტომ განიცდის საქართველოს საშინაო პოლიტიკა კატასტროფას.

№ 4. დამნაშავე ორგანიზაციები

შავ სიაში მოხვდება ყველა ის ადამიანი, ვინც უკანასკნელი 10 წლის მანძილზე შევარდნაძის გვერდით იდგა და მის გეგმებს ახორციელებდა. დამნაშავენი არიან ის მინისტრები თუ გამგებლები, რომლებსაც შევარდნაძის მმართველობის დროს მოუწიათ მოღვაწეობა, რადგან ესა თუ ის პირი ინიშნებოდა არა პროფესიონალიზმის, არამედ პირადი ერთგულების მიხედვით. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია სამი ორგანიზაცია - „მხედრიონი“, „მოქალაქეთა კავშირი“ და ედპ, რომელთა

წევრებსაც უამრავი ხალხის ცოდვა აწევთ კისერზე. დიახ „მხედრიონთან“ ერთად ედპ-ც იბრძოდა იარაღით ხელში ეროვნული ხელისუფლების წინააღმდეგ. ეს პარტიაც, ისევე როგორც „მოქალაქეთა კავშირი“, დღემდე შევარდნაძის მითითებების უსიტყვო შემსრულებელია, რისთვისაც არცთუ შორეულ მომავალში მოეთხოვება პასუხი.

№ 5. ცრუ ბიზნესმენები

ქვეყანაში შექმნილ მდგომარეობაზე გარკვეული პასუხისმგებლობა ეკისრებათ ე.წ. ბიზნესმენებს. არც ერთი მათგანის ბიზნესი არ იქნებოდა წარმატებული, ხელისუფლებასთან ლოიალური დამოკიდებულება რომ არ ჰქონდეთ. უფრო მეტიც, თემურ ჭყონიას და სხვებს პრეზიდენტმა გაუმართა ხელი. ეს ადამიანები მისი წყალობით გამდიდრდნენ. ასე რომ იმ ბიზნესმენთა ნაწილი, რომელიც პრეზიდენტის წინააღმდეგ გამოდის, ცრუ ოპოზიციონერები არიან. დღეს მოღვაწე ბიზნესმენთა უმრავლესობამ საქართველოში შექმნილი ქაოსით ისარგებლა და ხალხის ხარჯზე გამდიდრდა.

№ 6. „წითელი“ ინტელიგენცია

შავ სიაში მოხვდება ე.წ. წითელი ინტელიგენცია, რომელმაც საზოგადოება იდეოლოგიურად დაამუშავა და მისი ცნობიერება შევარდნაძის სასარგებლოდ მომართა. ასეთი ადამიანები კი, მოგეხსენებათ საკმაოდ ბევრია. ჭაბუა ამირეჯიბიდან და ოთარ მეღვინეთუხუცესიდან დაწყებული, გიგა ლორთქიფანიძითა და იზა ორჯონიკიძით დამთავრებული, ყველამ შესცოდა ქვეყნის წინაშე. სამწუხაროა, რომ ეს პიროვნებები დღემდე გვარწმუნებენ, ყველაფერი კარგად არის, უბრალოდ, ამას თქვენ ვერ ხედავთო.

პასუხს ვაგებ თითოეულ სიტყვაზე მართლმსაჯულებისა და ისტორიის წინაშე: სოსო სიგუა

რუბრიკას უძღვება ნატო ფოცხიშვილი
გაზ. „ასავალ-დასავალი“, 2003, 13-19 იანვარი

ენა, ერი, რწმენა

11 წელია დღევანდელი ხელისუფლება მართავს ქვეყანას.

11 წელია იგი მიზანმიმართულად ანგრევს ილია ჭავჭავაძის მცნებას - „ენა, მამული, სარწმუნოება“, რაც ჩვენი ეროვნული ცნობიერების ქვაკუთხედია.

ასე იქცეოდნენ ბოლშევიკები და ასე მოქმედებენ მათი შვილები და შვილიშვილებიც.

ხშირად ამბობენ, რომ ეს ხელისუფლება სუსტია და უნიათო, ისიც ვერ მოუხერხებია, ხალხს ხელფასი და პენსია მისცესო.

მაგრამ საქმე ის გახლავთ, რომ ძალადობით მოსული ხელისუფლების მიზანი არ გახლავთ ქვეყნის გაძლიერება ან ეროვნული სულის განმტკიცება.

ყველანი ვხედავთ, რომ არცერთი სასიკეთო გადაწყვეტილება არ სრულდება, მაგრამ ზუსტად ხორციელდება ქვეყნის დამაქცევართა ყოველი იდეა, რასაც დაბეჩავებული და გულგატეხილი ხალხი დუმილით ხვდება.

10-12 წლის წინანდელი ეიფორია შეცვალა ღრმა დეპრესიამ, რადგან, როგორც ამბობდნენ ძველი ბერძნები, რაც არის პირველი პირი, ისეთივეა ხალხიც.

ხელისუფლების მაქებარნი ხშირად აღნიშნავენ, რომ ქართულ ენას სახელმწიფო სტატუსი 25 წლის წინათ შეუნარჩუნა ედუარდ შევარდნაძემ.

თუ ეს მართალია, დღეს რა უშლის ხელს პრეზიდენტს, რომ ქვეყანამ მიიღოს ნორმალური კანონი ქართული ენის სახელმწიფო სტატუსზე!

როგორც მოგეხსენებათ, ფრაქცია „XXI საუკუნის“ ინიციატივით ჩავარდა პარლამენტში ის კანონი, რომელიც ფაქტიურად აუქმებდა ქართული ენის სახელმწიფოებრიობას და ამკვიდრებდა ენისა და ეროვნული შეგნების რღვევის პროცესს.

ეს კანონი კი პრეზიდენტის მიერ იყო ხელდასხმული.

„ენა დედაა ერისა“, - ქადაგებს ჩვენი ტელევიზია და ამას იმეორებს, რაც უნდა პარადოქსული იყოს, ქართული ენის პალატის თავმჯდომარე, სპეციალობით ენათმეცნიერი.

ენა კი არ არის ერის დედა, არამედ - ერია ენის დედა, მისი შემოქმედი და დამცველი. სანამ ძლიერია ერი, არ მოკვდება მისი ენა.

როგორ შეიძლება დღეს დაეცეს ან გადაგვარდეს ინგლისური, ესპანური ან გერმანული ენა!

როცა დაემხო რომის იმპერია, ლათინური იქცა მწიგნობართა ენად. ამ ენაზე კი ხალხი აღარ მეტყველებდა.

როცა განადგურდა ელადა, მოკვდა ძველი ბერძნული ენა.

ასევე დაემართა ეგვიპტურს, ძველ სომხურს, ალბანურს, ბიზანტიურს, რომ არაფერი ვთქვათ სხვა ერებსა და ენებზე, თუნდაც წინააზიაში მოსახლე ხალხებზე.

ენა არის ეროვნული გონის გამოხატულება და ამიტომაც ჩვენი ხელისუფლება ხელს უწყობს არა მის განმტკიცებას, არამედ - დაქვეითებასა და დაკნინებას, სამოქმედო არეალის შეზღუდვას.

მეცნიერებმა და მწერლებმა ბოლშევიკური ტირანიის ჟამსაც კი შეძლეს დაეცვათ და დაეხვეწათ „ენა ჩვენი ქართული“, მაგრამ იგი ლამის ჟარგონად იქცა და კანონგარეშე გამოცხადდეს დამოუკიდებელ

საქართველოში!

ეს ერთი მხრივ.

მეორე მხრივ - საქართველოში ქართული ენის დაცვას ნაციონალიზმად ნათლავენ, ერთის მაგივრად ფაქტიურად გვთავაზობენ რამდენიმე სახელმწიფო ენას.

რამდენი წელია იბრძვიან რევაზ მიშველაძე, ელიზბარ ჯაველიძე და გურამ შარაძე, რათა დაბადების მოწმობაში მაინც იყოს ჩაწერილი, რომ ჩვენ ქართველი ვართ.

პრეზიდენტს წლიდან წლამდე გადააქვს ამ საკითხის განხილვა და, როგორც რევაზ მიშველაძე შენიშნავს, წლების მანძილზე იბადებიან ბავშვები, რომელთაც არც ეროვნება აქვთ და არც მამის სახელი.

ზოგი ცინიკურად აცხადებს, არც დავით აღმაშენებელს და არც რუსთაველს არსად ეწერათ, რომ ისინი ქართველები იყვნენო!..

თითქოს მაშინ არსებულიყო პასპორტი ან დაბადების მოწმობა!

როგორც გახსოვთ, ბრეჟნევის ეპოქაში მკვიდრდებოდა „საბჭოთა ხალხის“ ცნება.

ახლაც, ხელისუფლების გულმოდგინებით, ასე იცვლება „ქართველი ხალხი“ „საქართველოს ხალხით“.

ჩვენ ისიც გვახსოვს, რომ **საქართველოს უწოდებდნენ ლაბორატორიასა და ექსპერიმენტების ქვეყანას.**

ეს ექსპერიმენტები მეტი ინტენსივობით გრძელდება და მათი მიზანია ეროვნული სულისაგან დაცლა.

არცერთი ექსპერიმენტი საქართველოს სასიკეთოდ არ დაწყებულა და არ წარმართულა.

ენისა და ერის დათრგუნვის პარალელურად ირღვევა და იშლება მართლმადიდებლობის ტრადიციები, ქრისტიანული მრწამსი, რომლის დაცვას შეეწირა ჩვენი წინაპრების თვალის ჩინი და სიცოცხლე.

ასე რომ, თანმიმდევრულად ინგრევა და უფასურდება ილია ჭავჭავაძის ანდერძი - **„ენა, მამული, სარწმუნოება“.**

დაბეჩავებული ხალხი კი დუმს და ეს დუმილი ხელისუფლებას თანხმობის ნიშნად მიაჩნია.

თქვენ, ვინც კითხულობთ ამ გაზეთს, რომელთაც გიყვართ საქართველო, ჩვენი ისტორია, ენა და მამული, ხედავთ, როგორ ვებრძვით ხელისუფლების ძალმომრეობას, რადგან, როგორც ამბობდა ზვიად გამსახურდია, ეროვნება არა აქვს მხოლოდ ცხოველს.

XXI საუკუნეში ჩვენ არ გვინდა ცხოველად ქცევა!

„მწერლის გაზეთი“, 2003, 13-19 მარტი

ეკუთვნოდა თუ არა რეზო ამაშუკელს და გურამ დოჩანაშვილს რუსთაველის პრემია?!

1965 წელს დაარსებული რუსთაველის სახელობის პრემია, რომელიც კულტურაში შეტანილი წვლილისთვის გადაეცემა საზოგადო მოღვაწეებს, პირველად ოთხმა პიროვნებამ მიიღო: კონსტანტინე გამსახურდია - „დავით აღმაშენებელი“, ირაკლი აბაშიძე - „პალესტინა, პალესტინა...“, ლადო გუდიაშვილი - მხატვრობა; ელგუჯა ამაშუკელი - ქართლის დედის ქანდაკება... იმ წელს არავის გაუპროტესტებია ჟიურის ეს გადაწყვეტილება, დღეს კი... 2003 წლის პრემიების გადაცემაზე კანდიდატებად ოთხი პიროვნება – რეზო ამაშუკელი, ბესიკ ხარანაული, გურამ დოჩანაშვილი და იზა ორჯონიკიძე იყო დასახელებული. ჟიურის გადაწყვეტილებით რუსთაველის პრემია მხოლოდ რეზო ამაშუკელმა და გურამ დოჩანაშვილმა მიიღო. აღნიშნული გადაწყვეტილებით საზოგადოების უმრავლესობა უკმაყოფილო დარჩა. განსაკუთრებული აქცენტი რეზო ამაშუკელზე გაკეთდა. საზოგადოებას ჯერ კიდევ ახსოვს ამაშუკელის პიროვნული დაპირისპირება საქართველოს პირველ პრეზიდენტთან და მისი დაუფარავი აგრესია ეროვნული მოძრაობის მიმართ. ამგვარად, პოლიტიზირებულ საზოგადოებას არც პრეზიდენტის კლასელის, გურამ დოჩანაშვილის პოზიციები დავიწყებია. რას ფიქრობს ამ საკითხთან დაკავშირებით კრიტიკოსი და პარლამენტარი სოსო სიგუა და რამდენად ობიექტური იყო ჟიურის ეს გადაწყვეტილება?!

– ერთმნიშვნელოვნად გამიჭირდება იმის თქმა, თუ რამდენად ობიექტური იყო რუსთაველის პრემიის მინიჭება გურამ დოჩანაშვილისა და რეზო ამაშუკელისთვის.

სხვათა შორის, ახალგაზრდობაში პირველი წერილი რეზო ამაშუკელის პოეზიაზე მაქვს დაბეჭდილი „ცისკარში“, გურამ დოჩანაშვილზე კი არაფერი დამიწერია. როგორც პოეტი, რეზო ამაშუკელი კარგი პოეტია. მე არ ვამბობ, რომ იგი პირველია, მაგრამ კარგი ლექსები აქვს.

ჯერ გურამ დოჩანაშვილზე მოგახსენებთ. დოჩანაშვილი განსაკუთრებით პოპულარული სატელევიზიო სპექტაკლების საშუალებით გახდა, მაგრამ 80-იანი წლების შემდეგ მან უარყო ის ხაზი, რომლითაც პოპულარული გახდა ხალხში და მიმართა ენობრივ ექსპერიმენტებს, გამოგონილ სიტყვებს, სადაც შეგნებულად იმსხვრევა სინტაქსი, ფუძე, ქართული ლექსიკა და გამოგონილი ფრაზებით იგება ნაწარმოები. მეორეს მხრივ, გარემო, რომელზეც ის წერს, ყოველთვის გამოგონილია, აბსტრაქტული და არაქართული. გურამ დოჩანაშვილმა ავანგარდიზმის პრინციპიდან გამომდინარე, ანტიესთეტიზმით ააგო თავისი

მეტყველება.

– რომელმაც საკმაოდ მოხიბლა მკითხველი...

– მკითხველის ერთი ნაწილი... ბოლო წლებში ტოტალური შეტევა მიმდინარეობს ქართული ფსიქიკის, ხასიათის, ცნობიერებისა და მეტყველების წინააღმდეგ. თქვენც კარგად ხედავთ, რომ ტელევიზიაში შეგნებულად უთმობენ ადგილს ისეთ ადამიანებს რომლებიც გამოდიან ყოველგვარი ეროვნულის წინააღმდეგ და ასეთ დროს, ცნობილი და კარგი მწერალი გურამ დოჩანაშვილი ამ ტიპის ადამიანებისთვის ახლობელი ხდება, როგორც კარგი საპროპაგანდო მწერალი. ამ თვალსაზრისით, მხარს ვერ დავუჭერ გურამ დოჩანაშვილის პოზიციას ქართულ ენასთან დაკავშირებით.

– ამგვარი დასკვნის შემდეგ, როგორ ფიქრობთ, ეკუთვნოდა თუ არა დოჩანაშვილს რუსთაველის პრემია?

– გურამ დოჩანაშვილს, როგორც მწერალს, ეკუთვნის რუსთაველის პრემია, თუმცა, კონკრეტულად ვერ გეტყვით – რაში. მე, ბოლო წლებში დაწერილი მისი ნაწარმოებები არ წამიკითხავს და ვერც წავიკითხავ. გამიჭირდება. მეც და საზოგადოების უმრავლესობა მის ნაწერებს ვერ ვკითხულობთ, ვინაიდან მასში არ არის არც ეროვნული სატკივარი, არც ესთეტიზმი და არც დიდი გემოვნება. ეს ძირითადად ანტიესთეტიზმზე აგებული ლიტერატურაა.

– რაც შეეხება რეზო ამაშუკელს...

– როგორც გითხარით, პირველი წერილი რეზო ამაშუკელზე მაქვს დაწერილი, მერე კი მასზე არაფერი დამიწერია. კარგი ლექსები აქვს გამოქვეყნებული 60-70-იან წლებში. ამის შემდეგ გამორჩეული ლექსები არ დაუწერია და საერთოდ, პოეტები ძირითადად ახალგაზრდობის წლებში წერენ. პოეტი ასაკში რომ შედის, ლექსებს კი წერს, მაგრამ საუკეთესო ლექსები მაინც ახალგაზრდობის წლებში აქვს შექმნილი. გიორგი ლეონიძეს აქვს ასეთი ფრაზა: „სიჭაბუკე და ლექსი ერთია, ერთ ჩუქურთმაში გამოყვანილი“. ქართველი პოეტების უმრავლესობა ახალგაზრდობის წლებში ქმნიდა შედევრებს. ამ შემთხვევაში არც რეზო ამაშუკელია გამონაკლისი. რაც შეეხება მის პოზიციებს, რაც მან 90-იან წლებში გამოავლინა ეროვნული მოძრაობის მიმართ, ჩემთვის მიუღებელია. ზოგჯერ ხდება ხოლმე, რომ ამგვარი პოზიციის მიუხედავადაც შეიძლება შედევრები შეიქმნას, მაგრამ ამაშუკელს შედევრები ამ თვალსაზრისით არ შეუქმნია.

– სამაგიეროდ შევარდნაძისეულ პოლიტიკაში კარგად გამოიჩინა თავი...

– იცით, მწერალს მარტო პოზიციის მიხედვით ვერ შეაფასებ. კიდევ ვიმეორებ, სტალინზე, რომელიც ტირანი იყო, შედევრებია დაწერილი.

პოეზიაში სიმართლე და ობიექტურობა არ არის მთავარი...

– მაგრამ ამ დონის პოლიტიზირებული საზოგადოებისთვის უკან არის მოტოვებული ამაშუკელის პოეზია და ყველას კარგად ახსოვს ამ პოეტის ის ფრაზა, როდესაც მან რუსთაველის პროსპექტზე მდგარ მომიტინგეებს სუნიანი პროვინციელები უწოდა...

– მკითხველს მარტო ნაწარმოები არ აინტერესებს, მას ავტორიც აინტერესებს და სურს, როგორიც ჩანს ნაწარმოებში, ისეთი ადამიანიც იყოს, ანუ სურს მთლიან პიროვნებას ხედავდეს, როგორც თუნდაც მუხრან მაჭავარიანია, რომლის პოეზიის უკანაც დგას პიროვნება. ხოლო როცა გაბზარულია პიროვნება და შემოქმედება, საზოგადოება მას უნდობლად უყურებს.

– და მწერლის შემოქმედებას გადასწონის მისი პიროვნული პოზიციები...

– დიახ, წინააღმდეგ შემთხვევაში მწერალი ისეთი მასშტაბის მოვლენა უნდა იყოს, რომელსაც საზოგადოება ამ პოზიციას აპატიებს. საშუალო პოეტთან მიმართებაში საზოგადოება ძალიან მკაცრია და მისგან იმ პოზიციის დაცვას მოითხოვს, რომლითაც ხალხი ცხოვრობს.

– თქვენთვის, როგორც კრიტიკოსისთვის და პარლამენტარისთვის, რუსთაველის პრემიის ლაურეატებზე გათვალისწინებული უნდა იყოს თუ არა წონადობა და ავტორიტეტი საზოგადოების თვალში?

– ეს უკვე მეტისმეტად პირობითია. მაგალითად, რუსთაველის პრემიაზე წარდგენილი იყო თვალსაჩინო პოეტი ბესიკ ხარანაული და სამწუხაროა, რომ მან ვერ მიიღო პრემია, ჟიურიმ ასე გადაწყვიტა და ასე შეაფასა. ხშირად რუსთაველის კი არა, ნობელის პრემია განაწილებულა არასწორად. მაგალითად, ნობელის პრემია არ მისცეს ლევ ტოლსტოის და XX საუკუნის ბევრ უდიდეს მწერალს.

– რუსთაველის პრემიაზე წარდგენილი ოთხივე კანდიდატის - რეზო ამაშუკელის, გურამ დოჩანაშვილის, ბესიკ ხარანაულისა და იზა ორჯონიკიძის პოლიტიკურ წარსულს თუ გადავხედავთ, დავინახავთ, რომ ოთხივეს, უხეშად რომ ვთქვათ, „ანტიზვიადისტური“ პოზიციებით იცნობს საზოგადოება. რა აზრის ხართ ამასთან დაკავშირებით?

– უნდა გითხრათ რომ ამ წლების განმავლობაში რუსთაველის პრემია არც ერთ ოპოზიციონერ მწერალს არ მიუღია და მეეჭვება, როდესმე ოპოზიციონერ მწერალს მისცენ.

– ფიქრობთ, რომ არაობიექტური გადაწყვეტილება იყო?

– ვერ გეტყვით, რომ არაობიექტური იყო. მაგალითად, ბესიკ ხარანაული არც პოლიტიკაში გარეულა და არც ტრიბუნით გამოსულა. არადა, საზოგადოება სწორედ ასე ეცნობა მწერალსა და პოეტს, თუმცა, ერთ-

ერთი თვალსაჩინო პოეტია, რომელმაც დიდი გავლენა მოახდინა 70-იანი წლების ქართულ პოეზიაზე.

– თქვენ რომ იმ კომისიის თავმჯდომარე იყოთ, რომელიც აღნიშნულ პრემიებს ანაწილებს, ვის მისცემდით ამ პრემიას?

– მე ამ ოთხი კანდიდატურიდან ბესიკ ხარანაულს და გურამ დოჩანაშვილს მივცემდი.

– ბოლო დროს ხშირად ისმის კრიტიკა ტარიელ ჭანტურიას მისამართითაც. ამბობენ, რომ რუსთაველის პრემიის მიღებაზე „ჩაწყობები" საკმაოდ მაღალ ეშელონებში მიმდინარეობს და მასში ჭანტურიაც აქტიურად მოქმედებსო...

- ტარიელ ჭანტურიას ძალიან კარგად ვიცნობ. ის ბრწყინვალე პოეტია. ვერ გეტყვით ამ კომისიაში რა მექანიზმი მოქმედებს. კენჭისყრა ფარულად მიმდინარეობს და არც ის ვიცი, რა ზეგავლენას მოახდენდა მასზე ტარიელ ჭანტურია, თუმცა ვიცი, რომ ტარიელს გული დაწყდა, ბესიკ ხარანაულმა რომ ვერ მიიღო პრემია. რუსთაველის პრემია უკვდავების გარანტია არ არის, თუმცა ეს სახელმწიფო პრემიაა, რომელიც გამოხატავს კულტურაში შეტანილ წვლილს სახელმწიფოებრივი თვალსაზრისით. დროთა განმავლობაში ყველა პრემია მაინც უფასურდება. მაგალითად, სტალინური პრემია შვიდჯერ ჰქონდა მიღებული კონსტანტინე სიმონოვს, საქართველოში ხუთგზის ლაურეატი იყო აკაკი ხორავა, ეს პრემია სამჯერ მიიღო გიორგი ლეონიძემ. გალაკტიონ ტაბიძეს კი არც ერთხელ არ მიუღია პრემია. თუმცა მას კომუნისტებზე მთელი ციკლები და ტომები აქვს დაწერილი. ასეა რუსთაველის პრემიაც. ორმოცი წლის განმავლობაში არ შეიძლება ყოველთვის ვარსკვლავებს მიეღოს. გავა ორასი წელი და აღარავის ემახსოვრება ეს პრემიები, სამაგიეროდ დარჩება ლექსები, პოემები, მოთხრობები და მათ ღირსებაზე არც ჩაწყობა იმოქმედებს და არც ნათესაობა.

ესაუბრა ნინო ჩხაიძე
გაზ. „ალიონი", 2003, 31 მარტი

25 წლის შემდეგ

25 წელი გავიდა მას შემდეგ, რაც ქართველი ახალგაზრდობა რუსთაველის პროსპექტზე გამოვიდა და ამ თავგანწირვის წყალობით რესპუბლიკის კონსტიტუციაში დარჩა ქართული ენის სახელმწიფო სტატუსი.

ცხადია, წარმატება ედუარდ შევარდნაძემ მიიწერა, თუმცა ამ მოძრაობის არაერთი აქტივისტი ციხეში ჩასვა, ხოლო თვით ქართულის სახელმწიფო ენად ფუნქციონირებისათვის არაფერი გააკეთა. ხელისუფლების

სამუშაო ენად ისევ რუსული რჩებოდა, ოფიციალური დოკუმენტაცია კვლავ რუსულ ენაზე დგებოდა.

მას შემდეგ ბევრი რამ შეიცვალა. დაინგრა საბჭოთა კავშირი, საქართველო დამოუკიდებელი ქვეყანა გახდა. ახალ, ნახევარკონსტიტუციაში ისევ დარჩა მუხლი ქართული ენის სახელმწიფო სტატუსზე. მაგრამ თუ როგორ უნდა ამოქმედდეს - ძველებურად გაურკვეველია.

იმართება თათბირები, კონსულტაციები ეუთოს წარმომადგენლებთან, ეუთოს გენერალურ კომისრებთან ეროვნულ უმცირესობათა საკითხებში. დაიწერა კანონპროექტიც, რომელიც ფაქტიურად აუქმებდა ქართული ენის სახელმწიფოებრიობას. ამიტომ ჩავარდა იგი პარლამენტის სხდომაზე.

მას შემდეგ კარგა ხანი გავიდა. მაგრამ შესწორებული კანონპროექტი არ ჩანს. ზოგი ამბობს კიდეც, რომ სჯობს კონსტიტუციის ეს მუხლი დარჩეს დეკლარაციის დონეზე, არ ამუშავდეს, ვიდრე მივიღოთ ანტიქართული კანონიო.

მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის პრაქტიკა ცხადყოფს, რომ სახელმწიფო ენის ცნება ერთმნიშვნელოვანი არ არის.

სამი სახელმწიფო ენა აქვს შვეიცარიას, ორი - ბელორუსიას, კანადას, კვიპროსს, ირლანდიას, ყაზახეთს, ნორვეგიას, ხოლო აშშ-ს, უნგრეთსა და შვეციას საერთოდ არა აქვთ ფიქსირებული სახელმწიფო ანუ ოფიციალური ენა.

ბევრი სახელმწიფო, რომელსაც აქვს ერთი სახელმწიფო ენა, სპეციფიკური ვითარებიდან გამომდინარე, სხვა ენებს ანიჭებს სპეციალურ სტატუსს ანუ პარალელურად ოფიციალურ ენად აცხადებს ამა თუ იმ რეგიონში იქ მცხოვრებთა ენას. ასეა რუსეთის ფედერაციაში, სადაც სახელმწიფო ენაა რუსული, მაგრამ შვიდ ავტონომიურ რესპუბლიკას აქვს თავისი სახელმწიფო ენაც და ჰყავს თავისი პრეზიდენტი.

საფრანგეთი, რომელშიც უამრავი არაფრანგი ცხოვრობს, სცნობს მხოლოდ ერთ - ფრანგულ ენას და არცერთი ეთნიკური ჯგეფისათვის არ უშვებს სპეციალურ სტატუსსაც კი.

სახელმწიფო ერთიანი ვერ იქნება მხოლოდ ტერიტორიული ან ეკონომიკური ურთიერთობის ნიშნით, რადგან ეს კავშირი ხორციელდება ენის მეშვეობით.

ამიტომ იძენს დიდ მნიშვნელობას სახელმწიფო ენის ცნება, როგორც ცენტრალური ნერვული სისტემა ადამიანისათვის.

ენა ადამიანის უფლებათა ნაწილია და მისი აკრძალვა ან გავრცელების არეალის ხელოვნური შეზღუდვა დაუშვებელია.

ისევე როგორც ყველა ადამიანი თანასწორია, მიუხედავად რასისა, კანის ფერისა, სქესისა, პოლიტიკური მრწამსისა, ეთნიკური და სოცია-

ლური წარმოშობისა, ქონებრივი ცენზისა, დაბადების ადგილისა, თანასწორია ენობრივადაც, მიუხედავად მისი ძალმოსილებისა.

სახელმწიფოს ხელში ენა არის ის აუცილებელი ინსტრუმენტი, რომლითაც იგი ახდენს მართვას, ადმინისტრაციის ფუნქციონირებას, კავშირმიმართებას.

თუ სახელმწიფო ერთიანია, მისი პარლამენტი, მთავრობა, პროკურატურა, სასამართლო, ჯანდაცვა, პოლიცია, ჯარი თუ განათლების სისტემა უნდა მეტყველებდეს ერთ ენაზე, საერთაშორისო ხელშეკრულებებიც დაიდოს ამ ენაზე.

ეს საკითხი არაა სადავო რუსეთისა, გერმანიისა, საფრანგეთისა თუ ამერიკის შეერთებული შტატებისთვის.

მხოლოდ საქართველოა ექსპერიმენტების არენა და აქ უნდა მოხდეს ის, რაც არსად მომხდარა!

აშშ-ს ოფიციალურ ენად არ გამოუცხადებია ინგლისური. მაგრამ აბა წარმოვიდგინოთ მისი 50 შტატიდან თუნდაც ერთი, სადაც სასამართლო გაიმართება ფრანგულ, ესპანურ ან გერმანულ ენაზე, სადაც იგნორირებული იქნება ინგლისური - შექსპირისა და ჯორჯ ვაშინგტონის ენა!

გამომდინარე ეუთოს ქვეყნების პრაქტიკიდან, საქართველოში ქართული ენის ფუნქციონირების დაკანონებას ხელს არაფერი უშლის, გარდა ხელისუფლებისა. აფხაზურს მიენიჭება სპეციალური სტატუსი, ე.ი. აფხაზეთის ტერიტორიაზე სახელმწიფო ენებად გამოცხადდება ქართული და აფხაზური.

ხოლო სხვა ენებს ვერ მიეცემა სპეციალური სტატუსი.

ეროვნული უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებშიც ქართული იქნება მმართველობის ენა. მაგრამ საჭიროების შემთხვევაში სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს თარჯიმნის საკითხი, როგორც ეს არის მიღებული ეუთოს ზოგიერთ ქვეყანაში.

მაგრამ დღევანდელ პრეზიდენტს საეჭვოდ ეჩვენება დამოუკიდებელი საქართველოს მომავალი, მისი ტერიტორიული მთლიანობა და ამიტომაც, 25 წლის შემდეგაც აუცილებლად არ მიაჩნია, რომ დააკანონოს და განსაზღვროს ქართული ენის პრიმატი საქართველოში, მისი რეალური სახელმწიფოებრივი სტატუსი.

ექსპერიმენტი გრძელდება!

„მწერლის გაზეთი“, 2003, 10-16 აპრილი

ვის რას ჩამოვართმევდი

დღეს საქართველოს პრინციპული და მიზანდასახული ადამიანის ხელი ესაჭიროება, - მიიჩნევს ფრაქცია „XXI საუკუნის“ წევრი სოსო

სიგუა და დასძენს, რომ პარლამენტში „აღორძინების“ უმრავლესობით მოსვლა და საქართველოს მთელ ტერიტორიაზე აჭარის აღმშენებლობის მოდელის გავრცელება ქვეყანას უდიდეს სიკეთეს მოუტანს.

ედუარდ შევარდნაძეს - საქართველოს პრეზიდენტი პასუხისმგებელია ყოველივეზე, რაც მის ქვეყანაში ხდება. ქართული ეროვნული სულის ჩახშობის, ქვეყნის დაქსაქსვის, ტერიტორიული მთლიანობის დარღვევისა და მოსახლეობის გაღატაკებისთვის დიდი პოლიტიკოსის ტიტულსა და ქვეყნის მართვის უფლებას ჩამოვართმევდი.

მუხრან მაჭავარიანს - ბატონი მუხრანის აზრსა და თითოეულ სიტყვას დიდი ყურადღებით უსმენდა ქართველი ერი. ამიტომ მას დუმილის უფლებას ჩამოვართმევდი.

ვახტანგ რჩეულიშვილს – „მოქალაქეთა კავშირთან“ დაძმობილების ანუ იმ სანაგვეში დაბრუნების უფლებას ჩამოვართმევდი, საიდანაც პოლიტიკაში მოვიდა.

თენგიზ სიგუას - მისი მეთაურობით წამოწყებულ სამოქალაქო ომს გავახსენებდი და თავისუფლებას ჩამოვართმევდი.

თენგიზ კიტოვანს - თენგიზ სიგუას დიდ სარდალს, მუდმივად მომღიმარს, რომელიც კარგა ხანია თავისი ოცნების ქალაქში - მოსკოვში ცხოვრობს, თბილისის დანგრევისთვის ქართველობის უფლებას ჩამოვართმევდი და ყველაფერზე პასუხს ვაგებინებდი.

ვახტანგ გოგუაძეს - ვფიქრობ, ბატონი ვახტანგი შინაგანად დიდი პატრიოტი და გულწრფელი პიროვნებაა, მაგრამ უსაფუძვლო პოლიტიკურმა ამბიციებმა უმძიმესი შეცდომები დააშვებინა. მას იმპერიალიასტური რუსეთის ადვოკატობის სურვილსა და უფლებას ჩამოვართმევდი.

ელდარ შენგელაიას - არაერთი კინოშედევრის ავტორს, ჭეშმარიტად ნიჭიერ რეჟისორს, რომელიც კარგა ხანია ასცდა თავის ნამდვილ მოწოდებას, პოლიტიკურ ბაკქანალიაში მონაწილეობის სურვილს ჩამოვართმევდი.

აკაკი ასათიანს - პოლიტიკური მოღვაწეობის მანძილზე მან უღალატა ზვიად გამსახურდიასაც, ედუარდ შევარდნაძესაც და ასლან აბაშიძესაც. მას, უპირველესად, ორგულობის უფლებას ჩამოვართმევდი.

ჯუმბერ პატიაშვილს - ვფიქრობ, რომ პატიაშვილი დიდი გულშემატკივარი და საქართველოს მომავალზე მზრუნველი პატრიოტი ქართველია. ხალხის მიერ დაფასებულ და აღიარებულ ამ პოლიტიკოსს შევარდნაძის აღზრდილებთან დაახლოების სურვილს ჩამოვართმევდი.

გურამ აბსანძეს - ერთგულებისა და სამშობლოს სიყვარულისთვის მხოლოდ ტყვია და ციხე ერგო. ამიტომ გურამს ილუზიების ტყვეობაში ყოფნის უფლებას ჩამოვართმევდი.

ალექსანდრე კარტოზიას - საქართველოში განათლების სისტემა უმძიმეს მდგომარეობაშია. ამაზე კი პასუხისმგებელი, უპირველესად, განათლების მინისტრია. ალექსანდრე კარტოზიას საქართველოს ისტორიისთვის, ქართული ენისა და ლიტერატურისათვის, საერთოდ, ქართული ეროვნული მონაპოვრისათვის უცხო თვალით შეხედვის უფლებას ჩამოვართმევდი.

ასლან აბაშიძეს - აჭარაში არსებული სიტუაცია ნათლად მიგვანიშნებს იმაზე, რომ ასლან აბაშიძე აღმშენებელი და საკუთარ ხალხზე მოამაგე პიროვნებაა. დიდი გვარის ღირსეულ შვილს აჭარის გადარჩენისა და ქართული კულტურის დაცვისათვის პატივისცემით ერთხელ კიდევ ჩამოვართმევდი ხელს.

სოსო სიგუას - ჩემს თავს ზედმეტ ოპტიმიზმს და პარლამენტში დუმილის უფლებას ჩამოვართმევდი.

მოამზადა თეა ლობჟანიძემ
„ასავალ-დასავალი“, 2003, 21-27 აპრილი

რომელს დაარქმევენ ზვიად გამსახურდიას სახელს - აეროპორტს თუ თავისუფლების მოედანს?

საქართველოს პირველი პრეზიდენტის სახელის უკვდავსაყოფად გასულ წელს პარლამენტმა მიიღო დადგენილება, რომლის ერთ-ერთი პუნქტი ითვალისწინებდა თბილისის ერთ-ერთი მთავარი ქუჩისათვის ზვიად გამსახურდიას სახელის მინიჭებას. ჩვენ წარვადგინეთ პროექტი, მაგრამ შემდეგ მიზეზთა გამო ეს პროექტი ვერ განხორციელდა, რადგან, რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, მის ოჯახს გააჩნდა განსხვავებული მოსაზრება. მათ სურდათ, რომ ზვიად გამსახურდიას სახელი დარქმეოდა თბილისის აეროპორტს. პროექტის მიხედვით კი ეს სახელი დღევანდელი მერაბ კოსტავას ქუჩის ერთ-ერთი ნაწილისათვის იყო გათვალისწინებული. დღეს ყოფილი პეკინის ქუჩა კონსტანტინე გამსახურდიას სახელს ატარებს, ხოლო მის პარალელურ ნაწილს, გმირთა მოედნიდან სააკაძის მოედნამდე, უნდა დარქმეოდა ზვიად გამსახურდიას სახელი.

- „ლეიბორისტული პარტია“ 9 აპრილს ახალი ინიციატივით გამოვიდა, კერძოდ, თავისუფლების მოედანს ეწოდოს საქართველოს პირველი პრეზიდენტის სახელი...

- სხვათა შორის, ეს იდეა ახალი არ გახლავთ. რამდენადაც ვიცი,

ქალბატონ მანანასაც ჰქონდა ასეთი მოსაზრება, რომ თავისუფლების მოედანს ზვიად გამსახურდიას სახელი დარქმეოდა.

- რა ქრონოლოგიური სახეცვლილება განიცადა სახელწოდების თვალსაზრისით თავისუფლების მოედანმა დღემდე. რამდენადაც ვიცი, მისი ამჟამინდელი სახელი ამ ადგილს ერთ დროსაც ერქვა...

- თავისუფლების მოედანმა მრავალჯერ გამოიცვალა სახელწოდება. ჯერ იყო პასკევიჩ-ერევანსკის, შემდეგ ერევნის მოედნად იქცა. ამის შემდეგ მენშევიკებმა თავისუფლების მოედანი შეარქვეს. კომუნისტების მოსვლის შემდგომ კი, რომელთაც სიტყვა თავისუფლება ცხადია, არ მოსწონდათ, იგი შეცვალეს ამიერკავკასიის მოედნით. შემდეგ იყო ბერიას, ლენინი მოედანი და თუკი ამჯერად მას საქართველოს პირველი პრეზიდენტის სახელს მიანიჭებენ, ეს, ვფიქრობ, ყველასათვის უნდა იყოს მისაღები.

- რამდენად მართებულად მიგაჩნიათ ამ ინიციატივის რეალურად განხორციელება? ეს, ალბათ, იმ აზრსაც ითვალისწინებს, რომ ეროვნული მოძრაობა სწორედ ამ ადგილს უკავშირდება...

- რა თქმა უნდა. აბსოლუტურად სწორი მოსაზრებაა, თუმცა ამასთანავე მე იმის მომხრეც არა ვარ, რომ ყველაფერს მისი სახელი ეწოდოს. მაგრამ არის რამდენიმე მთავარი ქუჩა თუ მოედანი, რომელიც მის სახელს უნდა ატარებდეს. მე იმის მომხრეც ვარ, რომ თბილისის ერთ-ერთ ქუჩას ეწოდოს ნოე ჟორდანიას სახელი, რადგან XX საუკუნეში ჯერ 1918 წელს ნოე ჟორდანიამ გამოაცხადა საქართველოს დამოუკიდებლობა, 1991 წელს კი ეს დამოუკიდებლობა აღადგინა ზვიად გამსახურდიამ. ამიტომ ის ფაქტი, რომ შეიძლება ვიღაცას არ მოსწონს ნოე ჟორდანია ან არ უყვარს გამსახურდია, არ არის განმსაზღვრელი ისტორიული სინამდვილისა, რადგან შეფასება უნდა მოხდეს იმის მიხედვით, თუ რა ღვაწლი მიუძღვის ამა თუ იმ პიროვნებას ქვეყნის წინაშე და არა - პირადი სიმპათიის საფუძველზე.

- როგორ ფიქრობთ, რამდენად მისაღები იქნება ეს წინადადება დღევანდელი ხელისუფლებისათვის?

- არა მგონია ეს წინადადება მიიღოს ხელისუფლებამ, რადგან ქალაქის ცენტრში, სადაც გახმიანდება ზვიად გამსახურდიას სახელი, ხელისუფლებისათვის მოსაწონი არ იქნება. ჩემთვის ის აზრიც მისაღებია, რომ აეროპორტს ეწოდოს მისი სახელი, რადგან საქართველოში ჩამოსულ უცხოს პირველად ქვეყნის ეროვნული გმირის, დისიდენტისა და პირველი პრეზიდენტის სახელი უნდა ხვდებოდეს. ეს სიმბოლურადაც ძალიან საინტერესოა, თუმცა შესაძლოა დღევანდელმა ხელისუფლებამ იმაზეც იზრუნოს, რომ მას ედუარდ შევარდნაძის სახელი უწოდოს.

– რატომ ცდილობს შევარდნაძე თავის პოლიტიკური ოპონენტების

იგნორირებას?

– ედუარდ შევარდნაძე ცდილობს, თავის გარშემო შექმნას პოლიტიკური უდაბნო, სადაც არ იქნებიან მისი კონკურენტები არც თანამედროვე და არც - მომავლის თვალსაზრისით. ამის შედეგია სწორედ ის, რომ მან თავისი ორი პოლიტიკური კონკურენტი - ასლან აბაშიძე და ჯუმბერ პატიაშვილი ჩამოაშორა ცენტრალურ ხელისუფლებას. თუკი ასლან აბაშიძე თბილისში არ ჩამოდის, ამის პირობას სწორედ შევარდნაძე ქმნის და ხომ არ ფიქრობთ, რომ ამას ის განიცდის? არა. მას არ აწყობს ოპოზიციონერი კონკურენტები. თუნდაც მათ მნიშვნელოვანი როლი შეასრულონ ქვეყნის კეთილდღეობაში. ამიტომ ეყრდნობა ის იმ პარტიულ კადრებს, რომლებიც თავის დროზე გამოზარდა. ეს იქნება ვიტალი ხაზარაძე, ვახტანგ რჩეულიშვილი თუ სხვანი და სხვანი.

- ბატონო სოსო, ხომ არ დადგა დრო, დაისვას საკითხი ზვიად გამსახურდიას ნეშთის საქართველოში გადმოსვენებისა?

- რასაკვირველია. ქვეყნის პირველი პრეზიდენტი უნდა დაიმარხოს თავის ქვეყანაში, მაგრამ სანამ ედუარდ შევარდნაძე იქნება ქვეყნის მმართველობაში, ეს საკითხი არ დადგება. რამდენადაც ვიცი, თვითონ ქალბატონი მანანაც ჯერჯერობით წინააღმდეგია ზვიად გამსახურდიას ნეშთის გადმოსვენებისა, მაგრამ მომავალი გადაწყვეტს თუ სად დაკრძალავენ პირველ პრეზიდენტს. აქ ორი არჩევანი არსებობს, ეს უნდა იყოს ან კოლხურ კოშკში, კონსტანტინე გამსახურდიას საფლავის გვერდით, ან მთაწმინდაზე.

ყველაფერს კი დრო გამოავლენს, რადგან რაც დრო გადის, ის უმნიშვნელო, წვრილმანი შეცდომები, რომელიც ზვიად გამსახურდიას თავის დროზე არ აპატიეს და დღეს კი მისი სახელით მანიპულირებს ბევრი პოლიტიკოსი, დავიწყებას მიეცემა. უცდომელი არავინ არის. ედუარდ შევარდნაძემ თორმეტი წელი ქვეყნის მართვას ვერ გაართვა თავი და ზვიად გამსახურდიას მოსთხოვეს ერთ წელში მოეხდინა საოცრება? დღეს უკვე ყველა ხედავს ვინ ვინ არის. ამიტომ შთამომავლობის თვალში ზვიად გამსახურდია დარჩება როგორც შარავანდმოსილი გმირი და პირველი პრეზიდენტი საქართველოსი.

ესაუბრა ირმა ახალაია

„ალიონი“, 2003, 12-15 აპრილი.

„მთვარის მოტაცება“ ქართველი ერის ტრაგედიას ასახავს

კონსტანტინე გამსახურდიამ ერთი თავსატეხი დაგვიტოვა, რაც მის დაბადების წელს ეხება: ერთი მონაცემით, ორი წლის წინათ შეუსრულ-

და 110 წელი, მეორე მონაცემით - წლეულს, 31 მაისს აბაშაში, მწერლის სახლ-მუზეუმში, იუბილეს აღნიშნავენ. პრეზიდენტის ფონდიდან სახლ-მუზეუმის რესტრავრაციისათვის გამოიყო 30 ათასი ლარი და არის ერთი სამზადისი. საიუბილეო კომისიას ხელმძღვანელობს რაიონის გამგებელი სოსო ჭანტურია. ჩვენ კი გავესაუბრეთ ლიტერატორს, უნივერსიტეტის პროფესორს, პარლამენტარ სოსო სიგუას. იგი მწერლის შემოქმედებისა და ცხოვრების მკვლევარია. მან თავისი ნაშრომები სამ ტომად გამოსცა. „მარტვილი და ალამდარი“ - ასე ჰქვია სამტომეულს.

– „პირველი ტომი ბიოგრაფიაა, მეორე - პროზის სტრუქტურას ეხება, მესამე - თეორიული სისტემაა. სამეცნიერო წიგნია, მაგრამ წერისას ვცდილობდი, ესეისტური სტილით მეწერა და არა ფილოლოგიური ტერმინებით, მეცნიერული ენით, ძნელად ასახსნელი რომ არის. თუ მწერლობაზე წერ, შენც უნდა ენათესავებოდე მწერლობას“, - აღნიშნავს ბატონი სოსო.

-წერისას კონსტანტინე გამსახურდიას გავლენას ხომ არ განიცდიდით?

- არა. სხვათა შორის, ახალგაზრდობისას გავლენა მეტყობოდა ერთი მხრივ სტრუქტურალიზმის (ცნებითი, ტერმინოლოგიური სტილი) და მეორე მხრივ - გრიგოლ რობაქიძის, თუმცა იგი ჩემი საყვარელი მწერალი არ ყოფილა.

– თავად მწერლობაზე (ვგულისხმობ პროზას) მისი შემოქმედება ლირიკულ-პოეტური ნაკადის შემოჭრაში აისახა. ახლა ლიტერატურაში არც ლირიკა აინტერესებთ, არც ეთიკა, არც ამბავი. თანამედროვე ლიტერატურა, სამწუხაროდ, არის ანტილიტერატურა, იგი ანტიესთეტიზმზეა აგებული. ახლა მხოლოდ იმიტომ წერენ, რომ ხალხი გააოცონ. 70-იან წლებში გავრცელებული იყო ტერმინები: ელიტარული და მასობრივი კულტურა. ჩვენი ლიტერატურა ყოველთვის იყო ელიტარულ კულტურაზე ორიენტირებული, მაგრამ ახლა ელიტარულობა უარყვეს და ყველგან მასობრივი კულტურაა გავრცელებული. ეს არის მომხმარებლური ლიტერატურა, მასობრივი გემოვნებისა და ცნობიერების დამაკმაყოფილებელი. ამგვარი ლიტერატურა წინ ვერ წაიყვანს აზროვნებას.

- თქვენ განსაკუთრებული დამოკიდებულება გაქვთ კონსტანტინე გამსახურდიასადმი, შემთხვევით, იმიტომ ხომ არა, რომ ერთი კუთხიდან ხართ?

- არა მგონია, რადგან ჩემი ყველაზე საყვარელი მწერალი გალაკტიონ ტაბიძეა. იგი, რუსთაველის შემდეგ, ქართულ კულტურაში ყველაზე დიდ მოვლენად მიმაჩნია.

- როგორ ფიქრობთ, კონსტანტინე გამსახურდიას რომელი ნაწარმოები უნდა ისწავლებოდეს სკოლაში?

- ჩემი აზრით, მისი ყველაზე კარგი რომანია „მთვარის მოტაცება“. „დიდოსტატის მარჯვენა“ ძალიან კარგი რომანია, მაგრამ ქართველი ერის ტრაგედია გადმოცემულია „მთვარის მოტაცებაში“.

- ისე, ძნელია ისტორიული რომანის ტყვეობიდან თავის დახსნა, ხშირად გიჭირთ ზღვარის გავლება გამონაგონსა და რეალურს შორის.

- ერთ ლიტერატორს აქვს ასეთი გამოთქმა, კონსტანტინე გამსახურდიამ ისეთნაირად დახატა ძველი საქართველო, რომ თითქოს სხვაგვარი გააზრება არც შეიძლებაო. მართლაც, თითქოს არსებობდა შორენა, თითქოს ასეთი იყო გიორგი მეფე, დავით აღმაშენებელი, არადა, მათზე ძალიან მწირი ცნობები მოგვეპოვება. რას იზამ, რომანი სხვაგვარად ვერ დაიწერება. ევროპელი მწერლების საქმე გაცილებით მოწესრიგებულია, იქ ფაქტობრივი მასალები არსებობს, ფაქტობრივი მასალების არსებობა სიმტკიცეს აძლევს ამბავს.

– მწერალი სადღაც ამბობს, რომ არ მოსწონს, როცა ცნობილი პიროვნებების ბიოგრაფიის შესწავლას იწყებენ.

- ერთგან უწერია, ჩვენი სიკვდილის შემდეგ ჩვენი ნაწერები რჩება, დანარჩენი ქვიშაზე გარდავლილი ქარის ნაკვალევიაო. მაგრამ აქ მეორე საკითხიცაა: კონსტანტინე რამდენჯერმე იყო დაჭერილი, იჯდა მეტეხის ციხეში, გადასახლებული იყო თეთრ ზღვაში „სოლოვკის“ არქიპელაგზე, სდევნიდნენ, ორჯერ დაწვეს მისი წიგნები, იყო გაუთავებელი კრიტიკის ქვეშ და რა გასაკვირია, რომ ყოველივე ამის გახსენება მაინცდამაინც არ სიამოვნებდა, ან ვის ესიამოვნება. მას განსაკუთრებით რუსები ვერ ჰგუობდნენ. მთელი რუსული კრიტიკა, პრესა კონსტანტინეს წინააღმდეგი იყო, როგორც ნაციონალისტისა და შოვინისტისა.

- ხომ არ იცით, რატომ დაარქვა თავის ვაჟს ზვიადი?

- „დიდოსტატის მარჯვენაში“ ერთი პერსონაჟია - ზვიად ერისთავი. რომანის შუამდე იყო მისული, ვაჟი რომ შეეძინა და ამიტომ დაარქვა სპასალარის სახელი. ზვიად დადიანი ისტორიული პიროვნება იყო, მაგრამ კონსტანტინემ შემოიტანა ეს სახელი ლიტერატურაში, ისევე როგორც შორენა, გვანცა, თარაში.

- თქვენ, როგორც კონსტანტინე გამსახურდიას შემოქმედების და ცხოვრების შემსწავლელს, მის შესახებ ბევრისთვის დაფარული ფაქტები გეცოდინებათ. გული ხომ არ აგცრუებიათ მის პიროვნებაზე, არ ყოფილა ამის მიზეზი?

- დიდი ადამიანის ბიოგრაფიაში ყოველთვის არის ისეთი მომენტები, რომელთა პროპაგანდა არ არის აუცილებელი. ამქვეყნად არც არის საინტერესო იდეალური ადამიანები. ადამიანი უნდა იყოს ისეთი, როგორიც გიორგი მეფეა, ზოგჯერ კეთილი, ზოგჯერ ბოროტი, ხან დამარცხდება, ხან გაიმარჯვებს. ცხოვრება ასეთია თავისთავად,

ამიტომაა შედარებით ნაკლებად საინტერესო კონსტანტინეს მიერ დანახული დავით აღმაშენებელი.

ესაუბრა მაია კობახიძე
„დილის გაზეთი“, 2003, 31 მაისი

ჩაშლილი იუბილე

31 მაისს აბაშაში თბილისიდან წავედით მწერალთა ერთი ჯგუფი - მე, რეზო მიშველაძე, დილარ ივარდავა, ნომადი ბართაია, თამაზ წივწივაძე. ქუთაისიდან ჩავიდნენ ოტია იოსელიანი, ავთანდილ ნიკოლეიშვილი, ბათუმიდან - პროფესორი იური ბიბილეიშვილი. იუბილეზე იმყოფებოდნენ ბატონები: ბონდო ჯიქია, ნუგზარ ნადარაია, ბაკურ გულუა, შემოქმედებითი ინტელიგენციისა და მეცნიერების წარმომადგენლები. საიუბილეო საღამოს ორგანიზატორები იყვნენ აბაშის გამგებელი სოსო ჭანტურია და აბაშის მაჟორიტარი დეპუტატი კალანდაძე.

სამწუხაროდ, ასეთ მაღალ დონეზე ორგანიზებული საღამო ჩაიშალა და ამდენი საპატიო სტუმარი უკან ისე გამობრუნდა, რომ საყვარელ მწერალს შესაფერისი პატივი ვერ მიაგო.

– მაინც, რა მოხდა, ბატონო სოსო?

– საიუბილეო საღამო 1 საათზე უნდა დაწყებულიყო. მიუხედავად იმისა, რომ წვიმიანი ამინდი იყო, იუბილეს აღსანიშნავად შეკრებილი ხალხი ოდნავადაც არ შეთხელებულა. დაახლოებით ერთი საათის შემდეგ გამოჩნდა ქალბატონი მანანა არჩვაძე 50-მდე თანმხლები პირით. მათთან ერთად იყო გიორგი გამსახურდიაც. გიორგიმ ყველა გადაგვკოცნა, მოგვიკითხა. ქალბატონი მანანა კი არავის მისალმებია, მისი მომხრეები ტრიბუნაზე ამოვიდნენ და მიკროფონს ალყა შემოარტყეს. ჩვენ უკან დავიხიეთ, აბა, ჩხუბს ხომ არ დავუწყებდით? საღამო აბაშის გამგებელმა გახსნა და სიტყვა მანანა არჩვაძე-გამსახურდიას გადასცა. მან კი არა ბატონ კონსტანტინეზე, არამედ თავის პოლიტიკურ შეხედულებებზე ისაუბრა. შემდეგ გიორგი გამსახურდია გამოვიდა, დედამისის სახელიც კი არ უხსენებია, მაგრამ თქვა, რომ დიდი მწერლის საიუბილეო საღამოზე რადიკალური გამოსვლები საჭირო არ იყო. ამის შემდეგ მიკროფონი მანანა არჩვაძის გუნდის წევრმა ტარიელ ფუტკარაძემ ჩაიგდო ხელში. ჩვენ კი სიტყვაც არ გვათქმევინეს. კონსტანტინე გამსახურდიას შემოქმედებისათვის 3-ტომიანი მონოგრაფია მაქვს მიძღვნილი, ვფიქრობ, ერთი-ორი სიტყვის თქმა მეც მეკუთვნოდა.

ფაქტობრივად, იუბილე ჩაიშალა. დიდი მწერლის იუბილეზე რომ მწერალს, მეცნიერს, პოლიტიკოსს სიტყვით გამოსვლის საშუალება არ ექნება, რაღა იუბილეა?

კონსტანტინე გამსახურდია არა მარტო მის ოჯახს, არამედ მთელ საქართველოს ეკუთვნის, ყველა ჩვენგანი მისი შემოქმედების სულიერი მემკვიდრეა და ამიტომაც ვალდებული ვიყავით, პატივი მიგვეგო მისთვის, თორემ იუბილეს ჩატარება-არჩატარებით კონსტანტინეს სახელს არაფერი დააკლდება!

„ასავალ-დასავალი“, 2003, 9-15 ივნისი

პარლამენტში პროფესიონალები უნდა იყვნენ და არა მოხალისეები

სოსო სიგუა იმ დეპუტატთა რიცხვს განეკუთვნება, რომელიც ხშირი გამოსვლებით და პოლიტიკურ ბატალიებში მონაწილეობით არ აწყენდა თავს საზოგადოებას. ამ გარემოებას იგი მარტივად ხსნის და აცხადებს, რომ ადამიანმა უნდა ილაპარაკოს მხოლოდ იმაზე და აკეთოს მხოლოდ ის, რაშიც თავს პროფესიონალად მიიჩნევს. თუ რა საკითხებში მიიჩნევს იგი საკუთარ თავს პროფესიონალად და რა აზრი ჰქონდა ოთხი წლის განმავლობაში მის პარლამენტში ყოფნას, ამაზე სოსო სიგუა თვითონ მოგვახსენებს:

– ოთხი წელი იწურება, რაც დეპუტატები ვართ. როცა ვიხსენებთ განვლილ პერიოდს, ბუნებრივია, არ ვართ კმაყოფილი არც ჩვენი და არც საერთოდ პარლამენტის მუშაობით. მაგრამ, ალბათ, ეს იმის გამოხატულებაა, რაც ხდება ქვეყანაში. იმ სახელმწიფოში, სადაც ხალხს პენსია აქვს 14 ლარი და ხელფასი დროულად ვერ გაუცია, ძნელია, პარლამენტი იყოს სანიმუშო და მოწესრიგებული. რა იმედითაც შემოვედით, რა თქმა უნდა, ვერ განხორციელდა. მიუხედავად ამისა, პოზიტიურის დანახვაც შეიძლება. ჩვენი ფრაქციის ინიციატივით შეიქმნა და პარლამენტმა მიიღო დადგენილება, რომლითაც სამოქალაქო ომის დროს დაპატიმრებული პოლიტპატიმრები გათავისუფლდნენ. მაშინ გათავისუფლდა 200-მდე პოლიტპატიმარი. დაიწყო ეროვნული შერიგების პროცესი, პარლამენტში შეიქმნა ეროვნული თანხმობის კომისია. ჩვენი ფრაქცია ამ პროცესებში აქტიურად მონაწილეობდა. რაც შეეხება კომისიის თავმჯდომარეს, არ შეიძლებოდა ის სხვა ფრაქციის წარმომადგენელი ყოფილიყო, გარდა მოქალაქეთა კავშირისა. მოგეხსენებათ, ყველაფერში დომინანტი სწორედ ეს პოლიტიკური ძალა იყო. მიუხედავად ამისა, მაინც მოხერხდა ამგვარი ნაბიჯის გადადგმა და ეს მოქალაქეთა კავშირის მხრიდანაც კეთილი ნების გამოხატვა იყო.

– თუმცა, თანხმობის კომისიის მუშაობა არც ისე ნაყოფიერი იყო. მას საქმიანობაზე კრიტიკული დამოკიდებულებაც არსებობს, ისიც

ფაქტია, რომ ეროვნული შერიგების პროცესი დასრულებულად ახლაც არ შეიძლება მივიჩნიოთ.

– კრიტიკული დამოკიდებულება იყო, იმიტომ რომ, როცა დადგა პატიმრების გათავისუფლების საკითხი, გათავისუფლდა ბევრი ისეთი პირიც, რომელსაც არავითარი კავშირი არ ჰქონდა ეროვნულ მოძრაობასთან და ამ დაპირისპირებასთან.

სრულიად უცხო ადამიანებიც აღმოჩნდნენ გათავისუფლებულთა შორის. ახლა ამაზე მსჯელობა შორს წაგვიყვანს, ეს ძველი ამბავია. მთავარია, რომ პოლიტპატიმრების დიდი ნაწილი გათავისუფლდა. მათ მიმართ წაყენებული ყველა ბრალდება ის იყო, რომ თითქოს ისინი მოღალატეები იყვნენ, ქვეყანას ებრძოდნენ. არადა, იცავდნენ კანონიერ ხელისუფლებას. არ სურდათ დატრიალებულიყო ის ტრაგედია, რომელიც მაშინ მოხდა და რომლის შედეგებს ახლაც განვიცდით.

– ახლა შეიძლება ვთქვათ, რომ პოლიტპატიმარი არ არსებობს საქართველოში?

– ეს ძალიან რთული საკითხია. ზოგი მიიჩნევს, რომ საქართველოში დღესაც არიან პოლიტპატიმრები, მაგალითად, ლოთი ქობალია ისევ ციხეში ზის. მაგრამ არა იმ მოტივით, რომ ის იყო გვარდიის სარდალი, არამედ იმ ბრალდებით, რომ თითქოს მან მოკლა ჟურნალისტი ბოლქვაძე. მე რამდენადაც ვიცი, მას ამ ჟურნალისტის დახვრეტაში არავითარი წვლილი არ მიუძღვის. საერთოდ, გვარდიის სარდალი არც მონაწილეობს ასეთ ფაქტებში. თუ დახვრეტა დასჭირდებოდა, ეყოლებოდა ამის შემსრულებლები, თვითონ რომ არ მიეღო მონაწილეობა. აბსურდია, თავდაცვის მინისტრს დააბრალო, უშუალოდ ესროლე კაცს და მოკალიო. ლოთის პოლიტპატიმრის იარლიყი რომ ჩამოაცილონ, იმიტომ წაუყენეს ეს ბრალდება და ახლა კრიმინალის სტატუსით ზის ციხეში და არა როგორც პოლიტიკაში მონაწილე სარდალი. კიდევ არსებობს რამდენიმე ასეთი პატიმარი. მაგრამ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ გურამ აბსანძის, ვალერი გაბელიას, ზვიად ძიძიგურის და სხვების გათავისუფლებაც ჩვენი პარლამენტის მიერ მიღებული მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება იყო. ამ პროცესებში ჩვენი ფრაქცია შედარებით რადიკალური ჩანდა. მაგრამ, საერთოდ, პარლამენტში ძირითადად უმრავლესობის სიტყვას ჰქონდა ძალა. ჩვენი ფრაქციის და საერთოდ, მთელი „აღორძინების“ წინადადებები ხშირ შემთხვევაში არ გასულა. რამდენიმე ხნის წინათ დაისვა თავისუფალი ეკონომიკური ზონების საკითხი, რომელიც პარლამენტში ამჯერადაც ვერ გავიდა. იყო სხვა პროექტებიც, რომლებთან დაკავშირებითაც გადაწყვეტილება ვერ მივიღეთ.

– პირადად თქვენ თუ გამოგიყენებიათ საკანონმდებლო ინიციატივის უფლება?

– მე პირადად არ გამომიყენებია საკანონმდებლო ინიციატივის უფლება. ვერც იმას გეტყვით, მაინცდამაინც დიდი აქტივობით გამოვირჩეოდი-მეთქი. წინადადების დასმა, პირველ რიგში, ეკუთვნის პარტიის, ფრაქციის, ან კომიტეტის თავმჯდომარეს. არის რამდენიმე დეპუტატი, რომელიც ძალიან აქტიურობს. მე სპეციალობით ვარ ლიტერატორი და შეიძლება ჩემი პროფესიაც მზღუდავს, გარკვეულწილად. საერთოდ, ფუნდამენტური ცოდნის მომხრე ვარ. ამიტომ, იმ საკითხზე, რომელიც ნაკლებად იცი, არ უნდა დაიწყო ლიდერობა და იდეების წამოყენება. ეს იწვევს დილეტანტობას. პარლამენტს ძირითადად უნდა ქმნიდნენ ეკონომისტები და იურისტები.

– მაშინ რატომ გადაწყვიტეთ დეპუტატობა?

– მე პოლიტიკოსი არა ვარ. ჩემთვის მთავარია ეროვნული სულისკვეთების დაცვა. ხედავთ, რომ ამ პარლამენტში ვერ მოხერხდა სახელმწიფო ენის შესახებ კანონის მიღება. როგორი კონფლიქტები მოყვა ეროვნების რეკვიზიტის აღდგენას პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტებში. ამ საკითხებზე ფიქრი არის წმინდა ეროვნული პრინციპების დაცვა და არა პოლიტიკური თამაშები, რომლისგანაც შორს ვდგავარ. კოდექსების განხილვაშიც არ ვმონაწილეობდი. მიმაჩნია, რომ რაშიც ადამიანი ნაკლებად ერკვევა, არც უნდა მიიღოს მონაწილეობა. თუმცა, არიან დეპუტატები, რომლებიც ყველა საკითხზე თანაბარი ხალისით ლაპარაკობენ. ლაპარაკი ყველაფერზე შეიძლება, მაგრამ არ შეიძლება ყველაფერში პროფესიონალი იყო. ხელისუფლების კრიტიკა ყველას შეუძლია, მაგრამ როცა პარლამენტარი ამას ამბობს, პარალელურად უნდა მიგვითითოს გამოსავალზეც. ყველამ იცის, რომ ცუდად ვცხოვრობთ, მაშინ ყველას შესძლებია დეპუტატობა. მთავარია შექმნილი ვითარებიდან გამოსავლის ძებნა. პარლამენტში უნდა იყვნენ საკითხის მცოდნე ადამიანები და არა მოხალისეები. ყველა იმ საკითხზე უნდა გამოთქვამდეს აზრს, რაშიც მიიჩნევს თავს კომპეტენტურად. მაშინ კანონიც დახვეწილი იქნება. ახლა ვიღებთ კანონებს. გავა რამდენიმე წელი და აღმოჩნდება, რომ იგი არ მუშაობს.

– მომავალი საპარლამენტო არჩევნებისთვის რას აპირებთ?

– მხოლოდ ჩემი სურვილი არ კმარა. ამ პერიოდში, გარდა დეპუტატობისა, ვაგრძელებდი ლიტერატურულ მუშაობას. გამოვიდა ჩემი სამტომეული კონსტანტინე გამსახურდიაზე - „მარტვილი და ალამდარი“ და „ქართული მოდერნიზმი“. რაც შეეხება დეპუტატობას, ჯერ ისევ ვრჩები ბლოკ „აღორძინების“ წევრად, დანარჩენი ხალხის გადასაწყვეტია.

ესაუბრა მაია შონია

„დილის გაზეთი“, 2003, 23 ივნისი

ტოტალური მობილიზაცია

გავიდა კიდევ ოთხი წელი და მოახლოვდა ახალი არჩევნები, გამოცოცხლდნენ პარტიები, გაჩნდა მორიგი დაპირებები - ზოგი ყალბი, ზოგი ნამდვილი. მაგრამ ეს ეიფორია ხალხის გულს ბევრს არაფერს ეუბნება, რადგან საქართველოში არაერთი არჩევნები ჩატარდა, გამარჯვებულმა ძალებმა კი არათუ ვერ შეძლეს სოხუმისა და ცხინვალის დაბრუნება, არამედ - კიდევ უფრო დაშორდნენ ამ უმთავრეს მიზანს.

ვერ რიგდება ხელფასები, 14-ლარიანი სიმბოლური პენსიები, იზრდება კრიმინალური სამყაროს გავლენა ხელისუფლებაზე, გრძელდება შინაშუღლი და ამ დროს ხელისუფლება აცხადებს ტოტალურ მობილიზაციას, რათა უზომოდ დაცემული რეიტინგი როგორმე აიმაღლოს.

გვახსენდება რომაელების განწირული მოწოდება - „ჰანიბალი კართანაა!“

ფაქტიურად მთელი აღმასრულებელი ხელისუფლება გადაკეთდა ერთ უზარმაზარ საარჩევნო შტაბად, რომელსაც ქმნიან - პრეზიდენტი, რწმუნებულები, გამგებლები, მერები.

ხელისუფლება, რომელმაც დაკარგა პოლიტიკოსთა ბირთვი, ცდილობს თავისი ფარული თუ განმდგარი მოკავშირეების შემოკრებას.

„ძე შეცთომილნიც“ ხალისით ბრუნდებიან „მამასთან“.

ჩამოყალიბდა ახალი ბუტაფორიული გაერთიანებები - აბრეშუმის გზა, მეგზევეთა თუ მერძევეთა კავშირი, მეომართა ლიგა, ქურთების თუ აზერბაიჯანელების ასოციაციები, რათა ხელისუფლებამ კიდევ ერთხელ გააბრუოს მოსახლეობა.

ასე მონდომებით რომ აფხაზეთზე ეზრუნათ, არც ეს კუთხე დაიკარგებოდა და არც საშინელი ტრაგედია დატრიალდებოდა.

მოქალაქეთა კავშირის მიერ გამოცხადებული ტოტალური მობილიზაცია, ყალბი თამასუქების ფრიალი და მიტინგების აკრძალვა მოგვაგონებს კომუნისტური პერიოდის ერთპარტიულ არჩევნებს. ამჯერადაც ხელისუფლებას არავისთან საქმიანი დიალოგი არ სურს - იგი მხოლოდ მორჩილებას მოითხოვს.

ხოლო პოლიტიკოსთა ის ბირთვი, რომელიც მოქალაქეთა კავშირს გამოეყო და ცალკე პარტიებად გაფორმდა, თავისი რადიკალური ლოზუნგებით ლამის დისიდენტებად მოგვევლინონ, მათ სწრაფად იცვალეს ფერი. მაგრამ არავინ იცის, ეს ფერისცვალება სეზონურია, როგორც კურდღლისა, თუ საბოლოო.

დედაქალაქში თანამედროვე ხუნვეიბინებიც გამოჩნდნენ, მათი ლოზუნგია „კმარა“. ამ სიტყვით ცდილობენ ააჭრელონ თბილისი, რომელსაც ფერი და სახე ისედაც კარგა ხანია დაკარგული აქვს.

რა თქმა უნდა, ვეთანხმებით, რომ კმარა ხელისუფალთა თვითნებობა და ქვეყნის ძარცვა, მაგრამ ამ ლოზუნგის მიღმა ხომ ის ხალხი დგას, რომელიც თავდაუზოგავად იღვწოდა, შთაგონების ცეცხლით იწვოდა, რათა გვქონოდა ისეთი საქართველო, როგორიც დღეს არის!

მათი იდეალი აღსრულებულია და რატომ ეჩვენებათ ეს ფაქტი უცნაურად!

ჩვენი მოტორტმანე სინამდვილის ფონზე ისევ აღორძინების კავშირი აგრძელებს სახელმწიფოებრივი აღმშენებლობის კურსს, რომელიც თავიდანვე აიღო ბატონმა ასლან აბაშიძემ და წლების მანძილზე მრავალ ქარიშხალში გამოატარა, როგორც ოდისევსმა თავისი ხომალდი სცილასა და ქარიბდას შორის.

აღორძინების კავშირის ლიდერმა საქმით უჩვენა ქვეყნის მტერსა და მოყვარესაც, თუ როგორ უნდა შევინარჩუნოთ და აღვაშენოთ დამოუკიდებელი საქართველო.

მას ედავებიან როგორც დღევანდელი, ისე გუშინდელი მოქკავშირეები, როგორც მემარცხენეები, ისე მემარჯვენეები, მაგრამ ვისაც დანახვა უნდა, ის ხედავს, თუ რა ხდება, ერთი მხრივ - აჭარაში და, მეორე მხრივ - საქართველოს სხვა კუთხეებში.

თუ გაიმარჯვებს აღორძინების კავშირი, სრულიად ნათელია თუ როგორი იქნება ქვეყნის მომავალი, რადგან ყველა ვხედავთ აჭარის მაგალითს!

თუ გაიმარჯვებს მოქალაქეთა კავშირი, მაშინაც ვიცით თუ როგორი იქნება საქართველო, რადგან ყველას თვალწინაა მოქალაქეთა კავშირისა და მისი ლიდერის 11-წლიანი მუშაობის შედეგები - დამხობილი იდეალები, დაკარგული მიწები, უშუქობა, უმუშევრობა, ბანდიტების თარეში!..

თუ გაიმარჯვებს ე.წ. საერთო სახალხო მოძრაობა, არავინ იცის, რა სახე მიეცემა ქვეყანას, რომელმაც მრავალი ტრაგიკული ექსპერიმენტი გადაიტანა ამ საშინელი წლების განმავლობაში!

ჩვენ არ გვინდა საქართველო დარჩეს მარადიულ ლაბორატორიად და ექსპერიმენტების პოლიგონად. ექსპერიმენტებისა, რომელთა საბოლოო მიზანია ქართული ტრადიციების, ენის, რწმენისა და სახელმწიფოებრიობის მოსპობა.

„მწერლის გაზეთი“, 2003, 19-25 ივნისი

ლიდერი

„ჩვენ არ ვანგრევთ, არამედ ვაშენებთ, ვაღორძინებთ აჭარას - ესე იგი, საქართველოს!“ - ეს სიტყვები აჭარის ავტონომიური რესპუბ-

ლიკის ლიდერს, ბატონ ასლან აბაშიძეს ეკუთვნის. რა განაპირობებს მის პოპულარობას და წარმატებას პოლიტიკურ ასპარეზზე, როგორა მისი პიროვნული პორტრეტი?

„ალიონი“ პარლამენტარ სოსო სიგუას ესაუბრა.

- ბატონო სოსო, რა განაპირობებს ასლან აბაშიძის წარმატებას საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ასპარეზზე?

– პირველ რიგში მე მინდა გამოვხატო ღრმა სამძიმარი ბატონი ასლანის მიმართ, რომელსაც გარდაეცვალა მეუღლე, შესანიშნავი პიროვნება ქალბატონი მაგული გოგიტიძე. ის იყო ქველმოქმედი, უამრავი სასიკეთო საქმის ინიციატორი, მას დიდი პატივისცემით იხსენიებდნენ როგორც აჭარაში, ისე მთელს საქართველოში. შეუძლებელია ნებისმიერი ქართველის გული არ დაამძიმოს ამ ფაქტმა.

რაც შეეხება ბატონ ასლანს, იგი 12 წელია მართავს აჭარას და ამ წლების მანძილზე საგრძნობლად შეიცვალა ბათუმი და მთლიანად აჭარაც. ბათუმი გახდა ევროპული ტიპის ქალაქი. არ ვიცი, გინახავთ თუ არა ჩაქვის სასტუმრო კომპლექსის ოთხი კორპუსი, მისი მოედნები, საცურაო აუზები. ეს არის ის ევროპეიზმი, რომლისკენაც მთელი საქართველო ისწრაფვის. თუმცა, რატომღაც მას რუსოფილობას აბრალებენ. რუსეთი ჩვენი მეზობელია, დიდი კულტურის ქვეყანაა, ბევრი ზიანი მოუტანია ჩვენთვის, მაგრამ პოლიტიკოსის სიბრძნე ისაა, ლავირებას ახერხებდეს. მისი ბრძნული პოლიტიკის შედეგია, რომ დღეს აჭარა არის საუკეთესო რეგიონი საქართველოში და ბატონ ასლანს კარგი დამოკიდებულება აქვს ევროპის სახელმწიფოებთან, თურქეთთან, ყველაზე ცუდი დამოკიდებულება კი საქართველოს ხელისუფლებასთან.

– რატომ იწვევს მის მიერ წარმოებული პოლიტიკურ-ეკონომიკური კურსი ცენტრის უკმაყოფილებას?

– ამ ხელისუფლებამ დაამხო და საქართველოდან გააძევა კანონიერად არჩეული პრეზიდენტი. დაკარგა სოხუმი და ცხინვალი. ხალხი ჩააგდო უკიდურეს სიღატაკეში. ამ საშინელ ფაქტებს არასოდეს შეგუებია ასლან აბაშიძე და სააშკარაოზე გამოჰქონდა ცენტრალური ხელისუფლების როგორც უნიათობა, ისე მოღალატეობა. ცენტრალური ხელისუფლება კი მოითხოვს, რომ ბატონმა ასლანმა მოიწონოს ეს კურსი. ბუნებრივია, მემედ აბაშიძის შვილიშვილი, აღმშენებელი სულის პირუთვნელი ადამიანი, რომელსაც სიკეთის გარდა არაფერი გაუკეთებია სამშობლოსთვის, ვერ იქნება ასეთი ხელისუფლების მეხოტბე. აქ არის კონფლიქტის სათავეც.

– ერთია, ჭვრეტდე, აღიქვამდე ამ რეალობას, მაგრამ იოლი ალბათ არ იქნება ამ ნგრევის საწინააღმდეგო აღმშენებლობითი პოლიტიკის გატარება...

– სწორედ ამიტომ აქვს ბატონ ასლანს დისტანციური დამოკიდებულება ცენტრალურ ხელისუფლებასთან. ხოლო თბილისში რომ არ ჩამოსულა 12 წლის მანძილზე, ეს არის პროტესტის ფორმა, მაგრამ ბატონი ასლანი იცავს საქართველოს მთლიანობას და თავისთავადობას. ამიტომ მისი დისტანციური დამოკიდებულება არის მხოლოდ ამ კუთხის გადარჩენის საშუალება, რასაც ზოგიერთები სეპარატიზმად უთვლიან. მას არ სურს მონაწილეობდეს ცენტრალური ხელისუფლების დანაშაულებრივ მოქმედებაში. დღეს ვინც ჩადის ბათუმში, ყველა ხედავს, რომ იქ მარტო ლამაზი სახლები კი არ შენდება, არამედ ჰყვავის ქართული კულტურაც, რომელიც ქართული სულიერების საფუძველია.

– რამდენიმე სიტყვით როგორ დაახასიათებდით მის პორტრეტს?

– ვინც მას შეხვედრია, მასთან უსაუბრია, უეჭველად დამერწმუნება, როგორი ტოლერანტული, თავაზიანი და ყურადღებიანი ადამიანია იგი. ამ ფაქტს აღნიშნავენ ხოლმე ზოგჯერ თბილისიდან ჩასული „ოპოზიციონერებიც“, რომელთაც სხვადასხვა დროს გაუკრიტიკებიათ იგი. მაგრამ ადგილზე ხედავენ სულ სხვა პიროვნებას, არა ისეთს, როგორი ხატიც სურთ დაამკვიდრონ აჭარისადმი ნეგატიურად განწყობილმა ნეგატიურმა პირებმა.

– ეს ძალები მთლიანად აჭარის მიმართ არიან განწყობილნი ასე, თუ მხოლოდ ასლან აბაშიძის მიმართ?

– ეს ნეგატიური დამოკიდებულება მიმართულია არა აჭარის, არამედ ბატონი ასლანის წინააღმდეგ, რადგან მან არ მიიღო მონაწილეობა ამ ხელისუფლების დანაშაულებრივ მოქმედებაში. მას სურს ერთიანი, ძლიერი, აყვავებული საქართველო და არა დაშლილი და გაჩანაგებული.

– როგორ ფიქრობთ, თუ საპრეზიდენტო არჩევნებში ასლან აბაშიძე გაიმარჯვებს, ასეთივე წარმატებით შეძლებს იმ პოლიტიკურ-ეკონომიკური პოლიტიკის განხორციელებას მთლიანად საქართველოს მასშტაბით, როგორც აჭარაში ახერხებს ამას?

– დავიწყებ იქიდან, რომ თუ „აღორძინება“ გაიმარჯვებს საპარლამენტო არჩევნებში, მაშინ აქაც განხორციელდება ის მოდელი, რასაც ვხედავთ აჭარაში. მოგეხსენებათ, აჭარა პატარა კუთხეა. იგი ემორჩილება თბილისში მიღებულ კანონებს, გადაწყვეტილებებს და არ შეუძლია ეკონომიკურ სფეროშიც კი იყოს სრულიად დამოუკიდებელი. ბატონი ასლანი თავად რომ იყოს ქართული პოლიტიკის წარმმართველი, მაშინ უფრო სრულყოფილად, მთელი საქართველოს მასშტაბით გამოვლინდებოდა მისი ორგანიზატორული ნიჭი და აღმშენებლობითი პათოსი.

– თქვენ თავად რატომ მოხვედით „აღორძინებაში“?

– ბატონი ასლან აბაშიძე ყოველთვის გმობდა სახელმწიფო გადატ-

რიალებას და მუდამ პატივისცემით ახსენებდა ზვიად გამსახურდიას. ამიტომაც ჩვენც, „კონსტანტინე გამსახურდიას საზოგადოება“, ვცდილობდით მასთან ურთიერთობების დამყარებას, რასაც თავადაც თანაგრძნობით შეხვდა. ამის შედეგი იყო ის, რომ 1999 წლის არჩევნებმა „კონსტანტინე გამსახურდიას საზოგადოება“ შევიდა ბლოკ „აღორძინებაში“. სხვადასხვა დროს ჩვენი საზოგადოების თავმჯდომარეები იყვნენ ცნობილი საზოგადო მოღვაწენი: მუხრან მაჭავარიანი, ვახტანგ ბოჭორიშვილი. ამჯერადაც ჩვენ ვდგავართ ბატონი ასლანის გვერდით და გვჯერა, რომ დღევანდელ საქართველოში მხოლოდ მისი პოლიტიკური კურსია სწორი და ქვეყნის კრიზისიდან გამომყვანი.

ესაუბრა ნინო ჯაფარიძე

„ალიონი“, 2003, 2-4 ივლისი

რატომ ვერ თანხმდებოდნენ საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლება ერთმანეთთან

პარლამენტის უფლებამოსილება იწურება. წინასაპარლამენტო არჩევნების პერიოდი მრავალ მოულოდნელობებს ავლენს.

და მაინც, რა ხდებოდა განვლილი ოთხი წლის მანძილზე პარლამენტში. პარლამენტარი სოსო სიგუა ბევრი მისი კოლეგებისგან განსხვავებით საკმაოდ პასუხისმგებლობის გრძნობით ეკიდებოდა საქმეს, თუმცა რამდენად შედეგიანად მიმდინარეობდა უშუალოდ პარლამენტის მუშაობა, ამის შესახებ თავად ბატონი სოსო გვესაუბრება.

– ბატონო სოსო, პარლამენტის უფლებამოსილება თითქმის ამოწურულია. როგორია თქვენეული შეფასება ამ მოწვევის პარლამენტის საქმიანობის შესახებ?

– პარლამენტმა ბევრი მნიშვნელოვანი დადგენილება მიიღო, თუმცა მათი უმეტესი ნაწილი რეალურად არ გატარებულა. რასაკვირველია, თავიდან ჩვენ მეტი იმედები გვქონდა და მეტი სურვილი, მაგრამ რაც გაკეთდა, ვფიქრობ, უმნიშვნელო არ უნდა იყოს ჩვენი საზოგადოებისათვის. სამწუხაროდ, პარლამენტის შრომის შედეგს ნაკლებად ხედავს საზოგადოება, რადგან აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ ვერ ხერხდება მიღებული დადგენილებების რეალიზება. ამიტომ ხალხს ექმნება ისეთი აზრი, რომ თითქოს პარლამენტი მარტო ხმაურობს და მის მუშაობას არ ჰქონდეს სასურველი შედეგი.

– რატომ ვერ თანხმდებიან აღმასრულებელი და საკანონმდებლო

ხელისუფლება ერთმანეთთან?

– ამას მრავალი ფაქტორი განაპირობებს. ერთ კონკრეტულ მაგალითს გეტყვით. როდესაც პარლამენტში 2003 წლის ბიუჯეტი შემოვიდა, ჩვენმა ფრაქციამ და პირადად მე ხმა არ მივეცით ამ კანონპროექტს. მაშინ ჩვენი ხელისუფლება გვარწმუნებდა, რომ ეს იყო რეალური ბიუჯეტი და მისი უგულებელყოფა ნიშნავდა იმას, რომ ჩვენ ხელს ვუშლიდით ქვეყნის წინსვლას, რომ არ გვსურდა მეტი დაფინანსება ყოფილიყო სხვადასხვა პროექტებზე. მაშინ ჩვენ ვთვლიდით, რომ ეს არ იყო რეალური ბიუჯეტი და წინააღმდეგნი წავედით. გაირკვა, რომ მართალნი აღმოვჩნდით. ახლა მოითხოვენ, რომ ხმა მივცეთ სეკვესტრს. აი, ასეთ შეუთანხმებლობასა და შეუსაბამობას აქვს ადგილი.

– ეს ხომ არ არის იმის მაჩვენებელი, რომ პარლამენტის ფუნქცია გარკვეულწილად შეზღუდულია?

– ეს ამტკიცებს აღმასრულებელი ხელისუფლების ქმედითუუნარობას, რომ ის არ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, თორემ პარლამენტი რა შუაშია? არადა, რატომღაც სწორედ პარლამენტზე მოდის ძირითადი ბრალდება. ხდება ასეთი კურიოზიც. ადამიანი ვერ იღებს პენსიას და მიტინგს აწყობს პარლამენტის წინ. პარლამენტმა მიიღო კანონი, რომ პენსიონერს თოთხმეტი ლარი ჰქონოდა, თუ იმ თანხას შესაბამისი სამინისტრო დროულად ვერ უხდის, რა შუაშია აქ პარლამენტი?

– კონკრეტულად თქვენი ფრაქციის ინიციატივით რა მნიშვნელოვანი საკითხი დაისვა პარლამენტში?

– ჩვენი ფრაქციის ინიციატივით 2000 წლის აპრილში მიღებულ იქნა დადგენილება დევნილი ხელისუფლების მომხრეთა გათავისუფლების შესახებ. მაშინ ორასზე მეტი პოლიტპატიმარი გაათავისუფლეს, რასაც საზოგადოება საკმაოდ დადებითად შეხვდა. ეს ხალხი ჩაება პრაქტიკულ ცხოვრებაში, ზოგიც პოლიტიკურ მოღვაწეობას დაუბრუნდა. მე მიმაჩნია, რომ ეროვნული შერიგებისა და თანხმობის გზაზე ეს მართლაც მნიშვნელოვანი მონაპოვარი იყო, რასაც ხმა მისცა მოქალაქეთა კავშირმაც კი, ანუ იმ ხალხმა, რომელნიც თავის დროზე ებრძოდნენ ზვიად გამსახურდიას ხელისუფლებას.

– მაგრამ, ამასთანავე ბევრი მნიშვნელოვანი კანონპროექტი ჩავარდა...

– სამწუხაროდ, იყო კანონპროექტები, რომელშიც ვმონაწილეობდით და მხარს ვუჭერდით, მაგრამ ვერ გავიდა, ვგულისხმობ თავისუფალი ეკონომიკური ზონების საკითხს, რომლის კანონპროექტიც შემოიტანა „აღორძინებამ“. ამ კანონპროექტს სულ რამდენიმე ხმა დააკლდა. ასევე იყო სხვა რამდენიმე მნიშვნელოვანი კანონპროექტი, რომლებიც მიუხედავად ჩვენი ძალისხმევისა, ვერ გავიდა.

– თუმცა, მიღებულ კანონპროექტთა უმეტესი ნაწილი არ შესრულებულა, მათი უმრავლესობა, რამდენადაც აღნიშნავენ, თითქმის 99% შეუსრულებადია...

– არა, ამხელა მაჩვენებელს ვერ ვიტყვი, მაგრამ საკმაო ნაწილი შეუსრულებელია. კერძოდ, 20 აპრილის დადგენილება მხოლოდ ნაწილობრივ შესრულდა, რადგან ზოგიერთი პოლიტპატიმარი ისევ ციხეშია. მას შემდეგ სამი წელი გავიდა, მაგრამ ისინი არ გაუთავისუფლებიათ.

– როგორც პარლამენტარმა, რისი დამტკიცება შესძელით ამ ოთხი წლის მანძილზე?

– შესაძლოა პარლამენტში დიდი აქტივობით არ გამოვირჩეოდი, მაგრამ როგორც პუბლიცისტი და ჟურნალისტი, ხშირად ვაფიქსირებდი ჩემს პოზიციას. დეპუტატობის პერიოდში ჩემი ოთხმოცდაათამდე ინტერვიუა დაბეჭდილი, სადაც ჩემს პოზიციას გამოვხატავდი მიმდინარე მოვლენების მიმართ.

– ბატონო სოსო, როგორც ჩანს, საპარლამენტო არჩევნების წინა პერიოდებში პოლიტიკური სახეები პოზიციების არამდგრადობას ავლენენ. ბევრი მათგანი მათთვის უჩვეულო გარემოცვაში აღმოჩნდა. როგორია ამ მხრივ თქვენი დამოკიდებულება?

– შეხედულებების ცვალებადობა პოლიტიკაში ბუნებრივი პროცესია. მაგრამ ხალხი ამას კარგად არ უყურებს და ცუდად ეგუება მსგავს მოვლენებს. ამ გადასვლა-გადმოსვლაში და გარემოცვის ხშირ ცვალებადობაში ყოველთვის ღალატს ხედავს და ასეთი პოლიტიკოსის მიმართ საზოგადოება ნეგატიურად არის განწყობილი. ამიტომაც ნაკლები ავტორიტეტი აქვთ, რადგან მათი აღარ სჯერათ: როცა კაცი დღეს ერთს იტყვის, ხვალ კი ადვილად გადავა სხვა პოზიციაზე, იმ კაცის ნდობა ძალიან ძნელია.

– პირადად თქვენი ფრაქციის წევრები საპარლამენტო არჩევნებში ისევ „აღორძინებასთან“ ერთად ღებულობთ მონაწილეობას?

– ჩვენ ისევ ვრჩებით ბატონი ასლან აბაშიძის კურსის ერთგულნი და მიგვაჩნია, რომ ეს არის ერთადერთი სწორი გზა. ჩვენ გავერთიანდით „აღორძინებაში“ და არჩევანს ხალხი გააკეთებს, თუმცა უკვე გარკვეული წინაპირობა შექმნილია იმისა რომ არჩევნები გაყალბდეს. რა დოზით მოხდება ეს პროცესი, ვერ გეტყვით.

ესაუბრა ირმა ახალაია

„ალიონი“, 17-18 სექტემბერი, 2003

არჩევნების წინ

ახლოვდება პარლამენტის ახალი არჩევნები.

ხელისუფლება ამ მნიშვნელოვან თარიღს ხელცარიელი ხვდება. დაპირებები დაპირებებად დარჩა. მათ განმეორებასაც არავინ აპირებს ანუ ხალხის მოტყუებაც კი აღარ მიაჩნიათ საჭიროდ! ძველი ეიფორია წარსულს ჩაბარდა. ყველა ხედავს, არათუ მილიონი სამუშაო ადგილი და 250 ლარიანი საშუალო ხელფასი, ხელისუფლება 14 ლარიან პენსიასაც ვერ არიგებს. დედაქალაქი დარჩა გაზის, შუქისა და მომავლის იმედის გარეშე.

ვიღას ახსოვს ილია ჭავჭავაძის ანდერძი - „ენა, მამული, სარწმუნოება“.

პარლამენტმა ვერ მიიღო კანონი ქართული ენის სახელმწიფო სტატუსის შესახებ, ვერ მიიღო, რადგან შემოთავაზებული კანონის მიღებით ქართული ენა დაჰკარგავდა სწორედ სახელმწიფოებრივ მნიშვნელობას.

ყველა ვხედავთ, როგორ წალეკა დედაქალაქი ინგლისურენოვანმა აბრებმა. პრესაში, რადიოში, ტელევიზიაში, ყოველდღიურ მეტყველებაში იჭრება ინგლისური სიტყვები, მაშინაც კი, როცა მშვენიერი ქართული შესატყვისი გაგვაჩნია.

ასე მოხდა XIX საუკუნის დასაწყისშიც, როცა არისტოკრატია რუსული ენის ცოდნით თავს იწონებდა და ქართულ სიტყვებს ცვლიდა რუსული სიტყვებით. მხოლოდ თავდადებულ მამულიშვილთა წყალობით დაიბრუნა ქართულმა ენამ თავისი ფუნქციები. ყველას ახსოვს, მიუხედავად მოსკოვის ძალადობისა, როგორ უფრთხილდებოდა ქართული საზოგადოებრიობა ქართულ მეტყველებას.

დღეს კი - ვაის გავეყარეთ და ვუის შევეყარეთ!

ახლა ყველა თავმომწონეობს ინგლისურის ცოდნით და ეს ხშირად ხდება ქართულის ხარჯზე. ალბათ, ესეც დროებითი მოვლენაა. მაგრამ თუ ხმა არავინ ამოიღო, დროებითი ფაქტი მუდმივ უბედურებად გვექცევა.

ქართულის იგნორირება საფრთხეს უქმნის ქართულ კულტურას, ლიტერატურასა და მეცნიერებას. სრულიად აშკარაა ლიტერატურის, მეცნიერების დეკადანსი. ჩვენ ნებაყოფლობით ვაცხადებთ კაპიტულაციას ევროპულ-ამერიკული კულტურების ექსპანსიის წინაშე, რაც აისახება ჩვენი ცხოვრების წესზე, ზნეობაზე, ტრადიციებზე, თუნდაც - სარწმუნოებაზე.

ჯერ იეღოველების შემოტევა არ არის მოგერიებული, როცა ხელისუფლება ცდილობს კათოლიციზმს გაუხსნას გზა. ქართველი ხალხი

შეეწირა მართლმადიდებლობის დაცვას და ასეთ დროს კათოლიციზმის მიღება და აღიარება არ არის მხოლოდ ეროვნული ტოლერანტობა. ეს გახლავთ ნაწილი ხელისუფლების მრწამსისა, რომელიც ყოველივე ეროვნულის წინააღმდეგაა მიმართული.

ცალკეული ქართველი მოღვაწენი იყვნენ კათოლიკეები, ზოგჯერ მეფეებიც კი იძულებული იყვნენ, მაჰმადის სჯული მიეღოთ. მაგრამ ეს იყო იძულების შედეგი, როცა სხვა გამოსავალი არ არსებობდა. არცერთ გონიერ ქართველს ნებაყოფლობით არ უარუყვია მართლმადიდებლობა. დღეს კი სრულიად შეგნებულად, ყოველგვარი მიზეზის გარეშე, ხელს ვიღებთ მართლმადიდებლობაზე და ამას ვხსნით ადამიანის უფლებათა ქარტიით.

მაგრამ ამავე უფლებით საქართველოს ყველა მოქალაქე უნდა ცხოვრობდეს საკუთარ მიწაზე, რომელიც ხელისუფლების მოქმედებით ასე დაქუცმაცდა და დაიშალა, რომელიც ხელისუფლების პოლიტიკის შედეგად დაგვატოვებინეს?

ერის ცხოვრებაში ტერიტორიის დაკარგვა არის ყველაზე დიდი ტრაგედია. შეიძლება წააგო ომი, გაწყდეს მოსახლეობის თუნდაც ნახევარი, მაგრამ ეს დანაკარგი ვერ შეედრება ტერიტორიის დაკარგვას.

სამცხე-საათაბაგოს დაკარგვის შემდეგ ჩვენს ისტორიას არ ახსოვს მსგავსი კატასტროფა, რაც მოხდა აფხაზეთში.

არც 1801 წელს, არც 1921 წელს, არც პირველ და მეორე მსოფლიო ომებს ამ საშინელებასთან შედარებით ასეთი დანაკლისი არ მოუტანია.

ჩვენს თვალწინ დატრიალდა აპოკალიფსური კოშმარი და უბედურების არცერთი შემომქმედი არ დასჯილა, არათუ დასჯილა - დააჯილდოვეს და აღაზევეს კიდეც!

დამარცხებული საქართველო ისე ცხოვრობს, თითქოს დიდი არაფერი მომხდარა. ხელისუფლება კი მუდმივად ართობს და ატყუებს მოსახლეობას სამიტებით, თათბირებით, ევროსასამართლოთი, ბუტაფორიული იუბილეებით.

როცა ასლან აბაშიძემ წამოაყენა აფხაზეთის პრობლემის მოწესრიგების რეალური პროგრამა, ხელისუფლება რისხვით და მუქარით შეხვდა. მას შემდეგ ერთი წელი გავიდა, მაგრამ არათუ წინ წავიწიეთ - უკან წავედით და აფხაზებმაც გული უფრო მოიცეს. ყირიმის სამიტზე ახლახან, აფხაზეთის საკითხის დღის წესრიგში შეტანაც არ სურდათ, ბოლოს „მოიღეს მოწყალება“ და გამოიტანეს ნობათი - არაფრისმთქმელი დადგენილება.

ქვეყანა ვერ უძლებს ამდენი ზიგზაგებით სიარულს და ცრუდაპირებებს.

ხელისუფლებამ მოახერხა ის, რომ ხალხს ყველა მიმართულებით იმედი გადაუწურა და დეპრესიაში ჩააგდო, ჩაუკლა სიცოცხლის და მომავლის რწმენა.

მოქალაქეთა კავშირი, რომელიც პრეზიდენტის პარტია იყო, გაკოტრდა და დაიშალა. ახლა „შვილები“ ებრძვიან „მამას“ და ტახტიდან ჩამოგდებას უპირებენ. ამ ორომტრიალში, პარტიების დამხობისა და შობის ჟამს, როცა ვაიპოლიტიკოსები წარამარა იცვლიან პლატფორმას, გადარბიან ერთი პარტიიდან მეორეში, ღალატობენ პრინციპებსა და ეროვნულ იდეალებს, უცვლელი რჩება დემოკრატიული აღორძინების კავშირის პოლიტიკური კურსი, რაც გულისხმობს ქვეყნის აღმშენებლობას, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას, კულტურის აღმასვლასა და ეროვნული სულის განმტკიცებას.

ეს გზა ილია ჭავჭავაძისა და ზვიად გამსახურდიას გზაა, ყველა იმ მამულიშვილის გზაა, ვისაც ქვეყნის და ხალხის ბედი აწუხებდა.

„მწერლის გაზეთი“,
2003, 25 სექტემბერი - 1 ოქტომბერი

კონსტანტინე გამსახურდიას საზოგადოება „აღორძინების“ ინტერესებს შეეწირა

დეპუტატი სოსო სიგუა, კონსტანტინე გამსახურდიას საზოგადოების თავმჯდომარის მოადგილე, „აღორძინების“ საარჩევნო სიაში აღარ მოხვდა. სხვათა შორის, იმ გუნდიდან, რომელიც გამსახურდიებისადმი (მამა-შვილის) სიმპათიებში შეიმჩნეოდა, ასლან აბაშიძის ნდობა და მომავალ პარლამენტში მოსახვედრი „ვიზა“ მხოლოდ ელიზბარ ჯაველიძემ, ანზორ აბრალავამ, რევაზ მიშველაძემ და ჯემარ გამახარიამ მიიღეს. როგორც ჩანს, მათ სიაში მოსახვედრად კონსტანტინე გამსახურდიას საზოგადოების დატოვება მოუხდათ, რადგან პარტია ამას პრინციპულად მოითხოვდა. ბატონი სოსო დანანებით ლაპარაკობს კონსტანტინე გამსახურდიას საზოგადოების ლიკვიდაციაზე.

- ბატონო სოსო, რატომ არ აღმოჩნდით „აღორძინების“ საარჩევნო სიაში?

- პარლამენტში დიდი აქტიურობით არ გამოვირჩეოდი. მაგრამ აღმოჩნდა, რომ არც აქტიურობას აქცევენ ზოგჯერ მაინც და მაინც დიდ მნიშვნელობას. მოგეხსენებათ, „აღორძინების“ სიის მიღმა დარჩნენ ვალერი გელბახიანი, ნოდარ ჯავახიშვილი, გიორგი თარგამაძე, სხვები და სხვები. თუ პარლამენტში არა, საკმაოდ ვაქტიურობდი ტელევიზიასა და პრესაში. მაგრამ, ეტყობა, არც ამას აქვს მნიშვნელობა. 1999 წლის

არჩევნებში „აღორძინება“ ბლოკური პრინციპით დაკომპლექტდა. მოხდა ისე, რომ მერე ეს ბლოკი დაიშალა, „სოციალისტები“, „ტრადიციონალისტები“, ჯუმბერ პატიაშვილი ცალ-ცალკე წავიდნენ. ზოგმა თვითონ თქვა უარი, ზოგს „აღორძინების“ ხელმძღვანელობამ უთხრა უარი და ამის შედეგად დარჩა დეპუტატთა მცირე ჯგუფი, მათ შორის, ჩვენც. მაშინ თუ ბლოკური პრინციპით იყო სია შედგენილი, ამჟამად იგი შეცვალა რეგიონალიზმის პრინციპმა. „ოცდამეერთე საუკუნის“ წევრებს შემოგვთავაზეს, თუ გინდათ „აღორძინების“ სიით მიიღოთ არჩევნებში მონაწილეობა, მაშინ უარი თქვით იმ საზოგადოებაზე, რომელსაც წარმოადგენთო. ეს არის კონსტანტინე გამსახურდიას საზოგადოება და „ჭყონდიდელი“. ესე იგი, უნდა შექმნილიყო ერთიანი პარტიული სია, რადგან რეგიონალიზმი შემოვიდა. ეს გულისხმობდა იმას, რომ სხვადასხვა რეგიონს თავისი წარმომადგენელი უნდა შეეყვანა სიაში. აი, ამ პრინციპით, თბილისს თავისი წარმომადგენელი უნდა ჰყოლოდა. ამიტომაც ჩვენგან მხოლოდ რამდენიმე კაცი აღმოჩნდა სიაში. ესენი არიან ელიზბარ ჯაველიძე, ანზორ აბრალავა, რევაზ მიშველაძე და ჯემალ გამახარია.

– დანარჩენები, მაგალითად, თქვენც, არ მოხვდით?

- არიან სხვები სიაში, მაგრამ ისინი ოცდაათს ზევით არიან და მეეჭვება გავიდნენ.

– თქვენ ასეთ ცუდ პროგნოზს აკეთებთ?

– წინა არჩევნების დროს, როცა მთელი პოლიტელიტა თავმოყრილი იყო „აღორძინებაში“ და იყო ორი ძირითადი სუბიექტი – „აღორძინება“ და „მოქკავშირი“, მაშინაც კი, პროპორციული სიით მხოლოდ 51 ადგილი გვერგო. ახლა, როცა ამდენი პარტია არსებობს, როცა „აღორძინებაც“ დაშლილია, საეჭვოა, მას ისეთი მაჩვენებელი ჰქონდეს, როგორიც 1999 წელს. ადგილი ისევ იმდენია, როგორც მაშინ, არადა, - მსურველი საკმაოდ ბევრია.

– თქვენ არ გიცდიათ „აღორძინებაში“ თუ არა, სხვა პარტიის სიაში მაინც მოხვედრილიყავით?

– არა. თავის დროზე პოლიტიკაში და ამ ორომტრიალში აღმოვჩნდი ეროვნული მოძრაობიდან. მე ყოველთვის ვიყავი ლიტერატორი და იმ პოლიტიკურ თუ საზოგადოებრივ პროცესებს ვაფასებდი ლიტერატორის და არა პოლიტიკოსის თვალით. პოლიტიკოსობაზე პრეტენზია არასდროს მქონია. დარწმუნებული ვარ, უკეთესი ლიტერატორი ვარ, ვიდრე გავხდებოდი პოლიტიკოსი.

– თუ ყველამ ასე იფიქრა, პროფესიონალებს ვგულისხმობ, გაგვევსება პარლამენტი კრიმინალებითა და არაპროფესიონალებით, დილეტანტი პოლიტიკოსებით. ისეთი პირი უჩანს, გონივრულობის დეფიციტი

იქნება მომავალ პარლამენტში.

– მართალს ბრძანებთ. მაგრამ რაც ამ ოთხ წელში ვნახე, მივხვდი, გონივრულობა არც აქ იყო აუცილებელი. მართალია, არ ვაქტიურობდი, მაგრამ ვატყობდი, არც სხვისი სურვილი ყოფილა, ჩემი სათქმელი მეთქვა და აქტიური გავმხდარიყავი. არ აინტერესებდათ და მეც ვცადე ჩემს სფეროში გამეგრძელებინა მუშაობა, ვიდრე პოლიტიკურ დებატებში ჩავრთულიყავი.

– რას აპირებთ?

– უნივერსიტეტის პროფესორი ვარ, ლიტერატურის ინსტიტუტში ჟურნალისტიკის განყოფილების გამგე. გარდა ამისა, ვრედაქტორობ გაზეთს, ისევ გავაგრძელებ ჩემს საქმეს. კიდევ ვიმეორებ, პოლიტიკაში მოვედი ეროვნული მოძრაობიდან. ზვიად გამსახურდიასა და მუხრან მაჭავარიანის თანხმობით დავინიშნე „ლიტერატურული საქართველოს“ რედაქტორად. მერე რა იყო და როგორ, თქვენც ხომ იცით. ჩამოვაყალიბეთ კონსტანტინე გამსახურდიას საზოგადოება, რომლის თავმჯდომარე ჯერ მუხრან მაჭავარიანი იყო, მერე ვახტანგ ბოჭორიშვილი, მე კი - მათი მოადგილე. რადგან ახლა ამ ორგანიზაციის ლიკვიდაციის გამოცხადება უნდათ და, ფაქტობრივად, მოხდა კიდეც, ჩემთვის გაუგებარია ბევრი რამ.

– ამანაც ხომ არ განაპირობა უსიამოვნებები, რაც შემდგომ მუხრან მაჭავარიანთან მიმართებაში მოხდა? ლიკვიდაციას როგორ დათანხმდა ელიზბარ ჯაველიძე?

– როგორც ვიცი, ელიზბარიც წინააღმდეგი იყო. მაგრამ არ ვიცი, შემდეგ რა მოხდა. ისე აეწყო, ჩვენ რომ ჩავატარეთ კონფერენცია, ავირჩიეთ ხელმძღვანელობა, მეორე დღეს გამოცხადდა, რომ ორგანიზაცია გაუქმებულია! გვითხრეს, თქვენ უნდა შემოხვიდეთ „აღორძინების“ სიაში პიროვნულად და არა ორგანიზაციის სახელითო.

– ვინ გააუქმა? ვისი ინიციატივა იყო? ესე იგი, დღეს ეს ორგანიზაცია აღარ არსებობს?

– ჩვენ არ ვიქნებით, მაგრამ კონსტანტინე გამსახურდიას სახელი იარსებებს და იქნება მისი ორგანიზაციაც, როგორც არსებობს დანტეს საზოგადოება, დიუმას საზოგადოება, გოეთეს საზოგადოება, რომელსაც ფილიალი საქართველოშიც აქვს. როგორ შეიძლება, ჩვენ კონსტანტინეს საზოგადოებას ვაუქმებდეთ?

– ალბათ, გადაწყვეტილება ასლან აბაშიძემ მიიღო?!

– ვიცი, რომ ბატონმა ასლანმა განაცხადა, საზოგადოება დარჩეს, მაგრამ არჩევნების დროს კენჭი იყარეთ „აღორძინების“ პარტიის სიითო. როდესაც ჩვენ ანკეტა შევავსეთ, მოგვთხოვეს, დაგვეტოვებინა ორგანიზაცია და შევსულიყავით „აღორძინებაში“. მე ასეთი წმინდა

პარტიული მუშაობა არასოდეს მაინტერესებდა.

სხვათა შორის, საარჩევნოდ ამ ორგანიზაციის გაუქმება ისევ „აღორძინებას“ დაუკარგავს ამომრჩეველს, მით უმეტეს, სამეგრელოში, სადაც მათ საკმაოდ აქტიური მხარდამჭერი ჰყავდათ. დღეს პოლიტიკური პარტიები და ლიდერები გამსახურდიების სახელისადმი პატივისცემით თავს იწონებენ (მეგრულ ელექტორატში მით უმეტეს) და გამსახურდიას საქართველოში გადმოსვენებაზეც კი ალაპარაკდნენ...

არ ვიცი, რა ხდება. თუ გამსახურდიას საზოგადოებიდან ყველა გავა, რა იქნება, არ ვიცი. მადლობის მეტი არაფერი მეთქმის იმისთვის, რაც აქამდე ყურადღება ყოფილა ბატონი ასლანის მხრიდან. 1995 წელს გამსახურდიას საზოგადოება დამოუკიდებლად მონაწილეობდა არჩევნებში და დავიკავეთ მეექვსე ადგილი 56 პარტიას შორის! 4 პარტია შევიდა პარლამენტში, ჩვენ დაგვტოვეს. მაშინ ჩვენმა საზოგადოებამ პირველი ადგილი დაიკავა ფოთში, წალენჯიხაში,აბაშაში, მარტვილში, ჩხოროწყუში. ასეთი პარადოქსებიც ხდებოდა: „აღორძინება“ სამეგრელოში მოსახლეობას რომ ხვდებოდა, ჩვენთვის არავის უთქვამს, წამოდით, თქვენც შეხვდით ხალხსო. მე მარტვილიდან ვარ, როცა მარტვილში წავიდა „აღორძინების“ ჯგუფი, იქაც კი არ წამიყვანეს, თუმცა ჩემგან კონსტანტინე გამსახურდიას 2.000 ტომი საჩუქრად სიხარულით მიიღეს! ეტყობა, აღარ ვჭირდებით.

– რას აპირებთ, იზრუნებთ იმაზე, რომ საზოგადოება არ გაუქმდეს და ფუნქციონირება არ შეწყვიტოს?

– ვერა. დღეს ყველაფერი დამოკიდებულია ფინანსებზე. იმას, რომ სიღატაკეში არსებობდეს კონსტანტინე გამსახურდიას საზოგადოება, სჯობს, საერთოდ არ არსებობდეს. იმედი მაქვს, მოვა თაობა, ვინც მას აღადგენს და გამსახურდიას სახელს პატივს ღირსეულად მიაგებს. თუ ფული არა გაქვს, ვერ შემოიკრებ ხალხს. ამიტომ არის, რომ ეროვნული პარტიები, დაკნინდა, რადგან დღეს ის პარტიები ფუნქციონირებენ, რომლებიც ბიზნესით არსებობენ. კოსტავას საზოგადოება, რუსთაველის საზოგადოება... ნახეთ, რა დღეში არიან. ისინი შეავიწროვეს სწორედ ბიზნესიდან მოსულმა ადამიანებმა და ბიზნესით დაფუძნებულმა პარტიებმა.

– ბოლო ხანს პარლამენტში ხშირად გხედავთ. ვადის ამოწურვამდე ივლით თუ მართლა რამე საქმეები გაქვთ?

– მე ხომ გაზეთის რედაქტორიც ვარ. ჯერჯერობით, ჩვენ სხვა ოფისი არ გვაქვს და ამიტომ, ვიდრე დრო დაგვრჩა, ვივლით. 23 ნოემბრამდე დრო გვაქვს, მაგრამ მართლა 23-ს ხომ არ დავუცდით?

ესაუბრა თამარ ბოდოკია

„დილის გაზეთი“, 2003, 11 ოქტომბერი

სიტყვა მიტინგზე პარლამენტის წინ

(2003, 23 ნოემბერი)

დღეს ჩვენ ვდგავართ ამ მოედანზე, რომელსაც ახსოვს ბევრი მწარე დღე და ბევრი სიხარული. ახსოვს ცხრა აპრილის ტრაგედია და საქართველოს თავისუფლების გამოცხადება, მაგრამ ახსოვს ძმათამკვლელი ომიც, როცა ქართველები ერთმანეთს ტყვიას ესროდნენ.

მაგრამ დღეს სხვა დროა, დღეს 23 ნოემბერია, წმინდა გიორგის ხსენების დღეა.

და როგორც წმინდა გიორგიმ, ისე ჩვენც უნდა მოვსპოთ ეს დრაკონი.

დღეს დრაკონის დამხობის დღეა!

ჩვენ გავიმარჯვებთ, ჩვენ ერთად გავიმარჯვებთ!

სახალხო რევოლუცია ეს იყო

23 ნოემბრის ე.წ. ხავერდოვანი რევოლუციის შემდეგ ქართულ საზოგადოებრიობასა და პოლიტიკურ სპექტრში ჯერაც არ ჩამცხრალა ვნებათაღელვა. „ახალმა ეპოქამ“ რამდენიმე კითხვით მიმართა ამ მოვლენების უშუალო მონაწილეებს:

1. ნოემბრის მოვლენები „ნაციონალებმა“ და „დემოკრატებმა“ შეაფასეს, როგორც ხავერდოვანი გადატრიალება - „ვარდების რევოლუცია“. ყოფილი ხელისუფლება კი, ბუნებრივია, სულ სხვა განწყობაზეა და რადიკალურად განსხვავებული შეხებულებების არის მომხდარზე. მაგალითად, პრეზიდენტი შევარდნაძე მიიჩნევს, რომ 23 ნოემბერს მოხდა ჩვეულებრივი, „ბანალური პუტჩი“. თქვენ რომელ შეფასებას იზიარებთ?

2. თქვენი აზრით, რა ობიექტურმა გარემოებებმა განაპირობა შევარდნაძის ხელისუფლებისა და მოქალაქეთა კავშირის სრული პოლიტიკური კრახი?

3. საქართველომ წინა ხელისუფლების ხელში უმძიმესი თორმეტი წელიწადი გამოიარა. ქვეყნის სახელმწიფოებრიობას დღემდე ემუქრება საფრთხე. იზიარებენ თუ არა პასუხისმგებლობას მაშინდელი ოპოზიციის ის წარმომადგენლები, რომელთაც დიდხანს საკვანძო თანამდებობები ეკავათ ხელისუფლებაში, ახლა კი თვითონ მართავენ ქვეყანას?

1. ეს იყო სახალხო რევოლუცია - ხალხის სულისკვეთების გამომხატველი მოძრაობა. იმ ხალხის, რომელიც წლების მანძილზე უცხადებდა პროტესტს ედუარდ შევარდნაძეს. უბრალოდ, აქამდე ცალკეულ

გამოსვლებს და საპროტესტო აქციებს არ ჰქონდა ერთიანი, ორგანიზებული სახე. ამჯერად კი საერთო სახალხო მღელვარებამ მასობრივი სახე მიიღო და საზოგადოების აღშფოთებამ შედეგი გამოიღო - პროცესები შევარდნაძის ხელისუფლების გადაყენებით დასრულდა. მე ამას სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რადგან, თუ გახსოვთ, რა ხდებოდა 1991 წელს და როგორ მოახერხეს ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების სისხლიანი გზით გადაყენება. იმასაც მოგახსენებთ, რომ მაშინ გამსახურდიას დასაცავად მთელი საქართველოს მასშტაბით მრავალათასიანი მიტინგები იმართებოდა და ამ მიტინგების დახვრეტა ხდებოდა, გამსახურდიას ხალხი იცავდა, ახლა კი შევარდნაძის დასაცავად არცერთი მიტინგი არ გამართულა. ცალკეული დაინტერესებული პიროვნებები კი ყოველთვის დაიცავენ ამა თუ იმ ხელისუფლებას და მის ნარჩენებს.

2. საყოველთაოდ ცნობილია, რომ ედუარდ შევარდნაძემ ვერ ჩამოაყალიბა სახელმწიფო, დაკარგა ტერიტორიები და თავისი უნიათო პოლიტიკის წყალობით ვეღარ დაიბრუნა აფხაზეთი და სამაჩაბლო, ვერ მოაწესრიგა ეკონომიკა, ვერ შეუქმნა ხალხს ნორმალური ცხოვრებისეული პირობები. მე არ ვსაუბრობ ცალკეულ წარმატებულ ბიზნესმენსა თუ ცალკეულ გამდიდრებულ ოჯახზე. ასეთი რამ ყოველთვის მოხდება და როგორც სასიკეთო პროცესები, ქვეყანაში ხელისუფლებისგან დამოუკიდებლად, სტიქიურადაც განვითარდება. ფაქტია, რომ საბიუჯეტო ორგანიზაციებში ხელფასი 14 ლარს ვერ გასცდა, მაშინ, როდესაც აზერბაიჯანში მინიმალური ხელფასი 60 ლარია, ხოლო რუსეთში მინიმალური პენსია - 60-70 დოლარი. საქართველო ყოფილი საბჭოთა კავშირის 15 რესპუბლიკას შორის მე-15 ადგილზეა. ჩვენთან ყველაზე უმძიმესი პირობებია შექმნილი, დარღვეულია სახელმწიფოებრივი მთლიანობა, გახლეჩილია საზოგადოება, ქვეყანაში ეკონომიკური ქაოსია გამეფებული და ყოველივე ამას არჩევნების ტოტალური გაყალბებაც დაერთო. სწორედ ყოველივე ამან გამოიწვია საზოგადოების სამართლიანი აღშფოთება და შევარდნაძე-მოქკავშირის სრული პოლიტიკური კრახი.

3. ერთის მხრივ, მართებული ბრალდებაა. ეს პასუხისმგებლობა, ალბათ, ნაწილობრივ, დღევანდელმა ხელისუფლებამაც უნდა გაიზიაროს. მაგრამ უნდა გავითვალისწინოთ, რომ შევარდნაძე ერთპიროვნულად მართავდა ქვეყანას. თვით პარლამენტის დღის წესრიგსაც კი შევარდნაძეს უთანმებდნენ. თითოეული მათგანი საკვანძო თანამდებობაზე დარჩებოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შევარდნაძის მითითებებს შეასრულებდა და მისი რეჟიმის ყურმოჭრილი ყმა იქნებოდა. ქვეყანაში მთელ პოლიტიკასა და სრულ უზურპატორულ, დიქტატორულ მმარ-

თველობას ერთი კაცი ახორციელებდა და ძირითადი პასუხისმგებლობაც მან უნდა იკისროს.

„ახალი ეპოქა“, 2003, 12-18 დეკემბერი

ვინ არია პოლიტიკური სიტუაცია აჭარაში და რით შეაშინეს ამერიკელებმა ასლან აბაშიძე?

აჭარა - საქართველოს ერთადერთი კუთხე, რომელსაც 1991-92 წლების მოვლენები არ შეხებია, „ხავერდოვანი რევოლუციის“ შემდეგ მეტისმეტად აირია. თავის დროზე „მხედრიონს“ გადარჩენილ რეგიონს „კმარა“ შეესია...

სიტუაციას ისიც ართულებს, რომ ამერიკის ელჩი და „დემოკრატიის აკვნად“ წოდებული სახელმწიფოს ადმინისტრაციის წარმომადგენლები დიდი ხანია, თითს უქნევენ „აჭარის ლომს“.

მწერალი, პარლამენტარი, ფრაქცია „აღორძინების“ ყოფილი წევრი სოსო სიგუა:

– აჭარაში სიტუაცია თავად ასლან აბაშიძემ და მისმა პოლიტიკურმა კურსმა არია. თუმცა, შეუძლებელია, არ აღვნიშნოთ, რომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მეთაურმა უაღრესად პოზიტიური როლი შეასრულა საქართველოს ისტორიაში, როცა ზომიერ დისტანციას იჭერდა მოძალადე ხელისუფლებასთან. მან არ მისცა „მხედრიონს“ აჭარაში შესვლის საშუალება.

სამწუხაროდ, შემდეგ მისი ურთიერთობა ცენტრთან ედუარდ შევარდნაძესთან ალიანსში გადაიზარდა. „აჭარის ლომი“ მთლიანად დამოკიდებული აღმოჩნდა შევარდნაძეზე და ეს ყველაზე ნათლად გამოჩნდა ნოემბრის თვეში.

როგორც კი საქართველოს პრეზიდენტი ხელისუფლებიდან წავიდა, ასლან აბაშიძეც განწირული აღმოჩნდა. დღეს იგი საკუთარი ხელისუფლების გადასარჩენად ბაღვაშებისა და ათაბაგების გზას დაადგა. დადის ერევანში, ბაქოში, მოსკოვში, რათა რაღაც ძალა დაუპირისპიროს რევოლუციურ ტრიუმვირატს.

რაც შეეხება ამერიკის ადმინისტრაციის წარმომადგენლებს, რიჩარდ მაილსისა და ბრიუს ჯექსონის ვიზიტებს, საუბრის ძირითადი თემა არჩევნები იყო. მათ ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელს განუცხადეს, რომ უნდა იმოქმედოს კონსტიტუციის ფარგლებში, არ უნდა დაადგეს სეპარატიზმის გზას.

გაზ. „რაო-რაო?“ 2004, 19-25 იანვარი

ორივე მხარემ უნდა დათმოს

ახალი ხელისუფლების ერთ-ერთი პირველი ნაბიჯი წლების განმავლობაში საზოგადოებრივი ცხოვრების კონტექსტიდან ამოვარდნილი (თუ ამოგდებული) ექსპრეზიდენტის მომხრეების შემორიგების პროცესის დაწყებაა. გამსახურდიას ნეშტის საქართველოში ჩამოსვენებაზე და მისი პატივით დაკრძალვაზე გადაწყვეტილება უკვე მიღებულია. პოლიტპატიმრების გათავისუფლებაც დაიწყო. თუმცა ეს ყველაფერი ახლა უკვე მეორე დაზარალებული მხარის პროტესტს იწვევს. ეროვნული თანხმობის მომხრენი ორივე მხარეს საკუთარ ტკივილებზე ამაღლებისკენ მოუწოდებენ.

მათ შორისაა აქამდე ბარიკადების ზვიადისტურ მხარეს მდგარი დეპუტატი სოსო სიგუა.

-ძალიან ოპტიმისტურად ვარ განწყობილი. ამის საფუძველს მაძლევს ის, რომ პრეზიდენტი არის მიხეილ სააკაშვილი და რომ იგი ასე რადიკალურად დაუპირისპირდა ედუარდ შევარდნაძეს, მის ხელისუფლებას და მის მმართველობას. იგრძნობა მხარდაჭერა იმ ადამიანების მიმართ, რომლებიც ისჯებოდნენ სამშობლოს სიყვარულისთვის. არ იყო ლაპარაკი მხოლოდ გამსახურდიას მხარდაჭერაზე, არამედ სახელმწიფოს პოლიტიკური კურსის არჩევაზე. მომხდარი მოვლენების შემდეგ საით წავიდა ქვეყანა, ამას ყველანი კარგად ვხედავთ. ამ 12 წლის განმავლობაში ხალხისთვის არაფერი სასიკეთო არ გაკეთებულა. დაიკარგა ტერიტორიები, გაჩანაგდა ეკონომიკა, გაბატონდა სრული ეროვნული ნიჰილიზმი და დაეცა ეროვნული ღირებულებები. ქაშუეთის ეკლესიაში პრეზიდენტის განაცხადი ძალიან სიმბოლური იყო. ისიც აღინიშნა, რომ სწორედ ქაშუეთის ეკლესიიდან ესროდნენ მთავრობის სასახლეს. სიმბოლური იყო, რომ სწორედ იქ დაედო საფუძველი **ეროვნული თანხმობის პროცესის** დაწყებას და არა სიონში, ან სვეტიცხოველში. ამით ძალიან სამართლიანი პოზიცია გამოიხატა პრეზიდენტის და საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის მხრიდან. მიმაჩნია, რომ დაწყებული პროცესი შედეგს აუცილებლად გამოიღებს. მოგეხსენებათ, სამოქალაქო დაპირისპირების შედეგად დაიხოცა უამრავი ადამიანი, აწიოკდა უამრავი ოჯახი. ამან, ბუნებრივია, წარმოშვა სამოქალაქო დაპირისპირება. ამის შედეგად მივიღეთ ქაოსი, ნიჰილიზმი, ყველაფერი ქართულის მიმართ აგდებული დამოკიდებულება. ეროვნული თანხმობის მიღწევის გარეშე შეუძლებელია ქვეყანაში რაიმე სასიკეთო გაკეთდეს. 12 წელია ადგილიდან ვერ დავიძარით, რა გახდა ასეთი. 14 ლარი აქვს პენსია ადამიანს და მიტინგები იმართება არა იმის გამო რომ 14 ლარი ცოტაა, არამედ იმის გამო, რომ ეს თანხა მაინც მისცენ! ეროვნული თანხმობა

ქვეყნის კეთილდღეობისათვის არის აუცილებელი. კამათი პოლიტიკურ პარტიებს შორის ყოველთვის იქნება, ეს ბუნებრივია. მაგრამ ძმებს შორის იმაზე არავინ უნდა იდავოს, თუ ვის უფრო უყვარს დედა. ეს ეხება საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას, ეროვნულ ღირებულებებს, მართლმადიდებლობას. ამ საკითხებზე არავინ უნდა იდავოს. მაგრამ ეკონომიკა როგორ განვითარდეს, კულტურა როგორ აღდგეს, ამაზე იარსებებს განსხვავებული აზრი.

- თქვენ ძალიან ოპტიმისტურად ხართ განწყობილი. მაგრამ ხომ არ გეჩვენებათ, რომ თანხმობის მიღწევა მაინც ძნელი იქნება, თუნდაც იმ ფაქტორის გათვალისწინებით, რომ თავად ზვიადისტურ ძალებს შორის არის განხეთქილება. რომელ მათგანს უნდა შეუთანხმდეს ახალი ხელისუფლება?

- ამ შემთხვევაში საუბარია ხალხზე, საზოგადოებაზე და არა ერთი ხელისუფლების მეორესთან შერიგებაზე.

- საქმე იმაშია, რომ თავად ეს ხალხიც დანაწევრებულია, პოლიტიკური ჯგუფების მსგავსად არის დაშლილი. ყველა ზვიადისტურ დაჯგუფებას ხომ ჰყავს თავის მომხრე?

- აქ საუბარია ძირითად ძალასთან. შეთანხმება მათ შორის მოხდება და ამაში იგულისხმება საზოგადოებაც.

- თუმცა მაინც ხომ არ დარჩება საზოგადოების ნაწილი, რომელსაც ყოველთვის ექნება პროტესტის გრძნობა?

- ყოველთვის დარჩება საზოგადოების ნაწილი, რომელიც უკმაყოფილო იქნება. არც სააკაშვილი და არც გამსახურდია 100 პროცენტით არავის აურჩევია და ეს არც არის აუცილებელი. აქ საუბარია საზოგადოების ძირითად ნაწილზე. კამათის სურვილი და ეჭვი თუ ვინმეს გაუჩნდება, ამისთვის ყოველთვის იქნება საფუძველი.

- საზოგადოების გარკვეული ნაწილის პროტესტს უკვე იწვევს ის, რომ შესაძლოა, მოხდეს ლოთი ქობალიას გათავისუფლება?

- ლოთი ქობალიას აბრალებენ, რომ მან მოკლა ჟურნალისტი. მაგრამ წარმოვიდგინოთ მეორე მხარეც. მე პირადად საშინელი წამებით მომიკლეს დედა სამოქალაქო ომის პერიოდში, მკვლელი დღესაც დადის თავისუფლად და პოლიცია ვითომ ეძებს მას. არადა, ჩვენთვის მისი სახელიც ცნობილია და გვარიც. ამჟამად გაქცეულია. ასე რამდენი ოჯახია აწიოკებული. მარტო დარჩელში 27 ოჯახია გადამწვარი. ისინი არ იძახიან, ნუ მოხდება ეროვნული თანხმობაო. ორივე მხარემ უნდა დავთმოთ. სხვაგვარად შერიგება არ მოხდება. **ჩვენ უნდა ავმაღლდეთ ჩვენს ტკივილებზე სამშობლოს ინტერესებიდან გამომდინარე.** ეროვნული თანხმობა მხოლოდ პოლიტპატიმრების გამოშვებას არ ნიშნავს. თანხმობა ნიშნავს ყველა მხარის ჩართვას ქვეყნის აღმშენებ-

ლობის საქმეში.

-ალბათ, ცალკე საკითხია ექსპრეზიდენტის ქვრივთან მანანა არჩვაძე-გამსახურდიასთან თანხმობის მიღწევა და ექსპრეზიდენტის ნეშტის საქართველოში გადმოსვენება. მანანა არჩვაძე-გამსახურდიამ უკვე წაუყენა ახალ მთავრობას რამდენიმე მოთხოვნა, მათ შორის 1991-92 წლების მოვლენების ინიციატორთა დასჯა და ზვიად გამსახურდიას მკვლელების და მკვლელობის გამოაშკარავება. არის თუ არა მზად ამისთვის დღევანდელი ხელისუფლება?

- მიხეილ სააკაშვილმა განაცხადა, რომ ზვიად გამსახურდია დაიკრძალება პრეზიდენტის პატივით. ეს თავის თავში უკვე მოიცავს გამსახურდიას მიმართ წაყენებული სამშობლოს ღალატის აბსურდული ბრალდების მოხსნას. შემდეგ როგორ წარიმართება ძიება და გადატრიალების მონაწილეები დაისჯებიან თუ არა - ეს სხვა საკითხია. პრეზიდენტ გამსახურდიას გარდაცვალებასთან დაკავშირებით არსებული ბურუსიც უნდა გაქრეს. უნდა გაირკვეს სამოქალაქო ომის ორგანიზატორთა ვინაობა, მათ შორის პირველ რიგში დავასახელებდი: თენგიზ სიგუას და თენგიზ კიტოვანს, რომელთაც წამოიწყეს ეს ომი და არა იმ ახალგაზრდებს, რომლებმაც არც იცოდნენ, რას აკეთებდნენ. თუ მათ ჰქონდათ რუსეთისგან დავალება, ესეც განაცხადონ. 12 წლის შემდეგ. მაინც ხომ უნდა გაიგოს საზოგადოებამ, რა მოხდა,. გამსახურდიას, რა თქმა უნდა, ჰქონდა შეცდომები. მაგრამ სამშობლოსთვის არ უღალატია. თენგიზ კიტოვანის და თენგიზ სიგუას საქციელი კი ნამდვილად სამშობლოს ღალატი იყო. რაც შეეხება ჯაბა იოსელიანს, ის ამ დროს ციხეში იჯდა და უშუალოდ მას არ დაუწყია აჯანყება.

– გარდაცვლილზე ცუდს არ ლაპარაკობენ.

– ეს ცხოვრებაში, პოლიტიკაში გარდაცვლილზეც უნდა ვილაპარაკოთ. ეს ისტორიაა. შემდგომ ჯაბა იოსელიანმაც არანაკლები წვლილი შეიტანა ქვეყნის განადგურებაში, ახალგაზრდების გარყვნასა და სამეგრელოს აწიოკებაში. მაგრამ პროცესი სიგუამ და კიტოვანმა დაიწყეს. საბოლოო ჯამში კი ისინი ქმნიან სახელმწიფო დამნაშავეთა ტრიუმვირატს.

ესაუბრა მაია შონია
„დილის გაზეთი“, 2004, 28 იანვარი

ასლან აბაშიძე უნდა მიხვდეს, რომ ვეღარ მართავს ავტონომიურ რესპუბლიკას

– როგორი პროგნოზი გაქვთ მომავალი პარლამენტის შემადგენლობასთან დაკავშირებით?

– 28 მარტის არჩევნებში აბსოლუტური უმრავლესობით გაიმარ-ჯვებენ „ნაციონალები“, როგორც თავის დროზე გაიმარჯვა „მრგვალმა მაგიდამ“ ზვიად გამსახურდიას ხელმძღვანელობით. თუ გავიხსენებთ 1918-1921 წლების დემოკრატიულ საქართველოს, მაშინაც ნოე ჟორდა-ნიას პარტიამ 130 ადგილიდან 109 ადგილი აიღო. კანონზომიერია, რომ ეს ჯგუფი მიხეილ სააკაშვილის ხელმძღვანელობით აბსოლუტური უმრავლესობით მოვა პარლამენტში. როცა ლიდერი ეყრდნობა ხალხის უფართოეს ფენებს, ის ყოველთვის გამარჯვებული იქნება. რაც შეეხება ოპოზიციას, მისი პერსპექტივები ძალიან მძიმეა. იმიტომ, რომ ოპოზი-ციამ ვერ შეძლო გაერთიანება.

– რატომ ვერ შეძლო ოპოზიციამ გაერთიანება?

– ეს ქართული ამბიციების ბრალია, როცა ყველას ლიდერობა უნდა. „აღორძინებასთან“ დაკავშირებით ვიტყვი, რომ ამ პარტიამ თვითონ გაირთულა მდგომარეობა. ბათუმში შექმნილი სიტუაცია, თბილისში მომხდარი ცვლილებები „აღორძინების“ სასარგებლოდ არ მეტყველებს, ამიტომ საეჭვოა, რომ მან 7-პროცენტიანი ბარიერი გადალახოს. ცენტრთან დაპირისპირებით, მიტინგების დარბევით, ძალადობით, „აღორძინება“ წარმატებას ვერ მოიპოვებს.

– 7-პროცენტიანი საარჩევნო ბარიერის დაწევაზე რატომ არ წავიდა ხელისუფლება?

– საარჩევნო ბარიერის დაწევას კონსტიტუციაში ცვლილება, ე.ი. 157 ხმა სჭირდება.

– პარლამენტმა ცოტა ხნის წინ კონსტიტუციაში შესწორებები უპ-რობლემოდ შეიტანა...

– გეთანხმებით, მაშინ საკონსტიტუციო უმრავლესობა პარლამენტში მოგროვდა. მაგრამ ცვლილებები მინისტრთა კაბინეტის შემოღებას შე-ეხებოდა. ამას ბევრი მომხრე ჰყავდა, იმიტომ, რომ ეს თემა დიდი ხანია იხილება და დღის წესრიგში დგას. საარჩევნო ბარიერის დაწევას დეპუ-ტატების ასეთი მხარდაჭერა არ მოჰყვებოდა. იმიტომ, რომ დღეს პარ-ლამენტში აბსოლუტური უმრავლესობა მხარს ხელისუფლებას უჭერს. ის, ვინც ადრე შევარდნაძესთან იდგა, დღეს ემხრობა მიხეილ სააკაშ-ვილს. ამიტომ პარლამენტი დიდი ხალისით არ შეხვდებოდა 7-პროცენ-ტიანი საარჩევნო ზღვარის დაწევას.

თვითონ ხელისუფლება, რა თქმა უნდა, წინააღმდეგი არ არის, რომ მომავალ პარლამენტში ოპოზიცია იყოს წარმოდგენილი. პირიქით, ხელისუფლებას სჭირდება კიდეც გარკვეული დოზით ოპოზიცია პარლა-მენტში. ოპოზიციას თავის დროზე მეტი აქტიურობა უნდა გამოეჩინა, თუ საარჩევნო ბარიერის დაწევა სურდა.

დღეს საქართველოში, გამარჯვებული პოლიტიკური ძალის გარდა,

რეალურად ორი თუ სამი პატარა პარტიაა. ამ პარტიების ლიდერები, ფაქტიურად, უჯარო გენერლები არიან. ისეთი სიტუაციაა შექმნილი, რომ ყველას გენერლობა უნდა, ჯარზე კი არავინ ფიქრობს. მთელი ოპოზიცია რომ გაერთიანებულიყო, მაშინ მართლაც საინტერესო არჩევნები და პარლამენტი გვექნებოდა.

– ოპოზიციად ვინ მიგაჩნიათ?

ოპოზიციონერებად მიმაჩნია აკაკი ასათიანი, შალვა ნათელაშვილი და თუნდაც ასლან აბაშიძე. ოპოზიცია არსებობს, მაგრამ აშკარად წამგებიან მდგომარეობაშია. ეს ობიექტური სიტუაციიდანაც გამომდინარეობს და ოპოზიციონერი ლიდერების სუბიექტურობიდანაც.

– აჭარაში როგორ განვითარდება მოვლენები? შეიძლება, რომ იქ შინაგანი ჯარი შევიდეს?

– არასწორად მიმაჩნია აჭარაში ჯარის შეყვანა. თუ ეს მოხდა, შეიძლება აფხაზეთის მოვლენები გამეორდეს. აჭარის ხელმძღვანელობამ შეიძლება ეს ფაქტი პროვოკაციისთვის გამოიყენოს, რასაც უმართავი პროცესები და სისხლისღვრა მოჰყვება. პრეზიდენტმა სააკაშვილმა აღნიშნა, რომ პროცესები თვითონ აჭარის შიგნით, არჩევნების გზით უნდა დარეგულირდეს.

– ასლან აბაშიძე დათანხმდება რიგგარეშე არჩევნების ჩატარებას?

– ის იძულებული გახდება, ამაზე წავიდეს. ისე, არც შევარდნაძეს არ უნდოდა ხელისუფლების დათმობა. **ადრე თუ გვიან, ასლან აბაშიძე მიხვდება, რომ ვეღარ მართავს ავტონომიურ რესპუბლიკას.** სხვა პრობლემებს დაემატება „საზღვაო ბანკის“ პრობლემა, გემების, ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხი და ეს პრობლემები მას გამოუვალ მდგომარეობას შეუქმნის.

შემაშფოთებელია, რომ აჭარაში დაარბიეს ქრისტიან-დემოკრატიული კავშირის ოფისი, სასტიკად გაუსწორდნენ ამ პარტიის აქტივისტს. ამ პარტიის ლიდერი, ვაჟა ლორთქიფანიძე, რევოლუციონერთა გვერდით არ იდგა და ახლა ასეთი ანგარიშსწორება სავსებით გაუგებარია. შეიძლება აქ პირადი დაინტერესებაც იყოს. რამდენადაც ვიცი, ჯემალ გოგიტიძეს არ ჰქონდა კარგი დამოკიდებულება ვაჟა ლორთქიფანიძესთან. ძნელია თქმა, რა და როგორ მოხდა. მაგრამ ფაქტია, რომ ამაზრზენი რამ მოხდა. მით უმეტეს, რომ ლორთქიფანიძეს და მის პარტიას არ ჰქონდა რადიკალური დაპირისპირება აჭარის ხელისუფლებასთან. თუ აჭარის ხელისუფლება ზომიერ „ქრისტიან-დემოკრატებს“ ასე მხეცურად გაუსწორდა, მაშინ რადიკალურად დაპირისპირებულ ოპოზიციონერებს როგორღა მოექცევა?

ასლან აბაშიძის რეჟიმი დიდ ხანს ვერ გაძლებს. ამიტომ უკეთესი იქნება, აჭარის ლიდერი არჩევნების ჩატარებაზე წავიდეს. როცა რეგიონ-

ში დაუმორჩილებლობა იზრდება, ადრე თუ გვიან შედეგს გამოიღებს.

ესაუბრა მარიკა მჭედლიშვილი
„ახალი თაობა“, 2004, 24 თებერვალი

მე ვესწრებოდი

მე ვესწრებოდი პრეზიდენტის დაკრძალვას გროზნოში და როგორც იქ ამბობდნენ, ქალბატონმა მანანამ უნდობლობა გამოუცხადა შევარდნაძის მიერ დანიშნულ ექსპერტიზას. ვფიქრობ, ჩეჩნეთის ხელისუფლების მიერ დანიშნული ექსპერტიზაც ტენდენციური იქნებოდა. ამ სიტუაციაში ყველაზე მართებული საერთაშორისო ექსპერტების ნდობა უნდა ყოფილიყო. მაგრამ, როგორც ჩანს, ეს არც დევნილ ხელისუფლებას და არც შევარდნაძეს არ უნდოდათ.

ჩვენი ფრაქციის თავმჯდომარე ცხონებული ვახტანგ ბოჭორიშვილი მხარს უჭერდა ვერსიას, რომ ბატონი ზვიად გამსახურდია მოწამლული იყო, თუმცა სიკვდილის მიზეზი ეს არ ყოფილა.

ვფიქრობ, გამორიცხული არ არის, პრეზიდენტს მართლაც მოეკლა თავი.

ქვეყანაში შექმნილმა ქაოსმა, განუწყვეტელი ღალატისა და სიბინძურის ატმოსფერომ იგი სრულ სასოწარკვეთილებამდე მიიყვანა. ადამიანები, რომლებიც ტრიუმფით ხვდებოდნენ მას, გადამწყვეტ მომენტში გვერდით აღარ დაუდგნენ. რატომ არ ვითვალისწინებთ ამას და რატომ მიგვაჩნია პრეზიდენტის ეს ნაბიჯი შეურაცხმყოფელად?..

გაცილებით არაბუნებრივი და წარმოუდგენელი არ იქნებოდა, რომ ასეთი კატასტროფის შემდეგ ზვიად გამსახურდია ემიგრაციაში წასულიყო და მშვიდად ეცხოვრა?..

გაზ. „რაო-რაო?“, 2004, 23-29 თებერვალი

შავი კატა

მოსალოდნელია, რომ შავმა კატამ ჟვანია-სააკაშვილსა და ბურჯანაძეს შორის გაირბინოს. ამის გამომწვევი რამდენიმე ფაქტორი არსებობს. ქალბატონი ნინო, როგორც პრეზიდენტის მოვალეობის ყოფილი შემსრულებელი, ძნელად შეეგუება საკუთარი პოლიტიკური როლის დაკნინებას. მიუხედავად იმისა, რომ ერთ დროს ზურაბ ჟვანია მას თამარ მეფესაც კი ადარებდა, დღეს მათ შორის უთანხმოების არსებობა უკვე ცალსახაა. ქალბატონი ნინოს პოლიტიკური ფუნქცია ეჭვქვეშ დგება. ახალ პარლამენტში მოდიან ადამიანები, ვინც, ფაქტობრივად, მისი გუნდის წევრად არ მოიაზრება. ამდენად, სათუო ხდება პარლამენტის თავმჯდომარის პოსტზე ბურჯანაძის ყოფნა-არყოფნის

საკითხიც. არსებობს საფუძველი ვიფიქროთ, რომ ამ პოსტზე განიხილება მაია ნადირაძის კანდიდატურაც. იმ შემთხვევაშიც კი, თუ პარლამენტის თავმჯდომარის თანამდებობაზე ბურჯანაძეს აირჩევენ, ადვილი შესაძლებელია, რომ უკვე შემოდგომაზე დღის წესრიგში მისი შეცვლის საკითხი დადგეს.

გარკვეული დროის შემდეგ შავი კატა ჟვანიასა და სააკაშვილს შორისაც გაირბენს. თუმცა იდეალისტ სააკაშვილს პრაგმატიკოსი და მისი იდეების აღმასრულებელი ჟვანია ჯერჯერობით სჭირდება.

მოამზადა თეა ლობჟანიძემ
გაზ, „რაო-რაო“ 2004, 22-28 მარტი

დღევანდელ ხელისუფლებას მწერლობა არ სჭირდება

დღევანდელი ხელისუფლება, ისევე როგორც ბოლშევიკური, ცდილობს ნაციონალური სული დათრგუნოს. ამიტომ ანგრევს უნივერსიტეტს, მწერალთა კავშირს, სკოლას, მეცნიერებათა აკადემიას, პროპაგანდას უწევს ერზაც კულტურას, გამოგონილ ინტელექტუალებს.

ჯერ მწერლებს შეუწყვიტეს 22 ლარის დახმარება, შემდეგ შენობის დაცლაც მოსთხოვეს.

შეიძლება უჭირდეს სახელმწიფოს და მან ვერ გამოსცეს წიგნი, ჟურნალი და გაზეთი, ვერ დაეხმაროს მწერალს. მაგრამ ის, რაც გააჩნია, რატომ უნდა წაართვას. სამაგიეროს რას სთავაზობს? ცხადია, არაფერს. ალბათ ამჯერადაც ამერიკას ვბაძავთ. მაგრამ იქ ხომ სხვა ეკონომიკური სიტუაციაა.

მთავრობას მწერლობა დახმარების ღირსად არ მიაჩნია, არც ახსენებს დიდი მწერლების სახელებს, თითქოს არც არსებულან. ამიტომ მინდა გავახსენო მარტინ ჰაიდეგერის სიტყვები: დაღუპულია ის ქვეყანა, რომელსაც თავის უდიდეს შვილებად ბოქსიორები და ფეხბურთელები ჰყავს გამოცხადებულიო.

მართალია, ჰაიდეგერი გერმანელია და არა ამერიკელი, მაგრამ არა მგონია, ამერიკის კონტინენტს უფრო დიდი ფილოსოფოსი ჰყავდეს.

„მწერლის გაზეთი“, 16-31 ოქტომბერი, 2004

უნივერსიტეტში კონსტანტინე გამსახურდიას კაბინეტს ხურავენ

უნივერსიტეტის ეზოში, ივანე ჯავახიშვილის ძეგლის პირდაპირ, პროფესორ-მასწავლებელთა მიტინგები იმართება. მაგრამ ამ მოძრაობამ საყოველთაო ხასიათი ვერ მიიღო. მათ ხომ აღარაფერი აქვთ დასაკარგი. უბრალოდ, ადამიანები უსუსურნი აღმოჩნდნენ ტოტალური ძალადობის წინაშე. ვერავინ შეაჩერა ეს პროცესი: სხვადასხვა უწყებებიდან ქუჩაში გამოყრილი, ულუკმაპუროდ დარჩენილი ინტელიგენცია და მათი სრულიად გაუგებარი ჩანაცვლება სხვა კადრებით... ფიქტიურმა ტენდერებმა და ეგზითპოლებმა, საუბრებმა რაღაც რეიტინგებსა და ძირეულ გარდაქმნებზე დიდი ხანია უკვე ტრაგიკომიკური სახე მიიღო...

და მაინც, უკვე დასმულ კითხვას ვუბრუნდები: ვინ უნდა ჩაატაროს უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა ატესტაცია?

ამის შესახებ ჩვენ არაფერი ვიცით, - **ამბობს პროფესორი სოსო სიგუა, რომელმაც ეს-ესაა მიტინგზე სიტყვით გამოსვლა დაასრულა** - ყველაფერი ხდება ჩვენს გარეშე, ჩვენთან შეუთანხმებლად. თანამშრომელთა გათავისუფლებას „დიდი სამეცნიერო საბჭოს“ გაუქმება უძღოდა წინ.

თვით ედუარდ შევარდნაძემ, რომელსაც გულზე არ ეხატებოდა კონსტანტინე გამსახურდია, ზვიად გამსახურდიას კი იარაღით ებრძოდა და დაამხო კიდეც, მანაც კი იცოდა, რომ კონსტანტინე დიდი მწერალია და მისი კაბინეტი უნდა არსებობდეს უნივერსიტეტში. ახალმა ხელისუფლებამ კი გააუქმა კონსტანტინე გამსახურდიას, ივანე ჯავახიშვილის, აკაკი წერეთლის, აკაკი შანიძის, ვაჟა-ფშაველას, გალაკტიონის და თვით რუსთაველის კაბინეტიც კი.

მოტივაციაასეთია: **უნივერსიტეტში არ უნდა წარმოებდეს სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა. მათი ლოგიკით, ალბათ, არც მეცნიერებათა აკადემიაში, რადგან იქ 56 ინსტიტუტიდან 11-ს ტოვებენ. 45 პროცენტი შენობებისა უნდა გაიყიდოს, თანამშრომელთა 60 პროცენტი გათავისუფლდეს.**

როგორც ჩანს, ჩვენი ხელისუფლება არ ცნობს ქართულ მეცნიერულ სკოლებს. ფიქრობენ, რომ მეცნიერები მხოლოდ ამერიკაში არიან. ისინი უნდა ვთარგმნოთ და გადავცეთ ქართულ ენაზე. მალე, ალბათ თარგმანიც აღარ იქნება საჭირო...

ცნობილია, რომ მეცნიერება ხელშეწყობის გარეშე ვერ ვითარდება. პოეტს ყველგან და ყოველთვის შეუძლია დაწეროს ლექსი, მეცნიერს კი მუშაობისთვის სათანადო პირობები სჭირდება.

პარადოქსია - კომუნისტების დროს ჩვენში მეცნიერების მრავალ

დარგს ჩაეყარა საფუძველი.

ე.წ. „ეროვნულ ხელისუფლებას“ კი ყველაფრის დანგრევა სურს.

...

მიტინგმა ვარაზის ხევში გადაინაცვლა, ვარაზის ხევში გზის გადაკეტვა გამაფრთხილებელი აქცია გახლდათ... და სწორედ აქ განვითარდა ყველაზე მთავარი და მტკივნეული: ხევში ჩასულმა ნამდვილმა ქართულმა ინტელიგენციამ - უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებმა, დიდი წვალებით, ძლივს, სიცოცხლის რისკის ფასად, შეაჩერეს ავტომანქანების ნაკადი. განსაკუთრებით „ჯიპები“ პირდაპირ და ჯიქურ მოდიოდნენ, თითქოს ვერავის ხედავდნენ და მზად იყვნენ ამ უსასოო მდგომარეობაში ჩავარდნილ ხალხზე გადასავლელად - მანქანების გაბმული სიგნალი და მრავალსართულიანი უშვერი გინება სწავლულთა მისამართით - ეს იყო ზუსტი გახმოვანება იმ რეალობისა, რომ საქართველოში თანდათან კვდება ჩვენი ეროვნული თვისება: თანადგომისა და თანაგრძნობის უნარი და რომ ხელისუფლება ებრძვის თავის ხალხს.

„საქართველოს რესპუბლიკა“, 2005, 2 ივლისი

რატომ დუმს სალიტერატურო კრიტიკა?

– რით არის დღეს გამოწვეული კრიტიკის დეფიციტი, ახდენს თუ არა კრიტიკა ლიტერატურულ პროცესზე ჯეროვან გავლენას?

– დღეს, თანამედროვე სიტუაციაში, არც ხელისუფლებას სჭირდება კრიტიკა და არც მწერლობას. იმიტომ, რომ მწერლობა როგორც ერთი მთლიანი სისტემა, არ არსებობს, დაშლილია. ყველა ცალ-ცალკეა. ზოგს აქვს საკუთარი პრესა, ზოგს - არა, ზოგი სცემს წიგნს, ზოგი არც წერს წიგნს. ამიტომ ის ამბიციები, რაც მწერლებს ჰქონდათ, ამ მცირეტირაჟიანი წიგნებითა და პატარ-პატარა გაზეთებით არის დაკმაყოფილებული. ისინი ერთმანეთს აქებენ, განადიდებენ, იქ კრიტიკის შეტანა, მათი მოთხრობის თუ ლექსის დაწუნება გამოიწვევს მხოლოდ დისონანსს. ეს თითქოს ყოფით დონეზე, მაგრამ რეალურად კრიტიკა, ჩემი აზრით, უნდა იყოს სალიტერატურო აზროვნების გამოხატულება, რომელიც იქნება არა მხოლოდ კონკრეტულად დღევანდელ ნაწარმოებზე დაწერილი, არამედ წარსულზე, ლიტერატურაზე, ლიტერატურულ პროცესებზე, რა იქნება უკვე საინტერესო თვითონ საზოგადოებისთვის, სადაც არის ის აზროვნების დოკუმენტი და არა მხოლოდ ერთი ლექსის, ნოველის ან მოთხრობის განხილვა. მე ვგულისხმობ, რომ კრიტიკა არ უნდა გავიგოთ, როგორც რეცენზია, როგორც გაკრიტიკება, როგორც საინფორ-

მაციო მიმოხილვა; ის უნდა მიგვანიშნებდეს, თუ საითკენ მიდის ქართული მხატვრული აზროვნება, დღევანდელ პროცესთან მიმართებაში, როგორია თანამედროვე ხელოვანის ცნობიერება და რა პრობლემები უდგას არა კონკრეტულ ხელოვანს, არამედ ზოგადად ხელოვნებას. შეიძლება რომელიმე პიროვნებას რაიმე პრობლემა ჰქონდეს, ეს ნაკლებად საინტერესოა. მე ვგულისხმობ, თვითონ პროცესს რა პრობლემები უდგას, თუ საით მიდის ქართული ლიტერატურა, ქართული ლექსი, სჭირდება თუ არა დღეს ქართველ ხალხს, სჭირდება თუ არა ხელისუფლებას, და რა გველოდება ჩვენ... ვუყურებთ, ჩვენს თვალწინ როგორ კვდება ქართული ლიტერატურა და თუ ვაკეთებთ რამეს მისი აღორძინებისა და გაძლიერებისთვის. მე არ ვგულისხმობ ადმინისტრაციულ მეთოდებს, მე ვგულისხმობ შინაგან იმპულსებს, რაც ხელოვანს უნდა გააჩნდეს. და ასევე უნდა იყოს საზოგადოებაში მოთხოვნილება, რომ მას სჭირდება თავისი ნაციონალური, თავისი ეროვნული ლიტერატურა, როგორც მეობისა და თვითმყოფადობის გამოხატულება... ხოლო თუ ერს არ სჭირდება ეს, ერში ჩამკვდარია ყოველი სურვილი, ეს ადრე თუ გვიან გადავა თვითონ ხელოვანში, ხელოვნებაში და ლიტერატურის დეფიციტი წარმოიშობა... მე ვფიქრობ, რომ ეროვნულმა აღმავლობამ, რომელიც იყო ჩვენს საზოგადოებაში, ვერ გამოიწვია ლიტერატურული აღმავლობა, ეროვნულ-პოლიტიკური პროცესების პარალელურად ვერ განვითარდა მხატვრული აზროვნება; რა თქმა უნდა, დაიწერა ცალკეული საინტერესო ლექსი, მოთხრობა, რომანიც ამ მოვლენაზე, მაგრამ ასეთი მასშტაბების მწერლები, როგორებიც იყვნენ გალაკტიონი, „ცისფერყანწელები“. კონსტანტინე გამსახურდია, მიხეილ ჯავახიშვილი, გრიგოლ რობაქიძე, არ მოჰყოლია ამ ახალ მოძრაობას.

იაფფასიანი ექსპერიმენტები დავარქვათ ამას თუ სენსაციური, რომელსაც მიმართავენ ჩვენი ახალგაზრდები, მე არ მიმაჩნია ლიტერატურის წინსვლის წინაპირობად. ეს არის დროებითი მოვლენა, ისევე როგორც მეოცე საუკუნის ოციან წლებში ფუტურისტების ხმაური.

ასე რომ, ჩვენს სალიტერატურო კრიტიკასაც უდგას ის კრიტიკულ-კრიზისული რთული პერიოდი, რაც საერთოდ ჩვენს საზოგადოებას და ჩვენს აზროვნებას: როდესაც ერი დამარცხებულია, ის ქმნის დიდ სულიერ კულტურას (ასე იყო მეცხრამეტე საუკუნის საქართველოში, მე-20 საუკუნის 20-30-იან წლებში). მაგრამ ამჯერად, სამწუხაროდ, ასეთი ვითარება არ შეინიშნება და ვერ ვხედავ ვერავითარ სიმპტომს იმისა, რომ გავხდებით ახალი აღმავლობის მოწმენი. თომას მანი ამბობს თავის ერთ-ერთ წერილში, როცა გერმანია იყო დამარცხებული: „დღეს არის წიგნის არნახული ზეიმი“... იმიტომ რომ ერი, რომელიც დამარცხდა პირველ მსოფლიო ომში, თავს დამარცხებულად არ გრძნობდა და ამ

ინტელექტუალური პოტენციალით ქმნიდა მომავლის პირობას...

თუ ეს ინტელექტუალური საყრდენი მოვშალეთ, მაშინ მომავალი თაობების ორიენტირი რა იქნება? შეიძლება ბევრი ჯიხური, მაგისტრალი გაიხსნას, იყოს კაზინო, ბარი და ეს საზოგადოებაც იარსებებს, მაგრამ არ გვექნება დიდი ქართული კულტურა, რომლის ნაწილია, რომლის გამოხატულებაა, კერძოდ, სალიტერატურო კრიტიკაც.

– ამბობენ, რომ კრიტიკის დეფიციტი თვით ლიტერატურაში გამოიხატაო. თქვენ მიგაჩნიათ, რომ ახალგაზრდა მწერლების შემოქმედებაში არის კრიტიკული მიდგომა?

– ლიტერატურაში რომ გამოიხატოს, ეს კარგი იქნება. ისევ გავიმეორებ თომას მანის მაგალითს, რომელიც ინტელექტუალური ტიპის პროზაიკოსია, რომელსაც შემოჰქონდა სწორედ სააზროვნო პროცესები რომანში. ამგვარ სააზროვნოდ ლიტერატურის ქცევას დღეს ვერ ვხედავთ, და ვერ ვიტყვი, რომ ახალგაზრდა მწერლების შემოქმედებას კრიტიციზმი ახასიათებდეს.

ამასწინათ მომიხდა ახალგაზრდა პოეტებისა და პროზაიკოსების შემოქმედების გაცნობა (მწერალთა კავშირში ვცემთ გაზეთს და მასალები მჭირდებოდა). სამწუხაროდ, ეს არის ეროვნული გრძნობებისა და პრობლემებისგან, ფილოსოფიური გრძნობებისა და პრობლემებისაგან, ადამიანური გრძნობებისა და პრობლემებისაგან დაცლილი ლიტერატურა, რომელიც სიცარიელეს ივსებს პორნოგრაფიით, პათოლოგიით, ბილწსიტყვაობით.

ეს არის უსამშობლო ახალგაზრდების ლიტერატურა.

შეიძლება კოსმოპოლიტური განცდები შეიქმნას, მაგრამ პორნოგრაფიის სტილიზებით, პათოლოგიის სტილიზებით, უცნაურობების სტილიზებით, ჩვენი ერის სათაყვანებელ არსებათა შეურაცხყოფით ლიტერატურა არ შეიქმნება. მე არ ვფიქრობ, რომ ყველა ადამიანს ისტორიული პირების მიმართ სტანდარტული აღმაფრენა ჰქონდეს და დამოკიდებულება. ზოგს შეიძლება ვაჟა-ფშაველა მოსწონდეს, ზოგს კიდევ - ბარათაშვილი; ეს არ არის საოცარი; ჩვენ ერთნაირი კრიტერიუმებით ვერ ვისარგებლებთ, მაგრამ ერის სათაყვანებელი პიროვნებების სასაცილოდ აგდების უფლება არავის არა აქვს; როცა ძველ ფეტიშებს ანგრევენ, სამაგიეროდ უნდა შემოგვთავაზონ ახალი ფეტიშები; ასეა წესი. თორემ თქმას რა უნდა. როცა მწერალია დიდი შემოქმედი, ის თავისი მოქმედებით, აზროვნებით გადალახავს თაობათა ინერციას და თავისი ძალითა და მხატვრული ენერგიით ხდება ძველის უარმყოფელი და კრიტიკოსი (როგორც ერთ დროს გალაკტიონმა გადააფასა მეცხრამეტე საუკუნის პოეზიის სულიერი მემკვიდრეობა, რომ ამის შემდეგ არ შეიძლებოდა ძველებურად წერა). აი, ეს არის ნამდვილი კრიტიციზმი,

ისე ლოზუნგების დონეზე უარყოფა კი არაფერს არ ნიშნავს.

- კრიტიკა რატომ დუმს იმ პროცესებზე, რაც ლიტერატურაში მიმდინარეობს?

- დუმს იმიტომ, რომ თვითონ ამ პროცესში ვერ პოვებს სულიერ მასალას. ეს შეიძლება უფრო იყოს სოციოლოგიური განხილვის საგანი. ის რაც დღეს ხდება ლიტერატურაში, შეიძლება საინტერესო იყოს სოციოლოგიური თვალსაზრისით, ვიდრე ესთეტიკურით. იმიტომ რომ დღეს ესთეტიკური ღირებულება არ იქმნება და რაღაცა მაინც ხომ ხდება... ამ რაღაცას კი სჭირდება სოციოლოგიური განხილვა პოლიტიკურ პროცესებთან და დღევანდელ ვითარებასთან მიმართებაში. ეს შეიძლება კრიტიკას გაუჭირდეს. აქ უფრო მასშტაბური ხედვაა საჭირო, ვიდრე ვთქვათ პოეტიკის ან პროზის კანონების გააზრება. ცალკეული პოეტი რომ უნიჭოა, ეს ერისთვის არ არის ტრაგედია. ტრაგედიაა, როცა კვდება ხელოვნება, როცა ხელოვნებას უდგას უმძიმესი პერიოდი. ამის მიზეზების ძიება და წარმოდგენა საზოგადოებისთვის ძალიან საინტერესო იქნება, რადგან ასეთი კრიტიკული დამოკიდებულება შეიძლება სასარგებლო იმპულსის მომცემიც აღმოჩნდეს, თუ ჩვენ წარმოვადგენთ იმ სურათს, რაც დღევანდელობამ მოიტანა და ასე ცუდად აისახა ლიტერატურაში, მხატვრულ აზროვნებაში.

– თქვენ მიგაჩნიათ მიზანშეწონილად, რომ ბოლო დროს ასე ძალუმად იგრძნობა რომანების მოზღვავება ჟურნალებსა და ტელემარათონებში?

– ხელისუფლება ამით სპეციალურად ხელს უწყობს ფსევდო-ლიტერატურის დამკვიდრებას, გამასობრიობას, იმ აზრის დანერგვას, რომ ყველას შეუძლია რომანის წერა.

ესაუბრა მიმოზა კვირკვია
ჟ. „სამყარო“, 2005, № 4.

კონსტანტინე გამსახურდიას კაბინეტი დაანგრიეს

უნივერსიტეტში დაანგრიეს ილიას, აკაკისა და კონსტანტინე გამსახურდიას კაბინეტები, ამ ადგილზე სამლოცველო უნდა განთავსდეს, როგორც ადრე იყოო.

გამაფრთხილა დეკანის მოადგილემ, სკამები, მაგიდები, საექსპოზიციო სურათები დროზე უნდა გაიტანოთო. ჩვენ კაბინეტს კი არ ვაუქმებთ, ადგილს ვუცვლითო, დროებით ეს ნივთები სადმე შეინახეთო.

იგივე მითხრა მომარაგების უფროსმა.

გამოჰყვეს მუშები, შოფერი, მანქანა და ის ნივთები გადამატანინეს, რომლებიც შეძენილი იყო ჩემი სახსრებით.

რამდენადაც ვიცი, კაბინეტის გაუქმებაზე ბრძანება არც იყო დაწერილი. საპროპაგანდოდ სჭირდებოდათ, ჭორებს ავრცელებენ თითქოს კაბინეტები დაუნგრევიათო. არადა ხელფასი ხომ უკვე ერთი წლის წინათ შეუწყვიტეს ყველა თანამშრომელს, გამოაცხადეს, რომ უნივერსიტეტი სასწავლო დაწესებულებაა და არა სამეცნიერო!

კაბინეტების ლიკვიდაციასა და დანგრევაზე არცერთ სტუდენტს, არცერთ კონკურსში გამარჯვებულ პროფესორ-მასწავლებელს პროტესტი არ გამოუხატავს.

2006, ოქტომბერი

ვინც ქართულ მწერლობას ებრძვის, ის საქართველოს ებრძვის

მწერალთა უმრავლესობას იმედი გადაწურული აქვს,რომ უზენაესი სასამართლო მათ სასარგებლოდ გადაწყვეტს მაჩაბლის № 13-ში მდებარე შენობის ბედს. 530 მწერალი აპირებს სადღეღამისო მორიგეობა დააწესოს შენობასთან და კიდევ ერთხელ გაიმეოროს კონსტანტინე გამსახურდიას, ტიციან ტაბიძის თუ პაოლო იაშვილის მაგალითი შენობის დაცვისა. „ახალ თაობასთან“ საუბრისას მწერალთა კავშირის წევრებმა კიდევ ერთხელ დააფიქსირეს საკუთარი აზრი:

– ხელისუფლებას არ უნდა მეცნიერებათა აკადემია, მწერალთა კავშირი, უნივერსიტეტი და ალბათ სხვა შემოქმედებითი ორგანიზაციებიც ასეთივე დღეშია. ხელისუფლების დამოკიდებულების გამოხატვაა მწერლებისთვის მწერალთა სასახლის ჩამორთმევა. ეს შენობა ქართველ მწერლებს 1921 წლიდან ეკუთვნის. აქ მოღვაწეობდნენ გალაკტიონ ტაბიძე, ტიციან ტაბიძე, კონსტანტინე გამსახურდია, ყველა ცნობილი ქართველი ხელოვანი და ცნობილი ქართველი მწერალი. მაგრამ დღევანდელი ხელისუფლებისთვის არაფერს ნიშნავს არც მეცნიერება, არც მწერლობა, არც ხელოვნება. თუმცა იძახის, რომ ყველაფერს აკეთებს ხელოვნებისა და მეცნიერების პროგრესისათვის. ამას ვერ ხვდებიან მწერლები, თორემ ჩვენ გადაყოლილნი ვართ მათზე ზრუნვასა და ამაგსო, - ამბობს ხელისუფლება. თუ შენობას წაგართმევენ, წიგნს არ გამოგიცემენ, ტელევიზიაში არ გამოგიშვებენ, გაზეთს დაგიხურავენ - მთელი რედაქციები ოფისის გარეშე რჩება, რაღა დარჩება. დარჩება თითო-ოროლა, ხელისუფლებისგან მართული მწერალი, რომელსაც არ სჭირდება არც ქართული სულიერება, არც ქართული კულტურა.

ასე ყოველთვის არსებობდა საქართველოში წიგნი, იქნებოდა ის ხან სპარსული, ხან არაბული, ხან რუსული, ქართული კი იყო დაჩაგრული. კარგია არსებობდეს სხვაც, მაგრამ საქართველოში პრიორიტეტი უნდა მიენიჭოს ქართულ სიტყვას, ქართულ კულტურას, მეცნიერებას.

პირადად მე ძალზე პესიმისტურად ვარ განწყობილი, რადგან დღეს ხელისუფლებაში არიან ნაციონალების მანტიით შემოსილი ორჯონიკიძეები, ნაციონალების ნიღბით მოსული ანტინაციონალები. ეს რეალობაა და ოპტიმისტური დასკვნის საფუძველს არ მაძლევს. არსებობს განკარგულება, რომ უნივერსიტეტებში, მეცნიერებათა აკადემიაში, ყველა უმაღლეს სასწავლებელში და კვლევით დაწესებულებაში პენსიაზე უნდა გაუშვან 50 წელს გადაცილებული მეცნიერები. მათ დაუნიშნავენ 3 წლის ვადით ხელფასის 80%-ს. ეს დაახლოებით 90 ლარია პროფესორისთვის, დოცენტისთვის - 70 ლარი და ასე შემდეგ. სამი წლის შემდეგ საერთო პენსიაზე იქნებიან, თუ ეკუთვნით საერთოდ. 50 წლის კაცს 28 ლარიან პენსიასაც არ დაუნიშნავენ. უნდა უცადოს 65 წელს. მანამდე ზოგი მოკვდება, ზოგი სამსახურს იშოვის, ზოგს სიდედრი ჰყავს, ზოგს რძალი ჰყავს და მათი დახმარებით, წვალებით იარსებებს, ალბათ. ეს არის ლახვრის ჩაცემა ქართული კულტურისა და ხელოვნებისათვის. თითო-ოროლა ტალანტი, რა თქმა უნდა, ყოველთვის იარსებებს. ვაჟა-ფშაველას, ილია ჭავჭავაძესა და აკაკი წერეთელს რუსეთის ხელისუფლება არ ეხმარებოდა, მაგრამ მათ მაინც შექმნეს დიდი ქართული ლიტერატურა. ასევე თითო-ოროლა ქართველი მწერალი ყოველთვის იარსებებს მწერალთა კავშირისა და ხელისუფლების მხარდაჭერის გარეშეც. მაგრამ ეს არ იქნება ხელისუფლების ღირსება და დამსახურება. ეს ფაქტი ჩვენ ხელისუფლებას შავ ლაქად დააჩნდება ხანგრძლივი თუ ხანმოკლე არსებობის მანძილზე.

ესაუბრა მერი ნამორაძე
„ახალი თაობა“, 2006, 20 იანვარი

ევროპეიზმი თუ ამერიკანიზმი?

- გლობალიზაციის პრობლემა კაცობრიობის წინაშე ყოველთვის იდგა: უძველეს დროში მას ჰქონდა რელიგიური ბრძოლების სახე. მაგალითად, ქრისტიანობა თავიდან იყო კოსმოპოლიტური რელიგია. მაგრამ, შემდეგ, თანდათან მას ყველგან მიეცა ნაციონალური, ეროვნული სახე. მაგრამ პირველ ხანებში ქრისტიანობაც, მაჰმადიანობაც, სხვა რელიგიებიც იყო კოსმოპოლიტური; ე.ი. ყველასთვის უნდა წაერთმიათ ნაციონალური მრწამსი და ნაციონალური ტრადიციები და უნდა ყოფილიყო ერთი საერთო გლობალური რელიგია. ეს ხორციელდებოდა დაპყრო-

ბითი ომებითაც, კულტურითაც და აი, ჩვენ ვდგავართ გლობალიზაციის ახალი ვარიანტის წინაშე.

– რა ვარიანტია ეს?

- ეს ვარიანტი არის ამერიკანიზაცია, რომელსაც ეძახიან „ევროპეიზმს“, მაგრამ ეს ევროპეიზმი არ გახლავთ. ევროპეიზმისკენ, ევროპისკენ საქართველო ყოველთვის ილტვოდა, ქართული კულტურა ყოველთვის იყო ევროპული, როგორც ქრისტიანული. მაგრამ ამერიკანიზაცია და ამერიკული სხვა მოვლენაა, რომელიც ჩვენი საზოგადოებისთვის ჯერჯერობით უცხოა. ქართველ ხალხს ყოველთვის ჰქონდა შეგუების უნარი, სხვათა გამოცდილების, სხვათა ტრადიციების გათავისება. ასე იყო, მაგალითად, როცა საქართველოს თავის მსოფლმხედველობას, თავის ტრადიციებს თავს ახვევდა ბიზანტია, შემდეგ არაბული სამყარო, შემდეგ სპარსეთი. ჩვენი პოეტები ბაძავდნენ სპარსულ ლიტერატურას. შემდეგ XIX საუკუნიდან დაიწყო ევროპეიზმი. რუსულის გავლენა ჩვენს ლიტერატურაზე ძალიან სუსტად იგრძნობა, მაგრამ ევროპეიზმისკენ სწრაფვა ყოველთვის იყო გამოხატული და თვით ჩვენი მეცნიერებიც, კომუნისტურ პერიოდშიც კი წერდნენ გამოკვლევებს ქართული ლიტერატურის ევროპულ კულტურასთან მიმართებაზე.

ამერიკანიზმი, როგორც ვთქვით, არის ახალი მოვლენა. ამერიკანიზმი ხორციელდება არა მხოლოდ კულტურაში, არამედ ეკონომიკაში, ტრადიციებში, ზნეობაში, სახელმწიფოებრივ ღირებულებებში და მას აქვს მართლაც გლობალური სახე. ამიტომაც არის მეტისმეტად მტკივნეული საზოგადოებისათვის. რომ გავა 20-30 წელი, ჩვენ არ ვიცით, როგორ წარიმართება ეს პროცესი, ალბათ უკვე ეს იქნება ათვისებული და გაქართულებული. მე იმედი მაქვს, რომ ეს ასე მოხდება.

1920-იან წლებში ბოლშევიკები ტოტალურად ანგრევდნენ ქართულ რწმენას, ქართულ ტრადიციებს, ეროვნულ და სულიერ ფასეულობებს. მაგრამ ბოლოს მაინც მოხერხდა ისე, რომ ეს კომუნისტური, კოსმოპოლიტური, დღევანდელი ტერმინით რომ ვთქვათ, გლობალური პრეტენზიის მქონე იდეოლოგია გახდა ქართული სულიერების გამომხატველიც კი. გარკვეულ პერიოდში, ვთქვათ 60-70-იან წლებში, როცა კომუნისტები უკვე გადაჯიშდნენ და არც იყვნენ კომუნისტები. აი, ასე მოხდება ალბათ. ამიტომაც პირველ ხანებში ჩვენ ვეჯახებით ამ უცხო ძალას, რომელიც ცდილობს ჩვენი სულიერების გადაგვარებას, შერყვნას. ეს ხორციელდება, ვთქვათ, გამძაფრებული შეტევით უნივერსიტეტზე, მწერალთა კავშირზე, მასმედიაზე, მეცნიერებათა აკადემიაზე და ა.შ.

შემდეგ ალბათ ეს პროცესი დაიწმინდება, თვითონაც გონს მოეგებიან და ჩვენც შევძლებთ იმუნიტეტის გამომუშავებას და თავის დაცვას, მიიღებს უფრო ნორმალურ სახეს. დღეს ეს ძალიან მტკივნეულია, მით

უმეტეს, რომ სულიერების წინააღმდეგ და კულტურის წინააღმდეგ ბრძოლა უკავშირდება სოციალურ პრობლემას, როცა საზოგადოებას არ შეუძლია არსებობა დამოუკიდებლად. ჩვენ არ ვართ დიდი ქვეყანა, არ ვართ ძლიერი ეკონომიკის ქვეყანა, რომ ადამიანმა შეძლოს თავის რჩენა და მით უმეტეს კულტურამ, მეცნიერებამ, ხელოვნებამ იარსებოს სახელმწიფოს დახმარების გარეშე. ჩვენ რომ ვიყოთ 50-100 მლნ. ალბათ, მაშინ შევძლებდით. რასაკვირველია, მე ვეთანხმები იმ აზრს, რომ არ შეიძლება საქართველოს ჰყავდეს 500 ლიტერატორი და 1000 მწერალი და ა.შ. მაგრამ ისევ ვიმეორებ - ეს პროცესი, ე.ი. ადამიანების თავიდან მოშორების პროცესი უკავშირდება სოციალურ საკითხს. ამიტომ ხდება მეტისმეტად მტკივნეული.

- თვითონ ეს გლობალიზაცია ჩვენს კულტურაზე როგორ აისახება, რა პროცესები წავა, აი, ვთქვათ, თუ აისახა უარყოფითი კუთხით.

- გლობალიზაცია, როგორც ვთქვით, ყოველ დროში არსებობდა და ეს აუცილებელიც არის ერთი მხრივ. იმიტომ, რომ არ შეიძლება ერები, ენები, კულტურები იყოს კარჩაკეტილი. აუცილებელია, მაგრამ ყველაფერს აქვს თავისი ზღვარი. გლობალიზაცია უნდა წარიმართოს არა ერის საზიანოდ, არამედ ერის სასიკეთოდ. გლობალიზაციის გამოხატულება იყო ჩვენს ლიტერატურაში რომანტიზმი, მოდერნიზმი, სიმბოლიზმი, ასევე ფუტურიზმი და სხვა მიმართულებები. იმიტომ, რომ რაც უცხოეთში კარგი გაკეთებულა, ის რომ ჩვენ გადმოგვეტანა და აგვეთვისებინა. რა თქმა უნდა, ამ პროცესში ძნელია წონასწორობის დაცვა, ზოგჯერ ეს ვლინდება ეპიგონობაში, ზოგჯერ ვლინდება საკუთარი ტრადიციების უარყოფაში, მაგრამ ძლიერი ტალანტი და ძლიერი პიროვნება ან თუნდაც ძლიერი ერი ყოველთვის შეძლებს საკუთარი სახის გამოკვეთას და საკუთარი საქმის სასიკეთოდ გლობალიზაციის პროცესის წარმართვას. კარჩაკეტილები ვიყოთ საერთაშორისო პროცესებისგან – ეს შეუძლებელია, იმიტომ რომ, რაც დრო გავა უფრო და უფრო დაახლოვდება ენები, უფრო და უფრო დაახლოვდება ერები და კულტურები და ეს აუცილებელიც არის. მაგრამ თუ ყველაფერი დავკარგეთ ჩვენი საკუთარი და უარი ვთქვით 1500 წლიან ქართულ ლიტერატურაზე, ქართულ ტრადიციებზე, ჩვენს რელიგიურ მრწამსზე, მაშინ რა ვყოფილვართ. ენასაც დავკარგავთ და საერთოდ გაქრება ქართული ფენომენი და ჩვენი სახელმწიფოებრიობა იქცევა ფიქციად. აი ამიტომ არის საფრთხილო გლობალიზაციასთან მიმართება და აუცილებელიც. ადამიანს რომ ცივა, ცეცხლი საჭიროა. მაგრამ ცეცხლი ზომიერად უნდა გამოიყენო და თავი არ დაიწვა.

ესაუბრა მიმოზა კვირკვია

ჟ. „სამყარო“, 2006, № 1.

პრაქტიკული ალღო და უნარი პირველადია

- რას ფიქრობთ სწავლების ახალ მეთოდზე და რამდენად შეუწყობს ხელს ჟურნალისტებს, ჩამოყალიბდნენ პროფესიონალებად?

– სიახლე ყველა დარგში აუცილებელია და მით უმეტეს, ჟურნალისტიკაში. ჟურნალისტი ყველაზე მეტადაა ჩართული საზოგადოებრივ-პოლიტიკურ პროცესებში და ის უნდა იყოს სიახლის პირველი ამთვისებელი. შესაბამისად, კვალიფიციური ჟურნალისტი რომ მომზადდეს, საჭიროა ახალი, თანამედროვე სწავლების ფორმები. სწორედ ამას ნერგავს სდასუს ხელმძღვანელობა: დეკანიც და ლექტორიც ცდილობენ განახორციელონ ის სიახლე, რაც ცხოვრებამ მოიტანა.

– სხვა სფეროებისგან განსხვავებით, ჟურნალისტიკა არ ექვემდებარება სწავლების სტანდარტულ ფორმებს, ის მუდმივად ვითარდება... თქვენი შეფასებით, როგორ უნდა ჩამოყალიბდეს და განვითარდეს ქართული ჟურნალისტიკა?

– ქართული ჟურნალისტიკა ტრადიციულად დაკავშირებული იყო ქართველი ერის ბედთან, ქართველი ხალხის სატკივართან. ამიტომ პრესის წინაშე დასმული ამოცანაც სხვადასხვა დროს სხვადასხვა იყო. დღეს ქართველი ხალხის წინაშე სხვა პრობლემები დგას და ამიტომ ჟურნალისტი ვერ იქნება იზოლირებული იმ საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროცესებისაგან, რომლებიც ჩვენში მიმდინარეობს. მართალია, ჟურნალისტიკას „მე-4 ხელისუფლებას“ უწოდებენ, მაგრამ ჟურნალისტი მაინც არ არის დამოუკიდებელი. ეს განსაზღვრება უფრო მეტაფორულია. ჟურნალისტმა უნდა იზრუნოს სწორედ იმ პროცესების მაქსიმალურად გამოვლენისა და საზოგადოებისთვის მიწოდებისათვის, რაც ჩვენს სინამდვილეში მიმდინარეობს. აქედან გამომდინარე, ჟურნალისტიკა ყალიბდება და ვითარდება მიმდინარე პროცესების შესაბამისად.

– როგორ ფიქრობთ, რამდენად კარგად მოერგო ჩვენი უნივერსიტეტი ჟურნალისტიკის სფეროში გატარებულ სწავლების ახალ მეთოდებს, სტუდენტებისთვისაც და ლექტორებისათვისაც რთული იყო ადაპტირება?

– ფსიქოლოგიური ბარიერი არსებობს, უპირველესად, უფროსი თაობისთვის, ამ შემთხვევაში ლექტორებისთვის. სტუდენტი კი ახალგაზრდაა და ის ყოველთვის ესწრაფვის სიახლეს. თავისი ბუნებით ახალგაზრდა სიახლის მაძიებელია. ამიტომ სტუდენტებს ეს მტკივნეულად არ აღუქვამთ. უფროსი თაობისთვის, რომელიც შეჩვეულია სხვა სტანდარტებს, სხვა კრიტერიუმებს, ძნელი აღმოჩნდა გადაიარაღება. სდასუ-ში, მიუხედავად იმისა, რომ აქ ლექციების კითხვა არც ისე დიდი ხნის წინ დავიწყე, ვხედავ, რომ სწავლების პროცესი მაღალ დონეზე

მიმდინარეობს. განსაკუთრებით იგრძნობა სტუდენტების აქტივობა, რაც მე სხვა უნივერსიტეტებში არ შემინიშნავს.

– სწავლების მსოფლიო სტანდარტების მიხედვით, პრაქტიკულ გამოცდილებას უფრო მეტ უპირატესობას ანიჭებენ, ვიდრე თეორიულ ცოდნას. თქვენ როგორ ფიქრობთ, ჩვენთვის, ჟურნალისტებისათვის რომელი უფრო აუცილებელია.

– ჟურნალისტი, უპირველესად, არის პრაქტიკოსი. რა თქმა უნდა, ეს არ გამორიცხავს თეორიულ ცოდნას. კარგია, თუ ჟურნალისტს ეცოდინება ჟურნალისტიკის ისტორია, ჟანრთა კლასიფიკაცია, პუბლიცისტური ფორმები და სხვა, მაგრამ ეს მთავარი არაა. ისეთი ცნობილი პუბლიცისტი და ჟურნალისტიც კი, როგორიც გურამ ფანჯიკიძე იყო, საერთოდ არ ყოფილა ჟურნალისტიკის ფაკულტეტის სტუდენტი. მან მეტალურგიის ფაკულტეტი დაამთავრა. ასე რომ, მთავარი პრაქტიკაა და მუშაობის პროცესში მისი დახვეწა. პრაქტიკული ალღო და უნარი პირველადია მედიაში, ხოლო ყველაზე მთავარი ნიჭია.

– რამდენად აძლევს სდასუ-ში დანერგილი სწავლების მეთოდი ჟურნალისტიკის ფაკულტეტის სტუდენტებს პროფესიონალებად ჩამოყალიბების შანსს?

– სდასუ-ში ჟურნალისტის სფეროში საუკეთესო პირობებია შექმნილი. სტუდენტების დაინტერესება იმდენად დიდია, რომ ეს მათვე უწყობს ხელს პროფესიონალებად ჩამოყალიბებაში. მარტო ერთი მხარის ენთუზიაზმი ვერ იქნება გადამწყვეტი. აქ ორივე მხარე ერთმანეთს ერწყმის და ვფიქრობ, რომ სდასუ-ს კურსდამთავრებულები იქნებიან კვალიფიციური ჟურნალისტები ბეჭდურ მედიაში, რადიოსა და ტელევიზიაში.

– თანამედროვე მოთხოვნილების შესაბამისად, საზოგადოებაც უფრო მომთხოვნი გახდა ჟურნალისტებისადმი. ეს მოითხოვს ჟურნალისტიკის კიდევ უფრო განვითარებას. საჭიროა თუ არა ამისათვის ახალი სალექციო კურსების ჩამოყალიბება და სრულიად ახალი პროგრამის მომზადება?

– მე ვერ ვიტყვი, რომ ეს არის რექტორატის ან დეკანატის კომპეტენცია, მაგრამ მიმაჩნია, თანამედროვე ჟურნალისტმა უნდა იცოდეს ერთერთი ევროპული ენა, ამ შემთხვევაში, უფრო ინგლისური ენა. აუცილებელია კომპიუტერის ცოდნაც. საჭიროდ მიმაჩნია ამ ორი საგნის უფრო გაღრმავებულად სწავლება.

- თქვენ როგორც დიდი პრაქტიკისა და გამოცდილების მქონე ჟურნალისტი, რას გვირჩევდით ახალბედა ჟურნალისტებს?

- ჟურნალისტის ოსტატობა, პროფესიონალიზმი მუშაობის პროცესში იხვეწება. ამიტომ თქვენ, სტუდენტებმა რაც შეიძლება მეტი ენერგიულობით და მუყაითობით უნდა იმუშაოთ პრესაში, რადიოსა და ტელევი-

ზიაში. მხოლოდ მუშაობის პროცესში შეიძლება ჩამოყალიბდეს პიროვნება პროფესიონალ ჟურნალისტად.

ესაუბრა ქეთი ბოლქვაძე
გაზ. „სდასუ“, 2006, აპრილი

კონსტანტინე გამსახურდიას საზოგადოება

კონსტანტინე გამსახურდიას საზოგადოება ჩემი ინიციატივით ჩამოყალიბდა. იგი იუსტიციის სამინისტრომ რეგისტრაციაში გაატარა 1992 წლის 5 ივნისს.

თავდაპირველად ფუნქციონირებდა როგორც საზოგადოებრივი ორგანიზაცია, რომლის მიზანი ფორმალურად იყო კონსტანტინე გამსახურდიას შემოქმედების პროპაგანდა და ამ თვალსაზრისით თანამედროვე მოვლენების გაშუქება, ფაქტიურად კი - **დევნილი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას მხარდამჭერი სახალხო ფრონტის ორგანიზება.**

ამ საკითხებზე 1992 წლის 7 მაისს გროზნოში შევუთანხმდი **პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას**, რომელმაც ეს წერილობითაც დაგვიდასტურა. საზოგადოება გმობდა სამხედრო გადატრიალებას, რომელიც რუსეთის მხარდაჭერით მოხდა 1991 წლის დეკემბერსა და 1992 წლის იანვარში, წინააღმდეგი იყო როგორც სამოქალაქო ომისა, ისე აფხაზეთში ომის პროვოცირებისა. მოითხოვდა სადავო საკითხების მშვიდობიანი გზით გადაჭრას, ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების აღდგენას, ამხელდა ხუნტის მოწყობილ ბარბაროსულ აქციებს როგორც თბილისში, ისე სამეგრელოსა და აფხაზეთში; აკრიტიკებდა მოძალადე ხელისუფლების დამღუპველ პოლიტიკას, ებრძოდა „მხედრიონის“ ბანდიტურ გაერთიანებას.

საზოგადოებამ მთელს საქართველოში სწრაფად ჩამოაყალიბა საქალაქო და რაიონული ორგანიზაციები.

1993 წლის მაისში გაიმართა პირველი ყრილობაც.

ვცემდით გაზეთებს როგორც თბილისში, ისე რაიონებში., მაგ. **„საქართველოს სამრეკლო“** თბილისში, **„ზარები გრიგალში“** - სამტრედიაში, „წალენჯიხის ზარები“ - წალენჯიხაში და ა.შ.

ჩვენ არ შევდიოდით „მრგვალ მაგიდაში“, მაგრამ როგორც გაზეთ „აღდგომის“ რედკოლეგიის წევრები, მასთან კოორდინირებულად ვმოქმედებდით.

განსაკუთრებით პოპულარული იყო გაზეთი **„საქართველოს სამრეკლო“ (რედაქტორი ელიზბარ ჯაველიძე)**, რომელიც მე გავატარე რეგისტრაციაში.

მრავალათასიანი ტირაჟით გამოიცა კ. გამსახურდიას ოცტომეულის ხუთი ტომი **(გამომცემლობა „დიდოსტატი“, დირექტორი სოსო სიგუა)**.

გარდა პრეზიდენტის მხარდაჭერისა, საზოგადოების აქტიურობასა და პოპულარობას ხელს უწყობდა ის ფაქტი, რომ მას ხელმძღვანელობდა **მუხრან მაჭავარიანი**.

1992-1993 წლებში კონსტანტინე გამსახურდიას საზოგადოება იყო საქართველოში ყველაზე ძლიერი ორგანიზაცია, ფაქტიურად წამყვანი ეროვნული ძალა, რომლის **წევრთა რიცხმა 30.000-ს მიაღწია,** თუმცა პუტჩში მონაწილე პარტიები არ გვცნობდნენ.

მხოლოდ თბილისში საზოგადოებას ჰყავდა 7 ათასი რეგისტრირებული წევრი, რომელიც საწევროს იხდიდა.

მაგრამ 1993 წლის ოქტომბრიდან ხელისუფლებამ დაარბია რაიონული ორგანიზაციები, დახურა გაზეთები, დააპატიმრა ცალკეული წევრები.

სხვადასხვა პერიოდში ემიგრაციაში წავიდა საზოგადოების სამი ვიცე-პრეზიდენტი - **თამაზ ვაშაძე, ენვერ ნიჟარაძე, ელიზბარ ჯაველიძე.**

თბილისში ვრჩებოდით **მუხრან მაჭავარიანი** და მე. ამის გამო 1995 წელს საზოგადოებას დაემატა ვიცე-პრეზიდენტი **ანზორ აბრალავა** და პოლიტიკური მდივანი **ბიძინა გიორგობიანი**.

1995 წლის აგვისტოში საზოგადოებამ სტატუსი შეიცვალა - იქცა პოლიტიკურ მოძრაობად.

ჩვენ გადავწყვიტეთ, მიუხედავად „მრგვალი მაგიდის“ პროტესტისა, არჩევნებში მიგვეღო მონაწილეობა.

ხელისუფლება ცდილობდა ჩვენი რიგების გახლეჩას. ამიტომ ფარულად ჩვენს პოზიციასაც მხარს უჭერდა და ბოიკოტისტებსაც აქეზებდა. ჩვენგან წავიდა და დაგვიპირისპირდა **გელა სალუაშვილის „ზვიადის გზა“.**

დაგვიპირისპირდა ჩვენი საზოგადოების რუსთავის ორგანიზაციაც, ცალკეულ წევრებსაც ყოყმანი დაეტყოთ. ბევრმა მათგანმა ორგანიზაცია დატოვა.

მათ გადაიბირეს მუხრან მაჭავარიანიც.

1995 წლის ოქტომბერში, არჩევნების წინ, მიუხედავად ჩვენი და პირადად ჩემი დიდი მცდელობისა, იგი გადადგა.

ამ ფაქტმა საგრძნობი ზიანი მოგვიტანა.

იძულებული გავხდით შეგვექმნა ბლოკი **„XXI საუკუნე“ (თავმჯდომარე ირაკლი გოცირიძე,** „იბერია-სპექტრის“ მთავარი რედაქტორი), თუმცა მთავარი ძალა ისევ ჩვენ ვიყავით.

საზოგადოებას აღარ ჰქონდა საკუთარი გაზეთი, მაგრამ ამ ფუნქციას ასრულებდა **„სამრეკლო“ (მთავარი რედაქტორი ელიზბარ ჯაველიძე).**

საქართველოს პარლამენტის 1995 წლის 5 ნოემბრის არჩევნებში 54

პარტიასა და ბლოკს შორის, მიუხედავად ხელისუფლების ზეწოლისა, ბოიკოტისტების ვაი-კრიტიკისა, ფალსიფიცირებისა, მრავალი წევრის პატიმრობისა და ემიგრაციაში ყოფნისა, **ოფიციალურად დავიკავეთ მეექვსე ადგილი,** რაც მთელი პოლიტიკური სპექტრისათვის სრული მოულოდნელობა აღმოჩნდა.

პირველი ადგილი დავიკავეთ ფოთში, წალენჯიხაში, ჩხოროწყუში, აბაშაში, მარტვილში, ხოლო თბილისში მესამე ადგილზე გავედით.

1996 წლის ივნისში, ჩემი წინადადებით, საზოგადოების მორიგ ყრილობაზე **პრეზიდენტად ავირჩიეთ ვახტანგ ბოჭორიშვილი.**

საზოგადოება 1996-1997 წლებში სცემდა გაზეთებს - **„გრაალსა“** და **„კოლხურ კოშკს“ (მთავარი რედაქტორი სოსო სიგუა).**

1999-2000 წლებში მათი ადგილი დაიკავა **„XXI საუკუნემ“ (დამფუძნებელი ანზორ აბრალავა, მთავარი რედაქტორი სოსო სიგუა).**

კონსტანტინე გამსახურდიასა და ზვიად გამსახურდიას იდეებიდან გამომდინარე, საზოგადოება კვლავ მოითხოვდა ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას, ნეიტრალიტეტს, საბაზრო ეკონომიკის განვითარებას, რეალური დემოკრატიის დამკვიდრებას, **მოითხოვდა ედ. შევარდნაძის გადადგომას,** დსთ-დან გამოსვლას, საოკუპაციო ჯარების გაყვანას, ქართული კულტურისა და სულიერების განმტკიცებას.

1999 წლის 2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნებში კონსტანტინე გამსახურდიას საზოგადოება გამოდიოდა ბლოკ **„საქართველოს აღორძინების“** სიით და გაიყვანა სამი დეპუტატი (**ვ. ბოჭორიშვილი, ა. აბრალავა, ს. სიგუა**).

ასევე დეპუტატები გახდნენ **მუხრან მაჭავარიანი და ელიზბარ ჯაველიძე,** რომლებიც კენჭს იყრიდნენ „აღორძინების“ სიით.

ჩამოყალიბდა საპარლამენტო ოპოზიციური ფრაქცია „XXI საუკუნე“; ვახტანგ ბოჭორიშვილი (თავმჯდომარე), ანზორ აბრალავა, ჯემალ გამახარია, მუხრან მაჭავარიანი, ელიზბარ ჯაველიძე, რევაზ მიშველაძე, სოსო სიგუა, ზურაბ ქაფიანიძე, ელდარ ნადირაძე, ნოდარ მოდებაძე.

ამ ფრაქციის ინიციატივით 2000 წლის 20 მარტს პარლამენტმა მიიღო დადგენილება, რომელმაც **დაგმო სახელმწიფო გადატრიალება და გაათავისუფლა ზ. გამსახურდიას მომხრე პოლიტპატიმრები.**

2002 წლის მარტში, ჩვენივე ფრაქციის ინიციატივით, პარლამენტმა მიიღო დადგენილება **ზ. გამსახურდიას ხსოვნის უკვდავყოფის შესახებ,** რასაც მოჰყვა პრეზიდენტ ედ. შევარდნაძის შესაბამისი ბრძანებულება.

2002 წლის სექტემბერში გარდაიცვალა **ვახტანგ ბოჭორიშვილი,** დროებით საზოგადოების თავმჯდომარე გახდა ისევ **მუხრან მაჭავარიანი,** ხოლო ფრაქციას სათავეში ჩაუდგა **ელიზბარ ჯაველიძე.**

ამის შემდეგ ოპერისა და ბალეტის თეატრში საზოგადოების ხალხმრა-

ვალი ყრილობაც გაიმართა, რომელმაც აირჩია ხელმძღვანელობა.

კ. გამსახურდიას საზოგადოებას ეწოდა **„XXI საუკუნე“**, ფრაქციის სახელი. **მაგრამ მეორე დღეს გაუქმებულად გამოცხადდა!**

არადა - ყრილობა სწორედ „აღორძინების“ ინიციატივით, მონაწილეობითა და ფინანსური დახმარებით გაიმართა!

2007, მაისი

კატასტროფა

საკუთარ თავის და სამშობლოს ახალ შერცხვენის
ტანჯული ფიქრით სამუდამოდ მოვიქანცები.

ტიციან ტაბიძე, 1918, აპრილი

ხვალ რა იქნება, არ ვიცი, დღეს კი ვხედავ, რომ საქართველო სასტიკად დამარცხდა და მთავრობა მშვენივრად გადარჩა. ისე ვზეიმობთ, თითქოს სოხუმი და ცხინვალი არ დაგვეკარგოს. გამოდის შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე და აცხადებს: ჩვენ მოვიგეთო, ჩვენ რუსებს ვაჯობეთო!

რამდენიმე საათში კი პრეზიდენტი სამდღიან გლოვას აცხადებს და მომხდარ ფაქტს კატასტროფას უწოდებს!

ევროპის ხელმძღვანელთა ხშირი ვიზიტები, რუსეთის აგრესიის დაგმობა და ჩვენდამი თანადგომა, ჩვენი გამხნევება კარგია და იმედის მომცემი. მაგრამ ეს ყოველივე თანდათან პანაშვიდს დაემსგავსა, როცა ჭირისუფალს გულს უმაგრებენ, მატერიალურადაც ეხმარებიან, მაგრამ მიცვალებულს ვერავინ გაუცოცხლებს.

ხვალ რა იქნება არ ვიცი. დღეს კი ისე ჩანს, რომ რუსეთმა და ამერიკამ, როგორც 1555 წელს ოსმალეთმა და სპარსეთმა, საქართველო გაიყვეს.

„მწერლის გაზეთი“, 2008, 1-15 სექტემბერი

IV. კრიტიკა

კრიტიკის მისია

(პასუხი ალმანახ „კრიტიკის“ შეკითხვებზე)

1-2. ტრადიციულად კრიტიკას მრავალ ბრალდებას უყენებენ, ერთეულთა ცოდვასა და დანაშაულს არცთუ იშვიათად მთელს დარგზე ავრცელებენ. მაგრამ მე მაინც მგონია: 70-80-იანი წლების ქართულმა კრიტიკამ ძირითადად სწორად შეაფასა მიმდინარე ლიტერატურული პროცესი, ცალკეული ავტორები და ნაწერები. თუმცა გამოუცემელი და აქედან გამომდინარე შეუფასებელი დარჩა არაერთი ავტორი (საკმარისია დავასახელოთ **ზ. გამსახურდია** და **მ. კოსტავა**). მაგრამ ამის მთავარი მიზეზი იყო კომუნისტური პარტიის ანტილიტერატურული პოლიტიკა, რომელიც თრგუნავდა მთელს საზოგადოებას. მე არ ვთვლი, რომ შეფასების კრიტერიუმი დაიკარგა. დაიკარგა ის კრიტერიუმი, რომელსაც ნერგავდა პარტიის დიქტატით ე. წ. სოციალისტური რეალიზმი. სანაცვლოდ ჩამოყალიბდა ახალი თვალსაზრისი და პოზიცია. საერთოდ მწერლობაში სუბიექტივიზმს ვერავინ გამორიცხავს. არათუ თანამედროვეთა შეფასებისას ჭირს ვიყოთ მიუდგომელი და მიუკერძოებელი, არამედ - კლასიკოსებსაც სხვადასხვაგვარად აღვიქვამთ და ვიაზრებთ. ერთი კრიტერიუმი, ერთი სტილი, ერთი კონცეფცია - ეს ისევ ნაცნობი იდეოლოგიის ინერციაა.

ლიტერატურაც ემორჩილება ფასეულობათა მუდმივი გადაფასების პროცესს და მას მხოლოდ დიდი მწერლები უძლებენ, რადგან მათი უნივერსალური ბუნება, როგორც ზედროული მოვლენა, მრავალნაირად აიხსნება და პასუხობს ახალ-ახალ გემოვნებას და კონცეფციას. რუსთაველი და გურამიშვილი, ბარათაშვილი და ვაჟა-ფშაველა, გალაკტიონ ტაბიძე და კონსტანტინე გამსახურდია ყოველთვის თანამედროვე და ნაციონალური მწერლები იქნებიან, რაც უნდა შეიცვალოს კრიტერიუმები - სულერთია, ვიქნებით რეალისტი თუ მოდერნისტი, მატერიალისტი თუ იდეალისტი, სტრუქტურალისტი თუ ფსიქოანალიტიკოსი...

ერთ ფაქტს უნდა მიექცეს ყურადღება: 70-80-იან წლებში ოფიციოზი ძირითადად კრიტიკოსებს აკრიტიკებდა და არა პროზაიკოსებსა და პოეტებს (როგორც ეს ადრე სჩვეოდა). მთავარი ის გახლდათ, რომ კრიტიკამ გააცნობიერა ის იმპულსები, განწყობილება და თვალთახედვა, რასაც ურჩი მწერლები ავლენდნენ. კრიტიკა უკვე აღარ იყო პარტიული დოგმების ერთგული. მან ფაქტიურად უარყო სოციალისტური რეა-

ლიზმი, თუმცა საამისო დეკლარაციით არ გამოსულა.

რასაკვირველია, **თითოეული ჩვენგანი თავისი დროის შვილია და ყველანი მეტწილად ანგარიშს ვუწევდით მრისხანე რეალობას.** საბოლოო შედეგი კი მაინც ის გახლდათ, რომ 70-იანი წლებიდან ქართულ მწერლობაში უკვე აღარ არსებობდა ე. წ. სოციალისტური რეალიზმი, თუმცა ამისი გაცხადება არ შეიძლებოდა. ის მწერლებიც, რომლებიც პარტიულ თემებზე წერდნენ, არღვევდნენ ოფიციალურ დოგმებს (მაგ. **შ. ნიშნიანიძე**). თითქმის აღარავინ მსჯელობდა ე. წ. ახალ ადამიანზე, სოციალისტური რეალიზმის მეთოდსა და სტილზე, დადებით გმირზე, პარტიულობასა და კლასობრიობაზე. მაგრამ ლიტერატურაში იყო პრობლემები, რომლებზეც წერა ჭირდა, ზოგჯერ შეუძლებელიც იყო. ეს ძირითადად ეხება XX საუკუნის მოდერნისტულ და ავანგარდისტულ მწერლობას, მათი იდეების, სტილისა და განწყობილებების გააზრებას, ნაციონალურ საკითხებს.

ძველი თაობის ლიტერატორები (არ ვიცი, რამდენად გულწრფელად) იცავდნენ მარქსისტულ-ლენინურ ესთეტიკას. ისინი ოფიციოზის პოზიციას გამოხატავდნენ, თუმცა ისე იქცეოდნენ, თითქოს ლიტერატურისათვის შესტკიოდათ გული. მაგრამ მე მინდა შეგახსენოთ, რომ კომუნისტური იდეოლოგიით შეჯავშნულ კრიტიკოსებს არ წამოუყენებიათ ლიტერატურისათვის სასარგებლო არცერთი იდეა, არ დაუწერიათ არცერთი წიგნი, რომელსაც მკითხველი ეყოლებოდა თუნდაც ფანატიკოს პარტიულებს შორის, სულერთია - რა პოსტი და რა წოდებაც ექნებოდათ მათ ავტორებს.

ასე რომ ჩვენ ერთმანეთისაგან უნდა განვასხვავოთ ოფიციალურ-პარტიული და სალიტერატურო კრიტიკა. არც წოდებები, თანამდებობები და პრემიები გვეუბნებიან რაიმე სახეიროს. პირიქით - ყოველი მათგანი ხელისუფლებისათვის იქცა ქრთამის ფორმად, რომლითაც იგი გამოარჩევდა ერთგულ პირებს, აქებდა და ახალისებდა მათ. ამგვარი იერარქია იყო ის კიბე, რომლითაც უნდა მისწვდენოდა რიგითი პარტიული უმაღლეს ამქვეყნიურ სიკეთეს. მატერიალისტს სხვა დანარჩენი არც სჭირდებოდა.

3. მე მგონია, მწერლობას ჩემი არცერთი წიგნი არ შეუმჩნევია. პრესაში ცნობაც კი არ გამოქვეყნებულა ზოგ მათგანზე (მაგ. „აღთქმული ქვეყნის ძიება“, „სიტყვა, როგორც ბედისწერა“). უნდა ვთქვა, რომ ამით დიდად არ შევწუხებულვარ. ჩემთვის კარგად იყო ცნობილი პროპაგანდის მექანიზმი, ამგვარი პროპაგანდის ეფემერული შედეგი. სამაგიეროდ სალანძღავი წერილები და რეპლიკები ხშირად ქვეყნდებოდა. ხოლო **შალვა ჩიჩუამ** მონოგრაფიაც დაბეჭდა! შედარებით მეტი ყურადღება ხვდა წილად მონოგრაფიას **„კონსტანტინე გამსახურდიას პროზის**

სტრუქტურა“, თუმცა დარწმუნებული ვარ, ეს წიგნი ცოტას თუ ექნება წაკითხული. მაინც მას მოწონებით შეხვდნენ მკითხველებიცა და ლიტერატორებიც. საკმარისია ითქვას, რომ ამ წიგნის რეცენზენტები იყვნენ **აკაკი გაწერელია** და **ელგუჯა მაღრაძე**. მაგრამ მკითხველს ყველაზე მეტად დაამახსოვრდა **დავით თევზაძის** რეცენზიები. მათ კარგად იცნობდა ოფიციალური ინსტანციაც. დ. თევზაძე ბრალად მდებდა, რომ მე გადავუხვიე მაქსისტულ-ლენინურ ესთეტიკას, მოვიშველიე ფსიქოანალიზი, კომუნისტი გამოვაცხადე კაენად და ა. შ. მაგრამ დ. თევზაძის ე. წ. მამხილებელი რეცენზიები ხელისუფლებასაც ნაკლებად აინტერესებდა და მას ხალისით მიმართავდა მხოლოდ მაშინ, როცა ჩემს წინააღმდეგ მორიგი კამპანია იწყებოდა.

მიუხედავად ამისა, მაინც ვუმადლი დ. თევზაძეს - მან მე კომკავშირის პრემიის ლაურეატობას გადამარჩინა!..

საერთოდ კომუნისტურ იდეოლოგიას არ სჭირდებოდა ლიტერატურისმცოდნეობა, ისევე როგორც ფილოსოფია და ფსიქოლოგია, რადგან ადამიანის ბუნებაზე მსჯელობა, ფსიქიკის მოდელირება შეუძლებელი იყო დოგმების ტყვეობაში. სამაგიეროდ იგი ყოველთვის ყურადღებით ეპყრობოდა ენათმეცნიერებას და ფილოლოგიას. ისინი ხომ ფაქტებს ეყრდნობიან და არ უწევთ სულისა და სულიერ ფასეულობათა კვლევა. **ფილოლოგი იქცა ლიტერატორის სინონიმად და ფილოლოგიური გამოკვლევების კრებულს დაერქვა ლიტერატურის ისტორია.** ამიტომ იყო, რომ ჩვენი აკადემია კარს ყოველთვის ფართოდ უღებდა ენათმეცნიერებსა და ფილოლოგებს, მაგრამ ლიტერატორებს არ სწყალობდა. მაგ. აკადემიკოსი ვერ გახდა **აკაკი გაწერელია**, წარდგენილიც არ ყოფილან **გერონტი ქიქოძე** და **მიხეილ კვესელავა**. ხოლო რუსეთში აკადემიის მიღმა დარჩნენ **ბახტინი** და **ლოსევი**! XX საუკუნის მწერლობის სფეროში ლიტერატორს დაუპირისპირეს მარქსისტულად მოქადაგე პუბლიცისტი. აქ ფილოლოგიური ძიებაც შეუძლებელი იყო, რადგან დახურულია არქივები და არც მასალების გამომზეურება სიამოვნებდა ვინმეს.

ერთ-ერთი კითხვის პასუხად მინდა ვთქვა, რომ ჩემი წერილები ბევრ მწერალს მაინც წაკითხული ექნება, თუნდაც იმიტომ, რომ ვისზეც ვწერდი, ის მაინც კითხულობდა, ზოგი - საკმაოდ გულდასმით და იჭვნეულადაც!

4. მე მუდამ სხვებზე ვწერდი. ამიტომ მოძნელდება საკუთარ თავზე საუბარი. არც ის არის იოლი, განაცხადო ეს კონცეფცია, ეს დებულება, მე რომ წამოვაყენე, უყურადღებოდ დარჩაო. მიზეზი ხომ, პირველყოვლისა, საკუთარ თავში უნდა ვეძიოთ. მაგრამ ჩვენ ვიცით „ყურადღების“ მიპყრობა როგორ ხდებოდა კომუნისტურ სახელმწიფოში, სადაც ყველაფერი ლიმიტირებული, დაგეგმილი და იერარქიას დაქვემდებარე-

ბული იყო. ამიტომ, ერთი მხრივ თუ მართლაც უხერხულია მსჯელობა საკუთარ შეხედულებებზე, მეორე მხრივ - ისინი თუ გარეგნულად ნეიტრალური იყო იდეოლოგიისადმი, მასობრივ საშუალებათა ყურადღების მიღმა რჩებოდა. ხოლო მასობრივ საშუალებებს განაგებდა პარტიის ცეკა, უფრო ზუსტად - ცეკას პირველი მდივანი - მოსკოვის თვალი და ყური. მოკლედ რომ ვთქვათ, ოფიციოზი აქებდა საბჭოურ თვალსაზრისს, თუნდაც სუსტად და უნიჭოდ გამოთქმულს, და ლანძღავდა ანტისაბჭოურ თვალსაზრისს, თუნდაც გენიალური ყოფილიყო იგი. ხოლო ამ ორი ცნების არსი ძირითადად მაინც დაიყვანება რუსულსა და ანტირუსულზე („საბჭოური“ ევფემისტური გამოთქმაა და ნიშნავს რუსეთის იმპერიალიზმს). აქედან გამომდინარე ხელისუფლება პროპაგანდას უწევდა ისეთ იდეასა და შეხედულებას, რომელიც მოსკოვს მოეწონებოდა, რაც რუსული იმპერიალიზმისათვის სასარგებლო იქნებოდა. ამიტომ იდეოლოგიას არ სჭირდებოდა ჩემს მიერ განხილული შინაგანი მონოლოგი, მითოსი და მითისქმნადობა, ფორმების სახეცვლილება, მიმართება მოდერნიზმთან და ავანგარდიზმთან, ან თუნდაც 10-20-იანი წლების ტრადიციების აღდგენა და კვლევა, არარეალისტური სკოლების დაცვა, ნაციონალური პრობლემების გახსენება. ხოლო სახიფათოდ მიიჩნეოდა ნიცშე და ფროიდი, სიცოცხლის ფილოსოფია და ეგზისტენციალიზმი, რუსეთთან კავშირის უგულებელყოფა და სანაცვლოდ ევროპული კულტურით გატაცება, რადგან საქართველოსთვის ევროპული კულტურა იყო რუსული ექსპანსიის შემაჩერებელი ბარიერი.

აქვე მინდა შევნიშნო, რომ **მე არ მეგულება 70-იან 80-იანი წლების ახალგაზრდა ქართველი მწერალი, ვისთვისაც იდეალი ყოფილიყო რომელიმე რუსი პოეტი ან პროზაიკოსი ან ვისაც თუნდაც რუსული მწერლობის გავლენა განეცადა.** ქართულ სალიტერატურო ენაში სწრაფად მკვიდრდება ევროპული სიტყვები, მაგრამ რუსულს ჯიუტად გაურბის. თვით სიტყვა „სარო ჩკაც“ კი, რომლის ნამდვილი შესატყვისი ვერ მოიძებნა, ქართულმა ენამ არ მიიღო.

ის ნაციონალური იდეები, რომლებიც დღეს წარმართავენ საქართველოს ცხოვრებას, ლიტერატურამ შემოინახა და მის პროპაგანდასა და განვითარებაში 70-იანი წლებიდან კრიტიკამაც შეიტანა საგრძნობი წვლილი. საერთოდ **იდეები კულტურაში ისახება, ხოლო პოლიტიკა მას აქცევს მამოძრავებელ ძალებად.** მაგრამ დღეს ერთ ფაქტსაც უნდა მიექცეს ყურადღება - თითქმის ყველა პოლიტიკამ გაიტაცა. თუ ერთი-ორი წლის წინ ეს საჭირო და აუცილებელი იყო, მომავლისათვის მავნებელიც იქნება. საქართველოს მარტო პოლიტიკოსები არ სჭირდება. არადა სწორედ ფსევდო - პოლიტიკოსთა მიზეზითაა ამდენი პარტია და საზოგადოება აღმოცენებული. ისევ ნაპოლეონის დევიზს შეგახსენებთ:

მძიმე ჟამს ყველამ თავისი საქმე უნდა აკეთოს.

არ კმარა ლიტერატურასა და კრიტიკაში ნეიტრალური თემების დამუშავება ან მარქსიზმ-ლენინიზმის მხოლოდ უკუგდება. უნდა დაფუძნდეს ახალი ნაციონალური აზროვნება, რომელიც დაემყარება, ერთი მხრივ - ქართულ საწყისებს, მეორე მხრივ - ევროპულ და ამერიკულ კულტურას. პოლიტიკური ბუმი კულტურასაც უნდა დაეუფლოს და ისევე როგორც 10-იან წლებში, დაიწყოს ქართული სულის ახალი რენესანსი. გასაგებია, რომ აქ სურვილი ბევრს არაფერს ნიშნავს, მაგრამ უნდა მომზადდეს სიტუაცია ახალ ძალთა მოსავლენად.

„კრიტიკა“, 1991, №3.

აზრი და განცდა

ნოდარ ჯალაღონიას წიგნი „გზები და დღეები“ იხსნება ლექსით - **„ყვავილების მიწა“**. თითქოს იგი ამ თემაზე დაწერილი მორიგი ლექსია. **„იყიდეთ მიწა, ყვავილის მიწა“**, ისმის თბილისის ქუჩებში უწყინარი ხმა. მაგრამ ეს სიტყვები პოეტზე მაგიური ძალით მოქმედებს, რადგან ასოციაციურად აღვიძებს წარსულის დღეებს, ისტორიულ ქარტეხილებს, სისხლის წვიმების ხანას, ქართული მიწისათვის დაცემულთა აჩრდილებს. ერთის შეხედვით უმნიშვნელო ყოველდღიური ფრაზა იქცევა მთელი ისტორიის გასაღებად, რადგან სამშობლო პირველ რიგში ის მიწაა, რომელზეც წინაპრები ცხოვრობდნენ და ქმნიდნენ ეროვნული ყოფის სახეს. ეს მათი ძვლები იქცა მიწად და ამიტომ გახდა მშობლიური. ამდენად არის იგი „სამშობლოც, ცრემლიც, საფლავიც, კუბოც“.

ასე ჩნდება ნ. ჯალაღონიას პოეზიის ლაიტმოტივი - ქართული მიწა, მიწის პრობლემა, რომელიც ორი ასპექტით გაიშალა - ერთი ისტორიაა, მეორე - სამხრეთ საქართველოს ბედი. ისტორია ქართველი პოეტისათვის მუდმივი სევდის სავანეა. მაგრამ იგი ენერგიასაც იძლევა, ძალასა და მხნეობას გვმატებს. ჰეროიკულია როგორც დიდგორი, ისე მარაბდა. პოეტი ხან საგანგებოდ, ხანაც პარალელებისა და ალუზიების მეშვეობით ხშირად უბრუნდება შორეულ დღეებს, ან იმ საგნებსა და სახელებს, რომლებმაც ჩვენამდე მოაღწიეს: ეს იქნება სამასი არაგველი თუ ვაზის სამასი ჯიში, გელათი თუ თაღი წრომის, ხორუმი თუ ოდოია, ამირანის მითი თუ ცრემლის ტბა. ეროვნული სულის უდრეკობის აპოლოგიაა **„ქება ქართული ვაზისა“**, ვაზი აჩეხილი და ნაწამები, ქცეული ჩუქურთმად, ლექსად, სიმღერად. მაგრამ განსაკუთრებულ სევდას ჰგვრის **„ძველი ტაოს“** თუ ლაზეთის გახსენება, იმ მიწის მოლანდება, რომელიც

დღევანდელი საქართველოს მიღმა დარჩა. მისი შვილები **„თურქულ სახელს ატარებენ“** და **„საქართველოს სახელს“** ფიცავენ. დუმს სტამბოლის პორტში შესული გემი **„საქართველო“**, მასთან მიახლოებაც ჭირს: **„გემი მაინც დაანახეთ მშობელ მიწას მონატრულებს“**. პოეტმა კარგად იცის, რომ წაგებულ ომებზე, გადამწვარ ქალაქებზე, წარტყვევნილ ქალ-ვაჟებზე უფრო მძიმეა მშობლიური მიწის დაკარგვა, მისი დაშლა და დანაწილება. ამიტომ ფიქრი ისევ სამხრეთის საზღვრისაკენ მიიწევს, რომლის მიღმა ისევ გრძელდება ნისლშებურვილი ქართული მიწა: **„განა უცხო ცა დაგყურებს, წინაპრების ძველებზე დგახარ, თავზე ჩადრი დაგახურეს, სამშობლო რომ არ გენახა“**. იქ, დეკემბრის სუსხიან ღამეს, ისევ სოსოს არქმევენ ახალდაბადებულს და ამ სახელს ხავსივით ეჭიდებიან. ოდესღაც ქართველები ოსმალებს ჯიზიეს უხდიდნენ და ასე ყიდულობდნენ თავისუფლებას. მაგრამ მართებულად დაგმობილია ასეთი წესი, რადგან **„ეს ცა, ეს მიწა და დღე უკლებლივ შენი კი არა, მაინც სხვისია, სამშობლოსა და თავისუფლების გადასახადი მხოლოდ სისხლია“.**

ამრიგად, პოეტი მიდის ერთადერთ დასკვნამდე, რომ სამშობლო და თავისუფლება შეიძლება მოიპოვო მხოლოდ სისხლით და არა ფულით, ხარაჯით, პატიოსანი შრომით ან მჩაგვრელისადმი ერთგულებით. ნუგეშად ისღა რჩება, რომ გაიღვიძა აჭარისა და მესხეთ-ჯავახეთის მიწამ. ამიტომ აქაური ძაღლის წკავწკავი ურჩევნია ნამდვილ სიმღერას, ხოლო მამლის ყივილი - **„ვენის ტყის ზღაპარს“,** რადგან ის, რასაც თურქული ჩადრი ფარავდა, ისევ ქართული ელფერით შეიმოსა **(„გაცოცხლებული სოფელი“).**

ისტორიაც, ტერიტორიის მთლიანობაც, საჭიროა იმისათვის, რომ გამრავლდეს და გაძლიერდეს ქართველი ერი. ამიტომ არიან ლექსის პერსონაჟები ნორა პაქსაძე - ზარზმელი გმირი დედა, თინათინ ხარძიანი - თოთხმეტი შვილის დედა, ლონდა ზარანდია - ოცი შვილის დედა. სამივენი სხვადასხვა კუთხის შვილები არიან, რომელთაც ნ. ჯალაღონიამ ცალ-ცალკე ლექსების მთელი ციკლი უძღვნა, რადგან მხოლოდ ძველი ტკივილების გახსენება ან ისტორიით ტრაბახი საქმეს ვერ შველის. მთავარია ის მაინც გაგრძელდეს და გაძლიერდეს, რაც წარღვნებს გადაურჩა. პოეტი თავის ოცნებაში კიდევ ერთხელ ამთლიანებს ოდესღაც დაცილებულ კუთხეებს, მათ იარებს ესალბუნება, დაკარგული დასაკარგავად არ ემეტება და უკეთეს დღეთა იმედით ცოცხლობს. ამიტომ ეჩვენება, რომ რკინიგზის ხაზი - „თბილისი-ახალქალაქი“ დედის გამოწვდილი ხელებია, რათა გულში ჩაიკრას მესხეთი და ჯავახეთი. პოეტს არც საინგილო ავიწყდება, არც თამადის ქარაგმული ნათქვამი, რათა სრულიად საქართველოს სადიდებელი სიტყვა თქვას.

დგება თანამედროვე საზოგადოების პრობლემა, მას შემდეგ, რაც მისი საწყისები გააზრებულ იქნა. რას ვაკეთებთ, საითკენ მივდივართ, როგორია ჩვენი იდეალები - აი პოეტის ფიქრის საგანი. აქ ორი ტალღა ეჯახება ერთმანეთს - ნათელი და ბნელი, როგორც კეთილისა და ბოროტის მარადი პარადიგმა. მაგრამ ვიდრე უარყოფა დაიწყებოდეს, საჭიროა იდეალების დაცვა და წარმოჩენა. მხოლოდ უკუგდება იოლია, ძნელია ორიენტირის პოვნა, კონკრეტული სიკეთის მიგნება, რომელიც მოძმისათვის იქნება ნიმუში, ნორმა და მაგალითი. ამიტომ მიაპყრო მზერა კომუნისტის სახეს.

კომუნისტის ცნებაში მოაქცია ის იდეალები, რომელთა მოსაპოვებლად კაცობრიობას მრავალი საუკუნე დასჭირდა. ნ. ჯალაღონია ამეტყველებს ძველ ბოლშევიკს **(„წმენის ორდენის კავალერი“)**. ასე იმიტომ მოიქცა, რომ დღევანდელობას ჰეროიკული სულისკვეთების, სიწმინდის, სიმართლის მაგალითი ჰქონოდა. მაგრამ ის მანკიერებანიც მხილებულია, რაც დრომ მოიყოლა, როცა **„სკამის ჭია და ოთახის ვირთხა ხალხის სახელით“** ალაპარაკდა, როცა პარტიის სახელი დროშად კი არა, კიბედ დასჭირდათ. ერთმანეთს შეერწყა დითირაბი და მხილება, რათა უარსაყოფი დაიძლიოს, ხოლო შესაქები - დაიდაფნოს. ხოლო ეს ყოველივე პოეტის ეროვნული თვალსაზრისის ნაწილია. რადგან დღევანდელობის მესაჭე კომუნისტია. იგი უნდა იყოს კრისტალური პიროვნება, ადამიანურ ძალთა და ღირსებათა საზომი, რათა ის, რაც დროის გრიგალს გადაურჩა, ჩვენს თვალწინ არ განიავდეს.

ამდენად - **მოქალაქეობრივი აქტივობა, სოციალური პათოსი ემორჩილება ეროვნულ მიზანს, ოცნებას საქართველოზე.** თვით ბამის მშენებლობაც, რომელშიც თავად მონაწილეობდა პოეტი, ქართული სულის ძლიერების გამოვლენაა. შორეულ ტაიგაში შრომობენ ქართველები. ეს მათი ადამიანობის, პიროვნულ თვისებათა გამოცდაა, რითაც იფანტება ყალბი ლეგენდა დაფნის, ყვავილის და სინდისის გამყიდველებზე. პოეტი ერთმანეთს უპირისპირებს გორკის ქუჩაზე მდგარ სპეკულანტს და ბამის მამაც მშენებელს, რომელსაც დროშასავით უჭირავს **„მაღლა მამულის დიდი განძი - ღირსება“**. ნიას ნაპირზე, შორეულ ციმბირში, სხვა ერის შვილებთან ერთად, სასტიკ ყინვაში,უჩვეულო გარემოში, იღწვიან ქართველები და თავიანთ რაინდობას, ვაჟკაცურ სულს, ჰეროიკულ შემართებას კიდევ ერთხელ ამტკიცებენ. ამდენად არის ბამის ეპოპეაც ეროვნული მრწამსის ნაწილი (ამ ციკლიდან განსაკუთრებით საინტერესოა **„დაგვიანებული ლექსი“** და **„ბალადა ბამელთა ცოლებზე“**). მაგრამ არათუ ბამი, ფეხბურთიც ის სფეროა, სადაც ქართული სულის ძალა უნდა გამოჩნდეს. იგი სპორტად ანუ გართობად და სანახაობად არ აღიქმება: **„მე არც თქვენი ბურთი და მე არც თქვენი მედლები არ მაღელვებს**

სულ. მაგრამ ეს თქვენ აქეზებთ, ეს თქვენ ეიმედებით და აფხიზლებთ სულს“.

ამიტომ ბუნებრივია, რომ პოეტი ხშირად ეკამათება და ედავება თანამოკალმეთ, რადგან **„საქართველოში პოეტი უნდა ჰგავდეს ჯარისკაცს ან გუთნისდედას“**. იგი განასხვავებს ორგვარ პოეზიას - ერთია უტილიტარული, გამოყენებითი, მოქალაქეობრივ-პუბლიცისტური, მეორე - ესთეტიკურ - ფილოსოფიური, განყენებული. ხოლო თავისთავს მიაკუთვნებს იმათ, რომლებიც პოეზიის ყოველდღიურობას, სოციალობას იცავენ, მის გამოყენებით ფუნქციას ქადაგებენ. ეს მართლაც ასეა. ნ. ჯალაღონია თავისი ლექსებით იმ საკითხებს დასტრიალებს, იმ კითხვებს პასუხობს, რომლებიც დღევანდელ მოქალაქეს აღელვებენ. მაგრამ ერთი კორექტივით - ეს ყოველივე ემორჩილება **ეროვნულ თვალსაზრისს, ერის, მშობლიური მიწის პრობლემას.**

როგორც ვხედავთ, ეროვნული მრწამსი, მოქალაქეობრივი პაროლი, პუბლიცისტური პათოსი ნოდარ ჯალაღონიას ლექსების ძირითადი თვისებაა. მაგრამ, ამასთან ერთად, იგი გვთავაზობს განსჯითი ხასიათის ნაწარმოებებს. ცხოვრებისეული წვრილმანები, ყოფითი დეტალები იძლევა განზოგადების საშუალებას, ანუ ავტორი ცდილობს არაპოეტური, ინერტული მასალის დრამატიზებას, მათგან აზრობრივი დასკვნის გამოტანას (**„Старые вещи“, „ვისი სული გსურთ“, „გული“, „ფიქრები სამგლოვიარო განცხადებებზე“, „ქაღალდის ბალადა“, „შიმშილის ვეტერანები“, „შიმშილი“, „მესხის ფინტი“**).

განსჯის საწყისია კონკრეტული ფაქტი, თითქოს უმნიშვნელო დეტალი, რაც სათაურშივე აღინიშნება ხოლმე. იგი იქცევა აზროვნების იმპულსად, შთაგონების წყაროდ, ლექსის სიუჟეტად. საერთოდ უნდა აღინიშნოს ერთი თავისებურება: ნ. ჯალაღონია აზრის პოეტია, მისი ლექსი ემორჩილება აზრობრივ დინამიკას. ამიტომ ხშირად მეტყველებს ხატოვანი სახეებით, რომლებიც აფორიზმებს მოგვაგონებენ (**„მოგონებებში განა ვისვენებ, მოგონებებიც იარაღია“, „სულ ჯოხის ქვეშ მონად ყოფნას, ჩანს, სიკვდილი გიჯობს ცაში“, „დედის საფლავის ბორცვი იქნება ყველა მთაზე მაღალი“, „დათვლილია წლებიც მათი, ვინც წარსულით ცოცხლობს მარტო“, „თუმცა სამშობლო გაუყიდიათ, არ შეიძლება სამშობლოს ყიდვა“**). ხოლო კომპოზიცია მუდამ ლოგიკურია, მტკიცე და მწყობრი, არა ასოციაციებზე აგებული, არამედ - სიუჟეტის, ამბის განვითარებაზე. ამ მხრივ ნ. ჯალაღონიას ლექსებს ნოველისებური სტრუქტურა აქვთ. ოღონდ აზრის პირველადობა უერთდება პუბლიცისტურ პათოსს.

ამდენად - პოეტის მიზანი არაა ფაქტის ან შინასამყაროს ინტელექტუალური განსჯა, ფილოსოფიური ჭვრეტა. იგი ყველგან ეძებს მოქა-

ლაქეობრივად საინტერესო სათქმელს. პოეტი თავისთავზე ნაკლებად საუბრობს, უფრო გარეგანი მასალაა ქცეული შთაგონებად. შეიძლება ითქვას, წინასწარ არის შემუშავებული სქემა, გარკვეული თვალსაზრისი, რომელიც სტრიქონებად შემდეგ გადააქვს, როცა საგნები საამისოდ განაწყობენ. ამიტომ მისი ლექსი ხშირად აწეული ტონალობისაა, რიტორიკული, მაგრამ სადა და გასაგები. რიტორიკა მეტწილად მაღალფარდოვნებას უერთდება ხოლმე. მაღალფარდოვნებას ნ. ჯალაღონიას არც ცალკეული ლექსებია მოკლებული, მაგრამ სიუჟეტი, იდეა და სახეთა სისტემა ყოველთვის ნათელია, ზოგჯერ ზედმეტად გამჭვირვალეც. აქ ემოციას, გრძნობას იწვევს ფაქტის გააზრიანება და მოქალაქეობრივი გამიზვნა. არსებობს სხვაგვარი პოზიციაც: განცდიდან, გრძნობიდან შობილი მოქალაქეობრივი პოეზია. ნ. ჯალაღონია კარგად ფლობს პოეტური რიტორიკის ხერხს. მაგრამ მაინც ითიშება ხოლმე აზრი და განცდა, რაც, არცთუ იშვიათად, დაუძლეველი ბარიერია. გრძნობის, განცდის მეორადობა კი იწვევს ინტონაციურ ერთფეროვნებას. რიტორიკული პათოსი, რაც უნდა კარგად იყოს მორგებული სათქმელს, ხანგრძლივად მაინც დამღლელია. იგი ცნობიერების, გონების კუთვნილებაა, და არა სულისა, მარად იდუმალი და მიუწვდომელი ფსიქიკისა. ნ. ჯალაღონია პრინციპული დამცველია ამგვარი პოზიციისა, რამაც მის სტრიქონებს მოაკლო სითბო, სინაზე და სინატიფე - ლირიკის უპირველესი თვისებანი, რომლებიც ფარულად იმორჩილებენ აუდიტორიას, გაუცნობიერებლად ეუფლებიან მათ გულსა და ფიქრებს.

მაგრამ ნ. ჯალაღონია ავტორია რამდენიმე ლექსისა, რომლებშიც სწორედ განცდა იწვევს ლირიზმს **(„დღეს სიცოცხლე შენი“, „გიმზერ, გიყურებ და მე ვღონდები“)**. ლირიზმი ყოველთვის სასოწარკვეთილი განწყობილების შედეგია, მარტოოობაში შობილი - იმედის დაკარგვის შემდეგ ან კიდევ - დაკარგვის მოლოდინში. ამიტომ არის მელანქოლიისგან განუყრელი, უფრო სწორად - მელანქოლიური განწყობილების ნაყოფი. ამჯერად პოეტს გულს უკლავს უნაპირო დროის მიმოქცევა, გარდაუვალი ფერისცვალება, რაც აჭკნობს სილამაზეს: **„შემორჩები მარტო შენს დარდსა და გზებს, დღეს ვიღაცის ხატო! დღეს ვიღაცის მზევ!“, „მე შენი სახის ეშხი მინახავს, შენი სიბერე არ დამანახო“...**

ამრიგად, ერთი მხრივ - ფაქტის გააზრებამ მიგვიყვანა რიტორიკამდე, მეორე მხრივ, ფაქტის განცდამ - ლირიზმამდე. პირველის საფუძველია პათეტიკა და დითირამბი, მეორისა - სევდა, საწუთროს ამაოება. ისიც უნდა შევნიშნოთ, პოეტი ნაკლებად გვაცნობს თავის სულიერ ცხოვრებას, პირადულ სამყაროს. იგი კარგად ხატავს საზოგადოებისადმი მიმართებას, ეროვნულ მრწამსსა და იდეალებს, მაგრამ თითქოს დრო არ რჩება საკუთარი პიროვნების წარმოსაჩენად. მისი მზერა

მიმართულია შიგნიდან გარეთ - დაკვირვებისა და განსჯისათვის, რათა ასე აღიძრას ემოცია. ამიტომაა, რომ უფრო გონებით ვკითხულობთ ამ ლექსებს, თუმცა პრობლემატიკა ეროვნული დრამის ნაწილია და თავისთავადაც, პოეზიისგარეშეც, ქართველის გულს ხვდება. უნდა გავითვალისწინოთ, რომ ნ. ჯალაღონია შორს დგას წმინდა, ელიტარული პოეზიისაგან. მას კარგად ახსოვს აკაკის შეგონება, რომ პოეტი **„გარემოების საყვირია“** და ეს საგანგებოდ აგვიხსნა კიდეც **(„პასუხი ლექსად“)**. თავადაც ამჩნევს, რომ ეს არის მისი ლექსის ძალაც და სისუსტეც. მაგრამ იმასაც ამბობს, რომ **„გზის ერთგულებას ცოტა იჩემებს“**.

ნოდარ ჯალაღონია ერთი იმ ცოტათაგანია.

„კრიტიკა“

1988,№2

უკანასკნელ საღამოთა სევდა

„ხვალ რა იქნება, რა იქნება ხვალ?“ ასე მთავრდება **დავით მჭედლურის** ლექსების წიგნი - **„თოვლის დღესასწაული“**. ეს არის კითხვა, რომელიც თანაბრად აწუხებს როგორც შემოქმედს, ისე უბრალო მოქალაქეს. მაგრამ განსაკუთრებით მძიმეა შემოქმედის ხვედრი, რადგან იგი თითქოს სიბნელეში ხელის ცეცებით მიდის. ოცნება და შედეგი მეტისმეტად სცილდებიან ერთმანეთს და არავინ უწყის როდის დგება ცად ამაღლების თუ მიწაზე დაშვების ჟამი. რეალურია და ნამდვილი მხოლოდ ის, რაც შეიქმნა, რაც მოელის განსჯასა და შეფასებას, როგორც პიროვნული სწრაფვის ფუნდამენტი.

დავით მჭედლურის პირველსავე წიგნში - **„პირიმზითი“** გამოჩნდა მშობლიური ლანდშაფტები, სამოქალაქო მოტივები. ეს კრებული საინტერესოა როგორც პირველმონახაზი, მომავალი გზის კონტურები, რომელსაც სჭირდებოდა პოეზიად ქცევა. ყურადღებას იქცევდა ცალკეული სახეები **(„მაგრამ ვით სიტყვა უნებურად წამოცდენილი, გაღმა პირმზითში ნაადრევად აყვავდა შინდი“)**. მაგრამ მეტწილად საგრძნობი იყო ტრადიციული სიტყვის ინერცია. გავლენებიც თავს იჩენდა **(„შენ სისხლო ჩემო“...)**. ნაკლებად ვლინდებოდა ინდივიდუალური ხედვა. მაგრამ დ. მჭედლურს, როგორც პოეტს, აღმოაჩნდა მტკიცე ნებისყოფა, სწრაფვის ჟინი, რათა დაეძლია საკუთარი სისუსტენი. ამიტომ თანდათან გახდა არა თავისი განცდების სტიქიური მიმყოლი, არამედ - წარმმართველი.

„დამშვიდობება საგვარეულო სახლთან“ - ასე ეწოდა მეორე წიგნს, რომელიც უთუოდ შემობრუნების დასაწყისი გახდა. სათაურიც მრავა-

ლისმთქმელ მეტაფორად ჟღერდა. პოეტი გამოეთხოვა **„საგვარეულო სახლს“**, აგრეთვე - იმ პოეზიას, რომელზეც აღიზარდა. მას თავისი გზა უნდა გაეკაფა, ეთქვა ის, რაც მხოლოდ მას აწვალებდა. ასეთ სწრაფვას ახლდა ერთგვარი რისკ-ფაქტორიც **(„სახლიდან გასვლა თავგანწირვის დასაწყისია“)**. ტრადიციული ლექსის გვერდით აღმოცენდა ვერლიბრი, რაც არ ყოფილა მხოლოდ მოდის მიყოლა. იგი, ისევე როგორც ფშავ-ხევსურეთიდან მოსული არაერთი თანამოკალმე, ლექსის ამ ფორმამ გაიტაცა, ვით მშობლიურისა და მახლობლის უარყოფის ანუ თვითდად-გენის სიმბოლომ. ვერ ვიტყვით, რომ დ. მჭედლურმა ამ სფეროში განსაკუთრებულ წარმატებას მიაღწია. მაგრამ იგი კატალიზატორი აღმოჩნდა, რომელმაც გაამკვეთრა ფერადების ხილვის უნარი, სიტყვისა და საგნის გრძნობა. **„დაუსრულებელ მდინარებაში მეც ჩემი გზა მაქვს და სასწაული“**, აცხადებდა პოეტი. მან ისიც იგრძნო, რომ მოდერნი და სხვა რომელიმე **„უახლესი იზმი“** გულს მაინც ეუცხოებოდა. ხანმოკლე განდგომისა და ამბოხის შემდეგ ისევ მიუბრუნდა მშობლიურ საგნებს, სახელებს, სიტყვებს, უარყო ანაზდეულად შემოჭრილი **„ვოლფრამის მზე“** და **„ნეონის მთვარე“**.

„მონატრება“ - ასე დაერქვა მომდევნო წიგნს, რომელიც გარდასულ დღეთა რესტავრაციის ცდაა, მახლობელი, პირველხილული ნივთების აჟღერებაა იმ ლექსით, რომელზეც აღიზარდა. ჯერჯერობით ამ ტენდენ-ციის ყველაზე ნათელი გამოვლენაა **„თოვლის დღესასწაული“** - ბოლო წიგნი, აგრეთვე ის ლექსები, რომლებიც ხშირად იბეჭდება პრესის ფურცლებზე.

დავით მჭედლური ნებისყოფით, შრომით, კრიტიკული თვალთახედვით ძლევდა სიძნელეებს, აგნებდა საკუთარ ხმას. ასეთი ძალისხმევის შედეგად უფრო მკვეთრდება პოეტის თვალთახედვა, ქრება სტერეოტი-პული კონსტრუქციები, ძლიერდება მასალისადმი პროფესიული მიმარ-თება. არიან პოეტები (მათ შორის - ზოგი ბრწყინვალეც), რომლებიც უეცრად იფეთქებენ, ადრეულ წლებშივე ავლენენ ძალასა და უნარს, შემდეგ კი ინერციით მიდიან ან სულაც ტოვებენ არენას. ისინი ინტუი-ციის ტყვენი არიან და ამიტომ ყურადღებას არ აქცევენ ნებისყოფასა და შრომას, ძალთა რაციონალურ განაწილებას, რომელთაც ტალანტთან თითქოს არაფერი კავშირი აქვთ. ხოლო **„დისციპლინირებული“** პოე-ტები არა მხოლოდ თანდათან ხდებიან საინტერესონი, არამედ ლექსის თხზვის უნარსაც დიდხანს ინარჩუნებენ. მათგან ყოველთვის მოსალოდ-ნელია ახალი წარმატება, თუმც არა უჩვეულო და თავბრუდამხვევი.

დავით მჭედლური ის პოეტია, რომელმაც სტიქიას დაურთო ცოდნა, გარჯა და ნებისყოფა. იქნებ ამიტომაც შეადარა თავისი თავი **„ძველი დროის ფეოდალს“**, რომელმაც დაიმორჩილა მეორე **„მე“**, ყმად აქცია,

რათა ასე მოიცილოს **„საშინელი სიზმრები“, „გულში დაგროვილი შხამი“**. ამ მხრივ იგი სამაგალითოც არის ახალთაობისათვის, რომლის დიდი ნაწილი თავს ერთი ქართული ანდაზით ინუგეშებს და ამგვარად ამართლებს ინერტულობასა და უმოქმედებას. **„არცა გააჩუმო ჩანგი, არცა გააჩუმო სული, უნდა აბჯროსანი სჩანდე, სჩანდე იარაღით სრული“** - მიმართავს პოეტი თანამედროვეს. ეს უფრო საკუთარი მოქმედებიდან, ცხოვრების პრაქტიკიდან გამოტანილი დასკვნაა. ამიტომ გასდევს ამ სიტყვებს გულწრფელი პათოსი და მართალი პათეტიკა. მათ მიღმა დგას პიროვნება - გუშაგივით **„ოთხივ მხრისკენ მომზირალი“**, წყნარი და უხმაურო, როგორც პილიგრიმი, რომელსაც უხმობს **„გაღმა ნაპირი“** და რომელმაც თავისი დრეიფი ასე განმარტა: **„ჩვენ ვიზრდებოდით, როგორც ფოთოლი, სულში სხვადასხვა ქარს ვაგროვებდით, სხვადასხვა მხრის და სხვადასხვა მთების წყლებს მივტოპავდით და გამოვედით“**. მაგრამ ეს ფოთოლი, ეს ქარი, მხარე და მთები ქართულია, მშობლიური და ძვირფასი, როგორც „საგვარეულო სახლი“, რომელსაც ერთხანს დაემშვიდობა, რათა ახალი ხილვის უნარით, ცოდნით და ძალით აღვსილი კვლავ დაბრუნებოდა. **„ვიღაცა დაგხვდა, ხელი გკრა და ისევ უკან დაგაბრუნა, უკან უკან, მშობლიური ნაპირებისკენ“**, - ეუბნება პოეტი თავისთავს. ეს **„ვიღაცა ათას საგანში ჩაწნილი სიყვარულია“**, პიროვნებას რომ აერთებს იმ მიწასა და ჰაერთან, ცეცხლთან და წყალთან, რომლებმაც წარმოშვეს იგი.

თითქოს დროდადრო სიტყვებიც იღლებიან, ძველებური ძალით ვეღარ ჟღერენ და მათში რაც უნდა ძლიერიგანცდა მოექცეს, გულისყურს ვერ მიიზიდავენ. სიტყვები სცილდებიან საგნებს, როგორც შემოდგომის ფოთლები ხეს და ჰაერში ფარფატებენ. მაგრამ სიცოცხლის სტიქიური წესრიგი გულს და გონებას ისევ მიაბრუნებს ყოფიერების დრამატიზმისაკენ და თავად ამეტყველებს სიყვარულის ძალასა და უსაზღვროებას, გარდასულ დღეებსა და მოახლოებულ სიკვდილს, თეთრ თოვლსა და მწვანე აპრილს. ასე იწყება სიტყვების გამოფხიზლება ანუ აღვსება შმაგი და მღვრიე ცხოვრების ძალით. ამიტომ უარყოფს ახალთაობა ფორმის კულტს, რაციონალურ, ცნობიერების პოეზიას და უბრუნდება ყოფიერების ღელვას, უშუალო და მწვავე განცდებს.

დრომ ჩვენს თვალწინ გაახუნა ლირიკული აღქმისა თუ დრამატული განცდის ფასი. აუდიტორია სიცილსა და გართობას მიეძალა, აღარ უნდა სისხლიანი ამბების მოსმენა, აღარ აღელვებს ჰეროიკა, განსაკუთრებული იდეა ან პერსონა. კონფორმისტული ცხოვრების ინერციით ტალანტის განმსაზღვრელად ლამის იქცეს იუმორი. ეს მაშინ, როცა დიდი ხელოვნების სათავე დრამატიზმია, ათას პრიზმაში გავლილი და არეკლილი. ახალთაობის პოეტებმა ისევ გაამძაფრეს სინამდვილისადმი

მიმართება, უარყვეს თამაში და გართობა, სიმსუბუქე და ირონია.

დავით მჭედლურის ლექსების მთავარი თვისებაა ლირიზმი, მოვლენების დრამატული აღქმა, რაც ვლინდება სევდით და მელანქოლიით. ერთის შეხედვით შესაძლოა მოგვეჩვენოს, რომ იგი პათეტიკოსია, ტრიბუნაზე რომ უნდა იდგეს და ხმამაღლა ლექსებს კითხულობდეს. მაგრამ როცა გავეცნობით მის საუკეთესო სტრიქონებს, აშკარა გახდება, რომ დრამატული განცდა არის პოეტის ბუნებრივი მდგომარეობა. სევდა ის უძირო ჭაა, რომელიც მარადისობის უფსკრულს უერთდება და იძლევა ფიქრის, განსჯის, მოგონების ულევ ძალას, ხოლო ნაღვლიანი განწყობილების აღმძვრელია პიროვნების მარტოობისაგან თავის დაღწევის სურვილი. პათეტიკაც ხერხი და საშუალებაა, რათა ადამიანი კომუნიკაბელური იყოს, ჰპოვოს სევდის მოზიარე, რადგან **„მარტო დახეტიალობს დამუნჯებულ ბაგით“**. პოეტი **„აღარავის არ სჭირდება სრულიად“**. იგი ხომ ნებიერი ცხოვრებისაგან განმდგარი მეოცნებეა, მჭვრეტელი და დამკვირვებელი, რომელსაც თამაში არ ძალუძს. ამიტომ პრაქტიკოსი **„ცხოვრების კაცი“** მას არ ღებულობს, მტრულადაც ეკიდება. იგი უცხო და უცნაურია, სხვათა არხეინი ძილისა და მყუდროების დამრღვევი. ყველაზე გულისმომკვლელი მაინც ის არის, რომ **„შენმა ძმებმაც უკლებლივ შეიცვალეს სისხლი“**.

„მე წუხელ სველი ბალახი ვლოკე, ეგებ კვლავ წვიმა მოვიდეს ხვალაც“, - წერს ერთგან პოეტი, მეორეგან წუხს განშორებაზე, რომელსაც მწვავედ განიცდის თავად. ხოლო ბუნება ცივია და უგრძნობელი. იგი თითქოს არ ეთანხმება პიროვნების განწყობილებას, თუმცა მისებრ მოწყენილი კი არის:

ისე დაგშორდი, როგორც შორდება
მდინარე მთებს და ხეებს ფოთოლი -
წვიმდა და სველი ჭალების გასწვრივ
გულგრილად იწვა ნისლის კოტორი.

იღვიძებენ სულის ჭრილობები, რომელთა განცდა გადადის ლექსიდან ლექსში. სევდის პირველსაწყისი ჩვენთვის უცნობია, მაგრამ გვეძლევა შედეგი, რომელიც ინახავს იდუმალ შიფრს, ხშირად თავად ავტორისათვის ბუნდოვანსა და ამოუხსნელს, რაც თხზვის ახალ სტიმულადაც იქცევა ხოლმე. მაგრამ არ ქარვდება მარტოობის ნაღველი და იგი მაინც საგრძნობია. ადამიანებს ძნელად ესმით ერთმანეთისა. ყველა თავის ილუზიურ კოშკში გამოკეტილა:

ვინც ოდესმე ინატრე -
მან არასდროს გინატრა,
ჩაქრა თოვლის სინათლე,
ღამის ქარმა მინამქრა.

მარტოობის სევდა თანდათან ცვლის პიროვნებას, ფსიქიკასა და ხა-

სიათს. იგი ნერვიულად და მძაფრად რეაგირებს ყოველ წვრილმანზე. მოქანცული სული სხვისთვის უჩინარსა და უმნიშვნელოს ტრაგიკულად აღიქვამს (**„და სულ მარტო ვართ, როგორც ფოთოლი, ტყიდან გაქცეულ ხეზე რომ შერჩა“**). აქედან ჩნდება **თვითგამეტების სურვილი, საკუთარი ხვედრის განსაკუთრებულობის შეგრძნება, შიშის განცდა.** თითქოს ყველაფერი უნდა დამთავრდეს, დაესვას წერტილი, თითქოს ამქვეყნიური არსებობის დაისი დგება. სტრიქონებში ჩნდება სიკვდილის აჩრდილი, როგორც გაყინული დროის ემბლემა. გარჯვამ, შრომამ და ძალისხმევამ უქმად ჩაიარა, მაინც **„სუყველაფერი მორჩა, დამთავრდა“**. პოეტი ჰგავს **„უკანასკნელ მეციხოვნეს“, „უკანასკნელ მგზავრს“, „უკანასკნელ ცოდვილს“**, ტყე მღერის **„უკანასკნელ ჰანგს“**, ქარს მიაქვს **„უკანასკნელი ფოთოლი“**, დგება **„უკანასკნელი საღამო“**, ხოლო **„თოვლი ბოლო კონცერტზე ბოლო სოლოს ასრულებს“...**

სევდიანი განწყობილების მაცნედ ჩნდებიან სიტყვები - ღრუბელი, წვიმა, ნისლი, თოვლი. მათგან განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება თოვლს (წიგნის სათაურიც გავიხსენოთ - **„თოვლის დღესასწაული“**). იგი ამჟღავნებს პიროვნების სულიერ ვითარებას. მაგრამ ძველ ტკივილებსაც ჰფარავს. იგი იმასაც მიგვანიშნებს, თუ როგორ დასძლია ნაღველი, როგორ იქცა ძალად, რომელიც სხვას სიხარულსა და შვებას მიანიჭებს. საკუთარი სულიდან ავარდნილ ცეცხლის ალზე სხვები გაივლიან, მათ გულსაც მოედება სითბო, პიროვნების ტანჯვამ და წვალებამ რომ წარმოშვა. ასე ჩადგა **„თოვლის ანგელოსი“** ავტორსა და მკითხველს შორის. თოვლი განწმენდის სიხარულიცაა, ცასთან ზიარება და გაყუჩება, სიმშვიდე და სიწყნარე. ის კიდევ იმიტომ ახარებს სულს, რომ **„ობოლივით მარტოსულია“** და როცა მხატვარი ხატავს, მხოლოდ თოვლი თუ **„მოიკითხავს“**. თეთრი ფანტელი ნელ-ნელა იქცევა სულის სიმბოლოდ თუ გაგრძელებად. ამიტომ, როცა მას ტლანქად თელავენ **„სისხლგამოცვლილი ძმები“**, ერთადერთი სიტყვა შეარხევს ღამის უკუნეთს: **„მიშველეთ“!..**

მარტოობისა და უკანასკნელობის განცდამ წარმოშვა თოვლის ესთეტიკა. იგი არ გახლავთ ლიტერატურული რემინისცენცია. მას მშობლიური მთა-გორები იწვევენ, ის ლექსებიც, რომელთა ჰანგი და კილო სისხლის დარად წინაპართაგან გადმოეცა. ფიქრი, ეჭვი, მოგონება და სინანული ერთის მხრივ ლირიზმად გარდაისახა, მეორეს მხრივ - ტრაგიზმად.

როგორც ვხედავთ, პოეტის სევდა, რომელმაც მარტოობის განცდა გაუძლიერა, არ არის ერთმნიშვნელოვანი. იგი კომპლექსური ბუნებისაა და რამდენიმე ნაკადისაგან შედგება. **პირველი**: ცარიელდება სოფელი, ხალხი ტოვებს მშობლიურ მთა-გორებს, რაც გაუკაცრიელების

სიგნალად აღიქმება. რჩება იგივე გარემო, ათასწლეულთა თვალებით რომ იმზირება. მაგრამ ადამიანის გარეშე ყველაფერი მკვდარია. ხოლო ადამიანთა წრე უნდა იყოს მშობლიური, ნათესაური, რომელთანაც აერთებს სულის ისტორიული მეხსიერება. მაგრამ ველზე ბალახი წევს **„ბოლო მოკლულ მეომარივით“**. მზერას ბნელი ღრუბელივით აწყდება ნასოფლარი თუ უკაცრიელი სოფელი. სევდით თითქოს ტყეც დაბერებულა. **„საგვარეულო სახლიც“** დარღვეულა. შვილები სხვადასხვა მხარეს დაფანტულან. დარჩენილა მარტოოდენ **„საგვარეულო სასაფლაო“**. აღარავინ ხმაურობს **„ბებერ, ნამკვდრევ სახლში“**. ათოვს დედის საფლავს. მიტოვებულია ძველი ოცნება და სიყვარული: **„გადათქერილი მარტის წვიმებით შენ ბალახივით მინდორში გნახეს“**, ხოლო პოეტი დარჩენილია მარტო - **„საღამოსავით ცივი და სველი“**. ალბათ როგორც მეხსიერების სამყაროს **„უკანასკნელი მცველი“, „შეშინებული ცხოვრების“** ელდით შემკრთალი.

ასეთი განცდა მძაფრია იმდენად, რამდენადაც პოეტის ლექსიკა, ანტურაჟი, დეტალები სულს იდგამს პირველხილული - ფშაური სურათებით. მაგრამ ეს ყოველი მოგონებასღა შემორჩა. ქარების ხვივილი მთაზე, მგლებისგან დაკბენილი ღამის ფარდაგი, ღორღიანი გზები გულს კვლავ ენატრება. აქ ცაც **„სხვანაირია“**, ფიქრებში ისევ მოისმის **„ფერდაკარგული არაგვის ხველა“**, ღამღამობით **„წვიმის ღრუბელი ესიზმრება“**, ხსოვნაში ისევ ქრის ჩრდილოეთის ციკლონი. გუშინდელის მოგონება და დღევანდელის ხილვა სასოწარკვეთ ვედრებად ხმიანდება: **„ეგებ არ გაცვდეს, ეგებ არ გაცვდეს, ეგებ არ გაცვდეს შენი ხატება“**. გულისმომკვლელი სევდის წიაღში მაინც ციმციმებს იმედის სხივი:

> თოვლით დაფერილებო, ძალზე საყვარლებო,
> ცამდის აღერილებო, საქართველოს მთებო,
> დიდი ზამთარია, დიდთოვლობის ჟამი,
> ცივი გაფარიათ თოვლის მოსასხამი.
> მაგრამ სიზმარივით განელდება თოვა,
> მალე წელიწადის მომდევნო დროც მოვა.

მეორე: ძველი ყოფის რომანტიკას შენაცვლებია **„აწ გარდაცვლილი უწესო ბატონის წესიერი მონათა ქალაქი“**, სადაც სტიქიის ადგილს იჭერს გონება: **„ქიმიური ზამბახებივით უნაკლოდ არის დამზადებული ჩვენი ცხოვრების ყველა დეტალი“**. ასე ჩნდება სადღეისო ვარიაცია ნაცნობი ანტინომიისა - ინდუსტრია - პრიმიტივი. **დავით მჭედლური არ არის პოეტი - ურბანისტი, ურბანული ყოფის, ინდუსტრიული საზოგადოების მხატვარი. იგი ბუნების შვილია, ტრადიციული ეტიკეტის ერთგული, რომელსაც ძველი ცხოვრება და გარემო დაეკარგა, ხოლო ახალს ვერ შეეგუა.** შეიძლება ასეთი დაპირისპირება სტერეოტიპულიც

იყოს. მაგრამ მთავარია როგორ განიცდის პოეტი, რადგან საგვარეულო სახლი, სისხლის მისტერია და წინაპართა აჩრდილები ყველა დროის ადამიანს აღელვებს, როგორც მარად თანამედროვე ატავიზმი.

მესამე: გაბზარული სამყაროსათვის, რომელსაც მოქალაქეობრივი კრიტერიუმები აღრევია, პოეტი ზედმეტი აღმოჩნდა. თითქოს იგი უნდა ყოფილიყო სულის მკურნალი, მისთვის მიეგდოთ ყური, რადგან ამბობს იმ სათქმელს, რასაც ყველანი გრძნობენ, მაგრამ განსიტყვების უნარი არ გააჩნიათ. კონფორმისტული საზოგადოება, რომელსაც დაჰკარგვია ჭეშმარიტი სულიერი ორიენტირი, მას მტრულად ხვდება, აღიზიანებს მისი არსებობა: **„ვიღაცამ თითი მომაღირა, ჩაიცინა - აი პოეტი! და იმის შემდეგ ჩემს ფიალას მუდამ რაღაც მწარით ავსებენ“. „პურსა და სანახაობას“** დახარბებულს პოეტი, როგორც ითქვა **„არ სჭირდება სრულიად“. ამიტომ აგონებს თავისი თავი „მობალახე ხარს“,** რომელიც **„უფსკრულის პირას“** ძოვს და მალე ყელს გამოღადრავენ.

ასე იქცევა შემოქმედი გარკვეული წრისათვის ზედმეტ ადამიანად. მან თავისი პირადი და მოქალაქეობრივი სევდა - ნაღველი მარტოობისა და მიუსაფრობის გრძნობა გამოთქვა ტრაგიკული ნოტებით და თოვლის თეთრ სამოსელში გახვია. მაგრამ წუხილს არ დანებდა, გამოავლინა, აღმოთქვა და მისგან განთავისუფლდა, შეძლო სულიერი ღელვის დამორჩილება ანუ პოეზიად ქცევა. ამიტომ წერს პოეტი: **„უნდა შევიდეთ შეუცნობელში, ვით წინაპარი ჩვენი შევიდა“, „უნდა ააჟღერო სიმი, სული ააყვირო სიმწრით, იდგე აბჯრით შემოსილი, მხარი მხარზე გქონდეს მიჯრით“**. ამ ორი ტირადით გაერთიანდა ფიქრი და ამბოხი, ჭვრეტა და მოქმედება, როგორც სულიერი მღელვარებისგან განმუხტვის შედეგი. უფრო ზუსტად - ყველაზე დიდი სიბრძნე არის ამბოხი, მარადიული განახლების ჟინი.

ალბათ პოეტის სევდასა და მელანქოლიას ექნებოდა უფრო ღრმა პიროვნული მიზეზიც. მაგრამ პირველსაწყისი თვალს მიეფარა, სახე იმდენად იცვალა, შესაძლოა თავად ავტორსაც უჭირდეს მისი განსჯა, რაციონალური შეფასება. მაგრამ აღმოაცენა ახალი მოტივები, რომლებიც იშლებიან სულის სწრაფვის მიმართულებით და იქცევიან თხზვის, ქმნის იმპულსებად.

ასეთია დავით მჭედლურის პოეზიის მოდელი. იგი სტიქიურად იკვეთება, მთლიანდება მის საუკეთესო სტრიქონებში, რადგან ის, რაზეც წერს პოეტი მთელი გზნებით, რაც გულს უკლავს და აწყვეტს ნერვებს ან სიცოცხლის სხივს ფენს, რაც ყველაზე ძვირფასი და მახლობელია, თავად პიროვნების სიტყვად გარდმოვლენა და მასში გაცხადებაა. ბუნებრივია, მათ გვერდით დგას არაერთი უმნიშვნელო ლექსი. მაგრამ ჩვენ ვეძებთ შთაგონების იმ წმინდა ცეცხლს, რომელიც მოძმეს უნდა

გადაეცეს, როგორც რწმენა და სიხარული:

და ისევ შენთვის ვაღვიძებ ცისკარს,
და ნისლიც შენთვის მოვიდა ციდან,
მე ისევ დღესაც თხუთმეტი წლის ვარ,
როგორც ვიყავი ოცი წლის წინათ.

„ლიტერატურული საქართველო“, 1986, 5 სექტემბერი

ორი მოთხრობის ერთი კონცეფცია

„ცისკარმა“ 1985 წელს დაბეჭდა ორი მოთხრობა - **„ჟამი“** და **„მეოთხე სიმფონია“**. პირველი ეკუთვნის **გურამ გეგეშიძეს**, მეორე - **რეზო ჭეიშვილს**. პირველს აქვს მინაწერი - „ისტორიული მოთხრობა“, მეორე თანამედროვე ცხოვრებას ასახავს. მკითხველს მოეხსენება, რომ ორივე პროზაიკოსი ფრიად განსხვავებული მსოფლგანცდისა და სტილის მწერალია. მაგრამ ამჯერად ერთნაირი კონცეფცია შემოგვთავაზეს, რაც სინამდვილის და პიროვნების ბუნების რეალისტურმა გააზრებამ გამოიწვია. მათ თვალი მიაპყრეს ადამიანურ ნაკლოვანებათა მარადიულობას, მათ უწყვეტ არსებობას.

რეზო ჭეიშვილი აგრძელებს მკითხველისათვის ნაცნობ სტილურ სამყაროს, ოღონდ ამჯერადაც ახალ სახელებს ეძებს. მას პერსონაჟები თათქარიძეთა, ქამუშაძეთა, სამანიშვილთა შთამომავალნი არიან. მართალია, ისინი აზნაურები არ გახლავთ, მაგრამ ამას რა მნიშვნელობა აქვს - კუდაბზიკობა, სიყალბე, პირმოთნეობა, ტრაბახი ისევე ახასიათებთ, როგორც მათ წინაპრებს. მწერალი აჩვენებს თანამედროვე ცხოვრების სურათებს, შელამაზებისა და პოეტიზების გარეშე, ზოგჯერ ნატურალისტურადაც. შემოაქვს ირონია და იუმორი, რათა მათი მეშვეობით გვაგრძნობინოს ამ ტრაგიკომიკური სინამდვილის არსი, რომელსაც იდეალები კარგა ხანია არ გააჩნია. ამიტომ ირღვევა მეტყველებაც. პერსონაჟები ლაპარაკობენ ჟარგონით, უსახური ენით. მაგრამ ირონიის ხერხით მწერალი ზუსტ მისამართს უძებნის ანტიგმირთა უთავბოლო ლაპარაკს. მეტყველებაშიც ცნაურდება მათი უაზრო, სიყალბეზე აგებული ცხოვრება.

„მეოთხე სიმფონიის“ სიუჟეტური საფუძველია ორი ხაზი - საავადმყოფოსი და მისაღები გამოცდებისა. მთავარი პერსონაჟი, შოფერი ჟორია, კვდება საავადმყოფოში. ამავე დროს უმაღლესში ეწყობა მისი ქალიშვილი ნარგიზა. ეს ორი მოტივი ერთმანეთს ენაცვლება. მაგრამ მკითხველი შეამჩნევს, რომ საავადმყოფოს გარეთ უფრო საშინელი

სენი მძვინვარებს, რომელსაც უჩინრად გამოუხრავს ხალხის გული. ყველგან შემთხვევითი ხალხია თავმოყრილი, ადგილდაკარგული, სხვის ნაცვლად მომუშავე. ექიმი ექიმს არ ჰგავს, ლექტორი - ლექტორს, აბიტურიენტი - აბიტურიენტს. სასაფლაოს ადმინისტრატორი ფრანგული ენის სპეციალისტია. მისაღებ გამოცდებს იბარებს კაცი, რომლის დახმარებით ჭირისუფლები პოულობენ კაცს, მიცვალებულის განბანვა და გაპარსვა რომ შეუძლია. აუტანელია ჟორიას ცხოვრებაც, რამაც იგი დაასნეულა და სიცოცხლე უფრო გაუმწარა. შეიძლება ითქვას, სწორედ ეს კაცია დადებითი პერსონაჟი ამ გადაჯიშებულ ადამიანთა მასაში. ისინი თითქოს ცუდად არც იქცევიან, ცხოვრობენ, ისევე როგორც სხვები. მაგრამ კარგად რომ ჩავუკვირდეთ, ყველაფერს ყალბი სული უდგას. ეს სიყალბე კი მწერალს არ გამოუგონია, იგი ცხოვრებიდან შემოვიდა მოთხრობაში. ჩვენ მას იმდენად შევეჩვიეთ, რომ ეგებ არც მივაქციოთ ყურადღება. მაგრამ ეს უფრო საშინელებაა. საშინელებაა როცა საზოგადოება დაავადებულია, მაგრამ ეს არავის უკვირს. აი, მოდის მწერალი და გვიჩვენებს სარკეს, რათა ჩვენი დამახინჯებული სახეები დავინახოთ, ხოლო სახეთა მიღმა უფრო საზარელი სული შევიგრძნოთ.

ალიო ღვამბერიძეს შემთხვევით გაახსენდება დედის საფლავი, იმ დედისა, რომელიც მის მშობიარობას გადაჰყვა; მეორე მთვრალ თანამეინახეებთან ერთად ღამით ეძებს მამის საფლავს, ვერ იპოვის და თავს დაიმშვიდებს, ამ სიბნელეში რას მიხვდებიანო. მაგრამ ბესომ დილით ნახა, რომ თურმე სხვის საფლავზე ღრეობდნენ მთელი ღამე.

მოკვდა ჟორია. გაჩნდა ახალი პრობლემა - მიცვალებული უნდა დაიმარხოს. მაგრამ სადაა ადგილი. ადგილს შოვნა უნდა. სიცოცხლე ხომ აუტანელია, კიდევ უფრო ტრაგიკომიკური ყოფილა სიკვდილი, როცა ადამიანს მიწაც სანატრელი და საყიდელი გაუხდება. არავის სჭირდება ცოდნა და პატიოსნება. ყველგან ბატონობს ფული. **ფულის დემონური ძალა განაგებს ადამიანთა ცნობიერებას, საზოგადოებას, სიცოცხლის წესრიგს.**

ადამიანები ერთმანეთს არ ინდობენ, უსინდისოდ ცრუობენ, ქრთამს იღებენ, მრუშობენ, ერთმანეთისგან ვერ გაურჩევიათ უცხო და მახლობელი, მტერი და მოყვარე, უფრო სწორად - არც ამ გარჩევას აქვს მნიშვნელობა. ისინი არც წინაპრებს ინდობენ. რესტორნის დირექტორი დედას აგინებს „შუშანიკის წამების“ ავტორს, კომბინატორი კონა ქვარიანი ილია ჭავჭავაძეს ლანძღავს. მაგრამ კიდევ უფრო საზარელი ისაა, რომ ამ ხალხისათვის ერთ დონეზე დგანან ილია ჭავჭავაძე და ვიღაც ქურდი ცეზარ კვინტრაძე. ჟორიას ქელეხიდან მობრუნებული რამდენიმე კაცი ჯერ ქეიფობს კონა ქვარიანთან, შემდეგ ის რომ წავა, აგინებენ და ლანძღავენ. მთავარი ბრალდება ისაა, რომ კონას სწორად ვერ

შეუფასებია ილია ჭავჭავაძე და ცეზარ კვინტრაძე. ასე რომ ეს ხალხი ისეთივეა (და იქნებ უარესიც), რაც ქვარიანი. თუმცა მათ სრულადაც არ ერცხვინებათ იქვე წინაპრების სადღეგრძელო დალიონ. აღარავის ახსოვს მიცვალებული, არათუ ჟორია, საკუთარი მშობლებიც. ყველგან სიყალბე, სიცრუე და თვალთმაქცობა გაბატონებულა, რათა ადამიანები რამეს გამორჩნენ ამ ცხოვრებას.

მისაღები გამოცდების მოტივი უნებლიეთ გვახსენებს დავით კლდიაშვილის მაჭანკლებს. **დ. კლდიაშვილის** პერსონაჟთა დარად დადიან მშობლები, ხავსს ეჭიდებიან, რათა შვილები უმაღლესში მოაწყონ, ეძებენ პატრონს, გავლენიან პირს. თურმე წლების მანძილზე თავისი ცოდნით ვიღაც ხერკელეშვილი ჩარიცხულა და ეს მთელმა ქალაქმა იცის, მოაქვთ იმის მაგალითად, რომ მისაღებ გამოცდებზე ცოდნა არ იკარგება! ეს ერთი კი ჩარიცხულა. მაგრამ ათასი რომ ისე, ყალთაბანდურად გამძვრალა, ეგ თითქოს არაფერი.

მოთხრობას აქვს ორი ძლიერი სიმბოლიკა: იწყება ასე: მკილი ღამით ხმელ ფიცარს ხრავს, ფიცარში ცხოვრობს, იქვე მრავლდება და კვდება. ამის შემდეგ იწყება ქალაქის ცხოვრების სურათები. ეს ადამიანებიც მკილებივით საცოდავად ცხოვრობენ, ნამდვილი სინათლე ვერ უხილავთ, ხრავენ ხმელ ფიცარს, ანუ სასტიკ ცხოვრებას, ამ მწითური ულვაშა ჭიის დარად ცოცხლობენ, უღლდებიან, ნაყოფიერდებიან. მაგრამ ესეცაა, რომ საცოდავი მკილები ცხოვრობენ ბიოლოგიური აუცილებლობის ძალით. ხოლო ადამიანები, თავიანთი უსინდისობის, სიცრუის, უგულობის, უზნეობის წყალობით მათზე დაბლაც კი დგანან. მაგრამ მკილის სიმბოლიკა კიდევ იმას გვეუბნება, რომ არსებითად ადამიანთა ცხოვრებას აზრი დაჰკარგვია, ამაოა მათი ფართი-ფურთი.

მოთხრობის ფინალიც ვნახოთ: ნამთვრალევი ბესო იაძე ჩაჯდა მანქანაში, ქალაქს გასცილდა და თითქმის მდინარე ვერეს სათავემდე მივიდა. აქ ხაკისფერი აღარ ადევთ ხეებსა და წყალს. ადამიანი გრძნობს თავის არარაობას და უმწეობას. ამიტომ თავისი თავი მკილი ჰგონია: **„ხომ ვთქვი, მკილი ვარ-მეთქი. მაქვს ცოდნა მკილისა, განათლება მკილისა, შეცნობის უნარი მკილისა, პერსპექტივა მკილისა: მომეც ბარემ ძალი მკილისა, იმედი მკილისა და წაიღე ჭკუა ჩემი, დარდი ჩემი, სიკეთე ჩემი და სიყვარული ჩემი“.**

გამოსავალი ისევ **აპოკალიფსია**, რომლის სტრიქონები ჩაერთვის თხრობას. ასეთი ხალხი, ასეთი საზოგადოებრივი წრე უნდა აღიგავოს პირისაგან მიწისა **(შდრ - ნ. წულეისკირის „დავით აღმაშენებლის ქვა“, ო. ჩხეიძის და გ. ფანჯიკიძის რომანები, რ. მიშველაძის ნოველები),** ამის შედეგად **„მახსოვრობის ტვინს გადაცილდება აბლაბუდა, აეხდება ფარდა სიბნელეს და ნეტარ იქნებიან ისინი თუ ჩვენ, ვინც ვიცოდით, რომ**

არაფერი ვიცოდით, თუ შენც“...

„მეოთხე სიმფონია“ უაღრესად სასტიკი დიაგნოზია, დასმული თანამედროვე ცხოვრების მიმართ. ამ მოთხრობის პერსონაჟები დეგრადირებული, გადაგვარებული ადამიანები არიან.

გასაკვირი კია, როგორ მიაღწიეს იმას, რაც არიან, რაც გააჩნიათ. მაგრამ იმასაც ვხედავთ, რომ მათი და მათ შთამომავალთა პერსპექტივა კიდევ უფრო ბნელია. **ამიტომ მოელის მწერალი მეორედ მოსვლას, ქრისტეს ახლად გამოცხადებას, რაც წარეცხავს ამ საზარელ ცხოვრებას.**

„მეოთხე სიმფონია“ პესიმისტური ნაწარმოებია, მხოლოდ გარეგნულად მოგვეჩვენება, რომ იუმორით განზავებული თხზულებაა. იუმორი საფარველია, რომლის შიგნით მოქცეულა დრამატული და ტრაგიკული განწყობილება. მაგრამ ავტორი ჰიპერბოლიზებას არ მიმართავს. იგი რეალისტი მხატვარია (ზოგჯერ - ნატურალისტიც). ამდენად არის მოთხრობის კონცეფცია უაღრესად დამაფიქრებელი, ამასთანავე - **განახლებისა და გაჯანსაღებისაკენ მომწოდებელი.**

როგორც ითქვა, **„მეოთხე სიმფონიისაგან“** განსხვავებით **„ჟამი“** ისტორიული მოთხრობაა. მოქმედების დროა დაახლოებით XIII საუკუნის მეორე ნახევარი, **მონღოლების საქართველოში ბატონობის პერიოდი,** ყოველ შემთხვევაში - ალამუთის ციხე უკვე აღებულია, რომლის კედლებთან მოუკლავთ მთავარი პერსონაჟის ბიძა - ბოცო. **„ჟამი“ სიმბოლური სათაურია.** იგი მხოლოდ შავი ჭირის ეპიდემიას როდი ნიშნავს (როგორც საავადმყოფო „მეოთხე სიმოფნიაში“), არამედ - პირველ ყოვლისა, სულიერ გადაგვარებას, დეგრადაციას, ადამიანურ ნიშანთვისებათა აღრევას. შეიძლება გაპირუტყვება არც იყო ზუსტი სიტყვა, რადგან პირუტყვი დანაშაულსა და ბოროტებას არ სჩადის. მთელი მოთხრობა შავი, უხამსი, მღვრიე ცხოვრების ჩვენებაა, რაც ერთის მხრივ გაგვახსენებს **ო. ჭილაძის** რომანს „ყოველმან ჩემმან მპოვნელმან“. მონღოლთა ბატონობას დაუჩიავებია ხალხი, დაუთესავს შური, ღვარძლი და უნდობლობა, ძმა ძმას არ ინდობს, შვილი-მამას. მთავარი პერსონაჟი არის ბერი, რომელიც გვიხასიათებს თავის თავს, წარმოგვიდგენს საკუთარ პორტრეტს: **„ფეხებდაკვანჭული, დაკოჭლებული, მუცელგამობერილი, თმაგაცვენილი კაცი“**.

ასევე დამახინჯებულია ადამიანთა ფსიქიკაც. ბერს ჰყოლია ნახევარძმა გიორგი. დედამისი მეორედ გათხოვილა. ერთხელ გიორგი და მამინაცვალი წალაპარაკდნენ, რაც ჩხუბით დამთავრდა. გიორგის მისცეს მამისეული ციხე-კოშკი. ამ დროს გაიგო ბერმა, რომ იგი თურმე არ ჰყვარებია ნახევარძმას, საოცრად დასწყდა ყმაწვილს გული. გიორგი ყაჩაღობს, ყაჩაღობით ირჩენს თავს. იგი გულმხეცი

ადამიანია, რომელმაც არათუ მოკლა მამინაცვალი, საკუთარი დედაც არ დაინდო და იგი ცინიკური, ამაზრზენი სიტყვებით გაყიდა ტყვეთა ბაზარზე. ადამიანის დაცემა უფრო შორს ვერ წავა. ეს უფრო შემაძრწუნებელია, ვიდრე ბარბაროსობისაკენ უკუქცევა, ველური ინსტინქტების ამოხეთქვა და გაბატონება, რაც მამისმკვლელობას უკავშირდება ხოლმე. არც მონასტრის ყოფილი მოწაფეა უწყინარი ადამიანი, არც ის იმსახურებს თანაგრძნობასა და სიყვარულს. თავიდანვე აწვალებს **„არასრულფასოვნების კომპლექსი“**, რომლის სათავეა როგორც მშობლებისადმი უნდობლობა, ისე საკუთარი უმწეობა, ამ უმწეობის მწვავე განცდა. ერთადერთი, რისი უნარიც მას ჰქონდა, იყო ხმალაობა. მაგრამ მოხდა ისე, რომ იგი დაამარცხა ახლად მოსულმა ყმაწვილმა - შადიმანმა.

მიუხედავად ამისა, ბერი ხანჯალს გვერდიდან არ იშორებს. იგი მოივლის მრავალ ქვეყანას, დააგროვებს განსაზღვრულ ცოდნას, წერს ცოდვიანი ეპოქის მატიანეს. მაგრამ თავადაც ისევე ბნელია და სასტიკი, როგორც დროება- გავიხსენოთ როგორ ნახეს ტყეში ბერმა და ახლადგაცნობილმა მხატვარმა გაუპატიურებული გოგო. ბერმა იქვე მოკლა ასული, აწ იგი ადამიანად მაინც ვერ ივარგებსო. მხატვარი შეშინდა და ტყეს მისცა თავი. შემდეგ ბერს შუბლი გაუტეხეს, ხანჯალი და ხელნაწერი წაართვეს ყაჩაღებმა, რომლებმაც ტყეში გოგო გააუპატიურეს. ბოლოს ბერს ძმაც შემოაკვდა. გიორგის ფაქტიურად არც უცდია თავის დაცვა. თითქოს ამჯერად სამართლიანად იქცევა იგი, რადგან მამისმკვლელი და დედის გამყიდველი სიკვდილის მეტს რაღას იმსახურებს. მაგრამ ბერს ამოძრავებს პირადი შურისძიების პათოსი, რომ იგი გიორგის არ უყვარდა, არ მოექცა როგორც ძმას.

ასეთია მთავარი გმირები. მაგრამ არც რიგითი პერსონაჟები იწვევენ შებრალებას. როგორც ბოლოს ირკვევა, ყველანი გამცემნი და მოღალატენი არიან. მაგრამ ღალატის ფასი ყოველთვის ერთნაირი როდია. ყველაზე საშინელია ადამიანობისადმი ღალატი. ასე, მაგალითად, ბერმა მოკლა ჩაფარი ქალის გამო. მოხდა საოცრება და სწორედ ამ ქალმა ხელისუფლებასთან დააბეზღა თავისი ქმაგი. თანაც მაბეზღარი ისე მხიარულად ლაპარაკობდა, თითქოს ბერს მისთვის არ გამოედოს თავი. მოწამლულია ადამიანთა ფსიქიკა, დარღვეულია ურთიერთდამოკიდებულებანი. **უცხოთა გავლენას, მათს ბატონობას ხალხი საზარელ ჯოგად უქცევია, თითქოს მათში ცოფის ეპიდემია გავრცელებულა.** აქ არავინაა მართალი. ყველა მტყუანია და დამნაშავე. ბერი ამას გრძნობს. მაგრამ თავს ვერ აღწევს, რადგან თავადაც ამ საზოგადოების შვილია, რომელშიც დაიბადა და აღიზარდა! ჭირი ყველაფერს მოსდებია, ქალაქს, სოფელს, სულს, მიწას და წყალს. ეს კიდევ უფრო ამძაფრებს

ბერის საცოდავ ყოფას. მან ეპოქის მწუხარე მატიანის წერა დაიწყო, მაგრამ ესეც წაართვეს. მისი ბოლო იმედია გადავიდეს **„გაღმა მხარეს“**, რაც **„ელინთა ქვეყნად“** მიაჩნია. მაგრამ შეიძლება ჰადესიც ვუწოდოთ. ასეთ ასოციაციას აღძრავს მდინარე, მენავე, შორეული გაღმა ნაპირი. თითქოს ბერი თავს დააღწევს ამ ცოდვის საუფლოს. მაგრამ მას დაავიწყდა, რომ ამ ქვეყანაში ყველა გამცემი და მაბეზღარაა - ტანჯული ქალიც, ყაჩაღიც, მენავეც. იგი დაიჭირეს და ხაროში ჩააგდეს. ბრალდებად კი წაუყენეს ყველაფერი, რაც გაუკეთებია - ავიც და კარგიც. თურმე მის ცხოვრებას გულდაგულ სწავლობდნენ, მის ქცევას უთვალთვალებდნენ. მას შემდეგ, რაც ძმა მოკლა და თავად „გაღმა ნაპირისკენ“ გაეშურა, იგი დაიჭირეს და ყველა ბრალდება ერთბაშად წარუდგინეს. ისიც უნდა ვთქვათ, რომ მომაკვდავ გიორგის ერთი სიკეთე მაინც აღმოაჩნდა - მან აპატია ძმას დანაშაული. ვინ იცის, იქნებ თავადაც გრძნობდა - რომ არ იყო ნათელი მზის შეხედვის ღირსი და განგებამ განაჩენი ძმის ხელით აღასრულა, რათა კიდევ უფრო დატანჯულიყო. ბერს სიკვდილი მიესაჯა და იგი უფსკრულში გადაჩეხეს. მოკვდა ისევე წყნარად, როგორადაც აპირებდა ცხოვრებას. მაგრამ **„ჟამიანი“ ეპოქა** გრიგალივით ატრიალებს ადამიანებს, ართმევს პიროვნულ ღირსებას და აქცევს ეგოისტურ ლტოლვათა, მდაბალ ინსტინქტთა მონად. თითქოს მონასტერში მაინც უნდა სუფევდეს სათნოება, მაგრამ აქაც აღრეულია ყველაფერი. აღარავის ახსოვს ლოცვა და ღმერთი. მოწაფეები უფროსების მსახურებად უქცევიათ, მათთვის წვალობენ, შრომობენ, აგროვებენ სარჩოს. **უცხო ძალა დასწოლია ქვეყანას და ხალხი არარაობად ქმნილა. არსად ჩანს იმედის სხივი. ყველაფერი ლპობას, გახრწნას და გადაგვარებას დამორჩილებია.**

ცხადია, „მეოთხე სიმფონია“ არაა ასე სასტიკად დაწერილი. მაგრამ არსი ერთია - **საზოგადოება ინერტულობას შეუპყრია და არსებობის გადასარჩენად ადამიანურ იდეალთა და თვისებათა ღალატი მიუჩნევია.** დრო იცვალა. სისხლი აღარ იქცევა, ადამიანებს ნაკლებად ხოცავენ. მაგრამ გარეგნული სამოსელის, მოოქროვილი ზედაპირის იქეთ ილანდება სიყალბე, გახრწნა, გადაგვარება. **ადამიანობის ცნება თითქოს იმიტომ არსებობს, რომ მოჩვენებითად იგი გააღმერთონ, საქმით და ცხოვრების წესით კი ყოველდღე დარღვიონ, ე. ი. ჩამოყალიბებულა დანაშაულებრივი საზოგადოება** („აქლემის ქურდი და ნემსის ქურდი ორივე ქურდია“, ამბობს ქართული ანდაზა). ადამიანები მინებებიან უკუღმართ კარუსელს. აქაც არ გამოკრთის იმედის სხივი. საფლავიც კი სანატრელი გამხდარა. ამიტომ ჩნდება **აპოკალიფსის იდეა, როგორც ერთადერთი მხსნელი ძალა.**

აქ ერთი ანალოგიაც გავიხსენოთ - ჩვენ ხშირად ვამბობთ, რომ ქარ-

თველთათვის სიმთვრალისადმი მიდრეკილება ყოველთვის უცხო იყო. მაგრამ მოვიგონოთ **„ივერია“**, რომელიც შეშფოთებით აღნიშნავდა ლოთობის გავრცელებას, როგორც ქართული ხასიათისათვის შეუთავსებელსა და ახლად გაჩენილ სენს. ახლა გადავშალოთ **ს. ს. ორბელიანის წიგნი „სწავლანი“**, რომლის ერთ ქადაგებას ასეთი სათაური აქვს - **„მემთვრალეთათვის“**. ავტორი კიცხავს ღვინის მოტრფიალეებს. დრო - XVIII საუკუნის დასაწყისი. უფრო შორსაც გადავიხედოთ: **იოანე ბოლნელს** აქვს ერთი ასეთი ქადაგება - **„ღვინის მსმელთა და მემთვრალეთათვის“**. დრო - X საუკუნე. ამრიგად XX, XIX, XVIII და X საუკუნეებში თანაბარი სისასტიკით ებრძოდნენ და გმობდნენ ლოთობას (ცხადია, არა მხოლოდ საქართველოში). მაგრამ ამით ალკოჰოლისადმი სიყვარული არ აღკვეთილა, პირიქით - გაძლიერდა კიდეც. ეს ორი მცირე ფაქტიც გვიდასტურებს, რომ **ადამის მოდგმას, ძირითად მასას საუკუნეების მანძილზე, ქრისტიანობის განმტკიცების შემდეგ, არც გაუკეთესება დასტყობია და არც გაუარესება. მხოლოდ ფორმები დაიხვეწა.** ქრისტიანულმა რელიგიამ (ისევე როგორც სხვა რელიგიებმა) ჩამოაყალიბა ინდივიდის ჰუმანური სახე და ეს პირველ რიგში მოხდა იმ ტანჯულთა მეოხებით, რომელთაც თავიანთი სიცოცხლის ფასად წინ მიჰყავდათ ადამიანური აზრი, იქნება ეს პოლიტიკის, ზნეობის, რელიგიის, ხელოვნების თუ მეცნიერების სფერო. მასა სარგებლობს სხვათა მიღწევებით, მაგრამ ის ჭაობია, რომელიც მიწის ბნელი გულისკენ იწოვს ცისკენ მაცქერალს ან ყოველივე იმას, რაც ტიტანური ძალისხმევითაა შექმნილი. **ადამიანურ ყოფასა და ცნობიერებას თუ არ ეყოლა სასტიკი მწყემსი, უმაღლესი ერთი, იგი უეჭველად გაიხრწნება და გადაჯიშდება.** ასე ჩნდება ერთისა და სიმრავლის პრობლემა ყოველ დროში და მას ამწვავებს ატმოსფერო, შექმნილი პოლიტიკური თუ სოციალური სიტუაცია. ასეთი მოდელი მუდამ მყარია, მაგრამ იცვლება გამოვლენის ფორმა და აღქმის უნარი. **საჭიროა მაღალი სულის განუწყვეტელი ბრძოლა მატერიასთან, რათა ადამიანური აზრის პროგრესი არ ჩაიშალოს.**

დავუბრუნდეთ **გურამ გეგეშიძისა** და **რეზო ჭეიშვილის** მოთხრობებს. **საზოგადოების დაცემის სათავე ერთგან უცხო ძალაა, მეორეგან სიყალბეზე აგებული ურთიერთობანი. მაგრამ აქ ადამიანების ბუნებაც უნდა ვიგულისხმოთ**, რომელიც დასაყრდენს აძლევს არასახიერს, ეშმაკეულს თუ შეექმნა სიტუაცია. იგი ნაკლული არსებაა და თუ არ გამოჩნდნენ იდეის ფანატიკოსები, ჯვარცმულები, რომლებიც თავიანთი წამებითა და სისხლით გამოისყიდიან სხვათა შეცოდებას, მაშინ საყოველთაო წყვდიადი გამეფდება, სასტიკი და საზარელი. **ამიტომ ორივე მოთხრობა ჩვენ წინაშე წამოჭრის გმირის, ლიდერის პრობლემას**, რომელიც იქნება ახალი დროის ქრისტე და ზარატუსტრა.

ამ რწმენით იწერებოდა „ჟამი“ და „მეოთხე სიმფონია“.

„კრიტიკა“, 1989, №3

ადამიანი და ექსპერიმენტი

„ახალი კოლონიის“ რაიონს ამასწინათ სახელი გამოუცვალეს და „დემოკრატიის“ რაიონი დაარქვეს. მე ვფიქრობ, კარგადაც მოიქცნენ. „ახალი კოლონიის“ რაიონი ქალაქის ერთ საგარეუბნო რაიონს მაშინ უწოდეს, როცა ორმოცი წლის წინათ ამ შემოგარენში უბნის სიამაყე - შრომა-გასწორების კოლონია გაშენდა. კოლონია ახლაც ასრულებს თავისი საპატიო ფუნქციას, მაგრამ რაიონის სახელწოდება ცოტა მოძველებულად ჟღერდა და ადმინისტრაციულ ქვეტექსტს ინარჩუნებდა. „დემოკრატიის რაიონი“ ფონეტიკურადაც მშვენიერია და თანამედროვეობასაც ეხმიანება“.

ასე იწყება **რევაზ მიშველაძის** ნოველების წიგნი - **„ელდა“** და მკითხველი თავიდანვე ექცევა მწვავე ცხოვრებისეული მოვლენების ორბიტაში. იქნებ ამ სიტყვებში სიმბოლური სურათიც ჩანდეს. მაგრამ მწერალს სიმბოლო და ალეგორია ნაკლებად აინტერესებს. იგი, პირველ ყოვლისა, ჩვენი სინამდვილის, თანამედროვე მოქალაქეთა ფსიქიკისა და ხასიათის მხატვარია, იმ შუქ-ჩრდილების ამსახველი, რაც ცხოვრებამ მოიტანა. იმ დროს, როდესაც ერთნი სიმბოლურ-ალეგორიული პროზის სპექტრში ჭვრეტდნენ მოვლენებს, რათა ასე გამოეთქვათ სიმართლე, მეორენი - განადიდებდნენ დაშლისა და გადაგვარების ატმოსფეროს, რევაზ მიშველაძე რამდენიმე თანამოკალმესთან ერთად მკაცრი რეალობის პირისპირ იდგა. დღევანდელობის მხატვრული გააზრება, მისი საწყისების ამოცნობა მწერლის უმთავრესი მიზანი იყო. **ახალ წიგნებშიც – „ელდა“ და „სიზმარს აყოლილნი“** გადმოშლილია გუშინდელი და დღევანდელი ქართული ყოფის სევდიანი ფურცლები. მწერალი რეცეპტს არ გვთავაზობს, არ გვეუბნება საით წავიდეთ (თუმცა ეს კითხვა ყოველთვის წამოიჭრება). **მაგრამ გვარწმუნებს, რომ ასე ცხოვრება არ შეიძლება. ამდენად განგვაწყობს სამოქმედოდ, გვაძლევს სტიმულსა და ენერგიას, გვაიძულებს ვიფიქროთ უკეთეს დროზე, რომელიც თავისთავად არასდროს მოვა.**

დროის პარადოქსი: რ. მიშველაძე - ლიტერატორი იცავდა იმ თეორიულ პოსტულატებს, რომელთაც არღვევდა რ. მიშველაძე - მხატვარი. ის მწერლებიც, რომლებიც 60-იან წლებში ქმნიდნენ ე. წ. მამხილებლურ ლიტერატურას, თანდათან პროპაგანდის ტყვენი აღმოჩნდნენ, დაიჯერეს, რომ ყოველივე ადამიანის სასიკეთოდ გარდაიქმნა. **არსებითად**

კომფორმიზმმა გაიმარჯვა. თუმცა კრიტიკული პათოსი მწერლობაში არასოდეს გამქრალა, მაგრამ მთავარი იყო ამ პათოსის **ლიტერატურად ქცევა.** სხვა მხრივ ხელთ შეგვრჩება პუბლიცისტიკა. ლიტერატურის მიზანი არ არის საზოგადოებრივ მანკიერებათა, სოციალურ სიმახინჯეთა ჩვენება. მისი **იდეალია ადამიანი, მისი ზნეობრივ-მორალური, ანთროპოლოგიური ღირებულება**. მაგრამ მასალად შეიძლება გამოდგეს ნებისმიერი გმირი და ეპოქა. მწერალი მოქალაქეთა ფიქრისა და ოცნების მხატვარია და სავსებით ბუნებრივია, რომ მას თანამედროვე ეპოქა აღელვებს, ის დრო, რომელშიც ცხოვრობს. შემოქმედი ეკონომიკურ ან ეროვნულ პრობლემებს ვერ გადაწყვეტს, მაგრამ თავისი სიტყვით აჩქარებს ახალ შეხედულებათა გამოვლენას, იძლევა სტიმულს მათი რეალიზებისათვის. იგი იქცევა ენერგიად, რომელიც გადაეცემა მასებს და მათ ამოძრავებს. ამიტომ არის ესოდენ მნიშვნელოვანი ამ ენერგიის მიმართულება.

მ. გორბაჩოვი შენიშნავდა რომ მწერლობა, მისი საუკეთესო ნაწილი, არ ასვენებდა საზოგადოებრივ აზრს და აყალიბებდა დღევანდელი გარდაქმნის სულისკვეთებას.

რევაზ მიშველაძე არ მიმართავს განსაკუთრებულ პიროვნებათა ბიოგრაფიას ან მოდელს. იგი არჩევს მასის უბრალო, რიგით წევრს, რომელსაც აქვს ჩვეულებრივი სამსახური, განათლება და ინტერესები (**„ჩემნაირები იკარგებიან უკვალოდ, თორემ დიდი პიროვნებების ისედაც ყველამ ყველაფერი იცის“**, - ამბობს ერმალო კვაშალი). მაგრამ მისი ფსიქიკა ზიარი ჭურჭლის დარად ატარებს საზოგადოების მთელს ღირსება-ნაკლოვანებას. მათ გვარებიც უბრალო და არაფრის მთქმელი აქვთ - **თაგვიაშვილი, ცქვიტინიძე, გრძელიძე, ლომსაძე, კვიჟინაძე, გეგუჩაძე, მურღულია, მახათაძე, კიკნაძე, ტოგონიძე... სახელებიც ანალოგიური - შაქრო, გერვასი, სანდრო, ბუთა, ნატაშა, ლეო, ჭოლა, კარლო, ვარდენი, პეტრე, პორფილე,** ე. ი. არ იწვევენ ისტორიულ-ჰეროიკულ ასოციაციებს, თავზე არ ადგათ რომანტიკული შარავანდედი, არც გარეგნობით გამოირჩევიან. ცხოვრობენ მარტივად, ზედმეტი ქონების, იდეებისა და ინტერესების გარეშე. ავტორი თავიდანვე ხაზს უსვამს მათ მიწიერ ბუნებას, ჩვეულებრივ ხასიათს, რაც საფუძვლად ედება ნოველის კონფლიქტურ ხაზს. მაგრამ ბევრი საერთო სატკივარი და საწუხარიც ჰქონიათ. ისინი არ ელტვიან განსაკუთრებულობას, მომეტებულად განიცდიან დროის ყოვლის წამლეკავ მდინარებას. უფრო მეტად წვალობენ და იტანჯებიან, თუმცა ამისი განსჯის ან მიზეზის პოვნის სურვილი არა აქვთ. თითქოს ყველაფერი თავიდანვე გადაწყვიტა ბრმა ბედისწერამ, რომლის შეცვლა შეუძლებელია. ამიტომ **მთელი სიმწვავით დგება საზოგადოების, საზოგადოებრივი ცხოვრების პრობ-**

ლემაც. პიროვნება ხომ მისი ნაწილია. მწერალი სხვადასხვა რაკურსით, სხვადასხვა სიუჟეტის საფუძველზე, ნაირგვარი ვარიაციით უბრუნდება ამ საკითხთა წრეს, რათა **უფრო სრულად ჩაწვდეს საზოგადოების გულსა და პიროვნების ბედს.** იგი ჩვენს წინაშე ფურცლავს ნაცნობი და უცნობი ცხოვრების სურათებს, რომლებიდანაც ტანჯულ ადამიანთა კვნესა მოგვესმის. ისინი ხშირადაც იცინიან და თითქოს უდარდელად ცხოვრობენ. მაგრამ ეს უფრო უმწეო და უილაჯო კაცის სიცილია, რომელმაც იცის, რომ მთას ვერ დაძრავს. შინაგანად ადამიანები გატეხილი, ცხოვრებასთან ბრძოლაში წაგებული არიან, მაგრამ თავს მაინც არ უტყდებიან და ცდილობენ ღირსება შეინარჩუნონ.

რ. მიშველაძე ხშირად მიმართავს **მისტიფიცირების** ხერხს. თითქოს არარსებულ გარემოში ხდება მოქმედება, ქალაქს, ქვეყანას თუ დაბას უჩვეულო სახელები ჰქვიათ - **რია, კურკანტია, იპია, დაბაზონი, დაბაუნი, ქაქუჩეთი, ზანზარეთი, უტაუტა, მუჟუჟია, ყვავეთი, კათაყვავკავი, საჩქეფელა.** ცხადია, ასეთი გეოგრაფიული პუნქტები არ არსებობენ. ისინი ავტორის ფანტაზიამ შეთხზა. მაგრამ მათში ქართველები ცხოვრობენ - პიმენ როხვა, ჩიჩი გვილავა, ალექსი დარაბიძე... ისმის კითხვა: რისთვის სჭირდება ავტორს ამგვარი ხერხი? ამ ფაქტს მრავალგვარი ახსნა აქვს. პირველი და მთავარი ის არის, რომ ამ ყაიდის ნოველები იმ დროს დაიწერა, როცა მწვავე ცხოვრებისეული მოვლენების ასახვა იკრძალებოდა. მწერალს შეეძლო მოქმედება გადაეტანა კაპიტალისტურ სამყაროში, ისტორიულ წარსულში და ა. შ. მაგრამ ყველაზე მომგებიანი იყო **აბსტრაქტული გარემოს შეთხზვა,** რომელიც ფორმალურად არ არსებობდა, თუმცა ნამდვილობა ეჭვს არ იწვევდა. ამიტომ მწერალი ამ თითქოსდა გამოგონილ სივრცეს ავსებდა მშობლიური დეტალებით, სახელებით, რეალიებით, რათა მკითხველს სათქმელი იოლად გაეგო.

როგორც ვთქვით, ამგვარი პრინციპი მეთოდადაც ჩამოყალიბდა ჩვენს მწერლობაში. მაგრამ გარემოსთან ერთად პრობლემების, პერსონაჟების, მოტივების აბსტრაგირება უკვე ზედმეტად აცილებდა ნაწარმოებს ეროვნული სამყაროსგან. ამიტომ რ. მიშველაძემ შეინარჩუნა **რეალისტური თხრობის სტილი** და მას მინიმალურად დაურთო პირობითობა (**„ორაგული“, „კატასტროფა“, „დაუოკებელი“, „ბირჟა“, „ავი კვამლი“, „ღალატი“, „საჩქეფელას სტუმრები“, „გიგილო“, „გუმანი“, „ხათრიანი კაცი“**). ამ ციკლის ნოველებში განსაკუთრებული სიმწვავით გამოჩნდა **პიროვნებისა და მმართველობის პრობლემა**. მასის რიგითი წევრი, რომელსაც მხოლოდ საარსებო მოთხოვნილებანი აქვს, მმართველობის მიერ შეზღუდულია და ლამის სული ამოართვას.

მთელს ქალაქში დადის ფანტასტთა კლუბის წევრი პარმენ კოტრიკაძე და დიდად უკვირს, რომ ყველა უარს ეუბნება თევზის შეწვაზე. პარ-

მენი თავსა და ოჯახს არჩენს იმ ხელფასით, რომელიც ეძლევა როგორც დამკრძალავი ბიუროს უმცროს მორიგეს. იგი ბავშვობიდანვე წყნარი და გულჩახვეული ადამიანი ყოფილა. ვინ იცის, იქნებ იმიტომაც გახდა ფანტასტი და მესაფლავე, რომ, ერთი მხრივ, ცხოვრება გაელამაზებინა, მეორეს მხრივ - მის ამაოებას შეგუებოდა. თითქოს ერთმანეთს ეწინააღმდეგება ეს ორი თვალსაზრისი. მაგრამ ამგვარ დაპირისპირებათა საფუძველს ცხოვრება იძლევა, ის რეალობა, რომლის არსებობა მშვენივრად იცის პარმენმა. ქალაქ რიაში მივლინებით ჩასული მეოცნებე ამჩნევს, რომ სემინარის მონაწილენი არაბუნებრივად ლაპარაკობენ როგორც კი ტრიბუნასთან დადგებიან, ე. ი. მათი გაორება სრულად აშკარაა (ეს ეხება რ. მიშველაძის ყველა ე. წ. ოფიციალურ პირებს). მაგრამ პარმენი ცხოვრებით მაინც კმაყოფილია: **„ოქროსავით მთავრობა გვყავს. ვინ მოგისმენდა, ვინ გაცლიდა, ან ვინ მოგითმენდა ამდენ ბჟუტურს“**. გულუბრყვილო ფანტასტი ფიქრობს, რომ ეს მოლაყბე ხალხი მთავრობას ატყუებს. ხოლო იმას არ უკვირდება **რა კავშირია მმართველობასა და პიროვნების ცნობიერებას შორის.** პარმენი არ არის ფიქრისა და პრობლემების კაცი. ერთადერთი, რამაც გაანერვიულა და სიმშვიდე დაუკარგა, ის იყო, რომ ქუჩაში ნაყიდი ორაგული ვერავის შეაწვევინა. კაფეში უარი უთხრეს. **„მარცხენა საქონელიაო“**, რესტორანშიც ვერაფერს გახდა: სასადილო დაკეტილი აღმოჩნდა, სასტუმროს სამზარეულო არც ჰქონდა. შეიძლება ორაგული არც ეყიდა პარმენს, მაგრამ ქალაქ რიას კაფე-სასადილოები ერთფეროვან და, ეტყობა, უგემურ კერძებს სთავაზობდნენ კლიენტებს. პარმენის **„ინდივიდუალიზმი“** - სხვებზე უკეთ ესადილა, წამგებიანი აღმოჩნდა. ქალაქი ერთიანი, **კოლექტიური რიტმით ცხოვრობს** და მას უნდა დაემორჩილო, მაგრამ გამოსავალი ისევ **„ინდივიდუალიზმში“** ყოფილა: ახლად გაცნობილ ქალს აჩუქა პარმენმა ორაგულები და ის ღამეც მასთან დარჩა („ორაგული“).

მეანთა საერთაშორისო სიმპოზიუმში მონაწილეობენ სამსონი, გერასიმე და ქსენია. შინ დაბრუნებისას თვითმფრინავი წყნარ ოკანეში ჩავარდა, ერთი დაიღუპა, ორი გადარჩა. ჯოჯოხეთური წვალების შემდეგ ნაპირს გააღწია მგზავრების მცირე ნაწილმა. სიკვდილს გადარჩენილი ქსენია საკონსულოში რეკავს, მაგრამ აქ ყურმილს იღებს ბიუროკრატი, რომელსაც სულაც არ ენაღვლება თვითმფრინავის კატასტროფა და თანამემამულეთა ბედი. მორიგემ ინსტრუქცია არ დაარღვია და სასოწარკვეთილ ქალს არ მისცა საელჩოს თანამშრომლის ნომერი. ფორმალურად ყველაფერი რიგზეა. მაგრამ ფაქტია, რომ არავის აინტერესებს ადამიანის სიცოცხლე. იგი მხოლოდ უბრალო ჭანჭიკია უზარმაზარი მანქანისა, რომელიც კი არ იღუპება, არამედ - იცვლება.

ამ მორიგის საპირისპიროა გერმანელი მოქალაქე, რომელიც ოკეანის

ტალღებზე მოტივტივე მგზავრებს გეზს აძლევს და უხსნის როგორ მოიქცნენ. საბჭოთა მოქალაქეებს ყველა თანაგრძნობით ეპყრობა, გარდა იმ ხალხისა, რომელთაც ევალებათ მათი ინტერესების დაცვა. ფორმალური წესები, უსულგულო კანონები, რობოტად ქცეული ადამიანები - აი ვის ეჯახება ის, ვინც სტიქიამაც გასწირა **(„კატასტროფა“)**. მწერალი კომენტატორი არ გახლავთ. იგი მხატვარია. იმისი ამსახველი, რაც არსებობს. დასკვნას თავად მკითხველი გამოიტანს, თავად უნდა შეუფარდოს ნახული და განცდილი სინამდვილის სურათებს. სამი მეგობარი მიემგზავრება კათაყვავკავში, სადაც თურმე გოჭ-ქათმეული ნახევარ ფასად იყიდება. ეს სამოცდაორი წლის ამბავია, როცა ქვეყანას პური და ხორცი ცოტა შემოაკლდა. ცხადია, სამივენი თავიანთი ხარჯით გაემგზავრნენ, თავიანთი ფულით ივაჭრეს. მაგრამ თურმე რესპუბლიკაში კარანტინი ყოფილა გამოცხადებული (ნამდვილი მიზეზი: სხვა რესპუბლიკიდან არ შემოეყვანათ პირუტყვი და ფრინველი). ამიტომ თითქმის ყოველ მოსახვევზე ავტოინსპექცია იდგა და ქრთამად იღებდა გოჭსა და ქათამს. ინსპექტორებს სულაც არ აწუხებდათ, მართლა ინფექციაა გავრცელებული თუ არა რესპუბლიკაში. თბილისში ჩამოსულ მეგობრებს სამი თავწაწყვეტილი დედალი და ერთი ჩერქეზული ხალებიანი გოჭი შერჩათ და იმანაც გაქცევით უშველა თავს.

ამრიგად, **პიროვნების ნება-სურვილი ისევ ბიუროკრატიულ აპარატს ეჯახება, რომლის სახელი ამჟამად კორუფციაა.** ქრთამის ფასად ყველაფერი ნებადართულია, არადა ისე სუნთქვაც აკრძალულია. ერთი საკითხია - იყო თუ არა კარანტინი საჭირო, მეორე - რადგან მისი აუცილებლობა დადგინდა, კიდეც უნდა შესრულებულიყო. მაგრამ ფაქტიურად მას არავინ იცავს და შემოსავლის წყაროდ იქცევა. ყველაზე სამწუხარო ის არის, რომ ეს ფაქტი არცერთ მათგანს არ უკვირს. ცხოვრების წესის შემადგენელ ნაწილად მიაჩნიათ და მხოლოდ ღიმილით იხსენებს გარდასულ წლებს გრიშა ასათიანი **(„დაუოკებელი“)**.

მისტიფიცირების ხაზი გრძელდება სხვა ნოველებშიც. მაგრამ **პიროვნებისა და მმართველობის** პრობლემა მთელს პროზაშია გაშლილი. ძველად მას პიროვნებისა და საზოგადოების კონფლიქტს ეძახდნენ. ამჟამად კონფლიქტური სიტუაციები ნაკლებად იქმნება. **პიროვნება თავიდანვე არის დათრგუნვილი, შეშინებული და შეგუებული.** მან არ იცის თავისი რეალური მდგომარეობა. იგი ინსტინქტურად გრძნობს, რომ რაღაც უხილავი ძალა ნერვებს აწყვეტს. მაგრამ არ ცდილობს მოვლენებს შორის კავშირი ეძიოს და პირველსაწყისს მისწვდეს. იქნებ იმიტომაც, რომ უბრალო, რიგითი მოქალაქეა, არ იტაცებს პოლიტიკა ან ინტელექტუალური განსჯა. მაგრამ პიროვნების უმწეობა ყოველთვის აშკარაა. მისი ბედნიერება ისღაა, რომ არ

ჩაუფიქრდეს თავის არსებობას.

სრულიად არაფრის გამო ისჯებიან ერვანდი ქერქაძე - დირიჟორ-კონსულტანტი და ავტოინსპექტორი კობა რამინაშვილი **(„მაესტრო“).** მიზეზი ის იყო, რომ ერთ დილას ინსპექტორმა დირიჟორის მანქანას ნომერი მოუხსნა, წესის მიხედვით ან ერთი იქნება მართალი ან მეორე. ორივე დაისაჯა. ასე დადგინდა სამართალი. ცხადია, ამგვარი **სამართალი ადამიანთა უნდობლობას იწვევს**. ამას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. მთავარი ისაა, რომ მმართველობა მოქმედებს და ძალას აჩენს. ამ მმართველობას რ. მიშველაძის პროზაში მრავალი ხელი და სახე აქვს. იგი ადამიანთა ურთიერთობის მოსაწესრიგებლად, გასაუმჯობესებლად შეიქმნა, მაგრამ იმდენად დამახინჯდა, რომ ბოროტების სათავედ იქცა. ხოლო ეს დღეს ან გუშინ არ მომხდარა.

მოხუცი პორფილე ცოლს უყვება ძველ ამბავს თუ როგორ გააკულაკეს და დაიჭირეს მინაგო ქვაჭრელიძე (**„უწევო ბუხარი“**). რეპრესიებმა მილიონობით ადამიანი შეიწირა. აქ ახალი არაფერია და თითქოს მწერალს სათქმელიც ნაკლებად აქვს. მაგრამ ამჯერად მთავარია არა ფაქტი, არამედ ფაქტის ზნეობრივი მხარე. საერთოდ მწერლობა უპირატესად დაჩაგრულის გამოსარჩლებაა, ოღონდ გააჩნია როგორ. თითქოს არც კომუჯრუდის მდივანი პორფილე, არც მილიციის უფროსი ჩაკვეტაძე დამნაშავენი არ არიან. ჩაკვეტაძე ეუბნება მინაგოს, მეზობლებმა მიჩივლეს და რა მექნაო. შენ სარჩო-საბადებელი გადამალე და ხვალ დილით შენი ფეხით ჩამოდი რაიცენტრშიო. რაღაც ძალა აიძულებთ ბრალმდებლებს სასტიკი და გულქვა იყვნენ ადამიანთა მიმართ. ისიც აშკარაა, რომ სადღაც, სულის სიღრმეში კიდევ ციმციმებს კაცთმოყვარეობის სხივი. მაგრამ ყველას საკუთარი თავი ურჩევნია სხვისას. შიმშილისა და სიცივისაგან დასჯილებს ისევ **„სოფლის წურბელა“** მინაგო იხსნის, მოიტანს ჭადებს, მოხარშულ დედალს, ღვინოს, ცეცხლს გააჩაღებს და მატყლის საბანსაც დატოვებს. ამ სურათის მიხედვით **„კულაკი“** (რომლის დანაშაული ისაა, რომ დურგლებს გამოაცვლევინა სახლის კარ-ფანჯარა) ღირსეულად იქცევა, ხოლო ჩაკვეტაძე და პორფილე უსინდისოდ შეექცევიან პურმარილს. ამ ამბავს პორფილე იხსენებს 30 წლის შემდეგ, არც იცის მინაგო ჩამოვიდა თუ არა, ცოცხალია თუ მოკვდა. იგი მონანიე კაცია, თუმცა მონანიების სურვილი მეტისმეტად გვიან ესტუმრა. როგორც ვთქვით, ჩაკვეტაძე დასმენის საფუძველზე მოქმედებდა. რამდენად სწორი იყო ეს დასმენა, ამით არ დაინტერესებულა. ალბათ იმიტომ, ზედმეტი ჩხრეკა რომ დაეწყო. თვითონაც ზედ მიაყოლებდნენ. მაშასადამე, **მოქმედებს მრისხანე მექანიზმი**, რომლის არსში გარკვევა პატარა ადამიანებს არ შეუძლიათ. იქნებ მინაგო ამას გუმანით გრძნობს. ამიტომ ექცევა ესოდენ პატივისცემით იმ ხალხს,

რომელმაც მას სასიკვდილო განაჩენი გამოუტანა. მათ მიღმა დგას სასტიკი და ულმობელი ძალა, რომელიც ადამიანთა ბედით ერთობა. პიროვნების დეფორმაცია ადრევე დაწყებულა და იგი დაწყებულა (თუ გაგრძელებულა) მმართველობის მიერ.

ახლა დღევანდელობას გადავხედოთ.

შვეიცარიიდან ბრუნდება ემიგრანტი კარლო ლომთაძე. როგორც გამოცდილ ფერმერს, დობერაზენის ფერმის გამგეობა შესთავაზეს. კარლომ მუშაობა ენერგიულად დაიწყო. მაგრამ ვერაფერს გახდა. თავის შეწუხება არავის უნდა, ქურდობასა და გაქცევაზე უჭირავთ თვალი. თითქოს ყველა ეთანხმება, თავს უქნევს, საქმეს კი მაინც არავინ აკეთებს. **ლოზუნგების ინდუსტრია** ფერმაშიც გაბატონებულა, რაც წველადობას ოდნავადაც ვერ შველის. მთავარია არა საქმე, არამედ - მოჩვენებითობა, თამაში, რომ თითქოს საქმეს აკეთებენ. ამისთვის არსებობს სოცშეჯიბრება, ლოზუნგები, მოჰყავთ სტაჟიორები, სტუმრები, იცავენ დისერტაციებს. კარლომ ფერმის გამგეობას თავი დაანება: **„თქვენ აქ სხვანაირი ფერმა გქონიათ, დავიბენი, დასწყევლოს ეშმაკმა“**... გამოდის, რომ **პროფესიონალიზმი და კეთილსინდისიერება არავის სჭირდება**, ისიც არავის სჭირდება, მართლა შეასრულებს გეგმას თუ არა. მთავარი ყოფილა ფორმალური ატრიბუტების დაცვა (**„ფერმის გამგე კარლო“**). ამის შედეგია, რომ რეალურად არ არსებობს (თუმცა ქაღალდზე საკმაოდ უხვადაც არის) ყველი და ხორცი. ამიტომ ვერ სადილობს ქალაქ რიას კაფეებში პარმენ კოტრიკაძე და მისებრ წესიერი, გულუბრყვილო ხალხი.

არც ქალაქს ადგას უკეთესი დღე. საქმის ხალხი აქაც ნაკლებად ყოფილა, თუმცა თათბირების ორგანიზატორები საკმაოდ მომრავლებულან (**„ავი კვამლი“**). პატარა ქალაქში შხამს აბოლებს მადნის გამამდიდრებელი ქარხანა და მცენარესაც კი წამლავს. ერთ დიდ კაცს, ამ ქალაქის საცოდაობის შემხედვარეს, დაცდა, დავეხმაროთ ადგილობრივ მოსახლეობასო. მართლაც - ჩამოიტანეს ოთხი იაპონური კვამლსაფილტრი დანადგარი. მათი დამონტაჟება ვერავინ შეძლო და ისევ იაპონელებს უხმეს, რომელთაც თავიანთი ლექსიკა გაამდიდრეს ახალი სიტყვით - **„ტატბირი“**. უცხოელი ინჟინრების დანაბარები არავინ შეასრულა, არც ინსტრუქცია დაიცვეს და რამდენიმე წლის შემდეგ ისევ მოიწყინა დაბაზონის ფაუნამ. როგორც ვხედავთ, ნებით თუ უნებლიეთ მმართველობა შეეცადა ხალხის პირობების გაუმჯობესებას. მაგრამ **არავის ძალუძს უახლეს ტექნოლოგიაში გარკვევა**. ყველა ძველი ინერციით ცხოვრობს, თუმცა დრო შეიცვალა და ამ ახალ დროს თუ მომზადებელი არ შეხვდი, კატასტროფა გარდაუვალი იქნება. **ადამიანებს დაეკარგათ როგორც განსჯის, ისე საქმის კეთების უნარი.** მათ თავიანთვისაც ეზარებათ

თავის შეწუხება. ხალხს ძვალ-რბილში გასჯდომია **„სულ ერთიას“** პრინციპი. თუმცა გარეგნულად ისევ წესრიგს იცავენ და თათბირებსაც ძველებური რიხით ატარებენ. თითქოს ჩვენი დღეებისთვის დაწერა ილიამ: **„ერთმანეთის მტრობით ჩვენს სახლს ცეცხლი ჩვენვე წავუკიდეთ, - რა ვაკეთეთ? რას ვშვრებოდით? - ჭკვიანურად იმ ცეცხლის წინ ვისხედით და ხელს ვითბობდით“.**

თანამედროვე ადამიანს იუმორი და ირონია შერჩენია საბრძოლველ იარაღად, რათა ასე შეხედოს რღვევისა და გადაგვარების კარნავალს. მისი აზრი არავის აინტერესებს. ტაშებისა და ლოზუნგების ინდუსტრია ვერ ჰგუობს და არ ღებულობს გულწრფელ ხმას. საჭიროა მხოლოდ ფორმის დაცვა, ბიუროკრატიული წესრიგი, საქმის კეთების ილუზია - ეს იცის ყველა ინსტანციამ. მაგრამ **სტალინის მიერ დანერგილი შიში** იმდენად ძლიერია, რომ იგი წელთა მდინარებამ ვერ გააქარვა. ადამიანმა **ინიციატივა დაჰკარგა, აპათიურად განეწყო საზოგადოებრივი მოვლენებისა და საქმეებისადმი.** მაგრამ დროდადრო მაინც გამოჩნდება ვინმე, რომელიც წლების მანძილზე გულში დაგუბულ ბოღმას ამოანთხევს. ისინი ინდივიდუალისტები არიან, არც იდეა აქვთ, არც მიზანი. მაგრამ უსამართლობა და გაჭირვება სიმართლეს ათქმევინებენ. შემდეგ ნანობენ კიდეც. მაგრამ ნათქვამი და მოსმენილი მეხსიერებიდან ვერ ამოიშლება (**„ამრევი“**). ამგვარი მეამბოხენი თანდათან აყალიბებენ საზოგადოებრივ აზრს, თრგუნავენ ტოტალურ შიშს და სწორედ **მათი ინსტინქტური სიმამაცე იქცევა დღევანდელი გარდაქმნის წინაპირობად.** გამწარებული მიკროფონის ხელოსანი მოულოდნელად გამოვა კრების წინაშე და სიმართლეს პირში მიახლის ხელმძღვანელებსა და დარბაზში მსხდომთ. ამგვარი გმირი უბრალოდ ამრევია, პოლიტიკურად არასაიმედო და ამიტომაც ერთი საათის შემდეგ გამომძიებელთან იჯდა. შეიძლება ვიფიქროთ, რომ იგი პატიოსანი კაცია. მაგრამ აღმოჩნდა, რომ ისიც ისეთია, როგორც სხვა. თურმე ადრე ყალბ დიპლომებს ამზადებდა. ერთი ასეთი დიპლომი გაუკეთებია სწორედ ამ გამომძიებლისთვის, რომლის კაბინეტშიც აღმოჩნდა. ასე რომ ერთმანეთის პირისპირ დადგა ორი დამნაშავე და სიმართლე უნდა გააჩინონ. ჩაფრაძემ აპატია ახალი დანაშაული ამრევს და ამით დამთავრდა კრებაზე ინცინდენტის ამბავი.

როგორც ვხედავთ, **ავტორი ხატავს დანაშაულებრივ სამყაროს.** მაგრამ მისი წევრები დამნაშავეები არიან გარე ძალის დაწოლით, რომელსაც საკუთარ მონდომებასაც შეაშველებენ და ამით კიდევ უფრო უზნეონი ხდებიან. **აქ გმირობას შემთხვევითი ხასიათი აქვს, ხოლო ყალთაბანდობას და დანაშაულს - კანონზომიერი.** სასოწარკვეთილი ადამიანი ბარონ მიუნჰაუზენივით ტყუილებით იქცევს თავს, ოღონდ ეს ტყუილი ჰიპერტროფირებული მესიანისტური ოცნებაა (**„შვედეთის მეფე დიდოსი“**).

ერთი შეხედვით, სიკეთე გაკეთდა. გაიხსნა ომის ვეტერანთა მაღაზია, გამორჩეულად დაფასდა სამშობლოსათვის თავდადებული ხალხის ღვაწლი. მაგრამ თურმე ყოველი კარგი ჩანაფიქრი შეიძლება ახალ ბოროტებად მოგვევლინოს თუ მთელი გარემო არ გარდაიქმნა. ოაზისები კიდევ უფრო გვიჩვენებენ უდაბნოს მცხუნვარებას.

ეპიფანე ლომსაძეც ვეტერანთა მაღაზიაში მიიჩქარის (**„თებერვალი“**), ხან თავის საქმეზე, ხან რომელიმე მეზობელს ხათრს ვერ გაუტეხს და უკან ბრუნდება მესამედ, მეოთხედ. წესიერი კაცი ეპიფანე ლომსაძე, რომელსაც მევალის დანახვისაც ერიდება, ვაითუ უხერხულობა ვაგრძნობინოო, უნებლიეთ კანონის დამრღვევი ხდება. **„ომში ახლა ვარ, ბატონო მე“**, სიმართლე წამოცდება გამწარებულ პოდპოლკოვნიკს. მოხუცმა შეურაცხყოფა ვერ გადაიტანა და იმავე ღამეს გარდაიცვალა. ცხადია, ეპიფანე გულკეთილი და მართალი კაცია. ამიტომაც იღუპება. მან იცის, თუ როგორ უჭირს თავის მეზობელს, ახლობელს. ცდილობს მის დახმარებას, ამის ნება კი არა აქვს. საქონელი, რომელსაც მაღაზია ღებულობს, ეკუთვნის მხოლოდ გარკვეულ პირებს. ამგვარი განცალკევება, დიფერენციაცია წარმოშობს სპეკულაციის ახალ ფორმებს. ცხოვრება, ნორმალური არსებობა ყველას უნდა. მიზნის მისაღწევად ადამიანები ნაირგვარ საშუალებას მიმართავენ მარქსიზმის ფორმულა - **„ყოფიერება განსაზღვრავს ცნობიერებას“** დაივიწყეს მემკვიდრეებმა. **მოინდომეს ცნობიერებით ყოფიერების განსაზღვრა,** ე. ი. **ძალდატანება ადამიანზე**. ადამიანი ბიოსოციალური არსებაა. მაგრამ პირველ რიგში ემორჩილება ბიოლოგიურ აუცილებლობას, სიცოცხლის კანონს. სულიერ ღირებულებათა პროპაგანდა მაშინაა ეფექტური, როცა აქვს მატერიალური საწყისი. როგორც პიროვნებას ქმნის სულისა და ხორცის ერთობა, ასევე მისი მართვა შესაძლებელია მხოლოდ მატერიალურ და ზნეობრივ ღირებულებათა ბალანსირებით და არა შიშველი პროპაგანდით, მოწოდებითა და ჩაგონებით. მწერლის აზრით, ამიტომაც არის ადამიანი სუსტი არსება. მაგრამ იგი გენეტიკურად დამნაშავე როდი იბადება. **ქურდად, მექრთამედ, ყალთაბანდად, ნარკომანად, კარიერისტად, მკვლელად მას აქცევს უკუღმართი სოციალური ატმოსფერო, ანტიჰუმანური დოქტრინები, რომლებზეც მთელი თაობები აღიზარდნენ.**

რ. მიშველაძე აკვირდება ჩვენი ცხოვრების სხვადასხვა სფეროს და თითქმის ყველგან წარმოუდგება ადამიანურ ღირებულებათა დეფორმაციის, **გადაგვარების სურათი**. ეს ხომ თავისთავად არის სავალალო. მაგრამ კიდევ უფრო აუტანელია, როცა ეს არავის უკვირს და ღამის **ცხოვრების ნორმად გამოაცხადონ**.

უპაუპაში დაიწვა კულტურის სასახლე. დაიჭირეს დირექტორი, ღამის დარაჯი და მნე, ცხადია, ყოველგვარი საფუძვლის გარეშე. გამოძიებამ

ნამდვილად დამნაშავეს თუ ხანძრის მიზეზს ვერ მიაგნო. ვიღაც მაინც უნდა დასჯილიყო. ეს იყო საჭირო პროპაგანდისტული ეფექტისათვის, რათა, ჯერ ერთი - ამაღლებულიყო შინაგან საქმეთა ორგანოების ავტორიტეტი, მეორე - დაეშინებინათ ნამდვილი ბოროტმოქმედნი, რომ თითქოს ხელისუფლების თვალს არაფერი გამოეპარება. ძველი, სტალინური რეპრესიების დრო წასულია. ამიტომ არსი კი დარჩა, მაგრამ მეთოდები ლიბერალური გახდა. გამომძიებელი გოგი მარშანია შეადგენს თავის სქემას, რომლის თანახმადაც სამივე დაკავებულმა პირმა უნდა თავს იდონ დანაშაული. სამაგიეროდ მხოლოდ ხუთი წლით ჩასვამენ ციხეში. თითქოს ასეთი ვარიანტი ყველას ხელს აძლევს. ნამდვილი მიზეზი არავის სჭირდება, არც არავის აინტერესებს, მთავარია მუნდირის ღირსების დაცვა, ფორმალისტური სიზუსტე, **ფორმალისტური კეთილსინდისიერება**.

ცხადია, სამართლებრივ სახელმწიფოში ამგვარი გარიგებანი არ უნდა ხდებოდეს. მაგრამ ეს ვარაუდების სფეროა. რეალურად კი გრძელდება სტალინიზმის ინერცია, ოღონდ გაცილებით ჰუმანური მეთოდებით: ადრე თუ უდანაშაულოდ ხვრეტდნენ, ახლა უდანაშაულოდ მხოლოდ ხუთი წლით სვამენ ციხეში! პროგრესი არის. მაგრამ მაინც - არასაკმარისი. თუმცა ადამიანები, რომელთაც მრავალი გაჭირვება გადაუტანიათ და უარესიც ბევრი რამ უნახავთ, მაინცდამაინც ბედს არ ემდურიან. მცირეოდენ პროტესტსღა გამოთქვამენ და გულმოდგინედ იზეპირებენ თავიანთ როლებს ადამიანური ცხოვრების ტრაგიკომედიაში (**„ელდა“**).

როგორც გვახსოვს, ადრე **ერთად მოქმედებდნენ ქურდები და მილიციელები პატიოსანი ადამიანების გასაძარცვავად („ილაჯი“)**. ახლა უდანაშაულოს ისე სჯიან, რომ დასჯილი კმაყოფილიც კი რჩება. ცხადია, ეს ყოველივე არათუ კონსტიტუციურ უფლებებს ეწინააღმდეგება, არამედ მძიმე დანაშაულიცაა. **ფორმალური კანონის გვერდით მოქმედებს რეალური ცხოვრებისეული კანონი.** ერთი მეორეს გამორიცხავს.

მწერალ რ. მიშველაძის ერთ-ერთი ამოცანა ამ ნამდვილი ცხოვრების ამოცნობაა. მასზე არ დაწერილა სოციოლოგიური გამოკვლევები, არ შეუსწავლიათ ეკონომიკური თუ პოლიტიკური თვალსაზრისით. მაგრამ მწერლობამ ადრევე იგრძნო **სულის კრიზისი, ღირებულებათა დევალვაცია. „წინ მივდივართ უკან-უკან“ -** კარგა ხნის წინათ ასეთი ფორმულით გამოხატა **ტარიელ ჭანტურიამ ჩვენი საზოგადოების მოჩვენებებითი ტრიუმფი**. ის, რაც ადრე დოქტრინების სახით არსებობდა, თანდათან - პროპაგანდით, რეპრესიებით, ძალმომრეობით, აღზრდით, ენთუზიასტებისა და შიშით შეპყრობილთა გონებითა და ხელებით, რეალობად იქცა. შემდეგ ისიც გაირკვა, რომ ჩვენ თურმე მთელი საუკუნე თანამედროვე პროგრესს, კულტურასა და ცივილიზაციას გავურბოდით. და

ხშირად ვებრძოდით კიდეც. **სტალინის** ერთ-ერთი უდიდესი შეცდომა ის იყო, რომ მან ქვეყანა მოსწყვიტა ევროპას, რომლისკენაც ფანჯარა გაჭრა პეტრე პირველმა. ევროპულ კულტურასა და ცივილიზაციაში შეჯამდა ისტორიის გამოცდილება. იგი არის თანამედროვე პროგრესის ფუძე და მისგან განდგომა, მისი უარყოფა საბედისწერო პროვინციული ამბოხი და ტრაბახია. **ამიტომაც მოჰყვა უდიდეს ექსპერიმენტს სისხლის ზღვა, ტოტალური ნგრევა, რბევა, რღვევა...**

თითქოს ადამიანი თავისთვის ცხოვრობს, არაფერი ესაქმება მმართველობასთან, ბიუროკრატიულ აპარატთან. მაგრამ ყველაფერი ისეა ჩაფიქრებული და მოწყობილი, რომ პიროვნების დამოუკიდებლობა, თავისთავადობა ფიქციაა. უბედურება კიდევ ის არის, რომ ამგვარ გარემოში კეთილი აზრიც შეიძლება ახალ ბოროტებად იქცეს. ცხოვრობს ქალაქ ქარათელეთში ალექსი დარაბაძე - ჭრა-კერვის კურსების პედაგოგი, ხათრიანი და წესიერი კაცი (**„ხათრიანი კაცი“**). დაინახა, რომ მეზობლის ვაჟი - ჩიჩი გვილავა, იდგა საშურა აბრამიძის ჭიშკართან და ამაოდ უხმობდა. ჩიჩი იურისტია, მილიციაში მუშაობს ღამის ინსპექტორად. თურმე თავისი გასაჭირი ჰქონია და მიტომ მისულა საშურასთან. მაგრამ მეზობელი შინ რომ არ დახვდა, ახლა ლექსო ბიძიას თხოვა დახმარება, პატარა აქტი უნდა შევადგინო, თორემ უსაქმური ვეგონებით და მომხსნიანო. დაიბრალა ალექსიმ, რომ ვითომ ღამის ორის ნახევარზე შარდავდა წულუკიძის სკვერში. ჩიჩი დაპირდა, ეს ფაქტი ისე, ოქმისთვის მინდა და არავინ წაიკითხავსო. ხათრი ვერ გაუტეხა ალექსიმ მელენტის ვაჟს და მას შემდეგ დაიწყო კაცის წამება. ყველა თათბირზე და სხდომაზე მომხსენებლები აღტკინებით ლაპარაკობენ არნახულ წარმატებებზე. ხოლო როცა ნაკლზე მოისურვებენ მსჯელობას, მაგალითად მოაქვთ ალექსი დარაბაძის უღირსი საქციელი. ასე უნებურად მოეშხამა სიცოცხლე წესიერ მოქალაქეს. გამოდის, რომ ქალაქსა და რაიონში ყველგან წესრიგი სუფევს. მხოლოდ ერთი - ალექსი არღვევს ამ ნანატრ იდილიას. ხალხსაც სჯერა მომხსენებლებისა და ჰკიცხავენ ქალაქის შემარცხვენელს. იქნებ არცა სჯერა, მაგრამ ხალხში ჩანერგილია **დიქტატორის კომპლექსი** და მას სიამოვნებს, რომ სხვას სჯიან (შდრ - ნოველა „კაკტუსი“).

ირღვევა დანაშაულისა და სასჯელის დიალექტიკა. ადამიანის ცნობიერებას რყვნის ერთის მხრივ ის, რომ დამნაშავე არ ისჯება, მეორეს მხრივ ის, რომ კაცი ისჯება, მაგრამ არავინ იცის რისთვის. აურაცხელ ასეთ ფაქტს იცნობს ჩვენი უახლესი ისტორია, განსაკუთრებით **„დიდი ტერორის“** წლებში. ისინი დაილექა მასებისა და ხელისუფალთა ფსიქიკაში. იქცა დაუწერელ კანონთა მამოძრავებელ ძალად. სამართლებრივი პრინციპები დარჩა კონსტიტუციისა და კოდექსების ფურცლებზე

(მცდარი დებულებანი მათშიც საკმაოდ აღმოჩნდა).

ახალგაზრდა ჟურნალისტი ირაკლი მურღულია დაწერს ნარკვევს საცურაო აუზის ექიმ რაჟდენ ჩაჩუაზე (**„დავიდარაბა“**). სიკეთის მეტი გულში არაფერი ედო კორესპონდენტს. მაგრამ ყველაფერი უკუღმა წარიმართა. ჯერ ერთი, ექიმის ნდობა ვერ მოიპოვა. რაჟდენმა სული ამოართვა გაუთავებელი კორექტირებებით, შემდეგ - მასალა რედაქტორს არ მოეწონა და ბოლოს - ამ ფაქტს გადაჰყვა ექიმი: მოეჩვენა, რომ ნარკვევი არ დაბეჭდეს რაღაც ძველი დანაშაულის გამო. აქ **ისევ იღვიძებს ფსიქიკაში მთვლემარე დიდი რეპრესიების დიდი შიში.** მათ თურმე უკვალოდ არ ჩაუვლიათ. ადამიანი იჭვნეული გახდა და ყოველ უმნიშვნელო შემთხვევას თუ ფათერაკს თავის წარსულის რაღაც ფაქტებს უკავშირებს. მისი არსებობა არავის ახსოვს. რომც ახსოვდეთ - რა მნიშვნელობა აქვს. სამაგიეროდ პიროვნების ფსიქიკას ტრავმა შემორჩა. ჩანს, ექიმი ძველი შიშისაგან საბოლოო განთავისუფლებას, სრულფასოვან მოქალაქედ აღიარებას ამ ნარკვევს უკავშირებდა. ასე გახდა ახალგაზრდა ჟურნალისტი ექიმის სიკვდილის უნებლიე მიზეზი: ერვანდი ქერქაძესაც მხოლოდ სიკეთე ეწადა, მაგრამ არ გამოუვიდა (**„მაესტრო“**). ასევე დაემართათ შავლეგოსა და ქიონიას (**„საჩქეფელას სტუმრები“**). ზედმეტმა პატივისცემამ პეტრეს აწყინა და როყიო სიმართლე ათქმევინა (ეს ნოველა არის ორიგინალური პასუხიც და ვარიაციაც **ვ. ასტაფიევის** ნარეკვევზე - „ციმორის ჭერა საქართველოში“). მწერალი აქაც მისტიფიცირების ხერხს მიმართავს, თხზავს ახალ ტოპონიმებს - **„საჩქეფელა“, „ყვანცალაური“, „მიმინოსწყარო“, „ოკონკილე“, „ვირიხიდა“, „ოფურჩხეთი“**, რათა ერთი ფაქტი ტიპიურ მოვლენად აქციოს.

რევაზ მიშველაძის მრავალ ნოველას ცხოვრებისეული, რეალურად მომხდარი ამბავი უდევს საფუძვლად. მწერალი, როგორც რეჟისორი, განლაგებს ფაქტებს, თითქოს უცვლის სახესა და ფორმას, არსებითად კი მათ აძლევს მეტ სიმკვეთრეს, დაფარულს - წარმოაჩენს, ზედმეტსა და უსარგებლოს - უკუაგდებს. ავტორი მათ თითქოს არც იგონებს. იგი თარგმნის ცხოვრების ხმაურსა და მძვინვარებას პროზის ენაზე, **აჩვენებს ადამიანთა ტრაგიკომიკურ ყოფას**, მათ უმწეობასა და უბრალოებას, სათნოებასა და ვერაგობას. ზოგი ნოველის საწყისია გახმაურებული ისტორია, პოლიტიკური მოტივი თუ ცნობილ პიროვნებათა ბიოგრაფია. ამ ხერხს მწერალი ადრევე იყენებდა. მაგრამ როგორც ითქვა, იძულებული იყო მისტიფიცირებისთვის მიემართა. ბოლო ხანს მისმა სიტყვამ მეტი სიმძაფრე, პირდაპირობა და ელასტიურობა შეიძინა. პირობითობა ნაწილობრივ ისევ დარჩა. მაგრამ ეს აუცილებელიც არის. მწერალი მხატვარია და არა პროპაგანდისტი ან აგიტატორი, რაც უნდა თამამი და კრიტიკული აზრისა იყოს ოფიციოზზე. ამ თვალსაზ-

რისით ჩინებულადაა დაწერილი ნოველა **„ფრთები“**, ანდა გავიხსენოთ **„ჩიტების დარდი“**.

დოცენტი კაპია შერვაშიძე ესწრება საერთაშორისო სიმპოზიუმს, მიძღვნილს მცირერიცხოვანი ერების მომავლისადმი. მომხსენებლთა დიდი ნაწილი რატომღაც, დიდი ერის შვილები არიან. მაგრამ რიხითა და სევდით ლაპარაკობენ გადაშენებულ ხალხებზე, დანგრეულ ქალაქებზე, დაფერფლილ ეტრატებზე. სიტუაცია წყნარია, თითქოს ვალს იხდიან პატარა ერების წინაშე. გულით არავინ ლაპარაკობს. მაგრამ, აი, ტრიბუნასთან დადგა ჩვანჩურიელი მეცნიერი ჩვანჩოქამა, რომელიც ასაბუთებს, რომ პატარა ერი უნდა შეერწყას დიდ ერს. მაშინ კი ადუღდა კაპია შერვაშიძე, მეცნიერისათვის შეუფერებელი სიცხარით ალაპარაკდა. პარადოქსი ის იყო, რომ პატარა ერის შვილი სუჩკის სოსისელი დაეთანხმა ჩვანჩოქამას და თავისი ერის გაქრობა სავსებით ბუნებრივ ფაქტად მიიჩნია. ისევ ადუღდა კაპია და ტრიბუნასთან მიიჭრა. მათ დისკუსიას შედეგად ის მოჰყვა, რომ იმ ღამეს სასტუმროს ნომერში თავი ჩამოიხრჩო სუჩკის სოსისელმა. ნოველაში მწვავედ არის დასმული **პატარა ერების, მათი ენის მდგომარეობა.** დიდი ერი დიდი კულტურით, ცივილიზაციით, ხან უნებლიეთ, ხან ძალით ასიმილაციის გზაზე აყენებს პატარა ერებს. ბევრს ეს პროცესი ბუნებრივად და უმტკივნეულოდ მიაჩნია. დამახასიათებელია შემდეგი დიალოგი:

„ორ ბიბლითელს შორის ჩამდგარი შეზარხოშებული, შავსატინიანი რქესიეთელი გულზე მჯიღს იცემდა და ცრემლმორეული ლუღლუღებდა: „მაშ ჩემი ენა უნდა გადაშენდეს? ასეთი მდიდარი ენა? ჯერ მარტო ყინულის სახელი ორმოცნაირად გამოითქმის“. „სწორედ მაგიტომ უნდა გადაშენდეს“ - ეუბნებოდა მაღალი ბიბლიოთელი - რა საჭიროა ყინულისთვის ორმოცი სიტყვა“.

ისტორიის უსამართლო, ძალაზე დამყარებული განაჩენი სპობს ერებს, ენებს, კულტურებს, ან თიშავს და აქუცმაცებს მათ, რაც გადაგვარების დასაწყისია. ზოგჯერ ისიც ხდება, რომ საუკუნეთა შემდეგ წინაპართა ქვეყანას უბრუნდებიან შთამომავლები. მაგრამ მათ შორის **გამთიშველი არის დრო**. მათ უკვე ერთმანეთის არ გაეგებათ, თუმცა ისევ ერთ ენაზე ლაპარაკობენ. ეს კიდევ ერთი ტრაგედიაა. ფერეიიდნელი ქართველების გულისტკივილს, გაუცხოებასა და იმედის გაცრუებას ჰყვება სულხან მიქელაძე (**„წავა?“**). ცხადი ხდება, ამ გაუცხოების მიზეზი მხოლოდ დრო არ ყოფილა. მას ის უკუღმართობანიც დართვია, რომელნიც ჩვენც გვაწამებენ. მაგრამ ჩვენ თუ თითქოს ვეჩვევით, ფერეიდნელისთვის სავსებით აუტანელია:

„სამასი წელი დიდი დროა. ჩონ ფერეიდანში სხვა წესით ცხოვრობს, აქაურ სხვა მოსულა. ჩონ გაჭირვება და შიმშილი ბევრი ნანახი არის.

მაგრამ აქ, ფერეიდანში, თუ ერთი ქათამი არის შენთანა, ვიცის, რომ ის ერთი ქათამი შენი არის. უნდა დაკლავ, უნდა გაპუტავ და ისემც გაუშვი. იქ, ფერეიდანში თუ მუშოაობ, იცი, შენთვის მუშაობ, აქ სხვანაირი ცხოვრება არის, რამდენი ხან სად მუშაობს, რატომ მუშაობ, რამთელი საათი მუშაობ, არ ვიცის. ერთი ცხვარი ჩონია, არ არის ჩონი, არ ვიცის. ტყუილები კიდომ ბევრი არის. მაღაზია ნოქარი დიდი ლურსმანი გუშინ არ მოგვცის. მივედი, ნახამ, ლურსმანი დამალული არის ვამბობს: ზედმეტი ფასში გავჰყიდო, ნოქარი. მე საბჭოს თავმჯდომარე ვუთხარი. იმან ამბობს, მე რა ვუყო, იმან თავისი თავის უფროსი არის. მაშ ვინ არის ნოქარის უფროსი?“

საუკუნეთა წყვდიადში ის ერი გააგრძელებს არსებობას, რომელმაც იცის თავისი ისტორია, წარმომავლობა, შორეული ძირები. ეს არის ფუნდამენტი, რომლის შეგნება ერთი იდეოლოგიით კრავს ერთ ენაზე მოლაპარაკე ხალხს. ჭურჭურიაში 2.300 წლის შემდეგაც ახსოვთ როგორ სპობდა და ანადგურებდა მათ ქვეყანას ზანზარეთი (**„შემცდარია“**). მაგრამ თურმე მტერიც საჭირო ყოფილა. **მტრის არსებობა ძალებს ააქტივებს და სამოქმედოდ განგაწყობს, თავისუფლებას მოგანატრებს.** ეს კარგად იცის ზანზარეთელმა სტუმარმა. სწორედ ამიტომ დაჩიავდა ოდესღაც დიდი იმპერია და თავისთავად გაქრობამდე მივიდა. ხოლო ჭურჭურიამ გაუძლო შემოსევებს და ყოველი მოძალადისაგან განთავისუფლების აღსანიშნავად მემორიალი ააგო, რათა ხსოვნაში დარჩენილიყო ისტორიის სასტიკი გაკვეთილები.

როგორც ვხედავთ, რევაზ მიშველაძის პროზის ერთ-ერთი განსაზღვრელი თვისებაა **კრიტიციზმი.** ეს შთაგონებაც არის, რათა მმართველობის, პიროვნების, საზოგადოების დეგრადირების მთლიანი პანორამა გადმოიშალოს, აჩვენოს ტოტალური, **სოციალური ექსპერიმენტის ფასი.** ავტორი **„ჯერ კიდევ“** არსებულ ნაკლოვანებებს, **„წარსულის მავნე გადმონაშთებს“** ან **„ალაგ-ალაგ“** თავჩენილ მანკიერებებს როდი ეძებს. მას აინტერესებს ტრიადა - **პიროვნება, საზოგადოება, მმართველობა,** რადგან ისინი უერთმანეთოდ არ არსებობენ. ეს სისტემა მთლიანად დაავადებული ყოფილა. ტაშის გრიალში, პროცენტომანიაში, **„პოტიომკინის სოფლების“** პარადში თურმე დარღვეულა ადამიანური ზნეობა და იდეალები. ჩვენ მდინარების საპირისპიროდ გვივლია და ამიტომ ცივილიზაციასა და კულტურას დავცილებულვართ კიდეც. მხოლოდ თითოოროლა ადამიანი გადარჩენია გადაგვარების წარღვნას. ამიტომ **უპირისპირდება პიროვნება საზოგადოებასა და მმართველობას.** მაგრამ ესეც ნაკლებად ხდება. მეტწილ მას **მორჩილება შთააგონეს** და თუმცა ხედავს (ზოგჯერ ვერც ხედავს) საზარელ რეალობას, ბრძოლის თავი არა აქვს. ისედაც იცის, ყოველი გარჯა ამაოა. მხოლოდ გამწარება ათ-

ქმევინებს კაცს სიმართლეს და ესეც სანანებლად დაურჩება. **„ოქროსავით მთავრობა გვყავს“**, კმაყოფილია მივლინებით ქალაქ რიაში ჩასული **ფანტასტი** პარმენ კოტრიკაძე. ვერსად რომ ვერ ისადილა და ორაგულიც ვერ შეაწვევინა, ბევრი ფიქრისთვის არ მიუცია თავი. მწერლის პოზიცია ცალკეულ ფრაზებშიც ნათლად ჩანს: **„სამშაბათი იყო, დამკვრელური შრომის სამშაბათი“, „მიღწეული ზღვარი როდია“, „ინდუსტრიის გიგანტი, ხუთწლედის მშვენება“, „ბოლავდა ქარხანა მთელი სახელოვანი ხუთწლედების განმავლობაში“, „ალაგ-ალაგ ასფალტანი ნახევრად სამხედრო გზა“, „დარბაზში ომახიანი, ჯანმრთელი საბჭოური სიცილი გაისმა“, „გამზრდელი მილიცია“...**

სოციალური ქაოსი და ანარქია მხოლოდ პიროვნებათა უბედურება როდი არის. იგი შლის ერის სხეულსაც. ლოზუნგები საქმეს ვერ შველიან. ვერც ტრაბახი, ვერც ისტორიის გაიდეალება ცხოვრებას წინ ვერ წასწევს. ამასვე ერთვის **„ნერვული დრო და ტოტალური სიჩქარე“**, ცივილიზაციის შემოტევა, ეკოლოგიური დისტროფია, ბუნებისადმი მიმძლავრებით სასიცოცხლო წესრიგის დარღვევა. **რ. მიშველაძის მიერ დახატული სამყარო გარეგნულად არის სიცოცხლით სავსე და მხიარული. შინაგანად იგი მეტისმეტად პირქუშია და სნეული. ტრაგიკული ბედის ადამიანები კომიკოსის როლებს თამაშობენ, რათა ასე დაივიწყონ ყოველდღიურობის კოშმარი ანდა არც იფიქრონ უკეთეს ცხოვრებაზე.** ერთი პერსონაჟი შენიშნავს კიდეც: **„ხალხი ნერვიული გახდა ამ ბოლო დროს“.** ნერვიულობისა და ნევროზთაგან დროებითი განმუხტვის საუკეთესო საშუალება იუმორი და უდარდელი ცხოვრებაა. ხოლო მიზეზი არის მმართველობის მიერ (და მმართველობისადმი ყრუ თუ ინსტიქტური პროტესტის შედეგად) წლების მანძილზე შექმნილი უცნაური გარემო, სადაც ზოოვეტდამთავრებული არქივში მუშაობს, წელს ამოღებულ ორმოებში ნერგებს გაისად ჩაყრიან, თათბირებზე მეტწილად სძინავთ, მაგრამ ტაშის მხნედ დაკვრას ახერხებენ. მიტინგს ნიშნავენ, მაგრამ მონაწილენი არავის აინტერესებს. სახელმწიფოს მეთაურის წიგნებს სხვა წერს. ფერმაში ყველას ყველაფერი ევალება, გარდა საქონლის მოვლა-პატრონობისა, ჩონჩხადქცეულ კედლებს პლაკატებით ფარავენ, აგარაკი ფუფუნებად მიაჩნიათ და საბაღე-საბოსტნე ნაკვეთად ნათლავენ, თავმჯდომარეს კაბინეტის რამდენიმე კარი აქვს, მთხოვნელებს რომ იოლად დაუსხლტეს, საქმე რომ გაფუჭდება, გამოსწორების სანაცვლოდ თათბირებს აწყობენ, უცხოეთში რომ კაცს თვითმფრინავზე დააგვიანდება, სამშობლოს მოღალატედ აცხადებენ, ტელეხიდისათვის ექვსი თვე ემზადებიან, კაცი სამსახურში მივა და ეუბნებიან, ნუ წუხდები, გაგათავისუფლეთო, სასტუმროები შენდება შვიდ-თერთმეტკაციანი ნომრებით, ამზადებენ და ყიდიან ყალბ დიპლომებს, ქურდები, მილი-

ციელები და უდანაშაულო დამნაშავენი ერთმანეთთან გარიგებებს დებენ, იმართება პომპეზური პარადები, თანამდებობის პირები მექრთამენი არიან, „სამსახურში ჯდომა არავის უნდა“, კოოპერატივები ჯერ არ გახსნილა და უკვე დახურვაზე ფიქრობენ...

ასეთი გარემო ნამდვილ გმირებს არ იცნობს. ამიტომ მათ იგონებენ. ამაოდ ჰგონია ვარდენ მამაკაიშვილს, რომ კაცი გაადარჩინა. თურმე თავად მსხვერპლი ჩაუვარდა ელმავალს, ოღონდ ისე, რომ თავი არ წაეგო **(„დიოგენი“)**; არც ჟურნალისტ ჭოლას, არც ეკვილიბრისტ ჯონდოს არ იცნობს პროვინციალური ქალაქი. ისევ ერთმა უნდა გაუკეთოს მეორეს სახელი. ასეთ ხელოვნურ გმირებს, შეთხზულ ავტორიტეტებს ზოგჯერ სიკეთეც მოაქვთ **(„პროვინცია“)**. მაგრამ ისინი მაინც ყალბია. სულიერი ღირებულებანი, მაღალი იდეალები მეტისმეტად პათეტიკური სიტყვებია. საზოგადოებას თავისი მიწიერი საზრუნავისათვის ვერ მოუვლია. **ისიც ჰგავს თავის ხელმძღვანელობას** და ინერციით თუ ცდილობს გარეგნული ეტიკეტის დაცვას. არ არის გასაკვირი, რომ ვასილ ჯუფთაძეს ლამის ყოველგვარი სნეულების საწყისი აღმოაჩნდა **(„სნეული“)**. გამონაკლისი არც სხვა პერსონაჟები უნდა იყვნენ.

დღევანდელი პიროვნების, საზოგადოების, მმართველობის გადაგვარების სათავე ახლო წარსულია. კაცობრიობის ისტორიაში მუდამ ერთმანეთს ებრძვის ორი ძალა - პროგრესული და რეგრესული. **ზოგჯერ ისიც ხდება, რომ რეგრესი პროგრესის სახელით გამოდის.** არსებითად კი ბარბაროსული, ანტიჰუმანური მოვლენაა. შემდეგ რეალობის ეს მოდელი, მიმართული ადამიანურ გრძნობათა და შეხედულებათა დასათრგუნად, აბსტრაქტულ იდეალთა დასაცავად, შერბილდება, სინამდვილეს დაუახლოვდება, თუმცა არსი არ შეიცვლება.

სტალინი და სტალინიზმი - ამ პრობლემაზე მსჯელობა მხოლოდ მოდა როდია. იგი უაღრესად აქტუალურიც არის. რ. მიშველაძე მას კიდევ იმიტომ მიმართავს, რომ აჩვენოს დღევანდელი საზოგადოების, მმართველობის, პიროვნების დეფორმირების საწყისი. თუ პირველისადმი ინარჩუნებს თანაგრძნობას, მეორის მიმართ ანტიპათიურად არის განწყობილი და აჩვენებს ამ ჯოჯოხეთური მოძღვრებისა და სისტემის სახეს. ცხადია, რომ სტალინიზმის მთავარი შემოქმედი სტალინი იყო, მაგრამ მას მთლიანად ვერ ელევა, როგორც **დიდ პიროვნებასა** და **ქართველს**. ისიც გვინდა დავუმატოთ, რომ **მხატვარი-მიშველაძე ორივე მათგანს ანტიჰუმანურ მოვლენად თვლის, ხოლო მოაზროვნე-მიშველაძე სტალინის გამართლებას ცდილობს, ნაწილობრივ მაინც.**

ეპიფანე ბიძია, სიცოცხლის მიმწუხრზე მდგარი, განსჯის ცხოვრებას **(„წინა კაცი“)**. იგი ფაქტებს არ იხსენებს, გვიზიარებს თავის ფიქრებს. ეს არის გულგატეხილი კაცის მონოლოგი, რომელიც მთა-ბარის

გასწორებას ლამობდა, შეუძლებელს ელტვოდა და სჯეროდა, რომ მისი თაობა სასუფეველს ამ ქვეყნად გადმოიტანდა. მოგვიანებით თავადაც მიხვდა, რომ შეცდომა მოსვლიათ. ამან დააბნია და ამიტომაც ეცინება, რომ ჭკუის საკითხად მოსულ ახალგაზრდას ესაუბრება. **„საკუთარ ხელით ამოვითხრი ორივე თვალებს, ამდენმა ბრძოლამ უშედეგოდ თუ ჩაიარა“**, წერდა **ალიო მირცხულავა.** უმიზნოდ დაღვრილი სისხლის კოშმარი შთამომავლობამ უფრო იგრძნო. ამას ზოგი ძველი კადრიც მიხვდა, მაგრამ დეპრესია სულაც არ დაუფლებიათ. ამიტომ ყვებიან მშვიდად და სინანულით გარდასულ დღეებზე (ეპიფანე, პორფილე...). ეპიფანეს შეუმუშავებია **ცხოვრების ახალი ფილოსოფია, რომლის არსია საკუთარი თავის გადარჩენის ინსტინქტი, უიმედობა და გულგრილობა.** მისი სიტყვები სინამდვილეზე გულაყრილი კაცის ღაღადია. ცხოვრება იმ გზით არ წავიდა, საითკენაც ექაჩებოდნენ ეპიფანესნაირი ფანატიკოსები. **კოლექტივიზმისა და ალტრუიზმის მეხოტბე ეგოისტი და მიზანტროპი გამხდარა.** ალბათ იმიტომ, რომ **„ახალი ადამიანის აღზრდა“ ანუ ფსიქიკისა და ცნობიერების გადაკეთება წარმატებით ვერ დამთავრდა.**

ახლა ვნახოთ რას ამბობს იგი, ვისაც ეპოქის სისხლიანმა მანქანამ ზედ გადაურა. მრავალჭირგადანახადი გრიგოლ ბაქრაძე ლოცავს იმ ხალხს, რომელმაც მოინდომა ძველ და ახალ სიმრუდეთა გასწორება **(„უფანდუროდ სამღერი“)**. შეიცვლებოდა ამინდი თუ არა, წაავლებდნენ გრიგოლს ხელს და ციხეებსა და ბანაკებში აგზავნიდნენ. ცხოვრებაზე მაინც გული არ აიყარა, უიმედობას არ მიეცა, როგორც ეპიფანე. მისი ტრაგედია ქართველი გლეხკაცის ისტორიაც არის, რომელსაც არც ახალ დროში ეღირსა მშვიდი ცხოვრება. როცა ეგონა, რომ სამოთხეში მოვხვდიო, სწორედ მაშინ განუმზადა ჯოჯოხეთი დრომ თუ თავისმა ახირებამ. მრავალ სიმართლეს ამბობს მოხუცი დესპოტ სტალინზე, ბაქია ხრუშჩოვსა და ბრეჟნევზე, ექსპერიმენტებსა და ხელისმოცარვაზე, ყოყოჩობასა და ტრაბახზე **(„დილას ამერიკას და იქეთ გერმანიას ვუღრენდით, უნდა დაგასამაროთო და საღამოს ყელგაწვდილი ვეხვეწებოდით, პურის ფქვილი და გაყინული ქათამი მოგვყიდე, ეს ოხერი, უამინდობამ შეგვიშალა ხელიო“),** აწეწილი და მოშლილი ქვეყანა გადმოეცა ახალთაობას. მაგრამ ხუთგზის ნაპატიმრალი მოხუცი არ კარგავს იმედს, რომ ეგებ აწი მაინც ეშველოს მუშაკს. სტალინის სახელს მაინც ვერ ელევა გრიგოლი. ეს კარგად თვითონაც ვერ აუხსნია, იმდენად გაუცნობიერებელია მისი სიყვარული **„ხალხთა მამისადმი“**. აქ სტალინის ქართველობაც იგულისხმება. ეს თვალსაზრისი ხალხის დიდი ნაწილის განწყობილებაც არის, რომელიც **განადიდებს სტალინს, თითქოს იგი არ იყოს სისტემის შემქმნელი და რეპრესიების ავტორი!**

ერმალო კვაშალი ძველ ქვეყანას ეურჩებოდა. იყო სოციალ-დემოკრა-

ტი. მენშევიკები ბოლშევიკების აგენტობას სწამებდნენ, ბოლშევიკები - იმპერიალიზმის ჯაშუშობას. რევოლუციისთვის თავს დებდა, მაგრამ გამარჯვებულმა რევოლუციამ ჯერ ევროპაში გაასახლა, შემდეგ - თავის მშობლიურ სოფელში, ბოლოს - ყაზახეთში **(„ბელურა გემის ანძაზე“)**. ვერ მოესწრო ბედნიერ ცხოვრებას ერმალო, ისე გახდა ასი წლისა. არც მუშა ფირცხალაიშვილს დასდგომია უკეთესი დღე. 37-ში გადარჩა. მაგრამ 40-ში დააპატიმრეს ბერიაზე ჭორის გავრცელების გამო და კალიმაში ამოაყოფინეს თავი **(„დოლაბი“)**. ძველი შიში ისე დალექილა ფსიქიკაში, რომ ადამიანი გადაეჩვია მართალ სიტყვას. დაირღვა ისედაც სუსტი კავშირი სიტყვასა, ფიქრსა და მოქმედებას შორის; ამიტომ მეტყველებს ზოგადი, პრესის შაბლონით, კარგად იცის, რომ სულაც არ სჯერა და არ აწუხებს ის, რასაც ლაპარაკობს. შიშმა ჩამოაყალიბა პიროვნება, გაჰყო იგი ფორმალურ და ნამდვილ არსებად. მისი გამთელება მეტისმეტად ძნელი ხდება **(„მესამე სტუდიის ნოველა“)**.

დღევანდელი საზოგადოების მანკიერებათა საჩვენებლად უხვ სააზროვნო მასალას იძლევა 30-იანი წლების „დიდი ტერორი“ მწერალს აინტერესებს არა იმდენად ისტორიული სახელები, რამდენადაც - ისტორიული ფონი. იგი მსჯელობს დროის სულისკვეთებაზე, საყოველთაო განწყობილებასა და მდგომარეობაზე, მოქალაქეთა ბედზე. როგორც ითქვა, **ცალკეული მოქალაქე ჭანჭიკი იყო. ამგვარ ჭანჭიკთა და დეტალთა კომბინაცია ქმნის მანქანას, გარკვეულ კონსტრუქციას**. მაგრამ თუ მანქანის არცერთი ნაწილი არ ფასობს, რომ მანქანაც გამოუსადეგარი ყოფილა. იგი რჩება როგორც გრანდიოზული ურჩხული, ფანატიკოსთა მიერ კაცთა საწამებლად მოგონილი, რა თქმა უნდა - სიკეთის სახელით (ამჟამად მიუთითებენ, რომ ტერორი დაიწყო 1918 წლის 5 იანვრიდან და იგი მეტ-ნაკლები ინტენსივობითა და მეტამორფოზებით ბოლო დრომდე გრძელდებოდა!).

გიგილო ცხადაძეს იბარებენ ქალაქის აღმასკომში მამის რეაბილიტაციის გამო **(„გიგილო“)**. მილიონები ელოდნენ ამ დღეს. თუ უდანაშაულოდ დაღვრილი სისხლი და ჯოჯოხეთური წამება არ მოეკითხებოდა არავის, დასჯილნი და დასჯილთა ახლობლების წრე გამართლებას მაინც ეღირსებოდნენ. მაგრამ გიგილოს სხვაგვარი აზრი აქვს. მას არ უნდა მამის რეაბილიტაცია, რადგან მამა **გმირად** წარმოუდგენია, ვისაც ჰქონდა თავისი შეხედულება და ამიტომ დაისაჯა. ახლა ირკვევა, რომ მამა სრულიად უდანაშაულოდ გაუწირავთ, ე. ი. კაცი, რომელიც ყმაწვილის იდეალი იყო, არარაობა ყოფილა. გიგილოს მტყუანისა და მართალის დადგენა აღარ აინტერესებს. ამისი დრო წავიდა. მთავარი ის არის, რომ მამა შვილისათვის გმირია, ვინც უსამართლობას წინ აღუდგა და სიკვდილს არ შეუშინდა. არადა, როგორც ჩანს, ამგვარი გმირები

თითქმის არ ჰყავდა 1937-1938 წ. წ. კატასტროფას. მილიონები იხვრიტებოდნენ ან მიდიოდნენ ციმბირის სუსხსა და შუა აზიის პაპანაქებაში ერთი ძახილით - **„გაუმარჯოს სტალინს“!** თვით ე. წ. „ბლოკების“ ლიდერებიც განადიდებდნენ **„საამური ცხოვრების“ ოქრომჭედელს. ნ. ბუხარინის** უკანასკნელი სიტყვებია: **„კობა, რისთვის დაგჭირდა ჩემი სიკვდილი“...** ბუნებრივია ასეთ დროს გიგილოს სურვილი - გმირი მამის სახე ჰყავდეს ოცნებაში.

კოკი ჯგებიას აზრით, დღევანდელობის წინაშე დგას ერთადერთი არჩევანი: **„კანონი უნდა შეცვალო. კანონი უნდა დაწერო და მომცე ხელში. ნელა, გაუბედავად, პწკენა-პწკენით კი არა, ერთბაშად უნდა გადააგდო, რაც არ გამოდგა, რამაც არ გაამართლა და ახალ საქმეს უნდა ეწიო“ („მესამე სტუდიის ნოველა“).** მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება **ნევროზული და უიდეალო საზოგადოების გაჯანსაღება,** დაბალ ვნებათაგან განწმენდა, მიბრუნება ყოფიერების სასიცოცხლო ძირებთან. ეს აუცილებლობად აქცევს **პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სამართლებრივ რეფორმებს ქვეყანაში,** რომელიც უმაღლესი დემოკრატიისა და სიკეთის აპოსტოლად იწოდებოდა!

ისე ნუ წარმოვიდგენთ, თითქოს რევაზ მიშველაძე საშველს ვერ ხედავდეს. მწერალი ეძიებს და პოულობს კიდეც ადამიანურ სიკეთეს, მაღალი ზნეობისა და მორალის გმირებს **(„საჩიხელი დევები“, „კერპი“: „შუქი“, „ხიფათი“, „ხათრიანი კაცი“, „ჩიტების დარდი“, „ისინი“).** ესაა ოღონდ - მათ ამარცხებს სასტიკი და ულმობელი ცხოვრება. მაგრამ მთავარია, რომ ისინი არსებობენ. ეს არის იმედი. ამ იმედით ჩადის სამარეში ოთხმოცდაათი წლის გრიგოლ ბაქრაძე **(„უფანდუროდ სამღერი“).**

რ. მიშველაძის პროზას დიდ სიმართლეს ანიჭებს არა მხოლოდ ყოფითი დეტალების ხატვა, ცხოვრებისეული კონფლიქტებისა და დისჰარმონიის ჩვენება, არამედ პოლიტიკურად აქტუალური თემების გააზრებაც. ჩვენ არ ვართ მიჩვეული სახელმწიფოს ბედზე, პოლიტიკურ მოღვაწეთა პიროვნებებზე მსჯელობას. განსაკუთრებით ცოცხლებისა გვერიდება. პოლიტბიუროს წევრი თუ მინისტრი უნდა მოიხსნას ან მოკვდეს, რომ მასზე სიმართლე ითქვას. მწერალიც იძულებულია გამოგონილ გარემოში იტრიალოს, რათა ასე მაინც გამოხატოს თავისი თვალსაზრისი. ამიტომ გადავყავართ რევაზ მიშველაძეს ტროპიკულ კუნძულზე, პატარა სახელმწიფო იპიაში. წლების მანძილზე ჩვენი მკითხველი მშვენივრად შეეჩვია რებუსულ მსჯელობას, სიმართლის ძიებას სტრიქონთა მიღმა. მას არც ამ ნოველის ნამდვილი შიფრის წაკითხვა გასჭირვებია. ნოველაში ალეგორიულად აისახა **ლ. ბრეჟნევის** სიცოცხლის უკანასკნელი დღეები. ცხადია, ავტორს სულაც არ აინტერესებს დოკუმენტური სიზუსტე. მისთვის მთავარია არსის გადმოცემა. ჩვენს

თვალწინ ნათლად დგება **მუმიად ქცეული გენერალური მდივანი,** რომლის უნარი საოლქო კომიტეტის ხელმძღვანელისათვის თუ იქნებოდა საკმარისი **(ფ. ბურლაცკი)**. ნოველა რამდენიმე წლის წინათ დაიწერა. მაგრამ მისტიფიცირებას მხოლოდ ამიტომ როდი მიმართა მწერალმა. მას ფაქტიურად უნდოდა დაეხატა უნიათო ლიდერის ტიპი („ფრთები“).

ზოგჯერ რ. მიშველაძე თავს არიდებს განზოგადებას, მხატვრულ სამოსელს და უშუალოდ პუბლიცისტური პათოსით გადმოგვცემს სათქმელს. პოლიტიკა, ეპოქის სული ტოტალურად მოქმედებს ადამიანთა ბედსა და ფსიქიკაზე, მათ შორის - პენსიონერებზეც. სხედან ისინი პარკში და მსჯელობენ საქვეყნო საქმეებზე **(„პარკში“)**. ყოფილი ხელმძღვანელები მხოლოდ ახლა გრძნობენ, რომ ხალხისათვის თურმე დაპირებების მეტი არაფერი მიუციათ. დროს მათზეც უმოქმედნია და პენსიონერები რეალისტები გამხდარან, ღრუბლებიდან ძირს დაშვებულან და საჯაროობას, დემოკრატიზმს ამკვიდრებენ თავიანთ პარკში, ადრე რომ ასე შეუბრალებლად სპობდნენ: **„ასი წლის წინათ დაწერილ წიგნებში სადღეისო გაკვეთილებს ვეძებთ“, „რა ჭკვიანიც უნდა ყოფილიყო კაცი, ასი წლის წინ დღევანდელი ცხოვრების რეცეპტს ვერ გამოგიწერდა“, „გავაღიზიანეთ ნახევარი მსოფლიო ამ მოუთავებელი სოციალიზმით“...** მაგრამ, მწერლის თქმით, ეს პენსიონერები ხომ ის ხალხია, რომელიც სისხლით და მახვილით ამკვიდრებდა ტირანულ რეჟიმს. ამას თავადაც გრძნობენ და ერიდებათ მასზე საუბარი. მაგრამ სწორედ ამის გამო ეკარგება ფასი ამგვარ მონანიებასა და თვითგვემას. მართლაცდა, განა შეიძლება **„შენს შეცდომებიან ქიჩმაჩს მთელი თაობების ცხოვრება გადააყოლო?“**

ამ ნოველაშიც იხსენიება **სტალინი**, იხსენიება თანაგრძნობით. ალტერნატივა ასეთია: **ან ყველა ლიდერი ბოლშევიკი ვაღიაროთ დამნაშავედ, ვინც სტალინის გვერდით იდგა, ანდა სტალინისადმი ლმობიერება გამოვიჩინოთ.** უახლოესი პუბლიკაციები გვარწმუნებენ, რომ მართებულია პირველი თვალსაზრისი. მაგრამ მაშინ **ეჭვქვეშ დგება საზოგადოების სოციალისტური ბუნება და ოქტომბრის რევოლუციის აუცილებლობა.** ასე რომ პენსიონერთა უწყინარ დიალოგს საუკუნის კითხვამდე მივყავართ, რაც უფრო საგრძნობია ნოველა **„საპარადო დოვლათში“**. ქარხნის საწყობიდან გამოიტანეს მარსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსების, ყოფილი გენერალური მდივნების, პოლიტბიუროს ყოფილი წევრების ბიუსტები, პორტრეტები და საბარგო მანქანით **„სამეულმა“** (ასოციაცია - 37-ის „სამეულები“) სადღაც წაიღო. მუშებს გული არ დასწყვეტიათ **(„მე შენ გეტყვი, იყიდის ვინმე“...).**

რევაზ მიშველაძე რეალისტი მხატვარია. რეალიზმი ბევრმა ფოტოგრაფიული სიზუსტით გაიგო და მინიმუმამდე დაიყვანა პირობი-

თობის ზღვარი. რ. მიშველაძე იცავს დეტალების, მოქმედების სიზუსტეს, დროისა და ადგილის კოლორიტს, სიუჟეტსა და იდეას უფარდებს ცხოვრებას, მაგრამ მათ ავსებს წარმოსახვით, გამონაგონით. ამიტომ მოქმედება ხდება არა მხოლოდ ხილულ ქვეყანაზედ, არამედ - სამოთხეშიც **(„შენ რას წაიღებ“)**. ზოგჯერ მკვდრებსაც აცოცხლებენ **(„მიცვალებულთა გამცოცხლებელი“)** ან ილუზიურ სამყაროში მოვხვდებით, რომლის ტოპონიმები მწერლის ფანტაზიამ შეთხზა. ხანაც უჩვეულო ამბებსა და სიტუაციებს ვეცნობით. მათ ერთი ნიშანთვისება აერთიანებთ - საინტერესოა და რეალობად აღიქმება. მწერალი წერს ყოფითი დიალოგებით, სხარტი ენით, რათა მკითხველის მეხსიერება არ გადატვირთოს, აღქმა არ გააძნელოს.

ამბავს თავისთავადი ინტერესიც ახლავს. მაგრამ მწერალი მას შლის დეტალებად, სახეებად. პერსონაჟები და გარემო გრაფიკულად იხატება. რ. მიშველაძე სიტყვას ეკონომიურად ეკიდება. არ მსჯელობს ვრცელი მონოლოგებით, ინტელექტუალური წიაღსვლებით. მისთვის მთავარია **სათქმელის მაქსიმალურად ეფექტური მიტანა** მკითხველის გულამდე. მიზნის მისაღწევად ყველა ხელოვანი თავისებურ ხერხს მიმართავს, მისთვის ბუნებრივსა და მახლობელს. ზოგისათვის სწორედ რთული და მძიმე მსჯელობა არის თვითგამოხატვის არსი და სტიმული. **რ. მიშველაძისათვის რეალიზმი არის აზროვნების სტილი და ფორმა.** ამიტომ არ ღებულობს მოდერნისტული ან ავანგარდისტული ხელოვნების კონცეფციას. ეს სრულიადაც არ უშლის ხელს იყოს თანამედროვე აზროვნების მწერალი. ამ სფეროში უმთავრესი ხდება რეალისტური თვალსაზრისის, სტილისა და წარმოსახვის დღევანდელობის სულით აღვსება, **შეფარდება ახალი დროის წყევლა-კრულვიან საკითხავთან.** ხოლო **ახალმა დრომ ტრაგიზმის სანაცვლოდ წამოსწია კომიზმი.** ადამიანს აღარ სურს ტრაგედიის ნახვა, სისხლისღვრა და პეროიკული თავგანწირვა. მას კომფორტი ხიბლავს, გართობას ელტვის, იზიდავს ამქვეყნიური სიამენი. ბედისწერაზე აგებული ტრაგიკული ხელოვნება დღევანდელ მოქალაქეს ნაკლებად აღელვებს. მას უნდა თავად იყოს მოვლენათა გამგებელი.

ამ მოთხოვნილებას იწვევს მრავალი ფაქტორი. ერთ-ერთია უნდობლობა, ჭარბი ინტელექტუალიზმი, ისევე როგორც ჰეროიკის გაუფასურება. ჩვეულებრივი, რიგითი მოქალაქე, მასის უბრალო წევრი ვერ იქნება ღვთაებრივ იდეალთა მტვირთველი. მას მცირე რამ ყოფნის, მცირე რამ აფორიაქებს. კომიზმსაც უფრო იგებს და გრძნობს, ვიდრე ტრაგიზმს. რევაზ მიშველაძის ყოველ ნოველას გასდევს ხან ძლიერი, ხანაც მსუბუქი იუმორი. იგი ხან ცალკეულ ფრაზებად ვლინდება, მეტწილ კი სიტუაციას მოსავს. მაგრამ **იუმორი თვითმიზანი არ არის. მის**

მიღმა ბორგავს დრამატული ცხოვრება, ტრაგიკული მოვლენებით აღსავსე, რომელთაც გაურბის თანამედროვე მოქალაქე. მან ისედაც ბევრი სისხლი და ცრემლი დაღვარა. გარეგნულად რ. მიშველაძის პროზაში მძლავრობს იუმორი, ხოლო შინაგანად რეალობის ყოვლის წამლეკავი, ყოვლის მომსპობი ძალა ტრიალებს. არსებითად რ. მიშველაძის გმირები ტრაგიკული პიროვნებანი არიან. ზოგი ამას თავადაც გრძნობს (**„რომელ გართობაზე მელაპარაკები, იქცევა ქვეყანა“**, ამბობს კოკი ჯგებია). უფრო კი სხვაგვარად სჯიან, თითქოს უდარდელად და მხიარულად ცხოვრობენ, თავი ღირსეულად უჭირავთ, მოსწრებული სიტყვით, ღიმილით, მოგონილი მხნეობით ეურჩებიან საწუთროს. ისინი თანაგრძნობასა და პატივისცემას იმსახურებენ, მაგრამ ცხოვრების გილიოტინა დღეს თუ არა ხვალ მათ კისერზეც დაუშვებს დანას.

ამ თვალსაზრისით **რ. მიშველაძისათვის** კლასიკიდან განსაკუთრებით მახლობელია **დ. კლდიაშვილი**. თანამედროვეთაგან - **რ. ჭეიშვილი**. მაგრამ მწერალი ლირიზმსაც კარგად ფლობს, რაც მხოლოდ პერსონაჟთა ბუნების ხატვისას როდი იგრძნობა. მწერალი თხრობას უერთებს სასაუბრო მეტყველებას, ჟურნალიზმის ენას, დიალექტიზმსა თუ ჟარგონს, რითაც იუმორი და ლირიზმი ერთმანეთს აწონასწორებენ.

რევაზ მიშველაძის ზოგიერთი ნოველა წმინდა ფსიქოლოგიური ბუნებისაა. საერთოდ მწერალი სიუჟეტს, ხასიათს, დეტალებს აგებს ფსიქოლოგიურ მონაცემთა შესაბამისად, ადამიანის შინასამყაროს გათვალისწინებით. ეს რეალიზმისათვის აუცილებელია. არარეალისტურ ხელოვნებაში ჭარბ ადგილს იჭერს ანტიფსიქოლოგიური ან ქვეფსიქიკური მოტივები, რაციონალისტური მოდელები, რა დროსაც ფსიქიკის ნიუანსებზე კი არ გაითვლება მოვლენები, არამედ - ფსიქიკა ემორჩილება აზრის დინამიკას. **რ. მიშველაძე სოციალურ ურთიერთობათა, ცხოვრებისეული ტრაგიკომედიის მხატვარია, ერის დღევანდელობის ერთი ჩინებული მემატიანე, მაგრამ წმინდა ფსიქოლოგიურ ნოველებსაც წერს. გავიხსენოთ „კითხვა-ძახილის ნიშანი“**:

აიჩემა უჩა ჭუმბურიძემ, მეზობლის ოჯახის მდგმური ღამე სხვენზე ამოდის და ჭერიდან მითვალთვალებსო. უბნის რწმუნებულმა შეამოწმა, მაგრამ საეჭვო ვერაფერი შენიშნა. მეორედაც მივიდა რწმუნებული, უჩა ისევ გიჩივისო. დაწერა მდგმურმა ხელწერილი, მსგავსი არაფერი ჩამიდენიაო. შემდეგ ვერ დაეძინა, ცდუნებას აჰყვა და სხვენზე მართლა აძვრა, რათა მესიასავით გამოცხადებოდა ჭუმბურიძეს. იქვე დააკავეს კიდეც. გამართლდა მეზობელი, გამტყუნდა მდგმური: ანდა გავიხსენოთ რაფაელ ზუმბაძე, ჭირვეული საქმრო, რომელსაც თითქოს უნდა დაოჯახება. მაგრამ საქმე საქმეზე რომ მიდგება, გასაქცევს ეძებს (**„მზე“**), კაცი უხსნის ახლად გაცნობილ საცოლეს, რომ იგი არაა ოჯახისათვის

გაჩენილი, რომ სჯობია ქალმა ამიტომაც დაიწუნოს. მაგრამ ხერხმა არ გაჭრა. ქალმა და მეგობარმა მოატყუეს რაფაელი და ისიც იძულებული გახდა განაჩენს შერიგებოდა. ასევე საინტერესოდაა მოტივირებული **ადამიანის ინსტინქტური ლტოლვა ბუნებისადმი, მიწის გრძნობა**, ეს ატავიზმი, რომელიც ვერც ცივილიზაციამ, ვერც ტირანულ-ბიუროკრატიულმა მმართველობამ ვერ დათრგუნა **(„ცვრიან ბალხზე“)**. მწერალი ერთ თითქოს უმნიშვნელო ფაქტს აქცევს ტრაგედიის საწყისად (მაგ. კორკიმელის ამბავი. ნოველა **„კიაზო“)**.

რ. მიშველაძის ნოველებში **კრიტიკული თვალის არის დანახული ჩვენი საზოგადოება, რათა ერმა იგრძნოს განახლებისა და გარდაქმნის აუცილებლობა,** რათა მკითხველი გაერკვეს თავის ყოფაში, გააცნობიეროს ის, რასაც ინსტინქტურად გრძნობს. ეს ყოველივე ხომ ძირითადად უბრალო ადამიანების ფსიქიკასა და ცხოვრებაში ხდება. მაგრამ ისე ნუ წარმოვიდგენთ, თითქოს მწერლის ინტერესი მხოლოდ **სოციალური, ეროვნული ან პოლიტიკური პრობლემების სფერო იყოს.** მართალია, მან გააგრძელა ლიტერატურის პოლიტიზების პრინციპი, მაგრამ გააგრძელა რეალისტური თვალთახედვით. ხოლო ის, რასაც ჩვენ ვეძახდით პოლიტიკურ და მოქალაქეობრივ ლიტერატურას - ძირითადად იყო ერზაცლიტერატურა, ინტელექტუალური ხალტურა. ამასთან ერთად მწერალს აინტერესებს ადამიანის ცხოვრება დოქტრინების გარეშეც. მათზე ხომ ისედაც მოქმედებს ეპოქის ატმოსფერო და სულაც არ არის საჭირო ყოველთვის ჩვენება თუ საიდან უბერავს ქარი. ამიტომ ფსიქოლოგიური ციკლის ნოველებში მწერალი გვაცნობს ადამიანის მხოლოდ **სულიერ ცვალებადობას,** შინაგან ღელვას, ტკივილს, იმედსა და ოცნებას. მაგრამ აქაც თუ მოვლენათა მიზეზს ჩავყვებით, აღმოვაჩენთ, რომ ისევ დგება **პიროვნებისა და მმართველობის პარადოქსული პრობლემა, პიროვნებისა და მმართველობის ანტაგონიზმი.** ეს ნოტა ჟღერს გარეგნულად უწყინარ, ყოფით დეტალებზე აგებულ ფსიქოლოგიურ ნოველებშიც (მაგ. **„დავიდარაბა“, „ფუღუ“, „შუქი“, „ურვა“, „ღალატი“, „კერპი“**).ხოლო სოციალურ და ეროვნულ მასალაში ქვეტექსტად ფსიქოლოგიზმია ქცეული. როცა იდეა და პოზიცია თვალნათლივია, მას სჭირდება მხატვრულ რეალობად ქცევა. ასე მონაცვლეობს მწერლის კონცეფციაში **რეალობის არსი და ფსიქოლოგიზმი,** პიროვნებისა და მმართველობის პრობლემა.

დღეს ნაკლები ყურადღება ექცევა ენის ფენომენს. **ვ. ბარნოვი, გრ. გრობაქიძე, მ. ჯავახიშვილი, კ. გამსახურდია** მას მხატვრული თხზვის ერთ უმთავრეს პრობლემად თვლიდნენ. ერთი შეხედვით, რ. მიშველაძის სტილი, თემატიკა, მასალა არ საჭიროებს ენისადმი ფაქიზ მიმართებას. მაგრამ მწერალს სწორედ სიტყვის შინაენერგიის წვდომა სწა-

დია. იგი არ მიმართავს გარეგნულ ეფექტებს, არც ენის ქმნადობას ცდილობს, თითქოს დაუდევრადაც წერს. ეს ილუზიაა მხოლოდ. რ. მიშველაძე ქმნის **ბუნებრივი მეტყველების სტილს**, სადაც მძაფრი სიტუაცია, ხატოვანი გამოთქმები, იმერული დიალექტიზმები და მეგრული სიტყვები, საგნის ნათელი ხატი მიგვიყვანს ემოციასთან. მწერლისათვის ენა გამოსახვის საშუალებაა. მშრალი, ჟურნალისტური სტილი ან ფსევდო-ეპიკური მეტყველება არ შეეფერება ნოველების ექსპანსიურ პერსონაჟებს. ისიც საგულისხმოა, რომ იგი თანაბრად კარგად ფლობს როგორც **დიალოგის, ისე მონოლოგის ხელოვნებას**. დიალოგი ხალხური მეტყველების ლექსიკითა და ინტონაციითაა შეფერილი. ხოლო მონოლოგი პიროვნების აღსარებაა, საკუთარი თავგადასავლის, წუხილისა და ოცნების გადმოცემა. მაგრამ ისიც უნდა გავიხსენოთ, რომ ნაირგვარი პროფესიის, განათლებისა და ბიოგრაფიის პერსონაჟები მეტყველებენ პირველი პირით. ეს უფრო ართულებს ავტორის ამოცანას. მაგრამ, ამასთან ერთად, მხატვრული სამყარო მომეტებულად საინტერესო და მრავალფეროვანი ხდება.

ეს ყოველივე მოაზრებულია **ნოველის სტრუქტურაში.** ნოველა ერთ სიუჟეტზე აგებული ნაწარმოებია, რომელსაც მწერალი ტვირთავს პერსონაჟის ბიოგრაფიული ფაქტებით, დეტალებით, ერთბაშად წარმოგვიდგენს სოციალურ წრეს ან ფსიქოლოგიურ გარემოს. წარმართველი არის ამბავი, რომლის საწყისი ტრაგიკომიკური ანეკდოტია. **რ. მიშველაძე ემყარება კლასიკური ნოველის პოეტიკას, რომელსაც მოულოდნელი ფინალი აქვს.** ფინალი ერთ მთლიანობად კრავს თხრობას, გვირგვინად ადგას მოვლენების მდინარებას. ცხადია, ეს არ ითქმის ყოველ ნაწარმოებზე. რ. მიშველაძე მრავალი ნოველის ავტორია და ისინიც მეტნაკლები ღირსებისაა. მაგრამ მწერალზე ჩვენ ვმსჯელობთ საუკეთესო ნიმუშებით, რომლებშიც ყველაზე ნათლად ჩანს ტალანტი, წარმოსახვის უნარი, გემოვნება, მოქალაქეობრივი პათოსი. რ. მიშველაძე არაერთი ასეთი ჩინებული ნოველის ავტორია.

მან შეძლო ტოტალური სოციალური ექსპერიმენტებით გატანჯულ თუ დეფორმირებულ, რეპრესირებულ თუ გალაღებულ გმირებისა და ანტიგმირებისათვის მოეძებნა განსხვავებული ბუნება და ბედი, მოეცა არა ერთი მოდელის ვარიაცია, არამედ წამოეჭრა ნიჰილიზმით, ნევროზით, კორუფციით, უღმერთობით შეპყრობილი საზოგადოებრიობის მღელვარე სურათი, რომელსაც ერთადერთ იმედად დარჩენია ეროვნული სულის განახლება და განმტკიცება.

„ცისკარი“, 1989, №12

ფიქრი და მუსიკა

„აქვეა, დახლზე, თომას ელიოტის „უნაყოფო მიწა“, დახლქვეშ X-ის წიგნებს მალავენ“, - წერდა კარგა ხნის წინათ **გივი ალხაზიშვილი, „იახსარისა“** და **„ბზარის“** ავტორი. ვინ არის ეს X, არ ვიცით. მაგრამ მნიშვნელობა არა აქვს, რადგან იაფფასიანი ერზაცლიტერატურის ერთი წევრია, ვინც აკმაყოფილებს მასის გემოვნებას და ყოველდღიურ მოთხოვნილებას. ხოლო **თომას ელიოტს** თითქმის არავინ კითხულობს. როცა ასეთი ალტერნატივა ჩნდება საზოგადოებაში, ის საზოგადოება დაღუპვისაკენ მიექანება, რადგან სულიერი ღირებულებანი არევია. თითქოს პოეტი იმიტომ მოავლინა განგებამ ამ ქვეყნად, რომ ხალხის გულისტიკივილი გამოავლინოს. მაგრამ დრომ შეცვალა ეს თვალსაზრისი - **უგმირო და უიდეალო ქვეყანას არ სჭირდება ნამდვილი პოეზია,** ვერ გაიგებს და ვერ დააფასებს. ალბათ კიდევ იმიტომ, რომ **„ვულკანზე ვცხოვრობთ, მაგრამ ვის ესმის“**. ეტყობა, მასა ინსტინქტურად კიდევაც გრძნობდა ამას, ამიტომ ელტვოდა გართობასა და მსუბუქ ცხოვრებას, ვიდრე სულიერ მარტვილობას.

„მე კი ჯიუტად, უფრო ჯიუტად ვფიქრობ მამულზე, მტერზე, აკვანზე“, - წერს პოეტი. ეს ცნებებიც დრომ დაახურდავა და მათზე ფიქრით გულმოკლული პიროვნება დონ კიხოტის თუ ჰამლეტის მიმდევარი ხდება, მათ ნიღბებს ირგებს. დრომ ეს ნიღბებიც დაახურდავა. ცინიზმმა და ირონიამ, ფულის კულტმა და მოხვეჭის ჟინმა ჰეროიკისათვის ადგილი აღარ დატოვა. ძველი, მარადიული იდეალები დავიწყებას მიეცა. ამ დროს ისევ კლოუნის ნიღაბი თუ უშველის პოეტს, რათა ასე მაინც მოიპოვოს შვება და შეინარჩუნოს ფხიზელი თვალსაზრისი - **„ერთი ღამის თავისუფლება“**. იმედად რჩება განდგომა, რათა ნათლად გამოჩნდეს რა ხდება გარშემო.

ასე შენდება **„ფიქრის სახლი“**.

სულიერებისაგან დაცლილ გარემოში კედლები კი შორდება მიწას, მაგრამ ცას ვერ უახლოვდება. მხოლოდ კალამი - **„წინაპრის შუბის შთამომავალი“** ყველაფერს იწერს და აღნუსხავს მათთვის, ვინც ჯერ არ დაბადებულა, რადგან მკითხველს, კონკრეტულ ადრესატს არ გულისხმობს. **„რას გვპირდება დღე ხვალინდელი“, „რას გვპირდება ეს გაზაფხული“**, - ეჭვი ღრღნის პოეტის გულს და ეს ეჭვი აძლევს ძალას, გაძლების უნარს, შემოქმედების სტიმულს.

ასე ცხოვრობდა იგი წლების მანძილზე.

„მოუცლელობის ბორკილი გვადევს“, „გაურკვეველი ბურუსის ტყვე ვარ“, „შიშია ახლა ჩვენი ბატონი“, „შიშის შიშით ჩვენ ფიქრში ვცხოვ-

რობთ, ფიქრია ჩვენი დიდი ქვეყანა, რადგან ფიქრს შიშის არ ეშინია“, გვეუბნება პოეტი. ეს სიტყვა-სიგნალები იწვევენ ასოციაციებს, აღგვიდგენენ ახლო წარსულს, ყველასათვის ნაცნობ ყრუ ატმოსფეროს, რომელსაც კარგად მოერგება პოეტის მეტაფორა - **„ახალი მითის მშენებლობის ჩვენ ვარ მოწმენი“. „ახალი მითის მშენებლობა“** ეს იგივე კომუნიზმის მშენებლობაა, რომლის ვითომცდა მოწმენი კი არა, მონაწილენიც მეტნაკლებად ვიყავით. მაგრამ ახლა ჩვენს თვალწინ ინგრევა ბაბილონის გოდოლი და იფანტება კომუნიზმის შხამიანი ნისლი, მთელი თაობები და სახელმწიფოები რომ შეიწირა. გამართლდა ფარული **„მოულოდნელის მოლოდინი“**. და როგორც **„სასაფლაო იზრდება ხსოვნა, ხსოვნა ჩავლილი, არსებული წარსული წლების“.**

ეს სტრიქონები იწერებოდა ეგრეთ წოდებულ უძრაობის წლებში და პოეტის კეთილშობილებისა და ფხიზელი ალღოს დასტურია.

და მაინც - გივი ალხაზიშვილი არ არის სოციალური ტონალობის პოეტი. ალბათ იმიტომაც, რომ ათწლეულების მანძილზე სოციალური მოტივები და ე. წ. აქტუალური თემატიკა სპეკულაციის საგნად იქცა. პოეტები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ თუ ვინ უფრო მარჯვედ იცრუებდა. ეს იყო **ორმაგი მორალის** ბატონობის პერიოდი. ბევრს მშვენივრად ესმოდა, რომ სიყალბის აპოლოგეტი იყო, ზოგი - ნიჭიერი, ბევრი - უნიჭო. მაგრამ სხვა გამოსავალს ხელოვანი ვერ ხედავდა, რათა პარტიისა და ხელისუფლებისადმი აღვლენილი დითირამბების გვერდით ეთქვა მწვავე და საჭირო სიტყვაც - პატრიოტული და ნაციონალური. ახლა როცა თვალს ვავლებთ კომუნისტური მითოსის მძვინვარების წლებს, ცხადი ხდება, რომ ორმაგ მორალს გამართლება ჰქონდა. მაგრამ იყვნენ პოეტებიც, რომლებიც ნეიტრალიტეტს არჩევდნენ, ცხოვრობდნენ თავიანთი შინასამყაროთი, სულიერი ტკივილების პოეტიზებით, ჭვრეტით, განყენებული თემატიკის აჟღერებით და თითქოს კონკრეტული სივრცე - დროის მიღმა იდგნენ. მაგრამ როგორც გივი ალხაზიშვილის ლირიკაც გვიჩვენებს, მძაფრად საგრძნობი ყოფილა ყალბი სინამდვილის უარყოფის პათოსი, პოლემიკა ფსევდო იდეალებთან, ჭეშმარიტი სილამაზის, სიკეთისა და მშვენიერების დაცვის სულისკვეთება. ოღონდ არა სიტყვიერად და დეკლარაციულად, არამედ - პოზიციით, ხელოვნებისადმი დამოკიდებულებით, ესთეტიკით, სალექსო ფორმებით. და ეს არის არსებითი, თუმცა ცალკეული პაროლებიც, როგორც ვნახეთ, თავს არაერთხელ შეგვახსენებენ, რათა მკითხველის აზრს სწორი გეზი მისცენ.

გივი ალხაზიშვილი მიუბრუნდა სიმბოლიზმის ესთეტიკასა და პოეტიკას. ეს იყო არა ტრადიციის რესტავრირება, არამედ ათვისება ახალ დროსა და სივრცეში. ისტორიაში ყოველივე მეორდება, იღუპება და კვლავ აღდგება, ოღონდ ახალი ფერითა და სამოსელით. სიტყვის გა-

ნახლების მისტერია ყველა შემოქმედს ინდივიდუალურად წარმოუდგება. განახლება, პირველ ყოვლისა, შინაგანი მოთხოვნილებაა, თვითდადგენის პროცესი. მაგრამ სხვა მიზანიც გააჩნია, რადგან პოეზია პოლივალენტური ცნებაა და მრავალუცნობიან განტოლებას ჰგავს. გივი ალხაზიშვილი სიმბოლისტური ესთეტიკით დაუპირისპირდა ე. წ. სოციალისტური რეალიზმის სქემებით გამოფიტულ პოეზიას. შეიძლება ეს არაცნობიერადაც მოხდა, რადგან პოეტი სტიქიურად ეძებს იმპულსსა და შთაგონებას და ის ყოველთვის კონკრეტული საგანი ან მოვლენა როდია. ზოგჯერ ლექსის საწყისი გატანილია ლექსიდან ან იმდენად იქსელება ასოციაციები და სიტყვას ეხვევა ბუნდოვანების სამოსელი, რომ მკითხველს გადაეცემა სრულიად ახალი განწყობილება - თხზვის პროცესში წარმოქმნილი.

გივი ალხაზიშვილის ლირიკის სპეციფიკური თვისებაა **ფიქრი და მუსიკა** და ამ მხრივაც ენათესავება სიმბოლისტებს. ყურადღება მივაქციოთ იმ ფაქტსაც, რომ **„რვა ელეგიის“** ავტორი **ფეტის, სოლოვიოვის, ბლოკის** მთარგმნელია. ალბათ აქ სულიერი სიახლოვეც იგულისხმება. პოეტი გვაცნობს თავის შინასამყაროს, შინაგან ცხოვრებას, ფიქრობს და ფიქრის ენით გვიზიარებს თავის შთაბეჭდილებებს. ეს ხერხი გავრცელებულია ჩვენს პოეზიაში. მაგრამ პოეტი აქაც პოულობს ახალ რაკურსს - მან თავისი ინტელექტუალური აღქმისა და განწყობილებებისათვის მიმართა მუსიკას. ეს მაშინ, როცა **ლექსის მელოდიურობა ლამის ანაქრონიზმად იქცეს და პოეზია ყრუ მუსიკოსს დაემსგავსოს.** ჭარბმა ინტელექტუალიზმმა, განსჯამ და ანალიზმა პოეტები მუსიკის ჰარმონიას ჩამოაცილა. გივი ალხაზიშვილმა ეს აღიქვა როგორც ნაკლი. ამიტომ აღადგინა ლექსში მუსიკის პრიმატი, როცა მელოდიად ქცეული განწყობილება, ბგერების ევფონიური და ესთეტიკური გადანაწილება აწესრიგებენ აზრის მდინარებას. ეგებ არც ლექსების სათაურების გახსენებაც იყოს ზედმეტი - **„ვიოლინო - ზღაპრის დასაწყისი“, „ჰობოის სოლო“, „დიდი ოქტავა“, „პატარა ოქტავა“, „პირველი ოქტავა“, „ისევ ოქტავა“, „ბზარი (უკანასკნელი სამი დღე მევიოლინე სიმონის ცხოვრებიდან)“, „სამი ელეგია“, „რვა ელეგია“...**

ბგერათა ქაოსი მოწესრიგების შემდეგ თავადვე იქცევა აზრად ან კიდევ - არაცნობიერი ფსიქიკის სიღრმიდან ასოციაციურად ამოზიდავს ბავშვობის შთაბეჭდილებებს, გადავიწყებულ ფაქტებს, გადამქრალ საგნებს:

„კენწეროებმა საღამო იგრძნეს,
ჩამავალი მზის დასრულდა რკალი
და ჭილყვავებით ამღვრეულ სივრცეს
თანდათანობით ეჩვევა თვალი...
გასული წელი მოვა თავიდან

იგივე ფიქრით, სულ სხვა სახელით,
ჟამი, რომელიც შენთვის გავიდა,
შეეყინება თვალებს გახელილს“.

გივი ალხაზიშვილისათვის მუსიკა არის ფიქრის გაშლის საშუალება. საერთოდ ინტელექტუალიზმი ვერ ჰგუობს მელოდიისა და კეითლხმოვანებისადმი მიდრეკილებას. მაგრამ პოეტი ცდილობს ტრადიციის შენარჩუნებას და მასთან სიახლეთა შეთავსებას, რათა **რთული აღქმა მკითხველისათვის იოლი აღსაქმელი აღმოჩნდეს**. ამიტომ ასოციაციები, ფიქრების მდინარება იცილებს ბუნდოვანებას, იძენს სინათლეს. სიტყვა ხდება გამჭვირვალე და მაშინაც ავლენს მუსიკალურ ნაკადს, როცა მიმართავს ვერლიბრს. ეს ვერლიბრისათვის მომგებიანიც არის. ასე შეიძლება რიტმულობის შენარჩუნება, რასაც, ჩვეულებრივ, ქმნიან კლასიკური ლექსის ატრიბუტები - რითმა, ტაეპი, სტროფი:

„ღამის ქვეყანა,
ღამის ცაზე ანგელოზები,
ვარსკვლავებს რომ ამოქარგავენ,
ბავშვის ტირილი, მდუმარებაში რომ დაიღვრება,
როგორც სევდიან ფლეიტის სოლო -
ის ჩვენი ხმაა, ყველას ხმაა შეერთებული,
გადარჩენილი უმანკოების წიაღიდან ამომდინარე“.

ფიქრისა და მუსიკის შეერთების საფუძველია **ესთეტიზმი**, უფრო სწორად - სიტყვის გრძნობა საგნობრივ სახეს ჰპოვებს ასოციაციების მუსიკალურ მდინარებაში. პოეტი საგანგებოდ არჩევს სიტყვებს, მათ კეთილხმოვანებას, შეხამების წესს, ცდილობს ამაღლებულ განწყობილებათა ფიქსირებას, რომელიც სცილდება ყოველდღიურობას, ყოველდღიურობის ფუსფუსსა და მტვერს:

„შენსკენ მახედებს ვიოლინოს შორეული ხმა,
შენსკენ, ვინც თავად მიგატოვე და უარგყავი...
ხელისგულები ავიფარე დაღლილ თვალებზე
და სიბნელიდან შენი სახე კვლავ ამოცურდა,
ხელიგულებზე შენი ღიმილი ამოიქარგა“.

ხოლო **ეს ყოველდღირობა საბჭოთა სინამდვილეა**, უსულო და უღმერთო, ყალბი და ბოროტი, რომლისადმი ყრუ პროტესტი, რომლისადმი განდგომა არის გივი ალხაზიშვილის პოეზია და ეს პათოსი ნათლად გამოვლინდა ცხრა აპრილს დახოცილებისადმი მიძღვნილი ლექსით. ყოველდღიურობით დაფლეთილი სული ვერ იცლის ფიქრისა და მუსიკისათვის, არადა სწორედ ესენია **„თავისუფლებისაკენ მიმავალი გზები“**. როგორც ვხედავთ, პოეტისათვის ფიქრი და მუსიკა არა მხოლოდ აზროვნების მოდუსია, შემოქმედების განმსაზღვრელი სპეციფიკაა, არამედ - **თავისუფლების** სინონიმიც. იქნებ ამიტომაც ენატრება ზეცისაკენ

სწრაფვა („**დარდი: ცაში გსურდა წასვლა, ჯერჯერობით ვერ წახვედი**“).

გივი ალხაზიშვილის ლირიკას წლების მანძილზე მკვეთრი სახეცვლილება არ განუცდია. პოეტმა ადრევე მიაგნო მისთვის მახლობელ და ფასეულ სალექსო ფორმებს, ადრევე გამოიმუშავა სინამდვილის ესთეტიკური და ოდნავ აბსტრაქტული, განყენებული ხედვა. ალბათ იმიტომ, რომ **აბსტრაქცია ესთეტიზმის ნაწილია**, ხოლო ყოველდღიური მოვლენები - უხეში და ინტერესმოკლებული. პოეტი აკონკრეტებს სახელებსა და მისამართებს, არც ისტორიაში გადადის. იგი შეგნებულად ცდილობს მინიმუმამდე შეამციროს გეოგრაფიული, ისტორიული თუ ლიტერატურული სახელები. სამაგიეროდ - გაამძაფროს შინაგანი ხილვა, გადმოგვცეს შინაგანი ცხოვრება, ალუზიებით, ნახევარტონებით, ასოციაციებით წარმოგვიდგინოს თანამედროვე მოქალაქის ფიქრები, აწეწილი ფსიქიკა, მდგომარეობა და იდეალები. პოეტის განწყობილებას მელანქოლიაც სდევს, ჩუმი და ფარული სევდა. იგი არაცნობიერად არსებობს, ლამის გენეტურადაც გადმოეცეს პოეტს, როგორც ქართველობის არსის თანამდევი ცნება, მისი არსებობის ხვედრი. და ეს სევდა იმდენად ბუნებრივია, სულერთია რა დაერქმევა მას - ბუნდოვანი სიზმარი თუ დაკარგული ბავშვობა:

„ჩემი ბავშვობა - ჰერბარიუმი,
ხმელი ფოთოლი, ყვითელი ხმელი,
შენახულია წიგნში სათუთად -
ფერგადასული ყოველი წელი,
შენ, მხოლოდ შენ თუ შეაფერადებ,
მტრედის ფრთასავით ფაქიზი ხელით“.

საერთოდ ქართული პოეზიის თვისებაა აბსტრაგირება, მოვლენების ამაღლებული წარმოსახვა. მას უფრო ზეცა აინტერესებს, ვიდრე მიწა, უფრო ზოგადია, ვიდრე კონკრეტული, პათეტიკას ელტვის და ქუჩის ხმაურს გაურბის. იქნებ ეს აღმოსავლური წარმომავლობით აიხსნას. მაგრამ სწორედ ეს თვისება შეერწყა სიმბოლიზმის ესთეტიკას და გივი ალხაზიშვილმაც მიიღო ამგვარი ტრადიცია, როგორც ესტაფეტა. შეიძლება დღევანდელობისათვის **ჭარბი ესთეტიზმი, სიტყვის კულტი და გემოვნების დემონსტრირება მაღალფარდოვნებად** ჩანდეს. მაგრამ პოეტი არ ცდილობს მასის თვალსაზრისის მიყოლას. იგი ქმნის და მოელის მკითხველს, რომელიც მივა მასთან. ხოლო ის ბარიერი, რასაც წარმოშობს სალექსო კულტურა, დაძლიოს პროფესიონალის გემოვნებამ. ეს ანტაგონიზმი არახალია, ძველია, რასაც მოსდევს მასისაგან გაუცხოება. გივი ალხაზიშვილის ლირიკის სათავე წმინდა ხელოვნებაა, რომელიც უარყოფს პატრიოტიკის, სოციალური და პარტიული თემების ექსპლოატაციას. ეს ავტორის პოზიციაა და, შესაძლოა, ბევრი არც და-

ეთანხმოს. მაგრამ ისიც ნათელია, რომ გზა, რომელიც პოეტმა აირჩია, მეტისმეტად რთულია და ძნელი. აქ მასობრივ პოპულარობაზე ფიქრი ზედმეტია. სამაგიეროდ იგი გათვლილია ინტელექტუალური ელიტის იმ ნაწილზე, ვისთვისაც ფასობს სიტყვის კულტურა, ესთეტიზმი, ადამიანის სულიერი მიმოქცევის ნიუანსები:

„შენს ფანჯარაში,
როგორც ჩარჩოში ჩასმული ხატი,
წმინდა გიორგის ეკლესია ისე მოჩანდა
და როცა ზარებს რეკდა მნათე
და როცა სივრცე იტბორებოდა ვერცხლისფერ ხმებით -
მესამე ფანჯრის თვალსაწიერს შეანათებდა
საუკუნეთა გაქვავებული ცრემლების შუქი -
ტაძრის ნანგრევი“.

დრო, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ, ადამიანებს ნიველირებით ემუქრება. პოეზიაშიც ვრცელდება საერთო სტილი. მაგრამ შემოქმედი, როგორც ყოველი ადამიანი, ცდილობს თავისი ინდივიდუალობის გადარჩენას, მასისაგან გამოყოფას, რათა ასე აღიბეჭდოს მკითხველის მეხსიერებაში. გივი ალხაზიშვილი სარგებლობს ზოგადი, თუ შეიძლება ითქვას, ინტერნაციონალური სქემებით, მაგრამ მათ ავსებს პიროვნული ხედვით, ტკივილით, ფიქრითა და აღმაფრენით. ამიტომ მისი ლირიკა თვითმყოფადია და ორიგინალური, ოღონდ არა გამომწვევი, ერთი შეხედვით, ერთი წაკითხვით რომ ყურადღება მიიზიდოს. იგი თხოულობს ჩაკვირვებას, გაცნობასა და გააზრებას. ექსტრავაგანტური ან მჩატე ლირიკა სხვადასხვა ფენებში სწრაფად ჰპოვებს აღიარებას, მითუმეტეს თუ ავტორი ნიჭიერია. ხოლო გარეგნული ეფექტებისაგან, სამკაულებისაგან განძარცული ლექსი, რომელსაც ამავე დროს სიახლის პათოსი ახლავს, საჭიროებს მკითხველის მოთმინებას, სტილური პოლიფონიის აღიარებას, რაც ჩვენ, ერთი აზრის დიქტატურის ქვეყანაში აღზრდილთ, მეტისმეტად გვიჭირს.

გივი ალხაზიშვილი ურბანისტული ლანდშაფტების მხატვარია. **„მე შევეჩვიე მტვერსა და ხმაურს და ქალაქის შავ-ყვითელ ჰაერს“**, წერს პოეტი. მაგრამ ეს სიტყვა უფრო ეკუთვნის იმ კაცს, ვინც კი არ დაიბადა პოსტინდუსტრიალურ სამყაროში, არამედ მივიდა მასთან. ხოლო გივი ალხაზიშვილი თავისი ხედვითა და მსოფლგანცდით არის ურბანისტი. ეს ვლინდება, აგრეთვე, ლექსიკით, მასალით, ტროპული აზროვნებით, რაც უფრო იოლი აღსაქმელია კონტრასტულ ფონზე.

ამ მხრივ გვმართებს გავიხსენოთ **„იახსარი“** - ლირიკული პოემა. წარმართული, დევებთან და ქაჯებთან მებრძოლი ღვთაება შემოდის დაკლაკნილ შუქში. პოეტს იგი ახსენდება, როცა ფანჯარას აღებს და ქალაქის

ხმაური ოთახში შემოიჭრება. ასოციაცია ტრიალებს იახსარის ირგვლივ და ეს თემა აერთიანებს ფიქრების ნაკადს, რომელიც გადმოიცემა სხვადასხვა სალექსო საზომებითა და განწყობილებებით. ქალაქში მცხოვრები პოეტის ოცნება გადადის შორეულ დროში და დღევანდელ პატრიარქალობის ნაკრძალში. ურბანიზმი და არქაიკა, მანქანა და ცხენი, ხელოვნური შუქი და სისხლის ტბა, აი ასეთი ანტინომიები ქმნიან ამ უფაბულო პოემის თავისუფალ სტრუქტურას. პოეტის მიზანია ძველი რომანტიკა შეუფარდოს ახალ დროს, ხელოვნურ და ტექნიკურ ურთიერთობათა ჯამად ქცეული გარემო შეავსოს უშუალობითა და სიცოცხლის სხივით. ამიტომ თუ ჩვეულებრივ ურბანიზმი ბადებს რაციონალურ, განსჯისა და შეცნობის პოეზიას, გივი ალხაზიშვილი რომანტიკოსია, ოღონდ მისი რომანტიკა ზომიერია და შეგუებული დროის სულისკვეთებასთან:

„შორიდან, ძლიერ შორიდან ისმის,
როგორ ქვითინებს ჩემი ბერდედა“.
„დაგუბდა ზეცა მომაკვდავი ცხენის თვალებში“.
„უცნაურია შენი ტკივილი,
ის ჰგავს კედელზე ამოსულ ბალახს...
შენ უნდა გქონდეს ბალახის სიჯიუტე, -
აგე, რამდენი საუკუნეა,
თიბავენ და მაინც ამოდის“.

ახალმა დრომ რომანტიზმის წილ მოიტანა ავანგარდული რაციონალიზმი, რომლის ორიენტირია არა ფსიქიკა, არამედ - ცნობიერება, – არა გული, არამედ - გონება. მაგრამ გივი ალხაზიშვილი უარყოფს ინტელექტის პრიმატს, პოეზიის ქცევას რებუსად ან თამაშად. იგი ტრადიციად ქცეული სილამაზის, დახვეწილი ფორმისა და რთული ასოციაციური ხედვის ერთგულია. საერთოდ ასოციაცია, საგანთა სიმრავლე და სიმჭიდროვე მუსიკალურ სტრიქონებს ძნელად აღსაქმელს ხდის მასისათვის. მაგრამ პოეზიის მოყვარული სწორედ სიღრმესა და სირთულეს ეძებს სიტყვათა ტევრში, რადგან მჩატე და მსუბუქი ლექსი იოლად გვახსომდება, მაგრამ სწრაფადვე გვავიწყდება და გვბეზრდება. რთული პოეზია ყოველთვის ავლენს უხილავ ნიუანსებს, რომელთა აღრიცხვა და ამოწურვა შეუძლებელია. ამიტომ იტაცებს გივი ალხაზიშვილს რთულად გააზრებული სინამდვილის მოდელი, ოღონდ, როგორც ითქვა, მას შემდეგ, რაც ოცნებით მოწესრიგდა და მიეცა ესთეტიკური სახე:

„გაყოფილია ჩვენი არსებობა
ცხოვრებად და სიცოცხლედ,
დღედ და ღამედ, ცხადად თუ სიზმრად
და მივაბიჯებთ ძილღვიძილის იისფერ ზღვასთან.
დღისით იმავე ადგილზე ვდგავართ,

როცა სიზმარში გადავივლით ცხრა მთას
და თუ სიზმარში მოვადენთ ზღართანს,
გაგვეღვიძება და გვიხარია,
რომ სიზმარში მივიცვალეთ
და არა ცხადში“.

მაგრამ ცხოვრება თავისას მოითხოვს. მას უფრო ფხიზელი რეალისტები სჭირდება, თუნდაც იმიტომ, რომ გადარჩეს რომანტიზმის ცისფერი ყვავილი. ამიტომ საკუთარი თავის გაფრთხილებად ჟღერს პოეტის ლოზუნგი - **„რომანტიკოსო, დახედე მიწას“**. თუმცა ამ მიწაზე დგას **„ნეიტრონის საუკუნე“**, იყიდება **„დიეტური ლექსების წიგნი“**, **„სიყვარულის ანტიკვარი - ჩაწყვეტილი რკინის საწოლი“**, ციმციმებს ცრემლი - **„ჭეშმარიტების ანარეკლი“**, ბატონობს ნაცრისფერი და ნაცარი. მაგრამ აქვე ანთია იმედის სანთლებიც და ეს იმედი არის ხვალინდელი დღე საქართველოსი:

„ჩვენ ჩავიშლებით, მაგრამ ხომ მოვლენ,
ხომ დაიწყებენ მერე თავიდან...
ახალშობილთა თვალების ხომლი
ამოგვასხივებს მიწის ღამიდან“.

ცხრა აპრილის შემდეგ ბევრი რამ შეიცვალა ჩვენს ცხოვრებაში. ის, რასაც ადრე ვმალავდით და არ ვამჟღავნებდით, ახლა იქცა წამყვან მოტივად. პოეზიისათვის აქ საფრთხეც იმალება: არ წარმოიშვას ახალი პროპაგანდისტული ბუმი, **შიშველი აგიტაცია**, ქადაგება ლიტერატურული უმწეობის ხარჯზე. გივი ალხაზიშვილი აქაც არ-ჩევს ზომიერებას. ლექსების ციკლი, რომელიც მან „ცისკარში“ გამოაქვეყნა, მრავალმხრივ საყურადღებოა. პოეტის სათქმელს ისევ ახლავს ღრმა და გაუნელებელი სევდა (**„ვერ ვეგუები დღესასწაულებს, მღლის ლხინი ანდა ძლიერ მანაღვლიანებს“**), გარდასული ყალბი დღეების მწვავე განცდა (**„მე მრცხვენია უზრუნველი დღეების გამო“**) და თავგანწირვის პათოსი (**„მე ვერ მოვიცლი სიხარულისთვის, მე არ მიყვარს ბედნიერება, მე მრცხვენია ბედნიერების“**). მაგრამ ეს ყოველივე პოეზიის ენით არის ამეტყველებული, მთავარი იდეა - ქვეტექსტად ქცეული. ამიტომ მხოლოდ წამიერად გაიელვებენ კონკრეტული რეალიები:

„ის, ვისაც ახსოვს ალესილი ნიჩბების ბრწყინვა,
ის, ვისაც ახსოვს ტანკები და წყეული შხამი,
ვერ მალავს გულში ჩაგუებებულ ცრემლების წვიმას,
ვერ მალავს თვალებს ამოქოლილს აპრილის ღამით“.

კონკრეტული რეალიები პოეტს აძლევენ იმპულსს, განწყობილებას, შთაგონებას, რომელთა განსჯა იქცევა ლექსად (**„რვა ელეგია“**). ხოლო პირველსაწყისი ლამის თვალს მიეფაროს, რადგან პოეზიისათვის

მთავარია არა ფაქტი, არამედ - ფაქტის გააზრება, განცდის ხარისხი. დანარჩენი პუბლიცისტიკაა, რომელსაც უცხოობს გივი ალხაზიშვილის პოეზიის სტილი. **„რვა ელეგია“** ნაღვლიანი პოემაა, მიძღვნილი ცხრა აპრილის ტრაგედიისადმი, თუმცა არსებითად მასში მთელი გასული წლის ფერისცვალება აირეკლა (**„გადავიღალე გზების ძიებით, გუნდრუკის კმევით, სიმართლის მალვით“, „თითქოს ჰაერიც აღსავსეა გესლით, სიავით“, „შენც, მგლოვიარე ხალხის ცრემლი შენც მოგერევა“, „სველი ფესვები შეგვხვდებიან სამარის კართან“**).

ჩანს, რომ პოემა მოგვიანებით დაიწერა, ისე ხშირად იხსენიება **შემოდგომა** - დაღლილობისა და მწუხარების მაცნე. იგი შეესაბამება პოეტის განწყობილებას, ვისთვისაც სევდა ის უძირო ჭაა, რომელიც გამუდმებით აწვდის ლექსის მასალას. **ქართველი პოეტისათვის სევდა არსებობის ბუნებრივი მდგომარეობაა, ასევე - მისი ანალიზი, განსჯა და შეფასება.** როგორც ითქვა, იგი შეესასაბამება ჩვენს ისტორიულ ხვედრსაც. მელანქოლია - ეს დაკარგულზე ფიქრისა და ჩუმი გლოვის ახმიანებაა ან კიდევ - არსებულის შეცნობა:

„მწამს თვალებიდან გამომზირალ მდუმარე კვნესას,
შემკრთალი ვუმზერ უცოდველთა უმანკო სწრაფვას,
რადგან ამ ქვეყნად კვლავ მძინვარებს ღვარძლი და გესლი
და ყველა ჩვენგანს სასწაულით უმზადებს საფლავს“.

... **„აქვეა, დახლზე, თომას ელიოტის „უნაყოფო მიწა“, დახლქვეშ X-ის წიგნებს მალავენ“**, წერდა კარგა ხნის წინათ გივი ალხაზიშვილი. მას შემდეგ დაიმსხვა ძველი სტერეოტიპები, ამოძრავდა მიძინებული სისხლი. მაგრამ ბინდი ისევ ფარავს მთასა და ბარს და ელეგიებით დაღლილი პოეტის ოცნებაა - **„გაიხსენ, ცაო, განბანილო უცოდველთ სისხლით, გამოგვიჩინე გზა, რომელიც არ მოჩანს დღესაც“**.

„ცისკარი“, 1990, №11

ტრაგიკული ათწლეული

„საქართველოც უდაბნო იქნებოდა,
სისხლით რო არ გაჯერებულიყო“.
ოთარ ჩხეიძე

„მე ვკითხულობდი „ქართლის ცხოვრებას“
წუხელის დიდხანს, გათენებამდი,
როგორ გჩეხავდნენ, ჩემო ქალაქო,
სისხლით მოედნებს როგორ ღებავდი“.

ასე წერდა **გიორგი ლეონიძე** 30-იან წლებში, როცა ეგონა, რომ აღარ მობრუნდებოდა სისხლიანი, კოშმარული ჟამი და თითქოს საქართველოს ეღირსა მშვიდობა და თავისუფლება.

ცხადია, ეს იყო მხოლოდ ილუზია, ან უბრალოდ თავის მოტყუება.,

თურმე ქვეყანას ჯოჯოხეთის გარსები კიდევ უნდა გაევლო, არავინ უწყის - რამდენი, ცხრა თუ ცხრაჯერ ცხრა.

და, აი, ჩვენს თვალწინ საქართველოს კიდევ ერთხელ დაუდგა ბორკილთა მსხვრევისა და აღზევების, შინაომისა და დაცემის ჟამი.

ეს მეოცე საუკუნის მიწურულია და ამ ეპოქის მხატვარია **ოთარ ჩხეიძე**, რომელსაც 1993-2002 წლებში დაწერა და დაბეჭდა ოთხი ვრცელი რომანი - **„არტისტული გადატრიალება“, „თეთრი დათვი“, „ბერმუდის სამკუთხედი“ და „2001 წელი“.**

განცვიფრება მიპყრობს, როცა ვკითხულობ ამ წიგნებს, აღსავსეს დიდი ეროვნული გრძნობით, მწერლური სიახლით, ტრაგიკულ მოვლენათა უჩვეულო აღქმითა და ჭვრეტით.

თითქოს მათი ავტორი იყოს არა 80-ს გადაცილებული, მხცოვანი, სიტყვასთან და უკუღმართ დროსთან ბრძოლით დამაშვრალი მწერალი, არამედ ახალგაზრდა კაცი, რომელსაც მხოლოდ სიახლე სწყურია.

ოთარ ჩხეიძე მაგალითს აძლევს ახალთაობას თავისი აზროვნებით, სტილით, მოვლენათა ეროვნულ-პოლიტიკური ხედვით. მაგრამ მწერალმა თავისი სტილიც განაახლა, როცა ბობოქარი ცხოვრება შემოუშვა პროზაში, როცა ჭარბად შემოიტანა დოკუმენტური მასალა.

საოცარია ავტორის მეხსიერებაც, ისტორიული რეალიების აღნუსხვისა და განსჯის უნარი (ქურდი ღოროც კი არ არის დავიწყებული!), მათთან გამოგონილ პერსონაჟთა ბედის დაკავშირება.

შეიძლება ბევრი რამ აღარც გვახსოვდეს და მხოლოდ მომავალში აღადგინოს ისტორიკოსის კალამმა. ამიტომ უნდა წაიკითხონ ოთარ ჩხეიძის რომანები სხვადასხვა დარგის სპეციალისტებმა, სხვადასხვა ფენის მკითხველებმა, წაიკითხონ და შეიმეცნონ, მიუხედავად სპეციფიკური სტილისა, რადგან **„ბორიაყის“** ავტორი თავისი სტილითაც სა-

ინტერესოა და აქტუალური, არა მხოლოდ პრობლემებით ან თხზვის ოსტატობით.

***

ძველი თაობა, რომლის იდეალები დრომ არ გაამართლა, კომუნისტების დითირამბებით ამთავრებდა ცხოვრებას. მოდიოდა ახალი ძალა, აღზრდილი ბოლშევიზმის წიაღში, რომელიც ძირს უთხრიდა თავის სისხლიან მეურვეებს.

ოთარ ჩხეიძე იყო პირველი ჩვენს მწერლობაში, რომელმაც უარყო ერთი მხრივ - სოციალისტური რეალიზმის პრინციპები, მეორე მხრივ - იდეოლოგიური დოგმები, არა თეორიულად, არამედ შემოქმედებითი პრაქტიკით, მხატვრული სიტყვით.

მან დაიწყო განახლების პროცესი, რომელიც ასე წარმატებით გაიშალა 60-იანი წლებიდან და მოიცვა ლიტერატურის ყოველი სფერო.

ამ თვალსაზრისით ოთარ ჩხეიძე მოგვაგონებს ვასილ ბარნოვს, რომელიც წინ უსწრებდა ახალგაზრდა მოდერნისტებს, შემდეგ კი მათ პარალელურად ქმნიდა ახალ პროზას.

სუსხიან თოვლქვეშ გაზაფხული იწყებდა სუნთქვას.

***

ოთარ ჩხეიძის ოთხი ახალი რომანი აცოცხლებს იმ კოშმარულ, ტრაგიკულ და აბსურდულ ათწლეულს, რომელშიც ვცხოვრობდით. ეს ათწლეული კი მოვლენათა სიუხვით ასწლეულს უდრის.

„არტისტული გადატრიალება“ რომანია 1991-1992 წლების სამხედრო-კრიმინალურ პუტჩზე, რომელსაც მოჰყვა დამარცხებათა მთელი სერია, **მძიმე ეროვნული დეპრესია**.

ავტორი არ დამდგარა არც დამარცხებულის, არც გამარჯვებულის მხარეზე. მან აჩვენა სიმართლე და ასახა სამშობლოს ინტერესები, თუმცა მწერლის პოზიცია ნათელია, რაც „არსენას ლექსის“ პერიფრაზით ათქმევინა მესტვირემ **ზვიად გამსახურდიას** რუსთხელმწიფის მიმართ:

„შენი ყმობა არ მინდოდა, მე სხვა ცოდო არ მადევსა“.

ამ თემის, თავისუფლებისა და დაუმორჩილებლობის თემის გაგრძელებაა **„თეთრი დათვი“**, რომელშიც მთავარია აფხაზეთის ტრაგედია. ამჯერადაც ავტორის ძიებას მივყავართ „რუსთ ხელმწიფის“ ინტრიგებთან და ძალმომრეობასთან, რაც თეთრი დათვით არის სიმბოლიზებული.

აქ უფრო სასტიკი ხდება დროის ქარბორბალა და პერსონაჟები თითქოს ლანდებს ემსგავსებიან, რომლებიც წამიერად ჩნდებიან და ქრები-

ან ამ ქაოსში. მთავარ პერსონაჟ **ბაადურ რიკოთელსაც** ნაკლებად ვხედავთ. ყველაფერს ბურუსი ჰფარავს.

სახელმწიფო გადატრიალებასა და აფხაზეთის ტრაგედიას, რომლის მსგავსი იშვიათია ჩვენს ისტორიაში, მოჰყვა ნგრევა და რღვევა, სულიერი და ეკონომიკური დომხალი, სასოწარკვეთა, რაც ამჯერად **„ბერმუდის სამკუთხედით“** არის სიმბოლიზებული.

ცივი ქარი ისევ მოჰქრის ჩრდილოეთიდან და ახლა თეთრი დათვის ტორი პანკისის თავზე აღმართულა. ეს არის რომან **„2001 წლის“** მთავარი თემა. მაგრამ ისიცაა ნაჩვენები, თუ როგორ ხრავს და სპობს ქვეყანას შინაგანი კრიზისი, როგორ **„ბნელა საქართველოში“**.

ასე რომ, ოთხივე რომანი ერთი ეპოპეაა, ტრაგიკულ-აბსურდული ეპოქის მატიანე, დახატული ნაირგვარი ხერხებით, ამეტყველებული ისტორიული თუ გამოგონილი სახეებით.

როგორც წერდა **ლეო ქიაჩელი** - ეპოქები იმზირებიან ადამიანთა თვალებით.

***

„ოჰ, ღმერთო ჩემო, სულ ძილი, ძილი,
როსღა გვეღირსოს ჩვენ გაღვიძება“.

ეს **ილია ჭავჭავაძეა**, 60-იანი წლებისა, რომელსაც მემკვიდრეობით ერგო სევდა ქართლის ჭირსა და ქართლის ბედზე.

მაგრამ გავა საუკუნენახევარი და **ბესიკ ხარანაული** იტყვის - დაღლილი ხარ, საქართველო, დაიძინე, საქართველოო.

ეს ორი სხვადასხვა პოზიციაა. ერთი აქტივობასა და თავისუფლებას ქადაგებს, მეორე დუმილსა და მორჩილებას არჩევს.

ერთი გადარჩენაა, მეორე - დაღუპვა.

ასე იყო 20-იან წლებშიც, როცა დაუდეგარი ლურჯა ცხენების გვერდით ბედის მორჩილი ვირებიც გამოჩნდნენ ქართულ პოეზიაში.

ოთარ ჩხეიძე საქართველოს გადარჩენისა და თავისუფლების ქადაგი იყო როგორც გამყინვარების ჟამს, ისე ამ ტრაგიკულ და ქაოსურ წლებში.

***

„ბორიაყის“ ავტორი XX საუკუნის საქართველოს მემატიანეცაა, თუ რა გადახდა სამშობლოს 1921 წლის შემდეგ.

ადრე მწერალს აინტერესებდა არა საყოველთაოდ ცნობილი მოვლენები, ისტორიული ფაქტები და პირები, არამედ ქართული სული და ის ქარიშხალი, რომელიც მოსპობით ემუქრებოდა ქვეყანას.

ჟამი იცვალა და მწერლის გმირები გახდნენ სწორედ ისტორიული ფაქ-

ტები, ისტორიული პროცესები, რადგან **„მშვენიერება არის ერი“**, როგორც შენიშნავს ოთარ ჩხეიძის ერთი ჭაბუკი პერსონაჟი **(„ლანდები“)**.

მემატიანეც მრავალგვარია, პოეტი იქნება იგი, პროზაიკოსი თუ ისტორიკოსი. ზოგს გარდასული დღეები იზიდავს, მოვლენებს ემიჯნება, ან თავად არის მონაწილე. ზოგიც პროცესში არ ერევა, გარედან აკვირდება, მაგრამ სწრაფად რეაგირებს და ცდილობს განსაზღვროს მისი სახე, სულერთია, იქნება იგი ოპოზიციონერი თუ ხელისუფლების მეხოტბე.

მწერალი პროცესის წარმმართველი, კალაპოტის მიმცემი ვერ იქნება, მაგრამ ადამიანს სჭირდება პასუხი დღევანდელ მტანჯველ კითხვებზე, თორემ დღეს ვის აღელვებს კოლექტივიზაციის პრობლემა ან სოციალიზმის იდეები.

ერთ დროს **ფრიდრიხ ნიცშემ** წამოსწია **„დისტანციის პათოსი“**, რაც **კონსტანტინე გამსახურდიამ** 20-იან წლების ქართულ სინამდვილეს მოარგო, რადგან სიმართლის თქმა აკრძალული იყო.

ეს თეორია იყო ერთ-ერთი ჯებირი, რაც დაუხვედრა მწერალმა წითელ ტაიფუნს, თუმცა იგი პრაქტიკულად არც განუხორციელებია.

დღეს სხვა ვითარებაა და ოთარ ჩხეიძეს სწორედ მღელვარე ეპოქა, სამშობლოს ბედისწერა აძლევს სათქმელს და სტიმულს, რათა დახატოს **ერის სოციალური, პოლიტიკური, ფსიქოლოგიური პორტრეტი.**

***

საქართველოში ერთი ასეთი პარადოქსიც მოხდა:

საბჭოთა ეპოქის ჩუმი ოპოზიციური მწერლები გამოგონილ გარემოს ეფარებოდნენ, სიმბოლოებსა და ალეგორიებს თხზავდნენ, თითქოს არღვევდნენ ოფიციოზის ესთეტიკურ ნორმებს, თითქოს ნაციონალურ ტკივილს ესალბუნებოდნენ.

მკითხველს ეგონა, რომ შეფარულ პროტესტს ჰკეტავდა კომუნისტური წნეხი, თორემ მათი ფანტაზია ქვეყანას წალეკავდა, მაგრამ როცა დაირღვა წითელი იმპერია, განზე გადგნენ და დუმილი არჩიეს, ან კიდევ - ძველი დროის ნოსტალგია მოეძალათ.

ეროვნულ-განმათავისუფლებელმა მოძრაობამ თითქოს დამბლა დასცა ქართულ მწერლობას.

შემოქმედს არ ევალება მიტინგებზე ან ბარიკადებზე ბრძოლა.

არც ხელისუფლების, თუნდაც ეროვნულის, ხოტბა ევალება. მან სიტყვათა მოზაიკად უნდა აქციოს სულის ძახილი და დროის ქარიშხალი. ქართველ მწერალთა დიდმა ნაწილმა კი ვერაფერი თქვა, ან თუ თქვა - ერთობ უმწეოდ და უნიათოდ, საკუთარი ხალხის წინააღმდეგ.

ოთარ ჩხეიძე იმ გამონაკლისთაგანია, რომელიც არათუ გაჩუმდა, ახალი რკალიც შემოხაზა და პროზა სწორედ ერის ტკივილებზე დააფუძნა.

ასე შექმნა ეს ოთხი რომანი, რომელთაგან **„არტისტული გადატრიალება“** ქართული პროზის თვალსაჩინო მიღწევაა, XX საუკუნის ერთ-ერთი საუკეთესო ქართული რომანი, არა მხოლოდ ავტორის მოქალაქეობრივი სიმამაცის მაგალითი.

***

ოთარ ჩხეიძის მთავარი პერსონაჟები გამოგონილი პირებია. მაგრამ უკავშირდებიან ისტორიულ და რეალურად არსებულ ფიგურებს, მოქმედებენ მათ წრეში, განავრცობენ მათ თვალსაზრისს, ან ეურჩებიან და ებრძვიან.

გდიდის (ზუგდიდის) თეატრის მსახიობი **ლუო** მხარს უჭერს **„მრგვალ მაგიდას“**. ამიტომ ჩამოდის თბილისში. ზოგჯერ **ზვიად გამსახურდიას** მიტინგი მიჰყავს სასახლის წინ, სადაც სკამის ფეხი ჩაარტყეს ოპოზიციონერებმა. კმაყოფილ პრეზიდენტს ერთხელ ხელიც კი ჩამოურთმევია (**„არტისტული გადატრიალება“**)!

ლუოს შორეული ნათესავი ბაადურ რიკოთელი მონაწილეობის განდევნილი პრეზიდენტის დასაცავ მიტინგებში, სადაც სასტიკად სცემენ. აფხაზეთის ომში, ისევე როგორც სხვა მრავალი, გენერალი გახდა. მის წინაშე ამბობს მონოლოგს დამარცხებული პრეზიდენტი (**„თეთრი დათვი“**).

პიროვნება-რებუსი, რუსულად გაზრდილი, მოსკოვიდან ჩამოსული **გიზო კორძელი**, ხან **მანანა არჩვაძესთანაა**, ხან - **ვაჟა ადამიასა** და **პანტელეიმონ გიორგაძის** მიტინგებში მონაწილეობს. შემდეგ კი ყველგანაა - ისევ მიტინგებზე, სახელმწიფო კანცელარიაში, აეროპორტში, ამერიკის ელჩთან. **ასლან აბაშიძესთან** უთანხმოება აქვს - თხილის ბიზნესი უნდა ჩაეშალა (**„ბერმუდის სამკუთხედი“**).

ფირმის პრეზიდენტი **უშანგი**, რომელსაც ვიცნობთ **„ვენეციური ჭაღიდან“** და **„თეთრი დათვიდან“**, პანკისის ხეობის ხლართებშია გახვეული და მრავალ თანამედროვე პოლიტიკოსს უკავშირდება (**„2001 წელი“**).

მთავარი პერსონაჟები ისტორიული რეალიების მონაწილენიც არიან - ეს იქნება **9** აპრილი, გაგრისა და სოხუმის დაცემა, ჭუბერის კოშმარი, თბილისის ომი თუ კომერციული ბალაგანი, როცა, მწერლის სიტყვებით რომ ვთქვათ, **პარლამენტი ქუჩად იქცა, ქუჩა კი პარლამენტს დაემსგავსა.**

მეორე მხრივ, პერსონაჟებს თავიანთი ცხოვრება აქვთ, არცთუ ამაღლებული, ჩვეულებრივი, მიწიერი, რომელშიც ეროტიკულ ეპიზოდებს საგრძნობი ადგილი უკავია, მაგრამ ქალებთან ურთიერთობას არა აქვს საბედისწერო ხასიათი. ეს ხანმოკლე ურთიერთობაა, მოკლებული ძლიერ გრძნობას, ასე რომ შეგვაჩვია კლასიკურმა ლიტერატურამ.

მიზეზი ისიცაა, რომ პერსონაჟები გადასცდნენ სიჭაბუკის ასაკს. მაგ. ლუოს ჰყავს ცოლშვილი. იგი 25 წლის წინათ წასულა გდიდში და იქ დამკვიდრებულა. დედაქალაქში რომ დაბრუნდება, ხვდება თანამედროვე მენადას – მოჭიკჭიკე თეას, რომელიც ზვიადის დამხობაზე ოცნებობს; გიზო კორძელი - უნივერსიტეტის საპატიო დოქტორი და რამდენიმე აკადემიის წევრი, რომანტიკული და ეროტიკული ავანტიურების მოყვარულიცაა; უშანგის ცოლი გარდაცვლილი ჰყავს, შვილები - დაბინავებული, თავად ფუნდუკი მოუწყვია გომბორზე - **„სპორტი გადაარჩენს საქართველოს“.**

გამოგონილი პერსონაჟები ამ ორომტრიალში სტიქიურად არიან ჩართული. მთვარეულივით დახეტიალობენ, ეძებენ ვნებას, სიხარულსა და ფათერაკს. მათ უცნაური დრო მართავს და მიაქანებს მდინარის ერთი ნაპირიდან მეორისაკენ.

რეალურად არსებული პერსონაჟები თავიანთი გვარსახელით შემოდიან ტექსტში. მხოლოდ რამდენიმეა დაქარაგმებული, თუმცა პროტოტიპი იოლად შეიცნობა (მაგ., განათლების მინისტრი **კვაჭი**, მწერალთა თავმჯდომარე **წივა**). გეოგრაფიული პუნქტებიც ზუსტად სახელდება. მხოლოდ ერთია სახეცვლილი - **გდიდი (ზუგდიდი)**. დანგრეული, დაქცეული სამშობლოს სურათები კი ასეთია: **„ფერო ინგრეოდა, მეტალურგიული ქარხანა ინგრეოდა, ზესტაფონი არ დაინგრეოდა., რუსთავი ეგებ რო დანგრეულიყო, გამოკეტილიყო კარი რუსთავისა, ოდესღაც ჰო გამოკეტილიყო. აღარც რო ეპისკოპოსი რუსთავისა, აღარც რო რუსთველი მბრძანებლებიო, ოდენ გველთა და ღრიანკალთა რო დარჩენოდათ ნანგრევნი პალატთა, დარჩენოდათ და დარჩებოდათ., ჯართად იყიდებოდა რუსთავი. ჯართი აქ უნდა შემოსულიყო, აქ უნდა გადაედნოთ ჯართი. ჯართად იყიდებოდა ზესტაფონიცა, ჭიათურაცა, ღვინის ქარხნებიცა გურჯაანისა თუ თელავისაო, მეწილეს აქედანაც ერგებოდა რაღა თქმა უნდა ის შორეული ჰო შორეული, ეს დღევანდელი რაღად უნდა დამეკარგაო, ნიშანს მოუგებდა კეთილისმყოფელი: დღევანდელი კვერცხიცაო და ქათამიცა ხვალინდელიო. იცვლებოდა, იყიდებოდა, არ იყო მშველელი, ჭკუა არა რა, ვერ იტყოდი: ჭკუა იყო, ველარა ჭრიდა, ზევით ნაბრძანები, ქვევით იფშხვნებოდა, ქვევით ნაქმნარი იხსნებოდნენ და ინიშნებოდნენ: სულ ზევითაცა, ცოტა ქვევითაცა, სულ ქვევით ვიღა უნდა მოეხსნათ? პენსიონერები? მშრომელები? მოხსნილიყვნენ. ის იყო, არც აშრომებდნენ, აღარც აძლევდნენ არაფერს დახმარებასაო? შემცირებულიყო., სულაც შეგიწყვეტთო, სავალუტო ფონდმა, მსოფლიო ბანკმა, გეყოფათ ეს გარდამავლობაო: ამოქმედდითო, ამოძრავდითო, თქვენი თავიო მართლა თქვენად რო გეყუდნოდეთ თქვენივე შრომით უნდა გეყუდნოდეთო, ილიასაგან ეს დაესწავლათ: გვეყუდნო-**

დესო, ის არ ახსოვდათ: უნდა ვიშრომოთ, უნდა გავნათლდეთო,. ილია! იტყოდნენ ჟრუატელითა, შრომა არაო, განათლება არაო.

დიპლომი?

ჰქონდა ზოგს ორორიცა,

განათლება - არა.

ვერ გასძღოლოდა ვერავინ ვერაფერსა. ფული უნდოდა ხელისუფლებასა. იყიდებოდა, იყიდებოდა ქარხნები, ფაბრიკები, სარელეო ხაზები, ლიანდაგები, ვაგონები, ელმავლები, თვითმფრინავები, ნავთსადგურები, გემები. იკარგებოდა შემოსავალი. სად მიდიოდა, არავინ იცოდა, ზოგჯერ არცრა შემოდიოდა. ეძებდნენ, ეძებდნენ. მისამართები ირეოდა, ის ბანკი აღარ იყო, ის შემკვეთელები აღარსად ჩანდნენ („ბერმუდის სამკუთხედი“).

ეს არის გოდება ქართლის ბედზე, რომლის კაეშანი საფლავში ჩაჰყვათ ჩვენს წინაპრებს.

გრიგოლ ორბელიანს ეკუთვნის საშინელი სიტყვა - **„იყიდება საქართველო“**.

30 წლის შემდეგ ამასვე იტყვის **ნიკო ლორთქიფანიძე.**

ჟამი იცვლება, მაგრამ **იოსებ გრიშაშვილი მაინც** ამბობს:

„აი, ქართლის ხმა სად იყიდება,
ჯავახიშვილო და ინგოროყვა“.

ჟამი კიდევ შეიცვალა, უკეთესობას პირიმაინცარ უჩანს და ამიტომ წერს ოთარ ჩხეიძე, რომ დანგრეულია საქართველო, ხოლო რაც ნგრევას გადაურჩა, **„იყიდება და იყიდება“ („2001 წელი“, „ბერმუდის სამკუთხედი“).**

სად არის საშველი, ვინ არის დამნაშავე?

ალბათ ყველა ხელს გაიშვერს რუსეთისაკენ, რომელიც არის ყველა ჩვენი უბედურების სათავე. ამიტომ შეხვდნენ ერთმანეთს მოსკოვში, **ზურაბ წერეთლის** ატელიეში, ქართველი მეამბოხე **კიტოვანი** და რუსის გენერალი **გრაჩოვი.** მეამბოხეს გადასცეს იარაღი და პეჩორის დივიზიის ჯარისკაცები საქართველოს პრეზიდენტის დასამხობად, თქვენ უკეთეს ცხოვრებას და უკეთეს ხელისუფალს იმსახურებთო **(„არტისტული გადატრიალება“).**

მაგრამ მხოლოდ გარე ფაქტორები არ ყოფილა გადამწყვეტი.

ზვიად გამსახურდიას უთქვამს სიკვდილის წინ - ქართველი ხალხი დამოუკიდებლობისათვის მზად არ აღმოჩნდაო.

ზვიად გამსახურდიას მიტინგებს ათეულ ათასობით კაცი ესწრებოდა თბილისსა და ზუგდიდში, ბევრი დაიღუპა კიდეც. მაგრამ როცა გაუჭირდა, მის გვერდით არავინ აღმოჩნდა.

რომანტიკული ეიფორია შეცვალა სასტიკმა სინამდვილემ.

რუსეთმა, ამერიკის დასტურით, კრიმინალური ბანდები დაძრა პრეზიდენტის წინააღმდეგ. კაცი, რომელიც იყო ინგლისური ენისა და ამე-

რიკული ლიტერატურის სპეციალისტი, ევრო-ამერიკის მოძულედ და აზიელ დიქტატორად გამოაცხადეს, ხოლო რუსეთის მიერ აღზრდილი და რუსიფიკატორი **შევარდნაძე** - ახალი ევროპეიზმის მედროშედ!

ოთარ ჩხეიძე არ გახლავთ რომელიმე პერსონის, მათ შორის - ზვიად გამსახურდიას აპოლოგეტი. ზოგჯერ მისი ხედვა ირონიულიც კი არის პირველი პრეზიდენტის მიმართ. მაგრამ სწორად მიაჩნია მისი თვალსაზრისი, პოზიცია და მოქმედების ფორმა.

ეს ყველაზე ნათლად ჩანს მას შემდეგ, რაც აღწერილია პუტჩის დღეები, როცა პრეზიდენტს გადაუდგნენ ძველი თანამოაზრენი, მის მიერ გამოგონილი ფიგურები:

„თითქოს რო მიილულება ბატონი პრეზიდენტი, თითქოსა, თითქოსა. ქუთუთოები ჩამოვარდნია. აიწევს, დაიწევს. აიწევს. ჩამოვარდება: ამათ რაღა უნდათ, რას აეშალნენ ეს თავისი დაზრდილი ყმაწვილები, არაფერი რო ამათ არ გაეგებოდათ. დეკლარაციებიც რო ამან გააგებინა, პიროვნების თავისუფლებაცა, ერიცა და პიროვნებაცა, ერის თავისუფლებაცა; იმპერიაც ამან შეაგნებინა, ანექსიაცა, ოკუპაციაცა, დამოუკიდებლობაც ჩაუდო თავშია; მიტინგებსაც ამან შეაჩვია, ლაპარაკსაცა, შეუპოვრობაც ჩაუნერგა ამანა, ჩაუნერგა და ჩაუნერგა თავის საჭიროდა; ჭაობიდან ამოიყვანა და დასხა ქვეყნის მმართველებადა; თითო კათხა ლუდს თუ ვინმე დაალევინებდა, ბედნიერი ეგონათ თავი, ჟიპიტაურსაც თუ ვინმე მიუდგამდა, გადიოდნენ მეცხრე ცაზედა; კონიაკის გემო ამან გააგებინა, შამპანურის გემოც გააგებინა, - ვითომ არაფერიო; ახლაც ახალი კოსტუმები ჩააცვა, შეკვანძა ასწავლა ჰალსტუხებისა, ამანა, ამანა, ყველაფერი ამანა და თავისი ხელითაც შუკვანძა თითქმის ყველასა, პირველ სესიაზე რო მიჰყავდა უზენაესი საბჭოსი; საბჭოშიც ჰო ამანვე გაიყვანა; უმადლიდნენ კიდევაცა, ეთაყვანებოდნენ კიდევაცა, გადაეფარებოდნენ კიდევაცა, თუ თავს დაესხმოდნენ რაღა თქმა უნდა, გადაეფარებოდნენ და გადაჰფარებიან კიდევაცა. რა იყო! ჩაეცინება გუნებაშია., აიწევს ქუთუთოები. ჩამოვარდება. თურმე ნუ იტყვი ჭკუაში რა უდევთ და რას ელოდებიან!..“ („არტისტული გადატრიალება“).

კიდევ ერთხელ განმეორდა წარმართული წესი და ბიბლიური შეგონება - **შვილები აღდგნენ მამის წინააღმდეგ.**

მწერლის დასკვნა:

„არც მოსწრებია უფრო შემზარავი სიავე თბილისსა, დეკემბერ-იანვრის ამბები რო გახლდა“ (ბერმუდის სამკუთხედი“).

ეს ყოველივე კი გაკეთდა რუსული გეგმით და ქართული ხელებით, ტრიუმვირატის ანუ ოთარ ჩხეიძის სიტყვებით რომ ვთქვათ, **ტრიუმვირების** მიერ, კრიმინალებსა და „ინტელიგენტურ ბრბოს“ რომ მოუძღ-

ოდნენ სამშობლოს დასაქცევად.

ზვიად გამსახურდიას ანტითეზა არის ედუარდ შევარდნაძე.

მწერალს თხრობაში ეპიზოდურად შემოჰყავს იგი. უფრო კი ხატავს იმ გარემოს, იმ ატმოსფეროს, რომელიც შექმნა მეორე პრეზიდენტმა; იმ რღვევის პროცესს, რაც მოჰყვა მის მმართველობას, მის მიერ თბილისის აეროპორტში გამოცხადებულ პირველსავე ფრაზას - **მივესალმები ინტელიგენციას, იარაღი რომ აიღო ხელში ტირანიის დასამხობადო („ბერმუდის სამკუთხედი“).**

თუ შევკრებთ რომანებში გაფანტულ ცალკეულ მახვილ, ირონიულ გამოთქმებს, ჩვენს წინაშე წარმოსდგება შევარდნაძის ნამდვილი ხასიათი და პორტრეტი:

„ჩვენ მადლობელი ვართ გვარდიის როლისაო. თავიდან აგვაცილა აგრესიული ნაციონალიზმიო“ („თეთრი დათვი“).

„ჯაშუშები პარლამენტშიც არიან“. ცხარობდა ცხარე პარლამენტარი. „სახელმწიფოს მეთაურმა ეს უნდა იცოდეს„..“ვიცი“, მიუგებდა სახელმწიფოს მეთაური... პირადადაც ვიცნობ... მეტსაც გეტყვით: მთავრობაშიც არიან. ვიცი“ (იქვე).

„გუდაუთი რო გადაგვევლო, ამას ჰო მოჰყვებოდა გენოციდი აფხაზეთისაო“ (იქვე).

პასუხი ელცინისადმი, როცა ზვიად გამსახურდია თბილისზე წამოვიდა:

„ჩვენ ყველაფრის თანხმობას ვაცხადებთ“ (იქვე).

„ცხარობდა პრეზიდენტი. გადასვამდა. და, გადმოსვამდა მინისტრებსა. აამაღლებდა და დაამდაბლებდა. ძალიანაც არაო. დამსახურება ჰქონდათ, პურისჭამა უნდოდათ“ („ბერმუდის სამკუთხედი“).

„დროებითი იყო რო ყველაფერი, ხელისუფალნიც რო დროებითნი გახლდნენ, იცვლებოდნენ და იცვლებოდნენ მინისტრები, აღზევდებოდნენ და ცვივოდნენ პანტაპუნტით. მუდმივად ქმნილიყო მხოლოდ ერთი: პრეზიდენტი ქმნილიყო მხოლოდღა მუდმივადა. ისიც ისე რო სახელებს იცვლიდა, წოდებებს იცვლიდა, ბოლოსღა დაერქმია პრეზიდენტი“ (იქვე).

„ბაღაფში: სინამდვილე ის არის: აფხაზეთი და საქართველო დამოუკიდებელი სახელმწიფოებია. ეს შეთანხმებულია. შევარდნაძესთან არის შეთანხმებული. სხვა დანარჩენი მხოლოდ ბლეფია“ (იქვე).

„ეს უბედურებაა. ამტკიცებდა პრეზიდენტი. დროა ბოლო მოეღოს უბედურებასა საქართველოში. დროა“ („2001 წელი“).

XX საუკუნის დამოუკიდებელ საქართველოს სამი მმართველი ჰყავდა - **ნოე ჟორდანია, ზვიად გამსახურდია და ედუარდ შევარდნაძე.**

სამივე დაამხეს.

დაგვრჩა ნაქარალი, ნაქორალი, გაგლეჯილი და გამოგლეჯილი სა-

ქართველო, ისევ გიორგი ლეონიძის სიტყვა რომ მოვიშველიოთ.

ედუარდ შევარდნაძის პოლიტიკა, რომელიც ემსახურებოდა არა ქვეყნის გაძლიერებას, არამედ ძალაუფლების შენარჩუნებას, დამღუპველი აღმოჩნდა საქართველოსთვის, რასაც მიხვდნენ მისი გაზრდილები, მიხვდნენ და **ისევ აღდგნენ შვილები მამის წინააღმდეგ, აღდგნენ და დაამხეს კიდეც.**

პრეზიდენტი კი - **„ქილიკობდა. იცინოდა პრეზიდენტი. ასდევდნენ ყველანი“ („2001 წელი“)**, რადგან როგორც იტყოდნენ ძველი ბერძნები ქვეყანას როგორი პირველი პირი ჰყავს, ისეთივე არიან ხელქვეითნიც.

„ერს თუ დაღუპავს, ცინიზმი დაღუპავს“, - ამბობს ოთარ ჩხეიძის ერთი პერსონაჟი **(„ლანდები“)**.

ცინიზმი და ნიჰილიზმი, ინტრიგა და დემაგოგია - აი ედუარდ შევარდნაძის პოლიტიკის წყაროები და შემადგენელი ნაწილები. საბოლოოდ კი იგი დარჩება ისტორიაში, როგორც დამარცხებული დიპლომატი, რომელმაც ყველა მოლაპარაკება კაპიტულაციით დაასრულა, დამარცხებული მთავარსარდალი, რომელმაც დაკარგა აფხაზეთი და სამაჩაბლო, დამარცხებული პოლიტიკოსი, რომლის მრავალწლიანი კარიერა კატასტროფული აღმოჩნდა საბჭოთა კავშირისა და საქართველოსათვის.

***

„თეთრი დათვი“ რეალისტური ლიტერატურის რომანია, მართალი, პირუთვნელი, დაუთმობელი რეალიზმისა“, - შენიშნავს **ოთარ ჩხეიძე.**

ლიტერატურის საფუძველი რეალიზმია.

ეს არის ის მიწა, რომელსაც ფეხს მაგრად დაჰკრავს მწერალი, რომ ოცნებით ცაში აიჭრას, მაგრამ ყოველ დროს შეაქვს კორექტივი რეალიზმის ცნებაში, ისევე როგორც პიროვნების ფსიქიკასა და ხასიათში.

ყველაფერი განახლების მუდმივ პროცესს ემორჩილება.

რეალიზმიც ვერ ეგუება ლიტერატორთა მიერ დაწესებულ სამანებს,

ახალი დროის მდინარება რეალიზმის ველზეც ახალ კალაპოტს ჰკვეთს.

ოთარ ჩხეიძის რეალიზმიც დიდად განსხვავდება იმ ავტორთა მრწამსისა და ხედვისაგან, რომელთაც შესჩვევია ჩვენი მკითხველი. ეს, პირველ ყოვლისა გულისხმობს ყოვლისმომცველ ეპიკურ თხრობას, ტრაგიკული ფინალით, პერსონაჟის დაღუპვით.

ოთარ ჩხეიძე ახსენებს, მაგრამ დეტალურად არ აღწერს მთავარ დრამატულ აზრებს. მას აინტერესებს არა კულმინაციის ჩვენება, არამედ ფაქტის ფიქსირება, მისი განსჯა, მის გარშემო ასოციაციური ქსელის თხზვა.

მაგ., **გიზო კორძელის** ფოლკსვაგენმა მორებით დატვირთულ მანქანას ვერ გადაასწრო და გაისრისა. ავტორი: **„ალბათ არ ისურვებ აღწერას იმისა თუ როგორ გაიჭყლიტა ადამიანი, როგორ გაისრისა, როგორ განიადაგდა, როგორ აილუფხა ერთმანეთშია შუშაი, რკინაი, თუნუქი, ძვალი, ხორცი, ზეთი, ბენზინი, სისხლი, სისხლი, სისხლი სისხლში“ („ბერმუდის სამკუთხედი“).**

ზოგჯერ ტექსტიდან მთავარი პერსონაჟიც იკარგება და მისი არსებობა მხოლოდ იგულისხმება (მაგ. **ბაადურ რიკოთელი „თეთრი დათვიდან“**) ან გადადიან რომანიდან რომანში (მაგ. **ლუო „არტისტული გადატრიალებიდან“ „თეთრ დათვში“, უშანგი „ვენეციური ჭაღიდან“ „თეთრ დათვსა“ და „2001 წელში“**).

ზოგი პერსონაჟები ნათესავებიც არიან (მაგ. **ლუოსა** და **ბაადურის** ბებიები დები ყოფილან).

„არტისტული გადატრიალების“ ავტორს რეალიზმის სივრცეში უხვად შემოაქვს ავანგარდისტული ლიტერატურის მიერ აპრობირებული ხერხები - ირონია და გროტესკი, შარჟი და სატირა, ცნობიერების ნაკადი, როცა ფიქრები თითქოს სტიქიურად, თავისუფლად მოძრაობენ.

ოთარ ჩხეიძისათვის მიუღებელია **გაუცინარი პროზა**, პათეტიკა და მხოლოდ ტრაგიზმი.

ასე ხდება დრამატული მოვლენების დეჰეროიზება. **ამ პროცესს არცა ჰყავს ტრადიციული გმირები, რომლებიც ავტორის ორეულებად იქცევიან ხოლმე. ისინი მხოლოდ პერსონაჟები არიან, პროცესის მონაწილეები, არა წარმმართველნი.**

უარიყოფა პოეტური პროზის ატრიბუტიკა - პათეტიკა და მელოდიკა, შედარება და მეტაფორა. ჩვენ ვხედავთ პერსონაჟის არა პორტრეტს, არამედ მოძრაობას. ამიტომ ერთი მხრივ ხდება თხრობის გამიწიერება და ნაწილობრივ - ნატურალიზება, მეორე მხრივ - ბუნებრიობის, უშუალობის სტილიზება.

არც გარემო და არც სიტუაცია არის ტრადიციული, ეპიკური სიდინჯით დახატული. მას ცვლის **კინემატოგრაფიული დინამიურობა**, როცა ყველაფერი ღელავს, მოძრაობს და ნიაღვარივით მიედინება, როცა ყოველი დეტალი და ნიუანსი თხრობის სტიქიას ემორჩილება, საგანგებო დახვეწისა და გალამაზების გარეშე.

სიმბოლიკაც ირონიულ ელფერს იღებს თანამედროვე ბალაგანის ფონზე (მაგ. მილიონ 800 000 წლის დმანისელი წინაპარი, აბრეშუმის გზა).

მწერალი ირონიული ხედვით, ეფექტური დეტალებით, ჭარბი დახასიათების გარეშე წარმოგვიდგენს პერსონაჟებს. თითქოს სხვათაშორის გვაწვდის სპეციფიკურ ნიშნებს, მაგრამ ისე მოხდენილად, რომ წარუშ-

ლელად რჩება მეხსიერებაში.

გავიხსენოთ მკითხველისათვის ნაცნობი სახელები, რათა მსჯელობა უფრო ცხადი გახდეს:

<u>მიხეილ სააკაშვილი:</u> „ყველას მოეხსენება თუ როგორ აწყდება პრეზიდენტის კანცელარიასა. სააკაშვილი ისევ აწყდება. ისევ ისე. თავგამეტებით. აწყდება. და აწყდება. ურახუნებს და ურახუნებს ან გაანგრევს და შევარდება და დაეუფლება. დაეწაფება ანუ მწყურვალი. დაეწაფება. დაეწაფება ან დაეცემა ეზოშივე. კანცელარიისა. გულშემოყრილი. რეტდასხმული“ („2001 წელი“).

<u>ვიტალი ხაზარაძე:</u> „მე ვარ ცისფერი“?! ბრდღვინავდა. ხაზარაძე. წამოჭარხლებული. „ახლავე მომიყვანე ცოლი შენი!.. ჩქარა მომიყვანე!.. მე შენ გაჩვენებ თუ რა ცისფერი ვარ!.. აქვე გაჩვენებ!.. ჩქარა!.. ჩქარა!.. ჩქარა მომიყვანე. იმანაც მოიყვანოს თავისი ცოლი“ (იქვე);

<u>ვახტანგ ბოჭორიშვილი:</u> „მაგათი ენა მაგათზე უკეთესად ვიცოდი, მაგათი ლიტერატურა მაგათზე უკეთესად ვიცოდი. მაგათი ისტორია მაგათზე უკეთესად ვიცოდი. მე ვინ დამჩაგრავდა! ერთს მეტყოდნენ, ათს ვეტყოდი, ვინ დამჩაგრავდა“ (იქვე).

<u>ასლან აბაშიძე:</u> „კლინტონს მიახლოვებოდა ასლან აბაშიძეი. ხიდი გაედო. ხიდების ოსტატი ბრძანდებოდა. 140 თუ აჭარაშიო, ერთიც პირდაპირ კლინტონთან გაედო“. („ბერმუდის სამკუთხედი“).

ედუარდ შევარდნაძე:“ არ უსმენდა შევარდნაძე. სხვანი ტყუილად არ აჰყვებოდნენ. არას არ უსმენდა. ფაცაციასა და ხმასაც თუ დაჰყრიდა გულმოსული. შევარდნაძე: აღარ წავალო. პირველი თვითონ დაერჭობოდა ყველა შეკრებაზე პრეზიდენტებისა დსთ-სი, სადაც არ უნდა მოეწვია. სამიტი მოსკოვსა“ („2001 წელი“).

<u>ზვიად გამსახურდია:</u> „მამა რო კონსტანტინე ჰყავდა, კოლხური კოშკი რო ედგა, შურდათ, ფარშავანგი რო დადიოდა ეზოში, შურდათ, შვლის ნუკრიც შურდათ ცხადია, მაინც ვერაფრით დაიჯერებდნენ, პრეზიდენტად რო მოევლინებოდათ ეს ბიჭი, ვერის აღმართებზე რო არბი-ჩარბოდა. ვერც დაიჯერებდნენ, არც უნდოდათ, რო დაეჯერათ: ისევ ზვიადას უწოდებდნენ, პრეზიდენტს – არა“ („არტისტული გადატრიალება“);

<u>ირინა სარიშვილი:</u> „თითქოს ყორანი წამომჯდარაო, - შავი შავი ერთიანადა, დასჩხავის მწარედა, შემზარავადა, მაცნეი შავი“ („თეთრი დათვი“);

<u>გია ჭანტურია:</u> „გადმოკიდულიყო ალექსიძის თეატრთანა, ჭანტურიაი, ისიც აგრეთვე მიკროფონითა, აგრეთვე ყანწივით რო ეჭირა ხელშია, ოღონდ ისე რო: თითქოს და აი ფრჩხილზე უნდა დაიბერტყოსო – („არტისტული გადატრიალება“);

<u>ვახტანგ გოგუაძე:</u> „მე თქვენ როგორ მიყურებთ?! ხუთასკაციანი

სუფრის თამადა ვყოფილვარ გურიაში სახლის გადახურვაზე. თქვენ რა გგონიათ! თქვენ რა ხართ? ორასოცდახუთი და ნახევარიც არ ესწრებით!.. ვერ მოგივლით?! მოგივლით! ჩამოვყალიბდეთ ახლა, ჩამოვყალიბდეთ!.. („თეთრი დათვი“).

<u>თამაზ კვაჭანტირაძე:</u> „კვაჭი. კვაჭის კვაჭი. კვაჭი ფრჩხილადაც რო აღარ ეყოფოდა. არც ეურჩებოდნენ. დამსახურება მიუძღოდა ახალთა წინაშე. აბა!.. ვის მიუძღოდა ღვაწლი ასეთი?!.. პრეზიდენტობას ეცილებოდა გამსახურდიას. ეცილებოდა. იკვეხიდა. გამარჯვებას იმედოვნებდა. იმედოვნებდნენ. აუხდათ ასე: 7 ხმა მიიღო, 7-ად 7. გამარჯვებაც ასეთი უნდა“ („ბერმუდის სამკუთხედი“).

<u>ნოდარ ნათაძე:</u> „იქ მოითხოვეთ, ზღვაზე მოითხოვეთო - ურჩია პრეზიდენტმა, - მაინც იქ.... მიზანში სროლასა სწავლობთ, გვარდიელების ფორმას ეტოლებით, დაძუნძულებთ შვეიკივითაო.

„ვინ არის შვეიკი?!“ იჭექებს დეპუტატი ნათაძე, - იჭექებს, იჭექებს, ვეღარ იტყოდი: დაიჭიჭყინებსო... იჭექებს.

„ჩეხი მწერლის იაროსლავ ჰაშეკის გმირი“, მიუგებს პრეზიდენტი, მშვიდად მიუგებს, ანუ უფრო ისე: ვითომ და რაო, გამოცდაზეო.

„მართალია!“ უდასტურებს პროფესორი ნათაძეი, კმაყოფილია პროფესორი“ („არტისტული გადატრიალება“).

ასეთივე სისხარტით, ასეთივე დოკუმენტების სიზუსტით არიან დახატული **თენგიზ სიგუა, თენგიზ კიტოვანი, ჯაბა იოსელიანი, ელცინი, კულახმედოვი, გრაჩოვი, აკაკი ელიავა, ვალერი კვარაცხელია, ჯემალ გოგიტიძე, გიორგაძე, ნიკო ჭავჭავაძე, კახა თარგამაძე, ლოთი ქობალია, ჯანსუღ ჩარკვიანი** და სხვა მრავალი ისტორიული თუ რეალურად არსებული პიროვნება. მათ ერთვის გამოგონილ პერსონაჟთა მთელი მასა.

თხრობისა და პერსონაჟთა ჩვენების **მთავარი ხერხია ირონია**, რომელიც გადადის სატირასა და გროტესკში. ირონიული მზერით არიან დახატული როგორც პერსონაჟები, ისე მღვრიე პროცესი. ასეთი დეჰეროიზებით სინამდვილე ბალაგანს ემსგავსება.

აი, ბობოყვათში ხვდება **ედუარდ შევარდნაძე ასლან აბაშიძეს („ბერმუდის სამკუთხედი“)**. მათ შეხვედრას ესწრება მესტვირე, რომელიც ცეკვავს და სტვირს დამღერს **„განდაგანას“** მოტივზე ორი პოლიტიკოსის კუპლეტებს.

მესტვირესთან ერთად წრეში ცეკვავენ **პრეზიდენტი** და **თავმჯდომარე**. მათ გალექსილ დიალოგს არ სცილდება ერთი სიტყვა - **„განდაგანა“**, რომელიც ერთი მხრივ არის მუსიკალური ინტონაცია, მეორე მხრივ - პოლიტიკური პოზიცია. კომუნისტების მიერ მოხაზული **„ბედისწერის სამკუთხედი“** - სოხუმი-ცხინვალი-ბათუმი ახალ ბორკილად ექცა საქართველოს თავისუფლებას;

ელენე თევდორაძე აფრთხობს **კახა თარგამაძეს**, პანკისელმა მარგოშვილმა კასეტა მომცაო, ყველაფერი გავიგე ამ კასეტითო, თუმცა რა ნახა - არ უთქვამს. მინისტრი მაინც გაფიცხდება, კასეტის ხსენება წონასწორობას აკარგვინებს. კასეტა კი ჰქუხს პარლამენტში, ტელევიზიაში, რადიოში, პრესაში. მაგრამ ბოლოს ირკვევა, რომ ქალბატონ ელენეს კასეტა სტრასბურგში ისე დარჩენია, რომ ნანახი არცა ჰქონია („2001 წელი“)!

„აი, სეირი ჯერ არნახული“, როგორც იტყოდა პოეტი.

ირონიულია ცალკეულ პერსონაჟთა სახელებიც. მაგ. **ტურიკა, მურიკა და შურიკა, ნუნუ,** რომელსაც ეს სახელი მაშინ ჰქვია, როცა მინი აცვია, ხოლო **რუსუდანი**, როცა მაქსის ატარებს („2001 წელი“), **ცუცა** თუ **ცაცი, მსხვილი აბაშიძე, წივა (წივწივაძე), კვაჭი (კვაჭანტირაძე), ლუო (ლუარსაბი)** და სხვ.

ჩვენს თვალწინ ჩაივლიან „დაფხავებული პანტელეიმონიჩები“, „მოკვიჟინებული ასლანიჩები“, „ნათელაშვილიჩები“, „რჩეულიშვილიჩები“, „ჭაჭია-პატიაშვილიჩები“, ე.ი. ყველა მათგანს აერთიანებს რუსული ორიენტაცია.

ირონიულია პერსონაჟთა მეტყველებაც. მაგ. როგორ იმუქრება პოლიციის მინისტრი თარგამაძე: **„მე არავისი არ მეშინიანო. მე რკინა ვარო. მე ქვა ვარო., კაჟი ვარ გაუტეხელიო. ვერავინ მე ვერ დამამსხვრევსო., თვითონ შემომესმსხვრევიან ყველანი მეო. გაცხარებულიყო. არ მეშინიანო და გაცხარებულიყო“ („2001 წელი“).**

ამ ქადილიდან ორი კვირის თავზე მინისტრი მოხსნეს.

რკინის კაცი ჩუმად წავიდა, პროტესტისა და ხმაურის გარეშე (განსხვავებით ზეიკიძისაგან), თითქოს ცვილის კაცი ყოფილიყო.

ირონიულია არსენას ლექსის პაროდირება, საბას იგავების პერიფრაზი, სულხან საბაოლოგის არაკები, ალეგორიული აზრი რომ გააჩნიათ.

ოთარ ჩხეიძე მეტწილად იყენებს ავანგარდისტული ლიტერატურის ხერხებს. ამასთანავე, ცალკეული ეპიზოდებისა და მასალის მიხედვით მიმართავს მოდერნისტული მწერლობის დრამატულ ესთეტიკას და ყოველთვის ეფექტურად (ხოლო ტრადიციული ეპიკური თხრობისათვის ადგილი აღარც რჩება).

მაგ., შავით მოსილი ლუო, რომელსაც პუტჩისტებმა ვაჟი მოუკლეს აღაიანში; ზვიადის მონოლოგი ბაადურის წინაშე; გაგრისა და სოხუმის დაცემის სურათები; ბაადური ჭუბერის გზაზე **(„თეთრი დათვი“)**; ზამთრის თბილისი, გოჩა ესებუას ისტორია **(„ბერმუდის სამკუთხედი“)**.

სიმბოლიკებიც გავიხსენოთ - ზღვა „არტისტულ გადატრიალებაში“, რუსეთი - თეთრი დათვი, ქართული დომხალი - ბერმუდის სამკუთხედი და სხვ.

„არტისტული გადატრიალების“ შემდეგ ნელდება დრამატული ინტონაციები და **ოთარ ჩხეიძის პროზაში ტოტალურად ბატონდება ირონია და სატირა, რაც პროტესტი და სკეპტიციზმია მოძალადე ხელისუფლებისადმი.**

აი, როგორი ლირიკული მღელვარება ახლავს სტრიქონებს, როცა ირონია უკან იხევს:

„სიონი ალყაში მოქცეულიყო თუ ციხეს შეადარებ,
მისცურავდა მღელვარე ზღვაშია თუ გემს შეადარებ,
არადა ტაძარი გახლდა, ბევრჯერ დარბეული ტაძარი“
(„არტისტული გადატრიალება“).

ან როგორი დრამატულია მწერლის სიტყვა, როცა კიდევ ერთხელ დაბნელდა სამშობლოს ზეცა:

„უბნები გაიყო. ქუჩები გაიყო. ოჯახები გაიყო თუ გაიპო. გაიპო ყველა და ყველაფერი. პიროვნება გაიპო. გაიპო. დარბის გახლეჩილი და დაეძებს ნაწილი ნაწილსა. თითქოს იპოვნის და შეეწებება ისევე თითქოსაო. მართლაც თითქოსაო. მალე რომ მიჰხვდება: უცხო რა არის და აეხლიჩება ასევე მალეო; აეხლიჩება და დარბის ისევე დარბის და დაძრწის, დაწანწალებს, დაეხეტება. ვერ უპოვნია ნაწილს ნაწილი, თავისი ნაწილი რაღა თქმა უნდა. ალყა ვიწროვდება. ზღვა დაიძრა, მოტანებულა სასახლესთანა. სანაპიროზე ტანკები გრუხუნებენ. ეს ოპოზიციაა. მთავრობა იკეტება სასახლეშია: ტანკებით იკეტება, ბეტეერებითა, ქვემეხებითა, ქვიშის ტომრებითა, სნაიპერებითა, თავდადებული მოიერიშეებითა“ („არტისტული გადატრიალება“)...

ასე რომ მწერლის თვალით დანახულ ჩვენს სინამდვილეში ერთმანეთს ენაცვლება იუმორი და ნაღველი, ნამდვილი და გამონაგონი, ირონია და დრამატიზმი, ერთგულება და ღალატი, ფარსი და სიმართლე, შარჟი თუ ტრაგედია. მაგრამ **ოთარ ჩხეიძის მზერა მეტწილ ირონიულია, რადგან ამ დომხალში, ამ ბალაგანში, სულიერ ღირებულებათა დამხობის ჟამს, ნაკლებად გამოკრთის რწმენისა და გმირობის მაგალითები, მომავალ თაობას ლეგენდად რომ გადაეცემა.**

***

„საქართველოს მთებში გაგაჩინა ზენამ,
ხმათა ხავერდების და ღმერთების ენავ“.

ეს კი **ლადო ასათიანია,** პოეტი-ტრაგიკოსი, ჭლექთან მებრძოლი კაცი.

სიტყვის კულტი, ლირიზმი, რიტმი, მელოდიკა იზიდავთ პოეზიიდან მოსულ პროზაიკოსებს. მაგრამ სხვაა, როცა მწერალი ქმნის თავის ენას, ახალ სააზროვნო მოდელს, რაც თუ თვითმიზანია, მნიშვნელობას ჰკარგავს.

მოდერნისტებმა ენა გააფეტიშეს, ავანგარდისტებმა - დაამსხვრიეს. ერთგან საფუძველია პათეტიკა, მეორეგან - ირონია.

ენას მხოლოდ საკომუნიკაციო ან ექსპრესიული ფუნქცია როდი გააჩნია. ის არის მასალა და ეროვნული გონის გამოვლენაც, სამყაროს აღქმისა და მსოფლჭვრეტის ხატი.

ინდივიდუალური სამეტყველო მოდელი შექმნეს **ვაჟა-ფშაველამ, ვასილ ბარნოვმა, გრიგოლ რობაქიძემ, კონსტანტინე გამსახურდიამ.**

ახალ დროში ასევე მოიქცა **ოთარ ჩხეიძე**. მაგრამ მისი საფუძველი იყო არა მშობლიური არქაიკა ან დიალექტი, არამედ - **თანამედროვე ენის სინტაქსური მოდელირება**, როცა სინონიმთა ტალღური მოძრაობა და ემფატიკური ა-ს სტილიზება მეტყველებას უჩვეულო ელფერს აძლევდა.

ოთარ ჩხეიძის ენას თავიდან უნდობლად შეხვდნენ, რადგან **კოლექტივი მუდამ კრძალავს ენობრივ გადახრას** და შემოქმედს აიძულებს ნიველირებას, სტანდარტისადმი მორჩილებას.

შემდეგ ლიტერატორებმა მიიღეს ეს ფაქტი, თუმცა ავტორისათვის მაინც წამგებიანად თვლიდნენ.

თავად ავტორი კი სცვლიდა თავის მეტყველებას, განავრცობდა მას, აქცევდა ფიქრის ენად, შინაგან მონოლოგად, ცნობიერების ნაკადად.

სწორედ **„ცნობიერების ნაკადის“ რომანებია ეს ოთხი წიგნი**, რომელთაც ვეხებით. სპეციფიკურ სახეს იღებს აბზაცი, რომელიც ზოგჯერ რამდენიმე გვერდს იკავებს, პუნქტუაცია, სინტაქსური კონსტრუქცია, იკარგება შემასმენელი, ლაიტმოტივურად მეორდება ერთი სიტყვა, რათა ყურადღება მასზე იყოს მობილიზებული. შესაბამისად თხრობის სტილი ხდება დაძაბული, ნერვიული.

წინადადებებიც ისევე იმსხვრევა, როგორც ასახული ეპოქა.

მე ვფიქრობ, **ამ რომანებში კიდევ უფრო საინტერესოა ოთარ ჩხეიძის ენობრივი მოდელი**, მრავალნიუანსიანი და მრავალფერი. ცნობიერების მდინარებაში თავს იყრის უამრავი ფაქტი, პოლიტიკა და ცხოვრება, ლიტერატურა და ფსიქოლოგია. თითქოს ავტორი თავადაც ემორჩილება ამ ნაკადს. ის მხოლოდ ფიქსატორია, ქაღალდზე გადამტანი ფიქრთა ქარიშხლისა. იგი არც გალამაზებას ცდილობს, არც ხელოვნურ გართულებას - ენის სტიქია მბრძანებლობს მწერალზე. ასოციაციათა თამაში ერთმანეთს უკავშირებს სხვადასხვა ფაქტებს, რომელთა ლოგიკური ერთობა წამიერად ჩნდება და ქრება:

„ჰგლეჯს. გაცვივიან. დაუშენენ შუშის კედლებსა. ციხეს რად უნდა რკინის კარებიო. უწყრებოდნენ ნიკოლოზ II-სა 905-ელები, - მას უნდა ჰქონდეს შუშაბანდებიო. დაუწმენდნენ შუშაბანდებსა, დაუშენდნენ და დაუშენდნენ ფილარმონიის შუშაბანდებსა. რკინის კედლები აჯობებდა

რაღა თქმა უნდა. შორსმჭვრეტელობა არა ჰყოფნიდათ არქიტექტორებსა. არა. არა.

კახი კავსაძე ბუქნას განაგრძობს. მომაკვდავი გედის გარშემო. ბუქნის და გაჰკივის „ასა!.. ასა!..“ ბუქნიან ბავშვებიცა, ისევე ბუქნიან და გაჰკივიან ისევე „ასა!.. ასა!..“ გაჰკივიან ისევ და მომეტებულად. მეტნი რო არიან, ფიცხელნი რო არიან უფრო და აწყვეტილნი უფრო მეტადა, კახიზე მეტადა რაღა თქმა უნდა, ბაბუაზე მეტადა რაღა თქმა უნდა. ბუქნიან და ბუქნიან. და აწყდება ქარიცა გარედანა, იჭრება ადვილადა დარბაზებშია, შუშებშემოფლეთილ დარბაზებშია. იჭრება. დათარეშობს. მტვერი შემოაქვს და მტვერი გააქვს. კორიანტელია. ღრუბლებადაც შეიკვრის. გაწვება ჭერზედა. გაიგრაგნება. ქარი გადაჰყრის და შემოჰყრის ისევა, ქარი. ქარი. ქარი მტკვრისაი. მტკვარი. მდინარე როგორც ფალოსი რო გაყრილა დედაქალაქშიო. პოეზია. მეტაფორა. პოეტი უცნაურია. რას იზამ, ასეა, უცნაურია!.. პოეზიაა!.. შენ პოეზია დაარქვი და ცეკას მდივანმა ჰყარა ცეცხლი. რაღა ოლიმპო და რაღა ცეკაო, რაღა ზევსი და რაღა მდივანიო: მდინარეს ფალოსი როგორ დაარქვი, ცრემლი შარდს როგორ შეადარეო. ჰქუხდა. გრგვინავდა. გრგვინავდა დარბაზიცა, სამთავრობო დარბაზი, დიდი დარბაზი, შეკრებილობას მწერალთა ყრილობა დარქმეოდა. მწერლობა თუმცა გამრავლებულიყო, ამდენიმაინც არ გამოვიდოდა. წინა რიგები გაეტენა პარტიულ ელიტასა, უკანა რიგები: თანამშრომელთა სუკისასა. შუაში მწერლები მობუზულიყვნენ. რამდენიმე სცენაზედაც დაესვათ, მამლაყინწები, ანთუ ყვერულები, გამორჩეულნი მწერალთაგანა. მწერალთა ყრილობა დარქმეოდა, ჰქუხდა. გრგვინავდა. სჭექდა. ელავდა. პოეტს გმირის სახელი ერქვა სახელი რაო, - თვითონ ისიც ვერ გაუძლებდა. ანალიზები ჩაეტარებინათ ქიმიკოსებსა, ფორმულები შეედგინათ, პოეტს შედარებად გამოსდგომოდა, - გადარეულიყო ცეკას მდივანი, პარტიული ელიტა გადარეულიყო, გადარეულიყვნენ ყვინჩილებიცა: ოჰ. ოჰ. ოჰ. თავი მოგვჭრა და ეს არისო. გადარეულიყვნენ. გადარეულიყვნენ. ცხელოდა. შეხუთულიყო დარბაზები. ის სიცხეო. ეს ყინვაო. ბუნებამაც სხვა რა იღონოს, იქმს თუ რაც იცის, რაც მოეგვარება, ცხელოდა. ჰყინავს. გული გაყინულა, გული უბედური ტვინიც გაყინულა, ენაც გაყინულა გული რახან რომ გაყინულაო. თუმცა ყანყალებს ენა მაინცა, ყანყალებს, ედება თუ მიედმოედება, აღმოიტყვის თუ აღმოისვრის გაყინულ სიტყვებსა. გახსენებისაა. გარდასული სიამაყისა. მაინც სიამაყედ წარმოაჩენენ: დნეპრზე უბრძოლიათ თუ ვოლგაზე უბრძოლიათ, - დონსა თუ დუნაიზე, ვისლაზე თუ ოდერზე, პრუტსა თუ მურეშზე, ნევასა თუ ნემანზე, ტისასა თუ დრინაზე, პოსა, არნოსა თუ ტიბრზე თუ და კიდევ თუ ვინ უწყის სადაო, სად ჯანდაბასა თუ სად დოზანაშიო, ვეღარც იხსენებენ

და ტრაბახობენ მაინცა. ვეღარც იხსენებენ და სამამულო ომიც დაურქმევიათ. ფსოუზე რომ იბრძოდნენ, ისინი ამათ რიგს არც ეკარებიან. საამისო კანონი არც გამოსულა. პარლამენტში ერთმანეთსა სჭამენ, ვისა სცალიან ამათთვისა. „ვეტერანებმა აღიდგინეს ძველი კანონები“ („თეთრი დათვი“).

დიალოგებიც ფიქრთა ტალღაში ისახება, რომლის სიღრმიდან ლანდებივით ამოდიან ნაირგვარი პერსონაჟები. თითქოს ისინიც ერთი ენით - ავტორის ენით მეტყველებენ. მხოლოდ ცალკეული რემარკები მიგვანიშნებენ ინდივიდუალურ ხასიათებსა და სახეებზე. მაგ. აკვიატებული **„გესმის?“ (ზვიად გამსახურდია), „ერთი წუთით!.. ერთი წუთით!..“ (აკაკი ასათიანი), „ჩამოვყალიბდეთ“, „დავკვალიანდეთ“ (ვახტანგ გოგუაძე), „ისტორიული შეხვედრა“, „ახალი ეტაპი“ (ედუარდ შევარდნაძე).**

<u>ვასილ ბარნოვი</u> ძველქართული ლექსიკითა და სტილიზებული სინტაქსით პოეტურობას ელტვოდა; **გრიგოლ რობაქიძე** სიტყვას იკვლევდა, პირველად მნიშვნელობათა ამოხსნას ცდილობდა; საკრალური არსის ამოცნობა ეწადა; **კონსტანტინე გამსახურდია** ენის ესთეტიზებას ახდენდა, სიტყვის მელოდიკას და ლირიზმს ავლენდა. **ოთარ ჩხეიძისათვის** ენის თხზვა არის სტრუქტურისა და კომპოზიციის ფორმირების საშუალებაც. თითქოს იგი უარყოფს სიტყვის დახვეწას და მოწესრიგებულ თხრობას. მაგრამ ცნობიერების ნაკადით, ასოციაციებით, სიტყვათა სტიქიური მდინარებით, ხან მისი მიყოლით, ხანაც - კონტროლით თხზავს ინდივიდუალურ სამყაროს, რომელსაც ახლავს პოეტურობის სხვა ხარისხი, უჩვეულო რომანტიკა.

ერთი მხრივ, თხრობას მწერალი ბუნებრიობას უნარჩუნებს, მეორე მხრივ - სპეციფიკური ენობრივი მოდელით ქმნის ბარიერს მასობრივი მკითხველისათვის.

ამიტომ **ოთარ ჩხეიძის ახალ რომანებში ნელდება რეალისტური საწყისი და ძლიერდება ავანგარდისტული ფორმები,** რომელთა გათავისებას სჭირდება გააზრება, შეჩვევა, ვარჯიში და მომზადება. ეს კი ინტელექტუალური, ე.წ. რთული, ძნელი ლიტერატურის თვისებაა. მაგრამ **ოთარ ჩხეიძისათვის მიუღებელია ავანგარდისტებისათვის ნიშნეული აპოლიტიკურობა, ჭუჭყის კულტი, პორნოგრაფია და პათოლოგია:** ინტერესი ავანგარდისტული ფორმებისა და ხერხებისადმი ნიშნავს **ტრადიციული თვალსაწიერის გაფართოებას, რეალისტური საწყისის ახალ მოდელირებას,** დროის მიერ მოტანილ სიახლეთა გაქართულებას.

სავსებით მართებულად მოიქცა მწერალი, როცა თავისი სამყარო შეავსო დოკუმენტური მასალით, ისტორიული და რეალურად არსებული სახეებით. ასეთი ხერხით ინდივიდუალური სტილი და ხედვა მახლობელი გახადა არა მხოლოდ ლიტერატორთათვის, არამედ მასობრივი

მკითხველისთვისაც.

ასე შექმნა დიდი პანო XX საუკუნის დამლევისა.

მას აკლია მხოლოდ ერთი თარიღი - **23 ნოემბერი, რომლითაც დასრულდა XX საუკუნე საქართველოში** და მე მჯერა - დრაკონის დამხობასაც გვაჩვენებს ჩვენი მწერლობის პატრიარქი.

„ჩვენი მწერლობა“, 2004, 23-29 იანვარი

აწმყოდან მომავლისაკენ

თანამედროვე ქართული ახალგაზრდული პოეზია, წინასიტყვა, ერევანი,1988, მთარგმნელი გაგიკ დავთიანი

70-იანი წლების ქართულმა პოეზიამ ვერლიბრის ნიშნით ჩაიარა. ახალთაობის პოეტებმა გააფეტიშეს თავისუფალი ლექსი, აქციეს გამოხატვის ლამის ერთადერთ საშუალებად **/ბ. ხარანაული, ლ. სტურუა, მ. წიკლაური, ჯ. ფხოველი, რ. კალანდია, გ. ალხაზიშვილი, თ. ბექიშვილი, გ. პეტრიაშვილი/**, რასაც მოჰყვა მწვავე დისკუსიები, აზრთა სხვადასხვაობა, ერთის მხრივ - უნებური ნიჰილიზმი კლასიკისადმი, მეორეს მხრივ - კონსერვატიული ტრადიციონალიზმი. თითქოს ყველა აღიარებდა, რომ იდეალური იყო ამ ორ დაპირისპირებას შორის საშუალო ხაზი, მაგრამ პრაქტიკულად ასე როდი მოხდა. ვერლიბრისტებმა საგრძნობი ზეგავლენა იქონიეს იმ ახალგაზრდებზე, რომლებიც პირველ სტრიქონებს წერდნენ. მათ კლასიკურ სალექსო ფორმასთან ერთად უკუაგდეს რომანტიკული მგრძნობელობა, პათეტიკა, ჭარბი ემოციები, სამაგიეროდ შემოგვთავაზეს მეტი რაციონალიზმი. მაგრამ ყოველ სიახლეს ახლავს უკიდურესობაც - და გაჩნდა ვერლიბრის **„რობოტიზაციის“, „ფაბრიკული წარმოების“** საფრთხეც. მიუხედავად ამისა, აზრისა და განწყობილების თვალსაზრისით ახალთაობის პოეტებს გაცილებით მეტი ჰქონდათ საერთო ტრადიციებთან, ვიდრე თუნდაც ოციანი წლების ქართველ ავანგარდისტებს.

80-იან წლებში ვითარება შეიცვალა. ახალთაობა, რომელიც თავდაპირველად ვერლიბრის მიმდევარი იყო და მისი სულისკვეთებით აღიზარდა, თანდათან გახდა უარმყოფელი უახლესი ტრადიციისა. **ო. ჭილაძის ინტელექტუალიზმი, ტ. ჭანტურიას ირონიულ-პაროდიული ლირიკა, ბ. ხარანაულის ვერლიბრი** მათი შემოქმედებისათვის უცხო აღმოჩნდა, თუმცა თავდაპირველად ისინი სწორედ ვერლიბრმა და რთულმა ასოციაციებმა გაიტაცა (**დ. მჭედლური, დ. ბედიანიძე, ბ. დანელია...**). სამაგიეროდ **არსებითი, მთავარი გახდა დრამატული სიტყვა, სიცოცხლის უშუალო განცდა, მღელვარე სულიერი ცხოვრება.** ხოლო შთამა-

გონებელი აღმოჩნდნენ პოეტები, რომლებიც სულ ცოტა ხნის წინათ შემოქმედებით პროცესზე ნაკლები ზეგავლენა ჰქონდათ (**ტ. ტაბიძე, ტ. ტრანელი, გ. ლეონიძე**). თუმცა ისევ დარჩა **გ. ტაბიძის და ს. ჩიქოვანის** ტრადიციები. ახალთაობის პოეტებს უფრო შინაგანი, სულიერი სინამდვილე აღელვებდათ. მაგრამ ჭვრეტა, ანალიზი, განსჯა შეცვალა აღსარებამ, მოვლენათა რომანტიკულმა და დრამატულმა აღქმამ. თავად პიროვნება, მისი დღევანდელი სული და ვნებები კვლავ დარჩა ყურადღების ცენტრში. ეს არსის თვალსაზრისით. ხოლო ფორმის მიხედვით **ისევ აღორძინდა ტრადიციული ლექსი,** რომელსაც აკლია რაფინირება, სიმბოლისტთათვის ნიშნეული სიზუსტე. ერთი სიტყვით, ფორმალიზმად ქცეული ფორმის კულტი შეცვალა შინაგანი განწყობილების მდინარებამ, რომელიც თითქოს სტიქიურად, ბუნებრივი გრძნობებისა და ალღოს მიდევნებით თხზავს ლექსს.

ამ ორიენტაციის ყველაზე მკვეთრი მესიტყვენი არიან **ვახტანგ ხარჩილავა, დავით მჭედლური, მანანა ჩიტიშვილი და ვაჟა ხორნაული**. მათ განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეს სულის ბიოგრაფიას, წარმომავლობას, მშობლიური კუთხის სურათებს. მაგრამ არა იმპრესიონისტული თვალთახედვით, არამედ - სიღრმისეული საწყისით. ისინი თითქოს არტისტიზმსაც უარყოფენ და ცდილობენ პიროვნული ტანჯვა, სევდა და სიხარული ამოთქვან ისე, რომ არ იფიქრონ ფორმაზე. ეს ერთი ყველაზე ძლიერი ნაკადია ახალთაობის პოეზიაში, ამავე დროს - გარკვეული სიახლით აღბეჭდილი. თუ ვ. ხარჩილავა და დ. მჭედლური დრამატული ტონალობის პოეტები არიან, მ. ჩიტიშვილი და ვ. ხორნაული უფრო მზესა და სინათლეს, ნათელ და წყნარ განწყობილებებს ელტვიან.

ვახტანგ ხარჩილავა ტრადიციონალისტი პოეტია. იგი არ ცდილობს სალექსო სტუქტურის გადახალისებას ან - ექსპერიმენტს მხატვრული აზროვნების სფეროში, რადგან მისი სტრიქონები აღიარებენ გრძნობად აზრს, დრამატულ სულისკვეთებას. მან შეამცირა არა მხოლოდ ლექსის ფორმალური ატრიბუტების მნიშვნელობა, არამედ თვით გარემომცველი სინამდვილისაც. სამაგიეროდ გაგვაცნო თანამედროვე მოქალაქის შინაგანი ღელვა, წუხილი და ოცნება. **იგი თამაშისა და გართობის უარმყოფელია პოეზიაში,** რადგან მას, რაზეც წერს, თითქოს საბედისწერო მნიშვნელობაც ენიჭება. მისი ლექსის სიმი დაჭიმულია და გვეჩვენება, რომ ეს-ესაა უნდა გაწყდეს. ვახტანგ ხარჩილავა ის პოეტია, რომელიც ავლენს საკუთარ შესაძლებლობათა მაქსიმუმს. მისმა ლექსებმა მძლავრი სტიმული მისცა ახალთაობას, რათა ე.წ. **ცნობიერების პოეზია** შეცვლილიყო ე.წ. **ყოფიერების პოეზიით**. შეიძლება ეს თავად დროის მოთხოვნაც იყოს, რადგან ცხოვრების დარად ხელოვნებაშიც სტიქიურად იშ-

ლება ძველი წესრიგი. სული მუდამ ელტვის თავისუფლებას, გადავიწყებულ საგნებსა და სახეებს, რაც მოულოდნელ სიახლედ აღიქმება ხოლმე. ვახტანგ ხარჩილავას პოეზიის ღირსებაც არის არა ავანგარდული გატაცება, არამედ ღრმა ტრადიციონალიზმი, იმისი უბრალოდ, სადად და გულით გამოთქმა, რაც ყველა დროის ადამიანს აწუხებს, რითაც ირღვევა გონების პრიმატი, პოეზიის კასტური გაგება.

დავით მჭედლურმა ვერლიბრით დაწერილი ლექსების მთელი წიგნი გამოსცა. მაგრამ ოთხმოციან წლებში ისევ მიუბრუნდა ტრადიციებს, **„საგვარეულო სახლს“**, რომელსაც ერთ დროს დაემშვიდობა. თანდათან იგი განერიდა როგორც ექსპერიმენტს, ისე აკადემიურ სიტყვას, ამეტყველდა ცხოვრების უსასრულობაზე, საკუთარ მარტოობაზე, ადამიანის ბედსა და დანიშნულებაზე. მისი სტრიქონები სევდასა და წუხილსაც საკმაოდ ატარებენ, რაც ყოველი ადამიანის თანამდევია. შეიძლება ითქვას, **მარტოობის დრამატიზება** მისი მთავარი თემაა. მაგრამ მისგან თავის დაღწევასაც ცდილობს - ხან პათეტიკური, ხანაც ლირიკული ლექსებით. მარტოობა ერთის მხრივ პოეტიზებულია, მეორეს მხრივ - უარყოფილი, მაგრამ არა დეკლარაციულად, არამედ - შინაგანი ტკივილებით, ხან სახედრის სიმბოლიკით, ხანაც - „უკანასკნელობის“ მოტივით. არსებითად მთელი მისი ლირიკა ფიქრების დღიურია, ოღონდ ანალიზისა და რეფლექსიის გარეშე. იგი არის არა ფაქტების რეგისტრატორი, არამედ - მათ მიერ მოგვრილი განცდების მხატვარი. ამიტომ ტკივილის თუ ოცნების მიზეზი ნაკლებად ჩანს. ჩვენ შედეგი გვეძლევა, რომელიც პიროვნული სამოსელით შეიმოსა.

მანანა ჩიტიშვილი, ისევე როგორც ვახტანგ ხარჩილავა და დავით მჭედლური, რომანტიკული განწყობილების პოეტია. მაგრამ სათქმელს მაინც კონკრეტული დეტალებით წარმოგვიდგენს. ამიტომ რჩება მეხსიერებაში ლექსად ქცეული ხმელი ბალახი და მოფათურე წვიმა, იფანზე აკრული სურო და ქვიშისფერი კლდე, ქართლის სერები და ქსნის ციხე. მ. ჩიტიშვილი უფრო **გვთავაზობს განწყობილებათა ჩანახატებს,** შთაბეჭდილებებს, ვიდრე განცდის ან საგნის ძალასა და ღირსებას. ამდენად - პოეტის ხედვა ხშირად იმპრესიონისტულია, ხოლო აღქმა - მუსიკალური.

მათგან საგრძნობლად განსხვავდება **ვაჟა ხორნაული**, რომელიც მკითხველს სთავაზობს ლირიკულ დაკვირვებებს, სინამდვილის ფრაგმენტულ სურათებს, ენდობა მინიშნებათა ენას, **აჩვენებს მთელის დეტალს**, რათა დანარჩენი მკითხველმა წარმოსახოს. იგი წყნარი, მშვიდი, უხმაურო განწყობილების პოეტია და ამ მხრივაც ნაკლებად ჰგავს თანატოლებს, რომლებმაც მძაფრი სიტყვა წინ წამოსწიეს. ვაჟა ხორნაული უფრო წერს ჩუმ ადამიანურ სიკეთეზე, გულის დაწყვეტასა და

სინანულზე, მსუბუქ სევდასა და სიხარულზე, გაურბის ტრაგიზმსა და მწვავე განცდებს. შეიძლება ითქვას, ისინი იგულისხმება ლექსის ქვეტექსტში, როგორც შთაგონების საწყისი, ან იქნებ თხზვის, დახვეწის ჟამს თანდათან შერბილდა პირველადი სიმძაფრე.

ახალმა ორიენტაციამ ფართო გავრცელება ჰპოვა **(ბ. არაბული, დ. თედორაძე, ლ. თოთაძე, ლ. გულისაშვილი, მ. გონაშვილი, შ. შამანაძე, დ. მაღრაძე, ლ. ნადარეიშვილი).** ლექსის სიღრმისეული საწყისი ნიშნავს მთლიანი პიროვნების გარდასახვას, მისი მთავარი მიდრეკილების ჩვენებას - აი ოთხმოციანი წლების ახალგაზრდული ქართული პოეზიის მთავარი ლაიტმოტივი, ხოლო პერსონაჟი - მოქალაქე, რომელიც ფიქრობს, აზროვნებს, განსჯის, წუხს, ოცნებობს ყოველდღიური, ჩვეულებრივი გრძნობებით, იმპერატივებისა და განსაკუთრებული იდეების გარეშე. ამ მხრივ მათთვის მახლობელი აღმოჩნდა **უბრალო ადამიანის კონცეფცია**, რაც ზოგიერთმა ვერლიბრისტმა ადრევე გაიაზრა. მაგრამ თუ ის ჩვეულებრივი ცხოვრებით ცხოვრობდა, ახლა დაერთო სიმწვავე, დროის ულმობლობის შეგრძნება, ტრაგიზმამდე მისული განცდა, რომელიც გვაფიქრებს ადამიანის ბედზე. ესეც იმისი ნიშანია, რომ დგება **ახალი ფერისცვალების ჟამი**, ანუ გრძელდება ღირებულებათა მარადიული შექმნა და გადაფასება.

ახალთაობის პოეზიაში არსებობს სხვა ნაკადიც. იგი აგრძელებს წინა ათწლეულის ტრადიციას, მიმართავს თავისუფალ ლექსს **(გ. სულაკაური, თ. ბაძაღუა)**. მაგრამ არა ინტელექტუალური განსჯისა და შეცნობისათვის. თითქოს იშლება ზღვარი რითმიან და ურითმო სტრიქონებს შორის, ისეთი მოქნილობა ენიჭება რიტმს, რიტმულ მეტყველებას, რომელიც იქცევა ლექსის მთავარ ნერვად. ზოგჯერ ისევ გრძელდება ექსპერიმენტი ფორმის სფეროში, რაც წარიმართა როგორც ვერლიბრის დამუშავების **(გ.ოდიშარია)**, ისევე ე.წ. ორკესტრული ლექსალობის), ცალკეული ფუტურისტულ-დადაისტური იდეის რესტავრაციის ხაზით **(მ. ქურდიანი)**.

ერთი გარემოებაც იქცევა ყურადღებას. ისინიც, რომლებიც წლების მანძილზე თხზავდნენ ე.წ. რთულ, ძნელად აღსაქმელ ლექსებს, მისდევდნენ ვერლიბრს, ისევ მიუბრუნდნენ ნათელ, ლირიკულ სახეებს **(დ. ბედიანიძე, ბ. დანელია)**. ეტყობა, საერთო ატმოსფეროს გავლენა მათზეც გავრცელდა. ის, რაც სხვებმა ადრევე იგრძნეს, მათაც გაიაზრეს. მრავალფეროვნებას თავად ბუნება, მისი უხილავი, მაგრამ ყოვლისწამლეკავი ნება გვკარნახობს. იგი უჩინრად მბრძანებლობს თითოეულ ჩვენთაგანზე და მას ყველაზე ადრე და უკეთ აღბეჭდავს იგი, ვინც ყველაზე ნიჭიერია.

სრულყოფისა და მრავალფეროვნებისკენ სტიქიურმა სწრაფვამ წარ-

მოშვა ვერლიბრი, მაგრამ შემდეგ ამავე ძალამ უარყო იგი, შეცვალა ერთი ტრადიცია მეორეთი, უფრო სწორად - სცადა სტილური პოლიფონიის შენარჩუნება. მაგრამ ეს ყოველივე ეხება სტრუქტურას. მთავარი გახლავთ ხარისხი, რადგან ყოველი მეტაფორა, შედარება, მეთოდი თუ აფორიზმი ემსახურება ერთადერთ მიზანს - დაიწეროს სრულყოფილი ქმნილება, რაც იქნება სულის დოკუმენტი. ხოლო ის, რაც ღრმად პიროვნულია, ღრმად ჰუმანურია, თავისთავად იქნება ეპოქის სარკეც, რადგან ყველა ღირებულება განიზომება ადამიანობის ცნებით.

იქნებ მიღწეულზე მსჯელობა ნაადრევიც იყოს. მაგრამ მკითხველს სტრუქტურა, ფორმა და ექსპერიმენტი არ აინტერესებს, არც სჭირდება. მას უნდა გრძნობადი აზრი, რომელიც მის გულსა და ფიქრებს შეეხება, რაც შეუცვლის განწყობილებას, გაამხნევებს, ააღელვებს, შეაყვარებს. დანარჩენი ყოველივე შინალაბორატორიაა. ამ თვალსაზრისით ახალთაობის პოეზიას აკლია პროპაგანდა, რათა რჩეული ნიმუშები მივიდეს ფართო მასებთან. მოხდა ისე, რომ მას ტვირთად დააწვა უახლოეს წინამორბედთა სახელები. ისიც უნდა ითქვას, რომ ლექსი თითქოს აღარც შეესაბამება დღევანდელი მოქალაქის სულიერ მოთხოვნილებას. ცხოვრების რიტმი და სტილი, მასშტაბი, ნაირგვარი გასართობი მკითხველს აცილებს წიგნისა და მით უმეტეს - ლექსისაგან.

ლექსი 60-იან წლებში ტრიბუნიდან ჩამოვიდა და ფიქრთა გაგრძელებად იქცა, თვალით საკითხავი გახდა. მაგრამ შემდეგ მან მოინდომა თავად ყოფილიყო გასართობი, ოღონდ ინტელექტუალური (ირონიულ-პაროდიული პოეზია), ან ცხოვრებისეული სატკივარის ჩვენებით ისევ მიეზიდა აუდიტორია (**მ. მაჭავარიანი, მ. ლებანიძე**), პათეტიკით, ჰეროიზმით გამოეფხიზლებინა ობივატელური საზოგადოება (**შ. ნიშნიანიძე**),შეენარჩუნებინა ადამიანური სითბო და სინაზე (**გ. გეგეჭკორი, ა. კალანდაძე, ჯ. ჩარკვიანი, ტ. ჭანტურია**).

პარალელურად ვერლიბრისტების უმრავლესობამ თავადვე უარყო კომუნიკაბელობა, უარყო პრინციპი, რომ ხელოვანი იოლი გასაგები იყოს. მათ თვითდაცვის სტიქიის კარნახით მოინდომეს არა ობივატელთა, პრაქტიკოსთა, მომხმარებელთა გარდაქმნა, არამედ - მათგან განდგომა თუ ამაღლება. ახალთაობის პოეტებმა იგრძნეს, რომ ასეთმა პოზიციამ შედეგი ვერ გამოიღო და მკითხველი კიდევ უფრო დააკლდა პოეზიას. ამიტომ **მათ ორიენტირი აიღეს ბუნებრივი გრძნობებისა და ნათელი სტილისაკენ**. მთავარი, როგორც ითქვა, მაინც ხარისხია, ღირებულება იმისა, რაც შეიქმნა. პოეზიას არ სჭირდება ათწლედები, რათა თანდათან გამოიკვეთოს. იგი სტიქიურად პოულობს ახალ სახესა და ყალიბს, რომელსაც, ცხადია, უძღვის რთული, მძიმე და მტანჯველი სულიერი მიმოქცევა. მაგრამ ეს ყოველივე მკითხველისათვის უცნობია.

ის ელოდება და ღებულობს შედეგს. შეიძლება პოეტი საინტერესო იყოს მთლიანი შემოქმედებით, მაგრამ ცალკეული გამოკვეთილი ქმნილებანი ნაკლებად ჰქონდეს და პირიქით - ზოგჯერ სწორედ ცალკეულ ნაწარმოებებშია კონდენსირებული ენერგია, ხოლო როცა ამავე ავტორის წიგნებს ვკითხულობთ, უკმარობის გრძნობა გვიპყრობს. ახალგაზრდა პოეტი გვახსომდება ცალკეული ლექსებით, რადგან მისი მხატვრული თვალთახედვა ეს-ესაა იქმნება. მაგრამ, როგორც ითქვა, ორიენტირი, საგნებთან მიმართება, გამოხატვის ძალა უკვე საგრძნობია, ისევე როგორც ცალკეული ფასეული ლირიკული ქმნილებანი.

კრებული, რომელსაც სომეხი მკითხველი გაეცნობა, მოიცავს იმ პოეტთა ლექსებსაც, რომლებმაც კარგა ხანია მკითხველთა ყურადღება მიიქციეს და მხოლოდ პირობითად თუ ვუწოდებთ ახალგაზრდებს, ერთგვარი ინერციით (**რ. კალანდია, მ. ხეთაგური, ე. ნიჟარაძე, ნ. ნეკერიშვილი, დ. ჭუმბურიძე, ვ. ჩხიკვაძე, ე. დავითაძე**), თუმცა მათი პირველი წიგნები 10-15 წლის წინათ დაიბეჭდა. მათ მიერ პოეზიაში განვლილი გზა საინტერესოა და რთული. მათი ინტერესები მხოლოდ ლექსებით არ შემოფარგლულა. ერთმა რომანი გამოაქვეყნა (**ვ. ჩხიკვაძე**). მეორემ - სამეცნიერო მუშაობა შეუთავსა პოეზიას (**დ. ჭუმბურიძე**), მესამე და მეოთხემ - საჟურნალო-საგამომცემლო მუშაობა (**ე. ნიჟარაძე, ე. დავითაძე**).

როგორც ვხედავთ, ქართულ ახალგაზრდულ პოეზიაში გამოიყოფა არაერთი განსხვავებული თვალსაზრისი, სტილური ხაზი, რომელთა შეჯახება თავისთავადაც იძლევა წინსვლის სტიმულს. ლიტერატურას სჭირდება ყოველგვარი ფასეული უკიდურესობა, რათა ასეთი მრავალხმიანობით, ძალთა წინააღმდეგობით იყოს **აწმყოდან მომავლისკენ** მიმართული.

ერთიანი ძალისხმევით

თანამედროვე ქართული პოეზიის ანთოლოგიის წინასიტყვა,
ერევანი, 2.007, მთარგმნელი გაგიკ დავთიანი

ახალგაზრდა ქართველი პოეტების ანთოლოგია ერევანში 1988 წელს გამოიცა (**მთარგმნელი გაგიკ დავთიანი**).

მას შემდეგ კარგა ხანმა განვლო. ბევრი რამ რადიკალურად შეიცვალა ჩვენს ცხოვრებაში. როგორც საქართველო, ისე სომხეთი დამოუკიდებელი სახელმწიფოები გახდნენ. თაობათა ოცნების აღსრულებამ ახალი, მწვავე პრობლემებიც უხვად წამოჭრა და ეს აისახა პოეზიაში, რომელიც ერის ყველაზე მგრძნობიარე ნერვია.

ამ ოცწლეულში ჩვენს მწერლობას გამოაკლდნენ - **ირაკლი აბაშიძე, გრიგოლ აბაშიძე, შოთა ნიშნიანიძე, მურმან ლებანიძე, მორის ფოცხიშვილი, გივი გეგეჭკორი, ზაურ ბოლქვაძე...**

თაობათა ცვლა მტკივნეული პროცესია, არა მხოლოდ იმიტომ, რომ მკითხველი ეთხოვება ძვირფას სახეებს, არამედ იმიტომაც, რომ მათ ადგილს იკავებს უცხო სიახლე, რაც შეიძლება სულაც არ აღმოჩნდეს სასიკეთო და სასიხარულო.

ასე, მაგ., ჩვენს პოეზიაში გავრცელებული ირონიულ-პაროდიული ნაკადი, რომლის მთავარი მესიტყვე იყო **ტარიელ ჭანტურია**, უკიდურესობამდე მიიყვანა ახალთაობის ერთმა ნაწილმა, რომელთა ნაწერებში გაბატონდა **პორნოგრაფია და პათოლოგია.**

ამგვარი ანტილექსის ნიმუშები ამ წიგნში წარმოდგენილი არ არის.

ჩვენს სინამდვილეში მოხდა ასეთი პარადოქსიც:

როცა დაიწყო საბჭოეთის დაშლის პროცესი და ფარულად არსებულმა თავისუფლებამ ფრთები გაშალა, პოეტები თითქოს დაიბნენ. მათ ვერ აღიქვეს თუ რა ეპოქალური რღვევა მოხდა, იმდენად თვალისმომჭრელი იყო თავისუფლების მზე.

შესუსტდა პატრიოტიკა, ჭვრეტა და განსჯა, ფორმის ძიება და სიტყვის მგრძნობელობა. პატრიოტიკას შერჩნენ უფრო ის პოეტები, რომლებიც შიდადაპირისპირების დროს ზვიად გამსახურდიას მხარეს იყვნენ (**მუხრან მაჭავარიანი, თინათინ მღვდლიაშვილი, ნოდარ ჯალაღონია, ნომადი ბართაია, დილარ ივარდავა, ბელა შალვაშვილი**).

მათ ტრადიციული ხოტბა და დითირაბი შეცვალეს ბრძოლისა და თავგანწირვის სულისკვეთებით, რასაც უცხოობდნენ გლობალიზაციის იდეებს ადევნებული ავტორები:

ისინი თითქოს დაღალა მუდმივმა ჰეროიკამ, გმირულმა სულმა და ყოველდღიურ ბანალობაში ჩაიძირნენ ან დაცემის ესთეტიკა არჩიეს.

მაგრამ ყოველი დროის ლიტერატურა იქმნება **ერთიანი ძალისხმევით,** რომელშიც ყოველ თაობას და მიმართულებას შეაქვს თავისი სტილი, ხედვა, განცდა.

ამ პოლიფონიურ ორკესტრში ყველას თავის ადგილი უკავია, ზოგს - მეტი, ზოგს - ნაკლები, რითაც იკვეთება მთლიანი პანორამა.

დღესაც განაგრძობენ შემოქმედებით ცხოვრებას თვალსაჩინო ქართველი პოეტები – **მუხრან მაჭავარიანი, ანა კალანდაძე, ოთარ ჭილაძე, ტარიელ ჭანტურია,** თუმცა თავიანთი სიტყვა მათ კარგა ხნის წინათ თქვეს.

40-იან წლებში **ანა კალანდაძე**, 50–იან წლებში – **მუხრან მაჭავარიანი,** 60–იან წლებში – **ოთარ ჭილაძე** იმორჩილებდნენ ახალი თაობის გულისყურს და სხვადასხვა ასპექტით დიდი გავლენა იქონიეს ქართული

ლირიკის განვითარებაზე.

შემდეგ იგივე ფუნქცია შეასრულეს **მურმან ლებანიძემ, ბესიკ ხარანაულმა, ტარიელ ჭანტურიამ.**

ეს იყო ცდა საბჭოთა ჰერმეტულ სივრცეში ავტონომიური თავისუფლების მოპოვებისა, რომლითაც ხელოვნება თავს აღწევდა კომუნისტური იდეოლოგიის მწარღვნელ ძალას.

თუ ერთისათვის აზრი და გრძნობა ცხადი და ნათელი უნდა ყოფილიყო (მაგ., **იზა ორჯონიკიძე, მურმან ჯგუბურია**), მეორეს მათი სიღრმე და გადმოცემის სირთულე აინტერესებდა (**ლია სტურუა**). ერთს თუ ფერადი სიტყვა ხიბლავდა (**რეზო ამაშუკელი**), მეორეს სიტყვის აკრობატიკა იტაცებდა (**ვახტანგ ჯავახაძე**).

70–იანი წლებიდან სოციალისტური რეალიზმი ქართული ლიტერატურაში აღარც არსებობდა და მის რეანიმაციას მხოლოდ ხელისუფლების მხარდაჭერით ცდილობდნენ ცალკეული პრაგმატიკოსი ავტორები.

ქართველი პოეტები რუსული ან ქართული თარგმანებით ეცნობოდნენ ევრო–ამერიკულ პოეზიას. მაგრამ **არ განუცდიათ რუსი კოლეგების გავლენა**. ეს იყო არაცნობიერი უნდობლობაც დამპყრობელისადმი.

გარდა ამისა, ქართული ლექსის ფერადი სტილი, პათეტიკა და ჰეროიკა ვერ ღებულობდა რუსული პოეზიის ყოველდღიურ თემატიკას, პუბლიცისტურ პათოსს, მსჯელობას, თვით ენის ბუნებიდანაც გამომდინარე.

გასული საუკუნის 70–80–იან წლებში ჩვენს პოეზიაშიც დამკვიდრდა ვერლიბრი, რაც არამხოლოდ ლექსის, არამედ – აზროვნების ფორმადაც აქცია რამდენიმე პოეტმა (**ბესიკ ხარანაული, ლია სტურუა, ჯარჯი ფხოველი, მამუკა წიკლაური, რენე კალანდია**).

ეს იყო **სიმონ ჩიქოვანის** პოეზიის ტრადიციების გაგრძელება და გადააზრება, რაც გულისხმობდა გონის პრიმატს, ინტელექტუალიზმს, მუსიკალობის შესუსტებას. სიმონ ჩიქოვანი კი, როგორც მოგეხსენებათ, ფუტურიზმიდან მოდიოდა, რომელიც ცდილობდა ფსიქიკის მანქანურ მოდელირებას.

ასეთი გატაცება დროებითი მოვლენა აღმოჩნდა, რადგან უარყოფის საგანი გახდა არა მხოლოდ რითმა, არამედ – რომანტიკაც, მელოდიკაც.

ეს კი ნიშნავდა **რუსთაველის, ვაჟა–ფშაველას, გალაკტიონის, ტიციან ტაბიძის, გიორგი ლეონიძის** ტრადიციების გადაფასებას, ჭვრეტის, განსჯის, თხრობის, ანალიზის გაბატონებას, ნაცვლად პარნასულ–კლასიცისტური არისტოკრატიზმისა, ანუ სიმბოლისტური მუსიკალურ–რომანტიკული ინტელექტუალიზმისა.

ამ ტენდენციას აძლიერებდა **თ. ს. ელიოტის** ანტირომანტიკული,

ცნობიერების პოეზიის გაცნობა, რომელიც იყო ინტელიგენტის ფიქრების შესატყვისი.

ცხადია, ყოველი პოეზია ფასეული და გადამწყვეტი მაშინ აღმოჩნდება, როცა მშობლიური ტრადიციების მძლეველი დიდი ხელოვანია. არადა – ცდა დარჩება საინტერესო ექსპერიმენტის დონეზე. იგი ვერ გავრცელდება, დამკვიდრება გაუძნელდება.

ამ გზაზე პოეტს სჭირდება ნაციონალური ფსიქიკისა და ტემპერამენტის ახლებური მოდელირებაც, არა მხოლოდ სიტყვისა და აზრის დამორჩილება.

ამ მასშტაბის რეფორმა ვერ მოხდა და ამიტომ 80–იანი წლებიდან ახალი თაობა ისევ მიუბრუნდა მშობლიურ ტრადიციებს, რომანტიკულ მგრძნობელობას, პატრიოტულ სულისკვეთებას, კონვენციურ ლექსს **(ვახტანგ ხარჩილავა, მაყვალა გონაშვილი, დავით ტაკიძე, ვაჟა ოთარაშვილი, ლალი თოთაძე)**.

ცნობიერების პოეზიის საპირისპიროდ მათ შექმნეს სიცოცხლის პოეზია, ყურადღების ცენტრში მოაქციეს ადამიანი, პიროვნული განცდები, ბუნებრივი გრძნობები, სიყვარული, სიკეთე და სილამაზე.

მაგრამ დღეს ყველაფერი სწრაფად იცვლება: ეროვნული ხელისუფლების დამარცხებამ, სოხუმისა და ცხინვალის დაკარგვამ, შიდა დაპირისპირებამ, ამერიკასთან და ევროპასთან კონტაქტის გაძლიერებამ ცნობიერად თუ არაცნობიერად გადააფასა ძველი იდეალები, შეცვალა მათი სიმწვავის ხარისხი.

მოვიდა სხვა თაობა, რომელსაც უკვე აინტერესებს არა ქართული სატკივარი, არა ქართული სევდა, არამედ – ზოგადი, აბსტრაქტული თემები და მოტივები, არა ქართული ლექსი, არამედ – ზოგადად ლექსად წოდებული ანტიპოეტური მეტყველება და მოდელები.

დღეს ქართულ პოეზიაში ერთმანეთს უპირისპირდება ორი ნაკადი – **ტრადიციონალიზმი** და **ფსევდო–ავანგარდიზმი**–დადაიზმის მონათესავე. პირველი, როგორც ითქვა, ამოდის ნაციონალური ცნობიერებიდან, აგრძელებს წინაპართა გზას ახალი მგრძნობელობით (მაგ., **ვახტანგ ხარჩილავა, მაყვალა გონაშვილი, ნომადი ბართაია, დავით ტაკიძე**), მეორე – ცდილობს **ამერიკანიზმის სახელით ქართული სულიერების გადაგვარებას**, ცინიზმისა და ნიჰილიზმის, პორნოგრაფიისა და პათოლოგიის დამკვიდრებას, თუმცა ჭეშმარიტ ამერიკანიზმთან ან ევროპეიზმთან საერთო არაფერი აქვს.

პირველს ზღუდავს და იგნორირებას უწევს ხელისუფლება, მეორეს – რეკლამის უწევს და ხელს უმართავს. შედეგი კი ის გახლავთ, რომ ლიტერატურამ მკითხველი დაკარგა.

მაინც ასეთი დაპირისპირება არის განვითარების ზამბარა, რადგან

პირველი ეცდება თანადროული ფორმებისა და სტილის მეტი სისრულით ათვისებას, მეორე – ეს ახალი დროის პროლეტკულტელები – ფსევდოდან ნამდვილი ავანგარდიზმისაკენ გადანაცვლებას.

სტიქია მაინც თავისას გაიტანს და მომავალში შეიძლება მოხდეს ამ ორი სფეროს სინთეზიც.

ასე შეაღო ქართულმა პოეზიამ XXI საუკუნის კარები.

რწმენის სიმღერა

(დ. ივარდავა, დედა აჭარა, ბათუმი, წინასიტყვა, 1998)

საქართველოს ყოველი კუთხის ისტორია ბრძოლისა და ტანჯვის მატიანეა. არც აჭარაა გამონაკლისი. მას სხვაზე მეტი თუ არა, ნაკლები არ გადახდენია.

მხოლოდ 120 წელია გასული მას შემდეგ, რაც იგი საქართველოს დაუბრუნდა, მაგრამ ყოველთვის იყო ქართველ მამულიშვილთა ფიქრის საგანი, როგორც ავბედით ჟამს დაკარგული სამხრეთ საქართველოს ნაწილი.

აჭარაზე წერდნენ საქართველოს უპირველესი პოეტები - **გალაკტიონ ტაბიძე და გიორგი ლეონიძე, ტიციან ტაბიძე და სიმონ ჩიქოვანი...**

დილარ ივარდავა ამ ტრადიციას აგრძელებს. იგი ყოველთვის იყო მახვილი ხედვის პოეტი, თანამედროვე ვითარების განმსჯელი, მაგრამ ბოლო წლებმა - შინა ომმა, აფხაზეთის ტრაგედიამ, კოშმარულმა ჟამმა მეტი დრამატიზმი და სიმართლე შესძინა მის სტრიქონებს:

საქართველოსთვის, გულო, დაიწვი,
რომ მოგაყარონ მის მკერდზე ფერფლად,
შენ სხვანაირი ტრფობა არ იცი,
არ დაგიბედა ღალატი ბედმა!

დილარ ივარდავამ დაწერა ლექსების ციკლი სამეგრელოზე.

აწიოკებული სამეგრელოდან პოეტმა მიაშურა აჭარას, სადაც სუფევს მშვიდობა და სიყვარული, აღმშენებლობის სული, რაც ასე დააკლდა ბოლო წლების საქართველოს.

ახლა ბეჭდავს ლექსების ციკლს აჭარაზე. ჟამი მტანჯველ კითხვებს აყენებს თანამედროვეთა წინაშე, მაგრამ ყოველი პოლიტიკოსის თუ პოეტის ვალია სწორი ორიენტირი დაუსახოს ადამიანთა ფიქრსა და ოცნებას, რათა მისი სახელი წყევლით არ წარმოთქვას შთამომავლობამ.

ამ პასუხისმგებლობით იწერებოდა დილარ ივარდავას სტრიქონები.

ამიტომ არის ეს ლექსები რწმენისა და გადარჩენის სიმღერა.

სვანური ეტიუდები

(ზვიად ბერიძე, სვანური ეტიუდები, წინასიტყვა, 1999)

წიგნი, რომელსაც ახლა გაეცნობით, ლირიკული ეტიუდების კრებულია.

მისი ავტორია **ზვიად ბერიძე** - ახალგაზრდა მხატვარი, პოეტი და პროზაიკოსი. იგი თითქოს მოგზაურობის დღიურია, მაგრამ არსებითად სვანეთის თემა მასალაა, რათა გამოჩნდეს თანამედროვე ახალგაზრდის სიყვარულით და სიცოცხლით აღსავსე ბუნება.

დღეს ნაკლებად ფასობს წიგნი, საერთოდ ხელოვნება. პრაგმატულმა ცხოვრებამ დაჩრდილა მაღალი, სულიერი იდეალები.

ასეთ დროს ზვიად ბერიძე შესაშური ენთუზიაზმით, გრძნობითა და გულისხმიერებით ეკიდება სიტყვას. იგი ლირიკოსის სიფაქიზით წერს სვანეთის ბუნებაზე, კოშკებზე, ადამიანებზე, სადაც სუფევს სტიქიური წესრიგი:

„შორს მოჩანს სოფელი, ამართულან მედიდურად კოშკები, გედებივით წამოუწევიათ კისრები და თვლემენ ბუხრის კვამლში გახვეულნი. იქნებ კვამლიც არ არის და ეგზომ ამ მხარის ბუნებისათვის საყვარელი ბურუსია. იქვე მდინარე მოსჩქეფს და მეორეს უერთდება, მცირეა ორივე და, ამბობენ, თუ ამ მდინარეების შესართავთან აკოცა ქალ-ვაჟმა ერთმანეთს, მუდამ ერთად იქნებიან, ეყვარებათ ერთმანეთიო“.

ამ წიგნს მრავალი პერსონაჟი ჰყავს, მაგრამ მთავარია ორი მათგანი - ავტორი და სვანეთი.

სვანეთი პატრიარქალობის ნაკრძალია, სადაც ისევ ცოცხლობენ დალის ლეგენდა, მსხვერპლშეწირვის რიტუალი, ცისფერი ყვავილები და კლდეზე ყვითელი ჯაჭვით მიბმული ამირანი. ეს იმ სამყაროს ანტითეზაა, საიდანაც მოდის ავტორი სიყვარულდაკარგული და სადაც **„დასავლეთის ქარს გამოყოლილი ნაჩუქარი თავისუფლებით ამაყობენ“**.

ზვიად ბერიძეს ემარჯვება განწყობილების შექმნა, სურათის ხატვა. ეტიუდებისაგან იგი ადგენს სვანური გარემოს პანორამას. ალბათ მომავალში მეტ ყურადღებას მიაქცევს სიუჟეტს, ხასიათებს, მოქმედების დრამატიზებას, რათა მისი სიტყვაც იყოს ისეთივე შმაგი და დაუდეგარი, როგორიც სვანეთიდან მოვარდნილი ენგური.

„ორი გოლგოთა“

„ორი გოლგოთა“ ნოდარ კობერიძის ახალი კრებულია, რომელშიც გრძელდება იმ პრობლემატიკის დამუშავება და გააზრება, ადრე რომ

საფუძვლად დაედო მის რომანებსა და პუბლიცისტიკას.

ნოდარ კობერიძე ამ წიგნშიც გვთავაზობს მწვავე პრობლემებს, მათ წარმოგვიდგენს ეროვნულ ასპექტში. იგი ძირითადად წერს ქალაქურ გარემოზე, ინტელიგენციის ცხოვრებაზე, ვნებებზე და შეხედულებებზე, მაგრამ ვრცელ კონტექსტში.

მაგ., მრავალპერსონაჟიანი ნოველა **„ორი გოლგოთა“** აერთიანებს ქართული ემიგრაციის თემას, სამშობლოსაგან მოწყვეტის ტრაგედიას, იმ კატაკლიზმებს, რომლებმაც გადაუარეს ქვეყანას ამ საუკუნის მანძილზე.

ასე რომ მწერალი თანამედროვეობის სატკივარს საფუძველს უძებნის წარსულში, როგორც აღზევებას, ისე დაცემას, როგორც ერთგულებას, ისე გაორებას.

მწერალი პერსონაჟებს აქცევს კონფლიქტურ სიტუაციებში, რათა უფრო გამოიკვეთოს მათი სახე და მკითხველს ჩარჩეს მეხსიერებაში (მაგ. ნოველაში **„ჩიკორი ბზრიალებს“** ლაუ ბრეგაძე, **„ორ გოლგოთაში“** დემეტრე მოლენი, **„ჟოკეის „ბედის ნებიერში“** - მოხუცი ჟოკეი და ა.შ.).

ცხოვრებისეული მასალა, ყოფითი დეტალები, ვნება და სიყვარული, ღალატი და ბრძოლა სიუჟეტს დრამატიზმს ანიჭებს და პერსონაჟებთან ერთად ამბავიც საინტერესოდ გადმოიცემა (მაგ., **„შორეული ცურვიდან დაბრუნებული გემები“, „ჩიკორი ბზიალებს“**).

ზოგჯერ ავტორი თავს ანებებს ვრცელი პერიოდის ასახვას და თითქოს უმნიშვნელო დეტალით ქმნის დაუვიწყარ სურათს (მაგ., **„გურჯი იყოს, ტალახი იყოს“**).

ნოდარ კობერიძე მკითხველის გულისყურის მიპყრობას სათაურიდანვე იწყებს (მაგ. **„მატადორის პატარა ქალის წითელი კაბა“, „უკანასკნელი კონვერტი“**). შემდეგ კი ბუნებრივი თხრობით, სხარტი დიალოგებით გადმოსცემს თავის სათქმელს.

შეიძლება ზოგჯერ დიალოგების მოძალება შეინიშნებოდეს, ზოგი ეპიზოდიც რემინისცენციებს აღძრავდეს (მაგ., **გ. ფანჯიკიძის** პროზისა). დაუხვეწავი ფრაზებიც შეგვხვდეს. მაგრამ ეს შეიძლება ითქვას ცალკეულ ნოველებზე, რომლებიც არც ავტორისთვისაც არის მნიშვნელოვანი და მისი ცხოვრების წარსულს ეკუთვნის.

ალბათ წიგნის ერთ-ერთი საუკეთესო ნოველაა **„ჟოკეის „ბედის ნებიერი“,** რომელშიც სიუჟეტი საინტერესოდ ვითარდება და ასევე კარგად არის დახატული მოხუცის სახე, ამ მოხუცის ფარული სევდა და დრამატიზმი, ვნება და ღელვაც.

ნოდარ კობერიძე არაერთი მძაფრი, უკომპრომისო, ეროვნული სულით დამუხტული პუბლიცისტური სტატიის ავტორია. შეიძლება ითქვას, მათში დასმული მწვავე პრობლემები მან ამ წიგნში პერსონაჟებად

აქცია, სიუჟეტს ფრთები შეასხა და გვითხრა, რომ **მესამედ მაინც ნუ დავადგებით გოლგოთის გზას.**

„მწერლის გაზეთი“, 2007, 20 მარტი - 20 აპრილი

„კეისარი“

წელს გამოვიდა ფართო ფორმატის ვრცელი წიგნი **„კეისარი“**.

ავტორი გახლავთ **ადამ ბოლდუელი**, რედაქტორი - სულიერი სწავლების მაგისტრი, დოქტორი **ბენიამინ ბენდესერი**.

ვიდრე წავიკითხავდეთ, შეიძლება ვიფიქროთ, რომ ავტორი უცხოელია. მაგრამ, როცა რომანს გავეცნობით, აშკარა გახდება, რომ ეს მისტიფიკაციაა.

მართლაც - ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ ადამ ბოლდუელის მიღმა დგას ჩვენი კოლეგა - თვალსაჩინო ფილოლოგი და ლიტერატორი **მურმან თავდიშვილი**.

მურმან თავდიშვილმა სახელი განსაკუთრებით გაითქვა რუსთველოლოგიური გამოკვლევებით. იგი ისე ღრმად შეიჭრა ტექსტის სიღრმესა და ფილოლოგიური პრობლემების ტევრში, ვერც კი წარმოვიდგენდით, თუ იქედან ასე სწრაფად გამოვიდოდა და დაწერდა **ვრცელ, მნიშვნელოვან და საინტერესო რომანს.**

მურმან თავდიშვილი ისე გადასცილდა 60 წელს, რომ პროზისა და პოეზიისათვის არ მიუმართავს.

ეს იშვიათი მოვლენაა, რადგან ამ ასაკში არათუ პოეტების, პროზაიკოსების აბსოლუტური უმრავლესობა წერას წყვეტს, ან თუ წერს - მხოლოდ ინერციით.

მურმან თავდიშვილის დებიუტი კი ასეთ კრიტიკულ ასაკში შედგა. შეიძლება ამას თავადაც გრძნობდა. ამიტომ მიმართა ავტობიოგრაფიულ მოდელს, **მთავარი პერსონაჟის - იესე ქრისტესაშვილის, ზედწოდებით – კეისარის,** პროტოტიპად აქცია საკუთარი პერსონა.

პროტოტიპებს, მეტწილად, რეალისტი პროზაიკოსები მიმართავენ, მაგრამ ავტობიოგრაფიულობა ამ არეალის დავიწროებას ნიშნავს. პროფესიონალი პროზაიკოსი მხოლოდ ავტობიოგრაფიის იმედად ვერ იქნება, რადგან მას, პირველ ყოვლისა, სჭირდება გამონაგონი, ფაქტის შეცვლა, შევსება და გარდასახვა. ოღონდ ეს მაშინ, როცა პერსონაჟთა გალერეა უნდა წარმოსახოს, რათა რამდენიმე ტექსტში თავისი თავის ვარიაცია არ მოგვცეს, მაგრამ ერთ რომანში ეს ჩვეულებრივ ფაქტად აღიქმება.

ერთი რომანი აიტანს ავტობიოგრაფიას, მით უმეტეს მაშინ, როცა ავ-

ტორი ცდილობს ამ მოდელში სხვა ნაცნობი სახეებიც დაგვანახოს.მურმან თავდიშვილის რომანს, რომელიც ჩვენს წარსულსაც გაგვახსენებს (ბავშვობა, სტუდენტობა, ტოლ-ამხანაგთა წრე), ჩვენს მეგობრებსა (მაგ., ამირან შავიშვილი - გივი შავიშვილი, წმინდა მწერალი - იური ბაქანიძე, „კაცად გამხადე“ - გია იოსელიანი) და მასწავლებლებსაც (მაგ. დოცენტი ვერულავა - გრიგერ ფარულავა, ნიკანდრო ჭილაია - ანდრო ჭილაია, ხინკიკო - აკაკი ხინთიბიძე, აპოლონი- აპოლონ ცანავა), იმ მძიმე და ძნელ ატმოსფეროსაც, რომელშიც აღვიზარდეთ.

მე და მურმანი ერთ კურსზე ვსწავლობდით, სტუდენტობის წლებიდანვე ვმეგობრობდით და ამიტომაც ამ წიგნის მრავალი დეტალი ჩემთვის ნაცნობია. მაგრამ შემოაქვს, ცხადია, ჩემთვის უცნობი მასალაც, გამონაგონსაც ურთავს, გარდასახვასაც ახდენს.

კარგია ცალკეული პორტრეტებიც (მაგ., პროფესორი - აკაკი გაწერელია, აკადემიკოსი - გიორგი ჯიბლაძე, ევგენი - ევგენია ბართაია, პოეტი ჭელიძე - ოთარ ჭელიძე, ჰიდროლოგი).

მურმანი კარგი სტილისტია და ესეც ეხმარება, რომ დასახსომებლად გადმოგვცეს ბიოგრაფიული და წარმოსახული სურათები.

როგორც ჩვეულებრივ ხდება ხოლმე, ასეთი ტიპის რომანებში ერთი, მთავარი პერსონაჟის გარშემო იშლება მოქმედება. მხოლოდ მისი ჩვენება და გამოკვეთა არის ავტორის ამოცანა. დანარჩენი წუთიერად ერთვის თხრობას და შემდეგ დავიწყებას ეძლევა.

ჩვენ ვეცნობით მესამე პირით წარმოდგენილ ავტორის „მეს“ - იესე ქრისტესაშვილს, მის გარეგნულად მშვიდ, შინაგანად კი დაძაბულ, მძიმე, ნერვიულ ცხოვრებას ბავშვობის წლებიდან სიბერემდე, სკოლის მერხიდან აკადემიამდე.

ეს იმ ნიჭიერი ახალგაზრდის გზაა, რომელსაც სწყუროდა ცოდნის შეძენა, თავისი ადგილის დამკვიდრება საზოგადოებრივ ასპარეზზე, მაგრამ ხვდებოდა დაბრკოლებანი, ჰყავდა ხელისშემშლელნი და მხარდამჭერნიც. მაგრამ მთავარი თვითონ იყო და ამიტომ შეძლო წარმატების მიღწევა, თუმცა ვერ ჰპოვა საბოლოო, ოფიციალური აღიარება: იგი აკადემიის წევრად არ აირჩიეს.

სევდის მომგვრელია მთავარი პერსონაჟის აღსასრული: „სუფსის მარჯვენა სანაპიროზე, სწორედ იქ, გაღმა მხრიდან ბახვისწყალი რომ შემოერთვის მას, პატარა ბექობია. ამ ბექობზე საფლავია, სადაც მარხია ჩვენი გმირი. ამ ადგილას მდინარე ოდნავ მარჯვნივ უხვევს და მჩქეფარე ტალღებს ამდოვრებს, თავის გამალებულ სრბოლას ანელებს და დაჟინებულ მზერას თითქოსდა აჩვენებს, რომ წამიერად მოძრაობასაც კი წყვეტს, რა არის, ყური დაუგდოს სამარის მარადიულ მდუმარებას“.

ავტორი პერსონაჟის შემოქმედებითი და შემეცნებითი უნარის აღმო-

ცენებასა და განვითარებას უკავშირებს **ძალაუფლების ნებას - ცეზარიზმის იდეას**, რაც პიროვნებას სტიქიურად იმორჩილებს და განსაზღვრავს მისი ცხოვრების გზას.

ამიტომ ჰქვია იესეს „კეისარა“, ხოლო რომანს - „კეისარი“.

ცეზარიზმის იდეა აქ გადატყდება **ინტელექტუალურ** სფეროში, რადგან **პრაქტიკული** სფერო სხვებს უკავიათ.

პარალელურად მოქმედება ივსება უხვი ცხოვრებისეული რეალიებით, ყოფითი დეტალებით, სევდითა და იუმორით.

ამას ერთვის მეორე, ქრისტიანულ სიმბოლიკაც, რაც გამოხატულია პერსონაჟის სახელითა და გვარით და გვეუბნება მაცხოვრის მსგავს ტანჯვა-წვალებაზე, რასაც ცხოვრება უმზადებს **სულის გმირს**, ინტელექტუალურ გზაზე მდგარ პიროვნებას.

ავტორი თავისი სამეცნიერო კვლევის შედეგებსაც ურთავს თხრობას (მაგ. რომანტიკოსებზე, რუსთველოლოგიაზე), აღწერს თუ როგორ მივიდა ამა თუ იმ იდეამდე (მაგ. ფაზისის საკითხი), ცალკეულ საინტერესო ფილოლოგიურ დაკვირვებებსაც გვაცნობს (მაგ. ე.წ. „ავტორის ჩანაფიქრის“ შესახებ), რათა ტექსტს შესძინოს ინტელექტუალური კონკრეტიკა და არ დარჩეს აბსტრაქტული მსჯელობის სფეროში.

წიგნის მრავალი ეპიზოდი ნოველისტური სისხარტითა და სისადავით არის გადმოცემული. ავტორს განსაკუთრებით ემარჯვება განწყობილების ხატვა, სიტუაციის აღწერა, შინაგანი დრამატიზმის ჩვენება.

მოვიტანოთ ორიოდე მაგალითი:

„კეისარს უცებ მოეჩვენა, რომ ცალკეული ეკლები და ტკივილები ერთ დიდ ტკივილად გადამდნარიყო და საბოლოოდ სიკვდილად გადაქცეულიყო და ეს სიკვდილი არა მარტო მწერლის სხეულს დაუფლებოდა. არა, იგი თითქოსდა ირგვლივ არსებულ უსულო საგნებსაც გადასდებოდა და ისინიც თავის ტყვეობაში მოექცია, პატრონის წასვლას კიდევ უფრო მეტად უსულო და კიდევ უფრო მეტად მიუსაფარი გაეხადა ღარიბული მაგიდაც და მოტყუებული ტაბურეტიც, გახუნებულ-გაჯერქეშებული შპალერიცა და მტვრიანი ლიფლიფაც, მაგიდაზე მოყუნცულე პირმოტეხილი საწყლე დოქიცა და სიგარეტის ცარიელი კოლოფიც“.

„ოდესღაც ეზოს სიღრმეში ბებერი გურული ოდა იდგა, მთლიანად ხისა. სწორედ ამ ადგილას ახლა ახალმოსახლეს ქვითკირის ორსართულიანი სასახლე აეგო - უფრო დიდი, უფრო ნათელი, უფრო ხალვათი; სწორედ ეზოს მარჯვენა წინა კუთხეში იდგა ის წამოქცეული ბებერი დემირა ვაშლის ხე, ცხენს რომ ჰგავდა და ყმაწვილები „აჩუ, აჩუს“ ძახილით ზედ გადაასხდებოდნენ ხოლმე. არა, აღარსად იყო. დროს ისიც მოესპო, გაენადგურებინა; ჟამთა სვლას ისე შეემუსრა, მისი ფესვებიც აღარსად ჩანდა...“

აი, ასეთი ემოციური, დახვეწილი სტილით წერს მურმან თავდიშვილი, მაგრამ ზოგჯერ მაინც ემჩნევა გემოვნების შესუსტება.

ავიღოთ მაგალითები რომანის პირველივე გვერდიდან:

„გონის მოძრაობამ სწრაფად გაირბინა“, „პროპორციული სხეული ჰქონდა“, „სურნელოვნებდა კოხტად შებრაწული პური“, „უმანკოების სიმღერას ღუღუნებდნენ“, „საუბარი მას რომ შეეხებოდა“, „უტყუარი დასკვნის ელფერს ანიჭებდა“...

სადავოა ცალკეული გამოთქმები და ლექსიკური ერთეულები.

უცნობი სიტყვა, თუ განსაკუთრებულ კონტექსტში არ მოექცა, იწვევს გაღიზიანებას ან ყურადღებას ადუნებს (მაგ. **მოუნელავა, გაუკილავებდა, მიჩიგდანა, კუკუნახი, ასუნდება, გადაუსხვაგანა**).

ვფიქრობ, საჭიროა ლექსების შემცირება, ორიოდე მათგანის მოხმობითაც სურათი ნათელია. ის, რაც ავტორისათვის მახლობელია, ყოველთვის როდი აღუძრავს მკითხველსაც ასეთსავე გრძნობებს.

ალბათ მიზეზი ის არის, რომ მურმანს უფრო ბიოგრაფიული დეტალები იტაცებს, ვიდრე რომანის ლოგიკა. ამიტომ ჩნდებიან და უეცრად ქრებიან პერსონაჟები ტექსტში. სჯობდა კი ბიოგრაფია დაემორჩილებინა თხრობის დინამიკისათვის.

მურმან თავდიშვილის რომანი „კეისარი“ მრავალმხრივ განხილვას იმსახურებს. მე მხოლოდ პირველ შთაბეჭდილებას ვთავაზობ მკითხველს. მაგრამ დასკვნის სახით შევნიშნავ, რომ თუ იგი მოახდენს ტექსტის კორექტირებასა და გააგრძელებს დახვეწას, მკითხველიც მოიგებს და ავტორიც.

„მწერლის გაზეთი“,
2007, 1-15 დეკემბერი

კლასიკის გამოცემის პრინციპი

საბჭოთა ტექსტოლოგიაში დამკვიდრებულია ე.წ. **ავტორის საბოლოო ნება**, რაც იმას ნიშნავს, რომ გამოსაცემად მისაღებია ის ვარიანტი, რომელშიც ბოლო ცვლილებანია შეტანილი.

ერთის შეხედვით ეს პრინციპი სწორია და თითქოს ასედაც უნდა იყოს - ავტორს უფლება აქვს წიგნის თუ ნაწარმოების დაბეჭდვის შემდეგაც განაგრძოს მუშაობა, გაითვალისწინოს შენიშვნები, ახლებურად გაიაზროს ცალკეული ასპექტები. ცხადია, ყველა მწერალი არ იზიარებს ამ პრინციპს. ხოლო ზოგს მეთოდადაც აქვს ქცეული (მაგ. **დ. შენგელაია, ს. ჩიქოვანი, კ. ლორთქიფანიძე**).

მაგრამ **ტექსტის ყოველი სახეცვლა სრულყოფა როდია**, როგორც ავტორს ეჩვენება ხოლმე. ტექსტოლოგია ამას ყურადღებას არ აქცევს და

მიმართავს საბოლოო ვარიანტს, ე.ი. **გამორიცხავს ესთეტიკურ კრიტერიუმს**. ამის გარეშე კი ლიტერატურის ნიმუშების გამოცემა მექანიკურ კატალოგიზაციად იქცევა.

მაგრამ ესთეტიკური კრიტერიუმი მეტად მოუხელთებელი ცნებაა და მყარ საკვალიფიკაციო ნიშნად თითქოს ვერ გამოდგება, ყოველ შემთხვევაში - ტექსტოლოგისათვის, რომელიც შემოქმედებითი პროცესისაგან შორს დგას. გამოდის, რომ ასეთ დროს ტექსტოლოგია (ან ნებისმიერი გამომცემელი) ლიტერატურის რეგრესს ემსახურება და არა პროგრესს! ნაცვლად იმისა, რომ მკითხველს გააცნოს ტექსტის საუკეთესო ვარიანტი, აწვდის მდარეს.

ისმის კითხვა - **როგორ უნდა გამოიცეს მომავალში „დიონისოს ღიმილი“, „მთვარის მოტაცება“, „სანავარდო“, „ტფილისი“, „ბათა ქექია“, „კოლხეთის ცისკარი“, კ. გამსახურდიას ლიტერატურული და პოლიტიკური ესეები, ნოველები (მაგ. „ფოტოგრაფი“), გ. ლეონიძის, ი. გრიშაშვილის, ს. ჩიქოვანის, გრ. აბაშიძის ცალკეული ლექსები?**

საკუთარ თხზულებათა დაშლასა და ხელახალ მონტაჟს, ჩასწორებასა და გადაკეთებას ზოგჯერ კურიოზიც თანა სდევს. ერთი მაგალითი: **დემნა შენგელაიამ 1925** წელს გამოაქვეყნა „გურამ ბარამანდია“, თავისი საუკეთესო მოთხრობა. შემდეგ იგი გადააკეთა, დაშალა, ცალკე გამოყო ნოველა „მორდუ“. მაგრამ ახლა „მორდუ“ და „გურამ ბარამანდია“ შეიცავს 40-მდე საერთო სტრიქონს და დაკვირვებული თვალია საჭირო, რათა პერსონაჟები მკითხველს ერთმანეთში არ აერიოს, მით უმეტეს, რომ ავტორს ეს კიდეც დაემართა!

„მორდუს“ მთავარი პერსონაჟია **ტოჩი კონჯარია**, მაგრამ მოულოდნელად ჩნდება **„ივარდავა“** (თხზ. III, 1970, გვ., 15, რჩეული, 1977, გვ. 37), რომელიც, როგორც ვიცით, გურამ ბარამანდიას მორდუა, ე.ი. ავტორმა მექანიკურად გაიმეორა პირველი მოთხრობის პერსონაჟის - კოჩა ივარდავას გვარი. უზუსტობაზე კი არავინ მიუთითა. როგორ მოვიქცეთ, **ვენდოთ ტექსტოლოგიის ე.წ. საბოლოო ნებას და ნოველა არ გავასწოროთ, ეგონოს მკითხველს ტოჩი ხან კონჯარია და ხან ივარდავა?**

1927 წელს „მნათობმა“ დაბეჭდა **დემნა შენგელაიას** რომანი „ტფილისი“, შემდეგ მწერალმა იგი დაშალა. ისმის კითხვა – რამდენად სწორად მოიქცა ავტორი?

ახლა მეორე უკიდურესობას შევეხოთ:

ზოგჯერ გამომცემელი თვითნებურად ასწორებს ტექსტს, აკეთებს კუპიურებს. ამის შედეგად ზოგჯერ არაფერი იცვლება, ხანაც ტექსტი მახინჯდება. მაგრამ შედეგი უფრო სავალალოა. თავიდანვე ვხედავთ და ვეგუებით სიყალბეს. ამგვარ ტექსტებზე შემდეგ თეორიები აღმოცენდება ხოლმე. მიზანი გასაგები იყო - არა წარსულის **რეკონსტრუქ-**

ცია, არამედ – **ფალსიფიკაცია**.

ერთი მაგალითი სხვა მრავალთა შორის:

ტიციან ტაბიძის სონეტი „პეტერბურგი“, რომელშიც დახატულია ქალაქის ფანტასმაგორიული სურათი სპეციფიკური სიმბოლისტური ლექსიკით (ედგარი, ბელი, როსკიპების ხროვა, ქაოსის მნახველი, ჭინკა), შეიცავს ასეთ ტაეპს - **„მოიგონებენ და იტყვიან მხოლოდ ერთ სახელს“** („მეოცნებე ნიამორები“, 1919).

იგი ასევე ითარგმნა რუსულად - „Орион“, 1919, № 1.

1934 წელს ეს სტრიქონი ავტორის თუ რედაქტორის მიერ ასე შეიცვალა - **„მოიგონებენ მხოლოდ მარტო ლენინის სახელს“**, რათა თქმულიყო, რომ 1917 წლის 25 ოქტომბრის ღამეს ჩნდება ლენინის სახე ქართულ პოეზიაში (იხ. ტ. ტაბიძე, ერთტომეული, 1985, გვ. 81-82)! კონტექსტს კი ყურადღება არ მიაქციეს, არც ის გაახსენდათ, რომ 25 ოქტომბრის ღამეს ქუთაისში მყოფ ქართველ პოეტს არაფერი ეცოდინებოდა პეტროგრადის ამბებზე!

კუპიურებით ქვეყნდება ანდა სულაც არ იბეჭდება გამოჩენილ ქართველ პოეტთა და პროზაიკოსთა ცალკეული ქმნილებანი. მიზეზი სხვადასხვაა - 10-20-იანი წლების ნაციონალური და სოციალური სულისკვეთება (**დ. კლდიაშვილი, ჭ. ლომთათიძე, კ. გამსახურდია, ი. გრიშაშვილი, ს. შანშიაშვილი, ა. აბაშელი...**), სამხრეთ საქართველოს ბედი (**გრ. აბაშიძე, ი. მოსაშვილი...**), სტალინის კულტი (**გ. ლეონიძე, ი. გრიშაშვილი, ს. ჩიქოვანი, ი. მოსაშვილი, გრ. აბაშიძე, ირ. აბაშიძე...**), რელიგიური ალუზიები (**ს. ჩიქოვანი, კ, ნადირაძე...**).

ტომეულებში არ შეაქვთ **კ. გამსახურდიას რომანი „ბელადი“, გ. ლეონიძის პოემა „ბავშვობა და ყრმობა“, შ. დადიანის პიესა „ნაპერწკლიდან“**. შეიძლება ზოგი მათგანის გამო ავტორზე გულიც დაგვწყდეს, მაგრამ ასეთია XX საუკუნის სიტყვის ოსტატთა მწარე ხვედრი და დღეს ვერაფერს გავაწყობთ. რა თქმა უნდა, სხვა საკითხია **გრ. რობაქიძისა** და **ალ. ჭეიშვილის** დრამატული ისტორია. ჩვენ არათუ მათი ნაწერების გამოცემა, ხსენებაც გვეკრძალებოდა.

როგორც ვხედავთ, ტექსტოლოგია მოქმედებს ორი ურთიერთგამომრიცხველი პრინციპით (და ორივე მცდარია) - არც აკადემიური ფორმალობა, არც თანაავტორობა. მაგრამ საქმე ისაა, რომ ორივე ეს პრინციპი ხელს აძლევდა ხელისუფლებას, ფარულად **გამოხატავდა მორჩილებას კომუნისტური იდეოლოგიისადმი**, აქეზებდა ავტორს, რათა გადაეხაზა თავისი წარსული, შესდგომოდა მის ფალსიფიკაციას, შეგუებოდა მმართველ ძალას.

უცნაური ფაქტია: არ გაგვაჩნია XX საუკუნის არცერთი ქართველი მწერლის თხზულებათა სრული კრებული, **დავით კლდიაშვილისაც** კი

(თუმცა „სამანიშვილის დედინაცვლის“ ავტორს ოფიციოზი დიდ პატივს სცემდა!). გამონაკლისია **გალაკტიონ ტაბიძე**, მაგრამ ისიც დაიბეჭდა მკაცრი გაცხრილვით შემდეგ (მაგ. XII ტომი). ხოლო გამოცემის სავალალო ტექსტოლოგიური დონე საყოველთაოდაა ცნობილი.

თანამედროვე მკითხველს არასწორი წარმოდგენა აქვს XX საუკუნის ქართულ მწერლობაზე, სიტყვის თვალსაჩინო ოსტატებზე, მათ თეორიულ ნააზრევზე. მაგ., **კ. გამსახურდიას** ტომეულებში ვერ შევიდა მწერლის 70-ზე მეტი პოლიტიკური და ლიტერატურული ესსე. ასევე არ დაიბეჭდა **ტ. ტაბიძის, ლ. ქიაჩელის, ი. გრიშაშვილის, გ. ქიქოძის, ს. შანშიაშვილის, ალ. აბაშელის, ს. ჩიქოვანის** უამრავი ესსე, გამოქვეყნებული 10-20-იანი წლების პრესის ფურცლებზე (არქივების შესწავლისაგან ჯერ შორსა ვართ).

მასალის იგნორირება და ფალსიფიკაცია გახდა კვლევის ერთ-ერთი საფუძველი. ამას დაერთო მოწოდება პროცესის როგორც გამრუდების, ისე შელამაზებისა, ეროვნული ტრაგედიის შეცვლა ფსევდო-აღმაფრენით, ორიენტირი არალიტერატურულ აზროვნებაზე, ფაქტიური უარყოფა XX საუკუნის ევროპული არეალისა, ამგვარი ჰერმეტიზმით სირაქლემასებრი თვითდამშვიდება, ე.წ. სოციალისტური რეალიზმის კულტი/ფალსიფიკატორები მხოლოდ ლიტერატორები ხომ არ იყვნენ!)

შექმნილი ლიტერატურული მოდელი წლების მანძილზე მძლავრი პროპაგანდის მეოხებით შეიჭრა სახელმძღვანელოებში, მუშის, გლეხისა და ინტელიგენტის ცნობიერებაში და თანდათან დამკვიდრდა კიდეც. შედეგი - მასამ დაჰკარგა ინტერესი ლიტერატურისადმი. პარადოქსი - როცა დაიწყო ძველი სქემების რღვევა, ამას პირველ რიგში მტრულად მასა შეხვდა. არაფერს ვამბობ კონსერვატორ მწერლებსა და ლიტერატორებზე - სქემის ფაქტიურ თანაავტორებზე.

ლიტერატურის შესწავლის ფუნდამენტი არის კლასიკის გამოცემა, მისი სათანადო კომენტირება და არა ჩასწორება, შეკვეცა ან იგნორირება. დიდი მწერალი ხომ მაგალითს გვაძლევს არა მხოლოდ ინტელექტუალური გმირობით, ღირსეული ცხოვრების წესით, არამედ - შეცდომებითაც, რაც უნდა მწარე იყოს იგი. მაგრამ ისიც უნდა განისაზღვროს - სად არის მათი სათავე.

გაზ. „თბილისი“, 1990, 19 ივლისი

„ყორანის“ ავტორი ქართულ ლიტერატურაში

ეთერ მგალობლიშვილის ნაშრომი „ედგარ პო ქართულ ლიტერატურაში“ (1900-1920-იანი წწ.) წარმოდგენილია ფილოლოგიურ მეცნიერე-

ბათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. გამოკვლევა შედგება შესავლისა, ორი თავისა და დასკვნისაგან. ერთვის გამოყენებული ლიტერატურის სია, რომელიც 206 ერთეულს მოიცავს.

შესავალში ავტორი მსჯელობს ლიტერატურულ ურთიერთობათა მნიშვნელობაზე, **ედგარ პოს** პოპულარობაზე ევროპასა და რუსეთში, მის როლზე სიმბოლიზმის განვითარებაში. შემდეგ მოკლედ არის მიმოხილული ედგარ პოს პოეზიისა და პროზის თარგმანის ისტორია საქართველოში. სავსებით სწორად არის შენიშნული, რომ ედგარ პოს შემოქმედება იყო ქართული მწერლობის განახლების ერთ-ერთი წყარო. ამდენად აუცილებელია კონკრეტულად მსჯელობა ამ ფაქტზე. ეს არის დისერტაციის მიზანიც. შესავლისადმი გვაქვს ერთი შენიშვნა. ავტორი წერს, რომ ქართული მწერლობა არასდროს არ ყოფილა კარჩაკეტილი (გვ.3). ეს არ არის სწორი და ამის გამო წერდნენ ცისფერყანწელებიც. ცხადია, კარჩაკეტილობას ტოტალური მნიშვნელობით ნუ გავიგებთ. თვით ის ფაქტი, რომ ედგარ პო 1886 წლამდე არ თარგმნილა ქართულად, ამასვე მეტყველებს. აქ არაფერს ვიტყვით იმაზე, რომ XIX საუკუნის II ნახევრის ევროპული კულტურა საქართველოში ათვისებულ იქნა მხოლოდ XX საუკუნის 10-იანი წლებიდან.

დისერტაციის პირველ თავში განხილულია ედგარ პოს ნაწარმოებთა ქართული თარგმანები 1900-1920-იან წლებში. ამ პერიოდში ოთხჯერ თარგმნილა „ყორანი“ **ვაჟა-ფშაველას, ს. შანშიაშვილის, გ. მეგრელიშვილის კ. ჭიჭინაძის მიერ.** ავტორი სავსებით დამაჯერებლად უარყოფს მოსაზრებას, რომ თითქოს ვაჟა-ფშაველას არაფერი უნდა ჰქონოდა საერთო ედგარ პოს შემოქმედებასთან. იგი ვრცლად, პარალელური ტექსტების მოხმობით აჩვენებს, რომ ვაჟას თარგმანი სცილდება დედანს. ჯერ კიდევ 60-იან წლებში დაუდგენიათ ვაჟას მიერ თარგმნილი „ყორანის“ წყარო - იგი გადმოღებული ყოფილა **ლ. ობოლენსკის** თარგმანიდან. ავტორი საინტერესოდ მსჯელობს ამ ლექსის ცალკეულ დეტალებზე, პოეტიკაზე, მსოფლმხედველობაზე. მაგრამ გვაქვს მეთოდოლოგიური შენიშვნა: რადგან ვიცით, რომ ვაჟას დედნიდან არ უთარგმნია „ყორანი“, უკვე სავსებით ზედმეტია იმის აღნიშვნა თუ სად სცილდება ვაჟა-ფშაველა ინგლისურ ლექსს. **მისთვის რომ დედანი ობოლენსკის თარგმანია.** დისერტანტის მსჯელობის მიხედვით იქმნება შთაბეჭდილება თითქოს ვაჟას ინგლისურიდან ეთარგმნოს „ყორანი“.

ს. შანშიაშვილსაც რუსულიდან უთარგმნია „ყორანი“, **ბალმონტის** მიხედვით. როგორც დისერტანტი შენიშნავს, ბალმონტის თარგმანი ახლოა ორიგინალთან და შესაბამისად - ს. შანშიაშვილიც უფრო ზუსტად გადმოგვცემს ედგარ პოს ლექსის სტილსა და განწყობილებას.

„ყორანი“ მესამედ უთარგმნია **გ. მეგრელიშვილს**, მასაც ბალმონტი-

დან. მაგრამ ს. შანშიაშვილისაგან განსხვავებით რვამარცვლოვანი მეტრით გადმოუღია (ს. შანშიაშვილმა 4-მარცვლედს მიმართა). როგორც ნაშრომშია აღნიშნული, თარგმანში არ იგრძნობა დედნისეული სტილი, რიტმი და ინტონაცია, თუმცა ბალმონტის თარგმანს „არსებითად ზუსტად მიჰყვება“. ისევ მეთოდოლოგიური შენიშვნა: ავტორი წერს, მეგრელიშვილი არასწორად შერჩეული სიტყვების გამო სათანადოდ ვერ გადმოსცემს დედნის შინაარსსო (გვ. 22). გ. მეგრელიშვილსაც ხომ დედნიდან არ უთარგმნია „ყორანი“. მისთვის საფუძველი იყო ბალმონტის თარგმანი. ამიტომ ჩვენ უნდა ვიმსჯელოთ ჯერ ბალმონტთან მიმართებაზე და არა მისი გამოტოვებით პირდაპირ ინგლისურ ლექსთან მიმართებაზე!

1924 წელს **კ. ჭიჭინაძეს** 20 მარცვლედით გაულექსავს ერეკლე ტატიშვილის პწკარედი. ეთერ მგალობლიშვილი უდარებს ორიგინალს თარგმანს, აღნიშნავს ცალკეულ უზუსტობებს, მაგრამ, მისი აზრით, იგი ყველაზე კარგად გადმოგვცემს ლექსის „აზრსა და განწყობას“.

1920 წელს ანონიმ ავტორს უთარგმნია და ჟურნალ „ტფილისში“ დაუბეჭდავს ედგარ პოს ლექსი „კოლიზეუმი“, მაგრამ გადმოუღია პროზის სახით. დედანი ყოფილა ბალმონტის თარგმანი.

როგორც ვხედავთ, 1900-1920-იან წლებში თარგმნილა ედგარ პოს 2 ლექსი, აქედან ერთი ოთხჯერ, მაგრამ დედნიდან – არც ერთხელ.

უფრო მეტად უთარგმნიათ ედგარ პოს პროზა (**ი. ევდოშვილი, გრ. ყიფშიძე, კ. გამსახურდია, ალ. გარსევანიშვილი, ე. ტატიშვილი**), თუმცა დიდი ინტერესი არც ამ ჟანრისადმი იგრძნობა. მაგრამ უნდა დავეთანხმოთ დისერტანტს, რომ მთავარია არა თარგმანთა რაოდენობა, არამედ - მათი როლი და ფუნქცია ლიტერატურულ პროცესში.

კ. გამსახურდიას ბალმონტიდან უთარგმნია მოთხრობა „ოვალური სურათი“ „სურათის“ სახელწოდებით. იგი დაიბეჭდა 1910 წელს „სახალხო გაზეთში.“ ავტორი ცხადყოფს, რომ მწერალი არ მისდევს ბალმონტის თარგმანს, საკმაოდ თავისუფლად ეკიდება ტექსტს.

მთარგმნელთაგან მხოლოდ **ერეკლე ტატიშვილი** სარგებლობდა ინგლისური ორიგინალით.

ნაშრომის მეორე თავი „ედგარ პო ქართველ მწერალთა შემოქმედებაში“ სამი პარაგრაფისაგან შედგება. 1. „ედგარ პო „ცისფერყანწელებთან“. 2. „ედგარ პო ს. შანშიაშვილისა და ი. გრიშაშვილის პოეზიაში“. 3. „ედგარ პო გალაკტიონის შემოქმედებაში“.

განსაკუთრებით საინტერესოა მსჯელობა ცისფერყანწელების ორკვირეულ გამოცემაზე - **„ლიგეია“**. გამოსულა მისი ორი ნომერი. მასზე უთითებს **გ. ბაქრაძე** ქართული პერიოდიკის ბიბლიოგრაფიაში, იგი შესულია ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიაში. მაგრამ ეს ორი გამოცემა

იძლევა მხოლოდ ზოგად ცნობებს. **მ. აბულაძე**, რომელმაც სპეციალურად შეისწავლა ცისფერყანწელთა პრესა, „ლიგეიას“ არ შეხებია. ამდენად ჩვენ ვთვლით, რომ „ლიგეიას“ განხილვა დისერტაციის ერთ-ერთი ყველაზე პოზიტიური ნაწილია (მასზე წერილიც დაბეჭდა გასულ წელს). ე. მგალობლიშვილი აღნიშნავს, რომ სახელწოდების წყარო არის ედგარ პოს პროზაული ნაწარმოები „ლიგეა“. „ლიგეია“ გამოდიოდა 1918 წელს, მასში ცისფერყანწელებთან ერთად დაბეჭდილია **გ. ტაბიძისა** და **ი. გრიშაშვილის** ლექსები, ისევე როგორც ჟურნალ „ცისფერი ყანწების“ I ნომერში. ეს ფაქტიც ანგარიშგასაწევია, ე.ი. გ. ტაბიძე და ი. გრიშაშვილი ჯერ კიდევ რჩებიან ახალგაზრდა პოეტების დასაყრდენ ძალად და არც ეს პოეტები უარყოფენ მათთან თანამშრომლობას, როგორც ჩვენი ლიტერატურისმცოდნენი აღნიშნავენ ხოლმე. მალე დაიწყო ხანგრძლივი პოლემიკა **ი. გრიშაშვილსა** და **გრ. რობაქიძეს** შორის. ისიც უნდა ითქვას, რომ ჯერ კიდევ საქართველოს მწერალთა I ყრილობაზე, 1917 წლის ოქტომბერში, ი. გრიშაშვილსა და ცისფერყანწელებს შორის აღარ იყო მეგობრული განწყობილება.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ დისერტანტი ცისფერი ყანწების ჩამოყალიბების თარიღად ასახელებს 1916 წელს. ეს არ არის სწორი. უნდა იყოს 1915 წელი. ეს ამჟამად დოკუმენტურად მტკიცდება (იხ. **პ. იაშვილის ბარათები ი. გრიშაშვილისადმი**).

განხილულია **ედგარ პოსადმი პ. იაშვილის, ვ. გაფრინდაშვილის, ტ. ტაბიძის, შ. კარმელის, ს. ცირეკიძის, კ. ნადირაძის, გ. ლეონიძის, ნ. მიწიშვილის** მიმართება. მათგან განსაკუთრებით საინტერესოდ არის გაანალიზებული ვ. გაფრინდაშვილის თვალსაზრისი. დისერტანტი ჩერდება ვ. გაფრინდაშვილის ესსეებზე - „სახელების მაგია“, „შენიშვნები ლირიკაზე“ და ლექსებზე. ავტორის დასკვნით, ედგარ პომ ზეგავლენა მოახდინა არა მხოლოდ ვ. გაფრინდაშვილის თეორიულ შეხედულებებზე, არამედ - მის პოეტურ პრაქტიკაზეც.

ე. მგალობლიშვილი შენიშნავს, რომ **ტ. ტაბიძის** ლექსი „პეტერბურგი“ დიდი ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციას ეძღვნება. ეს არ არის სწორი, თუმცა მკვლევარი ამ დებულებას სხვათა ნაშრომებიდან სესხულობს. ჩვენი შენიშვნა არ არის არსებითი, მაგრამ აქ იმიტომ ვამბობთ, რომ ამ ლექსში იხსენიება ედგარი, როგორც მისტიურ საშინელებათა სიმბოლო. შემდეგ ზოგიერთებმა ტ. ტაბიძის ერთი სტრიქონი - **„მოიგონებენ და იტყვიან მხოლოდ ერთ სახელს“** შეცვალეს ასე - **„მოიგონებენ და იტყვიან ლენინის სახელს“**. ასე გაჩნდა ლექსში ლენინი და ლექსიც ოქტომბრის რევოლუციისადმი მიძღვნილად გამოცხადდა. ვისაც წაუკითხავს „მეოცნებე ნიამორებში“ დაბეჭდილი ტექსტი და მისი იმდროინდელი თარგმანი, აშკარად მიხვდება, რომ პოეტმა დახატა პეტერბურ-

გის ფანტასმაგორიული, აპოკალიფსური სურათი და რევოლუციისა და რევოლუციის გმირებზე არაფერი უთქვამს.

ვფიქრობთ, ზედმეტი იყო **კოლაუ ნადირაძესთან** საუბრის ტექსტის ჩართვა სადისერტაციო ნაშრომში. პოეტი საერთოდ ვერ გამოდგება თავისი შემოქმედების მსაჯულად. გარდა ამისა, კ, ნადირაძე არის შესანიშნავი პოეტი. მაგრამ არა ამავე დონის მოაზროვნე. ეს ჩანს თუნდაც მხცოვანი პოეტის ერთ-ერთ ბოლოდროინდელ ინტერვიუში, რომელშიც გალანძღა **გ. ტაბიძე** და **კ. გამსახურდია**. ამასვე ადასტურებს დისერტაციაში ჩართული კ. ნადირაძის კატეგორიული განცხადება: **„კარგად ვიცნობ მსოფლიო პოეზიის ნიმუშებს, მაგრამ არ მეგულება ტექნიკითა და მუსიკალობით „ყორანისა“ და „ანაბელლის“ ტოლფასი ლექსი. „ყორანს“ თავისი ორიგინალობითა და მუსიკალობით მე მხოლოდ ბარათაშვილის „მერანს“ შევადარებდი“** (გვ. 72). ჯერ ერთი, კ. ნადირაძემ არ იცის ინგლისური ენა, ხოლო რუსულის მიხედვით არ იქნება მართებული ასეთი დასკვნის გამოტანა; მეორე, ბარათაშვილის „მერანს“ წინ უსწრებს მიცკევიჩის „ფარისი“ და ამდენად მსოფლიო მასშტაბით მის ორიგინალობაზე მსჯელობა ძნელია. კ. ნადირაძის მსჯელობიდან გამოდის, რომ მსოფლიოს უდიდესი და უპირველესი პოეტები **ედგარ პო** და **ნიკოლოზ ბარათაშვილი** ყოფილან, ცხადია, ვერც ამას დავიჯერებთ.

დისერტაციის ეს პარაგრაფი კარგად არის დაწერილი. მაგრამ აჯობებდა ავტორი შელეოდა მასალის აღწერას და ეჩვენებინა არა მხოლოდ თეორიულ, არამედ პრაქტიკულ პლანში ედგარ პოს შემოქმედების ზეგავლენა ცისფერყანწელებზე. ერთია შეხედულების მიღება, მეორე - მათი მხატვრული გარდასახვა, ლიტერატურულ ფაქტად ქცევა.

მეორე თავის მეორე პარაგრაფი აჩვენებს ედგარ პოს ზეგავლენას **ს. შანშიაშვილსა და ი. გრიშაშვილის** ლექსებზე. საილუსტრაციოდ მოხმობილი ლექსები სუსტია. ასე რომ ამგვარ გავლენას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, მაგრამ კარგი ლექსია ს. შანშიაშვილის **„ბატონიშვილს გულს უწუხს“**. შეიძლება იგი მართლაც იყოს შთაგონებული ედგარ პოს „ყორანით“. მაგრამ ისიც უნდა ვთქვათ, რომ ლექსში ყორანის ხსენება სულაც არ ნიშნავს ედგარ პოსთან თანაზიარობას. ბარათაშვილის „მერანის“ ყორანი არ უკავშირდება ედგარ პოს, არც ვაჟა-ფშაველას ყვავ-ყორნები. ამიტომ აქ საჭიროა მეტი მტკიცება, რათა ტრადიციული თვალსაზრისი, ფოლკლორული საწყისი განვასხვავოთ ამერიკელი მწერლის ზეგავლენისაგან.

სადისერტაციო ნაშრომის თითქმის ნახევარი ეძღვნება ედგარ პოსთან გალაკტიონ ტაბიძის მიმართების გარკვევას.

მინდა დავიწყო შენიშვნით. ავტორი გალაკტიონ ტაბიძეს უწოდებს **„თვითმყოფ პოეტს“** (გვ. 78). ვფიქრობ, ეს ეპითეტი არ არის. **გალაკტი-**

ონ ტაბიძე რუსთველთან და ვაჟა-ფშაველასთან ერთად უდიდესი ქართველი პოეტია და იგი ან ღირსეული ეპითეტებით უნდა მოვიხსენიოთ, ანდა სულაც არ სჭირდება ეპითეტი.

ავტორს გამორჩენია ერთი მნიშვნელოვანი ფაქტი: არცერთმა ქართველმა პოეტმა, რომელთა შემოქმედებაში ედგარ პოს გავლენას ხედავს იგი, ინგლისური ენა არ იცოდა. ამიტომ სარგებლობდნენ რუსული თარგმანებით. როგორც **კ. გამსახურდია** წერდა, ცისფერყანწელებმა რუსული გზით გაიცნეს ევროპულ-ამერიკული პოეზია. ამიტომ საჭირო იყო მსჯელობა ედგარ პოს რუსულ თარგმანებზე, იმ ტექსტებზე, რომელთა მეშვეობით შემოვიდა „ყორანის" ავტორის სახელი ქართულ მწერლობაში. პოეტური თარგმანი თავისთავადაც დაცილებულია დედანს. მით უმეტეს დაცილებული იქნება მისი ანარეკლი მესამე, ამჯერად - ქართულ ენაზე. ყოველ შემთხვევაში - ამ გარემოებას სჭირდება მეტი ახსნა და ჩვენება. ინგლისური ენა არ იცოდა არც გალაკტიონ ტაბიძემ, ისიც რუსული თარგმანით ეზიარა ედგარ პოს შემოქმედებას. ამიტომ უნდა გვეჩვენებინა ის წყარო, რომლითაც უშუალოდ სარგებლობდა გალაკტიონ ტაბიძე.

დისერტანტი მსჯელობს გალაკტიონის ედგარ პოსთან მიმართებაზე ლექსის მუსიკის პლანში. უნდა გავიმეოროთ, რომ ამჯერადაც უფრო თეორიული შეხედულებანია მიმოხილული. მუსიკის პრიმატობის აღიარება ხელოვნების თვალსაზრისითაც ბევრს არაფერს ნიშნავს, რადგან შეიძლება იყო მუსიკის თეორეტიკოსი, მაგრამ არა მუსიკოსი. პოეზიაში მუსიკალური სტიქია ტალანტის ნაწილია და ძალიანაც რომ ეწადოს ავტორს, მას ვერ გამოავლენს. მხოლოდ კურიოზად შეიძლება ჩაითვალოს **ია ეკალაძის** სიტყვები გალაკტიონისადმი, თითქოს პოეტი მუსიკას უარყოფდა! უნდა შევნიშნოთ, რომ **ლექსის მუსიკალური სტიქია სრულიადაც არ გულისხმობს სასიმღერო ინტონაციებს**.

ჩემის აზრით, კარგი იქნებოდა დისერტანტს ეჩვენებინა თუ რა ხერხებით აღწევენ მუსიკალობას, ლექსის მელოდიურობას გალაკტიონი და ედგარ პო. სხვა მხრივ შედარებისათვის აუცილებელი სპეციფიკური ნიშნები ვერ დადგინდება და მხოლოდ თეორიულ მსჯელობათა შედარება გამოგვივა. იგივე უნდა ითქვას სიყვარულის გაგებაზე. პირველ რიგში უნდა შეუდარდეს ერთმანეთს სიყვარულის გრძნობის გამოხატვა სპეციფიკური ხერხებით, სტილით, ინტონაციით, განწყობილებით ედგარ პოსთან და გალაკტიონთან და არა მათი შეხედულებანი. ამიტომაა, რომ ავტორი ზოგად მსჯელობას გვთავაზობს: **„გალაკტიონის მიხედვითაც სიყვარული არსებობის განუყოფელი ნაწილია, სიცოცხლის მთავარი აზრია"** (გვ. 87). ეს ხომ შეიძლება ითქვას პოეტების უდიდეს ნაწილზე. ხოლო ჩვენ გვაინტერესებს გენეტური ნათესაობა და არა ტი-

პოლოგიური მსგავსება!

უფრო საინტერესოა მსჯელობა სიკვდილზე გალაკტიონთან და ედგარ პოსთან. ავტორის აზრით, ისინი სიკვდილს სულის ხსნად მიიჩნევენ და არა ტრაგედიად. ასევე საგულისხმოა დაკვირვება მარტოობის მოტივებზე, ამქვეყნიური არსებობის სიზმარეულ განცდაზე.

ედგარ პოს ხოლერის ეპიდემიაზე დაუწერია 4 მოთხრობა. ოციან წლებში საქართველოშიც გავრცელებულა ხოლერა და გალაკტიონს ამის გამო დაუწერია ლექსი „შიში“ (ამ საკითხზე მართებულად ეკამათება **გ. ასათიანს**). მაგრამ ეს ფაქტი ხომ ლიტერატურული შედარებისათვის არავითარ საფუძველს არ იძლევა! ასევე არასწორია სულთა მსგავსების ძიება პირადი ბარათების მიხედვით, ყოველ შემთხვევაში - ეს არ არის გენეტური ნათესაობა, ერთი მწერლის ნააზრევის ათვისება მეორის მიერ. მაგრამ სწორია იმ ლექსების ფიქსირება, რომლებიც ედგარ პოს „ყორანის“ შთაგონებით არის დაწერილი.

ავტორი გვაცნობს არაერთ საინტერესო პარალელს ედგარ პოს პოეზიასთან. ზოგი მათგანი პირველად დისერტანტმა შემოიტანა ლიტერატურული კვლევის არეში. ძირითადად ეს ეხება ყორანის ასოციაციებს, მის ხშირ ხსენებას, ნაირგვარ წარმოდგენას. ეს ლექსებია **„შავი ყორანი“, „ყორანი“, „ედგარი მესამედ“**. დისერტანტი ყურადღებას ამახვილებს, აგრეთვე შიშის მოტივებზე და ამის ნიმუშად შეიძლება დავასახელოთ **„დომინო“**. ამ ფაქტზე მიუთითებს **ირაკლი კენჭოშვილიც**. ასევე ანგარიშგასაწევია ე. მგალობლიშვილის მსჯელობანი ცალკეულ ლექსებზე, ცალკეულ სახეებზე.

დისერტაციის ის ნაწილი, რომელიც გალაკტიონის ტექსტებზე დაკვირვებას გვაცნობს, ორიგინალურია. საერთოდ ავტორს საფუძვლიანად შეუსწავლია გალაკტიონის მიმართება ედგარ პოსადმი.

დასასრულ, გვინდა ვთქვათ, რომ **ეთერ მგალობლიშვილის ნაშრომი „ედგარ პო ქართულ ლიტერატურაში“** (1900-1920-იანი წწ.) დაწერილია საკითხის ცოდნით, საკვლევი მასალის სიყვარულით. ცალკეული მოსაზრებანი დამაჯერებელია და გასათვალისწინებელი. სასურველი იქნება, რომ ასევე იქნეს შესწავლილი, ვთქვათ, ვერლენი, რემბო, ბლოკი ქართულ ლიტერატურაში.

1988, აპრილი

წიგნი სიმბოლისტურ პროზაზე

დღეს ჩვენ განვიხილავთ ქართული სიმბოლისტური პროზისადმი მიძღვნილ სამეცნიერო ნაშრომს. მოგეხსენებათ, ათიოდე წლის წი-

ნათ როგორ იკრძალებოდა მსჯელობა სიმბოლიზმზე, ან თუ ვიმსჯელებდით, უეჭველად კრიტიკული პათოსი უნდა გამოგვევლინა. საქმე იქამდე მივიდა, რომ ზოგიერთმა ლიტერატორმა **გალაკტიონ ტაბიძის „არტისტული ყვავილების“** სანაცვლოდ წამოსწია **„მშვიდობის წიგნი“**, რათა რეალიზმზე გადაეტანა ხალხისა და ლიტერატორთა ყურადღება: ზოგიერთი ჩვენი უფროსი კოლეგა **პაოლო იაშვილის** სიმბოლისტობასაც მოგონილად მიიჩნევდა, არადა იგი იყო „ცისფერყანწელთა“ ჯგუფის ლიდერი და თავისი საქმე ჩვენზე უკეთ იცოდა!

რაც შეეხება სიმბოლისტურ პროზას - იგი ფაქტიურად ერთი სახელით იყო განსაზღვრული. მხოლოდ **სანდრო ცირეკიძის „მთვარეულებს“** თვლიდნენ სიმბოლისტური პროზის ნიმუშად და, როგორც წესი, უარყოფით კონტექსტში ახსენებდნენ.

ცხადია, სოციალისტური რეალიზმის დამხობამდეც იცვლებოდა ძველი სტერეოტიპები, ცალკეული ავტორები თავისუფლად მსჯელობდნენ ლიტერატურის სპეციფიკურ პრობლემებზე, მათ შორის - სიმბოლიზმზეც. მაგრამ ეს აღიქმებოდა კერძო პირის შეხედულებად, ხოლო ლიტერატორთა უმრავლესი ნაწილი მაინც დოგმატიზმის ერთგული დარჩა.

ამირან გომართელის ნაშრომი „ქართული სიმბოლისტური პროზა“ ჩვენი აზროვნების განახლების პრაქტიკული გამოხატულებაა. იგი გვისაბუთებს, რომ პროზაშიც ძლიერად შეჭრილა სიმბოლისტური თვალთახედვა და სტილი.

გამოკვლევა მრავალმხრივ საყურადღებოა. დაწერილია საკითხის ღრმა ცოდნით, კარგი სტილით, სიახლის სულისკვეთებით.

აღსანიშნავია პირველივე თავი - **„მოდერნიზმის აუცილებლობა და ეროვნული საწყისები“**. ავტორი მოკლედ, მაგრამ ზუსტად წარმოაჩენს XX საუკუნის დასაწყისში არსებულ სიტუაციას, როცა რეალიზმმა მართლაც ამოსწურა თავისი თავი და ქართული მწერლობა აღმოჩნდა ახალი ესთეტიკის წინაშე. ბუნებრივია, ახალ ესთეტიკას ძველი თაობა ვერ მიიღებდა. სწორად შენიშნავს დისერტანტი, რომ **გრიგოლ რობაქიძეს, კონსტანტინე გამსახურდიასა და გალაკტიონ ძველი ეპოქის** დასასრულად მიაჩნდათ **ილია ჭავჭავაძის** მკვლელობა: **„წიწამურთან რომ მოკლეს ილია, მაშინ ეპოქა გათავდა დიდი“.**

ასევე საყურადღებოა სიმბოლიზმის საწყისების კვლევა ქართულ მწერლობაში, მანამდე ვიდრე „ცისფერყანწელები“ გამოჩნდებოდნენ.

ავტორი არ აყენებს სიმბოლიზმისა და მოდერნიზმის ურთიერთმიმართების საკითხს. მაგრამ მე მინდა შევნიშნო, რომ **სიმბოლიზმი იყო მოდერნიზმის არსი, ხოლო თავად სიმბოლიზმი - ნეორომანტიზმი, ახალი დროისა და ახალი ფილოსოფიის მიერ შევსებული.**

მინდა გამოვთქვა ერთი ზოგადი შენიშვნა:

ნაშრომი ლიტერატურას ეხება. ამიტომ **მთავარი უნდა იყოს არა ავტორთა მსოფლმხედველობის ძიება, არამედ - ესთეტიკა და პოეტიკა, ამ პრიზმაში გარდავლილი პრობლემები.** ამირან გომართელი, ჩემის აზრით, ზედმეტ ყურადღებას უთმობს მსოფლმხედველობრივ საკითხებს, რუსულ მწერლობასთან მიმართებას. **მწერლისთვის მსოფლმხედველობა ყოველთვის მეორადი იყო, ხოლო ესთეტიკა და პოეტიკა - პირველადი.** შემოქმედისათვის ფილოსოფიური აზროვნება შეიძლება იყოს მხოლოდ იმპულსის მომცემი. ხელოვანი იდეებსა და სამყაროს აღიქვამს გულით, გრძნობებით და არა ჭვრეტითა და სილოგიზმებით. გალაკტიონ ტაბიძეს სიმბოლიზმის მსოფლმხედველობრივი საწყისები კი არ აღელვებდა, არამედ - მისი ესთეტიკა და პოეტიკა, მშვენიერების კულტი. ქართველი მწერლები, გარდა **გრიგოლ რობაქიძისა** და **კონსტანტინე გამსახურდიასი**, ნაკლებად ერკვეოდნენ თანადროულ ფილოსოფიურ და ესთეტიკურ სისტემებში, მაგრამ ეს შემოქმედებაში ხელს როდი უშლიდათ. თვით ეს ორი ავტორიც კი არ ყოფილა ისეთი მასშტაბის თეორეტიკოსი, როგორიც იყვნენ **ანდრეი ბელი** ან **ვიაჩესლავ ივანოვი**. ივანოვის წიგნი დიონისეს კულტზე დღესაც რჩება უდიდეს და ურთულეს გამოკვლევად. ასეთი რამ არ შექმნილა ქართულ მწერლობაში. მაგრამ ამას მწერლობისათვის ნაკლები მნიშვნელობა აქვს, რადგან **მთავარია განცდა, იმპულსი, შთაგონება, მშვენიერება**.

ამდენად, მიმაჩნია, რომ ნაშრომის ის ნაწილი, რომელიც სიმბოლიზმის დეფინიციას ეძღვნება, არასრულია, თუმცა - რაც არის განხილული - საჭირო და აუცილებელი. ამ თვალსაზრისით სწორია შენიშვნა, რომ განსხვავება რომანტიზმსა და სიმბოლიზმს შორის გამოხატვის ფორმაშია და არა მსოფლმხედველობრივ საფუძველში.

არ არის აუცილებელი, რომ ყოველი სიმბოლისტური ლექსი იყოს მიღმური სამყაროს მისტიკური ასახვა. სიმბოლიზმმა, რეალიზმისაგან განსხვავებით, გამოიმუშავა სპეციფიკური, უაღრესად მოწესრიგებული პოეტიკური სისტემა. იგი დაემყარა **ესთეტიზმსა და სიკვდილის ესთეტიკას**, რაც ერთის მხრივ იყო - ქრისტესა და წმ. მარიამის გაიდეალება, მეორეს მხრივ - ანტიკისა და უძველესი წარმართობის აღდგენა, მესამეს მხრივ - ფიზიკური და ფსიქიკური დეგრადირების მოტივები.

გარდა ამისა, სიმბოლიზმი ყველა ქვეყანაში სპეციფიკური მოვლენა იყო. მაგრამ ყველგან ამკვიდრებდა იდეას **„ხელოვნება ხელოვნებისათვის“**, რაც ნიშნავს საგნებისა და მოვლენების **ესთეტიკურ აბსტრაგირებას, ფორმისა და მუსიკის კულტს, ზმანების სამყაროს შექმნას, სადაც მთავარია არა სინამდვილე, არამედ - სილამაზე.**

საინტერესოა **აკაკი წერეთლის** „სულიკოს“ გააზრება. დამაჯერებელია **ბლოკის** პოეზიის მაგალითებით მსჯელობა, რომ სიმბოლისტური

პოეზიის უმთავრესი მოტივია **„სიყვარულის მისტიკური განცდა“**. ნაჩვენებია თუ როგორ იკითხება ორ პლანში ქალის სახე - როგორც მიწიერი არსება და როგორც ღვთისმშობელი. მაგრამ ბლოკის ზოგიერთ ლექსში ქალის სახე წარმოსდგება როგორც მარიამ მაგდალინელიც, როგორც ნესტანი და ფატმანი რუსთაველთან.

ასევე კარგად არის გააზრებული თუ როგორ გადადის **გალაკტიონის** შედევრებში სატრფოს სახე ბიბლიურ სიმბოლიკაში. **„სილაჟვარდე ანუ ვარდი სილაში“** ხომ უდიდესი საგალობელია წმ. მარიამისადმი, რომელიც რატომღაც დასახელებული არ არის.

ამირან გომართელი სიმბოლისტური პროზის ნიმუშებად მიიჩნევს, გარდა **სანდრო ცირკიძის** მინიატურებისა, **ვასილ ბარნოვის** ცალკეულ ნაწარმოებებს, **გრიგოლ რობაქიძის „გველის პერანგს“, დემნა შენგელაიას „სანავარდოსა“ და „ტფილისს“**. საერთოდ მხატვრული ნაწარმოებების მიკუთვნება ამა თუ იმ სკოლისა თუ მიმართულებისადმი, მეტისმეტად პირობითია. აქ უფრო პრიმატულ ნიშნებზე უნდა ვისაუბროთ. ხელოვანი მეცნიერი როდია, რომ სქემა ერთგულად და ბეჯითად დაიცვას. **გალაკტიონ ტაბიძეს, ტიციან ტაბიძეს თუ პაოლო იაშვილს** სიმბოლისტურ პერიოდში უწერიათ როგორც რეალისტური, ისე იმპრესიონისტული ლექსები, ხოლო **ტიციანი** დადაიზმმაც გაიტაცა, მაგრამ ეპიკური ნაწარმოები უფრო რთული მოვლენაა და იგი მით უმეტეს ვერ ჩაეტევა ერთი მიმართულების ჩარჩოში.

ამ თვალსაზრისით საინტერესოა **ვასილ ბარნოვის** პროზაზე დაკვირვება, რომელსაც დისერტანტი კარგად იცნობს. იგი პოულობს არაერთ მოტივსა და იდეას, რაც სიმბოლიზმის არსენალიდანაა წამოღებული ან ენათესავება მას. მაგრამ მათ გარდა ბარნოვი ხომ მრავალი რეალისტური ნაწარმოების ავტორია. თავად შენიშნავს, „ისნის ცისკარს“ სიმბოლისტური განცდის ნიშან-წყალიც არ ეტყობაო. ამასვე ამბობს სხვა მოთხრობებზე, მაგრამ მათზე მაინც მსჯელობს, რაც ამ ნაშრომისათვის ზედმეტია. აღნიშნულია, „ტკბილი დუდუკი“ 1911 წელს **გიორგი ჭუმბურიძემ** სიმბოლისტურ ნაწარმოებად მიიჩნიაო. უნდა შევნიშნო, მაშინ სხვაგვარად ესმოდათ სიმბოლიზმი და მოდერნიზმი. იმჟამინდელ პრესაში არაერთი წერილია დაბეჭდილი, რომლებშიც სიმბოლისტურად მიიჩნევენ სავსებით მარტივ და უფერულ მინიატურებსა და ჩანახატებს, ალბათ ავსტრიული იმპრესიონიზმის გავლენით.

ვასილ ბარნოვის მოდერნისტობაზე მეც მიწერია, მაგრამ ვგულისხმობდი ოციან წლებს, როცა ანდრეი ბელის ზეგავლენით იგი მეტრულ პროზაზე გადავიდა.

კარგადაა განხილული ღმერთმაძიებლობის - „ბოგოისკატელობის“ საკითხი, მასთან ვასილ ბარნოვის მიმართება. ამავე იდეას ანვითარებ-

და **კონსტანტინე გამსახურდია**, ოღონდ რუსული აზროვნების გვერდის ავლით და ღმერთმაძიებლობას ურთავდა ღმერთმებრძოლობის პრინციპს.

პირადად ჩემთვის ძნელი დასაჯერებელია, რომ **„ტრფობა წამებული“** სიმბოლისტური რომანია, მით უმეტეს თუ ბარნოვზე **„ძალიან დიდია რუსთველის გავლენა“** (გვ. 72).

რუსთაველი მწერალს სიმბოლიზმისაკენ ვერ უბიძგებდა. ნაშრომის ამ თავს ჰქვია **„ნეოქრისტიანული და რენესანსული იდეალები“**. რენესანსული იდეალები არ იყო დამახასიათებელი სიმბოლიზმისათვის, რადგან **დაცემის სილამაზე და სიკვდილის ესთეტიკა, მელანქოლია და მსოფლიო სევდა ანტირენესანსული მოვლენაა.**

ჩემის აზრით, ვასილ ბარნოვის პროზაში მოდერნისტულია ენობრივი სტილი, მეტრული მეტყველებისაკენ მიდრეკილება და პოეტიზებული თხრობა, რაც გამორიცხავს დეტალების რეალისტურ სიზუსტესა და სიუჟეტურ ხლართებს.

ნაშრომში არაა შენიშნული, რომ ბარნოვის ბოლო რომანები ლექსივით სკანდირებით არის წასაკითხი.

დისერტაციის ამ ნაწილში ძალიან კარგად არის დაწერილი ქვეთავი **„მითი და ისტორიის საზრისი“**.

როგორც სიმბოლისტური პროზის ნიმუში, განხილულია **დემნა შენგელაიას** ორი რომანი - **„სანავარდო“** და **„ტფილისი“**. „ტფილისს“ არათუ დღევანდელი მკითხველები, სპეციალისტებიც კი არ იცნობენ, თუმცა „მნათობშია“ დაბეჭდილი. ამიტომ სწორად მოიქცა ამირან გომართელი, რომ იგი საგანგებოდ განიხილა. „ტფილისის“ ცალკეული ეპიზოდები მართლაც ბრწყინვალედ არის დაწერილი, რომლებშიც **მთავარია ავადმყოფური ფსიქიკის პოეტიზება, ნაირგვარი ჰალუცინაციების ხატვა.** მაგრამ სწორად არის შენიშნული, რომ იგი იერთებს ფუტურისტულ ნაკადსაც. ალბათ იმიტომ, რომ დემნა შენგელაია „H2SO4“-ის წევრი იყო და მისი შემოქმედებითი პრაქტიკა უნდა გაემაგრებინა, თუმცა თავის შემოქმედებით მეთოდს **მარინეტის** ზეგავლენით **ტაქტილიზმად** ნათლავდა, ე.ი. არა სიმბოლიზმი, რეალიზმი ან ფუტურიზმი, არამედ - ტაქტილიზმი, რაც მათ გააერთიანებდა

საინტერესოდაა მოძებნილი პარალელები **ანდრეი ბელის** პროზასთან, მართებულია შენიშვნა, რომ „ტფილისის“ ფინალი ერთობ ხელოვნურია და უფერული. თუ „სანავარდო“ მთავრდება აპოკალიფსური წარღვნით (იგულისხმება პირველი ვარიანტი), როცა **„ახალი ქაჯი - წითელი უჟმური“** გადააშენებს სანავარდოს, აქ მთავარი გმირი, **ფსიქიკადარღვეული დუდე ათინაძე** გამოეთხოვება მოლანდებებს, საზარელ ხილვებს, შეირთავს მანანას და ბედნიერად ცხოვრობს ტფილისში, როგორც შეშვენის

საბჭოთა მოქალაქეს, ე.ი. მანანას სიყვარულმა განკურნა იგი.

ასეთი ფინალი მართლაც არ გამომდინარეობს რომანის სიუჟეტური და აზრობრივი ლოგიკიდან.

ამირან გომართელს უფრო ვრცლად და დეტალურად აქვს განხილული „სანავარდო“ - მწერლის პირველი რომანი. **უდავოდ უნდა მივიჩნიოთ, რომ „სანავარდო“ სიმბოლისტური რომანია**. ამ დებულების და სამტკიცებლად საინტერესოა სანავარდოს მითის შედარება ანდრეი ბელის პეტერბურგის მითთან, ჭილაძეების სნეული ფსიქიკის ჩვენება, ბონდო ჭილაძის დახასიათება, სიკვდილის ესთეტიკაზე მსჯელობა, სექსის მისტიკის გააზრება.

საერთოდ „სანავარდოს“ პირველი ვარიანტი არა მხოლოდ სიმბოლისტური, არამედ ანტისაბჭოურიც გახლავთ. როცა ეს რომანი დაბეჭდა, დემნა შენგელაია 28 წლისა იყო. 29 წლისამ გამოაქვეყნა „გურამ ბარამანდია“, 30-ისამ - „ტფილისი“ და ფაქტიურად ამ სამი ნაწარმოებით დამთავრდა მისი ნამდვილი მწერლური გზა. ამირან გომართელს ნაჩვენები აქვს დემნა შენგელაიას როგორც ხელოვანის ტრაგედია, თუმცა თავად მწერალს ეს არ უგრძვნია და არც განუცდია. იგი ყოველთვის ხელისუფლების ერთგული, მისი ნების მორჩილი აღმსრულებელი იყო; ამბობდა, მუშათა კლასის ცხოვრება ყოველთვის მხიბლავდაო, მე ხომ ნაძალადევში გავიზარდეო. მაგრამ მისი ფსიქიკისა და ცნობიერებისათვის ბუნებრივი იყო სიმბოლისტური ხედვა, რაც მშვენივრადაა ნაჩვენები ამირან გომართელის გამოკვლევაში. მაგრამ რატომღაც არ ეხება **„გურამ ბარამანდიას“**, მის პირველ ვარიანტს, რომელიც სტილურად **„სანავარდოს“** გაგრძელებაა, **ისევე როგორც „ტფილისი“**.

რაც შეეხება **„ბათა ქექიას“**, ეს არის ოსტატურად დაწერილი რომანი, მაგრამ არ ახლავს ამ სამი ნაწარმოებისათვის ნიშნეული სიმძაფრე. დანარჩენ რომანებზე ლაპარაკიც არ ღირს. **სწორედ საბჭოთა სინამდვილემ მოკლა დემნა შენგელაია როგორც ხელოვანი. მას არ აღმოაჩნდა პროტესტის გრძნობა, რათა დაეცვა თავისი ინდივიდუალობა, მიჰყოლოდა შინაგან ხმას.**

ერთი სიტყვით, ამირან გომართელს საკითხის ღრმა ცოდნით აქვს ნაჩვენები დემნა შენგელაიას სიმბოლისტობა, რასაც ოციან წლებში ამჩნევდნენ, მაგრამ შემდეგ მიივიწყეს.

ახლა **გრიგოლ რობაქიძის „გველის პერანგის“** შესახებ:

„გველის პერანგი“ პოპულარული არასოდეს ყოფილა, მაგრამ ლიტერატორთა ყურადღებას დიდად იქცევს, რადგან წიგნის იდეური სამყარო იძლევა მრავალგვარი ახსნის საშუალებას და თავად მკვლევარსაც წარმოაჩენს.

როგორც დღეს მიღებულია, **გრიგოლ რობაქიძე იყო მოდერნიზმის**

იდეოლოგი და სიმბოლიზმის შემომტანი საქართველოში და ამ თვალსაზრისით ეხება დისერტანტი „გველის პერანგს“. მაგრამ მე მინდა შევნიშნო, რომ გრიგოლ რობაქიძე 1921 წლიდან გაიტაცა **ექსპრესიონიზმმა** და **ოსვალდ შპენგლერმა**. ამის გამო მას **კონსტანტინე გამსახურდია** ედავებოდა კიდეც. ცხადია, „გველის პერანგში“ არის სიმბოლისტური ნაკადი, მაგრამ **ძირითადად იგი მაინც ექსპრესიონისტული რომანია. გრიგოლ რობაქიძის რომანისათვის უცხოა დაცემის მოტივები, კაეშანი და მოღლილობა, მელანქოლიისადმი მორჩილება, სიკვდილისადმი სიმპათია. ამ წიგნის მიხედვით იგი არის ოპტიმისტი, მებრძოლი სულის პიროვნება, რომელსაც სწამს ქართული სულის არა გადაშენება, არამედ - აღზევება. არჩიბალდ მეკეში უბრუნდება თავის საწყისს, პოულობს ძირებს, ნაცვლად დაკარგვისა. იგი სძლევს პიროვნულ მარტოობას და მისი გვარი გააგრძელებს არსებობას ქართულ გარემოში.**

დამარცხებულ საქართველოს სწორედ ოპტიმისტური წიგნი სჭირდებოდა, ისევე როგორც დამარცხებულ გერმანიას, რომელსაც ექსპრესიონიზმი გმირული სულით, პათეტიკით, ჰეროიკული პათოსითა და რწმენით აღავსებდა.

ვფიქრობ, ამირან გომართელს უნდა განეხილა **„დიონისოს ღიმილი“,** რომელიც უფროა სიმბოლისტური რომანი, ვიდრე „გველის პერანგი“. **„დიონისოს ღიმილი“ აერთიანებს სიმბოლისტურ, ექსპრესიონისტულ და იმპრესიონისტულ ნაკადებს.** მართალია, კონსტანტინე გამსახურდია ებრძოდა ქართველ სიმბოლისტებს, მათ უპირისპირებდა ექსპრესიონიზმს, მაგრამ თავის პირველ რომანში სწორედ დეკადენტი ნაციონალისტი კონსტანტინე სავარსამიძე გამოიყვანა და საერთოდ **კ. გამსახურდიას სტილი ყველაზე მეტად ენათესავება სიმბოლისტურ აზროვნებას, გალაკტიონის მიერ დამკვიდრებულს საქართველოში.**

ნაშრომში „გველის პერანგი“ შთამბეჭდავადაა განხილული. განსაკუთრებით ეს ეხება პერსონაჟთა არქეტიპულ გააზრებას, არჩიბალდ მეკეშის დახასიათებას, ოიდიპოსის მითის მოდელირებას, ქართული რასის პრობლემას, გენეტური ძირების ძიებას.

ნაშრომში არ არის დასახელებული **აკაკი ბელიაშვილის „ავადმყოფი რასსა“**. მასზე მითითება საჭირო იყო, რადგან ავლენს სიმბოლისტურ სულისკვეთებას, თუმცა თავად ავტორი იმ წლებში ავანგარდისტი იყო.

აქვე უნდა გაკეთდეს ერთი შენიშვნა:

როცა ამირან გომართელი მსჯელობს ქართველ პროზაიკოსებზე, ეძებს პარალელებს **ანდრეი ბელისთან**. უნდა ითქვას, რომ ამგვარი თანახვდომა კარგადაა შენიშნული. ანდრეი ბელი იმხანად უაღრესად პოპულარული მწერალი იყო, როგორც სიმბოლიზმის მეტრი რუსეთში, მაგრამ ქართული სიმბოლისტური პროზა ბელის ზეგავლენით არ

ჩამოყალიბებულა. **მისი საფუძველი იყო გალაკტიონისა და ტიციანის სიმბოლისტური სამყარო, რუსი და ფრანგი ავტორები**. განსაკუთრებული მნიშვნელობა მიენიჭა ფრაზის ჟღერადობას, სიტყვას, სიტყვის ხელოვნებას, მეტაფორასა და შედარებას, მელოდიკას, ლირიკულ მონოლოგებს. სიუჟეტი გამარტივდა, მოაკლდა დრამატიზმი, ამბავმა მეორე პლანზე გადაიწია. მისი ადგილი დაიკავა სიმბოლიკურმა ინფორმაციამ.

ქართველი რეალისტები არ მეტყველებდნენ ასე და არც სასაუბრო ენაა ასეთი:

„შეთეთრდა ფრთებში უფრო ვეშაპი, ძირს დაიწია, მოისმა ციდან რაღაც ხრიალი და ათამაშდა თეთრი გულა განხმელ მიწაზედ. გამძაფრდა ქროლვა, დასხვილდა სეტყვა, სჭექდა ცეშუბი, ცეცხლებს ჰფანტავდა. ცა იმტვრეოდა შესაზარის ხმით, ეღვრებოდა დედამიწას ზეშთა წყალი ყინვის ლოდებად“ (ვასილ ბარნოვი).

„ქართლის ცხოვრება დაღარულია საუკუნეთა უფსკრულებით!.. რა მოგვაქვს ჩვენ ამ უფსკრულებიდან?.. ჯვარი, მამაჩემო, და ზედ გაკრული ჩვენივე თავი მოგვაქვს ჩვენ!.. ჩვენ მოგვდევს იგი საუკუნეთა ბნელ სიღრმეებიდან!., ალბათ ტიგრისა და ევფრატის მონაპირე ქალდუელიც ისევე ძიგძიგებდა ციებით შეპყრობილი, როგორც რაიონისა და ალაზნის მონაპირე!.. თესლი ჩვენი შეჭმულია პლაზმოიდებით და სისხლი დალორწილი“!.. (დემნა შენგელაია).

„ნელა, ნელა ქანაობენ მაღალი ალვები. სიკვდილის ანგელოზის ცრემლებივით ეცემიან შარაგზაზე ფოთლები უღონო და ფერგადასული, და მესმის ალვებისა და აკაციების შტოებში მგლოვიარე ბუნების საშემოდგომო რეკვიემ“ (კონსტანტინე გამსახურდია).

„უყვარდა ვასაკა - ღმერთს რომ ადიდებს ნაწვიმარზე ყაყანით ხეზე აცოცილი. უყვარდა ხილვა: რქანაყარი გველი რომ იხდის პერანგს ცხელ რიყეზე, უყვარდა დიდი შუადღე. მაგრამ თანვე ეშინოდა მისი მოკვლა გაჩერებულ მზეში: დიდი მუხის ძირს მიეძინა“ (გრიგოლ რობაქიძე).

ამიტომ მიმაჩნია, რომ დისერტანტს ყურადღება უნდა მიექცია მეტყველების ფერისცვალებისათვის, მისი სტრუქტურისათვის თუ როგორ გამოიხატება ესთეტიზებულ სიტყვაში გრძნობა და რეალობა.

დასასრულ მინდა აღვნიშნო, რომ **ამირან გომართელის** ნაშრომი არის მნიშვნელოვანი გამოკვლევა, ერთ-ერთი საუკეთესო წიგნი, რაც დაწერილა XX საუკუნის ქართულ პროზაზე.

1997, ნოემბერი

„გალაკტიონი“

ნოდარ ტაბიძეს ამ დღეებში 70 წელი შეუსრულდა. მას ბევრმა მიულოცა ეს ღირსშესანიშნავი თარიღი, ბევრმა უთხრა გულთბილი სიტყვა. მაგრამ იუბილე ყველაზე კარგად თავად ბატონმა ნოდარმა მიულოცა საკუთარ თავს, როცა მკითხველის წინაშე წარდგა ფუნდამენტური წიგნით - **„გალაკტიონი“**.

გალაკტიონ ტაბიძის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე მდიდარი ლიტერატურა არსებობს.

დაუვიწყარია **დემნა შენგელაიასა** და **კონსტანტინე გამსახურდიას, აკაკი გაწერელიასა** და **გურამ ასათიანის** ესსეები.

პოპულარულია და საყოველთაოდ ცნობილი **რევაზ თვარაძისა და მიხეილ კვესელავას, ირაკლი კენჭოშვილისა და ვახტანგ ჯავახაძის** წიგნები.

მათ რიცხვს მიემატა **ნოდარ ტაბიძის „გალაკტიონი“**, რომლითაც კიდევ ერთი ძეგლი აუგო თავის სათაყვანებელ ბიძას და ქართველი ერის დიდებას - **გალაკტიონ ტაბიძეს**.

გალაკტიონის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე ნოდარ ტაბიძეს ჰქონდა გამოქვეყნებული რამდენიმე საინტერესო ნაშრომი. მაგრამ ამ ახალმა წიგნმა მართლაც გადააჭარბა მოლოდინს.

ავტორის თხრობა და კვლევა ემყარება მდიდარ ფაქტოლოგიურ მასალას, პრესას, პოეზიის ნიმუშებს, ეპოქის სურათებს.

მრავალი რამ პირველად არის ფიქსირებული და გარკვეული.

გალაკტიონის წინაპარი მღვდელი გიორგი ტაბიძე 1803 წელს გადასულა ივანდიდიდან სოფელ ჭყვიშში (ჭყუშში), რაც მეგრული ტოპონიმია და ქართულად მწყემსს ნიშნავს.

ავტორი დეტალურად და ღრმა ცოდნით გვიხასიათებს იმ გარემოს, რომელშიც გაიარა დიდი პოეტის ბავშვობამ, წარმოგვიდგენს მშობლებს - ვასილ ტაბიძესა და მაკრინე ადეიშვილს, პაპას, ძმას - პროკლეს, ძმების ურთიერთდამოკიდებულებას, სემინარიის წლებს, მიმართებას კოლეგებთან.

ცალკეული ეპიზოდები მწერლური ოსტატობით არის დაწერილი (მაგ, შემოდგომის წვიმა ჭყვიშში, როცა **„ტირის ორღობეში ქალის ნაფეხური“**, ან - ტიციანის დედის გულისმომკვლელი მოთქმა - **„შვილო, ტიტიკო, სადა ხარ ახლა“...).**

თურმე გალაკტიონი თავის გვარს წყალს უკავშირებდა, რაც ენათმეცნიერებს უარუყვიათ, მაგრამ გალაკტიონი მართალი იყო. ძველქართულში ტაბა უნდა ყოფილიყო ტბის პირველსახე, რომელიც მეგრულში

ტობად გადადის (შდრ - ძმა - ძამა, ვაშლი - ვაშალი, ცეცხლი - ცეცხალი, ძაღლი - ძაღალი).

ასეთ სიტყვათშეკუმშვას არნ. ჩიქობავა ძლიერი მახვილით ხსნის.

„გრძელია ჟამი, ღვდელმსახურობს რაც ჩემი გვარი“, წერდა ტიციან ტაბიძე.

გალაკტიონს უთქვამს, XIV საუკუნიდან მოყოლებული მღვდელმსახურები იყვნენ ჩემი წინაპრებიო. მართლაც - ეს ლეგენდა დოკუმენტურად აქვს დამტკიცებული ნოდარ ტაბიძეს:

XVI საუკუნეში უცხოვრია **„ხუცეს ტაბიძეს“,** ხოლო XVIII საუკუნეში - პოეტის პაპისპაპას - **„მღუდელ ტაბიძეს“.**

წიგნში გარკვეულია, რომ **ოლია ოკუჯავა** ციხეში არ გარდაცვლილა, როგორც ეგონათ თავად პოეტს და მისი პოეზიის მკვლევარებს.

ოლია ოკუჯავა **ბერიას** წინადადებით და **სტალინის** დასტურით დახვრიტეს 1941 წლის 11 სექტემბერს, ორიოლთან, მედვედევის ტყეში.

მრავალი ფაქტია მოხმობილი გალაკტიონის მთრთოლვარე ფსიქიკის საჩვენებლად, რითაც ნათელი ხდება, რომ პოეტი თავისი ტემპერამენტით ბუნებრივად იყო განწყობილი სიმბოლისტური ესთეტიკის მისაღებად.

გალაკტიონს მოწაფეობის წლებიდან იზიდავდა ალკოჰოლი, ჰქონდა დეპრესიული განწყობილებანი და თვითმკვლელობისაკენ მიდრეკილება, ერთი პერიოდი სწავლაც არ შეეძლო და გარიცხეს კიდეც სემინარიიდან.

თუ არაერთი სანგვინიკი მოდერნისტი ცდილობდა მორგებოდა ახალი დროის ლიტერატურას, გალაკტიონი ფსიქიკითა და ცნობიერებით თავად იყო სიმბოლისტური პოეზიის პერსონაჟი.

ამიტომ დაწერა თავისი უპირველესი ლექსები 1912-1927 წლებში - სიმბოლისტურ პერიოდში.

ნოდარ ტაბიძის წიგნი მთავრდება 1921 წლით.

იგი არ აჩვენებს დიდი პოეტის ტალანტის დაცემის პროცესს. ეს ტრაგიკული თემა მომდევნო წიგნში გაშუქდება.

ამ ნაშრომში მრავალი უცნობი ფაქტია გამოვლენილი. ყველა მათგანს ვერ შევეხები და ვერც ავღნუსხავ. მაგრამ ზოგი მათგანი პრინციპული მნიშვნელობისაა:

თურმე გალაკტიონი ყოფილა **ვალიკო ჯუღელის** სახალხო გვარდიის ჟურნალის ფაქტიური რედაქტორი. ეს მაშინ, როცა იგი იყო ბოლშევიკ **ოკუჯავების** ოჯახის სიძე.

ცხადია, ამის გამო დუმდა, შეიძლება ეშინოდა კიდეც.

გალაკტიონი პატივს სცემდა **ნოე ჟორდანიას** და ლექსის დაწერაც უცდია მთავრობის თავმჯდომარეზე. ნოე ჟორდანია პოეტს იცნობდა და 1917 წელს წერილი გაუტანებია პეტროგრადში **ჩხენკელისა** და **ჩხე-**

იძისათვის გადასაცემად.

არსებობს მითი, რომ თითქოს გალაკტიონს უყვარდა **მერი შერვაშიძე.** ამ აზრის დამკვიდრებას თავად პოეტიც უწყობდა ხელს, მაგრამ რეალობა სხვაგვარია და უნდა დავეთანხმოთ დიდი პოეტის ძმისწულს:

„ლექსის მერი არ არის კონკრეტული პიროვნება, არამედ პოეტის ფანტაზიით შექმნილი სახეა, მისი იდეალი და ხატება“.

გალაკტიონის პოეზია განსხვავებით, ვთქვათ, **ალექსანდრ ბლოკისაგან**, ნაკლებად ბიოგრაფიულია. მისი ლექსის თემაა არა გარეგნული ფაქტები და რეალიები, არამედ - ფსიქიკა და ცნობიერება, შინაგანი ღელვის გამოტანა სიმბოლურ სახეებად.

რეალობა მისთვის ფასეულია იმდენად, რამდენადაც ხსნის და შიფრავს ფიქრთა, ვნებათა და ოცნებათა მდინარებას. ამიტომ იძენს გადამწყვეტ მნიშვნელობას **სიტყვა - მედიუმი.**

როცა „მერის“ წერდა, მაშინ გალაკტიონს **ოლია ოკუჯავა** უყვარდა, მანამდე კი **რაისა ჩიხლაძე** იტაცებდა.

წიგნში საკმაო ადგილი ეთმობა გალაკტიონის მიმართებას „ცისფერყანწელებთან“, მათ მეგობრობასა და კონფლიქტს.

საბოლოოდ **„არტისტული ყვავილების“** ავტორი არ მიიღეს ყანწელებმა, თავიანთ თავზე მაღლა ვერ დააყენეს მისი გენიალური ლექსები. ეს მაშინ, როცა განადიდებდნენ **გრიგოლ რობაქიძეს**, უწოდებდნენ მას უწმინდესსა და უნეტარესს (**პაოლო იაშვილი**), მელექსეთ ბაშს (**ტიციან ტაბიძე**), ქართული პოეზიის ტვინს (**ნიკოლო მიწიშვილი**).

არადა - გრიგოლ რობაქიძეს მნიშვნელოვანი ჯერ არაფერი შეექმნა, ჯერ არ დაეწერა არც „გველის პერანგი“ და არც „ლამარა“.

სანამ გაჩნდებოდა „ცისფერყანწელთა“ გაერთიანება, გალაკტიონი მანამდე იყო არაერთი შედევრის ავტორი - **„გურიის მთები“, „მთაწმინდის მთვარე“, „ლურჯა ცხენები“, „შერიგება“, „ალვები თოვლში“, „მერი“, „სროლის ხმა მთაში“, „ატმის ყვავილები“, „გვიანი ოცნება“, „პირველი ვარდი“, ე.ი. უკვე არსებობდა ქართული ლექსის ახალი მოდელი, ახალი ესთეტიკა და პოეტიკა.**

გალაკტიონმა დაიწყო და დაასრულა სიმბოლიზმი და იმპრესიონიზმი ქართულ პოეზიაში, მის მიერ აღებულმა ესთეტიკურმა კურსმა და განახლებულმა სიტყვამ მხარდაჭერა და გაგრძელება ჰპოვა პროზის სფეროშიც (კონსტანტინე გამსახურდია, დემნა შენგელაია).

გალაკტიონ ტაბიძის სახელი ძვირფასია და მახლობელი ყველა ჩვენთაგანისათვის, მაგრამ ცხადია, კიდევ უფრო მახლობელია იგი ბატონი ნოდარისათვის. ამიტომ ახლავს მის სტრიქონებს დიდი სიყვარული, დიდი გზნება, როცა წერს ჭყვიშზე, ქუთაისზე, მშობლებსა და წინაპრებზე, გალაკტიონის ლექსებსა და ცხოვრების პერიპეტიებზე.

ვისურვოთ, რომ მალე გვეხილოს მეორე წიგნიც - ასეთივე მონუმენტური, ასეთივე ღირსეული.

გაზ. „ახალი ერა“, 13 აპრილი, 2001 წელი.

ქართველის ბედი და ბოლშევიკური ჟამი

მიხეილ ჯავახიშვილის პროზაზე, რომელსაც ეძღვნება **ია ქადაგიძის** გამოკვლევა **„პიროვნებისა და საზოგადოების ურთიერთმიმართების საკითხი მიხეილ ჯავახიშვილის სამი რომანის მიხედვით“**, უამრავი კრიტიკული სტატია და სამეცნიერო ნაშრომია დაწერილი.

მიხეილ ჯავახიშვილი კონსტანტინე გამსახურდიასთან ერთად უდიდესი ქართველი მწერალია, რომლის რომანებსა და ნოველებს არასოდეს მოჰკლებია მკითხველის ინტერესი.

ფაქტიურად მან 5 წელიწადში (1923-1928) შექმნა ქართული პროზის უპირველესი ნიმუშები და ესეც ხელს უწყობდა მის პოპულარობას.

იშვიათია პროზაიკოსი, ვისაც ასე მცირე დროში დაეწეროს თავისი მთავარი თხზულებანი და ასე სწრაფად დამკვიდრებულიყოს ლიტერატურაში, ხალხის მეხსიერებაში.

მას მართლაც ჰქონდა უაღრესად საინტერესო და ამასთან ერთად ტრაგიკული ბიოგრაფია, რაც თითქოს შეესატყვისებოდა მისი გმირების ცხოვრებას.

მიხეილ ჯავახიშვილი რეალიზმიდან მოდიოდა. ის რეალისტი მწერალი იყო, რომელსაც არ ხიბლავდა მოძალებული მოდერნისტული სკოლები და კონცეფციები. თუმცა ფსიქოანალიზს კარი მაინც გაუღო და მისი ნაკაცარების თემაც ქართული, ეროვნული დეკადანსის ნაწილი იყო.

ეს ყოველივე ძალიან კარგად არის ნაჩვენები ია ქადაგიძის სადისერტაციო ნაშრომში. იგი თავადაც მწერალი გახლავთ და ამანაც შეუწყო ხელი, დამაჯერებლად წარმოედგინა მიხეილ ჯავახიშვილის ეროვნულ ტრაგედიაზე დაფუძნებული პრობლემატიკა.

დისერტანტის კვლევის საგანია მხოლოდ სამი რომანი - **„ჯაყოს ხიზნები“, „თეთრი საყელო“ და „გივი შადური“.**

სწორედ ესენი გახლავთ მიხეილ ჯავახიშვილის საუკეთესო რომანები და არა **„ქალის ტვირთი“ ან „არსენა მარაბდელი“.**

ნაშრომის სტრუქტურა ასეთი გახლავთ:

ჯერ განხილულია „თეთრი საყელო“, შემდეგ - „ჯაყოს ხიზნები“ და „გივი შადური“. მეოთხე თავად წარმოდგენილია მხატვრული ანალიზი.

უკეთესი იქნებოდა, თუ დისერტანტი დაიცავდა ქრონოლოგიას და ჯერ „ჯაყოს ხიზნებს“ შეეხებოდა. ყოველ შემთხვევაში, მე მინდა

ვკითხო დისერტანტს - რატომ დაიწყო ნაშრომი ელიზბარის გაწიკლაურებით და არა თეიმურაზის დაცემის ჩვენებით?

დისერტანტი არ იზიარებს **გიორგი ჯიბლაძის** მოსაზრებას, რომ ელიზბარი თეიმურაზ ხევისთავია, ოღონდ ახალ გარემოში მოხვედრილი.

მაგრამ, მე ვფიქრობ, ეს საინტერესო აზრია, რადგან ამჯერად „ფუღურო“ ელიზბარმა, როგორც მწერალი წერს, შეძლო დეგრადაციის აცილება და ველურ გარემოსთან ზიარებით აღიდგინა სასიცოცხლო ძალა, ისევე როგორც **კ. გამსახურდიას** კონსტანტინე სავარსამიძემ და თარაშ ემხვარმა.

ვერ დავეთანხმები ია ქადაგიძეს, რომ თითქოს საჭირო იყოს „მხატვრული ანალიზის“ ცალკე გამოყოფა.

პერსონაჟის, მისი ხასიათისა და ცნობიერების, რომანის სტრუქტურისა და პრობლემატიკის ანალიზი თავისთავად მხატვრულობის კვლევაა.

ლიტერატორის საქმეა მხოლოდ მხატვრულობის თვალსაზრისით ტექსტის კვლევა, ხოლო მისი ცალკე გამოყოფა - პოეტიკის ანუ ლიტერატურის თეორიის სფეროა და მასაც თავისი სპეციალისტი ჰყავს.

მე მგონია, არც სათაური არის სწორად ფორმულირებული.

პიროვნებისა და საზოგადოების ურთიერთმიმართება გაცვეთილი თემაა და, რაც მთავარია, ამ თემას მაინცდამაინც არც უღრმავდება ია ქადაგიძე. მისი მსჯელობა არგუმენტირებულია, პერსონაჟებზე დაკვირვება იმდენად საინტერესოა, რომ ამ ნაცნობ ჩარჩოში არც ეტევა.

მწერალს აინტერესებდა არა პიროოვნების მიმართება საზოგადოებასთან, არამედ - ქართველის ბედი ახალ სიტუაციაში, მიმართება ბოლშევიკურ სინამდვილესთან.

ია ქადაგიძეც სწორედ ამ პრობლემას იკვლევს.

მართებულად არის შენიშნული, რომ მიხეილ ჯავახიშვილი ადრევე იყო დაინტერესებული ნაკაცარების ცხოვრებით, ფსკერზე მოქცეული ადამიანების ბედით. ხოლო **როცა ეპოქამ ნაკაცარების ბედი ერის ბედს გაუთანაბრა, მიხეილ ჯავახიშვილის სიტყვამ და ხედვამ დიდი მასშტაბი შეიძინა.**

დისერტანტი კარგად ამჩნევს, რომ თეიმურაზის, ელიზბარის თუ გივი შადურის ცხოვრების გზას განსაზღვრავს ახალი დრო - **„წითელი ეშმა“, „წითელი უღელი“.** მაგრამ ყოველთვის თანმიმდევრული არ არის და ხშირად არამთავარი საკითხებით ტვირთავს მსჯელობას.

მიხეილ ჯავახიშვილი კი ამბობს, რომ მას პრიმიტივისა და კულტურის ურთიერთმიმართების პრობლემა აინტერესებდა, მაგრამ ეს არ გახლავთ სწორი აზრი. ჯერ ერთი, ამას იგი ეუბნება ბოლშევიკს - **ვალია ბახტაძეს,** მეორე, რომანი საბჭოთა ეპოქაში დაიწერა, როცა ერის ტრაგედიაზე პირდაპირი მსჯელობა არ შეიძლებოდა. გარდა ამისა, **ავტო-**

რის აზრი ყოველთვის კრიტერიუმად როდი გამოდგება.

ჯურხა ცივილიზაციას კი არ გაექცა ქალაქიდან, არამედ - უცხო ძალას - რუსულ ბოლშევიზმს. მისი განდგომის საფუძველი ქართული ნაციონალიზმია. იგი ისევე ეფარება პატრიარქალობის გარემოს, როგორც კონსტანტინე სავარსამიძე - დიონისოს ნიღაბს.

„ქალაქჩი გაგაწითლებენ“, - ეუბნება ჯურხა ელიზბარს.

ხოლო ერთხელ ხევსურულ მეტყველებასაც დაივიწყებს და ასე მიმართავს მეგობარს:

„სხვა ხალხი ზვავივით მოგვასკდა და ქართულიც კი დაგვავიწყეს, საკუთარი არაფერი შეგვარჩინეს, არც ჩოხა, არც ქუდი, არც ცხვირი და აღარც თვალი“.

1922 წელს **ვალერიან გაფრინდაშვილმა** წამოაყენა ლოზუნგი - **„დაბრუნება მიწასთან“**, რაც სხვადასხვაგვარად გაიაზრეს **გრიგოლ რობაქიძემ და მიხეილ ჯავახიშვილმა.**

დისერტანტს კარგად აქვს ნაჩვენები **„გაწიკლაურების“** პროცესი, თუ როგორ აღიდგინა სასიცოცხლო ძალა პატრიარქალურ ხევსურეთში ელიზბარმა და როგორი განახლებული, ენერგიით აღვსილი დაუბრუნდა ქალაქს.

მან შეიძინა ის, რაც აკლდა თეიმურაზ ხევისთავს.

თუ ქალაქელი ცუცქია უნაყოფო იყო, ხევსურმა ხათუთამ შვილი აჩუქა.

საერთოდ, **უნაყოფობის, ბიოლოგიური დაცემის პრობლემა მწვავედ იდგა 20-იანი წლების მწერლობაში.** გავიხსენოთ, გარდა მიხეილ ჯავახიშვილისა, კ. გამსახურდიას „დიონისოს ღიმილი“ და დ. შენგელაიას „სანავარდო“.

ამ პესიმიზმის დაძლევაა გრ. რობაქიძის „გველის პერანგი“,

დისერტანტმა, სავსებით სწორად, თეიმურაზ ხევისთავის ტრაგედიაში დაინახა არა ერთი ადამიანის, არამედ - საქართველოს ტრაგედია. ამ თვალსაზრისით კარგად არის მოხმობილი მწერლის ფრაზა:

„დღეს ისეთი დროა, რომ პროვიზორს მატარებელი მიჰყავს, ხოლო მემანქანე აფთიაქში მუშაობს. ერთი მატარებელს ამტვრევს, ხოლო მეორე ხალხსა სწამლავს“.

ამას თეიმურაზ ხევისთავი ამბობს.

დისერტანტი იმოწმებს **ტარიელ კვანჭილაშვილს**, რომ ელიზბარი ახალი ცხოვრების ფერხულში ჩაება.

ეს მართალი არ გახლავთ.

მოვუსმინოთ თავად ელიზბარს;

„ბრძოლის ველი ქალაქშია და ომსაც იქ მოვიგებთ ან დავმარცხდებით. მომხდურს დედაციხეში უნდა დახვდე“.

ასე რომ, **იგი ქალაქში საბრძოლველად ბრუნდება და არა ახალ სინამ-**

დვილესთან შესარიგებლად.

ერთგან დისერტანტი წერს, რომ მე თითქოს მიხეილ ჯავახიშვილი თეიმურაზ ხევისთავთან გავაიგივე. ასეთი რამ მე არსად მითქვამს.

მე ვწერ: **„თეიმურაზ ხევისთავის პროტოტიპია თავად მიხეილ ჯავახიშვილი, როგორც სავარსამიძისა - გამსახურდია.**

მოგეხსენებათ, მიხეილ ჯავახიშვილი შენიშნავდა, ყველა ჩემს პერსონაჟს პროტოტიპი ჰყავსო.

სავარსამიძის, თარაშ ემხვარის, ვახტანგ კორინთელის პროტოტიპია თავად ავტორი - კონსტანტინე გამსახურდია.

ახლა მე მინდა დავაკონკრეტო, თუ რატომ იყო თეიმურაზის პროტოტიპი მიხეილ ჯავახიშვილი.

„ჯაყოს ხიზნები“ დაიწერა 1924 წლის სექტემბერში, აგვისტოს აჯანყების დათრგუნვის შედეგად, როგორც გრ. რობაქიძის „ლამარა“ და კ. გამსახურდიას „დიონისოს ღიმილი“. მოგეხსენებათ, მიხეილ ჯავახიშვილი იყო 20-იან წლებში ეროვნულ-დემოკრატების ერთ-ერთი ლიდერი, ებრძოდა ბოლშევიკებს, როგორც „პარიტეტული კომიტეტის“ ერთ-ერთი ხელმძღვანელი, რომელიც 1923 წელს გაანადგურეს. მიხეილიც დააპატიმრეს და აიძულეს დაეწერა ისეთი დოკუმენტი, რომელიც ქვეყნისათვის მებრძოლთა, მათ შორის - **ქაქუცა ჩოლოყაშვილის წინააღმდეგ იყო მიმართული.**

ამის შემდეგ მიხეილი პოლიტიკას ჩამოსცილდა და მწერლობას დაუბრუნდა. მაგრამ **მოხდა აგვისტოს ტრაგედია და შეძრწუნებულმა მწერალმა ულმობელი განაჩენი გამოუტანა თეიმურაზის სახედ წარმოდგენილ თავისთავსაც და უსუსურ ინტელიგენციასაც.**

შეგახსენებთ, რომ თეიმურაზ ხევისთავიც სათვალიანია, მელოტი, პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე, დამარცხებული ნაციონალისტი, როგორც მიხეილი.

„ჯაყოს ხიზნები“ არის საშინელი რექვიემი საკუთარ თავსა და უვარგის ინტელიგენციაზე, სამშობლოს დაცემაზე, როცა კვდება ქართული სულიერება.

დისერტანტი შენიშნავს, მიხეილ ჯავახიშვილი საბჭოთა ხელისუფლებას არასდროს შერიგებიაო. არც ეს გახლავთ მართალი. წაიკითხეთ „ქალის ტვირთი“ და მწერლის პუბლიცისტური წერილები.

საბჭოთა ხელისუფლებას არ შერიგებიან **ზვიად გამსახურდია და მერაბ კოსტავა.** დანარჩენი ულმობელმა ეპოქამ მაინც ჩააყენა თავის სამსახურში, თუმცა მათგან ეროვნული სული ვერ ამოგლიჯეს.

ჩანს, დისერტანტი არ იცნობს **ნესტან კირთაძის** წიგნს 1924 წლის აჯანყებაზე და **მანანა ხომერიკის** ბროშურას მიხეილ ჯავახიშვილის დრამატულ ბიოგრაფიაზე.

აქვე ისიც მინდა შევნიშნო, რომ დისერტანტი არ იცნობს არც **თემურ დოიაშვილის** ნაშრომს, რომელმაც პირველმა შენიშნა ფსიქოანალიზის გავლენა მიხეილ ჯავახიშვილზე და ამ თვალსაზრისით განიხილა მისი შემოქმედება.

ეს სტატია კი 30 წლის წინათ არის დაბეჭდილი.

ახლა გადავიდეთ **„გივი შადურზე“.**

მე ვფიქრობ, ესეც არის თეიმურაზ ხევისთავი, რომელმაც შეიძინა ჯაყოს აქტივისტური სული, დიონისური ენერგია, რომელიც მთაში ისესხა ელიზბარმა.

საერთოდ, **მწერლის ბუნებაში ინტუიციურად არის მოცემული მთავარი გმირის ხატი, რაც არის შინაგანი მდგომარეობისა და სწრაფვის პროექცია. მისი ნიშან-თვისებანი იცვლება, მაგრამ ძირითადი მაინც რჩება, ანუ ხდება ევოლუცია.** ამიტომ გადადის ეს არაცნობიერი ხატი ნაწარმოებიდან ნაწარმოებში.

მაგალითებით თავს არ შეგაწყენთ, მაგრამ მინდა გაგახსენოთ **ლეო ქიაჩელის** სამი მთავარი ნოველა - „თავადის ქალი მაია“, „ალმასგირ კიბულან“ და „ჰაკი აძბა“.

სამივე პერსონაჟი სიცოცხლეს ამთავრებს თვითმკვლელობით.

სამივე თავს იხრჩობს შავ ზღვაში (ერთი მეგრელია, მეორე - სვანი და მესამე - აფხაზი, სხვადასხვა სოციალური წრის ადამიანები).

ასევე ხდება **გრ. რობაქიძის, კ. გამსახურდიას, დ. შენგელაიას** შემოქმედებაში.

დისერტანტი შენიშნავს, რომ გივი შადურიც ნაკაცარია და ამ სიტყვას აიგივებს „ყოფილ ადამიანთან“, რაც არასწორია.

ნაკაცარი პირველ რიგში დეგრადირებული კაცია.

ამიტომ უხერხულია თარაშ ემხვარს ვუწოდოთ „ნაკაცარი“, ან კონსტანტინე სავარსამიძეს.

„გივი შადურზეც“ საინტერესოდ მსჯელობს დისერტანტი. საყურადღებოა ცალკეული დაკვირვებანი, მაგრამ არა აქვს გამაერთიანებელი ნერვი. ამიტომ მსჯელობა ფრაგმენტულია და გაფანტული.

დისერტანტი შენიშნავს, რომ მწერლის მიმართებას ქალთა სამყაროსთან ამძაფრებს მის ოჯახში დატრიალებული ტრაგედიის გამოძახილი.

ვფიქრობ, ეს ფაქტი (დედისა და დის მკვლელობა) შეიძლება მივიჩნიოთ ტრაგიკულ პერსონაჟთა არქეტიპადაც.

რამდენიმე შენიშვნა:

თემურ ჩხეიძის ტელესპექტაკლი დაიდგა არა 1984 არამედ - 1979 წელს. ასე რომ, გეორგიევსკის ტრაქტატის იუბილე აქ არაფერ შუაშია.

ია ქადაგიძეც, ისევე როგორც ბევრი ჩვენგანი, წერს **„ქართულ გენს“.** მინდა მოგახსენოთ, რომ არც ქართული, არც რუსული, არც გერმანუ-

ლი გენი არ არსებობს, ისევე როგორც არ არსებობს ქართული, რუსული ან გერმანული ზეცა. ესენი მხოლოდ მეტაფორული გამოთქმებია.

თუ არ გჯერათ, ჰკითხეთ ბიოლოგებს, გენეტიკოსებს.

დისერტანტი მიხეილ ჯავახიშვილს გენიოსს უწოდებს, რაც მე მართებულად არ მიმაჩნია.

ქართულ ლიტერატურას ჰყავს ორი გენიოსი - **რუსთაველი და გალაკტიონ ტაბიძე.**

„გივი შადური“ კლასიკური რომანიაო, შენიშნავს დისერტანტი.

მიხეილ ჯავახიშვილის თხზულებებს შორის ყველაზე არაკლასიკური ანუ არატრადიციული სწორედ „გივი შადურია“.

ამ რომანში ავტორმა სცადა დაერღვია კლასიკური ფაბულა და სიუჟეტი და აეთვისებინა მოდერნისტული ტექნიკა.

დასასრულ, მინდა აღვნიშნო რომ **ია ქადაგიძემ** წარმოგვიდგინა კარგად გააზრებული, კარგად დაწერილი ნაშრომი, რომელსაც ინტერესით გაეცნობიან როგორც ლიტერატურის მკვლევარები, ისე მკითხველები, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც მას ჩამოსცილდება დისერტაციისათვის ნიშნეული სქოლასტიკა.

„მწერლის გაზეთი“, 2003, ივლისი

კონფლიქტი კვლევასა და ხატვას შორის

ბოლო 15 წლის მანძილზე, მას შემდეგ, რაც **გრიგოლ რობაქიძის** სახელი ისევ დაუბრუნდა მკითხველ საზოგადოებას, ამ მოღვაწეზე დაიწერა მრავალი დისერტაცია და სამეცნიერო ნაშრომი. განსაკუთრებული ღვაწლი მიუძღვის ახალ თაობას, რომელმაც შეავსო გაცდენილი წლები და სათანადო პატივი მიაგო ემიგრანტი მწერლის შემოქმედებას.

როგორც ხდება ასეთ დროს ხოლმე, ნაშრომების ძირითადი პათოსი აპოლოგიურია, რათა სრულად ყოფილიყო გააზრებული გრიგოლ რობაქიძის მხატვრული სამყარო. მაგრამ **აპოლოგია ყოველთვის ცალმხრივია**, თუმცა უნდა ითქვას ისიც, რომ სწორედ ამ ახალი გამოკვლევების მიხედვით შეუძლებელია გრიგოლ რობაქიძეს დავუმკვიდროთ ის სახელი, რომელიც მას ჰქონდა 20-იან წლებში, როცა საოცარი ეპითეტებით ამკობდნენ, თითქოს არც არსებულიყო **გალაკტიონ ტაბიძე**.

გრიგოლ რობაქიძის მხატვრული აზროვნების გარკვევას ეძღვნება **ლია ლორთქიფანიძის** ნაშრომიც.

ამ ახალგაზრდა მკვლევარის სხვა რომელიმე გამოკვლევა ან სტატია მე არ წამიკითხავს. ამ ნაშრომმა კი ფრიად კარგი შთაბეჭდილება დატოვა. ლია ლორთქიფანიძე წერს საკითხის ცოდნით, კარგი ენით, ავ-

ლენს მხატვრული სამყაროს გააზრების უნარს.

საკმარისია გადავხედოთ სარჩევს, რათა დავრწმუნდეთ, თუ რა საინტერესო საკითხებს განიხილავს დისერტანტი. მათი განხილვისათვის კი საკმარისი ვერ იქნებოდა მხოლოდ გრიგოლ რობაქიძის შემოქმედების ცოდნა. მართლაც - ავტორი ავლენს ერუდიციას როგორც მოდერნისტული ლიტერატურის, ისე მითოლოგიისა და სიმბოლური აზროვნების სფეროში. ამიტომ ვკითხულობთ ასე ინტერესით ლია ლორთქიფანიძის მსჯელობას გრაალის სიმბოლიკასა თუ მაიას საიდუმლო პირამიდებზე, ქართული ეთნოსის ქალურ საწყისზე თუ ქართული არსის დიონისურობაზე, ცალკეულ სიმბოლურ სურათ-ხატებზე, მწერლის ენობრივ არქეტიპებზე.

როგორც ითქვა, ლია ლორთქიფანიძის ტონი აპოლოგიურია, რაც გამორიცხავს დაეჭვებას. სწორედ ეს არის გამოკვლევის სუსტი რგოლი. ის, რაზეც მსჯელობს ავტორი, მართებული და საინტერესოა, მაგრამ ეს ყოველივე განეკუთვნება **არა მაინცდამაინც მხატვრულ აზროვნებას, არამედ - აზროვნებას**, ინტელექტუალურ განსჯას. მხატვრული ლიტერატურის სპეციფიკა, განმსაზღვრელი ნიშან-თვისება კი მხატვრული აზროვნებაა.

გრიგოლ რობაქიძე თავად შენიშნავდა, სიმბოლოებითა და ალეგორიებით ჭარბი გატაცება ნაწარმოებს უსისხლობისა და უხორცობის საფრთხეს უქმნისო.

მიუხედავად ამისა, **მან ეს საფრთხე ვერ აიცილა**.

უფრო მეტიც - ამავე მიზეზით სწორად ვერ აფასებდა ცალკეულ მწერლებს (მაგ,. **გალაკტიონ ტაბიძეს**), ცალკეულ ნაწარმოებებს (მაგ. **აკაკის „ნესტორ ესებუას ჭიდილი კულა გლდანელთან“ ქართული ლირიკის 10 შედევრს შორის დაასახელა!**). აბსტრაქტული აზრის ძიებამ დააზარალა მწერლის ესსეებიც, რომელთაც აკლიათ დასრულებული ფორმა. ამიტომ იგი, როგორც ესეისტი, ვერ შეედრება **კ. გამსახურდიას, გ. ქიქოძეს, ტ. ტაბიძეს**, თუმცა მასშტაბური ხედვის წყალობით ახალ თაობას მიაღებინა **მოდერნისტული ორიენტაცია**.

გრიგოლ რობაქიძე მეტისმეტად დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა მითოსურ მოდელებს, ენის პირველად მნიშვნელობათა კვლევას, სიმბოლოებს, რაც ჩრდილავდა სიუჟეტს, ხასიათებს, ცხოვრების სურათებს. სიტყვის მისტიკაზე ხშირად მსჯელობდა, მაგრამ აკლდა ფრაზის მელოდიკის გრძნობა, რაც სწორედ აძლიერებს მისტიკურ განწყობილებას და მკითხველს ინსტინქტურად იმორჩილებს.

საბოლოოდ **გრიგოლ რობაქიძე აღმოჩნდა მკვლევარი და არა მხატვარი. კვლევაც** საინტერესოა ხოლმე, მაგრამ იგი ვერ შეედრება და არც უდრის **მხატვრულ თხზვას**.

ეს ნაკლი გადმოსულა ამ ნაშრომშიც.

მაგ. ავტორი განიხილავს **„ოქროს ვერძისა“** და **„ირმის ნახტომის“** მნიშვნელობას, რომელთაც ვრცელ კონტექსტში გაიაზრებს, მოუხმობს მრავალ საინტერესო პარალელს სხვადასხვა მითიდან.

მკვლევარის დასკვნით, „ოქროს ვერძი“ მწერალს ქართველთა მითური ხედვის სიმბოლოდ, საკრალურ სურათ-ხატად წარმოედგინა. ხოლო „ირმის ნახტომი“ - ღვთიური არსის გამომხატველ სიტყვათა კომბინაციად, როგორც **„ზებუნებრივი კერა ცეცხლოვანი თუ სხივური ენერგიისა“.**

ამ ვრცელ მსჯელობას არაფერი აქვს საერთო გრიგოლ რობაქიძისეულ მხატვრულ აზროვნებასთან, რადგან არც „ოქროს ვერძი“ და არც „ირმის ნახტომი“ არ არის ნაჩვენები, როგორც ტექსტის სტრუქტურული ერთეული, მისი ადგილი სიუჟეტის თუ ხასიათის განვითარებაში, პერსონაჟის ცნობიერებაში.

ასეთივე პრინციპით არის განხილული მზე, გველი და მუხა, მათი მითოსური ურთიერთკავშირი. ამჯერადაც **გრიგოლ რობაქიძე ჩანს როგორც მოაზროვნე, მაგრამ არა როგორც მწერალი.** რომც გავიზიაროთ ლია ლორთქიფანიძის პოზიცია და შეხედულება, ეს მაინც ვერაფერს ჰმატებს გრიგოლ რობაქიძის მხატვრულ აზროვნებას, რადგან მზის, გველისა თუ მუხის მითოლოგემების კვლევა ან მწერლის თვალსაზრისი მათზე - ლიტერატურას არ განეკუთვნება.

გრიგოლ რობაქიძე აღნიშნავს, ქართული იდიომა **„თვალი ჩასული მტევანში“** რომ პლატონსა და გოეთეს მოესმინათ, განცვიფრდებოდნენო. ჯერ ერთი, ეს გამოთქმა ხალხურია, მეორე - მისი ანალიზი არ არის მხატვრული აზროვნება.

ვინ იცის, რამდენ ქართველ მწერალს უხსენებია თავის ნაწარმოებში ეს და სხვა მსგავსი იდიომა, მაგრამ მათი განხილვა ხომ არ ნიშნავს რომელიმე შემოქმედის ღირსებას ან ინდივიდუალობას, თუ იგი არ არის სტრუქტურული ერთეული, ლაიტმოტივად ან ფარულ სიმბოლიკად ტექსტში გაშლილი, როგორც ეს არის **კონსტანტინე გამსახურდიას** შემოქმედებაში, როცა სიმბოლო ისე მოძრაობს ტექსტში. როგორც პერსონაჟი.

აქ უნებლიეთ გვახსენდება **ოთარ ჩხეიძის** ბრწყინვალე პაროდია **„ღვინია გადაიჩეხა“**, რომელშიც კარგადაა ნაჩვენები, თუ რა უაზრობა შეიძლება გახდეს ცალკეული მითოსური ცნების თვითმიზნური ანალიზი და რა შორს დგას იგი ლიტერატურის სპეციფიკისაგან.

მე ეს არ მინდა ვთქვა ლია ლორთქიფანიძის მისამართით, მაგრამ ამგვარი საფრთხე უსათუოდ არსებობს.

სიმბოლოებს, ალეგორიებს, მითოსურ მოდელებს მაშინ ეძლევა მნიშვნელობა, თუ ისინი რაიმე ღირებულებას სძენენ ტექსტს და ისევე უჩინრად არსებობენ, როგორც სისხლის მიმოქცევის სისტემა სხეულში.

საბოლოოდ კი მე მაინც უნდა ვთქვა, რომ **ლია ლორთქიფანიძე იკვლევს გრიგოლ რობაქიძის აზროვნებას და არა გრიგოლ რობაქიძის მხატვრულ აზროვნებას.**

ახლა ზოგიერთ უზუსტობაზე.

ნაშრომის ავტორს მიაჩნია, რომ ძველის გადაფასება და ახლის დაფუძნება კულტურის განვითარებაში ბზარის გაჩენას მოასწავებს.

ეს ბზარი კი არა, განვითარების დიალექტიკაა.

ლია ლორთქიფანიძე **„ქართულ მითოსურ ხედვად“** და **„სიყვარულში ღრმად დაფარულ ღვთიურ საწყისად“** მიიჩნევს მწერლის სტრიქონებს:

„სიყვარულის თესლი გზნებაა
სილამაზის;
ხოლო სილამაზეში ცდუნება
იმალება;
შესაძლოა სიყვარულში
მაცდურობა უფრო გვათრობდეს.
სიყვარული შვებაა ახალი,
საცა ღმერთი ცხადდება“.

არა მგონია, ამ ჩვეულებრივ სტრიქონებში რაიმე ამგვარი საოცრება იმალებოდეს!

„ნიცშეს ზეკაცი მიუღებელია რობაქიძისათვის“, - წერს ავტორი.

არა მგონია, **ჟორდანიას, ლენინის, მუსოლინისა და ჰიტლერის** აპოლოგეტისათვის ეს აზრი მისაღები ყოფილიყო.

ლია ლორთქიფანიძე სულის აღმნიშვნელად იყენებს სიტყვას **„სამშვინელი“**. ეს სიტყვა **აკაკი ბაქრაძემ** შემოიტანა თანამედროვე ლიტერატურაში და გავრცელდა კიდეც.

მე კი მინდა შევნიშნო: სამშვინელი, **სულხან-საბას** განმარტებით, არის არა ადამიანის სული, არამედ - **„სული პირუტყუთა“**.

ასე რომ, სჯობს ისევ სულხან-საბას დავუჯეროთ.

დასასრულ, მე კიდევ ერთხელ მინდა ხაზი გავუსვა **ლია ლორთქიფანიძის** ერუდიციას, მსჯელობის სტილს, აზროვნების ნიუანსებში წვდომის უნარს და სხვებსაც ვურჩიო **„გრიგოლ რობაქიძის მხატვრული აზროვნების საკითხების“** წაკითხვა.

„მწერლის გაზეთი“, 2004, 15-30 მარტი

„ქრისტიანულ-სარწმუნოებრივი მოტივები გრიგოლ ორბელიანის შემოქმედებაში“

დღეს რომანტიზმი, რომანტიკული თვალთახედვა და მგრძნობელობა მოდაში არ არის. მისი ადგილი დაიკავა ნიჰილიზმმა, ცინიზმმა და ირონიამ, რომანტიკოსთა „მსოფლიო სევდის“ გმირი შეცვალა ატიგმირმა, რომლისათვის ყველაფერი სულერთია, ვისთვისაც აღარ ფასობს სამშობლო, ტრადიცია, სიყვარული.

ასეთი **ტოტალური გაარაფრების ჟამს** ახალგაზრდა მკვლევარი **შორენა ანჯაფარიძე** უბრუნდება რომანტიზმის ეპოქას, ქართულ რომანტიზმს და მის ერთ-ერთ თვალსაჩინო წარმომადგენელს - **გრიგოლ ორბელიანს**. ალბათ იმიტომ, რომ ქრისტიანულ-სარწმუნოებრივმა მოტივებმა დააინტერესა. ხოლო რელიგია, ქრისტიანული მრწამსი სწორედ ჩვენ თვალწინ გახდა აქტუალური, ჩვენს თვალწინ დაიმსხვრა ათეისტური კომუნიზმის ეპოქა.

ასე რომ, თუ ერთის მხრივ - რომანტიკა უარყოფილია, რელიგია ისევ გახდა თაყვანისცემის საგანი.

გრიგოლ ორბელიანი ჩვენს ისტორიაში ის პიროვნებაა, რომელმაც ერთ-ერთმა პირველმა **დაამკვიდრა ორმაგი სტანდარტით ცხოვრება,** და ეს დღემდე გრძელდება, როცა ადამიანი ემსახურება იმ ძალას, რომელიც ამსხვრევს მის იდეალებს.

გრიგოლ ორბელიანის იდეალი იყო **ბაგრატიონების საქართველო,** მაგრამ ხმლით და გონებით ემსახურებოდა მის ქვეყნის დამამხობელ **რომანოვების იმპერიას.**

ეს გაორება მის პოეზიაშიც გამოჩნდა, როცა ხოტბა აღევლინა ერთის მხრივ **საქართველოს ისტორიულ გმირებს**, ხოლო მეორე მხრივ - **ნიკოლოზ პირველს**.

ახლა დისერტანტისა და დისერტაციის შესახებ.

შორენა ანჯაფარიძეს კარგად აქვს შესწავლილი გრიგოლ ორბელიანის შემოქმედება, მის გარშემო არსებული სამეცნიერო ლიტერატურა, საერთოდ - რელიგიისა და ესთეტიკის საკითხები.

გრიგოლ ორბელიანის შემოქმედებაში განხილულია პესიმიზმის მოტივები, წუთისოფლის პრობლემა და ბედისწერის გაგება, სიცოცხლე და სიკვდილი, ტანჯვისა და მსხვერპლის სიმბოლიკა, იმედისა და ნუგეშის ცნება, ეთიკა და მორალი, სიყვარული და ბუნება.

დისერტაციის ამოსავალია ქრისტიანული იდეა, რელიგიური მრწამსის გადატანა პოეზიაში.

ავტორი საინტერესოდ მსჯელობს და ნაშრომიც ინტერესით იკითხე-

ბა. იგი აყენებს არაერთ ისეთ საკითხს, ადრე რომ არ უკვლევიათ, ხოლო ცნობილ საკითხებს აძლევს ახალ გააზრებას. მაგალითად, ეს ითქმის გრიგოლ ორბელიანის ლექსის **„მუშა ბოქულაძის“** განხილვაზე, მცხეთის სიმბოლიკაზე, რელიგიური ლექსიკის პარალელებზე ევროპულ პოეზიაში. მაგრამ, ვფიქრობ, ვერ იცავს სიზუსტესა და წონასწორობას. იმდენად არის გატაცებული ქრისტიანობის გამომხატველი ცნებების, ლექსიკის, ცალკეული ტერმინების ანალიზით, რომ **სერიოზულად ამტკიცებს გრიგოლ ორბელიანი ქრისტიანი იყოო**, რაც, ცხადია, სადავოდ არავის გაუხდია. მრავალი სიმბოლო და ეპითეტი, რომელთაც გამოჰყოფს დისერტანტი გრიგოლ ორბელიანის პოეზიაში, ზოგად ქრისტიანული კლიშეა და მათი გამოყენება არ არის გრიგოლ ორბელიანის ლექსის ღირსება. დისერტანტს უნდა ეჩვენებინა თუ როგორ გარდაისახა ბიბლიურ-ქრისტიანული ცნებები. არსებითად კი კვლევა ეხება ქრისტიანულ ლექსიკას, ქართულ ენაზე ამეტყველებულ რელიგიურ ტერმინოლოგიას. მაგალითად, მიტევება, დათმენა, ნუგეში, უნუგეშობა, ყვავილოვანი წალკოტი, საღმრთო ვალი, ყოველი კეთილი, საუკუნო სატანჯველი, აღსარება, ქრისტეს ნათელი, მტრედი მადლის, კეთილის გრძნობა, ნათელი დღე, მთა წმინდა, უმწეო მსხვერპლი და ა. შ.

საერთოდ კვლევის დროს ჩვენი საფუძველი უნდა იყოს **მხატვრული აზროვნება**, ჩვენება იმისა თუ როგორ გარდაიქმნა ძველი ცნება, აზრი და მოდელი. ლიტერატურა შეიცავს რელიგიას, ფსიქოლოგიას, ისტორიას, ეკონომიკას, ეთიკას, ფილოსოფიას. მათ ჩვენზე უკეთ გამოიკვლევენ სხვა დარგის სპეციალისტები. **ჩვენი სპეციფიკაა მხატვრული აზროვნების, მხატვრული სტრუქტურის ჩვენება და მხატვრულობასთან მიახლოებული სტილი.** დისერტანტის ჭარბი გატაცება რელიგიურობის კვლევით არის მიზეზი იმისა, რომ იგი გრიგოლ ორბელიანის პოეზიაში აქცენტს აკეთებს აზრობრივ პლანზე. ამიტომ აქვს ცალკე გამოყოფილი, ვთქვათ, გრიგოლ ორბელიანის სატრფიალო კონცეფცია. არადა გრიგოლ ორბელიანს არავითარი სატრფიალო კონცეფცია არ შეუქმნია. საერთოდაც ქართულ **ლირიკაში სიყვარულის განხილვა აზრის თვალსაზრისით აბსურდამდე მიგვიყვანს**. ჩვენთვის მთავარია მგრძნობელობის ძიება და მისი გამოხატვის პოეტური ხარისხი. ასევე არაფრის მომცემია ეთიკისა და მორალის საკითხების კვლევა გრიგოლ ორბელიანის შემოქმედებაში, რადგან პოეტის მიზანი არ იყო მათი წამოწევა და არც ახალი არაფერი უთქვამს ამ სფეროში.

მე ვედავები დისერტანტს კვლევის მეთოდზე. ხოლო თავად იგი ამ მეთოდით შესაძლებლის მაქსიმუმს აკეთებს. ნაშრომი სცილდება ლიტერატურის ფარგლებს, თორემ თავისთავად იგი მრავალი საყურადღებო დაკვირვების შემცველია, რაც მეტყველებს ავტორის ნიჭიერებასა

და ერუდიციაზე, კვლევის უნარზე (მაგალითად, ეს ეხება მსჯელობას ლექსზე **„ჩემს დას ეფემიას“**).

დისერტანტი წერს, გრიგოლ ორბელიანს პესიმიზმი ქრისტიანობიდან მოდისო (გვ. 50). გამოდის, რომ იგი რომანტიკოსი არ ყოფილა.

„სადღეგრძელოზე“ მსჯელობის დროს შენიშნავს, პოეტი აჩვენებს სიბნელის სინათლით დამარცხებასო. მაგრამ აქ ხომ ჩვეულებრივი დროის მონაცვლეობაა, ღამის შეცვლა დღით (გვ. 17).

ჰაგიოგრაფიაში იმედისა და ნუგეშის ძიება რელიგიურ ხასიათს ატარებსო, ნათქვამია სხვაგან (გვ. 52), რისი აღნიშვნაც სავსებით ზედმეტია.

დისერტანტი რუსოს რომანტიკოსად მიიჩნევს, რაც არასწორია (გვ. 54).

საბოლოოდ მინდა საბჭოს მოვახსენო, რომ შორენა ანჯაფარიძემ წარმოგვიდგინა კარგად დაწერილი გამოკვლევა. ჩემი შენიშვნების მიზანი ის იყო, რომ ახალგაზრდა მკვლევარი არ მოსწყდეს ლიტერატურას, რაც ასე ხშირად ხდება ხოლმე.

22. IV. 2002.

ანა სიდამონიძე - გურამ ფანჯიკიძის შემოქმედება

როგორც მოგეხსენებათ, **გურამ ფანჯიკიძე**, ვის შემოქმედებასაც ეძღვნება **ანა სიდამონიძის** ნაშრომი, იყო თვალსაჩინო მწერალი, პუბლიცისტი და ორგანიზატორი. მისი ყოველი ახალი რომანი უაღრესად პოპულარული გახლდათ. ხოლო **„თვალი პატიოსანი“** ნამდვილ ბესტსელერად იქცა.

გურამ ფანჯიკიძის შემოქმედებაზე, განსაკუთრებით რომანებზე, მრავალი საინტერესო სტატია და რეცენზიაა დაბეჭდილი ქართულ და რუსულ პრესაში. მაგრამ ასე ვრცლად არავის უკვლევია მისი პროზა, როგორც დღევანდელ ჩვენს დისერტანტის გაუკეთებია.

ანა სიდამონიძის ნაშრომში განხილულია მწერლის მოთხრობები, რომანები და პუბლიცისტიკა.

როგორც დისერტანტი აღნიშნავს, და ეს ყველასთვის ცნობილია, გურამ ფანჯიკიძე ტექნიკის სამყაროდან მოდიოდა, ტექნიცისტის თვალით აკვირდებოდა მოვლენებს. იგი თავიდანვე დაუპირისპირდა **ვ. ბარნოვის, გამსახურდიას, ნ. ლორთქიფანიძეს, მ. ჯავახიშვილის პროზას**, რომელშიც ენის ფენომენი დიდ როლს თამაშობს.

დისერტანტი მართებულად შენიშნავს, რომ გურამ ფანჯიკიძის პრო-

ზაზე, მის მწერლად ფორმირებაზე გავლენა მოახდინეს **ჰემინგუეიმ** და **გურამ რჩეულიშვილმა**. ჰემინგუეის ლაკონიური, სადა სტილი ძალიან იყო 60-იანი წლების ჩვენს მწერლობაში გავრცელებული. ასევე პოპულარული იყო გურამ რჩეულიშვილი, რომლის მეამბოხე, ბუნტარ პერსონაჟებს მოგვაგონებს არა მხოლოდ გურამ ფანჯიკიძის პერსონაჟები, არამედ - თავად გურამ ფანჯიკიძეც. სამწუხაროდ, მასაც ისეთივე ტრაგიკული აღსასრული არგუნა განგებამ. მაგრამ ყველა ადამიანი თავისი დროის შვილია და თავისი ეპოქითაა შეზღუდული. ამიტომ მოხდა ისე, რომ **გურამ ფანჯიკიძის მეამბოხე, ობივატელურ საზოგადოებას დაპირისპირებული გმირები არ აღმოჩნდნენ არც დისიდენტები და არც ნაციონალისტები. მწერალი ცდილობდა თავისი ტემპერამენტი და თვალთახედვა მოექცია არსებულ სოციალურ სისტემაში, ებრძოლა არა მის დასანგრევად, არამედ - გასაუმჯობესებლად.**

ჯერ კიდევ 1986 წელს აღნიშნული მაქვს, რომ გურამ ფანჯიკიძის სტილი, ბიოგრაფია და თვალთახედვა აღადგენს და აგრძელებს 20-იანი წლების კონსტრუქტივისტთა კონცეფციებს. ხოლო თავად კონსტრუქტივიზმი ფუტურიზმისა და რეალიზმის ზომიერი სინთეზია, რომლის დევიზია **„გაუმარჯოს ტექნიკას“**. გურამ ფანჯიკიძის პერსონაჟებიც ხომ ტექნიკიდან მოდიან და არა ტრადიციული, ნაივური სამყაროდან. მაგალითად, მეტალურგია ლევან ხიდაშელი, მათემატიკოსია თამაზ იაშვილი, ფიზიკოსია ნოდარ გელოვანი, ქირურგია დავით გიორგაძე და ა. შ.

მაგრამ, ისევ ეპოქის ზეგავლენით, **გურამ ფანჯიკიძე არ ყოფილა ავანგარდისტი, თუმცა ჰქონდა საამისო ყველა პირობა. განსაკუთრებით ეს ეხება განადამიანების პროცესს, ტექნიცისტურ ხედვას, პოეტური მგრძნობელობის ანუ ძველი რომანტიკის უკუგდებას.**

საერთოდ დისერტანტები აპოლოგიურად არიან განწყობილი თავიანთი კვლევის ობიექტისადმი. ეს ანა სიდამონიძის ნაშრომში არ იგრძნობა. იგი კვალიფიციურად, საკითხის ცოდნით იკვლევს მწერლის შემოქმედებასა და თავად კვლევის პროცესი წარმოგვიდგენს გურამ ფანჯიკიძის პროზის ღირსებას, რასაც ქმნიან **დრამატული სიუჟეტი, კონცეფცია და მეამბოხე გმირები.**

დისერტანტი არაერთ მართებულ შენიშვნას გამოთქვამს გურამ ფანჯიკიძის პროზის მიმართ. განსაკუთრებით ეს ეხება მწერლის ენას. უნდა ითქვას, რომ ეს გურამ ფანჯიკიძის პრინციპული პოზიცია იყო. იგი გამორიცხავდა ენობრივ და სტილურ სიმშვენიერეს, ორნამენტალიზმსა და პოეტურობას. ცდილობდა მოქმედებით ეჩვენებინა გმირები, კონცეფცია კი ცხოვრებისეულ მასალაზე გაეშალა.

ანა სიდამონიძე ყველა რომანს განიხილავს. მათგან მე წაკითხული არა მაქვს **„ეშმაკის ბორბალი“**. ჩემის აზრით, გურამ ფანჯიკიძის საუ-

კეთესოა წიგნი **„სპირალი“**, თუმცა საზოგადოებაში ყველაზე პოპულარული იყო **„თვალი პატიოსანი“**, რომელმაც ოფიციოზის განრისხება გამოიწვია. მაგრამ ყველა მათგანი ერთი იდეის ვარიაციაა. **ამ ერთი იდეის გამოხატულებაა თავად გურამ ფანჯიკიძე, მწერლის პერსონა.** გავიხსენოთ ლევან ხიდაშელი, თამაზ იაშვილი, ოთარ ნიჟარაძე, ნოდარ გელოვანი, რამაზ კორინთელი, დავით გიორგაძე, როგორი ერთი რიტმულობით იმეორებენ ისინი ავტორის გვარსა და სახელს.

გურამ ფანჯიკიძის პროზის მთავარი მინუსია ნაკლები სულიერება და ტექნიკაზე პროექცირებული გმირის ცნობიერება. ამ ფაქტს აღნიშნავს დისერტანტი. მაგრამ იგი სულიერებას არ აკავშირებს ენის ფენომენთან, რასაც ისევ მწერლის პრინციპულ პოზიციასთან მივყევართ.

ერთი წუთით გავიხსენოთ **რევაზ ინანიშვილი**, მისი მდიდარი ენა, ფერადი სტილი. მაგრამ ინანიშვილი ისე იყო შთანთქმული ენის სტიქიის მიერ, რომ **არავის ახსოვს მისი გმირები, კონცეფცია, სიუჟეტი**. ეს ყოველივე კი გააჩნდა გურამ ფანჯიკიძეს. ამიტომ ჰყავდა ესოდენ ბევრი მკითხველი მის ყოველ ახალ ნაწარმოებს.

ცხადია, **იდეალი იქნებოდა ამ ორი სტილისა და პრინციპის სინთეზი,** რაც ძალიან იშვიათად ხდება.

ვფიქრობ, მეტისმეტად მკაცრია დისერტანტი, როცა ასკვნის, გურამ ფანჯიკიძე ერთჯერადი წაკითხვის მწერალიაო. რა თქმა უნდა, **გურამ ფანჯიკიძე არ იყო დიდი მწერალი, რომელიც მუდამ გიზიდავს და რომლის ამოწურვა შეუძლებელია. მაგრამ იგი უდავოდ მნიშვნელოვანი და საინტერესო პროზაიკოსი იყო. მე მასზე 1979-1986 წლებში ოთხი წერილი მაქვს დაბეჭდილი და მათი კორექტირება არც დღეს არ მიმაჩნია საჭიროდ.**

სხვა საკითხია თუ გურამ ფანჯიკიძეს დიდი პროზის კრიტერიუმით განვიხილავთ.

ის რომანტიკა, ემოცია, ენობრივი სინატიფე, რაც აკლდა მის რომანებს, ჰქონდა მისსავე პუბლიცისტიკას.

გურამ ფანჯიკიძე ნამდვილად იყო **ერთ-ერთი სანიმუშო ქართველი პუბლიცისტი,** რომლის მოგზაურობის შთაბეჭდილებანი, ნარკვევები, სამეცნიერო საკითხებზე დაწერილი წერილები გამოირჩევა დიდი გზნებით, ცოდნით და გემოვნებით.

ეს ფაქტი სავსებით სწორად აქვს აღნიშნული დისერტანტს.

მართალია, ეპოქის კონიუქტურა მათაც შეეხო, მაგრამ ცალკეულ შემთხვევაში გურამ ფანჯიკიძემ შეძლო თავისი სათქმელისათვის დიდი ეროვნული ჟღერადობა მიენიჭებინა. სანიმუშოდ დავასახელებ სტატიას **„საქართველოს უკვდავება“**.

დისერტანტი კარგად იცნობს გ. ფანჯიკიძის შემოქმედებაზე არსე-

ბულ კრიტიკულ ლიტერატურას. მაგრამ არ იყო საჭირო ყველა დებულების საილუსტრაციოდ ვინმეს დასახელება. ასევე ზედმეტია წარამარა **გურამ გვერდწითელის** დამოწმება, მითუმეტეს მაშინ, როცა სრულიად აშკარაა, რომ მას რაიმე მნიშვნელოვანი და საინტერესო არაფერი უთქვამს.

ალბათ აჯობებდა თუ ანა სიდამონიძე განიხილავდა არა მთელს შემოქმედებას, არამედ - **ერთ პრობლემას და მას აჩვენებდა თანამედროვეობის კონტექსტში.**

ერთგან დისერტანტი წერს, **ოთარ ჭილაძეს** თითქოს დაეწეროს **„ტრანზისტორი“**. ამ პოემის ავტორი **გივი გეგეჭორია**.

დასასრულ მე მინდა აღვნიშნო, რომ ანა სიდამონიძემ კარგი ნაშრომი წარმოგვიდგინა, მან კიდევ ერთხელ გაგვახსენა დაუცხრომელი სულის შემოქმედი.

16.XII.2002

სარგის ცაიშვილის „წერილები და გამოკვლევები“

სარგის ცაიშვილი, როგორც ფილოლოგი და ლიტერატორი, ავტორია არაერთი მონოგრაფიისა და სტატიისა, რომლებიც ეძღვნება თხუთმეტსაუკუნოვანი ქართული მწერლობის თითქმის ყოველ პერიოდს. მეცნიერის თვალთახედვის არეში მოქცეულია ქართული კულტურის ევოლუციის სურათი. ამიტომ მისი ცალკეული ნაშრომები მხოლოდ კონკრეტული საკითხის კვლევა როდია, არამედ ამასთანავე პრობლემის ისტორიულ კონტექსტში ჩვენება, მისი მიმართების გარკვევა ზოგად პროცესთან. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მეცნიერის წიგნები - **„წერილები და გამოკვლევები“ (ტ. I - „ვეფხისტყაოსნის ხელნაწერები და პოემის ტექსტის ისტორია“, ტ. II - „ძველი ქართული მწერლობა“), „წინამორბედნი და თანამედროვენი“**, რომელიც როგორც ანოტაციაშია ნათქვამი, ფაქტიურად „წერილებისა და გამოკვლევების“ მესამე ტომია. მათში განხილულია ქართული ლიტერატურისა და მეცნიერების არაერთი აქტუალური საკითხი. მეცნიერი ეხება არა მხოლოდ კლასიკოსთა შემოქმედებას, არამედ იმათაც, რომლებმაც მოკრძალებული წვლილი შეიტანეს ეროვნული კულტურის საგანძურში, სწავლობს ცალკეულ ფილოლოგიურ საკითხებს მაგრამ ცენტრალური ადგილი ს. ცაიშვილის მეცნიერულ ნააზრევში უკავია **შოთა რუსთაველსა და „ვეფხისტყაოსანს“**, რომელსაც სწავლობს სიჭაბუკის წლებიდან დღევანდელობამდე.

შემოქმედების კვლევის საწყისი არის ტექსტი და არა ბიოგრაფია. თუ არ იქნა დადგენილი **ავთენტური ტექსტი,** ისე შეიძლება შეითხზას არაერთი მშვენიერი თეორია, ოღონდ სინამდვილისაგან დაცილებული. განსაკუთრებით ეს ეხება ძველ მწერლობას, რომელიც ხელნაწერებით ვრცელდებოდა, ე.ი. საუკუნეების მანძილზე იცვლებოდა კიდეც. ცალკეულ პირებს თუ მთელს თაობებს შეჰქონდათ ახალი სტრიქონები თუ ეპიზოდები. ამდენად - **გადამწერი პოტენციური თანაავტორიც ხდებოდა**. ტექსტის დადგენა ანუ მისი თავდაპირველი სახის აღდგენა ფილოლოგიის ურთულესი პრობლემაა, რომელიც გულისხმობს არა მხოლოდ ტექსტოლოგიურ მომზადებას, არამედ ფართო კულტუროლოგიურ ჰორიზონტსაც. არც „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტია გამონაკლისი (შდრ. - ჰომეროსის პოემების ირგვლივ შექმნილი თეორიები).

სარგის ცაიშვილის კვლევა წლების მანძილზე მიმართულია „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის თავდაპირველი სახის აღდგენისაკენ. მან არაერთი მონოგრაფია მიუძღვნა ამ პრობლემის თეორიულ და პრაქტიკულ გადაწყვეტას. მათგან უმნიშვნელოვანესია **„ვეფხისტყაოსნის ტექსტის ისტორია“ და „ვეფხისტყაოსნის ხელნაწერები“**. „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დადგენით იწყება რუსთველოლოგიის ისტორია. ამდენად მას დიდი და ხანგრძლივი ისტორია აქვს. მაგრამ შემდეგ უფრო მეტი აქტუალობა შეიძინა პოეტის ბიოგრაფიის აღდგენამ. **პ. ინგოროყვამ** რუსთველოლოგიურ პრობლემათა გადაჭრის საფუძვლად მიიჩნია რუსთაველის ბიოგრაფიის შესწავლა. ბიოგრაფია, ცხადია, საინტერესოა, მაგრამ მთავარია ნაწარმოები. კვლევის სხვა მიმართულება იყო **კულტუროლოგიური პრობლემების გააზრება**. მაგრამ ტექსტის განსხვავებული წაკითხვანი არღვევდა ძველ თეორიებს და წარმოშობდა ახალს. ჭეშმარიტების დადგენა კი ვერ ხერხდებოდა. 30-იანი წლებიდან „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტი სპეციალური კომისიის, სხვადასხვა დარგის სპეციალისტთა ერთობლივი შესწავლის საგანი გახდა.

ამ თვალსაზრისით ყველაზე თანმიმდევრულია ს. ცაიშვილი, რომელიც წლების მანძილზე სწავლობს ვეფხისტყაოსნის ტექსტსა და ტექსტის ისტორიას. მან ლიტერატურული თუ მსოფლმხედველობრივი კვლევის აუცილებელ წინაპირობად მიიჩნია **ტექსტის აღდგენა**. ამ პრობლემის გადაწყვეტა შეეძლო იმ პიროვნებას, რომელსაც სპეციალური საკითხების ცოდნის გარდა აქვს დიდი ფილოლოგიური და ლიტერატურული ერუდიცია. ს. ცაიშვილი სწორედ ის მკვლევარია, რომლის წარმოდგენაში მოქცეულია თხუთმეტსაუკუნოვანი ქართული მწერლობა. მისი კალამი შეეხო არა მხოლოდ კლასიკოსებს, არამედ - ლიტერატურის თანამგზავრებსაც. ამიტომ ახლავს ესსეებსა, სტატიებსა და გამოკვლევებს არა მხოლოდ კონკრეტული საკითხების შესწავლის,

არამედ - მთლიანი პროცესის გააზრების მიზანიც. მაგრამ მკვლევარს ეს ყოველივე კიდევ იმიტომ დასჭირდა, რომ უფრო სრულყოფილად გადაეჭრა ვეფხისტყაოსნის ტექსტის პრობლემა.

ს. ცაიშვილი, როგორც მკაცრი ფილოლოგი, დეტალურად სწავლობს პოემის ხელნაწერებს, აღწერს თითოეულ მათგანს, განსაზღვრავს მათ წარმომავლობას, ღირსებას, ვარიანტულ სახესხვაობას, მნიშვნელობას იმ იდეალური ტექსტისათვის, რომლის აღსადგენად ერთ წერტილში იკრიბება ყველა სტრიქონი (აქ არაფერს ვამბობთ მასზე, როგორც პოემის ტექსტის აღდგენის ერთ-ერთ ხელმძღვანელზე). ამასთან ერთად დაჯგუფებულია ხელნაწერები ექვსი ძირითადი ნიშნით. I. ხელნაწერები 1712 წლის ვახტანგისეულ გამოცემამდე. 2. ხელნაწერები, რომლებიც სათავეს იღებენ პირველი ბეჭდური გამოცემისაგან. 3. შერეული რედაქციის ხელნაწერები. 4. „არტანუჯული“ ვარიანტი. 5. 1841 წლის გამოცემებიდან მომდინარე და 6. პოემის ფრაგმენტები. ის 164 ხელნაწერი, რომელმაც ჩვენამდე მოაღწია, რამდენიმე საუკუნით სცილდება პოემის დაწერის დროს. ამიტომ ავტორისეული ტექსტის სრული აღდგენა შეუძლებელია. მაგრამ თანდათანობითი გაწმენდა, ინტერპოლატორთა მინიმუმამდე დაყვანა - აუცილებელი.

ს. ცაიშვილი რუსთველოლოგიაში ტექსტოლოგიური მიმართულების ყველაზე მკვეთრი გამომხატველია. მაგრამ, როგორც ითქვა, მისი ტექსტუალური კვლევა მოიცავს საკითხთა ვრცელ წრეს. სავსებით სამართლიანად მკვლევარს პოემის ტექსტი აქვს წარმოდგენილი რუსთველოლოგიის ფუნდამენტად. მაგრამ თვით ეს პრობლემა გააზრებულია უაღრესად ფართო ასპექტში. ს. ცაიშვილმა არა მხოლოდ ხელნაწერები შეისწავლა და დაახასიათა, არამედ წარმოადგინა პოემის ტექსტის, ნამდვილისა და ნაყალბევის კვლევის ისტორია **(ვახტანგ VI, თ. ბაგრატიონი, მ. ბროსე, 1888 წლის გამოცემა, ნ. მარი, დ. კარიჭაშვილი, ს. კაკაბაძე, იუსტ. აბულაძე, პ. ინგოროყვა, კ. ჭიჭინაძე, 1934, 1937, 1953 წლების გამოცემები...).** არსებითად ეს არის რუსთველოლოგიური აზროვნების ჩასახვისა და განვითარების ისტორიაც, მაგრამ მკვლევარს ეს მხოლოდ ისტორიად არ სჭირდება, არამედ თანამედროვეობადაც, რათა ძველი შეხედულებანი განხილულ იქნეს პრაქტიკული თვალსაზრისით, სადღეისო პრობლემასთან მიმართებით. ვიცოდეთ ის, რაც გაკეთდა (მცდარად თუ მართებულად), რათა უფრო სრულყოფილად წარმოჩინდეს ტექსტის ნიუანსები, **ტექსტის აღდგენის მექანიზმი.**

განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს რუსთველოლოგიის ვიწრო, სპეციფიკური საკითხების კვლევა, უამრავი ფაქტის, დეტალის, შეხედულების შეჯერება და ურთიერთდაკავშირება, ფილოლოგიური სიზუსტე და ფაქტობრივი უნივერსალიზმი. ამ თვალსაზრისით ს. ცაიშვი-

ლის რუსთველოლოგიური გამოკვლევები სანიმუშოა და ისინი გვიჩვენებენ თუ როგორ შეიძლება იქცეს ტექსტოლოგია პოემის ამხსნელ მექანიზმად. მხოლოდ ის განზოგადებანი, ის თეორიები იქნება ფასეული, რომლებიც დაეფუძნება მსგავს ვრცელ, ზუსტ და უხვ ფილოლოგიურ მასალას. ამ კვლევის პრაქტიკული შედეგი არის ტექსტი, რომლის აღდგენა თანამედროვე დონეზე უკვე დამთავრდა (ცხადია, მომავალი მასში კორექტივებს შეიტანს). პოემის ტექსტის ფილოლოგიური გააზრება ერთგვარი „შავი სამუშაოც“ არის. მას შეიძლება არ ჰყავდეს მკითხველთა ფართო წრე, მაგრამ ს. ცაიშვილს აინტერესებს საბოლოო შედეგი, ის, რაც ურყევი აღმოჩნდება წლების შემდეგაც და ამდენად „ვეფხისტყაოსნის ტექსტის ისტორიას“ სახელმძღვანელო მნიშვნელობა ენიჭება. მაგრამ არა მხოლოდ რუსთველოლოგისთვის, არამედ - ყოველი ფილოლოგისათვის, ვინც ტექსტის აღდგენაზე იმუშავებს.

აქ ისევ წამოიჭრება **„ფილოლოგისა“** და **„ლიტერატორის“** პრობლემა. ჩვეულებრივ, ისინი ერთმანეთისადმი მტრულად არიან განწყობილნი. ს. ცაიშვილი ამავე დროს ლიტერატორიცაა. მაგრამ რუსთველოლოგიში რჩება ფილოლოგად, ალბათ პრობლემის სირთულის გამო, რადგან მიიჩნევს, რომ ჯერ საჭიროა მყარი ცოდნის მიღწევა, მომავალ განზოგადებათა დოკუმენტური ზუსტი საფუძვლის შექმნა. ეს ტექსტისადმი დიდი სიყვარულისა და სიფრთხილის ნიშანიც არის, რათა არ მივაწეროთ ავტორს ისეთი რამ, რაც მას არ ეკუთვნის, **არ დავიწყოთ ფანტაზირება „ვეფხისტყაოსნის“ თემებზე.**

პოემის ტექსტის ისტორიისა და ხელნაწერების კვლევის პარალელურად ს. ცაიშვილი გადმოგვცემს ლიტერატურული პროცესის არაერთ თავისებურებას, კონკრეტულ ფაქტს აქცევს აზროვნების შემადგენელ ელემენტად, რათა აღწერას თავი აარიდოს. ამ მხრივ განსაკუთრებით საინტერესოა მხატვრული სტრუქტურის, მისი სპეციფიკის გათვალისწინება, ვეფხისტყაოსნის ჩანართი სტროფების გამომჟღავნება კონცეფციური ანალიზით. მეცნიერი თვლის, რომ XV-XVIII საუკუნეთა ქართულმა მწერლობამ (გარდა **დ. გურამიშვილისა**) არასწორად გაიგო ვეფხისტყაოსანი, წინ წამოსწია მეორეხარისხოვანი ტენდენციები, საგმირო-სათავგასავლო ამბების თხრობის ნიმუშად მიიღო პოემა, დაემორჩილა მის პოეტიკას. გამოვლენილია ცალკეულ ინტერპოლატორთა წყაროები (ხალხური „ტარიელიანი“, „ქართლის ცხოვრება“, კლერიკალური განწყობილება, „სოფლისადმი მდურვის“ მოტივი და ა.შ.).

როგორც ს. ცაიშვილი გვიჩვენებს, პირველ რიგში საჭიროა ვეფხისტყაოსნის კომპოზიციის აღდგენა. ამ მხრივ დიდი სამუშაო შეასრულეს წინამორბედმა მკვლევარებმა. პოემას ჩამოაცილეს გაგრძელებანი, აშკარად ნაყალბევი სტროფები. მაგრამ ისევ რჩება ცალკეული სადავო

საკითხები. ძირითადად ეს ეხება პროლოგს და დაბოლოებას. მაგრამ ისევ დავას იწვევს ზოგიერთი სტროფის ავთენტურობაც. მეცნიერი გადმოგვცემს პროლოგის შესწავლის ისტორიას, ცალკეულ მკვლევართა სკეპტიკურ თვალსაზრისს, სუბიექტურ შეხედულებას, ხელნაწერთა მონაცემებს, მათზე დაყრდნობით აღადგენს სტროფების თანმიმდევრობას და წარმოგვიდგენს პროლოგის სამ ტიპს. შემდეგ ეხება პოემის ძირითად ტექსტს, აჩვენებს განსხვავებებს, აშკარად ნაყალბევ სტროფებს, ცალკეულ ხელნაწერთა წყაროებს. პოემის შუა მონაკვეთისათვის გამოყოფილია ხელნაწერთა ოთხი ძირითადი ჯგუფი. შესაბამისად **- ტექსტის ოთხი რედაქცია**, მაგრამ ასევე სათანადო ყურადღება ეთმობა პოემის გაგრძელებათა რედაქციებს, პლასტების დათარიღებას, შედგენილობის მიხედვით ხელნაწერთა კლასიფიკაციას („ვეფხისტყაოსნის ხელნაწერები“).

1712 წელს **ვახტანგ მეექვსემ** დაბეჭდა „ვეფხისტყაოსანი“. ტექსტის აღდგენისათვის მას პრინციპული მნიშვნელობა აქვს. ამიტომაც იქცა რუსთველოლოგთა კამათის საგნად. მკვლევართა ერთი ნაწილი (მაგ. **პ. ინგოროყვა და ს. კაკაბაძე**) მიიჩნევენ, რომ ვახტანგმა ძველი რედაქცია უცვლელად დაბეჭდა: ამდენად იგი არის ყველაზე სანდო წყარო. მაგრამ მეცნიერთა უმრავლესობა თვლის, რომ ვახტანგისეული „ვეფხისტყაოსანი“ არის არა უცვლელი, არამედ - კრიტიკული გამოცემა. ს. ცაიშვილი ასაბუთებს, რომ ვახტანგმა XVII საუკუნეთა ხელნაწერების შემოკლების, ინტერპოლატორებისაგან ტექსტის გაწმენდის შემდეგ გამოსცა პოემა, მაგრამ ცხადია, ამ გამოცემას მრავალი ხარვეზიც ახლდა და რაც ყველაზე მთავარია - ტექსტის მიღმა აღმოჩნდა არაერთი რუსთველური სტროფი.

ს. ცაიშვილმა სპეციალურად შეისწავლა ვახტანგისეული რედაქცია და არაერთი სადაო საკითხი გადაჭრა. ისიც დადგინდა, რომ პოემის ხელნაწერთა ნახევარზე მეტი სათავეს იღებს ვახტანგის გამოცემიდან. ზოგიც - კომპილაციურია (15 ხელნაწერი). ასეთ ხელნაწერებს პოემის ტექსტის აღდგენისათვის ნაკლები მნიშვნელობა ექნებათ. მაგრამ რუსთველოლოგიის ისტორიის განუყოფელი ნაწილია ყოველი ხელნაწერი და ამდენად მეცნიერი თვითეულ მათგანს გულდასმით ეხება. ასე აღდგება პოემის გავრცელების, მასთან მიმართების კულტურული ატმოსფეროც, ხანგრძლივი კვლევა-ძიების შედეგად ს. ცაიშვილი ასკვნის: **„ვეფხისტყაოსნის ტექსტის დადგენა უნდა ითვალისწინებდეს ტექსტის ისტორიის მონაცემებს და სწორედ ამის გამო საფუძლად უნდა ავიღოთ ვეფხისტყაოსნის ოთხივე რედაქცია და მათში შემავალი ნუსხები“**. ხოლო ტექსტის დახვეწისათვის (განსაკუთრებით შედგენილობის თვალსაზრისით) პრიორიტეტს ანიჭებს პირველ და მეოთხე რედაქციებს

(„ვეფხისტყაოსნის ტექსტის ისტორია“).

30 წელი გავიდა მას შემდეგ, რაც სარგის ცაიშვილმა გამოაქვეყნა მონოგრაფია **„ვეფხისტყაოსნის ვახტანგისეული რედაქცია“.** ეს იყო მეცნიერის ერთ-ერთი პირველი რუსთველოლოგიური ნაშრომი და იგი იქცა მომავალი კვლევის საფუძვლად და ორიენტირად. აქ უკვე დაისვა პოემის რედაქციათა ურთიერთობის, გაგრძელებათა ინტერპოლაციების საკითხები. ავტორი ეძებს ვეფხისტყაოსნის ყალბისმქმნელთა ვინაობას, მათ მიერ დაწერილ დამატებათა ტექსტებს. ათარიღებს ცალკეულ პლასტებს. მაგრამ ყოველი საკითხის კვლევა მოიცავს საკითხთა სპეციალურ წრესაც. ზოგჯერ ჭირს ყოველ მათგანზე გარკვეული პასუხის გაცემა. მაგ. ს. ცაიშვილი მსჯელობს ე.წ. **„ხვარაზმელთა“** ეპიზოდზე, რომელზეც წერდა **ალ. ბარამიძე** ჯერ კიდევ 1928 წელს. ავტორი ეთანხმება **ალ. ბარამიძეს**, რომ იგი დაწერილი უნდა იყოს XVI საუკუნის პირველი ნახევრის შემდეგ. მაგრამ გაურკვეველი რჩება თუ ვინ იყო **სარგის თმოგველი**, რომელსაც ხვარაზმელთა ამბავი გაულექსავი დარჩენია.

რუსთველოლოგიაში ისევ დავას იწვევს ე.წ. **ინდოხატაელთა ამბავი.** იგი სიუჟეტის აუცილებელი ნაწილია. მაგრამ მოღწეული ტექსტი დამახინჯებული და შევსებული ჩანს. ს. ცაიშვილი აღნიშნავს ცალკეულ იდეურ და მხატვრულ შეუსაბამობას პოემის ძირითად ნაწილთან, გამოყოფს სუსტ ადგილებს, მსოფლმხედველობრივ და ესთეტიკურ დისჰარმონიასთან ერთად მეცნიერი სავსებით მართებულად აღნიშნავს ცალკეულ ბრწყინვალე სტრიქონებს, რომლებშიც ჩანს რუსთველური ძალა. ამიტომ ასკვნის, რომ ინდო-ხატაელთა ამბავი **„რესტავრაციული ტიპის ჩანართია“**, რომელიც შეუთხზავთ XVI საუკუნემდე („ვეფხისტყაოსნის ვახტანგისეული რედაქცია“).

ს. ცაიშვილის დაკვირვებით, ინდო-ხატაელთა ამბავს, განსხვავებით ვახტანგისაგან, პოემის განუყოფელ ნაწილად მიიჩნევდა **სულხან-საბა ორბელიანი** („ვეფხისტყაოსნის“ დაბოლოების საკითხისათვის“).

XX საუკუნეში, განსაკუთრებით **პ. ინგოროყვას „რუსთველიანას“** შემდეგ, განსაკუთრებული აქტუალობა შეიძინა პოეტის ბიოგრაფიის პრობლემამ. პ. ინგოროყვამ „ვეფხისტყაოსანში“ დაინახა რუსთაველის ბიოგრაფიის პოეტური შიფრი, მისი თავგადასავლის მხატვრული რეალიზება. საერთოდ ბიოგრაფია ლიტერატურის ისტორიისათვის, მხატვრული აზროვნებისათვის მეორეხარისხოვანი საკითხია. იგი მნიშვნელოვანი ხდება მაშინ, როცა შემოქმედების გასაღებად იქცევა, თუმცა არც მაშინ მხატვრული თვალსაზრისით ფასეულსა და საყურადღებოს არ იძლევა. **ეს უფრო შემოქმედების ფსიქოლოგიის სფერია,** რომელიც ნაკლებად უკავშირდება ესთეტიკურ ღირებულებას. პ. ინგოროყვას კონცეფცია მეცნიერებამ არ გაიზიარა, არ მიიღო იგი არც ს. ცაიშვილ-

მა. აქ ერთ ფაქტსაც უნდა გაესვას ხაზი: ს. ცაიშვილი არ არის სენსაციების, აღმოჩენების, თვალისმომჭრელი თეორიების მოყვარული, ამგვარ ჰიპოთეზებს თუ მიგნებებს, უფრო სწორი იქნება თუ ვიტყვით **- „ფილოლოგიურ მითებს“**, მეტწილად სწრაფად ეცლება საფუძველი, თუმცა დიდ პოპულარობას იხვეჭენ და კვლევის სტიმულსაც იძლევიან.

ს. ცაიშვილი ყოველთვის ამოდის ტექსტის ჩვენებიდან, დოკუმენტური მასალიდან. მისი დაკვირვება ფრთხილია და საბუთიანი, ფილოლოგიურად სანდო და ზუსტი. ამასთან ერთად გადმოცემის სტილსაც უნდა მიექცეს ყურადღება: მეცნიერი მსჯელობს სადა და უბრალო ენით, გადმოგვცემს პოზიტიურ ცოდნას, რომლის მიღმა მრავალი დოკუმენტი და სამეცნიერო წყარო იგულისხმება. ამის ნიმუშად შეიძლება ჩაითვალოს **„შოთა რუსთველი (ბიოგრაფიული ესკიზი)“**.

სარგის ცაიშვილი ემხრობა იმ აზრს, რომლის თანახმადაც რუსთველი არის იგივე **„შოთა მეჭურჭლეთუხუცესი“**. იგია გამოხატული იერუსალიმის ჯვრის მონასტერში ორი წმინდანის - იოანე დამასკელისა და მაქსიმე აღმსარებლის წინაშე. თამარის დროს საქართველოს ჰყოლია რამდენიმე დიდვეზირი და მათ შორის ერთ-ერთი თვალსაჩინოა მეჭურჭლეთუხუცესი (თანამედროვე ტერმინოლოგიით - ფინანსთა მინისტრი). მეცნიერი იშველიებს XVI-XVIII საუკუნეთა ცნობებსაც, აგრეთვე ხალხურ გადმოცემებს., აღსანიშნავია, რომ ტრადიციული ცნობები ძირითადად მართლდება. საერთოდ ს. ცაიშვილი დიდ ყურადღებას აქცევს რუსთველოლოგიურ საკითხთა გასარკვევად XVI-XVIII საუკუნეთა ცნობებს. ეს თუნდაც იმიტომ არის აუცილებელი, რომ იმხანის მწერლები უფრო ახლოს დგანან რუსთველის ეპოქასთან, ჩვენზე მეტი მასალებიც ექნებოდათ ხელთ. ხოლო როცა ამ პერიოდში გამოთქმულ შეხედულებებს მოეპოვება შესაბამისი არგუმენტი თვით პოეტის დროინდელ ისტორიაში, მაშინ უეჭველ სიმართლედ უნდა ვცნოთ.

ს. ცაიშვილი რუსთველს მიიჩნევს **მესხური წარმომავლობის ფეოდალად, თორელთა გვარის წარმომადგენლად**. საამისოდ მოაქვს არაერთი ფაქტი: ქვაბისხევის მონასტერში აღმოჩნდა XII საუკუნის ფრესკა, პოემის უძველეს ხელნაწერთა ფრაგმენტები ნაპოვნია მესხეთში, სახელი შოთა გავრცელებული იყო მესხეთის ფეოდალთა შორის, მეჭურჭლეთუხუცესის სახელოს მფლობელები იყვნენ თორელები და ჯაყელები და სხვ. ამასთან განსაკუთრებით შთამბეჭდავია ვანისხევის მონასტრის ფრესკა, რომელზეც გამოხატულია **ჭაბუკი ფეოდალი „შოთა“**. ს. ცაიშვილის ვარაუდით, **ვეფხისტყაოსნის ავტორი არის შოთა თორელი, ძე ჭიაბერისა**, რომელიც XII საუკუნის 80-იანი წლებიდან დაახლოებით 1204 წლამდე იყო მანდატურთუხუცესი. ხოლო **შოთა მეჭურჭლეთუხუცესი უნდა ყოფილიყო 1205-1220 წლებში** (საერთოდ თორელების საგ-

ვარეულოს იმჟამად არაერთი მნიშვნელოვანი სახელო ეკავა), ფლობდა ჟინვანსა და რუსთავს, რუსთველობაც აქედან მიუღია.

როგორც ითქვა, ს. ცაიშვილი არაერთხელ უბრუნდება ვახტანგისეულ გამოცემას, ვახტანგის შეხედულებებს, სპეციალურად განიხილავს ვახტანგ VI-ის თვალსაზრისს რუსთველის მიჯნურობაზე. მკვლევარი აღნიშნავს, რომ ვახტანგ მეექვსემ დაიცვა ვეფხისტყაოსნის ავტორი, უარყო მისი სპარსული წარმომავლობა. მაგრამ პოემაში ასახულ სიყვარულს მისცა მისტიურ-ალეგორიული განმარტება. ცხადია, ასეთი ინტერპრეტაცია, თუ ის სინამდვილეს შეეფერება, არც პოემისა და არც მეცნიერული აზროვნების ნაკლად არ ჩაითვლება, როგორც ეს მიაჩნდათ რუსთველოლოგებს (მაგ., **„ღვთაებრივი კომედია“ მთლიანად მისტიკური ხილვაა**), მაგრამ ამჯერად მართლაც იგრძნობა ტენდენცია, რომ კომენტატორმა რელიგიურ თვალსაზრისს შეუგუოს ვეფხისტყაოსანი, მიანიჭოს მას ერთგვარი კანონიკური გაგება. ეს ერთის მხრივ, მაგრამ როგორც ასკვნის ს. ცაიშვილი, მეორეს მხრივ ვახტანგ მეექვსე ამოდიოდა თავისი შემოქმედებითი პრაქტიკიდან, რომლის თანახმადაც ამქვეყნიური არსებობა წარმავალია, წარუვალია სწრაფვა ღვთაებისაკენ. ეს არის უმაღლესი სიყვარული. ამგვარი თვალსაზრისი ფართოდ გავრცელებულა XVIII საუკუნის ქართულ ემიგრანტულ მწერლობაში. ხოლო ყველაზე სრულად გამოხატა **დავით გურამიშვილმა. კ. კეკელიძემ** სიყვარულის მისტიკური გააზრება სუფისტურ მოძღვრებას დაუკავშირა, რომელიც სპარსული პოეზიის საფუძველი იყო. ს. ცაიშვილი ცვლის ამ თვალსაზრისს, გაზვიადებულად მიიჩნევს სუფიზმის მნიშვნელობას და აქცენტი გადააქვს ნეოპლატონურ ნაკადზე. მაგრამ ალბათ არც სუფიზმისა და შესაბამისად სპარსული პოეზიის იგნორირება იქნება გამართლებული.

ს. ცაიშვილი ვეფხისტყაოსნის არაერთ სხვა საკითხსაც ეხება (რუსთველის ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობა, მსოფლმხედველობა, პოემის პოეტიკა...). გვინდა გამოვყოთ ერთი მათგანი - როგორ გავიგოთ **„ვეფხის“** მნიშვნელობა? თითქოს ეს კითხვა არც უნდა გაგვიჩნდეს, იმდენად ბუნებრივი და ნათელი გვეჩვენება პოემის სათაური. მაგრამ ს. ცაიშვილი ცხადყოფს, რომ **„ვეფხის“** შესატყვისი ყოფილა ლათინური **„ლეოპარდოს“**, ხოლო **„ჯიქისა“** - ძველბერძნული **„ტიგრის“** და ამდენად პოეტი წერს ლეოპარდის ტყავით შემოსილ რაინდზე. მაგრამ დროთა ვითარებაში მოხდა ტერმინთა შენაცვლება, სახეცვლა. დღევანდელი მკითხველი პოემის „ვეფხს“ ლეოპარდად არ აღიქვამს, მაგრამ ს. ცაიშვილი მიუთითებს, რომ ეს არის ისტორიული სინამდვილე (ასახელებს **ნ. მარს**).

სტატია **„ვეფხი და „ჯიქი“ ვეფხისტყაოსანში“** 1965 წელს დაიწერა.

მას შემდეგ კარგა ხანი გავიდა (ამ საკითხს სხვებიც შეეხნენ). მაგრამ იმდენად ძლიერი აღმოჩნდა ტრადიციის ინერცია, პოემის ვეფხს ლეოპარდად (ავაზად) მაინც ვერ აღვიქვამთ. პოემის არაერთმა მთარგმნელმა (მაგ. **ჰ. ბუდენზიგმა**) ვეფხი სწორედ ლეოპარდად თარგმნა. აქ ზედმეტი არ იქნება აღვნიშნოთ, რომ **კ. გამსახურდიას „დიდოსტატის მარჯვენაში“** სწორედ ავაზა (ლეოპარდი) არის შორენას სიმბოლიკური ჰიპოსტასი და არა ვეფხვი.

პოემამ განუზომელი ზეგავლენა მოახდინა ამ დროის მწერლობაზე, მოაქცია თავის ტყვეობაში და დათრგუნა კიდეც: გენიოსს არა მხოლოდ წინ მიჰყავს აზროვნება, არამედ - უნებურად ამუხრუჭებს კიდეც მას. უნდა მოვიდეს ახალი გენიოსი, რომელიც დაუპირისპირდება დიდ წინამორბედს და მისი ტყვეობისაგან გამოიხსნის მწერლობას. მაგრამ აქ თავს იჩენს ასეთი პარადოქსი: ამჯერად იგი ხდება აზროვნების დიქტატორი და შემბოჭველი. ხოლო ისტორიის განვითარების ვრცელ პერიოდზე ჩანან დიდი სახელები. ისინი ქმნიან მაგისტრალურ ხაზს, რომლის გარშემო მწკრივდებიან ცალკეული ტალანტები, როგორც პროცესის თანამგზავრები. როგორც აღნიშნავს ს. ცაიშვილი, პირველი პოეტი, რომელმაც რუსთველის შემდეგ ახალი გზა გაკაფა ქართულ პოეტურ აზროვნებაში, არის **დავით გურამიშვილი** (შდრ. ერთ-ერთი წიგნის სახელწოდება - **„შოთა რუსთაველი - დავით გურამიშვილი“**). ამიტომ იჩენს მკვლევარი ესოდენ დიდ ინტერესს „დავითიანის“ ავტორის მიმართ.

სარგის ცაიშვილი გადმოგვცემს ბიოგრაფიულ ცნობებს, იმ რთულ პოლიტიკურ ატმოსფეროს, არეულ დროს, რომელშიც მოუხდა ცხოვრება პოეტს. განსაკუთრებით საინტერესოა კულტურული გარემოს ჩვენება. ეს თუნდაც იმიტომ იქცევს ყურადღებას, რომ ნათელი ხდება თუ როგორ გადაეცა ქართული ეროვნული კულტურა დავით გურამიშვილს. მკვლევარი აანალიზებს დ. გურამიშვილის პოეზიის ძირითად ტენდენციებს, რომელთაგან უმთავრესია ქრისტიანულ კულტურასთან მიმართება. ეს იყო **„დასავლური ხაზის“** კიდევ ერთი გამოვლენა. ისიც ცხადია, რომ XVI-XVIII საუკუნეებში ძლიერი იყო სპარსულენოვანი კულტურის ზეგავლენა. მაგრამ დ. გურამიშვილის „დასავლური ხაზი“ არის უფრო **ტრადიციული ქრისტიანიზმი**, პოეზიის რელიგიური გაგება, ვიდრე თანამედროვე ევროპეიზმი, რომელიც ჩამოყალიბდა რომანტიზმის ეპოქაში. ს. ცაიშვილი გვიჩვენებს დ. გურამიშვილის თეოლოგიურ-მისტიკურ თვალსაზრისს, რეალური თხრობის გადასვლას სპირიტუალურ ხილვაში, მიმართებას ჰიმნოგრაფიასთან, ბიბლიასთან, ყოველ დებულებას ასაბუთებს კონკრეტული მაგალითებით. მაგრამ ამასთან ერთად მიმოიხილავს ფოლკლორული ნაკადის მნიშვნელობას, ეს იქნება ქართული თუ რუსულ-უკრაინული. ეს იყო თითქოს პარადოქ-

სული შეხამება - **ქრისტიანული მისტიკა და წარმართული მოტივებით შეფერილი ხალხური ლექსი.** მკვლევარი ფოლკლორული ნაკადის ათვისების დროს გამოყოფს მელოდიის მნიშვნელობას.

დ. გურამიშვილამდე კარგა ხნით ადრე **არჩილმა** წამოაყენა ე.წ. **„მართლის თქმის“** პრინციპი, რომელიც უპირისპირდებოდა „ვეფხისტყაოსნის„სტილს, პოეტიკას, პერსონაჟთა ბუნებას. მაგრამ ეს იყო თეორიული უარყოფა, რომელსაც პრაქტიკული შედეგი თითქმის არ მოჰყოლია. რუსთველის ტრადიციები ნაწილობრივ დაძლია, ე.ი. ქართული ლექსი ახალ არეალში გაიაზრა **დ. გურამიშვილმა**. საამისოდ იგი როგორც ს. ცაიშვილი ნათელყოფს, ემყარებოდა წინამორბედთა გამოცდილებას **(თეიმურაზ I, არჩილი, ვახტანგ VI)**. მან დაძლია აღმოსავლური პოეზიის „ყვავილოვანი სტილი“ და ამ მხრივ, როგორც მიუთითებს სარგის ცაიშვილი, მომავლის პოეზიის წინამორბედად იქცა. მაგრამ ისიც უნდა ვთქვათ, რომ დ. გურამიშვილის პოეზია გვიან ჩაერთო მხატვრული აზროვნების პროცესში, არსებითად მაშინ როცა უკვე მწერლობის წინაშე სხვა იდეალები იდგა. თორემ ალბათ მისი ზეგავლენაც უფრო მნიშვნელოვანი იქნებოდა. ამ ფუნქციის შესრულება დაეკისრა **ბესიკ გაბაშვილის** ლირიკას.

„ვეფხისტყაოსნის“ შემდეგ სარგის ცაიშვილის განსაკუთრებული მეცნიერული ინტერესის საგანია XVII-XVIII საუკუნეთა მწერლობა. როგორც ითქვა, ეს თუნდაც იმით იყო გამოწვეული, რომ პოემის ხელნაწერები, ვახტანგისეული გამოცემა, პირველადი ცნობები პოეტზე ამ ეპოქას მიეკუთვნება. ამავე დროს რუსთაველი ქცეულია ფეტიშად, მხატვრული აზროვნების ეტალონად, თუმცა არ არის გაცნობიერებული „ვეფხისტყაოსნის“ ნამდვილი არსი, მაგრამ მთავარი მაინც არის სულიერი ფასეულობანი. ს. ცაიშვილმა სპეციალურად შეისწავლა ამ ეპოქის თვალსაჩინო ოსტატების შემოქმედება **(თეიმურაზ I, იოსებ ტფილელი, ფეშანგი, სულხან-საბა ორბელიანი, ვახტანგ VI, დავით გურამიშვილი, ბესიკი)**. მაგრამ ამჯერად იძიება **არა ფილოლოგიური პრობლემები, არამედ - მხატვრული სამყარო.** მკვლევარი ცალკეულ ავტორს სწავლობს ორი მიმართულებით - ა) ადგენს ბიოგრაფიას, ბ) წარმოაჩენს ესთეტიკურ ღირებულებას. ცხადია, ამ მწერლებზე არაერთი გამოკვლევა არის დაწერილი, რომელთა ავტორები არიან გამოჩენილი სპეციალისტები **(კ. კეკელიძე, გ. ლეონიძე, ალ. ბარამიძე)**, მაგრამ ინტენსიურ კვლევა-ძიებას მოაქვს ახალი მონაცემები, უარიყოფა ძველი ჰიპოთეზები, ფართოვდება აზროვნების ჰორიზონტი, ისახება ახალი იდეები.

ს. ცაიშვილი ახდენს დაგროვილი ცოდნის სისტემატიზებას, გადმოგვცემს თავის პირად დაკვირვებებს, აერთიანებს ავტორის ცხოვრებასა და შემოქმედებას, შემოქმედებას კითხულობს ბიოგრაფიის შუქზე. მაგ-

რამ იგი, როგორც უაღრესად ფრთხილი მკვლევარი, არ ქმნის თეორიებს, მისდევს ფაქტების ლოგიკას, ბუნებრივად და ძალდაუტანებლად გადმოგვცემს მხატვრულ სპეციფიკას. მკვლევარი შეცნობის პროცესს არ გვაცნობს - იგი შედეგების წარმოდგენით იფარგლება. ამიტომ მისი ნაშრომები იოლად იკითხება, თუმცა დატვირთულია ფილოლოგიური მასალით. ს. ცაიშვილის ძირითადი მიზანი მაინც პოეტური აზროვნების ევოლუციის ჩვენებაა. იგი არაერთხელ უბრუნდება ამ პრობლემას, მსჯელობს კონკრეტული ავტორებისა და მაგალითების საფუძველზე. ამიტომ მიმართავს იმ სახელებს, რომელთაც საკვანძო მნიშვნელობა აქვთ XVI-XVIII საუკუნეთა მწერლობისათვის.

ამ მხრივ მსჯელობა შორს წაგვიყვანს. მაგრამ მაინც გვმართებს გამოვყოთ ზოგიერთი საკითხი - რუსთაველის გავლენა XVI-XVIII საუკუნეთა ლიტერატურაზე, ვახტანგ VI-ის მიჯნურობის მისტიკურ-ალეგორიული თეორია, რელიგიურ-მისტიკური და ფოლკლორული ნაკადი დ. გურამიშვილის შემოქმედებაში, ბესიკის ლექსის კომპოზიცია, ეპიკური პოემების რღვევის პროცესი, რუსთველური შაირის დაძლევა და ა.შ. ყოველ მათგანს ს. ცაიშვილი ორიგინალურად აშუქებს და გვიჩვენებს არა ლოკალურ გარემოში, არამედ - განვითარების თვალსაზრისით, ეროვნულ თუ უცხო ლიტერატურათა ტრადიციებთან მიმართებით. მეცნიერის შეხედულებანი, დაკვირვების შედეგები უაღრესად ზუსტია. ეს არის მყარი ცოდნა, რომლის გადაფასება არ დასჭირდება მომავალ მკვლევარებს (როგორც ეს ხშირად მომხდარა ჩვენს ფილოლოგიაში).

ს. ცაიშვილი განიხილავს ბიოგრაფიულ საკითხებსაც, მაგრამ მათ მნიშვნელობას არ აზვიადებს. მისთვის მთავარია შემოქმედება და არა ცხოვრება. ისტორიული ფონი, ბიოგრაფია საჭიროა იმდენად, რამდენადაც გვეხმარება პოეზიის გაგებაში., საერთოდ უფრო ხშირად ბიოგრაფიულ დეტალებს იკვლევენ, ვიდრე შემოქმედებას. უნდა შევნიშნოთ, რომ **ნ. მარისა და კ. კეკელიძის** ინერციით ძველი ქართული მწერლობის შესწავლა ძირითადად ფილოლოგიური მეთოდით წარიმართა, რამაც ჩრდილში მოაქცია სულიერი ფასეულობანი. ამიტომაა, რომ **ჯერჯერობით არ დაწერილა ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, რომელშიც მხატვრული აზროვნების, ფორმებისა და იდეების განვითარების პროცესი იქნებოდა წარმოდგენილი.** ამ თვალსაზრისით ს. ცაიშვილის გამოკვლევები არაერთ მნიშვნელოვან დებულებას გვთავაზობენ (ფილოლოგიური კვლევის დროსაც). ამისი ერთი მიზეზი ისიც არის, რომ მკვლევარი არ იფარგლება რომელიმე პერიოდით. იგი სწავლობს ქართული მწერლობის თითქმის ყოველ მონაკვეთს და რაც მთავარია - თანამედროვე ქართულ მწერლობას. თანამედროვეობის შესწავლა თვითმიზანი როდია. იგი ნიშნავს აზროვნების დინამიკის განცდას და ამდე-

ნად თანამედროვე შეხედულებებით, ცოდნით, გემოვნებით აღჭურვილი მკვლევარი წარსულს აქცევს დღევანდელობის ნაწილად, სწორედ შემოქმედებითი თვალთახედვით აშუქებს გარდასულ მოვლენებს.

ს. ცაიშვილი ნაკლებად ეხება ე.წ. სასულიერო მწერლობას, რუსთველამდელ ქართულ ლიტერატურას. მაგრამ ერთი ნაშრომი უნდა გამოვყოთ - **„ზოგიერთი საკითხი რითმის ისტორიიდან“**, რომელიც კარგა ხნის წინათ დაიწერა. მას შემდეგ არაერთი პოეტიკური ნაშრომი გამოქვეყნდა, მაგრამ იგი მაინც ინარჩუნებს მნიშვნელობას, თუნდაც იმიტომ, რომ რითმის საკითხი უშუალოდ უკავშირდება რუსთაველს და ამდენად მეცნიერი ფაქტიურად იკვლევდა ერთი რუსთველოლოგიური პრობლემის გენეზისს.

XIX საუკუნის მწერალთაგან სარგის ცაიშვილი მომეტებულ ყურადღებას უთმობს **ილია ჭავჭავაძესა** და **ვაჟა-ფშაველას**. მაგრამ გვაცნობს კონკრეტულ დაკვირვებას და არა ზოგად პორტრეტს ან მათი შემოქმედების დახასიათებას. განსაკუთრებით საყურადღებოა **ილია ჭავჭავაძის წარმომავლობის ძიება.** ერთხანს თითქმის განმტკიცდა აზრი, რომ ჭავჭავაძეები ფშავიდან გავიდნენ კახეთში. ს. ცაიშვილს მოაქვს ახალი ფაქტი - ცნობა **კახა თორელისა** და მისი მეუღლის სიგელიდან (1260 წ.), რომლის თანახმად თეძმის ხეობაში, ქართლში, არსებულა ტოპონიმი **„ჭავჭავისი“**. ამ ტოპონიმის არსებობას ადასტურებენ თანამედროვე მკვლევარებიც. ს. ცაიშვილს თვითონაც შეუმოწმებია, ამ ისტორიული პუნქტის ახლო-მახლო დღეს თუ ცხოვრობენ ჭავჭავაძეები. გაირკვა, რომ სოფ. ნულში მოსახლეობს ჭავჭავაძეთა გვარის 26 ოჯახი. ისტორიულად ისინი გლეხები ყოფილან. ხოლო კახელი ჭავჭავაძენი თავადები იყვნენ. მკვლევარი გამოთქვამს ვარაუდს, რომ ილიას წინაპრები აქედან გადავიდნენ კახეთში და იქ მიაღწიეს თავადობას. ვფიქრობთ, სიტყვა „ვარაუდი“ მეტისმეტი სიფრთხილის ნიშანია. ს. ცაიშვილი ასაბუთებს თავის დებულებას ჭავჭავაძეთა წარმომავლობაზე და მისი გათვალისწინება უთუოდ მოუწევთ დიდი ილიას ცხოვრებისა და შემოქმედების მკვლევარებს. ასევე საინტერესოა ილია ჭავჭავაძის მიმართების გარკვევა გეორგ ბრანდესისადმი, სახარების ერთი აფორიზმისადმი და სხვ.

„ვაჟა-ფშაველას სიბრძნის სამყაროში“ ეხება **თ. ჩხენკელის** წიგნს - „ტრაგიკული ნიღბები“. მაგრამ ეს არ არის რეცენზია. იგი უფრო მსჯელობაა და აზროვნება დიდი პოეტის მსოფლგანცდის იმ თვისებებზე, რომლებიც თამაზ ჩხენკელმა წამოსწია. ისიც ნათელი ხდება, თუ რა ღრმად გრძნობს და განიცდის სარგის ცაიშვილი ვაჟა-ფშაველას პოეზიას. ამ თვალსაზრისით უაღრესად საინტერესოა დაკვირვება **„დევების ქორწილზე“, „კოპალასა“, „ალუდა ქეთელაურზე“ და „გველისმჭამელზე“**. მაგრამ მეცნიერს უფრო აინტერესებს პოეტის მხატვრული აზროვ-

ნების მოდელი, ვიდრე რომელიმე კონკრეტული ნაწარმოები, იმ არსის პოვნა, რომელიც განსაზღვრავს შემოქმედის სილაღეს. ამასთან დაკავშირებით იგი არასწორად მიიჩნევს თ. ჩხენკელის გატაცებას პოეტის ინტუიციური წვდომით და ჰეგელზე დაყრდნობით თვლის, რომ დიდ ხელოვანს ყველაფერი გააზრებული აქვს. თ. ჩხენკელი შენიშნავს, საეჭვოა, რომ 27 წლის ვაჟა-ფშაველას გაცნობიერებული ჰქონოდა „ალუდა ქეთელაურის“ მითოსური საფანელიო. ცხადია, გაუცნობიერებლად შედევრი არ იქმნება, მაგრამ ნაწარმოებში მთავარი არის მაინც სტიქიური საწყისი, ის ძალა, რომელსაც გრძნობს ხელოვანი, მაგრამ აზრებად და ცნებებად აქცევს მეცნიერი, მკვლევარი. ამ მხრივ ალბათ ვაჟა-ფშაველას ისევე როგორც არა ერთ დიდ ხელოვანს (გარდა ე.წ. ინტელექტუალისტებისა), შეცნობილი ვერ ექნებოდა ის სამყარო, რომელიც წინაპართაგან სისხლისა და გენების დარად გადმოეცა. მაგრამ გენიალობა ის არის, რომ ხელოვანს არაცნობიერადაც ყველაფერი მოწესრიგებული აქვს თავის შემოქმედებაში. ამიტომაც აქვს მის აზროვნებას ის სიღრმე, რომელსაც ჩინებულად აჩვენებს ს. ცაიშვილი სწორედ მითოსური სტრუქტურების ანალიზით.

სარგის ცაიშვილი, როგორც რუსთველოლოგი, ძირითადად ფილოლოგია. XVI-XVIII საუკუნეთა კვლევისას თავის ბუნებაში აერთებს ფილოლოგსა და ლიტერატორს. ხოლო XX საუკუნის კულტურაზე მსჯელობისას მთლიანად ლიტერატურულ-ესთეტიკური პრობლემატიკით იფარგლება. ეს არის მისი მეცნიერული აზროვნების მეორე თვისება, მხატვრული ნიუანსების წვდომა ერუდიციასთან ერთად (და იქნებ უფრო მეტადაც) მოითხოვს გემოვნებას, ლიტერატურული აღქმის ფაქიზ უნარს. ამიტომაა, რომ არაერთი მკვლევარი თავს არიდებს წმინდა მხატვრული პრობლემატიკის ანალიზს და მას ცვლის ფსევდო-აკადემიური ზოგადი მსჯელობით.

სარგის ცაიშვილი განიხილავს XX საუკუნის არაერთი თვალსაჩინო მწერლისა და პოეტის შემოქმედებას **(გ, ტაბიძე, ტ. ტაბიძე, გ. ლეონიძე, ს. ჩიქოვანი, კ. გამსახურდია, ლ. ქიაჩელი, ნ. ლორთქიფანიძე...)**, რომლებიც უტყუარი ლიტერატურული გემოვნებითაა აღბეჭდილი. მკვლევარი, გარდა ქართული სინამდვილისა, გვაცნობს ევროპულ და რუსულ მწერლობას, ლიტერატურულ სკოლებს, სალექსო ფორმათა გენეზისს, ჟანრების ტრანსფორმაციას და მათ აკავშირებს კონკრეტულ მწერალთან, მათ ფონზე განიხილავს შემოქმედების პრობლემატიკას. იგი მეტწილად გვთავაზობს ესეისტურ პორტრეტებს. ამიტომ ეხება არა იმდენად რომელიმე ნაწარმოებს, რამდენადაც ავტორის მთლიან შემოქმედებას, ძირითად სულისკვეთებას, მამოძრავებელ იდეოლოგიურ თუ ესთეტიკურ ძალებს. მწერალი და მისი მხატვრული ნააზრევი დანახულია

ეპოქისა და კულტურულ მოვლენათა ფართო კონტექსტში.

მაგალითისათვის შეიძლება დავასახელოთ **„ტიციან ტაბიძის პოეტური ღვაწლი“**. ეს სტატია დაიწერა მაშინ, როცა ქართველი მკითხველი ხელახლა გაეცნო რეპრესირებული პოეტის შემოქმედებას, ე.ი. როცა ისევ ბატონობდა ვულგარული სქემები და მხოლოდ ის-ის იყო იწყებოდა დოგმების რღვევა. ამ თვალსაზრისით უაღრესად საინტერესოა ს. ცაიშვილის ნაშრომი და დღესაც იკითხება როგორც ნამდვილი შთაგონებისა და ღრმა ცოდნის ნაყოფი, ხოლო ეს იმასაც ნიშნავს, რომ მომავალშიც ასევე წაიკითხავენ. მკვლევარი შეეხო ტ. ტაბიძის პოეტურ ევოლუციას, ქართული სიტყვის განახლებას, „ცისფერი ორდენის“ მნიშვნელობას. სავსებით სამართლიანად არის შენიშნული, რომ პოეტის შემოქმედება არ ეტევა რომელიმე სტილის ან მიმართულების ჩარჩოში და ვერც ადრეულ ტიციან ტაბიძეს განვსაზღვრავთ, როგორც მხოლოდ სიმბოლისტს. შემოქმედი მეცნიერი არ არის, რომ აინტერესებდეს რომელიმე ცნების ზუსტი დადგენა. მითუმეტეს - თეორიული პრინციპების განუხრელი ერთგულება. ამიტომ იყო ტ. ტაბიძე ერთხანს დადაიზმით გატაცებული, თუმცა დადაიზმი სიმბოლიზმის უარმყოფელი ძალა იყო. ამდენად თვლის ს. ცაიშვილი, რომ ცისფერყანწელთა მთავარი დამსახურება არის არა სიმბოლისტური სკოლის დაარსება (რომელსაც ესოდენი გატაცებით ქადაგებდნენ), არამედ - პოზიტიური წვლილი, რაც ქართული ლექსის განახლების პროცესში შეიტანეს.

საინტერესო ასპექტშია დანახული და განხილული **„ცხენი ანგელოსით“**, როგორც ალუზია წმ. გიორგის თეთრ მხედარზე. მაგრამ მასვე უნდა დაემატოს **„აპოკალიფსის თეთრი იმედი“**. ს. ცაიშვილი ტ. ტაბიძის ესეებსაც ეხება. გამოყოფს პოეტის მიმართებას ვაჟა-ფშაველასთან. ცხადია, პოეტი წინაპრებს აფასებს თავისი პრინციპების მიხედვით და ნაკლებად აინტერესებს ლოგიკური სიზუსტე. ამდენად ტ. ტაბიძის მსჯელობაში შეიძლება დავინახოთ უფრო მეტი თავისუფალი ასოციაციები და დაუსაბუთებელი შეხედულებანიც. მაგრამ მთავარია სწორედ **„ფართო ლიტერატურული ჰორიზონტი და მაღალი გემოვნება“**, როგორც შენიშნავს მკვლევარი.

ამ ციკლის სტატიებსაც გასდევს ს. ცაიშვილის ლიტერატურული ანალიზის სპეციფიკა. იგი ყველგან ლიტერატურულ ფაქტებს ეხება, მხატვრულ აზროვნებას განიხილავს, გვესაუბრება როგორც დინჯი ეპიკოსი, სენსაციური იდეებისა და თეორიების გარეშე. ამიტომ არის მეცნიერის კვლევის შედეგი პოზიტიური, მომავალ მკვლევართათვის გასათვალისწინებელი.

წიგნში **„წინამორბედნი და თანამედროვენი“** ერთი ნაწილი ეთმობა წერილების სერიას - „ქართული მეცნიერების სამსახურში“. იგი აერ-

თიანებს ესეისტურ პორტრეტებს (**თ. ბაგრატიონი, ნ. მარი, ე. თაყაიშვილი, ი. ჯავახიშვილი, დ. ჩქოტუა, კ. კეკელიძე, ა. შანიძე, ვ. ბერიძე, ლ. ასათიანი, გ. წერეთელი, ალ. ბარამიძე, გ. იმედაშვილი, ნ. კეცხოველი, ი. გიგინეიშვილი...**), რომლებშიც ავტორი გვიჩვენებს ცალკეულ მეცნიერთა ღვაწლს, მათ დამსახურებას ერის წინაშე. ამ სერიის მეოხებით სარგის ცაიშვილი ავლენს თავის პატივისცემას წინამორბედებისა და უფროსი კოლეგებისადმი, იმასაც ცხადყოფს, რა გაკეთდა ქართულ ფილოლოგიაში, რას მიაღწია ეროვნულმა მეცნიერებამ. ეს კი ბუნებრივად გამოკვეთს სადღეისო ამოცანებს, თუ რას უნდა ესწრაფვოს მეცნიერი. აქ იმასაც უნდა მიექცეს ყურადღება, რომ სარგის ცაიშვილი გამოხატავს ფილოლოგიაში დამკვიდრებულ წესსაც - საკითხის კვლევას უნდა ერწყმოდეს საკითხის ისტორიის ცოდნა.

მაგრამ სარგის ცაიშვილი არის აგრეთვე თანამედროვე ლიტერატურული ცხოვრების აქტიური მონაწილე, მისი ცალკეული ტენდენციის განმსჯელი და შემფასებელი, რადგან ყოველი კვლევა-ძიება ნიშნავს **არა მხოლოდ წარსულის რესტავრაციას**, არამედ იგი წარმართულია **მომავლის ლიტერატურის შესაქმნელადაც**. მაგრამ აქცენტი კეთდება პრობლემატიკით (**გრ. აბაშიძე**) ან ბიოგრაფიულად მახლობელ მწერალზე (**ა. სულაკაური, ნ. დუმბაძე, გ. ასათიანი, ო. პაჭკორია**), რათა ასე უფრო ნათლად და მკვეთრად გადმოსცეს მათ სტილსა და მსოფლგანცდაში არეკლილი დროის რიტმი.

„სტატიებისა და გამოკვლევების“ სამი ტომით სარგის ცაიშვილმა კიდევ ერთხელ წარმოსახა თხუთმეტსაუკუნოვანი ქართული მწერლობა, **რ. თვარაძის** სიტყვით რომ ვთქვათ, როგორც მთლიანობა და მის საკითხთა ლაბირინთულ წყობას ახალი შუქი მოჰფინა.

ჟურნ. „ცისკარი“, 1989, № 1.

„საქართველოს სულიერი მისსია“

წინასიტყვა გერმანული გამოცემისათვის

ზვიად გამსახურდიას წიგნი „საქართველოს სულიერი მისსია“ ოთხი ლექციისაგან შედგება, რომლებიც ავტორმა 1990 წელს წაუკითხა სხვადასხვა აუდიტორიას. ამ წიგნმა ახალი ძალით წარმოაჩინა ზვიად გამსახურდიას დიდი ერუდიცია, კულტურა, სტილი, სინთეზური აზროვნების უნარი. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იგი **ქართული კულტურის ორიენტაციის** თვალსაზრისით. როგორც ავტორი გვიჩვენებს, დღეს აუცილებელია არა იმდენად დეტალების ანალიზი, რამდენადაც **ქართული**

კულტურის არსის წარმოჩენა, მისი მნიშნელობის დადგენა მსოფლიო კონტექსტში, რასაც შეგნებულად თავს არიდებდა საბჭოთა მეცნიერება, რათა ქართული კულტურა ლოკალურ სფეროში დარჩენილიყო, როგორც ჩაკეტილი მოვლენა.

ეს წიგნი წარსულის ჩვენებით მომავლისკენ მიმართული ეტრატი და მახვილია, რათა საქართველომ აღასრულოს თავისი ისტორიული სულიერი მისია.

„საქართველოს სულიერი მისსია“. ლექციაში თავიდანვე აღნიშნულია, რომ საბჭოთა მეცნიერება ცდილობდა ქართული კულტურის მნიშვნელობის დაკნინებას, ამიტომ იგი უარყოფდა **ვილჰელმ ჰუმბოლდტის, ნიკო მარის, ივანე ჯავახიშვილის** კონცეფციებს (აქ შეიძლება გავიხსენოთ **რ. თვარაძის** „ოცნება ეტრუსკებზე“). მათი გამოკვლევების თანახმად, პირენეების იტალიის ხმელთაშუა ზღვის ავტოქთონური მოსახლეობა იყო იბერიული. იბერიელები ცხოვრობდნენ ეგეოსის აუზში, ბალკანეთში, კავკასიაში, მცირე აზიასა და ინდოეთში, ხოლო ქართველური ტომები არიან იბერიულ-კავკასიური განშტოება. დღესდღეობით შემორჩნენ ბასკები და იბერიელ-კავკასიელები, დანარჩენის ასიმილირება მოხდა II ათასწლეულში ინდოევროპელების მიერ. ამის შემდეგ წამოიწევიან ხეთები და ძველი ბერძნები, რომელთა კულტურა სინთეზირებულია პროტოიბერიულთან. **ძველი საბერძნეთის პირველადი მოსახლენი იყვნენ პელაზგები - პროტოიბერიელები.** ამ თვალსაზრისით დღესაც იღვწის არაერთი მეცნიერი **(მაგ., რ. გორდეზიანი)** საქართველოში.

დგინდება, რომ ქართული ენა გენეტიკურად ენათესავება ეტრუსკულს, რომ ტროა კოლხური სამყაროა, რომელსაც დალაშქრავენ ელენეს მოსატაცებლად, როგორც ადრე კოლხეთიდან გაიტაცეს მედეა. მიუხედავად ოფიციოზის მიერ ტაბუირებისა, ცნობილი ხდება, რომ **აქილევსი პელაზგია**. ელენე არის სიმბოლო წარმართული სიბრძნისა - პალადიუმისა, ხოლო ცხენი ინტელექტის სიმბოლოა. ბერძნული მითოსის საწყისი შექმნეს პელაზგებმა, ხოლო **ჰომეროსი და ჰესიოდე** სისტემატიზატორები და განმმარტებლები არიან (მკითხველს შევახსენებთ, რომ ბერძნული ჰეგზამეტრის დაქტილური რიტმი **პ. ბერაძეს** ქართველური სამყაროდან შეთვისებულად მიაჩნდა). **კოლხეთს უკავშირდებიან, ან პელაზგური ღვთაებანი არიან პრომეთე, ქტონური ზევსი, დემეტრე.** განთავისუფლებული **პრომეთე** არის წინასწარმეტყველური აზროვნების თავისუფლებაც. იგი სიმბოლოა იმ მოდგმისა, რომელმაც განავითარა მისტერიათა კულტურა. პრომეთე და ზევსი ორი სხვადასხვა კულტურის ხატებია, ამიტომ ზევსი პრომეთეს კლდეზე მიაჯაჭვავს.

პრომეთე სიმბოლოა ადამიანის „მეთი“ გამოხატული ცეცხლისა. **თეზეოსი, ჰერაკლე და იაზონი** პროტოიბერიულ სამყაროში ლაშქრობენ

სულიერი სიბრძნის მოსაპოვებლად. არგონავტების ხომალდის სახელწოდება მომდინარეობს არგოს ქვეყნიდან (ეგრისი, არგვეთი). ამას ადრევე შენიშნავდა **ს. ჯიქია**. პელაზგი **ორფეოსი, ძე ეაგროსისა**, ცდილობს წინაპართა კულტის აღორძინებას (დავუმატებთ, რომ დიონისეს კულტიც, როგორც აღნიშნავენ **ვ. ივანოვი** და **ა. ლოსევი**, მცირე აზიიდან შეიჭრა ბერძნულ მითოსში). შემდეგ ავტორი განმარტავს ინიციაციების სხვადასხვა ეტაპებს და მათ უკავშირებს, ერთი მხრივ, კოლხურ სამყაროს, მეორე მხრივ - ქრისტიანულ მოძღვრებას. აღნიშნავს, თუ რატომაა იაზონი ვეფხისტყაოსანი გმირი. რას ნიშნავს **ნ. მარის ტერმინი - იაფეტური მოდგმა.**

ქრისტიანობის შემოსვლა საქართველოში უკავშირდება პირველსავე საუკუნეებს - **ანდრია პირველწოდებულსა** და **სვიმონ კანანელს**. ახსნილია თუ რატომ ეწოდა საქართველოს გეორგია, როგორც მიწათმოქმედების ქვეყანას. მაგრამ ამ სახელსავე დაუკავშირდა **კაპადოკიელი წმ. გიორგის** კულტი და საქართველოში ქრისტიანობამ მიიღო გიორგიანობის სახე, ისე ფართოდ გავრცელდა და დამკვიდრდა. წმ. გიორგი გაუიგივდა ღმერთს, როგორც მებრძოლი, როგორც აპოკალიპსის თეთრტაიჭოსანი ზეციური მხედარი და არა ვით კონკრეტული, ისტორიულად არსებული წმინდანი. ამდენად არის საქართველოს მისია სულიერი აზროვნების განვითარება და **უნივერსალური დრაკონის დათრგუნვა.**

ავტორი მსჯელობს სვეტიცხოველის ტაძრის სიმბოლურ არსზე. მას აქვს საკულტო სვეტი, რაც გააჩნია მხოლოდ იერუსალიმის სოლომონის ტაძარს. ამ სვეტის ადგილზე მოჭრეს კედარი და ააშენეს ცხოვრების ხე და ცნობადის ხე. ასევე განმარტებულია ბარელიეფებზე გამოსახული წმ. გიორგი ლომთან და ვეფხვთან ერთად, აპოკალიფსური მეორედ მოსვლა. ახსნილია **ვოლფრამ ფონ ეშენბახის „პარციფალში“** თუ როგორ მისტერიულად აისახა საქართველო, რომლის ფსევდონიმია ტაურონიტი ანუ ტიბრონიტი.

შემდეგ ავტორი არკვევს თუ რა განსხვავებაა ქართულს და ქართველურს შორის, აღადგენს **ნ. მარის** თეორიას მესამე ეთნიკური ელემენტის შესახებ, უარყოფილს საბჭოთა ოფიციოზის მიერ. აჩვენებს ქართველური მოდგმის ხალხების როლს ქრისტიანობის განვითარებაში, მსჯელობს ჰაოსსა და ქართლოსზე, ბასკურ სამყაროსთან მიმართებაზე, აფხაზურ-ქართული ენების კავშირზე, პრომეთესა და ამირანის ურთიერთმიმართებაზე, გრაალის წარმოშობაზე, რომელსაც უკავშირებს კაპადოკიურ, იგივე ქართველურ ეთნოსს **(ქართული მეცნიერება დიდი ხანია ამტკიცებს, რომ კაპადოკიის მოსახლეობა ძირითადად ქართველური იყო).**

საბჭოთა მეცნიერებამ, განსაკუთრებით 50-იანი წლებიდან, საქარ-

თველო მთლიანად მოწყვიტა წინა აზიას, მხოლოდ ცალკეული მეცნიერები იცავდნენ ძველ ხაზს (მაგ., **შ. ნუცუბიძე, გ. გოზალიშვილი**). აქტუალურად აღარ ითვლებოდა უძველეს კულტურებთან და ენებთან მიმართების კვლევა. თვით დიდი მეცნიერი **არნოლდ ჩიქობავაც** კი მთელი გატაცებით იკვლევდა ჩრდილოეთ კავკასიის ენებს, თუმცა მას არასოდეს უარუყვია ბასკებთან ან წინააზიურ სამყაროსთან ქართველთა ნათესაობა. ტერიტორიის თვალსაზრისითაც მოხდა ლოკალიზება. ლამის **ისტორიული საქართველო - ქართველური ტომების პირველსაცხოვრისი სსრკ-ის ფარგლებში მოაქციეს.** ამ თვალსაზრისს პატრიოტული საწყისიც გამოუძებნეს: **ჩვენ არსაიდან არ მოვსულვართ, მკვიდრი მოსახლეობა ვართო!** მაგრამ ბოლო დროს სულ უფრო და უფრო ვლინდება ანიმისტური წარმოდგენების, მითების, კულტებისა და წარმართული რიტუალების, ენის სიახლოვე და ნათესაობა წინა აზიასთან, ხოლო **უშორეს წრეში - პელაზგებთან, ეტრუსკებთან, ბასკებთან.** არც ის არის შემთხვევითი, რომ ქართველთა განმანათლებელია **კაპადოკიელი ქალი წმ. ნინო,** ხოლო საქართვლეოში სამონასტრო მშენებლობას იწყებს ასურეთიდან მოსული ცამეტი მამა, ე. ი. ქართველები. გაირკვა, რომ ქართველები ყოფილან **ევაგრე პონტოელი** და **ფსევდო-დიონისე არეოპაგელი (პეტრე იბერი), ბასილი დიდი და გრიგოლ ნოსელი და ა. შ.**

„ქებაჲ და დიდებაჲ ქართულისა ენისაჲ“: იოანე ზოსიმეს „ქებაჲ“ (ზოგი თვლის, რომ იგი მხოლოდ ტექსტის გადამწერია) 70-იანი წლებიდან ყურადღების ცენტრში მოექცა და მრავალგვარი ახსნა მიეცა. **ზ. გამსახურდია** ტექსტის ფილოლოგიური დაკვირვების საფუძველზე აყალიბებს ამ ძეგლის თეოსოფიას, განმარტავს ცალკეულ სიტყვებს, წინადადებებს, მათში მოქცეულ სიმბოლურ-ალეგორიულ არსს, აღადგენს პირვანდელ მნიშვნელობებს. თეოლოგიის ღრმა ცოდნა ავტორს საშუალებას აძლევს ჩაწვდეს ცალკეულ ტერმინთა დაფარულ სიბრძნეს. შემდეგ მათ უკავშირებს მისტერიათა კულტურას. განსაკუთრებით მრავალმხრივ ანალიზდება გამოთქმები **„ოთხი დღის მკუდარი“** (ე. ი. 4 ათასი წელი), **„დამარხულ არს ენაჲ ქართული“** (მისი დეკადანსი და მიზეზები), **„ღმერთმან ამხილოს ამით ენითა!“** (მესიანიზმი). შემდეგ მოშველიებულია თანამედროვე ლინგვისტური და ეთნოლოგიური მონაცემები; აღნიშნულია რომ პროტოქართული მოდგმის კრიზისი, იაფეტიდების დეკადანსი იწყება III ათასწლეულიდან, ინდოევროპული ტომების ექსპანსიის შედეგად. ზ. გამსახურდიას თვალსაზრისით, „ქებაჲს“ ავტორი გვამცნობს ალეგორიისა და სიმბოლოს ენით, ქრისტიანული ტერმინებით ამ უძველეს ცოდნას, ანტიკურ მითებს, პროტოისტორიულ სინამდვილეს. „ყოველი საიდუმლო“ და „დამარხულ არს“ გვაუწყებს ქართული ენის - პირველადი მისტერიებისა და მოგვთა ენის ღირ-

სებას, მესიანისტურ ფუნქციას, რასაც რუსული ეკლესიაც იზიარებდა.

„გელათის აკადემიის სულიერი იდეალები“. ავტორი ცალკეულ, ვიწრო საკითხება არ ეხება (მაგ., როდის აშენდა, როგორი არქიტექტურული ანსამბლია, იქ ვინ და როდის მოღვაწეობდა და ა. შ.). მას აინტერესებს აკადემიის სააზროვნო მნიშვნელობა, როგორც ქართული, ისე საერთაშორისო ასპექტით. რადგან გელათი **დავით აღმაშენებლის** მიერ აშენდა, ავტორი ახასიათებს ამ უდიდეს მონარქს. მას მუდამ თან დაჰქონდა დიდ ქრისტიან ღვთისმეტყველთა (**გრიგოლ ნოსელი, გრიგოლ ნაზიანზელი და სხვ.**) წიგნები, ფილოსოფოსთა ნაშრომები, რადგან სახელმწიფოს აღორძინება და გაძლიერება კულტურისა და რელიგიის გარეშე შეუძლებელია.

საერთოდ, კოლხეთი უძველესი კულტურის კერაა. იგი წინ უსწრებს ელინურსაც. ამის საბუთად მოხმობილია არგონავტების მითი, დიდ მუხაზე დაკიდებული ოქროს საწმისი, მუხისა და ოქროს საწმისის ალეგორია, რაც განმარტებულია, როგორც სიბრძნე, რომლის მოსაპოვებლად ბერძენ იაზონს უნდა გაევლო გამოცდა, ანუ განწმენდისა და თვითგანვითარების რამდენიმე ეტაპი. მედიცინაც კოლხეთში შეიქნა და იგი უკავშირდება **მედეას** სახელს, რომელიც ბალახით - პრომეთეს სისხლით მკურნალობდა. ჰეკატეს ბაღის იდუმალებასაც მან აზიარა არგონავტები. კოლხეთსავე გვახსენებს მეტალურგიული კულტურა და გრაალის თასი, რომელიც შუა საუკუნეების მთელს ევროპაში გავრცელდა. მასვე უკავშირდება დავით აღმაშენებელი - მეფე ხუცესი - იოანე, ორფეოსის მამა იყო ეაგროსი - ეაგრა.

ისტორიული და პრეისტორიული კოლხეთი არის ქართული სულის არქეტიპი, რომლითაც იგი უკავშირდება მსოფლიო კულტურას, უერთდება ან წინ უსწრებს მას და მონაწილეობს მის ფორმირებაში (შდრ. - კ. გამსახურდიას მიერ 1918 წელს ნათქვამი - **„ოდესმე დიდი რასის ნატეხი ქართველი ერი“**).

ქართველთა ძლევამოსილებას, ბერძენთა მასწავლებლობას მკვლევარი ასაბუთებს იმითაც, რომ ქართველური ხალხები ცხოვრობდნენ პირენეიდან ინდოეთამდე. ეს უძველესი იბერიული მოდგმა შედგებოდა რამდენიმე კულტურისაგან და აერთიანებდა ხმელთაშუა ზღვისა და პირენეის ისტორიულ სამყაროს, მინოსსა და ტროას. ბერძნებს წინ უსწრებდნენ პელაზგები, რომელთა სიბრძნე გამოიხატა პრომეთეს მითით. ტროაშიც ანალოგიური სიბრძნის მოსაპოვებლად ილაშქრეს ბერძნებმა (ათენას ქანდაკება), რადგან **ტროა პრაქართული სამყაროა** (შდრ. - **კ. გამსახურდიას** ჟურნალი „ილიონი“, ფსევდონიმი „ჰექტორი“). კავკასიის უძველესი ბრძენნი იყვნენ ქურუმები და ალქიმიკოსები (შდრ. - **კ. გამსახურდიას** პერსონაჟები - ტაია შელია, ლუკაია ლაბახუა,

ლომკაც ესვანჯია, ხახუ ხარბედია, ფარსმანი, მახარა და სხვ.). მითოლოგიური პარალელებითაც ვლინდება ქართველებთან ბერძნებისა და ლათინების ნათესაობა. კოლხი კირკე, აეტესის და, მედეას მამიდა ბერძნული ვერსიით არის მშობელი ლათინოსისა, ლათინთა წინაპრისა. მინოსის ცოლი პასიფეაც არის აეტესის და. კოლხეთი იყო უძველესი სიბრძნის ცენტრი, კერა მისტერიებისა და ამიტომ აიას (შემდეგ - კვიტაია) - კოლხეთის უძველესი დედაქალაქის წარმოშობა უნდა ვეძიოთ მრავალი ათასწლეულის მიღმა, ხოლო კოლხური კულტურის ცენტრად მიჩნეულია დღევანდელი ნოქალაქევის, ვანისა და ქუთაისის მიდამოები, პრეისტორიული პირველი ფაზისიც აქ იყო, შენიშნავს ავტორი.

ეს ყოველივე მოხმობილია იმისათვის, რათა ნაჩვენები იქნეს გელათის აკადემიის უნიკალური სულიერი წინამძღვრები, რაც ნათლად გამოიხატა ჭყონდიდელის ინსტიტუტის სიმბოლიკით. **ჭყონდიდელი იყო „მამა მეფისა, მამა სახელმწიფოსი“**, უძველესი დიდმუხის კულტის ქრისტიანი მემკვიდრე. აქ შეერთდა წარმართული (ანტიკური) და ქრისტიანული სიბრძნე, რაც ამავე დროს ნიშნავდა საერო და სასულიერო ხელისუფლებათა შერწყმას ერთ პიროვნებაში. ამიტომ არის დავითი გამოხატული ფრესკაზე ეკლესიით ხელში. ამდენად ეთანაბრება გელათი ათენსა და იერუსალიმს.

იმ დროს, როდესაც დასავლური ქრისტიანობა ჩრდილავდა ადამიანს და ანტიკურ სიბრძნეს უკანონოდ აცხადებდა, გელათში ისწავლებოდა ანტიკურ სიბრძნე (**იოანე პეტრიწი**), რამაც მოგვიყვანა რენესანსამდე, კაცობრიობის კულტურული მონაპოვრის და გამოცდილების გამთლიანებამდე. სქოლასტიკური ქრისტიანობისგან განსხვავებით, ადამიანური სიბრძნის თვალსაზრისით ისწავლებოდა ფილოსოფია, გრამატიკა, რიტორიკა, ასტრონომია, არითმეტიკა, მუსიკა. ყოველი მათგანი ღმერთის არსებობას ასაბუთებდა. ზვიად გამსახურდია დეტალურად მსჯელობს იოანე პეტრიწის მიერ ანტიკური სიბრძნის აღორძინებასა და ქრისტიანობასთან შეგუებაზე, სწავლების სისტემაზე, გელათის ფრესკებზე გამოხატულ გრაალის ბარძიმზე, რომელთა ტრადიციები უნდა აითვისონ და განიცადონ თანამედროვე ქართველებმა (ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესოა და აქტუალური **კ. გამსახურდიას** მხატვრული ნააზრევი, ენობრივი კონცეფცია, მიმართება ანტიკური სამყაროსა და ქართველთა უშორესი ძირებისადმი).

„კონსტანტინე გამსახურდია და ქრისტიანობა“. ავტორი განიხილავს ბიბლისა და ქრისტიანულ აღმსარებლობასთან დიდი ქართველი მწერლის მიმართებას. მოხმობილია ბიოგრაფიული ფაქტები, აღდგენილია ის გარემო, რომელშიც გაიარა კონსტანტინე გამსახურდიას სიყმაწვილემ, შემდეგ - სიჭაბუკემ. აღნიშნულია, რომ ქრისტიანულ ხელოვნე-

ბასთან, თეოლოგიასთან და მისტიკასთან ერთად მწერალი გაიტაცა ნიცშეანობამ, რაც აისახა პირველ რომანში - „დიონისოს ღიმილში“, როგორც პიროვნების ფაუსტური გაორება, ბედისწერასთან და მარადისობასთან ჭიდილი. ზ. გამსახურდიას კონცეფციით, იგივე ხაზი გაგრძელდა „მთვარის მოტაცებაში“.

მაგრამ „დავით აღმაშენებელი“ წარმოსახავს ქრისტიან იერარქს, ქრისტესათვის თავდადებულ მეფეს, წმ. გიორგის რაინდს - დავით მეფეს. მწერალი თეორიულ წერილებშიც აღნიშნავდა, რომ ადამიანთა თანასწორობის იდეასთან იგი **ნეტარი ავგუსტინეს** გზით მიდიოდა, აარსებდა ქრისტიან მისტიკოსთა საზოგადოებას, წერდა რელიგიურ ლექსებს, წმ. გიორგის სახეს უპირისპირებდა ბოლშევიკურ სატანას (ნოველა „ტაბუ“).

საერთოდ, მწერლის ყოველ ნაწარმოებში ფიგურირებს წმ. გიორგი, რომლის მეშვეობითაც გადმოიცემა არა მხოლოდ ქრისტიანული რწმენა და მებრძოლი სული, არამედ უძველესი ტრადიციებიც, ხოლო არსაკიძე თეოზისის, იდეით პიროვნების განღმრთობას ელტვის, რაც სვეტიცხოველის შექმნით გამოიხატა („დიდოსტატის მარჯვენა“). ტაძრის აგების იდეა კი ეკუთვნის კათალიკოსს. გიორგი მეფე ამჟღავნებს სკეპსისს, თითქმის გულგრილია რელიგიისადმი (თუმცა ქრისტეს სახელით ებრძვის გარეშე და შინაურ მტრებს), მაგრამ საბოლოოდ მაინც, სიკვდილის წინ, დიაკონს აძლევს აღსარებას, ე. ი. კვდება როგორც ჭეშმარიტი ქრისტიანი (გვინდა დავუმატოთ, რომ „წარმართი“ თარაშ ემხვარიც კი ამბობს, სიკვდილის წინ ნადიაკვნარს მოვუხმობ და ფსალუმნს წავაკითხებო, რაც კაროლინას განცვიფრებას იწვევს). სწორედ გიორგის თანხმობითა და მითითებით აშენდა **რელიგიური რწმენის ტაძარი - სვეტიცხოველი.**

რელიგიური შეცნობის გზა არც დავით აღმაშენებლისათვის ყოფილა სწორხაზოვანი, რაც ზოგ ლიტერატორს (მაგ., **მარჩენკო**) ქრისტიანობის უარყოფად წარმოუდგენია. არსაკიძეც მისდევს ცალკეულ წარმართულ წეს-ჩვეულებებს (მაგ., მუხის კულტი), უძველეს ხალხურ ტრადიციებს, მაგრამ **მთავარია იაკობის დარად ღმერთთან შერკინება და სვეტიცხოველის აგება.** კ. გამსახურდიას პერსონაჟები ქრისტიანობასთან მიმართებით ფართო სპექტრში უნდა გავიაზროთ და არა იმის მიხედვით - ფარისევლურად განადიდებენ თუ არა ქრისტეს, ან თუ ბეჯითად ისმენენ წირვას, ცისკრისა და მწუხარის ლოცვებს. „ანტიქრისტე“, დიონისოს კულტის მსახური კონსტანტინე სავარსამიძეც რომანის ფინალში, ქვესკნელში იქცევა ქრისტიან მარტვილად, წმ. კონსტანტინედ და **წმ. გიორგის დარად, გმირავს ურჩხულს - სლანსკის**, რომელიც ჩრდილოეთის ტახტზე ზის და მონღოლის სახე მიუღია.

არათუ ამ ნაშრომის, არამედ წიგნში შესული სხვა ლექციების დებულებათა გათვალისწინებაც აუცილებელია, რათა უფრო სრულად გავიაზროთ კ. გამსახურდიას შემოქმედების მნიშვნელობა. ხოლო ღმერთმებრძოლობა და მამისმკვლელობა, საბჭოთა სინამდვილიდან გამომდინარე, მწერალმა აქცია უდიდეს სააზროვნო პრობლემად.

„საქართველოს სულიერი მისსია“ ბატონ **ზვიად გამსახურდიას** ლიტერატურულ და კულტურ-ფილოსოფიურ გამოკვლევათა მხოლოდ ერთი ნაწილია. მაგრამ მას განუზომელი მნიშვნელობა ენიჭება ქართული მეცნიერებისა და ხელოვნებისათვის, რადგან, ერთი მხრივ, სახავს კვლევისა და აზროვნების ახალ ორიენტაციას, მეორე მხრივ - იდეოლოგიურ საფუძვლად ედება ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას.

„ლიტერატურული საქართველო“, 1991, 9 აგვისტო

აკაკი გაწერელიას „რჩეული ნაწერები“

დასრულდა **აკაკი გაწერელიას „რჩეული ნაწერების“** გამოცემა (გამომცემლობა „მერანი“). მკითხველის ხელთაა გამოჩენილი ფილოლოგისა და ლიტერატორის ნახევარსაუკუნოვანი შრომის შედეგი.

პირველ ტომში განხილულია არეოპაგიტიკისა და რუსთველოლოგიის პრობლემები, მეორე ტომი მოიცავს მონოგრაფიებს გრ. ორბელიანსა და ნ. ბარათაშვილზე, აგრეთვე - ესეისტური წერილების მთელ ციკლს; მესამე ტომის პირველი წიგნი მთლიანად ეთმობა ქართულ კლასიკურ ლექსს, ხოლო მეორე წიგნი - „ვეფხისტყაოსნის“ პოეტიკას, ქართული და ზოგადი ვერსიფიკაციის საკითხებს.

უჩვეულოდ ვრცელია აკაკი გაწერელიას სამეცნიერო ინტერესთა სფერო. იგი იკვლევს ქართული მწერლობის სხვადასხვა პერიოდებს, პოეზიასა და პროზას, კლასიკოსთა ბიოგრაფიებს, ცალკეულ ტექსტებს, ტექსტთა დეტალებს.

აკაკი გაწერელიამ შეაერთა კონკრეტული და ზოგადი კვლევის პრინციპები. ამიტომ სწვდება მისი თვალი ქართული მწერლობის მთავარ ხაზებს უძველესი ჟამიდან დღევანდელობამდე. იგი ვრცელ კონტექსტში განიხილავს საძიებელ საკითხს და პოულობს მიმართებას მწერლური აზრის მამოძრავებელ ძალებთან; ა. გაწერელია ჩინებული მცოდნეა ანტიკური, რუსული და ევროპული ლიტერატურისა. მის კალამს ეკუთვნის არაერთი ესეი, რომლებშიც დიდი ცოდნითა და გემოვნებით იხატება ტოლსტოის, დოსტოევსკის, რემარკის, ჰემინგუეის, ახმატოვას, ბელის, ტინიანოვის დაუვიწყარი სახეები. და ბოლოს - აკაკი გაწერელია

არის ქართული ლექსის თვალსაჩინო თეორეტიკოსი, პოეტიკის საუკეთესო სპეციალისტი. **მის ნააზრევში ერთმანეთს ერწყმის მწერალი და ფილოლოგი, ლიტერატორი და თეორეტიკოსი.** ინტერესთა ვრცელი სფერო, რომელიც ჩვენს თვალწინ იშლება, ავლენს **ავტორის ენციკლოპედიურ ცოდნას**. იგი ფლობს უმცირეს ნიუანსებსაც, არა მხოლოდ ლიტერატურულ წყაროებს ან ბიოგრაფიულ მასალებს. მაქსიმალური სიზუსტე და პირველწყაროთა ამომწურავი ცოდნა - ასეთია ა. გაწერელიას ფილოლოგიური კვლევის დევიზი, რასაც შესაშური კეთილსინდისიერებით ასრულებს კიდეც.

აკაკი გაწერელიას მსჯელობა ლოგიკურია, ნათელი და ემოციური. ისიც უნდა შევნიშნოთ, რომ იგი ამის ერთგული რჩება ათეული წლების მანძილზე. მას არ შეუცვლია პოზიცია, ხელწერა, შეხედულებანი. იგი, როგორც კლასიკურ კულტურაზე ორიენტირებული, კონსერვატიულად არის განწყობილი, ეპოქის ცვალებადობა, ჟამთა ცვლის სურათები მის სტილში არ არეკლილა, მის ენაში არ გახმიანებულა, თითქოს არც შეუქმნია მსჯელობის საკუთარი სტრუქტურა - იგი თავისთავად იშვა. ოცდაათიანი და ოთხმოციანი წლების ენა და სტილი ერთნაირად ლაპიდარულია, სადა და პოეტური. გულდასმითაც რომ ვეძებოთ, ვერ ვიპოვით წყალგამყოფ სტილურ ნიშნებს. ასეთი სიმტკიცე, მდგრადობა, სულ ერთია - მას პრინციპულობა დაერქმევა თუ კონსერვატიზმი - თანამედროვე თვალსაზრისით ეგებ სადაოც იყოს. მაგრამ გასათვალისწინებელია ერთი გარემოება: ა. გაწერელიას თვალთახედვა მიმართულია ტრადიციებისა და კლასიკური კულტურებისაკენ, დასრულებული და გამოკვეთილი ფენომენისაკენ. იგი ერთგულია რეალისტური სინათლისა, ჯანსაღი აზრისა და ფორმისა. მას არ უცდია აჩქარებული და ნერვიული ეპოქის რიტმის დაჭერა.

აქვე ბარემ ისიც უნდა ითქვას, რომ მიუხედავად წიგნის ბუმისა, დღევანდელობა, განსაკუთრებით **ახალგაზრდობა, გამოდის აკადემიზმის, არსებითად - ინტელექტის გააბსოლუტების წინააღმდეგ. ცოდნას უნდობლობა გამოეცხადა**, მას ცვლის განცდა, გრძნობა და ინტუიცია. დევალვაცია გადასწვდა ცნობიერების თითქმის ყოველ სფეროს. ალბათ ამ პროცესს არ დაერქმევა ინტელექტის კრიზისი, უფრო სწორად - ასე არაცნობიერად მჟღავნდება პროტესტი რაციონალიზმის, ფსევდოაკადემიზმის, ჭეშმარიტებად მონათლულ ყალბ ფასეულობათა წინააღმდეგ, სწრაფვა უშუალობისა და სიჯანსაღისაკენ. ფორმალიზებულმა ენამ მეცნიერება მასების ინტერესებისაგან მოწყვიტა.

ეს იმიტომ გავიხსენეთ, რომ ჩვენ ვსაუბრობთ აკაკი გაწერელიას ნაწერებზე, რომელიც ფრაზას სამეცნიერო შრომებშიც მწერლური სიფაქიზით ეკიდება. ამ მხრივ ბევრი რამ უნდა ვისწავლოთ მისგან. მან

ხომ ფილოლოგიური და ლიტერატურული აზროვნება მაქსიმალურად მიუახლოვა მწერლობას. ანემიური სტილი აუფასურებს ბრწყინვალე აზრებსაც, თუმცა მახვილი და ცოცხალი აზრი ანემიურად ვერც გამოითქმება. როგორც **არნ. ჩიქობავა** მიუთითებს, მეტყველება და აზროვნება ერთმანეთისაგან განუთიშველია.

მინდა მკითხველს შევახსენო აკაკი გაწერელიას კვლევის ორი სპეციფიკური ნიშან-თვისება - **ტრადიციონალიზმი და სკეპტიციზმი**. იგი, როგორც გარდასულ კულტურათა მკვლევარი, სწორედ ტრადიციების ერთგულია და თავგამოდებული დამცველი. მისი სათაყვანებელი მწერლები XX საუკუნის მიღმა დგანან. იგი ენდობა იმ სიტყვას, რომელმაც საუკუნეთა ნესტსა და სიცივეს, კაცთა კაპრიზებსა და უგულობას გაუძლო და დღევანდელობამდე მოატანა. **ისტორია** მისთვის უნივერსალური ცნებაა, როგორც პოეტური თხზვის, აზროვნების, ეთიკის ფუნდამენტი, მყარად მოცემული ჩვენს ფიქრებსა და ოცნებაში. **ტრადიცია** კი წარმოდგენილი აქვს როგორც რეალური სინათლე, წესრიგი, პროპორცია, ქრისტიანული სიკეთის ზეიმი. ეს თვისებანი მისი მსოფლგანცდის საწყისია, გადატანილი და გადაქსოვილი ლიტერატურულ ფაქტებსა და მოვლენებზე.

მართალია, აკაკი გაწერელიას არ დაუწერია ესთეტიკური ტრაქტატები, არ შეუქმნია ლიტერატურული კვლევის ახალი მეთოდოლოგია, მაგრამ ჩვენ შეგვიძლია ამოვკრიბოთ და შევაერთოთ სპეციფიკური აზრები, გაბნეული მრავალრიცხოვან ესეებსა და გამოკვლევებში და ასე აღვადგინოთ მისი ლიტერატურული კონცეფცია, წლების მანძილზე გამომუშავებული და დაცული მძაფრ ლიტერატურულ ბრძოლებში. მის პოლემიკას ახასიათებს საგნისადმი უსაზღვრო სიყვარული და თავგანწირვა. მისთვის უცხო და მიუღებელია მოდერნისტული სკოლები და ესთეტიკური პრინციპები. მათ ხომ ერთის მხრივ ქრისტიანულ მრწამსს დაუპირისპირეს ან კიდევ - შეუხამეს, მითოსი და წარმართობა, საგნის სიზუსტეს - შთაბეჭდილება, თვალსაზრისი საგანზე, სიჯანსაღეს - პათოლოგია, გრძნობების სიუხვეს - აზრების ხლართი, სინათლეს - სიბნელე, სიმშვიდეს - განგაში და ა.შ.

ა. გაწერელიას აზრით, მეცნიერი არ უნდა მოსწყდეს ფაქტებს, არ აქციოს ფილოლოგია ბელეტრისტიკად. იგი მაქსიმალურად ფრთხილი მკვლევარია, ეგებ ზოგჯერ მომეტებული სკეპტიკოსიც. მაგრამ, სამაგიეროდ, ა. გაწერელიას შეხედულებანი ფაქტთა ლოგიკას ემყარება და მათი უარყოფა შეიძლება მხოლოდ მეთოდოლოგიური გადატრიალების მეოხებით.

საერთოდ, ფილოლოგი სწავლობს ტექსტს, ტექსტის ირგვლივ არსებულ პრობლემატიკას, არამხატვრულ პლასტებს, მოდელირების პირვე-

ლად წრეს, მაგრამ მისი შინაგანი მექანიზმი, ის, რაც შედევრს განასხვავებს სუროგატისაგან - არ აინტერესებს. **„ლიტერატორი“** ღებულობს „ფილოლოგის“ დაკვირვებათა შედეგებს, ფაქტოლოგიურ მასალას, მას აღელვებს ტექსტის ესთეტიკური სული. ამიტომ მწერალთა მცირე ჯგუფი აინტერესებს და არა ყველა, ვისაც ხელი კალმისაკენ გაქცევია. ალბათ ეს არის მიზეზი, რომ ა. გაწერელიას კვლევის სფეროში არ შემოსულა არალიტერატურული ტექსტები და მწერლობის მიღმა მდგარი ავტორები. სხვათა შორის, ამ პოზიციას სჭირდება გააზრება, რათა ყოველი ბეჭდური სიტყვა ლიტერატურის ისტორიის ნაწილად არ ვაქციოთ, ყოველი გარდაცვლილი მწერალი - კლასიკოსობის პრეტენდენტად. რაც წინ წავალთ, მით უფრო დასცილდება ერთმანეთს **„ფილოლოგი“** და **„ლიტერატორი“**, თუმცა ბევრს ხელს აძლევს ამ ორი ცნების სინონიმურ წყვილად გამოცხადება. **დღეს მთავარია ლიტერატურული აზროვნება, ხოლო ფილოლოგიური კვლევა თანდათან გადადის მეორე პლანზე.**

ასეთ დროს განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს აკაკი გაწერელიას ლიტერატურულ-თეორიული გამოკვლევები და ესეისტური ნააზრევი.

მეცნიერის ყურადღების ცენტრშია საგნის არსი და არა ტერმინის თუ ცნების ლექსიკოგრაფიული სიზუსტით განსაზღვრა, რადგან როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, ეს შეუძლებელია და სულსაც არაფერს ჰმატებს. და საერთოდ **ის, რაც სულსა და გონს არაფერს რგებს, ზედმეტია, სიცოცხლისათვის უსარგებლო**, არსებითად - მცდარი, რადგან ნიუანსებით გატაცების ჟამს მთავარი ხელიდან გვეცლება. ტერმინთა შენაცვლებით არსი არ იცვლება, რადგან სიტყვა საგნის პირობითი აღმნიშვნელია. ალბათ ესეც აძლევს საფუძველს აკაკი გაწერელიას ნიჰილისტურად იყოს განწყობილი სტრუქტურალისტური კვლევის მიმართ.

მაგრამ ისიც უნდა ვაღიაროთ (სულ ერთია - ვეთანხმებით, თუ არა), რომ **ტრადიციული ლიტერატურისმცოდნეობის დაძლევისა და უარყოფის ხმები დღეს სხვადასხვა მხრიდან გაისმის** - მას აკრიტიკებენ სტრუქტურალისტები და აბრალებენ სქემატიზმსა და ზერელობას; ირონიით ახსენებენ მწერლები და ესეისტები - პედანტური აკადემიზმისა და ჭარბი ფილოლოგიურობის გამო, მის სასკოლო ხასიათსა და შეზღუდულობას ამხელენ ფილოსოფიისაკენ ორიენტირებული მოაზროვნენი. რაც შეეხება ფართო მასას - იგი თითქმის არც ეცნობა მას, რადგან მასში ვერ პოულობს პრაქტიკულსა და ემოციურს. ტრადიციულმა ლიტერატურისმცოდნეობამ ნელ-ნელა დაჰკარგა ნდობა ლიტერატორთა წრეშიც და იქცა პედაგოგიკის ნაწილად.

აკაკი გაწერელიას სამეცნიერო ნაწერები შეიძლებს სამ ნაწილად დაიყოს - 1. ფილოლოგიური, 2. ლიტერატურულ-ესეისტური, 3. თეორიულ-პოეტიკური. მე ამ პრინციპით მიმოვიხილავ ოთხივე წიგნში

შესულ მასალებს.

პირველი ტომი მთლიანად ფილოლოგიური ხასიათისაა და მოიცავს გამოკვლევებს, რეცენზიებსა და პოლემიკურ სტატიებს რუსთველოლოგიასა და არეოპაგიტიკაზე. ამ წიგნმა, რომელიც 70-იან წლებში დაიწერა, აკაკი გაწერელიას სამეცნიერო ბიოგრაფიაში ახალი ფურცელი გადაშალა. მართალია, იგი ყოველთვის იყო „ვეფხისტყაოსნით“ დაინტერესებული, მაგრამ ეხებოდა უფრო პოეტიკური თვალსაზრისით. ამჯერად კი მსოფლმხედველობრივ საკითხებს გადაწვდა, რადგან ამ სფეროშიც მრავალი უცნაური თეორია შეითხზა. „ვეფხისტყაოსნის“ პრობლემა, როგორც წერს ა. გაწერელია, ქართული კულტურის ცენტრალური პრობლემაა. მან გამოაქვეყნა სპეციალური გამოკვლევა რუსთაველის მსოფლმხედველობაზე, რომელშიც დაიცვა და განავითარა ის თვალსაზრისი, რომ პოეტი ემყარება ქრისტიანულ აღმსარებლობას, ბიბლიურ წიგნებს, ახალ აღთქმას, თეოლოგთაგან კი ყველაზე მეტად - ფსევდოდიონისე არეოპაგელს. მან ზოგადი კონცეფცია კონკრეტულ დონეზე დაამუშავა და უტყუარი მაგალითებით დაადასტურა.

„ზეცის მხატვრული მოდელი რუსთაველთან და დანტესთან“ ამ მიმართულებით ძიების ნაყოფია. ორი გენიოსის შედარებისათვის ამოსავალ წერტილად მიჩნეულია ფსევდოდიონისე არეოპაგელის ტრაქტატები. იშვიათი სიზუსტითაა მოძებნილი პარალელები, შემხვედრი დეტალები, მსგავს მიმართებათა სისტემა. აღნიშნულია ის პოზიტიური შედეგები, რაც მოჰყვა რუსთაველის ბიოგრაფიის ხანგრძლივ კვლევას, პოემაში ისტორიული რეალიების ძიებას. შემდეგ ნაჩვენებია ჩვენი დიდი პოეტის ქრისტიანული აღმსარებლობის დამადასტურებელი მაგალითები და ფსევდოდიონისეს მოძღვრების არსი.

როგორც საყოველთაოდ ცნობილია, **შალვა ნუცუბიძემ** ფსევდოდიონისეს ტრაქტატებს მიიჩნია რუსთველისა და ქართული რენესანსის იდეოლოგიურ წყაროდ. ა. გაწერელია ასეთი აბსოლუტიზების წინააღმდეგია, თანაც უარყოფს ფსევდოდიონისეს ნეოპლატონიკოსობას. ამით იგი გამორიცხავს ნეოპლატონიზმის პრობლემას XII საუკუნის ქართული კულტურისათვის. არსებითად მან მოარიგა და ახლებურად გაიაზრა, ახალი მასალებით შეავსო **კ. კეკელიძისა** (ბიბლიური ქრისტიანობა) და **შ. ნუცუბიძის** კონცეფციები (არეოპაგიტული ნეოპლატონიზმი), შექმნა თეორია, რომელიც დაზღვეულია უკიდურესობისა და ცალმხრივობისაგან. მისი მსჯელობა და დასკვნები ემყარება ვრცელ სამეცნიერო ლიტერატურას, რუსთაველისა და არეოპაგიტიკის გარშემო არსებულს. ავტორი ხშირად პოლემიკურად არის განწყობილი, განსაკუთრებით შ. ნუცუბიძის შეხედულებებისადმი, თუმცა მას ამჯერად არ ასახელებს. ა. გაწერელია კიდევ ერთხელ ასაბუთებს, რომ **ფსევდო-**

დიონისე „არც ერთს პუნქტში არ სწყდება ბიბლიის ჩვენებებს“. ხოლო ამ თეოლოგისათვის ქრისტეს შემდეგ ყველაზე დიდი ავტორიტეტი პავლე მოციქულია. რუსთაველის **„ერთი“** და **„რომელმან“** კი - ქრისტიანული ღმერთია - **„სამება ერთარსება“**. აკ. გაწერელიას აზრით, ფსევდოდიონისეს პროკლეს არცერთი „ფუნდამენტური დებულება“ არ გაუზიარებია.

შემდეგ ნაშრომში განხილულია დანტეს მიმართება ფსევდოდიონისეს ტრაქტატებისადმი. აქაც მკვლევარი, ჩვეულებისამებრ, იშველიებს მდიდარ სამეცნიერო ლიტერატურას, რომლის მეშვეობით მოკლედ ახასიათებს **„ღვთაებრივ კომედიას“**, პოეტის კოსმოლოგიურ წარმოდგენას, თხზულების ლაბირინთულ სტრუქტურას. მეცნიერი დეტალურად აჩვენებს, თუ რანაირად აქვს ათვისებული დანტეს ფსევდოდიონისეს ტრაქტატები და ეპისტოლეები, როგორ ჰყავს წარმოდგენილი ანგელოსები (**„სარკენი“, „საყდარნი“**), როგორ იმეორებს იგი, რუსთაველის დარად, დიდი თეოლოგის ტრიადებს,. ორივე პოეტი ასახელებს დედამიწის ირგვლივ განლაგებულ შვიდ მნათობს, ანგელოსთა ფსევდოდიონისური იერარაქიის მსგავსად.

რუსთაველსა და დანტეს დიდი ხანია ერთმანეთს ადარებენ, მაგრამ კონკრეტული, ა. გაწერელიას სამართლიანი დასკვნით, რეალური საფუძველი მოძებნილი არ ყოფილა. ასეთი საფუძველი აღმოჩნდა ფსევდოდიონისე არეოპაგელის მოძღვრება.

მკვლევარმა ძიება განაგრძო და დაბეჭდა ახალი ნაშრომი **„დანტე და პრეისტორიული საქართველო“**. შეიძლება მას სტიმულს აძლევდა ისიც, რომ ფსევდოდიონისეს სახელი ქართულ სამყაროსთან აღმოჩნდა დაკავშირებული და იქნებ ამიტომ უნდოდა, გაეხაზა მეტი სიახლოვე ფლორენციელი გენიოსისა საქართველოსადმი. ამჯერად ამოსავალია ანტიკური ხანა, ძველი კოლხეთი, არგონავტების მითი. „ღვთაებრივი კომედიის“ ავტორი მედეას უბედურ ქალად მიიჩნევს, ხოლო იაზონს ჯოჯოხეთში ათავსებს. დანტე უარყოფს ანტიკურ ხანაში გაჩენილ და დამკვიდრებულ ცილისწამებას კოლხ ქალზე.

ამრიგად, აკაკი გაწერელიამ, როგორც მითოლოგიურ, ისე რელიგიურ პლანში აჩვენა ის საწყისები, რაც აერთებდათ რუსთაველსა და დანტეს.

რუსთაველის თემამ აკაკი გაწერელია მიიყვანა **არეოპაგიტიკასთან**, რომელიც ჩვენში შალვა ნუცუბიძის ნაშრომთა მეოხებით დიდად პოპულარული გახდა (ფსევდოდიონისესა და პეტრე იბერის იდენტიფიკაცია, ქართული და აღმოსავლური რენესანსის იდეური საწყისების ძიება და ა.შ.). ისიც უნდა ითქვას, ქართველ მკვლევართაგან შ.ნუცუბიძის შემდეგ ა. გაწერელიამ შეიტანა თვალსაჩინო წვლილი ამ ფანტასტიკურად რთული პრობლემების განათებაში.

ისმის კითხვა - როგორ უყურებს ჩვენი მკვლევარი **„ნუცუბიძე-ჰონიგმანის თეორიას?“** სჩანს, თავიდან იგი ნეგატიურად იყო განწყობილი მისადმი, თუმცა თავისი პოზიცია არ გამოუხატავს. შემდეგ **ივანე ლოლაშვილთან** ხანგრძლივმა პოლემიკამ, მასალების ამომწურავმა შესწავლამ, თანაგრძნობით გამსჭვალა ამ „ცნობილი თეორიისადმი“ - არსებითად დაიცვა იგი, ოღონდ არაპირდაპირი გზით. მართალია, უყოყმანოდ არ მიუღია ეს ინდენტიფიკაცია, მაგრამ თვლის დასაშვებად, შესაძლებლად, რომელსაც სჭირდება დამატებითი არგუმენტირება, ზოგიერთი მოწინააღმდეგის (მაგ., **რენე როკის**) მიერ წარმოდგენილი საბუთების გაბათილება. მკითხველს აქვე უნდა შევახსენო აკაკი გაწერელიას სკეპტიციზმი და ფილოლოგიური სიფრთხილე!..

ა. გაწერელიამ ჩაიფიქრა ვრცელი მონოგრაფია - **„პეტრე იბერიელი“**. ამ წიგნიდან გამოაქვეყნა ორი გამოკვლევა - **„პეტრე იბერიელის ბიოგრაფიის საკითხები“** და **„ათენაიდა - ევდოკია“**.ორივე მათგანი შეტანილია პირველ ტომში.

„პეტრე იბერიელის ბიოგრაფიის საკითხები“ ერთ კონკრეტულ პრობლემას ეძღვნება - გაირკვეს, თუ ვინაა ავტორი **„პეტრე იბერიელის შესახებ ქართულად ნათარგმნ-გადმოკეთებული თხზულებისა“**. ეს ტექსტი თითქოს ასურულად დაუწერია პეტრეს მოწაფეს - **ზაქარია ქართველს** V საუკუნეში, ხოლო ქართულად უთარგმნია **მაკარი ხუცესს** XIII თუ XIV საუკუნეში. მისი ნუსხა შემდეგში გადაუკეთებია და განუვრცია **პავლე დეკანოზს**. ტექსტი მიღწეულია ორი რედაქციით და ორივე გამოსცა **ნიკო მარმა 1896** წელს.

ა. გაწერელიას განხილული აქვს პირველადი ცნობები (**ვახუშტი, პლ. იოსელიანი, მ. ბროსე, დ. ბაქრაძე**). ხოლო დიდ ყურადღებას უთმობს ნ. მარის გამოცემას. ნ. მარმა ხომ მისთვის ჩვეული ფართო ფილოლოგიური თვალთახედვით შეისწავლა **„პეტრეს ცხოვრება“**. მან პირველმა შეიტანა ეჭვი ზაქარიას ქართველობაში, წამოჭრა არაერთი საკითხი და დებულებანი, რომლებიც ფასეული აღმოჩნდა მომავალი კვლევისათვის. **ა. გაწერელია ამტკიცებს, რომ „ზაქარია ქართველი“ პავლე ხუცესის გამონაგონი ავტორია.** ამ მიზნით იგი უდარებს **რ. რააბეს** მიერ გერმანულად გამოცემულ (1896) „პეტრეს ცხოვრებას“ ქართულ ტექსტს. ამ ტექსტის ავტორი დაადგინა **ედ. შვარტცმა** (1912), იგი აღმოჩნდა **იოანე რუფუსი, პეტრეს მოწაფე,** რომელსაც ტექსტი ბერძნულად დაუწერია VI საუკუნის დასაწყისში. ამ გამოკვლევაში ვრცლად არის განხილული **ნ. მარის, კ. კეკელიძის, ი. ჯავახიშვილის, პ. ინგოროყვას, ე. ჰონიგმანის, ს. ყაუხჩიშვილის** შეხედულებანი.

ა. გაწერელიას მოაქვს ვრცელი პარალელური პასაჟები იოანე რუფუსისა და მაკარი – პავლეს ტექსტებიდან და ასკვნის, რომ „პეტრეს ცხოვ-

რება“ თარგმანია, ხოლო პავლე ხუცესი - მისტიფიკატორი, რომელმაც გამოიგონა „ზაქარია ქართველი“. ეს აზრი გაიზიარა ქართულმა მეცნიერებამ (**ალ. ბარამიძე, ნ. ლომოური და სხვ.**).

აკაკი გაწერელიას თვალსაზრისი არაერთხელ გააკრიტიკა და მიუღებლად ცნო **ივანე ლოლაშვილმა**, რომელმაც ნუცუბიძე-ჰონიგმანის თეორია სერიოზული განხილვის ღირსადაც არ ჩათვალა! ამის პასუხად, საკუთარ შეხედულებათა დასაცავად და მათი დამატებითი არგუმენტირებისათვის, დაიწერა ვრცელი გამოკვლევები - **„ისევ ზაქარია ქართველის გამო“, „ისევ პეტრე იბერიელის ქართული „ცხოვრების“ ირგვლივ“, „წიგნი არეოპაგიტიკის საკითხებზე“, „ცილისწამებათა კატალოგი თუ ფილოლოგიური გამოკვლევა?“** მათში თავს იჩენს მთელი რიგი ახალი საკითხები, პარალელურად მოპაექრის პოზიციის მხილებისა და თავისი თვალსაზრისის დასაბუთებისა. ეს პოლემიკა, რომელიც დაიწყო ერთი კონკრეტული საკითხის ირგვლივ, თანდათან გადაიზარდა ფართო მასშტაბის დისკუსიაში და მასში მოექცა V-VI საუკუნეთა ქართული და ბიზანტიური კულტურების პრობლემები, რომელთაც, გარდა მეცნიერულისა, ეროვნული მნიშვნელობაც აქვთ.

აკაკი გაწერელიას ფილოლოგიური გამოკვლევები გაგრძელებაა ქართული მეცნიერების იმ ტრადიციისა, რომლის დამამკვიდრებელია **ნ. მარი.** მაგრამ აკაკი გაწერელია ყოველთვის ფაქტის, დოკუმენტის ერთგულია, ფხიზელი რეალისტი, რომელიც ამოდის ტექსტიდან და მკითხველს არ ახვევს თავის შეხედულებას. ეგებ ასეთი კვლევა მოკლებული იყოს გარეგნულ ეფექტებს, სამაგიეროდ - მტკიცეა და უტყუარი.

მეორე ტომ შითავმოყრილია ლიტერატურულ-ესეისტური გამოკვლევები, წერილები, პორტრეტები. იგი პირდაპირი გაგრძელებაა და დასრულებაა ა. გაწერელიას ძველი I ტომისა (1962) და ამ წიგნთან ერთად თითქმის მთლიანად წარმოგვიდგენს ა. გაწერელიას,როგორც ლიტერატორს, ფაქიზი გემოვნების მეცნიერს, სტილის ოსტატს. ეს წიგნი მრავალმხრივაა საგულისხმო და მნიშვნელოვანი. ჯერ ერთი, ყველაზე პოპულარულია როგორც მწერალთა და მეცნიერთა, ისე მკითხველთა შორის, მეორე - იგი აღადგენს მივიწყებულ მეთოდებს ნაწარმოებთან, ხელოვანთან მიმართებისა, მესამე - ეს წიგნი დაწერილია მწერლის მიერ, რომელმაც იცის შემოქმედის სულის საიდუმლო, ძალუძს ამ იდუმალების სიტყვაში გაცხადება და, ამასთან ერთად, გვხიბლავს სულიერი ჰორიზონტის სიფართოვით.

პირველი გამოკვლევა **გრიგოლ ორბელიანს** ეძღვნება. ა. გაწერელიას დიდი დამსახურება მიუძღვის ამ შესანიშნავი პოეტისა და სარდლის ცხოვრებისა და შემოქმედების კვლევის საქმეში, როგორც მისი ბიოგრაფიისა და პოეზიის სისტემატიზატორს, საფუძვლის შემქმნელს მომა-

ვალ მკვლევართა და მწერალთათვის. ჯერ კიდევ 30-იან წლებში გამოსცა მან გრიგოლ ორბელიანის წერილების ორტომეული, რომელმაც მისი ყურადღება წარმართა „კავკასიის ილიადასაკენ“ და დაიწყო შამილზე რომანის წერა, რათა დიდი სამეცნიერო ინფორმაცია მხატვრულ კალაპოტში მოექცია. შემდეგ ა. გაწერელიამ, **ჯ. ჭუმბურიძესთან** ერთად, გამოსცა „სადღეგრძელოს“ ავტორის მხატვრული ნაწარმოების სრული კრებული; ხოლო გამოკვლევა, რომელიც ამ ტომშია შესული, სწორედ ამ გამოცემას წარუმძღვარა. იგი გამოირჩევა დოკუმენტური მასალის სიუხვით, ცალკეული ლექსების ანალიზით. ამასთან ერთად დაწერილია როგორც მოთხრობა: ჩვენს წინაშე ცოცხალი ადამიანის ფიგურა იკვეთება თავისი ლექსებით, ბრძოლებით, ვნებებით, ფიქრებით. ალბათ ეს იმანაც გამოიწვია, რომ ავტორმა სქემად აიღო პოეტის ბიოგრაფია და მისი მიდევნებით განიხილა გრ. ორბელიანის მიმართება კონკრეტულ ადრესატებთან, ბუნებასთან, სიყვარულთან, სამშობლოსთან, ღვთაებასთან, „შვილებთან“, ე.ი. მან ცხოვრება და შემოქმედება ერთმანეთისაგან იზოლირებულად კი არ აჩვენა, არამედ - ერთი ახსნა მეორის მეშვეობით და პირიქით. ამით არსებითად ერთი კონკრეტული მწერლის შემოქმედების მაგალითზე განიხილა პოეზიისა და ცხოვრების ურთიერთმიმართების პრობლემა.

მეორე გამოკვლევა ეძღვნება **ნიკოლოზ ბარათაშვილს**. ეს მონოგრაფია დაიწერა პოეტის საიუბილეოდ, 1945 წელს და მას შემდეგ რამდენიმეჯერ გამოიცა. ნაშრომი არაერთ პრობლემას მოიცავს და ახლებურად აშუქებს. საკმარისია ქვეთავების გახსენებაც, რათა საგრძნობი გახდეს მისი მრავალპლანიანობა.

აკაკი გაწერელია ამჯერადაც ამოდის ფაქტებიდან, საანალიზო მასალიდან, დოკუმენტებიდან. იგი თავისი კონცეფციის საილუსტრაციო მასალად როდი მიმართავს დიდი პოეტის შემოქმედებას. ამიტომ უფრო კვლევისა და დაკვირვების შედეგებს გვაცნობს, ვიდრე მსჯელობის პროცესს. უნდა ვიგულისხმოთ, რომ ის, რაც ქაღალდზე აღიბეჭდა, მრავალი წლის ნაფიქრალია, თუმცა სწრაფად ფიქსირებული. ეს კი აძლევს ნაწერს სიმსუბუქეს, სინათლესა და გამჭვირვალობას.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია **„ვაჟა-ფშაველა და ქართული მითოსი“** (საინტერესოა, რომ ავტორმა მას „გამოკვლევის ცდა“ უწოდა). მასში ჯერ საუბარია შემოქმედის მიმართებაზე მითებთან. შემდეგ ნაჩვენებია, როგორ პროექცირდა ქართული მითოლოგიის ფშაური ნაკადი, როგორი სტრუქტურით წარმოსდგა ვაჟას შემოქმედებაში (დევები და ქაჯები, იახსარი და კოპალა, ლაშარის ჯვარი, შავეთი, ბედისწერა). იგი, ისევე, როგორც **„ეროსი ყაზბეგის მოთხრობებში“**, უაღრესად მახვილი დაკვირვების შედეგია. აქვე უნდა დავასახელოთ „რუსთაველის

ორი სატრფოს სტრუქტურულ-სემანტიკური ანალიზი“. ისიც უნდა ითქვას, რომ სამივე სტატია თითქოს ამოვარდნილია ა. გაწერელია კვლევის სტილიდან, ე.ი. არატრადიციონალური ბუნებისაა და იყენებს მითოლოგიური, ფსიქოანალიზური და სტრუქტურალისტური კრიტიკის მონაცემებს. ალბათ კლასიკისა და ტრადიციებისადმი ავტორის განუხრელი ერთგულებით უნდა აიხსნას, რომ მან თავისი ნიჭი და ერუდიცია ანალოგიური პრობლემებისაგან არ წარმართა, არადა – ამით ხომ განუზომლად მოიგებდა ჩვენი ლიტერატურული აზროვნება.

ამავე ტომში თავმოყრილია ჩინებული ესსეები. ისინი ეძღვნება **ნ. ბარათაშვილს, თ. დოსტოევსკის, ა. ახმატოვას, გ. ლეონიძეს, პ. ვალერის, ა. შანიძეს, გ. ჩუბინაშვილს, ს. ჯანაშიას, კ. კეკელიძეს...** მათში ავტორი წარმოგვიდგა, პირველ ყოვლისა, როგორც სიტყვის ოსტატი, დიდი კულტურის მწერალი. საერთოდ, ესეი სუბიექტურ შთაბეჭდილებათა ფიქსაციაა, მეცნიერისა თუ ხელოვანის მიმართებათა გამჟღავნება, რომელსაც ხშირად არც ახლავს მტკიცება. იგი საკუთარი თვალსაზრისის გამოთქმაა, რომლის უეჭველ გაზიარებას არ გთხოვს, - მით უმეტეს - არ გაიძულებს ავტორი. მაგრამ ა. გაწერელიას ესეები, პოეტურ ტალანტთან ერთად გვხიბლავს დიდი ერუდიციის სინათლით. ცოდნის მხატვრული მოდელირება, მწერლობად ქცევა - აი, ა. გაწერელიას ესეების თვისება. ამიტომ მისი მსჯელობა სულაც არაა პარადოქსული, მხოლოდ პირად გემოვნებაზე დამყარებული. იგი თითქოს საყოველთაო თვალსაზრისის ნაწილად იქცევა, არგუმენტირების გარეშეც, რომლის არსებობა ტექსტის მიღმა იგულისხმება.

სამწუხაროდ, წიგნში ვერ მოხვდა ადრეულ კრებულებში დაბეჭდილი ცნობილი ესეები **ა. ბელიზე, ი. ტინიანოვზე, თ. დოსტოევსკიზე, ე. ჰემინგუეიზე, კ. გამსახურდიაზე, გ. ტაბიძეზე, დ. კლდიაშვილზე, ვ. ბარნოვზე...** ასევე ამ წიგნის მიღმა დარჩა **„დაკვირვებანი და შთაბეჭდილებანი“, „ტოლსტოის მხატვრული მეთოდის შესავალი“**, მოგონება ტიციან ტაბიძეზე; ასე რომ მკითხველს საშუალება ეძლევა მხოლოდ ნაწილობრივი წარმოდგენა იქონიოს ა. გაწერელიას ესეისტურ ნაწერებზე. დღეს, ტოტალური ინფორმაციის მოწოლის შედეგად, იკარგება დაწმენდილი სტილის გრძნობა, რაც იწვევს აუდიტორიისა და ლიტერატურის გათიშვას, რადგან მათ შორის **ყრუ კედლად დგება ბუნდოვან ცნებათა ბარიერი.** ამ თვალსაზრისითაც დიდად საგულისხმოა ავტორის ესეები.

ა. გაწერელიას ესეებში, პირველ ყოვლისა, ადრესატის პორტრეტი და ხასიათის თვისებანია გამოსახული, ძუნწი, მაგრამ მრავლისმეტყველი ნიშნებით. ყოველი მეცნიერული თუ მხატვრული ნააზრევი აღქმულია პიროვნების პრიზმიდან, ბიოგრაფიიდან გამომდინარე. იგი ერთგულია ამ სფეროში **XIX საუკუნის ფრანგული კრიტიკისა,** რომელშიც ბიოგრა-

ფია განუყრელია შემოქმედებისაგან და ორივე ერთად აღქმულია **იმპრესიონისტული თვალთახედვით.** ა. გაწერელიას ესეების დეტალები ამხელენ ნატიფი გემოვნების პროზაიკოსს:

„მე ადვილად შევურიგდები სიკვდილის იდეას, თუ უფალი საიქიოში თამბაქოს მოწევის ნებას დამრთავსო, - წერდა ვ. როზანოვი.

რა ჯურის ვნებანი არ არხევენ ადამიანის ცხოვრების ნავს, ან რომელ ძეხორციელს დაუშოშმინებია ისინი?

დიდი ხანია ილია აგლაძე მარადიული დუმილის ქვეყანაშია გადასახლებული, იქ არავინ არაფერზე დაობს და ყველა ვნების აფრები დამცხრალია.

თვითონ აფრებიც არ ჩანან.

და მინდა ერთხელ კიდევ აქედან გამოვაჯავრო და იმ მხატვარივით შევეკითხო: - ჩვენო ბატონო ილიავ, ახლა მაინც როგორ ფიქრობთ, ხრამული იგივე ორაგულია თუ სხვა ჯიშის თევზია ბოლოს და ბოლოს?!

და მეჩვენება, რომ ილია აგლაძე ისევ შეჰყრის ნაოჭებს თვალის უპეებთან ან უკვალოდ გააქრობს მათ თავისი ზონარიანი სათვალის მინებქვეშ“;

„იგი ადრე მოაკლდა ჩვენი მეცნიერების სარბიელს. სუსხიან წლებში მან ყური არ ათხოვა ეპიკურეს რჩევას: „იცხოვრე უჩინრად“!

მ. გოგიბერიძეს არ სწყალობდა დუმილის ღმერთი, როგორც არა სწყალობდა იგი ჩვენი ნიჭიერი მოაზროვნის მუზის ღმერთს - სოკრატეს“;

„თუ მართლა ყველაფერი ეფემერულია, ერთადერთი გამოსავალი ის რჩება, რომ გახელილი ან ნახევრად გახელილი თვალებით გვეძინოს. მაშინ ფარდის დაშვების წინ თვალების საბოლოოდ დახუჭვა უკანასკნელი აქტი იქნება სიზმარეულთან ჩვენი ცნობიერების შერიგებისა. გ. ქიქოძე მართლაც მოჭუტული თვალებით დადიოდა ჩვენს შორის და მეჩვენება, რომ მისი სქელი ქუთუთოების მთლიანად შეკვრამ უდრტვინველად დაასრულა შესანიშნავი პიროვნების როლი იმ „ადამიანურ კომედიაში“, რაზედაც სიკვდილის წინ გარსშემოკრებილთ ესაუბრებოდა რომის პირველი იმპერატორი“.

ცალკე უნდა გამოიყოს მემუარული ხასიათის **„შეხვედრები იური ტინიანოვთან“**, რომელშიც მოგონება, მეცნიერული ფაქტები და ცხოვრებისეული დეტალები ერთ მთლიან მოთხრობად არის ქცეული.

ხელოვანისაგან განსხვავებით, მძიმეა მეცნიერის ხვედრი, ეს ერთგვარი **„ტანტალოსის სასჯელია“**, რადგან ლოგიკური აზრი მუდამ იცვლება, განსაკუთრებით ჰუმანიტარულ მეცნიერებებში და მისი ნაწერები დავიწყებას ეძლევა, იშვიათ შემთხვევაში - ვიწრო სპეციალობის ხალხი კითხულობს. მაგრამ ლიტერატორი, ფილოლოგისაგან განსხვავებით, უკავშირდება ფილოსოფიასა და მწერლობას, რომელთა მეშვეობით ძა-

ლუძს საკუთარ ნაწერს გამძლეობა შემატოს, აქციოს **აზროვნების დოკუმენტად**, ყველა დროისათვის საინტერესო მასალად. მშვენიერება და ჭეშმარიტება, აი ორი უმაღლესი პოსტულატი, ღვთაებრივი ძალა, რომლისკენაც ორიენტირი ქმნის სულიერ ფასეულობას. **ალბათ მომავალში მაქსიმალურად უნდა შეერწყას მეცნიერული აზრი მხატვრულ ფორმას, სახე - ცნებას, მშვენიერება - ჭეშმარიტებას, ლოგიკა - ფანტაზიას, რომლის უდიდესი ჰეროლდები იყვნენ: ანტიკურ ხანაში - პლატონი, ახალ დროში - ნიცშე. სხვა მხრივ მეცნიერება დარჩება მეცნიერებისათვის, კასტის ხელში. ხალხი მას არ მიიღებს.**

საყოველთაოდ არის ცნობილი და აღიარებული აკაკი გაწერელიას დიდი დამსახურება ქართული ლექსის კვლევის დარგში. **„ქართული კლასიკური ლექსი“**, რომელიც 40-იან წლებში დაიბეჭდა ჯერ ჟურნალ „მნათობში“, შემდეგ არაერთხელ ცალკე წიგნად, არის ფუძემდებლური მონოგრაფია. ამ ნაშრომით შეჯამდა ქართული ლექსის შესწავლის მრავალსაუკუნოვანი გამოცდილება. ავტორმა უმდიდრეს თეორიულ და პრაქტიკულ მასალაზე დაყრდნობით დაადგინა ქართული ლექსის მახვილის, რიტმის, რითმის, სტროფისა და მეტრის კანონზომიერი ბუნება, ეროვნული ხასიათი.

ლექსი პოეზიის ეპიცენტრია, ამასთან ერთად - **სასიცოცხლო წესრიგის ინტუიციური გაცხადება.** იგი პირველ რიგში მიემართება ენას. ენა მისთვის არის მასალა, ხოლო ეს ენა ნაციონალური ცნობიერების, ფსიქიკისა და ხასიათის კოლექტიური დანალექია, რომელიც მემკვიდრეობით გადმოეცემა ხელოვანს. ყოველი ერისათვის ლექსად თქმული სიტყვა განუმეორებელი ღირებულების მატარებელია, არც ქართველი ხალხია გამონაკლისი. ამიტომ ლიტერატორის ოცნებაა, ამოხსნას მშობლიური ლექსის ბუნება, რადგან იგი ეროვნული ცნობიერების მიკრომოდელია, მისი ყველაზე ღრმა და უშორესი ფენებიდან წამოსული. გარეგნულად ლექსის სტრუქტურა მარტივია, იოლია მისი აღქმა, მოსმენა და თვალით ათვისება. მაგრამ ამ სტრუქტურის თვითნებური შეცვლა არ ძალუძს პოეტს. რადგან იგი განსაზღვრულია და შებოჭილი გენეტური კოდებით.

აკაკი გაწერელიას მეცნიერული კვლევის მთავარი ორიენტირი პირველივე სტატიებიდან, ვიდრე ბოლოდროინდელ გამოკვლევებამდე, არის ქართული ლექსის სისტემა, მისი კლასიკური წყობა. საამისოდ იგი მიუბრუნდა უძველეს ტექსტებს, პირველად ფიქსირებულ ლიტერატურულ მასალას. ეს აუცილებელი იყო, რადგან ფესვები აწვდიან მაცოცხლებელ წვენსა და ძალას ტოტებსა დ ფოთლებს. აკაკი გაწერელიამ პირველ რიგში ძველი ქართული ლექსი შეისწავლა, მაგრამ, ამასთან ერთად, XIX-XX საუკუნეთა გამოჩენილი სიტყვის ოსტატების

პორტრეტები მოხაზა. ამ მხრივაც მისი დაკვირვებანი, ცალკეული მიგნებული დეტალები მუდამ დარჩება დახვეწილი გემოვნების და სტილის ოსტატობის ნიმუშებად. იგი არ გასდევნებია ვრცელ ექსკურსებს. ამიტომ - მსჯელობა მუდამ ლაპიდარულია, ძუნწი და უმთავრესისაკენ წარმართული, დასკვნები - სადა და უბრალო, სენსაციურ ელფერს მოკლებული, სამაგიეროდ - ზუსტი, მართალი და უტყუარი.

ნაშრომის შესავალ ნაწილში მიმოხილულია ლექსის თეორიის ზოგადი საკითხები, ლექსთწყობის სახეები, სასკოლო ანუ დოგმატიკური მეტრიკა, ე.წ. სმენითი ფილოლოგია, რუსული ფორმალიზმი; წარმოდგენილია ავტორის თვალსაზრისი, რომელიც საფუძვლად ედება ქართული ლექსის, მისი ძველი ანუ ფიქსირებული საწყისების კვლევას. მას მოსდევს ქართული ვერსიფიკაციის შესწავლის ისტორია. ავტორის მიზანი იყო ეჩვენებინა - რა გაკეთდა, რა პოზიტიური ცოდნა დაგროვდა. რა მემკვიდრეობა დაუხვდა მას, რათა შემდეგ უშუალოდ თავისი თვალსაზრისი გაეშალა.

წიგნის მეორე ნაწილში განხილულია ქართული ლექსის მახვილი, რიტმი, რითმა, სტროფი და საზომები, ლექსი, როგორც ენობრივი მასალის სტილიზება, უკავშირდება მახვილის ცნებას. ა. გაწერელიამ მიუთითა, რომ ქართულში მახვილი არაა მკვეთრი, განსხვავებით, ვთქვათ, რუსულისაგან, მაგრამ აქვს თავისი კანონზომიერება. იგი დინამიკურ -ექსპირატორულია, ორმარცვლიან სიტყვაში მოუდის პირველ მარცვალს (ქარი), სამმარცვლიანშიც პირველს (კალამი) ოთხმარცვლიანში - ბოლოდან მესამეს (სიხარული), ხუთმარცვლიანში - ბოლოდან მესამეს (სიხარული), ხუთმარცვლიანშიც - ბოლოდან მესამეს (მატარებელი), არსებითად - სიტყვას მოუდის ორი მახვილი და ა.შ. ალბათ ამიტომაც არის ესოდენ მნიშვნელოვანი ქართულ ლექსში თუ პროზის რიტმში ქორე-დაქტილის კომბინაცია, როგორც თვით ენის ბუნების, მისი ჟღერადობის, მუსიკალობის შესატყვისი. ხოლო ყველაზე მთავარია ქართული მეტყველების დაქტილური რიტმი. ეს არის ერთ-ერთი პრინციპული დასკვნა ა. გაწერელიასი და როგორც ეს შემდეგ სხვებმაც აჩვენეს (მაგ. პ. ბერაძემ), არავისთვის სადავო არ უნდა იყოს. ა. გაწერელიას თვალსაზრისი დაადასტურა ექსპერიმენტულმა ფონეტიკამაც. მაგრამ ასეთია ენობრივი მონაცემი სტატიკური მდგომარეობის ჟამს. ხოლო ცოცხალ მეტყველებაში, დეკლამაციაში თუ ლექსის თხზვის პროცესში შესაძლოა მახვილი გადაადგილდეს. როგორც **არნ. ჩიქობავამ** დაამტკიცა, ძველქართულში მახვილი მოძრავი უნდა ყოფილიყო, რაც იწვევდა სიტყვის ცვალებადობას. ა. გაწერელია მიიჩნევს, რომ მეტრისა და სტროფის ზეგავლენით, რათა შენარჩუნდეს რიტმი, რიტმული განწყობილება, შეიძლება მახვილმა ადგილი შეიცვალოს. ამის მაგალითები უხ-

ვად მოიპოვება **გ. ტაბიძის** პოეზიაში, მაგრამ საკმარისია მოვიტანოთ **დ. გურამიშვილის** ორტაეპედი:

მე გასმევდი, მე გაჭმევდი, მე გაცმევდი ტანთ,
შენ დახარბდი მცირეს ძღვენთა, სხვისგან მონატანთ.

ლექსი ემყარება ენის პროსოდიულ შესაძლებლობას. ის, რაც ენაში ფარულად და ხილულადაა მოცემული, მჟღავნდება პოეტის მიერ. ზოგჯერ პოეტი ძალას ატანს ენას, სიტყვებს, სინტაქსს, მახვილებს, ცხადია, პუნქტუაციასა და მართლწერასაც. ასეთი მიმძლავრება ავანტიურასთანაა წილნაყარი, დინების საპირისპირო სვლაა და გამართლებულია მაშინ, როცა შეიქმნება ფასეული ნაწარმოები, როცა ათენა ამას ინებებს.

საერთოდ **ხელოვნება ბუნებრივ სტილიზებას ემყარება, განსხვავებულს ყოფითი გარემოსა და მეტყველებისაგან, თუმცა მათგან იღებს სათავეს.** სტილიზებულია ლექსი, ცეკვა, სიმღერა, საუკუნეთა მანძილზე არაცნობიერად შემუშავებულ პირობითობაზე დამყარებული. ესეც უნდა გავითვალისწინოთ, როცა ვმსჯელობთ მახვილზე - ერთის მხრივ, სასაუბრო მეტყველებაში, მეორე მხრივ - ლექსში?

რითმა თანამედროვე პოეზიაში მწვავე დისკუსიის საგანია. იერიში ტრადიციულ ლექსზე დაიწყო რითმის უარყოფის ნიშნით. როგორც ა. გაწერელია შენიშნავს, რითმა უბრალო სამკაული როდია, არამედ სალექსო კონსტრუქციის ერთი უმთავრესი წევრი. ხალხური წარმოდგენით, რითმა და ლექსი ერთმანეთისაგან განუყრელია, მაგრამ რითმაც, ისევე როგორც მეტაფორა თუ შედარება, **უკავშირდება არაცნობიერ ფსიქიკას, თხზვის ინტუიციურ პროცესს.** იგი არღვევს ცნობიერის მიერ დაწესებულ ნორმებს, შაბლონსა და ტრივიალობას და უეცარ განწყობილებას გვაზიარებს, გადავიწყებულ ფაქტებს, მინავლებულ შთაბეჭდილებებს, გამოავლენს გაურკვეველ, პიროვნების სულში პასიურად არსებულ იმპულსებს, მაგრამ ეს მისი ფარული ფუნქციაა. გარეგნულად კი ამთავრებს სტროფს და ბგერათა კანონზომიერი მონაცვლეობით, მთლიანი კეთილხმოვანებით მსჭვალავს მას. ეს კეთილხმოვანება, ბგერათა ჰარმონია და წესრიგი, აგრეთვე **დემონური იდუმალება** კი შეესატყვისება გემოვნებას, მოძრაობის არსს და პიროვნებას აერთებს სიტყვაში დამალულ ყოფიერების სასიცოცხლო წრედთან.

დეტალურადაა განხილული რითმისა და მეტრის, რითმისა და სიტყვის ურთიერთმიმართება, რითმის ადგილი სტროფში, ევფონიური ბუნება, ქართული რითმის გენეზისი. **„რითმა იწყება ტაეპის უკანასკნელი მახვილიანი ხმოვნიდან. ამიტომ ქართული კლასიკური ლექსის კლაუზულა უმთავრესად ქორეული (ორმარცვლიანი) და დაქტილურია (სამმარცვლიანი), მაშასადამე, რითმებით ქორეულია ანუ ქალური და დაქ-**

ტილურია“, წერს ა. გაწერელია და ეს დასკვნა უკავშირდება მსჯელობას რიტმის ბუნებაზე, მის დაქტილობაზე. ეს კი უფრო ნათლად უსვამს ხაზს, თუ როგორ ვლინდება იგი ლექსის განსხვავებულ კომპონენტთა სისტემაში. აკაკი გაწერელიამ შემდეგში გადასინჯა ქართული რითმის გენეზისის საკითხი, შეცვალა ამ წიგნში განვითარებული შეხედულება (ვფიქრობ, **„რითმის ევოლუციის საკითხის“** გადასინჯვა არ იყო მართებული).

აკაკი გაწერელია რითმას იკვლევს ვრცელ კონტექსტში, პოეტურ მასალასთან მიმართებით. მისი ანალიზი არის არა სტატისტიკური ფორმების აღრიცხვა, არამედ დინამიკური ძალის ჩვენება, დამორჩილებული ესთეტიკურ პრინციპს. იგი გვასწავლის, რომ რითმა, თავისთავად აღებული, ფიქციაა და ღირებულებას იძენს მხოლოდ კონტექსტში, ჭეშმარიტ ქმნილებაში. ამიტომ მისი მსჯელობა ეყრდნობა არა გამონაკლისებს ან უსუსურ ტექსტებს, არამედ - შედევრებს, რადგან **ლიტერატურის ბუნებას განსაზღვრავს შედევრები და კანონებიც მათგან უნდა გამოვიტანოთ.** ამდენად ა. გაწერელიას არგუმენტირება და რითმის ნიუანსების ანალიზი ესთეტიკურ მომენტსაც შეიცავს და ერთ-ერთი ხერხია მხატვრული კონცეფციის ამოსახსნელად.

რითმის (**„სარითმო სიტყვის“**) ანალიზი მუდამ აზრთან, მხატვრულ ცნობიერებასთან არის დაკავშირებული. ამიტომ ა. გაწერელიას მხოლოდ სტრუქტურა კი არ აინტერესებს, არამედ სტრუქტურის ფუნქციაც. ჯერ მთლიან სისტემასთან მიმართება, შემდეგ ადგილი და როლი. ასეთი პრინციპის გატარება ძნელია, რადგან იგი ნიუანსთა მეშვეობით მთელის აღდგენაა, მაგრამ სწორედ ამიტომ არის ფასეული მონაპოვარი.

სიტყვათა გარითმვა მათ შორის არსებული კავშირის აღდგენაა, უძველესი ერთობის ან კიდევ - **ამ ერთობის ილუზიური ჩვენება**, პირველ სათავესთან დაბრუნების მირაჟი, **თამაშის ხელოვნება.** ეს ხორციელდება ბგერების კანონზომიერი მონაცვლეობით. მაგრამ ბგერათა მაქსიმალური დამთხვევა, ე.წ. ომონიმური რითმა (მკლავს - მკლავს, მონამა - მონამა) უფრო ცუდად ჟღერს, ვიდრე მიახლოება აზრის მშვეობით გაჩენილ ბზართან ბგერათა ერთიან კომპლექსში (ზღვა - სხვა, ქარი - კარი). ამიტომ გარითმვა ისტორიულად ენის დიფერენცირების, განტოტვის, გაშლის მძლავრი ბერკეტიც იყო. ამჟამად კი აღადგენს ამ უძველეს პროცესს, რაც შერწყმის, დაბრუნების სიხარულს მუსიკალური ჟღერადობით ავლენს, როგორც მატერიის თვისებას, სიცოცხლის უნარად ქცეულს.

შემდეგ ვეცნობით სტროფის აგებულებას, მის თემატიკურ, მეტრულ და მარცვლებრივ თანაბრობას, ჰეტერომეტრულ (არათანაბარი) და იზომეტრულ (თანაბარი) სტროფებს, რითმის დანიშნულებას სალექსო

მონაკვეთის ორგანიზებისათვის. წარმოდგენილია ურითმო იამბიკოს სილაბური სტროფი, რითმიანი იამბიკოს სტროფები. ცნობილია - იამბიკო იყო ბიზანტიური რელიგიური პოეზიის ქართულენოვანი რეგიონი. ამიტომ იგი თანდათან დაირღვა როგორც ფორმის, ისე არსის თვალსაზრისით. გზა გაიკაფა ხალხურმა, საუკუნეების ბნელ წიაღში სტიქიურად ფორმირებულმა ლექსმა და XI საუკუნიდან ლიტერატურაში ყალიბდება სილაბურ-ტონური ლექსის კატრენული სტროფი. ნაშრომში განხილულია ორტაეპედი, სამტაეპედი და ა.შ. მაგრამ ქართული ლექსისათვის მთავარია კატრენული სტროფი, ალბათ არა მხოლოდ რუსთაველის დიდი ზეგავლენის მეოხებით.

სტროფი ლექსის სტრუქტურულად დასრულებული მონაკვეთია.

მეტყველებას ლექსად აქცევს რიტმი, რიტმის ორგანიზება და მისკენ განუხრელი სწრაფვა. იგი აერთებს მთავარ სალექსო კომპონენტებს, რომელთა დახვეწა წარმოშობს რაფინირებულ სისტემას. **ა. გაწერელიას დასკვნით, სილაბურ-ტონურ, ე.ი. ქართულ ლექსთწყობაში რიტმს აყალიბებენ - მეტრი, მეტრისა და სიტყვის ურთიერთობა, გადატანა, რითმა, ტემპი და ინტონაცია.** ამ ცნებათა სინთეზირება ინტუიციურია, ე.ი. პოეტი, განსხვავებით სპეციალისტისაგან, არ იცნობს მათ სპეციფიკას, მაგრამ გრძნობს და სმენის მეშვეობით, შინაგანი განწყობილების კარნახით, ავლენს რიტმის განუმეორებელ ბუნებას.

ა. გაწერელიას ვრცლად აქვს განხილული მეტრის ცნება, წიგნის დასასრულს კი - ქართული კლასიკური ლექსის საზომები, მეტრული სქემა და ტერფი, მათი ურთიერთმიმართება, ტერფის გვარები - ქორე, დაქტილი, მეორე პეონი, აგრეთვე - ანაკრუზა და კლაუზულა, ცეზურა, ტემპი და ინტონაცია. ყოველი დებულება დადასტურებულია კონკრეტული მაგალითებით, რომელთაც თავისთავადი პოეტური ღირებულებაც გააჩნიათ და სულაც არ არიან მკვდარი ილუსტრაციები, რადგან ერთია ფაქტის არსებობა, მეორე - მისი პოეტური ხარისხი. **ლიტერატურას კი ქმნის ხარისხობრივი იერარქია**, მაგრამ უმწეო ფაქტების კონსტანტაცია არაფერს ნიშნავს. ამჯერად ა. გაწერელია გვაწვდის მთავარს, არსებით ნიშნებს და მსჯელობას არ ტვირთავს დეტალებით. ამიტომ მკითხველი იოლად აღიქვამს მეცნიერის ნააზრევს.

ისიც უნდა ითქვას, რომ აკაკი გაწერელია, როგორც თეორეტიკოსი, არ სცილდება ლიტერატურისმცოდნეობის სფეროს. იგი ლექსის თეორიის, რითმის თუ რიტმის ანალიზისას მუდამ კონკრეტულ ლიტერატურულ მასალას ემყარება და არ იშველიებს ფილოსოფიისა თუ ფსიქოლოგიის მონაცემებს. ეს ავორის პრინციპული პოზიციაა, რადგან, მისი აზრით, ლიტერატურულ კვლევას აქვს თავისი საზღვარი და მისი დარღვევა არ არის სასურველი. ასეთი პოზიცია აუცილებელი იყო მაშინ,

როცა ქართული ლექსის ბუნება უნდა დადგენილიყო. დღეს კი საჭიროა, ჩემის აზრით, **გაფართოვდეს კვლევის სფერო, მეტი ყურადღება მიექცეს ქართულ ხალხურ, სვანურ, მეგრულ-ჭანურ სალექსო ფორმებს, სალექსო სტრუქტურის გენეზისის პრობლემას როგორც ზოგადად, ისე ქართველურ არეალში, მის მიმართებას ეროვნულ ფსიქიკასთან, გონთან, ყოფიერებასთან,** ე.ი. არსებითად უნდა მოვახდინოთ ა. გაწერელიას პოეტიკური კონცეფციის უნივერსალიზება, ხოლო დისკუსია ამ კონცეფციის გარშემო, ბოლო ათწლეულში გაშლილი, გვიჩვენებს, რომ ჩვენ თითქოს „მოჯადოებელი წრის“ ირგვლივ ვტრიალებთ.

აკაკი გაწერელიამ გაწმინდა ქართული პოეტიკა უსაგნო, დოგმატიკური ტერმინებისაგან; თანამედროვე ლექსთმცოდნეობის, განსაკუთრებით რუს მკვლევართა შრომებზე დაყრდნობით, ამოხსნა მისი რთული და მათემატიკურად ზუსტი მექანიზმი, მაგრამ ლექსი ამასთან ერთად დარჩა მისთვის როგორც ესთეტიკური ფენომენი და არა განყენებული ჭვრეტის ან აბსტრაქტული კვლევის საგანი. ამიტომ ა. გაწერელიას მიერ დადგენილი ფაქტები და დასაბუთებული დებულებანი უაღრესად ფუნქციონალურია, ე.ი. აქვთ გამოყენებითი, პრაქტიკული მნიშვნელობა ლიტერატურულ პროცესთა აღსადგენად, მხატვრული აზროვნების ევოლუციისათვის თვალის გასადევნებლად. **ჩვეულებრივ, ქართველი ლიტერატორი, როცა მსჯელობს ქართული ლექსის სტრუქტურაზე, ემყარება ა. გაწერელიას პოეტიკურ კონცეფციას.**

ა. გაწერელიას პოეტიკური შეხედულებანი ტრადიციებს ეფუძნება როგორც თეორიულად, ისე მასალის თვალსაზრისით. მაგრამ **XX საუკუნემ, განსაკუთრებით მოდერნისტულმა და ავანგარდისტულმა ხელოვნებამ, წარმოშვა ფილოლოგიაში ანალოგიური - ახალ ფორმათა ამხსნელი და შესატყვისი მიმდინარეობანი („ახალი კრიტიკა“, „ფსიქოანალიზური და იუნგიანური კრიტიკა“, რუსული ფორმალიზმი, ეგზისტენციალური კრიტიკა, სოციოლოგიზმი, სტრუქტურალიზმი, „ტელკელის“ ჯგუფი და ა.შ.). თვით სტრუქტურალისტური ლიტერატურისმცოდნეობა განსხვავებულ ნაკადებად იყოფა - სტრუქტურულ-ლინგვისტური (რ. იაკობსონი), სტრუქტურულ-გენეტიკური, რომელიც ორიენტირებულია „სიღრმის ფსიქოლოგიისა“ და მითოლოგიისაკენ (გ. ბაშლიარი, ლ. შპიტცერი...), სემიოტიკური (რ. ბარტი, ი. კრისტევა...), რომელიც თავის მხრივ გვაძლევს ორ სახესხვაობას - სტრუქტურულ-სემიოტიკურსა და ტექსტუალურ-სემიოტიკურს.**

მეცნიერული აზრის თვისება ხომ სრულყოფისაკენ სწრაფვაა. ხელოვნებისაგან განსხვავებით აქ წინსვლა აღმასვლას ნიშნავს. **როლან ბარტის** მაგალითით რომ ვისარგებლოთ, კონცეფცია მოგვაგონებს იაზონის ხომალდს „არგოს“. ვიდრე კოლხეთის ნაპირს მიაღწევდნენ,

არგონავტებმა თანდათან შეცვალეს ხომალდის ყოველი ნაწილი, ძველისაგან დარჩა მხოლოდ სახელი და ფორმა. მსგავსად ამისა, ასე თანდათან, შეუმჩნევლად იცვლება კონცეფცია, მეცნიერული აზრი, შეხედულებათა სისტემა.

ამიტომ ადრე თუ გვიან აკაკი გაწერელია სტრუქტურალიზმს უნდა შეჯახებოდა და ეს მოხდა მაშინ, როცა ამ ლინგვისტიკაში ჩასახულმა და შემდეგ მეცნიერების სხვადასვა დარგებში შეჭრილმა მიმდინარეობამ ჩვენშიც შემოატანა - ჯერ ლინგვისტიკაში (**თ. გამყრელიძე, გ. მაჭავარიანი**), შემდეგ ლიტერატურისმცოდნეობაში. კონკრეტულად რუსთაველის ლექსთან მიმართებით მისი გამომხატველი გახდა **აკად. გ. წერეთელი**. მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ მისი ამოსავალი იყო სტრუქტურულ-ლინგვისტიკური, ე.ი. **რ. იაკობსონის** მეთოდი, არსებითად სტრუქტურალიზმის მხოლოდ ერთი ნაკადი, გ. წერეთლის ნაშრომი **„მეტრი და რითმა „ვეფხისტყაოსანში“** მნიშვნელოვანი იყო არა თავისი დასკვნებით (მაგ. „ოქროს კვეთის“ ძიება „ვეფხისტყაოსანში“, რუსთაველის ლექსის სტრუქტურის ნაცვლად განხილულია 16-მარცვლოვანი ლექსის სტრუქტურა, მეტრული თავისებურებანი მიჩნეულია პოეტის გენიალობის გამოვლენად და ა.შ.), არამედ მეთოდოლოგიური თვალსაზრისით, როგორც ახალი თეორიული სამყაროს შემომტანი, უფრო საინტერესო ზოგადად, ვიდრე კონკრეტულ პლანში, მაგრამ ლოკალურ-ქართულ გარემოში. ა. გაწერელიამ მთელი წიგნი დაწერა გ. წერეთლის ამ ნაშრომის წინააღმდეგ - **„ვეფხისტყაოსნის პოეტიკის ზოგიერთი საკითხი“**, დაიცვა თავისი შეხედულებანი, ლექსთმცოდნეობის ტრადიციული საფუძვლები, სტილი და ტერმინოლოგია.

უნდა გავიმეოროთ, რომ სტრუქტურალიზმმა ლიტერატურის თეორიას მრავალი სიახლე შემატა. მაგრამ კონკრეტული ტექსტის, კონკრეტული მწერლის შემოქმედების ანალიზი მას ნაკლებად გამოსდის (კიდევ ერთხელ გავიხსენოთ რ. იაკობსონისა და კ.ლ. სტროსის „შარლ ბოდლერის „კატები“!). ა. გაწერელიას პოლემიკას გ. წერეთელთან ჰქონდა უაღრესად პრინციპული მნიშვნელობა ჩვენი ლიტერატურისმცოდნეობის წინსვლისათვის და **ამ მხრივ იგი უსათუოდ ცენტრალური მოვლენა იყო 70-იანი წლებში. ალბათ მომავალში უფრო სრულად იქნება გათვალისწინებული ამ დისკუსიის შედეგები. მე მგონია, ამ ორ საპირისპირო საწყისებზე (ტრადიციონალიზმი და სტრუქტურალიზმი) დაყრდნობით, მათი შერწყმით, ახალი მასალებისა და ინფორმაციის გათვალისწინებით, შეიქმნება მესამე სისტემა, არა მხოლოდ პოეტიკაში, არამედ მთელს ქართულ ლიტერატურულ აზროვნებაში.**

„რჩეულ ნაწერებში“ შესულია პოლემიკური სტატიების მთელი სერია, მიმართული სხვადასხვა სპეციალობის მკვლევარებისადმი. მათში

ავტორი იცავს თავის პოზიციას და კულტურის არაერთ სადისკუსიო საკითხს წამოჭრის. მართალია,პოლემიკას ახლავს გადაჭარბებული დაძაბულობა, მაგრამ პრინციპული პრობლემები აღძრავენ პაექრობის აუცილებლობას. ამ პერმანენტულმა ბრძოლებმა მკვლევარს თითქოს ახალი სული შთაბერეს, არ მისცეს დაცხრომის, დამშვიდების საშუალება. ლიტერატორი, რომელსაც კმაყოფილება დაუფლებია, ვერაფერს დაწერს. მას უნდა სდევდეს უკმარობის მწვავე გრძნობა, საკუთარ თავზე ამაღლების სურვილი. ასეთი განცდა დამტანჯველია, მაგრამ აუცილებელიც.

ამდენად, ერთის მხრივ, პოლემიკურმა სიტუაციამ **აკაკი გაწერელიას** შეუნარჩუნა სიფხიზლის უნარი, შთააგონა მრავალი სტატია და გამოკვლევა, მაგრამ, მეორეს მხრივ, ხელი შეუშალა - დაემთავრებინა რომანი **„შამილი“**, მონოგრაფია **„პეტრე იბერიელი“** და ა.შ. პოლემიკა ააქტივებს შინაგან ძალებს, მაგრამ მუდმივი კამათი არ იძლევა დროსა და საშუალებას ახალ წიგნთა დასაწერად, - ავტორი ხომ გართულია შექმნილის დაცვით, დამატებითი არგუმენტირებით,

მიუხედავად თავისი ასაკისა, აკაკი გაწერელია ჭაბუკური ხალისითა და ძალით ეჭიდება ქართულ სიტყვას.

იგი ისევე დაუმცხრალია და საბრძოლველად შემართული, თითქოს პირველ სტრიქონებს წერდეს. დაღლა, შესვენება და შეჩერება მისი ბუნებისათვის ისევე უცხოა, როგორც მიღწეულით ტკბობა და დამშვიდება, რადგან ძველი რომაელების თქმისა არ იყოს - „Ad augusta per angusta“ (მაღალ მიზნებს აღწევენ დიდ სიძნელეთა გადალახვით).

„ლიტერატურული საქართველო“, 22 ოქტომბერი, 1982.

სარჩევი

I.ესსე

„მგოსნების, ოცნების ქალაქი“. 3
„მე მოვკვდები, როგორც პოეტს შეჰფერის“. 9
ლოინი – საბრძოლო აქლემი 13
„მე - თანამგზავრი მკვდარი ფოთლების“ 15
„ელადის ყვავილები“ 17
სიტყვათა სარკე 20
მუხის საკარცხული 23
ორი იდეალი 26
„თავაწეული ქართლის დროშები“ 29
კლასიკა, როგორც ითაკა. 32
„მარტოობაში იზრდება სული“ 33
მოგება წაგების ფასად. 34
დევნილი ტრიუმფატორი 35
მის სიკვდილს იგლოვებს ყველა 38
როგორც სარდალი. 38
მკურნალი 39
ირაკლი გოცირიძის ხსოვნას 40
ქართული სიტყვის სტიქიიდან 41
მეხუთე საფლავი 42

II. პოლემიკა

ტანტალოსის ტანჯვა. 43
ტირაჟების თუ პოეზიის წინააღმდეგ? 50
პასუხი ახალგაზრდა კრიტიკოსს. 55
პასუხი ემზარ კვიტაიშვილს. 61
რედაქტორის კომენტარი. 67
ქაქუცა ჩოლოყაშვილი - ეროვნული გმირი თუ
„ექსტრემისტ-ავანტიურისტ-სეპარატისტი?“ 68
გურამ ბარნოვის ეჭვი და ნოსტალგია 74

III. პუბლიცისტიკა

გარდაქმნის პროცესი და ლიტერატურა. 83
ქართული ენის მომავლისათვის 93
განახლების სტიმული 98
26 მაისი. 100
არჩევნები დემოკრატიულ საქართველოში. 105

დიდი მწერლის საიუბილეოდ 108
უფლება, რომელიც აკრძალვად იქცა 109
მშვიდობა საქართველოში 113
საქართველო კიდევ ერთი არჩევანის წინ 115
ყველაფერი რომ ნათელი იყოს 116
გამოიცემა კონსტანტინე გამსახურდიას თხზულებათა ოცტომეული 121
მხოლოდ თანხმობა და წესრიგი. 123
თითქოს საქართველოს მტერს ებრძოდნენ 124
„ლიტერატურული საქართველოს“ მთავარი რედაქტორის განცხადება 126
ორი დეპეშა. 127
„მძიმე და ყოვლად საფრთხილო“... 128
ვის მხარესაა ვაკსბერგი?. 131
დოკუმენტები მეტყველებენ 133
მწერალთა კავშირის მომავალი 137
ახლა მაინც სთქვით სიმართლე!... 138
იქმნება ახალი საზოგადოება. 141
ეს შეცდომაა! 143
სიტყვა კონსტანტინე გამსახურდიას დაბადების დღეზე ძველ აბაშაში 145
ბოიკოტი თუ არჩევნები?! 146
სავარძელი აფხაზეთის სანაცვლოდ 147
საქართველოში ეროვნული მთავრობა უახლოეს მომავალში
    არჩევნების გზით ვერ მოვა 148
უნდა გამოჩნდეს პიროვნება 154
„სანამ რომის პაპზე უფრო კათოლიკენი ვიქნებით, არაფერი გვეშველება!“ . . . 157
აბაშის გამგებლის აღსარება 161
ტელევიზია ხელისუფლების რუპორია 167
„ზვიად გამსახურდიას და ედუარდ შევარდნაძის მორიგება...“. 170
ნატო ვაჩნაძეც იცნობდა ბერიას, ამიტომ დამსმენად გამოვაცხადოთ?. 178
ძნელად მოსაყოლი ისტორია ან 80 წლის ქალი პოლიტიკური საბაბით
    მოკლეს?! 183
ზვიად გამსახურდიას საიუბილეო საღამოზე არ დაგვპატიჟეს! 189
1992 წელს პუტჩისტებს ხომ ვერ წარმოიდგენდნენ, რომ ზვიადის დაბადების
60 წლისთავი ოპერის თეატრში აღინიშნებოდა, ხოლო თავად ციხეში
    აღმოჩნდებოდნენ! 194
ავაღორძინოთ საქართველო ერთად! 195
პუტჩიდან - ეროვნულ ნიჰილიზმამდე. 197

დიპლომატიური მანევრებით არაფერი გამოვა 209
ფარული ბიოკოტისტები 215
შემოდგომის ბუზები 216
ისტერიას ტერორი მოჰყვა. 218
ხელისუფლების ახალი მუქარა 218
მოზაიკა: 219
1. პროვოკაცია. 219
2. თბილისის დანგრევისათვის — ჯილდო ხუთი მილიონი ლარი! 220
3. კიკაჩეიშვილი ვერ ისვენებს 220
14 ნოემბერს ხელისუფლებამ კიდევ ერთხელ დაარბია სამეგრელო 221
მოქალაქეთა კავშირში დიდი სიამოვნებით შევიტანდით განხეთქილებას 223
ჩვენ ისევ ზვიადისტები ვართ!. 227
თუ ამას ქვეყნის მართვა ჰქვია, მაშინ ყველას შესძლებია პრეზიდენტობა 230
სამხედრო ხუნტამ ორი თებერვლის მიტინგის დარბევის დროს ათი ადამიანის
სიცოცხლე შეიწირა. 236
სიტყვა პარლამენტის 22 თებერვლის სხდომაზე 239
უნივერსიტეტში კონსტანტინე გამსახურდიას კაბინეტი გაიხსნება 240
ერი, ეროვნება, რეკვიზიტი... 244
საქართველოში სოციალური ამბოხება არასოდეს მომხდარა 246
ვინ ვინ არის?!. 250
ყველაფერი პრეზიდენტის სახელს უკავშირდება 253
რატომ დაუწერა სოსო სიგუამ 12 სტუდენტს ორიანი 256
ისევ და ისევ სკამებისთვის ბრძოლა. 261
დღეს სახელმწიფო ეროვნული სულის დასანგრევად არის მომართული 262
დაკარგულია ტერიტორიები, დანგრეულია ეკონომიკა,
ქვეყანა ინფორმაციულ ვაკუუმშია 265
განახლების სურვილი 267
„საქართველო ბარაბას გზას მიჰყვება და იგი ქრისტეს გზა ჰგონია“. 269
ოპოზიციის ტრიუმფი. 272
„ყველა სფეროში, ყველა დარგში განუკითხაობაა“... 272
ლიტერატურა და არა დოქტრინა 273
პრეზიდენტი - კიო, მერი - არაო 275
პარლამენტის მოწმობა № 02/035 276
დარბაზი ჭეშმარიტად ეროვნულ მწერალთა გაერთიანებაა 279
პასუხი გაზეთ „აჭარის“ რედაქციის კითხვებზე. 280
ქართული სიტყვის გაძლიერება შეუძლებელია, ვიდრე ქართული

სახელმწიფო არ განმტკიცდება 283
მწერლობას პირველ რიგში ესთეტიკური ფუნქცია აქვს 285
მტერობა ენის... 291
ისევ რუსეთის მუქარა 293
მოხეტიალე ცრუ-ფორვარდი 295
ორი ბანაკი - ორი პოზიცია 296
სანამ შევარდნაძე იქნება ქვეყნის პრეზიდენტი - ასლან აბაშიძე
თბილისში არ უნდა ჩავიდეს 298
გრანტის მოიმედე ბიუჯეტი არასოდეს შესრულდება 299
სიტყვა ელიზბარ ერისთავის ძეგლის გახსნაზე გორში. 301
სოსო სიგუას შავი სია 302
ენა, ერი, რწმენა 304
ეკუთვნოდა თუ არა რეზო ამაშუკელს და გურამ დოჩანაშვილს
რუსთაველის პრემია?! 306
25 წლის შემდეგ 310
ვის რას ჩამოვართმევდი 312
რომელს დაარქმევენ ზვიად გამსახურდიას სახელს - აეროპორტს
თუ თავისუფლების მოედანს? 313
„მთვარის მოტაცება“ ქართველი ერის ტრაგედიას ასახავს 316
ჩაშლილი იუბილე 318
პარლამენტში პროფესიონალები უნდა იყვნენ და არა მოხალისეები 319
ტოტალური მობილიზაცია. 322
ლიდერი. 324
რატომ ვერ თანხმდებოდნენ საკანონმდებლო და აღმასრულებელი
ხელისუფლება ერთმანეთთან. 326
არჩევნების წინ 329
კონსტანტინე გამსახურდიას საზოგადოება „აღორძინების“
ინტერესებს შეეწირა 331
სიტყვა მიტინგზე პარლამენტის წინ 335
სახალხო რევოლუცია ეს იყო 335
ვინ არია პოლიტიკური სიტუაცია აჭარაში და რით შეაშინეს
ამერიკელებმა ასლან აბაშიძე?. 339
ორივე მხარემ უნდა დათმოს 340
ასლან აბაშიძე უნდა მიხვდეს, რომ ვეღარ მართავს ავტონომიურ
რესპუბლიკას. 343
მე ვესწრებოდი 343

შავი კატა 344
დღევანდელ ხელისუფლებას მწერლობა არ სჭირდება. 344
უნივერსიტეტში კონსტანტინე გამსახურდიას კაბინეტს ხურავენ 345
რატომ დუმს სალიტერატურო კრიტიკა? 346
კონსტანტინე გამსახურდიას კაბინეტი დაანგრიეს. 350
ვინც ქართულ მწერლობას ებრძვის, ის საქართველოს ებრძვის. 350
ევროპეიზმი თუ ამერიკანიზმი? 352
პრაქტიკული ალღო და უნარი პირველადია 354
კონსტანტინე გამსახურდიას საზოგადოება. 356
კატასტროფა 359

IV. კრიტიკა

კრიტიკის მისია 360
აზრი და განცდა 364
უკანასკნელ საღამოთა სევდა 369
ორი მოთხრობის ერთი კონცეფცია 376
ადამიანი და ექსპერიმენტი 383
ფიქრი და მუსიკა 407
ტრაგიკული ათწლეული. 416
აწმყოდან მომავლისაკენ 434
ერთიანი ძალისხმევით 439
რწმენის სიმღერა 443
სვანური ეტიუდები. 444
„ორი გოლგოთა“. 444
„კეისარი“ 446
კლასიკის გამოცემის პრინციპი. 449
„ყორანის“ ავტორი ქართულ ლიტერატურაში 452
წიგნი სიმბოლისტურ პროზაზე 458
„გალაკტიონი“ 466
ქართველის ბედი და ბოლშევიკური ჟამი 469
კონფლიქტი კვლევასა და ხატვას შორის 474
„ქრისტიანულ-სარწმუნოებრივი მოტივები გრიგოლ ორბელიანის
შემოქმედებაში“ 478
ანა სიდამონიძე - გურამ ფანჯიკიძის შემოქმედება 480
სარგის ცაიშვილის „წერილები და გამოკვლევები“ 483
„საქართველოს სულიერი მისსია“ 497
აკაკი გაწერელიას „რჩეული ნაწერები“ 504